

მის. ზანდუკელი

# თხზულებანი

II

ახალი ქართული ლიტერატურა



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 1976

8r1

899. 962. 1. 09

ზ 276

ცნობილი ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის მიხეილ ზანდუკელის თხზულებანი გამოდის 4 ტომად. II ტომში იბეჭდება გამოკვლევები XIX საუკუნის ქართველი რეალისტი მწერლების შესახებ, აგრეთვე მონოგრაფია „ი. ჭავჭავაძის მხატვრული ისტატობა“.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, მასწავლებლებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებით. დაინტერესებულ მკითხველთათვის.

## ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ბ ი ა

პროკლე კეკელიძე (მთავარი რედაქტორი)

გრიგოლ კიკნაძე

ნოდარ ტაბიძე

ჯუმბერ ჭუმბურიძე

სოლომონ ხუციშვილი

მეორე ტომის რედაქტორები

პროკლე კეკელიძე

ნოდარ ტაბიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976

## საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა 1845—1890-იან წლებში\*

XIX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში გარკვეულ გარდატეხას ვამჩნევთ როგორც სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ სფეროში, ისე ფსიქო-იდეოლოგიურსა და კულტურულ-შიც.

რუსეთთან შეერთება და საქართველოში მაშინდელი რუსეთის ძალაუფლების განმტკიცება ჩვენი ახალი ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ღრმა გარდატეხის ბეჭედი დაასვა ჩვენს ცხოვრებას. ეს გზა, როგორც ჩვენი ამ შრომის პირველ ტომშიაც ხაზგასმით აღვნიშნეთ, საქართველოსათვის აუცილებელი და მასთან დიდი პროგრესული მოვლენა იყო. ამიტომ ეს მოვლენა ჩვენი ცხოვრების ისტორიული განვითარების მკვლევარისათვის ბუნებრივია და ლოგიკური.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ქართველ ხალხს წინსვლის შესაძლებლობა მისცა რუს ხალხთან ერთად ეკონომიური და კულტურული განვითარების გზით.

ბოლო მოედო საქართველოს ისტორიული მტრების — ოსმალებისა და სპარსელების — განუწყვეტელ თავდასხმებს; შეიქმნა ხელშემწყობი პირობები ქვეყნის აღდგენის, გაერთიანებისა და კულტურულ-ეკონომიური განვითარებისათვის.

მეფის მთავრობა, რომელიც ხალხთა მასების მტერი იყო და რომელმაც სახელმწიფო გადააქცია „ხალხთა საპყრობილედ“, საქართველოშიც მკაცრ ნაციონალურ-კოლონიურ მჩაგვრელ პოლიტიკას ატარებდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში აღგილი ჰქონდა ხალხის ამბოხებებს. ხალხის ეს ბრძოლა გამოწვეული იყო არა მარტო პოლიტიკური საკითხით, როგორც ეს ზოგიერთ მკვლე-

---

\* წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: მის. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, II, 1962, თბილისი.

ვარს ჰგონია (ეს, ჩვენი შეხედულებით, უფრო მეორეხარისხოვანია), არამედ მომეტებულად ხალხის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობითა და ინტერესით<sup>1</sup>.

ამ აჯანყებათა ქართველს, ერთი მხრით, თუ მეფის მჩაგვრელი ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკა იწვევდა, მეორე მხრით, იგი გამწვავებული იყო ადგილობრივი კლასობრივი ურთიერთობით ბატონსა და ყმას შორის.

მთელ რიგ დამარცხებულ აჯანყებათა და შეთქმულებათა შემდეგ, პოლიტიკურად და ეროვნულად ჩაგრული და ეკონომიურად გაძვალტყავებული ქართველი მშრომელი ხალხი დარწმუნდა, რომ ძველი გზა ცხოვრებისა უვარგისია, მიუღებელია, საჭიროა ცხოვრების ახალი გზა. და ეს გზა იყო რუსი ხალხის მოწინავე ნაწილთან, მის მშრომელ მასებთან ერთად, რომელიც თანაუგრძნობდა ქართველი ხალხის სამართლიან ბრძოლას, ეწარმოებინა საერთო ძალით შეტევა როგორც თავისი მიწა-წყლის დასაცავად უცხოელ დამპყრობთაგან, ისე საერთო მჩაგვრელების — მეზატონეების, ბურჟუაზიისა და ცარიზმის, კერძოდ, მისი რეაქციული პოლიტიკის — სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

ასეთი ფსიქოლოგიური მტკიცე გარკვევა ქართველი ხალხის ცხოვრებაში ხდება 40-იანი წლების დასაწყისშივე. მაგრამ გარეგნულად ეს გარემოება პირველ ხანებში, თითქოს, შეუმჩნეველი რჩებოდა.

ამ ახალი ცხოვრების ძიების ტყვილები მწვავედ იგრძნობა ნიკ. ბარათაშვილის კაეშნიან ბორჯავშიც, რასაც მშვენიერად გამოჩატავს მისი ლექსის — „ფიქრნი მტკერის პირას“ დასასრული, ხოლო უფრო მკვეთრად — „მერანი“. თავგანწირული მხედრის მიმართვაში მერნისადმი —

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გადამატარე ბედის სამძღვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

ან კიდევ:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს! —

იგრძნობა თვით ეპოქის, ქართველი ხალხის დაუძლეველი წყურვილი ახალი ცხოვრების გზის, შინაარსიანი და შემოქმედებითი ცხოვრების გზის ფამონახვისა.

<sup>1</sup> მ. ბ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 1, 1964, გვ. 115—131.

რუს ხალხთან ერთად ახალი ცხოვრების გზით სიარულის აუცი-  
ლებლობასა და სარგებლობას ნ. ბარათაშვილი ასე გამოხატავს  
ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ცნობილი მიმართებით ერეკლე  
მეორისადმი, რომელმაც საქართველოს რუსეთთან შეერთების სა-  
კითხი საბოლოოდ გადაწყვიტა:

აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი,  
და ვ ს კ ჰ ა მ თ ნ ა ყ ო ფ ს ა მ ი ს გ ა ნ ტ კ ბ ი ლ ს ა ა წ შ ე ნ ნ ი  
ძ ე ნ ი:

და მუნით ჰზიდვენ თვალთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,  
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!  
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,  
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!  
აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა;  
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;  
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,  
ა წ მ ო გ ვ ი გ ვ რ ი ა ნ მ რ ა ვ ა ლ ი ს მ ხ რ ი თ ჩ ე ნ ე თ ა  
მ ო ძ მ ე თ ა!

ა წ მ ი ხ ვ დ ა ქ ა რ თ ლ ი შ ე ნ ს ა ქ ვ ე ლ ს ა  
ა ნ დ ე რ ძ ნ ა მ ა გ ს ა,  
და თაყვანსა-ჰსცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა.

ჩვენი ქვეყნის ასეთი მიდრეკილება, ცხოვრების ახალი გზის გა-  
მონახვის აუცილებლობა, თუშკაც ცოტა გვიან (1858 წელს), მაგრამ  
მკაფიოდ, ღრმა შეგნებითა და სისწორით ილია ჭავჭავაძემ გა-  
მოთქვა ლექსში: „ქართველის დედას“. პოეტი ამ ლექსში ასე მი-  
მართავს თავის თანამედროვეებს:

მას ნულარ ვსტირით, რაც დაკარგულა,  
რაც უწყალს დროთ ხელით დანთქმულა,  
მოვიკლათ წარსულ დროებზე- დარდი.  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

ამ ფორმულამ, მისი განხორციელების სურვილმა შემოიკრი-  
ბა და ძალუმად მიიზიდა მთელი ცოცხალი ძალა ჩვენი ცხოვრების  
ამ პერიოდისა და ქართველი მოწინავე-მოაზროვნე საზოგადოება  
უკეთესი ცხოვრების პირობების შესაქმნელად ამოძრავა.

მაგრამ 40-იან წლებში, შეიძლება ითქვას, მთელი ქართველი  
ხალხი იმდენად იყო აფორიაქებული, ეკონომიურად და პოლიტი-  
კურად ისე დაძაბული, რომ მისთვის ახალი ვარსკვლავის გამოჩან-

2 დაყოფა ჩვენია.

ვა და ახალი გზით სიარული არც ისე ადვილი საქმე გახლდათ. ბატონყმური ურთიერთობით გალატაკებული, იარაღ-დაყრილი, ეგზეკუციებით გადაგრული ხალხისათვის ადვილი საქმე არ იყო გამოენახა საჭირო საერთო მოქმედების ასპარეზი, რომელსაც იგი უნდა შეეერთებინა, და ამით საერთო ძალით ახალი ვარსკვლავის გამოჩენასა და მისი მიყოლის საშუალება მიეღო.

ასეთი ასპარეზის გამოჩენა, კულტურული და ეკონომიური ცხოვრების გამაძლიერებელი სარბიელის შექმნა, რომლის მოთხოვნილებაც ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ახალი ეკონომიური ფაქტორის (კაპიტალიზაციის) საფუძველზე წამოიჭრა, აშკარად მუდამუნდება 40-იან წლებში. ამ გარემოებას, რაც ძირითადად გამოწვეულია ქვეყნის კაპიტალიზაციით, ხელი შეუწყო მთავარმართებელი მ. ვორონცოვის პოლიტიკამაც.

ვორონცოვის პოლიტიკას ჩვენში სათანადო ნიადაგი ჰქონდა შექმნილი. „ვორონცოვის ხანა, — წერს არჩილ ჯორჯაძე — განსაკუთრებული ხანა იყო ჩვენში. არც წინათ, არც შემდეგში მის მსგავს მოვლენას არ ვხედავთ. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება. ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მთავრობის ქვეშ... ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცხადა ეს დღემდე განუზორციელებელი იმედი. ქართველთა ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ — ეს ოცნება რეალობად იქცა და ფერმიხდილი წადილი ბრჭყვიალა ფერადებით შეიმოსა“<sup>3</sup>.

ჩვენი შეხედულებით, უდავოა, არჩილ ჯორჯაძის მიერ ვორონცოვის პოლიტიკის შეფასება არ არის სწორი, ის მეტად გულუბრყვილოცაა. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პერიოდი ჩვენი ცხოვრების განვითარების ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანია. ამისთვის საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება ვორონცოვის მმართველობაზე შევაჩეროთ.

40-იანი წლების ნახევრისათვის მეფის რუსეთმა გარკვეულად დაინახა, რომ ის გამარჯვებულია, რომ მან საქართველოში მკვიდრად მოიკიდა ფეხი, რომ მან ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი გააერთიანა. აღმოსავლეთთან დიდი ხნიდან ნანატრი სავაჭრო ხიდი უკვე გადო. პოლიტიკურად დაძაბუნებული საქართველო რუსეთისათვის, მისი სავაჭრო-სამრეწველო ინტერესების განხორციელებისათვის, აღმოსავლეთთან მი-

<sup>3</sup> არჩ. ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. V, გვ. 9.

სვლის საქმეში ხელსაყრელ გზად იქცა. საქართველო, ჯერ კიდევ ფეოდალური (საკმარისად დარღვეული და დაქნინებული), ნებსით თუ უნებლიეთ ადვილად გაჰყვა უკვე საკმარისად კაპიტალიზირებულ რუსეთს. პოლიტიკურად მოქმედი საზოგადოებრივი კლასი საქართველოში ამ დროს ჯერ კიდევ არის დარღვეული და დაქნინებული ფეოდალთა კლასი. მსხვილ ფეოდალთა ჯგუფი შედარებით მცირეა.

მეფის რუსეთმა იგრძნო, რომ ამ მხრით მას საფრთხე აღარ მოელოდა. მოინდომა შემდეგში თანდათან ისე განმტკიცებულიყო, რომ ნაკლები ხარჯი, მსხვერპლი და დაბრკოლებანი ჰქონოდა. ამიტომ მან არჩია ძველი მთავარმართველების უხეში პოლიტიკა უკუეგდო. მან აშკარად იგრძნო, რომ ძველი გზა მთავარმართველებისათვის რუსეთისათვისაც არ იყო ხელსაყრელი. დარწმუნდა, რომ ერმოლოვის, როზენის, ჰანის, გოლოვინის, ნეიდჰარტიისა და სხვათა პოლიტიკამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. თვით მეფის რუსეთმა საჭიროდ დაინახა მშვიდობიანი, წყნარი და უმტკივნეულო გზა ამოერჩია, რომ თავისი მისწრაფებანი ცხოვრებაში მტკიცედ, სწორად და უფრო მალე გაეტარებინა. პოლიტიკის შერბილების აუცილებლობას გრძნობს არა მარტო მთავრობა, რუსეთის საზოგადოების არა მარტო ის ნაწილი, რომელსაც აქ, საქართველოში უხლებოდა პოლიტიკის წარმოება და მისი რეალური შედეგების მოწმედ ყოფნა, არამედ სატახტო ქალაქებში მცხოვრებნი, მმართველი წრეებაც. ამიტომ ნეიდჰარტიის სამსახურისთვის თავის დანებების სურვილი მთავრობის მიერ სიამოვნებით იქნა მიღებული, რუსეთის საზოგადოების მალალი წრეები გაფაციცებით მოელოდნენ, ვინ აქნებოდა არჩეული „ამ მეტად საპასუხისმგებლო და მძიმე თანამდებობაზე“<sup>4</sup>. ყველა გრძნობდა, რომ იმ დროს ამიერკავკასიაში უნდა გამოეგზავნათ ისეთი კაცი, რომელსაც ექნებოდა სათანადო გონიერება და გამჭრიახობა როგორც სამხედრო საქმიანობაში, ისე სამოქალაქო ცხოვრების მოწესრიგებაში.

როცა ამიერკავკასიაში შერბილებული პოლიტიკის გასატარებლად დანიშნულ იქნა ცნობილი მოხელე, ხერზიანი, გამჭრიახი, რუსეთის მეფის ერთგული კარისკაცი მ. ს. ვორონოვი, რუსეთის მმართველი წრეები ამ არჩევანს დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ. „მოელი რუსეთი, — წერს ივანენკო, — ტაშს უკრავდა ამ არჩევანს“<sup>5</sup>.

<sup>4</sup> В. Н. Иваненко, Гражданское управление Закавказьем от присоединения Грузии до наместничества Великого князя Михаила Николаевича, Тфл., 1901, გვ. 347.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 348.

ამჟამად კავკასია იმ დროისათვის ცარიზმის პოლიტიკურ მისწრაფებათა განსახორციელებლად საჭირო და აუცილებელ ბაზად გადაიქცა. მისთვის აუცილებელი შეიქმნა აღმოსავლეთისაკენ გზის გაკაფვა, ირან-ოსმალეთთან საზღვრების გამაგრება და მით ევროპისათვის მეტოქეობის გაწევა. საქართველო რუსეთისათვის ამ მიზნის განსახორციელებლად მრავალმხრივ ხელსაყრელ პუნქტს წარმოადგენდა მთელს კავკასიაში.

ვორონცოვი, როგორც ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი და ნამდვილი მოხელე, ადვილად მიხვდა, ისეთი პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა, რომ ქართველთა გული (რასაკვირველია, საქართველოს პრივილეგიური წრეების) მოეგო. ის ცდილობდა შეეყვარებინა რუსეთი და მისი კულტურა ქართველთათვის, როგორც თავიანთი საკუთარი. მან მიზნად დაისახა უმტკივნეულოდ განეხორციელებინა დიდი ხნის სურვილი: შეედუღებინა ქართველები რუსებთან.

ამ მხრივ სრულიად სწორად ახასიათებს ვორონცოვსა და მის პოლიტიკას ვ. ივანენკო. „იმისათვის (ვორონცოვისათვის — მ. ზ.), — წერს ის, — არ არსებობდა რუსეთის ინტერესებსა და ამ განაპირა ქვეყნის (ე. ი. ამიერკავკასიის — მ. ზ.) ინტერესთა შორის კოლიზიები. მას კარგად ესმოდა, რომ იმ დროისათვის, რუსეთის მთავარი ინტერესი მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ განუწყვეტელი კავშირით გადაეხა თავისთან ახალი ქვეშევრდომნი, რომ ამ უკანასკნელთათვის დაევიწყებია თავის დამოუკიდებელ მმართველობაზე ოცნება და შეეყვარებია რუსეთის მონარქიის კეთილი და მზრუნველი მმართველობა. საჭირო იყო ისე წარემართა გამგებლობა, რომ ადგილობრივი დამორჩილებული მოსახლეობაც დარწმუნებულყო, რომ მისი კეთილდღეობა და ბედნიერება მდგომარეობდა იმაში, რომ დაეტოვებინა შეუსრულებელი ოცნება დამოუკიდებლობაზე და შესთვისებოდა თავის ახალ დედინაცვალს, როგორც მშობელ დედას“<sup>6</sup>, ამიტომ ვორონცოვი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ეს განაპირა ქვეყანა და, კერძოდ, საქართველო დაეახლოვებინა რუსეთისათვის.

მეფისნაცვალს მ. ს. ვორონცოვს კარგად ესმის ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს მნიშვნელობა რუსეთისათვის. მას კარგად აქვს გათვალისწინებული რუსეთსა და აღმოსავლეთს შორის შემაერთებელ სავაჭრო ბაზრად საქართველოს გადაქცევის სარგებლობა და აუცილებლობა. ის კარგად გრძობდა, რომ მისი უპირველესი დანიშნულებაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი აქ ვაჭრობის ამოძ-

<sup>6</sup> В. Н. Иваненко, Гражданское управление Закавказьем..., Тфл., 1901, გვ. 340.



რავებსა და განვითარებს. ამიტომ ყველა მისი ღონისძიება აქეთ-კენაა მიმართული. ამ მიზნითაა გამოწვეული მისი შუამდგომლობა ამიერკავკასიაში შეღავათიანი საბაჟო ტარიფის შემოღებისათვის, რაც მთავრობის მიერ ნებადართულ იქნა.

ვორონცოვის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო საქართველოში ვაჭრობის ზრდას, რამაც საზოგადოებრივი ცხოვრების სწრაფი ამოძრავება და განვითარება გამოიწვია.

ამ დროიდან იწყება ერთგვარი გარდატეხა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში. საქონლის მოძრაობის და ფულის საჭიროების ზრდამ გამოიწვია მევახშეობისა და ვაჭრობის განვითარება. გაჩნდნენ კარაპეტ-მიკირტუმ-მეჯღანუაშვილები. ცხოვრების ამ მოძრაობას ვორონცოვმა უთუოდ ფრიად შეუწყო ხელი. მოაწყო მან შავი და კასპიის ზღვების პორტებში მიმოსვლა. გააუმჯობესა საქართველოს სამხედრო გზა. საერთოდ დიდი ყურადღება მიაქცია გზატკეცილების გაყვანასა და მთავარი პუნქტების ერთმანეთთან შეერთებას. გამოიწერა გამოცდილი ხელოსნები, საწარმოო იარაღები. გახსნა სანიმუშო სახელოსნოები. დააარსა ბაზრები, სადაც მცხოვრებთ შესაძლებლობა ეძლეოდათ ნაწარმების გამოტანისა და გასაღებისა. ხელი შეუწყო სასოფლო მეურნეობის განვითარებას, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღმოჩენას და გამოყენებას. აგრეთვე ხელი შეუწყო მოსკოვისა და პეტერბურგის (აწინდელი ლენინგრადის) ვაჭრებს გაეღოთ თბილისში საწყობები, რის შემწეობითაც მან ფაბა სავაჭრო კავშირი აღმოსავლეთთან (განსაკუთრებით ირანთან), ზოლო საქართველოდან, რის გატანაც კი შესაძლებელი იყო, გაჰქონდა.

ვორონცოვმა ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს მიმართ შიშველი ძალდატანებითი გზა, როგორც ჭკვიანმა და დაკვირვებულმა მმართველმა, უარყო; მას მიუღებლად, ნაადრევად და მავნებლად მიაჩნდა საქართველოში და საერთოდ ახლადშემოერთებულ ამიერკავკასიაში რუსეთის კანონებისა და მმართველობა-სამმართველოს დამყარება. „ძალდატანებით ზომებს, — მოახსენებს ის მეფეს 1846 წ. 1-ლ იანვრის მოსახსენებელ ბარათში, — არამც თუ სიკეთე მოაქვს, არამედ, პირიქით, მეტად მავნებელ შედეგებს იძლევა“... სამაგიეროდ ადგილობრივი ზნე-ჩვეულების დროებითი შენახვით მან შეუმჩნევლად, უმტკივნეულოდ შემოიღო რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობა. ამით ვორონცოვმა უფრო ადრე და უკეთესად განახორციელა ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით-კი ქართველების, ზიარება რუსულ კულტურ-

რასთან. მშვიდობიანი და თავშეკავებული პოლიტიკის მეოხებით ბევრი რამ გაკეთდა<sup>7</sup>.

ვორონცოვის პოლიტიკის შედეგა იყო, რომ 1848 წელს, 24 აპრილს გაერთიანებულმა ქართველმა თავადაზნაურობამ რუსეთის იმპერატორს გულწრფელად შემდეგი შინაარსის უქვეშევრდომილესი გრძნობისა და ერთგულების გამომხატველი მიმართვა გაუგზავნა:

„დღე არ გადის, რომ ყოველი ჩვენგანი არ ხედავდეს ჩვენი რუსეთის მონარქის ჩვენზე დიდი მზრუნველობის დამტკიცებას. დღე არ გადის, რომ ჩვენი კეთილდღეობისათვის არ დაიღვაროს სისხლი რუსთა, გრძნობითა და სარწმუნოებით ჩვენი ძველი მოძმეებისა. ყოველი ჩვენგანი გრძნობს ფაქიზს, წმინდა სიყვარულსა და ერთგულებას ჩვენი რუსეთის თვითმპყრობელი მონარქისადმი. ჩვენი სიკეთე მეფის გულშია. მან აღმოგვიჩინა მოწყალეობა ჩვენი სამშობლოს შეერთებით ერთმორწმუნე რუსეთთან. ყველა ვგრძნობთ ამას და ვგსურს ჩვენი სამსახური იქმნეს მოთხოვნილი ჩვენი ქვეყნის გარეშეც, სადაც უნდა იყოს, თუნდაც სახელმწიფოს საზღვრებს იქით, თუ ის უწყისობა, რომელიც დასავლეთ ევროპას რომ აღელვებს, საშიში იქნება კეთილდღეობისათვის იმ სახელმწიფოსი, რომელსაც საქართველოს აქვს პატივი ეკუთვნოდეს“<sup>8</sup>.

ეს ვორონცოვის პოლიტიკის სრული გამარჯვება იყო:

ვორონცოვს რომ აშკარად რუსეთის იმდროინდელი ინტერესებიდან გამომდინარე მისწრაფებანი ამოძრავებდა და არა ადგილობრივი მოსახლეობისა და კერძოდ ქართველებისადმი ფილანტროპიული გრძნობები, ამას ადვილად დავინახავთ, თუ საკმარისი გულისყურით ჩავუყვირდებით მისი პოლიტიკის ხასიათს და მიმართულებას. თუ ვორონცოვის პოლიტიკის გარეგნული მხარის იქით გადავალთ და არსებითად გავეცნობით მის მოღვაწეობას, ადვილად გავარჩევთ მისი პოლიტიკის თავისებურ ბუნებას.

ვორონცოვი ერთ-ერთ თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აი რას მოახსენებს მეფე ნიკოლოზ I-ს: „ყოველი ცვლილება და ყოველი ახალი რეფორმა, რომელიც საუკუნეობით შექმნილ ჩვეულებებსა სცვლის, ყველგან არაჩვეულებრივ სიძნელეს წარმოადგენს ცხოვრებაში გატარების დროს, მაგრამ განსაკუთ-

---

7 იხ. Акты Кавказской археологической комиссии, т. X; იხ. ზანდ-უქელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. I. გვ. 175, 226.

8 Акты Кавк. арх. ком., т. X, № 29; Акты Грузинск. Дворянства, 24 апреля 1848 г.

რებით ამ მხარეში (ამიერკავკასიაში). ამისათვის ამგვარ შემთხვევებში საჭიროა დიდის სიფრთხილით მოქმედება<sup>9</sup>.

რუსული ენის დანერგვისა და გავრცელების მიზნით ვორონცოვმა გახსნა სკოლები როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო. ეს გზა, ვორონცოვის აზრით, რუსეთს საშუალებას მისცემდა ადგილობრივი მცხოვრებლების საუკეთესო ნაწილი გამოეყენებია რუს მოხელეებად, რომელთა შემწეობით რუსული კულტურა ადგილობრივ უფრო ადვილად გადმოინერგებოდა. ამავე მიზნით მან ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით ქართველ თავადაზნაურულ ახალგაზრდობას, გზა გაუხსნა სწავლის მიღებისათვის რუსეთის სასწავლებელში (უმაღლესშიც კი). ყველა ზემოაღნიშნულით ვორონცოვი, რასაკვირველია, ადგილობრივ მოსახლეობაში რუსეთისადმი კეთილი განწყობილების ნიადაგს აპოხიერებდა.

ვორონცოვმა კარგად იცოდა, რომ ერთსულოვანი ერთგულება და თავდადება მასობრივად ხალხში ადვილად ვერ გამოემუშავდებოდა. კარგადვე ხედავდა, რომ მთავრობისათვის გაცილებით ძნელი იყო მცხოვრებთა ფართო მასებზე გავლენის მოხდენა თავის სასარგებლოდ, ვიდრე ამ მცხოვრებთა რომელსამე გარკვეულ ნაწილზე. ვორონცოვი აშკარად გრძნობდა, რომ საჭირო იყო პოლიტიკის ალებული გეზის გატარებისათვის დასაყრდენი ძალა გამოენახა.

ასეთ ძალად ვორონცოვმა ადგილობრივი ერების მალალი წოდება დაინახა: საქართველოში — თავად აზნაურობა, აზერბაიჯანში — ბეგები და ალები, სომხეთში — მელიქები. ამის შესახებ ვორონცოვი აირა საინტერესო აზრს მოახსენებს ნიკოლოზ I-ს: „ყველგან, — ნათქვამია ვორონცოვის მოხსენებაში, — სადაც კი ხალხი მოქალაქეობრიობის დაბალ საფეხურზედა დვას, მთავრობისათვის გაცილებით ძნელია გავლენის მოხდენა მთლიან მასებზე, ვიდრე მის რომელსამე წოდებაზე, უფრო განათლებულზე და, მაშასადამე, უფრო გავლენის მქონეზე. აქ-კი (ე. ი. ამიერკავკასიაში. — მ. ზ.), ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, სიძნელე გაცილებით საგრძნობია: ამისათვის საჭიროა არამცთუ შევეხოთ მალალი წოდების უფლებას, არამედ ყოველგვარად შევეცადოთ მისი დაცვისადაგანმტკიცებისათვის, ვინაიდან არისტოკრატიული დასაბამის საშუალებით შეიძლება დაძლეულ იქნეს დემოკრატიული მიმართულება, რომელიც განვითარებულია და რომელსაც ასე ღრმად აქვს ძირი გადგმული და-

<sup>9</sup> В. Н. Иваненко, Гражданское управление Закавказьем..., Тфл., 1901, გვ. 349.

დესტანში და რომლის წინააღმდეგ, სამწუხაროდ, აქამდე, იარაღის გარდა, არაფერი საშუალება არ არის გამოყენებული“<sup>10</sup>.

ვორონცოვი სწორედ ამგვარად ხელმძღვანელობდა აღნიშნული მოსაზრებებით, როდესაც წარადგინა ადგილობრივი არისტოკრატიისათვის პრივილეგიების მიმცემი პროექტი. მიუხედავად იმისა, რომ ვორონცოვის პროექტს ეწინააღმდეგებოდა სამი მინისტრი — პ ა ნ ი ნ ი, ბ ლ უ დ ო ვ ი და განსაკუთრებით კ ი ს ე ლ ო ვ ი, ვორონცოვი მაინც ენერგიულად თხოულობდა თავისი პროექტის დამტკიცებას. ვორონცოვის ამ შუამდგომლობას 1846 წ. 6 დეკემბერს შედეგად მოჰყვა რესკრიპტი, რომლის ძალითაც მუსლიმანების ხანებს, ბეგებს, ალებს და სომხების მელიქებს ებოძათ ყველა პრივილეგია მაღალი წოდებისა, დაუბრუნდათ ჩამორთმეული მამულები, მიეცათ მესაკუთრის ძალაუფლება დაბრუნებულ მამულსა და მასზე დასახლებულ მცხოვრებლებზე. ამ რესკრიპტიშივეა ერთი მუხლი, რომელიც დასახლებული წოდების წარმომადგენელთ კერძო საკუთრების სრულ უფლებას ანიჭებს, ხოლო ერთი შეზღუდვით კი: „დასახლებული მამული არ შეიძლოთ გადაეცათ ისეთი პირისათვის, ვინც არ ეკუთვნოდა მაღალ წოდებას, ან ვისაც არა ჰქონდა უფლება ყმების ყოლისა“. ვორონცოვის რწმენა, რომ „მცხოვრებლების უდიდესი ნაწილი (აზერბაიჯანის) სრულიად კმაყოფილია ჩვენი მმართველობით და, ჰხედავს რა თავის დევლათის ზრდას, არ მოინდომებს ჩვენს ღალატს“, ხოლო სომხების შესახებ — „ვინაიდან ყველაფრით ისინი ჩვენგან არიან დავალებულნი, ისინი მთლიანად ჩვენი ერთგულნი არიან და ყოველთვის მზად იქნებიან გვემსახურნენ“<sup>11</sup> — გამოწვეულია ვორონცოვის ზემოაღნიშნული ღონისძიებებით.

ამ გზით ვორონცოვმა მიაღწია მიზნის მხოლოდ ერთ ნაწილს — დაამყარა ერთგვარი სიწყნარე და სიმშვიდე მუსლიმანების მაღალ წოდებაში. მაგრამ მიზნის მეორე ნაწილი, სახელდობრ, — შეექმნა მუსლიმანთა არისტოკრატია, რომელიც მომავალში რუსული კულტურისა და გავლენის გამტარებელი იქნებოდა მასებში და გადაიქცეოდა მტკიცე სიმაგრედ რუსეთისადმი ირანისა და ოსმალეთის მტრული გავლენის წინააღმდეგ, — მიუწვდომელი დარჩა.

მით უმეტეს დიდი ყურადღების ღირსი გახდა ქართველი თავდაზნაურობა. მისი დაკმაყოფილება და დაწყნარება ერთი მთავარი საზრუნავთაგანი იყო ვორონცოვისათვის. მან დააარსა კომისია ჩვე-

<sup>10</sup> В. Н. Иваненко, Гражданское управление Закавказьем..., Тфл., 1901, გვ. 355. დაყოფა ჩვენია. მ. ზ.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 351, 356.

ნი თავადაზნაურობის პრეტენზიათა საბუთიანობის გამოსარკვევად; შეადგინა მაღალ წოდებათა პერსონალური სიები და საერთოდ მათი უფლებების აღდგენას მეტად სათუთად მოეპყრო.

ჩვენი მაღალი წოდება, ეკონომიური განვითარების იმ ცვლილებათა მიხედვით (ნატურალური მეურნეობის რღვევა, ვაჭრობა-მრეწველობისა და ფულის ტრიალის დაწყება), რომელმაც ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში იწყო შემოჭრა და წინაპერიოდის ეკონომიურ პირობათა წაღეკვას ლამობდა, უკვე თავის განწირულ მდგომარეობას მტკივნეულად განიცდიდა.

ახალი ცხოვრების სიომ გლუხკაცობაც გამოათხიზლა. ამ ნიადაგზე ბატონსა და ყმას შორის მოუთავსებლობა და წინააღმდეგობის მეტი გაღრმავება-გამწვავება ჩქარი ტემპით განვითარდა.

თავადაზნაურთა და გლუხკაცთა შორის უთანხმოება ვორონცოვის დროს საკმარისად მწვევედ იყო გამოხატული ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში. ვორონცოვის დანიშვნას წინ უძღოდა გურიის ცნობილი 1841 წლის აჯანყება, რომელიც ძირითადად ბატონისა და ყმის უთანხმოებაზე იყო აღმოცენებული. გლუხკაცთა წერილი ამბოხებანი ბატონების წინააღმდეგ ამ პერიოდში და მის წინაც გვხვდება. ვორონცოვის მმართველობის პერიოდს მოჰყვა ამ ნიადაგზე გაშლილი 1856—1857 წლებში ცნობილი აჯანყებანი სამეგრელოში და მრავალი კიდევ სხვა.

ბატონსა და ყმას შორის მდგომარეობას ჩვენში, რა თქმა უნდა, აღრმავებდა აგრეთვე რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების დიდი გავლენა საქართველოზე. რუსეთშიაც ახალი ცხოვრების განვითარების ეკონომიურმა ფორმებმა ბატონისა და ყმის ურთიერთობაზეც მოახდინა გავლენა. ბატონყმობის საკითხის რადიკალური გადაწყვეტის აუცილებლობა ყოველმხრივ საგრძნობი შეიქნა, რასაც მოწმობდა გლუხთა მთელი რიგი აჯანყებები ბატონყმობის წინააღმდეგ. რუსულ მხატვრულ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში გამოდის არაერთი მწერალი ნიჭიერად გამშუქებელი და დამცველი ყმის თავისუფლებისა. თავადაზნაურთა ყრილობაზე რუსეთში, გარკვეულ ობიექტურ პირობათა გამო, რომელიც ქვევიდან, ხალხის მასებიდან მოდიოდა აჯანყებების სახით, არაერთხელ დასმულა ყმათა განთავისუფლების საკითხი. ცნობილია, რომ თვით ნიკოლოზ I, ეს ცნობილი მსოფლიო ჟანდარმი, ურჩევდა ტყერის თავადაზნაურობას, რომ გლუხკაცის განთავისუფლების საქმე ზევიდან დაეწყოთ, თორემ ეს რეფორმა თუ ძირიდან დაიწყებოდა. მათთვის უფრო მტკივნეული შეიქნებოდა.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ვორონცოვმა, თავისი პოლიტიკით გატაცებულმა, — რაც შეიძლება ჩქარა მოენახა დასაყრ-

დენი ბაზა რუსეთის პოლიტიკის დასამკვიდრებლად საქართველოში და მით მთელ ამიერკავკასიაში, მოეგო გული თავადაზნაურობისა, გადაებირებინა ის თავის მხარეს, გამოეყენებინა პრივილეგიური კლასი ამ მხარეში, — ყმის მდგომარეობა, შემსუბუქების მაგიერ, უფრო დაამძიმა და შეზღუდა.

სიმშვიდის დამყარებისა და ბატონსა და გლეხკაცს შორის დავიდარაბის მოსპობის მიზნით ვორონცოვმა გააუქმებინა 1849 წ. 16 აგვისტოს 1836 წლის კანონი, რომლის ძალითაც ყოველ გლეხკაცს, რომლის მიმართაც ბატონობის შესახებ მემამულეს საჭირო საბუთები არა ჰქონდა, უფლება ეძლეოდა დაეწყო თავისუფლების ძიება სასამართლოს წესით. ამის სამაგიეროდ მან დაამტკიცებინა კავკასიის კომიტეტის აზრი, რომლის ძალითაც „საბატონო ყმას ნება ეძლევა ეძიოს ბატონისაგან განთავისუფლების უფლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება საბუთები, რომ წინად ის ან მისი მამა, ან პაპა თავისუფალი იყო. განთავისუფლებაზე საჩივარი არ შეიძლება მიღებული ყოფილიყო იმის გამო, რომ მებატონეს შესაფერი საბუთი არა ჰქონდა“. ხოლო უკანასკნელ მუხლში წერია, რომ „სანამდე სასამართლო საქმის გამორკვევას გაათავებდეს, გლეხკაცი უნდა მებატონეს ემორჩილებოდეს“<sup>12</sup>. აქედან ცხადია, გლეხკაცის მდგომარეობა ჩვენში ვორონცოვის მმართველობის დროს უფრო გაუარესდა.

სამაგიეროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვორონცოვმა დიდი ყურადღება მიაქცია ქართველი თავადაზნაურობის ლოიალობას. ალბათ იგრძნო, რომ მისი პოლიტიკის წარმატებით გატარებისათვის ეს საუკეთესო ძალა იყო, და მას მაგრად ჩაებლაუჭა.

ვორონცოვი, როგორც გამოცდილი და მოხერხებული მმართველი, შეეცადა ჩვენი პროვინციების თავადაზნაურობაც მოემადლიერებინა. ამ მიზნით, გარდა საერთოდ გამოთხოვილი პრივილეგიებისა, ვორონცოვმა თავადაზნაურობას თავისი სასახლის კარები ფართოდ გაუღო. მართავდა წვეულებებს, პატიჟებდა მათ და თვითონაც ხშირად ეწვეოდა ხოლმე. ამ გარემოებამ ჩვენი მაღალი წოდება მეტად დააახლოვა ვორონცოვთან. საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელს მოკლებულს, შინაარსეულად დაცლილს, ჩვენს თავადაზნაურობას ამგვარმა (ევროპული ყაიდის) ცხოვრებამ საღერღელი აუშალა და უჩვეულო სურვილით გაიტაცა. ასეთმა ცხოვრებამ ეკონომიურად ისედაც დარღვეული ჩვენი ბრწყინვალე წოდების მდგომარეობა უფრო შეარყია. საჭირო გახდა ფული იმ ახალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად,

12 Акты Кавк. арх. ком., т. X—40, § 1, 2 и 4.

რომლებსაც ახალი ცხოვრება (ევროპული) აყენებდა. ვორონ-  
ცოვი მაღალი წოდების გადაბირებას ახერხებდა ჩინების და  
მოხელის თანამდებობის მიცემით. ჩინის მიღება ჩვენი თავადაზნა-  
ურობისათვის ერთგვარ წასაბამ და შურისაღმძვრელ საგნად შეიქ-  
ნა.

აი ამ მოვლენას რა შეფასებას აძლევს „საქართველოს  
მოამბის“ ერთ-ერთი თანამშრომელი ვ. თ. (ვახტანგ თულაშ-  
ვილი): „რუსებმა შემოიტანეს აქ ის დაწყობილება და ზოგიერთი  
კანონები, რომელნიც იყვნენ და სწარმოებდნენ თვით რუსეთ-  
შია. ცუდი იყო, თუ კარგი, მეტი არა ჰქონდათ რა. სხვათა შო-  
რის, დადებული იყო, რომ ვისაც არა ჰქონდა ჩინი, არ შეეძლო ხმა  
ამოეღო საზოგადოების კრებაში, სადაც ვითომ ზრუნავდნენ სა-  
ხალხო საჭიროებისათვის. ამ დაწყობილებამ მიიყვანა ხალხი იქამ-  
დინ, რომ ყველას ელანდებოდა მხოლოდ ისა, რომ მიეღო ჩინი და  
დაეწყო სამსახური, პირველად იმისათვის, როგორც კეთილშობილ-  
სა კეთილშობილთ კრებაში ხმა ჰქონოდა, მეორე იმისათვის უფრო,  
განთავისუფლებულიყო ყოველგვარ დაჩავერისაგან და უპატიურე-  
ბისაგან, რომელსაც მიაყენებდა ხოლმე სამსახურის გარეშე მყოფს  
კაცსა, როგორც თვითონ საზოგადოება, ისე მთავრობაც. ვისაც არა  
ჰქონდა ჩინი, ყველგან სამჯავროებში და სხვა სასამართლოებში ექ-  
ცეოდნენ უპატიურად, ხან შეურაცხყოფითაც, არსად არ უნდოდათ  
ეგდოთ ყური იმისათვის, — თვით საზოგადოებაც-კი ცდილობდა ყო-  
ველ ფეხის გადადგმაზედ ეგარძობებინა, რომ თუმცა ის აზნაურისა  
და თავადის შეილია, მაგრამ მომეტებული პატივისცემისათვის, რომ  
ჩინიცა ჰქონდეს, კარგი იქნებოდა უფრო... ეს ყოველი ფეხის  
გადადგმაზე ჩინოვნიკის გადამეტების გრძნობა და ჩვენება,  
რასაკვირველია, მიიყვანდა ხალხს იქამდინა, რომ თავად-  
საც და აზნაურსაც მათველუპინებდა ქუდს უბრალო დიამბევის  
წინ და მოანდომებდა, რომ თვითონაც მალე მიიღოს ჩინი, რათა თავის  
დროზე სხვასაც ეგრე ააშველუპინოს თავის წინ ქუდი. ქუდის  
შვლემას არ ჯერდებოდნენ. სჩაგრავენენ არამც მარტო ყოველთვის  
ხმაგაკმენდილს დაბალ ხალხსა, არამედ თავადებსაც, აზნაურებსაც...  
რასაკვირველია, ეს ყოფა ხალხს ანატრებდა ჩინოვნიკობას, რომლის  
სახელითაც, იმათი ფიქრით, კაცს შეეძლო დაუსჯელად დაეჩაგრა  
არამც თუ დაბალი ხალხი, ყოველთვის მაგ ყოფას შეჩვეული, არა-  
მედ მისი თავადაზნაურობაც“<sup>13</sup>.

ამ გარემოებამ, მართლაც, ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაზე  
დიდი გავლენა მოახდინა. ჩინის მაძიებელი მრავალი თავადი თუ აზ-

<sup>13</sup> „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1, გვ. 140—141.

ნაური ქალაქში გადმოსახლდა. ამ მოვლენამ კი მათ ეკონომიურ ცხოვრებას დიდი დალი დასვა.

ამგვარივე მოსაზრებით ვორონცოვმა ხელი შეუწყო ჟურნალ „ცისკრისა“ და ქართული თეატრის დაარსებას (ამის შესახებ ქვევით). ყველა ამ საშუალებას, როგორც ზევითაც ხაზგასმით გვაქვს აღნიშნული, ვორონცოვმა მიმართა არა ქართველი ხალხის, თუნდაც ქართველი თავადაზნაურობის, სიყვარულით, არამედ ქართველი ხალხისა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების დასაყუჩებლად, ქართველი საზოგადოების ყოველი ცოცხალი ძალის ადვილად კონტროლის გასაწევად.

მართლაც, ვორონცოვმა შესძლო ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს ცხოვრების დაწყნარება, ყოველ შემთხვევაში, მიყუჩება. ადგილობრივი ერების არისტოკრატიისადმი ალერსით, დაყვავებით, უპირატესობისა და პრივილეგიების მინიჭებით საქმე წყნარი და მშვიდი გზით წარმართა. ვორონცოვის პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, მისი მოღვაწეობის სულ რამდენიმე წლის შემდეგ სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. რუსეთისათვის კავკასიაში სასურველი დამკვიდრება მართლაც მოხდა. ჩამოვარდა სიმშვიდე. გაერთიანდა საერთო პოლიტიკით და მმართველობით არამცთუ მთელი ამიერკავკასია, არამედ, თანდათანობით, შეიძლება ითქვას, კავკასიაც.

ჩვენ თავად-აზნაურებს ვორონცოვის ლოიალურმა პოლიტიკამ თავბრუ დასხა. ახალი, ევროპული ცხოვრების გემო, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მან ადვილად გაიგო. სოფლად მას გული აღარ უდგება, ვისაც კი შეუძლია, გადმოღის თუ თბილისში არა, საერთოდ ქალაქად მაინც. სოფლის მეურნეობა, ისედაც მცირე, დაბალი კულტურისა და მეტად დარღვეული, მებატონის გადმოსახლებით უფრო ეცემა. შემოსავალიც, რასაკვირველია, საგრძნობლად კლებულობს. ახალი ცხოვრება-კი მეტ ხარჯს თხოულობს. იმართება წვეულებანი; ყველა ცდილობს სხვისი თვალის მიგებას, ცდილობს „სხვას არ ჩამორჩეს“. ცხადია, ყოველივე ეს სავსებით სცარავს ჩვენს მაღალ წოდებას. ჩინოვნიკის ჯამაგირი, რომელსაც ის უკეთეს შემთხვევაში იღებს, პირიქარად არა ხვდება. ფული კი, რაც დრო გადის, უფრო სჭირდება. ბუნებრივია, შინაარსეულად დაცლილი კლასი გართობის ვენებაში იღებს სიამოვნების ილუზიას და, რადგან მამულის შემოსავალი მცირდება, მოთხოვნილების დაკმაყოფილებით გამოწვეულ ხარჯებს სრულებითაც ვერ ჰფარავს, ამიტომ მებატონის ხარჯი, ახალი ცხოვრებით გამოწვეული, მთელი თავისი სიმძიმით კისერზე ყმაას აწვეება. პროფ. ი. ჯავახიშვილი გადმოგვცემს, რომ ზავილეისკი თავის მოხსენე-



ბაში გენერალ-ადიუტანტ სტრეკოლოვისადმი აღნიშნავს გლუბკაცობის მიმე მდგომარეობას, მემამულეების მიერ მათ ექსპლოატაციას. ამიტომ ის ამბობს: „მართლაც გლუბკაცობა არამც თუ კეთილად არ არის განწყობილი მემამულეებისადმი, არამედ ხშირად უარსაც კი ამბობს მათდამი დამორჩილებაზე, განსაკუთრებით შეძლებული გლუბობა. მემამულენი, რადგან მდიდარ გლუბებს ვერ იმორჩილებენ, გადასახადების, ბეგარისა და ხშირად თავიანთი თვითნებობით მთელი სიმძიმით ღარიბებს აწვებიან. გლუბკაცობა მასიურად ცდილობს ბატონყმობისაგან განთავისუფლებას“<sup>14</sup>.

გლუბკაცის, ყმის ასეთსავე მდგომარეობას მკვეთრად ასახავს ილია ჭავჭავაძე თავის სატირაში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“: „სადაც ჩვენი თავადაზნაურობის შინაარსეულად დაცილობისა და სრული დაკნინების ცოცხალ, უტყუარ და მძლავრ სურათს გვაძლევს. ილია აი რას ათქმევინებს თვით ამ მაღალ წოდებას თავის დასახასიათებლად:

შერე, როს ბედოვლათობით  
საქმე ხელთ არ მოდიოდა,  
რაც რამ გვეონდა, სულ გავფლანგეთ,  
აბა რა შემოგვიდოდა...

როცა დიდი და პატარა  
გაღარიბდა, გაღატაკდა, —  
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?  
— თვით შეესხედით მაღალ თაროს,  
დაბლა ყმებხა ტვინსა ვწოვდით.

არც ყმის ნაოფლარი იყო უძირა ორმო და დაუშრეტელი წყარო. დარღვეული მეურნეობის დროს, როცა თვით ყმას არაფერი ებადა, ბატონისათვის აბა რა უნდა მიეცა!... ამიტომ უკანასკნელი იძულებული იყო მამული დაეგირავებინა ბანკში, რომელიც ვორონცოვმა გაუხსნა თავადაზნაურობას, რათა მისი მეურნეობის სწრაფი რღვევა შეეჩერებინა, ევროპული მეურნეობის კულტურის გამოყენების შესაძლებლობა მიეცა მისთვის. მაგრამ ნიადაგგამოცლილი, განწირული ჩვენი თავადაზნაურობისათვის ახალი ცხოვრების მძლავრად ხელის ჩაჭიდება შეუძლებელი გახდა. მან ბანკიც ვერ გაშოიყენა. წავიდა ნაკლები წინააღმდეგობის გზით. ფული ბანკიდან გამოჰქანდა. ფულის რაციონალური გამოყენება აბა მას საიდან ეცოდინებოდა! ფულს ხარჯავდა, ვალის გადახდაზე არ ზრუნავდა. ხშირად დაგირავებულ მამულში ბანკიდან გამოტანილი ფუ-

<sup>14</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке, СПб., 1906, გვ. 28—29.

ლი მადეგახსნილ ბატონს არა ჰყოფნიდა, მამულის დაგირავება ბანკში ბევრჯერ არ ხერხდებოდა. ამიტომ ის იძულებული იყო ფული სესხად დიდი სარგებლის გადახდით ახლად ფეხადგმული ჩარჩვაპრებისაგან აეღო. ვალს ის აქაც, რასაკვირველია, ვერ იხდიდა. მისი შემოსავლის უმეტესი ნაწილი სარგებელს მიჰქონდა. ბოლოს თვით მებატონის მამულიც ბანკის ან მოვალის ხელში გადადიოდა. ასე ირღვეოდა საქართველოში ნატურალური მეურნეობა. იყიდებოდა არა მარტო მამული, არამედ ხშირად ყმებაც მთელი თავიანთი ოჯახობით და უძრავ-მოდრავი ქონებით. ყველა ეს იყიდებოდა როგორც კერძოდ, ისე ოფიციალურად, ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოების საშუალებით. ამ პერიოდში ბატონყმობის ურთიერთობის შესახებ მასალები უხვად აქვს შეკრებილი ზაქარია ჭიჭინაძის თავის წიგნში „საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები“. მოვიტანთ აქედან რამდენიმე ოფიციალურ ცნობას, პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნებულს:

„ტორლი — 16 ოქტომბერს, სიღნაღის უეზდის სამმართველოში თავად ვანძის ვალში გაისყიდებინა ამისივე ყმათა ექვსი კომლი თავიანთი უძრავის და მოძრავის ქონებით. წლიური შემოსავალი 136 მან. აქვს, ათი წლის შემოსავლის ზედშეკვეთი 1300 მან. არის დაფასებული“.

„ტორლი — 22 აპრილს, გაისყიდება სიმონ მაყაშვილის ყმათა ექვსი კომლი. ყველა ესენი სცხოვრობენ სოფ. იულოთოში, დაფასებულია 1550 მან.“

„ტორლი — 12 ნოემბერს, სიმონ ამირეჯიბის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა სამი კომლი, რომელნიც გორის უეზდის სოფელ სალოლაშენში სცხოვრობენ. ყველა ეს გლეხნი თავიანთი უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებული არიან 1178 მან“.

„ტორლი — 1 ივნისს, რაჭის უეზდის სამმართველოში გაიყიდება ერთი გლეხის ოჯახი, მისის ბატონის წულუკიძის ვალში. გლეხი სცხოვრობს სოფ. ბუგეულში, პეტრე ბეროს ძე როზანაშვილი, თავის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 138 მან“.

„ტორლი — 30 აპრილი, სიღნაღის უეზდის სამმართველოში ესტატე ერისთავის ვალში გაიყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, გვარად გაბრიელ ყარაშვილი, თავის სახლობით, რომელიც ცხრა სულისაგან შესდგება. ამათში ექვსი მამაკაცია, სამი დედა-კაცი. ეს ყმანი გაიყიდებინა იმ შტრაფის გადასახდელ ფულისათვის, რომელიც ერისთავს უნდა გადახდეს იმიტომ, რადგანაც მან ყმათა ყარაშვილის ოჯახი მართველოზას უკანონობით მაჰყიდო ტფილასის მოქალაქე, ზაალ ზაალვს. დაფასებულია 158 მან“15.

ამ ხასიათის დოკუმენტები საგრძნობლად ბევრი შეიძლებოდა მოგვეტანა, მაგრამ ესეც საკმარისია ზევით ივამოთქმული ჩვენო აზრის ილუსტრაციისათვის.

15 ზაქ. ჭიჭინაძე, საქართ. ბატონყმობის ფაქტიური მასალები, გვ. 11.

ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესში კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე ჩნდება ახალი სოციალური ფენა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა — ფულიის მქონენი, რომელნიც ცხოვრების ასპარეზზე გამოდიოდნენ ცარიელი ხელით, უარაოდ, ხშირად უთვისტომოდ, მაგრამ სამაგიეროდ ცხოვრების ცოდნითა და მაგარი, გამძლე ხერხემლით.

მიკირტულები („გაყრა“), კარაპეტები („ძუნწი“), სარქის ბუღდანიჩები („დავა“), მეჯღანუაშვილები („სოლომონ ისაკიძე მეჯღანუაშვილი“) სწორედ ამ პერიოდის ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში იღებენ ასე თუ ისე გარკვეულ სახეს. ჩვენი ლიტერატურაც აქეთ იყურება, ამას აკვირდება, ამას ასახავს.

ვორონცოვის პოლიტიკამ, როგორც ხელი შეუწყო ჩვენი ბრწყინვალე წოდების და ნატურალური მეურნეობის სწრაფ და ძლიერ რღვევას, ისე უდავოდ ნიადაგი მოუშადა ჩვენი სოციალური ცხოვრების მესამე ფენის გაძლიერებას და გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე. აქ ამ პერიოდში აშკარად დაიწყო ერთი მეორისაგან გაყრა ძველმა და ახალმა საქართველომ.

მთავარი და ძლიერი მომენტი, ძველი და ახალი საქართველოს გაყრა და ახალი გზის გამონახვის აუცილებლობა რომ დააჩქარა, — გახლავთ ბატონყმობის გადაეარდნა. მართალია, ამ რეფორმამ ხალხის მასებს სასურველი მდგომარეობა ვერ მიანიჭა, ეს რეფორმა მეტად კუდმოკვეცილი და უძლური გამოდგა, მაგრამ ხალხისა და სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ რეფორმით გლეხი თუმცა ეკონომიურად უზრუნველყოფილი არ შეიქნა, თუმცა „ალექსის ქვეყანა“ მისთვის ჯერ კიდევ არათუ შორს, არამედ კვლავინდებურად შორიდანაც კი უხილავი რჩებოდა, მაგრამ ეს ფაქტი მაინც მეტად ძლიერი იყო. ეს იყო ახალი ცხოვრების მძლავრი დასაწყისი. აქედან ჩვენი ცხოვრების განვითარება აჩქარებულ და მტკიცე ტემპით წავიდა წინმსვლელობის გზით. ბატონყმობის გადაეარდნის გარდა, ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზაციის სწრაფ განვითარებას კიდევ ხელი შეუწყო რკინიგზების გაყვანამ, ნავთის სარეწების ამუშავებამ, ტყიბულის, ქიათურის წარმოების დაწყებამ. შინამრეწველობა სოფლად და ხელოსნური წარმოება ქალაქად არსებითად მოისპო. ზოგიერთი მივარდნილი ადგილის გარდა, ან მან დაპყარვა ის მნიშვნელობა, რაც წინათ ჰქონდა.

ალბ-მიცემობის თანდათანობითი ზრდის მაჩვენებელია სტატისტიკური ცნობები შემოტანილ-გატანილი საქონლის შესახებ.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის მეორე პერიოდს (1845—1890) ახასიათებს, როგორც ამას ფ. მახარაძეც არკვევს, ორი შინაგანი პერიოდი: I — 1850—1870 წწ., II — 1870—1890 წწ. რასაკვირველია, ამ ორი შინაპერიოდის მანძილზე მეორეში კაპიტალიზაციის პროცესი უფრო მძლავრი და თვალსაჩინოა. აი ამის შესახებ რას გვეუბნება სტატისტიკური ცნობები<sup>16</sup>.

აღებ-მიცემობა უცხოეთიდან

საქონლის	შემოტანა	გატანა
1851 წ.	4.193.433 მან.	1.104.800 მან.
1864 წ.	7.476.000 მან.	3.665.000 მან.
1870 წ.	11.470.000 მან.	3.932.000 მან.

ამ ხანაში, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთთანაც აღებ-მიცემობა თანდათანობით ვრცელდებოდა. XIX საუკუნის 70—80-იან წლებში საქართველოს უცხოეთთან და რუსეთთან აღებ-მიცემობა სტატისტიკური ცნობებით შემდეგნაირად მქლავნდება:

აღებ-მიცემობა:	შემოქვთ ვერობიდან:	რუსეთიდან:
1873 წ.	7.826.720 მან.	4.992.296 მან.
1881 წ.	7.951.421 მან.	15.835.133 მან.

ცხადია, საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა 70-იანი წლებიდან საქართველოსათვის მძლავრ მამოძრავებელ ძალად იქცა. ეს გამოწვეულია მით, რომ რუსეთში, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მრეწველობა საკმარისი სიძლიერით ვითარდება. შინაურ ბაზარს იპყრობს და დიდ ეკონომიურ გავლენას ახდენს. ეს გარემოება საქართველოშიც გამოძახილს პოულობს. აქაც იწყება მრეწველობა. მრეწველობის მთავარი დარგები შემდეგი იყო: რკინიგზება და რკინიგზის სახელოსნოები. მარგანეცის წარმოება კიათურაში, ტყიბულის ქვანახშირი, თამბაქოს წარმოება, ტყავისა და საპნის ქარხნები, საღებავლო ქარხნები თბილისში და სხვა.

ამ პერიოდის ფაბრიკა-ქარხნების მდგომარეობას გვაცნობს 1887 წლის სტატისტიკური ცნობები: აქედან დავინახავთ ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობას, წარმოების ღირებულებასა და მუშების საერთო რიცხვს მაშინდელი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში.

<sup>16</sup> სტატისტიკური ცნობებით აქაც და შემდეგაც ვსარგებლობთ ფ. მახარაძის გამოკვლევიდან — საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში, „მნათობი“. 1926 წ., № 3.

ფაბ. ქარხ. რაოდ.:	ნაწარ. რაოდ. მან:	მუშ. რაოდ.
თბილ. გუბერნ. 1.543	4.944.737 მან.	6.107
ქუთაისის „ 610	5.237.254 მან.	6.208

ამ ცნობების მიხედვით, თითო ქარხანაზე ან ფაბრიკაზე საშუალოდ მოდის 5 ან 6 მუშა. თითოეულ მუშაზე კი 827 მან. ღირებულების ნაწარმი საქონელი. აქედან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად მცირე იყო შინაური წარმოება.

ამჟამად, ამ პერიოდში რუსეთის მრეწველობის გავლენა საქართველოზე დიდია. მაგრამ ამასთან ერთად ერთი თავისებურებაც უნდა აღინიშნოს. „საქართველოში, — როგორც აღნიშნავს ფ. მახარაძე, — მეცხრამეტე საუკუნის ნახევრიდან იწყება ქალაქის მრეწველობის განვითარება, მაგრამ რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის წყალობით მისი წინსვლა ძალზე დაბრკოლდა და შეფერხდა. ეს იყო კოლონიალური პოლიტიკის შედეგი. რაც შეეხება ვაჭრობა-აღებშიცემობას, მან ფართო ხასიათი მიიღო, მაგრამ ვაჭრობის საგნები ბოლოხანებში მეტწილად ან რუსეთიდან შემოჰქონდათ, ან უცხოეთიდან. ადგილობრივი ნაწარმოებიდან ბაზარზე გამოქონდათ უმთავრესად სოფლის მეურნეობის პროდუქტები, როგორც მაგ., სიმინდი, ღვინო, თამბაქო, ბამბა, მატყლი, ხორცი და სხვა. მაგრამ ყველაზე უფრო გავრცელებული „საქონელი“ იყო მუშახელი. საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმოებები-კი რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოქონდათ“<sup>17</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში აფერხებდა აგრეთვე კაპიტალიზმის თავისებური განვითარების ბუნებაც რუსეთში. აი ამის შესახებ რასა წერს ვლ. ლენინი: „რაც შეეხება საკითხს, ნელა თუ ჩქარა ვითარდება კაპიტალიზმი რუსეთში, აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას უნდა შევადაროთ ეს განვითარება. თუ რუსეთის წინაკაპიტალისტურ ეპოქას შევადარებთ კაპიტალისტურ ეპოქასთან (და სწორედ ასეთი შედარებაა საჭირო საკითხის სწორად გადასაჭრელად), მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება კაპიტალიზმის დროს უაღრესად სწრაფად მიმდინარეობს, ხოლო თუ განვითარების მოცემულ სისწრაფეს შევადარებთ იმას, როგორც შესაძლებელია საზოგადოდ ტექნიკის და კულტურის თანამედროვე დონის პირობებში, მაშინ, მართლაც, უნდა აღვიაროთ, რომ კაპიტალიზმის მოცემული განვითარება რუსეთში ნელა მიმდინარეობს. და ეს განვითარება არც შეიძლება ნელი არ იყოს, ვინაი-

<sup>17</sup> ფ. მახარაძე, საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში, „მნათობი“. 1926 წ., № 3.

დან არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ შემორჩენილა ასე უხვად ძველებური დაწესებულებანი, რომელნიც შეუთავსებელია კაპიტალიზმთან, აფერხებენ მის განვითარებას. უსაზღვროთ აუარესებენ იმ მწარმოებელთა მდგომარეობას, ვინც „იჩაგრებიან კაპიტალიზმიდან“ და კაპიტალიზმის არასაკმაო განვითარებისაგან“<sup>18</sup>.

ასეთივე ხასიათისა და ბუნებისაა კაპიტალიზმის განვითარების პროცესი საქართველოშიც.

40-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებული მთელი მეორე პერიოდის მანძილზე კაპიტალიზმის თანდათანობით განვითარებასთან და მასთან დაკავშირებულ სოციალურ რღვევასთან ერთად საქართველოში ჩნდება ახალი სოციალური ფორმაციები, ახალი სოციალური დაჯგუფებები.

ქართველმა თავადაზნაურობამ ამ დროისათვის (1848 წ.), როგორც ეს ზევითაც აღვნიშნეთ, გარკვეულად იგრძნო უილაჯობა და საბოლოოდ ქედ ი მოიხარა ახლად დამყარებული ხელისუფლების წინაშე და ფარხმალ დიდაქყარა.

ცხადია, ეს გამოწვეულია იმ ეკონომიური პირობებით, რომელიც ამ პერიოდის დასაწყისშივე (40—50 წწ.) ქართველი თავადაზნაურობისათვის მწარე სინამდვილედ გადააქცა.

სწორედ ამ მეორე პერიოდის დასაწყისშივე (40-იანი წლების მეორე ნახევრიდანვე) ისედაც დეგრადაციისა და დაშლის ნიადაგზე მყოფ ქართველ საზოგადოებაში ვამჩნევთ ახალ დიფერენციაციას.

1. ერთი ნაწილი თავადაზნაურობისა (მსხვილი მემამულეები) განაგრძობს ძველი მსოფლმხედველობის, წყობისა და ტრადიციების უპირატესობის აღიარებას; გრძნობს ეკონომიურ რღვევას, ნიადაგამოცილობას, ძველს ეჯაჯგურება, ანგარიშს ვერ უწევს ფერცვლილი ცხოვრების მოთხოვნებებს. ებრძვის ყოველ ახალს, რუსეთის ტახტისადმი ნებსითი თუ უნებლიეთი ერთგულებით სურს გაიფრქვლოს ბატონობა და სიცოცხლე. ესენი არიან ეგრეთწოდებული „მამები“, რომლებიც ლიტერატურაში ასეთივე კონსერვატორულ-რეაქციონური მსოფლმხედველობითა და მიმართულებით მკვანდებიან. ესენი არიან, რომ 60—80-იან წლებშიც კი საანტიმენტალიზმ-რომანტიზმის, სამგვარი ენის (სამი სტილის) არსებობისა და ანტონ კათალიკოსის გრამატიკისა და თეორეტიკის უპირატესობას აღიარებენ. ძველს მისტირიან. წარსულის ლანდებში მძიმე ტყვილებით რომ დასცურავენ. მათ შორის არიან: ალ. ორბელიანი, რევ. ერის-

<sup>18</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტომი III, გვ. 712, გამოცემა მეოთხე.

თ ა ვ ი, ბარბარე ჯორჯაძისა, ექვთიმე წერეთელი. სარდიონ მექსიშვილი, გრ. რჩეულიშვილი და სხვანი. ქანრის მხრივ ისინი ავითარებენ: ელეგიას, რომანტულ პოემას, ოდას, რომანსს, პატრიოტულ დრამას, სანტიმენტალურ-რომანტიულ მოთხრობას.

2. თავადაზნაურობის მეორე ნაწილმა (საშუალო და მცირე შეძლების მემამულეებმა და მისმა ახალგაზრდა მოწინავე ნაწილმა) იგრძნო ახალი ცხოვრების მძლავრი მოწოლა; იგრძნო ძველი ყოფის ნიადაგის მავარი რყევა; კარგად გაითვალისწინა ცხოვრების ძირითადი გარდაქმნა ახალი ცხოვრების მოთხოვნილებათა საფუძველზე. ესენი არიან ე. წ. თერგდალეულნი (რუსეთში აღზრდილი განათლებული მოწინავე ახალგაზრდობა, რომელიც საქართველოში დაბრუნებისას ვეღარ ეგუებოდა ძველს, პატრიარქალურ დრომოქმულ ყოფას და მის გარდაქმნას ცდილობდა). ესენი დაშორდნენ თავისი კლასის პოზიციებს რადიკალურ-დემოკრატიული შეხედულებებით აღჭურვილნი, მათ წამოაყენეს იდეა ხალხისა და ერის განთავისუფლებისა, მედგრად იწყეს ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ. სწორედ ამით აიხსნება, რომ თერგდალეულები ლიტერატურაში და კრიტიკა-პუბლიცისტიკაში ავითარებენ რეალიზმს უტილიტარული ტენდენციებით. მათ სურვილი აქვთ ახლო მივიდნენ ცხოვრებასთან, ვაიგონ მისი ბუნება და იმის მიხედვით მოაწყონ თავისი მდგომარეობა.

ქანრის მხრივ თერგდალეული მწერლები ავითარებენ: კომედიას, სოციალურ მოთხრობას, ისტორიულ პოემას, სატირას, იგავ-არაკს, სოციალურ რომანს.

ამ მიმართულებას იწყებენ: 40—50 წწ. გ. ერისთავი, მიხ. თუმანიშვილი, ლ. არდაზიანი; შემდეგ 60-იან წლებიდან ავითარებენ ე. წ. თერგდალეულნი, რომელთა შორის ინდივიდუალურ სხვადასხვაობას ვამჩნევთ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, რაფ. ერისთავი, იაკობ გოგებავშვილი, ჭალადიდელი, პუბლიცისტიკაში — ვ. თულაშვილი, დავ. ყიფიანი, ს. მექსი, ნ. ნიკოლაძე და სხვანი.

3. ამავე 50-იანი წლების მიწურულში სამწერლო ასპარეზზე გამოდის ხალხის წრიდან გამოსული „რაზნოჩინეცი“ დან. ჭონქაძე, რომელიც ხალხის სულიერ განწყობილებას და მის ცხოვრებას შლის რეალურ ფერებში და ბატონყმობასთან შეურიგებელ ბრძოლას გამოხატავს. დან. ჭონქაძის სახით ჩვენს ოფიციალურ მწერლობაში პირველად იჭრება ასე მძლავრად ხალხი და მისი შემოქმედება. ამ მიმართულების გამგრძელებელნი მეორე პერიოდის მეორე ნახევარში, 70-იან წლებში ხალხოსნური მწერლობაა (ნ. ლო-

მოურჩი, ს. მგალობლიშვილი და სხვანი) პუბლიცისტიკაში: ნ. ინაშვილი, ანტ. ფურცელაძე, ნ. ხიზანიშვილი, სტ. ჭრელაშვილი და სხვანი. გლეხი და მისი მდგომარეობა, გლეხზე ზრუნვა, მისთვის ბედნიერა, თანასწორი, თავისუფალი ცხოვრების შექმნა, მოწინააღმდეგის მისი მომხადა — აი ძირითადი საკითხები ამ მწერლებისა.

ეს მწერლები ლიტერატურაში ავითარებდნენ კრიტიკულ რეალისტებს; ჟანრის მხრივ მათთვისაც დამახასიათებელია სოციალური რომანი, მოთხრობა, ნარკვევი, ლექსის სიმღერა.

4. მეორე პერიოდის მანძილზე 80-იან წლებში ჩვენს ლიტერატურაში გამოდიან მწერლები, რომელთა შემოქმედება იშლება მთის კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის კაპიტალიზაციის პროცესთან შეჭიდებისა და თემის გაბზარვის დაწყების ნიადაგზე. ამ მიმართულების გამომხატველნი არიან: ყაზბეგი, ვაჟაფშაველა და სხვ. ეს მწერლები ძირითადად თერჯდალეულთა და ხალხოსანთა მიმართულების საფუძველზე დგანან.

ამ მწერლებს, თავისებურებებს გამო, პირობით ვუწოდებთ „მთის პოეტებს“. ეს მიმართულება ძირითადად რეალისტურია, რომანტიული ელემენტების ჩაქსოვით (აქის შესახებ დაწერილებით შემდეგ ტომში).

ჟანრის მხრივ ესენი ავითარებენ: საყოფაცხოვრებო მოთხრობას, ლირიკულ ესკიზებს, სიმღერას, საჯმირო პოემას.

აი სქემატურად ის ლიტერატურული მიმართულებანი, რომლებიც XIX საუკუნის მეორე პერიოდში (1845—1890 წწ.) კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე განვითარდა და საკმარისად თვალსაჩინოდ გამოჩნდნენ.

XIX საუკ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე პერიოდის განვითარებაში შესაძლებელია სამი შინაგანი ეტაპი გავითვალისწინოთ:

- 1) 40—50-იანი წლები.
- 2) 60—70-იანი წლები.
- 3) 80—90-იანი წლები.

თითოეული მათგანის ცალკე დეტალური შესწავლა ჩვენს მუშაობის საგანი იქნება.



## ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურული პირობები 40--50-იან წლებში

### 1

#### თეატრი

40—50-იანი წლები ჩვენი კულტურული ცხოვრების განვითარებაშიც ერთგვარი ფარდატების პერიოდია. ეთნოგრაფიის მმართველობა, შეიძლება ითქვას, ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების განვითარებისათვისაც ხელსაყრელი და ღირსშესანიშნავი შეიქნა. ამ პერიოდში ქართველ საზოგადოებას ერთგვარი გამოფხიზლება ეტყობა.

XIX საუკუნის დასაწყისში, ე. ი. XIX საუკუნის პირველ მეხამედში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საქართველოში შემოსვლას, უდავოდ, დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა მაინც საგრძნობლად მოდუნდა.

ამ პერიოდში (1801—1845 წწ.) ქართველი ინტელიგენცია, რომელიც თითქმის უკლებლივ თავადაზნაურთა წრიდან იყო გამოსული, დაქსაქსულ, ფაუტკვეველ და დაძაბუნებულ ძალას წარმოადგენს. მისი ეკონომიური და მასთან ერთად პოლიტიკური მდგომარეობა კატასტროფულად ირღვევა. ბიუროკრატიული მთავრობა ჩქარობს ახალი, თავისი ყიდის ცხოვრების დამყნობას საქართველოში. მისი ბურჟუაზიული ინტერესები ეწინააღმდეგება ადგილობრივი პრივილეგიური ფეოდალური კლასის ინტერესებს. ბრძოლა იწყება და ამ ბრძოლაში ქართველი თავადაზნაურობა, როგორც სუსტი, დარღვეული — ადვილად მარცხდება. ქართველი ინტელიგენცია, იმ დროს ჯერ კიდევ თავადაზნაურული, ნიადაგ და ქანცამოლეული ადამიანის ინერციით გაჰყვა ახალი ცხოვრების მიმდინარეობას. ის თანდათან, საკმარისად სწრაფად და ადვილადაც სცილდებოდა ფეოდალურ-ნატურალურ მეურნეობაზე აღმოცენებულ კულტურას. მაგრამ აგრე ადვილად ვერ ითვისებდა, ვერ ეგუებო-

და იმ კულტურას, რომელსაც ახლად დამყარებული ბურჟუაზიული ცხოვრება თხოულობდა.

ვორონცოვის წინამმართველთა ხანა ქართველი ზალხისათვის და კერძოდ თავადზნაურობისათვისაც საშინელი ტკივილებისა და ამ ტკივილებში გამოფხიზლების ხანაა. და როდესაც ასეთი გამოფხიზლება მოხდა, მაშინ ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილისათვის ცხადი შეიქნა, რომ ერთადერთი გზა სიცოცხლისა — ეს არის გზა განვითარებისა, წინმსვლელობისა, ე. ი. გზა სწავლისა, ახალი განათლების შეთვისებისა, ცხოვრების ახალ პირობებთან შეგუებისა. ამ მიზნის განხორციელებას კი ხელს შეუწყობს რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილთან მჭიდროდ დაკავშირება, მის გვერდში ამოდგომა, მისი პროგრესული გზის კურსის აღება და მასთან ერთად საერთო მტრის, მეფის წყობილების, მისი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ შეუთრეგებელი ბრძოლა. — აი მოღვაწეობის ასეთი ამოცანა და გეზი დაისახა ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის წინაშე.

მაგრამ ეს ხომ არც ისეთი ადვილი საქმე იყო. ამ ამოცანის შესრულება ხომ თხოულობდა შესაფერი და სათანადო ეკონომიური და კულტურული პირობების არსებობას. ქართველი საზოგადოება კი, ივანე აფხაზის<sup>19</sup> მშვენიერი დახასიათებით, როგორც ბნელ ღამეში, ისე დადიოდა.

ვორონცოვმა თავისი მმართველობით სწორად აუღო ალღო ჩვენ ცხოვრებას. ვინაიდან რუსეთსაც ბურჟუაზიულ ქვეყნებთან გასწორების კურსი ჰქონდა აღებული, ვორონცოვმა ქართული ცხოვრების ღერძის მოტრიალებაც აქეთ მოინდომა. ამასვე თხოულობდა ჩვენი ცხოვრების ისტორიული განვითარება.

რას წარმოადგენს ქართველი საზოგადოების კულტურული ცხოვრება ვორონცოვის დანიშვნამდე და მისი მმართველობის პირველ წლებში? ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება ზემოაღნიშნული პირობების გამო მძიმეა. გარშემო არარაობა, სიცარიელე, უგზო-უკვლობა იყო გამეფებული. ამ დროს, როგორც თავის ადგილზე გვაქვს აღნიშნული, არც ქართული საზოგადოებრივი აზრი, არც თეატრი, არც გაზეთი, არც ჟურნალი არ არსებობდა. „იმ დროს ტფილისში, — გადმოვცემს მაშინდელი ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის ცხოვრებას კონსტანტინე მამაცაშვილი, — არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვქონდა: არც თეატრი, არც კონცერტები, არც ყლობები. — ჩვენი დროის გატარება იყო ან ერთად სადილი, ან საღამოზე ერთად ყრილობა... ჩვენი დროის გატარება იყო: ლაპარაკი მამინდელს ლიტე-

<sup>19</sup> გრ. ო რ ბ ე ი ა ნ ი, მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის.

რატურაზე, სწავლაზე, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული დარბაისლური, მეტყველური ხუმრობა, შექცევა, სიძლერა: ვისაც უნდოდა ქალაქის თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს... მერე მეგობრული ვახშამი და ვახშამის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩაში და ზოგჯერ ბაღშიაც.<sup>20</sup>

ასე ახასიათებს კონსტ. მამაცაშვილი ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის ცხოვრებას. კულტურული ცხოვრების საერთო დონის დახასიათებას კი უფრო მკვეთრად იძლევა ნ. ბართაშვილი თავის 1841 წლის 28 მაისის წერილში გრ. ორბელიანთან: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, — სწერს ნ. ბარათაშვილი, — სწორე გითხრა, ბევრი ქორიანობაა და ჭირიანობა; ორივე ერთია: მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ქორი კი მართალი. დიდი დაძველებებია ქალებისა, დიდი აყალმაყალი, დიდი ღამის თევები; დიდი წვეულებები ერთმანეთის ჯავრით“.

ასეთია მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებას ზოგადი დახასიათება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის უკვე გაჩნდა ქართველი ახალგაზრდობა, რომელმაც ახალი, ევროპული კულტურა რუსეთის გზით გაიცილა, ახალი იგავლენა განიცადა, რომელსაც ჯერ თუმცა გამოუჩვენებელი, მაგრამ ახალი მისწრაფებანი შთაეხსნა; ზოგი მათგანი აღიზარდა რუსეთში, იქ ცხოვრობდა, იქ მსახურობდა, რუსეთის გზით ევროპულ კულტურას ითვისებდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ძველს, დრომოქმულს როგორღაც ვეღარ ეგუებოდა და მის შეცვლაზე ფიქრობდა. მაგრამ ამ ახალგაზრდობას ჯერ გარკვეული გზა მოქმედებისა ვერ გამოენახა, მისი სურვილები, მისწრაფებანი ჯერ მეტად ბუნდოვანი იყო. მას ჯერ კიდევ მაინც გზააბნეულობა ახასიათებდა.

ესაა პირველი წყების თერჯდალეულები. ამ სახელწოდებით გვაცნობს მათ თვით ამ ეპოქის ერთ-ერთი ცენტრალური მოქმედი პირი გ. ერისთავი თავის „გაყრა“-ში<sup>21</sup>.

ვორონცოვმა ქართველი საზოგადოების ასეთი მდგომარეობითაც მშვენივრად ისარგებლა. მან მშვენივრად აუღო ალლო ქართველი საზოგადოების ამ ნაწილსაც და ხერხიანად გამოიყენა ის თავისი პოლიტიკის უმტკივნეულოდ და წარმატებით გატარების მიზნით. ვორონცოვმა იგრძნო, რომ საჭიროა საზოგადოების ამ ნაწილს

<sup>20</sup> ასეთსავე აზრს გამოსთქვამს დ. ყიფიანი თავის „მემუარებში“.

<sup>21</sup> გ. ერისთავის კომედიაში „გაყრა“ გვხვდება რუსეთში აღზრდილი ახალგაზრდობის აღსანიშნავი სახელწოდებანი: თერჯდალეული და რუსეთში. ორივე ამ სახელს ძველი თაობის მხრით დაცინვის ნიუანსი სდევს. როგორც გ. ერისთავის „გაყრიდან“ შეიძლება დავასკვნათ, ამ სახელებს შორის განსხვავება არ მოჩანს.

შეექმნას კულტურული საქმიანობისათვის ასპარეზი. ეს ვარემოება, ერთის მხრით, საშუალებას მისცემდა მას ყველა ცოცხალი ძალისათვის, რომელსაც შეეძლო რუსეთის საქართველოში დამკვიდრების საწინააღმდეგო თესლის მასებში გატანა და გაღვივება, თავი მოეყარა თავის მახლობლად და უშუალო კონტროლის ქვეშ ყოლოდა, დაეახლოვებინა, მათი გული მოეგო და გზა რუსეთის საქართველოში უპტიკვენეულოდ განმტკიცებინა განუზორციელებინა, მეორეს მხრით, საქართველოში შემოეტანა ევროპულ-რუსული კულტურა, ახალი გზით წაეყვანა ქართველი საზოგადოება, რათა ამით ადგილობრივი მოსახლეობა რუსეთთან უფრო დაეკავშირებინა.

40—50-იან წლებში ქართული მულმივი პროფესიული თეატრის არსებობას ქართველ საზოგადოებაში ნიადაგი მომზადებული ჰქონდა. XVIII საუკუნის დამლევს შეწყვეტილი ქართული თეატრი და დრამატურგია, მართალია ძლიერ მოღუნებულად, მაგრამ მაინც გრძელდებოდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში; იწერებოდა დრამატული ნაწარმოებები და აქა-იქ დიდკაცთა — ალ. ჭავჭავაძის, პ. ბაგრატიონის, მანანა ორბელიანის, მელიქიშვილის — სალონებში იდგმებოდა. მაგალითად, დადგენილია, რომ 40-იანი წლების დასაწყისიდანვე იწერებოდა გ. ერისთავის პიესები — „შემილი“, „დავა“, „გაყრა“ და სხვ. ქართველ საზოგადოებაში ქართული მულმივი თეატრის აღორძინების სურვილი განსაკუთრებით გაცხოველდა, როცა მეფისნაცვალმა მ. ს. ვორონცოვმა თბილისში დააარსა იტალიური ოპერა და რუსული დრამა. ქართველი საზოგადოების ეს სურვილი მანანა ორბელიანმა როცა ივანეს ვორონცოვს, მან ენერგიულად ჩასჭიდა ამას ხელი, ვინაიდან ეს გარემოება, მისი გაგებით, მის საერთო მიზანს დაეხმარებოდა.

ამ მიზნით ვორონცოვმა დიდის მონდომებით ხელი შეუწყო რუსულსა და იტალიურ თეატრებთან ერთად ქართული თეატრის დაარსებას.

1849—1850 წლებში ამიერკავკასიაში თავის მოქმედების შესახებ იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში ვორონცოვი აი რასა წერს: „1850 წლის დასაწყისში ტფილისის საუკეთესო საზოგადოების წევრებიდან მოეახდინე პირველი ცდა ქართული წარმოდგენისა. ამ ცდამ დიდი წარმატებით ჩაიარა და დაგვანახვა მულმივი ქართული წარმოდგენების გამართვის შესაძლებლობა: გამოჩნდნენ არტისტები, შედგა დასი. დაეაწყებას მიცემული მრავალი ძვირფასი ადგილობრივი სიტყვიერების ნაწარმოები აღორძინდა და გადავიდა სცენაზე; ამ ნაწარმოებში ჩართულია თანამედროვე თაობის საყოფაცხოვრებო ჩვეულებანი; ქართული ლიტერატურა

გამოცოცხლდა; წიგნის ბეჭდვა აცნობს მას ხალხს, და მე ვიმედოვნებ, რომ თქვენი იმპერატორული უდიდებულესობა ინებებთ დამერწმუნოთ, რომ ასეთს შედეგს შეუძლია იქონიოს უდიდესი კეთილი გავლენა მეცნიერებისა და გამომგონებლის განვითარებაზე, ზნე-ჩვეულებების განვითარებაზე და ადგილობრივი მოსახლეობის შეერთებაზე შეგუებაზე რუსებთან“<sup>22</sup>.

ასი საით იყო მიმართული ვორონცოვის ამგვარი კულტურული მოღვაწეობა. ვორონცოვმა რუსული დრამა და იტალიური ოპერა ნაწილობრივ თუ ახლად ჩამოსახლებული მოხელეების გასართობად და მათთვის კულტურული ცხოვრების შესაქმნელად გამოიყენა, ნაწილობრივ აგრეთვე იმისათვისაც, რომ მას თანდათან რუსული და ევროპული კულტურა ადგილობრივ მოსახლეობაშიც შეეტანა. ვორონცოვი ამაშიც არ შეცდა.

ამავე მოხსენებაში მეფისნაცვალმა ქართველ საზოგადოებაში ამ ახალი კულტურის დამყარებისას შემდეგ საინტერესო ფაქტს აღნიშნავს: „მიმდინარე წელს ტფილისში, — ნათქვამია მოხსენებაში, — სამი თეატრი არსებობს. ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელსაც, სხვათა შორის, კარგად ესმის ზელოვნება და სილამაზე, იტალიური ოპერა აღტაცებით მიიღო. მცხოვრებლები, რომლებიც ჭულ ახლა ვერ ისმენდნენ უცხო სიმღერას, აღტაცებაში მოდიან საუკეთესო ოპერებით... მრავალ ოჯახში და ქუჩებშიც კი ისმის იტალიური მუსიკის მოტივები და ძალიან ბევრი ადგილობრივი მცხოვრები იტალიური დასის მსახიობებთან სამღერასა და მუსიკას სწავლობს“<sup>23</sup>.

აქ საინტერესოა გავერკვეთ შემდეგ საკითხებში: ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი გრძნობდა თუ არა ვორონცოვის პოლიტიკის ნამდვილ ზრახვებს? გრძნობდა თუ არა ქართველი თავადაზნაურობა, რომ ვორონცოვი უმთავრესად თავისი მთავრობის საქმეს აკეთებდა, მიმზიდველ ფორმებში ქართველ თავადაზნაურობას მახეს უგებდა. ჩვენის ფიქრით, ქართველი თავადაზნაურობა, რასაკვირველია, გრძნობდა ვორონცოვის პოლიტიკის ნამდვილ სარჩულს, მაგრამ მისთვის აშკარა შეიქნა, რომ უამისოდ — რუსეთისა და მასთან შეგუების გარეშე — ხსნა არ იყო. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ვორონცოვის პოლიტიკა ქართველი თავადაზნაურობისათვის არა მარტო 50-იანი წლების, არამედ შემდეგშიც, მთელი XIX საუკუნის მანძილზე (90-იან წლებამდე მაინც) მისაღები, სანატრელი და საოცნებო შეიქნა.

<sup>22</sup> Акты Кавк. грх. ком., т. X.

<sup>23</sup> იქვე.

ვორონცოვის მმართველობის პირველ ხანებში რუსული დრამატული დასი, სცენის მოყვარულთა, მოხელეებისა და მათ მახლობელთაგან შემდგარი, თავ. გ ა ჯ ა რ ი ნ მ ა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დარბაზში მოაწყო. ამ სცენაზე, ვორონცოვის მმართველობის პირველ წლებში, სანამდის თბილისში მუდმივი თეატრის შენობას ააგებდნენ (1851 წ.), იმართებოდა რუსული, ფრანგული და იტალიური წარმოდგენები. ქართული წარმოდგენებისა და ქართული თეატრისათვის თითქოს არავის არ სცალოდა.

საქართველოში, კერძოდ თბილისში, ახალი ცხოვრების ამ დამყნობის პერიოდში ვორონცოვმა გაითვალისწინა, რომ ურიგო არ იქნებოდა წარმოდგენები ადგილობრივი ცხოვრებიდან გამართულიყო აგრეთვე ქართულ ენაზე. ამ დროს მას მოახსენეს, რომ მრავალი ქართველი ინტელიგენტა იცნობს და ხელიდან ხელში გადადის ხელნაწერი კომედია ქართველი შემაქმელების ცხოვრებიდან სოფ. ხ ი დ ი ს თ ა ვ შ ი (გორის მახლობლად) მცხოვრები ავტორის, გ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა. მალე ვორონცოვმა გამოაწვია გ. ერისთავი, რომელმაც მას გადასცა თავისი კომედია „გაყრა“.

ვორონცოვი ისე ყოფილა დაინტერესებული ქართული თეატრის რაც შეიძლება მალე მოწყობით, რომ გ. ერისთავისათვის, რომელიც მან თურმე დიდი ალერსით მიიღო, უთქვამს: „სანამდის რუსულ ენაზე გადმოთარგმნიდნენ ამ კომედიას, წაბრძანდით და უთხარით სცენიური ხელოვნების ყველა მოყვარულ ქართველს, რომ მათ როლები შეისწავლონ და თქვენი ხელმძღვანელობით გაითამაშონ თქვენც კომედია ტფილისის გიმნაზიის სცენაზე. მაშინ ჩვენ დავინახავთ, როგორია თქვენი შემოქმედება და როგორია ქართველების სცენიური ნიჭი“<sup>24</sup>.

გ. ერისთავი, მართლაც, დიდის მონდომებით შეუდგა დავალებული საქმის ღირსეულად შესრულებას და, 1850 წლის 2 იანვარს (ძველი სტილით) მისი კომედია „გაყრა“ პირველად დაიდგა თბილისის გიმნაზიის დარბაზში. ამ კომედიაში მონაწილეობას იღებდა მაღალი წოდების ახალგაზრდობა. ამ პირველი ქართული წარმოდგენის განცხადება-აფიშა:

ტფილისის გიმნაზიის ზალაში  
ქ ა ლ ა ქ ი ს ლ ა რ ი ბ ხ ა ლ ხ ი ს ა თ ვ ი ს  
ორშაბათს 2-ს იანვარს 1850 წელსა  
წარმოდგენილი იქნება:

. I

მ ი ხ ე ი ლ დ ა ქ რ ი ს ტ ი ნ ე  
(ფრანციულად).

<sup>24</sup> Театр в Тифлисе с 1845—1856 г., Тфл., 1888, зб. 125.

II

შემდეგ წარმოდგენილი იქნება პირველჯერ ქართულად „გ ა ყ-  
რ ა“, კამედია სამ მოქმედებად, თხზ. თ. ერისთავისა.

მოქმედი პირნი:

თავადი ანდუყათარ	თ. ილ. ორბელიანი
პავლე, ძმა მისი	თ. ოქ. ერისთავი
ივანე	დ. ი. ყიფიანი
კნენია მაკრინე	ბ. გ. ანდრეევსკისა
კნიაჟნა ნინო	კნ. ა. ორბელიანისა
მიკირტუმ გასპარჩ	თ. გ. ერისთავი
თათელა, ცოლი მისი	კნ. ქ. ორბელიანისა
შუშანა, ქალი მათი	კნ. ან. ორბელიანისა
თავადი რამაზ, სეკრეტარი	გ. ო. შანშივევი
თავადი ბარძიმ	თ. ა. ერისთავი
ბარამ, მოურავი	თ. ნ. ერისთავი
გაბრიელ	მ. გ. ჭილავევი
იმერელი	თ. ვრ. ერისთავი
ყარაღშვერდი	კნ. მ. ერისთავისა

ვორონცოვი თავისი მახლობლებით დაესწრო ამ წარმოდგენას, რომელიც ქართული სცენის მოყვარულთ არაჩვეულებრივი წარმატებით ჩაატარეს. თვით ავტორმა, გ. ერისთავმა მიკირტუმ გასპარჩის როლი მეტად მოხდენილად ითამაშა. დავსწრე საზოგადოება და თვით ვორონცოვიც აქტიორების თამაშობით დიდად ნასიამოვნები დარჩნენ.

წახალისებულმა სცენის მოყვარულებმა იმავე წლის 3 მაისს, იმავე გიმნაზიის დარბაზში ისეთივე წარმატებით წარმოადგინეს გ. ერისთავის მეორე კამედია „და ვ ა“.

ამრიგად, პირველმა ქართულმა წარმოდგენებმა ვორონცოვს და მაშინდელ საზოგადოებას დაუმტკიცა, რომ ქართული თეატრის საქმისათვის საიმედო საძირკველი მზადაა. საქირო იყო მუდმივი ანუ თეატრის დაარსება, მუდმივი დასის შექმნა. ვორონცოვმა ამ საქმესაც თავისებური ენერჯით და ხერხიანობით მოჰკიდა ხელი, გ. ერისთავი დანიშნა თავის ამაღლაში საგანგებო მინდობილობის უმცროს მოხელედ და დაავალა ქართული დასის მოწყობა. ამ საქმის წინ წაწევისათვის ვორონცოვი ყველაფერს იყენებდა. ამ წელს (1850 წ.) თბილისში ჩამოვიდა მაშინ შემკვიდრე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (შემდეგ იმპერატორი ალექსანდრე II), ვორონცოვმა ყველა ღონისძიება მიიღო ამ დროს ავადმყოფი გ. ერისთავი

ფეხზე დაეყენებინა (სათანადო წამლობისათვის მიუჩინა ექიმები, რომელთაც დავალება მისცა მეფის მემკვიდრის ჩამოსვლისათვის გ. ერისთავი უეჭველად გამოერჩინათ). როდესაც დიდუბის მინდორზე ჯარების დათვალიერება გათავდა, ვორონცოვმა გ. ერისთავი მეფეს მემკვიდრეს წარუდგინა და თან დაატანა — „ეს ქართველების მოლიერია“—ო. მეფის მემკვიდრემაც გ. ერისთავი აღერსიანად მიიღო.

ამის შემდეგ ქართული თეატრის ბედი გადაწყვეტილად იქნა ჩათვლილი და იმავე 1850 წელს 4 ოქტომბერს ვორონცოვმა თბილისის თეატრის დირექციას შემდეგი ბრძანება გაუგზავნა: „ჩემთან მყოფ განსაკუთრებულ დავალებათა მოხელეს, თავ. ერისთავს დავალოს შეუდგეს ადგილობრივ თეატრში ქართულ ენაზე მუდმივი წარმოდგენების მოწყობას. წინადადება ეძლევა დირექციას გ. ერისთავს წლიურად მისცეს მოთხოვნილებათა მიხედვით ოთხი ათასი მანეთი მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან არტისტების ჯამაგირის დასაფარავად, რის დასამტკიცებელი საბუთი უნდა მოეთხოვოს მას. ამასთან ერთად წინადადებას ვაძლევ დირექციას თავ. ერისთავს ამ დავალების აღსრულებაში გაუწიოს ყოველივე მისგან დამოკიდებული დახმარება და დაინიშნოს დღეები ქართული წარმოდგენისათვის“<sup>25</sup>.

ქართული დასის მუშაობა რომ გაეადვილებინა, პიესების წარმოდგენებისათვის დაბრკოლებანი რომ თავიდან აეცილებინა, ვორონცოვმა ქართული პიესების ცენზორად ცნობილი პლატონ იოსელიანი დანიშნა.

ამის შემდეგ გამხნეებულ ი. ერისთავი დიდის ხალისითა და ენთუზიაზმით შეუდგა დასის შედგენასა და წარმოდგენების მომზადებას. ამ დროს ამ საქმეს — არტისტობას, სცენიურ ხელოვნებასა და საქმიანობას მეტად ალმაცერად უყურებდნენ. არტისტები — ეს „ტაკი-მასხარები“ — გაფუჭებულ და დაღუპულ ხალხად მიაჩნდა მაშინდელ საზოგადოებას. განსაკუთრებით ქალისათვის ძნელი იყო გაერღვია მტკიცედ შემორტყმული ტრადიციული შეხედულების ტყარულში. ამიტომ დრამატული დასის შედგენა ქართველებისაგან გ. ერისთავისათვის მეტად მძიმე იყო. მაგრამ გ. ერისთავმა დიდი მეცადინეობის შემდეგ მიზანს მიაღწია, რაშიც მას, უთუოდ, ძალიან ეხმარებოდა მეფისნაცვლის ვორონცოვის სურვილი, ყურადღება და დაპირებები.

გ. ერისთავის მიერ შედგენილ პირველ ქართულ დასში შემდეგი პირები შედიოდნენ: ქალები — სააკაძე, ტატიშვილი, ანანო-

25 Театр в Тифлисе с 1845—1856 г., Тфл., 1888, გვ. 128.



ვი, ლაფერაშვილი<sup>26</sup>, კაცები — დუნაძე, ტატიშვილი, რჩეულიშვილი (მწერალ გრ. რჩეულიშვილის ძმა), კორძაია და ელიოზიშვილი<sup>27</sup>.

გ. ერისთავმა ეს პირველი ქართული დრამატული დასი თბილისში ჩამოიყვანა, უმეტესი ნაწილი თავის ბინაზე მოათავსა. გატაცებითა და გულმოდგინებით დაიწყო მათი არტისტული გაწვრთნა და რეპეტიციების მოწყობა.

ვორონცოვი თავის ყურადღებას ახლად დაარსებულ ქართულ კულტურულ საქმეს არ აკლებდა. მან, გარდა 4.000 მანეთისა, რომელიც არტისტთა ჯამაგირასათვის გ. ერისთავს ეძლეოდა ხაზინიდან, აგრეთვე მისცა 1.000 მან. არტისტთა მიმოსვლისათვისა და აღუთქვა დაეთარა პირველი წარმოდგენების მოწყობით გამოწვეული ხარჯები — კოსტიუმების, დეკორაციებისა და სხვათა შექმნისათვის.

საზოგადოება ახალი საქმის წარმატებით დაწყებით კმაყოფილი დარჩა. ადგილობრივი პრესაც, როგორც „Кавказ“-ი, ისე „Закавказский Вестник“-ი ამ საქმის დასაწყისს დიდის თანაგრძნობით შეხვდა. აი, მაგალითად, ამის გამო რასა წერდა „Кавказ“-ი: „ამ კომედიის (ე. ი. „გაყრის“. მ. ზ.) შესრულებას ტფილისის თეატრში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თამაშობდნენ ქართველი მსახიობები. თამაშობდნენ ქართულ ენაზე, თამაშობდნენ ქართველის მიერ დაწერილ პიესას... რანაირად გოცდებოდნენ კომედიის ავტორის კეთილშობილი წინაპრები, რომ დაენახათ თავისი შთამომავალი, რომელმაც დაივიწყა ძველი არისტოკრატიული ცრუმორწმუნეობა (предрасудки), დატოვა თავისი ფეოდალური ციხე-დარბაზი და მუზებს დაუწყო სამსახური. ეს წინაპრები, ყოველთვის შეიარაღებულნი, ყოველთვის მზად რომ იყვნენ ჩაკეტილიყვნენ თავიანთ სალკლიდან სიმაგრეებში, რომ მტერი მოეგერებინათ, — ვერც იცნობდნენ თავის შთამომავალს და უკმაყოფილოდ შეხედავდნენ მის საქმიანობას. მაგრამ ახალი თაობა სხვანაირად უყურებს საქმეს და სხვანაირად მოქმედობს. სხვა ცხოვრების ნაკადი მას სხვა შედეგებისაკენ მიაქანებს, — ნაკადი, რომელიც ხალხის ჯენის ნაპერწყმებს არ აქრობს, აღვივებს მათ; სიფრთხილით ინახავს ღვთაებრივ ცეცხლს, რომელიც საუკუნეთა

<sup>26</sup> „Кавказ“-ში დაბეჭდილია Баперова, არტისტი ჩლის გვარი ასევეა გადაბეჭდილი Акты кавк. арх. ком., т. IX-ში, ასევეა გადაბეჭდილი „Театр в Тифлисе с 1845—1856 г.“ ასევე აქვს დაბეჭდილი ი. მეუწარგოიას. ვფიქრობთ, აქ კორექტურული შეცდომა უნდა იყოს. ბაპეროვის მაგივრად უნდა ყოფილიყო ლაფერაშვილი.

<sup>27</sup> «Кавказ», 1854 г., № 277.

განმავლობაში გონებრივი უმოქმედობის ქერქის ქვეშ იფერფლება... ქართველი არტისტის ნიერ თავ. ერისთავის კომედიის წარმოდგენა უნდა ახარებდეს ყოველს, ვისაც კი ახარებს მორალური ამაღლება კაცობრიობის ყოფაში... ზედმეტია კომედიის განხილვა... მისმა წარმატებამ დაამტკიცა, რომ ერისთავის კომედია დროზე გაჩნდა<sup>28</sup>.

ცხადია, როდესაც უსიცოცხლო ოფიციალური ორგანო, როგორც იყო „Кавказ“-ი, ასეთს აღფრთოვანებას გამოთქვამს, საზოგადოება, მართლაც, დაინტერესებულა ამ საქმით, საზოგადოების ცხოვრების მაგისტრმა საქმარისად, საგრძნობლად აჩქარებულა და ამოქმედებულა.

ამავე წლის 3 მაისს ქართულმა დრამატულმა დასმა აგრეთვე დიდის წარმატებით წარმოადგინა გ. ერისთავის კომედია „ღავა“.. 1851 წლის 18 იანვარს წარმოდგენილი იქნა კომედია „ქუნწი“.. 1850—1851 წლის სეზონი ქართულმა თეატრმა კარგად ჩაატარა..

პირველ ხანებში ქართული თეატრი მხოლოდ გ. ერისთავის პიესებით კმაყოფილდებოდა. სხვა დრამატული ნაწარმოები იმ დროს არ იყო. მაგრამ მალე გ. ერისთავის ნიჭმა და ხელმა ჯადოსნური სისწრაფით გაწვრთნა და გაზარდა არა მარტო მთელი რიგი ნიჭიერი არტისტებისა, არამედ თანამშრომელ-არტისტ-დრამატურგებისაც, რომელნიც გ. ერისთავს ისეთივე გატაცებით ამოუდგნენ გვერდში და ქართული საყოფაცხოვრებო თეატრის საძირკველი მძლავრად და მოხერხებულად გაამაგრეს. მაგალითად, ივ. კერესელიძე, რომელიც გ. ერისთავს ეხმარებოდა ქართული წარმოდგენების მოწყობაში და აგრეთვე წერდა, თარგმნიდა, აკეთებდა რუსულიდან ბიესებსაც; გ. დვანიძე — არტისტი, რომელსაც აგრეთვე რამდენიმე პიესა აქვს რუსულიდან გადმოკეთებული. მაგრამ გ. ერისთავის დრამატული დასი გაძლიერდა, როდესაც 1851 წელს მას მიემატნენ ზურაბ ანტონოვი, ენერგიული მუშაკი — არტისტი და სცენიური საქმის დიდი ენთუზიასტი, აგრეთვე ნიჭიერი დრამატურგიც; მედიკარიანი (მისი ცნობილი კომედია — „ქმრები მახეში გაეხენ“ და სხვა.) და ჯაფარიძე (მისი ცნობილი კომედია — „იჭვიანი ქმარი“ და სხვ.). ამავე დროს მთლიანად ითარგმნა ა. ს. გრიბოედოვის ცნობილი კომედია „Топе от ума“ გრიგოლ წინამძღვრის შვილის მიერ და წარმოდგენილ იქნა პირველი ქართული დასის მიერ<sup>29</sup>.

28 «Кавказ», 1851 г., № 1.

29 გრიბოედოვის «Топе от ума»-ს ნაწილი ამავე დროს თარგმნა გ. ერისთავმაც.

ამრიგად, მოეწყო და ნაყოფიერად დაიწყო გაშლა ქართული დრამატული დასის მუშაობამ. საჭირო იყო იმხოლოდ სათანადო ხელის შეწყობა. ასეთებიც გამოჩნდნენ. საზოგადოებრივი ცხოვრების მომენტისა და საქმის დიადი მნიშვნელობის სწორი გაგებით მ. თუმანიშვილი გაზეთ „Кавказ“-ის ფურცლებიდან მოუწოდებს მაშინდელ საზოგადოებას: „ჩვენი ანგარიში ჯერჯერობით ვერ მოგვცემს გადამწყვეტ მითითებებს, და განა ასე უტბად შესაძლებელია არსებითი თვალთ დანახვა იმ საიდუმლო. უჩინარი კავშირისა, რომელიც დამყარებულია საერთოდ თეატრსა და საზოგადოებას შორის, რომელსაც საზოგადოება მიჰყავს ისევე შეუმჩნევლად, მაგრამ მტკიცედ და სწრაფად სხვა ნათელი, შეგნებული ცხოვრების სფეროში? ჯერ-ჯერობით ვხედავთ იმას, რომ ისეთ მაცურებლებთან, რომელნიც შეჩვეულნი არიან სცენიურ სიამოვნებას, წარმოდგენაზე მიდიან აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც არა მარტო სრულებით არ იცნობენ თეატრს, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთს მხარეს არ იცნობენ. რამ გამოიწვია, მაგალითად, ეს მორიდებული ოჯახები პირველად ბნელი დარბაზებიდან? რამ აიძულა ისინი მოეხსნათ ჩადრები, ლოქებში უცნობთა მეზობლად დამსხდარიყვნენ? რამ მოიყვანა აქ — ეს ყოველდღიური ბაზრის იმცხოვრებიც, ეს არისტოკრატიც, რომელნიც მიმაგრებულნი არიან თვალთაც და გონებითაც: ერთი — თავის დახლს, ხოლო მეორე თავის მთასა და ღელეებს? ისინი, რასაკვირველია, მოიყვანა უმთავრესად საქმის სიახლემ, რომელიც ასე ახლოა მათთან თავისი მდგომარეობით, მაგრამ შემდეგში, ეჭვს გარეშეა, მათ მოიზიდავს მოთხოვნალება, მასში აუცილებლად მონაწილეობის მიღებისა, რის უფლებაასაც კაცს აძლევს განათლება...

ამჟამად, ქართულ სცენას ეძლევა მეტად კეთილშობილი და ულამაზესი. დანიშნულება პირდაპირი და ნამდვილი მნიშვნელობით. ამ მიზნის მისაღწევად მას სჭირდება მსახიობნი და რეჟერტუარი. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ორივე დასაწყისშივე რამდენად კარგია და იძლევა სრულ თავდებობას. საჭიროა გავუფრთხილდეთ ენასაც, მსახიობსაც და მაცურებელსაც, განსაკუთრებით მაცურებლებს, რომელნიც ასეთი ნდობით უყურებენ ახალ საქმეს, ახალ სასარგებლო და სასიამოვნო სანახაობას“<sup>30</sup>.

ამონაწერი გრძელი გამოგვივიდა, მაგრამ მიხ. თუმანიშვილის ეს წერილი ჩვენთვის საგულისხმოა, როგორც აზრი და განცდა თანამედროვეებისა, როგორც ცოცხალი ფაქტი საზოგადოებრივი შთაბეჭდილებისა და სულიერი განწყობილების გასათვალისწინებლად.

<sup>30</sup> «Кавказ», 1851 г., №№ 10, 11.

ეს წერილი აგრეთვე დამახასიათებელია თვით მიხეილ თუმანიშვილისათვის, როგორც ახალი ფორმაციის ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლისათვის, რომელიც პირველად 40—50 წლებში ჩნდება და გამოდის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. თეატრის მნიშვნელობისა და დანიშნულების დაფასებისათვის საჭიროა ვიცოდეთ არა მარტო ის, რას აძლევს თეატრი საზოგადოებას, მაყურებელს, არამედ აგრეთვე, ვინ არის ეს მაყურებელი, რას აძლევს თეატრს ის? მიხ. თუმანიშვილის აღნიშნული წერილი ამ საკითხის გაგებლათვის მკითხველს თუ ბევრს არა, ზოგიერთ საგულისხმო ცნობას უსათუოდ გაუზიარებს.

მაგრამ ქართული თეატრის, ქართული წარმოდგენების წარჩინებით წარპართვას მრავალი დაბრკოლება გადაედობა: 1) ქართულ დასს არა ჰქონდა საკუთარი შენობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დამოუკიდებლივ, დაუბრკოლებლივ მუშაობის გაშლა. ქართული სპექტაკლები თბილისის თეატრში ხან რუსული წარმოდგენებისა და ხან იტალიური ოპერის დამატებად იმართებოდა. თუ ქართული წარმოდგენა სადამოს დასაწყისში იყო დანიშნული, საზოგადოება დაგვიანებით მიდიოდა თეატრში და თუ სადამოს — ბოლოს, მაშინ რუსული ან იტალიური წარმოდგენის გათავებისას ხალხი იშლებოდა, თეატრის დაბაზი ცარიელდებოდა. 2) წარმოდგენებზე ბილეთების ფასი საკმარისად დიდი იყო. ადგილობრივი საზოგადოება წარმოდგენებს ფართოდ ვერ ესწრებოდა: ხელოვნებამ, კერძოდ, სათეატრო ხელოვნებამ რომ საზოგადოებაში ფესვი გაიდგას და თავისი კულტურული როლი შეასრულოს, საჭიროა, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყოს. თუ ჩვენ ხელოვნებას მივყიდით, როგორც ნივთს, როგორც საქონელს, იმას, ვისაც მისი მიღების დიდი სურვილი აქვს, მაგრამ ყიდვა არ შეუძლია, მაშინ წინდაწინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მისია არამცთუ მთლიანად არ შესრულდება, არამედ არც შეათედად. ბერძნებმა, რომელნიც კარგად აფასებდნენ ხელოვნებას, მის მნიშვნელობას და ხშირადაც მიმართავდნენ მას, როგორც აღმზრდელობით საშუალებას, ტყუილად კი არ შექმნეს თავიანთი ვეებერთელა, გიგანტი თეატრები, რომლებიც ათეულ ათას მაყურებელს იტევდა. ამ უკანასკნელთ ეს სიამოვნება სრულიად უსასყიდლოდ ეძლეოდათ სახელმწიფოსა და კერძო მდიდრების ხარჯზე. ჩვენში 50-იან წლებში ამას არ უწევდნენ ანგარიშს. ქართულ წარმოდგენებს ტფილისის თეატრის დირექცია უყურებდა შემოსავლის თვალსაზრისით, ამიტომ ხშირად ქართულ წარმოდგენებზე პარტერი ცარიელი იყო, სამაგიეროდ ქანდარა ხალხით ივსებოდა. ჩანს ქართული წარმოდგენე-

ბი დასაწყისიდანვე მასების სიმპათიასა და თანაგრძნობას იწვევდა. 3) ღირეჟცია არ ზრუნავდა ქართული წარმოდგენებისათვის შეეჟინა შესაფერი დეკორაციები და კოსტუმები. ქართული წარმოდგენები, როგორც მრავალი თანამედროვე გვიჟოწმებს, დადგმის მხრით არ იყო ზელშეწყობილი.

მაგალითად, 1854 წელს ზურაბ ანტონოვის „ქოროლი“ დაიდგა. ამ წარმოდგენის შესახებ გაზეთი „Кавказ“-ი მიუთითებს: „სამწუხაროა მხოლოდ, რომ ბ. ანტონოვის პიესის დადგმა სრულებით არ შეეფერება მის სიუჟეტს, რომელიც, როგორც ცნობილია, აღებულია აღმოსავლეთის საერთო გაღმოცემიდან ამიერკავკასიის შესანიშნავ ყაჩაღზე; დადგმაში მრავალი შეუსაბამობა იყო. მაგ. ოსმალეთის ფაშის ოთახი სხვა არა იყო რა, თუ არა გერცოგის სასახლის დარბაზი ოჟერა „როგოლეტოდან“; გულნარას ციხის ფანჯრები სრულებით არ მოგაგონებდა ციხის ბნელ თაღებს, იმიტომ, რომ ისინი, ალბათ აღებული იყო რომელიღაც ოთახი ვოდევილიდან... კოსტუმებიც არ იყო ახალი და შესაფერი“<sup>31</sup>.

ქართული წარმოდგენების აბუჩად აგდება ცხადია. ქართულ წარმოდგენებს ეს მდგომარეობა განსაკუთრებით დაეტყო მეფისნაცვლის ვორონცოვის ამიერკავკასიიდან წასვლის შემდეგ. თბილისის თეატრის დირექტორებისაგან, ხოლო ყველაზე მეტად ბოგდანოვისაგან, ქართული წარმოდგენებისა და არტისტების შევიწროება უხეშ ფორჟებს იღებდა. ბოგდანოვმა და მეფის კოლონიური პოლიტიკის უხეშად გამტარებელმა სხვა მოხელეებმა ვორონცოვის პოლიტიკა სათანადოდ ვერ შეათასეს რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისითაც კი და ქართული თეატრის აღორძინებაგაძლიერებას, ზელშეწყობის მაგიერ, საშინელი დაბრკოლებები შეუქმნეს.

ბოგდანოვმა ისარგებლა ვორონცოვის წასვლით და, ვინაიდან ქართულ წარმოდგენებს ის უყურებდა მხოლოდ შემოსავლის თვალსაზრისით, ხოლო ქართულ წარმოდგენებზე ხალხი ძალიან ცოტა დადიოდა, მთავარმართებლის მოვალეობის დროებით აღმსრულებელს, გენერალ რეაღს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც, სხვათა შორის, ნათჟვამი იყო: „რადგანაც ამ წარმოდგენებით (ე. ი. ქართული წარმოდგენებით. — მ. ზ.) არავითარი შემოსავალი არ იქმნება, ვინაიდან არავითარი თანაგრძნობა ამ წარმოდგენებს ხალხში არა აქვს, უმორჩილესად გთხოვთ შემატყობინოთ, დავითხოვოთ თუ არა ზსენებული დასი, თუ შესაძლებლად დაინახავთ გაჟოით-

<sup>31</sup> Театр в Тифлисе с 1845—1856 г., Тфл., 1888, გვ. 145.

ხოვით მის შესანახად ახალი ფულადი ასიგნობა? <sup>32</sup> ამაზე გენერალმა რეალმა შემდეგი უპასუხა: ვინაიდან მეფისნაცვალ ვორონცოვის სურვილი იყო, რომ ქართულ დასს ამ სეზონში ემუშავნა მთელი შემადგენლობით, ის საჭიროდ სთვლის ქართულ დასს დახმარება მიეცეს კვლავინდებური წესით — თეატრებს რომ ეძლევა 15.000 მან. იმ თანხებიდანო.

მაგრამ ვორონცოვის წასვლის შემდეგ ქართული დასის მდგომარეობა თანდათან შესამჩნევად გაუარესდა. 1854—1855 წწ. სეზონი ქართულმა დასმა გააჩანჩალა დიდი ვაი-ვაგლახით, ჩხუბით: გ. ერისთავს ფულს დროზე არ აძლევდნენ, არტისტებს 3—4 თვით ჯამაგირს უგვიანებდნენ. ხსენებული სეზონის განმავლობაში დაგვიანებით და უსიამოვნებით, მაგრამ გ. ერისთავმა თეატრის დირექციისაგან არტისტების ჯამაგირი მაინც გამოიტანა. შემდეგი წლიდან კი დირექციამ ქართული დასი დაშლილად გამოაცხადა.

გ. ერისთავსაც ამის შემდეგ გული გაუტყდა. მიანება თავი თეატრსაც, თბილისსაც, გადააახლდა თავის სოფელ ხიდისთავში და იქ განაგრძო ცხოვრება. ამრიგად დაირღვა და ჩაიშალა ასე კარგად და ნაყოფიერად დაწყებული ქართული საზოგადოებრიობის დიდი კულტურული საქმე.

მაგრამ ქართული სცენის მოყვარულნი მაინც ვერა სთმობდნენ თავიანთ საყვარელ საქმეს. გ. ერისთავის დრამატული დასის ერთი ნაწილი, სახელდობრ არტისტები: ქალები: — აბრამიძე, ლაფერაშვილი, უზნაძე, ივანიძე; კაცები — აბრამიძე, ელიოზიშვილი და ზენკლოვიჩი, ივანე კერესელიძის ხელმძღვანელობითა და დახმარებით, დიდი სიმტკიცითა და ჯიუტობით განაგრძობდა ქართული თეატრის შენახვის ცდას. 1855—1856 წლის სეზონის დასაწყისში, 1855 წ. 12 სექტემბერს მათ მიმართეს მთავარმმართველის კანცელარიის დირექტორს თ. ბებუთოვს განცხადებით, რომელშიც აღნიშნავდნენ, რომ ისინი კვლავ შეიკრიბნენ იმ იმედით, რათა მუშაობა გააგრძელონ. აი, სხვათა შორის, რასა წერენ ისინი: „ახლა ჩვენ იმ აზრით შევიკრიბებით და გვინდა წარმოდგენები გავმართოთ, მაგრამ, ერთის მხრით, არ გვაძლევენ არც სახელმწიფო განათებას, არც მუსიკას და, მეორეს მხრით, რუსი მსახიობები თეატრში არ გვიშვებენ იმ საბუთით, რომ მხოლოდ მათ მიეცათ უფლება წარმოდგენების გამართვისა... ყველა ამას თავი რომ დავანებოთ, ჩვენ დირექციასთან დადებული გვაქვს ხელშეკრულება, რომელსაც ვადა ჯერ არ გათავებია. მოგახსენებთ რა ყველა ზემოაღნიშნულს, უმორჩილესად

გთხოვთ დაგვეტოვოთ იმავე პირობებით, როგორითაც დღემდის ვი-  
ჟავით, და ვასცეთ განკარგულება, რომ ჩვენ მოგვეცეს შესაძლებ-  
ლობა ყოველ კვირაში ერთი წარმოდგენა გავმართოთ“<sup>33</sup>.

ქართველ მსახიობებს ამ განცხადებაზე თ. ბებუთოვიც ა-  
თბილისის სამხედრო გუბერნატორის საშუალებით უარი შემოუ-  
თვალა იმ მოსაზრებით, რომ გადაწყვეტილია მხოლოდ რუსული  
თეატრის არსებობის მიზანშეწონილობათ.

ამის შემდეგ 1855 წ. 31 დეკემბერს თ. ბებუთოვისათვის ამ-  
გვარივე შუამდგომლობით მიუმართავს ივ. კერესელიძეს.  
სხვათა შორის ივ. კერესელიძის ხსენებული განცხადება მეტად  
საგულთხმოა. როგორც აქედან ჩანს, ზემოთ დასახელებულ ქარ-  
თველ მსახიობთა ჯგუფს ივ. კერესელიძის ხელმძღვანელობით, თა-  
ვიანთი ხარჯით დროებით გაუგრძელებიათ ქართული წარმოდგე-  
ნები ვართანოვის დაბაზში. მაგრამ, როგორც ირკვევა, ძა-  
ლიან გასჭირვებიათ. აი რას სწერს ივანე კერესელიძე ბებუთოვს:  
„თუმცა წარმოდგენები კარგად მიდის, მაგრამ შეუძლებელია მათი  
გაგრძელება, რადგანაც არა გვაქვს დეკორაციები, თეატრალური  
საჭიროებანი და თვით თეატრი მეტად მცირეა. ამიტომ მაყურებ-  
ლები მეტად მცირეა, ასე, რომ ყოველად შეუძლებელი ხდება ვალის  
გადახდა ნაწილობრივაც-კი და ქართული დრამატული დასის შე-  
ნახვა“<sup>34</sup>. ივანე კერესელიძე ამ განცხადებაში თხოვლობს, რომ ქარ-  
თველ მსახიობთ რუსულ თეატრში დაეთმოს კვირაში ერთი დღე  
წარმოდგენებისათვის და აგრეთვე ყველა ის უფლება, რომლებიც  
მათ წინა წლებში ჰქონდათ. მაგრამ ივ. კერესელიძეს ამ შუამდგომ-  
ლობის პასუხად თბ. გუბერნატორის საშუალებით გამოეცხადა,  
რომ, „ვინაიდან მისი განცხადება დაწერილია უბრალო ქალაქზე  
და მასში აღნიშნული არ არის მისი შემდგენის და ვადამწერის სა-  
ხელი, კავკასიის მთავარმართებლის 6 მაისის 1855 წ. ცირკულარის  
თანახმად უშედეგოდ არის დატოვებული“<sup>35</sup>.

ქართული თეატრის არქივიდან ჩანს, რომ, მიუხედავად მრავა-  
ლი დაბრკოლებისა, არც ივ. კერესელიძე და არც ახალგაზრდა ფა-  
ნატოვოსი-არტისტები არ ცხრებოდნენ. მათ არაერთხელ მიუმარ-  
თავთ ვისთანაც ჯერ არს, რომ მიეცათ საშუალება ქართული წარ-  
მოდგენების გამართვისა, მაგრამ შეწყყნარება არსაიდან ყოფილა.  
ბოლოს 1856 წ. 7 ივნისს ივ. კერესელიძეს ა და ნ. ყანჩელს  
გადაუწყვეტიათ მომავალი 1856—1857 წ. სეზონიდან ხელშეკრუ-

<sup>33</sup> Театр в Тифлисе с 1845—1856 г., Тфл., 1888, გვ. 145.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 163.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 164.

ლება დაედოთ ქართული წარმოდგენების თბილისის თეატრში წარმოების ნებართვის მისაღებად. ბილეთების უზრუნველსაყოფად წარუდგენიათ წინასწარ 680 მან. ხელშეკრულება გადმოწერილი ყოფილა თითქმის სიტყვასიტყვით რუსული თეატრის ანტრეპრენიორის ხელშეკრულებიდან. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მათ უარი ეთქვათ, ვინაიდან ხელშეკრულება ორი წლით დადებული იყო რუსული თეატრის ანტრეპრენიორ ივ. შადინოვთან, რომელიც ამ ხნის განმავლობაში პასუხისმგებელი იყო თეატრის მთლიანი ქონებასა. ამიტომ მოხვნელებს წინადადება მიეცათ უშუალოდ დამოუკიდებელი ივ. შადინოვთან ეწარმოებინათ მოლაპარაკება, რათა ქართული თეატრისათვის მას დაეთმო კვირაში ერთი საღამო იმ პირობით, რომ მათ მთავრობა არავითარ დანმარებას არ გაუწევდა. ამით დამთავრდა გენერალ მურავიოვის მმართველობის დროს ქართული სცენის აღდგენის ცდები.

ჩვენ შედარებით გაგვიგარძელდა გ. ერისთავის თეატრის ისტორია, მაგრამ მოტანილი ფაქტორები ცნობები საჭიროდ მიგვაჩნია. ამ ისტორიაში მშვენივრად და ცოცხლად იშლება 40—50-იან წლებში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურული გამომჟღავნება, მისი მოთხოვნილებანი, მისწრაფებანი, შესაძლებლობანი და განხორციელების საშუალებანი როგორც ქვევიდან, ე. ი. ადგილობრივი მცხოვრებლების ინტერესებისა და მათი შესაძლებლობის პირობების მხრით, ისე ზევიდან, ე. ი. ახლად განმტკიცებულ მმართველობის საქმიანობის მხრით.

## 2.

### პერიოდობა

40—50-იან წლებში ქართული საზოგადოებრივი კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ დამახასიათებელ პირობად უნდა ჩაითვალოს პერიოდული გამოცემების — გაზეთებისა და ჟურნალების არსებობა და მათი მიმართულების ხასიათი. ცნობილია, რომ პერიოდული გამოცემის არსებობა როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივად დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობისაგან. რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი განვითარების ბაზა რთულია, იმდენად პერიოდული გამოცემაც რიცხობრივად და თვისობრივადაც მალა-ლია, დიდია, რთულია.



ძველი ფეოდალური ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობა არ იყო ხელსაყრელი პერიოდული გამოცემებისათვის. დასავლეთ ევროპაში და აგრეთვე რუსეთშიც პერიოდული გამოცემების არსებობა და მოქმედება, როგორც მიმდინარე, ხშირად ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი და გამომხატველი, შეიძლება ითქვას, კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა და გაიშალა.

თავი რომ დავანებოთ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიას, რუსეთის პერიოდული გამოცემების ისტორიიდან რამდენიმე ხაზის აღნიშვნაც ამაში მჭევრმეტყველურად დაგვარწმუნებს.

რუსეთში პერიოდული გამოცემების ისტორიას ჩვეულებრივ იწყებენ მე-18 საუკუნიდან — პეტრე დიდის დროიდან, როცა რუსეთში სავაჭრო კაპიტალი იმარჯვებს. კაპიტალიზაციის განვითარებასთან ერთად რუსეთში რთულდება საზოგადოებრივი ცხოვრება. მისი სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობა. მართალია, რუსეთი მე-18 საუკუნეში ჯერ კიდევ ფეოდალურია, ამიტომ ის მედგრად ებრძვის კაპიტალიზმსა და მის განვითარებას, მაგრამ კაპიტალიზმი რუსეთში მაინც მძლავრად არღვევს ფეოდალურ დასაყრდენს, მძლავრად და სწრაფად იკაფავს გზას და ლაშობს რუსეთი კაპიტალისტური მიმართულებით წაიყვანოს.

ამ გარემოებით არის გამოწვეული XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან რუსეთში პერიოდიკის გამოცოცხლება და მისი საგრძნობი განვითარებაც როგორც შინაარსეულად, ისე რიცხობრივად. ამ დროს რუსეთში ჟურნალისტიკამ გარკვეული საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათი მიიღო. გამოდის ჟურნალები: «Всякая всячина» ეკატერინე II-ს უახლოესი მონაწილეობით, ხოლო გ. კოზიციის რედაქტორობით; «И то, и се» ჩულოკოვის რედაქტორობით; «Ни то, ни се» — რუბანოვისა; «Живописец», «Трутенъ» — ნოვიკოვისა, «Почта духов», «Зритель» — კრილოვისა და სხვა. ამ პერიოდში ჟურნალისტიკა საკმარისად საგრძნობლად იძლევა რუსეთის ფერცვლილი საზოგადოებრივი ცხოვრების მაჩისცემას. ეკატერინე II თავისი მეფობის მეორე ნახევარში მმართველობის ღერძი რეაქციისაკენ საკმარისად მიღრიცა, რუსეთის საზოგადოებაში იქმნება ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი (მაგალითად, ნოვიკოვის ხელმძღვანელობით). ეს ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი რუსეთის ინტელიგენციისა თავის სულიერ განწყობილებას გამოსთქვამდა (თუმცა ხშირად მეტად ფრთხილად) ჟურნალისა და სხვადასხვა გამოცემის საშუალებით (მაგალითად, ეგრეთწოდებული საზოგადოება ტიპოგრაფიუ-

ლი კომპანია, რომელმაც პირველად დააწყო ხალხისათვის პოპულარული წიგნებისა და ბროშურების გამოცემა). XVIII საუკუნის დამლევს მთავრობამ უკვე იგრძნო ეურნალისტიკის განვითარების საფრთხე და დაუწყო ამ ახალგაზრდობას წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ვალევიებული ინტერესის ჩაზრჩობა მან უკვე ვერ მოახერხა. ამისი მკვეთრი გამომხატველია რადიშიევის «Путешествие из Петербурга в Москву».

ეურნალისტიკის უფრო აჩქარებულ განვითარებას რუსეთში ჩვენ XIX საუკუნეში ვამჩნევთ. ეს დაკავშირებულია კაპიტალიზაციის პროცესის იმ სწრაფ ზრდასთან და მასთან დაკავშირებულ სოციალურ გადაჯგუფებასთან, რომელსაც XIX საუკუნის დასაწყისიდან ადგილი ჰქონდა რუსეთის სინამდვილეში. აი როგორ ხსნის ი. ი. პოლიტი რუსეთში ეურნალისტიკის აჩქარებულ განვითარებას: „XIX საუკუნის პირველ ნახევარში მიწათმოქმედი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის (როგორც სამრეწველო, ისე სავაჭრო) წინაშე წამოიჭრა მთელი რიგი ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემებისა, რომლებიც აღელვებდა საზოგადოებრივ აზროვნებას და მით ხელს უწყობდა პერიოდიკის ზრდასა და გამოცოცხლებას. რუსეთის პურის ექსპორტის აღორძინება, მრეწველობის განვითარება... სამრეწველო და აგრარულ კაპიტალს შორის ბრძოლა, რუსი მრეწველების სურვილი მეზობელ ქვეყნებში მოენახათ თავისი საქონლისათვის ბაზარი... პოლიტიკური ამოქმედება, გამოწვეული, როგორც ნაპოლეონის ომებით, ისე აღმოსავლეთ ქვეყნებთან — ყველა ეს თხოულობდა შინაური და გარეშე პოლიტიკის მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტას არა მარტო თვითმპყრობელობის ბრძანებებით ზევიდან, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი მსჯელობის სახითაც. პუბლიცისტიკა XIX საუკუნის პირველი ექვსი ათეული წლის მანძილზე, გამოხატავდა რა სხვადასხვა კლასებისა და ჯგუფების ინტერესებს, იკაფავდა გზას პერიოდიკის ფურცლებზე“<sup>36</sup>.

ამ დროს რუსეთის საზოგადოებრივი აზრი, რასაკვირველია, სხვადასხვა სოციალური დაჯგუფებისა და კლასების ინტერესების გამომხატველია. ცნობილია, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში — 60-იან წლებამდე ერთდროულად კულტურული განვითარება და ზრდა ეტყობა თავადაზნაურობას, რომელიც ახალი ცხოვრების პირობებთან შეგუებას ლამობს, მოხელეებს (чиновничество), რომელნიც ბიუროკრატიული სახელმწიფოს ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ, ვაჭრებს და ე. წ. „რაზნოჩანეცს“ (მის ნაწილს მიანიც),

<sup>36</sup> И. Ипполит, Журналы русские: Литературная энциклопедия, М., 1930, გვ. 217—260.

რომელნიც საზოგადოებრივ კულტურულ ასპარეზზე იწყებენ გამოსვლას. ამ ფენების თანდათანობით ზრდასთან დაკავშირებულია ლიტერატურის განვითარება და ახალი მიმართულებების წარმოშობა — ყველა ამან, მათ შორის, ურთიერთობა-უთანხმოებამ, წინააღმდეგობამ და ბრძოლამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ლიტერატურულ-პოლიტიკური უურნალის განვითარებას რუსეთში.

ხსენებული პერიოდის მანძილზე რუსეთში პერიოდული გამოცემების ზრდაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია შემდეგი სტატისტიკური ცნობა მოვიტანოთ: 1801 წელს რუსეთში გამოდიოდა სულ 10 გამოცემა; 1801—1810 წწ. დაემატა 77 ახალი გამოცემა; 1811—1820 წწ. — 51; 1821—1830 წწ. — 62; 1831—1840 წწ. — 121; 1841—1850 წწ. — 57; 1851—1855 წწ. — ახალი გამოცემა იყო 31, ხოლო 1856—1860 წწ. — 147 გამოცემა<sup>37</sup>.

მოტანილი სტატისტიკური ცნობები მკვერმეტყველურად გვიმტკიცებს იმ დებულებას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების სწრაფი განვითარება, მისი სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობა და სირთულე-აქტიურობა საფუძველია უურნალ-გაზეთის განვითარებისადრეგორც თვისობრივი, ისე რიცხობრივი თვალსაზრისით.

აღნიშნულ გარემოებასთან ერთად უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ თუმცა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში XIX საუკუნის პირველ ნახევარში პერიოდულ გამოცემათა რიცხვი საგრძნობი სისწრაფით იზარდება, მაგრამ თვისობრივობის თვალსაზრისით, ისინი სათანადო სიმაღლეზე არ არის. ცენტურული პირობები ალექსანდრე I და განსაკუთრებით ნიკოლოზ I მეფობისა უურნალისტიკის განვითარებას და მის სათანადო სიმაღლეზე აყვანას მეტად უხეშად ელოდება. მტკივნეული საზოგადოებრივი ხასიათის საკითხების შესახებ წერა აკრძალული იყო. ამიტომ, ამ დროის რუსეთის პერიოდულ გამოცემებში პუბლიცისტური წერილები ფრთხილად იჭრებოდა.

ამ პერიოდში საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეულ საკითხებზე ლაპარაკს ისევ მხატვრული ლიტერატურა ახერხებდა. ასე ვთქვათ, შეუმჩნეველად აპარებდა, მკითხველს თითქოს გულუბრყვილოდ აჩვენებდა პოეტური სახეების შემწეობით საზოგადოებრივი ცხოვრების სიმანჯრეს. ეს ხასიათი რუსული ლიტერატურისათვის მეტად დამახასიათებელია. ამგვარივე მიმართულება მას შერჩა თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე. ამით აიხსნება, რომ რუსეთში გავრცელებული სახე უურნალებისა იყო ლიტერატურულ-პოლიტიკური, მასთან ერთად, ანუ მას პარალელურად

ვრცელდებოდა ლიტერატურული ჟურნალი, რომელაც ლიტერატურულ ალმანახს უახლოვდებოდა. ნიკოლოზ I მეფობის რეაქციის გამო (1825—1855 წწ., ვინაიდან ცხოვრების ნამდვილი გამომხატველი ჟურნალის გამოცემა მეტად შეზღუდული და ძნელი საქმე იყო) ამ ლიტერატურა-ალმანახების გამოცემა უფრო ხშირ მოვლენად გადაიქცა.

რაც შეეხება საქართველოს, ის ამ მხრივ შედარებით რუსეთთანაც-კი, რაღაც უდაბნოს წარმოადგენს. „საქართველოს გაზეთი“, იგივე „ქართული გაზეთი“, „ტფილისის უწყებანი“, ისიც 45 წლის მანძილზე კანტიუხენტად, უსისტემოდ გამოცემული, თავშეუფარებელ მდგომარეობაშია. ის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ხმის მეტად სუსტი გამომხატველი იყო, ვერ ამქლავებდა საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას. ეს გამოცემანი უფრო მთავრობის ოფიციალური ორგანოები იყო ოფიციალური განკარგულებისა და განცხადებების ფართოდ გასატანად<sup>38</sup>. გამონაკლისს შეადგენს სოლ. დოდაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით გამოცემული ქართული პირველი ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი“... — რომელიც ახალი ცხოვრების — პროგრესულ-დემოკრატიულ-ეროვნულ ხაზს ავლენდა. ვორონეჟის მმართველობის დროიდან დაიწყო გამოცემა რუსულ ენაზე ყოველკვირეულმა გაზეთმა „Закавказский Вестник“—მა პლატონ იოსელიანის რედაქტორობით და მთავრობის მეორე ოფიციალურმა ორგანომ „Кавказ“—მა. მათ არაჰქონდათ ფართო საზოგადოებრივი ხასიათი და აი რატომ: 1) როგორც „Кавказ“-ი, ისე „Закавказский Вестник“-ი დამატება იყო მთავრობის მართვა-გამგეობისა, ისინი მხოლოდ მთავრობის ოფიციალური ცნობების გამომხატველი შეიქნა. ინიციატივა ზევიდან მოდიოდა, პერიოდიკა მთავრობის სურვილისა და მისწრაფების ანარეკლი იყო. 2) ეს გაზეთები გამოდიოდა რუსულ ენაზე. რუსული ენა ადგილობრივმა მოსახლეობამ ძალიან ნაკლებად იცოდა. მათ ადგილობრივი საზოგადოება ვერ კითხულობდა (ალბათ, ამით აიხსნება, რომ ოფიციალურ დადგენილებებს ამ გაზეთებიდან ქართულადაც ბეჭდავდნენ და ქართულადაც ყოველკვირეულად სცემდნენ. „Закавказский Вестник“-ის ოფიციალურ ნაწილს ქართულად თურმე თარგმნიდა ფალავანდიშვილი და, გრ. ყიფშიძის ცნობით, „მახარობელი“ ერქვა; „Кавказ“-ის ოფიციალურ ნაწილს თარგმნიდა ხან პლ. იოსელიანი და ხან ფალავანდიშვილი, და

<sup>38</sup> მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, 1954, გვ. 34—77. მ. ხ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. I, გვ. 144—148.

ამავე „კ ა ვ კ ა ზ ი ს“ სახელწოდებით გამოდიოდა). 3) ეს გაზეთები არამცთუ ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების უშუალო მტკიცეველ საკითხებს, არამედ ჩვეულებრივსაც კი, სპორადიულად ეხებოდნენ.

როდესაც ვორონცოვის დროს ქართულმა თეატრმა თბილისში ახალი ფორმაციის ქართველი ინტელიგენცია მიიზიდა, დაიბადა სურვილი ქართული ყოველთვიური ჟურნალის გამოცემის შესახებ. ვორონცოვმა ამ საქმეშიც ქართველ საზოგადოებას დიდად შეუწყობ ხელი. ამ საქმეშიც ვორონცოვს, ვფიქრობთ, ამოძრავებდა ძირითადი მისწრაფება: აღორძინოს, დაეხმაროს ქართული კულტურის განვითარებას, რომელიც პირველ ხანებში იქნებოდა ფორმითაც და შინაარსითაც ეროვნული, მაგრამ, რომელიც შინაარსეულად თანდათან შეიცვლებოდა.

ვორონცოვს სწამდა, რომ თანდათან, როცა რუსული კულტურა ამიერკავკასიაში და კერძოდ ქართველ საზოგადოებაში ფესვს ფაიდგამდა, რუსული კულტურა, როგორც უფრო ძლიერი, ადგილობრივს დასძლევდა; ადგილობრივი პრესა და თეატრი ხელს შეუწყობდა უმტკიცეველად ძლიერი კულტურის განვითარებას. ეს გზა, ვორონცოვის რწმენით, სწორედ მკიდროდ დაახლოვებდა ადგილობრივ მცხოვრებთ და კერძოდ ქართველებს რუსებთან. ამ მიზნით უნდოდა ვორონცოვს ადგილობრივი თეატრიც, მწიგნობრობის აღორძინებაც და აგრეთვე პერიოდული გამოცემაც. ყველა კულტურულ დაწესებულებას უნდა გაეკრცელებინა კულტურა რუსული შინაარსით, მაგრამ ადგილობრივი, კერძოდ ქართული ფორმით და, ვფიქრობთ, ვორონცოვი არც მოტყუვდა. ამის დამამტკიცებელია ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორია მთელი XIX საუკუნის მანძილზე, დაწყებული ვორონცოვის მმართველობით.

1851 წლის ბოლოს ვორონცოვის შეამდგომლობით გერისთავმა უმაღლესი მთავრობისაგან ნებართვა მიიღო გამოეცა ქართული ჟურნალი „ცისკარი“-ს სახელწოდებით. ვორონცოვმა გერისთავს ჟურნალ „ცისკარის“ გამოცემისათვის დიდი მატერიალური დახმარებაც აღმოუჩინა: აჩუქა საბეჭდი მანქანა და წელიწადში 500 მანეთი სუბსიდიაც დაუნიშნა.

ჟურნალმა „ცისკარმა“ გამოსვლა დაიწყო 1852 წლის იანვრიდან. ის იყო ყოველთვიური ჟურნალი. მაგრამ „ცისკარს“ არა ჰქონდა ნამდვილი ჟურნალის ხასიათი. მასში არ იყო ის, რაც ჟურნალისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია, ე. ი. „ცისკარი“ არ გამოხატავდა საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებას, რაც ჟურნალისათვის დასაერთოდ პერიოდული გამოცემისათვის უეჭველად სავალდებულო უნ-

და იყო ს. გ. ერისთავის „ცისკარი“ უფრო ლიტერატურული აღმანახი იყო და ისიც მეტად მკრთალი, რომელსაც არ ჰქონდა არც გარკვეული წამყვანი დედააზრი, არც გარკვეული მიმართულება, და, თუ გნებავთ, „ცისკარი“ არც აღმანახი იყო.

„ცისკარის“ შინაარსი შედგებოდა სამი განყოფილებისაგან: „ლექსთა თხზულება“, „პროზა“ და „სწავლა და ხელოვნება“. ქართული მწერლობის (უფრო, რასაკვირველია, იბეჭდებოდა ლექსები — ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის და სხვათა) მხატვრულ თხზულებებთან ერთად იბეჭდებოდა არა პუბლიცისტური წერილები, რომელშიც ადგილობრივი ცხოვრებას, მტკივნეული თუ არა, საგულისხმოდ საკითხები მაინც იქნებოდა გამოტანილი, არამედ ჩვეულებრივი ოფიციალური განკარგულება-განცხადებანი და აგრეთვე ცნობები კულინარული ხელოვნებიდან: — „სოფლის სახლის პატრონობის“ შესახებ. მაგალითად, როგორ უნდა ჩაიდვას მუუუუი ან მომზადდეს ჩურჩით ბატი და სხვა. ამ უკანასკნელი ცნობების დართვა „ცისკარში“ აიხსნება იმით, რომ უურნალს ხელის მომწერთა მეტად ნაკლები რიცხვი ჰყავდა. „ცისკარს“ უნდა დაეკმაყოფილებინა არა მარტო თბილისის მცხოვრებნი, საერთოდ მისი ქართველი განათლებული მკითხველი საზოგადოების ნაწილი, არამედ აგრეთვე საქართველოს პროვინციის და ხშირად მიგარდნილი პროვინციის მცხოვრებნიც. აქ პროვინციაში „ცისკარი“, მის მესვეურთა ფიქრით, არა მარტო სასიამოვნოდ და სასარგებლო გასართობი საშუალება უნდა ყოფილიყო სოფლის გრძელი დამეების მოსაყლავად, არამედ აგრეთვე უნდა დახმარებოდა „სოფლის სახლის პატრონობაში“. და ეს დახმარება სოფლის ნატურალური მეურნეობის ასეთი სწრაფი და კატასტროფული რღვევის დროს ჩვენი დარღვეული თავადაზნაურობის ოჯახებისათვის, უდავოდ, დროული და სასარგებლოც იყო. აი, რომ ეს მკითხველიც მოეზიდათ, ხელის მომწერნი ეშოვნათ, „ცისკარის“ მესვეურნი ზემოაღნიშნულ კურიოზულ ცნობებსაც ათავსებდნენ.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი მარტივი, პრიმიტიული ხასიათისა, „ცისკარს“ მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საზოგადოებრივი აზრის დაწყება-განვითარებაში და ჩვენი კულტურის აღორძინების საქმეში. ამ უურნალში დაიბეჭდა შემოქმედება, გარდა ზემო დასახელებული ცნობილი პოეტებისა, მთელი რაგი თანამედროვე მწერლებისა, როგორც, მაგალითად, გ. ერისთავისა, პ. იოსელიანის, დიმ. ბერივეის, გიორგი ორბელიანისა და სხვათა. აქვე დაიბეჭდა ზოგიერთი ნაწარმოები ჩვენი ძველი მწერლობისა. უურნალმა „ცისკარმა“ დაიწყო ქართული ლიტე-

რატურული ოსტატობის საგანძურთა ფართო საზოგადოებისათვის გამომზეურება.

გ. ერისთავის „ციცკარმა“ იარსება მხოლოდ ორი წელიწადი (1852 და 1853 წწ.). 1854 წლიდან, როცა მეფისნაცვალმა ვორონცოვმა სამსახურს თავი დაანება, „ციცკარს“ სუბსიდიამ აღარ მისცეს და ჟურნალიც დაიხურა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ჟურნალი „ციცკარი“, როგორც ქართული თეატრიც, დროზე ყოფილა დაარსებული. მათ არსებობას თვით ახალი დრო და ცხოვრება თხოულობდა და ამიტომ 1854 წლიდან „ციცკარის“ დახურვამ მაშინდელი ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილში მწუხარება გამოიწვია. ცხოველი სურვილი ჟურნალის განახლებისა, ან სხვა რომელიმე პერიოდული გამოცემის შექმნისა, ქართველ საზოგადოებაში მძლავრად დარჩენილა.

საზოგადოების აღნიშნული ნაწილი, მართალია, არაორგანიზაციულად, მაგრამ მაინც დაჟინებით თხოულობდა ჟურნალის არსებობას<sup>39</sup>. ზოგს უნდოდა ჟურნალი ახალი სახელწოდებით გამოეცა, ზოგიც, თურმე, შიშობდა „ვთუ თუ ახლის ნებართვა არ მოგვცენო“, ამიტომ გადაწყვიტეს ისევ „ციცკარის“ განახლება ეთხოვათ.

ამის შესახებ ზაქ. ჭიჭინაძე ივანე კერესელიძის ნათქვამს შემდეგნაირად გადმოგვცემს: „1855 წ. ერთს კრებაზედ გადავწყვიტეთ ჟურნალის გამოცემა. ზოგმა რა სთქვა, ზოგმა რა, ბოლოს გადავწყვიტეთ ისევ „ციცკარის“ გამოცემა... შემდეგი, ანუ მეორე კრება ალ. ორბელიანის სახლში მოხდა. სხვათა შორის დაესწრო დ. ყიფიანიც. საუბრის შემდეგ პროგრამის შედგენა დ. ყიფიანს მიანდეს. მან იკისრა და შემდეგის კრებისათვის წარმოადგინა. კრებაზე წესდება განიხილეს, მაგრამ სასარგებლოდ ვერ სცენს, რადგანაც პროგრამაში მოხსენებული იყო — პოლიტიკური, ფილოსოფიური, ეკონომიური და სხვა ამგვარი ნაწილებიცა. ყველამ სთქვეს, რომ ამ პროგრამით ჟურნალის გამოცემის ნებას არ მოგვცემნო. ამიტომ ეს პროგრამაც დასტოვეს და მეორე სხვა შეადგინეს, უბრალო პროგრამა, ისევე, როგორც წინეთ შეედგინათ და მეც ეს წარვადგინე. ნებართვა მივიღე 1856 წლის დამლევს და 1857 წლიდან „ციცკარის“ გამოცემაც ვიწყე. ამის ნებართვაც გვეძნელებოდა“<sup>40</sup>.

ივანე კერესელიძეს არ ჰქონდა იმდენი შეძლება, რომ ჟურ-

<sup>39</sup> იხ. ზ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, ტ. I, 1941 წ., მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, 1954 წ.

<sup>40</sup> ზ. ჭიჭინაძე, ივ. კერესელიძე, გვ. 13.

ნალის ხარჯებს დამოუკიდებლივ გასძლოლოდა. ამიტომ ალ. ორბელიანი ან მარტო რედაქცია თავის სახლში მოათავსა და ფულადი დახმარებაც ალუთქვა.

არც ივანე კერესელიძის მიერ განახლებული „ცისკარი“ იყო მდიდარი შინაარსით. ივანე კერესელიძის „ცისკარიც“ არ იყო ნამდვილი ჟურნალი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ შედარებით გ. ერისთავის „ცისკართან“, უდავოდ, დიდი ნაბიჯი იყო წინ გადადგმული.

ივანე კერესელიძის „ცისკარის“ გაშინაარსებას, ერთის მხრით, ხელს უწყობდა ყირიმის დამარცხების შემდეგ რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მძლავრი ამოქმედება და აღორძინება. აქედან რუსეთში ხომ რეფორმების პერიოდი იწყება. ფამათავისუფლებელი აზრისა და ამოძრავებელი საზოგადოებრივი მოქმედების შორეული ტალღისცემა რუსეთიდან ჩვენს ცხოვრებასაც, როგორც ჩანს, ხვდება. ამას ივ. კერესელიძის ჟურნალზე არ შეიძლება ერთგვარი გავლენა არ მოეხდინა.

ამის გარდა, „ცისკარის“ შინაარსის გაცხოველებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ჟურნალის რედაქტორმა ივ. კერესელიძემ პირადი ტაქტით ამ ჟურნალში თავი მოუყარა 50-იანი წლების ჩვენი საზოგადოების ყველა ცოცხალ ძალას. ამ დროს, 1857 წლიდან „ცისკარში“ თანამშრომლობდნენ: მის. თუ მან იშვილი (მოლაყბე)<sup>41</sup>, ლავრენტი არდაზიანი, გრ. რჩეულიშვილი, დიმ. ყიფიანი, დ. ბაქრაძე, დ. ბერიშვილი<sup>42</sup>, ალ. ორბელიანი, გრ. ორბელიანი, ა. სავანელი, ნ. ერისთავი და კიდევ მრავალი სხვა. შემდეგი წლებიდან „ცისკარში“ შეიძინა თანამშრომელნი ახალი თაობიდან: დან. ჭონქაძე, ილია ჭავჭავაძე, ანტონ ფურცელაძე, აკაკი წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვანი. მაგრამ ამ უკანასკნელთ „ცისკარში“ მხოლოდ ფეხი აიდგეს. მათი მოღვაწეობა უფრო შემდეგ ხანას ეკუთვნის და მათ თავის ადგილზე განვიხილავთ. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, ივ. კერესელიძის „ცისკარი“ 50-იანი წლებ-

41 ირკვევა, რომ მოლაყბის ფსევდონიმით წარდა არა მარტო მის. თუ მან იშვილი, არამედ აგრეთვე სხვებიც — თვითონ ივ. კერესელიძე, ლავრენტი არდაზიანი და სხვა; ახლა ირკვევა, რომ მოლაყბის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ყველა მასალა, გარდა ერთი წერილისა, ეკუთვნის ივ. კერესელიძეს — იხ. ა. კალანდაძე, „ივანე კერესელიძე“.

42 „ცისკარში“ თანამშრომელთა გვარების ოვ და ევ-ზე დაბოლოება — შვილის მაგიერ ჩეულებრივია, ამ კერძო შემთხვევაშიც „ცისკარში“ ყველგან დმ. ბერიშვილია მოწერილი.



ში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ცოცხალი ძალების საცავად გადაიქცა.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ „ცისკარი“ მინც უსიცოცხლო, პრიმიტიული ორგანო იყო ამ დროსაც-კი. მაშინ ქართული საზოგადოებრიობის უმრავლესობა მეტად მოღუწებული, დაფანტული, უილაქნოდ, ბედზე მიშვებული ვხვთ მიდიოდა. „ისეთი ოჯახებიც ასობით იყო, — ივ. კერესელიძის გადმოცემით, — სადაც ქართული ყოველისფერი იგმობოდა, იღვენებოდა და თვით მასხარადაც იყო გამხდარი“<sup>43</sup>. ამიტომ ყურნალისა და წიგნების გამოცემა და ხშირად მათი შექმნაც ქველმოქმედების ხასიათს იღებდა ჩვენში. ქართული საზოგადოებრიობის ივ. კერესელიძეს არაერთხელ „თითქმის მუდარით“ მიუმართავს როგორც პირადად, ისე თავისი ყურნალის საშუალებით: „დაეხმარეთ ცისკრის“ გამოცემას, შეუდექით დედა-ენის პატრონობას. „ცისკარს“ უშველეთ რამე და გამოიწერეთ, რათა ჩვენ დედა-ენა არ დავკარგოთ“<sup>44</sup>. მიუხედავად ამისა, „ცისკრის“ ხელის მომწერთა რიცხვი სამოცს იშვიათად აღემატებოდა. ხელის მომწერთა ასეთი სიმცირე, რასაკვირველია, ყურნალს მძიმე მატერიალურ პირობებში აყენებდა. ამიტომ „ცისკრის“ გამოცემა ივ. კერესელიძისათვის მოწამებრივ საქმედ გადაიქცა.

ყველა ამით აიხსნება, რომ ივ. კერესელიძის „ცისკარი“ მეტად უფიზიონომიო იყო. ის მეტად ეფინებოდა ფეხქვეშ არა მარტო მთავრობას, კერძოდ კაცკასიის მთავარმართველობას, არამედ საზოგადოების ცალკე ძალაუფლების მქონე პიროვნებებსაც. ეს კი „ცისკარს“ აუცილებლივ თავისებურ ელფერს ადებდა. „ცისკრის“ ყოველი ნომრისათვის და 60-იანი წლების წინა თაობისათვის დამახასიათებელი იყო მთავრობისადმი მორიდება, მოყრჩალება, მადლობა და დიდი პატივისცემა. გლენობა ისევე განაგრძობდა ბატონყმობის უღლის ქვეშ მონურ ცხოვრებას; ბურჟუაზია მხოლოდ ახლად იდგამდა ფეხს, შეიძლება ითქვას, მას ჯერ არაუფიზიონომიო უფლებები არ ჰქონდა. კულტურული ცხოვრების საჭე ჯერ კიდევ ისევ დარღვეული თავადაზნაურობის ხელში იყო. ამ უკანასკნელს კი ბიუროკრატიული რუსეთის გარეშე თავისი არსებობა უკვე ვერ წარმოედგინა, ის განწირულის სასოებით, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ფაჰყვა მას.

აი, მაგალითად, როგორ უყურებს საუკეთესო წარმომადგენელი ამ თაობისა, შედარებით ფხიზელი მოაზროვნე ალ. ორბელიანი

<sup>43</sup> ზ. ჭიჭინაძე, ივ. კერესელიძე, გვ. 19.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 17.

„ცისკარს“ და მის დანიშნულებას: „ეს დრო, — წერს ალ. ორბელიანი, — არის ნათელი დრო, როგორათაც უღრუბლო მზემ გააბრწყინოს ქვეყანა, ესე იგი სწავლის დრო და გონების განათლებისა. მაშასადამე, სადაც ესენი არიან, იქ ყველა კარგი და კეთილი უნდა იყოს. ღმერთმან აღდგერძელოს ჩვენი განათლებული, ჩვენი დიდი ხელმწიფე. ის ზრუნავს ჩვენთვის და ჩვენ კი არავართ ჩვენთვის. იმან ინება ჩვენ ქართული ჟურნალი გვექონდეს ჩვენ შესაქცევად, სასიამოვნოდ და დროს გასატარებლად. გარდა ამისა, რადგანაც საისტორიო, ძველი ქვეყანაც არის ეს ჩვენი ქვეყანა, ამ ჩვენის ქართულის ჟურნალით ამ ჩვენს ქვეყანაში თავის დროზე მრავალი ძველი საგანი გამოჩნდება ისტორიისათვის და ბევრი სასარგებლო“<sup>45</sup>.

როგორც ჩანს, თანამედროვეობა, ყოველდღიური გარემოცხოვრება, რომლის გამომხატველი ჟურნალი უნდა ყოფილიყო, არც „ცისკარის“ რედაქციისათვის და არც მის უმრავლეს თანამშრომელთათვის არ იყო მიზანი. თუ ასეთი შეხედულებისა იყო საუკეთესო წარმომადგენელი 60-იანი წლების წინათობისა, რა უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი მომაკვდავი!

ამ წლების თაობა „ცისკარს“ უყურებდა, როგორც შესაქცევ, სასიამოვნო და დროსგასატარებელ საშუალებას. ეს „ცისკარის“ რედაქტორის ივ. კერესელიძის 1859 წელს დაბეჭდილი განცხადებიდანაც ჩანს. როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ძალაუფლების მქონე ნაწილმა მოლაყბის წერილების გამო უკმაყოფილება გამოთქვა, „ცისკარის“ რედაქტორი აი როგორ განცხადებას ათავსებს: „გარწმუნებთ, რომ რასაც სწერდა უ. მოლაყბე, ყოველივე იყო გამოსული კეთილი გულიდან გულმტკიცეულობით. რა გაეწყობა, ჩვენი ჟურნალი არის საზოგადო, მაშასადამე არის ხმა საზოგადოებისა... უკეთუ მცირედი რამ ვპოვეთ საწყენად მკითხველთა, მაშინვე მოვიხმარებთ ყოველივე დონისძიებას მიზეზის მოსპობისათვის, ამასთანავე ვუბრუნებთ უ. მოლაყბეს ბოლიშით თავის სალაყბო ფურცლებს“<sup>46</sup>.

შესაძლებელია „ცისკარის“ ზოგიერთ თანამშრომელს შეეგნებულეი ჰქონდა, რომ ურიგო არ არის საზოგადოების ნაკლთა მხილება. შესაძლებელია, ზოგიერთი მათგანი ამის სარგებლობასაც-კი აშკარად გრძნობდა, მაგრამ მთლიანად რედაქცია იმდენად უსუსური

<sup>45</sup> ალ. ორბელიანი, მე და ის, „ცისკარი“, 1859 წ., № 7 დაყოფა ჩვენია.

<sup>46</sup> „ცისკარი“, 1859 წ., № 1.

იყო, რომ ყურნალი მუდმივ მონურ დამოკიდებულებას იჩენდა როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი ძალაუფლების მქონე პირებისადმი.

ამის დასახასიათებლად დავიმოწმებთ ალ. ორბელიანის 1859 წლის „ციცკრის“ პირველ ნომერში მოთავსებულა წერილიდან ამონაწერს: „ეს-კი უნდა მოგახსენოთ, — მიმართავს ალ. ორბელიანი თავის მკითხველს, — რათა ვჯავრობთ, როდესაც ჩვენს ნაკლულებას გვეტყვიან რასმეს... იქნება არ ვიცოდეთ, რომ ყოველი ადამიანი თავის თავზე დაბრძანებულია ყოველთვის და თავის ნაკლულებას ვერ ხედავს... არ ვიცი თუ რად ვსჯავრობთ თქმასა. ჩვენზე თუ გნებავთ პირველად ჩემგნით დაიწყეთ: მე დამგმევით, მე ვაღიანებ და, რაც უარესია, დასწერეთ ჩემზედ. დიდად მიამება. ვინ იცის, იქნებ, მეც ბრმა ვიყო ჩემს თავზედ? მაშინ თუ თავს მართალსა ვერძნობ, მოგახსენებთ, თუ არა და სიამოვნებით დავჩუმიდები, ჭეშმარიტად“. ბოლოს, ალ. ორბელიანი ერთგვარი ირონიით ეადმოგვცემს, რომ, როდესაც მოლაყბის წერილებით აღმოვითვალისწინებთ „შეკრებილმა საზოგადოებამ ერთი თავადისაგან გაიგო, რომ „სალაყბო ფურცლის“ დამწერი „ესა და ეს თავადიშვილია და არა კერესელიძეო“, „ამ სიტყვებზე“, — განაგრძობს ორბელიანი, — ცუცხლს რომ წყალი დაასხან, ისე განელდნენ ყოველნი და ერთმანეთს ცქერა დაუწყეს დამშვიდებულის სახით და ბოლოს ერთმა სთქვა სიამოვნებით: — „ჰო, ეგ-კი. იმან რომ დასწეროს, შეეფერება და ამას იქით კიდევ მოვიწონებ მაგ „სალაყბო ფურცელსო“.

ცხადია, ამ დროს ჩვენს მოღუწებულ, ეკონომიურად, და ამის გამო იდეოლოგიურადაც, დარღვეულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული იყო ძალაუფლების ლოჯიკა და ფილოსოფია. წოდებრივი უფლებები და ტრადიციები კვლავინდებურად ურყევი კედელივით ამართულიყო, არ უნდოდა გადაეშვა ამოძრავებული ცხოვრების მკრთალი ტალღა-კი, რათა არ მიეცა საშუალება აემღვრია წოდებრივი, ცრუ თავმოყვარეობა, დაკმაყოფილებული პრივილეგიური კლასის ცხოვრება, რომელიც, ილ. ჭავჭავაძის თქმით, ამ დროს წარმოადგენდა „ხაფს მოკიდებულ ჭუბებს, საიდანაც მეტად ცუდი ოხშივარი ამოდიოდა: კაცს სული შეუგუბდებოდა, გონებას და გულს ობი მოეკიდებოდა. მუხლი, წინ წასადგმელად მოცემული, დაეხუთებოდა... შიგ მრავალი ცხოველი მოჩანდა, მათ შორის ორფეხა ცხოველებიც იყვნენ, რომელთაც ჩვენში ადამიანს ეძახიან. ამ ადამიანებში ნაპღვილი კაცებიც მოჩანდნენ, მაგრამ ძალიან ცოტა. „ამ წუმპეს ქართველები სამასხაროდ ცხოვ-

რებას ეძახიან, როგორც ამ ორფეხა ცხოველებს, რომელნიც შიგ  
ლებიან, ადამიანებს“<sup>47</sup>.

1859 წ. მოლაყბებს გამოესარჩლა „თერთმეტი მებუკე“: 1) მყვი-  
რალა, 2) გადარეული, 3) თავხედი, 4) ყბედი, 5) ავყია, 6) გიჟმაჟი,  
7) ავგულა, 8) ბრაზიანი, 9) დაუფერებელი, 10) რეტიანი და 11)  
მოლაყბე. მათ მკითხველს თამამად და იმ დროისათვის საგრძნობ-  
ლად გაბედულად მიმართეს: „აქამდისინ, -- აცხადებს თერთმე-  
ტი მებუკე, -- საჭიროდ არა ვრაცხდით ჩვენი ვინაობა შეგეტყვოთ,  
ახლა გვიცნობებია, რადგანაც მიზეზი რამ გამხდარა უკმაყოფილე-  
ბისა. ამისათვის უცოდველნი ვიყვნეთ. გვინდა ჩვენი აზრი გამოვს-  
თქვათ, გინდათ დაგვემდურენით, გინდათ, როგორც თქვენი ნება  
იყოს... ამას-კი გეტყვი, ამ მოლაყბეს რომ მოჰკლავთ, მას უკან გა-  
დარეული დასწერს უფრო უარესად და გარკვევით, ამასაც, რომ  
მოჰკლავთ, მერე თავხედი, და ბოლომდისინ ისე ვივლით, მინამდი-  
სინ სულ ერთიანად არ გავგწყყვეთ“<sup>48</sup>.

მაგრამ ეს გამოსარჩლება „თერთმეტი მებუკისა“, ლიბერალუ-  
რი კეთილგანწყობილება აღ. ორბელიანისა და ზოგიერთი სხვისაც,  
თუმცა, რა თქმა უნდა, თავის დროზე მეტად საგულისხმო მოვლე-  
ნა იყო, მაგრამ მაინც მეტად სუსტი და მხოლოდ გამალიზიანებე-  
ლი. ეს გარემოება არამც თუ ვერა სცვლიდა: არამედ საგრძნობ  
კვალსაც-კი ვერ ამჩნევდა საზოგადოების საერთო მოუშზადებლო-  
ბის, ჩამორჩენილობის, გაბატონებული, დრომოქმული წოდებრივი  
ზნე-ჩვეულების ატმოსფეროს, რომელმაც მალე ჩააყმენდინა ხმა  
მოლაყბესაც და სხვა მის თანამოაზრე მებუკეებსაც. უკანასკნელთა  
წინააღმდეგობა, უკეთეს შემთხვევაში, ხანმოკლე და განყენებულ  
„კეთილშობილურ“ მღელვარებას არ სცილდებოდა.

ერთი წლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მოლაყბესა და  
მის მომხრეებს „ცისკარის“ კარები ფართოდ გაუღეს და „მამები“  
(მაგალითად, აღ. ორბელიანი) მათ დაუინებით იწვევდნენ „ცისკარ-  
ში“ სამოღვაწეოდ, მათი ხმა მეტად ფერმკრთალია, კანტი-კუნტად-  
ლა ისმის. 60-იანი წლების დასაწყისშივე თვით მოლაყბეც „მამების“  
ბანაკში მოექცა.

მოლაყბისა და „თერთმეტ მებუკეთა“ გამოჩენა საზოგადოებ-  
რივი მოქმედების ასპარეზზე მაჩვენებელი იყო მხოლოდ იმისა,  
რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სიღრმეში ხდებოდა რა-  
ღაც არსებითი, ძირითადი ცვლილება, რომელიც ჩვეულებრივი

<sup>47</sup> ილ. ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე, კაცია-ადამიანი?, შესავლის IV ვარიანტი, ტ. 2,  
გვ. 354.

<sup>48</sup> „ცისკარი“, გამოსარჩლება, 1859 წ., № 2.

თვალისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა, მაგრამ რომელიც ძველი წყობილების კედელს ასკდებოდა, როგორც წინამორბედი 60-იანი წლების მძლავრი მოძრაობისა და ეკონომიური ცხოვრების ახალი ფორმაციის თანდათანობითი გამომქლავნებისა.

### 3

## ლიტერატურული მიმართულებანი

40—50-იან წლებში ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური პირობებით გამოწვეული გარდატეხა ქართული მხატვრული მწერლობის მიმართულებაშიც საკმაოდ მკვეთრად გამოიქვლინა.

ახალი ქართული ლიტერატურის პირველ პერიოდში რომანტიზმი, როგორც გაბატონებული ლიტერატურული მიმართულება, შესაფერი და ადვილად შესაგუებელი შეიქნა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებისათვის, განსაკუთრებით კი დეგრადაციის გზაზე დამდგარი ქართველი თავადაზნაურობისათვის, რომლის ტყვიანობაც რომანტიზმში ზედმიწევნით შესაბამი განსახიერება ჰპოვა<sup>49</sup>.

40-იანი წლების მეორე ნახევრისათვის რომანტიზმი, როგორც დამახასიათებელი, ძირითადი გაბატონებული სტილი, თითქმის ამოიწურა. ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ქართული რომანტიზმი თავის უმაღლეს მწვერვალზე ავიდა. თვით ბარათაშვილის შემოქმედებაშივე გვაქვს მოცემული ელემენტები ახალი მსოფლმხედველობისა. იმ ეკონომიურ-სოციალური რღვევის პროცესში, რომელსაც 40—50-იანი წლების ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში ვამჩნევთ, ჩნდება ახალი ლიტერატურული მიმართულება, რომელიც ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია რეალიზმის სახელწოდებით.

ცნობილია, რომ ლიტერატურულ მიმართულებათა, თუ ლიტერატურულ სტილთა ცვლას სოციალური გადასაცვლება და გადაჯგუფება უძღვის წინ. ახალი სტილის განვითარებასაც ახალი სოციალური ჯგუფის სამოქმედო ასპარეზზე ფაქტობრივად და მისი აქტიური მოღვაწეობა განსაზღვრავს. ამით აიხსნება, რომ ამა თუ იმ გარკვეულ ლიტერატურულ მიმართულებას გარკვეული კლასისა და მისი იდეოლოგიის ბეჭედი აზის. და ეს ბეჭედი ძირითადია, რომლითაც ერთი ლიტერატურული მიმართულება განსხვავდება

<sup>49</sup> მის. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 1.

მეორისაგან. ყოველ კლასს აქვს თავისი ლიტერატურა, რადგანაც ლიტერატურა მას გამოყენებული აქვს არა მარტო, როგორც თავისი მდგომარეობის ასახვისა და განმტკიცების საშუალება, არამედ, აგრეთვე, როგორც სხვა კლასებთან ხელსაყრელი საბრძოლველი იარაღი. ამიტომ ყოველი გაბატონებული კლასი ყოველთვის ხელს უწყობს თავისი იდეოლოგიის გამომხატველი ლიტერატურის განმტკიცებასა და გაშლას. ამით აიხსნება, რომ იცვლება რა მდგომარეობა კლასისა, ან კლასის რომელიმე ჯგუფისა, მასთან ერთად შესაბამისად იცვლება მისი ლიტერატურაც.

თუ ახალი ევროპის განვითარების ისტორიაში გადავიხედავთ, ჩავუკვირდებით მისი ცხოვრების მსვლელობის პროცესს, დავრწმუნდებით, რომ რეალიზმის განვითარება სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა ვარიაციათ მჭიდროდაა დაკავშირებული ბურჟუაზიის, როგორც კლასის, განვითარებასთან. რეალიზმის განვითარება თავისი სახეებით მჭევრმეტყველური გამომხატველია ბურჟუაზიისა და მასთან დამოკიდებულებაში მყოფი სხვა სოციალური ფენების გამოჩენისა, გამარჯვებისა, თუ დაკნინებისა.

რეალიზმის განვითარება დასავლეთ ევროპაში შეიძლება დავიწყოთ რენესანსიდან და XIX საუკუნის დამლევამდე მოვიტანოთ.

ამ პერიოდის რეალისტური მწერლები უკვე, შეიძლება ითქვას, XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, როგორც მაგალითად, სტენდალი, ბალზაკი, ფლობერი და სხვა, იძლევიან ღრმა სურათს ბურჟუაზიის ცხოვრებისა. განსაკუთრებით ბალზაკი ამ ცხოვრების ასახვას გვაძლევს არა მარტო თავისი მძლავრი დადებითი მხარეებით, არამედ აგრეთვე უარყოფითაც. აი როგორ ახასიათებს ბალზაკის შემოქმედების რეალისტურ მეთოდს ფრ. ენგელსი: „ბალზაკი, რომელიც მე გაცილებით უფრო დიდ მხატვარ რეალისტად მიმაჩნია, ვიდრე წარსულის, აწმყოს და მყობადის ყველა ზოლა, თავის „ადამიანურ კომედია“-ში გვაძლევს საფრანგეთის „საზოგადოების“ ყველაზე უფრო შესანამნავს რეალისტურ ისტორიას. აგვიწერს რა ქრონიკის სახით ზნეჩვეულებებს წლიდან-წლამდე 1816—1848-მდე, თუ როგორ ჰქაჩავდა უფრო მეტად და მეტად აღმავალი ბურჟუაზია თავად-აზნაურთა საზოგადოებას, რომელმაც 1815 წ. შემდეგ ისევ წელში წამოიწია, გასწორდა და, რამდენადაც შეიძლებოდა (*tant bien que mal*) ხელაწლა აღადგინა ძველი ფრანგული პოლიტიკის დროშა; ის აწერს, თუ როგორ დაღუპა, ან როგორ გარყვნა თანდათან მისთვის სანიმუშო საზოგადოების უკანასკნელი ნაშთი ფულის ვულგარული მეტიჩარას შემოტევამ; თუ

როგორ მოხდა, რომ *grande dame*-ამ, რომლის ცოლქმრული და-  
ლატი იყო მხოლოდ თავდასაცავი საშუალება და იგი ღალატი საე-  
სებით შეეფერებოდა მისდამი მიკუთვნილ მდგომარეობას ცოლ-  
ქმრობაში, როგორ დაუთმო ადგილი ბურჟუა დედაკაცს, რომელიც  
ფულისათვის ან სამკაულისათვის იძენს ქმარს. ამ მთავარი სურა-  
თის ირგვლივ ის აგროვებს საფრანგეთის საზოგადოების მიუღ-  
ისტორიას, საიდანაც ეკონომიური დეტალების მხრივაცუი უფრო  
მეტი გავიგე (მაგალითად, გადაჯგუფება რეალური (real) და პი-  
რადი საკუთრებისა რევოლუციის შემდეგ), ვიდრე იმ პერიოდის  
ყველა პროფესიონალი ისტორიკოსის, ეკონომისტის და სტატისტი-  
კოსის ყველა წიგნიდან<sup>50</sup>.

აქ მშვენივრადაა მოცემული არა მარტო ბალზაკის შემოქმე-  
დების დაფასება, არამედ საერთოდ რეალისტი მწერლების მეთო-  
დისა. ბალზაკი თავის რომანებში მკვეთრად გვიხატავს თანამედრო-  
ვე კაპიტალიზმის სოციალური ცხოვრების მექანიკას, რომელშიც  
არსებითად ბურჟუაზიის კრიტიკაცაა მოცემული. რეალიზმი, ბა-  
ლზაკის შემოქმედების მავალით — „ავტორის შეხედულებათა  
წინააღმდეგაპკი მელაუნდება“<sup>51</sup>. ამით აიხსნება ის, რასაც ბალზაკ-  
ში ვერ ხსნიდა მისი მოწაფე-რომანისტი ე. ზოლა, რომელიც გაკ-  
ვირვებული აპობდა: „მიუხედავად იმისა, რომ ყველა შემთხვევა-  
ში მელაუნდება ბალზაკის პატივისცემა მონარქიისადმი, მან მაინც  
აღფრთოვანებული მეგობრები იშოვნა იმ წრიდან, რომლებიც ახალ  
თაობასთან ერთად იცავენ თავისუფლებას“<sup>52</sup>. ამ მოვლენას თვითონ  
ენგელსი მეტად ორიგინალურად და საყურადღებოდ განმარტავს:  
„მართალია, — წერს ის, — ბალზაკი პოლიტიკურად ლეგიტიმისტი  
იყო, იმისი შესანიშნავი ნაწარმოებები განუწყვეტელი ელვგიაა  
მალალი საზოგადოების გამოუსწორებელი რღვევის გამო; იმისი სიმ-  
პათიები სასიკვდილოდ განწირული კლასისაქენაა. მაგრამ მიუხედა-  
ვად ყველა ამისა, მისი სატირა არასოდეს არა ყოფილა უფრო მწვავე,  
იმისი ირონია უფრო მწარე, ვიდრე მაშინ, როდესაც ის ამოქმედებს  
არისტოკრატებს — მამაკაცებს და დედაკაცებს, რომლებსაც ის  
ღრმა სიმპათიით ეპყრობა. ერთად ერთი ხალხი, რომლის შესახებ  
იგი აშკარა აღტაცებით ლაპარაკობს, ეს მისი ყველაზე უფრო დაუ-  
ძინებელი მტრებია, რესპუბლიკის გმირები Cloître Sainte Merri.  
ის აღამიანები, ვინც იმ ღროს (1830—1836) მართლაც ხალხის ნამ-  
ღვილი წარმომადგენლები იყვნენ. ის გარემოება, რომ ბალზაკი

50 К. Маркс и Ф. Энгельс, Об искусстве, 1938 г., гл. 164.

51 Ф. Шиллер, «Энгельс как литературный критик», гл. 101.

52 იქვე, გვ. 105.

იძულებული გახდა წასულიყო თავისი კლასობრივი სიმპათიების და შემცდარი პოლიტიკური რწმენის წინააღმდეგ, რომ ის ხედავდა თავისი საყვარელი არისტოკრატების განადგურების აუცილებლობას და ხატავდა მათ ისეთ ადამიანებად, რომელნიც უკეთესი ხვედრის ღირსნი არ იყვნენ, და რომ ის ხედავდა მომავლის ადამიანებს მხოლოდ იქ, სადაც ამ დროს შესაძლებელი იყო მათი პოვნა, ეს გარემოება მე მიმაჩნია რეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად, მოხუცი ბალზაკის ერთ-ერთ უდიდეს თავისებურებად<sup>53</sup>.

ფრ. ენგელსის აღნიშნული შენიშვნა იმას გვასწავლის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილის ასახვისათვის, ტიპური სახის მოცემისათვის მწერალმა ღრმად უნდა ჩაიხედოს ცხოვრებაში და მოვლენა გვიჩვენოს მისი ფანჯთარების პროცესში. ეს გარემოებაა აღნიშნული ლენინის ცნობილ წერილში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. მათი სახელმძღვანელო გაგების მიხედვით, ხელოვნების მუშაკებს მხატვრული სახეების შესაქმნელად თავიანთ შემოქმედებითს მუშაობაში მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ტიპურია არა მარტო ის, რასაც ყველაზე ხშირად ვხვდებით, არამედ ის, რაც ყველაზე მეტი სისრულით და სიმახვილით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს. მარქსისტულ-ლენინური გაგებით, ტიპური სრულიადაც არ ნიშნავს რაღაც სტატისტიკურ საშუალოს. ტიპურობა შეესაბამება მოცემული სოციალურ-ისტორიული მოვლენის არსს, და მხოლოდ იმას როდი წარმოადგენს, რაც ყველაზე გავრცელებულია, ხშირად მეორდება, ჩვეულებრივია.

ბალზაკის და ამ პერიოდის სხვა რეალისტი მწერლების შემოქმედებაში მოცემული კრიტიკა აიხსნება იმით, რომ მათ შეგნებაში მძლავრადაა გამჭდარი რწმენა ბურჟუაზიული ცხოვრების სიმტკიცისა, სიძლიერისა. ამ რეალისტების კრიტიკას, უფრო-კი თვით-კრიტიკას უსათუოდ თავისებურება ახასიათებს. მათი კრიტიკა ბურჟუაზიული წყობილებისა არ არის პრინციპული კრიტიკა თვით ბურჟუაზიული ცხოვრების დასაბამისა; მათ შეცვლა კი არ უნდათ არსებულისა ან მისი გადაშენება ახალ პრინციპებზე, არამედ, ისინი მიისწრაფვიან არსებულის შესწორება-გადახალისებისაკენ, ცდილობენ ესა თუ ის სასურველი შესწორებანი შეიტანონ, რასაკვირველია, იმ ჯგუფის თვალსაზრისით, რომლის წარმომადგენელიცაა ყოველი მათგანი.

ბურჟუაზიისა და მისი კულტურის ჩამოყალიბება-განმტკიცე-

53 К. Маркс и Ф. Энгельс, Об искусстве, 1938 г., гл. 164.



ბის პერიოდში სხვა სოციალური ფენები თუ კლასები, როგორც, მაგალითად, თავად აზნაურობა, წვრილი ბურჟუაზია, რომელთაც თანდათან მოქმედების ძალა და ასპარეზი ეცლებოდათ, იძულებულნი იყვნენ მსხვილი კაპიტალის წინაშე კაპიტულაცია ეღიარებინათ. მწარე გამოცდილების ზეგავლენით არისტოკრატების და წვრილბურჟუაზიის იდეოლოგებმა თავი დაანებეს რომანტიკულ იდეალიზმს და მსხვილი ბურჟუაზიის წინაშე ქედი მოიხარეს. რომანტიზმი მათ შემოქმედებაში რეალისმით შეიცვალა. როდესაც ისანი სინამდვილემ აიძულა ცხოვრებისათვის თვალლიდ შეეხედათ, მაშინ მათ აშკარად წაიკითხეს თავისი, როგორც კლასის დაღუპვისა და დამცირების განაჩენი, რომლისაგან თავის დაღწევასაც, თუმცა დიდი ხანია ცდილობდნენ, მაგრამ, როგორც დარწმუნდნენ, ვერ მოახერხეს.

ამ ნიადაგზე აღმოცენდა შემოქმედება ფლობერისა, ტურგენევისა, გონჩაროვისა, სალტიკოვ-შჩედრინისა და სხვათა.

სწორედ ამავე ნიადაგზე აღმოცენდა და გააშალა რეალიზმი ქართულ ლიტერატურაში გერის თავისა და თერჯდალეულებისა, რომელთა შემოქმედების შესწავლას შემდეგი თავიდან მკითხველს თანდათანობით განვითარებაში მივცემთ.

## გიორგი ერისთავი

(1813—1864)

### 1

გიორგი ერისთავი ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში ცნობილია ახალი ლიტერატურული მიმართულების — რეალიზმის დამწყებად. ქართულ ლიტერატურაში რეალიზმი, კერძოდ გ. ერისთავის შემოქმედება თავისი დამაბასიათებელი ნიშნებით აღმოცენდა და გაიშალა საქართველოს ცხოვრების ზევით აღნიშნული რღვევისა და ახალი სოციალური გადაჯგუფების ხანაში. ეს ის პერიოდია, როდესაც დაძაბუნებულმა ქართულმა პრივილეგიურმა კლასმა — თავადაზნაურობამ კაპიტულაცია მოახდინა ახალი ეკონომიური ფაქტორის (კაპიტალის) ნიადაგზე წარმოშობილი ბურჟუაზიის წინაშე.

მეფის მთავრობა, კაპიტალიზმის საგრძნობი განვითარების გამო, ქვეყანას მართავდა როგორც ბურჟუაზიისა, ისე თავადაზნაურთა ინტერესების მიხედვით. რუსეთში XVIII საუკუნიდან კაპიტალიზმის თანდათანობით ზრდასთან ერთად, იზრდება ბურჟუაზია, არღვევს ფეოდალურ კლასს და ქედს ახრევიანებს თავის წინაშე. ამ ნიადაგზე რუსულ ლიტერატურაში კლასიციზმს სცვლის სანტიმენტალიზმ-რომანტიზმი და შემდეგ იქ 30—40-იან წლებში ბატონდება რეალიზმი. რუსეთის 30—40-იან წლების ლიტერატურის ძირითადი მიმართულება — რეალიზმი ბურჟუაზიული იდეოლოგიის საფუძველზე ვითარდება და ამ მიმართულებას რუსეთის ლიტერატურის სინამდვილეში უმეტესად თავადაზნაურობის წრიდან გამოსული მწერლები ქმნიან.

ეს გარემოება აიხსნება სწორედ იმით, რომ ამ დროს რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში, კაპიტალიზმის განვითარების გამო, გადამწყვეტი გარდატეხა ხდება.

მსოფლიო ბაზარზე პურის ფასის აწევამ გამოიწვია მემამულ-

ლეთა სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია და კაპიტალიზაცია; მრეწველობა ისე განვითარდა, რომ მძლავრი გავლენის მქონე ძალად გადაიქცა სახელმწიფოშიც და საზოგადოებაშიც და ნახევარზე მეტად თავისუფალ შრომაზე იყო დაყრდნობილი. ფულის ტრიალი გაძლიერდა და კაპიტალიზმის სოციალური ხვედრითი წონა გადიდდა. ერთი სიტყვით, რუსეთი სავაჭრო კაპიტალიზმის სტადიიდან გადაჭრით და გადაწყვეტილად სამრეწველო კაპიტალიზმში გადადიოდა. მოხდა ახალი სოციალური დაჯგუფება. თავადაზნაურობამ, მისმა მოწინავე ნაწილმა, ახალ ცხოვრებასთან, ბურჟუაზიას რომ მოჰქონდა, შეგუების აუცილებლობა იგრძნო და მის წინაშე ქედი მოიხარა.

რუსეთის მთავრობამ, რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ობიექტური პირობების გამო, ისეთი მიმართულება და ხასიათი მიიღო, რომ თავისში ითავსებდა როგორც ახლად განვითარებული კლასის — ბურჟუაზიის ინტერესებს, ისე წარმავალი მსხვილი თავადაზნაურობისას. ეს გარემოება ხელს უშლიდა რუსეთში კაპიტალიზმის ნორმალურ განვითარებას. მაგრამ რუსეთის მსხვილი ბურჟუაზია, რადგანაც ის მაინც უშუალოდ მთავრობასთან კავშირის დაჭერით ახერხებდა თავისი საქმეების წარმართვას, არ ეძებდა ფართო საზოგადოებრივ ასპარეზს. სამაგიეროდ, საშუალო თავადაზნაურობა იძულებული იყო თავისი მეურნეობა კაპიტალისტურ ყაიდაზე გადაეყვანა, რომ თავისი სოციალური და კულტურული სიძლიერე შეენახა. ვინაიდან ბიუროკრატიული რუსეთი დიდი შემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების გულისათვის ადვილად სწირავდა საშუალო თავადაზნაურობის ინტერესებს, ამიტომ საშუალო თავადაზნაურობისათვის ხელსაყრელი იყო ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური წყობის ბურჟუაზიულად გარდაქმნა.

ასე ბუნებრივად ხდება საშუალო თავადაზნაურობის კაპიტულაცია ბურჟუაზიის წინაშე. შეიძლება ითქვას, რუსეთში მთელი XIX საუკუნის მანძილზე, დაწყებული დეკაბრისტებიდან, ბურჟუაზიული ლიბერალიზმისა და რადიკალიზმის მატარებელი თავადაზნაურობა და დემოკრატიული ინტელიგენცია ამ გზით ვითარდება.

ასეთივეა კაპიტალიზაციისა და ბურჟუაზიის მდგომარეობა საქართველოში, რაც, უდავოდ, გამოწვეულია რუსეთთან მისი შეერთებით.

რუსეთის სინამდვილეში გასული საუკუნის 30—40-იანი წლებიდანვე აღმოცენდა და განვითარდა რეალისმი (ა. პუშკინი, ნ. გოგოლი, მ. ლერმონტოვი, ი. ტურგენევა, დ. გრიგოროვიჩი, ა. გერცენი, ნ. ნეკრასოვი და სხვანი). აღნიშნულ წლებში ნიკოლოზის

რეაქციის დროს მომხდარი ფლექსაცთა მრავალი აჯანყების, ე. წ. „ზაპადნიკებისა“ და „სლავიანოფილებისა“, პეტრამეველების წრისა და ბ. ბელინსკის მოღვაწეობის გაშლით შეიქმნა რუსეთის რეალისტური და ფსიქოლოგიური კლასიკური ლიტერატურა, რომელნიაც სჭარბობს პროზა პოეზიას, რომანი მოთხრობასა და ნოველას, კომედია — დრამას.

ამგვარივე (რასაკვირველია, დაახლოებით ამგვარივე) სურათი იშლება საქართველოს ცხოვრების სინამდვილეში და ქართული ლიტერატურის განვითარებაში. 40—50-იანი წლებიდან ჩვენშიც ჩნდება კრიტიკული რეალიზმი (დამწყებია გ. ერისთავი და სხვ., ხოლო 60-იანი წლებიდან მას ანვითარებენ და ამტკიცებენ ე. წ. თერგდალეულნი).

აი, ამგვარი რეალიზმის დამწყებია ჩვენს ლიტერატურაში გიორგი დავითის-ძე ერისთავი.

## 2

გ. ერისთავი ჩვენი მაღალი წოდების წარმომადგენელია, ისიც, როგორც ბევრი სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, მოწმეა საქართველოს ცხოვრების ფადატებისა და მისი ახალი ყოფისა. ის დაიბარა 1813 წ. ქართლის სოფ. ოძისში, წარჩინებულნი თავადის დავით ერისთავის ოჯახში. გიორგი ათ წლამდე დარჩა სოფელში, მამის ოჯახში, დედის მეთვალყურეობის ქვეშ. ალბათ, ნიჭიერსა და მგრძობიარე გიორგის აქ მიეცა საშუალება თვალყური ედევნებინა და გაეცნო სოფლისა და მახლობელთა ცხოვრება. ბავშვობის დაკვირვებანი მას, როგორც შემდეგ მის შემოქმედებაში მქდავანდება, მძლავრად შთაბეჭდია.

1821 წელს გიორგი მშობლებს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიუციათ (სხვათა შორის, გიორგის პირველად აქ, სასწავლებელში გამოუჩენია პოეტური ნიჭი. ცნობილია, რომ ამ დროს ის ახსნაგებს და მახლობლებს უკითხავდა თავის ლექსებს). ეს სასწავლებელი გ. ერისთავს არ დაუმთავრებია, აქ მას დაუყვია ოთხი წელი, რის შემდეგ მისი მამის ბიძას მიტროპოლიტ ვარლამს მისი მშობლებისათვის მოსკოვიდან მოუწერია გაეგზავნათ მისთვის სასწავლებლად ერთ-ერთი შვილი. ასეთივე წერილი მიტროპოლიტ ვარლამს გაუგზავნია ძმისთვის, მირმანოზ ერისთავისათვისაც. 1825 წელს გიორგი და მისი ბიძაშვილი ესტატე გაუგზავნიათ მოსკოვში, სადაც მიტროპოლიტ ვარლამს თავისი ახალგაზრდა ძმისწულები კერძო პანსიონში მიუბარებია.

მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ესტატე ერისთავი ავად გამბ-  
დარა, ექიმებს მიტროპოლიტ ვარლამისათვის ურჩევით ავადმყო-  
ფის სამშობლოში გამოგზავნა. ვარლამს შემინებია და ესტატესთან  
ერთად გიორგიც გამოუგზავნია. მალე გ. ერისთავი ისევ სამშობლო-  
ში ჩამოსულა.

დაბრუნების შემდეგ გ. ერისთავი სასწავლებელში აღარ შევი-  
და. პირველ ხანებში ის უსაქმოდ იყო და ლექსთა-თქმით იჯერებდა  
ფულს. „ეს ის დრო იყო — როგორც ამბობს ი. მეუნარგია, —  
როცა საქართველოში დაბრუნდნენ რუსეთიდან ჩვენებური ახალ-  
გაზრდა ყმაწვილი კაცნი, რომელთაც ჩამოიტანეს თან ქართული  
მწერლობის სიყვარული საქართველოს ბატონიშვილებისა და მათ  
გარეშე პირთაგან შეძენილი პეტერბურგსა და მოსკოვში. ამ ყმა-  
წვილ კაცებს ზედ დაერთო ეს თაობაც, რომელშიც დაიბადა შექდეგ  
ქართული ჟურნალის გამოცემის აზრი. ამათში გიორგი ერისთავს  
პირველი ადგილი ეჭირა“<sup>54</sup>.

მალე გიორგი შევიდა სამსახურში თბილისის გუბერნატორთან,  
ს ტ რ ე კ ა ლ ო ვ თ ა ნ, ხოლო როცა კავკასიის მთავარპარტებლად  
ბარონი რ ო ზ ე ნ ი დაინიშნა, გ. ერისთავი იმის ამაღში გადავიდა.

გ. ერისთავი ამ დროს მთელი თავისი მსოფლმხედველობითა  
და მოქმედებით, როგორც ამის საბუთს, მართალია, ნაწყვეტ-ნაწყ-  
ვეტი, მაგრამ მაინც გარკვეული, ბიოგრაფიული ცნობები იძლევა,  
საქართველოს შელახული უფლებისა და ზნე-ჩვეულებათა აღდგე-  
ნის სურვილითაა გამსჭვალული.

ამ თვალსაზრისით ყველაზე დამახასიათებელი გ. ერისთავისა-  
თვის უთუოდ არის მისი მონაწილეობა 1832 წ. გამოქვეყნებულ  
თავადაზნაურთა შეთქმულებაში.

როგორც ფაქტიური მასალიდან ირკვევა, გ. ერისთავი 1832  
წელს შეთქმულების ერთი უაქტივესი და დიდი ენთუზიასტი მო-  
ნაწილე იყო. ის 1829 წლიდან ერთგვარი შემაერთებელი ძალა გახ-  
და, ერთი მხრით, ბატონიშვილებისა და, მეორე მხრით, ადგილობ-  
რივი თავადაზნაურების, — ფაქტიურად მოქმედ პირთ: ფილადელ-  
ფოს კ ი კ ნ ა ძ ე ს ა და სოლომონ დ ო დ ა შ ვ ი ლ ს შორის.

გ. ერისთავის გატაცება შეთქმულთა იდეებით არა მარტო მის  
პრაქტიკულ მოღვაწეობაში ვლინდებოდა, არამედ მის პოეტურ  
შემოქმედებაშიც. როგორც ზევეთაც აღვნიშნეთ, გ. ერისთავს პოე-  
ტური ნიჭი ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს გამოუმჟღავნე-  
ბია. სამწუხაროდ, 1832 წლამდე მისი შემოქმედებიდან შემოგვრჩა  
მხოლოდ ერთი ნაწარმოები „ო.ს. უ რ ი მ ო თ ზ რ ო ბ ა“, რომელიც

<sup>54</sup> ი. მეუნარგია, გ. დ. ერისთავი, გვ. 20.

დაბეჭდილი იყო სოლომონ დოდაშვილის „სალიტერატურონი ნაწილნი თბილისის უწყებათანის“ 2,3 და 4 ნომრებში. მეხუთე ნომრის შემდეგ 1832 წლის მარტში, სოლ. დოდაშვილის ხსენებული ჟურნალიც დაიხურა. პოემა „ოსური მოთხრობა“ სრულად დაიბეჭდა გ. ერისთავის „ცისკარის“ 1853 წლ. № 4 სათაურით „ზ ა რ ე და ყ ა ნ ი მ ა თ“.

პოემა „ოსური მოთხრობა“ საგულისხმო ნაწარმოებია როგორც თემის აქტუალობით, სადა სალაპარაკო ენით, ისე ხალისიანი ისტორიული შინაარსითა და მისი გაშლით. „ოსურ მოთხრობაში“ გარკვეულად შედგენდება გ. ერისთავის პოეტური ნიჭიც, განწყობილებაც, როგორც 1832 წლის შეთქმულების წევრისა.

„ოსურ მოთხრობაში“ აღწერილია ქართლ-კახეთის გმირული ბრძოლა მე-17 საუკუნეში დამპყრობელ სპარსელთა გასადევნად სამშობლოდან. გ. ერისთავი სარგებლობს როგორც ისტორიული წყაროთი — „ქართლის ცხოვრება“, ისე ხალხური ლეგენდებით. მოთხრობა გადმოცემულია მოხუცის პირით. მოთხრობაში წინ წამოწეული არიან ისტორიული გმირები ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები. ქართველმა ხალხმა თავდადებული გმირების ხელმძღვანელობით შესძლო მტრის საარაკო დამარცხება. გაასწრო მხოლოდ სპარსელთა ხანმა.

განრისხებულმა შაჰ-აბასმა შემოუთვალა ქართლის მეფეს ლუარსაბს ამბოხების მეთაურნი ხელშეკრულნი წარუგზავნა მისთვის. ლუარსაბ მეფემ მოიწვია დიდებულნი — თვით გმირნი — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები. გაიმართა ბჭობა. ყველა შეწუხებულია, მაგრამ ქვეყნისათვის თავდადებული გმირები დამშვიდებული ტონით ასე მიმართავენ მეფეს:

ნუ კსწუხ მეფეო, ანუ რა გავს ღრმად საფიქრელად!  
ვართ მზად ქართლისთვის ჩვენ მარადის სისხლ დასადგრელად:  
ეგრეთ წარგვგზავნეთ, ვითა უთქვამს, ხელბშეკრულნი,  
მამულისათვის როცა ვკვდებით, ვართ მოხარულნი<sup>55</sup>.

ქვეყნის განსაცდელისაგან აცდენის სურვილმა გაიმარჯვა. თავდადებული გმირები ხელშეკრულნი სპარსეთს გაგზავნეს, ქართველი ხალხი მათ ტირილით აცილემს. გმირები მას მხნედ შესძახებენ:

სჯობს მაგ ტირილსა, წინათ ხელვიდეთ,  
ამგვარ საქმეზედ ჩვენ მოგვბაძადეთ,  
შესწირეთ თავი მამულსა მსხვერპლად,

ქართველი გმირების შეუპოვარმა, მხნე გამოამეტყველებამ უფრო გააბრაზა სისხლისმსმელი შაჰ-აბასი. მან მოინდომა ქართველი გმირების მოღუნვა, გატეხა, თავის მხარეზე გადაბირება, მაგრამ ვერასგზით ვერ მოახერხა. მოუღრეკელი გმირები გაბედულად შესძახებენ შაჰ-აბასს:

ნუ ჰგონებ, მეფეე, შეუშინდეთ შენთა სიტყვათა,  
სიყრმით ჩვენითგან სიყვარული გვაქვს მამულისა  
და გარდაწყვიტეთ მშობელთათვის დაღვრა სისხლისა.

მაშა თუ ვითარ გვიწოდებენ მხნეთა ივერთა,  
თუ ვერ გავღვენიო ჩვენის საზღვრით მამულის მტერთა<sup>57</sup>.

შაჰ-აბასმა გმირებს ცალ-ცალკე მიაყენა საშინელი მოწამებ-რივი ტანჯვა, მაგრამ მათი გული მაინც ვერ შეაშინა.

გმირების მსლებლები, ოსი ჩარაშვილი და მთხრობელის პაპის როინის ძმა, მოსალოდნელი წამებით შეშინებულნი, გამოიპარნენ. დაბრუნებულთ დახვდა როინი, რომელმაც გაიგო რა მათი მუხანათური დაბრუნების მიზეზი, ჯერ ძმა მოჰკლა და შემდეგ ჩარაშვილი.

ამის შემდეგ, სისხლის აღების წესის თანახმად, დაწყებული სისხლის ღვრა როინის გვარსა და ჩარაშვილებს შორის. ორივე გვარმა ერთმანეთი ამოწყვიტა ისე, რომ ჩარაშვილებიდან დარჩა მხოლოდ ერთი ბერი ქალიშვილით — ზარეთი და როინის გვარის ნაშთი ვაჟი — ყანიმათ. ამ უკანასკნელს უნდა იძიოს შური, მოკლას ჩარაშვილების ნაშთი ბერი. ყანიმათს გზაში შეხვედება მტირალი ზარე. მათი ეს შეხვედრა სიყვარულით მთავრდება. ყანიმათი სიყვარულმა გაიტაცა. ხელი აიღო შურისძიებაზე. შეყვარებულნი ხვდებიან ერთმანეთს. ერთი ასეთი შეხვედრისას უცნობის ტყვიამ განგმირა ყანიმათი. ზარე ჭკუაზე შეიშალა, დადის და მწარედ მოთქვამს დაკარგულ სატრფოს.

გ. ერისთავის „ოსურ მოთხრობაში“ აშკარადაა ასახული ავტორის იმდროინდელი ოპოზიციური განწყობილება მეფის უხეში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ქვეყნის განთავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლის აუცილებლობა.

შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ გიორგი ერისთავიც, შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად, დატუსაღებულ და გა-

<sup>56</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1853 წ., № 4, გვ. 10—11.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 11—12.

სამართლებულ იქნა. სასამართლოს განაჩენისა და ბ ა რ ო ნ რ ო ზ ე ნ ის განმარტების მიხედვით, გიორგი ერისთავი უნდა გაემწესებინათ სამსახურში რუსეთის როველიმე არმიაში. ნ ი კ ო ლ ო ზ I მოიწონა როზენის აზრი და 1834 წლის 9 იანვარს გიორგი ერისთავი გაიგზავნა ქ. ვ ი ლ ნ ო ს მესამე ქვეითი დივიზიის კომანდირის განკარგულებაში. გ. ერისთავი დამორჩილდა ბედს (რასაკვირველია, როგორც შეთქმულების ყველა სხვა მონაწილე) და დამარცხებული ასე გადაუშლის თავის განცდებს (მეტად დამაზახსიათებელს ამ პერიოდის გ. ერისთავისათვის) მეგობარს სვიმონ მაჩაბელს:

მე აწ სოფელი მოყვასთ მაშორებს  
და მიხზავს კლიტით მამულის კარებს,  
ველარ ვისუნთქავ ჰაერით ტკბილით,  
მისთვის მიბრალე გულით ღმობილით.  
მივალ, გარანაღ სული აქ მრჩება,  
მუნ სევდის ქონი ობლად დამშობების,  
უწყი სოფელი არს სამკვრეტელო  
ველა გახმების, ვით მწვანე მდელთ<sup>58</sup>.

ასეთი გრძნობებით ტოვებს გ. ერისთავი საქართველოს.

ძნელი და მძიმე იყო გადასახლების პირველ წლებში გიორგის მდგომარეობა უცხო ქალაქში. მაგრამ შემდეგ ის შეეგუა პოლონურ ცხოვრებას ვილნოში (პოლონეთის ქალაქია), შეეთვისა იქაურობას (როგორც ჩანს მისი დაწერილი ლექსებიდან), ბევრ პოლონურ ოჯახს დაუახლოვდა, ისწავლა პოლონური ენა (ერთ დროს ვილნოს უნივერსიტეტშიც ლექციებს ისმენდა), დაინტერესდა პოლონური ცხოვრებითა და ლიტერატურით. განსაკუთრებით პოეტმა მიცკევიჩმა მიიპყრო მისი გულისყური. მიცკევიჩის ბევრი ლექსი აქვს მას თარგმნილი.

გ. ერისთავი საქართველოში დაბრუნების შემდეგაც აგრძელებს პოლონელებთან ურთიერთობას, უახლოვდება თბილისში გადმოსხვეწილ პოლონელებს, სარგებლობს რა პოლონური ენის კარგი ცოდნით, დაინტერესებული პოლონელთა კულტურული ცხოვრებით, მასაც დაუინტერესებია პოლონელები ქართველი ხალხის კულტურული ძეგლებით. მაგალითად, ინჟინერ კაზიმირ ლაფჩინსკისთან (რომელიც იმ დროს თბილისში ცხოვრობდა) ერთად ორი წლის განმავლობაში დაჭიმულად უმუშავია შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“. გ. ერისთავს კაზიმირ ლაფჩინსკისათვის პოლონურ ენაზე უთარგმნია „ვეფხისტყაოსანი“.

<sup>58</sup> გ. ერისთავი, თ. სიმონ მაჩაბელს, გამოც., 1884 წ., ყველგან ვსარგებლობთ ამ გამოცემით.



კაზიმირ ლაფჩინსკის თავისი თარგმანი პოლონურ ენაზე დაუბეჭდია 1863 წ. „Biblioteka Warszawska“-ში. კაზიმირ ლაფჩინსკი ქართველ თანამშრომელს მისი თხოვნის თანახმად პერსონალურად არ ასახელებს. ლაფჩინსკი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს უკეთებს საგულისხმო წინასიტყვაობას, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: „ვეფხისტყაოსანი“ პირველი ქმნილება არის ქართველების პოეზიაში, რომელსაც არა სცნობს ჯერ აქამდე ქვეყანა. აქამდის, როგორც ვიცი, ზოგიერთი ნაწყვეტები გადმოთარგმნილი არის ფრანკო-რუსულ ენაზე და რუსულ ენაზე. მე რომ ვთარგმნი ამ პოემას, ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელიც გვმსახურებს დასამეგობრებლად პრომეტეის სამშობლოს ქვეყნისა. ეს აზრი, რომ თვით უპირველესი პოეზია შეიქნა გირაოდ ჩვენი მეგობრობისა, იყო ხელმძღვანელი განათლებულის ქართველისა<sup>59</sup>. იმის გვარს არ ვახსენებ, იმისთვის, რომ თვითონ არ ინება, რომელიც მთელი ორი წელიწადი მითარგმნიდა თავის საყვარელ პოეტის ქმნილებას... ასე, რა ვთარგმნე პოლშურ ენაზე, ჩემო ვეფხისტყაოსანო, ჩემო ნუგეშისმცემელო, გაპოლიაკებულო, გამოდი ქვეყანაში! მე დიდად მსურს, რომ რამდენიმე გული მხურვალე პოლიაკისა შეაჩუყო და შეაყვარო საქართველო!“<sup>60</sup>.

გადასახლებაში, როგორც ჩანს, გ. ერისთავი განაგრძობდა ქართული ლექსების წერას. ამ პერიოდშიც გ. ერისთავი იმავე განცდების (ეროვნულის, დიდებული წარსულის, ეშხაანი სიყვარულის) გამოამყვანებელია.

მაგალითისათვის ავიღოთ რამდენიმე ნაწყვეტი-ნიმუში:

„ყ ა ბ ა ხ ი ს ა დ მ ი“.

შენსა პირზედა ვკითხულობდი დროთა ძველთ წარსულთ,  
 შენზედ სწერია მოთხრობანი გმირთა დიდებულთ,  
 შენ შთამბერვიდი ჩემსა შორის ივერთა ტრფობას,  
 და ჩანგზე დაკვრით დაეიწყებდი მამულის მკობას.

დახშული კარი მამულისა რომ განმელების,  
 რომე ერთ-გზისცა კვლავ მეღირსოს შენზედანვე სვლა.  
 თუ მოაჩირთ ლეილაცა განმიღიმებდის —  
 უბრვე მოვკვდი, შენ საშუალ მეღირსოს დაფვლა.

გ. ერისთავი ამ პერიოდში კვლავ ივანიცდის ჩვენი რომანტიკოსი მწერლების — ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა და გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ფავლენას. სევდა-მქმუნვარება, ვნებიანი ტრფიალება მასაც აწვალელებს და ეს ხომ ბუნებრივია. გ. ერისთავი ქართველ რომანტიკოს-

<sup>59</sup> ურნ. „ცისკარის“ რედაქტორის შენიშვნით, „აქ იგულისხმება გიორგი ერისთავი“.

<sup>60</sup> იხ. ურნ. „ცისკარი“, 1870, № 6, გვ. 261.

სებთან იყო დაკავშირებული, ყოველ შემთხვევაში, თავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველ პერიოდში, და ეს მის პოეტურ შემოქმედებაშიც ბუნებრივად აისახა. მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს, მაგალითად, ლექსიდან „გ უ ლ ს“:

საბრალო გულო, რად მღელვარებ ტრფობისა ვნებით.  
სულს რათ უშფოთებ, დაუტევე, ჰყავ განსვენებით.  
რად არა უსმენ შენსა მრჩეველს ცივსა გონებას.  
ნუ ელი ტრფობას, მისთა ბაგეთ ზედ დაკონებას.  
სჯლო, ნუ უსმენ, შემცდარია საწყალი გული,  
ბევრჯელ შეშლილა, ვნებათაგან არს დაჩაგრული;  
ამა სოფელსა, უგრძნობელსა, როს დამზობილი,  
შენთვის სხვა სული მეპასუხედ არ არს შობილი.

გ. ერისთავის ამ პერიოდის შემოქმედებისათვის, გარდა აღნიშნული ელეგიური ჟანრისა, დამახასიათებელია სატრფიალო ლექსები — მიძღვნა, ლექსი-ალბომში. ნიმუშისათვის მოვიტანთ ნაწყვეტს ლექსიდან „თეოდოსია მირეცქას“:

მითხარ, ტურფავ, რად უჩივი, რაღა ჰყვედრი სიყვარულსა?  
ნუ არწმუნებ, ნუ აშინებ, ამგვარ აზრით ჩემსა გულსა.  
ჯერ შენ აგრე ყმაწვილი ხარ, არა მჯერა შენი გული  
უდროოდა ვითომ იყოს ტრფობისაგან დაჩაგრული;  
სიკაბუჯე შენი მთვარეს ჯერეთ ახალს ემსგავსების,  
სიტურფე და ელვარება ყოველს ჟამსა ემატების.  
გრწმენის ჩემი, მზისა სხივიც მაშინ ბნელად გეჩვენების.  
.....  
მაგრამ დღეს კი გამოვიცან შენი ეგრე ჰმუნვარება.  
გულს სურს ტრფობა და ეშინის, — ეს არს მისი მღელვარება.  
გული შენი არის ჯერედ გაუშლელი ტურფა ვარდი.  
ღლის მას ჟამს, ოდეს მზისა მას დახედავს შარავანდი.  
მოვა ჟამი, შენც გეწვევა ტრფალისა მშვენი თვალი,  
ალარ ჰყვედრი სიყვარულსა, როს აღგეგვზნის ტრფობის ალი.

ან კიდევ ლექსიდან „როზალია ბიშპინგის ქალი“.

როს ამა სოფელს მე სიტკბობება  
მსურდა შემესვა ტრფობის ფიალით,  
ვერ ვასწარ ბაგით მასზედ წაფება,  
ვითა გამიქრა უხილავ ძალით.  
ვით მოჩვენება გრძნეულებისა,  
ვითა ოცნება, ვითა სიზმარი,  
დრონი განცხრომის, ნეტარებისა,  
განმიქრენ, ვითა ღამის ლამპარი.

ყველა ეს მოტივი ნაცნობია ჩვენთვის. ეს მოტივები გიორგი ერისთავზე უფრო მკვეთრად და ნიჭიერად თავიანთ შემოქმედებაში ჩვენმა რომანტიკოსმა მწერლებმა ასახეს. გარდა ზემოაღნიშნული ქართველი მწერლების გავლენისა, ამავე პერიოდში გ. ერისთავის შემოქმედებაში ვხედავთ სხვა ქვეყნის რომანტიკოსი მწერლების გამოძახილსაც. მაგალითად ა. მიცკევიჩისა, ვ. ჰუგოსი, მ. ლერმონტოვისა და სხვათა.

როგორც ყველა ამ მწერლის გავლენა, შინაურისა და უცხო-სი, ისე თავისი ნიჭი გიორგი ერისთავმა ერთი მთავარი განცდის, ერთი უმძლავრესი ტკივილის, მისთვის სათაყვანებელი ქვეყნის გარშემო დაწინა. ეს ქვეყანაა, როგორც მწერალი ამბობს:

სად დავიბადე, სად აღვიზარდე, სად ვიყავ ჩჩვილი,  
სად სიჭაბუკის განვატარე ღღენი ნეტარნი,  
სადაც მსუროდა მომეწყვიტა ტრფობის ყვაილი,  
გლახ მის მხარისთვის მეფრქვევიან ცრემლნი მღუღარნი<sup>61</sup>.

და ესეც ხომ ნაცნობია ჩვენი რომანტიკოსი მწერლებსათვის. 1838 წ. აგვისტოს დამლევს გ. ერისთავი საქართველოში დაბრუნდა ჯერ ერთი წლის შევებულებით, ხოლო შემდეგ, 1841 წელს ანებებს თავს სამხედრო სამსახურს და საბოლოოდ ბრუნდება საქართველოში. გ. ერისთავი ერთხანად იწყებს სამსახურს გორის სამაზრო მმართველობაში, ხოლო შემდეგ თავს ანებებს სამსახურს და ჩადის თავის სოფელში. ცხოვრობდა მამულში და განაგრძობდა მწერლობას. გ. ერისთავს თავის შემდეგ ნაწარმოებებში (ვგულისხმობთ მის კომედიებს) ახალი თაობის, განსაკუთრებით ბეგლარის სახით, ვფიქრობთ, გამოყვანილი ჰყავს თავისი თავი. სხვათა შორის, რუსეთიდან ბეგლარის („დავა“) სოფელში დაბრუნების შემდეგ წარმოთქმული სიტყვები:

ღღეს ვგევარ აწ მე ახალ შობილსა,  
ვხედავ რა სახლსა ჩემის მშობლისა.  
ღღეს ვიწყებ ახლად სოფლის ცხოვრებას,  
და მისთა ვნებად ზღვის მღელვარებას.  
უნდა ვიბრძოლო ღელვაში ნავით,  
უსვა ნიჩაბი მე სუსტის მკლავით<sup>62</sup>.

მოწმობენ თვით ავტორის, გ. ერისთავის მოწოლილ განცდებს და იმ გარდატეხას, რომელიც მოხდა მის მსოფლმხედველობაში საქართველოში დაბრუნების უამს. ამ სიტყვებში განსახიერებულია გ.

61 გ. ერისთავი, უცხო ქვეყნის კაცი, გვ. 71.

62 გ. ერისთავი, დავა, გვ. 185.

ერისთავის განთავისუფლება რომანტიკული განწყობილებისაგან, მისი მთლიანად მობრუნება სინამდვილისაკენ, რაც შედეგია იმ ფერცვლილი შინაური ცხოვრებისა, რომელიც გ. ერისთავისათვის უფრო თვალსაჩინო და მძლავრი შეიქნა ახლა რამდენიმე წლის განშორებისა და უცხო პოლონურ და, მისი საშუალებით, კაპიტალისტურ კულტურასთან ახლო მისვლის შემდეგ. ამის შემდეგ მან საკმარისად მწვავედ განიცადა ძველი, დრომოკმული, ხავსმოკიდებულ ტრადიციის უარყოფითი ძლევამოსილება, საქართველოს ცხოვრების ჩამორჩენილობა, მისი ახალ დროსთან და მოთხოვნილებებთან შეუფერებლობა.

აქედან, მართლაც, იწყება ი. ერისთავის ახალი ცხოვრება, მოვლენათა ახალი გაგება და ამასთან დაკავშირებით მისი პოეტურა ჩანაგვიც ახალ ყაიდაზე უღერას იწყებს.

გ. ერისთავი ახლა შინ თუ გარეთ გაგონილით, ნახულით, გაცნობილით აშკარად რწმუნდება კაპიტალიზირებული ქვეყნის უშირაატესობაში, შინ დაბრუნებით და აქაური ცხოვრების კვლავ გაცნობით უფრო რწმუნდება, რომ საქართველოს მდგომარეობა დრონოკმულია, ჩამორჩენილია, კატასტროფიულია, რომ საჭიროა კაპიტალიზმის წინაშე ქედის მოხრა, საჭიროა მასთან შეფუების გზის გამონახვა. ამ მხრივ რუსეთის ლიბერალურ-საზოგადოებრივი ცხოვრების გზა მისთვის და ჩვენი თავადაზნაურობის მოწინავე ინტელიგენციისათვის ხელსაყრელი შეიქნა.

გ. ერისთავმაც იგრძნო, რომ „ძველზე ტირილი“ აღარ გამოდგება, საჭიროა ახალი გზის, ახალი ცხოვრების მაჩვენებელი ვარსკვლავის გამონახვა და მისი მიყოლა. საჭიროა კაპიტალიზმთან შეზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა ილუპება, ვინაიდან ის ნიადაგგამოცლილია და ჰაერში ჩამოკიდებულსა ჰგავს.

ამრიგად, გ. ერისთავი ქვეყნის გადაარჩენას კაპიტალიზმთან შეგუებაში ხედავს.

სწორედ აქედან იწყება გ. ერისთავის შემოქმედების ახალი პერიოდიც, საიდანაც ის რეალიზმის დამწყებად მოჩანს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

გ. ერისთავმა ცხოვრების ახალ გაგებასთან ერთად მიიღო ახალი ლიტერატურული მიმართულებაც — რეალიზმი. უარყოფითი პირველი პერიოდის შემოქმედების რომანტიკული ლიტერატურის უანრები, როგორცაა: ელეგია, მიძღვნა, ლექსი ალბომში ჩაწერილი და სხვა. დატოვა აგრეთვე ამ პერიოდისათვის დამახასია-

თებელი მოტივები: ძველის დიდება, სევდა-ნაღველი, წუწუნის, ტრფიალება და სხვა. საჭირო იყო ახალი ცხოვრების ნიადაგზე შექმნილი ახალი ფსიქოლოგიისათვის და მსოფლმხედველობისათვის შესაბამისი ლიტერატურული ქანრები, შესაბამისი მოტივები. ბურჟუაზიის წინაშე თავდაზნაურობის კაპიტულაციის პროცესში ქედმობრლი კლასისათვის დამახასიათებელია იმედგაცრუებულობა, სევდა და მწუხარება, მტკივნეული შეგნება გამოუვალის მდგომარეობისა. ეს მას აიძულებდა გამოეაშკარავებინა წარაულის იდეალიზაციის უნიადაგობა ახლა და ამგვარი ილუზიების მავნებლობა. ამის ნიადაგზე გაჩნდა და განვითარდა ქანრი საყოფაცხოვრებო კომედიები და სატირისა.

ჩვენს ლიტერატურაში 40—50-იან წლებში ახალი დროისა და მოთხოვნილებისათვის შესაფერი ქანრები აღარ არსებობდა. ამისთანა შემთხვევაში მწერლები ისესხებენ ზოლმე მეზობელი ერების მონათესავე, ან ანალოგიური კლასების ლიტერატურიდან.

გ. ერისთავის შემოქმედებაშიც სწორედ ასეთს მოვლენასთან გვაქვს საქმე. მას რეალისტური გზის გაკავებაში ქართული ლიტერატურის სინამდვილეში, უდავოდ, რუსი მწერლების (ფონვიზინის, კაპნიტის, გრიბოედოვის, გოგოლის, პუშკინის) და ფრანგი მწერლის (მოლიერიის) შემოქმედება დაეხმარა. ამათი მიხედვით, რომელთა ფსიქოლოგია და მსოფლმხედველობა გ. ერისთავისას ენათესავებოდა, მწერალმა ადვილად გამოიწა შესაფერი ქანრი ახალი დროის ტიპილებისა და მოთხოვნილებების ასასახავად. ეს ქანრია საყოფაცხოვრებო კომედია, რომლითაც გ. ერისთავი ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში.

გ. ერისთავი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ახალი პერიოდის ჭიშკარში დგას როგორც თავისი მსოფლმხედველობით, მისწრაფებებით, ისე პოეტური შემოქმედებით. მისი პოეტური შემოქმედების მიმართულება — რეალიზმი, როგორც ხაზგასმით უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ახალი ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით გამოწვეული მიმართულების დამწყებია.

გ. ერისთავმა შექმნა როგორც ორიგინალური დრამატიული ნაწარმოებნი: „შეშლილი“, „დავა“, „გაყრა“, „ძუნწი“, ისე გადმოაკეთა-გადმოთარგმნა: „უჩინმაჩინის ქული“, „თლისმის ხანი“, „წარსულის დროების სურათები“, „ყვარყვარე ათაბაგი“. გადმოკეთებულ-გადმოთარგმნილ ნაწარმოებთაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების იერი თუ კოლორიტი ახასიათებს.

რა უნდა ყოფილიყო მთავარი საკითხი ასეთ ხანაში ასეთი მსოფლმხედველობის მქონე მწერლისათვის?

რასაკვირველია, უმთავრესად მძლავრი სოციალური რღვევა და რღვევის პროცესში აშლილი ტკივილები, — გაყრა ძველისა და ახლისა, ძველი საქართველოს, თავისი დრომოქმული ზნე-ჩვეულებებით, გაწირვა და ახალი ცხოვრების დაწყება; ამ რღვევის ნიადაგზე ახალი სოციალური ფენების განვითარება. ეს იყო, რაც უპირველესად რეალისტ მწერალს უნდა დაენახა და აესახა. ეს თემა, მართლაც, გ. ერისთავისათვის შეიქნა ღერძეულად შემოქმედების მეორე პერიოდის მთლიან მანძილზე.

ამ მხრივ, გ. ერისთავი ჩვენი მაღალი წოდების, თავადაზნაურობის დეკადანსის ნიჭიერი მხატვარია. მან თავის კომედიებში ჩვენი დანაივებული და სასიკვდილოდ გამზადებული ცხოვრების დამახასიათებელი თვისებები ცოცხალ და მეტყველ სახეებში გამოჰქედა.

გ. ერისთავი ერთი პირველთაგანია, რომელმაც არა მარტო იგრძნო ძველისა და ახალი ცხოვრების გაყრის ტკივილები, არამედ დაინახა, აითვისა, შესძლო თავის შემოქმედებითა ლაბორატორიაში მისი გადამუშავება და მკვეთრი, ნიჭიერი რეალური სურათის გადაშლით მოცემა თავისი დროისათვის ღიკსშესანიშნავ კომედიებში.

გაყრა, ძველის რღვევა, ახლის შემოჭრა, ახლის ზრდა, მათ შორის უთანხმოება, ხშირად სრულ გაუგებრობამდე და წინააღმდეგობამდე მისვლა, ჩვეულებრივი და საერთო საკაცობრიო განვითარების ინტორიაში ბუნებრივი მოვლენაა. ამგვარ ჭიდილში, ძველისა და ახლის გაყრასა და ბრძოლაში იწინდება კვირტი ამა თუ იმ ხალხის თუ კაცობრიობის ცხოვრების წინმსვლელობისა, პროგრესისა. თაობათა შორის ბრძოლა ეს ის დაჭიმული პერიოდია, რომელიც საშინელ ტკივილებში ამზადებს მომავლის შობას და კაცობრიობა უკეთესი ცხოვრებისაკენ მიჰყავს.

წინააღმდეგობა და შეუთანხმებლობა, გაყრის პროცესში რომ იჩენს ხოლმე თავს, ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებებით ვითარდება. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში 40—50-იან წლებში, როგორც ზეერთაც აღვნიშნეთ, საკმარისად მძლავრი გარდატეხის ხანაში, ბუნებრივია, რომ გ. ერისთავის შინაგანმა ხედვამ უმთავრესად და უფრო მტიკივნეულად სწორედ ეს თაობათა შორის გაყრა, „მამათა“ და „შვილთა“ შორის უთანხმოებისა და ბრძოლის დასაწყისი დაინახა. ამის გამო მისმა შემოქმედებებმა ნიჭიერ ჩვენი ცხოვრების ეს მხარე გადაშალა. პოლონეთიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი ცხოვრების დაკვირვება და შესწავლა მის დაკვირვებულ გონებასა და თვალს აშკარად ეუბნებოდა, რომ ძველი საქართველო თავისი სპეციფიკურობით უკვე განწირულია და უფსკრულისაკენ

მიექანება — მას ხსნა აღარ აქვს, ვინაიდან ძველ მსოფლმხედველობას, ძველ ტრადიციებს და ძველ სოციალურ ურთიერთობას საფუძველი, დასაყრდენი გამოეცალა. ახალი ეკონომიური ფაქტორი (კაპიტალი), ევროპაში რომ გამარჯვებულია, მოაწვა საქართველოს რუსეთით, გზას იკაფავს, ძველს ანგრევს. ამ ნიადაგზე ძველი თაობა შინაარსეულად ცარიელდება, ნადგურდება, ღატაკდება როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივად. მოდის ახალი თაობა, ახალი ფენა, ახალი ფორმაციის ინტელიგენცია — „შვილები“, რომელთაც კაპიტალიზმთან შეგუების აუცილებლობა იგრძნეს. მართალია, ესენი ჯერ მეტად უზნებრობის არიან, მაგრამ შედარებით „მამებთან“, რასაკვირველია, უფრო საღი. ამათთან ერთად ცხოვრების სარბიელზე, კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე, ჩნდება ახალი ფენა — ჩ ა რ ჩ ი ვ ა ჯ რ ი ს სახით.

ასეთია იმდროინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სურათი.

## 5

გ. ერისთავმა თავის საუკეთესო კომედიებში: „გაყრა“, „დავა“, „შეშლილი“, „ძუნწი“ ნიჭიერად გადაშალა 40—50-იანი წლების ჩვენი ფერცვლილი ცხოვრება და ამ ცხოვრების წიაღში ახალი სოციალური გადაჯგუფება თუ დაჯგუფება.

გავიცნოთ, როგორ ეხატება გ. ერისთავს ყოველი მათგანი ცალ-ცალკე და ერთმანეთთან ურთიერთობაში.

გ. ერისთავი გრძნობს და ხედავს, რომ ძველმა კარჩაკეტილმა ნატურალურმა მეურნეობამ და მასზე აღმოცენებულმა ხანგრძლივმა მზამზარეულმა ცხოვრებამ ქართველი პრივილეგიური კლასი, თავადაზნაურობა დააყენა, დააწვრილმანა, გონება და ზნეობა დაუჩლუნგა, ცხოვრებას ჩამოარჩინა, დაღუპვის გზაზე დააყენა. თავანდუყაფარ დიდებულძე, მისი ძმა პავლე მეუღლე მაკრინეთი („გაყრა“), ამირინდო დახელი მეუღლე სიდონიათი, ონოფრე ხარაძე, ჭიორელი („დავა“), ანახანუმ. ი. თავისი დობილებით („შეშლილი“) და კიდევ მრავალი სხვა ცოცხალი ვალერუაა, ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან ამოღებული სწორედ იმ რღვევის ხანაში, როცა გ. ერისთავის მოღვაწეობის მთავარი პერიოდი იშლებოდა.

ძველი თაობაც აშკარად ხედავს, რომ „დრო გამოიცვალა“, ძველი ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც აქამდის ურყევი იყო. შეირყა, ცხოვრებას ფერი ეცვალა. ძველმა თაობამ ამ დროს, 40—50-იანი წლებში გარკვეულად იგრძნო, რომ ყველა ამან მისი ეკონომიური

კეთილდღეობა შეარყია, რომ მას ნიადაგი თანდათან ეცლებოდა. ამ ეკონომიური ნიადაგის გამოცლა ძველი თაობისათვის უფრო თვალსაჩინო მაშინ შეიქნა, როდესაც ძველის წიაღში გაჩნდა მისი მოწინააღმდეგე, მისი „დამლუპველი“ ახალი სოციალური ფენა — ვაჭარი (ბურჟუა) და მის წიაღშივე წარმოშობილი ახალი მსოფლმხედველობის თაობა „შვილების“ სახით.

შვილები, აღზრდილნი რუსეთში, ახალ ევროპულ კულტურაზე, ველარ ეგუებიან ძველი თაობის შეხედულებებს, ზნე-ჩვეულებებს, საერთოდ მის კულტურას. მამების ვიწრო შემოფარგლული ცხოვრების ასპარეზი შვილებს ველარ აკმაყოფილებს. უფროსის ძველებურ ბრმა და ყურმოჭრილ შორჩილებას, მის ძალაუფლებას ახალი თაობა აღარ იზიარებს. ამიტომ გაყრას თხოულობს ანდუყაფარის ნასწავლი ძმა „თერგდალეული“ — „რუსეთში“ ივანე („გაყრა“). ანდუყაფარს, ფეოდალური ურთიერთობის ნატურალური მეურნეობის ნიადაგზე აღზრდილს, მიჩვეულს უანგარიშო მბრძანებლობასა და მზამზარეულად სხვის ხარჯზე ცხოვრებას, ივანეს ასეთი მოთხოვნა ილება, განსაკუთრებით, როდესაც ის რწმუნდება თავის უნიადაგობაში, ძალის უქონლობაში, თავზარს დაცემს. ანდუყაფარი გრძნობს, რომ გაყრით შეილახება როგორც მისი ეკონომიური კეთილყოფა, ისე მისი ტრადიციული თავმოყვარეობა. უკანასკნელს ის უფრო მტკივნეულად განიცდის. ამიტომ ძმის ეს მოთხოვნა ილება მას უნდა გააბათილოს ძველი პატრიარქალური ტრადიციების ძალით, ლოგიკით. „აი ოჯახის დაღუპვა, — აღშფოთებული ამბობს ანდუყაფარი, — გვარის დამცირება! გაზარდეთ ყმაწვილები რუსეთში, კარგს რასმე სწავლობენ!.. აღარც ძმის სიყვარული, აღარც ნათესავისა, არც დედმამისა... სახლები არ ვარგაო, გამეყარე, ცალკე უნდა ვიცხოვროო. ჰო, რა ცუდი დრო არის ოჯახებისათვის! ტყუილი-და არის, უნდა გავეყარო. გავეყარო და რაღა ვიქნები? აი თუ მტერი ნიშანს მომიგებს“... და ოხვრით იტყვის:

ჰეი, ოჯახო, კარგო ოჯახო,  
შემდეგ გაყრისა ვის დავენახო?  
ახ, ველარ დაცემ კარავსა მკაში,  
უნდა ვიმალო შე მამითადში!..

ანდუყაფარი იმას სწუხს, რომ ყველაფერი ეს, მისი დიდების გამომხატველი, მას ახლა უნდა მოეშალოს, ზვარიც უნდა გაუყონ, რადგანაც „თერგდალეული ძამია“ ილაჯს უწყვეტავს, აღარ ასვენებს, „არ იშლის გაყრას“.

მავრამ ანდუყაფარისათვის ყველაზე სავალალო, ყველაზე უც-



ნაური ის არის, რომ ეს „თერგდალეული ძმა“, როგორც ის სევდა-ნარევი სიცილით ამბობს:

ზვარში აპირებს ვაზების დაჭრას.  
ვაზების წილად თუთების ჩაყრას.

ნასწავლი ძმის სურვილების შექრა დიდებულისაგან პატრიარქალურ ოჯახში ყველას მეზივიტ დაატყდება თავს. ახლა ეს ძველი თაობა პირისპირ დგება შემოჭრილი ახალი ცხოვრების წინაშე და გრძნობს, რომ ბრძოლა მასთან შეუძლებელია. როდესაც ანდრეუაფარი ამ გაყრის ამბავს თავის მოურავს ბარამს გაუშედავენებს და ბარამის შეკითხვაზე: „როგორ ვერა მოგიხერხებით რა?“ ის თავისი სისუსტისა და უნიადაგობის შეგნებათ ნაღვლიანად უპასუხებს: „რა ვქნა, ძმაო, არა შერება. რა გაეწყობა, ვერა მომიხერხებია რა, რუსული კარგად იცის, რუსის დიდკაცებთან დადის, მერე ჩემი რძალიც იმისკენ არის“. არ მიიღებს ანდრეუაფარი არც ბარამის შემდეგ რჩევას: „შევაწროთ კაცებში ფული, ერთი ოთხასიოდ თუმანს აკრეფთ ზელად. ოთხასის თუმნით აბა რას ბრძანებ, შენი ჭირიმე, თავის დღეში გაგვყრიან?!“ ანდრეუაფარი გრძნობს, რომ ის უძლურია. ძმას, ახალი ცხოვრების უფლებებით აღჭურვილს, ის ვეღარ შეებრძოლება. ამიტომ ის იმედგაცრუებულის ტონით ეუბნება ბარამს: „ვთქვათ, ორი წელიწადი არ გაგვყარეს, მერე ხომ უნდა გაგვყარონ“. და ეს ტყვიელია ადამიანისა, რომელმაც ახალ ცხოვრებასთან შეგახებაში მხოლოდ ნიადაგამოცლილობა იგრძნო, თავისი სისუსტე დაინახა, თავის უილაჯობაში დარწმუნდა. ეს დამორჩილება გამოწვეულია შეუცნობელი ინსტიტუტური შიშით, რომელიც შეადრწუნებს მამებს, რადგანაც ოჯახის ეკონომიური კეთილდღეობის შერყევას ხედავენ. ისინი მომავალი საშიშროების წინაშე ქედმოხრილნი იფანტებიან.

დიდებულისაგან ოჯახის ძველი თაობის წარმომადგენლებში მოცემული გვაქვს არა ახალი ცხოვრების წინაშე ქედმოხრილი თაობა, არამედ ახალი ცხოვრებისაგან დაბეჭილი, განადგურებული, შინაარსეულად დაცლილი თაობა, რომელიც შიშის, მომავალი ცხოვრების შიშის ზარს აუტანია, რომელსაც შეგუება არ უნდა და, რომ კიდევ მოინდომოს, ვერ მოახერხებს.

დიდებულისაგან ოჯახის წევრების — ძველი თაობის წარმომადგენლების დაჯინებული, უშინაარსო, დაწვრილმანებული ფსიქოლოგია, ეკონომიური დაქვეითების შედეგად გამოწვეულ შიშზე გაშლილი, მშვენივრად მოცემული გ. ერის თავის მიერ ძმების გაყრის მომენტში. ყოველი მათგანი ცდილობს თავისკენ მეტი მიითვისოს, მეორე მოატყუოს, არადა დაერიდოს.

საინტერესოა მაკრინეს, პავლე დიდებულის ცოლის, სახე. ახალი ცხოვრების წინაშე, ნიადაგამოცლილობით გამოწვეულმა შიშმა, მაკრინე „სატანად“ გადააქცია. ოღონდ-კი გაყრის მომენტისათვის მედიატორი რამაზი თავის მხარეზე გადაიბიროს და ამისათვის ის არაფერს არა ზოგავს. ცბიერებით, ალერსიანად ელაპარაკება რამაზს, რომელსაც მისი ქალი ნინო მოსწონს. აგრძნობინებს, რომ ისიც სწორედ მისთანა სასიძოს ეძებს: „ძნელი ეს არის, შემდეგ გაყრისა კარგი მოშენება და მოვლა უნდა სახლსა. როგორც მოგეხსენებათ, უთაურობა ძნელია. ნეტავი ასეთი საქმრო უშოვო ჩემს ქალს და შეიყვანო სახლში“... და როცა დაატყობს, რომ რამაზის გულს მაკრინეს სიტყვები სწორედ ისე მოხვდა, როგორც თვითონ ის უმიზნებდა, ღიმილით კიდევ უმატებს: „ერთი სიტყვით, თუ თქვენსავით კარგად არ ეცოდინება კანონები, რაც უნდა დიდის კაცის შვილი, ყმა და მამულის პატრონი იყოს, არ მიეცემ“. გათავდა, რამაზისათვის მეტიც აღარ იყო საჭირო, მაკრინემ თუ უკვე ჩაიჭირა ხელში და გამოიყენებს კიდევ. მაშინ, როდესაც ის პირს უკან, სრულიად გულწრფელად ამბობს: „მედიატორად ვიჩიე, ვატყუებ, აგება ჩემსკენ იყოს, თორემ ყარდაშვერდს გოგოს არ მიეცემ“-ო.

ეს და ავგვარი გარემოება აძლევს უფლებას უძლურ, ფექსავატ, მცონარე, ნადირობაზე გადამკვდარ პავლეს იამაყოს ცოლით, მისი „გონებამახვილიანობით“. „ჩემ მაკრინეს სატანაც ვერას დასტყუებს... ვითომ ენაზე ჭალი მოედება თუ?.. ისე დაუკრავს, როგორც ჩონგური“, გულუბრყვილობით-კი არა, არაქედ ჭკუამოდუნებულობით ეუბნება პავლე რამაზს. პავლე იმის იმედით, რომ მის ცოლს, მაკრინეს ვერავინ მოატყუებს, მისი ცოლი ყველგან. თუ სიმართლით არა, ცბიერებით მაინც თავისას გაიტანს, მუშაობას და ყოველგვარ სერიოზულ აზროვნებას მზამზარეული ცხოვრების გამო (ბატონყმობისა და შემდეგ ასეთი ცოლის მეოხებით) შეუჩვეველი, ოჯახზე ყოველივე მზრუნველობას სიამოვნებით გადასცემს ცოლს. მას ნადირობისა და ძაღლების მეტი არაფერი აინტერესებს. მათზეა გადაყოლილი. პავლე ღვიძლი შვილია ძველი ბატონყმური საქართველოსი. მაშინ, როდესაც მაკრინე, როგორც თვითონ ის ამბობს, იწურება, ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს გაყრის საქმე თავისი ოჯახის სასარგებლოდ წარმართოს. ამ დროს პავლე სანადირო ძაღლებით გატაცებული შემოვა და, დაინახავს რა რამაზს, ასე მიპართავს მას:

პავლე: ბატონს რამაზს ვახლავართ. მშვიდობით ბრძანდებით. მამა ნუ წაგიწყდება, ბიძაშენს მწევარი თურმე ჰყავს კარგი, აგები გამოძირთო...

მაკრინე (ველარ მოითმენს და წყრამით, თან რამაზის თავის მოსაწონებლად, ქმარს სასაყვედუროდ მიპართავს): აი უბედურება ოჯახისა, ოჯახი მელუკება,

შიშშლით ვიხილება, ტიტულები. გასათხოვარი ქალი შინ გვიხის... ერთხელ იმათთვის იფიქრე: მე ხომ სასამართლოში ვერ ვივლი. რა უბედურებაა ძალები და ძალები.

მაგრამ ძველი თაობის დაწვრილმანება განსაკუთრებით ტრაგიკომიკურია თვით გაყოფის მომენტში, როდესაც ყოველი ცდილობს, უაზრო და დაუდევარი ცხოვრების გამო აღებული ვალების თამასუქების წარმოდგენით თავიანთი უმცროსი ძმის ხარჯზე მეტა სარგებლობა ნახოს და უმცროსი გამოუცდელი ძმა ივანე ცარინელზე დასვას. ამ მომენტში იმდენად შიშვლდება ძმების შიშის ინსტინქტი და იმდენად აშიშვლებს ეს მათ პრიმიტიულ, დაკნინებულ, დაკარიელებულ ბუნებას, რომ სურათი ცოცხალია. საკმარისია, სარგებლობის თვალსაზრისით, წვრილმანიც-კი, რომ ისინი ერთმანეთს იარაღით მიესივნენ.

საგულისხმოა შემდეგი მომენტები. მაგალითად, მიკირტუმას 600 თუნუნის ვექსილი სრულიად უკანონოდ ივანეს რომ დააწერეს. განსაკუთრებით, როცა შუშების ნიათვისება უნდა ანდუყაფარს, რადგანაც თურმე მას უყვიდა ისინი, პავლე-კი არ უთმობს, ხოლო მისი ცოლი მაკრინე გარედან აქეზებს ქმარს, ანდუყაფარს არაფერი დაუთმოს, ვინაიდან მასაც ყველაფერში წალი აქვს. გულმოსული ანდუყაფარი შუშებს იქვე ბილეწავს, რის შემდეგაც პავლე მუთაქას დაავლებს ხელს, გადაჭდება მასზე და არ უნდა ნებით ვინმეს დაუთმოს, მიუხედავად იმისა, რომ ანდუყაფარი უკვე ხმლით იწვევს ძმაზე, მუთაქას თხოულობს. მათ მხოლოდ ისევე ივანე დაამშვიდებს. მუთაქას გასკრის, ერთ ნახევარს ერთ ძმას მიუგდებს, მეორე ნახევარს მეორეს. მართლაც, დიდებული სურათია ძველი თაობის გაწრიოკებისა. ამ სურათს აღარა სჭირდებოდა კომენტარები. ვამების გაშიშვლებული, დარღვეული, დაჭიანებული და გამოფიტული ცხოვრების სურათი მკითხველისა თუ მწყურებლის გონებაში თავისით მძლავრად იჭრება.

„ვამების“ ცხოვრების ასეთივე სურათია გაშლილი გ. ერისთავის მეორე კომედიაში „დავა“. იქაც ისეთივე დაწვრილმანება, ისეთივე გონების სიზნანტე, ქიშპობა, როგორც ფეოდალური ცხოვრების ნაშთი: ეკონომიურად დაქვეითება, შერყეულ ცხოვრებაში თითქოს ყველაფერი მიდის ხელიდან ან უნდა წავიდეს. „ყოფილ კაცს“ ერთადერთი მამული-ღა რჩება, როგორც ცხოვრების წყარო. შეშინებული თავადაზნაურობა სწორედ ამ მაქულს, მიწას ებლაუჭება. ამ ნიადაგზე დევრადაციის გზაზე დამდგარ თავადაზნაურობას შორის სწორედ ამ ეპოქიდან იწყება გაუთავებელი დავიდარება, „დავა“, მამულების შესანებ სასამართლოში სიარულით. არზების წერაში, მოსამართლეების ქრთამებში, ვექილების გასამრჩელოში

მიდიოდა ისედაც დაქცეული ოჯახის სარჩო-საბადებელი. ჩვენი თავადაზნაურობა ამ დავით უფრო ღარიბდებოდა. ამას ისინი თვითონაც კარგად ხედავდნენ, მაგრამ მაინც ცრუ თავმოყვარეობა მათ ნებას არ აძლევდა მშვიდობით მოეთავებინათ საქმე. „მამაჩემი არ წაწყენდება, — ეუბნება ამირინდო სოროზანს, — მეც დავიღუპები და იმასაც დავლუპავ. ონოფრემ უნდა მაჯობოს. მაშ მე ამირინდო არა ვყოფილვარ“ („დავა“).

ერთი და მეორეც, როგორც ამირინდო, ისე ონოფრე იხარჯებიან, ორი დღის მიწისათვის ოჯახს სცარავენ. არზების წერაში, სადაც ყოველი გაქნილი მოხელე სასამართლოსი, დაწყებული სარქის ბუღალანით და გათავებული ხარიტონ ფილიპით, ყველა მათ ატყუებს, ყველა მათ ფულს სცანცლის. და ისინიც, ოლონდ-კი მეორეს ნუ დარჩება, მეორე ნუ გაიმარჯვებს და, მზად არიან მთელი ოჯახი გაანიავონ.

სწავლასაც ესენი იმდენად აფასებენ, რამდენადაც ნასწავლი კარგი არზის დამწერი იქნება. ასე უყურებენ ამირინდო და მისთანები ბუგლარის მიერ განათლების მიღებას.

კომედია „დავა“-ში მშვენივრადაა გაშლილი ძველი მსოფლმხედველობა და ახლის ძველებისათვის უცნაურობა ლომინ გოდებელიძისა და იაია ჭიორელის ქალაქიდან მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემაში. ახალი ცხოვრება მათთვის უცნაურია, სასაცილო თავისი დაწყობილობით, ბინების მორთულობით, ტანისამოსით თუ ეტიკეტით. სოფელი, როგორც ძველი ფეოდალური კულტურული ელფერის შემნახავი, კაპიტალიზირებული ქალაქის ცხოვრებისაგან თანდათან აშკარად ითიშება.

ძველი თაობის დაცარიელებული ცხოვრების სურათს ავსებს გ. ერისთავის კომედია — პოემა „შეშლილი“. მასშიც ცოცხლად და დახატული ძველი თაობა დაჭიანებული ჩვეულებებით და გაყინული მსოფლმხედველობით. ანახანუმი თავის რძალ-მეზობლებით — ნიწოთი, ანასტასიათი, მელანიათი, სიდონიათი და კეკელათი, მატარებელია ძველი ფუქსავატური, დარღვეული ცხოვრებისა და დრომოჭმული ტრადიციებისა. მათი ფიქრი და ზრუნვა, ხშირად მთელი უნარიანობა იქითაა მიმართული, რომ სხვამ არ გაიგოს ამათი ურიგო მდგომარეობა. სამაგიეროდ, ყოველ მათგანს დაუძლეველი სურველი ამოძრავებს თვალი შეაჭყიტოს სხვის ოჯახში, გაიგოს როგორ ცხოვრობს, მასალა მიიღოს, რომ მეზობელი გაჭოროს, გააბიებროს, ხშირად მარტო იმისათვის, რომ თავი გაირთოს, ცხოვრების სიცარიელე შეივსოს, სხვა ასიამოვნოს. ეს თვისება ძველი თაობისა მეტად ცოცხლად და მკვეთრადაა „შეშლილი“-ში მოცემული.

ანასტასია, დაფიქრებულ და დაღონებულ ანახანუმს რომ დაინახავს, მოთმინებას კარგავს, ცდილობს გაიგოს ანახანუმის დარდისა და ნაღველის მიზეზი. ის ცნობისმოყვარეობით და ცბიერებით, თითქოს, თანაგრძნობით, ასე მიმართავს მას:

რა გაქვს, სულელო, შენ საწუხარი.  
ერთი ქალი გყავს, ხომ შერთე ქმარი.  
დიდი კაცის ძე, უცხო გულისა,  
მქონე კარგისა ყმა-მამულისა.

აქ ფრიად დამახასიათებელი შტრიხებია მოცემული ძველი თაობის გასაცნობად. ჯერ ერთი, ქალი უნდა დროზე გაათხოვონ. ესაა მათი ცხოვრების იდეალი. საქმროს შოვნა, არა პირადი ღირსების მიხედვით (ეს მათთვის მეორეხარისხოვანია), არამედ საქმარისია იყოს დიდი კაცის შვილი, მქონე კარგი ყმა-მამულისა. ამითი ამოიწურება გათხოვება-ქორწინების ბედნიერება. ეს გვრის შურს მეზობელს. ანახანუმს უნდა თავი შეიკავოს, დამალოს თავისი დარდი, მაგრამ დარდს ველარ ერევა, ანასტასიას „თანაგრძნობის“ კილოც შეაცდენს მას და თავის მწუხარებას ასე გაუმძლავნებს მეზობელს:

ეს არის ჩემი უბედურება,  
ოჯახის მოვლა არ ეყურება...  
ჩვენ მამულებზე არ აქვს ჯიჯარი,  
თითქო ფულებით იყოს მდიდარი.

ათასი საქმე მაქვს გაჩხაბილი,  
მამულებს მართმევს თამაზის შვილი;  
სულში, ქალებო, არ გამეგზავნა,  
კარგი შვილია, ამბობთ ქვეყანა...  
არზა მივეცი მე დასაწერი,  
თითქო არისო მოშურნე მტერი,  
არზის ქაღალდზე რა დაეწერა!  
ვილასიც ქალზე ეთქვა სიმღერა...

ყმა და მამული, საერთოდ დოვლათი რომ შეინარჩუნოს ამ აწეწილ დროში, ანახანუმი იძულებულია ახალი ცხოვრების მოთხოვნის მიხედვით თანახმად ჩვირად არზის წერასა და სასამართლოში სიარულს მიმართოს. ნასწავლი სიძეც მას ამ მიზნისათვის უფრო უნდა (ამირინდო და მისი ნათესავებიც ხომ ასევე უყურებენ სწავლას). ანახანუმსა და მის სასიძოს შორის სწორედ ამ ნიადაგზე ჩნდება შუღლი და შეურიგებლობა. ამ უთანხმოების მიზეზს ანახანუმი მეტად პრიმიტიულად და გულუბრყვილოდ აი როგორ გვაცნობს:

მმართველს დალალის თუმანი ათი,  
ჩემგან უკირავს მცირე ბარათი,  
ვეთხარ, პრისტავთან დასწერე არზი,  
არა მმართველს თქო, ჰქმენი ატყაზი.  
ამ ჩემ ჰქვიანურ რჩევა-სიტყვაზე,  
უნდა გენახათ იმის სიბრაზე.  
ფი... ფუ... ჰფუ... რას არ ამბობდა:  
პოდლობაო, ილანძღებოდა.

ამ ორ პატარა ნაწყვეტშიაც გ. ერისთავი სხარტად იძლევა ძველი თაობის მეტად დამახასიათებელ ხაზებს. რა უნდა ძველ თაობას? რა სტკივა მას? რასა თხოულობს იგი ახალი თაობისაგან — შვილებისაგან? ძველი თაობა მეტად ებღაუჭება ყმასა და მამულს. ახალ დროში აიწეწა მისი ეკონომიური მდგომარეობა, შეიქმნა ერთმანეთს შორის მამულის თაობაზე დავა, საჭიროა „სულში“ სიარული, არზების წერა. ამ მხრივ უნდა შეველა ოჯახს, ამას თხოულობს ძველი თაობა ახალგაზრდობისგანაც. ცნობილია, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთი რღვევის პროცესია, საზოგადოების, რასაკვირველია, განსაკუთრებით იმ ნაწილის, რომლის ეკონომიური ნიადაგი შერყეულია, შორალი მეტად მერყევი და მასთან ერთად საშუალებებში ფანურჩეველია. ამას აღნიშნავს ძველ თაობაში, სხვათა შორის, გ. ერისთავიც. როცა ანახანუმს უნდა სასიძოს „პრისტავთან არზის დაწერათ“ ათ თუმანზე, რომელიც მას მართველს, „ათქმევინოს ატყაზი“, ანახანუმი ვერც-კი გრძნობს, რომ ეს უზუნო საქციელია. პირიქით, ვერ გაუგია, სასიძომ რატომ მიიღო მისი „ჰქვიანური რჩევა-სიტყვა“ სიბრაზით, რატომ დაარქვა მას „პოდლობა!“.

ასეთივე შორალური „სიმაღლისა“ და გაგებისა არიან ანახანუმის რძალ-მეზობელნი. ნინო ანახანუმის შებრალების, თანაგრძნობისა და მისი სასიძო ბეგლარის გასაცეცხავი ტონით, განცვიფრებული წამოიძახებს:

მაშ სულ დაგლუპავს,  
ნეტა რასა ჰგავს.  
ეტყობა თავში ჰქუას ვერა სცნობს,  
იმიტომ ჯავრობს და ვითომ ჩესტნობს.

და მთელი ეს გამოსვლა ამ კომედია-პოემისა ცოცხლად გადაშლის ძველი თაობის დაცინიებული ცხოვრების დაბალ შინაარსსა და მიზანს.

ძველი თაობის დახასიათებისათვის მისი გულცივობისა და უშინაარსო ცხოვრების მშვენიერ ხაზებს იძლევა „შეშლილი“-ს დასასრულიც.

დარბაზში სხედან ქალები და კაცები. ისინი ჩვეულებრივ დროს-ტარებაში არიან: ლოტოს თამაშობენ და თანაც ჭორაობენ. არავითარი საზოგადოებრივი მისწრაფებანი. ყოველი მათგანი თავის თავს პირადი ცხოვრების ჩარჩოებშიც-კი ლაღად გრძნობს. ყოველი მათგანი თავისთავზე და პირად კეთილდღეობაზე ფიქრობს. სხვისი ცხოვრება მათ იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც მათთვის ის სასარგებლოა. სხვა შემთხვევაში ისინი იმდენად გულგრილნი არიან, რომ შემადრწუნებელი ამბავის — ტ ა ს ო ს თავის დახრჩობის გაგება მათ სრულებით არ შეამფოთებთ და არ ააღელვებთ. მართალია, ლოტოს თამაშს შესწყვეტენ ერთი წუთით, მაგრამ არა იმიტომ, რომ თავზარდამცემმა ამბავმა ისინი შეაძრწუნა, არამედ იმიტომ, რომ მათ უნდათ სხვას არ ჩამორჩნენ, გაიგონ ახალი ამბავი, როგორც მორიგი ახალი მასალა საჭორაოდ, სხვისი ცხოვრების გასაქეპად. თუმცა სადაც გარემოება — მიღებული ეტიკეტი, მოითხოვს, მათ „ცრემლიც მზად აქვთ, რომ ზვალ იტირონ“. ამიტომ ამ ამბის გაგების შემდეგ ისინი ისევ ჩვეულებრივი განწყობილებით განაგრძობენ ლოტოს თამაშს. დამახასიათებელია დამთავრება ამ სურათისა და თვით მთელი კომედიისა:

მ ე ლ ა ნ ი ა ფეთდესეტ ოსემ... თუ მართალია...  
მაგრამ ღელაზედ სამართალია...  
ვოსემ დესეტ სემ... ყური არ უგდო,  
საბრალო ქალი ყმაწვილს მიუგდო...  
შესდესეტ დვეტ... მე რა გავიგე...  
ნ ი ნ ო უკაცრავად ვარ, აი, მოვიგე.

ცხადია, ძველ თაობას შეგრძნობის, გაგების, თანაგრძნობის უნარი მეტად უჩლუნგდებოდა. ის საღი თანაგრძნობის უნარსა კარგავდა, ძველი თაობის დაკნინებას გ. ერისთავი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე, უდავოდ, მკვეთრად, სწორად და რეალურ ფერებში ზატავს.

## 6

ასეთი რღვევის მომენტში, როდესაც ერთი თაობა თავისი შეხედულებით, მისწრაფებით, გაცნობით და გაგებით დრომოქმულობის ტკივილებით დასწულდება, ბუნებრივად ისახება და თანდათან იშლება ახალი აზრი, ახალი მისწრაფება, ახალი გაგება და შეფასება ცხოვრების მოვლენებისა.

ეს ახალი მიმართულება ჩვეულებრივ მუდგენდება ახალ ადამიანში, ახალ თაობაში. ახალი თაობა მოდის, რომ ძველი შესცვალოს. ცვლა ძველისა ახლით და ამ ცვლაზე აღმოცენებული ბრძოლა ახალსა და ძველს შორის საზოგადოებისათვის ისეთივე აუცილებელი, ბუნებრივი და საჭირო მოვლენაა, როგორც

თვით ცხოვრება. ცხოვრება ამ მოვლენის გარეშე ერთს წერტილზე გაიყინებოდა, უმსგავსოდ დაძაბუნდებოდა, დაგუბდებოდა, რაღაც აშშორებულ ჭაობად გადაიქცეოდა. მაშინ ცხოვრება, სიცოცხლის სიმბოლო-კი არ იქნებოდა, არამედ უსიცოცხლობისა, გამუდმებული მომაკვდაობისა.

ჩვენი 40—50-იანი წლებიც გარდატეხისა და ძვრის ხასიათის მატარებელია, რასაკვირველია, მის დასაწყისში.

თუ ანდუყაფარ, პაეღე („გაყრა“), ონოფრე, ამირინდო („დავა“) და სხვანი ახალი ცხოვრების მძლავრი მოწოდებით დაწვრილმანებული და დაკნინებული ნაშთია ძველი თაობისა, ძველი ფეოდალური და ნატურალური მეურნეობის დაცემისა და დარღვევის ხანაში შექმნილი, სწორედ ამავე ცხოვრების წიაღში იკვანძება ახალი თაობის შთანასახე. ერთი მოდის, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მტკიცდება ბრძოლით, მეორე მიდის, თუმცა უბრძოლველად არ თმობს ცხოვრების ასპარეზს, მაგრამ ახალი, დაძაბული დროისთვის შეუფერებელი იძულებულია წავიდეს. წარმავალ და აღმავალ თაობათა ურთიერთობაში ერთი იზრდება, მეორე კვდება. ამ გარდამავალი პერიოდების მხატვრული ლიტერატურაც თაობათა, წოდებათა თუ კლასთა ამ ურთიერთობის ხაზებისა და ნიუანსების გამოვლავლებათაა. რამდენადაც მწერალი, მისი შემოქმედებითი ინტუიცია, ღრმა, ფართო და მძლავრია, მით მისი შემოქმედებითი სახეები მძლავრია, ეპოქისათვის ტიპური, უამთა ვითარებაში უფრო გამძლე, მაგალითად შეეჭს ირის გმირები.

რეალისტურად შემგრძნობი გ. ერისთავი, რასაკვირველია, ამკარად სჭვრეტდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამგვარ ძვრას. რასაკვირველია, ეს ძვრა არ იყო ისეთი დიდი და მძლავრი პოტენციისა, როგორც ინგლისში, საფრანგეთში, რუსეთში. მაგრამ გაყრა დაწყებული იყო და ჩვენი მწერალიც მთელი შემოქმედებითი უნარით იჭითა მიმართული. 40—50-იან წლებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში, როგორც ზევითაც ხაზგასმით აღვნიშნეთ, იწყება ამგვარი ძვრა და მის შედეგად სოციალური გადაჯგუფება. კაპიტალიზაციის ნიადაგზე დარღვეულ ფეოდალურ წყობაში ჩნდება და ვითარდება მისი მომსაპობი, მოწინააღმდეგე ბურჟუაზიის — ვაჭრის კლასი. ეს არის, რომ ასე უცერემონიოდ იჭრება ცხოვრების ასპარეზზე და „ყოფილ ხალხს“ იჭიდან უშორად სდევნის. იწყება სამეცდრო-სასიცოცხლო ბრძოლა თავადაზნაურებსა და ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიას შორის. ბრძოლის ზეგავლენით დარღვეულ თავადაზნაურთა კლასის შიგნით 40—50-იან წლებში ახლად ამკარავდება თაობათა გაყრა — „მაძათა“ და „შვილთა“ წინააღმდეგობა. შესაძლებელია, ნაწილობრივ



მაინც ამ გარემოებით აიხსნება, რომ გ. ერისთავის შემოქმედებაში ახალი თაობა ბუნდოვნად გამოიყოფა, მაგალითად, ბეგლარი, ვახტანგი, ტასო („შეშლილი“), ივანე („გაყრა“), ბეგლარი, მიხეილი, ნინო („დავა“), არჩილი („ქუნწი“).

გ. ერისთავის შემოქმედების გაცნობა მკითხველს ეპოქის მაცნობის, მის ხასიათს მკვეთრად აგრძნობინებს. მკითხველი უსათუოდ გრძნობს, რომ თუმცა ძველი თაობა საკმარისად დაჭიანებულია, დალაჩრებულია, ხშირად გაკრეტილებამდეა მისული (პავლე, იაია, თუ გნებავთ, რამაზი), მაგრამ ჯერ კიდევ სამოღვაწეო ასპარეზს მაინც ეპოტინება, მოწინააღმდეგე კლასიკი (ვაჭარი) ჯერ არ ჩამოყალიბებულა, ცხოვრების ასპარეზს ჯერ ვერ დაჰპატრონებია.

რეალისტურად შემგრძნობი გ. ერისთავი მკაფიოდ ხედავს ძველი თაობის განწირვას, წარმავლობას. მკითხველი ამჟამად ამჩნევს, რომ ავტორს უნდა ამ ხალხის (თავადაზნაურობის) განადგურებისაგან გადარჩენა, მისი მახინჯი მხარეების გამოსწორება. ავტორი პირდაპირ ლაპარაკობს ამას:

მე დაწერე იმაზედა, ვინც ზნეობით არის მრული...  
ჩვენც ვეცადნეთ და განედევნოთ, რაცა არის ჩვენში ცული.

მისთვის მიკრიტუმები, კარაპეტები, რომელნიც ცხოვრების დაპატრონებას ლამობენ, სრულებითაც არ არიან იდეალი. მათ მახინჯ მხარეებსაც ავტორი განზრახ გამახვილებულად გვაჩვენებს. ავტორის იდეალი თავადაზნაურობის გადახალისებულ სახეში უნდა იყოს, თავადაზნაურობის იმ ფენაში, რომელიც ძველის დრომოკმულობას, უვარგისობას ხედავს და ახალთან შეგუების აუცილებლობას გრძნობს. ეს ის ფენაა, რომელსაც ავტორი თვითონაც ეკუთვნოდა. აი ამ ფენას ხატავს ის „შვილების“ სახით (ბეგლარი, ივანე, მიხეილი, არჩილი).

მაგრამ არც ეს ახალი თაობაა წარმტაც ფერადებში მოცემული. გ. ერისთავი გაშიშვლებულად ხატავს უნიადაგო, ძველ ტრადიციებზე აღზრდილ ახალთაობას, რომელიც, მართალია, ახალი ცხოვრების ამოვარდნილ ქროლვას ყნოსავდა, ხედავდა ძველი ცხოვრების შეუფერებლობას, მაგრამ თვითონ მას ძველისაგან თავი ვერ დაეღწია. მას ახალი ჯერ მკაფიოდ ვერა აქვს გათვალისწინებული. ეს თაობა ძველის უვარგისობას ხედავს, მას უარყოფს კიდევც. ეს, ცხადია, მასში დადებულია. ამით აიხსნება, რომ ანახანუმის თხოვნაზე ბეგლარს არზა დაეწერა „პრისტავთან“ და დალალისათვის „ათ თუმანზე ატკაზი ექნა“, ბეგლარი არ დათანხმდა, „თავი

მოიკლა, არ დაუჯერა“, „პოდლობააო ილანძღებოდა“. მაგრამ შემოქმედების, გაკეთების ინიციატივის უნარი კი მას არა აქვს. და არა აქვს იმიტომ, რომ ახალ ცხოვრებასთან შეგუებისათვის საჭიროა ძველი ფეოდალური მსოფლმხედველობისაგან, თუ სრული არა, ყოველ შემთხვევაში, ფაცილებით მეტი განთავისუფლება. ვიდრე ეს „შვილებს“ ახასიათებს.

ახალი თაობა გ. ერისთავის შემოქმედებაში არამც თუ ბრძოლაში, არამედ ჩვეულებრივ ურთიერთობაშიც მეტად უძლეური და უქნარაა. ახალი თაობის წარმომადგენელნი ჩვეულებრივ პრაქტიკულ საქმიანობაშიც-კი უსუსურ ბავშვებსაგვით იქცევიან. ისინი, როგორც ძველ ფეოდალურ ტრადიციებზე აღზრდილნი, მიჩვეულნი უმოქმედობას, სრულებით ვერ ერკვევიან თანამედროვე ცხოვრების პირობებში. ისინი, დამტკრეულნი და უნიადგონი, მხოლოდ ოცნებით ცხოვრობენ, ისინი გაალებულ ოცნებას ცხოვრების გარეშე შექმნილ სამყაროში გადაყავს. დროდადრო, როცა მათ უშუალოდ ცხოვრებასთან შეხვედრა უხდებათ, გრძნობენ თავიანთ უნიადგობას და ამის გამო უილაჯო ჭმუნვას განიცდიან. ბეგლარის სახე (როგორც „დავაში“, ისე „შეშლილში“, განსაკუთრებით უკანასკნელში) სიმბოლოა კონფლიქტის, წინააღმდეგობისა დევგრადაციის გზაზე მდგარი ადამიანის ილუზიებსა და ცხოვრების სინამდვილეს შორის.

აი რასა და როგორ მოთქვამს ბეგლარი, როცა დაუკმაყოფილებელი ოცნებისაგან — „აფრინდეს მაღლა და კვალად მაღლა, რომ ვერ ხედავდეს ქვეყანას დაბლა“ — ოღნავ გამოუჩინებლადული ჩაუკვირდება თავის მდგომარეობას:

გარნა-ლა ვაი. მე ღვთისა ქმნილი  
ვარ ამა მიწას მაგრა მიკრული.  
ვკვირობ, რად მომცა გონება, ნება,  
თუ რომ სიკვდილით სრულ დასრულდება.  
ჩვენი იმედი და ჩვენი ბედი,  
ასე სიზმარებრ თუმცა განქრება,  
სიცოცხლის სიმი უეცრად ჰსწყდება,  
კაცი ამისთვის რად იზადება?

ამასვე გვიხატავს მთელი შემდეგი სცენა უილაჯო რომანტიკული აღმაფრენისა, სადაც ბეგლარი, მახეში გაბმული ჩიტვივით ფრთხილდება.

„შეშლილში“, განსაკუთრებით ბეგლარის დახატვით, გ. ერისთავი რომანტიკულ მიმართულებას კი არ ანვითარებს, როგორც ამას ზოგიერთი ლიტერატორი ფიქრობს, არამედ პირიქით, ბეგლარის ასეთი უილაჯო, უნიადგო, რომანტიკოსის ტიპად დახატვით ავტორი

რომანტიკული მსოფლმხედველობის უნიადაგობასა და უარყოფას აღიარებს. ბეგლარის ტკივილები შეიძლება თვით გიორგი ერისთავის ტკივილებიც იყო. მით უფროა ეს დამახასიათებელი.

ასეთ მწვავე ტკივილებში გიორგიმ დატოვა რომანტიკოსის მსოფლმხედველობა. ის ტკივილებით და აუცილებლობის შეგნებით მივიდა ახალი ცხოვრების აუცილებლობის აღიარებასთან და ახალ რეალისტურ მსოფლმხედველობასთან.

ერთი რამ-კი აუცილებლად უნდა ითქვას: ეს ის, რომ ამ ჭიან ახალთაობაშიც ის სუსტი ძიება ახლისა, უფრო სუსტად გამოხატული ცხოვრებაში, ვიდრე ოცნებაში, მაინც ახლის, წინააღმდეგობის იმპულსის არსებობის მაჩვენებელი ნიშანი იყო ჩვენს ცხოვრებაში.

ავიღოთ, თუნდაც ამავე „შე შლილი“-დან ტასო. განა ის მართლა შეშლილია? ვფიქრობთ, არა. მისი მსჯელობა, სათნოება, მრავალ შემთხვევაში გარემო ცხოვრებისადმი დამოკიდებულება და მისი შეფასება მეტად საღია და სწორი. ტასოს სუსტმა ბუნებამ ვერ გაუძლო უკუღმართი ცხოვრების ჭიდილს. მან ცხოვრების მდინარების წინააღმდეგ მოინდომა წასვლა, რამაც ის ადვილად და მალე დაამსხვრია. ტასო შეშლილია იმისათვის, ვისთვისაც მისი გრძნობა და შეხედულება თავისუფალს სიყვარულზე გასაგონადაც მიუღებელია, ვისთვისაც გაუგებარია და აღმაშფოთებელი ტასოს აზრი და რჩევა მეგობარ მაშეიკოსადმი:

შენმა გაზრდამა, არ ვარ შემეცდარი,  
შენ ჯერ ხშული გაქვს გრძნობისა კარი;  
მოვა დრო, შენცა კარი გელება,  
ტრფობისა ცეცხლი გულს აღგეგზნება.

მაგრამ უფროსილდი ამ გარყვნილ სოფელს, —  
არ ავაკრინო შენც შენსა მშობელს.  
არ გყიდონ, ვითა ნივთი,  
ანუ ბაზრისა ჩიოი.  
ვინ ვითხრა ტრფობა არის სირცხვილი,  
ის არს სულელი და ცუდათ ზრდილი.

ტასოს სწყურია საღი გრძნობა სიყვარულისა, მას სწამს, რომ უამისოდ ცოლქმრობა სიფლიდია და ამიტომ ტანჯვია. მისი შეხედულებით უსიყვარულოდ საბრალო ქალი უთუოდ დაჰქნება. ტასოს არა აქვს უნარი ბრძოლისა, არა აქვს ნებისყოფა. ის არ არის ამტანი. საზოგადოება, თვით მახლობელნი „უგრძნობელნი“ არიან. ტასო ასეთი ძველი, ყალბი, უშინაარსო გზით სიარულს ამჯობინებს წყალში დახრჩობას. უდავოდ, აქ ავტორი ტასოს სახით პროტესტს

აცხადებს. თუმცა მეტად სუსტ პროტესტს, იმ „ვაჭრობის“ წინა-  
აღმდეგ, რომელიც გამართა ეკონომიურად და მორალურად დაქ-  
ნინებულმა ჩვენმა თავდაზნაურობამ და თავიანთი ქალები ხშირად  
თანამდებობის პირთ, რომლებთანაც მათ ქალებს არაერთი სა-  
ერთო არა ჰქონდათ, მიათხოვა მხოლოდ და მხოლოდ სარკებლია-  
ნობის თვალსაზრისით.

განა ასეთივე უნადაგო, უძალო, გაურკვეველი მისწრაფებანი  
არ ახასიათებთ ი ვ ა ნ ე ს („გაყრა“), ბ ე გ ლ ა რ ს („დავა“) და სხვა  
ახალი თაობის წარმომადგენელთ? განა ისინიც ადვილად არ იმსხვ-  
რევიან, ხშირად-კი უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით — ადვილად,  
უბრალოდ არ იზნიქებიან, როდესაც მათ ცხოვრებასთან მისე-  
ლა უშუალოდ უხდებათ?

ივანე დიდებულები კუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ველარ  
ეგუება ჩვენს ჩამორჩენილ ცხოვრებას. ველარ ეთვისება თავის  
ძმებსაც-კი, ძველ დახვედრულ ჩვეულებებს რომ ჩაბლაუჭებიან.  
ივანესაგან მათ მიმართ მხოლოდ შემდეგ დახასიათებას თუ ვაიგო-  
ნებთ: «дикарь, дурак, глуп, развонйник». ივანე აშკარად გრძნობს,  
რომ ახალი ცხოვრება ცხოვრების ახალ საშუალებებს თხოულობს,  
ძველებურად ცხოვრების ზენა აღარ გამოდგება, საჭიროა ახალი  
გზები, საჭიროა ახალ ბურჟუაზიულ კულტურასთან შეგუების გზა-  
ზე დადგომა. მაგრამ ამ ახალი კულტურის შესათვისებლად ჩვენ-  
ში ჯერ კიდევ არ იყო სათანადო ნიადაგი მოზნადებული. საჭირო  
იყო დრო. თვითონ ივანემაც ეს კულტურა მეტად ზერელედ შეით-  
ვისა. მისი მისწრაფებანიც ამიტომ ზერელეა.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ი ვ ა ნ ე ხედავს ეკონომი-  
ური კეთილდღეობის ბაზის შერყევას და იწყებს ზრუნვას მის გან-  
სანტიციებლად, ცდილობს ამ მიზნისათვის უცხოეთში ხმარებული  
საშუალებანი გამოიყენოს. ხედავს რა ძმების ჩამორჩენილობას,  
უნდა მათ გაეყაროს და დაიწყოს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ  
ყაიდაზე მეურნეობა. ჩამოსვლისთანავე აქითკენაა მისი ფიქრები  
მიმართული ა ნ დ ლ უ ყ ა ფ ა რ ი ს, მართალია, არა უირონიო მიმარ-  
თვაზე ივანესადმი: „გვითხარი რამე, გვასწავლე რუსული იკომონია“,  
ივანე უპასუხებს: „ტო იესტ აგრონომია“ და სიმღერით ეუბნება:

როგორ გასწავლო ირრიგაცია,  
ვით გაგაკეთო კარგი გუანო.  
ჯერ გამეყარე, აღამიანო,  
მაშინ გიჩვენო და დავასწავლო,  
ეს დიდი ზვარი, როგორ დავკვალო.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ (ოხვრით) — ბევრი ღვინო-კი მოგივა, თუ რუსული გზები  
გააკეთე სასეირნოთა!...

ივანე — ღვინო! ქართული ღვინო! ეტო გლუპოსტ. რა ღვინო! სწორედ კლუკენი კვასია... ან რა შემოგდით? დასაღვედაც არ გყოფნით.

კაპიტალისტური მეურნეობის სიო ტრიალებს. მის საჭიროებას გრძნობს თავადაზნაურობის ის ნაწილი, რომელმაც დაინახა ნიადაგის გამოცლა. ეს უკანასკნელი ხედავს, რომ ხსნა ნბოლოდ ახალ მეურნეობასთან შეგუებაშია. ივანეს აზრად აქვს მეურნეობა ისე გააფართოვოს, რომ მოსავალი გაყიდოს კიდევ. ის წყრომით, უკმაყოფილებითა და დაციხვით შემდეგს ეუბნება ანდუყაფარს: „ფული რომ დაგჭირდებათ, უნდა ეხვეწნეთ კაკოვო ნიბუდ მიკირტუბ გასპარიჩსა“. აქ უეჭველად ვგრძნობთ ერთგვარ შორეულ, თუმცა სუსტ, ტალღის ცემას სამრეწველო ცხოვრების დასაწყისისას, რომელსაც ამ დროისათვის რუსეთის სინამდვილეში ადგილი ჰქონდა.

აღბათ, ამით აზხნება, რომ ივანე მისწრაფვის შემოიტანოს მეურნეობის მრავალმინდვრიანი სისტემა (многополюсная система). ნართალია, ეს მისი სურვილებიც ზერელეა, მაგრამ დამახასიათებელია. ამ მხრით საინტერესოა მესამე მოქმედების მეოთხე გამოსვლა — გაყრის შემდეგ ბაღში სეირნობის დროს ივანეს ოცნება: „იარაზდელიუ პოლე ნა სემ“... და სხვა.

ამასთან ერთად საგულისხმოა, რომ ახალ თაობას: ივანესაც, ბეგლარსაც გლეხკაცთან კეთილმობიერი დამოკიდებულების დაჰქერის სურვილები ემჩნევა. გაბრიელთან საუბრის შემდეგ (მესამე მოქმედების მესამე გამოსვლა) ივანე გულუბრყვილოდ წამოიძახებს: „გოსპოდი, მომეც შეძლება, რომ ჩემმა ყმებმა ისე შემიყვარონ, როგორც გაბრიელმა. კაკაია პოეზია ბიტ დობრიმ, ზოტ ი ბედნიმ პომეშჩიკომ. დაგლოცავენ შენი ყმანი... მეც ვეცდები“. აქ მოცემულია „კეთილი მებატონის“ იდეალიზაცია.

ყველა ესენი, რასაკვირველია, მხოლოდ ნიშნებია, ერთგვარი სუსტი აღტყინებაა ახალი ცხოვრების დასაწყისისა. მაგრამ ეს დასაწყისიც ჯერ კიდევ გაურკვეველია, ბუნდოვანი. თვით ახალი თაობის წინაშე რაღაც ჩამოწოლილი მძიმე ნისლია. მაგრამ აშლილი ტყვიელები და ნიშნები ახალი გზით ცხოვრების აუცილებლობისა, უდავოდ, მოცემულია.

ახალი თაობის ეს სუსტი ზრახვებიც-კი ძველი თაობისათვის იმდენად მიუღებელია, იმდენად საწინააღმდეგოა, რომ მას ვერაფერი გაუგია და ახალი თაობის ამ მისწრაფებებს „სიგიჟით“ ან რაღაც უცნობი ავადმყოფობით ხსნის. ანდუყაფარი ერთგვარი გაურკვევლობით და გულნატკენობით ამბობს: „არ ვიცი, რა ემართებათ ამ რუსეთში, იწამლებიან თუ რა არისო“.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ახალი იდეები ახალთაობაშიც

მეტად შეუხისხსლობორცებელია, ზერელეა, პირველი დაბრკოლების შეხვედრისთანავე მათი იგემები და მაღალი თვისებების მისწრაფებანი უშედეგოდ ჰქრებიან. თვით გმირები ან უკვალოდ იმსხვრევიან, რიცორც, მაგალითად, ბეგლარი, ტასო („შეშლილი“), ან მეტად ადვილად იზნიქებიან, როგორც, მაგალითად, ივანე („გაყრა“), მიხეილ, ბეგლარ („დავა“). მაგალითად, ივანე დასცინის და უკიჟინებს ძველ თაობას, ამბობს, რომ საქართველოში სიყვარული არ იციან, ამიტომაც რომანი ვერ დაიწერება — „რომან ბეზ ლუბვი — ეტო უჟასნო“... — უკმაყოფილებით ამბობს ივანე. მაგრამ ივანე ძიებს რომ გაეყარა, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაც კი ვერ მოასწრო, მაშინვე იგრძნო ცხოვრების სიმკაცრე, სიძნელე, სიმძიმე და მიკირტუმას ქალს შუშანას, არამც თუ უსიყვარულოდ, სრულიად უცნობს, ფულის გულსათვის ირთავს.

იანა ასევე არ ემართება ოცნების ტალღებში მცურავ ბეგლარს („დავა“)? სულ მალე გამართლდა მიხეილის წინასწარმეტყველება: „საბრალო პოეტო! Тебя здесь не поймут! შენს გრძნობიერს, თბილს გულს გააცივებენ“. მართლაც, სრულებით მალე გააცივეს. მაღალი, კეთილშობილური გრძნობები ბეგლარისა მალე გადაიბრუნეს. მართალია, ერთგვარ უხერხულობას განიცდის ბეგლარი, მაგრამ მამისაგან ვზიატკინთან ქრთამი მაინც მიაქვს და, თუმცა კრძალვით, მაგრამ მაინც აძლევს. ეს უდავოდ მისი უხერხემლობაა.

გ. ერისთავმა თავის კომედიებში, მართალია, სუსტი და მკრთალი დახატვით, მაგრამ მაინც თავისი გმირების სახით მოგვცა დასაწყისი ახალი ფორმაციის ქართველი ინტელიგენციისა. ახალი თაობა ჯერ მხოლოდ შთანასახის პროცესში იყო, მისი სახე თვით ჩვენი სოციალური ცხოვრების ბურჟუსში მეტად ბუნდოვნად მოჩანდა. ახალი თაობა ჯერ ვერ მოსწყვეტია სავსებით ძველს ბუდეს, აწლიც ვერ გამოუნახავს. ახალთან შეთვისება ჯერ კიდევ შორსაა. ასეთსავე მდგომარეობაშია თვით ავტორიც, მისთვისაც მომავალი ბუნდოვანია, ამიტომ გ. ერისთავის შემოქმედებაში ახალი თაობა უხერხემლოა და ბურჟუსიანი.

## 7

თუ ახალი თაობა, ახალი ფორმაციის ინტელიგენცია ჩვენში 40—50-იან წლებში ჯერ მეტად ნორჩი და გამოურკვეველი იყო, სამაგიეროდ იმ დროს უფრო მეტად სახეგამომქავეებულია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი სოციალური ფენა — ახლადფეხადგმული ბურჟუაზია.

ჩვენი სოციალური ცხოვრების ნატურალური მეურნეობის ნანგრევებზე შემოჭრილი ვაჭრობა-მრეწველობის, თუმცა ნელ, მაგ-

რამ მაინც განვითარების პროცესში ჩნდება ახლად ფეხადგმული წვრილფეხა ბურჟუაზია — ჯერ კიდევ ჩარჩი-ვაჭრის სახით. მიკირტუმ გასპარაიჩი, კარაპეტა დაბალოვი, სარქის ბუღდანიჩი და მთელი ცოცხალი გაღერეა, რომელთაც ხელში ჩაიგდეს ქართველი თავადაზნაურობის სარჩო-საბადებელი, გ. ერისთავის. შემოქმედებაში ცოცხლად წარმოდგენილი, რეალური ცხოვრებიდანაა ნიჭიერად და უტყუარად ამოკრეფილი.

ცხოვრება ირღვევა, საზოგადოებრივი წყობა ირყევა, ცხოვრება იცვლება. ამას ხედავს ძველი თაობაც, ამასვე ამჩნევს ახალიც. მაგრამ რატომ? რა მიზეზით? როგორ შეიძლება ამის შეცვლა? ეს კითხვები ძველი თაობისათვის მხოლოდ ტყვილებას გამომწვევია. რადგანაც მისთვის, რაც მიიღის, ის ყველაფერზე უკეთესია. მასზე უმჯობესს ის არ ეძებს. ამიტომ ის ასე ებღაუჭება ძველს, მამაპაპურს.

ცხოვრების ცვლის მიზეზებში, მწერლის დაბატვით, მაინცა და მაინც ვერც ახალი თაობა ერკვევა. მაგრამ ორივე თაობისათვის ერთი რამ უდავოდ აშკარაა, ეს ის, რომ ფული ახალი ცხოვრებისათვის საჭიროა. ყველა გრძნობს და ხედავს, რომ:

ნიჭი, სახელი, დიდება,  
ფულთანა სუყველა ფუჟი:  
უგუნურიც გამდიდრდება  
თუ ოქროთ აქვს საესე მუჟი („დავა“).

განა ბარამსაც ფაჭირებების დროს, როცა ივანე თავის უფროს ძმას, ანდუყაფარს გამოუვალ ჩიხში მოამწყვდევეს გაყრის სურვილის განცხადებით, ერთადერთ მხსნელ საშუალებად ფული არა აქვს წარმოდგენილი? ბარამი ანდუყაფარს ურჩევს შეაწეროს მღლებკაცებს ფული, წამოკრიფოს ხელად ოთხასი თუმანი და მაშინ მათ ველარავინ გაჰყაროს. აი როგორ განუცდია ბარამს ამ დატრი-ლებული ფულის ძალა:

აის თუმნითა, აბა რას ბრძანებ,  
სულსა, პალატას ხელით ვაქანებ.  
ჩვენ სუდიასა — ა იმ კუქანასა,  
სულ ვათამაშებ ლეკურ ბუქანასა,  
და სეკრეტარსა მე ოც თუმნათა  
ენებათ გაგიხდით მაიმუნათა („გაყრა“).

ამ ფულის ტრიალმა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოიყვანა ახალი ფენა, მანამდე უცნობი, უუფლებო. ესენია — მიკირტუმები, კარაპეტები, მექართამე მოხელეები, როგორც საჩქი-სები, ვზიატინები და სხვანი. ესენი, უწარსულო, ცარიელ-ტარიე-

ლი, არაფრის მქონე, გამოდიან ცხოვრების გზაზე. მაგრამ სამაგიეროდ, მათ ახასიათებს ცხოვრების ზედმიწევნით ცოდნა, ანგარიშობა, გაჭირვებაში გამოძიებული მტკიცე ნებისყოფა, ფულის ყადრი და მაგარი, ამტანი ხერხემალი. აი, ამ თვისებებით გამოდიან ესენი მკაცრ ცხოვრებასთან საბრძოლველად. მათ ბევრი დამცირება, შევიწროება, გაჭირვება გამოუვლიათ და ამ ცხოვრებიდან ერთი ურყევი რწმენა გამოუტანიათ, სახელდობრ: ყველა საკითხს ეკონომიური კმაყოფილება სწყვეტს. ამიტომაც, რომ მიკირტუმა ურყევი ტონით ამბობს: „ეს სოფელმა სულ ფული, ფული, სხვა ყველამ ტყუილია; შენი ხაზაინ-მაზაინობაც ფული უნდა“.

მშვენიერი სურათია ჩვენი თავადაზნაურობის რღვევისა, ამ ფულის ნიადაგზე ბრძოლის გარშემო გაშლილი, კომედია „გაყრაში“ მოცემული ივანესა და მიკირტუმას დაპირისპირებით. ერთი მხრით, უნიადაგო, უხერხემლო ივანეს უანგარიშო ოცნება, მეორე მხრით, ცხოვრების ზედმიწევნით მცოდნე, მის ნაცარტუტაში გამოსული და მისი ყადრის მქონე მიკირტუმას დემონური ხითხითი. ეს ჩვენი 40—50-იანი წწ. საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული პერსპექტივის მეთად მკვეთრ, სწორ და ცოცხალ ხაზებს იძლევა. ნიჟურისათვის მოვიტანთ პატარა ნაწყვეტს:

ივანე გაყრის შემდეგ ბაღში გასული ოცნებობს; იქვეა შეუმჩნევლად მიკირტუმა:

ივანე — ია რაზდელიუ პოლე ნა სემ.

მიკირტუმა — მაგითი ფული ვერ გასცემ.

ივანე — აქ მომივა მე კაპუსტა.

მიკირტუმა — ა ვ კარმანე ბუდით პუსტა.

ივანე — ტუტ მადია სატი ტაჟა.

მიკირტუმა — ჯიბიდან ფულეზი გავა.

ივანე — აქ ბესედა ვაეთოდება.

მიკირტუმა — უფულოდ კი არ იქნება.

ივანე — ეს ლაბირანტად უცხოა.

მიკირტუმა — კიდევ გითხრამ გიჟ ვრაცუა (მიკირტუმა მივა, დაადებს ნელა ხელს მხარზედ), სუყველა კარგა ფიქრობ, კნიაზ, მაგრამ ფული, სულ ფული... ფული...

ეს მიკირტუმას რჩევა ივანესადმი ახალი ცხოვრების ძლევამოხილი კაცუნია. ეს რწმენა მიკირტუმამ დიდი მსხვერპლის გაწირვით, ოფლითა და დამცირებით გამოიტანა ცხოვრების მორვეიდან და დაუფარავად, დარღების კილოთი ცკი თავის მორალს (ეს მორალი კი ახალი დროისათვის — ჩარჩ-ვაჭრების დროისათვის, საერთოდ ეპოქისათვის დამახასიათებელი იყო) ასე ამჟღავნებს:



აკი ამიტომაც იპარჯებებს მიკირტუმა.. აკი ამიტომაც ასე აღვილად ამარცხებებს დიდებულნიძიანთ, კერძოდ, მათ განათლებულ ძმას ივანეს და სხვა მათთანებს. ყველა ესენი მიკირტუმამ ფულის შემწეობით ხელში დაიჭირა. თუ წინათ მიკირტუმას დიდებულნიძეებისათვის, ისე როგორც მათ მსგავსათათვის, შორიდან სალმის მიცემაც კი უჭირდა, ახლა ის მათ ოჯახში თითქმის თავკაცად გახდა, ყოველ შემთხვევაში თამამად მიდის და დაუმძახალდა კიდევ. ეს გამარჯვება მიკირტუმამ ფულის შემწეობით მიიღო. ეს ფულია, რომელმაც მიკირტუმას თავი მალა ააღებინა. ამიტომაც მიკირტუმა იდეალი, მისაბადი, ამიტომაც, რომ თათელა თავის სიძეს ასე დალოცავს: „ღმერთმა აღას (ე. ი. მიკირტუმას. — მ. ზ.) შნო მოგცეს, ყაირათი და ჭკუა. აღასავით მომგებუ გქნა შვილო“.

ასეთივეა კარაპეტა და ბალოვი („ჭუნწი“), რომელიც ისევე ცარიელ-ტარიელი გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე, კაპეიცი კაპეიკს მიაწება, ბევრი უსამართლობა, შიმშილი გამოიარა, დიდი ყაირათი გასწია, იმიტომ, რომ ფული შეეძინა. მართლაც, ბოლოს ფულით სავსე ყუთებს დაეპატრონა. კარაპეტას ცხოვრებამ ფულის ყადრა, ფასი და ანგარიშიანობა კარგად ასწავლა.

კარაპეტა გაცვირვებულია და თანაც აღშფოთებული, როდესაც გაიგებს, რომ კნიაზი დამბაჩას აგირავებს და ფული ძალღში უნდა მისცეს: „ვა, ჩემი ფული ძალღში მისცეს! ვა, ნამუსი არ არის. ის ღვთისაგან იგინილი კეთილი, ჩვენი სოფლის ნუგბარი, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ლაზათი, ჩვენი სიცოცხლე, ფული ძალღში მისცეს“. და იმ იგარემობას, რომ ქართველი ფულის მტერია, ფულს ჯიბეში არ იყენებს, „როგორც ნიორი, ისე აუყროლდება და ისე გადაჰყრის“, კარაპეტა გონივრულად ხსნის იმით, რომ ის ქონებას მუქთად შოულობს. „ბა ერთი თითონ იმუშაოს, ერთი ხუთი დღე ცარიელი ჰუარი ჰამოს, ნახამ თუ როგორ გაუფრთხილდება“.

კარაპეტა ყველაფერს და ყველას იმდენად აფასებს, რამდენადაც მას ფულის შემატება შეუძლია. სხვა საზომი მისთვის მისაღები არ არის. როდესაც თავადის მსახური ძველს მამაპაპურს, ვერცხლით შეჭედულს დამბაჩას მიუტანს კარაპეტას დასაგირავებლად, მათ შორის ასეთი დამახასიათებელი დიალოგი გაიმართება:

კარაპეტა — ჯერ მითხარი დამბაჩა რად მინდა.

მსახური — ერთ ტყვეთ ღირს; ნახე, ინგლისია.

კარაპეტა — მე განა ლევი ვარ ტყვე ვიყილა?... ინგლისი მათლაჟა გამიგონია... არ მინდა, ხელს არ მომცემს.

მსახური — პეი, დროვ. იარაღი ჩალის ფასად აღარ გადის... ალავ, ძალიან საკირო არის... რაც ვინდა ის მომე.

კარაპეტა — ეს ვერცხლი აქყარე, აქ იქნება ასი მისხალი; ხუთი მანეთი მოგცე ერთი კვირის ვადით, ეს რკინა უკან წაიღე.

მსახური — ვაი, შენ ჩემო თავო, ფასი ამ რკინასა აქვს.

კარაპეტა — რკინის ფასი ფუთი რვა აბაზია, ეს ერთი გირვანქაც არ არის.

აქ ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობაა დაპირისპირებული. ძველი ფეოდალური, რაინდული და ახალი კაპიტალისტური, ბურჟუაზიული. არჩილი, როდესაც მას სიმამრი კარაპეტა მისი პაპის ავთანდილის ნაქონ ჟანგიან ხმალს აჩუქებს, აღტაცებაში მოდის და ამ ჟანგიან მამა-პაპურ ხმალს ასეთ ოდას უძღვნის:

შენ გხედავ, ხმალო პაპისა ჩემის.

ჩემგან შექედვა და მართვა გშვენის.

შენით არ იყო ავთანდილ გმირი

ამარცხის სპარსნი...

ან, აი, როგორ იხატება ფეოდალური ზნე-ჩვეულება ამირინდოში: „სტუმარი მოდის დროვით... მგონია პავნიკი არის“ — ამის გაგონებაზე, მიუხედავად იმისა, რომ სადილისათვის უკვე მზადდება „ბოზბაში, ჩინირთმა და მწვადები“, უბრძანებს: „კიდევ მოუმატეთ რამე, შემწვარი და ჩახობილი ქათმები, ფლავი, ბატენის ლულა-ქაბები, აფხაზური... მემარნეს უთხარი სამოციანი მოხადოს, წმიხდათ ამოიღოს. შენ იასაულებს და ყაზახებს კარგად დაუხვდი, ვინძლო დაათრო“... — ეს ტიპიურია წარსული, თუ წარმავალი ფეოდალური, უყიარათო ცხოვრებისა და ოჯახის „პატივისცემის“ გაგების დასახასიათებლად.

მეორე მხრით, კარაპეტას საზიო: მოცემულია ახალი ცხოვრების ანგარიშიანობა (ამირინდო, არჩილი. ერთი მხრით, და კარაპეტა, მიკირტუმა, თათელა — მეორე მხრით, ესენი პოლარული წერტილებია). როდესაც არჩილი კარაპეტას ჰპირდება პურის მუქთად მიცემას, კარაპეტა უარს ამბობს და აი რატომ: „კინაზ, — ეუბნება კარაპეტა, — ყველამ თავისი ჩოტკი აქვს, ესე იგი ანგარიში. პურს დაფქვა უნდა, მერე გაცრა, მერე წყალი თბილი, მერე მოხელა, მერე გუნდა, მერე თხელება, თონეში ფიჩხი, მერე ჩაკვრა, მერე... ყველა ფულია... ისე ნამცხვარს ვყიდულობ, ყაირათი უნდა ჰქონდეს ვაჭარკაცი“.

ეს ახალი ანგარიშიანი ცხოვრების მოთხოვნილებაა და ეს ორი ცხოვრება ფეოდალური და ბურჟუაზიული (ვაჭრული), უმკველად ერთიერთმანეთის მოწინააღმდეგეა, როგორც მათი ძირითადი ეკონომიური საფუძველია ერთიერთმანეთის მოწინააღმდეგე.

ჩარჩ-ვაჭრის სახეები გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ ე ს შემოქმედებაში მეტად ცოცხლადა წარმოდგენილი. ეს აიხსნება იმით, რომ ამ ჯენის წარმოშობა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში უშათუოდ უმტკივნეულესი და უმძლავრესი მოვლენა იყო, რომელსაც სინამდვილეში უნდა გაემარჯვა.

ჩარჩ-ვაჭართა ფალერეას ავსებს ბიუროკრატიული მეფის, კანცულარიის მოხელენი, რომელნიც დაწესებულებას და თანამდებობას იმდენად აფასებდნენ, რამდენადაც ის მეტ შესაძლებლობას აღევადა ყოველ მათგანს პირადი კეთილდღეობის შესაქმნელად.

ფული და მისი მნიშვნელობა უღინთავს უკვე კაპიტალიზირებული რუსეთის მთელ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. ფულმა, ამ ახალი ცხოვრების მძლავრმა კერძმა, კანცულარიის მოხელენიც დაიმონა. ფაჩლდა მექრთამეობა. შიდა რუსეთში (მაგალითად, გ ო გ ო ლ ი ს „რევიზორი“), განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებში და კერძოდ ჩვენშიც დაეტყო ამ „ჩინოვნიკობას“ აღვირახსნილობა, უპასუხისმგებლობა. მშვენიერი, ცოცხალი სახეა ასეთი აღვირახსნილი, გაიძვერა მოხელისა ს ა რ ქ ი ს ბ უ ლ დ ა ნ ი ი, რომელმაც არამცთუ რუსული, ქართულიც კი არ იცის ხეირი-ანად და სასამართლოში თარჯიმნადაა; ამასთან საშინელი მექრთამეა, მატყუარა-ცინიკი. სარქის ბულდანიჩი სარგებლობს, რომ ამირინდომ არ იცის წერა-კითხვა, არც ახალი კანონები. დახედავს ამირინდოს განცხადებას და გაკვირვებული წამოიძახებს: „რა უქნია... ურთი ტოჩკა არ ჩაუწერამს, სულ ცარიელია!.. არც ზაპეტაია ზის, ზედავ“; და ამირინდოს თითო „ტოჩკაში და ზაპეტაიაში“ თითო ოქროს ართმევს და ერთს განცხადებაში 60 ოქროს გადაახდევინებს.

ასეთივე ცოცხალი სახეა მოსამართლე ვ ზ ი ა ტ კ ი ნ ი.

ყოველი მათგანი ყოვლად უვიცი, უნამუსო, აქ კალიფორნიას ეძებდა, არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, რომ რაც შეიძლება უკეთესად ეკრიჭა ხალხს, ჯიბე გაესქვლებინა, საქმეს-კი არ დაგიდევდათ.

გ. ერისთავმა თავის კომედიაში „დავა“ ამ მოვლენის ცოცხალი მურათების მოცემა შესძლო ს ტ რ ი ა პ ჩ ი ვ ზ ი ა ტ კ ი ნ ი ს ა და მისდამი რწმუნებული დაწესებულების ერთი კუთხის, მაჯრამ დამახასიათებელი კუთხის, ჩვენებით. ვზიატკინის მსოფლმხედველობა. მისი გონებრივი და ზნეობრივი ბაგაჟი მკვეთრი იქნება მისი მონოლოგის გაცნობით: Да-с! — ჩმაყოფილებით ამბობს ვზიატკინი კარგი ქრთამების აღების შემდეგ. — Все отказываются здесь служить, а по мне, кто умеет сделать абрунди, тому везде тепло. Главное не нужно многого. Я человек не прихотливый. Я ничего не требую. Коли дадут сами за каждое дело

по 10 червошцев, так хорошо! — а в суде у нас таки доволь-но дел — гражданских 1.500, уголовных 150, вот и капи-талист! А другие наши братья кричат: уезд неурожайный! Что же делать? Не везде Нуха, Карабах и Ганджа. Там, ба-тюшка, Калифорния.

თი ასეთი ცინიკური დამოკიდებულებით მოსახლეობისადმი, „აბრუნდი“ და „გაბრუნდებით“ ჰკრეფდნენ იმ სიცოცხლის ყვა-ვილს, რომელსაც ფული ერქვა და რომელიც მთელ ჩვენ ცხოვ-რებას თავისებურ ღრმა ბეჭედს ასვამდა და მიმართულებას აძლევ-და.

## 8

გაყრის პროცესის ასახვაში გ. ერისთავმა, როგორც დავინახეთ, განსაჯუთრებით სამი სოციალური დაჯგუფება გვიჩვენა: „მამები“ — „შვილები“ და ჩარჩ-ვაჭრები. ცხადია, მკითხველის წინაშე ბუნებ-რივად ისმება საკითხი, რომელი სოციალური დაჯგუფებისაკენ იხ-რება ავტორის სიმპათიები: ანდლუყაფარ-ამირინდოებისაკენ, ივანე-ბეგლარებისაკენ, თუ მიკირტუმ-კარაპეტებისაკენ?

თუ ყოველი მათგანის დახატვის ტონს ჩაუვკვირდებით, ერთი რამ ცხადია: ეს ის, რომ „მამები“ გ. ერისთავის შემოქმედებაში საკ-მარისად მკვეთრად და მეტად კომიკურ, ხშირად სასაცილო, გადა-გვარების, ცხოვრებიდან გარიყულ მდგომარეობაში არიან მოცე-მულნი. ისინი „ყოფილ ადამიანებს“ მოგვაგონებენ, ცხოველმყო-ფელი ძალა მათ დაკარგული აქვთ. როგორც ზევით დავინახეთ, არც „შვილებია“ მაინცდამაინც ხეჩხემლიანი. ისინიც უნიადაგო და უნაყოფონი არიან, მათ ცხოვრება ადვილად იმორჩილებს, ადვილად ამსხვრევს ან ღუნავს. ისევ ყველაზე ცოცხლად, რეალურ ფერებ-ში და მძლავრ სახეებში ავტორი გვაძლევს ჩარჩ-ვაჭრებს.

მიკირტუმები და კარაპეტები იმარჯვებენ ცხოვრებაში, სინამდ-ვილისათვის მათ აუღიათ ალღო, ანგარიშისანად მოუწყვიათ ცხოვრე-ბა და ძალაუფლებაც მოუპოვებიათ. ისინი ხელთ იგდებენ იმ ძა-ლას — ფულს, რომელიც ცხოვრებას ღერძად ევახდომია. ამით ისინი ადვილად აჩოქებენ თავის წინ არა მარტო ჩვეულებრივი ძველი ყაი-ღის თავადიშვილებს, არამედ საუკეთესოებსაც, ნასწავლებს, როგო-რიც იყვნენ: ივანე დიდებულნიც, რომელიც კარგი მზითვისათვის მიკირტუმას ქალს შუშანას თხოულობს, ხოლო კარგი სათნოები-სათვის არჩილი — კარაპეტას ქალს, ხამფერას.

აღსანიშნავია. რომ თუმცა მიკირტუმამაც და, მით უმეტეს, კა-რაპეტამაც ფულის ყადრი კარგად იციან, ისინი ძალიან უჭერენ ხელს მას, მაგრამ სწავლას თავიანთ ქალებს მაინც აძლევენ. მათ ამა

შპრითაც აუღეს ალლო ახალ ცხოვრებას. იგრძნეს, რომ სწავლა საჭირო იარაღია, რომ ის საშუალებაა ფულის მოგებისათვის, ცხოვრების უკეთესად მოწყობისათვის. ამიტომ სწავლისათვის ფულს არ ზოგავენ და ქალებსაც-კი აძლევენ დანათლებას. და აკი არც მოტყუებდნენ.

აქედან თითქოს ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ გ. ერისთავმა გაიგო ახალი ცხოვრების მიმდინარეობა, განსჭვრიტა, რომ მომავალი მხოლოდ ბურჟუაზიისაა, და ამიტომ მოუწოდებს შკითხველს დაჰყაროს ძველი ფარ-ხმალი და კარაპეტას გზას გაჰყვეს.

ასეთი გაგება გიორგი ერისთავისა, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სწორი. მაშინ გ. ერისთავი ბურჟუაზიის იდეოლოგიის მატარებლად უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუ მას შემოქმედებას ჩავუყვირდებით, ასეთად გ. ერისთავი არც იყო და არც მოჩანს. გ. ერისთავის შესახებ დაახლოებით შესაძლებელია იგივე ითქვას, რასაც ფ. ენგელსი ლეგიტიმისტ ბალზაკის შესახებ ამბობდა: „ერთადერთი ხალხი, რომლის შესახებ იგი ამკარა აღტაცებით ლაპარაკობს, ეს მისი ყველაზე უფრო დაუძინებელი მტრებია, რესპუბლიკის გამორები Cloître Sainte Merri, ის ადამიანები, ვინც იმ დროს (1830—1836) მართლაც ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები იყვნენ. ის გარემოება, რომ ბალზაკი იძულებული გახდა წააულიყო თავისი კლასობრივი სიმპათიების და შემცდარი პოლიტიკური რწმენის წინააღმდეგ, რომ ის ხედავდა თავისი საყვარელი არისტოკრატების განადგურების აუცილებლობას და ხატავდა მას ისეთ ადამიანებად, რომელნიც უკეთესი ზვედრის ღირსნი არ იყვნენ, და რომ ის ხედავდა მომავლის ადამიანებს მხოლოდ იქ, სადაც ამ დროს შესაძლებელი იყო მათი პოვნა, გარემოება მე მიმაჩნია რეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად, მოხუცი ბალზაკის ერთ-ერთ უდიდეს თავისებურებად“<sup>63</sup>.

გ. ერისთავი თუ ძველ თაობას ხშირად კომპიურ მდგომარეობაში გვიხატავს, ახალ თაობას უნიადაგო ოცნების ბურჟუსში ახვევს და მათ ორივეს ჩარჩი-ვაჭრის წინ ამარცხებს. ეს იმის მთქმელი-კი არ არის, რომ გ. ერისთავი აღტაცებულია ახალი საოციალური ფენის გამოსვლით, არამედ იმაჩვენებელია იმისა, რომ გ. ერისთავი გრძნობს ახალი ძალის მოწოლას, გრძნობს, რომ ეს ძალა ანგრევს, არღვევს ძველს, რწმუნდება, რომ მასთან წინააღმდეგობა უაზრობაა, ის იმარჯვებს. ამასთან ერთად, გ. ერისთავი თავდაზნაურობის სისუსტეს,

<sup>63</sup> ფ. ენგელსი, წერილი ინგლისელ მწერალი ქალის მარგარიტ ჰარკნისადმი 1888 წ. აპრილის დასაწყისში.

გამოუვალობას ხედავს. ეძებს გამოსავალს და რწმუნდება შემდეგში: დამორჩილდეს გამარჯვებული ბურჟუაზიის მიმართულებას; საჭიროა შეეგუოს მას, თორემ მისი დაღუპვა, განადგურება აუცილებელია. საჭიროა მოხერხდეს ერთგვარი შეზრდა ამ ორი ფენის მსოფლმხედველობისა. თავადაზნაურობამაც უნდა იგრძნოს ფულის ძალა და საჭიროება. ეს გადაარჩენს თავადაზნაურობას დაღუპვისაგან. შესაძლებელია ამ მიზნითაცაა, რომ ივანე ირთავს მიკირტუმას ქალს და არჩილი — კარაპეტასას. დარღვეული კლასის გადარჩენისათვის ცხოვრების სხვა გზა გ. ერისთავისათვის არ მოჩანს.

## 9

ამასთან დაკავშირებით გ. ერისთავის შემოქმედების განხილვის დროს საინტერესოა ყურადღება მივაქციოთ კიდევ შემდეგ საკითხს.

გ. ერისთავი, როგორც ხაზგასმით აღვნიშნეთ, ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში რეალიზმის დამწყებია. რეალიზმი კი ლიტერატურაში რეალური ცხოვრების, რეალური ფაქტების პოეზიაა, რეალური ცხოვრების მოვლენათა ასახვაა, რეალური ცხოვრების სინამდვილის მიმართულების გაგება და გამომკვლავნება. თუ ეს ასეა, მაშინ ბუნებრივია ასეთი საკითხის წამოყენება: 40—50-იან წლებში ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც რუსეთში (იქ, რასაკვირველია, უფრო ფართოდ და მეტის სიძლიერით), ერთ-ერთი მთავარი მოვლენა და მწვავე საკითხი იყო ბატონისა და ყმის ურთიერთობა. შესძლო თუ არა გ. ერისთავმა ამ საკითხის ასახვა? ეს საკითხი ამ ბოლო ხანებში, როდესაც: ხდება მწერლების საერთო გადაფასება, ბუნებრივია, უფრო აქტიურ ხასიათს იღებს.

„გ. ერისთავი, — წერს ფ. მახარაძე, — არ შეხებია გლეხაკობის მდგომარეობას, არასოდეს არ მოუწადინებია ბატონყმობის ურთიერთობის დახასიათება... ეს ფარემოება ჩრდილს ფენს. გ. ერისთავის მოღვაწეობას“<sup>64</sup>.

ამ ბოლო დროს ჩვენ კრიტიკულ ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ გ. ერისთავი ბატონყმობის საკითხსაც შეეხო და საკმაოდ გარკვეულადაც. „ჩვენის აზრით, — ნათქვამია, — „დავამი“, თუ „გაყრამი“, მართალია, რომ პირდაპირი გზით ბატონყმობა დაგმობილი არ არის, მაგრამ eo ipso გამომდინარეობს მისი გმობა, თუ ბატონები ისეთნი არიან, როგორიც გ. ერისთავმა დაგვიხატა, რა უნდა:

64 ფ. მახარაძე, დანიელ ქონქაძე და მისი დრო, თბ., ტ. V, გვ. 159:

იყოს ის წყობილება, რომელიც მათ გამოხრულ მხრებზე არის დაყრდნობილი... მაგრამ ეს მოხვეული გზა კიდევ არ არის საკმარისი, რომ გ. ერისთავს ბატონყმობის წინააღმდეგ ამხედრებული მწერლის საპატიო სახელი შევეთავაზოთ. მაგრამ გ. ერისთავს აქვს ნაწარმოებები, რომელიც ქართულ კრიტიკას შემუმჩნეველი დაჩა, და სადაც გლეხკაცობის ადამიანური უფლებები ისე ენერგიულად აქვს მოთხრობილი, რომ დედოფალსაც კი აჩოქებს ბრმა მენახშირის ქალის წინაშე. ეს არის დრამა „ყვარყვარე ათაბაგი“, გადმოკეთებული ჰალმის ტრაგედიიდან. ამ სურათით გ. ერისთავმა მთელი მაღალი წოდება წამოაჩოქა უფლებაყრილ გლეხების წინაშე. აქ „დაბალა წოდების“ ადამიანობის საკითხი არის აღძრული მთელი თავის სიძლიერით: ცნობილი არის არამც თუ მისი სწორუფლებიანობა, არამედ უპირატესობაც“.

ჩვენი შეხედულებითაც, გ. ერისთავი შეეხო ბატონყმობის საკითხს. მაგრამ არა „ყვარყვარე ათაბაგი“ში“, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ აზრშია გატარებული. „ყვარყვარე ათაბაგი“ში“, ჩვენა ფიქრით, ბატონყმობის წინააღმდეგ კი არ არის გალაშქრება. არამედ მასში სიყვარულის კულტია მძლავრად წამოყენებული, რომ გლეხიც იგრძნობს და მძლავრდაც, დამატყვევებლად. დედოფალ რუსუდ ანს ავტორი დააჩოქებს მართას წინაშე არა როგორც ყმის ქალის წინაშე, არამედ როგორც დიდი სიყვარულის გრძნობის მატარებლის წინაშე, ე. ი. სიყვარულის გრძნობის წინაშე.

რომ ეს ასეა, ამას, გარდა დრამის შინაარსისა, შემდეგი გარემოებაც ადასტურებს. დრამა „ყვარყვარე ათაბაგი“ გადმოკეთებულია ჰალმის დრამატიული ნაწარმოებიდან „გრინელა“<sup>65</sup>. ჰალმი წარმომადგენელია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის გერმანიის მწერლობისა. ის ტიპიური იამომხატველია გერმანული სანტიმენტალიზმისა, რომელშიც სათნოება, ზნეობრივი სიფაქაზე (რაც ჩვეულებრივ სანტიმენტალისტი მწერლებისათვის სიყვარულში იმტავნდებოდა) წვრილი ბურჟუაზიის წრეების კულტად იყო აღიარებული. ასევეა „ყვარყვარე ათაბაგი“ში“.

გ. ერისთავის მიერაც, ვფიქრობთ, უაზროდ და შემთხვევით არ არის აღებული არა ყმის ქალი, არამედ მენახშირისა, არა სოფლად მცხოვრები, არამედ ქალაქის განაპირად, როგორც ეს დამახასიათებელი იყო სანტიმენტალიზმისათვის, რომელიც ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის მდგომარეობას ასახავდა. ამიტომ, ვფიქრობთ,

65 იხ. დ. გამეზარდაშვილი, გიორგი ერისთავი, გვ. 194.

„ყვარყვარე ათაბაგში“ სრულებით არ უნდა იყოს ბატონყმობის საკითხი აღძრული.

სამაგიეროდ „დავა“-ში, „გაყრა“-ში გ. ერისთავი, ივარდა მოხვეული გზისა, ბატონყმობისადმი დამოკიდებულების შესახებ პირდაპირი გზითაც იგვეუბნება. მაგალითისათვის, როდესაც დალონებელი ანდრეჟაფარი თავის მოურავს ბარამს შესჩივლებს, რომ „თერგდალეული“ ძმა ივანე მას ივარდას უპირებს, ბარამი ბატონს ასეთ რჩევას აძლევს: „მაშ იცი, შენი ჭირიმე, რა მოგახსენოთ. შევწეროთ კაცებს ფული. ერთი ოთხასიოდე თუმანს ავკრებთ ხელათ. ოთხასი თუმანი, რას ბრძანებ შენი ჭირიმე, თავის დღეში გაგყარაინ?“ აქ, რასაკვირველია, გ. ერისთავის შეხედულებაც გამოსჭვივის. მებატონეს გლუხკაცობა საკრეჭ ცხვარსავით ჰყავდა: გაუჭირდა — შეაწერეთ ფლუხებს, აიღეთ ხელად ფული. და რომ ამ ფულის შეკრება ადვილი და უმტკივნეულო არ იყო, ამის საბუთებიც, თუშცა მოკრძალებით, მაგრამ მაინც აქვს გ. ერისთავს მოცემული.

მაგალითად, ივარდასა და ყვარდაშვერდს შორის დიალოგში ყვარდაშვერდი სიღარიბით, ბატონის სახლში მუშაობით შეწუხებული, ოცნებობს ივარდასზე „ვათხოვებით ასეთ მდგომარეობას თავი დააღწიოს. ამიტომ ის ივარდასს სიყვარულის ანსხას ვააწყვეტინებს და საქმიანი კილოთი ჰკითხავს:

ყვარდაშვერდი: ყველა კარგი, მაგრამ შენს ბატონს არა მოახსენე-რა?

ივარდასი: როგორ არა, ჩემო ვარდო, მიბრძანა, მე ვთხოვ ჩემს რძალს, რომ ყვარდაშვერდი მოგცესო, ჩემს ახლო დაგაყენებთო.

ყვარდაშვერდი: რასაკვირველია... სასახლის ახლო დავსდგე, რომ ქათმები მაზრდევინოს... ავება მოურაობა გიბოძოს.

ივარდასი: მოურაობას იმასთან სამსახური არა სჯობია?

ყვარდაშვერდი: რათ ემჯობინება, მაგდენიც არ იცი, რუსეთი კი დაიარე.

ივარდასი: მოურაობა რა ხელობა არის, რა პურს მაქმევს.

ყვარდაშვერდი: ქაა. რა პურს გაქმევს! პური შენს ხელში იქნება და ღვინო, შემოსავალი, ვისაც ბატონი აიკლებს, ნახევარი იმისია, ერთი სიტყვით, ბატონის მონახვერე არის.

ივარდასი: როგორ თუ აკლებს! კარგს რასმე მასწავლი. მე რომ ბატონს აკლებს ვავაგონო, დამარჩობს. ვანა ბატონი რაზბონიკია! არა, ჩვენ მაგისტანეები არ გვისწავლია.

ყვარდაშვერდი: მაშ შენც და შენი ბატონიც მშვიერი დარჩებით. ერთი სიტყვით, თუ მოურაობას არ იშოვი, არ მიწინაა, შენისთანა მშვიერებს მე ბევრს ეიშოვი... მშვიდობით...



ასეთი ადგილები გ. ერისთავის შემოქმედებაში აქა-იქაა მიმობნეული. ჩვენ მოვიტანთ კიდევ ერთ ნიმუშს: დიდებულებიდან გაყრის დროს, როცა ანდრეაფარს უნდა შუშები მიიჯვისოს, აპობს — „ესენი ქალაქში ვიყიდეთ“. გულმოსული პავლე წააყვედრებს: „რო იყიდე, შენი პენციიდან მიე თუ? კახიშვილი რომ აიკლე, იმითი არ წახველ ქალაქსა, შე გაუმაძღარო?“ და სხვ.

ცხადია, გ. ერისთავი ეხება ბატონყმობას. თუ მხედველობაში მივიღებთ 40—50-იანი წლების პოლიტიკური პირობების სიმძიმეს, ნიკოლოზ I ცენზურის საშინელ სიმკაცრეს, განსაკუთრებით 1848—1855 წწ., მოყვანილი ადგილები საგრძნობი საცხადით ამჟღავნებს ბატონყმობის უარყოფით მხარეებს. ცხადია, გ. ერისთავი ბატონყმობის წინააღმდეგ ილაშქრებს, მაგრამ არა როგორც ინსტიტუტისა, არამედ მხოლოდ მისი უარყოფითი მხარეების შესწორებისათვის, ბატონყმობის დატოვების შესარბილებლად. შერბილებული ბატონყმობის დატოვების მომხრედ-კი რჩება. რომ ეს ასეა, ამას მჭევრმეტყველურად ამტკიცებს ისეთი ერთგული კამერდინერების ყოლა, ივანესა და ბეგლარს თან რომ დაჰყვებიან რუსეთშიც-კი. ამის გარდა, მოვიგონოთ ივანეს კმაყოფილებითი ოცნება: „დაა. სასიამოვნო არის ჰყავდეს მებატონეს ერთგული მსახური და ყმები. გოსპოდი! მომეც შეძლება, რომ ჩემმა ყმებმა ისე შემიყვარონ, როგორც დაბრიელმა. კაკაია პოეზია ბიტლობრიმ, ზოტ ბ ბედნიმ პომეშიიკომ! დაგლოცვენ შენი ყმანი... მეუც ვეცდები“... ცხადია, აქ ბატონსა და ყმას შორის კეთილგანწყობილებაზეა ლაპარაკი მხოლოდ. და ჩვენც აქედან უნდა გამოვიღეთ ჩვენს მსჯელობაში.

უდავოა, რომ გ. ერისთავის პროტესტი ბატონყმობის ამ უარყოფითი მხარეების წინააღმდეგაც-კი სუსტია, მაგრამ იმ დროისათვის ამ სინაზინჯის ასეთი კლანჭის გაკვრაც-კი დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ლიტერატურაში.

გ. ერისთავი საინტერესო მოვლენაა ჩვენი ლიტერატურის განვითარების ისტორიაში კიდევ იმათაც, რომ შექმნა ქართულ ენაზე შემოქმედების ახალი უაღრესი — კომედია და იხმარა, ან როგორც პლატონ იოსელიანი წერს: „დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვის“. ე. ი. ხალხური საჯარო ენით დაიწყო წერა. სრულიად სამართლიანია იგივე პლატ. იოსელიანი, რომელიც გ. ერისთავის თხზულების პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში წერს: „სახელმან მისმა (ე. ი. ერისთავისამ. — მ. ზ.) ქართველთათვის ესრეთივე მიიღო ღირსება, რომლისათვისაცა ეკვრებებიან ბერძენთა და რომაელთა კომიკთა არისტოფანეს, კრატონს, პლატუსა, ტერენციოსს, მენანდრსა და სხვათა“.

გ. ერისთავი, მართლაც, ქართველთა არისტოკრატული იყო. აწ როგორც მ. ს. ვორონცოვმა სთქვა, ქართველთა მოღიერნი მან შექმნა ქართული საყოფაცხოვრებო კომედია, რომელმაც შეიძლება ითქვას, დღემდის შეინახა თავისი ძალა და გავლენა, რომელმაც შემდეგში გამოიწვია მთელი რიგი ნიჭიერი მიმდევრებისა (მთელი XIX საუკუნის მანძილზე გ. ერისთავს მიმდევრები ჰყავს არა მარტო უშუალო თანამშრომლებში, არამედ შემდეგშიც, მაგალითად, ავქსენტი ცაგარელი, ვასო აბაშიძე, ტრ. რაპიშვილი, ნ. აზიანი და მრავალი სხვა), რამაც ქართულ თეატრს და ქართულ კომედიას გ. ერისთავის საყოფაცხოვრებო თეატრის სახე XX საუკუნემდე შეუნახა.

უკვე ეს გარემოება მკვერმეტყველური მაჩვენებელია იმისი, რომ გ. ერისთავის მიერ დაწყებული ლიტერატურული მიმართულება რეალისმი და მის მიერ ჩვენ ლიტერატურაში შემოტანილი ჟანრი — საყოფაცხოვრებო კომედია თვით ჩვენი სოციალური ცხოვრების ღრმა ცვლილების მოთხოვნილება ყოფილა. გ. ერისთავსაც დროზე და კარგად უგრძენია მისი აუცილებლობა და ნიჭიერადც დაუწყია ეს საქმე.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს შემდეგი: ვინაიდან კომედიების წერა ჩვენში სულ ახალი საქმე იყო და ამ მხრივ გ. ერისთავს ჩვენს ლიტერატურაში წინამორბედი არა ჰყავდა, მას ჩვენში უშუალოდ უხდებოდა კომედიისათვის გზის გაკაფვა, ამიტომ ის ამ ჟანრის პოეტურ დაძლევაში ყველგან არ არის თავისუფალი, ლაღი, თამამი. მას ახლავს თავისი ნაკლიც.

უპირველესად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გ. ერისთავის შემოქმედებას ზოგიერთი ცნობილი რუსი მწერლის გავლენა ეტყობა (ხან თუ შორეული, ხანაც მეტად აშკარა და ძლიერი). მაგალითად, რუსი მწერლის ა. ს. გრიბოედოვის ლიზა, სოფიოს მოახლე («Топе от ума») ცხადლივ მეორდება გ. ერისთავის შემოქმედებაში ყარდაშვერდის სახით („გაყრა“). გ. ერისთავის შემოქმედებაში აშკარად ვამჩნევთ რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის გავლენასაც: ხლესტაკოვის კამერდინერის ოსიპის სახე („Ревизор“) — ეტყობა გ. ერისთავისათვისაც მეტად ხელსაყრელი ყოფილა. ეს სახე მეორდება „დავა“-ში ბეგლარ ღაზნელის კამერდინერის აბრამის სახით, მაგრამ ოსიპის გავლენას უფრო აშკარად ივანე დიდებულის კამერდინერის გაბრიელის ასახვაში ვხედავთ („გაყრა“). საინტერესოა გაბრიელის მონოლოგი, სადაც გადაშლილია მისი მოგონებანი პოლონეთის ცხოვრების შესახებ და სულიერი განწყობილება, დიდი ქალაქის ცხოვრების შესუნთქვით შექმნილი. მოვიტანთ ნაწყვეტს: „Фы, რა სკუჩხნობაა ამ

სოფელში. ნეტავი ქალაქში მაინც ვიდგეთ, ნეტავი ჩემი ბატონი ისევ ვარშავაში ყოფილიყო და... საკვირველი ეს არის, იქ რომ ვიყავ საქართველოში მინდოდა მოსვლა... ახ, როდის განათლდება ჩვენი ხალხი... რა უბედურება არის, ღოგოსათვის ხმა ვერ იგამიცია. ტოლო დელო ვარშავა. სადამოზე როცა დრო მქონდა, და როდის არა მქონდა დრო, — ბატონი სად იყო ხოლმე. დავერეოდი ვარშავის ქალებში... რა რიგად არიან. გზარდილები: ორ კვირაზე პოლშური მასწავლეს, მერე ტანცაობა და რამდენი რამეები. შაბათობით ვერცხლის ზალაში თითო შაურათ არის შესვლა; მუზიკა... ქალები გიჟდებოდნენ ჩემთვის; რა ზრდილობით მექცეოდნენ... და სხვა. ეს მონოლოგი მეტად გვაგონებს ოსიპის ცნობილ მონოლოგს, სადაც ის თავის სატახტო ქალაქის ცხოვრებას შლის დაახლოებით ამგვარი მოგონების სახით.

საგრძნობი გავლენა ა. პუშკინის „ქუნწი რაინდისა“ („Скупой рыцарь“) და მოლიერის „ქუნწის“ („Làvare“) მოჩანს გ. ერისთავის „ქუნწის“ მთავარი გმირის კარაპეტას დახატვაში. აქედან პირდაპირ ვადმოტანილია ანალოგიური ადგილები, ხშირად პირდაპირ ნათარგმნიც ყია. მაგალითად, პუშკინის „ქუნწი რაინდიდან“, როდესაც ქუნწი სარდაფში მოწიწებით ჩადის ოქროს ფულებთან და ამბობს მონოლოგს: «Как молодой повеса ждет свидания»... ასეთივე მონოლოგი აქვს გ. ერისთავსაც, როდესაც კარაპეტა ფულების ყუთთან მდის და იმავე სიტყვებს იმეორებს (შესაძლებელია ეს ავტორს შეუცნობლად მოსდის). გავიხსენოთ კარაპეტას მონოლოგი: „სძინავს... ყოველთვის გული მიხტუნობს, როცა ამ წაღოსთან მივალ.

როგორც ყმაწვილი შეყვარებული  
ელის საყვარელს გაგიჟებული,  
ამათ ღამე აქვთ დრო დანიშნული,  
მეც მაგრე მელის ზანდუკში ფული...“

და სხვა.

ან კიდევ შემდეგი ადგილი: „ნეტამც სამოთხეში რა იქნება. ვა, რა ფიქრი უნდა, ფულები... სხვა რა უნდა იყოს... ფული. ამაში სულ გათავდა, ფული... ყოველი სიხარული... (ფულის ყუთს რომ ახდის და ფულს დაინახავს) ახლა თქვენ სთქვიით, თუ ცალი ვინმე მყავს. რა ფინდათ, რომ ვქნა. როგორ ფინდათ ვქნა. თუ ტიატრისათვის... რკინის ქანაპართე, ტო ესტ შელეზნუ დაროგუ, დენლი ვსე მოუნა, გინდა მე ხვალვე გავხდე პუჩოტინი ღრაყდანიინ, ბლულოროოდნიც გავხდები, დვა რაზა ბლულოროოდნიც“... ხომ ასეთივეა პუშკინის ქუნწი რაინდის განცდებიც.

სხვათა შორის, ამ მწერლების გავლენამაც, ალბათ, შეუშალა ხელი გ. ერისთავს იანთავისუფლებულიყო და თავისთავადი, დამოუკიდებელი შემოქმედების ხერხები ეძებნა. შესაძლებელია, ამითაც (ნაწილობრივ მაინც) აიხსნებოდეს, რომ გ. ერისთავმა მოგვცა მთელი ცოცხალი ნიჭიერი ვალერეა მოქმედი პირებისა, რომლებიც უფრო პორტრეტს იძლევიან, ვიდრე ტიპს. ამ სახეებში არ არის მოცემული საერთო დამახასიათებელი თვისებები მთელი წოდებისა, თუ კლასისა. ანდრუყაფარი, პავლე, ამირანდო, თუ ჩარჩ-ვაჭრებიდან — მიკირტუმა, კარაპეტი ან სხვა რომელიმე არ არის ტიპიურ გარემოებაში მოცემული სრულყოფილი ტიპიური სახე. მხოლოდ ყველამ ერთად აღებულმა შეიძლება ეპოქის საერთო წარმოდგენა და მკვეთრი წარმოდგენაც მისცეს მკითხველს.

რასაკვირველია, ტიპიური მოვლენების დაძლევა ხელოვნებაში რთული საქმეა. ტიპში მოცემული უნდა იყოს მხატვრული მთლიანი შთაბეჭდილება და საერთოდ ცოდნა, წარმოდგენა მსგავსი მოვლენის კატეგორიაზე. ტიპის ათვისებით ფართოვდება მკითხველის ცოდნაც, რადგან ტიპში მკითხველი ხედავს იმას, რაც არის, რაც ცხოვრებაში გვხვდება, სინამდვილეში მეორდება, რაც ცხოვრებას ახასიათებს ან რამაც დღეს თუ ხვალ უნდა გაიმარჯვოს, გაიკვილოს ფართო გზა ცხოვრებაში, რაც „ყველაზე მეტი სისრულითა და სიმანვილით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს. მარქსისტულ-ლენინური გაგებით, ტიპიური სრულიადაც არ ნიშნავს რაღაც სტატისტიკურ საშუალოს“; ტიპში მოცემულია ზოგადი ინდივიდუალურის საშუალებით. ტიპიურობის პრობლემა ხელოვნებაში (და სხვა მეცნიერების დარგში) წამოიჭრა რეალიზმის განვითარებასთან ერთად. ვინაიდან რეალიზმი ჩვენს ლიტერატურაში ის იყო იწყებოდა და მისი დამწყები გ. ერისთავი თვითონ იყო; რასაკვირველია, ამ მხრივაც მას არა ჰყავდა წინამორბედი, არა ჰქონდა გზა გაკაფული და ბუნებრივია, თუ მას ტიპებს გამოქანდაკება უძნელდებოდა. მართალია, გ. ერისთავმა იგაბედულად იგვიჩვენა ცხოვრების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, მაგრამ შესაძლებელია, ამ პირობებში ტიპიურობის დაძლევისათვის გ. ერისთავს სათანადო პოეტური ინტუიცია და იაქანებაც არ შესწევდა; ვფიქრობთ, ეს მისი მსოფლმხედველობის ბრალიცაა. ამას უფრო სპეციალური შესწავლა ესაჭიროება.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. ერისთავს არც მოქმედი პირის ხასიათის სრული და ბუნებრივი გაშლა ეხერხება. მავალითად, ივანე დიდებულშიც, მართალია, უნიადავო, ზერელე კაცია, ცხოვრების დაბრკოლებებთან ბრძოლა მას არ შეუძლია, მაგრამ მაინც, ასე მხოლოდნელად, შინაგანი ბრძოლის გარეშეც-კი რომ დათანხმდება

მიკირტუმას ქალის შერთვაზე, არაბუნებრივია. ეს-ეს არის ყაცმა ვერც-კი მოასწრო ეთქვა, რომ „რომან ბეზ ლუბვი — უყასნო“, მოინებადეს და ზელადვე რწმუნდება, რომ მიკირტუმას ქალის შერთვა ხელსაყრელია, რადგან ექვსასი თუმნის თამასუქი დაიხევა და მომავალშიც უზრუნველყოფილი ცხოვრება ექნება. ჩვენ იმას-კი არ ვამბობთ, რომ ასეთი ბოლო ივანესათვის არ არის ბუნებრივი. არა. ფინალი სწორია. ივანეს გზა სისწორითაა წარმართული. ჩვენის ფიქრით, საჭირო იყო მხოლოდ ერთგვარი შინაგანი ბრძოლა მაინც გაეწია ივანეს, ეს პოზიციის დათმობა, ერთგვარი, თუ ბრძოლისა არა, ყოყმანის შედეგი მაინც ყოფილიყო. ჩვენის ფიქრით, გაცილებით უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ ივანეს ასეთს დამარცხებას, ასეთს გარდატეხას ერთგვარი შინაგანი ექვისა და რყევის პროცესი ახასიათებდეს. ასეთი კრაზი თანდათან უნდა ვითარდებოდეს. მისი მსგავსი ხაზი-ციკი კომედიაში არ არის მოცემული.

ასეთივეა ბეგლარის ხასიათის განვითარებაც. ბეგლარის ნინოსადმი გრძნობები ისე მოულოდნელად მქლავდება, რომ მაყურებელი იგაუგებრობაშია ჩავარდნილი. ივანესაკუთრებით ეს მქლავდება, როცა ნინოს კეკლუცური საუბარი: „ზომ არ გჯერათ, რომ ქართველ ქალს შეუძლიან სიყვარული, გრძნობა. თუ მე მკითხავთ, კაციები უფრო გულგრილები არიან“ და სხვა, ბეგლარს სრულიად მოულოდნელად დაიმორჩილებს. ამისთანა დეფექტი გ. ერისთავის შემოქმედებაში სხვაგვანაც გვხვდება. ყველა ეს ნაკლი ერთი კატეგორიისაა და დაკავშირებულია ტიპოურობის დაძლევის სირთულესთან.

ამასთან ერთად გ. ერისთავის შემოქმედებაში კლასიციზმის ხასიათის დიდაქტიზმსაც ვამჩნევთ. ავტორი რომელიმე მოქმედი პირის საშუალებით კომედიის დასასრულს თავის მიზანს, ნაწარმოების დედააზრს პირდაპირ გამოთქვამს. მაგალითად, კომედია „გაყრის“ დასასრულს მიკირტუმა ავტორის მაგივრად ასე მიმართავს საზოგადოებას:

ბატონებო, შემინდევით, თუ ჰპოვეთ რამ ნაკლულება,  
ამად ვმხნეობ, აქ ბრძანებულთ ყველასა გაქვთ განათლება,  
და ამისთვის მაპატიებთ სუსტსა ამას პირველ შრომას,  
არ შეისმენთ რომელთაჲმ უსწავლელთა წყენა, წყრომას.  
მე დაესწერე იმაზედა, ვინც ზნეობით არის მრული...  
ჩვენც ვეცადნეთ და განვდევნოთ, რაცა არის ჩვენში ცუდი.

ასეთივეა დაბოლოება კომედია „დავა“-სი, როდესაც ონოფრე თავის ქალს „პატიოსანს, ჭკვიანს, კარგს, გაზრდილს, ყოველის

კეთილით სახეს“ ჩააბარებს ბეგლარს, და ამგვარად ორი ერთმანეთის მოქიშპე ოჯახი შერიგდება და შეერთდება. ს ა რ ქ ი ს ა ასე ათავეებს კომედიას:

თუ ასე ყველა ქართველნი,  
როგორც ესენი შერიგდებიან,  
მაშინა ჩვენი სომეხნი  
შემილით ამოსწყდებიან.

მხატვრულ ნაწარმოებში ტენდენციის გამომჟღავნება, ასეთი ძალდატანებითი სახით ნაწარმოების იდეის გაშიშვლება და მკითხველისა თუ მთავრებისადმი ასე მიცემა, რეალიზმის მხატვრული შემოქმედების თეორიის თვალსაზრისით, ნაკლია და დიდი ნაკლიც. შემოქმედების ასეთი ხერხი უხეში ჩანაქერების ხასიათს ღებულობს და მთლიანი მხატვრული შთაბეჭდილებების მიღებას აკნინებს. მხატვრული ნაწარმოების მთავარ იდეას ნაწარმოების განვითარებაში თანდათანობით, შეუშინეველად უნდა აქსოვდეს, იდეა მთლიან ნაწარმოებში ძალდაუტანებლად უნდა იშლებოდეს და მკითხველის შეგნებაში თანდათანობითი საქლიერით იჭრებოდეს. პოეტი იდეას კი არ ეუბნება მკითხველს, თუნდაც რომელიმე მოქმედი პირის შეშუობით, არამედ აჩვენებს მთლიან განვითარებაში. ამ მოთხოვნის დაცვა მხატვრული ნაწარმოებისათვის აუცილებელია. აი რა საგულისხმო აზრს იგამოსთქვამს ფ. ე ნ გ ე ლ ს ი მ ი ნ ა კ ა უ ე კ ი ს ა დ მ ი მიწერილ წერილში: „მე ვფიქრობ, რომ ტენდენცია თავისთავად, მწერლის განსაკუთრებული მითითების გარეშე, მდგომარეობიდანა და მოქმედებიდან უნდა გამომდინარეობდეს, ავტორი სრულებითაც არ არის ვალდებული მზამზარეულად მისცეს მკითხველს ნაწარმოებში გამოხატული საზოგადოებრივი კონფლიქტების მომავალი ისტორიული გადაწყვეტილებანი“.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სასაუბრო ენის შემოტანასთან ერთად ფ. ერისთავის მოქმედი პირების ლექსიკონში მოცემულია ყოველი ფენის ენის თავისებურება. ეს გარემოება უთუოდ თავისებურ ელფერს აძლევს ფ. ერისთავის პერსონაჟებს და საზოგადოებრივი ცხოვრების ტილოს, რომელსაც ავტორი თავის კომედიაში გვიხატავს: ძველი თაობის ენა, ეს მისი ენაა, მის ფეოდალურ ოჯახსა და დარბაზებში რომ იხმარებოდა. მის ენაში ჯერ კიდევაა გავლენა საეკლესიო ენისა. ახალი თაობის ენა თითქმის თავისუფლდება საეკლესიო ენის გავლენისაგან, სამაგიეროდ შემოაქვს და უხეშადაც რუსულ-ქართულის არევა. ახალი ევროპული კულტურა მოდის რუსულისა და რუსეთის გზით. რუსული ენა იარაღია, რომლითაც ეს ახალი თაობა უწაფება ახალ მოწინავე კულტურას, რო-

მელსაც ის უნდა გადაყვეს. ამიტომაც რუსული ენა ადვილად მკვიდრდება ამ თაობაში.

რუსულ ენას მოაქვს ახალი კულტურა, მოაქვს ახალი ძალაუფლება, ის ზდება სახელმწიფო სალაპარაკო და აგრეთვე ახალი ცხოვრების ურთიერთობაში — ალებ-მიცემობაში საჭირო ენად. ახალი სოციალური ფენა — ჩარჩი-ვაჭარი, რომელიც ცხოვრების ყოველივე მოვლენას მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით უყურებს, რასაკვირველია, უფრო მეტი სურვილით დაეწაფა ამ ენას, რათა გამოიყენოს თავისი კეთილდღეობის განმტკიცებისათვის, მისი უცოდინარობით უკან არ დადგეს. მართალია, მიკირტუმ გასპარიჩი იქნება, თუ სარქის ბულდანიჩი — მეტად დამახინჯებული რუსულით ლაპარაკობენ, მაგრამ ისინი არას დაგიდევენ, იოლად გადიან, ამით მათი მიზანიც მიღწეულია, მათ მეტიც არ უნდათ.

გ. ერისთავმა უთუოდ სწორად განჭვრიტა, ალლო სწორად აუღო ცხოვრებაში მომხდარ სოციალურ დიფერენციაციას და მასთან დაკავშირებით სტილური დიფერენციაცია რომ იწყებოდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სწორად და მკვეთრად ასახა მხატვრულ ლიტერატურაში. გ. ერისთავმა ნიჟერად დაგვანახა 40—50-იანი წლების ჩვენს ცხოვრებაში მოქმედი სამი ძირითადი სოციალური ფორმაცია თავ-თავისი უარგონით, არა მარტო სახეთა კოლორიტის დაცვის მიზნით, არამედ, ქართული სალიტერატურო ენის დარღვეული მდგომარეობის ჩვენების მიზნითაც. სამივე უარგონი გ. ერისთავის ჩვენებით უვარგისია, შეუფერებელია. თვითონ კი ლიტერატურული ენა დაუახლოვა ჩვეულებრივ სასაუბრო ენას, რითაც ნიადაგი შეუმზადა 60-იანი წლების დიდი მოღვაწის ილ. ჭავჭავაძის ქართული სალიტერატურო ენის ცნობილ რეფორმას.

ამრიგად, გ. ერისთავის მხატვრული შემოქმედების მნიშვნელობა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, მიუხედავად ბევრი ნაკლისა, რომელიც მის შემოქმედებას მხატვრულობის თვალსაზრისით ახასიათებს, დიდია და საგრძნობი. ის იწყებს, სათავეს აძლევს იმ ლიტერატურულ მიმართულებას — კ რ ი ტ ი კ უ ლ რ ე ა ლ ი ზ მ ს, რომელიც XIX საუკუნისათვის, შეიძლება ითქვას, ყველა კულტურულ ქვეყანაში ძირეული და დამახასიათებელი იყო, ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ გ. ერისთავმა პირველმა ღია თვალით ჩაიხედა ჩვენ გაბზარულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ფხიზელი და დაკვირვებული გონებით ჩვენი ცხოვრების შემჩნეული უსწორმასწორობა ამოკრიფა და ფართოდ გამოფინა. მან, ჩვენი ცხოვრების კარგმა მცოდნემ, შეძლო ამოკრეფილი დამახასიათებელი თვისებები აე-

კინძა თავის შემოქმედებაში და მკითხველის წინ მკვეთრად წარმოედგინა ის ცოცხალი გალერეის დახატვით. მისი კომედია ჩვენი 40—50-იანი წლების ყოფის ცოცხალი სარკეა.

გ. ერისთავმა ახალი ქართული ლიტერატურის მეორე პერიოდის კარები მძლავრად შემოაღო და თავისი ნაყოფიერი მოქმედებით უხვად დააპოხიერა ჩვენი ლიტერატურული მოღვაწეობის ასპარეზი.



## ზურაბ ანტონოვი

(1820—1854)

### I

გიორგი ერისთავის მიერ დროულად და ნიჭიერად გაშლილმა მრავალმხრივმა მოღვაწეობამ დაუყოვნებლივ გამოიწვია სამოღვაწეო ასპარეზზე მთელი პლეადა არა მარტო მიმდევარი არტისტებისა, არამედ მიმდევარი მწერლებისაც — გ. დვანაძე, მეიფარიანი, ჯაფარიძე, ივ. კერესელიძე. ზურაბ ანტონოვი ერთი საუკეთესო წარმომადგენელია გ. ერისთავის თეატრისა და მის მიერ დაწყებული ლიტერატურულ-დრამატიული მწერლობისა.

თუმცა ზ. ანტონოვი გ. ერისთავის თეატრში შედის ჯერ გაურკვეველი; მან არ იცოდა, რა მიმართულებას მიიღებდა იქ მისი მოღვაწეობა — არტისტულს, ადმინისტრაციულს თუ დრამატურგიულს, მაგრამ მალე გამოიჩინა, რომ მისი ნიჭი დრამატურგიაში უნდა გაშლილიყო, რომ მის ნიქსა და შემოქმედებას საკუთარი გზა და ხმა აქვს.

ზურაბ ანტონოვი დაიბადა 1820 წლის 9 (22) თებერვალს ქ. გორში. მამამისი ნაზარ ანტონოვი წვრილი ვაჭარი იყო. ზურაბი ნაზარის უფროსი შვილი ყოფილა და ბავშვობიდანვე თურმე ყურადღებას იქცევდა გონების არაჩვეულებრივი სიფხიზლითა და ცნობისმოყვარეობით.

ექვსი წლის ზურაბი მამამ სასწავლებლად მიიბარა ერთს გორელ მღვდელს. ზურაბმა თავიდანვე მახვილი გონება, ნიჭი და ბეჯითობა გამოიჩინა. მღვდელს ზურაბის მამისათვის ურჩევია ბავშვს უფრო უკეთესი სწავლის გზა მიეციო. „მღვდელს, — წერს ზურაბის ძმა გრიგოლი, — ეთქვა მამიჩემისათვის, — ამისთანა გონებისა და ამისთანა ნიჭიერი ყმაწვილი ჯერ ჩემს თვალს არ უნახავსო; ეს უნდა სხვა რაღაც რამ გამოვიდესო“<sup>66</sup>. მამასაც მიუღია მხედველობაში მღვდლის რჩევა და ზურაბი გორის სამაზრო სასწავლებელში მიუ-

<sup>66</sup> გრ. ანტონოვი, ზურაბ ანტონოვი და მისი თხზულებანი, თხზ. ზ. ანტონოვისა, გამ. 1876 წ., გვ. II.

ბარებია. ზურაბს იქაც ცხოველი ინტერესით და დიდი ათვისების უნარით დაუწყია სწავლა. ერთი წლის განმავლობაში ზურაბს ორი წლის კურსი გაუვლია და მესამე კლასშიც გადასულა.

სასწავლებლის გამგეს სარაჯიშვილს ზურაბისათვის რომ შეუმჩნევია გონიერება და ბეჯითობა, უთქვამს ნაზარ ანტონოვისათვის: შენ შეილს „კარგი ნათელი გონება და კარგი ნიჭი აქვს“, ამიტომ „ნუ დაუხშობ ამოდ ამისთანა გონებასა, ნუ გახდები შვილის მოვალე; გაგზავნე ეს ყმაწვილი უმაღლეს სასწავლებელში და ეს საჩვენებელი კაცი გამოვაო“<sup>67</sup>. მაგრამ ნაზარ ანტონოვს ეს რჩევა არ მოსწონებია, შორს დაუჭერია, შეშინებია „შვილს დამაკარგვინებთო“ და მაშინვე სასწავლებლიდან გამოუყვანია. ზურაბს მამის ასეთი მოპყრობა, როგორც გრ. ანტონოვი გადმოგვცემს, უთავილია და 18 წლამდე სულ სახლში ყოფილა. „მისი საქმე, — წერს გრ. ანტონოვი, — სულ ის იყო, სადაც კი იშოვიდა სადმე წიგნსა, როგორათაც მშიერი კაცი, ისე მიიპარდებოდა და გადაიკითხავდა“<sup>68</sup>. ზურაბი ამ დროს აგრეთვე ხატვისადმი იჩენდა დიდს ლტოლვას; ცდილობდა ნახატიდან გადაღებას და ამ მიმართულებითაც თურმე კარგი მიღწევები ჰქონდა.

18 წლისა ზურაბი მამას გორის სამაზრო სასამართლოში შეუყვანია კანცელარიის მოხელედ. სასამართლოს კანცელარიის საქმეებშიც ზურაბი მალე და კარგად გარკვეულა. ზურაბი აქაც განაგრძობდა თვითგანვითარებას. წიგნს რომ შეხვდებოდა, ფულს არ ზოგავდა. თავისი ბიბლიოთეკა მან განსაკუთრებით გაამდიდრა მამის სიკვდილის შემდეგ, როცა მამის ქონებიდან ზვედრი წილი მის ხელში გადავიდა. ეს ქონება, გრ. ანტონოვის მოწმობით, სულ წიგნებში მისცა. მალე სამსახურსაც თავი დაანება. ასე გაურკვეველი და ცხოვრების გზის ძიებაში მყოფი ზურაბი ერთხანად არხებს უწერდა მსურველთ რუსულ და ქართულ ენებზე, რადგანაც სამსახურის დროს კანონები კარგად აითვისა.

გ. ერისთავმა დრამატული დასი რომ შეადგინა და ქართულმა თეატრმა წარმატებით დაიწყო მუშაობა, ზურაბ ანტონოვმა გ. ერისთავს მიაშურა. გ. ერისთავმა ის მიიღო თავის დასში, დაავალა „გაყრაში“ შეესრულებინა მიეკრტუმ გასპარიჩის როლი. თუმცა ზ. ანტონოვი, როგორც არტიტი არ იყო ნიჭიერი, მაგრამ ის დაულალავი ფატიცებით ჩაება ქართული სცენის აყვავების საქმეში და გ. ერისთავს ეხმარებოდა, როგორც აღმინისტრატორიც.

მაგრამ ზურაბ ანტონოვმა საზოგადოების ყურადღება მიიქ-

67 გრ. ანტონოვი, ზურაბ ანტონოვი და მისი თხზულებანი, თხზ. ანტონოვისა, გამ. 1876 წ., გვ. 11.

68 იქვე.

ცია განსაკუთრებით როგორც დრამატურგმა. გ. ერისთავის თეატრ-  
მა გააღვიძა და აამუშავა მისი ნამდვილი მოწოდება — დრამატიუ-  
ლი ჟანრის ნაწარმოებთა შექმნა. მან, როგორც მისი ძმა გრ. ანტონ-  
ოვი გვიმოწმებს, „იმავე შესვლის უამიდანვე დაიწყო წერა ქართუ-  
ლი პიესებისა“<sup>69</sup>. მართლაც, ზ. ანტონოვიმა მალე დაიწყო წერა იმავე  
ჟანრისა და მიმართულების კომედიებისა, როგორსაც წერდა გ. ერის-  
თავი, ე. ი. საყოფაცხოვრებო ხასიათის პიესებისა.

ამ მიმართულების პიესები იმ დროს მკითხველი საზოგადოე-  
ბის მიერ ხალისით იკითხებოდა და სცენაზედაც ხალისით იღვებო-  
და. ზურაბ ანტონოვის პიესებიც მალე დაიდგა ქართულ სცენაზე.  
მაგალითად: „მე მი ნ დ ა კ ნ ე ი ნ ა ვ ა ე ხ დ ე“ (კომედია ორ მოქმე-  
დებად, წარმოდგენილია პირველად 1851 წლის 10 მაისს); „ქ მ ა რ ი  
ხ უ თ ი ც ო ლ ი ს ა“ (კომ. ორ მოქმედებად, პირველად წარმოდგე-  
ნილია 1851 წლის 18 დეკემბერს); „გ ა ნ ა ბ ი ძ ი ა მ ც ო ლ ი შ ე-  
ი რ თ ო“ (კომ. 1 მოქმ., პირველად წარმოდგენილია 1852 წ. 3 თებე-  
რვალს); „მ ზ ი ს დ ა ბ ნ ე ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი“ (კომ. 3  
მოქმ., პირველად წარმოდგენილია 1853 წ. 12 იანვარს); „ქ ო რ ო-  
ლ ლ ი“ (ტრაგედია 4 მოქმ.); „ტ ი ვ ი თ მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ლ ი ტ ე-  
რ ა ტ ო რ თ ა“ (კომ. 2 მოქმ.); „ქ ო რ წ ი ლ ი ხ ე ვ ს უ რ თ ა“ (კომ.  
2 მოქმ.) და სხვა.

ზურაბ ანტონოვის ნაყოფიერი მუშაობა ქართული თეატრისათ-  
ვის საფუძველი იყო, რომ გ. ერისთავის მიერ 1854 წლის შემოდ-  
გომაზე დატოვებული ქართული თეატრის დირექტორად დაენიშ-  
ნათ ზურაბ ანტონოვი. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული თეატრის  
ხელმძღვანელობა მისთვის მეტად ხანმოკლე შეიქნა.

ზურაბ ანტონოვი მოულოდნელად გარდაიცვალა 1854 წ. 9  
თუ 13 დეკემბერს. მისი სიკვდილის მიზეზს გრ. ანტონოვი ასე მო-  
გვითხრობს: ზურაბი „ერთს საღამოს მომავალიყო სახლში, ქუჩაში  
ძალდი მიჰპარვოდა, მივარდნოდა უცებ და ხელზედ ეკბინა, ნაკბენი  
მესამეს დღემდის მოუჩჩა, მაგრამ სთქვა, ის ძალდი იქნება ცო-  
ფიანი ყოფილიყო... ცოფის წამალი გააკეთებინა, მოიტანა... მაგ-  
რამ.. იმ სახლის პატრონს ეთქვა, ის ძალდი ცოფიანი არ არისო  
და ძალდი კიდევ ეჩვენებინა. ამის გამო აღარ დალია წამალი“<sup>70</sup>.

მაგრამ გავიდა დრო. ორმოცდამეოთხე დღეს ღამით ზურაბი  
უცებ ძალიან ცუდად გამხდარა. მასთან ამ დროს ყოფილა მისი 17  
წლის ძმა გრიგოლ ანტონოვი. მას შეუტყობინებია არტისტ ტა-  
ტიშვილისათვის, რომელიც მალე მისულა, მაგრამ შეშინებია, ზუ-

<sup>69</sup> გრ. ანტონოვი, ზურაბ ანტონოვი და მისი თხზულებანი, თხზ.,  
ზ. ანტონოვისა, გამ. 1876 წ., გვ. V.

<sup>70</sup> იქვე, გვ. V—VI.

რები ცოფიანი არ იყოსო და პოლიციისათვის შეუტყობინებია. პოლიციას ივლუგრილად გამოუკეტია გარედან კარები, ძმაც ოთახიდან გამოუგდია, არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ავადმყოფის ყვირილით თხოვნაზე „ნუ მკლავთ, მიშველეთ“. მესამე დღეს მთავარმართებლის მოვალეობის აღმასრულებელს გენერალ რ ე ა დ ს გაეგო ზურაბის ავადმყოფობა, იაეცა განკარგულება ავადმყოფი პოსპიტალში გადაეყვანათ. ექიმებს ზურაბი გადაუყვანიათ საავადმყოფოში, მაგრამ უკვე ივანი ყოფილა. ზურაბი იქვე ივადდაიცვალა.

ზურაბ ანტონოვი საავადმყოფოში რომ ივადდაყვანიათ, პოლიციას მისი ხელნაწერები, წიგნები და სხვა ნივთები პოლიციაში გადაუტანია.

ზურაბ ანტონოვს დარჩენია მრავალი დაუბეჭდავი დრამატული ნაწარმოები, რომლებიც სცენაზე არ დადგმულა. ზურაბს სიკვდილის წინა დღეებში დაუმთავრებია ერთი პიესა, რომლის შესახებაც ვრიგოლ ანტონოვისათვის უთქვამს: „რაც პიესები დამიწერია, ამისთანა პიესა არც ერთი არ არისო; ყველა ჩემ დაწერილ პიესებს ესა სჯობიაო“<sup>71</sup>. ამბობენ, რომ ამ პიესას ერქვა „კ ი ზ ი რ ო კ ი“<sup>72</sup>. მაგრამ ეს უკანასკნელიც და სხვა ხელნაწერი პიესებიც ზ. ანტონოვის სიკვდილის შემდეგ უკვალოდ დაიკარგა. აი რას გადმოგცემს გრ. ანტონოვი: „ის ნივთებიც, ის წიგნებიც, ის პიესებიც სულ ერთიანად დაიკარგა პოლიციაში; ისე გაიტაც-გამოიტაცეს, რომ ერთი ფურცელიც ვეღარ ვიპოვეთ რა“<sup>73</sup>.

ასე უგზოუკვლოდ დაიღუპა 50-იანი წლების ერთ-ერთი ნიჭიერი მწერლისა და მოღვაწის ნამოქმედარი. მაგრამ ისიც, რაც დარჩა და რამაც ჩვენამდე მოაღწია, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახლად აღორძინებული ქართული კულტურისათვის ზურაბ ანტონოვმაც თავის დროზე ნაყოფიერად იმოღვაწევა და, შეიძლება ითქვას, როგორც უანგარო მუშაკი ჭერ კიდევ ახალგაზრდა ჯან-ლონითა და ცხოველი მისწრაფებით აღსავსე, ქართული სცენის სადარაჯოზე მოკვდა.

## 2

ზურაბ ანტონოვი როგორც დრამატურგი და სცენის მუშაკი აღიზარდა გიორგი ერისთავის შემოქმედებაზე და მისი თეატრის

71 გრ. ანტონოვი, ზურაბ ანტონოვი და მისი თხზულებანი, თხზ., ზ. ანტონოვისა, გამ. 1876 წ., გვ. VIII.

72 იქვე, გვ. VIII—IX.

73 ივ. კერესელძის მოწმობით ამ პიესას ერქვა „ცრუპენტელა“. გზ. „ივერია“, 1893 წ., № 17.

ასპარეზზე. მან გ. ერისთავის მიმართულების ძირითადი არსიცა და უნარიც — საყოფაცხოვრებო კომედიის ნიჭიერად აითვისა.

მაგრამ ზ. ანტონოვიმ საგრძნობლად გააფართოვა თავისი მასწავლებლის შემოქმედების თემატიკა. ზურაბ ანტონოვი ამ მიმართულებით მართებულადაა გაგებულნი და შეფასებულნი ილ. ჭავჭავაძის მიერ. ზურაბ ანტონოვი, — სამართლიანად წერს ილ. ჭავჭავაძე, — „თავის ოსტატს ივანწრო, მის ვიწრო მოედანს ღობეები შორს გაუდგა. სარბიელი გაუდიდა და ეგრეთ წოდებულ მდაბიო ხალხის ცხოვრება, აკვარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახა“<sup>74</sup>.

მართლაც, ზ. ანტონოვიმ საგრძნობი და ახალი ნაბიჯი გადადგა როგორც განახლებულ ქართულ დრამატურგიაში, ისე, ახლად ფეხს რომ იკიდებდა, რეალისტურ მიმართულებაში.

როგორც ზევეთაც აღვნიშნეთ, ხანმოკლე იყო სიცოცხლე ზურაბ ანტონოვისა; ხანმოკლე იყო მისი მოღვაწეობა სცენისა და დრამატურგიის ასპარეზზე. სულ რაღაც 3—4 წელი უმოღვაწია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ქართულ თეატრს და მწერლობას დროულად მისცა ჩვენამდე მოსული შვიდი ორიგინალური თუ გადმოკეთებული პიესა და რამდენიმეც უკვალოდ დაკარგული, მისი არქივის უპატრონოდ განადგურების გამო, მაგალითად, „კიზიროკი“, რომელიც ავტორს ყველა პიესაზე მეტად მოსწონდა თურმე და ხელნაწერი მახლობლებისათვის წაუკითხავს კიდევ; მისი სცენაზე დადგმა კი ვერ მოასწრო.

არა მარტო ორიგინალური, არამედ გადმოკეთებული პიესებიც კი ზ. ანტონოვისა ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების, ეპოქის ხასიათისა და მოთხოვნილებების, უდავოდ, ცოცხალი ამსახველია. ზურ. ანტონოვის შემოქმედებაში რეალური ფერებითაა მოცემული მწერლის რთული ეპოქა, მასში მოქმედი თითქმის ყველა შესამჩნევი სოციალური ფენა. აქაა წარმოდგენილი ძველი ყაიდის თავადაზნაურობა, აქვეა მისი განათლებული ახალგაზრდობა, მოხელეების დამახასიათებელი სახეები, მთელი გალერეა ძველი და ახალი თაობის ვაჭართა, აქვეა დაბალი ფენიდან (გლეხობიდან) სახეები, რომელთაღმი ავტორის სიმპათია აშკარადაა მოცემული.

ზ. ანტონოვი, როგორც მისმა მასწავლებელმა გ. ერისთავმა, კარგად დაინახა თავისი ეპოქის საზოგადოებრივ-სოციალური ცხოვრების აშკარა და მკვეთრი ფერისცვლა. მან კარგად გაიგო ცხოვრების ამ ცვლილების წამყვანი ძალა. დაინახა, რომ კაპიტალიზმი და

<sup>74</sup> ილ. ჭავჭავაძე, წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, ტ. IV, გვ. 89.

მისი განვითარება არაჩვეულებრივი სიმძლავრითა და სისწრაფით: არღვევდა ძველ, ნატურალურ მეურნეობას და მის საფუძველზე განვითარებულ ძველ ყოფასა და ძველ მსოფლმხედველობას. ირღვევა სოფელი და მისი ნატურალური მეურნეობა, ირღვევა და კნინდება მანამდე ქვეყნის წამყვანი კლასი — თავადაზნაურობა თავისი მეურნეობით, ყოფითა და მსოფლმხედველობით („ქმარი ზეთის ცოლისა“). წინააღმდეგობა ძველსა და ახალს შორის საკმარისად თვალსაჩინოა. ამ წინააღმდეგობის სათანადოდ ვერგაგება პრივილეგიური კლასის წარმომადგენელთა მიერ ქმნის მათ კომიკურ — ჩამორჩენილ მდგომარეობას („მზის დაბნელება საქართველოში“).

თავად ინდო შერმანიძეს, აზნაურ ზაალ პინტრიშიძეს და გლეხს ბერუა ლაბინაშვილს („მზის დაბნელება საქართველოში“) გაჭირვების, როგორც იტყვიან ხალხში, შავი დღისათვისაც კი საშუალება არა აქვთ ელემენტარული მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ; ისინი ასეთს შემთხვევაში ხელის გასამართავად იძულებულნი ზღებიან მიმართონ ჩარჩ-ვაჭარს: ვინ სესხად თხოვს ათ თუმანს, ვინ — ხუთს, ვინაც — თხუთმეტ მანეთს. ასე აქვს გამოცლილი სინსილა ნატურალური მეურნეობის მიმდევარ სოფელს — მის თავადაზნაურობასა და გლეხობას.

ამასთან ერთად ზ. ანტონოვი კარგად ხედავს და გვაჩვენებს კიდევ, რომ ახალ დროში, გაბურყუების ეპოქაში, ძველი ფეოდალური კარჩაკეტილი ყოფა და კარჩაკეტილად მცხოვრებნი სასტიკად ჩამორჩნენ დროებს, კულტურას. მზის დაბნელების ცნობა თავზარს სცემს ყველა მათ. ისინი ამის გამო შიშით რაღაც უცნაურ ლეგენდებს ქმნიან:

ბ ე რ უ ა — რა ვიცი, მკითხავმა თქვა, მზე რო დაბნელდება ულავი ჩოჩრები გაცოფიანდებიან და ძაღლებს დაგლეჯენო... ერთი ჩოჩორი მყავს, მართლათუ ღმერთი გაუწყნარ და გაცოფიანდა, ჩვენს ბატონს ოცი მწვევარი და მეძებარი ჰყავს, სულ დაუგლეჯს, და ვილა მოუტრეება იმას, მინდა წინდაწინვე ჯაქვით დავაბა.

ზ ა ა ლ — ჩოჩორი კი არა და, მეც გავიგონე, რაც პირუტყვია, მზე რო დაბნელდება, თავიანთი თავი სულ მგლები ეგონებათ, მისცვივიან და ერთმანეთს დასჭამენ.

ი ნ დ ო — უფრო საკვირველი გავიგონე, მზე რო დაბნელდება, ფრინველები წვილის დაიწყებენ ასეთის ხმითა, რომ ყურთა სმენა აღარ იქნებაო, მერე ჩამოვლენ ქვეყანაზედ, დაერევიან ადამიანებს და ნისკარტითა და კლანჭითა თავპირს დააფხრეწენო.

გ ე უ რ ქ ა — არა, კნიაზ! ასე ამბობენ, მზე რო დაბნელდება, ციღვან წამოვლენ გველშაბები და რაც ლამაზი ქალი და ვაჟია სულ ჩაყლაპამენო — („მზის დაბნელება საქართველოში“, გვ. 262).

ცოცხალი და მშვენიერი სურათია ეპოქის ჩამორჩენილი ძველი თაობისა!

ამასთან ერთად, ამ ძველი თაობის ჩამორჩენილობას ზურაბ ანტონოვი გვიხატავს განსხვავებული ყოფის სურათის და ძველი თაობის მისდამი დამოკიდებულების მოცემით — იქნება ეს ქალაქის ახალ ბურჟუაზიულ ცხოვრებაში ოთახის მოწყობილობა, სადილ-საუზმის თადარიგი, სკამ-სავარძლის თუ ქურჭლის ხმარება — ყველაფერი ძველი თაობისათვის უცნაურია, არაბუნებრივია, სამსახაროა.

ახალ პირობებს, კაპიტალიზმის განვითარების პირობებს, თავდაზნაურობამ სრულიად ვერ აუღო ალღო, ეკონომიურადაც საშინლად გაღარბდა, ვალებში ჩაიფლო, ვალს ველარ აბრუნებდა და სახელიც გაუტყდა. ვაჭარ გეურქა პეტრუხოვის ნათქვამი თავად ინდოლსადმი: „ნუ გეწყინება და თავადები ნასესხ ფულებს აღარ იძლევი“ — თავადების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისების ტიპური ჩვენებაა იმ ტიპიურ გარემოში.

თავადი დავით სერაშიძე ამ ახალი ცხოვრების პირობებში ისე გაწრიოკდა, იქამდე მივიდა ვალებისა და უსახსრობის გამო, რომ თავისი წარმოშობის მაღალი ხარისხით იწყებს ვაჭრობას: ცოლად ირთავს მოწონებისა და სურვილის წინააღმდეგ, უნახავადაც კი მდიდარი ვაჭრის ქერივს ბარბარეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ფული, შეძლება აქვს და რომელსაც ამიტომ უნდა „კენინა გავხდეს“ („მე მინდა კენინა გავხდე“).

### 3

ზურ. ანტონოვი უფრო კარგად იცნობს ვაჭართა წრეს, ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიას, რომელმაც გაიგო ფულის ძალა ცხოვრებაში, გაიგო მისი გემო და მადააშლილმა ფული კერპად გაიხადა. თვითონ ზ. ანტონოვიც ხომ ამ წრის შვილია. და ამითაც აიხსნება, რომ ვაჭართა ცოცხალი სახეების მდიდარ გალერეას იძლევა თავის შემოქმედებაში. იქნება ეს მინას პეტრუხიჩი შაჰყულოვი („მე მინდა კენინა გავხდე“), რომლისთვისაც ფულის მოგება-დაგროვება გაცილებით უფრო ძვირფასი, საჭირო და გადაუდებელი საქმეა, ვიდრე ცოლის ჯანმრთელობა, თუნდაც სიცოცხლე.

მინას პეტრუხიჩისათვის დამახასიათებელია შემდეგი ამბავი: მინას პეტრუხიჩის მოსამსახურე ბიჭი შეატყობინებს, რომ მისი ცოლი მძიმედ განიცდის მშობიარობას, საჭიროა ექიმი და მას ეძახიან. მინას პეტრუხიჩზე ეს ამბავი თითქოს არავითარ გავლენას არ ახდენს. მას ის სწყინს, რომ ექიმის დაძახებას ფული სჭირდება. ის ამ მომენტში უფრო დაინტერესებულია ვალის განაღდების კომბინაციით. ის გაჯავრებით ამბობს: „ვა არ დამაცლიან, აქ ბარბარე-

სათვის რამე ვქნა, ერთიც იქნება ჩემი ფულები იავასალო... ჩემი ცოლი კიდენ ქალი შობოს, ვა! არ მეყოფა ექვსი ქალი მყავს, რო კიდენ მეშვიდეც არ მიშობოს. მოკვდება. ჭანი იავარდეს თუ მოკვდება“ („მე მინდა კნენა გავხდე“, გვ. 5—6).

დაახლოებით ასეთივე თვისების მატარებელია გეურქ კარაპეტოვიც („მზის დაბნელება საქართველოში“), რომელიც ჩარჩობით, თავდაზნაურებსა და გლეხებზე ფულის მამასისხლად გასესხებით მდიდრდება. გეურქა ფულს ზელს უჭერს. თანხას ერთიორად და სამად თუ არ ააღებინა, ისე ფულს არ გასცემს. კაცადაც იმას თვლის და აფასებს, ვისაც ფულის მოგების შნო აქვს, ვინც ფულის ყადრი იცის. მიკირტუმას წინადადებაზე გეურქამ ქალი მიათხოვოს ოფიცერს იგრიგოლ ჩეშმაკოვს, გეურქა სასტიკ უარს ეუბნება: „ვა, რა კაცია, პლუტი ჩინოვნიკი მიეცი შენი ქალიო, ისიც ვოენი, ფულები ისე ფანტავენ როგორც ბზე. სადაც მივლენ დაიძახებენ, დავაი შაფანცკუ, გადუყრიან ფულები, თითქოს რიყუნედ მოეგროვებინათო... ვა, რაა კაცია მიკირტუმა, აპელატი აქვსო, მაკვირვებს! დიდი რაჰე გონია ჰა... ამისთანა მუშური გირვანქა სამ აბაზათ არის“ („მზის დაბნელება საქართველოში“, გვ. 256—257).

ზ. ანტონოვი გლეხთა მოტყუილებითა და ცბიერებით ჩარჩოვარის გამდიდრების იზსასაც რეალურ ხაზებში გვაჩვენებს. კომედიაში „ქორწილი ხევსურთა“ მოცემულია ფეხზე მოვაჭრე ჩარჩის, „არამი ვაჭრის“ კაკულა ფინაჩოვის სახე. ეს სახეც ტაბიურია ჩვენ ჩამორჩენილ სოფლებში შეჭრილი ვაჭრისა, რომელიც წონაშიცა და ზომამშიც ფიცითაც და ტკბილი ცბიერი სიტყვითაც ატყუებს ხშირად ალაღ-მართალ სოფლის მუშას, როგორც კაკულა ხევსურ დათაიას.

ზურაბ ანტონოვი კარგად გრძნობს თავისი ეპოქის მაჯისცემას. მას კარგად ესმის ახალი ხანის უპირატესობა ძველ დროსთან შედარებით, კარგად გრძნობს ცხოვრებაში პროგრესს; მისი გაგებით, ახალი დროის ერთ-ერთი უპირატესობა ძველთან უდავოდ ისაა, რომ განათლება შემოდის, რამაც უნდა გამოაფხიზლოს ხალხი, ცხოვრება უნდა გააჯანსაღოს და ახალი გაჯანსაღებული გზით წაიყვანოს უკეთესობისაკენ.

განათლების მნიშვნელობას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ზ. ანტონოვი ასე იძლევა ერთ-ერთი მოქმედი პირის, იგრიგოლ ჩეშმაკოვის სიტყვებით. იგრ. ჩეშმაკოვი ძველი ყოფის მოტრფილეთ — თავად ინდოს, აზნაურ ზაალს, იგლესს ბერუას, გეურქას დედას ნენეს („მზის დაბნელება საქართველოში“) მზის დაბნელებას უხსნის, როგორც ბუნების მოვლენას. მაგრამ ჩეშმაკოვის ახსნა მათ შეგნებამდე ვერ დადის, ისინი მაინც ცრუმორწმუნეობის ქსელ-



ში არიან მკიდროდ ჩაჭედდნი და ჩეშმაკოვის ნათქვამს უნდობ-  
ლად ეკიდებიან. მაშინ ეს უკანასკნელი გაჯავრებით წამოიძახებს:  
«Вот неблагодарный народ!» და შემდეგ მათ აღლევებით  
ასე მიმართავს: „იმას ხომ არა გრძნობ, თუ ამ ახალმა დრომ აღ-  
მოაჩინა საქართველოში სწავლა, ხელოვნება, განათლება და სიბრ-  
ძნე, რომლითაც ძენი საქართველოსნი დღე და დღე ეპსვავსებიან  
ევროპიის განათლებულთ ხალხთა და მიიღწევიან ფილოსოფიის  
სწავლამდე. თქვენ ისეუ ძველს წესზე მიიწევთ და სამდღურავს ამ-  
ბობთ, ჩვენს ჭკუაზე აღარავინ აქცევიანო. აბა რა ჭკუა გაქვსთ,  
რა გელაპარაკოთ? მე გიმართავთ მზის დაბნელების მიზეზსა,  
თქვენ დამცინით“ („მზის დაბნელება საქართველოში“, გვ. 276).

ავტორის მიერ მეცნიერებისადმი ერთგვარ პატივისცემასა და  
მის მნიშვნელობას აგრეთვე აღასტურებს მეორე მოქმედების ბო-  
ლო, როცა ასტრონომთა გათვალისწინების თანახმად, ზუსტად მოხ-  
და მზის დაბნელება და ერთი მოხელე აღტაცებით წარმოსთქვამს:  
«Да торжествует наука»... (იქვე, გვ. 301). ეს აღტაცება თვით  
ავტორის ზ. ანტონოვისაა.

ალბათ, ზ. ანტონოვის ასეთი შეხედულებით აიხსნება, რომ ის  
დადებითად გვიხატავს განათლებულ ახალგაზრდობას როგორც თა-  
ვადანაურების, ისე ვაჭართა წრიდან: თავად ილიკო გურგენიძეს  
და ვაჭართა კლასიდან — კეკელას („მე მინდა კნეინა გავხდე“), მა-  
რეხსა და გრიგოლ ჩეშმაკოვის („მზის დაბნელება საქართველოში“).  
განათლებული თაობა, ზ. ანტონოვის დახატვით, ფონიერი, ჰუმანიუ-  
რი აღამიანებია. ასეთია ძალა განათლებისა.

#### 4

აღნიშნული თემები შეიძლება არ იყო ახალი. ამ მიმართულე-  
ბით ზ. ანტონოვს გზა გაკვალული ჰქონდა გ. ერისთავის მიერ. მაგ-  
რამ, როგორც ილია ჭავჭავაძე ზემომოტანილ წერილში წერს, ზ.  
ანტონოვმა „გასწია დობე, გაამდიდრა ქართული ლიტერატურა ახა-  
ლი თემებით, ახალი მოტივებით“.

ამ მიმართულებით საგულისხმოა „მზის დაბნელება საქართვე-  
ლოში“. ამ კომედიაში საკმარისი სიმკვეთრითაა ნაჩვენები თბი-  
ლისის (ე. ი. საქართველოს) ფერცვლილი ცხოვრება; თბილისი გა-  
დაქცეულია ბაზრად, რომელიც იზიდავს არა მარტო ადგილობრივ  
მოსახლეობას, არამედ აგრეთვე უცხოელთაც. აქ ხედავთ, გარდა  
ცაცხასიის ადგილობრივ მცხოვრებთა და რუსთა, აგრეთვე ფრანგს  
ტელესკოპით, ფერმანელს ნაყინით, რომელნიც სარგებლობენ თბი-  
ლისის ბაზრით თავისი ენერჯია, ცოდნა და ნაწარმი გამოიყენონ  
პირადი მდგომარეობის შესაქმნელად. აქვე ხედავთ ახალი ცხოვ-

რების პირობებში დაშლილი თბილისის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს, მათ შორის „თბილისის შარლატნებს“. უკანასკნელთა სახე ჩვენს მწერლობაში ძირველად შემოაქვს ზ. ანტონოვს.

ზურაბ ანტონოვმავე პირველმა დაიწყო ჩვენს ლიტერატურაში სამღვდელთა, ეკლესიის მსახურთა უარყოფითი თვისებების — სიხარბე, ცბიერება, ხალხის ჩამორჩენილობის ბოროტად, თავის პირადი სარგებლობისათვის გამოყენება და ა. შ. — ჩვენება.

აი როგორ ახასიათებს ეკლესიის მსახურთ ზ. ანტონოვი ბერუას პირით: „ოჯახი რომ დაექცეს ჩვენებურს ტარატასა, მზე უნდა დაბნელდესო, რაღაც ეშმაკი მოიგონა და ე დედაკაცები სულ დაავიჯოყა, ზოგს საწირავს აზიდვინებს ღვდლისთინ, შენი ჭირიმე, ზოგი სამხთოსა ჰკლამს და ზოგი რას ჩადის. ჩაიქვა ი ოჯახ დაქცეული შემოსავლითა. ამისთანა დოვრანი თავის დღეში არ დასცემია, იმისათვის მზე კი არა ბნელდება, უფროც განათდა. მეც დედაკაცებმა გამამადღეს, წადი ვალი აიღე ერთი თოხლი იყიდე, სამხთო დავკლათო“... („მზის დაბნელება საქართველოში“, გვ. 261).

ზურ. ანტონოვმა აგრეთვე პირველმა სცადა ჩვენს მწერლობაში მოეცა ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი კომედიაში „ქორწილი ხევსურთა“: ახალგაზრდა ხევსურთა — მეცხვარე ნინიკა ფანტელაური-სა და ქალთამზე ლუმსაურის გამიჯნურება; შუამავლის გაგზავნა, ქორწილ-მაცრიონითა და სხვა. რა თქმა უნდა, აღნიშნულ კომედიაში ხევსურთა ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების ჩვენებას ეპიზოდური ხასიათი აქვს. მაგრამ ზ. ანტონოვს ხევსურთა ზოგიერთი თვისება და ზნე კარგადა აქვს დაჭერილი, როგორც ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა გამიჯნურება, ტრადიციების დაცვა, ლაკონიური საუბარი, ხევსურთა სიფიცხე.

ამასთან, ხსენებულ კომედიაში ზ. ანტონოვი არა მარტო ხევსურთა ყოფა-ცხოვრების სურათს იძლევა, არამედ კომედიას მოხდენილად და უხვად აქსოვს ხალხური ზეპირშემოქმედების მასალას. ასეთივე ელემენტებია ჩაქსოვილი დრამაში „ქოროლი“. ზ. ანტონოვის მიერ სწორედ ამ მდებრიო ხალხის ცხოვრების ერთგვარი თანაგრძნობით ასახვაც და მისი შემოქმედების მასალის გამოყენება მხატვრულ ხელოვნურ ლიტერატურაში გათვალისწინებული ჰქონდა ილ. ჭავჭავაძეს, როცა მას საპატიო ადგილს უთმობდა ქართული ლიტერატურის იანვითარების ისტორიაში.

## ქურნალ „ცისკრის“ თანამშრომელი

(1857—1860)

ი. ერისთავის მოღვაწეობა ყოველი მიმართულებით საგრძნობი და საჭირო ფამოძახილი იყო ვარემო ცხოვრებისა. ამით აიხსნება, რომ მას უმაღლესი ყოველი მიმართულებით მიმდევარნი და საქმის გამგირძელებელნი გამოუჩნდნენ. გ. ერისთავის მოღვაწეობის გავლენით მძლავრ ნაკადსავით ამოხეთქილი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა შესაძინევად მოედო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მივიწყებულ ყაბირს. ვარემო ცხოვრება იდეინებით თხოულობდა სიცოცხლესა, მოქმედებასა. ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ხანგრძლივი კოშმარებიდან გამოსვლის აუცილებლობასა გრძნობდა. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზი საქმეს, ცოცხალ საქმეს თხოულობდა, საქმეს ეძებდა ყოველი ცოცხალი ძალა. ამიტომ ი. ერისთავის შეწყვეტილმა ქურნალმა „ცისკარმა“, 1857 წლიდან ი. ერისთავის ელიძის ხელმძღვანელობით იანახლებულმა, შემოიკრიბა მთელი პლეადა ქართველი მწერლებისა, რომელთაც გ. ერისთავის საქმე ივაგრძელეს. ვარდა ივანე კერესელიძისა, ამ დროს „ცისკარში“ მუშაობდნენ: დან. კონქაძე, ლავ. არდაზიანი, მიხ. თუმანიშვილი, გრ. რჩეულიშვილი, ალ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ალ. სავანელი და მრავალი სხვა.

ეს ის ხანაა, როდესაც სამწერლო ასპარეზზე მწერლების მთელი გუნდი გამოდის, ქმნის ახალი მიმართულების ნაწარმოებს, მაგრამ ჯერ მას არა აქვს უნარი მასალის სინთეზურ იგაფორმებისა. ამ გუნდის მოღვაწეობას არ ემჩნევა ვარკვეულობა, მთლიანობა.

ამ პერიოდის „ცისკრის“ თანამშრომელთა შორის არ არის ერთი მთლიანი მიმართულება. აქ მოღვაწეობენ ძველის მოტრფიალნიც, ივაგალითად, გრ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, გრ. რჩეულიშვილი, ბარბარე ჯორჯაძისა, რევ. ერისთავი და სხვანი. აქვე არიან ახალი ცხოვრების ალღოს ამღებნი, ლიბერალურად განწყობილნი, მაგ., მიხ. თუმანიშვილი, ლავ.

არდაზიანი, ივ. კერესელიძე და სხვანი. აქვეა პირველი რევოლუციონერი „რაზნოჩინეცი“ დან. კონქაძე. მათ შრომდებედველობათა შორის სხვადასხვაობა ჟურნალის ფურცლებზე მუდგანდება და ხშირად მეტად მწვევედაც, მაგრამ ობიექტური პირობების გამო მოპირდაპირე ძალები არ იყვენენ დარაზმულნი. სხვა ორგანო არ არსებობდა, საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა მეტად მოდუნებული იყო. ამიტომ ისინი ერთად მუშაობას განაგრძობდნენ. ეს ერთგვარი მოსამზადებელი, ახალი ლიტერატურული მიმართულების ფაფორმებისათვის დაგროვების ხანაა. საჭირო იყო უფრო ხელსაყრელი ობიექტური პირობები, რომ ამ პირველდაწყებითი დაგროვების ხანიდან გამოხვავებული ყოფილიყო გარკვეული, ჩამოყალიბებული მიმართულება შემოქმედების შესაფერი და შესაბამისი სახეებით.

ამგვარ პირობებში ჩვეულებრივ ხდება რაოდენობის გადასვლა თვისებაში. ასეთი მოვლენა ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში მოხდა 60-იან წლებში. ამიტომ, ჩვენი შეხედულებით, ეს ხანა 1845—1860 წწ. 60-იანი წლების წინა ხანაა. ეს ხანა ჩვენი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე პერიოდის პირველდაწყებითი დაგროვების ხანაა. ამ პერიოდში აღორძინებას იწყებს ქართული პროზაული ენა. სოციალური რომანი თუ მოთხრობა, ჩვეულებრივი სასაუბრო ენით დაწერილი, ლამობს ეპოქისათვის დამახასიათებელ უანრად გადაიქცეს. ამიტომ ჟურნალ „ცისკრის“ აღნიშნული პერიოდის მწერალ-თანამშრომლების მოღვაწეობისა და მნიშვნელობის განხილვა მეტად საინტერესოა. მათი ღირებულება ქართული ლიტერატურული ცხოვრების მთლიანი სახის გათვალისწინებისათვის და საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურული დონის გაგება-შესწავლისათვის, ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანია.

ვინაიდან ყველა თანამშრომელზე ყურადღების შეჩერება შრომას დაამძიმებდა, ამიტომ ჟურნალისა და აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული ცხოვრების ხასიათის გაგებისათვის ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთი მათგანის შემოქმედებას შევვხებით, ისიც გაკვრით, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ეპოქის მაჯისცემის გაგებისათვის დაგვეხმარება.

## 1

ივანე ივანეს ძე კერესელიძე (1829—1893) 50-იანი წლების, როდესაც აღორძინებული ქართული ბეჭდვითი მწიგნობრობა კრძალვითა და ფაუბედგვად მიიმართებოდა ნარეკლიანი გზით, ერთი მე-

ტად საყურადღებო წარმომადგენელთაგანია. ეს ის ხანაა, როდესაც, თანახმად ივანე კერესელიძის თანამედროვეთა მოწმობისა, ქართული „მწიგნობრობის საქმე სულ უკულმა იყო დატრიალებული, როდესაც ქართული წიგნები თავგების სახრავად იყო გამხდარი. თუმცა ბევრი არაფერი იბეჭდებოდა, მაგრამ, რაც იბეჭდებოდა, ისიც თითქმის ოხრად რჩებოდა და მისი ხელში ამღები არვინ იყო, რის მეორებითაც გამომცემელიც ყოველთვის ზარალში იყო“<sup>75</sup>. მაშინდელ მწიგნობარ-გამომცემელს, მართლაც, რაღაც არაჩვეულებრივი ძალა უნდა ჰქონოდა, რომ შრომასა და ხარჯებს გარდა, ყოველივე ზარალი, შეურაცხყოფა და შევიწროება გადაეტანა, მხოლოდ იმ იმედით, რომ მომავალში ქართული ლიტერატურული ასპარეზი განმტკიცებულ იქნება. ასეთი ძალის პატრონად გვევლინება ივ. კერესელიძე. ის წინაშეა წყნარი, ენერჯული, უანგარო, დაუღალავი საზოგადო მოღვაწისა, რომელსაც თავისი დროც, შეძლებაც, ნიჭიც, პირადი ცხოვრებაც საზოგადო საქმისათვის, მისი წინ წაწევისათვის უნდა. ივანე კერესელიძე საზოგადოებრივ მოღვაწეთა ე. წ. მეორე ნომერია, რომელიც უპრეტენზიო გამუდმებულ ცდაშია სხვის მიერ საზოგადოებისათვის გამოთქმულ ან დაწყებულ კეთილ საქმეს მაგრად ჩაებლაუჭოს და, როგორც ფუტკარმა, სიფაქიხით დაუწყოს თავის საქმეს საშინაური.

ქართული ლიტერატურისა და, იგანსაკუთრებით, ქართული მწიგნობრობის საქმეს ივანე კერესელიძე, როგორც ფარვანა სანთელს, ისე დასტრიალებდა, დაუღალავად და შეუპოვრად ყველას მისი განოსწორება-გაუმჯობესების შესახებ ემუდარებოდა: „აბა, შეხედეთ სხვებსა, — გამოუდგებით ღალადებდა ივანე კერესელიძე, — რაგვარ ეხმარებიან თავიანთ ენის მწიგნობრობასა. დროა ჩვენც თვალეზი გავახილოთ და დახმარება აღმოუჩინოთ „ცისკრის“ გამოცემას“. ასეთი აზრისა და შეხედულების ფართოდ გატანის მიზნით მას მრავალჯერ მიუმართავს ქართველი მკითხველისათვის. ივანე კერესელიძე თავის არამცთუ ცოდნას, ნიჭსა და ენერჯიას, არამედ ქონებასაც არა ზოგავდა. ქართულ საქმეს, კერძოდ, ქართული ჟურნალისა და წიგნების გამოცემას მან მოახმარა მთელი თავისი ქონება და ხშირად ჯამაგირიც (ის მსახურობდა თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში აღმზრდელად).

ივანე კერესელიძე, როგორც თავდადებული მოღვაწე, დაუზარებლად იმას აკეთებდა, რასაც ქართული საქმე თხოულობდა. ის არა მარტო ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი იყო, არამედ გამომცემელიც, თანამშრომელიც, ხშირად კორექტორიც და ასოთამწყო-

<sup>75</sup> ზ. ბ. ბ. ი. ნ. ა. ძ. ე. ივ. კერესელიძე, გვ. 9.

შიც. ის წერდა არა მარტო საეურნალო წერილებს, კორესპონდენციებს, არამედ ლექსებს, მოთხრობებს, თარგმნიდა და აკეთებდა დრამატულ ნაწარმოებებს და სხვათა. მისთვის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინებით გატაცებული მოღვაწისათვის, გაუგებარი და მიუღებელი იყო თანამედროვეთა საყვედური იმის გამო, რომ მას გარკვეული ლიტერატურული მიმართულება არა ჰქონდა. „რა დროს მიმართულება იყო, — შეგნებულად აფასებს ი. კერესელიძე თავის მოღვაწეობას, — მე ვმაცადინობდი, რომ ხალხი წერასა და კითხვას შემეჩვია. სად იყო იმის დრო“. და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ერთი ეპიზოდი თავისი მოღვაწეობიდან. „1860 წელში ტფილისში დიუმას შვილი მოვიდა. კახეთში მე გავყევი, მან მკითხა: ხელისმომწერი რამდენი გყავსო. მე ვუთხარი, რომ 600-მეტქი. მას გაუკვირდა, ამ ფულით როგორ ბეჭდავო. გაუკვირდა საშინლად. მე კი იმ დროს 60 ხელისმომწერი მყავდა და აბა სირცხვილით როგორ ვიტყვოდი, რომ 60 ხელისმომწერი მყავდაო. მოდი, იქ მიმართულება მეძია. ჩემი მიმართულება ბეჭდვა იყო, რომ ქართველთა შორის ბეჭდვითი სიტყვა განმეგრცო“<sup>76</sup>.

ივანე კერესელიძე შეგნებულად ცდილობდა, სადაც კი ქართულ მწერლობაში ზარვეზი გაჩნდებოდა, ამოეცა. ამით აიხსნება, რომ ივ. კერესელიძემ „ცისკრის“ ხელმძღვანელობა-გამომცემლობასა და წმინდა ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი სხვადასხვა წიგნის ბეჭდვის სახით ქართულ ენაზე. ის წერდა ლექსებს, მოთხრობებს, დრამატულ ნაწარმოებებს, პუბლიცისტურ თუ ისტორიულ წერილებს. მან დასტამბა ქართული ანბანი „მოკეთეს იტყვა“, გამოსცა „კალმასობის“ პირველი წიგნი და მრავალა სხვა, რომელთა უმრავლესობა ხალხს უფასოდ ურიგდებოდა. ის სახალხო პოპულარული ლიტერატურის გამომცემლობის დამწყებიცაა ჩვენში. თარგმნიდა სხვადასხვა ხასიათის თხზულებებს.

ივ. კერესელიძე შეძლებისდაგვარად თავის შემოქმედებაში (მისი სამწერლო ნიჭი, რა თქმა უნდა, არ არის დიდი ბრწყინვალე), განსაკუთრებით მეორე პერიოდში, საზოგადოებრივ-სოციალური ცხოვრების მტკივნეულ საკითხებსაც ეხმაურებოდა. ივ. კერესელიძის როგორც საფულისხმო საზოგადოებრივი ხასიათის პუბლიცისტური წერილები: „სალაყბო ფურცელის“ სათაურით ცნობილი, ისე მისი ლექსების საგრძნობი რიცხვი თავის დროისათვის პროგრესულ იდეებს გამოხატავდნენ. მართალია, მისი ლექსები მარტივია, სადა, ჩვეულებრივი ენით დაწერილი, მაგრამ კაცთმოყვარეო-

76 ზ. კიკინაძე, ივ. კერესელიძე, გვ. 14.

ზის გრძნობით კი აღსავსეა; ღარიბის, დაჩაგრულის, გაჭირვებული-  
სადმი თანაგრძნობის მატარებელია. ივ. კერესელიძე ეპოქის გავ-  
ლენას საგრძნობლად განიცდის. ის თავის ნაწერებში თანასწორო-  
ბას ქადაგებს. ნიშნისათვის ავიღოთ ლექსი „ერთია კაცი ბუ-  
ნებისათვის“:

ერთია კაცი ბუნებისათვის  
მდიდარი, გლახა, ღიღი, პატარა,  
რა ღლით ის წუთის ცხოვრებისათვის  
ქვეყნად მოვიდა და დაამყარა.  
მათზედ განაგებს ერთგვარ ბუნება,  
ერთგვარად უსვამს იგი მათ ცელსა.  
და ისე სული დიდკაცსაც ხდება,  
როგორც მის მსახურს უკანასკნელსა.

ავ. კერესელიძემაც მწვავედ განიცადა სოციალური ცხოვრე-  
ბის მოუწყობლობა, მისი უსამართლობის ძირითადი მიზეზი —  
მდიდარსა და ღარიბს შორის განსხვავების დამლუპველი ძალა,  
მდიდრისაგან ღარიბის შევიწროება, დაჩაგვრა, გაუკითხაობა. უბე-  
დურთა ბედით გულდაკოდილი პოეტი მათდამი თანაგრძნობით აღ-  
სავსე ასე მიმართავს მდიდარს გადიდკაცებულს:

იფიქრე ის, რომ შენებრივ სხეასაც  
უნდა კაცურად, ძმაო, ცხოვრება.  
მივიჩიოს, თუ როგორ გძინავს, ისვენებ,  
რომ ძმა შიმშილით ცხვირწინ გიკვდება.

ქვრივი, ობოლი, ოხერ-ტიალი,  
შენი ნაკვეთი, სულ შენი ძმები,  
ზოგი რასა გთხოვს და ზოგი რასა,  
არა თუ შევლა, არ ეკარები!

ივ. კერესელიძეც მწვავედ განიცდის კოლონიური პოლიტიკის  
მძიმე დაწოლას, თავის ხმას უერთებს ეროვნულ-განმათავისუფ-  
ლებელ ფრონტზე მომუშავეთ ანაკადებულ ყიყინას, მკითხველს ენე-  
რგიული ბრძოლისაკენ მოუწოდებს:

ძმაო, ქართველო, იყავ ერთგული,  
შენის სამშობლოს ტკბილის ქვეყნისა.  
მაზედ ნთხეულა მრავალჯერ სისხლი —  
მამულის ერთგულთ წინაპრებისა.

ჩვენ მხარეს ტანჯვა ბევრგზის უცდია,  
ატირებულა ერთგულ თვის შეილზედ,

ამგვარი აქტუალური თემებით აიხსნება, რომ მას თავის დროზე თავყვანისმცემელ მკითხველთა წრე ჰყავდა. ივანე კერესელიძემ სხვებთან ერთად თავისი მარტივი სასაუბრო ენით, გასაგებ ფორმაში აზრის გამოთქმა-გამოხატვით ხელი შეუწყო ქართული წიგნის პოპულარიზაციის საქმეს. არ არის ძალიან გადაჭარბებული ივ. კერესელიძის დასაფლავებაზე ერთ-ერთი დამსწრის სიტყვა: „ქართველობას თითქმის მწერლობა აღუდგინა, დღევანდელ ჩვენს დამამშვენებელ მწერლებს მან ააღებინა ხელში კალამი, მწერლებიც შეკრიბა და წერას შეაჩვია“-ო.

ივ. კერესელიძის სახე ჯერ კიდევ წარსულის წყვილია დითა მოცული. ის ჯერ კიდევ უცდის თავის მკვლევარს და როცა მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ობიექტური შესწავლის შემდეგ მთელი თავისი სიცხადით შთამომავლობის წინაშე დადგება, მაშინ ის უსათუოდ, მართალია, წყნარს, მაგრამ მაინც თავის საპატიო ადგილს დაიჭერს არა მარტო ჩვენი უზრუნალისტიკის ისტორიაში, არამედ მასთან ერთად ჩვენი ლიტერატურისა და განსაკუთრებით საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

## 2

ალექსანდრე ვახტანგის ძე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი (1801—1869) შვილია მეფე ერეკლე II-ის ქალის თეკლესი და ვახტანგ ორბელიანისა. ალექსანდრეს მშობლები დიდი გულმოდგინებითა და სიყვარულით მისდევდნენ მწიგნობრობას. თეკლე ბატონიშვილი XIX საუკუნის დასაწყისში ცნობილი იყო მწერლობითი ნიჭითაც. ალ. ორბელიანი ძმაა ცნობილი პოეტის ვახტანგ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა. სწავლა ალექ. ორბელიანმა მიიღო ჯერ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რის შემდეგაც შევიდა სამხედრო სკოლაში პეტერბურგში (ახლანდელ ლენინგრადში). 1828 წელს ის დაბრუნდა საქართველოში სამხედრო ჩინით. 1830 წელს ის დანიშნეს აღმასრულებელი ექსპედიციის მრჩევლად, 1832 წელს-კი შეთქმულების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი მონაწილეა. გასამართლების შემდეგ ის გადაასახლეს ქალ. ო რ ე ნ ბ უ რ გ ს, საიდანაც 1841 წელს საქართველოში დაბრუნდა.

50-იანი წლებიდან, როცა ჩვენი საზოგადოებრიობა საღათას ძილიდან ერკვეოდა, ალ. ორბელიანი ერთი აქტიური მონაწილეთაგანია ამ ფაქტობებისა. ალ. ორბელიანის სახე, როგორც ძველის დაკარგვისა და მასზე მტკიცეული მოგონებებით გულდასე-



რილისა და გონებამოშხამულისა, XIX საუკუნის ბურჟუასიან სინამდვილეში საინტერესო ფიგურად მოჩანს. ის კარგად გრძნობს ცხოვრების ფერისცვლას, მას ძველის დატოვება-შენახვაც უნდა და ახალთან შეგუების აუცილებლობაც სწევას. ამიტომ ცდილობს ის ცხოვრებასთან *modus vivendi* გამოიხსნოს.

ამით აიხსნება, რომ ის დიდის თანაგრძნობითა და ყურადღებით ჩაება ჟურნალ „ცისკრის“ დაარსებისა და წარმოების საქმიანობაში. ალ. ორბელიანი ჟურნალ „ცისკარს“ დახმარებას უწევდა არა მარტო წერილების წერით, არამედ მატერიალურადაც. ერთხანად ჟურნალის რედაქცია მან თავის სახლში მოათავსა. ამასთან ერთად ის ყოველთვის ხელს უწყობდა ჟურნალის გაჯანსაღებას (იხ. ქვევით).

გარდა ამისა, ალ. ორბელიანი ცნობილია როგორც მრავალფეროვანი მწერალი. ის წერდა ლექსებს, მოთხრობებს, დრამებს, ისტორიულ, პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებს.

მისი ლექსები არ ხასიათდება ორიგინალობით, სიძლიერით არც შინაარსისა და არც ფორმის მხრით. მათი ძირითადი თემაა საქართველოს წარსულის დიდების ასახვა. ენაც ძველია. საეკლესიო ენის გავლენა მის ნაწარმოებებს მძლავრად ატყვია. ლექსის წყობა არ არის სწორი, გაუმართავია. აქ არეულია 9, 10, 11, 13, 14, 16 და 17 მარცვლიანი სტრიქონები. მაგრამ მკვლევარის ყურადღებას ალ. ორბელიანის ლექსები იმით იქცევს, რომ მათში აშკარა კვალი მოჩანს კლასიციზმის სტილის გავლენისა. კლასიციზმის წერის მანერის თანახმად, აქაც ვხვდებით მსგავსება და შედარება ნიმუშებთან, მუზებთან, ამურებთან, ეთერთან და სხვ. ალ. ორბელიანის შემოქმედებაში კლასიციზმის თეორიის გავლენას მაშინაც ვხვდებით, როდესაც ის იცავს წერილში „ქართული უბნობა ანუ წერა“ წერილის ამ სენას (სამს შტელს): მადალი (საეკლესიო), საშუალო (დარბაისლური) და მდაბიო (გლეხური) — (იხ. ქვევით).

ძველის მოტრფიალე ალ. ორბელიანი განსაკუთრებით თავისი პაპის ერეკლე II-ისა და მისი დროის ყოფა-ცხოვრებას აქებს. მან თავისი დრამების სიუჟეტად საქართველოს წარსული, მისი ისტორია გამოიყენება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მისი დრამები სცენიური ტექნიკისა და ისტორიზმის დაცვის თვალსაზრისით სუსტია. ავტორი მეტად თავისებურად, იოლად ეპყრობა ისტორიულ ფაქტს და ისტორიულ პირებს, — კარგ მხარეებს ამახვილებს, უარყოფითს ხელს აფარებს, მალავს. ამიტომ ალ. ორბელიანმა თავის დრამაში ვერ შექმნა ვერც ისტორიული ტიპი და ვერც ისტორიული დრამა. მაგრამ თავის დროზე ალ. ორბელიანის დრამები მკითხველს აინტერესებდა, დროის გამოძახილს იძლეოდა. ალ. ორბელიანმა და-

წერა შემდეგი ისტორიული დრამები: 1) „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო, ანუ თავდადება ქართველთა“, რომელიც პირველად 1864 წლის „ცისკარის“ ნომრებში დაიბეჭდა და „მაშინდელი ქართული საზოგადოება აღტაცებით კითხულობდა“ (არის ცალკე გამოცემა ზაქ. ჭიჭინაძის მიერ 1877 წელს); 2) „მეფე დავით აღმაშენებელი, ანუ საქართველოს უკანასკნელი უამი“. აქ ალ. ორბელიანი წარსულის დახატვით — არაბთაგან საქართველოს განთავისუფლების სურათის აღდგენით თითქოს 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით თანამედროვე დროისა და მომავლის სურათსაც ხატავს. ეს მანერა წერისა ჩვენს ლიტერატურაში ხომ თვალსაჩინოდა აქვთ გამოყენებული ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთელს; 3) „ახალი დროის გამიჯნობი“. ეს დრამა დაბეჭდილი არ ყოფილა. აი რა საინტერესო ცნობას აღნიშნავს ზაქ. ჭიჭინაძე, ალექსანდრე ორბელიანის რჩეული ნაწერების პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი გამომცემელი — 1879 წ.: „ამათ გარდა მრავალი კიდევ სხვა დარჩენილა, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ სრულიად დაპნეულან ხალხში. და ამჟამად არავინ იცის, მოიპოვება კიდევ რამ თუ არა. და ჩვენ, თუ იმის ნაწარმოების გამოცემას შევუდგებოდით, პირველად მისი ხელთნაწერები უნდა გვეპოვნა და შემდეგ გამოგვეცა, ეს მით უფრო, რომ მისი დაბეჭდილებთაგანი არ შეიცავენ მრავალის საუკეთესო საგნებსა, დაუბეჭდავნი კი, როგორც ვიცით, უფრო საფუძვლიანი და კარგი დიდი თხზულებანი ყოფილან, რომლებიც ზოგიერთი ადრინდელი განკარგულებისა გამო არ დაბეჭდილან და დარჩენილან. ასე ვეძიეთ ბევრი და პოვნით კი ვერსად ვერაფერი ვპოვეთ, გარდა ერთი დრამისა, „საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი“ და მეორეც ერთი მოთხრობა, დაწერილი 1830 წლებში და აგრეთვე რამდენიმე დიდრონი ლექსები. რომლების შემოტანა ჩვენთვის აქ შესაძლებელი არ იყო“.

ეს ცნობა ორნაირადაა საინტერესო. ერთი ის, რომ ალ. ორბელიანს ბევრი ჭიჭინა კიდევ ხელნაწერი, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით დაკარგულია, და მეორეც ის, რომ „განკარგულებისა“ გამო ზოგიერთი მათგანი არ დაბეჭდილა. ეს, უდავოდ, თავისებურად ახასიათებს ალ. ორბელიანს, როგორც მწერალს და საზოგადო მოღვაწეს.

ალ. ორბელიანის ჩვენამდე მოღწეულ ნაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოსა და ფეოდალთა კლასის დაქონებით გამოწვეული ტყვეობის გარშემო ტრიალებს ავტორის გულისყური. მამა-პაპათა მოუსვენებელი ცხოვრება კომპარული ლანდების სახით

შემოხვევია მწერლის გონებასა და წარსული მისთვის რეალურ სამყაროდ გადაუქცევია. აი როგორ გამოხატავს თვით ალ. ორბელიანი თავის დამოკიდებულებას წარსულთან. „ესენი (წარსულის ფაქტები. — მ. ზ.) სულ შეიძლება სიტყვით ითქვას და უცხო ყურმაც განსვენებულის გულით გაიგონოს, მაგრამ ის ამბები, ის ქართველების სისხლი, ანუ ტყვევნი მამულისათვის არც ჩვენი, და ჩვენი შვილისშვილების დაუფიწყარი სახსოვარი“ („ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო, ანუ თავდადება ქართველთა“ — წინასიტყვაობა).

ამიტომ ალ. ორბელიანი წარსულის ახსნა-განმარტებას არა მარტო დრამატულ ნაწერებში იძლევა, არამედ აგრეთვე მთელ რიგ ისტორიულ ნარკვევებში. მათ შორის საგულისხმოა: 1) „უწინდელ დროს ბატონყმობა საქართველოში“ (ამის შესახებ იხ. ქვევით); 2) „ასპინძის ომი 1770 წ.“; 3) მეფის ირაკლის მე-II-ის ისტორია ზედე“; 4) „ქართველების ძველი დრო“; 5) „შეთქმულება მეფის ირაკლის მეორე ზედე“; 6) „ორბელიანთა ამბავი“ და სხვა. ყველა ამ ნარკვევში, როგორც ისტორიულ დრამებშიც, ალ. ორბელიანი დიდი გრძნობით ჩერდება წარსულის დადებით მხარეებზე, მათ ერთგვარ იდეალიზაციას აკეთებს, უარყოფითს მხარეებს ძველს ყოფაში არ ამჩნევს. როდესაც ქართული საზოგადოებრივი აზროვნება და ლიტერატურული კრიტიკა, მართალია, მძიმედ, მაგრამ მინც ფხიზლდებოდა, ალ. ორბელიანი აქტიურად ჩაება მისი აღორძინების საქმეში. ის ეუბრნ. „ცისკარში“ 1857 წ. წერს კრიტიკულ წერილს გრ. რჩეულიშვილის რომანის შესახებ სათაურით: „ქკრივის ლიმონების განხილვა“.

ასეთივეა ალ. ორბელიანის მიმართულება მთელ რიგ პუბლიცისტურ წერილებში, სადაც ის გამუდმებით ეხმაურებოდა თანამედროვე საჭირობოროტო საკითხებს: 1) „მე და ის“, 2) „ქართული უბნობა, ანუ წერა“, 3) „ივერიელების გალობა, სიმღერა და დიღინი“, 4) „ზოფიერთი შემჩნევა“ და სხვა. ბევრჯერ ალ. ორბელიანი გონებამახვილობას იჩენს, სურს გაიგოს ახალი ცხოვრება, მაგრამ „სასიამოვნო წარსულის დროს“ მიახლოვება მწერალს მუდამ რაღაც სიამოვნების თავბრუს ასხამდა და ტკივილებს უღრმავებდა. ამით აიხსნება, რომ წარსულის უპირატესობა მისთვის უკვე ჭეშმარიტად დაჩა. სრულიად სამართლიანია პროფ. ალ. ხახანაშვილი, როდესაც ამბობს: „ალექსანდრე ორბელიანი მეტს პატრიოტულს გრძნობასა და პუბლიცისტურ ნიჭს

იწენს, ვიდრე სამეცნიერო მიუღვამლობას და ჭეშმარიტებისადმი მისწრაფებასა“<sup>77</sup>.

3

გრიგოლ რჩეულიშვილი (1820—1877) ჟურნალ „ცისკრის“ უნაყოფიერესი და მუდმივი თანამშრომელთაგანია. ის თბილისის მკვიდრი იყო. განათლება მიიღო თბილისის გიმნაზიაში, რომელიც 1838 წელს დაამთავრა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა სახაზინო პალატაში მოხელედ და სიკვდილამდის იქ მსახურობდა.

მეტად მწირია ბიოგრაფიული ცნობები გრ. რჩეულიშვილის შესახებ, მაგრამ ერთს მაინც ყველა აღნიშნავს, რომ ის ხარბად ეტანებოდა არა მარტო ქართულ ლიტერატურას, არამედ რუსულსა და უცხოურს. ის აგრეთვე მისდევდა ისტორიის შესწავლასაც.

გრ. რჩეულიშვილს თავისებური ადგილი უჭირავს ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომელთა შორის. მაშინ, როდესაც „ცისკრის“ ახალგაზრდა თანამშრომელთა უმრავლესობა თავისი პოეტური შემოქმედებით რეალიზმს უკაფავდა გზას, გრ. რჩეულიშვილი სანტიმენტალიზმ-რომანტიზმის მიმართულების გამავრცელებელია. მის ცნობილ რომანებს — „ქვირივის ლიმონები“ (1857 წ.), „ან უკა ბატონიშვილი“ (1860 წ.) და „თამარ ბატონიშვილი“ (1862 წ.) ქართულ ლიტერატურაში შემოაქვთ რომანტიული მოთხრობისა და რომანის ყანრი. შესაძლებელია, მართლაც, გრ. რჩეულიშვილი მივიჩნიოთ ქართულ ლიტერატურაში ფსიქოლოგიური რომანის პირველ დამწყებად.

გრ. რჩეულიშვილის მოთხრობა-რომანები არ ხასიათდება ორიგინალობით. როგორც ქართული ლიტერატურის მკვლევარნი აღნიშნავენ, მას ჩვეულებად ჰქონდა უცხო მწერლების მიბაძვით დაეწერა ნაწარმოები ან გადმოეკეთებინა. გრ. რჩეულიშვილის „უცხოდან გადმოთქმულების“ ნიჟს ბევრი მისი თანამედროვეც აღნიშნავს, მათ შორის აკაკი წერეთელიც<sup>78</sup>.

უნდა ითქვას, რომ გრ. რჩეულიშვილის დასახელებული ნაწარმოებნი ისტორიული რომანის სახელწოდებით არიან ცნობილნი, მაგრამ მათში ისტორიული ძალიან ცოტაა, ქართული ისტორიუ-

77 პროფ. ა. ხახანაშვილი, ქართ. სიტყვ. ისტორია, ტ. II, გვ. 35.

78 გრ. რჩეულიშვილის პროზის ლიტერატურული წყაროების შესახებ იხ. დოც. ჯ. ჭუმბურიძის შრომა „ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“, 1958 წ., გვ. 55—84.

ლი სახელებია, მაგრამ ფაქტის, მოქმედი პირის დახასიათების მოცემას, ისტორიული კოლორიტის დაცვას, ავტორი მეტად თვითნებურად ექცევა და ამიტომ, რასაკვირველია, ის ვერ ქმნის ისტორიულ რომანს. სამართლიანი იყო ალ. ორბელიანი, რომელიც გაცემული წერდა: „რომელ ისტორიაზე ლაპარაკობს უფ. რჩეულოვი<sup>79</sup>, რომელ აბაშიძის ქალზე სწერს; მე სამ ივანე აბაშიძეს ვიცნობ და არც ერთ მათ ქალს კეკე არა რქმევიაო“<sup>80</sup> და სხვა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, გრ. რჩეულიშვილის მოთხრობა-რომანებს თანამედროვე მკითხველი ძალიან ეტანებოდა. მისი შემოქმედების საინტერესო ფაბულარული ფანვითარება და სტილის ემოციონალობა მკითხველის გულისყურს იპყრობდა. გარდა ამისა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ი. გრიშაშვილი, „გრ. რჩეულიშვილის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი მოთხრობების გმირები, თვალთა მზერის გადასანაცვლებლად, გამოიყვანა ძველი ჩარჩოებიდან, ჩაპბერა ადამიანური სული და ყველასათვის გასაგები ენით ალაპარაკა. ეს იყო „ახალი“ იმ ხანაში და ეს „სიახლე“ გვზიბლავს ჩვენც“.

გრ. რჩეულიშვილის მოთხრობები არა მარტო ჩვეულებრივ მკითხველს იზიდავდა, არამედ ცნობილ მწერლებსაც კი. მაგალითად, მისი „ანუკა ბატონიშვილი“ დავ. მესხმა გადააქეთა 3 მოქ. დრამად, ზოლო „თამარ ბატონიშვილი“ გალექსა რაფ. ერისთავმა, შემდეგ სვიმონ გუგუნიამ და ბოლოს კ. მესხმა 3 მოქ. დრამად გადააქეთა, რომელმაც ქართული სცენის რეპერტუარში დიდხანს გასძლო.

მაგრამ გრ. რჩეულიშვილი მარტო პროზაული შემოქმედებით არ არის ცნობილი. მას აგრეთვე აქვს რამდენიმე ლექსი, რომლებიც ისეა მკითხველთა მასებში შეჭრილი, რომ ხშირად ავტორის სახელიც კია დავიწყებული, მაგალითად, „ახ, მთვარევე, მთვარევე“, „მესალმე ჩემო თვალის სინათლე“, „რაც შენ და გზორდი ჭერეც ისალი“, „ამაობა“, „მდიდარი“ და სხვა.

გრ. რჩეულიშვილის ლექსების უმრავლესობა მკითხველმა მასამ სიმღერად გადააქცია. განსაკუთრებით ცნობილია, შეიძლება ითქვას, თუ დღემდე არა, XX საუკუნის კარამდე მაინც, მისი „ახ, მთვარევე, მთვარევე“, „მესალმე ჩემო თვალის სინათლე“.

ეს ლექსები ჭარბად არის გაყდენთილი რომანტიკული ლირი-

<sup>79</sup> გრ. რჩეულიშვილი მწერლობაში ცნობილია, როგორც გრ. რჩეულივი.

<sup>80</sup> ალ. ორბელიანი, თხზ., „ქვრივის ლაშონების განხილვა“, გვ. 114.

ზმით, რაც ზედმიწევნით ახასიათებდა და ეგუებოდა დარღვეულ თავადაზნაურთა წრეებს. გრ. რჩეულიშვილმა უდავოდ ნიჭიერად შესძლო თავის ლექსებში განესახიერებინა ახალი ცხოვრებით დათენთილი და დაჰიანებული დარღვეული თავადაზნაურობის სულიერი განწყობილება შემდეგ თქმებში:

განშორებისა საათმა დაჰკრა,  
მშვიდობით სულო, მშვიდობით გნახო,  
მაგრამ სად გნახავ, ტუთილ არს ნატვრა,  
უნდა ტანჯვაში დღენი დაემარხო.  
ფერს აღარ მომცემს თვე მაისისა,  
და დილის ცვარი არ გამაფხიზლებს,  
აღარ გამათბობს მე სხივი მზისა,  
ღამეც არ მოჰგვრის ძილსა ჩემს თვალებს...

ფანა ასეთსავე მძლავრ სახეში არ გვაძლევს გრ. რჩეულიშვილი ამ დარღვეული კლასის განწყობილებას, რომელიც იმედდაკარგული ბუნების წყნარ სიჩუმესა და ბუნდოვანებაში ეძებს დასასვენებელს, სადაც მთვარე და ბნელი ღამეა მისი მეგობრები?

ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო,  
მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიბედო;  
მთვარევ, ხომ გახსოვს ის ბნელი ღამე,  
მხოლოდ შენ იყავ მაშინ მოწამე...

გარკვეული წრის — დარღვეული ფეოდალური კლასის ცხოვრების წიაღში ამოკრიფა მწერალმა ის ტკივილები, რომლებიც მას კენესით ათქმევინებს:

კაცის სიცოცხლე არს ერთი წუთი,  
შემოჰკრა ქარმან და მსწრაფლ გააქრო...

გრ. რჩეულიშვილის ეს რამდენიმე ლექსი, მას ასეთი ცრემლით რომ დაუწერია, ფართოდ იყო გავრცელებული. გავრცელებული იყო თავის დროზე მისი რომანებიც, მაგალითად, „თამარ ბატონიშვილი“ ხუთჯერ იყო დაბეჭდილი, პირველად „ცისკარში“ და შემდეგ ცალკე.

მიუხედავად ამისა, ავტორი მაინც ჩვენმა საზოგადოებამ დავიწყებას მისცა. რაა ამის მიზეზი? ჩვენის ფიქრით, არა ის, რომ გრ. რჩეულიშვილი უნიჭო ან უსარგებლო მწერალი იყო, არამედ ის, რომ მისი ნიჭი ღრმომოჭმულმა ლიტერატურულმა მიმართუ-

ლებამ — რომანტიკულმა, რომელიც 60-იან წლებში უკვე უადგილო იყო, ადრე დააბერა და დაეიწყებას მიაყენა.

4

მიხეილ თუ მანიშვილი (1818—1875), უმცროსი შვილი იყო მეფე გიორგის მდივნის ბირთველისა. მიხ. თუმანიშვილი დაიბადა ყოფილი გორის მაზრის სოფ. ხელთუბანში. სასწავლებლად მშობლებმა ის ჯერ მღვდელს მიაბარეს გორში, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს თბილისში და ახლად გახსნილ გიმნაზიაში მისცეს. სამწერლო ნიჭი მიხეილ თუმანიშვილმა გიმნაზიაშივე გამოიჩინა. ის გიმნაზიის სხვა მოწაფეებთან, მათ შორის ნ. ბარათაშვილთან ერთად, სცემდა მოწაფეთა ჟურნალს რუსულ ენაზე «Цветок Тифлисской гимназии».

გიმნაზია მიხ. თუმანიშვილმა დაამთავრა 1836 წელს, რის შემდეგაც. შევიდა სამსახურში, სადაც მუყაითობა და დაკვირვება გამოიჩინა. განსაკუთრებული მუყაითობით ამზადებდა გლეხთა განთავისუფლების საქმეს, უფრო-კი, როცა ის 1864 წელს დანიშნეს გლეხთა განთავისუფლების კანცელარიის უფროსად.

სამსახურის მძიმე და წვრილმანმა მოვალეობამ მიხ. თუმანიშვილს აღარ დაუტოვა დრო პოეტური და პუბლიცისტური მოღვაწეობისათვის.

მიხ. თუმანიშვილის მოღვაწეობა ლიტერატურულ ასპარეზზე შეიძლება ორ პერიოდად გავეყოთ: I პერიოდი — 50-იან წლებამდე და II პერიოდი — 50-იანი წლებიდან სიკვდილამდე.

პირველ პერიოდში მიხ. თუმანიშვილი წერს ლექსებს, თარგმნის რუსულიდან, განსაკუთრებით პუშკინის შემოქმედებიდან (მაგალითად „ბახჩისარაის შადრევანი“).

ამ პერიოდში მიხ. თუმანიშვილი განიცდის ქართველი და რუსი რომანტიკოსი მწერლების გავლენას. უკმაყოფილება, უიმედობა, სევდა-ჰუმუნვა — აი რა ახასიათებს მის ლექსებს:

ვის არ გიხილავსთ უდაბნო ბნელი,  
სად თვალნი მზისა შექსა ვერ სჭვრეტენ,  
სად ვერანადა მოსჩანს ყოველი  
და ქარიშხალი ხმინაობს ოდენ. —

მწარედ მოსთქვამს ახალგაზრდა პოეტი ლექსში „უდაბნო“. ცხოვრება მას ეხატება, როგორც „ბნელი უდაბნო“ და თავის თავსაც აღარებს ხეს, რომელიც დგას —

გულჩამწვარი ციურის ცეცხლით  
და მაღალს კლდეზედ მარტოდ, მწუხარედ  
გარდმოკიდული დამქენარ შტოებით.

ახალგაზრდა პოეტი გრძნობს დღეგამწარებულ ცხოვრებას და ადრე კარგავს რწმენას ტკბილი იმედით დამკვინარი გული აიყვავოს. მის. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ე ს ლექსი ძალიან უახლოვდება, თუ ემოციონალურად არა, თემატურად მაინც, ნ. ბარათაშვილის ლექსს „სუ ლ ი ბ რ ო ლ ი“.

1838 წელს დაწერილ ლექსში „სალამური“ ოცის წლის პოეტი მის. თუმანიშვილი იგონებს, როცა სალამური მისთვის გამოსცემდა ჰაბუჟურ საიდუმლოებრივ ალტაცებას, უქადდა მას გასაოცარ „გრძნეულობას“, სიყვარულით დატკბობას. ახლა-კი ამაოებამ შეიპყრო ის. იმედგაცრუებული პოეტი აღშფოთებული ასე მიმართავს მაცოთურ ამაოებებს:

რად დამიღწე ოქროვანი ხატი ოცნების?  
რად დამდე ჭაჭვი დამონების? რად მიმიზიდავ აღლეებაში?  
აღლეებაში ამა სოფლის დაუდგრომელის, —  
სადაც გრილდება მგოსანისა მხურვალე გული,  
სადაც სქენებიან უწმინდურნი სულის გრძნობანი,  
სად სალამური მექნა ჟღერით დაყრუებული  
და უპასუხოდ განიფანტნენ ტკბილნი შტვენანი.

ესეც ხომ ბარათაშვილისებურია. ეს ლექსიც მოგვაგონებს ნ. ბარათაშვილის ლექსს „სულო ბოროტო“. ამჟერაა, დარღვეული მომაკვდავი კლასის მდგომარეობა ნიჭიერ თანამედროვეთ მეტად ხარბად აყნოსებდა მწვავე ტკივილების ძალას. ახალგაზრდა პოეტი მის. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ც განიცდის აწმყო ცხოვრების სიმკაცრეს, გრძნობს, რომ ამ ცხოვრებამ მას სუსხიანი „ზამთარი“ მოუყვანა, რომ სიხარულის ვარსკვლავი ცხოვრების გზიდან ქრება. წარმავლობის აუცილებლობის მწარე განჭვრეტით პოეტი ასე კვნესის ლექსში „ელეგია“:

არა ერთხელ სიჰაბუყე დაუთრთვილავს სიბერესა,  
არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავს ღამესა...

ამიტომ პოეტს „შავმა ნისლმა მზის შუქი სიწყვედიადით დაუბნელა“ და მის „შუბლსა კაეშანი მოეხვია ღრუბელივით“.

მის. თუმანიშვილის ლექსებში, რომანტიკოსი მწერლების გავლენით, სიყვარულის ხშირად ეშხიან-ვენებიანობის გრძნობებია ასახული. მის. თუმანიშვილიც ხომ იმავე გარემოს შვილია, მისთვისაც ხომ რომანტიზმი თავისი დამახასიათებელი ნიშნებით ადვილი შესაგუებელი იყო.

აი როგორ ამქლავნებს პოეტი თავის გრძნობას სატრფოსადმი ლექსში „ღ ა მ ე“.



ნამდვილი მოფრენით, ვინდ მოჩვენებით,  
მოვედ, ლეილაე, მომაპყარ ხვეენა.  
თვალნი აღმიგზნე ნათელ მოხედვით,  
ხმითა ციურით აამე სმენა.  
ძოწთა ღიმილით  
განმაცისკროვნე,  
გიშრის შტოებით  
ღამაგვირგვინე.  
მფლობი ბედისა სამოთხიურის,  
შევსავ სიტკბოსა ბაგეთა შენით,  
შემოგვნატრებენ ვარსკვლავნი ზეცით  
და ვარდს ბულბული შეებრალეზის.

აქ კიდევია გავლენა აღმოსავლური პოეზიისა, მისი პოეტური ლექსიკა აქაცაა გამოყენებული: „ძოწთა ღიმილი“, „გიშრის შტოები“, „ბაგეთა სიტკბოება“, „ვარდი“, „ბულბული“ და სხვა. ეს ჩვენი მწერლობის მისუსტებული, უკანასკნელი ხარკია აღმოსავლური პოეზიისადმი. ასეთია მიხ. თუმანიშვილის პოეზიის ზოგადი ხასიათი.

40-იან წლებში მიხ. თუმანიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის კვალი არ მოჩანს.

50-იანი წლებიდან, როდესაც დაარსდა ქართული თეატრი, საიდანაც ქართული საზოგადოებრიობის გამოღვიძება იწყება, მიხ. თუმანიშვილის კალამიც ახმაურდა და, უნდა ითქვას, საკმარისად მძლავრადაც. ქართული თეატრის, ქართული დრამატურგიის დასაწყისს ის აღფრთოვანებული და ნიჭიერი წერილებით გამოეხმაურა გაზეთ „Кавказ“-ის ფურცლებზე<sup>81</sup>.

შემდეგ, როდესაც დაიწყო გამოსვლა ქურნალმა „ცისკარმა“ 1857 წლიდან ივ. კერესელიძის ხელმძღვანელობით, მიხ. თუმანიშვილი „ცისკრის“ ერთი თანამშრომელთაგანი შეიქნა. 1857 წლიდან დროგამოშვებით „ცისკარში“ იბეჭდება მისი მეტად ნიჭიერი ფელეტონები „სალაყბო ფურცელი“ — მოლაყბის ფსევდონიმით<sup>82</sup>. მიხ. თუმანიშვილი ქურნალიდან 1858 წლიდან წავიდა და შემდეგ აღარ დაუბრუნდა „ცისკარს“. მისი ყურადღება კანცელარიამ და სამსახურმა ინაცვალა და მისი, უდავოდ, პოეტური და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნიჭი ადრე დააქცნო. 1861 წლიდან, როდესაც „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა გაიშალა, მიხ. თუმანიშვილი მამათა ბანაკში მოღვაწეობს.

<sup>81</sup> იხ. ზევით მისი წერილები «Кавказ»-ში ქართული თეატრის შესახებ.

<sup>82</sup> იხ. ა. კალანდაძე — ივანე კერესელიძე“.

## ლავრენტი არდაზიანი

(1815—1870)

50-იანი წლების ქართული ლიტერატურისათვის, უდავოდ, შესანიშნავი და დამახასიათებელია ლავ. არდაზიანი. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ეურნალ „ცისკარში“ მრავალმხრივია. ის მთარგმნელია პოლიტიკური ეკონომიიდან, ისტორიიდან, ის პუბლიცისტია (მისა ცნობილი კამათი ნ. ბერძნიშვილთან). მაგრამ ჩვენთვის ის საინტერესოა, როგორც ქართული სოციალური რომანის ავტორი. მან ეურნალ „ცისკარში“ დაბეჭდა ორი თავისი ორიგინალური რომანი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ (1861 წ.) და „მორჩილი“ (1863 წ.).

ლავ. არდაზიანი დაიბადა 1815 წელს ქ. თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის მღვდლის პეტრე არდაზიანის ოჯახში, რომელიც ცხოვრობდა ანჩისხატის უბანში. თბილისშივე მიიღო ლავ. არდაზიანმა განათლება — ჯერ სამრევლო სკოლაში, შემდეგ სასულიერო სასწავლებელში, რომელს დამთავრების შემდეგაც 1831 წელს შედის სასულიერო სემინარიაში. ეს უკანასკნელი მან დაამთავრა 1837 წელს<sup>83</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ლავ. არდაზიანი სემინარიაში წარჩინებით სწავლობდა, მისთვის სემინარიის დამთავრებისას ატესტატის მაგიერ მიუციათ დამთავრების მოწმობა, ვინაიდან ლავ. არდაზიანი სემინარიის დამთავრების გამოცდების დროს ავად გამხდარა და გამოცდებზე ვერ გამოცხადებულა. მიუხედავად ლავ. არდაზიანის მიერ არაერთგზის შუამდგომლობისა, მისთვის ნება დაერთოთ გამოცდები ჩაებარებინა, რათა ატესტატი მიეღო, არც სემინარიის მმართველობას და არც უგზარხოსს ნება არ მიუციათ. გაჯავ-

<sup>83</sup> ბიოგრაფიული ცნობები ლ. არდაზიანის შესახებ. იხ. ა. გაჩეჩილაძის შრომაში „ნარკვევები XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, გვ. 173—182.

რებულ ლავ. არდაზიანს მაინც გადაუწყვეტია უმაღლეს სასწავლებელში წასვლა, განცხადება შეუტანია გაენთავისუფლებინათ სასულიერო წოდებიდან.

ლავ. არდაზიანმა სწავლა აღარ გააგრძელა, შევიდა სამსახურში და სხვადასხვა დაწესებულებათა კანცელარიებში, თუმცა სანიმუშო შრომისმოყვარეობით, მაგრამ უგემურად და უხალისოდ ეწეოდა მოხელის მძიმე უსიამოვნო ჭაბანს. მას სამსახური არ აძლევდა საშუალებას თავის ნამდვილ მოწოდებას და საყვარელ საქმეს — მწერლობას მთლიანად მისცემოდა. მხოლოდ ხანგამოშვებით ახერხებდა თავისი მოწოდების დაკმაყოფილებას. ლავ. არდაზიანი ხანმოკლე ავადმყოფობის (ფილტვების ანთების) შედეგად გარდაიცვალა 1870 წ. 1 იანვარს. დასაფლავებულია თბილისში ყოფ. ვერის ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში (ახლა კიროვის სახელობის ბაღში).

მიუხედავად იმისა, რომ ლავრენტი არდაზიანის რომანები უფრო მოგვიანებით დაიბეჭდა, ვიდრე დან. ჭოჩიაძის მოთხრობა „სურამის ციხე“ (1859 წ. მე-12 №-ში, 1860 წ. 1-ლ №-ში), მაინც ლავრენტი არდაზიანის რომანები თავისი მიმართულებით, ფსიქოიდეოლოგიით, შინაარსით (საკითხების ინტერესით) უფრო ახლოა გ. ერისთავის შემოქმედებასთან, ვიდრე დანიელ ჭოჩიაძისა.

როგორც გ. ერისთავი, ისე ლავ. არდაზიანი მხატვრები არიან ჩვენი ცხოვრების რღვევის ეპოქისა, როცა ნატურალური მეურნეობა აღვილს უთმობს კაპიტალისტურს, როცა პრივილეგიებით აღჭურვილი ფეოდალური წოდება ცხოვრების ახალი პირობებით გაკოტრებული და დაშაბუნებული ქედს უზრის ფულიანს.

თუ გ. ერისთავის მხატვრული ხედვა მიქცეულია სოფლისაყენ, თუ გ. ერისთავმა მშვენივრად დაინახა ჩვენი სოციალური ცხოვრების რღვევა სოფლად, ჩვენი თავადაზნაურობის ყოველმხრივი გაკოტრება და ახალი ფენის, მეტოქის ჩარჩი-ვაჭრის სახით წარმოშობა და ამის ასახვა შესძლო რეალურ კოლორიტულ ფერებში (ანდლუყაფარ-პავლეებისა, მიკირტუმ-კარაპეტეძისა და სხვათა სახით), — ლავრენტი არდაზიანიც სწორედ ამავე მოვლენის მწერალია, მისი შემოქმედებითი აპერცეპცია სწორედ აქეთკენ იხრება. მაგრამ ვინაიდან ლავრენტი არდაზიანი უფრო ქალაქის ცხოვრებას იცნობს, ამიტომ ის ქალაქის ცხოვრების ამოძრავების, მისი სოციალური ცხოვრების ფერისცვლის მხატვრულ ტილოს სჭიმავს მკითხველის წინ.

თუ გიორგი ერისთავი ამ ახალი ფენის წარმომადგენელს გვაძლევს უძვეველეს გამდიდრებულს ჩარჩი-ვაჭრის ქურქში გამოწყობილს (მიკირტუმმა, კარაპეტა), როცა მათ უკვე ხელთ იგდეს ჩვენი დეგ-

რადაციის გზაზე დამდგარი თავდაზნაურობის ეკონომიური დოვ-  
ლათი და ბატონს ქედის-კი მოახრევიანეს, — ლავრენტი არდაზიანი  
კიდევ მით არის საინტერესო, რომ „სოლომონისაკი მეჭ-  
ღანუაშვილი“ გვაძლევს ფართო სურათს ამ ახალი ფენის  
ზანგარდივი და მძიმე ბრძოლისას ცხოვრების უკუღმართ პირობებ-  
თან.

ამ პროცესში ეს ახალი ფენა — მეჭღანუაშვილები იმარჯვებენ.  
რით? ცხოვრების ცოდნით, მასთან ბრძოლაში გამძლეობით, ფუ-  
ლის ყადრის ცოდნით, მომჭირნეობით, ატანითა და მოთმინებით.  
სხვა მას ცხოვრებაში არავინ და არაფერი გააჩნდა.

„რალა გაგიგრძელოთ, — მოგვითხრობს თავის თავგადასავალს  
სოლომონ მეჭღანუაშვილი, — მამაჩემი წლის თავზე გამოგვესალ-  
მა და გარდაიცვალა ამიერ სოფლით გამოუთქმელი სიხარულით,  
გეგონებოდათ, მიეშურებოდა რომელიმე დღეობაში ანუ ლხინში.  
გეგონებოდათ, რომ დაუტოვავო თექვსმეტი წლის ქვრივსა — ცოლ-  
სა, ერთის წლის ვაჟსა — ობოლსა განძი და საცხოვრებელი. აღმოჩ-  
ნდა, რომ მამაჩემმა დაგვიტოვა ზემოხსენებული ქოხი, დამსხვრეუ-  
ლი ტახტი, ერთი ძველი ჭილობი, ერთი დავგლეჯილი ფარდავი  
და ერთი პატარა ხალიჩა (დედაჩემის მზითვევი), ერთი ხელი ლოგინ-  
ი, სამი ჩინური ჯამი, ექვსი თიხის თეფში, ერთი პატარა ქვაბი და  
ორი შამფური. იმ დალოცვილმა აღარ იფიქრა, რომ იმის ქვრივს,  
მაწოვარსა, სოფლის გაუცნობელსა, მაშინვე მოშივდებოდა და მე  
განუხჯელად მოვთხოვდი წამდაუწუმ ძუძუს. არც მამაჩემს, არც  
დედაჩემს არა ჰყვანდნენ ახლო ნათესავები, შორეულებმა კი შორს  
დაგვიჭირეს. დავრჩით მარტონი, უპატრონონი“.

ამ ნაწყვეტში ახალი ფენის ცხოვრების ორი მთავარი სოცია-  
ლური ხაზია გარკვევით მოცემული: არავითარი ეკონომიური დოვ-  
ლათი და არავითარი სოციალური კავშირი, ვისაც-კი შეეძლო მათი  
ცხოვრებაში გამაგრება, შეშველება, რითაც ასე ძლიერი იყო  
პრივილეგიური კლასი და რაც მის დარღვეულ, ხშირად განადგუ-  
რებულ წარმომადგენელს ცხოვრების სარბიელზე აღონდილებდა  
ზოლმე თავისი „შემწეობით“, „დახმარებით“.

დარჩა ამ „ბოროტებითა“ და „უსამართლობით“ საესე ცხოვ-  
რებაში მეჭღანუაშვილის ახალგაზრდა, გამოუცდელი 16 წლის  
ქვრივი უარარაოდ, ცისამარა. ყველამ, დაწყებული მეზობლებითა  
და გათავებული სახლის მოძღვარ ტერ-აკოფა ტერტერათი, მონი-  
დომა მისი დაჩაგვრა, გაქელვა. ეს უკანასკნელი სოლომონის მამის  
სიკვდილის რამდენიმე დღის შემდეგ ყველასაგან დაბრძოლებულ და  
შევიწროებულ გაიანესთან (სოლომონის დედასთან) მივიდა,  
ჩვეულებრივი ნუგეშისცემისა და მოთმინების ქადაგების შემდეგ

სთხოვა მიცვალბულის რიგის გადასახადისათვის სასყიდელი: „გაიანემ, — მოგვითხრობს მექლანუაშვილი, — გულის მჭევრმეტყველებით აუწერა თავისი საშინელი გარემოება და შეუძლებლობა. სხვა კაცი ლმობიერებაში მოვიდოდა იმის სიტყვით, შეიბრალებდა ოხერ ყმაწვილ-ქალს, მაგრამ ტერტერას გული არ დაუბილდა. მაშინ დედაჩემმა უჩვენა და სთხოვა მიეღო, თუ იკადრებდა, შამფურები, ქვაბი, ჯამები და თეფშები. ტერტერამ იცოტავა, დედაჩემმა მიართვა თავისი ხალიჩა. ტერტერამ უსინდისოდ მოხვეტა ყოველივე და წაიღო თავისი ხელით. ჩვენ დაგვრჩა ტახტი, ჭილობი, ფარდაგი და ლოგინი“.

ყველაფრით და ყველასაგან (ბაყალ გეო ნ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ, განსაკუთრებით მეწვრილმანე გასპარ ს ა რ ქ ი ს ბ ე გ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ და მათგან მოგზავნილი ცბიერი ბებრისაგან) შეწუხებული და შეურაცხყოფილი გაიანე გადასწყვეტს გავიდეს ქალაქში და თავისი შრომით არჩინოს თავისი თავი და თავისი ერთადერთი ჩვილი შვილი. მაგრამ იმ დროს განა ასე ადვილი იყო ცარიელი ხელით, მხოლოდ შრომით, ისიც უცოდინარი, ახალგაზრდა ქალისათვის თავის დარჩენა! „მთელი დღე იარა უბედურმა გაიანემ, — მოგვითხრობს სოლომონი, — და ყველგან გაიგონა, რომ არავის ესაჭიროებოდა მაშინ არც ძიძა, არც მოჯამაგირე. დაბრუნდა შინ მკვდარი, სასოწარკვეთილი გაიანე, დაეცა პირქვე, ტიროდა, გმიწანვდა“.

შემშილისა და მეზობლებისაგან შევიწროებულმა გაიანემ იგრძნო, რომ მას იქ აღარ ედგომებოდა, თვალცრემლიანმა გაახვია თავისი ჩვილი მჩვრებში და გაუდგა გზას, თვითონაც არ იცოდა, სად უნდა წასულიყო. კეთილი შემთხვევა გაიანეს რ ა ი ნ დ ი ძ ი ს ოჯახში მოახვედრებს (ეს, უდავოდ, ავტორზე რომანტიკული წერის მანერის გავლენაა. სხვათა შორის, ასეთი ადგილები რომანში სხვაც არის). იქ, დარეჯან რ ა ი ნ დ ი ძ ი ს მიერ შეთვისებული, გაიანე თავისი შვილით თექვსმეტი წელიწადი იცხოვრებს, შემდეგ დარეჯანი ვარდაიცივლება და მას თან გაჰყვება გაიანეც.

სოლომონი ამ დროს ჩვიდმეტი წლისაა. დარჩა ის ცხოვრებაში მარტოლმარტო, უთვისტომო. მან ახლა კარგად იგრძნო, რომ რაინდიძის ოჯახში მისი დარჩენა მოუხერხებელია. როდემდის? „დრო იყო, რომ ამას იქით მას თავის თავისთვის ეზრუნა“. და სოლომონიც წამოვიდა თავისი მამა-პაპის ქოხის მოსანახავად, ბედის საძიებლად. მალე მიაგნო. კარები ისევ დაკეტილი დახვდა. ქოხის კარები რომ გააღო, საშინელმა ჰაერმა სული შეუგუბა. სანამ დაგუბებული ჰაერი არ გაიკრიბა, სოლომონი ქოხში ვერ შევიდა, შესვლისთანავე სოლომონ მექლანუაშვილმა უცვლელად იხილა ძველებური სილა-

რიბე. „მივიხედ-მოვიხედე, აგვიწერს სოლომონი, — არც სადმე სარკმელი, არც ბუხარი. კარები მივხურე და მე დავრჩი შეუადრისას საშინელს სიბნელეში. მაშინ წარამოძიდა დედაჩემი, მაშინ ცხოვლად ვიგრძენი, თუ რა საშინელი და ენით გამოუთქმელი ჯოჯობეთი მოუთმენია აქ დედაჩემს“.

აი ამ გარემოებამ, უილაჯობამ, უსახსრობამ და მწარე მოგონებებმა მისცეს ბიძგი და მიმართულება სოლომონის მოქმედებასა და ცხოვრებას. აი აქ იგრძნო სოლომონმა შურისძიება გასპარ სარქისბეგაშვილისადმიც. ეს შურისძიება მასში სასწრაფოდ გაიზარდა, გავრცელდა, ფესვები განზე გაიდგა, ტყვედ შეიპყრო მისი სული, გონება და გული.

მეჯღანუაშვილი მალე დარწმუნდა, რომ ეს მამაპაპეული ქოხი, როგორც მის მშობლებს ვერ აძლევდა ცხოვრების საზრდოს, ისე მასაც ვერ მისცემდა. მას ბევრი და დიდი ფიქრი აღარ დასჭირდა; ის იძულებულია ცარიელ-ტარიელი გავიდეს ქალაქში და გადაეშვას მის ატეხილ ცხოვრებაში, სადაც, ბებრის თქმით, გასპარ სარქისბეგაშვილი „თავი კაცია შეძლებითა თუ ვაჭრობით“. აი ამ ცხოვრებაში, ბებრის თქმით, სარქისბეგაშვილი როგორ ამოტივტივდა: „ის იყო პირველად მეწვრილმანე, — უამბობს სოლომონს დედაბერი, — და ჰქონდა საკმაო შეძლება, ჭირიანობას საკვირველი ჰქუა მოიხმარა: სოფლებში პურს ყიდულობდა იაფად. თვითონ-კი ერთიორად, ხუთად, ათად ჰყიდდა... გაივსო, გაივსო ის ღვთის მტერი. ახლა დუქნები აქვს და ვაჭრობს. რამდენი ვაჭარი წაახდინა!“.

სწორედ ქალაქის ამ ცხოვრებაში ჩაყურყუმელავდა არაფრის მქონე, გარდა მაგარი ნებისყოფისა და მწარე გამოცდილებისა, სოლომონ მეჯღანუაშვილი. დაიწყო ფულის მოგება ჩარჩობით. მშვიერ-მწყურვალი თავდაუზოგველად ცდილობს კაპეიკი კაპეიკს მიაწეზოს. არავითარი მსხვერპლის წინაშე არა დგება, ოღონდ ფულს ხელი მოჰკრას. „ჩემი გონება, — მოგვითხრობს სოლომონ მეჯღანუაშვილი, — იყო გართული ფულებში, ჩემი გული გრძნობდა მხოლოდ ფულების სიყვარულსა. ეს სიყვარული იქამდის გამიცხოველდა, რომ ხშირად მშრალ პურსაც არა ვყიდულობდი, რომ გროშს გროში არ მოჰკლებოდა. ხშირად განდეგილ ბერსავით ოცდაოთხ საათში არასა ვჭამდი, ხანდახან ორ ღღესაც. მხოლოდ მე ბერისაგან გავიჩეოდი მით, რომ ბერი არა სჭამს, გინდ მრავალიც ეწყოს თვალწინ, მე-კი ვეძებდი ხოლმე შემთხვევას, ეგების უფასოდ ჩამეგდო სადმე რომელიმე დარდიმანდის სუფრა. დაღალულობას, შიმშილს, სიცივეს და სიციხეს ხომ სრულებით არ ვგრძნობდი“. თვითონ სოლომონი ენით გამოუთქმელ ხელმომჭირნეობაშია, მაშინ, როდესაც მისი ფულის მოგება საოცარი სისწრაფით იზრდება, როგორც ქალაქ-

ში, ისე სოფლად. მთელი ქართლის გლეხობა და თავადაზნაურობა 12 წლის შემდეგ ხელში ჩაიგდო. სოლომონი გამუდმებით ფულზე ფულს ამატებს, არა სთვლის. ასეთსავე ხელმოპირანეობაში ჰყავს მას მთელი ოჯახი, რომლის ყოველი წევრი ვაჭრობს: მისი ცოლიც, მისი ქალიც და გიმნაზიელი ვაჟიშვილიც. ყველას მოგებას სოლომონი ერთსა და იმავე ორმოში დაუთვლელად ჰყრის.

ასეთი ხანგრძლივი ბრძოლისა და ცხოვრების შემდეგ, სოლომონ მეჭლანუაშვილი დაინტერესდა გაეგო, რამდენი ფული შეაგროვა მან. ერთხელ, როდესაც სახლიდან ყველას გაიგულებს, სოლომონი თავის მამაპაპეულ ქოხს ჩაიკეტავს. დასთვლის ფულს და თვითონაც არა სჯერა, როცა 800.000 მანეთს გადასთვლის.

მეჭლანუაშვილი როცა დარწმუნდება, რომ ის შეძლებული კაცია, რომ მას 800.000 მანეთი აქვს, სრულებით გამოიცივლება. მან თითქოს თავისი თავი იპოვნა. თავისი თავი კარგადაც იგრძნო, გამხიარულდა. მასში გაიღვიძა მამობრივმა გრძობამ, მხოლოდ იმ დღეს პირველად შენიშნა, რომ მის თქვესმეტი წლის ქალს თამაროს ეცვა „გაზუნებული, მოკლე ჩითის კაბა, ჭუჭყიანი მიტკლის პერანგი და ჭუსლებდაყრინებული ქოშები შიშველა ფეხებზე. სოლომონმა სწორედ იმ დღეს პირველად მიუალერსა ცოლ-შვილის. პირველად გაიხსნა მუდამ შექმუხნული შუბლი. მან, ნათლია ოპანე სას მხილებისაჰებრ, ახლა იგრძნო, რომ ამოდენა ფულის პატრონი ქვეყანას ფეხქვეშ ასე არ უნდა ექვლეინებოდეს. მან, როგორც ამას ნათლია ოპანესაც ურჩევს, მოინდომა თავის გამოჩენა, ცოლ-შვილის „კარგ გზაზე დაყენება“. თითქოს ამისთვის მას ასპარეზიც მალე ეხსნება, მისი შვილი ისაკი, განათლებით მიღების შემდეგ შედის სამსახურში. ის სამსახურის ასპარეზზე ალექსანდრე რაინდიძის კონკურენტადაც გამოდის. აპარცხებს კიდევ მას. საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მეჭლანუაშვილები თითქოს უკვე ადგილს პოულობენ, ფეხს იკიდებენ.

ერთი რამ კია, რაც გ. ერისთავის ჩარჩი-ვაჭრებისათვისაცაა დამახასიათებელი. ეს ის, რომ მეჭლანუაშვილმა, თუმცა ფულის მოგება დიდი გაჭირვებითა და მოთმინებით იცის, მაგრამ ამ ფულის გამოყენებას, მის ფართოდ სარგებლობას ის ჯერ ვერ ახერხებს. ის ჯერ მხოლოდ დამიგროვებელია. ამის მიზეზი თვით ჩვენი რეალური ცხოვრების სინამდვილეში უნდა ვეძებოთ. ჩვენი ცხოვრება კაპიტალის ფართო წარმოების გასაქანს 40—50-იან წწ. ჯერ არ იძლეოდა. ამიტომ ჩარჩი-ვაჭრებიც ჯერ კიდევ გზაგაუყვალავი იყვნენ. ეს ფენა ჯერ კიდევ თავისში იყო ჩაკეტილი. მას ამ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა კლასობრივი შეგნება, უნარი ეცხოვრა თავისთვის.

ამით აჩვენება, რომ როგორც გ. ერისთავის მიკრიტუმა, მეჯღანუაშვილიც ცდილობს გვერდში ამოუდგეს იმას, ვინც ცხოვრებაში ჯერ კიდევ გაბატონებულია, ე. ი. თავადაზნაურობას, ვისაც ცხოვრების სარბიელზე ადვილად ვერ ჩაგრავენ. მეჯღანუაშვილის იდეალი იყო თავადის შვილის, როგორც უვლებამორკმულის, დასიძეება და ამით ცხოვრებაში უფლების მოპოვებაც. ამიტომ მეჯღანუაშვილი ცდილობს თავისი ქალი თამარი ალექსანდრე რაინდიძეს მიათხოვოს. მზადაა წვალებითა და დიდი მსხვერპლით შეძენილი ფულის საგრძნობი ინაწილი ქალს მისცეს მზითვად. ნათელია ოპანესას რჩევით, კაცურად ცხოვრების მიზნით, ის სოლოლაკში იყიდის კარგ ორსართულიან სახლს, მორთავს მდიდრულად (თუმცა გემოვნება ჯერ მას სრულებითაც არა აქვს, ან საიდან ექნებოდა!). ცდილობს დიდკაცურად იცხოვროს, იტალიური ოპერის აბონემენტსაც-კი იღებს და თავისი ცოლ-შვილით თეატრში დადის.

რასაკვირველია, უჩვევი ცხოვრება მეჯღანუაშვილს ხშირად კომიკურ მდგომარეობაში აყენებს. კომიკურია მეჯღანუაშვილის მდგომარეობა ოპერაში, მისი უდროო დროს ტაშის დაკვრა, ვითომდა კმაყოფილების გამოჩენის ინშინად. აგრეთვე მეტად საგულისხმოა წვეულება, რომელსაც სოლომონი მართავს ალექსანდრე რაინდიძის დაახლოვების მიზნით და მასთან დროს გასატარებლად თავის ამქრებს, ყარაჩოღელ ამქრებს რომ უბატიყებს. განსაკუთრებით დამახასიათებელია თამადა არაქელ ნიკიტინი. ეს უკანასკნელი მშვენივრად გამოხატავს ახალი ფენის ფსიქოლოგიას. მას აქვს ეკონომიური დოვლათი. ამით ის გრძნობს თავის ძალას, ნიადავს. მაგრამ იცის, რომ რაღაცა აკლია, რაც აქვს თავადაზნაურობას და განათლებულ ხალხს და რაც მას უკან აყენებს (ეს ის, რომ მათ არა აქვთ ჯერ თავისი კულტურა, რაც სითამამესა და ბუნებრიობას მისცემდა მათ). ამის გამო ისინი მათ წრეში ერთგვარ უხერხულობას განიცდიან. მაგრამ ეს უხერხულობა მათ უნდათ დაპალონ. ამისათვის ვითომ სითამამეს, უშუალობას იჩენენ, რითაც ისინი, სხვათა შორის, უნებლიეთ, თავიანთი შერეული სტილის გამოქვავებით თავიანთი მდგომარეობის კომიკურ ელფერს აძლიერებენ. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია არაქელ ნიკიტინის ლექსიკა, ტონი, რუსიციზმები; ეს თავადაზნაურ-ყარაჩოღელთა და სხვათა შერეული ენაა. მაგალითისათვის: არაქელ ნიკიტინი ზედავს ალექსანდრე რაინდიძის უპირატესობას. ეს შესაძლებელია, პირველი შემთხვევაა, როდესაც არაქელას უხდება ასეთს თავადთან ქეიფის გაწევა, განსაკუთრებით თამადობა. მას შინაგანი უხერხულობის განცდა აქვს, ჰა, არ შერცხვეს, რაიმე მარცხი არ მოუვიდეს, მაგრამ მაინც



ინტიმარს არ იტეხს. სადილზე ალექსანდრე ელენესა და თამარის შუა ჩაჯდება. არაქელას უნდა დაიწყოს თავისი მოვალეობა თამადისა, ღელავს, მაგრამ ღელავს დასძლევს და თავისებური დარღვიმანდული ლათაიებით მიმართავს ალექსანდრეს:

— კნიაზ-ჯან, ეგ რა ჰქენ, რომ შენ ორი გვრიტი აქეთ-იქით შემოსხნი, ჩვენ-კი ცალკე ობლებსავით დაგვხსნი; განა ჩვენ კი არ გვიამება გვრიტებში ჭდომბა და იმათი ღულენი.

— აქ თავისუფლება და თანასწორობა უნდა იყოს, — უპასუხა ალექსანდრემ. — ვინ ღავიშალთ გვრიტებთან ჭდომბა?

ალექსანდრეს ამხანაგური ტონით ნავსი გატეხილია. არაქელაც მალე პოულობს სათანადო პოზიციას და უფრო თამამად შეუდგება თავის საქმეს:

მამ კნიაზჯან. რახან თავისუფლება და თანასწორობა უნდა იყოს აქა, მოდი ერთი შენი ჰირიმიე, ქეიფი გავწიოთ. ის რომელი ფილოსოფოსი იყო, ქეიფი და განცხრომა რომ ჰყვარებია?

— ეპიკური.

— აი ნამდვილი ბრძენი ისა ყოფილა, მაგრამ არც თქვენ ბრძანებულხართ ნაკლები... „ეი, ნოე, ნუნუას მიუჯდა, წყალი პირუტყვს მიანება“, — მღერით თქვა არაქელ ნიკიტინმა და დაასხა სამს სტაქანში ღვინო, თეფშზე დააწყო და შეჰყვირა.

— ყმაწვილებო, სმენა იყოს და გაგონება! — თქვა არაქელ ნიკიტინმა. ზაზდრაიე ნაშემუ ელენე... ზაზდრაიე კნიაზუ, ნაშემუ ალექსანდრე... ხოროშემუ კნიაჟენ ელენე... ხოროშემუ თამარა სოლომონინუ... ნაშემუ... ურააააა, ურაააა...

— კნიაზო ალექსანდრე, კნიაჟენა ელენე, თამარ სოლომონინ! სამნივე კარგი გვრიტები შეყრილხართ, ღმერთმა გადღეგარძელოთ, — თქვა არაქელ ნიკიტინმა და სამი სტაქანი დალია. იმის მავალითს შეუდგენ დანარჩენი ვაჟაკანი.

გაჩაღდა ქეიფი. არაქელ ნიკიტინი ცოტა შეზარხოშდა, გათამამდა. მან ალექსანდრეს მოწვევის მიზეზი და მიზანი იცის და უნდა ისე, ვითომ სხვათა შორის, „თათარიანხათ“ ჩაუნისკარტოს მას, ნიადაგი გამონახოს, მოამზადოს და მღერით ასეთ ლათაიას ეტყვის — „კნიაზ-ჯან, „ოდეს ვარდს ბულბული შეტრფოდეს და გრძნობით ეუბნებოდეს — „მიყვარხარ“... ახ, შენი-კი ჰირიმიე, კნიაზო ალექსანდრე“... უეჭველად ეს თავისებური სიგნალის მიცემაა. უდავოდ მხატვრობის თვალსაზრისით ეს ადგილი რომანში ერთი საუკეთესოა. სურათი ცოცხალია, ავტორის იუმორი ნიჭიერად გამოვლინებული.

მართალია, სოლომონ მეჯღანუაშვილის მდგომარეობა ხშირად კომიკურია, ხშირად თითქოს შეუსაბამო (განსაკუთრებით მისი ცხოვრების მეორე პერიოდში), მარცხსაც განიცდის ქალის გათხოვებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეჯღანუაშვილები მაშინდელ

სინამდვილეში ერთ მთავარ მოვლენად გადაიქცნენ. ახალმა დროებამ და მისმა მოთხოვნილებამ მეჭლანუაშვილები ყურადღებისა და მოქმედების ცენტრში დააყენა.

მართალია მოგვიანებით, მაგრამ სოლომონ მეჭლანუაშვილის შესახებ აი რა საყურადღებო აზრს გამოთქვამს ყურნალ „იმედის“ ერთი საუკეთესო თანამშრომელი სტ. ჭრელაშვილი. „ერთი სიტყვით, — წერს ის, — მეჭლანუაშვილი და კიდევ მეჭლანუაშვილი. ეს არის თავი და ბოლო ჩვენი ცხოვრების ბორბალისა. ეს ამშვენებს და აძლევს სპეტაკ ფერს დღევანდელ ჩვენ უფერულობას. ყველანი გულწრფელად ვიტყვით, რომ უამისოთ ჩვენ ჩალათაც არ ვეღირებოდით. ამიტომაც მეჭლანუაშვილს შეუძლიან ამაყათა და გულდაგულ შეჰყუროს ქვეყანას, რომლის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს — დაუთმოს ყველგან უპირველესი ადგილი... რომ მოკლეთა ვთქვათ, მეჭლანუაშვილი ყველაფერში მოწინავე პირია ჩვენი ცხოვრებისა, ნამდვილი იდეალია მთელი ხალხისა“<sup>84</sup>.

„რის წყალობით დაუჭერია, — განაგრძობს აზრის განმარტებას სტ. ჭრელაშვილი, — ჩვენს გმირს ასეთი მაღალი ადგილი, რით გამხდარა ასეთ მოწინავე პირად. — ჯერ პირველათ იმითი, რომ იმას ზურგზე აკრამს ვეებერთელა ტობრაკი, პირამიდის გაჭედული, თითქმის ერთი მილიონი თეთრი ფულით, მეორე კიდევ იმიტომ არის იგი ძვირფასი, რომ ეს ამოტელა ფული იმას უშოვნია თავისი საკუთარი ოფლით, თავის მეცადინეობით“<sup>85</sup>.

სტ. ჭრელაშვილი ცხადლივ ხედავს, რომ ეს მოვლენა ჩვენი ცხოვრების ბუნებრივი და აუცილებელი გზაა. ეს მოვლენა „ჩვენი ცხოვრების ნამდვილი ყვავილია“. „საქმე არც სოლომონის პიროვნებაზეა, — წერს კატეგორიული ტონით სტ. ჭრელაშვილი, — ის არ იქნება, სხვა იქნება... საქმე თითონ იმ საზოგადოებაზეა, იმ ცხოვრებაზეა, სადაც ამისთანა პირები თამამად დაიარებიან, სადაც ცხოვრება თითით გვიჩვენებს მათზე და თავმოწონებით გვეუბნება: „აჰათ, ესე არს ძვალი ძვალთაგან ჩემთაგან და ხორცი ხორცთაგან ჩემთაგან. ამაშია ჩემი დიდება და სასოება. ეს არის ჩემი ძალა და ღონე. აბა ვის შეგიძლიათ ხმა გაგვცეთ ან სოლომონაებს ან მე. სოლომონი გავამდიდრე, ავაყვავე... მაგიერათ ათასი სოლომონისთანა ობოლი შემოვანარცხე და ვინაცვალე“<sup>86</sup>.

სტ. ჭრელაშვილი ცოტა ქვევით უფრო გარკვევით აღნიშნავს

<sup>84</sup> სტ. ჭრელაშვილი, ჩვენი ცხოვრების დიდი შვილი, „იმედი“, 1882 წ., № 2.

<sup>85</sup> იქვე.

<sup>86</sup> იქვე.

მეჯღანუაშვილთა წარმოშობის აუცილებლობას. „მეჯღანუაშვილი“ კი არა, თვით უცუდესი ქვეყნის გამომწუწუნავი, რომ ერთს დღეზე ამოაჯდოს დედამიწის ზურგიდან, მაინც ხვალე თქვენი ვამტერებელი თვალები დაინახვენ, რომ იმათი ადგილები სხვებს დაუქერიათ, მათ სკაპზე სხვები გამოჰიმულან. იმიტომ რომ... ყველა ჩვენთაგანში ცხოვრების უარაქათობამ ღრმად ჩანერგა ფულის მოყვარეობა... ყველას ფული მიგვაჩნია უღონიერეს იარაღად ნეტარების და სიამის მოსაპოვებლად“<sup>87</sup>.

ჭრელაშვილს მეჯღანუაშვილის უხეშობისა და სიძუნწის გამართლებაც უნდა. ამ თვისების განვითარების მიზეზს მის გარშემო აუტანელ ცხოვრებაში ზედავს. „თუ მეჯღანუაშვილს უარყოფითი მხარეები აქვს, თუ ის ასე გაუმაჟღრად დაქიმიებული ფულს ეტანება, ეს იმიტომ, რომ ცხოვრებამ, ქვეყნის ეკონომიურმა მდგომარეობამ გაუქირა იმას (მეჯღანუაშვილს) საქმე იქამდის, რომ მართო ტალახში დაინახა მან სიცოცხლის წყარო“<sup>88</sup>.

სტ. ჭრელაშვილმა სწორად გაიგო სოლომონ მეჯღანუაშვილის მნიშვნელობა და ჩვენი ცხოვრების იმ პირობების თვისებები, რომელთაც გამოიწვიეს საზოგადოებრივი ცხოვრების დიფერენციაცია, დაიწყეს გაყრა, წამოაყენეს წინ ახალი ფენა ახალი ბუნებით, ახალი მსოფლმხედველობით მიკირტუემებისა და მეჯღანუაშვილების სახით, რომელთაც ცხოვრების ასპარეზზე უნდა გაემარჯვათ.

ახლა საინტერესოა გავარკვიოთ როგორია დამოკიდებულება თვით ლავ. არდაზიანისა ამ გვირისადმი. თვით ლავ. არდაზიანის ციკლს მეჯღანუაშვილს ისე უყურებს, როგორც ჩვენი ცხოვრების დვიძლი შვილს, რომელიც ცხოვრებამ თვითონ გამოიყვანა, რომლისთვისაც ათასი სხვა შემოანარცხა და რომლისაცაა მომავალი ცხოვრება.

ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, თვით რომანი „სოლომონისაკიჩი მეჯღანუაშვილი“ არ გვაძლევს საბუთს იმ დასკვნისათვის, რომ ავტორის სიმპათიები მთლიანად ამ ახალი ფენის, ჩარჩი-ვაჭრის მხარეზე იყოს, რომ მომავალი მხოლოდ მეჯღანუაშვილებმა უნდა დაიჭირონ ხელში. ჩვენი გავებით, ლავ. არდაზიანის სიმპათიები თითქოს გაორებულია ჩარჩი-ვაჭართა და თავად-აზნაურებს შორის. ლავ. არდაზიანის სიმპათიები თავდაზნაურობის იმნაწილისკენაა, რომელიც შეეგუება და შეეხრ-

<sup>87</sup> სტ. ჭრელაშვილი, ჩვენი ცხოვრების დვიძლი შვილი, „იმედი“, 1882 წ., № 3—4.

<sup>88</sup> იქვე.

დებ ახალ ეკონომიურ ფაქტორს (კაპიტალიზმს), კაპიტალისტურ საფუძვლებზე მოაწყობს თავის სოფლის მეურნეობას, მხოლოდ ამ პირობებში ის საზოგადოებრივი ცხოვრების საჭეს ხელოდან არ გაუშვებს. ამასთან დაკავშირებით ლავ. არდაზიანის გაგებით, კაპიტალიზაციის პროცესით შევიწროებული თავდაზნაურობა იძულებულია სოფლიდან ქალაქებში-კი არ გადმოვიდეს, კი არ დასტოვოს თავისი მეურნეობა სოფლად, არამედ, პირიქით, სოფელს მიაშუროს, მიუბრუნდეს მამულს, დანგრეულ ბუდეს, დაუწყოს მას ბურჟუაზიული რაციონალური სისტემით მართვა. მხოლოდ ასეთი გზა ცხოვრებისა გადაახალისებს თავდაზნაურობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დამარცხებულია, რადგანაც ქალაქი თავისი აღებმაცემობით მეჯღანუაშვილებს ხელში გადადის. იქ ისინი მკვიდრდებიან, იქ ისინი თავდაზნაურობას ნძლავრ კონკურენციას უწევენ.

ლავ. არდაზიანის მიერ მოლიბერალო თავდაზნაურობის დადებითად შეფასება, ფვიქრობ, მკვეთრადაა მოცემული მეჯღანუაშვილების დაპირისპირებით თავად რაინდიძეებთან. დაწყებული კნენა დარეჯანით და გათავებული ალექსანდრეთი (საერთოდ, ვინც რაინდიძეებიდან ავტორს მოქმედების ასპარეზზე გამოჰყავს), ყველა მეტად სათნო, კეთილმოქმედი, კაცთმოყვარე, სხვებისათვის მზრუნველია. მაგალითად, ისინი შეითვისებენ გაიანეს შვილით, თექვსმეტი წელიწადი ინახავენ, ასწავლიან, პატრონობენ. რა თქმა უნდა, რაინდიძეები დადებითად გამოყვანილნი არიან და ავტორის მიერ იდეალური ებულებნი.

სამაგიეროდ მეჯღანუაშვილებმა, გაჭირვებულ ცხოვრებაში გამოტარებულებმა, იციან ცხოვრების ფასი, იციან ფულის მნიშვნელობა. ცხოვრების პირობების მოპოვებისათვის თავდალუნუნნი, მშიერ-მწყურვალნი ებრძვიან ცხოვრებას და იმარჯვებენ კიდევც.

აქი როცა სწავლის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე რაინდიძე ლამობს თბილისში სამსახურში შესვლას, ვერ ახერხებს, რადგანაც ისაკ მეჯღანუაშვილმა დაასწრო მას (ახალი ფენის წარმომადგენლებმა ქალაქად დაამარცხეს პრივილეგიური კლასის წარმომადგენელი). ქალაქად ვაჭრის შვილმა გაიმარჯვა. ალექსანდრე რაინდიძე, თითქოს, იძულებულია სოფელში გადასახლდეს.

ალექსანდრე რაინდიძის წერილი დეიდა მაკრინესთან მეტად მკაფიოდ გადაგვიშლის ლავ. არდაზიანის შეხედულებას: რაინდიძე შერთავს ცოლს (არა მეჯღანუაშვილის ქალს — თამროს, თუმცა მეჯღანუაშვილი მას დიდს მზითევსა და ფულს პირდება, არამედ თავადის ქალს ელენეს), გადასახლება თავის მამაპაპეულ მამულ-

ში, მიჰყოფს ხელს რაციონალურ მეურნეობას და კმაყოფილი საქმითა და მდგომარეობით თავის ცხოვრებას დეიდა მაკრინეს აი როგორ გადაუშლის:

— თქვენ მემღუროთ, რომ დავინიშნე და ჯვარი დავიწერე თქვენ შეუტყობლივ. მემღუროთ, რომ თქვენს შუამავლობას პატივი არ ვეცი, მემღუროთ, რომ ჩემს ამბავს, ჩემს ყოფაცხოვრებას არ გატყობინებთ, რომ არც ერთს წიგნზე პასუხს არ გწერ.

„მე მქონდა შესაწყნარებელი მიზეზი, რომ დავრჩი თქვენთან ყოველს დროს ლუკარავადა. უმიზეზოთ არა იქნება რა. იმედი მაქვს შეიტყობთ რა ამ მიზეზს, აღარ გამკიცხავთ, აღარ დამემღურობით.

„მომისმინეთ:

„თქვენ მაშინ მობრძანდით ჩემთან შუამავლათ, როდესაც მე ვიყავი კიდეც დანიშნული კნიაჟა ელენეზე. მაგრამ აღრეც რომ მობრძანებულეყავით ჩემთან შუამავლათ, მაინც ვერ შევირთავდი სოლომონ ისაკიჩის ქალს, ამიტომ რომ მე მიყვარდა ელენე, თვალი მეჭირა ელენეზე და იმის გარდა სხვას არაყის შევირთავდი. თამარ, დიად, ჩინებული ქალია, ღირსია ჩემზე უკეთესი ქმრისა, მაგრამ მე და თამარ არ ვიყავით ერთმანეთისათვის დაბადებულნი.

„ქორწილში ვერ მოგიწვიე იმიტომ, რომ ქორწილი ჩემი მოხდა სწრაფათა... ისიც სოფელში და არა ტფილისში. მე დავიწერე ჯვარი სოფ. წითლიანს, ჩემს მამა-პაპის სალოცავ ეკლესიაში, ქორწილი გადავიხადე ჩემს მამა-პაპის სახლში.

„ოჰ, მაკრინე! აღარა მენატრება-რა, სრული ბედნიერი ვარ, ელენე განხორციელებული ანგელოზია.

„დიად, მე ვარ ბედნიერი, მომატებულს აღარას ვნატრობ. ასე გასინჯეთ. ბუნება-კი ჩემთან იშვებს...

„ჩვენ არა გვიძინავს, როდესაც ბუნება ხარობს სიციცხლით. არა გვიძინავს, რომ ბუნებამ მართო თვითონ, უჩვენოთ, არ იხაროს, მართო თვითონ არ აღიღოს დამბადებელი... ელენეს ქცევა მაკვირვებს, მე სრულიად იმედი არა მქონდა, რომ ელენეს ნებიერობა არ დაეწყო. მაგრამ, არა, ელენემ მოაწყო, მოკაზმა სახლი ისე კარგა, რომ უკეთესად მორთვა საჭირო აღარ არის. ელენემ მიიღო გამგებობა სახლისა და დაუზარებლად აძლევს იგი სახლში განკარგულებასა. თქვენ ნახავთ სახლში სამაგალითო სისუფთავესა, მოსამსახურეებს წმინდათ ჩაემულსა. თქვენ ნახავთ ყოელის სიკეთით სავსე სახლსა. თქვენ ნახავთ წესსა, მშვიდობასა, სიხარულსა, ბედნიერებასა. თქვენ ნახავთ, როგორათაც მოსამსახურენი დაუზარებლივ, სიხარულით, ერთგულად აღასრულებენ თავიანთ თანამდებობასა: ვერ გაიგონებთ ორგულობასა, წინააღმდეგობასა, დრტყინვასა, საჩივარსა, ღანძღვასა და სხვა ურიგობასა. ყოველის ამ სიკეთისა არის მიზეზი ელენე. ოო! ელენეს არა სძინავს... ელენეში ვერ იპოვით უგუნურ ამპარტაუნობასა, მედიდურობასა, თავის თავის მოარშიყესა და დაუდგრომელ ქალსა.

„მე მივიღე გამგებობა ყმისა და მამულისა. ყოველსავე მივეცი წესი, ყოველივე დავაყენე სწორე გზაზე. ყოველივე ჩემ თვალწინ კეთდება და მე არც შეთაკილება, არც მეზარება. რასაც ხუთი კაცი ხუთ დღეს აკეთებდა, ახლა იმასვე უნდება ორი კაცი ორ დღესა. ამ მცირე ხანს, საცა გუთანს არ გაველო, გაიარა, საცა ბარი არ მოხვედროდა, მოხვდა, საცა ვაზი არ იყო, ვაზით გაიესო, საცა წისქვილი არ იყო, გაკეთდა. მრავალი გავაკეთე, გავამშვენიერე: ყოველივე აყვავდა. ყმას შეუქმნებულდა ერთი ნახევრად სამსახური და მადლობელნი არიან ჩემი გლეხ-კაცები. შრომა არ მიფუჭდება, ბუნება უხვად მეწვევა; ამიტომ გლეხ-

კაცი მუშაობს გულმონდომებით, სიტკბოებთა, ერთგულად. ჩემი შემოსავალი გავრცელდა, და ამ შემოსავალსა, სარწმუნო ბრძანდებოდეთ, ქალაქში არ წავაგებ, ანუ არ გავაბნევ სათამაშო ნივთზე...

„დილით ადრე ვსტუმრებ, ვიგემებთ და ვძლებით საკვირველის ბუნების მშვენიერებით. დღეს საქმეს ვაკეთებთ, საღამოს ხან ფეხით, ხან ცხენებზე, ხან ფეტონით ვსეირნობთ, ღამე ვსტუმრებთ ცის საკვირველებას. შევხარით, გვიკვირს და ვადიდებთ ღმერთსა. სტუმარი არ გვაკლია. ხშირად, თითქმის ყოველ ღამე, თქვენი ვაჟივარდული, შევექცევით იარალაშსა, ხან ნარდსა, ხან ასონანსსა, ხან წიგნებსა ვკითხულობთ. თქვენ ქალაქში მხოლოდ იარალაშს თამაშობთ, წიგნების კითხვის ხალისი-კი ღმერთს არ მოუცია თქვენთვის. სხვა რითი-ღა მოგწონს ქალაქი...“

ეს წერილი, ჩვენის ფიქრით, ლავ. არდაზიანის მსოფლმხედველობის გაგებისათვის ნამდვილი გასაღებია. ავტორის სიმპათიები, უდავოდ, რაინდიძისაა, რომელმაც თავის მამაპაპურ სახლს მიატანა, აღადგინა, რომელიც მისი პატივისმცემელია. მაგრამ ცოლიცა და ქმარიც ძველებურად ფეოდალებსავეთ-კი არ არიან მუქთახორები, გამფლანგველნი, არაფრის გააქეთნი! არა. ისინი თვითონ ჩაებნენ უშუალოდ საქმიანობაში, თავიანთ მეურნეობას რაციონალურად (რასაკვირველია, ალექსანდრეს მისწრაფებანი და მისი შეხედულებანი. ვფიქრობთ, თვით ავტორის ფიქრებია და შეხედულებანი) აწესრიგებენ: „სადაც გუთანს არ გაეულო, გაიარა, საცა ბარი არ მოხვედრია, მოხვდა, საცა ვაზი არ იყო, ვაზით გაივსო, საცა წისქვილი არ იყო, გაკეთდა“, გაამშვენიერა მამული. „ყმასაც შეუმსუბუქდა ნახევრად სამსახური და მადლობელი არიან გლეხკაცები“. ამიტომ გლეხკაცი მუშაობს „გულმოდინებით, სიტკბოებით, ერთგულად“. ესეც ავტორის აზრია. ავტორიც მომხრეა ყმის მდგომარეობის შემსუბუქებისა, მისი მახინჯი მხარეების შერბილებისა, მაგრამ ბატონყმობის, როგორც ინსტიტუტის, მოსპობისა ის სრულიად არ არის მომხრე.

ავტორის ტენდენცია აქეთკენაა, რომ კაპიტალისტური ცხოვრების განვითარებასთან (რომელმაც ბურჟუაზია — ფულიანი ხალხი წარმოშვა და ქალაქად დააბინავა) ერთად, ძველიც არსებითად დარჩეს, რასაკვირველია, ახალი დროის მოთხოვნილებებთან შეგუებული და შეთანხმებული, შევავლოთ და შევაქსოვოთ მათი ინტერესი ერთიერთმანეთს. ამ პირობებში თავადაზნაურობასაც შეუძლია კვლავ თავისი თავი იპოვოს, საზოგადოებრივი როლი არ დაკარგოს. ამისათვის მან უნდა თავის მამულს სოფლად მიხედოს და ახლებურად დაამუშაოს, — აი სურვილი ლავ. არდაზიანისა.

ლავ. არდაზიანის მსოფლმხედველობა ამას ვერ გასცილდა. ცხოვრების ნამდვილი ვითარება მან სისწორით ვერ გაიგო, მას ძველის გადაახალისება, შექცევა-შეღამაზება

ი დ ე ა ლ ა დ მ ი ა ჩ ნ დ ა ბ უ რ უ ს ი ა ნ მ ო მ ა ვ ა ლ შ ი . რომ ასეთს მსოფლმხედველობას ლავ. არდაზიანი ვერ გასცილდა, ამის დამამტკიცებელია საერთოდ მისი შემოქმედება და კერძოდ მისი მეორე ორიგინალური მოთხრობა „მ ო რ ჩ ი ლ ი“.

ამ მოთხრობაში ლავრენტი არდაზიანის ლიბერალური თავდა-  
აზნაურული ფსიქოიდეოლოგია უფრო ზომიერ პოზიციებზეა გა-  
დანაცვლებული. მთავარი მოქმედი პირის ალექსანდრას სახით ავ-  
ტორი აღიარებს ახალთაობისაგან მორჩილებას მშობლებისადმი —  
ძველი თაობისადმი: „თქვენი ნებაა, — უპასუხებს ალექსანდრა სრუ-  
ლი მორჩილებით, თუშეცა გულმტკიცნეულად, მშობლებს, როცა მათ  
უნდათ ის მიათხოვონ შეუფერებელ კაცს, თავად თეიმურაზს, —  
თქვენი წინააღმდეგი არ შემოძლიან და ვერ გავბედავ ურჩობით  
გაწყენინოთ... როგორც მიბრძანებთ, ისე მოვიქცევი, სრული თქვე-  
ნი ნება გახლდეთ“. ასეთი მორჩილება და ავტორის უფრო ზომიერ  
პოზიციებზე გადასვლა, შესაძლებელია, გამოწვეული იყოს სწო-  
რედ ამ პერიოდში (რომანი „მორჩილი“ დაიბეჭდა 1863 წელს  
ჟურნ. „ცისკარში“) მამათა და შვილთა შორის ატეხილი დავით.  
თუშეცა ისიც კი უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრა ოჯახურ ურ-  
თიერთობაში ახალი შეხედულების მომთხოვნია. „ქმარი ვერ უბრ-  
ძანებს ცოლსა, — ეუბნება ალექსანდრა თეიმურაზს, — მხოლოდ  
სთხოვს, ცოლიც მოვალეა აღასრულოს გონაური და სასარგებლო  
თხოვნა ქმრისა, სწორედ ისე, როგორც ქმარმა უნდა აღასრულოს  
გონიერი და სასარგებლო თხოვნა ცოლისა“.

ალექსანდრა არა მარტო თავის მიმართ თხოულობს უფლებებს,  
არამედ ის თავის მოსამსახურეებსაც ამ მიმართულებით ავითარებს.  
ის აღამიანურად ექცევა თავის მოსამსახურე მარიკოს, ზრუნავს  
მასზე. „ალექსანდრამ, გადმოგვცემს ავტორი, მარიკოს ასწავლა  
ზრდილობა, როგორც იტყვიან, სიტყვა-პასუხი, საქმე: კერვა, ქსო-  
ვა, გამოკრა, უთო... ნამეტნავად ალექსანდრა ცდილობდა ჩაეგო-  
ნებინა, რომ ქალი არ არის დაბადებული, როგორც საშუალება და-  
საკმაყოფილებლად ვაჟის გულის თქმისა და რომ ქალი და ვაჟი  
ღირსებით და პატივით თანასწორნი არიან, და, მაშასადამე,  
ქალმა არ უნდა დაიმციროს თავისი თავი იქამდის, რომ ვაჟს საშუა-  
ლებად მიაჩნდეს იგი, როგორც მიაჩნიათ თათრებსა“.

რა თქმა უნდა, ალექსანდრას ეს ლიბერალური აზრები თვით  
ავტორისაა.

მიუხედავად იმისა, რომ რომანი „მორჩილი“ მხატვრობის  
თვალსაზრისით შედარებით „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილთან“

არ არის ნაბიჯი წინ, ეს რომანი მაინც საგულისხმოა და ახალი ხაზები შეაქვეს არა მარტო ლავ. არდაზიანის შემოქმედებაში, არამედ იმ პერიოდის ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

„მორჩილში“ მოცემულია მთელი გაღერეა დარღვეული ფეოდალური წოდების ცხოვრებაში წარმოშობილი სახეებისა: კონსტანტინე, მარიამი, თეიმურაზი, ლიფსიმე, გორჯასპი, ესტატე, მიხაკო და სხვა. აგრეთვე საინტერესოა ყმა-გლეხთა სახეებიც — როსტომი, განსაკუთრებით კი გოჩუნა. მართალია, ეს სახეები ვერ აღწს ტიპიურობაჰდის, მაგრამ ცოცხალ ხაზებს კი იძლევა, განსაკუთრებით ზოგიერთი: თ ე ი მ უ რ ა ზ ი — ფლიდი, გაჩინოვნიკების გზაზე დამდგარი პრივილეგიური კლასის წარმომადგენელია, რომელიც ეკონომიურად ნიადაგმორღვევის შემდეგ ნაკლები წინააღმდეგობის გზით წავიდა. ის შეუბრალებელია (გოჩუნასა და თავის დისადმი მოპყრობა), ის ფლიდია, უვცი; ჩინებესა და ორღენების ძიებაში სინიდისსა და საღ ადამიანურ გრძნობას კარგავს. ნათლად ნაჩვენებია, თუ დარღვეული კლასის წარმომადგენელში როგორ აიშლება მგლური გრძნობა და ადამიანისადმი მგლური დამოკიდებულება. თეიმურაზი წინამორბეღია ჩანჩურას შვილებისა და სხვათა ამ გვართა.

საგულისხმოა მაჰანკალ ლ ი ფ ს ი მ ე ს სახეც, რომელიც მორალური განუტრეელობით ხასიათღება და მზადაა იცრუოს, შეურაცხყოფაც კი მიიღოს, ისე დაირჩინოს თავი, ოღონდ კი ნუ იმუშავებს. ლიფსიმე პარალელური სახეა იღია ჭავჭავაძის სუტკენინასი („კაცია-ადამიანი?!“)89. ყურადღებას იპყრობს სხვათა შორის გ ო რ ჯ ა ს პ ი ც, რომელიც ყოველივე სიკეთისადმი სხვაში გაურკვეველი და მასთან დაუძღვეველი შურიტა და მტრობით არის აღჭურვილი. აგრეთვე აღსანიშნავია ღარიბი აზნაურის ოჯახიდან გამოსული მ ი ხ ა კ ო, განათლებული, სათნო, პატიოსანი მუშაკი, ახალი ცხოვრების მოთხოვნიღებათა ალღოს ამღები, სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობით ყველასადმი, ყმისადმიც.

მიუხედავად იმისა, რომ ლავ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი არ არის დიდი ყალიბის მწერალი, მაინც მისი დამსახურება ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში საგრძნობია. მან მშვენივრად დაგვანახა ახალი საწყისები. მართალია, ზოგიერთი მოვლენის სწორი მიმართუღება მან ვერ გაიგო, მაგრამ დანახვით ის მკითხველს მაინც მკვეთრად აჩვენებს (განსაკუთრებით რომანში „სოლომონ ისაკიჩ მეჭღანუაშვილი“). ლავ. არდაზიანში, როგორც რეალისტ მწერალში, სინამღვიღე თავი-

89 „მორჩილი“ და „კაცია-ადამიანი?!“ დაიბეღდა პარალელურად 1863 წელს. ჩანს ცხოვრების სინამღვიღეში მაჰანკალის სახე ცოცხლად იყო გავრცელებული.



სი სისწორით აისახა. მისმა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილმა“ უშუალოდით გადაშალა ჩვენი ცხოვრების სინამდვილის ფურცლები და, შესაძლებელია, მწერლის სურვილების წინააღმდეგაც-კი, ასახა რეალური ცხოვრების ნამდვილი მიმართულება. ფეოდალური კლასის დიდი გავლენის ქვეშ მყოფმა მწერალმა გადაშალა ახლად ფეხმოკიდებული ვაჭრის ამოძრავებული ყოფა და ცხოვრების ასპარეზზე კაპიტალიზაციის განვითარებით გამართული ჭიდილი. ამიტომ ალლოიანი მკითხველი თავისათ ადვილად შესძლებს რომანში ასახული მოვლენის სწორ გაგებასა და შეფასებასაც ადვილად მისცემს, როგორც ეს, მაგალითად, სტ. ჭრელაშვილმა და სხვამ შესძლეს.

ამას გარდა, ლავ. არდაზიანმა გ. ერისთავთან, გრ. რჩეული-შვილთან და „ცისკრის“ სხვა თანამშრომლებთან ერთად ხელი შეუწყო ქართველი მკითხველის ფართო წრის შექმნასა და ქართულ ლიტერატურაში ახალი ქართული ენის, კერძოდ, პროზაული ენის განმტკიცებას. მართალია, ლავ. არდაზიანის შემოქმედების ლექსიკაში ბევრია უსწორ-მასწორო სიტყვა, გამოთქმა, უხვადაა რუსიციზმები, მისი შემოქმედების მთლიან მხატვრულ სტილსაც დახვეწა აკლია, მაგრამ ეს უფრო ეპოქის, იმ რღვევის პროცესის ბეჭედი, რომელიც ასე მკვეთრად ახახეს როგორც გ. ერისთავმა, ისე ლავ. არდაზიანმა.

ლავ. არდაზიანმა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილით“ ხელი შეუწყო სოციალური რომანის, როგორც ეპოქის შესაფერი ქანრის, პოპულარიზაციას.

## დანიელ ჰონქაძე

(1830—1860)

დანიელ ჰონქაძე ჩვენი 60-იანი წლების ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრების კარებში დგას. მართალია, დან. ჰონქაძე გ. ერისთავის მიერ ქართულ ლიტერატურაში დაწყებული რეალისტური მიმართულების გამგრძელებელია, მაგრამ ის როგორც გ. ერისთავისაგან, ისე ლავრენტი არდაზიანისაგან და სხვა წინამორბედი თანამედროვე მწერლებისაგან, „ცისკრის“ გარშემო რომ იყვნენ შემოკრებილნი, არსებითად განსხვავდებოდა როგორც მსოფლმხედველობით, ისე თემის გაგებისა და გაშლის თვალსაზრისით.

დანიელ ჰონქაძე მესაიდუმლეა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ფენის — ბატონყმობის უღელქვეშ მგმინავი გლეხკაცობისა, რომელიც კაპიტალიზმის თანდათანობითი განვითარების გამო უფრო მწვავედ განიცდიდა ბატონყმობის მარწუხებს და ხშირად, მოთმინებიდან გამოსული, შურს იძიებდა. დან. ჰონქაძის შემოქმედებას, მის წინამორბედ-თანამედროვეთა შემოქმედების წინააღმდეგ, სწორედ ამ რევოლუციურად განწყობილი გლეხკაცობის სულსკვეთებაში აქვს თავისი დასაწყისი. აქედან კრებს ის მასალასაც და ძალასაც. „სურამის ციხე“, — წერს ფ. მახარაძე, — ერთ და იმავე დროს აშკარა პროტესტიც არის ამ საზარელი და ადამიანის ღირსების შემარცხენელი წესწყობილების წინააღმდეგ და მისი ზოგიერთი მხარის ცოცხალი და ნამდვილი სურათიც“<sup>1</sup>.

1859 წელი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში გარდატეხის ხანაა. უურნალ „ცისკრის“ თვალის გადავლება და ავტორწმუნებს, რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ტალღისცემა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში და აზროვნებაში თან-

<sup>1</sup> ფ. მახარაძე — „დანიელ ჰონქაძე და მისი დრო“.

დათან ძლიერდება. ეს, უდავოდ, იმის მაჩვენებელია, რომ ამ დროისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური ნიადაგი ახალი იდეების მისაღებად თანდათან ხელსაყრელი ხდება.

რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში, როგორც ვიცით, ყირიმის კატასტროფის შემდეგ, 1856 წლიდან იწყება 60-იანი წლები — ეს თავისებური sturm und drange periode რუსეთის ისტორიაში, საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურის განვითარებაში და ეს ხომ, როგორც რუსული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი, ძველი მსოფლმხედველობის ყირამალა დაყენების ხანაა.

მთავარი, მწვავე ცენტრალური საკითხი, რომელიც ამ დროს რუსეთის ინტელექტუალური ყურადღებასა და ენერჯიას იზიდავდა, ბატონყმობის, ყმის განთავისუფლების საკითხი იყო. ამ დროს, როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეს მოეკიდა ბატონყმობის საკითხის ძალა. ყმის განთავისუფლების საკითხი თითქოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ცის ტატნობზედაც გამოჩნდა და ტყვიისფერი მძიმე ღრუბლებით გრავნიდა მას<sup>2</sup>.

თითქოს ამ საკითხის მწვავედ დასმის მოლოდინითაა გამოწვეული ალ. ორბელიანის 1859 წლის „ცისკარის“ მეთერთმეტე №-ში მოთავსებული სტატია: „უწინდელ დროს ბატონყმობა საქართველოში“. აი, სხვათა შორის, ალ. ორბელიანი ხსენებულ წერილში რას ამბობს: „უწინდელ დროში, გარეშე კაცი იმას ეძებდა, მებატონე ვიშოვნო და იმას შეეგებინო. ამისათვის რომ მებატონე თავის ყმასა შეილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისათვის... ყმა — განაგრძობს ძველის უპირატესობის ამლიარებელი ალ. ორბელიანი, — თავის მებატონესთან თამამად მივიდოდა, ყოველს საქმეს დაუფერებით, უმკრთალოდ მოახსენებდა და როგორც ამხანაგი, ისე გაუფრძელებდა ლაპარაკს, მაგრამ დიახ პატივისცემით... ყმა მებატონეს, — განაგრძობს ალ. ორბელიანი — მამასავით უყურებდა, მამასავით შიში ჰქონდა, მამასავით პატივს სცემდა და ყოველთვის გაფრთხილებული იყო არა ვაწყენინო რაო. ერთგულება რაღა უნდა ითქვას ყმებისაგან ბატონებისა. ასეთი მაგალითები მომხდარა, რომ მებატონის ერთგულებისათვის სახლეულობით მსხვერპლად შეეწირებოდა მებატონეს. ვინცობაა თუ ობლები ანუ ობოლი დარჩებოდა და უფროსი პატრონი არ ეყოლებოდა,

<sup>2</sup> ბატონყმობის საკითხის დასმის სურვილს მოლაყბესაც ვამჩნევთ 1858 წ. „ცისკარში“, მაგრამ მეტად გაუბედავად, იმდენად, რამდენადაც ამ საკითხს თვით მთავრობა სვამდა.

მაშინ ვებატონე კაცებს დაუყენებდა და იმათი პატრონობით თვითონაც ყურს უკვებდა დიდის ყურადღებით, თუ სახლში არ გამოიყვანდნენ მოსამაზაურედ, და თუ გამოიყვანდნენ იმას, ხომ შვილსავით აღზრდიდნენ თავის შვილებთან ერთად, თუმცა მოსამაზაურედ, მაგრამ გრძნობით და სულით თავისუფლად<sup>3</sup>.

ალ. ორბელიანის ეს წერილი მეტად საგულისხმოა. ეს პირველი დარაზმული გამოლაშქრებაა „მამებისა“, რომელთაც იგრძნეს ეკონომიური კეთილდღეობის მძლავრი შერყევა, „შვილების“ წინააღმდეგ ძველი მსოფლმხედველობისა — ახლის გასაბათილებლად. ალ. ორბელიანის ეს წერილი მკვეთრი და აშკარა გამოხატულებაა იმ ბატონყმური შეხედულებისა, რომელიც საუკუნეებით გამოქუშავდა საქართველოს ცხოვრების სინამდვილეში და გლეხკაცი მონად, ბატონის საკუთრებად გადააქცია. ალ. ორბელიანის მიერ გამოთქმული ეს აზრი — აზრია მთელი თაობისა, მკვეთრი გამოხატველი იმისა, თუ რამდენად გარდუვალი იყო წოდებრივი კედელი და ის ურყევი რწმენა, რომ ბატონყმობის ინსტიტუტი აუცალებელი ბურჯია სახელმწიფოს ბედნიერებისათვის. ბატონყმობით ამართული კედლის ერთს მხარეს თავადაზნაურნი, ყოველივე უფლებებით აღჭურვილნი, კმაყოფილნი თავიანთი ვარემოებით, კედლის მეორე მხარეს გლეხკაცთა, ყველა უფლებაყრილთა გზინვასა და ტანჯვას ვერც ხედავდნენ და ვერცა გრძნობდნენ.

ალ. ორბელიანი ვერ ამჩნევს, ან არ უნდა შეამჩნიოს, რომ ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში აშკარად შესამჩნევია ძველი ედოლოგიის მომხრეთა შიში ეკონომიური კმაყოფილებისა და ძალაუფლების დაკარგვის შესაძლებლობით გამოწვეული. ალ. ორბელიანის სახით ძველი პრივილეგიური კლასი, ახალი დროის მოწოლით შეშინებული, ცდილობს დაასაბუთოს თავისი პრივილეგიისა და ძველი ცხოვრების ფორმების მიზანშეწონილობა.

ბატონყმობისათვის დიდ ღირსებად და სასიკადულოდ ალ. ორბელიანის მიაჩნია, რომ ყმას მებატონეებთან პირდაპირ მისვლა შეეძლო, საქმის გარემოება ეთქვა, თუნდაც ყმის მხრით „პატივისცემით“.

ალ. ორბელიანი ვერ ამჩნევს, ან არ უნდა შეამჩნიოს, რომ ასეთი „პუმანიური“ მოპყრობა ყმისადმი ბატონის განწყობილებაზე იყო მხოლოდ დამოკიდებული. თუ ბატონი „კარგს გუნებაზე“ იქნებოდა, შეიძლებოდა მას მოესმინა ყმისთვის, თუ არა და მას ახლოც არ მიუშვებდა. „დაუფარავად“ ყმის მხრივდაც თავ-

3 ალ. ორბელიანი, უწინდელ დროს ბატონყმობა საქართველოში, „ცისკარი“, 1859 წ., № 11.

ვისი გარემოების მოხსენება, როდესაც ეს გარკვეულ უფლებაზე კა არ იყო დამოკიდებული, არამედ ბატონის ხასიათზე, განწყობილებაზე, რასაკვირველია, რაღაც შეუსაბამოა. ეს ხომ მეტად ანორმალური და შეუძლებელიც იქნებოდა. ალ. ორბელიანს ბატონყმობის ინსტიტუტის ურყეობა და ბატონის ფსიქოლოგია იმდენად მკლავრად აქვს შესისხლბორცებული, რომ ყმის შიშში და ძალით ქედის მოხრაში ის ხედავს ყმის მიერ ბატონის „მამასავით“ სიყვარულს, შიშის ქონას, როგორც „მამის წინაშე“. მას არ შეუძლია გაიგოს, რომ დამონებულისაგან დამმონებლისადმი „მამასავით“ სიყვარული და „მამასავით შიში“ შეუძლებელია. მას არ შეუძლია გაიგოს, რატომ იყო გლეხკაცი ყოველთვის გაფრთხილებული — ბატონს „არა ვაწყენინო-რაო“. ალ. ორბელიანს ვერ გაუგია, რომ ყმის ერთგულება ბატონისადმი შეუძლებელია; რომ ნასუფრალით საზრდოობა, მოსამსახურეობა ობოლი ყმისა ბატონის სახლში, მას შვილსავით თავისუფლად ვერ აღზრდიდა; რომ ასეთი მდგომარეობა პიროვნების დამცირება იყო, მისი თავმოყვარეობის შელახვა, მისი ნიჭის შებოჭვა, ჩაკვლა, მისთვის უარყოფითი მიმართულების მიცემა.

თუ ასეთი აზრისა და შეხედულებისა იყო საუკეთესო და ლიბერალური განწყობილების მატარებელი ალ. ორბელიანი, რაღაც მოეკითხებოდა ანდუყაფარებს, ამირინდოებს, პაველებს და სხვა-თა?!..

ამავე 1859 წელს ეურნალ „ცისკრის“ შემდეგ ნომერში, თითქოს როგორც პროტესტი არაოფიციალური ცხოვრებისა და აზროვნების მხრით, დაიბეჭდა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ პირველი ნაწილი, ხოლო მისი მეორე ნაწილი — 1860 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში.

დან. ჭონქაძის „სურამის ციხე“ მძლავრი ნასროლი ყუმბარა იყო წყვედიადით მოცულ, უდიდეს ნაწილზე მცირე ნაწილის გაბატონების, ძალმომრეობის, ცხოვრების დაგუბების დროს. „სურამის ციხე“ მკვეთრი გადახსნა იყო ხალხის დამონებული ნაწილის ცხოვრებისა და უტყუარი, შეუფერავი გამოაშკარავება იმ საშინელებისა, ბოროტებისა, დამცირებისა, შეურაცხყოფისა, რომელსაც ვანიცდიდა ეს, მართლაცდა, „შვილსავით“ საზრუნავი გლეხი, ეს მასაზრდოებელი ძალა ბატონყმობისა და სახელმწიფოსი, ეს დამცველი და შემნახველი სახელმწიფოსი და ბატონის ცხოვრების მთლიანობისა და უზრუნველყოფისა.

„სურამის ციხეში“ მოურიდებლად არის ასახული ბატონის ფსიქოლოგიის გარყვნილება, დაცემა, უაზრო და დამლუპველი აღვირახსნილი თვითნებობა, დაუდევრობა, ყმის სიცოცხლის დაუფა-

სებლობა. „სურამის ციხეში“ გამოყვანილი გალერეა ბატონებისა და გლეხებისა ცოცხალი სინამდვილიდან ამოღებული ტიპებია. ავტორს უდავოდ ეხერხება ცხოვრებიდან ამოგლეჯა ცოცხალი ტიპური მოვლენისა, ცოცხალი სახის შექმნა. მკითხველის წინაშე ცოცხლად იშლებიან დან. ჭონქაძის მოთხრობის მოქმედი პირობები: იქნება ეს თავადი წერეთელი, რომელიც თავის შვილიშვილს, დურმიშხანს, მიტომ რომ ის მის შვილს გლეხკაცის გოგოსთან კავშირის დაჭერით მიეცა, გამოაჩუქებს; იქნება ეს თავადი წერეთლის შვილი, რომელიც მამის ასეთი საქციელის შემდეგ სანადიროდ წავა გასართობად და არ აგონდება არც შვილი და არც საბრალო შინაყმის ქალი, მისი შვილის დედა, რომლის წინაშე ის არაერთაზრ პასუხისმგებლობას არ გრძნობს; იქნება ეს ნოდარის ბატონი ბილწი და ვნებიანი, თვითნებობით სავსე, ნოდარის მამის ოჯახს რომ დაანგრევს, თუ ნატუას სიცოცხლეს რომ შეიწირავს; თუ იქნება ეს უპატრონო, შეგინებული და განადგურებული დურმიშხანის დედა, ან თვით დურმიშხანი მთელი უბედურების ქარცეცხლ თავგადაყრილი; ან ნოდარი და მისი და, დედა, რომელთაც ბატონმა ყველაფერი ვერაგულად გამოგლიჯა. ნოდარი და მისი დედა დიდხანს იბრძოდნენ, დიდხანს ცდილობდნენ ბატონის სახლში საზრუნავი პირუტყვის მდგომარეობა მაინც ნოეპოეებინათ. ამ მიზანსაც ვერ აღწევდნენ და, რწმუნდებოდნენ რა ამის შეუძლებლობაშია ცოცხალი, სწყვეტდნენ კავშირს ამ ძალღუთმადურ ცხოვრებასთან, მართალია, ისინი მსხვერპლად ეწირებოდნენ ამ უკანასკნელ გაბრძობლებას, ცხოვრების სურვილით გამოწვეულს, მაგრამ სხვა გზა რომ არ დარჩენოდათ?! ამგვარი სახეებით სავსეა მოთხრობა.

სახეების შექმნის თვალსაზრისით, როგორც აღვნიშნეთ, დან. ჭონქაძე, უსათუოდ, ძლიერია. განსაკუთრებით მხედველობაში ვლუბულობთ იმ გარემოებას, რომ ქართული პროზა იმ დროს ახლად იყო აღორძინებული.

დან. ჭონქაძის „სურამის ციხეში“ პირველად აშკარად და დაურიდებლივ აღვნიშნულია, რომ ბატონის შეუბრალებელი, გარყვნილი გული და ხორცი გლეხს ისე უყურებდა, როგორც უბრალო ნივთს, რომელიც გაჩენილია მხოლოდ მისი გუნებისა და ჟინის დასაკმაყოფილებლად. ბატონი თავისი უმსგავსი და უადამიანო მოქცევით ურევს საწყალ გლეხკაცს ცხოვრების გზა-კვალს, არ აძლევს მას საშუალებას დამშვიდებულად იცხოვროს და ხრას ერთი ლუკმა პური. დან. ჭონქაძის „სურამის ციხეში“ ბატონსა და ყმას შორის „მამაშვილური“, კეთილი განწყობილება-კი არ არის, არამედ დაუნდობელი დამოკიდებულებაა, რასაც ყმა ბატონის მიმართ ხშირად შეუთრეებელ, რევოლუციურ ბრძოლამდის მიჰყავს. სიმპათიები ავტორისა მთლიანად ყმის მხარეზეა.

ვინ არის ოსმან-აღას (ნოდარის) უგზო-უკვლოდ ხეტიალი-სა და ბოროტმოქმედების ჩადენის მიზეზი? რასაკვირველია, მისი ბატონი, რომელმაც არ აკმარა მას მთელი რიგი უკაცური საქციელისა: აღარ მოუსვენა, თვით მის გულშიც მოინდომა თავისი ჭუჭყიანი ხელით ფათური; ის ბატონი, რომელმაც მამის სიკვდილის შემდეგ უპატრონოდ დარჩენილ ქვრივსა და ობლებს სახლი სრულებით გაუნადგურა. „ბატონმა, — უამბობს ოსმან-აღა თავის თავგადსაველიდან დურნიშხანს, — ჯერ წავგვართვა ვენახი, იმიტომ, რომ ვითომაც აღარ შეგვეძლო მოვლა, მერე თითო თითოდ ხარ-კამეჩი და უკანასკნელად უბრძანა დედაჩემს რო გადასახლებულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედა-ჩემი, უნდა გვენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს. ღმერთო, რა გვარად არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა. „იტირებს, იტირებს და დაყუჩდებო“, — აი აზრი მებატონეთა; იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ არ გვაქვს გული, არ შეგვიძლიან გასჯა!

— „დედა-შვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შეილებს, შენი ღვთის გულისათვის დამანებე თავი, დამანებე თავი, — ეხვეწებოდა დედა ჩემი; — რა მოსამსახურე უნდა ვიყო მე თქვენი ბატონური ცნობრებისა, არ ვიცი. ჩემი შეილები აქედან უფრო გემსახურებიან. რასაც მოვიყვანთ, სულ შენ მოგართმევთ. ჩვენ ნაცარს აფეშრუჯავთ და იმას ვჭამთ. ოღონდ ნუ მოგვიშლით ოჯახს. საწყალი ჩემო შეილებო. — და იმან მიგვიკრა გულზე იმგვარად, თითქოს, ის იყო, გვდებდნენ სამარეში“.

აი სინამდვილეში როგორ და რაში იხატებოდა ბატონის „მამავილური ზრუნვა“ გლეხკაცსა და მის ცოლ-შვილზე და, მართლაც, განა ოჯახში შიმშილი, სიკვდილიც არ ერჩივნათ იმ აუტანელი ჯალათური ტანჯვის მოთმენას, რომელიც ოხერ ქვრივსა და მის ობლებს გადახდათ გულქვა ბატონის სახლში. განა შეილების სამარეში ჩადება უფრო ძნელი იყო, ვიდრე გადატანა იმ უადამიანო დაჩაგვრისა, დამცირობისა და გაწბილებისა, რომელიც ბატონის სახლში მისი უსაზღვრო და უმსგავსო თვითნებობით გადახდათ მათ თავს?

ბატონი ხშირად დედის ხვეწნას და მუდარას, ძუძოდან საყვარელი ერთადერთი ნუგეშის შვილის აგლეჯით და გაყიდვით გამოწვეულს, ანგარიშს არ უწევდა. აი როგორ აუწერს ოსმან-აღა დურნიშხანს, როცა ბატონმა მის დედას გამოუცხადა მისი ქალვადის გაყიდვის შესახებ. „დედაჩემი... მხოლოდ შებარბაცდა ცოტად, მე დამიჭირა თავი და გულზე მიმიკრა. ხელებზე შევატყვე,

რომ ჰქონდა ცივი ყინულივით და უკანკალებდნენ. შემდგომ რამოდენიმე წუთისა დედაჩემი დაემხო მიწაზე, დაუწყო ხვეწნა ბატონისე, როგორც შეუძლიან შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოდ ართმევენ შვილსა. ბატონმა უბრძანა ბიჭებს, რომ გაეგდოთ ის კარში“...

და განა მარტო ზალიკას (ნოდარის მამის სახელია) უპატრონოდ დარჩენილი ოჯახია ასე უწყალოდ, სულ უბრალოდ გაცამტვერებული და შეგინებული?! განა ასეთსავე უფლებააყრილ, გაწბილებულ მდგომარეობაში არ არიან ღურმიშხანი და მისი უხეშად და შეუბრალებლად გათელილი დედა, რომელსაც ყველაფერი, ყოველი ადამიანური უფლება, თავდაუტყველი ცხოვრება, ნამუსი და ბოლოს ერთადერთი ნუგეში — უბედურებითა და შეჩვენებით შექმნილი შვილიც კი წაართვეს? „საწყალი დედაჩემი, — მოუთხოვს ღურმიშხანი გულსივარდს, უნდა გენახა, რანაირად იკლაგდა თავს... მთელი ქვეყანა ზედ დაედო, მაგრამ ვერ დააყენეს“... ღურმიშხანი-კი შემოუსვენეს უკან მუხრან-ბატონის ბიჭს და გამოატანეს ქართლში: „რა გამოვცადე შემდეგ ამისა, — გულნაკლული, ნარეკლიანი, დამცირების გზაგამოვლილი ღურმიშხანი ეუბნება გულსივარდს. — შენ ვერ წარმოიდგენ... და რა არ გამოვცადე: შიმშილი, წყურვილი, სიცივე, ცემა, დაცინება და სხვა ბევრი ამისთანა... ბევრჯერ მიგზია ღმერთი ჩემი გაჩენისათვის, ბევრჯერ მიტირნია მწარე ცრემლითა. მაგრამ, ვინ იყო ჩემი ნუგეშის მცემელი. არავინ...“ და ბოლოს დაწ. ჭონქაძე სრულიად სამართლიანად და ბოლმამოწოლილი დასძენს: „ისიც ისე გამოიზარდა, როგორაც ეხლა იზრდებიან იმის მსგავსი უპატრონო ბიჭები, რომელთა ცხოვრებას სრულებით არავინ დასდევს“.

მამასადამე, ღურმიშხანის, ნოდარის (შემდეგ ოსმან-აღას), მათი დედებისა და დის ხვედრი — ეს თითქმის ჩვეულებრივი ხვედრი ყოფილა ყმისა. მძიმე ოდისეია ნოდარისა და ღურმიშხანისა, ვარდოსი და ნატოსი და სხვა მოქმედ პირთა, საერთო ყოფილა ყმისათვის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში: ნოდარი და მის გარშემო შემოკრებილი მსხვერპლნი — ქართლში; ღურმიშხანი და მისი დედა — იმერეთში. ამით, ალბათ, ავტორს უნდოდა დაეხატა ბატონყმობის ბოროტებისა და ძალმომრეობის საერთო ხასიათი მთელს საქართველოში.

„სურამის ციხე“ გაბედული პასუხი იყო ალ. ორბელიანის წერილზე. დაწ. ჭონქაძემ თავისი მოთხრობით მკითხველს ცოცხლად დაანახა, თუ სინამდვილეში როგორი „სათამამით“ მიდიოდა ყმა თავის ბატონთან, როგორ „დაუფერებით, უმკრთალად მოახსენ-



ნება“ და როგორი „ამხანაგური“ განწყობილებით გაუგრძელდება და ლაპარაკს!.. „სურამის ციხე“ მკვერმეტყველურად ღალატდება, რომ ბატონსა და ყმას არაფერი არ აერთებდა. მათ შორის ხიდი იყო ჩატეხილი. და თუ ბატონური მდგომარეობით დაბეცებული, გონება და გრძნობადაჩლუნგებული ბატონი, მიუხედავად საშინელი უაღაპრო ტანჯვისა და შეურაცხყოფის მიყენებთა ყმისადმი, შემდეგ ყმამი მიანიც „ერთგულებას“ ეძებდა (როგორც ნოდარის ბატონი), ეს ხომ ბატონის ზნეობითა და გონებით დაკემას, ბატონყმობის გამანადგურებელი ტრადიციებით დაბრმავებას მოწმობდა და არა ნამდვილ, საღ ურთიერთობას ბატონსა და ყმას შორის, როგორც ამის დამტკიცება უნდოდათ „მამებს“ ალ. ოზბელიანის პირით.

ამის პასუხსაც გვაძლევს დან. ჰონქაძე „სურამის ციხეში“. „გავიდა სამი წელიწადი ჩემი მოყვანის შემდეგ, — მოუთხრობს ნოდარი დურმიშხანს. — ბატონიც შემირიგდა, ვგონებ იმიტომ, რომ ჰპოვა ჩემში სასარგებლო ნივთი. და რა უნდა მოგახსენოთ: ეძებდა ჩემში ერთგულებას და დარწმუნებულიც იყო, რომ მე ვიყავი იმისი ერთგული. ხა, ხა, ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუტკლა უღელში. საკვირველნი არიან, შენმა გაზრდამ, მაგვარნი კაცნი!“.

ბატონმა ნოდარს მიყენებული დამცირება, შეურაცხყოფა, გაწბილება არ აკმარა. როდესაც სიცოცხლემოწყურებულ ნოდარს უნდა საშინელი ტყვილები დაიყუჩოს პირადი ბედნიერების მოპოვებით, ბატონისა და ქალბატონის ხელში ისეთსავე გაწბილებული უპატრონო ნატოს სიყვარულითა და მისი ცოლად შერთვით, ბატონი აქაც გადაეღობება მას. აი როგორ გადაგვიშლის ამ მომენტს ავტორი:

კარგი ხანი რომ გამოვიდა ჩვენი შეყვარებისა — მოუთხრობს ნოდარი (ოსმან-ალა) დურმიშხანს, — ერთხელ მოვახლე დრო და ვთხოვე ბატონს ჭვარისწერის ნება.

— რას მიჰქარავე, ბიჭო, ჭვარის დაწერა კი არა, მამა-გიცხონდა.

— შენი ჰირიმე ბატონო.

— ვიზე უნდა დაიწერო ჭვარი?

— იმას არა ვთხოვ, — შენი ჰირიმე, — ქალბატონის გოგოზე.

— ქალბატონის გოგოზე!

— დიახ.

— დიახ, — გამაჩაქრა ბატონმა, — დიახ, თითქო არ იყენენ სხვა გოგოები, რომ შინაური არ მოძებნო.

— რა ვქნა შენი ჰირიმე, ეს მომეწონა და.

— რაო? მოგეწონა! მომეწონა, თითქო ბატონიშვილი იყო! სხვა კი არა მოგეწონარა, მამა გიცხონდა?

— ბატონო...

— წალი, დაიკარგე, არ შეიძლება. მოსამსახურეს შინიდან არ გაუშვებ და არც შენ მოკცემ ნებას. შინ მინდიხარ.

აი ცოცხალი სურათი ბატონის დამოკიდებულებისა ყმისადმი, მისი თვითნებობისა. მაგრამ ბატონმა ნოდარს ესეც არ აკმარა.

ბატონი საშინელი უპატიოსნო, არაადამიანური საქციელით ნოდარს ამ ბედნიერებისა და ადამიანური განცდის მიღების საშუალებასაც მოუსპობს. ის საშინელი ვერაგობით შეიწირავს ნატოს სიცოცხლესაც. მაშინ ნოდარიც საშინელი გზით იძიებს შურს: მოკლავს ბატონს, ზედ დააკლავს მის ცოლსა და შვილს. „მე არ მეპოდა, — ეუბნება ოსმან-ალა ღურმიშხანს, — იმათი ხვეწნა. სისხლისაგან გაგიეებულმა მე დავაკალ დედა შვილსა. გაბრაზებული სისხლისაგან გამოვვარდი კარში, შევჯექი ცხენზე და გამოვიქეცი. საღამოზე დამეწივა მღევარი და, რასაკვირველია, არა თუ იმათგანმა დამიჭირა ვინმემ და მოინდომა მოკვლა, არამედ თითონვე მასწავლეს, რომ გადავვარდნილიყავი ახალციხისაკენ“.

აქედან აშკარაა ავტორის აზრი, რომ ნოდარი მარტო არ იყო ასეთს მდგომარეობაში და ასეთი სულისკვეთებით. ნოდარმა შესძლო ასეთს ცხოვრებასთან კავშირი გაეწყვიტა. ბატონის ბინძურმა ხელმა ნოდარს ამ ცხოვრებასთან შემაერთებელი ყველა ძაფი შეაწყვიტა. და მანაც „თავზე ხელალებულმა“ საშინელი შურისძიების აფექტში გაბედა ასეთი ნაბიჯის გადადგმა და „ცხრა წთას იქით გადავარდნა“. სხვები ვერ ახერხებდნენ ამ ძალღუმადურ ცხოვრებასთან კავშირის გაწყვეტას, თუმცა მათი თანაგრძნობა ნოდარს მხარეს არის.

წოდებრივი სხვადასხვაობა მწვავე და აუკვე შეგრძნობილი, შეუერივებელი ბრძოლა უკვე დაწყებულია. „სურამის ციხე“ აშკარად გვაგრძნობინებს, რომ ბრძოლა ბატონსა და ყმას შორის გაიშალა და ძველ, ძალმომრეობის ფორმებს წალეკავს.

დან. კონქაძის „სურამის ციხე“ პირველი და მძლავრი პროტესტი იყო ბატონყმობის, როგორც მიუღებელი ინსტიტუტის, წინააღმდეგ. „სურამის ციხე“ პირველი გაბედული გამოწვევა იყო უფლებაპოსილი ბატონებისადმი უფლებააყრილი ღუმცროსი ძმის მიერ.

„სურამის ციხემ“ საშინლად ააღელვა თვითკმაყოფილების ბურანში მყოფი ჩვენი ბრწყინვალე წოდება. ისეთი ლიბერალური სულიერი განწყობილების თავადიცი, როგორიც იყო ალ. ორბელიანი, ვერ იკავებს თავს და ასე ეხმაურება კონქაძის „სურამის ციხეს“: „იმან (ე. ი. დან. კონქაძემ. — მ. ზ.) — წერს

აღ. ორბელიანი, — რომ ის თავისი თხზულება გამოასცა, თვალყურის დევნა დაუწყეთ — ვინ რას იტყოდა.. არავის არა უთქვამს რა, გარდა ორისა, ამისათვის, რომ პირდაპირ იმათზე იყო მიმართული ის თხზულება და იმათი სახელიც გამოყვანილი. ამისთანა თხზულებაში პირდაპირ დაწერილი იმ პირებზე, რა გაზდილობას იტყვიან... აქ მხოლოდ ორ პირს ეწყინებთ... ცოტა ქვევით აღ. ორბელიანი განაგრძობს: „იყო მართალია ერთი საცოდაობა, საიდუმლო შუბრის სიმსხვერპლე, მაგრამ არა ასე, როგორც აღწერს ჭონქაძე, ცოტა კი მიეგვანება მას... მართალია, ახლანდელი ჩვენი ზოგერთის მებატონეებისაგან ბევრჯელ მომხდარა თავის ყმების ძირიანად აკლება და ჯარიმების წართმევა; მაგრამ ამგვარი საქმეები სრულებით არ მომხდარა, ნამეტნავად იმ პირებისაგან, ვიზედაც ამბობს ჭონქაძე. ამგვარ საქმეებსა ძალიან კარგად გამოკითხვა უნდა და მას უკან შეუდგეს წერას, თუ არა და აჩქარებითა სოფელი არ აშენებულა“<sup>4</sup>.

აღ. ორბელიანის ეს წერილი ჩვენთვის მეტად საგულისხმოა. აქედან ცხადია და უდავოც, რომ „სურამის ციხის“ ავტორი შემოქმედების მასალას რეალური სინამდვილიდან ჰკრეფს. მოთხრობაში ასახულის ანალოგიური, თუნდაც მსგავსი შემთხვევები ჭონქაძის გარშემო მრავლად ყოფილა. მათ აუძულებიათ მწერალი „შევიწროვებულ და შეურაცხყოფილს“ გამოქონაგებოდა.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ სულ სხვა კილოთი, სხვა ფერებით, სულ სხვა სულერი განწყობილებით არის დაწერილი, ვიდრე აღ. ორბელიანის „უწინდელი დროს ბატონყმობა საქართველოში“.

დან. ჭონქაძის „სურამის ციხე“ — წიგნია სისხლითა და ცრემლით დაწერილი იქითა მხარეს ქვეყანაში მცხოვრები, უფლებათაყრილი, მძიმე ტანჯვისა და ძალმომრეობის უღელქვეშ მგმინავი ხალხისა. და ეს წიგნი შეუფერავი სინამდვილის ფერადებით გადმოწერილი ამ ხალხის გულიდან, ხალხის ცრემლსა და ნღველში ამოვლებული კალმით აკინძული, დიდის გამბედაობით და სიყვარულით იმ მხარის ღვიძლმა შვილმა, ქეშმარიტმა, წმინდა წყლის და წარმოშობის „რაზნოჩინეცმა“, დანიელ ჭონქაძემ, მოიტანა<sup>5</sup>.

<sup>4</sup> აღ. ორბელიანი, დან. ჭონქაძის სურამის ციხის შესახებ — ხელნაწერთა ინსტიტუტის S № 1641.

<sup>5</sup> დან. ჭონქაძის მამა იყო დუშეთის რაიონის სოფ. ყვავილის მცხოვრები — დარბი მღვდელი. ჩამომავლობით ყმა-გლეხი. დანიელი მალე დაობლდა. 9 წლამდის ის ცხოვრობდა სოფელში თავის კეთილ და ნიჭიერ დედასთან

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ ნამდვილი პოლიტიკური პაპფლეთი იყო. „სურამის ციხე“ მძლავრი ამონახეთი იყო ხალხის „თავდაუქვრელი“ ცხოვრების ძლიერი სურვილისა. „სურამის ციხემ“ მაშინდელ საზოგადოებაში დიდი სენსაცია გამოიწვია. მან ააღელვა და აამღვრია მაშინდელი ცხოვრების ჭაობი. პრივილეგიურმა კლასმა ასეთი გაბედული პროტესტით შიში იგრძნო; იგი აყაყანდა და კადნიერი მწერლის მიმართ საშინლად აშხედრდა. ამის საბუთია ალ. ორბელიანის წერილიდან მოტანილი ადგილები. ამისავე საბუთია ის, რომ დან. ჭონქაძის სიკვდილს ჟურნალი „ცისკარიც“ კი თითქმის სიჩუმით შეხვდა. მხოლოდ ივანე კერესელიძე „ცისკრის“ 1860 წლის VII ნომერში, როგორც რედაქტორი, ათავსებს სხვა მასალებთან ერთად წერილს „რედაქციისაგან“, თუმცა თანაგრძნობითა და ტკივილებით გამსჭვალულს, მაგრამ მაინც მკიერე ცნობას დანიელ ჭონქაძის სიკვდილის შესახებ.

„ცისკრის“ რედაქციამ, — ვკითხულობთ მასში, — თავისს სამწუხაროდ დაჰკარგა ერთი თავის თანამშრომელთაგანი, რომელიც მიაცემდა ჩვენს ლიტერატურას დიდს იმედს თავის მწერლობით. 16 ივნისს ამ წლისას გარდაიცვალა ოცდაათის წლის ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი დანიელ ჭონქაძე. ვისაც ყურადღებია წაუკითხავს ამ განსვენებულის თხზულება „სურამის ციხე“, ის უეჭველია უკეთ დააფასებს რედაქციის დანაკარგსა. ბევრი კარგის

---

ერთად. ცხრა წლის დანიელი ბიძებს, მღვდლებს, წაუყვანიათ ოსეთში, სადაც ისინი მღვდლად იყვნენ. მათ ჭერ სახლში უსწავლებიათ მისთვის წერა-კითხვა, შემდეგ მიუტიათ კავკაისს (ქ. ორჯონიკიძის) სასულიერო სასწავლებელში, რის დამთავრების შემდეგაც, 1845 წ. გადმოუყვანიათ თბილისის სასულიერო სემინარიაში. სასულიერო სემინარია მას 1851 წ. დაუმთავრებია. იმავე წელს 11 სექტემბერს დანიელი კავკასიის სასულიერო სემინარიაში (ქ. სტავროპოლში) ოსური ენის მასწავლებლად იქნა დანიშნულა (მან ეს ენა ბავშვობიდანვე კარგად შეისწავლა).

აქედან იწყება დან. ჭონქაძის სერიოზული მუშაობა ოსურ ენაზე და ოსურ ხალხურ შემოქმედებაზე, რომელიც სიკვდილამდის გრძელდება. მან აქედანვე დაიწყო ოსურ ენაზე თარგმნა და ლექსიკონის შედგენა. მაგრამ, სამწუხაროდ, დან. ჭონქაძის არქივი საეკსებიო განადგურებულია და ამიტომ მისი კონკრეტული აღწერა და დაფასება შეუძლებელია. 1855 წ. 5 სექტ. დ. ჭონქაძე დანიშნულ იქნა თბილისის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლად. 1858 წ. 1 ოქტომბრიდან ის დანიშნულ იქნა საქართველოს სინოდალურ კანტორაში მავიდის უფროსად, ამასთან ერთად დატოვებული იყო სემინარიაში მასწავლებლის თანამდებობაზე. ჟურნ. „ცისკრის“ 1859 წლის მე-12 და 1860 წლის 1-ლ ჩ-ში დაიბეჭდა მისი მოთხრობა „სურამის ციხე“. გაკვირვებასა და ნაკლებობაში აღზრდილი, ისედაც სუსტი აგებულების პატრონი დანიელ ჭონქაძე, დასნეულდა (ქლექით) და 1860 წელს, 16 ივნისს გარდაიცვალა 30 წლის ახალგაზრდა, ჭერ კიდევ გულ და ნიკვადანუსნელი. დასაფლავებულია ქ. თბილისში ვერის (ძველ) სასაფლაოზე (ახლანდელ კიროვის სახ. ბაღში).

კეთილს განზრახვა ჰქონდა, მაგრამ ყოველივე ჩაუშალა უდროოდ სიკვდილმა. არ არის ეჭვი, რომ დარჩებოდა რამდენიმე თხზულება, რომლისთვისაც ვითხოვთ იმასთან დაახლოვებულთ მეგობართაგან გადმოსცენ რედაქციაში დასაბეჭდავად და ამასთანავე აცნობონ განსვენებულის ცხოვრების აღწერა, რომლითაც დიდად დაგვაღალებენ — რედ. კერესელიძე“. ცნობილია, რომ დან. ჭონქაძის არქივი, მისი სურვილის თანახმად, განადგურებულია.

დან. ჭონქაძის „სურამის ციხე“, გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში საყურადღებოა კიდევ შემდეგი მოვლენების ასახვითაც: დან. ჭონქაძემ უფრო, ვიდრე მისმა წინამორბედმა რეალისტმა მწერლებმა გ. ერისთავმა და ლავ. არდაზიანმა, აშკარად განსჭვრიტა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მიმართულება, რომელიც კაპიტალიზმის, ფულისა და ვაჭრობის ამოძრავებინს გზით მიექანებოდა. თუ გ. ერისთავისა და ლავრენტი არდაზიანის შემოქმედებაში ახალი ფენის, ჩარჩ-ვაჭრის წარმომადგენელი გაქართველებული სოფებია, დან. ჭონქაძის შემოქმედებაში ფულისა და ვაჭრობის გემო უკვე ხალხის დაბალ ფენებამდის დადის. თვით გლეხკაცობა ფულსა და ვაჭრობაში ხედავს ბატონყმობისაგან განთავისუფლებიან და „თავდაუკვრელი“ ცხოვრების საწინდარს: „არა, — ცხოვრების მწარე გამოცდილების მცოდნე ღურმიშხანი ეუბნება ვარდოს, — სანამ ჩვენ იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რომ სხვის თავდაუკვრელად ვიცხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება, განთავისუფლება არ არის“. შეწუხებულ ვარდოს კითხვაზე: „მაშ რა უნდა ვქნათ“, ღურმიშხანი ურყევად უჩვენებს გზას: „შენ არაფერი, შენ შენს ქალბატონთან უნდა იყო, მე კი, მე უნდა წავიდე, ვიმუშაო... წავალ, ვიშოვი ფულს, გავმდიდრდები და ისე მოვალ შენთან. ოჰ, რა ტკბილად გაკოცებ მაშინ, ჩემო სიცოცხლე“...

აი სწორედ ეს ფულია, რომლითაც უნდა მოიკლას ღურმიშხანმა სიცოცხლის ის წყურვილი, რომელიც მასში ასეა დაგუბებული. სწორედ ეს წყურვილი ცხოვრებისა, თავდაუკვრელი, თავისუფალი ცხოვრებისა და რწმენა, რომ ამის მოპოვება შეიძლება მხოლოდ ფულის შემწეობით, ასე გაამრუდებს ღურმიშხანის ცხოვრების გზას. ფული მას შეიპყრობს, დაიმონავებს. ფული მისთვის კერპია, რომლის წინაშე მან გაანადგურა ვარდოს დიდი სიყვარული, ოსმან-ალასადში ადამიანური დამოკიდებულების გრძნობა. „არა, — გადმოგვეცემს ღურმიშხანის განცდებს ავტორი, — იმას არ უყვარდა არც ეხლანდელი თავისი დანიშნული, არც გულისვარდი და არც ოსმან-ალა, ღირსი სიყვარულისა იმ კეთილისათვის, რომელიც უყო მან ღურმიშხანს. იმას უყვარდა მხოლოდ სიმდიდრე და თა-

ვისი პატივი. და იმათ მოპოვებას შესწირა გულის ყოველივე კეთილი გრძნობა. რად უნდა იმას სიყვარული, როდესაც აუსრულდება თავისი ოცნება, ის იქნება მდიდარი, პატივცემული და დამოუკიდებელი, რა ფასითა ყიდულობდა ამ სიკეთესა, იმას არა ჰქონდა საჭიროება გამოკითხვის“.

დან. ჭონქაძეს კარგადა აქვს გაგებული კაპიტალიზებულ ცხოვრების მიმართულება, ფულის ძალა ახალ ცხოვრებაში, ახალი ფენის — ფულის წყალობით „კარგად გამხდარი“ ბურჟუაზიის ბუნება. დამცირებიდან, გაჭირვებიდან, შიმშილ-სიტიტვისგან ფულის წყალობით თავდაღწეული ბურჟუა გრძნობს ფულის ყოვლად შემძლებელს ძალას და მზადაა მისთვის ყველაფერი გასწიროს. ღურმიშხანი თვით ოჯახსაც-კი იმდენად აფასებს, რამდენადაც ეს საშუალებას მისცემს მას ცხოვრების ასპარეზზე იგრძნოს თავისი თავი „კაცად“. „ბედნიერი“ შემთხვევა ღურმიშხანს ოსმან-დას (რომელიც აგრეთვე ვაჭრობით გამდიდრდა) შეახვედრებს. მისი შემწეობით ღურმიშხანი სავაჭრო ოპერაციებს მართო საქართველოში, აი არ აწარმოებს, არამედ საქართველოს გარეთაც. სტამბოლი მან უკვე თითქმის თავის ქვეყნად გაიხადა. მთელი მისი ოცნება ფულის მოგების გარშემო ტრიალებს, რათა ცხოვრების სარბიელზე დამოუკიდებელი მდგომარეობა შეიქმნას. შვილსაც სწორედ ამისათვის ანათვლინებს თავად აბაშიძეს. საინტერესოა მისი ოცნება შვილის მომავალზე: „ღურმიშხანი დაფიქრდა და წარმოიდგინა, როგორ გაზრდიდა შვილს. აი ხედავს, ის ზის ცხენზე და ახლავს თავის ნათლიას. დიდ ნეიდანზე გდია დიდი ქვა და იმაზე დგას ვერცხლის თასი. აი გამოაჭენა ერთმა თავადის შვილმა ცხენი, წამოიგდო თოფი, ესროლა თასს, მაგრამ ააცდინა; აი მოდის მეორე, ოი, მანაც ვერ მოარტყა, აი იმის ნათლიამ გამოაჭროლა ცხენი, სტყორცნა თოფი და ვერ მოარტყა.

„აქ მოაჭენა ცხენი იმისმა შვილმა. კოხტად გადმოიგდო თოფი, ესროლა და გადააგდო თასი. კითხულობენ: ვინ არის ეს ყმაწვილი? თითონ მეფე იკითხავს იმის დედმამას და გამოჩნდება, რომ ის არის ღურმიშხან წამალაძის შვილი. რა ბედნიერი იქნება მაშინ ღურმიშხანი! ან აი მისი შვილი, ჯერ ჰაბუკი, შედგა ბერათ, შეხეთ რა მშვენიერი ანგელოზივით სახე აქვს, ყური დაუგდეთ რა მშვენიერი ტყბილი ხმით კითხულობს მარხვანს, შეხეთ ამ კითხულობაზე, როგორ გასწირეს თავსული მლოცველთა, ხოლო აქა-იქ ისმის ბებრების ქვით-ქვითი. აი ერთხელ მისი ნათლია შეხვდება კათოლიკოზს და თავის ნათლულის კითხვას აქებს იმასთან. აი შენიშნა კათოლიკოზმა, წაიყვანა თავისთან აკურთხა ილუმენად, არხიმანდრიტად და ეპისკოპოზად. აი ღურმიშხანის შვილი — ეპისკო-

პოზი, ზის ცხენზე და წინ მიუძღვის დროშას, და მოჰყავს საეკლესიო ჯარი ბატონის მისაშველებლად. ვინ არის ეს ეპისკოპოზი. ღურმინიშან სოვდაგრის შვილი. აი, რა ბედნიერი იქნება მაშინ ღურმინიშანი. ან ვინ იცის იქნება კათოლიკოზიც გახდეს. ოი, მაშინ-კი ღურმინიშანი აღარ დაუკრავდა თავსა არც ერთს თავადს“.

აი ღურმინიშანის მისწრაფებანი. ამიტომ ყველაფერი და ფული ღურმინიშანს უმთავრესად იმისათვის უნდა, რომ ეს ტანჯვამწუხარებაში გამოტანილი და ბოლმა-შურისძიებაში გალესილი თავდაუკვრელი ცხოვრების წყურვილი დაიკმაყოფილოს, აღარ დაუკრას თავი არც ერთს თავადს. ესაა მისი irlee fixe და ეს იყო დამახასიათებელი იმ ზღვა გლეხობისა, რომელიც ბატონყმობის უღელქვეშ ვეღარ იტანდა „კაცობის გულის დუღილს“, სიტყვას თავის გულშივე კლავდა და მონობის ბორკილის აწყვეტას ლამობდა.

დან. ჭონქაძის გაგებით, განთავისუფლებული გლეხი დაუყოვნებლივ ეძებს დამოუკიდებელ მდგომარეობას, გლეხი უნდა გადაიქცეს დამოუკიდებელ ფერმერად, დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს ბატონყმური ნაშთები, ეს კი იმ დროს, დან. ჭონქაძის გაგებით, შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ვაჭრობით. აქეთკენ მიდიან ღურმინიშანიც და ნოდარიც.

შემდეგი მოვლენა, რომელსაც დან. ჭონქაძე ჩვენს ლიტურატურაში პირველად შეეხო, ესაა ცრუმორწმუნეობა და მისი უარყოფითი გავლენა. პირველად დან. ჭონქაძემ აღიმაღლა ხმა წინააღმდეგ მკითხაობისა, ცრუმორწმუნეობისა, რომელიც ხალხის გაუნათლებლობის, მისი ჩამორჩენილობის, უილაჯობის გამო ისედაც დაბეჩავებულს და ეკონომიურად შევიწროებულს აბეჩავებდა და ავიწროვებდა. დან. ჭონქაძე, მკითხაობის სიყალბეს რომ ხაზი გაუსვას, გადმოგვეცემს, რომ თვით მკითხავიც კი (ახალგაზრდა) ვეღარ იტანს ამოდენა სიყალბეს, სიცრუეს: „რა არის, — ამბობს ახალგაზრდა მკითხავი, — ბევრჯერ ისე შევწუხდები ზოლმე. რომ არ ვიცი, რა გქნა... ადამიანი მოდის, მარჯალი საჭიროება აქვს, ტირის, გუხვეწება, გაფიცებს, რომ მართალი უთხრა და შენ უნდა დაუწყო ემმაკმა იცის რა“. როდესაც მასთან, როგორც უკანასკნელ საშუალებასთან, იმედგაცრუებული და მოტყუებული ვარდუა მიდის და სთხოვს ასწავლოს ისეთი რამ, რომ ღურმინიშანს სამაგიერო გადაუხადოს, ეს ახალგაზრდა თავისი სინიდისის ქენჯნას უფროს მკითხავს ასე გაუმყლავნებს: „თუმცა მომდიოდა ტირილი, მაგრამ მაინც კიდევ გაუშალე ქერი და უთხარი, რომ გორისჯვარი და არბოს წმინდა გიორგი ელოცნა და ისინი დასჯიდნენ იმის ორგულს“. უფროსი მკითხავი კი უკმაყოფილებით

უბნება: „ცოტა შორს უნდა გაგეგზავნა, უნდა გეტქო სპარს-ან-გელოზი, ან ლომისა ან ლაშარის ჭვარი, ისე, რომ ასრულება გაძნელებულიყო“.

ან თვით ვარდუას მკითხაობა ჰურამის ციხის აგებისა და ზურაბის ჩატანების შესახებ განა თვალსაჩინო სიყალბეზე არ არის აშენებული.

ცხადია, დან. ჭონქაძეს მკითხაობის სიყალბისა და მავნებლობის გამოაშკარავებით ჩვენს ლიტერატურაში შემოაქვეს ახალი თემა და მანერა ამ თემის გაშლისა. ეს თემა — ხ ა ლ ხ ის უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ჩ ვ ე უ ლ ე ბ ე ბ ის კ რ ი ტ ი კ ა, მ ა თ ი უ ა რ ყ ო ფ ი თ ი გ ა ვ ლ ე ნ ის გ ა მ ო მ ე ღ ა ვ ე ბ ა, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში შემდეგში ხალხოსანმა მწერლებმა ხალხის ცხოვრების გაჯანსაღების მიზნით დიდის გულისყურით განავითარეს. ამ მხრივ დან. ჭონქაძე ჩვენ ხალხოსანთა მოღვაწეობის სათავეის დამდებია.

შემდეგი საგულისხმო გარემოება დან. ჭონქაძის შემოქმედების ენაა. 50-იანი წლების დასასრულს, როდესაც დანიელ ჭონქაძის „ჰურამის ციხე“ იბეჭდება „ცისკარში“, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას მძლავრად აწვება ახალი ეკონომიური ფაქტორის — კაპიტალის განვითარება და ლამობს მის ყოველმხრივ გარდაქმნას.

ახალმა დრომ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში შეიტანა არა მარტო ახალი იდეები, ახალი თემები, არამედ ახალი ლიტერატურული რეალები, ახალი ჟანრები: საყოფაცხოვრებო კომედია, სოციალური მოთხრობა, ახალი ენა (სასაუბრო დაბალი ფენების ენა).

50-იან წლებში „მამათა“ და „შვილთა“ გაყრის დასაწყისშივე ენის გარშემო ბრძოლა ერთ უმწვავეს მოვლენად გადაიქცა. „მამათა“ ბანაკი ეპოტიწება, ებლაუჭება და მტყვიანულად იცავს არა მარტო თავისი ძველი ცხოვრების ჩვეულებებს, არამედ თავის ენასაც (თავის ჟარგონს). აი რა საინტერესო ამბავს ვკითხულობთ ჟურნალ „ცისკარის“ 1860 წლის მე-6 №-ში: „ქართული ენის თვისება, — წერს ალ. ორბელიანი, — სამათ გაიყოფება: პირველი — ზღაპრით წერილად ანუ ეკლესიურად, მეორე — დარბაისელთა უბნობად და მესამე — გლეხკაცობის ენად. ახლა თუ ჩემზე მოაგდებთ და ამომარჩევინებთ, მე საშუალო ენას ამოვირჩევ, დარბაისელთ ენას, ამისთვის რომ უფროსთ უწინვე საერო წიგნები დარბაისელთ ენაზე უწერიათ და იმათის ენითვე ულაპარაკნიათ: ვითარცა „რუსს უდანიანი“, „ვისრამიანი“, „დავრიშიანი“. „სიბრძნე სიერე“, „ყარამანიანი“, სხვანი და სხვანი და ბოლოს ვიტყვი „ვეფხვის ტყაოსანი“. ჩვენი საშუალო



ანუ დარბაისელთ ენა, ასეთი უნაკლო ენა არის, რომ დიად ადვილად შეიძლება, რომ ესე, რაც უნდა მაღალი საგანი იყოს, იმაზედაც კარგად გამოვა ყოველი ქართული სიტყვიერება. მართლაც, ჩვენს საშუალო ქართულ ენას, როგორც გნებავთ, ისე მიმოხრით, ისე მიმოაქცევთ და გამოთქმას ხომ რა ლბილად გაიგონებს ყური, მეტი საამო იყოს სმენისათვის, მაშინ, როდესაც რომ გლეხკაცების ენაზედ ეს არ შეიძლება. მართალია, გლეხკაცების ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადვილი გასაგონი, მაგრამ მაღალი საგანი რომ ვერ გამოვა რიგიანად, არა ყურის საამოდ, რადგან მოშვებული ენა არის გლეხების ლაპარაკი. ჩემის აზრით, მაშ ისევ სჯობია იმგვარი ქართული ენა დაიდოს, რომ ყოველს საგანში საუცხოვო იყოს და ყოველს ფერში მოსახმარებელი“. ასე ამტკიცებს ალ. ორბელიანი და მასთან „მამათა“ მთელი ბანაკი დარბაისელთ ენის უპირატესობასა და აუცილებლობას.

ენის საკითხი 50—60-იან წლებში საბაბი გახდა ორ, ძველსა და ახალ მსოფლმხედველობას შორის ატეხილი ბრძოლისა. საზოგადოებრივ ფენათა ბრძოლაში ლიტერატურა, მიუხედავად ძველი თაობის სასტიკი წინააღმდეგობისა, მაინც ფეოდალთა სასახლიდან მასების ქონში გადანაცვლებას ლამობს. ლიტერატურაში იჭრება მასების ენა. ამ მოვლენის პირველი მკვეთრი და აშკარა გამამკლავნებელი ჩვენს ოფიციალურ ლიტერატურაში გ. ე რ ი ს თ ა ვ ი ა თ ა ვისი მიმდევრებით.

ამ ახალ ენას მოაქვს იმ დროის ოფიციალურ ლიტერატურაში როგორც მისთვის უცნობი, ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა, ისე ახალი იდეები, ახალი მისწრაფებანი, მთელი ახალი, უფრო რთული მსოფლმხედველობა.

მეტად საგულისხმოა, რომ დანიელ ჭონქაძე ლიტერატურის ამ მიმართულებით ახალი გზის გაკაფვაშიც, შეიძლება ითქვას, პირდაპირ რევოლუციური გზით მიდის, მან სალიტერატურო ენად ხალხური, ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა გადააქცია<sup>6</sup>.

აღნიშნული ძირითადი ცნობები დან. ჭონქაძის შემოქმედების შესახებ აშკარად მოწმობს, რომ მისი „სურამის ციხე“ იმდროინდელი ოფიციალური წრეებისათვის ახალი და მასთან ერთად მიუღებელი იყო როგორც თემის, იდეურობის თვალსაზრისით, ისე ჩვეულებრივი სასაუბრო ენის ლიტერატურაში შემოტანით.

დან. ჭონქაძემ „სურამის ციხის“ შინაარსის ფაქტიური მასალა ცხოვრების სინამდვილიდან აიღო. ამას ალ. ორბელიანის წერი-

6 იხ. მიხ. ზანდუკელის რედაქციით 1932 წ. გამოცემული დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ წინასიტყვაობა.

ლიც „დართულს დართული“ ადასტურებს. მაგრამ რათა სიმწვავე, განრისხება პრივილეგიური საზოგადოებისა და ცენზორის კლანჭები აეცდინა ნაწარმოებისათვის, მან ის ძველი ლეგენდის ქსელში ჩააქსოვა.

„სურამის ციხის“ მსგავსი ლეგენდა ძველიდგანვეა ცნობილი. მისი სიუჟეტი მოხეტიალე სიუჟეტებს ეკუთვნის. ანალოგიური ლეგენდა ცნობილია: რუსეთში, ოსეთში, ვალახიაში და სხვაგან.

საქართველოში „სურამის ციხის“ ლეგენდა ასეთია:

„დავით აღმაშენებელი (ზოგ ლეგენდაში ვახტანგ გორგასალი იხსენიება) აშენებს მტრის წინააღმდეგ სიმაგრეებს, სხვათა შორის სურამის ციხესაც. მასზე მრავალი ხალხი მუშაობს. სურამის ციხის კედლები რამდენჯერაც ამოიყვანეს, იმდენჯერვე დაინგრა. ამ გარემოებამ მეფე ძალიან დაალონა. მეფემ მრჩევლად ბრძენნი მიიწვია. ბრძენთა ხანგრძლივი რჩევა უშედეგოდ დარჩა. იმათ მეფეს ვერაფერი ვერ ურჩიეს. მეფეს მოახსენეს: „არის ერთი არაბი ბრძენი, რომლის მისნობის ნიჰს ხალხი განცვიფრებაში მოჰყავს“-ო. ურჩიეს მეფეს მისი მოწვევა. მეფემ ის დაიბარა. არაბმა უთხრა: „ეგ ციხე მაშინ აშენდება, თუ მაგ ციხეს კედელში დედისერთა ვაჟს ჩაატან“-ო. მეფე ამ გარემოებამ უფრო დაალონა. ამისთანა საქმის ჩადენა მას უმძიმდა, დანაღვლიანდა და მოიწყინა. ხალხმა მეფეს გუნების ასეთი გაუარესების მიზეზი მოსთხოვა. როდესაც ხალხმა მეფის დამწუხრების მიზეზი გაიგო, ერთი ახალგაზრდა, დედისერთა ვაჟიშვილი ზურაბი გამოვიდა და სთხოვა მეფეს ის ჩაეტანებინა სურამის ციხის კედელში. მეფე არ დათანხმდა, სანამდის ვაჟკაცის დედას არ შეეკითხა. როცა დედას ეს ამბავი უთხრეს, ისიც, რაკი ქვეყნის ბედი ამას მოითხოვდა, თანახმა გახდა. დაიწყეს ხელახლა კედლის აშენება, ზურაბი ჩაატანეს. როდესაც კედლის აშენება დაწყებულია და ზურაბი კედელში თანდათან იმალება, გამოჩნდება ბრძენი არაბი, მივა, სადაც ჭაბუკს ატანენ და ოსტატებს ასე მიმართავს: „დაანგრიეთ ეს კედელი“. გაკვირვებულმა ოსტატებმა უთხრეს: „შენ თვითონ არ ურჩიე მეფეს?“ არაბმა უთხრა: „ამისთანა შვილების მყოფელ ქვეყანას ციხეები არა სჭირდებაო“. დაანგრეს კედელი, გაანთავისუფლეს ზურაბი. მეფემ ზურაბი დაასაჩუქრა“.

ცხადია, დან. ჭონქაძე გარკვეულმა პირობებმა აიძულა შეეცვალა აღნიშნული ლეგენდა.

ამრიგად, გ. ერისთავის, ლავ. არდაზიანისა და დან. ჭონქაძის შემოქმედება, შესაძლებელია მხატვრული რეალიზმის თვალსაზრისით სათანადოდ ვერ არის დახვეწილი. შესაძლებელია ამ მწერლებმა რეალისტური მიმართულების მთლიანი ჩამოყალიბება ჩვენს ლიტერატურაში ვერ მოგვეცეს, მაგრამ სამაგიეროდ პირველი და

სასტიკი ბრძოლები რომანტიკულ-სანტიმენტალურ მიმართულებასთან მათ გადაიტანეს, შეეხნენ საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს და გზა გაუკაფეს შემდეგი წლების მწერლობას. ე. წ. თერგდალეულ მწერალთა შემოქმედებაში მოცემულია ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ის ძირითადი სხვაობანი, რომელნიც 60—80-იან წლებში სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების განვითარებასთან ერთად უფრო მკაფიოდ გამომჟღავნდნენ. ამ წლების ლიტერატურის შესწავლაზე შემდეგი თავიდან გადავალთ.

**რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისა და  
ლიბერალური ძირითადი მიმართულებანი  
60—70-იან წლებში**

60-იანი წლებისათვის ქართველი ხალხის ეკონომიურ-სოციალური და პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრება საგრძნობლად მჭიდროდ უკავშირდება რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას. ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიის მოვლენების სწორი შეფასებისათვის აუცილებელი ხდება რუსეთის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ძირითადი მოვლენების გათვალისწინება. ამიტომ სასარგებლოდ და საჭიროდაც მიგვაჩნია რუსული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ძირითადი მიმართულების წამყვანი ხაზების მოცემა, რასაც წინამდებარე თავში ვეცდებით.

რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიაში 60-იანი წლები საზოგადოებრივი ძალების დიდი დაჭიმვისა და შემოქმედების, რღვევისა და ნგრევის, ახლის ძიებისა და შენების პერიოდია. ეს ხანა რადიკალური ზღვარია ახალსა და ძველს შორის. ეს მძლავრი გარდატეხის, გაყრის მომენტია ძველისა და ახალი რუსეთისა. ეს ხანაა ძველი, ბატონყმური რუსეთის პატრიარქალურ ბჭეთა ნგრევისა, ამ ნიადაგზე ახალი სოციალური გადაჯგუფებისა, განახლებული რუსეთის არა მხოლოდ ლიბერალური, არამედ დემოკრატიული იდეების მტკიცე საფუძვლების ჩაყრისა. ეს ხანაა მძლავრი ქროლვისა, რომელიც ძლიერდება მით, რომ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმარჯვებს ეკონომიური ცხოვრების ახალი ფაქტორი — კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი. კაპიტალიზმი ლამობს თავისი ბუნების კანონების მიხედვით ცხოვრების საერთო გარდაქმნას. ამ დროიდან თანდათან უფრო მეტის შესაძლებლობითა და ძლიერებით იკიდებს ფეხს განმათავისუფლებელი იდეები და ადამიანური ცხოვრების დამყარებისა და მოპოვების თესლი. ამავე კა-

პიტალიზაციის ნიადაგზე ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების სწრაფი რღვევა და ჩნდება ახალი სოციალური დაჯგუფებანი. ეს ის ხანაა, როდესაც რუსეთის მოწინავე საზოგადოება, წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების გამოძახატველი, ირაზმება, გარკვეული სახის მიღებასა ცდილობს და მთავრობისა და ბურჟუაზიული მმართველობის საწინააღმდეგოდ მტკიცე პოზიციას იჭერს „ხალხის“ სასარგებლოდ.

60-იანი წლები ერთგვარი დაჯამებაა როგორც რუსეთის ცხოვრების ახალი ეკონომიური განვითარებისა, ისე ამ მოვლენაზე აღმოცენებული რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში 60-იანი წლები საზღვარია, საიდანაც რუსეთის საზოგადოება გამოდის განახლებული კულტურული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების გზაზე და დიდის მსხვერპლის გაღებით ამ ნარეკლიანი გზით სიარულს იწყებს, გატაცებული იმ იმედით, რომ ამ ქვეყნად, აქ, მიწაზე, ბედნიერებას დაამყარებს.

რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აზროვნებაშიც 60-იან წლებს, ჩვეულებრივ, იწყებენ 1856 წლიდან, ყირიმის ომიდან და აგრძელებენ 1866—1868 წლებამდე (ალექსანდრე II მოკვლის განზრახვით 1866 წელს კარაკოვოვის ცნობილი გასროლის შემდეგ გამოწვეული რეაქციის დაწყებამდე).

რუსეთის 60-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნება ორ პერიოდად იყოფა. პირველ პერიოდში რუს საზოგადოებას რეფორმების გატარების მოლოდინში საერთო გატაცება ეტყობა. თვით მთავრობაც ყირიმის ომში კატასტროფული დამარცხებისა და ამ პერიოდში გლეხთა უამრავი აჯანყების ზეგავლენით იძულებულია დათმობაზე წავიდეს. ისიც ლიბერალურადაა განწყობილი და რეფორმების დამუშავებაშია ჩაბმული. ამ პერიოდში გლეხთა განთავისუფლების პათოსი უღენტავს რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მთლიან ატმოსფეროს. საზოგადოება ამ დროს მთავრობას ნდობით უყურებს. თვით ემიგრანტი ა. გერცენიც-კი გაიტაცა ამ ნდობის ტალღამ. მან თავის „Колокол“-ში მეფეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მეფევ, მიეცი თავისუფლება რუსულ სიტყვას; ჩვენი გონება შებოჭვილია; ჩვენს აზრს ფრთის გაშლა არ შეუძლია და შხამავს ჩვენს გულს, ეს აზრი ცენზორის ბორკილებში კენესის. მოგვეცი უფლება თავისუფალი მსჯელობისა... ჩვენ ბევრი რამა გვაქვს სათქმელი კაცობრიობისადმი. მიეცი გლეხკაცობას მიწა. ეს მიწა გლეხებს ისედაც ეკუთვნით. მოჰბანე რუსეთს დამცირების

ლაქა — ბატონყმობა; მოურჩინე ჩვენს ძმებს ზურგზე წყლული —  
ეს საშინელი კვალი ადამიანისადმი სიძულვილისა“\*.

60-იანი წლების ორი შინაპერიოდის ზღვრად 1861 წელი ითვ-  
ლება.

1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტი, მიუხედავად მისი კულ-  
მოკვეცილობისა და სინამდვილის მოთხოვნილებებთან შეუფარ-  
დებლობისა, უდიდესი მომენტია რუსეთის ისტორიაში. ამ დღეს  
მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი მონობის ბჭენი ჩამო-  
იშვა. ამ დღეს 60 მილიონი რუსი გლეხკაცი ადამიანად იქნა ცნო-  
ბილი. იგი ახლა (იურიდიულად მაინც) ბატონყმობის მონობისაგან  
განთავისუფლდა და აღარ წარმოადგენდა სხვის სრულ კუთვნილე-  
ბას. გამარჯვებაც სწორედ ეს იყო.

მაგრამ გლეხკაცის განთავისუფლების პირობებმა რუსეთის  
მოწინავე ინტელიგენციის, როგორც წვრილბურჟუაზიული ფენე-  
ბის ინტერესების გამომხატველის, აღფრთოვანებას მალე ფრთები  
შეაკვეცა. ყმის უმიწოდ განთავისუფლებამ ვერ იხსნა ის ვერც  
მონობისაგან და ვერც სიღატაკისაგან. რუსეთის საზოგადოების  
მოწინავე ნაწილი მალე რწმუნდება, რომ რეფორმით გლეხკაცობა  
მოტყუებული დარჩა. პრივილეგიურმა კლასებმა რეფორმით ბეგ-  
რი არაფერი დაკარგეს.

რეფორმის შემდეგ გლეხის მძიმე, აუტანელი მდგომარეობა  
მაინც გრძელდებოდა (ხანდახან გამწვავებულ სახეებშიც). გლეხი  
ვერ სარგებლობდა იურიდიული უფლებებით, ვინაიდან სიღარიბე  
და კულტურული ჩამორჩენილობა მას პირდაპირ ანადგურებდა,  
სულს უხუთავდა, გასაქანს არ აძლევდა. ამ გარემოებამ გამოიწვია  
რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის მიერ მოწოდება  
„სოფლისაყენ“. ამით აიხსნება, რომ „განთავისუფლების“ გამოცხა-  
დების პერიოდში, 1861—1863 წწ. გლეხთა 2.000-მდე აჯანყებას  
ჰქონდა ადგილი.

რუსეთის კაპიტალისტური განვითარების მიმართულება 60-  
იანი წლებისათვის ყველასათვის, თვით პრივილეგიური კლასისა-  
თვისაც, უკვე ცხადი და უდავო შეიქნა. ახლა დაიწყო ბრძოლა იმის  
გარშემო, თუ რა გზით უნდა მოხდეს ამ მიმართულებით სიარული.  
ვ. ლენინი ამ საკითხის მეტად მახვილ და სწორ გადაწყვეტას  
იძლევა, როდესაც ის აყენებს დებულებას რუსეთის კაპიტალისტურ-  
ი განვითარების ორი გზის — პ რ უ ს ი უ ლ ი ს ა და ა მ ე რ ი კ უ-  
ლ ი ს — და მათ ტენდენციებს შორის ისტორიული ბრძოლის გა-  
მომჟღავნების შესახებ.

\* Ветринский, Литерат. и крит. движения 60-х годов, История  
русской литературы 19 в., т. 3, М., 1909.

„ბრძოლის მთავარი საგანია ბატონყმური ლატიფუნდიები, როგორც ბატონყმური ნაშთების ყველაზე თვალსაჩინო განსახიერება და უმკვიდრესი დასაყრდენი რუსეთში. სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის განვითარება აბსოლუტური აუცილებლობით ბოლოს უღებს ამ ნაშთებს. ამ მხრივ რუსეთის წინაშე ბურჟუაზიული განვითარების მხოლოდ ერთი გზაა — კაპიტალისტური განვითარება.

მაგრამ ამ განვითარების ფორმები შეიძლება ორგვარი იყოს. ბატონყმური ნაშთების აღმოფხვრა შეიძლება მემამულურ მეურნეობათა გარდაქმნის გზითაც და მემამულური ლატიფუნდიების მოსპობის გზითაც, ე. ი. რეფორმის გზითაც და რევოლუციის გზითაც. ბურჟუაზიული განვითარება შეიძლება მიმდინარეობდეს მსხვილ მემამულურ მეურნეობათა მეთაურობით, რომლებიც თანდათანობით სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიული ხდებიან, ექსპლოატაციის ბატონყმურ წესებს თანდათან ბურჟუაზიულით ცვლიან, — ის შეიძლება აგრეთვე მიმდინარეობდეს წვრილ გლეხურ მეურნეობათა მეთაურობით, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზმიდან რევოლუციური გზით ამოაგდებენ ბატონყმური ლატიფუნდიების „ხორცმეტს“ და შემდეგ თავისუფლად ვითარდებიან ულატიფუნდიებოდ — კაპიტალისტური ფერმერობის გზით. ობიექტურად შესაძლებელი ბურჟუაზიული განვითარების ამ ორ გზას ჩვენ ვუწოდებდით პრუსიული და ამერიკული ტიპის გზებს. პირველ შემთხვევაში ბატონყმური მემამულური მეურნეობა ნელა გადაიზრდება ბურჟუაზიულ, იუნკრულ მეურნეობად და გლეხებს ათეული წლებით უმწვავეს ექსპლოატაციასა და კაბალას განუზღაბდებს, ამასთანავე გამოჰყოფს „გროსბაუერების“ („მსხვილი გლეხების“) პატარა უმცირესობას. მეორე შემთხვევაში მემამულური მეურნეობა ან არ არსებობს, ანდა მას ანადგურებს რევოლუცია, რომელიც ფეოდალური მამულების კონფისკაციას ახდენს და აქუცმაცებს მათ. ამ შემთხვევაში ჭარბობს გლეხი, იგი მიწათმოქმედების ვანსაკუთრებული აგენტი ხდება და კაპიტალისტურ ფერმერად გადაქცევის გზას ადგება. პირველ შემთხვევაში ევოლუციის მთავარ შინაარსს წარმოადგენს ბატონყმობის გადაზრდა კაბალად და კაპიტალისტურ ექსპლოატაციად ფეოდალების — მემამულეების — იუნკრების მიწა-წყალზე. მეორე შემთხვევაში ძირითად ფონს წარმოადგენს პატრიარქალური გლეხის ბურჟუაზიულ ფერმერად გადაზრდა“<sup>1</sup>.

როსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, გვ. 291—292, მეოთხე გამოცემა, 1950 წ.

განვითარებაც 60-იანი წლების რეფორმების შემდეგ ამ ორი გზის ბრძოლის მკვეთრი გამომხატველია. რუსეთის საზოგადოების ერთი ნაწილი, შედარებით კონსერვატული, — პ რ უ ს ი უ ლ ი გზით ცდილობდა მიემართა რუსეთის განვითარების ღერძი; მეორე კი, უფრო პროგრესული, რევოლუციური განწყობილებით, — ამერიკულა გზითა ცდილობდა მუშაობა გაეშალა.

60-იანი წლების მოღვაწეთა საუკეთესო ნაწილი — „რაზნო-ჩინეცი“ დიდის გატაცებითა და მსხვერპლის გაწირვით ემსახურებოდა რუსეთის ცხოვრების რევოლუციური გზით განვითარებას.

60-იანი წლების რეფორმის შემდეგ ძალაუნებურად, თავისთავად რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილის წინაშე მწვავედ წამოიჭრა საკითხი: ხ ა ლ ხ ი გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი ა , მ ა გ რ ა მ ბ ე დ ნ ი ე რ ი კ ი ა ი ს ?

პასუხი, რასაკვირველია, მხოლოდ ერთი იყო და ისიც უარყოფითი. ამიტომ რუსმა ინტელიგენციამ, რუსეთის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ფენების ინტერესების გამომხატველმა, გატაცებისა და ნდობის ბურჟუსს მალე თავი დააღწია და დაუყოვნებლივ დაიწყო მძიმე და შეუღრგებელი ბრძოლა „ხალხის“ ინტერესების, ბედნიერებისა და, პირველ რიგში, მისი ეკონომიური კეთილდღეობისათვის.

რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილი ამ პერიოდრიდან მტკიცედ განაგრძობს ბრძოლას ხალხის ნამდვილი განთავისუფლებისათვის. სამოციანი წლებიდან დაწყებული, შეიძლება ითქვას, რუსეთის ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი სუბიექტურად სოციალისტური ხდება და, ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბრძოლა ხალხის ინტერესებისათვის, მისი განთავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ წარმოებდა.

რუსეთის საზოგადოების ამ ნაწილის სწორ დახასიათებას ლენინი იძლევა, როდესაც თავის შესანიშნავ შრომაში «Экономическое содержание народничества» გვაძლევს ხალხოსნების ბუნებისა და მიმართულების განმარტებას. აი რასა წერს ის: „... წვრილი მწარმოებლის ცხოვრების სწორედ მატერიალური პირობები, მისი გარდამავალი, შუათანა მდგომარეობა „მეპატრონეებსა“ და „მუშებს“ შორის, — როგორ იწვევენ ნაროდნიკების მიერ როგორც კლასობრივი წინააღმდეგობის გაუგებრობას, ისე მათი პროგრამის პროგრესული და რეაქციული პუნქტების უცნაურ ნარევს... რუსული ნაროდნიკობა თავისი პირველი, ე. ი. პროგრესული მხრით უახლოვდება დასავლეთ ევროპის დემოკრატიზმს, ამიტომ მას მთლიანად მიუდგება დემოკრატიზმის ის გენიალური დახასიათება, რომელიც 40 წელზე მეტია მოცემულია საფრანგეთის ისტორიის



ამბების გამო (მარქსის მიერ. — მ. ზ.): „დემოკრატს, რომელიც წარმოადგენს წვრილ ბურჟუაზიას, ე. ი. გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ კ ლ ა ს ს, სადაც ორი კლასის ინტერესები ერთმანეთს აჩლუნგებენ, — ჰგონია, რომ იგი საზოგადოდ კლასობრივ ანტაგონიზმზე მალდა დგას. დემოკრატების აზრით, მათ წინააღმდეგ დგას პრივილეგიური კლასი, მაგრამ ერის მთელ დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად ისინი ხ ა ლ ხ ს შეადგენენ. ისინი ხ ა ლ ხ ის უ ფ ლ ე ბ ა ს იცავენ; ისინი ხ ა ლ ხ ის ინტერესებს წარმომადგენლობენ. ამიტომ მათ არც ესაჭიროებათ გამოიკვლიონ სხვადასხვა კლასის ინტერესები და მდგომარეობა. მათ არ ესაჭიროებათ მეტისმეტად მკაცრად ასწონ-დასწონონ თავიანთი საკუთარი საშუალებანი“...<sup>2</sup>

„ყოველ შემთხვევაში დემოკრატი უაღრესად სამარცხვინო დამარცხებიდან გამოდის იმდენადვე ჩირქმოუცხებელი, რამდენადაც უმანკო შევიდა შიგ, გამოდის განმტკიცებული რწმენით, რომ მან უნდა გაიმარჯვოს, რომ თვით მან და მისმა პარტიამ კი არ უნდა დასტოვონ ძველი თვალსაზრისი, არამედ, პირიქით, თვით გარემოებანი უნდა მომწიფდნენ მისთვის“<sup>3</sup>.

მარქსის და ლენინის ეს დახასიათება ხალხოსნებისა სწორ წარმოდგენას გვაძლევს არა მარტო ხალხოსნებზე, არამედ რუსეთის 60—70-იანი წლების ინტელიგენციაზე საერთოდ.

რუსეთის მოაზროვნე საზოგადოების მოწინავე ნაწილში დემოკრატიული და სოციალისტური (რასაკვირველია, ჩვენ მხედველობაში გვაქვს უტოპიური სოციალისტების გავლენით გამოწვეული სოციალისტური მიმართულება) სულიერი განწყობილება 60-იან წლებში მოულოდნელი არ იყო. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს, რუსეთის მოაზროვნეთა ამ შესანიშნავი წარმომადგენლის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე მომზადებული იყო წინა ეპოქის რუსული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებით — ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს, გ ე რ ც ე ნ ი ს ა და სხვათა მოღვაწეობით.

---

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 1. გვ. 541, გამოცემა მეოთხე, 1948 წ. ამ სიტყვებს ლენინი მეტად საგულისხმოდ შენიშვნას უკეთებს: „სწორედ ისე, როგორც რუსეთის ნაროდნიკებს, ისინი არ უარყოფენ, რომ რუსეთში არსებობენ მწარმოებლისადმი ანტაგონისტური კლასები. მაგრამ თავს იტყუებენ იმაზე მსჯელობით, ვითომ ეს „მტაცებლები“ „ხალხთან“ შედარებით სრულიად უმნიშვნელო ძალას წარმოადგენენ, მათ არ უნდათ სისწორით გამოიკვლიონ თვითიული ცალკე კლასის მდგომარეობა და ინტერესები, არ უნდათ გაარკვიონ, ერთმანეთში გადახლართული ხომ არ არის მწარმოებელთა ერთი წყების ინტერესები „მტაცებელთა“ ინტერესებთან და ხომ არ სუსტდება ამით პირველთა წინააღმდეგობის ძალა უკანასკნელთა მიმართ“.

3 ი ქ ვ ე, გვ. 540—542.

კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების ნიადაგზე 60-იან წლებში რუსეთში ეს რადიკალური მიმართულება უფრო გამოიჩვენა, გაძლიერდა და შედარებით მასობრივ მოვლენად გადაიქცა. ახალი ინტელიგენცია თავისი საგრძნობი შემადგენლობით დემოკრატიული გახდა.

ამას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ.

დემოკრატიული მოაზროვნე ინტელიგენციის რიგები 60-იან წლებში ახალი, ცხოველყოფილი, ნიადაგიანი ძალით „რაზნოჩინეცით“ გაიზარდა და შეივსო. ამ პერიოდში რუსეთის ეკონომიური ცხოვრების საკმარისად მძლავრად გამოცოცხლებამ ხელა შეუწყო ლიბერალური ქროლვის ზრდას, წოდებრივი ზღუდეების რღვევას, სასწავლებელთა რიცხვის გამრავლებას, უნივერსიტეტში შესვლის გაადვილებას. ამ გარემოებამ სამოღვაწეო და სალიტერატურო ასპარეზზე რუსეთის საზოგადოების ახალი ფენა — წვრილი ბურჟუაზია — „რაზნოჩინეცი“ წამოაზვირთა.

„რაზნოჩინეცმა“ რუსი ინტელიგენციის აზროვნების გეზი რადიკალიზმისაკენ საგრძნობლად მოაბრუნა. „რა მობდა?“ — კითხულობს ერთი საუკეთესო წარმომადგენელი და გამომხატველი ეპოქისა ნ. მიხაილოვისკი, როდესაც ცდილობს ახსნას 60-იანი წლების ფიცხელი მუშაობა, მღელვარება, მოძრაობა და თვითონვე ამბობს — „რაზნოჩინეცი მოვიდაო!“.

და მართლაც, სამოღვაწეო ასპარეზზე ჯგუფობრივ გამოდის „რაზნოჩინეცი“, თან მოაქვს სალიტერატურო, სალი, თუმცა ხანდახან გაბოროტებული, ბოლშევიკური, შურისმაძიებელი სულიერი განწყობილება. ცხოვრების ჭაობიდან და ტევრიანი ხევებიდან მოიტანა მან („რაზნოჩინეცმა“) შეუფერავი ამბები მასების ტანჯვისა, შიმშილისა, სიღატაკისა, უმეცრებისა; მოთხრობები სინამდვილის ფაქტებით გულშემზარავი. მან სთქვა, რომ აი, ამ უფერულ მასას უნდა სიცოცხლე და ცხოვრება და ყოველის ღონისძიებთ ეძებს გამოსავალ გზას თავისი ოცნებისათვის. აი, სწორედ ამ დროიდან რუსი ინტელიგენცია აქტიურად ჩაება ხალხის ცხოვრების მოწყობის საქმეში.

„რაზნოჩინეცი“ მთელი თავისი დაუქმყოფილებელი სურვილითა და მძლავრი ტემპერამენტით ცდილობს ცხოვრების სურვილი მოიკლას. ის ამ სურვილის განხორციელებისაკენ გაშმაკებით მიისწრაფვის. შესაფერი და სასურველი გზების გამონახვის პროცესში, ამსხვრევს და უარყოფს ძველს, ძველი თაობის თეორიებს, კერპებს, ავტორიტეტებს, რომელთაც ზოგჯერ განყენებული ხასიათი ჰქონდათ და მას („რაზნოჩინეცს“) ჯერჯერობით არა სჭირდებოდა.

60-იანი წლების „ნილილიზმი“ თავისი უარყოფით აღმოცენებულა სწორედ ამ სულიერ განწყობილებაზე. ნილილისტების შეხედულებით, კულტურისა და პროგრესის ის მხარეები, რომლებიც არ ემსახურება ცხოვრების მთავარ კითხვას: — „როგორ უნდა გავადლოთ მშვიერი ხალხი?“ — საჭირო არ არის. პისარევის თქმით, ნილილისტების დევიზი და ტაქტიკა შემდეგია: „რის დამსხვრევაც შეიძლება, უნდა დაიმსხვრეს; რაც გაუძლებს, — ის გამოდგება, რაც დაილეწება, — ის გამოუდგარია: ყოველ შემთხვევაში, დაჰკა მარჯვნივ და მარცხნივ. ეს არ გვავენებს და არც შეიძლება გვავენოს“<sup>4</sup>.

ასეთი შეხედულებით და სულიერი განწყობილებით აიხსნება 60-იანი წლების ნილილისტების მიერ უარყოფა ეთიკისა, ესთეტიკისა, თეორიისა და პრინციპებისა საერთოდ. 60-იანი წლების მოღვაწეებმა კერპად გადააქციეს პრინციპი სარგებლიანობისა. „ზნეობა“, „სიკეთე“, „სიმართლე“ — ეს სიტყვები და ცნებები, მათის აზრით, ზედმეტი იყო, თუ შინაარსს სარგებლიანობა არ ახასიათებდა. ხელოვნებას და კერძოდ ლიტერატურასაც ისინი ასეთ მოთხოვნილებებს უყენებდნენ.

სილარიბესა, სიბინძურესა და სინაკლულეში გამოზრდილმა „რაზნოჩინეცმა“ გულისყური იმას მიაპყრო, რაც მას გამოიყვანდა ასეთი მდგომარეობიდან: მეცნიერება, ცოდნა, როგორც საშუალება პრაქტიკულ ცხოვრებაზე საუკეთესო ზეგავლენისა, — აი რა ანიჭებდა მას გამარჯვებას. და მან ქელი მოიხარა ახალი, მაგრამ თავისი კერპის წინაშე... ქადაგებდა ბუნებისმეტყველებას და სტატისტიკას, რადგანაც მთავარი დასაბამი მისი ფსიქოლოგიის ცხოვრებაზე უფლებისა და მასზე ბატონობის მოპოვების წყურვილი იყო.

ასეთმა მიმართულებამ წარმოშვა უარყოფა 40-იანი წლების მოღვაწეებისა — „სიტყვის“ ადამიანებისა, უნიადაგო, ზედმეტ პიროვნებათა (лишние люди), უარყოფა პუშკინისა ც-კი. დამყარდა უტილიტარული შეხედულება ხელოვნებაზე. 60-იან წლებში ადამიანის მოქმედების ეთიკურ ღირებულებას მისი სოციალური სარგებლიანობის მიხედვით ზომავდნენ.

უტილიტარული შეხედულება ხელოვნებაზე მკაფიოდ გამოთქვა ეპოქის საუკეთესო წარმომადგენელმა ნ. ჩერნიშევსკიმ თავის სადისერტაციო თხზულებაში „Эстетические отношения искусства к действительности“... ჩერნიშევსკიმ ხელოვნების ჰუმ-

4 Д. И. Писарев, Схоластика XIX века: журн. «Русское слово», Спб., 1861.

მარიტი განმარტება წამოაყენა შემდეგი ფორმულის სახით: „მშვენიერება არის ცხოვრება“ («Прекрасное есть жизнь»). მშვენიერია ის საგანი, რაც გამოხატავს ცხოვრებას. ცხოვრების ასახვა, ჩერნიშევსკის შეხედულებით, არსებითი თვისებაა ხელოვნებისა. აქედან გამომდინარეობს ჩერნიშევსკის მიერ უარყოფა თეორიისა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომელიც, მისი აზრით, ისეთივე უცნაურია, როგორც „სიმდიდრე სიმდიდრისათვის“, „მეცნიერება მეცნიერებისათვის“; ყველაფერი, ჩერნიშევსკის შეხედულებით, უნდა ემსახურებოდეს ადამიანის ბედნიერებას. ასეთივე აზრისა იყო მეორე საუკეთესო წარმომადგენელი 60-იანი წლებისა ნ. დობროლუბოვი, ხოლო დ. პისარევიჩმა მათი უტილიტარიზმი უკიდურესობამდის განავითარა. ამ უკიდურესობის მიმდევარნი ცნობილნი არიან ნიჰილისტების სახელწოდებით.

60-იანი წლების პირველსავე ნახევარში ჩერნიშევსკი და სხვებიც მებრძოლი სულიერი განწყობილების გამოხატველნი არიან. ისინი ოპოზიციური სიტყვით აღარ კმაყოფილდებიან, არამედ რევოლუციურ საქმეს ეძებენ, რევოლუციურ მოქმედებას თხოულობენ. ამ სულიერ განწყობილებას დობროლუბოვი ასე გამოთქვამს:

На труд и битву я готов,  
Лишь бы начать в союзе нашем  
Живое дело, вместо слов...

მართლაც, რუსეთის ზინამდვილე და მასზე აღმოცენებული სურვილი რუსეთის გარდაქმნისა, ხალხის ბედნიერების მოპოვებისა თხოულობდა საქმეს და ცოცხალ, ენერგიულ საქმესაც.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1861 წლის მანიფესტმა მიზანს ვერ მიაღწია. ბატონყმობის უღლისაგან თუშკა განთავისუფლებული, მაგრამ ძალმომრეობით და შიმშილით გაქვალტყავებული 60-მილიონიანი რუსი გლეხობა განაგრძობდა მძიმე პირობებში ცხოვრებას. რა გზით უნდა მიაღწიოს ამ ხალხმა ბედნიერებას? აი მთავარი და ღერძეული საკითხი რუსეთის ინტელიგენციისათვის, როგორც რუსეთის მოაზროვნე საზოგადოების მოწინავე ნაწილისათვის. რუსეთი დასავლეთ ევროპის განვითარებას უნდა მიჰყვეს, ისეთივე გზით უნდა წავიდეს სოციალიზმის სამეფოსაკენ, თუ მას განვითარების სხვა გზა აქვს, როგორც ამას ამტკიცებდნენ სლავიანოფილები და შემდეგ ცნობილი ა. გერცენიცი?

„მომავლის ადამიანი რუსეთში, — ამბობს გერცენი, — გლეხკაცია, როგორც საფრანგეთში — მუშა... რუს გლეხკაცსა არა აქვს ზნეობა, ფარდა იმისა, რომელიც ინსტიტუტურად და ბუნებრივად გამომდინარეობს იმისი კომუნიზმიდან; ეს ზნეობა ღრმა ხალხუ-

რია: მემამულეთა აშკარა უსამართლობა უფრო აახლოვებს და აკავშირებს მას (ე. ი. ხალხს, — მ. ზ.) თემობრივ წყობილებასთან და იქიდან გამომდინარე მის უფლებებთან“<sup>5</sup>. გერცენის ეს შეხედულება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში რუსულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში ძირითად ლოზუნგად გადაიქცა. ამ შეხედულების გამეორებას, გაღრმავებას და განწმენდას ვხედავთ ნ. ჩერნიშევსკის, მ. მიხაილოვის, ნ. ლავროვის, ნ. მიხაილოვსკისა და სხვათა შეხედულებასა და წერილებში. ყველა ესენი რუსეთის თავისებური განვითარების გზას ამყარებდნენ სწორედ ამ „თემურ წყობილებაზე“ (общинное устройство), რომელიც რუსი მდაბიო ხალხის ცხოვრებას შემოენახა.

თემური წყობილება, ჩერნიშევსკისა და მის თანამოაზრეთა შეხედულებით, რუსეთს არა მარტო იხსნის პროლეტარიზაციისაგან, რომელმაც დასავლეთ ევროპას უბედურების მეტი არაფერი მოუტანა, არამედ შეიქმნება ხელსაყრელ გადასასვლელ საფეხურად სოციალიზმისაკენ, სადაც არ არის არც მდიდარი, არც ღარიბი, არც კერძო საკუთრება, აღარც ძალდატანება და ექსპლოატაცია.

ჩერნიშევსკი და იმდროინდელი რუსი ინტელიგენცია „ობშინისა“ უცქეროდა როგორც ფურიეს ფალანსტერის მსგავს ორგანიზაციას<sup>6</sup>. ჩერნიშევსკის სწამდა, რომ „ობშინის“ (თემური წყობილების) შემწეობით რუსეთს შეუძლია თავიდან აიცილოს კაპიტალისტური წყობილების სტადია, რომელსაც პროლეტარიზაციასთან ერთად ხალხისათვის უბედურება და ტანჯვა მოაქვს.

ეს შეხედულება საფუძვლად უძევს რუსულ „ხალხოსნობას“ და ჩერნიშევსკიც სამართლიანად ითვლება ამ მიმართულების მამამთავრად. „ობშინის“ განვითარება და გავრცელება, ჩერნიშევსკის აზრით, რუსეთს მიიყვანს სოციალიზმის სამეფოში, საითკენაც დასავლეთ ევროპა მიდის კაპიტალიზმის გზით. „ობშინა“ 60—70-იან წლებში ცენტრალურ საკითხად შეიქნა. „ობშინა“ რუსეთისა და ევროპის ისტორიული განვითარების განმასხვავებელ პუნქტად გადაიქცა.

1861 წელს „ობშინის“ მნიშვნელობასა და რუსეთის განვითარების განსაკუთრებულ გზას ჩერნიშევსკის ახლო მეგობარი, რევოლუციონერი მიხაილოვი, აი როგორ ასაბუთებს: „რუ-

5 Герцен, Русский народ и социализм.

6 დამახასიათებელია ჩერნიშევსკის რომანი «Что делать?», რომელშიც აშკარადაა გადმოცემული რუსი ინტელიგენციის გატაცება ფალანსტერის მსგავსი არტელებითა და ორგანიზაციებით, რომლებითაც, მათი შეხედულებით, მომავალში რუსეთი უნდა მოფენილიყო.

სეთი უნდათ გადააქციონ ინგლისად და უნდათ ჩვენ ინგლისური მოწიფულობით გაგვექვინთონ. მაგრამ განა რუსეთს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, ნიადაგის პირობებით, მიწის რაოდენობითა და თვისებით რამე საერთო აქვს ინგლისთან? განა ინგლისელები რუსეთის ნიადაგზე ისეთივენი გამოვიდოდნენ, როგორიც არიან თავის კუნძულებზე? ჩვენ უკვე ვიცავით ინგლისელთა მიიმუნები (!). არა, არ გვინდა ინგლისელთა ეკონომიური მოწიფულობა! იმას რუსის კუჭი ვერ მოინელებს!

არა, არა, ჩვენი გზა სხვაა  
და ჭვარი<sup>7</sup> ჩვენ არ უნდა ვატაროთ,  
დეე, ის ატაროს ვეროპამ.

„მართლაც, ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ჩვენ უნდა ევროპის გზით წავიდეთ? რომელიღაც საქსონის, ინგლისის ან საფრანგეთის გზით? ვინ იღებს თავის თავზე რუსეთის მომავლისათვის პასუხისმგებლობას? ვის შეუძლია თქვას, რომ ის ჭკვიანია 60-მილიონ ხალხზე? ჭკვიანია მთელი ქვეყნის მოსახლეობაზე? რომ მან იცის, რა ესაჭიროება მას (ამ ქვეყანას, ამ სამოც მილიონ ხალხს. — მ. ზ.), რომ ის მიანიჭებს მას ბედნიერებას? სად არის ის მეცნიერება, რომელმაც მას ეს ასწავლა, რომელმაც მას უთხრა, რომ მისი შეხედულება შეუტოამელია?.. ჩვენ ვიცით, რომ გენეიტები, რობერტი მილები, რაუები, როშერები სანეხვე გროვაზე ლაპარაკობენ და წარსული საუკუნეების სიმყაყე უნდათ მომავლის კანონად გადააქციონ. დეე, ეს კანონი მათი იყოს, ჩვენ კი ჩვენთვის შევეცადებით მოვძებნოთ სხვა... ჩვენ არამც თუ შეგვიძლია, ჩვენ უნდა სხვა მოვძებნოთ. ჩვენს ცხოვრებაში არის დასაბამი (ე. ი. „თემი“ — მ. ზ.), რომელიც უცნობია ევროპელთათვის. გერმანელები გვარწმუნებენ, რომ ჩვენც იქვე მივალთ, სადაც ევროპელები მივიდნენ. ეს სიცრუეა!.. ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ სხვასთან, თუ გავაძლიერებთ იმ დასაბამს, რომელიც სტოცხლობს ჩვენს ხალხში.

უნდა ვუმადლოთ ჩვენს ბედს, რომ ევროპის ცხოვრებით არა ვცხოვრობდით, იმისი უბედურება, იმისი გამოუვალი მდგომარეობა — გაკვეთილია ჩვენთვის. ჩვენ არ გვინდა იმისი პროლეტარიატი, იმისი არისტოკრატიზმი, იმისი სახელმწიფოებრივი დასაბამი, ჩვენ ახალ დასახლებულებს ვგევართ“.

7 ეს ჭვარი, რუსი ხალხსნების შეხედულებით, ტანჯვის ჭვარია, კაპიტალისტური წყობილება. ევროპა იმყოფება კაპიტალისტური განვითარების სტადიაში, რამაც გამოიწვია პროლეტარიზაცია ტანჯვითა და მწუხარებით.

დასავლეთ ევროპასთან რუსეთის ასეთს დაპირისპირებაში, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვაში, შეხედულებაში, რომ რუსეთი წინ უნდა წავიდეს არა ევროპის ხალხების, არამედ თავისი ისტორიული გზით, რომ რუსულ სოციალიზმს საფუძვლად „თემური“ წყობილება უნდა დაედვას, რომ ამ პირობებში რუსეთი შესძლებს თავიდან აიცილოს კაპიტალისტური წყობილება, — უკვე 60-იან წლებიდან მუშავდება და ყალიბდება გარკვეული მსოფლმხედველობა, რომელიც რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურაში ცნობილია „ხალხოსნობის“ («Народничество») სახელწოდებით. ეს მიმართულება თავისი რეალიზმით და უტილიტარიზმით თეორიაში, ხოლო რომანტიკული გატაცებით პრაქტიკაში მძლავრ ნაკადსავით შეიჭრა რუსეთის ცხოვრებაში, ღონივრად და მძლავრად ამმოძრავა იგი, მრავალი რუსი ინტელიგენტი აღაფრთოვანა და ჩააბა უღრან ტყეში ნარეკლიან ადგილას გზის გაჭრის საქმეში.

ლენინი, აღნიშნავს რა 60-იანი წლების მოღვაწეთა როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს, ასე ახსიათებს მათ მოქმედებას: „თავისი წარმოშობის დროს, თავისი პირვანდელი სახით, ეს თეორია (რუსეთის 60-იანი წლების მოღვაწეების, ხალხოსნების. — მ. ზ.) საკმაოდ მწყობრი იყო — იგი გამოდიოდა წარმოდგენიდან ხალხის ცხოვრების თავისებურ წყობაზე, სწამდა „მეთემური“ გლეხის კომუნისტური ინსტინქტები და ამიტომ იგლეხობაში ხედავდა სოციალიზმისათვის პირდაპირ მებრძოლს, — მაგრამ მას აკლდა, ერთი მხრით, თეორიული დამუშავება, დამამტკიცებელი ფაქტები რუსეთის ცხოვრებიდან და, მეორე მხრით, გამოცდილება ისეთი პოლიტიკური პროგრამის გამოყენებაში, რომელიც გლეხის ამ ნავარაუდევ თვისებებს დაეყრდნობოდა... მუშაობამ ისეთი შედეგები გამოიწვია, რაც პირდაპირ საწინააღმდეგო იყო მისი გამოსავალი წერტილის მიმართ... მეორე მხრივაც შეიქნა პროგრამა, რომელიც მხოლოდ რადიკალური ბურჟუაზიული დემოკრატიის ინტერესებს გამოხატავს... ნაროდნიკობის ასეთი განვითარება სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი იყო, რადგან დოქტრინის საფუძველს წარმოადგენდა წმინდა მითური წარმოდგენა გლეხური მეურნეობის განსაკუთრებულ (თემურ) წყობაზე; სინამდვილის შესახებ მითი გაჭფანტა, და გლეხური სოციალიზმიდან გამოვიდა წერილობრივად აღიარებული გლეხობის რადიკალურ-დემოკრატიული წარმომადგენლობა“<sup>8</sup>.

<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 323—326, მეოთხე გამოცემა, 1948 წ.

ასეთია არსებითად ხასიათი და ამოქმედებული მოწინავე საზოგადოების მუშაობა, რომელიც ასე დამახასიათებელია რუსეთის 60-იანი წლებისათვის.

\* \* \*

ეს მიმართულება საფუძვლად დაედო რუსეთის ინტელიგენციის მოღვაწეობას 70-იან წლებშიც. მესამოცდაათიანე წლების მოღვაწეებმა მოინდომეს ამ მიმართულებისათვის გარკვეული და, მასთან, პრაქტიკული ხასიათი მიეცათ თავისი ლოზუნგით — „ხალხში სიარული“ („хождение в народ“). ეს ლოზუნგი პირველად 1872 წელს ცნობილ ხალხოსან და ბოლოს ანარქისტ ბაკუნინის მიერ იქნა გადმოსროლილი. ეს ლოზუნგი 60—70-იანი წლების განმავლობაში ღვივდებოდა და ავსებდა რუსეთის ინტელიგენციის შეგნებას. მისმა გადმოსროლამ ცხოვრების მორევში, როგორც გარკვეულად მომწიფებულმა იდეამ, ამაფეთქებელი ნივთიერების როლი შეასრულა.

„ხალხში სიარულის“ იდეამ გაიტაცა რუსეთის ინტელიგენციის ფართო წრეები. „ხალხში სიარული“ შესაფერი გამოსავალი იყო რუს ინტელიგენციაში დაგუბებული ენერჯისა და მოქმედების სურვილისა. ეს ერთგვარი რევოლუცია იყო რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში. ეს იყო პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა „უმცროს ძმასთან“ დასაახლოვებლად, მის გასაცნობად, მისი ტკივილებისა და სურვილების გასაგებად და, ხშირად, გასაზიარებლადაც.

მაგრამ 70-იანი წლების რუსული ხალხოსნობა რომ უფრო გასაგები შეიქნეს, საჭიროა 60—70-იანი წლებისათვის კიდევ ერთი დამახასიათებელი მოვლენა გავითვალისწინოთ. ეს გახლავთ „მონანიე აზნაურის“ („кающийся дворянин“) მასიურად სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა. უკანასკნელი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის 60-იან წლებში თითქმის პარალელურად „რაზნოჩინეცისა“<sup>9</sup>.

„რაზნოჩინეცმა“ რუსეთის ინტელიგენციის სინამდვილეში მოიტანა ტანჯვასა, დამცირებასა, გაჭირვებულ, მშვირ-მწყურვალ ცხოვრებაში მიღებული ცოდნა პრაქტიკული მოქმედებისა, სიმართლისა, სიძულვილისა, უარყოფისა, ნგრევისა და წინმსვლელობის ძალუმი ნდომა.

<sup>9</sup> ორივე ტერმინი „რაზნოჩინეცი“ და „მონანიე აზნაური“ ეკუთვნის მიხაილოვსკის.



„რაზნოჩინეცი“ იღუპებოდა. იმსხვრეოდა ცხოვრების ტალღებში, მაგრამ ამ ცხოვრებასთან შერეგება მაინც არ უნდოდა. ამაშია მისი ძალა და, თუ გნებავთ, მისი ისტორიული მნიშვნელობაც.

70-იან წლებში საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურაში ფართო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან ნ. შჩეღრინი, ა. გერცენი, ლ. ტოლსტოი, მ. მიხაილოვსკი, პ. ლავროვი და სხვანი. ეს გარემოება თავისებურ ბეჭედს ასვამს 70-იანი წლების აზროვნებას. 70-იანი წლების მოღვაწეების მსოფლმხედველობაში ერთგვარ რეაქციას ვაპჩნევთ 60-იანი წლების ნგრევისა და რღვევის — „ნილილიზმის“ მიმართ. 70-იან წლებში აღარ არის ისეთი უკიდურესი უარისყოფა თეორიისა. „ნილილისტების“ ლოზუნგი — „ძირს თეორია და იდეები“ 70-იანი წლების მოღვაწეთათვის უკვე მიუღებელია. მათი შეხედულებით, მტკიცე თეორიული ცოდნისა და ნიადაგის გარეშე შეუძლებელია საქმის გაკეთება. მათი რწმენით, უპირველესად საჭიროა მთლიანი დამუშავებული დსოფლმხედველობა, რომელიც მათ პრაქტიკულ საქმიანობაში დაეხმარება. მაშასადამე, აუცილებელია გვექონდეს მიზანი. ეს მიზანი კი 70-იანი წლებისათვის იყო „ხალხის ბედნიერება“. მართალია, „ხალხის ბედნიერება“ 60-იან წლებსაც აფრთოვანებდა, მაგრამ 70-იანი წლების მოღვაწეთა ასეთი შეხედულება მიზანსა და თეორიებზე „ნილილიზმისაგან“ აშკარა უკანდახევა იყო.

ამასთან ერთად, 70-იანი წლების მოღვაწენი 60-იანი წლების ეთიკისა და ესთეტიზმის უარყოფის წინააღმდეგაც ილაშქრებდნენ. 70-იანი წლების მოღვაწეთათვის, ესთეტიკურ ტრადიციებზე აღზრდილთათვის, საგრძნობი და გასაგები იყო, რომ ესთეტიკის უარყოფა პიროვნების, მისი თავისუფალი და უშუალო შემოქმედებითი ნიჭის ჩახრჩობას, ვიწრო ფარგლებში მოპყვდევას გულისხმობდა. ეს-კი, მათის განჭვრეტით, საზოგადოების წინმსვლელობისათვის სრულიადაც არ იყო საჭირო და ხელსაყრელი. „ვანა არ შეიძლება ვეგსაზუროთ ჭეშმარიტებასა და სიმართლეს, — მიხაილოვსკის პირით 70-იანი წლების მოღვაწენი ეკამათებთან 60-იანელებს, — და იმავე დროს ესტკებოდეთ ვარსკვლავთა და ყვავილთა სილამაზით? ვეძებდეთ ქალის ალერსსა? დეე, ყოველი ცოცხალი ცოცხლობდეს და ძალუმადაც ცოცხლობდეს“<sup>10</sup>.

ამრიგად, ლოზუნგი 70-იანი წლებისა ასეთია: თეორიაც, ეთიკაც, ესთეტიკაც საჭიროა, ხოლო ყველა ეს გამოყენებული უნდა

<sup>10</sup> Иванов-Разумник, История русской общественной мысли, II, СПб., 1908, гл. 102.

იყოს ხალხის ბედნიერებისათვის. ასეთმა მსოფლმხედველობამ 70-იანი წლების მოღვაწეებში წარმოშვა იდეალიზაცია გლახკაცისა, გა-აღრმავა სურვილი მისი ცხოვრების წიაღში გამონახული ყოფილიყო საფუძვლები მომავალი განახლებული ცხოვრებისა. ასეთი სურვილი გამომდინარეობდა სამოცდაათიანელების ფსიქოლოგიიდან, უფრო კი „მონანიე აზნაურის“ სულიერი განწყობილებიდან, მისი გაღვიძებული და აუადმყოფური მგრძნობიარე სინიდიის ქენჯნიდან. „მონანიე აზნაური“ გრძნობს თავის განსხვავებას მდებიო ხალხისაგან, გრძნობს მასთან შედარებით თავის უპირატესობას: განათლებით, მდიდარა გემოვნებით, კულტურული მისწრაფებებით, კეთილშობილური გრძნობებით და სურვილებით. მის წინაშე ძალაუ-ნებურად მთელი სააშკარავით ისმება და დაჟინებით მოითხოვს მისგან პასუხს შემდეგი საკითხი: ეს ყველაფერი საიდანაა აქვს მას? ამ კითხვაზე გამუდმებით და დაჟინებით ერთი და იგივე პასუხი იყო: იქიდან, ბატონყმობიდან, რომლის სიმძიმის ქვეშ ხალხი საუკუნეებით კვნესოდა. ეს ხალხი-კი უსიტყვოდ, ხანდახან ერთგულებითაც-კი აქმევდა, აცმევდა, ინახავდა, უფლიდა მას და მის წინაპრებს, რომლებიც ხშირად სამაგიეროს წკეპლებითა და სხვა დამამცირებელი საშუალებებით უხდიდნენ. ამიტომ მას რცხვენია, სტანჯავს მისი აზნაურიშვილური შთამომავლობა. „მონანიე აზნაურის“ გაღვიძებული სინიდიის გრძნობს თავის მოვალეობას ხალხის წინაშე, ის მოვალედ ხდის თავის თავს თავისი და წინაპრების დანაშაული ხალხის მიმართ გამოისყიდოს. სინიდიის ასეთმა ქენჯნამ 70-იანელების ცხოვრებაში ჰპოვა თავისი შემამსუბუქებელი გამოსავალი ლოზუნგი — „ხალხში“. „საზოგადოება მოვალეა მიუზღოს ხალხს, გადაუხადოს თავისი ვალი“. ასეთი იყო „მონანიე აზნაურის“ გაღვიძებული სინიდიის მოთხოვნილება.

„გადახდის“ იდეა განვითარებული აქვთ 70-იანი წლების თვალსაჩინო წარმომადგენლებს: ლ ა ვ რ ო ვ ს, მ ი ხ ა ი ლ ო ვ ს კ ი ს და ზ ხ ვ ა თ ა. „ძვირად დაუჭდა კაცობრიობას ის, — აღელვებული წერს ლავროვი, — რომ რამდენიმე მოაზროვნეს შეეძლოს თავის კაბინეტში ილაპარაკოს მის პრავრესზე... რომ გამოვიანგარიშოთ, რამდენი ადამიანის სიცოცხლეა დაღუპული და რამდენად ღირს ყოველი პიროვნება, რომელიც ახლა ადამიანურად ცხოვრობს, — ყველაფერი ეს რომ გამოვიანგარიშოთ, მრავალი ჩვენი თანამედროვე უსათუოდ შეშინდებოდა, როცა გაიგებდა, სისხლისა და შრომის რამდენი კაპიტალია დახარჯული მათს განვითარებაზე... ჩვენ უნდა ვალიართ, — განავრძობს ლავროვი, — რომ თანამედროვე ცივილიზაციის სარგო მიღებულა არა მარტო აუცილებელი ბორო-

ტებით, არამედ აგრეთვე აურაცხავი, სრულებით უსაჭირო ბოროტებით, რომლისათვის პასუხისმგებლობა წინათაობის განათლებულ უმცირესობას აწევს. ამ ბოროტების გასწორება წარსულში ჩვენ არ ძალგვიძს. შევიწროებული თაობები ისე დაიხოცნენ, რომ შრომისა და მდგომარეობის შემსუბუქებას ვერ მოესწრნენ. თანამედროვე თაობის განათლებული უმცირესობა სარგებლობს იმათი შრომითა და ტანჯვით. ეს კიდევ ცოტაა: ეს განათლებული უმცირესობა სარგებლობს აუარებელ თანამედროვეთა შრომითა და ტანჯვით და შეუძლია გავლენა იქონიოს მათი შვილიშვილების შრომისა და ტანჯვის გადიდებაზე. ვინაიდან ამ უკანასკნელი გარემოების ზნეობრივი პასუხისმგებლობა შთამომავლობის წინაშე ჩვენ გვაწევს. ამისათვის აღსრულებული პროგრესის ღირებულების ისტორიულ გამოკვევას შემდეგს საკითხთან მივყევართ: რა საშუალება აქვს თანამედროვეთაობას, რომ თავისი პასუხისმგებლობა შეამციროს? რა უნდა გავაკეთოთ, რომ შთამომავლობის წინაშე პასუხი არ ვაგოთ კაცობრიობის ახალი ტანჯვის გამო?«<sup>11</sup>.

უფრო ადფრთოვანებული ხმა გაღვიძებული სინიდისისა, რომელიც მწვავედ გრძნობს თავის მოვალეობას ხალხის წინაშე და აზოულობს უკვე შეუღდგეს „ვალის“ გადახდას, გვესმის მიხაილოვსკის პირით: „ჩვენ შევიგენით, — წერს მიხაილოვსკი, — რომ ზოგადკაცობრიული სიმართლისა და ზოგადკაცობრიული იდეალების შეგნება ჩვენ მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში ხალხის მიერ გაწეული ტანჯვით მივიღეთ. ხალხის ამ ტანჯვაში ჩვენ არავართ დამნაშავენი. არც იმაში ვართ დამნაშავენი, რომ მის ხარჯზე აღვიზარდენით, მაგრამ... მომავალში ეს აღარ გვინდა. იდეათა ლოგიკური განვითარებით, თუ უშუალო გრძნობით, ხანგრძლივი ფიქრითა თუ აზრის მოულოდნელი გამობრწყინებით, მაღალი ადამიანური გრძნობებიდან გამოვმდინარეობთ, თუ პირდაპირი დაკვირვებიდან — ჩვენ შემდეგ აზრს დავადექით: ჩვენ მოვალენ ვართ ხალხისა. შესაძლებელია, — განაგრძობს მიხაილოვსკი, — ხალხურ სიმართლეში ასეთი პარაგრაფი სრულებითაც არ იყოს; ალბათ, არ არის. მაგრამ ასეთი შეხედულება, თუმცა ყოველთვის შეგნებულად არა, ჩვენი ცხოვრებისა და მოქმედების ქვაკუთხედად გავხადეთ. მოვალეობა აწევს ჩვენს სინიდისს და ჩვენა გვსურს ამ მოვალეობის გადახდა“.

<sup>11</sup> П. Лавров, «Исторические письма», СПб., 1906.

70-იანი წლების რუსი ინტელიგენციის ამოცანა და შინაარსი განისაზღვრებოდა ვალდებულების ცნობით ხალხის წინაშე და აქედან გამომდინარე საკითხებით: როგორ უნდა მოწესრიგდეს ტიტულ-შიშველა ხალხის მდგომარეობა და როგორ მოიხადოს მან თავისი ვალი ხალხის წინაშე? რუსი ინტელიგენციის მდგომარეობას ის გარემოება ართულებდა, რომ მის შეგნებაში ხალხის წინაშე ეს ვალდებულება ისე დიდი და აუნაზღაურებელი იყო, რომ ცივილიზაციის წარმატებები, მეცნიერებისა და ხელოვნების აღმოჩენანი და მონაპოვარნი ვერ აუნაზღაურებდნენ ამ ვალდებულების სარგებელსაც-კი. რუსი ინტელიგენციის სულიერ განწყობილებას ამასთან ერთად ის რწმენაც აღრმავებდა, რომ პროგრესი, ცივილიზაცია, მეცნიერება და ხელოვნება, რომელიც მოპოვებული ჰქონდა საზოგადოებას უმცროსი ძმის შრომით, ვერ მისცემდა ხალხს საჭირო ბედნიერებას, უზრუნველყოფილ ცხოვრებას. საჭირო იყო საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის გამოსახულიყო უფრო ხელსაყრელი, თავისუფლებისა და ბედნიერების მომნიჭებელი პირობები, რომლებიც შეაერთებდა პირად ბედნიერებას საერთო საზოგადოებრივ ბედნიერებასთან. ასეთი საშუალება მესამოცდაათიანელებმა, როგორც მესამოციანეთ, ხალხშივე ჰპოვეს, მის ისტორიულად გამოუმუშავებულ თემურ წყობილებაში („ობზჩინა“). თემური წყობილება, ზადაც არ იყო კერძო საკუთრება (მიწა ეკუთვნოდა თემს), მათის შეხედულებით, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და აგრეთვე ხალხის უფლებრივი მდგომარეობის შენახვის საშუალებას იძლეოდა. 70-იანი წლების ხალხოსნების შეხედულებით, თემური წყობილება პიროვნებისა და ხალხის ინტერესს ერთმანეთს აგუებდა და აერთებდა.

ასეთ აზრს ლავროვი გარკვეულად გამოსთქვამს თავის «Исторические письма»-ში. „რუსეთისათვის, — წერს ის, — სპეციალური ნიადაგი, რომელზედაც რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობის მომავალი უნდა განვითარდეს, თანამედროვე ცხოვრების ამოცანების თანახმად, — არის გლეხკაცი თემური მიწისმფლობელობით (крестьянин с общинным землевладением). საჭიროა ჩვენი თემური წყობილების განვითარება მიწის საერთო დამუშავებისა და მისი ნაწარმოების საერთო სარგებლობის მხრივ; მისი გადაქცევა რუსეთის საზოგადოებრივი წყობილების ძირითად ელემენტებად; საზოგადოებრივ საკუთრებაში კერძო საკუთრების გათქვეფა; მიეცეს გლეხკაცს ის განათლება და ის შეგნება საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა, ურომლისოდაც ის ვერასოდეს ვერ შესძლებს ისარგებლოს თავისი ლიგალური უფლებებითაც-კი: რაც უნდა ფართო იყოს ისინი, ვერასოდეს ვერ დააღწევს თავს დაჩაგვრას. ეს

არის რუსეთის სპეციალური მიზანი, რომლის განხორციელებასაც ხელი უნდა შეუწყოს ყოველმა რუსმა, ვისაც თავისი სამშობლოს პროგრესი უნდა“.

70-იანი წლების ხალხოსნების რწმენით, თუ საზოგადოება შესძლებს განავითაროს და გააღრმავოს თემობრივი წყობილების პირობები, მაშინ ყოველი ადამიანი უზრუნველყოფილი იქნება სათემო მიწის თანაბარი სარგებლობის, წარმოების თანაბარი განაწილებისა და, მაშასადამე, ბედნიერების მიღწევის მხრით.

ამრიგად, 70-იანი წლებისათვის უკვე მომწიფდა ის კულტი ხალხისა, გლეხკაცისა, რომელიც რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში დიდი ხანია ფეხს იკიდებდა. 60-იანმა წლებმა ამ შეხედულების გარკვეულ ფორმაში ჩამოყალიბება საგრძნობლად ააჩქარა. 70-იან წლებში „ხალხი“ ინტელიგენციის გულისყურისა და ფიქრის მთავარ საგანს შეადგენს. მაშვრალი ხალხის უილაჯო, ხან მოთმინებადაკარგული და აღშფოთებული ძახილი რუსი ინტელიგენციისათვის მანამდის არასოდეს არ ყოფილა ისე გასაგონი, საგრძნობი, გასაგები, ახლო, თავდავიწყებით გამტაცი. ხალხისათვის, მისი ბედნიერებისათვის მოქმედება, მსხვერპლის მოტანა, თავის განწირვა ამ დროის რუს ინტელიგენციას ალაფრთოვანებდა.

60-იანი წლების საზოგადოებრივი აზრის თანდათანობითმა განვითარებამ 70-იანი წლებისათვის რუსი ინტელიგენცია მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ხალხისადმი ვალის გადახდისათვის, მისთვის ბედნიერების გამონახვისათვის საჭიროა „ხალხში სიარული“. ეს სულსკვეთება რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში თანდათან მწიფდებოდა, ირკვეოდა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მ. ბაკუნინმა 1872 წელს, როგორც საერთო დევიზი, გადმოისროლა აღელვებულ ცხოვრებაში.

როდესაც რუსი ინტელიგენციის, როგორც წვრილბურჟუაზიის წარმომადგენლის, შეგნებაში, თეორიული მსჯელობის, რეფორმებით გატაცებისა და იმედიანობის ხანამ (60-იანი წლების პირველი ნახევარი) განვლო და მან უშუალოდ ცხოვრების, გლეხის ცხოვრების სინამდვილის ძირში ჩასვლა მოინდომა ხალხის აუტანელი და მძიმე პირობებისაგან დახსნისათვის, მის წინაშე მთელი სიმწვავეით პირველ პირობად წარმოდგა თვით ხალხის გონებრივი და ეკონომიური დონის აწევის აუცილებლობა. აი ამიტომ, რუსმა ინტელიგენციამ მთავრობის 1866 წლის 13 მაისის რესკრიპტით გამოწვევას (აქედან იწყება რეპრესიები) ძლიერი და ღირსეული პროტესტის პასუხი გასცა თავისი ალაფრთოვანებული და გმირული მასობრივი „სიარულით ხალხში“. ხ ა ლ ხ ო ს ნ ო ბ ა ც, ამ

ცნების ნამდვილი და ფართო მნიშვნელობით, სწორედ აქედან იწყება.

ხალხოსნების მოღვაწეობას აი როგორ მახვილ და სწორ დახა-  
სიათებას აძლევს ვ. ლენინი: ხალხოსანთა „რწმენა გლეხის კო-  
მუნისტური ინსტიტუტებისა, ბუნებრივია, სოციალისტებისაგან მოი-  
თხოვდა, რომ მათ უკან დაეყენებინათ პოლიტიკა და „ხალხში წა-  
სულიყვნენ“. ამ პროგრამის განხორციელებას ხელი მიჰყო მრავალ-  
მა ფრიად ენერგიულმა და ნიჭიერმა მუშაკმა...“<sup>12</sup>.

რუსი ინტელიგენცია მასობრივად დაიძრა ხალხისაკენ, დაიწყო  
გლეხკაცას ქოხში შესვლა, მისი აბლო გაცნობა, ინტელიგენციის  
ცხოვრების გასადავება, გლეხკაცის ცხოვრების მიბაძვა. რუსი ინ-  
ტელიგენციის მამოძრავებელი დევიზი ასეთი შეიქნა: ყველაფერი გა-  
წიროს, თავის თავიც-კი, ხალხის საკეთილდღეოდ, ხალხის თემობ-  
რივი წყობილება შეინახოს და გარდაქმნას ის კომუნად (ფურიესე-  
ბურ ფალანსტერად), მაგრამ, როგორც ლენინი სამართლიანად გან-  
მარტავს, ისინი „...პრაქტიკულად დარწმუნდნენ გლეხის კომუნის-  
ტურ ინსტიტუტებზე წარმოდგენის გულუბრყვილობაში“<sup>13</sup>.

აღფრთოვანებული სულიერი განწყობილებით გატაცებული  
ხალხოსნები ეცნობოდნენ რუსი გლეხკაცის ცხოვრებას, უკვირდებ-  
ოდნენ მას და ხედავდნენ უმწეო, გამოუვალ მდგომარეობას ხალ-  
ხისას, რომელიც ფორმალურად 1861 წ. განთავისუფლებული იყო,  
მაგრამ სინამდვილეში თავისუფლებისა და ბედნიერებისაგან კვლავ-  
ვინდებურად შორს იდგა. ხალხოსნები, მათდა სამწუხაროდ, რწმუნ-  
დებოდნენ, რომ ხალხის მასებში ბუნებრივი მდიდარი ძალა დიდი  
იყო, მაგრამ მისი გაუნათლებლობის, უკულტურობის, სიღატაკის  
გამო ეს ნიჭი და ძალა გაუფურჩქნელი და გაუნაყოფიერებელი  
რჩებოდა. ხალხოსნები მტკიცედ შეებრძოდნენ ხალხის მასების  
ამ უარყოფით მხარეებს. და ამიტომ, როდესაც გვიხდება ხალხოს-  
ნების მოღვაწეობის შეფასება, ჩვენ აუცილებლივ მხედველობაში  
უნდა მივიღოთ ო რ მ ა გ ი ბ უ ნ ე ბ ა, რომელიც მათ, როგორც  
ვ. ლენინი ამბობს, ახასიათებს. „ის, — წერს ლენინი, — პროგ-  
რესულია, რამდენადაც ზოგად-დემოკრატიულ მოთხოვნებს აყენებს,  
ე. ი. ებრძვის საშუალოსაუკუნეობრივი ეპოქისა და ბატონყმობის  
ყოველივე ნაშთს; ის რეაქციულია, რამდენადაც იბრძვის თავისი,  
როგორც წერილი ბურჟუაზიის, მდგომარეობის შესანარჩუნებლად  
და ცდილობს შეაჩეროს, უკან მოაბრუნოს ქვეყნის საერთო განვი-  
თარება ბურჟუაზიული მიმართულებით“<sup>14</sup>. ხალხოსნები გამოხმატ-

<sup>12</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 1, გვ. 325, მეოთხე გამოცემა, 1948 წ.

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 1, გვ. 340, მეოთხე გამოცემა, 1948 წ.

ველნი იყვნენ წვრილბურჟუაზიის იდეოლოგიისა, ცდილობდნენ სხვადასხვა პროგრესული საშუალებით გაეუმჯობესებინათ „ხალხის“ მეურნეობა და სრულებით ვერ ამჩნევდნენ, რომ არსებულ საწარმოო ძალთა ურთიერთობაში ყველა ეს საშუალებანი უფრო ღრმად მოახდენდნენ პროლეტარიზაციის პროცესს. ხალხოსნები, სამართლიანად ამბობს ლენინი, ვერ ამჩნევდნენ კაპიტალიზმის პროგრესულ მნიშვნელობას, ვერ ხედავდნენ, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ დაარღვია ადამიანის ცხოვრების ძველი, ვიწრო პირობები, მისი გონებრივი დაჩლუნგება, მწარმოებელს მისცა საშუალება, თავისი ბედი საკუთარ ხელში დაეჭირა. ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ დაარღვია ძველი ზღუდეები: გვარის, ოჯახის, ტერიტორიალური თემისა და მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობა წარმოშვა, რომელმაც დასავლეთი ევროპა ასე წასწია წინ.

ხალხოსნები, გატაცებულნი „ხალხის“ ცხოვრების მოწესრიგების აუცილებლობის შეგნებით, ერთგვარი უახგარობით გავიდნენ ხალხში მისი კეთილდღეობის შექმნის მიზნით. აღსანიშნავია, რომ „ხალხში სიარული“ სხვადასხვანაირი მიმართულებითა და მიდგომით ხდებოდა.

ხალხში მიდიოდნენ ცნობილი და უნიჭიერესი პროპაგანდისტები, ბაკუნინის მიმდევრები, ე. წ. „ბაკუნისტები“: ისინი მიზნად ისახავდნენ პროპაგანდის საშუალებით ხალხში ჩამარბული რევოლუციური სულიერი განწყობილება გაეღვივებინათ. აწყობდნენ მთელ რიგ ამბოხებებს. ამიტომ ხშირად მათ „ბუნტარებს“ ეძახდნენ.

ხალხში მიდიოდა მეორე ფრთაც, ლავროვის მომხრეები, ე. წ. „ლავრისტები“. ისინი ნამდვილი კულტურტრეგერები იყვნენ, რევოლუციური პროპაგანდით ხალხში მიდიოდნენ არა რევოლუციური სულიერი განწყობილების გასაღრმავებლად (მათი პირველი მიზანი ეს არ ყოფილა), არამედ კულტურული მიზნებით — შეეტანათ ხალხში სწავლა-განათლება, ჰიგიენურ მოთხოვნილებათა შეგნება და მათი დაცვის აუცილებლობა; ეზიარებინათ სიბინძურესა და სიღატაკეში მყოფი ხალხი კულტურის მონაპოვრებს და ამ გზით მოემზადებინათ სოფელი, შეექმნათ იქ შეგნებულ მებრძოლთა რაზმი ნამდვილი განთავისუფლებისათვის.

უნდა-კი ითქვას, რომ 70-იანი წლების პირველ ნახევარში, როგორც „ბაკუნისტებს“, ისე „ლავრისტებს“ ხალხში სიარულის საბოლოო მიზანი საერთო ჰქონდათ. ორივე ფრთის რწმენითა და შეზედულებით, ხალხის განთავისუფლება უნდა მოხდეს არა პოლიტიკური, არამედ სოციალური ვადატრიალების, გლეხური რევოლუ-

ციის საშუალებით. სოციალური პრინციპის უპირატესობა პოლიტიკურთან შედარებით, პოლიტიკური საკითხების უგულვებელყოფა დამახასიათებელია 70-იანი წლების პირველი ნახევრისათვის (ხალხოსნებისათვის ვიწრო გაგებით), ხალხში სიარულის პერიოდისათვის. მაგრამ, როდესაც ისინი პრაქტიკულად უშუალოდ ხალხში სამუშაოდ მიდიოდნენ, „ბაქუნისტებსა“ და „ლავრისტებს“ შორის ვანსხევაება უკვე აღარ არსებობდა.

პრაქტიკულ მოღვაწეობაში „ბაქუნისტები“ ხშირად „ბუნტარები“ არ იყვნენ, არამედ პროპაგანდისტები — კულტურტრეგერები; ხალხში ავრცელებდნენ ცოდნას, რევოლუციურ ბროშურებს, ისინიც „ლავრისტებსავით“ ცდილობდნენ პირველ რიგში ხალხის მასების გონებრივი და ზნეობრივი დონის ამაღლებას.

„ხალხოსნები“, როგორც „ბუნტარები“, ისე „კულტურტრეგერები“, ფიქრობდნენ, რომ საკმარისია ორი-სამი წელი, სულ დიდი ხუთი-ექვსი, რომ ხალხი სოციალური რევოლუციისათვის მომზადდეს. ყოველ შემთხვევაში, მათის რწმენით, — ორ-სამ წელიწადში შეიძლება მძლავრი რევოლუციური რიგების მომზადება. „თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, — წერს ლავროვი, — პატარა პერიოდის, ექვსი წლის შემდეგ, ხალხური მოძრაობის ათი-ათას შეგნებულ ხელმძღვანელს, რომელნიც... გარშემორტყმულნი არიან გაცილებით დიდ-რიცხოვანი გამზადებული რიგებით, რომელნიც მზად არიან ყოველ წუთში გაჰყვნენ მათ ძალაუფლებისა და კაპიტალის წარმომადგენლების დასამხობად, მაშინ ჩვენს წინ ისეთი საგრძნობი და საპატიო რევოლუციური არმია წამოიჭრება, რომელსაც შეეძლება საჭირო მომენტში, მართლაც, ისტორიული საქმე შეასრულოს“<sup>15</sup>.

რუსულ ხალხოსნობაში მესამე მიმართულებაც იყო. ამ მიმართულების წარმომადგენელია ლევ. ტოლსტოი. მისი შეხედულებით, ხალხში ჩამარხული სიმართლე იმდენად დიდია, რომ უკეთესია ინტელიგენცია ამ ხალხის დაბალ დონეზე დავიდეს, გაასადაოს თავისი ცხოვრება ხალხის ცხოვრების მიხედვითა და მიზანძვით, მივიდეს ხალხთან, მისგან ისწავლოს, როგორ უნდა „სიმართლით“ ცხოვრება და მიწის დამუშავება, გაიცნოს მის ცხოვრებაში არსებული საზოგადოებრივი ხასიათის ჩვეულებანი და მისი ბუნების სალი ინსტიტუტები: ქვრივ-ობლების შებრალება, დახმარება, სიწყინარე და გულკეთილობა. ამ მიმართულების მიმდევარნი იცვამდნენ გლეხკაცის ტყაპუტებს და მიდიოდნენ მასთან, რათა ესწავლათ მისგან და ესწავლებინათ მისთვის. ესენიც კულტურული მოღვაწეობით კმაყოფილდებოდნენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხალ-

15 П. Лавров, «Исторические письма», СПб., 1906.



ხოსნების ეს სამი მიმართულება ერთმანეთში ითქვიფებოდა, ერთი-ერთმანეთისაგან ბევრს რასმე ითვისებდა.

1878 წლისათვის, მთელი რიგი უშედეგო აჯანყებებისა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში აუარებელ დაბრკოლებებთან შეხვედრის შემდეგ, ხალხოსნები დარწმუნდნენ, რომ მარტო „ხალხში სიარულით“, კულტურული აგიტაციის გზით, შეუძლებელია გაშო-წვეულ იქნას სოციალური რევოლუცია. მალე ხალხოსნებისათვის აშკარა შეიქნა, რომ საერთო მიზნის მისაღწევად, სოციალიზმის დასამყარებლად ჯერ პოლიტიკური თავისუფლებისათვის უნდა იყოს გაწეული ბრძოლა. ეს ნიადაგს შეუქმნადებს სოციალურ განთავისუფლებას. თუ 70-იანი წლების პირველ ნახევარში ხალხოსნებს პოლიტიკური საკითხის წამოყენება არამც თუ არ აინტერესებდათ, არამედ უმნიშვნელოდაც-კი მიაჩნდათ, 1878 წლის შემდეგ ხალხოსნები უკვე გრძნობდნენ ბრძოლის ორი ფრონტის — პოლიტიკურისა და სოციალურის — შეთანხმების აუცილებლობას. ახლა უკვე არსდება პოლიტიკური ორგანიზაციები. აღიარებულ იქნა არამც თუ პოლიტიკური პრიმატის გათანასწორება სოციალურთან, არამედ პირველი დროისათვის პოლიტიკურის უპირატესობაც-კი.

1879 წელს ლ ი პ ე ც კ ვ ო რ ო ნ ე უ ი ს ყრილობის შემდეგ დაირღვა ორგანიზაცია და «Земля и воля». მის მაგიერ დაარსდა «Народная воля» და «Черный передел». „ნაროდოვოლცებმა“ ახალი ლოზუნგი წამოაყენეს — „სოციალიზმისაკენ პოლიტიკის საშუალებით“ (მიხაილოვსკი, ეელიაბოვი, დეზავორი-მოკრიევიჩი და სხვანი). ამ დროს რუსი საზოგადოების აზროვნებაში ირკვევა პოლიტიკური რეფორმებისათვის ბრძოლის საჭიროება. ამისათვის ინტელიცენციის ძალების ერთი ნაწილი მიმართული იყო პოლიტიკური ბრძოლისაკენ. აი ამ გარდატეხას როგორ ახასიათებს ვ. ლ ე ნ ი ნ ი: „თავდაპირველად ეს ბრძოლა სწარმოებდა სოციალიზმისათვის, იმ თეორიაზე დაყრდნობით, რომ ხალხი მზად არის სოციალიზმისათვის და ძალაუფლების უბრალო დაპყრობით შესაძლებელი იქნება არა მარტო პოლიტიკური, არამედ სოციალური რევოლუციის მოხდენაცო. უკანასკნელ დროს ეს თეორია, როგორც სჩანს, უკვე ყოველივე ნდობას ჰკარგავს, და ნაროდოვოლცების ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ იქცევა რადიკალების ბრძოლად პოლიტიკური თავისუფლებისათვის“<sup>16</sup>.

პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ხალხოსნებმა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ტერორი მიიჩნიეს.

<sup>16</sup> ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 325, მეოთხე გამოცემა, 1948 წ.

1878 წელს იანვრის 24 პირველი ტერორისტული აქტი მოახდინა ვერა ზასულიჩმა — ესროლა პეტერბურგის გრადონაჩალნიკს ტრეპოვს. ხალხოსნების რევოლუციური მოძრაობა 1881 წელს უმაღლეს წერტილს აღწევს 1-ლი მარტის ტერორისტული აქტით (ალექსანდრე II მოკვლა). ამ აქტს მოჰყვა საშინელი რეაქცია. 1883 წელს თითქმის ყველა ასე თუ ისე გამოჩენილი ხალხოსანი მთავრობას დატუსაღებული ჰყავდა.

ხალხოსნების ყოველმა ცდამ, რომ მათი პოლიტიკური ორგანიზაცია «Народная воля» აღდგენილი ყოფილიყო, უშედეგოდ ჩაიარა. 80-იანი წლების დასაწყისში დაასრულა რუსული ხალხოსნობა თავისი დამახასიათებელი, სპეციფიკური თვისებებით.

გარდა საშინელი რეაქციისა, მძიმე ბორკილს რომ ადებდა, საშინლად რომ ზღუდავდა და არავითარ გასაქანს არ აძლევდა ხალხოსნების გაღვიძებული და აღშფოთებული სინიდისის ქენჯნას, რომელიც დაჟინებით უხმობდა მოღვაწეობისა და ხალხისაკენ და მიჰყავდა კიდევ, ხალხოსნებისათვის უფრო დიდი დაბრკოლება, ხშირად სასოწარკვეთილებამდე მიმყვანი იყო რუსი ხალხის გაუნათლებლობა და უნდობლობა, რომელსაც ის ხალხოსნებისადმი იჩენდა. ხალხოსნების გარეგნული ტრაგედია, შესაძლებელია უფრო მძიმე იყო, ვიდრე შინაგანი: ეს იყო ხალხის მიერ სრული გაუგებრობა ინტელიგენციის ამოცანათა. მდებრიო ხალხი ხშირად მტრულად ექცეოდა თავის „მოკეთეს“. ამის გამო ვმირულმა „სიარულმა ხალხში“ დიდი მსხვერპლი შეიწირა, არაერთი ასეული ახალგაზრდის სიცოცხლე ინაცვალა. რუსი ხალხოსნების ტრაგედია ყოველთვის იმაში მდგომარეობდა, რომ მისდამი მტრულად იყო განწყობილი სწორედ ის ხალხი, რომლის ბედნიერებასაც ეს ინტელიგენცია თავდავიწყებით სწირავდა მთელ თავის ძალასა და სიცოცხლეს.

მართალია, ალექსანდრე III რეაქციამ დაშალა ხალხოსნების ორგანიზაციები, მართალია, ხალხოსნობა თავისი სპეციფიკური სახით სამოქმედო ასპარეზიდან 80-იან წლებში უკვე იხსნება, მაგრამ მისი იდეები, რასაკვირველია, საფრქვინო ბივარიაციებით, გადმოდის შემდეგ პერიოდებშიც.

\* \* \*

60—70-იანი წლების ხალხოსანთა თეორეტიკოსების მიერ (ჩერნიშევსკისა, ლავროვისა, მიხაილოვსკისა და სხვათა) გამოთქმულმა იდეებმა თავისი განსახიერება და გამოქანინილი მხატვრულ ლიტერატურაშიც ჰპოვა. შეიქმნა ძლიერი ხალხოს-

ნური მიმართულება რუსულ ლიტერატურაში. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მთელი რიგი მწერლებისა უფრო „ხალხოსან-ბელეტრისტების“ სახელწოდებით, მაგალითად: გლ. უ. ს. პ ე ნ ს კ ი, ზ ლ ა ტ ო ვ რ ა ტ ს კ ი, ნ ა უ მ ო ვ ი და სხვანი. ამ მწერლებმა მიზნად დაისახეს არა მარტო ხალხისათვის წერა (რასაც ადგილი ჰქონდა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში ამის წინათაც), არამედ წერა ხალხზე, მის ცხოვრებაზე, მის სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე, ბატონყმობის ბოროტებაზე, შემდეგ გლეხსა და „სოფლის წურბელებს“ („კულაკთა“) შორის ურთიერთობაზე, ქალაქისა და ქარხანა-ფაბრიკის სოფელზე გავლენის შესახებ.

მაშინ, როდესაც საკითხი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის, თემობრივი წყობილების, მისი გამოყენების, სათემო სასამართლოებში გლეხკაცის მიზიდვისა და გამოყენების შესახებ გაზეთებისა და სამეცნიერო ჟურნალის ფურცლებზე, ან სტატისტიკურ გამოკვლევებში ირკვეოდა, ამავე დროს, პარალელურად, ამავე საკითხებს რუსული ხალხური კაზმული ლიტერატურაც ცხოვრებიდან აღებული მხატვრული სახეებისა და ტიპების საშუალებით ასახიერებდა. „არავითარ სპეციალურ გამოკვლევას, — წერს გიორგი პლენხანოვი, — არ შეუძლია მაგივრობა გასწიოს მათ (ხალხსნებში) მიერ ხალხის ცხოვრებიდან დახატული სურათისა. ჩვენი ხალხოსან-ბელეტრისტების თხზულებები შესწავლილი უნდა იყოს ისეთივე ყურადღებით, როგორც შეისწავლება ზოლმე სტატისტიკური გამოკვლევა რუსი ხალხის მეურნეობისა ან თხზულებები გლეხთა ადათ-ჩვეულებების შესახებ. არც ერთ საზოგადო მოღვაწეს, რომელ მიმართულებასაც უნდა ეკუთვნოდეს ის, არ შეუძლია თქვას, რომ ასეთი შესწავლა მისთვის სავალდებულო არ იყვეს. ამის გამო ვფიქრობ, შესაძლებელია ხალხოსან-ბელეტრისტებს ეპატიოს მრავალი ნებისითი და უნებლიეთი შეცოდებანი ესთეტიკის წინაშე“<sup>17</sup>.

ამ ბელეტრისტ-ხალხოსანების მიმართულება, მთლიანად აღებულო, წარმოადგენს რუსული მწერლობის მძლავრ რეალისტურ სკოლას. „საერთოდ ჩვენს ხალხოსანურ ლიტერატურას, — წერს იგივე გიორგი პლენხანოვი, — და კერძოდ ჩვენს ხალხოსანურ ბელეტრისტებს აქვს დიდი ღირსებები, რომლებთანაც, როგორც ჩვეულებრივ, მჭიდროდ დაკავშირებულია მისი ნაკლიც. „რაზნოჩინიეს“, ყოველისავე გალამაზებისა და ხელოვნების მტერს, უნდა შეექმნა, და შექმნა კიდევ, ღრმა, სინამდვილესთან დაკავშირებული, მართალი

<sup>17</sup> Г. Плеханов, Гл. Успенский, Сочинения, т. 10, М.—Л., 1925, 33. 15—16.

ლიტერატურული მიმართულება. ამ შემთხვევაში ის ერთგული დარჩა რუსული ლიტერატურის საუკეთესო იდეალებს... ის გამოხატავს შეხედულებას და მისწრაფებას საზოგადოების იმ ნაწილისას, რომელიც სამი ათეული წლის განმავლობაში რუსეთის მოწინავე ნაწილად ითვლებოდა. ამაშია მთავარი ისტორიული დაპატივება ხსენებული მიმართულებისა“<sup>18</sup>.

როდესაც ახალმა ქროლვან, მეტად მძლავრად მოძრავმა რუსეთის სინამდვილეში, რუს ინტელიგენციას რუსეთის ცხოვრებისა და მომავლის იდეალების შესახებ ახალი, მეტად ღრმა ამოცანები დაუსახა, აღმოჩნდა, რომ უდიდესი ნაკლი და დაბრკოლება იმაში მდგომარეობდა, რომ რუსმა ინტელიგენციამ, ხალხის ამ წინამძღოლმა, არ იცოდა რუსი მდაბიო ხალხის ცხოვრების სინამდვილე, მისი მდგომარეობა, მისი მისწრაფებანი. რუსულმა ლიტერატურამ იკისრა ამ დაქინებითი მოთხოვნილებებისა და ნაკლის შევსება. მან დიდი როლი შეასრულა ხალხის ცხოვრების გაცნობის საქმეში. მან გასცა პასუხი მრავალ საკითხს, რომლებიც მე-19 საუკუნის განმავლობაში, და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, სტანჯავდა რუს ხალხს და მისი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს.

რუსი ხალხოსნების შესახებ მოცემული ზოგადი ცნობები გვიჩვენა და დავამთავროთ ვ. ი. ლენინის შეხედულებით: „ნაროდნიკი თეორიაში სწორედ ისეთივე იანუსია, რომელიც ერთი სახით წარსულისაკენ იცქირება, მეორეთი კი — მომავლისაკენ, როგორც ცხოვრებაში იანუსია წვრილი მწარმოებელი, რომელიც ერთი სახით წარსულისაკენ იყურება, სურს რა გაამაგროს თავისი წვრილი მეურნეობა, არაფერი იცის და არც სურს იცოდეს საერთოდ ეკონომიურ წყობილებაზე და იმაზე, რომ აუცილებელია ანგარიშის გაწევა გამგე კლასისათვის, — ხოლო მეორე სახით იცქირება მომავლისაკენ, მტრულად განწყობილი მისი გამლატაკებელი კაპიტალიზმის წინააღმდეგ.“

აქედან ვასაგებია, რომ ნაროდნიკული პროგრამის უარყოფა მთლიანად, განურჩევლად, აბსოლუტურად უმართებულო იქნებოდა. ამ პროგრამაში მკაცრად უნდა გავარჩიოთ მისი რეაქციული და პროგრესული მხარეები. ნაროდნიკობა რეაქციულია, რამდენადაც, იგი გვთავაზობს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც გლეხს ამაგრებენ მიწაზე და წარმოების ისეთ ძველ წესებზე, როგორცაა „ნადელების“ განუსხვისებლობა და სხვ. რამდენადაც მას სურს შეაფერხოს ფულადი მეურნეობის განვითარება, რამდენადაც ის მოელის არა ნაწილობრივ გაუმჯობესებებს, არამედ გზის გამოცვლას

<sup>18</sup> Г. Плеханов, Гл. Успенский, Сочинения, т. 10, М.—Л., 1925,

„საზოგადოებისაგან“ და ბიუროკრატიის წარმომადგენლების ზეგავლენისაგან... ნაროდნიკული პროგრამის ასეთ პუნქტებს, რა თქმა უნდა, აუცილებლად ომი უნდა გამოეცხადოს. მაგრამ ნაროდნიკებს მოეპოვებათ სხვა პუნქტებიც, რომლებიც შეეხებიან თვითმმართველობას, „ხალხში“ ცოდნის თავისუფლად და ფართოდ გავრცელებას, „სახალხო“ (ე. ი. წვრილი) მეურნეობის „ამაღლებას“ იაფი კრედიტებით, ტექნიკის გაუმჯობესებით, გასაღების საქმის მოწესრიგებით და სხვა და სხვა. რომ ასეთი საერთო-დემოკრატიული ღონისძიებები პროგრესულია... ეს ღონისძიებები კი არ შეაჩერებენ, არამედ დააჩქარებენ რუსეთის ეკონომიურ განვითარებას კაპიტალისტური გზით, დააჩქარებენ შინაური ბაზრის შექმნას, დააჩქარებენ ტექნიკისა და მანქანური ინდუსტრიის ზრდას მშრომელის მდგომარეობის გაუმჯობესებით და მის მოთხოვნილებათა დონის ამაღლებით, დააჩქარებენ და გაააღვილებენ მის დამოუკიდებელ აზროვნებასა და მოქმედებას... მარქსისტებმა, მათი პროგრამის მთელი რეაქციული ნიშნების უკუგდებას შემდეგ, არათუ უნდა მიიღონ საერთო-დემოკრატიული პუნქტები, არამედ კიდევაც უნდა გაატარონ ისინი ცხოვრებაში უფრო ზუსტად, ღრმად და გაფართოებულად... მარქსისტები არათუ არ „სწყვეტენ დემოკრატიულ ძაფს“ თუ მიმდინარეობას... არამედ, პირიქით, მათ სწადიათ ამ მიმდინარეობის განვითარება და გაძლიერება, სწადიათ მისი დაახლოება ცხოვრებასთან, სწადიათ აიღონ ის „ძაფი“, რომელსაც „საზოგადოება“ და „ინტელიგენცია“ ხელიდან უშვებს“<sup>19</sup>.

ხალხოსნური მიმართულება რუსულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ აზროვნებაში იმდენად ძლიერი იყო, რომ 60-იანი წლებიდან დაწყებული თითქმის მე-20 საუკუნის კარამდე მძლავრ ლამპარსავით ენთო რუსულ ლიტერატურაში და დიდის გატაცებით ვრცელდებოდა რუსი მკითხველის ფართო წრეებში.

რუსეთის 60—70-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნება და მხატვრული ლიტერატურა არა მარტო რუს საზოგადოებას იტაცებდა და იზიდავდა, არამედ ამ მიმართულების გავლენა გადავიდა რუსი ინტელიგენციის ცხოვრების ფარგლებს გარეშეც. გაიტაცა რუსეთის სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოქცეული ერების ინტელიგენციაც, რომელიც, ისტორიული პირობების გამო, რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების საბუღარში იჩეკებოდა და იზრდებოდა.

<sup>19</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 611—613, მეოთხე გამოცემა, 1948 წ.

აღნიშნული პერიოდის რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნება და მხატვრული ლიტერატურა ნო-იანი წლებიდან დაწყებული ხელსაყრელი და ნაყოფიერი შეიქმნა ქართველი ახალგაზრდობისათვისაც. უნდა ითქვას, რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების უშუალო გავლენის ქვეშ, ხშირად პირდაპირი მიბაძვის გზითაც, შეიქმნა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ორი მძლავრი მიმართულების წარმომადგენელი ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ აზროვნებაში, ე. წ. თეოკრატიული და ხალხოსნები განვითარდნენ ზემოაღნიშნული პერიოდის რუსული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ზეგავლენის ქვეშ, რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრების სინამდვილის პირობებში და მისი თავისებურების გამოძევებით.

## თერგდალეულები 60-იან წლებში

### 1

60-იანი წლები ჩვენი ახალი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაშიც მეტად საგულისხმო გარდატეხის, ძალების დაჭიმვის, ძველის რღვევის, წინააღმდეგობის, აქლის ძიებისა და აღორძინების ხანაა. თუმცა-კი უნდა აღინიშნოს, როგორც ამას არჩილ ჯორჯაძეც ამბობს, რომ „მესამოცე წლების ჩვენს მოძრაობას, არც სირთულე, არც სიძლიერე რუსეთის მოძრაობისა არა ჰქონდა“. ეს მართლაც ასეა, მარგამ ეს გარემოება მარტო იმით-კი არ აიხსნება, რომ „ხალხის სამსახური იმ თავითვე თავად-აზნაურულ ინტელიგენციას დააწვა“, როგორც ამას არჩილ ჯორჯაძე ხსნის (ეს მხოლოდ ერთი მთავარი მიზეზთაგანია), არამედ იმიტომაც, რომ ჩვენი 60-იანი წლების საზოგადოებრივი, ეკონომიური და სოციალური ურთიერთობა ჯერ კიდევ არ განიცდის ისეთს ღრმა და გარკვეულ რღვევას, როგორსაც ამ დროს რუსეთში ვამჩნევთ.

ჩვენს ეკონომიურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას 60-იანი წლებიდან ახალმა ცხოვრებამ, შეიძლება ითქვას, უფრო მჭიდროდ ჩაავლო ხელი და ნებისით და უნებლიეთ აითრია საერთო ახალი ისტორიული გზით რუს ხალხთან ხელიხელჩაკიდებული სიარული-სათვის. საქართველო თავისი ინტერესებითა და პერსპექტივებით მჭიდროდ გადაეკვანძა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამით აიხსნება, რომ ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება 60-იანი წლებიდან ხშირად გავლენით არის ნასაზრდოები. ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს და მწერლებს იდეურ მისწრაფებათა თესლი, ხშირად მეთოდის მათი ცხოვრებაში დათესვისა და გატარებისა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებიდან და ლიტერატურიდან გადმოაქვთ.

იქ, რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისა და ცხოვრების აფორიამებულ ატმოსფეროში, იზრდებოდნენ და იწვრთნებოდნენ ეგრეთწოდებული თერგდალეულნი.

რასაკვირველია, მარტო რუსეთიდან გადმონერგული იდეებით ვერ ავხსნით თერგდალეულთა გამოსვლას სამოქმედო ასპარეზზე.

თერგდალეულნი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში, რასაკვირველია, ვერ გაჩნდებოდნენ, ფეხს ვერ მოიკიდებდნენ და განსაკუთრებით ჩვენს ცხოვრებას ვერ დაასვამდნენ ამოუფხვრელ დაღს, თუ თვით ჩვენი ცხოვრების წიაღში ადვილი არ ექნებოდა იმ ღრმა სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებასა და გარდატეხას, რომელიც რუსეთში, და აქედან ჩვენშიც, გამოიწვია კაპიტალიზაციის პროცესის გაღრმავებამ, რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი. დრომ და ჩვენი ცხოვრების ობიექტურმა პირობებმა გამოიწვიეს სამოქმედოდ თერგდალეულნი.

ძველი წყობილების რღვევამ, ახალი ცხოვრების პირობებმა, ახალმა სოციალურმა გადაჯგუფებამ, ამ დროს ჩვენს ცხოვრებაში თავი რომ იჩინა, ცხოვრებაზე ახალი შეხედულებანი გამოიწვია. ჩვენი სინამდვილს ამ ახალმა პირობებმა ჩვენი ცხოვრების ატმოსფერო გაუღინთა და წარმოშვა ახალი სურვილები და მოთხოვნილებები.

ცხოვრების ამ ახალი სურვილებისა და მოთხოვნილებების გარკვევის ტკივილი, როგორც ეს ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ, მწვავედ იგრძნო ჯერ კიდევ ნიკ. ბარათაშვილმა. მისი კაენიანი ბორგვა ძირითადად სწორედ ამ გარემოებით იყო გამოწვეული („მგრანი“, „სულო ბოროტო“).

ეს სურვილები ილია ჭავჭავაძემ ქართულ ცხოვრებაში, მოდუნებულ და დაძაბუნებულში, მაგრამ ამ დროს საკმარისად ამღვრეულში, ამოიკითხა. ლექსში „ქართვლის დედას“ მან აღიარა ძველის დაკარგვით გამოწვეული წუწუნისა და დარდის დატოვება ახალი ვარსკვლავის, ახალი გზის მიყოლისა და ახალი მომავლის გამოქედვის აუცილებლობა.

ძველი ცხოვრების ფორმებით დაუკმაყოფილებლობა, ახლის ძიება — აი მთავარი, რაც ახასიათებს 60-იანი წლების ახალ თაობას.

მომავლის სახისა და შინაარსის გამონახვა და შესაფერი მოქმედების გეგმის შემუშავება იმ პირობებში ადვილი საქმე არ იყო. ანისათვის როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად შესაფერი ცოდნითა და მომზადებით აღჭურვა იყო საჭირო. ამ მიზნისათვის ჩვენი ქვეყნის სინამდვილე, სამწუხაროდ, სასურველ ნიადაგს არ იძლეოდა.

ახალ ცხოვრებას მოწყურებული ჩვენი ახალგაზრდობა, ძიების სურვილით აღტყინებული, ახალი ცხოვრების გზის გამოსანახავად მიაშურებს რუსეთს. ჩვენი მაშინდელი ახალგაზრდობის რუსეთში წასვლის სულიერი განწყობილების მიზეზსა და მიზანს ილია ჭავჭავაძე, ეს თვალსაჩინო მოქმედი და მამოძრავებელი



ძარღვი 60-იანი წლებისა, რუსეთში წაპელის წინ 1857 წელს დაწერილ ლექსში „მგზავრის მთებზე“ ასე გამოთქვამს:

რა რიგ მიყვარდით, მეგობარო ჩემ ყმაწვილ ყრობის,  
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთისოფლის,  
მომავლის ბედი გაყარას ითხოვს ჩემგან მსხვერპლად,  
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელად?...

ხოლო რუსეთიდან დაბრუნებისას იგივე ილია ჭავჭავაძე თავის „მგზავრის წერილებში“ ასე აფასებს რუსეთში გატარებული ცხოვრების პერიოდს: „ოთხი წელიწადი იყო, — წერს ილია, — რაც მქო რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩვენი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია? პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია; მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისგან გაღებულნი. მაგრამ ყველასათვის-კი არა. მარტო იმისათვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ქვეყანა ავარჯიშოს, ტვისსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევიწნოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვისსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალყურძენაც. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო!“

ილია ჭავჭავაძის ეს განცდა — განცდაა ჩვენი სამოციანი წლების ახალგაზრდობისა. მისი ეს სიტყვა სიტყვაა ახალგაზრდათა იმ ჯგუფისა, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ცნობილია თერგდალეულთა სახელწოდებით.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან ზემოთ მოტანილ ციტატებში გვეძლევა იგასაღები ჩვენი 60-იანი წლების ახალგაზრდობის ძიებისა, მისწრაფებისა, ტკივილებისა, აღტაცებისა, გატაცებისა და შემოქმედებისა. „ვალი ამ წუთისოფლის“ ამორებს ჭაბუკ პოეტს (და სხვებსაც) სამშობლოს, და ეს უდიდესი მსხვერპლია, თუმცა, სამშობლოსავე საკეთილდღეოდ, პოეტისაგან გაღებულნი.

ასეთი სულიერი განწყობილება, — მომავლის მოვალეობის შეგნება რომ მართლა მიერეკებოდა ჩრდილოეთისაკენ არა მარტო ილიას, არამედ საერთოდ ჩვენს ახალგაზრდობას, ამას სხვა თერგდალეულებიც ამოწმებენ. მაგალითად, ნიკო ნიკოლაძის „მოგონებანი“, გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“ ანუ „ნიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. განსაკუთრებით საყურადღებოა ნიკო ნიკოლაძის, როგორც ჩვენი 60-იანი წლების ერთ-ერთი საუკე-

თესო წარმომადგენლის, სპეციალური „მოგონებანი სამოციან წლებზე“..

ეს „მოგონებანი“ აშკარად გვიმოწმებს, რომ რუსეთში მყოფი ჩვენი ახალგაზრდობა ჩაბმული იყო იმ ცოცხალ ოდნურ მუშაობასა და მოძრაობაში, რომელიც ასე მძაფრად უღინთავდა პეტერბურგის (ახლანდელი ლენინგრადის) უნივერსიტეტს და საერთოდ რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობის აზროვნებას. ქართველ ახალგაზრდობას, ნიკოლაძის მოწმობით, „კავშირი და ურთიერთობა ჰქონდა რუს და, განსაკუთრებით, „პოლონელ სტუდენტებთან“ (ასეთსავე ცნობას იძლევა გ. წერეთელიც თავის მხატვრულ ნაწარმოებში — „მგზავრის წიგნები“).

ნიკო ნიკოლაძე, სხვა მრავალ საინტერესო ფაქტთან ერთად, „მოგონებანში“ შემდეგ საინტერესო ცნობას გვაძლევს: „ჩვენ წრეში, — იადმოგვცემს ნიკოლაძე, — პოეტის, ილია ჭავჭავაძის, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1861 წლის ზაფხულს, უდარავნებლად მოიპოვა ნიკო დოღობერიძემ, რომელმაც ისტორიკო-ფილოლოგიური ფაქულტეტი დაასრულა... სექტემბრის 24-ს ვისადილეთ მ. ი. სემიონოვის ქალთან... რომ სასადილოში შემოვიდნენ ორი დოღობერიძე. ნ. ბ. და ბ. ლ. დოღობერიძეებმა იადმოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენტობა... დემონსტრაციაზე გამოდისო და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობა. დემონსტრაცია-კი იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ სტუდენტები თავს მოიყრიდნენ ჯერ უნივერსიტეტში და მერე ნევის პროსპექტით და ვლადიმირის ქუჩით გაემართებოდნენ, რათა პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის წარედგინათ მოთხოვნილება უნივერსიტეტში წესრიგის დაცვისა და მატრიკულის შემოღების წინააღმდეგ პროტესტი განეცხადებინათ... „შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც ყველა სათვისტომოები დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენო“. ამაზე კირილე ლორთქიფანიძემ თქვა, — განაგრძობს ნიკოლაძე, — „ქართველები სხვებს ვერ მიჰბაძავენ. რუსეთში, პოლონეთში, მალოროსიაში ბევრია ნასწავლი ხალხიო. ეს ქვეყნები უინტელიგენტოდ არ დარჩება, მათი ახლანდელი სტუდენტობა სულაც რომ აღიგაოს პირისაგან დედამიწისა. ჩვენში-კი საქმე სხვანაირია, ჩვენ ქართველი სტუდენტობის პირველი თაობა ვართ<sup>1</sup>. ჩვენ, რომ ახლა დავბრკოდეთ, ქართველ მამებს შემდეგ ვერც-კი გააგონებ შვილები უნივერსიტეტში გაგზავნონ. ძველებურად საკადეტო კორპუსებში მიაბარებენ. ეს უფრო ადვილი საქმეა და იაფიც ჯდებაო“. ბევრი კა-

<sup>1</sup> დაყოფა ჩვენია

მათის შემდეგ, — განაგრძობს ნიკოლაძე — ნიკოლოზ ლოლობერი-  
ძემ წასვლისას სიტყვა გვესროლა: „ვინც მშიშარა ხართ, სახლში  
დარჩითო“. ეს-კი საკმაო იყო იმისათვის, რომ არა თუ დემონს-  
ტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზედაც შეგვეხეთ-  
ქებინა“<sup>2</sup>.

მართლაც, როგორც ნიკო ნიკოლაძე იმავე „მოგონებანში“ მოწ-  
მობს, ქართველმა სტუდენტობამ გაიზიარა რუსი სტუდენტობის  
ბედი, აქტიური მონაწილეობა მიიღო დემონსტრაციაში და საკმარის-  
სად საგრძნობადაც დაისაჯა.

ამას გარდა, ნიკოლაძის „მოგონებანი“ კიდევ იმითაც არის სა-  
გულისხმო და საყურადღებო ჩვენთვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა  
რუსეთში სწავლისათვის გასული და იქაურ საზოგადოებრივ მოძ-  
რაობაში ჩაბმული, მტკივნეულად გრძნობს თავის მოვალეობას სამ-  
შობლოს წინაშე. გრძნობს, რომ ის „პირველი თაობაა სტუდენ-  
ტობისა“, ე. ი. ახალი ფორმაციის ქართველი ინტელექციისა,  
გრძნობს, რომ სამშობლოსათვის მათი დაკარგვა აუნაზღაურებელი  
დანაკლისი იქნება. და ამას თავიანთი თავის განდიდებისათვის, ან  
პირადი შიშით კი არ ამბობენ, არამედ სამშობლოსადმი მოვალეობი-  
სა და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით. ამაშია ჩვენი 60-იანი  
წლების ახალთაობის მისწრაფების ერთი უდიდესი განმასხვავებე-  
ლი შტრიხი. ეს ერთ ვ ე ნ უ ლ ი გ რ ძ ნ ო ბ ა ა, რომელაც ახასია-  
თებს და ამოძრავებს ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლი-  
ტერატურასაც ამ პერიოდში.

ბუნებრივია და დამახასიათებელი ჩვენი განახლებული საზო-  
გადოებრივი ცხოვრების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული პირ-  
ველი დასისათვის, ე. წ. თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ის სუ-  
ლიერი განცდა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე თავის „მ გ ზ ა ვ რ ი ს  
წ ე რ ი ლ ე ბ შ ი“ გვაძლევს.

ოთხი წლის გაყრის შემდეგ ილია ჭავჭავაძე მოუახლოვდა თუ  
არა სამშობლოს და მოსი სიო იგრძნო, მძლავრი, ნაცნობი ფიქრები  
მას კვლავ მეტის სიციხადით და სიმწვევათ წამოეჭრა: „როგორ  
შევყრები, — ეკითხება პოეტი თავის თავს, — მე ჩემს ქვეყანას და  
როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას  
ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყა-  
ნამ ზურგი შემომამქციოს, როგორც უცხო ნიადაგზე დარგულსა და  
აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომამქციოს, იქნება მიმითვისოს  
კოდცა, რადგანაც ჩემში მაინცდამაინც ჩემის ქვეყნის ღვრიტაა და-

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, მოგონებანი 60-იან წლებზე, „კავკასიონი“, 1924 წ.,  
№ 3—4.

დებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მაპიყოლოს და მიამბოს თავისი დარდი, წუხილი, მხიარულება, იმედი, თუ უიმედობა, და მე-კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდევ და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას, და ხარბად დაჰიგდოს ყური! მაგრამ მე შევეძლებ-კი რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და ამ სიტყვით დავრდომილს ადგომის იმედი მოვფინო, უნუგეშოს ნუგეში ვცე, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო და ის თვითუღი ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველ კაცში არ ეონავდეს, ერთად შევაგროვო? შევიძლებ-კი? შევიძლებ-კი გასაგონის სიტყვის თქმას? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმი-თვისებს კიდევ, იმიტომ, რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ... ჩემს სიტყვასაც გავაგონებ, იმიტომ, რომ შვილს სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზე ვლაპარაკობ, საქმე-კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქ? ვკითხე ჩემს თავს და გაუჩერდი. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი“.

ეს განცდა 60-იან წლებში „თერგდალეული“ ახალგაზრდობისათვის საერთო განცდაა.

## 2

### ილია ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედება 1857—1860 წლებში

ილია ჭავჭავაძე „თერგდალეულების“ მსოფლმხედველობის ტიპური და მეტად მკვეთრი გამომხატველია საერთოდ და კერძოდ ამ გარდატეხის ხანაშიც, ე. ი. 1857—1860 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს. ამისათვის მისი შემოქმედება და განცდები ამ პერიოდშიც საჭიროა მეტის ყურადღებთა შევისწავლოთ. ფაქტიურად ამ პერიოდშიც ის თერგდალეულთა ცენტრშია. ილია ჭავჭავაძის შესწავლა ამ გარდატეხის პერიოდშიც მრავალ საგულისხმო მასალას იძლევა საერთოდ ჩვენი ახალგაზრდობის ფსიქოლოგიის გასაგებად და შესასწავლად.

თუ მხედველობაში მივიღებთ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თარიღებს, რომლებიც მის ზელნაწერებს (შავებს) აქვთ, უნდა დავასკვნათ, რომ სწორედ 1857—1860 წლებში ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაშიც ერთგვარი ძიებაც, მომ-

ზადების, დადუღების, თვითგამორკვევის გარდატეხის ხანას ვამჩნევთ. 1859—1860 წლები უკვე დაძლევის, გარკვევის წლებია.

1857—1860 წლები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში შეიძლება აღინიშნოს, როგორც პირველი პერიოდი მისი შემოქმედებისა. სწორედ ამ პირველ პერიოდში ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში იკვანძება კვირტი, რომელშიც ჩათესილია ახალი საქართველოს გამონახვით გამოწვეული ტკივილები.

რუსეთში ჩასვლისთანავე ილ. ჭავჭავაძეს, მსგავსად სხვა თერგ-დალეულებისა, აი რა ძირითადი აზრი ამოძრავებს:

დაე თუნდ მოკვდე, არ მეშინიან,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,  
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი:  
რომ ჩემს საფლაგზედ დაყუდებულმან,  
ქართველმა ჩემგან შეეყარებულმან,  
გულწრფელობითა და სიმართლითა  
მე ჩამომძახოს თუნდ ჩემის ხმითა:  
იგავ მშვიდობით, შენს მყუდრო ძილში!  
შენ გიციობლია, როგორც უნდოდა;  
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან ჩრდილში  
ამოღ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

ამ მისწრაფებას ილია ჭავჭავაძე მთელი ცხოვრების მანძილზე განუხრელად მისდევდა.

იქაც-კი, რუსეთში ილიას გული მამულის სიყვარულით არის ანთებული, მის გამახვილებულს ყურს იქაც-კი ესმის „ქართვლას ძილში“ ტანჯვით ამოძახილი კვნესა. ეს კვნესა ჭაბუკი პოეტის გულს აალებს და ლექსში „გაზაფხული“ დაუძლეველი ნატვრით ათქმევინებს: „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდებიო“.

1857 წელს ილიამ თავის პირველ დაბეჭდილ ლექსში „ყვარლის მთებს“ გამოხატა ძირითადი მიმართულება თავისი ბუნებასა და შემოქმედებისა. მისი შემოქმედების ისტორიაც ამ ლექსით უნდა დავიწყოთ, თუმცა ილიას ლექსის წერა უფრო ადრე დაუწყია.

ჭაბუკ-პოეტს მამულის წინაშე მოვალეობის შეგნება გაამგზავრებს რუსეთში. ის (როგორც სხვა თერგდალეულნიც) ერთგვარი ჭიების, მღელვარების, იმედიანი და იმედგაცრუებულობის ტალღებში დატურავს, პირველ ხანებში ილია თავისი მტანჯველი მისწრაფებით მართობასა გრძნობს და ნაღვლიანად აი რას ამბობს:

მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში,  
თითქოს უსურვლოდ და უფიქრელად;  
და ზღვის ღელვაში, გრივალთ ქროლაში  
არა-რა აქვს რა ჩემს გულს იმედად.

(1858 წ. 5 ნომბ.).

მართალია, პოეტი თავისში გრძნობს ძლიერ კინეტიკურ ძალას, ენერგიას, მაგრამ მაინც ცხოვრების ზღვის წინაშე ერთგვარ კრძალვას, შინაშე განიცდის. იგი გრძნობს ჭერ კიდევ თავის მოუძნალებლობას, უნიდადობას. პოეტს თავისი თავი წარმოუდგენია ცხოვრების ზღვაში მცირე ნავით შეცურებულად და ეკითხება „წუთისოფლის ზვირთს“:

რას შემამთხვევ, ვინ იცის  
აზრი შენის ცივის წყლის?  
აწყო კეთილს არ ამბობს  
და წარსულიც მას სთანხმობს.

პოეტს ეშინია, რომ მის ნავს წუთისოფლის ზვირთი ცხოვრებას „დიდი ზღვის“ მორევში შეიტანს და იქ ჩაღუპავს. ჭაბუკ პოეტს, მართალია, ენატრება „დიდი ზღვის“ ტალღების მოძრაობის განცდა, მართალია, მას უნდა მომავლის უხილავი ვარსკვლავი იხილოს, მაგრამ მაინც ჭერ კიდევ ვერ გრძნობს მტკიცე ნიადავს, რომ ვაბედულად შეაცუროს თავისი ნავი. და ასე მიმართავს ალფეგორიულად მდინარეს, რომლის ზედა ნაპირზედაც, პოეტის განცდით და ასახვით, ის დაცურავს თავისი მცირე ნავით:

ორსა ობლად მცურავსა,  
მე და ჩემს მცირე ნავსა  
ჰოი, გვედრებ, მდინარევ,  
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ.

პოეტი თანდათან დიდის სისწრაფით კაედება, მისი ნებისყოფა მტკიცდება, დაბრკოლებათა გადალახვაში მისი ბუნება თანდათან ფოლადდება, მაგრამ ერთგვარი შინა მომავალი ცხოვრებასათვის ბრძოლისა, თავისი ძალების უიმედობისა პოეტს მაინც ტანჯავს.

აი როგორ გადმოგვცემს 1858 წლის 26 დეკემბერს დაწერილ ლექსში ილია თავის განცდას:

ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ შელის  
ბევრიც სხვა ტანჯვა მომავალშია,  
მაგრამ ეს არის მიზეზი ცრემლის;  
რომელიც მარად თრთის ჩემს თვალშია.

3 ილ. კ ა ე კ ა ე ა ძ ე, სიმღერა, 1858 წ., 4 ივნისი.

ამ ტანჯვის მიზეზს პოეტი ასე გვამცნობს:

ყველას გაუძლებ, როგორც კლდე ქვისა,  
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება!  
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა  
არ ძალმძის, ძმანო, ვერ რით გაძლება<sup>4</sup>.

ილიას ამ პერიოდის განცდის ძირითადი მოტივები: კრძალვა, შიში, მარტოობა, უკმაყოფილება წარსულითა და აწმყოთი — საერთოა და დამახასიათებელი თერგდალეულებისათვის, რომელნიც ჩვენი ეკონომიური ცხოვრების რღვევის ნიადაგზე აღმოცენდნენ. ამ დროს თავადაზნაურობა აღარ წარმოადგენს მთლიან კლასს, თუ წოდებას. საზოგადოებრივი ცხოვრების ახალმა ეკონომიურმა პირობებმა და მიმართულებამ, კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე აღმოცენებულმა, პრივილეგიური კლასი დაშალა. მასში შეიქმნა შინა ჯგუფები (დიდი შეძლებული, საშუალო ქონების პატრონი, წვრილი და გაკოტრებული თავადაზნაურობა). ახალი ცხოვრების მოწოდებით გაკოტრებული, წვრილი და ხშირად საშუალო შეძლების პატრონი არ კმაყოფილდებიან ძველი ცხოვრების ფორმებით და ტრადიციებით. მათი ინტერესები აღარ ეთანხმორება ამავე კლასის სხვა (უფრო შეძლებული) ჯგუფების ინტერესებს. მათ წინაშე ისმება „ყოფნა არყოფნის“ საკითხი. ისმება საკითხი ახალი გზის გამონახვისა. და სწორედ ეს ნაწილი — განათლებული საშუალო და წვრილი თავადაზნაურობა — ეწაფება ახალ ცხოვრებას, უნდა ალღო პულოს მას, და მომავლის ცხოვრების ახალი მოთხოვნების თანახმად, საზოგადოების სხვა პროგრესულ ელემენტებთან, მშენებლობაში ჩაებას. ასეთმა სოციალურ-ეკონომიურმა (დარღვეულმა, დასუსტებულმა) მდგომარეობამ თერგდალეულებში თავდაპირველად განავითარა ის გამოურკვევლობა, შიში, კრძალვა და მასთან სურვილი (საკმარისად მძლავრი) ცხოვრებისა, რომელიც ჩვენ ილია ჭავჭავაძის ზემოთ მოტანილი პირველი პერიოდის ლექსებში დავინახეთ. თერგდალეულების მსოფლმხედველობის ზრდა და თვითგარკვევა პეტერბურგში (ლენინგრადში) ჩქარის ტემპით ვითარდება იმ რთული პირობების ვაშლად (რასაკვირველია, შედარებითა წინა პერიოდის ცხოვრებასთან), რომელთა გავლენას ჩვენი თერგდალეულნი ხარბად ისუნთქავენ.

თუ 1858 წლის მიწურულში პოეტის კრძალვა და შიში ცხოვრების „დიდი ზღვის“ წინაშე სუსტდება, თუ ამ დროისათვის მას ბედთან ბრძოლა ვეღარ შეაშინებს და ის იმედოვნებს, რომ „ყველას

4 ი. ჭავჭავაძე, ბევრი ვიტანჯე, 1858 წ., 26 ლექსი.

გაუძლებს, როგორც კლდე ქვისა“, მხოლოდ მას აღონებს „თავის არარაობა“, — 1859 წლის დასაწყისშივე ჭაბუკი პოეტი ამ განცდაზეც გაიმარჯვებს. ბედს, რომელმაც აქამდის ის სულ თავის ნებაზე ათამაშა, მას ბევრი კარგი ნუგეში მოუკლა, თვალები სისხლის ცრემლით დაუწვა და გულზე თავისი ბრჭყალები დააჩნია, — თამამად და შინაგანი ძალის დიდი შეგნებით შესძახებს ლექსში „გავსწორდეთ, ბედო!“.

გეყო!.. მოვიდა დრო ანგარიშის,  
მოდო გავსწორდეთ, ნუ მემალეები;  
წავიდნენ დღენი შენის უფლებების,  
დროა გაცვალოთ ჩვენ ადგილები...  
შენს დუღუკზე და აქამდის ვხტოდი.  
ბევრჯელ და ბევრჯელ შენ მაძრუწუნე,  
ესლა დუღუკი მე მაქვს, აქ მოდო,  
მე დაუკრავ და — შენ კი იხტუნე<sup>4</sup>.

ილია ჭავჭავაძის ასეთს ზრდასა და განვითარებაში ჩვენ, შეიძლება ითქვას, მკვეთრად ვხედავთ საერთოდ „თერგდალეულების“, ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ზრდას. ამასვე განიცდიან დანარჩენი თერგდალეულებიც: ნიკო ნიკოლაძე, გ. წერეთელი, აკაკი წერეთელი, კირ. ლორთქიფანიძე და სხვანაირ<sup>5</sup>.

როგორც დავინახეთ, 1859 წლისათვის ილია ჭავჭავაძე თავის გრძნობებზე უკვე გაბატონდა, მას ნებისყოფა საკმარისად გაუფოლადდა, ცხოვრებისა მას აღარ ეკრძალება, როგორცა ჩანს, აღარც ეშინია. პირიქით, მას ერთგვარი მეტოქეობის გაწევის სურვილი და უინიც-კი ამოძრავებს.

სწორედ იქ, პეტერბურგში, ამ მომზადებისა და თვითგამორკვევის ხანაში, 1857—1860 წწ., ილიასათვის სურათი ახალი საქართველოსი თანდათან ირკვევა. უკვე ამ პერიოდში პოეტისათვის აშკარა შეიქნა ის იარები, რომლებიც ქართველი ხალხის ორგანიზმატანჯავდა. სწორედ ამ მომზადების ხანაში აქვს ილიას დაწერილი პოემა „აჩრდილის“ პირველი ვარიანტი, რომლის წინასიტყვაობაც მეტად საგულისხმოა:

მიიღეთ, ჩემო მეგობრებო, პირმშო ძე ჩემი,  
ასლად შობილი ნუგეშის და იმედ მომცემი...

<sup>4</sup> დაყოფა ჩვენია.

<sup>5</sup> იხ. კ. მეძველიას შრომა „თერგდალეულები და რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები“.



იგი მოგითხოვს ჩემსა ტანჯვას და ჩემსა ფიქრსა,  
რა მამის ცრემლი ზედ ატყვია ლოყებზე შეილსა.  
მიიღეთ ძღვნადა თქვენ მეგობრის ლალი ტირილი,  
თამამად მოთქმა მის, რომელიც აშინებს სხვასა;  
მიითვისეთ და შეიყვარეთ ჩემი აჩრდილი,  
ეგ მოვავონებსთ, მეგობრებო, ჩემ გულის წვასან.

იქ, რუსეთში, სამშობლოს დაშორებულ ილიას წარმოუდგება საშინელი სურათი ქართველი ხალხისა, მისი გაწბილებული, შეგინებული, გაპარტახებული მდგომარეობისა, სადაც მოსამართლე „თავის სამართალს სწონავს და ჰყიდის ვერცხლის ფასად, მდიდრისა მსხვერპლად ჰხდის ის მართალსა და ღარიბს ღუპავს მარად და მარად“, სადაც ვაჭარი „ცბიერი ღიმილით კაცსა ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა, — და კაცი მოკვდეს თუნდა სიმშლით, უნაღვლოდ, განვლის ცხოვრების ხილსა“, სადაც „მღვდლებს“, ხალხთა „მამათ“, რომელთ ღვთისაგან შთაბერებიათ ამა ხალხისა სულთა აღზრდანი, რა რიგ გულხელი დაუკრეფიათ“<sup>6</sup>.

ხალხის ცხოვრების ასეთი სურათით აღელვებული პოეტი აღშფოთებით წამოიძახებს:

სად არის სიტყვა მაღალ სწავლისა,  
სიყვარულისა და სიმართლისა,  
რომ მათ ბაგითგან არ მომდინარობს,  
ოდეს ღემონი კაცუნდა ხარობს,  
რომ ბოროტებას, ბიწსა, ცოდვასა,  
შესაზარელსა არ ასვამს დალსა<sup>8</sup>.

მაგრამ „აჩრდილში“ განსაკუთრებით აღშფოთებითაა დახატული ბატონყმობის „უფლება“, მახინჯი ურთიერთობით „წაწყემენდილი“, შეგინებული ადამიანობა და ცხოვრება, სადაც ყმას დღე-ღალამ უხდება „ტანჯვა და შრომა, დარში, ავდარში მინდორში დგომა, ვაი-ვაგლახი, თმენა, შიმშილი და უძილობა“. ასეთი ცხოვრებით მოპოვებული ჭირნახული მიაქვს მუქთანხორა ბატონს, რომელიც გესლიან პარაზიტსავით ყმას აზის ზურგზე. ბატონყმობის ქვეყანაში, — ამბობს ილია „აჩრდილში“, — „ყმაში კაცის გრძნობას არ ჰხედავენ, დედას ძუძუდან შეილსა ავღლევენ, ვინ უწყის საით, სად გაჰყიდონ, შეუბრალებელ ხელითა სთხრიან დედისა გულში უკეთეს გრძნობას, ცოდვად უთვლიან შეილისა ტრფობას“. თუ გლეხის ქალი ლამაზი და მოხდენილი იქნება, ეს მის მშობელს,

6 ილ. ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 281.

7 ილ. ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, აჩრდილი, ტ. I, გვ. 290.

8 იქვე.

სიამოვნების მაგიერ, მძიმე ტანჯვას ნიაყენებს; უზნეო, აღვირაბსნი-  
ლი და ჟინიანი ბატონები, — მიმართავს გლეხკაცს პოეტი:

ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,  
ნამუსს მოუყვლენ შეუბრალებლად:  
უმანკო სულში ღვარძლს ჩაუსხმიან,  
გახდიან ყვაილს ფეხ-ქვეშ სათრევად.  
უმანკო პირზე შენს ტურჯა ქალსა  
გარყენა დასევამს საზარო დაღსა;  
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,  
ნამუსს წართმეულს და შეგიწყებულს.  
პირს უკუ იქცევ, თვით შეშინდები,  
ცრემლს მოინდომებ და არ კექნება,  
წყევით, ვაებით გამობრუნდები,  
შენ შენი ქალი თვით შეგძულდება;  
და მაშინ იტყვი: „ნეტავი გველად,  
გველის წიწილად გამჩენოდი მე,  
და არ გამხდოდი ქვეყნის სათრევად,  
ვაიმე შვილო, ვაი, ვაიმე“.

ასეთივე მძიმე სურათი გლეხკაცის ცხოვრებისა დახატულია  
„გუთნის დედა“-ში<sup>10</sup>. გლეხს „ზეცა (ე. ი. ადამიანური ცხოვრე-  
ბა. — მ. ზ.) წაართვეს ძალით“, მისი მდგომარეობა არამც თუ არ გან-  
სხვავდება პირუტყვის მდგომარეობისაგან, არამედ, შეიძლება, უა-  
რესიც იყოს. აი ნაღველითა და ბოღმით სავესე გუთნის დედა რას  
ეუბნება თავის ლაბას:

შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი!  
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...  
რად მინდა ხნალი, თუნდ იყვეს შქრელი,  
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?!

მართალია, გლეხი მეტყველია, მაგრამ პოეტის მწვავე გაგებე-  
თა და მკვევრმეტყველი თქმით, ეს მდგომარეობა უარესია, რადგან  
მისი ჭირით, წუხილით, მძის კაცობის გულის დუღილით გამოწვე-  
ული სიტყვანი მხოლოდ იზადებიან და გულშივე გამოუთქმეილად,  
„უზმოდ კვდებიან“. თითქოს ერთგვარი შურით, ასე მიმართავს ლა-  
ბას გლეხი:

<sup>9</sup> ილ. ჰავჭავაძე, აჩრდილი, ტ. I, გვ. 295.

<sup>10</sup> ცხადია, ამ ლექსში ილია ჰავჭავაძემ აგრეთვე მკვეთრად გამოხატა მაშინ-  
დელი ცენზორის ბრკულალებში მომწვედელი მოაზროვნე ინტელიგენციისა და  
მწერლობის მდგომარეობა და პროტესტი თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღ-  
მდეგ.

შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,  
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს...  
აქ მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი  
შენს უღელზედა უფროა ძნელი.

საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი მდვომარეობის რეალურ-მა განჰყრეტამ ჰაბუკობიდანვე პოეტის გულისა და ფიქრის დაუნდობელი ღრღნა და წვა გამოიწვია. იქ, შორეულ რუსეთშიც კი, ილია ვერ იცილებს თავიდან ჩვენი ცხოვრების შემადარწუნებელ ლანდს. ეს სურათი მასში „ლალ ტირილს“ იწვევს და თავის ნაღველს პოეტი „აჩრდილში“ გადმონახეფს. ერთი-კია აღსანიშნავი: ახალგაზრდა, ხალხის მწუხარებით დაკოდელ პოეტის გულს უიმედობა ვერ ერევა წყვილიდ ღამეში, მძიმედ ჩამოწოლილ სქელ ნისლში პოეტი მაინც ჰკრეტს „დამხსნელ ვარსკვლავს ჩვენს მამულზედა შემდგარს“<sup>11</sup>.

ეს იმედია, რომ აფოლადებს მის (და საერთოდ თერგდალეულების) ნებისყოფას. ეს იმედია, რომელიც ილიას გამოიწვევს მართოკაც კი გამოვიდეს ბრძოლის ასპარეზზე და მასნი დაგუბებული ძალა უადამიანო ცხოვრებით გამოწვეულ შხამსა და ნაღველში გალესოს. ეს იმედი და ძალაა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების გავლენის ქვეშ მყოფ ილიას რომ წარმოათქმევინებს:

ბნელო დემონო<sup>12</sup>, აღავსე გესლით  
ამ დაღლილ ხალხის სუსტი არსება,  
და ბოროტების ძლიერ მარჯვენით  
პირველ შენ ჩარგე აქ ბოროტება<sup>13</sup>.

ამ დროისათვის, 1860 წლისათვის, ილია ჰავჰავადის გაკაეება და გარკვევა უკვე აშკარაა. პოემა „აჩრდილის“ დაბოლოება მოგვაგონებს ამავე 1859 წ. დაწერილ ლექსს „გავსწორდეთ ბედო“, რომელიც ჰაბუკური კადნიერებით სავსე პოეტი ბედს ასე მიმართავს:

ეხლა დუღუკი მე მაქვს, აქ მოდი,  
მე დაუკრავ და შენ კი იხტუნე.

<sup>11</sup> ილ. ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე, აჩრდილი, ტ. I, გვ. 305.

<sup>12</sup> ამ სიტყვას აეტორის მიერ შავში ასეთი საგულისხმო შენიშვნა აქვს. „ამ ღემონს იცნობს ყოველი. ვისაც კი საქმე ესმის“. ეს შენიშვნა მოწმობს ილიას შეგნებაში ამ დროს ბრძოლის ეინის არსებობას, რუსეთის 60-იანი წლების დემოკრატიული აზრების გავლენას.

<sup>13</sup> ილ. ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე. აჩრდილი, ტ. I, გვ. 239.

როგორც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პირველი (მომზადების ანუ პეტერბურგის) პერიოდის განხილვიდანაც ჩანს, ჩვენი პოეტი გამსჭვალულია იმ იდეებითა და სულიერი განწყობილებით, რომლებიც რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების 60-იან წლებში ღვივდებოდა და ვრცელდებოდა. ცხადია, და ამას ქვევით უფრო აშკარად დავინახავთ, რუსეთის მოწინავე კულტურული გავლენა, მისი ლიბერალურ-პროგრესული მოძღვრებანი, უტოპისტი სოციალისტების იდეები, რომელთა გავლენის ქვეშ იზრდებოდა და მუშავდებოდა რუსეთის ინტელიგენციის აზროვნება, საკმარისად მძლავრად ითესლება თერგდალეულებში და კერძოდ ილია ჭავჭავაძეშიც. ეს თესლი და ამით განაყოფიერებული მომავალი პრაქტიკული მოღვაწეობის გეგმა თერგდალეულებში, კერძოდ ილია ჭავჭავაძეშიც, იქვე, რუსეთში 60-იანი წლებისათვის მომწიფდა.

აღბათ, სწორედ იმიტომ, რომ ილიას ფიქრები მომწიფდა, მას მძიმე, მტეხავ იარად გადაექცა მოქმედების, მოღვაწეობის გზა და, მისი აუცილებლობა მისთვის უკვე მკაფიო, აშკარა შეიქნა, მან ვეღარ შესძლო რუსეთში დარჩენა; იგი ტოვებს უნივერსიტეტს (უკანასკნელ კურსზე იყო), აღარ ათავენს და მძლავრი შინაგანი დულილით და მოწყურებული სურვილით მიღებული თესლის გასანაყოფიერებლად სამშობლოსაკენ გამოეშურება. ასეთივე ძლიერი განწყობილება ახასიათებს ამავე პერიოდში სხვა თერგდალეულებსაც.

თერგდალეულებს საქართველოში სამოღვაწეოდ შესაფერი ნიადაგი, მომზადებული წინა თაობისა და პერიოდის მუშაობით, არ დახვდათ. იმდროინდელი ჩვენი „მამა“ არ ჰგავდა იმ „მამას“, რომელსაც რუსეთში ებრძოდნენ „შვილები“. ამ „მამას“ კავშირი არა ჰქონდა რუსეთის ახალ ბურჟუაზიულ ლიტერატურასთან და კულტურასთან. იგი თითქმის მთლიანად იყო მემამულე თავადაზნაური, სამსახურის, პირადი და ოჯახის კეთილდღეობის მაძიებელი, ძველი ზნე-ჩვეულების დაკარგვით მეტად აღმფოთებული. ეს გარემოება უფრო ართულებდა და აძნელებდა ახალგაზრდობისათვის მოქმედების გამლას. მას არა ჰქონდა ბუნებრივი მტკიცე გარდამავალი საფეხური კულტურული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუციაში. ეს გარემოებაც ერთ-ერთი მიზეზია ჩვენი 60-იანი წლების ცხოვრების სიმარტივისა, შეიძლება ითქვას, სიმჩატისაც (რასაკვირველია, შედარებით რუსეთის 60-იან წლებთან). 60-იანი წლების თაობას — თერგდალეულებს თვითონვე უხდებოდათ ყოველმხრივ გზის გაკაფვა, ყოველი წვრილმანის შექმნა და იმის ბრძოლით მოპოვება.

მართალია, 60-იანი წლების წინა თაობას აღძრული ჰქონდა.

ახალი კულტურული მოღვაწეობის სურვილი და ამის დასაკმაყოფილებლად დააარსა ჟურნალი „ცისკარიც“, მაგრამ მისი სურვილიცა და ორგანოც პრიმიტიულია, უსუსური. ამ ჟურნალში არ გამოსკვევის საზოგადოებრივი ცხოვრების ძლიერი მაჯისცემა, საზოგადოებრივი ცოცხალი აზრის ტალღის ქცევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მეტად თვალსაჩინო გამოჩაყლისს, რომელიც „ცისკარის“ 1859 წლის მე-12 ნომერში და 1860 წლის 1 ნომერში აღიბეჭდა. ეს გახლავთ დანიელ ჭონჭაძის „სურამის ციხის“ გამოქვეყნება.

### 3

#### „მამათა“ და „ზვილთა“ მსოფლმხედველობა და მათი ბრძოლის ბასიათი

ილია ჭავჭავაძის საქართველოში დაბრუნებიდან (1861 წ.) იწყება მისი შემოქმედების მეორე პერიოდი, რომელიც შეიძლება 1877—1878 წლამდე მოვიტანოთ. საქართველოში ჩამოსვლისთანავე ილია ჭავჭავაძე აქტიურად შეებრძოლა „მამებს“, შეებრძოლა ქვეყნის წინმსვლელობის შენაჟერხებელ გავლენებსა და ნოვლებს.

ილია ჭავჭავაძის 1861 წელში „მამების“ წინააღმდეგ აქტიურად გამოსვლასთან დაკავშირებულია ჩვენი ცხოვრების სარბიელზე თერგდალეულების მასობრივი გამოსვლა. თერგდალეულნი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში მასობრივად ამტკიცებენ ახალ მიმართულებას. ისინი განმანათლებელთა პოზიციაზე მტკიცედ დგებიან.

ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა მოღვაწეობა შემდეგი მთავარი საკითხების გარშემო იშლებოდა: 1) გადმოტანა და დამყნობა ჩვენს ცხოვრებაზე იმ მოწინავე იდეებისა, რომელნიც მათ რუსეთისა და ევროპის მოწინავე აზროვნებიდან და ლიტერატურიდან შეითვისეს; 2) უარყოფა დრომოკმული პატრიარქალური ტრადიციებისა; 3) ბრძოლა ბატონყმობასთან; 4) მთლიანი ეროვნული შეგნების განმტკიცება ქართველ ხალხში და მთლიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტის გაშლა.

აი რას ეუბნება სფირიდონ ჩიტორელიძე<sup>14</sup> თავის ბიძა თადე-

<sup>14</sup> როგორც ირკვევა, სფირიდონ ჩიტორელიძე მ. ყიფიანის ფსევდონიმია, ხოლო ამ ფსევდონიმით მოთავსებულ სტატიებს ილია ჭავჭავაძის ხელიც, როგორც „საქართველოს შოაბის“ რედაქტორისა, ატყვი. ამის შესახებ იხ. „ილია ჭავჭავაძე“, ტ. V, რედაქტორის პ. ინკოროყვას შენიშვნები, გვ. 280—290.

ოხს: „დრო გვიტხრობს ისწავლეთ და ჩვენცა ვსწავლობთ. ამ სწავლაში, ჩემო თადეოზ, სხვადასხვა აზრები გვესმის სხვადასხვა ენაზედა, შემდგომ ვგსურს ის აზრი ქართულადა ვსთქვათ, ე. ი. გადმოვიტანოთ იმ ხალხში, რომელსაც ჯერ თავის სამშობლო ენაზე ნათქვამი ის აზრი არ გაუგონია. ამასობაში აღნაქესი ქართული ენისა იცვლება და ამისდა გვარად უცხო ქვეყნის სიტყვები შემოდის ხმარებაში, უამისობა არ შეიძლება... მე კი იმას მოგახსენებ, — განაგრძობს სპირიდონი, — რომა ყოვლის სიმართლითა სჯობს, რაც ჩვენთვის მიუცილებლად საჭირო არის, უნდა ვიხმაროთ. კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ქვეყანის ხალხის ნათქვამი ყოველის ფერი ამორჩევით, გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზე, დავაკვირდეთ, გავსინჯოთ, შევუფარდოთ ჩვენს აზრსა და ამ შეფარდებით გავვიგოთ, რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდი“<sup>15</sup>.

ეს „უცხო ქვეყნის კარგი ამბავის“ და „ქვეყნის კაცის ნათქვამი კარგი აზრის შერჩევით“ გადმონერგვის სურვილი იკვანძებოდა და განაყოფიერებას ცდილობდა ერთ მუჟა ახალგაზრდა ინტელიგენციაში — „თერგდალეულებში“. პრაქტიკულ მოღვაწეობას მოწყურებული თერგდალეულნი, რეალური ცხოვრების მდინარის ძირში აპირებდნენ ჩაყურყუმალავებას და იქიდან ამოკრეფას არა მარტო „მარგალიტისა, არამედ ლექისა და ლაფისა“.

თერგდალეულების ასეთი სულიერი განწყობილება, მათი ასეთი განცდა და სახე მშვენივრად იხატება ილიას „მგზავრის წერილები“ შემდეგს ლირიკულ ადგილებში: „ოთახიდან გარედ გამოვედი, — გადმოგვცემს ილია, — და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინვარს, რომელსაც ყაზბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდათა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო... ერთი მუჟის ოდენა ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალ შუბლსა, მის მყინვით შევერცხლილს თავსა!.. მყინვარი დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი! დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს, ერთის სიტყვით, მყინვარია! მყინვარი მთელის დიდებულობით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება! ქვეყნის ავკარგი მის მაღალ შუბლზე ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზე უღგა, თავი ცას

<sup>15</sup> „საქართველოს მკამბე“, 1863 წ., № 5 — სფირიდონის და თადეოზის ბაასი. დაყოფა ჩვენია.

მიუბჯენია, განზე გამდგარა, მიუჯარებელია. არ მიყვარს არც მაგის-  
 თანა სიმალღე, არც მაგისთანა ფანზე გადგომა, არც მაგისთანა მიუჯა-  
 რებლობა! დალოცა ღმერთმა ისევ თავზე ხელაღებული, გიჟი, გა-  
 დარეული, შეუპოვარი და დაუმონავე მღვრიე თერგი. შავი კლდის  
 გულიდან გადმომსკდარი მოღის და მოზღავის და აზღავლებს თა-  
 ვის გარემოსა. მიყვარს თერგის ზარბანი ხუილი, გამაღებელი ბრძო-  
 ლა, ღრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძე-  
 ბულის ცხოვრებისა. ამაღლებული და ღირსსაცნობი სახეც არის!  
 იმის მღვრიე-წყალში სჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარ-  
 ტუტა. მყინვარი უკვდავების და განცხრომის დიდებული სახეა:  
 ცივია, როგორც უკვდავება, და ჩუმი, როგორც  
 განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მი-  
 უჯარებლად მაღალია! ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთ-  
 ხედოვი ყოველთვის ძირიდან დადებულა, ყო-  
 ველი შენობა ძირიდან ამალღებულა, მაღლიდან-  
 კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე,  
 როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო  
 მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს;  
 მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო. რად მიწ-  
 და მისი სიმალღე, თუ იმას ვერა ვწვდები და ის  
 მე ვერ ჩაამოწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი! მყინვარი  
 დიდს გეთეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაი-  
 რონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ!  
 აბა პატარა ხანს დადექ, თუ მყრალ გუბედ არ ფადაიქცე და  
 ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყოყინზედ არ შევეცვა-  
 ლოს. მოძრაობადა მართო მოძრაობა არის, ჩემო  
 კარგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცე-  
 მი!<sup>16</sup>

ღიახ, ასეთია ილია ჭავჭავაძისა და მასთან ერთად თერგდა-  
 ლეულების სულიერი განცდა, მათი შინაგანი დუღილი. ილიას  
 მღვრიე თერგი უფრო მოსწონს, რადგანაც ის სახეა ადამიანის გა-  
 ღვიძებული ცხოვრებისა. მოსწონს, ვინაიდან მის მღვრიე წყალში  
 მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა ჩანს. პოეტს, როგორც  
 „ქვეყნის შვილს“, თერგის სახე უფრო უყვარს, რადგანაც მას  
 სწამს, მან იცის, რომ „ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი ყოველ-  
 თვის ძირიდან დადებულა, ყოველი შენობა ძირიდან ამალღებულა,  
 მაღლიდან-კი, შენობა არსად არ დაწყებულა“. მწერალს არ

<sup>16</sup> ილ. ჭავჭავაძე, მგზავრის წერილები, ტ. II, გვ. 18—19, დაყოფა ჩვენია.

უყვარს მყინვარი, რადგანაც მიუკარებლად მალაღია. რად უნდა ილიას მისი სიმაღლე, აუ ის მას ვერ ასწვდებდა და ის მას ვერ ჩამოსწვდებდა.

ეს იდეები და მისწრაფებანი ხომ დემოკრატიულ-რადიკალური იდეებია, რომელნიც 60-იან წლებში უტოპისტი სოციალისტების გავლენით უხვად ინერგებოდა რუსეთის ინტელიჯენციაში და აგრეთვე ჩვენს ახალგაზრდობაშიც. ილია და სხვა თერგდალეულები უშუალოდ აღიზარდნენ ამ ატმოსფეროში, შეითვისეს ისინი და შეეცადნენ ცხოვრებაში მათ გატარებას.

ამავე ნაწყვეტში ილიამ გამოხატა მთავარი თვისება 60-იანი წლების მიმართულებისა: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა, — ამბობს ავტორი, — არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. ცოცხალი საქმისა და ცხოვრების გარდაქმნის საკითხი ამოძრავებდა რუს საზოგადოებასა და ილ. ჭავჭავაძესაც. ამიტომაც, რომ პოეტი წუხდება და ქვეყანა ცარიელად უჩვენება, როდესაც ბინდი მოიციავს გარემოს, როდესაც აღარ ისმის „ადამიანის მორკმული ხმაურობა, აღარ ისმის მისი დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნვი, როდესაც ქვეყნის ტკივილი იძინებს და აღარა სჩანს მის გარშემო ადამიანი“. პოეტი სულშეხუთული, შეძრწუნებული წამოიძახებს: „არა, წაიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეციეთ მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავისი ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა. ჰოი, ბნელო ღამეც, მეჭავრები შენ მე... შენ ხარ ყამი და დრო კუდიანების სერობისა, როცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ“<sup>17</sup>.

ეს ადგილები არა მარტო ავტორისა და თერგდალეულთა ახალგაზრდული დუდილის მაჩვენებელია, არამედ აქ მრავალი ცნება ნახმარია ალევგორიულად, რომლებშიც მკაფიოდ იხატება თერგდალეულთა პროგრესული რეალისტური მსოფლმხედველობა. ბნელი და მშვიდობიანი ღამის დაპირისპირებით ნათელ და მოუსვენარ დღესთან თავისი ტანჯვითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა, დაპირისპირებულია თერგდალეულთა ბრძოლა და რეალისტური ლიტერატურული მიმართულება ძველი თაობის მოდუნებულ ცხოვრებასა და ლიტერატურულ მიმართულება — რომანტიზმთან.

საქართველოში თერგდალეულებს საზოგადოებრივი ცხოვრების სიბნელე, სიბეცე, მოდუნებული მაჩისცემა, დაქვეითება, უზრუნველი გამოუჩვეველი ძილი და ტანჯული ხალხის გულიდან ამოძახილი კვნესა დახვდათ. თერგდალეულებმა შეუჩოგებელი

17 ილ. ჭავჭავაძე, მგზავრის წერილები, ტ. II, გვ. 18—19.



ბრძოლა გამოუცხადეს ყველა იმას, რაც ქართველ ხალხს რაღაც გამოურკვეველ ალერსიან ძილსა ჰგვრიდა და გადაგვარების უფსკრულსაჲცენ სისწრაფით მიაქანებდა.

თერგდალეულები რუსეთიდან დაბრუნების უმაღლეს ქაბუჯურის გატაცებითა და სავესე ენერჯით მოღვაწეობისა და შემოქმედების სარბიელს ეძებენ.

თავდაპირველად მუშაობის დაწყება მათ უფრონაღ „ცი ს კ არ-ში“ მოუხდათ. მაგრამ მალე გამოიკვია, რომ „ცი ს კ არ-ში“ თანამშრომლებსა და ახალ თაობას შორის შეთანხმებული მუშაობა შეუძლებელია, რადგანაც მათი მისწრაფება და ცხოვრების მოვლენათა გაგება არსებითად განსხვავებულია. თერგდალეულთა ბრძოლაში მამებთან ჩვენ გვაქვს ის სოციალური მოვლენა, რომლის შესახებაც კ. მარქსი და ფრ. ენგელსი გვასწავლიან: „იმ პერიოდში, როდესაც კლასთა ბრძოლა გადამწყვეტ მომენტს უახლოვდება, დაცლის პროცესი გაბატონებული კლასის შიგნით, მთელი ძველი საზოგადოების შიგნით, ისეთ მძაფრ, ისეთ მწვავე ხასიათს ღებულობს, რომ გაბატონებული კლასის მეორე ნაწილი ეთიშება ამ კლასს და უერთდება რევოლუციურ კლასს, იმ კლასს, რომელსაც მომავალი ეკუთვნის. ამიტომ, როგორც წინათ თავდაზნაურობის ნაწილი ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა, ისევე დღეს ბურჟუაზიის ნაწილი პროლეტარიატის მხარეზე გადადის, სახელდობრ იმ ბურჟუაზიულ-დეოლოგების ნაწილი, რომელიც მთელი ისტორიული მოძრაობის თეორიულ გავებამდე ამალდუნენ“<sup>18</sup>.

ეჭვს გარეშეა, ილია ჭავჭავაძე და სხვა თერგდალეულებიც მშვენივრად გრძნობენ, რომ „ცი ს კ არ-ში“ შეთანხმებული მუშაობა შეუძლებელია, მაგრამ საჭირო იყო ცხოვრების გუბის ამოძრავება, ჯადოსნური წერტილიდან ცხოვრების დაძვრა.

ახალმა თაობამ მოისურვა ცხოვრებისათვის ახალი სული ჩაებერა, ახალი გეზი მიეცა. მისი ნაკლი, მისი დროისთან შეუფერებლობა და უაზრობა დაურიდებლივ ემხილებინა და დაენახებინა.

საჭირო იყო ახალი საქმის დაწყება და აი 1861 წლის „ცი ს კ არ ის“ აპრილის ნომერში ილია ჭავჭავაძე, ეს თერგდალეულების ბელადი, გამოდის კრიტიკული წერილით: „ორიოდე სიტყვა თავად რევოლუციურ შალვას ძრის ერის თავის კოზლოვი-დგან „შეშლილი ის“ თარგმნაზე და“<sup>19</sup>. ილია ჭავჭავაძე დაურიდებლივ აღნიშნავს თარგმანის სისუსტეს და უნიჭობას.

ამ სტატიას მარტო კრიტიკულ-ლიტერატურული ხასიათი კი არ

18 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გვ. 52—53.

ჰქონდა, არამედ უფრო პუბლიცისტური. ილია ჭავჭავაძე მოხერხებულად სარგებლობს ამ სტატიით, რომ გზადგზა საზოგადოებრივი ხასიათის კითხვებს შეეხოს. მაგალითად, იმ გარემოებას, რომ ერისთავის თარგმანი — სუსტი და უნიჭო, მაინც დაბეჭდილია, ილია ხსნის იმით, რომ რედაქტორი იძულებულია მოათავსოს, რადგანაც უურნალს არა აქვს „საკუთარი კაპიტალი“. „გინდა თუ არა, — მკვანედ წერს ილია ჭავჭავაძე, — უნდა დამოკიდებული იყოს იმ კაცებზე, რომელიც წინდაუხედავად, უთავბოლოდ, რაც მოხვდება და როგორც მოხვდება, კბლაჯიან, რადგანაც იმედი აქვთ, რომ საბრალო „ცისკარი“, მათგან ფულით დავალებული, ნებით თუ არანებით ალაგს მისცემს თავის ფურცლებში იმათ გამოუსადეგ სტატიასა... კიდევ, მაღლობა ღმერთსა, რომ „ცისკარი“ მაგ ყოფაშია და ორიოდე ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსები მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს რა. სხვა ახალი პროზაიკები-კი ღმერთმა შეინახოს... მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ახალი რითმების მორახუნეებს არავის ასეთი ენა არა ჰქონია, როგორც თავად ერისთავს აქვს... ისე ნაირად ჭრიჭინობენ თ. ერისთავის ლექსები, როგორც გაუსაპნავი საპალნის ურმის თვლები“<sup>19</sup>.

ილია ჭავჭავაძე მარჯვედ სარგებლობს ამ სტატიით და უხვად ჩაუერთავს თავის შეხედულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, უფრო ნაკლის მხილების მიზნით. „აი, მაგალითებ, — დამშვიდებული, მაგრამ გესლიანი კილოთი წერს ილია, — ყველაზე უმდარესი მწერალი უფ. ბერიევი, რომელიც გუთნის დედას აძინებს ხოლმე და ანუგეშებს, რომ ძილზედ უკეთესი არა არის რა ქვეყანაშიო. ის კი არ აგონდება უფ. ბერიევს, რომ სულ მაგ ტკბილმა ძილმა დაგვლუპა ჩვენა“<sup>20</sup>.

აი, უმთავრესი ეს „მამა-პაპური“ ძილია, რომელსაც თერგდალეულებმა, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძემ, ბრძოლა გამოუცხადეს.

60-იან წლებში „მამათა“ და „შვილთა“ შორის ატეხილი დავა ენის საკითხზე არა მარტო საბაბი იყო, რომ სხვა საჭირობოროტო საკითხები აედრათ, არამედ ეს იგარემოება, რა თქმა უნდა, აგრეთვე ამქლავნებდა მათი მსოფლმხედველობის სხვადასხვაობას. ძველი თაობა ძველ ენას ებლაუჭებოდა, როგორც თავისი მსოფლმხედველობის გამომხატველს, არ იღებდა ახალ სახალხო ენას, როგორც მისთვის მიუღებელს.

19 „ცისკარი“, 1861 წ., № 4, გვ. 17.

20 იქვე, გვ. 18.

სინამდვილეში მთავარი სწორედ საერთო მოდუნებული ცხოვრება და მისი გაღვიძების ამოქმედების, განახლების საკითხი იყო.

ილია ჭავჭავაძის პირველივე კრიტიკული წერილი მაშინდელი ჩვენი საზოგადოებისათვის — „მამებისათვის“, მათი ფეოდალური წყობილების ტრადიციებში გამოტანილი და დამუშავებული გემოვნებისა და მსოფლმხედველობისათვის სრულიად მოულოდნელი, უცნაური და ამაღელვებელი აღმოჩნდა.

ილია ჭავჭავაძე თავის წერილში აღნიშნავს რა რევაზ ერისთავის თარგმანის სისუსტეს და ნაკლს, ასე ათავეებს თავის „პირმოუფერებელ სტატიას“: „ჩვენ ყველანი, — წერს ილია, — ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება ნომეტებული. მაშ როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ იგვეცოდინება. ნეტავი თრიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთნაირად ასწეროს და დაგვანახვოს... აბა ის იქნება ნამდვილი და საქებარი მამულის მოყვარული და არა ის, ვინც მეტისმეტად დამყავებული სიყვარულის გამო ანგელოზავით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების აღიარება ნახევარი გასწორებაა“<sup>21</sup>.

„გასწორება“ ნიშნავს ახალი ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით საზოგადოებრივი ცხოვრების დაწყებას. ამისთვის — კი საჭიროა ჩვენი „სიმრუდის“ ცოდნა. მაშასადამე, აღიარება და დანახვება ჩვენი ნაკლისა, ბოროტებისა! აი ამაშია მოვალეობა და დანიშნულება ჩვენი თერგდალეულებისა, როგორც ეს გამოთქმულია მათი ბელადის პირით. მაგრამ ამას ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულნი პირველ ხანებში მხოლოდ გაკვრით აღნიშნავდნენ.

ჯერ ენის გარშემო ატყდა ბრძოლა. ორივე მიმართულება იცავს ენის საჭიროებას. ორივე ერთიმეორეს უკიჟინებს მის უცოდინარობას, მის წარყვანას. ილია ჭავჭავაძეს ენის შენახვა და დაცვა ერთს უმთავრეს იარაღად მიაჩნია ახალი ცხოვრების მოპოვებისა და განმტკიცების საქმეში. ილია უარყოფს „მამათა“ ენას, ანტონ კათალიკოზის „თეორიებს“ და სხვას; ილია უარყოფს იმ ენას, იმ დრომოკმულ ფორმებს, რომელთაც ხმარობენ ჩვენი მწერლები და ლიტერატორები, ძველის ტრფიალებით დამთვრალნი<sup>22</sup>,

21 „ცისკარი“, 1861 წ., № 4, გვ. 20.

22 ძველის უარყოფამ ჩვენი ნილილისტი (ამ პერიოდში) მწერალი ილ. ჭავჭავაძე ისე გაიტაცა, რომ მან ჩახრუხაძე-კი უარყო. „ჩვენში, ქართველებში, — წერს ბრძოლით გატაცებული ილია, — დიდი მწერლის ხმა აქვს ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის

ილია აგრეთვე უკიყინებს ძველ თაობას რუსული სიტყვების (მაგალითად, ზადაჩა, ლინია და სხვა) განურჩევლად შემოტანას.

თვითონ ილია ჰავჭავაძე და თერგდალეულები საერთოდ წერენ ახალი, მწერლობისათვის უჩვევი, ჩვეულებრივი სასაუბრო ენით. ზიორგი ერისთავის მიერ დაწყებულ საქმეს თერგდალეულები, განსაკუთრებით ილია ჰავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ხვეწავენ, აგვირგვინებენ და ახალ, ხალხის, მასების ენას მწერლობაში აბატონებენ. საგულისხმოა ილია ჰავჭავაძის განცხადება ამ პირველსავე წერილში ახალი თაობის სახელით: „სხვისი არ ვიცი, — კატეგორიული ტონით წერს ილია ჰავჭავაძე, — და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა სამღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრება. მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“<sup>23</sup>.

მეტად საგულისხმოა ილია ჰავჭავაძის „პასუხის პასუხი“, მიმართული „მამებისადმი“ თერგდალეულების სახელით. როცა 70-იანი წლების დასაწყისში „მამათა“ და „შვილთა“ განახლებულ ბრძოლაში, ახალ თაობასთან ძველი და ახალი ანგარიშის გასწორების მიზნით, გრ. ორბელიანმა დასწერა სატირა „პასუხი შვილთა“, „თერგდალეულები“ ილიას პირით აი რასა და როგორ პასუხობენ:

ჩვენ ძუძუს ვწოვდით,  
როცა თქვენ ჰგომოდით  
ენას და ხალხსაც — გარეთ თუ შინა.  
ის არ ხართ თქვენა,  
რომ ღვიძლი ენა  
ბრძანებით დათმეთ ამოსაკეთად?  
შიშით — არც კარში

ქება მთელ მოთხრობის ოდენაა, ზედშესრულით თავდება. რა ვაივაგლახით და კისრის მტკრევით მოგოგავს დეკარდნილ ცხენსავით მისი ოცმარცხოვანი, ტყვიასავით მძიმე ლექსები... არც აზრი, არც სურათი, არც მნიშვნელობა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახარუხისა. აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში? სადაც რუსთაველს, მაგალითად, თითქმის გენიასა, ასუნებენ, იქ გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც გვეგონია, ფიქრადაც არა ჰქონია ამისთანა დიდების იმედები“ („ციცკარი“, 1861 წ., № 4, გვ. 9). ასეთი მკდარი შეხედულება ილიასი ჩახრუხაძეზე შეიძლება ავხსნათ მხოლოდ ძველის ენისა და უარყოფის უკიდურესი სურვილით, რომელიც ხშირად მხასიათებს ძველისა და ახლის გაყრისა და დავის დროს ორივე მხარეს. ასეთი თვისება განსაკუთრებით დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო რუსეთის „ნილილიზმის“ ატმოსფერით ნასუნთქავისათვის, როგორც იყვნენ ილია ჰავჭავაძე და სხვა ჩვენი თერგდალეულები.

<sup>23</sup> „ციცკარი“, 1861 წ., № 4.

და აღარც სახლში  
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენიად.

ენა მდიდარი,  
თქვენს ხელში მკვდარი,  
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად...

თქვენგან გმობილი,  
თქვენგანით ლტოლვილი  
ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევაფარეთ;  
კარგად, თუ ავად,  
ჩვენ მას ვინახავთ  
და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.

„ცისკარში“ ილია ჭავჭავაძის მიერ მოთავსებული ზემოაღნიშნული წერილი წყველიადითა და სიჩუმით მოცული საზოგადოების თავდამევიწყებ ალერსიან თვლენაში ძლიერი გასროლა იყო. ძველი საზოგადოებისათვის ამ წერილის არც ახალი ენა, არც კადნიერი კილო, არც რადიკალური, ძველის უარმყოფი მიმართულება მისაღები და მოსაწონი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

აირია და აიძვრა საზოგადოებრივი ცხოვრების ჭაობი, ძველმა თაობამ იგრძნო საფრთხე, დაირაზნა. „ცისკარის“ შემდეგსავე ნომერში საწინააღმდეგო სტატიები დაიბეჭდა. თუ რამდენად ძლიერი იყო საზოგადოების აღელვება და აღშფოთება, მშვენიერად ჩანს გ. ბარათაშვილის სტატიაში: „წერილი რედაქტორთან შესახებ ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“. „რვა წელიწადი, — წერს გ. ბარათაშვილი, — ერთად ვხეხეთ გიმნაზიის შავი სკამეუკები და ჩვენი ცოდნა ქართულს ენაში ნაცვალსახელს აღარ გადასცილდა; მაშასადამე, ძალიან ცოდვილნი გახლდებით ქართულ მწერლობაში. ეს იყო მიზეზი, რომ აქამომდე ვერ ავასრულე თქვენი თხოვნა. მაგრამ იანვრის აქეთ ტფილისში იმდენი რამ მოხდა და დაიბეჭდა „ცისკარში“<sup>24</sup>, რომ არ შემეძლო არ გამომეთქო, შეძლებისამებრ, რავდენიმე სიტყვა მაზედ, რაც დავინახე შესანიშნავად“<sup>25</sup>.

თვით ილია ჭავჭავაძე აი როგორ ახასიათებს ბრძოლის დანაწყისს თავის საპასუხო წერილში:

„ვისაც თავის ღღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც ააღებინე. — სამართლიანად ეუბნება ილია თავის კალამს წერილში „პასუხი“, — ვისაც მართალი სიტყვა პირდაპირ ნათქვამი თავის ღღეში

<sup>24</sup> აქ, რასაკვირველია, გ. ბარათაშვილს ილია ჭავჭავაძის ხსენებული სტატია აქვს მხედველობაში.

<sup>25</sup> „ცისკარი“, 1861 წ., № 5.

არ გაუგონია, იმას მართლის თქმით გული აუმღვრიე; ვისაც „შინი-  
დამ ფეხი კარში არ გამოედგა“<sup>26</sup> და რაღაც ანბანის თეორეტიკის  
მეტი არა უკითხავს რა, ისიც-კი აალაპარაკე თეორეტიკის გარეშე სა-  
განხედ. ბარაქალა, ბარაქალა! სამი სტატია ერთს სტატიასზე რა ამბა-  
ვია?! ეს ეს ამბავია, — თვითონვე აძლევს სამართლიანს პასუხს, —  
ჩემო კეთილმო მკითხველო, რომ ამ ჩემ მოპირდაპირეთ, რიცხვით ჯობ-  
ნა სურვებიათ, და არა თავის სტატიების ღირსებითა“<sup>27</sup>.

და მართლაც, ალერსიანა სიზმრიდან გამოღვიძებულმა ძველ-  
მა თაობამ საჭიროდ დაინახა, თუ ღირსებითა და გონიერებით არა,  
რიცხვით მაინც გაიჩუმებინა თავსედი ახალგაზრდა კრიტიკოსი.

„მამების“ მიერ ძალთა მობილიზაცია და დაჩაზმვა თავისთა-  
ვად საშინელის სისწრაფით მოხდა. ცხადია, მათ შიში იგრძნეს. ილია  
ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეთა წერილებიდან აშკარაა მათი სულიე-  
რი განწყობილება, მსოფლმხედველობა და მომზადება. მათი წე-  
რილებიდან — უაზრო, დრომოქმული ტრადიციების შენახვის სურ-  
ვილი ისმის. მათში საშუალო საუკუნეებში შემუშავებული ეთიკე-  
ტის დაცვის აუცილებლობა მოჩანს. ისინი აშკარად გვაჩვენებენ, რა  
გაუვალი კედლით შემოუფარგლავთ „მამებს“ თავიანთი ვიწრო ას-  
პარეზი ცხოვრებისა, უეცრობის კნაყოფილებაში იზრჩობიან და თა-  
ვიანთ სამფლობელოსა და შეგნებაში ახალ იდეას, ცხოვრებასთან  
შესაფერს, არ აჭაჭანებენ. ეს წერილები აშკარად გვეუბნება, რომ  
„მამათა“ სმენას და შეხებას საღი სიოს მცირე მოძრაობა-კვი აწუ-  
ხებს და უსიამოვნოდ ეჩოთიერება.

ამისათვის მათი პასუხი ილია ჭავჭავაძისა და თერჯღალეულე-  
ბისადმი კრიტიკა-კი არ არის, არამედ ნაცნობ ჩვეულებათა და-  
კარგვის შიშით გამოწვეული ბრძოლა. ნიმუშისათვის მოვიტანოთ  
რამდენიმე ნაწყვეტი „მამათა“ ბანაკის წარმომადგენელთა წერი-  
ლებიდან. „თუ ლიტერატურაზე თავსა სდებს, — წერს კენინა ბარ-  
ბარე ჯორჯაძისა, — რატომ ეს-კი არ უნდა მოეხსენებოდეთ, რომ  
ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატრონსურ და დარბაისლურ ენას  
და არა უშვერებას. ის (ე. ი. ილია ჭავჭავაძე. — მ. ზ.) გვიწერს, რომ  
ვითომც ჩვენ ვახდენთ ენას, არც თუ ვაკეთებთ. თუ უკაცრავად  
არ ექნებით, მგონია თვითონ უფრო აზღენს. წაბდენა არ არის,  
თქვენი ჭირიმეთ, პირველის შესავლის გვირდზედ სხოლიოში რომ  
იძახის უ, ზ, ზ, კ, ჯ სულ არ გვიხმარიაო... რასაკვირველია სწავ-  
ლას მიიღებდა, მაგრამ საკვირველი! უპირველესი საგანი არ შეუ-  
ძინებია და ლიტერატორობს კი. თუ ნებას მოგვცემს, მოვახსენებთ,

<sup>26</sup> ილია ჭავჭავაძის აქ ბარბარე ჯორჯაძისა ჰყავს მხედველობაში.

<sup>27</sup> „უი სკარო“, 1861 წ., № 6, გვ. 32.

თუმცა კი მაღალ სასწავლებელში არ ვყოფილვართ, და არა თუ მაღალ სასწავლებელში არ ვყოფილვართ, შინიდან გარეთ არ გამოვსულვართ, რომ ყოველის მწერლისათვის საჭიროა და აუცილებელი იცოდეს: თეორეტიკა ანუ სწავლა ხელოვნებითის სიტყვიერებასა. ეს რომ ყურადღებით წაეკითხა, უეჭველია არ იტყოდა: უ, ჭ, ძ, კ, ჯ საჭირო არ არისო. რატომ არ იცის თავად ილია ქავჭავაძემ, რომ ბუნებით მომზადებულთა სიტყვათათვის ადრევე დადებულ არიან კანონნი, რომელნიც არიან მართალნი და რომელთა გამოცვლა დიდი გმობა უნდა იყოს“<sup>28</sup>.

მაშასადამე, „მამები“ ლიტერატურის შესწავლისათვის უნიშნავენ „თეორეტიკას“. ამის გარეშე ლიტერატურული შემოქმედების კანონი მათ არა სწამთ. ანტონ კათალიკოზის ცრუკლასიკურ თეორიებზე აღზრდილნი და განვითარებულნი ებრძვიან ილიას, როგორც ნოვატორს.

სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ილიას საწინააღმდეგო სტატიაში — „უსტარიანტიკრიტიკული“ ჩვენთვის აი რა საინტერესო შენიშვნას აკეთებს: „წრფელის გულით, — წერს თავისი აზრის ჭეშმარიტებაში დარწმუნებული სარდიონ მესხიშვილი, — მოგახსენებ, თავადო ილია, რომ გულმტკიცნულად წავიკითხე მე, ქართველმა, ამგვარი ქართული ენა განათლებულის და განვითარებულის ქართველისა, იმ ქართველისა, რომელიც, ამოდ დაღილინებს საქართველოს მშვენიერის ლექსებით და სადაგსიტყვაობაში (პროზაში) კი ასე უწყალოდ ამახინჯებს და ამდაბლებს ქართულ სიტყვიერებას და ამასაც სად? ქართულის სიტყვიერების ჟურნალში. რასაკვირველია, კარგად იცით, რომ წერა არის სამგვირი: მაღალი, საშუალო და დაბალი“<sup>29</sup>. არ ვიცი, ამ სამში, რომელს მიეთვისება თქვენი კალამი. ჩვენში, სადაც იხმარება ნაცვალსახელი „იგი“, ამ მაღალს სიტყვას ზმნისზედა შეეფერება „ოდეს“ და არა სრულიად მდაბიო ლექსი „როცა“, რომლითაც იწყება პირველი სიტყვა“<sup>30</sup>.

ასეთსავე აზრს იმავე „ცისკარში“ იცავდა ალ. ორბელიანიც.

აქ ჩვენ აშკარა და გარკვეული დოკუმენტები გვაქვს ძველი თაობის ძველი გემოვნებისა, ძველი შეხედულებისა ენის ხმარებისა და პოეტური შემოქმედების შესახებ. ეს სამგვარი წერა ხომ სამგვარი მტილია, ნ. ლომონოსოვისა და ცრუკლასიკოსების მიერ შე-

28 „ცისკარი“, 1861 წ., № 5.

29 დაყოფა ჩვენია.

30 „ცისკარი“, 1861 წ., № 5.

მოღებული, რომელიც უკვე დიდი ხნის დრომოჭმული იყო დასავლეთ ევროპასა და რუსეთშიც.

აი ამიტომ, რომ მარტო სარდიონ მესხიშვილის სმენა არ არის აღმფოთებული ასეთი „არასასიამოვნო საჩოთირო“ ენის შეტანით ჩვენს ლიტერატურაში. ამასვე უქიქებენ ილიას სხვა მოწინააღმდეგენიც: ბარბარე ჯორჯაძისა, გ. ბარათაშვილი, რევ. ერისთავი და სხვანი. „ბრძანებს თ. ილია ჭავჭავაძე, — ირონიით გადაჰკრავს ბარბარე ჯორჯაძისა ილიას, — ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობთ ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებასო... თუ მშობელ მამასაც არ უთმენს ენის მორყვნას, და ენას სახავს საღმრთოდ, როგორ შემოურევს ამ უშვერს, მორყენილს ბიჭბუჭების სიტყვებს: წირპლიანი, მორახუნეები, აგანგალა-განგალა და სხვა. აი კიდევ ეს სიტყვები: ასე ნაირად ჭრიჭინობენ თავად ერისთავის ლექსები, როგორც... მე მრცხვენია ამ საძაგლის ლექსის გაქორება, ლიტერატორი და ამგვარი სიტყვების შემოტანა ჩვენს მშვენიერ ენაში, რომელზედაც იძახის, არავეის დაუთმობთ შეურაცხყობასო“<sup>31</sup>.

ესევე „უშვერი“ სიტყვები აშფოთებდნენ სხვა მოკამათებსაც. ყველა მოწინააღმდეგის მიერ სწორედ ერთი და იგივე სიტყვებია აღნიშნული. „მამების“ ფრონტი გარკვეულად მთლიანია. სარდიონ მესხიშვილი დინჯი, დარბაილური, თითქოს დამშვიდებული და მოსიყვარულე კილოთი, რომლითაც ცდილობს დაჰფაროს თავისი ამღვრეული გუნება, ილია ჭავჭავაძეს ასე მიჰმართავს: „ამით ცხადად ჰხედავთ, თავადო ჭავჭავაძე, რომ თქვენის თხზულების მრავალს ნაკლულევანებას თანაწარვხედ მე და ვაწროდ შეძმოსაზღვრე ჩემი კალამი შესახებ ჩვენის სიტყვიერებისა, რომლისათვის დიდად თავგამოდებული ბრძანდებით და საშინლად იბრძვით ჩვენის საყვარელის დედაენისათვის, რომელსაც თქვენდა უნებურად და შეუფენებლად თქვენვე ფიზიკებრ ჰკოდავთ და ამბინჯებთ და ზნეობრივად ჰრყვნით და აუძლურებთ. როგორც მსწავლულმა კაცმა, ს.-პეტერბურლის უნივერსიტეტის სტუდენტმა, რაჰაკვარვლია, კარგად იცნო, რომ სიტყვების ასამაღლებლად საჭიროა დედა ენის ცოდნა. ცოდნისათვის ჩვენის ენისა ვიცოდეთ საზოგადო და განსხვავებითი იმისი ნიშატი. საზოგადოთ იმის ნიშატს გვასწავლის გრამატიკა, და განსხვავებათა თვისებითა ცნობისათვის საჭირონი არიან კანონნი აზრთა განწყობილებისათვის სხვათა და სხვა წესიერებაში, რომელთაცა გვასწავლის რიტორიკა. ამ ორთა საგანთაგან არცა ერთის ცოდნა სჩანს თქვენს თხზულებაში“<sup>32</sup>.

31 „ცისკარი“, 1861 წ., № 5.

32 „ცისკარი“, 1861 წ., № 6.



მართალია, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ქართული ენის მიღებული გრამატიკის ცოდნას იჩენს; მართალია, ჭავჭავაძეს ამ მხრივ ზოგს შენიშვნას სწორის და მართალს აძლევს, მაგრამ ის ვერა გრძნობს, რომ ეს საკმარისი არ არის, რომ მიღებული რიტორიკა და გრამატიკა ცხოვრებას ჩამორჩა; ის ვერ გრძნობს, რომ ენაც განვითარების პროცესშია, ენის ფორმები იცვლება, ერთს რიგს სცვლის მეორე. მესხიშვილი ფანურჩევილად ყოველივე ახალს მტრულად უყურებს.

და არა მარტო ენის სხვადასხვაობა აკამოებთ „მაჰათა“ და „შვილთა“, არამედ ლიტერატურული მიმართულებაც, საერთოდ ლიტერატურული გემოვნების სხვადასხვაობა. ძველი თაობა აღზრდილია ანტონ კათალიკოზის „თეორეტიკაზე“ და „კათედორიკაზე“, აღზრდილია ცრუკლასიციზმის დოგმებზე. ცრუკლასიციზმის მიერ გამომუშავებული წერის სამი სტილი ჩვენს „მამებს“ ძალუმადა აქვთ შეთვისებული. უკეთესს შემთხვევაში ისინი სანტიმენტალიზმს გემოვნებით ტრაბანობენ და ზვიადი კილოთი ჩახრუხამესთან ერთად კარამზინ-კოზლოვის იცავენ. ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების რეალიზმი მხატვრულ მწერლობაში მათთვის საშინელი რევოლუცია იყო. ცხადია, ბრძოლა მათ შორის იდეოლოგიური ხასიათისაა.

აი რას წერს რევაზ ერისთავი საბასუხო წერილში — „პასუხი ჭავჭავაძის კრიტიკაზე“: „საბრალო კარამზინი, კოზლოვი და ჩახრუხამე, — დაცუნვის კილოთი წერს რევ. ერისთავი, — ხომ რაღა საფლავიდან არიან ამოყრილნი. სხვა კიდევ ჰო, კარამზინს კი ისე უპატიოდ ხსენება არ შეესაბამება. იმას იმისთანა უსაფუძვლო სიტყვებით ვერაგინ მოულებს თავის შრომით, ჭკუით და განათლებით მოპოებულს და დამკვდრებულს ღირსებას გამოჩენილის მწერალისას რუსეთში. იმისის ღვაწლის შერყევას უბრალოდ ნურავინ ეცდება“<sup>33</sup>.

სანტერესო და საგულისხმოა, რომ ასეთივე აზრს გამოთქვამენ ილიას სხვა მოწინააღმდეგენიც (ბარბარე ჭორჭაძისა, გ. ბარათაშვილი). მაშაადანე, მწერლობა და აზროვნება ძველი თაობისა 60-იანი წლების დასაწყისში ისევე სანტიმენტალურ-რომანტიკული გემოვნებისა და გაგების ატმოსფეროშია. ცრუკლასიციზმსაც-კი, როგორც დავინახეთ, ჯერ არ დაუყარგავს თავისი გავლენა. შეიძლება ამით აიხსნებოდეს, რომ ილიას მოწინააღმდეგეებს მისი ზოგიერთი ლექსი, და მეტად მკაფიოდ გამოთქმული აზრი მცდარად ესმით. ამის სანიმუშოდ შეიძლება მოვიტანოთ ორი ადგილი:

33 „ცისკარი“, 1861 წ., № 5.

გ. ბარათაშვილი ხსენებულ საპოლემიკო სტატიაში ილიას ლექსის „გაზაფხულის“ შესახებ წერს: „პოეტი სულით ნატრობს საყვარელ მამულის აყვავებას, ნეტავი დაანახვა ეხლა, საქართველო როგორ მწვანე ზურმუხტივით პიბინებს“<sup>34</sup>... აქ დაცინვა — კი არ არის! ასეთი გაგება ხსენებული ლექსისა ხომ ჩვილ ბავშვსაც-კი არ მოუვიდოდა.

ან კიდევ: რევ. ერისთავს აი როგორ ესმის ილია ჭავჭავაძის განცხადება: „ჩვენ სულ მამაპაპურმა ტკბილმა ძილმა დაგვღუპაო“. — „იმაზედ კი, თუ ნებას მომცემს, — ურყევი ჭეშმარიტების გამომხატველი ტონით წერს რევ. ერისთავი, — ვერ დავეთანხმებით: თუ ჩვენს ისტორიას ჩავთვალთ იერებთ, დავრწმუნდებით, რომ არც ერთს დროს უქმად არ ყოფილან ჩვენი წინაპარნი. ძილის დროსაც კი მართლა მოსვენებით არ სძინებიათ, ჩვენი აზრით, არა თუ კიცხვის, დიდის დიდების და მადლობის ღირსნი არიან“<sup>35</sup>.

აშკარაა, „მამათა“ და „შვილთა“ შორის ღრმა გაუგებრობაა; მსოფლმხედველობათა თვალსაჩინო სხვადასხვაობაა. ხშირად მათ ერთმანეთისა არ ესმით<sup>36</sup>.

ილია ჭავჭავაძემ ყველა თავის მოწინააღმდეგეს პასუხი ერთად გასცა. პუნქტობრივ დაარღვია მათი დებულებანი. და ეს პასუხი მგოსანმა თავისებური გესლიანი დაცინვის კილოში დააფერადა. არც ერთი მოწინააღმდეგე, განსაკუთრებით კი ბარბარე ჯორჯაძისა, არ დაინდო. მათი უვიცობა, თანამედროვე ცხოვრებისა და მოთხოვნილებათა ჩამორჩენილობა გამოააშკარავა. „პასუხში“ ილია გზადაგზა საზოგადოებრივ მოვლენებზე თავის შეხედულებებს გამოსთქვამს და ამით აღრმავებს ბრძოლას. მაგალითად, „სადაც აზრი არ არის, — ჩაუერთავს ილია — იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე მე არსად გამიგონია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას მნიშვნელობას“<sup>37</sup>.

აქ ილია ჭავჭავაძე პირველი შვილია რუსეთის 60-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნებისა, რომლისთვისაც მთავარი იყო აზრი: იმ 60-იანი წლებისა, როდესაც უარპყვეს პუშკინის ესთეტიკაც კი პისარევის წერილებში.

34 „ცისკარი“, 1861 წ., № 6.

35 იქვე.

36 რასაკვირველია, ჩვენ მხედველობაში გვაქვს „მამათა“ და „შვილთა“ დამოკიდებულება 60-იან წლებში. შემდეგში, 70-იან წლებში იდეურ ფრონტზე მათ შორის თუმცა ბრძოლა კვლავ გაიშალა, მაგრამ გამწვავებული ურთიერთობა შინაგან საგრძნობლად შენედა.

37 „ცისკარი“, 1861 წ., № 6.

ან კიდევ: „კაცის ენა, — წერს ილია, — კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება: ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; მიტომაც ახალი ენა ძველ ენას არ ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველს კაცსა. მაშასადამე, თუ მიზრძანებთ, რომ რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულა, ამიტომ ენა-ც უნდა ვიხმაროთ ეგ ასო, — ეგ უსაფუძვლო ბრძანება იქნება, როგორც უსაფუძვლო იქნება რჩევა, რომ ანბანის თეორეტიკა უნდა ისწავლო ხელოვნებისათვის“<sup>38</sup>.

აქაც აშკარად გამოსჭვივის 60-იანი წლების გატაცება პოზიტიური მეცნიერებით, კერძოდ ბუნებისმეტყველების დარგებით. აშკარაა ილ. ჭავჭავაძე მატერიალისტური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან აშუქებს მოვლენებს.

ენა, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ისევე ემორჩილება ბუნების კანონს, როგორც სხვა მოვლენა ბუნებაში. მაშინ, როდესაც მამათათვის „ბუნებით მომზადებულთა სიტყვაათათვის აღრევე დაბადებულ არიან კანონნი, რომელნიც არიან მართალნი და რომელთაცა გამოცვლა დიდი გმობა უნდა იყოს“<sup>39</sup>.

ილია ჭავჭავაძის მიერ ახალთაობის სახელით გამოთქმულ მრავალ ცოცხალ აზრს შორის მკითხველის ყურადღებას იპყრობს შემდეგი აზრიც: „პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძვლით ამბობენ: პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო; ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავისი უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავისი ცხოვრებითა და მერე თავის თავად, უთქვენბრძანებლოთ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებისა. თუნდ რომ იყვნენ ესლა ჩვენში ბაირონის თანასწორნი ნიჭნი, ისინი ბაირონის ოდენას თავის დღეში ვერ იქმოდნენ; ის ნიჭი საზრდოს ვერ იპოვნიდა ჩვენს ცხოვრებაში“<sup>40</sup>.

ეს აზრიც — ხალხის, მასების, ცხოვრებისა და პოეტების — გენიოსების ურთიერთობისა იმ დროის ჩვენი საზოგადოებისათვის ახალი, მძლავრი აზრია. ეს შეხედულებაც 60-იან წლებში მოწინავე პოზიტიური მატერიალისტური მეცნიერების განვითარების ზეგავლენითაა გამოწვეული და, აშკარაა, 60-იანი წლების რეალისტური მსოფლმხედველობისაგან გამომდინარეობს. ილია ჭავჭავაძისათვის

<sup>38</sup> „ცისკარი“, 1861 წ., № 6.

<sup>39</sup> ბარბარე ჟორჯაძისა, ილია ჭავჭავაძის კრტიკაზე, „ცისკარი“, 1861 წ., № 5.

<sup>40</sup> „ცისკარი“, 1861 წ., № 9.

ეს შეხედულებაც დამახასიათებელია, როგორც 60-იანი წლების ღვიძლი შვილისათვის, მთელი თავისი შეგნებითა და მიმართულებით.

აგრეთვე საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის გარკვეული გამოჩენა ძველ მწერალთა ჯგუფისაგან. „დასასრულს, — წერს ჩვეული მძლავრი გესლიანობით ილია, — ჩვენი მწერალი ქალი ეპატიება თავის მოძმეთა მწერალთა (?) და, სხვათა შორის რევ. ერისთავსაც, რომ არ მოაკლონ თავიანთი ნიჭის სხივები დამზრალს „ცისკარს“. მიბრძანდით, მიბრძანდით, ჩვენი მწერალი ქალის მოძმენო მწერალნო და შეადგინეთ კვარტეტი კრილოვისა, თორემ ჩვენ მწერალ ქალს ეშინიან, რომ მარტოკა დარჩება რითმების მბეჭველთა რაზმში. მიბრძანდით, მიბრძანდით, ამ მწერალ ქალის მოძმენო მწერალნო. თუ ნიჭი არა გაქვთ წერისა, ნუ გეშინიანთ. უნიჭოთაც გამოჩნდებით, როგორც გამოჩნდა თვით ჩვენი მწერალი ქალი; თუ ცოდნა არა გაქვთ, ნურც მაგისი გეშინიანთ, უცოდინარობითაც სახელს დაიგდებთ: ხომ ხედავთ, სწავლასაც დასცინიან, უნივერსიტეტსაც და შინიდან გამოუხველობით და უსწავლელობით მოჰკევენ. თუ ხელოვნება არ იცი, მაგის წამალიც ხელთა აქვს ჩვენ მწერალ ქალს, — ანბანთ თეორეტიკა“<sup>41</sup>.

ამკარაა, ბრძოლა გამწვავებული პოზიციებით ვითარდება. მკაფიოდ მეღავენდება ილიას მრავალწახნაგოვანი ნიჭიც და მისი მებრძოლი განწყობილებაც.

ასეთმა თამამმა და „კადნიერმა“ „პასუხმა“ ერთისამ ბრძოლის ველზე მთელი საზოგადოების წინააღმდეგ უფრო ააღელვა „მამათა“ ბანაკი. ილიას ამ წერილს მოჰყვა იმავე „ცისკარს“ № 6 ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული სტატია „უსტარი ანტიკრიტიკული“ სარდიონ ალექსი — მესხიშვილისა, შემდეგ ბარბარე ჯორჯაძისა „ცისკარს“ № 9, რომელშიაც მოწინააღმდეგის კადნიერებით გაბრაზებული კნეინა ძალად თავშეკავებული, მაგრამ ნაღველჩანთხეული ზრდილობიანობით ცდილობს ახალგაზრდა, თამამ და კადნიერ პუბლიცისტს უვიცობის ბეჭედი დაასვას და შემდეგ წერს: „ენას, ჩვენს მამა-პაპათ და დარბაისლურ ენას, არც ამადლება ეჭირება, არც დამდაბლება. ჩვენი ენა დიდბანია სისრულეშია მოყვანილი. მხოლოდ გზა აბნევიან ამ ენას თქვენებურ მწერალთა წყალობით“<sup>42</sup>.

კნეინა ბარბარე ჯორჯაძისას უნდა ილია ჭავჭავაძის დასწამოს უყურადღებობა, წინდაუხედაობა, საქმის არგაცნობა, უსაფუძვლო

41 „ცისკარი“, 1861 წ., № 9.

42 იქვე.

დასკვნების გამოტანა და გადმოსროლა საზოგადოებაში. „როგორც ჩანს, — უკიერიებს ბარბარე ჯორჯაძისა ილიას, — თქვენ არა ჰკითხულობთ („ცისკარს“. — მ. ზ.) და სულ იმ განათლების გზას უნდებით ახალ-ახალ ჩრდილოეთის პოეზიის მოსატანათ. აბა სად მოიცლით“, — ირონიით წააყვედრის პოეტესა.

კნეინა ბარბარე ჯორჯაძისამ რომ ჩაუნისკარტოს და ვალი არ დარჩეს ამ „გათავხედებულ“ ვიღაც „ვაჟ-ბატონისა“, რომელსაც თავი სწავლით მოაქვს და რომელმაც ბოროტად ისარგებლა მისი „თავმდაბლობით“ გამოწვეული განცხადებით — „შინიდან გარედაც არ გამოვსულვარო“, აი რა იგავს ჩაურთავს: „საკვირველია, მკითხველო, — იძულებითი დაწყნარებული კილოთი, რომელშიაც მოსმის ბოლმითა და ნალვლით აღსავსე განცდა, წერს ჩვენი პოეტესა, — რომ უნივერსიტეტით დიდათ თავს იწონებს და იქ გადასვლით და გადმოსვლით. ერთს მაგალითს მოვასხენებთ, თუ არ იწყენს: საბუედან, ბატონებო, ერთ გლეხკაცს ერთი ქეციანი თხა გაეპარა. ეს ის დრო იყო, როდესაც ვრცელი ბუნების ბალი იმოსებოდა მწვანით და მთელი დაღისტნის ხალხი ემუქრებოდნენ საქართველოს, მაგრამ იმ თხამ მთელი დიდოს არემარე მიიარ-მოიარა და რამდენსამე ხნის შემდგომ ისევ ბატონის კარს მოადგა. მაგრამ აი უბედურება — ისევ ქეციანია. დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ამ თხას იქ გადასვლა და გადმოსვლა არც გონიერებით მოსვლია და არც ძლიერებით. სირბილით სწავლა არ დამტკიცებულა და შინ ჯდომით უსწავლელობაო“<sup>43</sup>. ასე ამთავრებს თავის წერაღას მოთმინებიდან გამოყვანილი პოეტესა.

უღავოა, ბარბარე ჯორჯაძისა ნიჭიერი წარმომადგენელი და გამომხატველი იყო ძველი თაობის მსოფლმხედველობისა და ერთი უძლიერესი მოწინააღმდეგე თერგდალეულებისა. ამით აიხსნება, რომ ბარბარე ჯორჯაძის წერილს გამოეხმაურა არა მარტო ამერეთი, არამედ იმერეთიც — ზემოთური იმერელი გორისელის — ევთიმე წერეთლის სახით.

აი, როგორ გადმოგვეცემს ევთიმე წერეთელი იმ აღრევასა და აღშფოთებას, რომელიც გამოწვეული იყო ილიას კადნიერი კრიტიკით. „ოთხი დღის წინად, — წერს ევთიმე წერეთელი, — ქუთაისშიდ ერთი პატივეებული მოხუცის სახლში შევედი. იქ მისმა ნიჭიერმა მეუღლემ იმის უნიჭიერესმა ძმისწულმა, ყმაწვილმა ქალმა, თქვეს, რომ განვლილის წლის „ცისკარში“ კაცს აღარ ჩაეხედებოდა და წელს ამისთვის აღარ ვაწერთ ხელსაო. და სამწუხაროა ჩვენთვის, რომ ჩვენი სამშობლო ენა ლამის დაეცესო. ვიღაც ჰავ-

<sup>43</sup> „ცისკარი“, 1861 წ., № 9.

ჭავჭავაძე აუტყდა და არა ცილდება იმ კახელს ჯორჯაძის კენიანსა, შეუსაბამო სიტყვებით იხსენიებს. რისთვის: სიმართლისათვის და მშვენიერი ლექსების წერისათვის, რომელნიც გაბედვით შემიძლიან ვთქვა სასმენს ატკობენ და გულს აღზენენ. თუ-კი მას გააჩნია ვინ-მე ქალი უყუთესი მწერალი, ეს დიდად ძვირფასი იქნებოდა ჩვენის ენისათვის, რომ კიდევ სხვა ქალსაც გამოეჩინა თავისი თხზულებით ნიჭიერება, როგორც ჯორჯაძისაჲ, თუ არა და რათ უკრძალავს და იხსენიებს ასე?«<sup>44</sup>.

ამჟარაჲ, ილია ჭავჭავაძის მიმართ იმერეთიც ისეთსავე მტრულს და შეუთრეგებელ პოზიციას იჭერს, როგორც ქართლ-კახეთი. ქუთაისი, როგორც თბილისი, ძველ შემოქმედებაში გრძნობს და ხედავს „სიმართლეს და მშვენიერებას“. მაშასადამე, იმერეთიც გამოდის ძველი ენისა და შემოქმედების დამცველად. ამ დაცვაში გამჭვირვალედ მოჩანს სურვილი ძველი ტრადიციებისა და მთლიანად ძველი მსოფლმხედველობის შენახვისა. ზემოური იმერელის გორისელის — ევთიმე წერეთლის აღნიშნული წერილი მით არის საყურადღებო, რომ იმერეთის და ამერეთის „მამათა“ ბანაკში სრული ერთსულოვნებაა. მთლიანი საწინააღმდეგო მოქმედების ფრონტის გაერთიანების აუცილებლობა თითქოს სტიქიურად, თავისთავად ჩნდება და მყარდება.

ევთიმე წერეთელი, როგორც ეტყობა, არანაკლებ აუღელვებია იმ ცნობასაც, რომ ახალი აზრების მოციქული ილია ჭავჭავაძე მომავალი 1863 წლიდან ცალკე ეურნალის დაარსებასაც აპირებს. ევთიმე წერეთელი ალბათ გრძნობს ამაში დიდ საფრთხეს და მასთან ერთად „მამათა“ უძღურებასაც ბრძოლისათვის. მოწინააღმდეგე როგორმე რომ შეასუსტოს, ის ასეთი ირონიით ათაგებს თავის წერილს: „შევიტყუეთ ჭორად ქუთაისშიდ, რომ ვითომც ახლა უფ. ჭავჭავაძე აპირებს მეორე ეურნალის გამოცემას. უეჭველია, ის ეურნალიც ისეთი ახალი ენისა იქნება, რა ენისათვისაც გამობრძანდა მწერლობის ასპარეზზე შარშან, და იმედი ჰქონდეს, რომ ბევრს ხელისმომწერს ჰპოვებს. იმ ენით ლაპარაკს ჩვენი საზოგადოება დიდათ შორავს... ყოველს მამულის შვილს უნდა მიაჩნდეს დიდად სამწუხაროდ და თვითონ მე... მეხვივით მეცემა და სისხლს მიარეს“<sup>45</sup>.

ზემოური იმერელის გორისელის — ევთიმე წერეთლის ამ წერილმა საბრძოლველ ასპარეზზე ილია ჭავჭავაძის მომხრენიც გამოიწვია. ილიას მომხრენი, სხვა თერგდალეულნი, ჯერ კიდევ პეტერ-

<sup>44</sup> „ცოცხარი“, 1861 წ., № 9.

<sup>45</sup> იქვე.

ბურჯში (ლენინგრადში) ცხოვრობდნენ, ჩვენი ცხოვრების ბრძოლის ატმოსფეროში უშუალოდ არ იყვნენ ჩაბმულნი. ისინი ამ დროს რუს ახალ თაობასთან ერთად აფორიაქებული ცხოვრების გზას ებრძოდნენ. რუსეთში ამ დროს უაღრესად გაცხოველებული ოპოზიციური მოძრაობა წარმოებდა, იმართებოდა გრანდიოზული დემონსტრაციები სტუდენტების მიერ. ჩვენი ახალგაზრდობაც ფეხდაფეხ მისდევდა რუს ინტელიგენციას. ბევრი მათგანი დასჯილი იქნა რუს ინტელიგენციასთან ერთად<sup>46</sup>.

1862 წლისათვის, ალბათ, როდესაც რუსეთში სტუდენტების მოძრაობის ქარტეხილი შენელდა, როდესაც „ცისკარის“ თებერვლის ნომერმა რუსეთში „ზემოური იმერელი გორისელის (ევთიმე წერეთლის)“ წერილიც მიიტანა, თერგდალეულნი, პეტერბურგში მცხოვრებნი, სამშობლოსაკენ მოახედა. ერთსა და იმავე დღეს 1862 წლის 30 მარტს ქალ. პეტერბურგიდან „ცისკარს“ ოთხი წერილი მოსდის. სამი მოწერილია „თერგდალეულს“ ფსევდონიმიტ, ხოლო მეოთხე ლექსი „პოეზიური“ — „რუსეთში“ — „ფარისეველი“ — აკაკი წერეთლისა. ეს წერილები იმავე წელს „ცისკარის“ ფურცლებზე ზედიზედ 3, 4 და 5 №-შია მოთავსებული. გაჩაღდა დარაზმული ბრძოლა.

თერგდალეულთა ეს წერილები არა მარტო ევთიმე წერეთლის საპასუხოდ არის დაწერილი, არამედ გაკამათება მთელი ძველი თაობისა და მისი მიმართულების წინააღმდეგ. მასთან ერთად ამავე წერილებში თერგდალეულნი გარკვეულად პერსონალურადაც ჰავჭავაძის, მისი მიმართულებისა და პოზიციის დამცველებადაც გამოდიან.

„ილია ჭავჭავაძემ, — წერს „თერგდალეული“ (შეიძლება მას ვუწოდოთ პირველი)<sup>47</sup> სტატიის „წიგნი მოწერილი რედაქტორთან ევთიმე წერეთელისა“, — რომ „შეშლილის“ კრიტიკა დასწერა, მაშინ ხომ უფ. ერისთავი უნდა გაემართლებიათ, ე. ი. უფ. ჭავჭავაძის კრიტიკა გაეჩხრკათ, მაგრამ კრიტიკოსებმა უფ. ჭავჭავაძის ლექსებს სტატიის ხელი და არა მის კრიტიკას — გალმა შევედავებით, გამოლმა დაგვრჩებო... რაღაც გაქეზებული ყოფილა ილია ჭავჭავაძეზედა“. და ბოლოს, „თერგდალეული“ გარკვეული მოთხოვნებით აცხადებს ახალი თაობის გამიჯვნას ძველი თაობისაგან. „ჩვენ ვფიქრობდით, — წერს თერგდალეუ-

46 ნ. ნიკოლაძე, მოგონებანი 60-იან წლებზე, „კავკასიონი“, 1924 წ., № 3—4. „ახალი კავკასიონი“, 1925 წ., № 1—2.

47 ს. ხუნდაძის გამოკვევით, ეს წერილი ეკუთვნის კ. ლორთქიფანიძეს, იხ. „გ. წერეთელი“, ტ. I, გვ. 399—400.

ლი (პირველი), — რომ ახალს მოდგმას უფრო ნება აქვს, რომ მოითხოვოს, რა უფრო არის მისთვის საჭირო, ე. ი. ახალი მოდგმისათვის, ვინემ „საუყუნის მეორე ნახევარის ასაკისა მყოფი“ (ეს ევთიმე წერეთლის სიტყვებია. — მ. ზ.). ჩვენ არ გვინდა არც წამლიანი, არც უწამლო დამძალებული რიტორიკა უფ. მესხიშვილისა (გიმნაზიაშიც თავი მოგვაძულა) და არც სიტყვების აწყობა ალ. სულხანოვისა<sup>48</sup>.

ასევე მკაფიო და აშკარა გამოსარჩლებას ვხედავთ ილიასა და „ახალი მოდგმის“ სასარგებლოდ „მეორე თერგდალეულის“ წერილში — „რ ა მ დ ე ნ ი მ ე ს ი ტ ყ ვ ა ზ ე მ ო უ რ ი ი მ ე რ ე ლ ის გ ო რ ის ე ლ ის ს ი ტ ყ ვ ე ბ ზ ე ლ“<sup>49</sup>. მეორე თერგდალეული თავის სპოლემიკო სტატიას ეპიგრაფად უმძლვარებს პუშკინის ლექსიდან ამოღებულ მეტად დამახასიათებელ ციტატას:

«Поэт, не дорожи любовью народной,  
Босторженных похвал пройдет минутный шум».

ასეთი ამაყი, თავისი ძალისა და ღირსების შემგნები გრძნობა მაჩვენებელია ახალი თაობის ძალუმი დუდილისა და ძლიერი გატაცებისა. ამასთან ერთად, ამ პერიოდში იხატება გარკვეული დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისადმი: ამაყად გადმოცქერა იმ თაობაზე, რომელიც ასე აყაყანდა, აღშფოთდა გაბედული სტუდენტის წინააღმდეგ და მოინდომა თუ ღირსებით არა, რიცხვით მაინც დაეძლია ის. „ძალიან მიკვირს, — წერს მეორე თერგდალეული, — უფ. გორისელი რომ ჭავჭავაძის ნიჭსა და სწავლას დასციინს. იმდენი ანდაზები სცოდნია, როგორც სჩანს სტატიიდან, და, უეჭველია, რომ ესეც ეცოდინება: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომ საწველელს ავსებდესო“. დასამტკიცებლად იმისა, — ღვარძლიანად შენიშნავს მეორე თერგდალეული, — რომ ჭავჭავაძე უნივერსიტეტში

<sup>48</sup> „ცისკარი“, 1862 წ., № 3.

<sup>49</sup> ნიკო ნიკოლაძის მოწმობით, ამ სამ თერგდალეულში — პირველი იყო კ. ლორთქიფანიძე, რაც დამტკიცდა საბოლოოდ სიმ. ხუნდაძის მიერ ამ წერილის ავტოგრაფის მიგნებით: მეორე — ა. წერეთელი, ხოლო მესამე — გ. წერეთელი. ჩვენ თავიდანვე ეჭვი დაგვებადა, რომ მეორე თერგდალეული უნდა იყოს სხვა ა. წერეთელი, არამედ გ. წერეთელი, ვინაიდან, ვწერდით, „სტილიური ანალიზის მიხედვით ა. წერეთელს მესამე თერგდალეულის წერილი — „ახირებული ფურცელი“ უფრო უახლოვდება“. მეორე თერგდალეულში მივიჩინეთ გ. წერეთელი. ეს ჩვენი აზრი შემდეგში დამტკიცდა. მამია დუდუჩავამ 1936 წელს აღმოაჩინა „ახირებული ფურცლის“ ავტოგრაფი, რაც ადასტურებს, რომ მისი ავტორია ა. წერეთელი. დოც. ს. ხუციშვილის აზრით, მეორე თერგდალეული სამსონ აბაშიძე უნდა იყოს. იხ. მისი „სამსონ აბაშიძე“, 1958 წ.



გაზრდილია, გადაშალოს უფ. გორისელმა ის სტატიები, რომელნიც იმან სამი დღე ღიჯნა და გაქირვებით ამოღიჯნა“<sup>50</sup>.

გორისელი ევთიმე წერეთლის დაცინვაზე, რომ ჭავჭავაძის ჟურნალი ვერ იზოგინებს, ვერ იშოვის ხელისმომწერათ, რადგანაც ჭავჭავაძის ენას „საზოგადოება დიდათ შორავს“, მეორე თერგდალეული, გამარჯვებაში დარწმუნებული, სიამაყის გამოშხატველი ტონით პასუხობს: „დარწმუნდით უფ. კრიტიკოსო, რომ ჭავჭავაძის ჟურნალი მოკლე დროში ძალიან კარგ წარმატებაში წავა. თქვენ ფიქრობთ, — განაგრძობს მეორე თერგდალეული, ვითომც ორი ჟურნალი რომ იქნეს, ხელის მომწერი „ცისკარს“ მოაკლდებაო. მე ამაზედ ვერ გეთანხმებით იმისთვის, რომ, რაც უფრო მეტი ჟურნალი იქნება, ის უფრო სასარგებლოა ჩვენთვის, მისთვის რომ ხალხში სურვილს შეიყვანს კითხვისას და როცა კითხვა და სწავლა გავრცელდება ჩვენ სამშობლოში, მაშინ ძალიან ჟურნალის მოახლოვდება იქნება“<sup>51</sup>.

მაშასადამე, თერგდალეულებს „მამებთან“ არა მარტო უბრალო ბრძოლა აინტერესებდათ, არამედ გარკვეული კულტურული აღორძინების მისწრაფებანი აქვთ და სურათ ჟურნალიც ამ აღორძინების იარაღად გამოიყენონ.

მეორე თერგდალეულის წერილს „ცისკარის“ მეხუთე ნომერში მესამე თერგდალეულის წერილიც მოყვა „ახირებულის ფურცლის“ სახელწოდებით. ეს თერგდალეულიც ილია ჭავჭავაძისა და მის პოზიციას იცავს. ჟურნალ „ცისკარის“ ფიზიონომიის გამოურკვეველობას აკრიტიკებს და ირონიით შენიშნავს: „როგორც მოგეხსენებათ, ეს ჩვენი ყმაწვილი „ჟურნალი“ მეექვსე წელიწადში ჩადგა, მაგრამ დღემდის არ ვიცოდით, სადაური ყმაწვილი იყო: რუსის თუ ქართველის. ღმერთთან სწორი სჯობს, ზოგიერთი თვისება ქართველი ყმაწვილისა ჰქონდა. ყოველ თვეში თითო კაბას იცვლიდა, ხან წითელს იცვამდა, ხან ყვითელს და ლურჯს“<sup>52</sup>. „ახირებულის ფურცლის“ ავტორი, გააკრიტიკებს რა ძველი თაობის შეხედულებასა და მიმართულებას, წერილს დაურთავს მშვენიერ მესტიურულ ლექსს, რომელიც საკმარისად ცოცხლად ახსიათებს ჩვენი 60-იანი წლების ცხოვრებას, ძველისა და ახალის გამიჯვნისა და ბრძოლის დროს:

50 „ცისკარი“, 1862 წ., № 3.

51 იქვე.

52 „ცისკარი“, 1862 წ., № 5.

ზემოური იმერელი  
 კახელს შემოწყრაო.  
 აეე-პოო, პეე-პოო!  
 სამ დღეს უღეჰა სტატია  
 და ძლივს გამოხრაო,  
 ცილს არ ვწამებთ, ბატონებო,  
 თვითონ მოგვითხრაო.  
 პეე-პოო, პეე-პოო!  
 შერე დაჯდა და რედაქტორს  
 წიგნი მისწერაო:  
 პეე-პოო, პეე-პოო!  
 თქვენი ცისკრის გამოწერა,  
 თუმც მომენატრაო,  
 პეე-პოო, პეე-პოო!  
 მაგრამ კახელის სტატია  
 გულს ისარი მკრაო.  
 პეე-პოო, პეე-პოო!  
 მაგ თერგის წყალღაღეღმა  
 ეგ რა შეგვეკადრაო.  
 პეე-პოო, პეე-პოო!  
 ანტონსა და ჩახრუხაძეს  
 რას ჩაემტერაო?  
 პეე-პოო, პეე-პოო!  
 ყურნალი უნდა გამოსცეს,  
 სულ ქართლი შესძრაო.  
 პეე-პოო, პეე-პოო!  
 ჩემ მაგიერად ურჩიე,  
 თუ დაიჭერაო,  
 პეე-პოო, პეე-პოო!  
 ბევრი უნდა, რომ ეყოლოს,  
 ხელმომწერი ცხრაო,  
 პეე-პოო, პეე-პოო!  
 სხვებიც ბევრი რამ მინდოდა,  
 რომ მომეწერაო.  
 პეე-პოო, პეე-პოო!  
 მაგრამ თერგელის სტატია  
 ჭირათ მომასწრაო,  
 პეე-პოო, პეე-პოო!  
 რაც აზრები მოვაგვარე  
 ჯერით გამოსუკრაო,  
 პეე-პოო, პეე-პოო!  
 ეს ჩემი ბატის კალამიც  
 ნოემ გამოსუკრაო!  
 ეს მისწერა და მართლისთვის  
 აწ ჩვენ უთხრათ ბრავო —  
 პეე-პოო, პეე-პოო!<sup>53</sup>

53 „ცისკარი“, 1862 წ., № 5.

თერგდალეულთა ბრძოლისა და პოზიციის ხასიათს ააშკარავებს იმავე წელს, იმავე დღეს, პეტერბურგიდან გამოგზავნილი თერგდალეულის — აკაკი წერეთლის ლექსი-სატირა „ფარისეველი“, ნაწყვეტი პოემიდან „რუსეთუმი“. აკაკი წერეთელი საკმარისი კადნიერებითა და სარკავშით უფრო აღრმავებს ამ ორი თაობის, „მამათა“ და „შვილთა“ შეხედულებების განსხვავებას. „მამათა“ დახასიათებას აკაკი მეტად მუქ ფერებში გვაძლევს:

შეხედეთ ფარისეველსა,  
ლოცვითა დამის მთველსა,  
ცხალთ ბოროტის დამგმობსა  
ჩუმაღ კი ცოდვის მღველსა.  
წამისწამ ახსენებს უფალს,  
ამ თვალთმაქცობით გიხვევთ თვალს,  
მე უღმრთო კაცსა მეძახის  
და მიზეზს ადებს თერგის წყალს.  
შეგტირისთ ჭვარიითა და ღვით.  
თქვენც გაჭერებთ, ცულ კაცად მხლით.  
მაგრამ ჩვენში სხვა რამ არის —  
მიზეზს გეტყვით, თუ ვერ მიხვდით:  
. . . . .  
ესცანი გაიჭერა მე,  
მისთვის მიწყრება თურმე,  
ულთობას მიტომ მწამებს  
და მეძახის „რუსეთუმი“<sup>54</sup>.

თერგდალეულების გუნდობრივმა და გაბედულმა გამოსვლამ გამოიწვია „მამათა“ ბანაკიდან სხვების წერილებიც, კერძოდ, თომა მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს — „პასუხი მეორე თერგდალეულის პასუხისა“<sup>55</sup>. ბრძოლა თანდათან მწვავედებოდა, თანდათან უფრო შეურიგებელ ხასიათს იღებდა. თვით ილია ჭავჭავაძე ძველი თაობის თვალში შეიქნა L'enfant terrible. „მამათა“ და „შვილთა“ შორის საპოლემიკო სტატიები აშკარად გვიხატავს მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს და მათი ერთად მუშაობის შეუძლებლობას. აქი ილია ჭავჭავაძის საპასუხო წერილს სარდიონ მე ს ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი დაბეჭდვა ვერ ეღირსა. 1861 წლის „ცისკარის“ 10 №-ში რედაქციის შემდეგ განცხადებას ვკითხულობთ: „თავად ილია ჭავჭავაძისაგან მივიღეთ სტატია „უფ. მესხიევის „ანტიკრიტიკულ უსტარის პასუხად“, რომელისაც დაბეჭდვა ვერ მოვახერხეთ ამ ნომერში. შემდეგ წიგნში უეჭველად დაიბეჭდება“. მაგ-

54 „ცისკარი“, 1862 წ., № 5.  
55 „ცისკარი“, 1862 წ., № 8.

რამ შემდეგში კი არა, სრულებით არ დაიბეჭდა. ილიასათვის „ცისკრის“ კარი დაიკეტა. ახალი თაობისათვის აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა ახალი, თავისი საკუთარი ორგანოს დაარსება. ამ ორგანოს გარკვეულ იდეურ კალაპოტში უნდა ჩაეყენებინა საზოგადოებრივი აზროვნება როგორც „მამების“, ისე „შვილებისა“.

1862 წლის „ცისკრის“ 9 №-ში ერთ-ერთი თერგდალეული პავლოვსკიდან გამოგზავნილ წერილში: „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალის ყურნალის სარგებლობაზედ“ — სრულიად სამართლიანად წერს: „ცისკარს“ არა ჰქონია ერთი მიმართულება. და არც კარგი ყოფილა ყოველი მისგან გავრცელებული აზრები, ცოტა მეტი, რომელიც თითქმის არ სჩანდა სხვა სიცრუესთან. მასში იბეჭდებოდა ერთი-მეორის მოპირდაპირე სტატიები... ზოგს ჰქონდა სახეში ერთობა, ზოგს ერთმანეთის მტრობა: ერთი დევნიდა გამღლების, და ძიძების ნალაპარაკებს, სისულელეს, მეორე ამტკიცებდა... რედაქცია უნდა გამტყუნდეს... ქვეშაირტებამ არ უნდა დაუთმოს ადგილი არც საზოგადო აზრს, რამდენადაც შესაძლოა, და არც თვითეულს ჩვენთაგანის ინტერესს... თორემ ახლა სრულიად არ ვიცით, რედაქცია მეოთხე საუკუნეში განისვენებს, თუ მეცხრამეტეში მოქმედებს“.

ახალი თაობა ვერ ეგუებოდა ასეთს გაურკვეველობას, თუ გნებავთ, უპრინციპობას. ის, ახალი იდეებით და მისწრაფებით აღჭურვილი, ცდილობს გარკვეული სახე და მიმართულება მიიღოს. ამისათვის საჭიროდ მიაჩნია ქართულ ენაზე მეორე ყურნალის არსებობა. „მეორე ყურნალის ყოფნა, — წერს ეს თერგდალეული პავლოვსკიდან, — გაანთავისუფლებდა „ცისკარს“ მოპირდაპირე სტატიებისაგან, რომელთა ვნება აგრე ადვილად საგრძნობია... ცხადად ჩანს, რომ ამ მეორე ყურნალის, „საქართველოს მოამბის“, ფეხზედ დაყენებას უნდა ვცდილობდეთ. მაგრამ ჩვენ არა თუ ვცდილობთ მეორე ყურნალის კეთილდღეობას, ვგონებ, საფლავშიაც ჩავდოთ დაბადებისთანავე, თუ ჩვენებურობა ვიხმარეთ. ჩვენებურობა რა არის? მკითხავს ვინმე. ჩვენებურობა ის არის, რომ ერთმანეთს თავს ვატეხთ, ათასნაირად დავყოფილვართ, ჭგუფ-ჭგუფად ვართ აქა-იქ გამდგარი, თითქოს ერთმანეთის დაუძინებელი მტრები. ერთს მხარეს გამდგარა მამა, მეორეს შვილი, აქეთ-ეს, იქით-ის. თუ ჩვენი საკუთარი არ დაჩუმდება საზოგადო ინტერესის წინ, მაშინ ჩვენს გზასა და კვალსა ვერავინ გაიგებს“<sup>66</sup>.

ეს სტატიაც მკვეთრად გვაგრძნობინებს ჩვენი 60-იანი წლების

<sup>66</sup> „ცისკარი“, 1862 წ., № 9; ეს თერგდალეული, ს. ხუნდაძის გარკვევით, კ. ლორთქიფანიძეა.

საზოგადოებრივ ცხოვრებას, „მამათა“ და „შვილთა“ გაყრას, მათს წინააღმდეგობას და შეუთრგებლობას. ახალი თაობის მიწრაფება და სულიერი განწყობილება აშკარაა: მას საზოგადოებრივების, სადაც პირადი ინტერესი უნდა დაჩუმიდეს საზოგადოს წინაშე, — განმტკიცება უნდა. ახალი ორგანოს არსებობაც ამ მიზნისათვის აქვს გათვალისწინებული.

ცხადია, „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა პირველ რიგში უფრო მწვავედ ენის გარშემო გაიშალა.

უდავოა, ილ. ჭავჭავაძე დიდი გულისხმიერებით აკვირდებოდა ქართველი ხალხის ცხოვრებას, რომელიც კაპიტალიზმის შესამჩნევი განვითარების გამო ახალ საფუძველზე გარდაქმნას იწყებდა. კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში დიდი როლი ითამაშა ფეოდალური კლასისა და ფეოდალური საწყისების სწრაფი დარღვევისა და საქართველოს ცალკეული ფეოდალური ერთეულების გამთლიანების საქმეში ერთ ერად.

სწორედ ქართველი ხალხის ნაციონალური მთლიანობის ეს შეგნება აიძულებდა ილ. ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრეთ მოეზდინათ და გაეტარებინათ ცხოვრებაში ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა — განმტკიცებინათ საერთო სახალხო ნაციონალური ენა.

ილ. ჭავჭავაძემ პირველსავე „პასუხში“ იცავდა რა ენის რეფორმის აუცილებლობასა და სისწორეს, წამოაყენა გარკვეული და კატეგორიული დებულება: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“.

მაშასადამე, ენის ხალხურობას ილ. ჭავჭავაძე სალიტერატურო ენის აუცილებელ პირობად სთვლის. მას კარგად ესმის, რომ ენა შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის მიერ, არამედ ასეულ თაობათა ძაღლონით. შექმნილია მთელი საზოგადოების, ყველა კლასის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ამიტომ შექმნილია როგორც საზოგადოების ყველა ფენისათვის საერთო საყოველთაო სახალხო ენა.

ილ. ჭავჭავაძე, ეკამათება რა თავის მოწინააღმდეგეებს, რომელნიც იბრძოდნენ სალიტერატურო ენად შეენარჩუნებინათ თავდაზნაურული ქარგონი, „სალონის (სადარბაზო) ენა“. დამკვიდრებული თავდაზნაურობის არისტოკრატიის წრეში, თავის წამოწყებას შემდეგი დებულებითაც ამაგრებს: „კაცის ენა კერძო პირსავეთ იბრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე“.

ცოტა ქვემოთ, ილ. ჭავჭავაძე ამ დებულების ქვეშარიტეზას შემდეგი კონკრეტული მაგალითითაც განმარტავს: „თუ მართლა ეგ ასოები (ჟ, ზ, ძ, ჯ, ჭ, — მ. ზ.) არ ისმის ეხლანდელ ენაში, რატომ არ უნდა გადაადგონ? შესუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანისა განა ცოტა საქმეა? და თუ ისმის, მაგ. ასოების ხმარების კანონს რატომ არ ვეძებთ ენაში, რომ ყველამ ერთნაირად ვინმართ?“ წამოყენებული დებულების დამტკიცებას ილ. ჭავჭავაძე ეძებს და პოულობს ხალხურ ენაში, რომელშიც აღნიშნული ბგერები სინამდვილეში აღარ ისმოდა, უკვალოდ იყო დაკარგული.

ძველი თავადაზნაურული თაობა საშინელი გაბოროტებით ამხედრდა „ახალი“ ენის წინააღმდეგ, რადგანაც სალიტერატურო ენად მტკიცდებოდა ხალხის, მასების ენა, რომლის საშუალებით, ძველი თაობის ვაგებით, არ შეიძლება გამოითქვას ყოველგვარი გრძობა და აზრი (ალ. ორბელიანი).

ილ. ჭავჭავაძე, უპასუხებდა რა თავის მოწინააღმდეგეებს, მტკიცედ მიუთითებდა, რომ თავადაზნაურულ, სალონურ ენაზე დაწერილი ლიტერატურა ხალხისათვის უცხოდ რჩება. ილ. ჭავჭავაძე თავის პასუხში დამაჯერებლად განმარტავდა ამ მოვლენის მავნე ხასიათს მთელი ხალხის კულტურული განვითარებისათვის. „ლიტერატურა, — შთაგონებით მიმართავს ილ. ჭავჭავაძე მოყვამათეებს, — თუმცა დღედადღე მდიდრდება, იესება ახალის ნაყოფითა, ახალის იდეალებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიან იგინი, როგორც საჭიროა. ჟმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენას, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო ვაგება მისი, რასაც კითხულობდა — და ჩვენ ზემოთა ვსტყვიით, რომ თუ ხალხი ვერ ვაგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს“<sup>57</sup>.

არსებითად ეს იყო ენაში დიალექტებისა და ეარგონების საკითხის დაყენება, რაც ასე სასარგებლო და აუცილებელი იყო.

ახლა ჩვენთვის აშკარაა და გასაგებიც არა მარტო ის, რომ ილ. ჭავჭავაძემ ენის რეფორმის აუცილებლობა მოითხოვა, არამედ აგრეთვე ისიც, — ამ რეფორმამ რატომ ასე ძლიევამოსილად გაიმარჯვა, რატომ ასე სწრაფად და ბუნებრივად განმტკიცდა იგი როგორც ქართულ მწერლობაში, ისე მთელი ქართველი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

57 ილ. ჭავჭავაძე, „საქართველოს მოამბეზედ“, ტ. VI, გვ. 75.

## თერგდალეულების კოზიტიური შეხედულებანი

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე უკვე 1862 წელს ბრძოლის ველზე მარტო აღარ არის. მთელი გუნდი თერგდალეულებისა გარკვეულად იბრძვის მასთან ერთად და საერთო აღებული გეზით, ერთი მიმართულებით, ახალი გზის გასაკაფავად ირაზმება. 1862 წლის „ცისკარის“ 10 №-ში მოთავსებულია თერგდალეულთა განცხადება ახალი ჟურნალის — „საქართველოს მოამბის“ შესახებ.

ახალი ჟურნალის პროგრამა ყურადღებას იქცევს თავისი შინაარსითა და საერთო მიმართულებით. მომავალი 1863 წ. იანვრის თვითგან, — კვითხულობთ განცხადებაში, — გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. გამოცხადებულია, რომ ჟურნალი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: 1) წმინდა სალიტერატურო, 2) ისტორიული, 3) საპოლიტიკო და სოფლური ეკონომია („ეს საგნები, — განმარტებულია განცხადებაში, — იმდენად, რამდენადც დრო და საჭიროება მოითხოვს“), 4) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, 5) სხვადასხვა ამბავი და 6) დამატება. „ამ პროგრამას, — აცხადებს მომავალი ჟურნალის რედაქტორი ილია ჭავჭავაძე, — ამჟამად აღარაფერს არ ვუმატებთ: რაც შეეხება ჟურნალის ხასიათს და მიმართულებას, ამხედ არაფერს ვიტყვი. ჩვენ ვარჩიეთ, რომ თვითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თვითონ საქმეში გაჰოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინასიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ ამისათვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულწრფელია და ჭეშმარიტი... ჩვენის მხრით, რასაც კი შევიძლებთ, არას დავეზოგავთ, დანარჩენი თვით საზოგადოებაზე ჰკიდია“<sup>58</sup>.

„საქართველოს მოამბის“ დაარსებით მოხდა სრული განცალკევება და გამიჯვნა ძველისა და ახალი თაობებისა<sup>59</sup>. ახალი თაობის

<sup>58</sup> „ცისკარი“, 1862 წ., № 10. დაყოფა ჩვენია.

<sup>59</sup> ძველი თაობა — „მაშები“ „ცისკარში“ დარჩნენ. უნდა აღინიშნოს, რომ „ცისკარში“ სწორედ 1863 წ., როცა ასეთი მწვავე კამათია „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეს“ შორის, გარდა „მაშებისა“, ძველის მოტრფიალეთა, მუშაობდნენ ანტონ ფურცელაძე და აკ. წერეთელი. ეს ორივე მოღვაწე ცნობილია 60-იან წლებში თავიანთი მოწინავე მსოფლმხედველობითა და მისწრაფებებით. ისინი საერთო მიმართულებით, რასაკვირველია, „შვილებთან“ არიან, მაგრამ ისინი „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლებისადმი, ალბათ, პი-

ე. წ. თერგდალეულთა მრწამსი და მიმართულება, გატაცებით და მოქმედების ძლიერი მოწყურებით სავსე, ცხოვრების წინმსვლელობით ალტყინებული, სავსებითა და მთლიანად გამოიხატა „საქართველოს მოამბეში“, რომელმაც ერთ წელიწადზე მეტს ვერ გაძლო. თერგდალეულთა მსოფლმხედველობისა და სულიერი განწყობილების გასაგებად მეტად საინტერესოა „საქართველოს მოამბეზედ“. ეს დეკლარაცია ილია ჭავჭავაძის ეკუთვნის, როგორც ჟურნალის რედაქტორს და მის მთავარ მამოძრავებელ ძარღვს. წერილშიც აშკარად მქლავდება ილ. ჭავჭავაძის მატერიალისტური შეხედულებანი.

თერგდალეულნი ხედავდნენ, რომ ცხოვრება ერთს გაყინულ წერტილზე არა დგას. ის მიდის წინ, იცვლება და თუ ადამიანს, საზოგადოებას სიცოცხლე უნდა, ცხოვრების ასეთ ურყევ მიმდინარეობას უნდა კიდევ მისდიოს. „ყოველი კაცი, — ვკითხულობთ აღნიშნულ წერილში, — რომელსაც-კი თვალზე წამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ, და მოაქვს განახლება. ყვე-

რადი განწყობილებს გამო, „ცისკარში“ დარჩნენ. აი რა საინტერესო ცნობას ბეჭდავს ს. ხუნდაძე თავის შენიშვნაში „გ. წერეთლის“ I ტ. 326 გვერდზე, აკაკი წერეთელი თავის თანამშრომლობის შესახებ „საქ. მოამბეში“ კ. ლორთქიფანიძის ასე უპასუხებს: „კერესელიძეს რაღაც მივსცემ, თუ კი შენი სურვილი იქნება. მაგრამ რა ექნა, რომ ილიკო ჭავჭავაძე ჩემი მაგინებელია, მის სტატიას რომ შემეხვეწოს არ დავბეჭდავ, ასე ამბობს“. ცხადია, აკაკის „საქართველოს მოამბეში“ მონაწილეობის მიუღებლობა პირადი განწყობილებით შეიძლება მხოლოდ აიხსნას. ასევე შეიძლება ითქვას ან. ფურცელაძის შესახებაც. ეს ორი თანამშრომელი იყო. რომ კიდევ რაღაც სიცოცხლეს აძლევდა „ცისკარს“, მაგრამ ამათაც ვერ იხსნეს უურნალი „ცისკარი“ დაქიანებისაგან. აი, 1863 წელს „ცისკარს“ როგორ ახასიათებს გ. წერეთელი, რომელიც ამ დროს „საქ. მოამბეში“ თანამშრომლობს. „ჩვენი ბედკრული „ცისკარი“ შეიძის წლის განმავლობაში სულ იმაზე გვატარებინებს დროებას: ან ღამე როგორაა, ან დღე რა ჩივის სინათლით მოიციავს არე-მარეს. თუ დღეა, კაცის გულში, რა რიგს ტკბილს გრძნობებს აღმოძრავს, ან თუ საღამო, რა რიგ სიმშვენიერით მართავს ბუნებას და სხვა ამგვარებით. არა გვეშველა რა, ის აზრი კი ვერ გამოვიკვლიეთ მასში, რომელსაც პირობა დაედვა საქართველოს დილის ამოსვლაზე: თუ რომ ღამობდა შეტოპვას ცხოვრების მორეკში, იმავე წამს ისხამდა ფრთებს პაერში გასაფრენად და ჩაუფარდებოდა ენა. ნამდვილის ცხოვრების თვისების მაგივრად თანატაზის სურათების შემკულ ქვეყანაზედ მუდამ ყურება“ (გ. წერეთელი. „ცისკარს“ რა აკაკანებდა“). შემდეგ, როდესაც „ცისკარს“ ანტ. ფურცელაძე და აკაკი წერეთელი ბუნებრივად ჩამოშორდნენ, „ცისკარმა“. როგორც იმ წრემ. რომელიც მის გარშემო ღონილებდა, შესამჩნევად სულის დაფვა დაიწყო. მხოლოდ რედაქტორის ივ. კერესელიძის ჯიუტმა ხასიათმა „ცისკარს“ 1875 წლამდის გააძლგინა.



ლაფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელი საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდე გვიკვირს, აღრინდელს კაცს როგორ სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად?<sup>60</sup> თერგდალეულნი ასეთი შეხედულებების გამოთქმით, რასაკვირველია, ეკამათებიან ძველ თაობას და ცდილობენ დაარღვიონ ძველი მსოფლმხედველობა.

თერგდალეულნი ცდილობენ არსებული ცხოვრების შეცვლის აუცილებლობა დაამტკიცონ და ახსნან გარკვეული მეცნიერული საბუთიანობით. მათ სწამთ, რომ ცხოვრება ახლდება, იცვლება, ჯანმრთელდება „ცოდნისა და მეცნიერების შემწეობით, რომელნიც თვითონვე ცხოვრების ნაყოფნი არიან“<sup>61</sup>.

თერგდალეულთა ასეთს შეხედულებაში ვხედავთ იმ დიდ გავლენას და გატაცებას პოზიტიური მეცნიერებით, რომელიც განმტკიცდა ბუნებისმეტყველების დარგების განვითარებით და რომელიც გამოწვეული იყო 30—50-იან წლებში ევროპასა და აქედან მოგვიანებით — რუსეთში, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე ბურჟუაზია გაბატონდა.

60 „საკართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1, გვ. 111.

61 ჩვენს თერგდალეულებს ეს ტენდენციები უშუალოდ რუსეთიდან მოაქვთ — ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, პისარევი და მრავალი სხვა ჩვენი ახალგაზრდა ინტელიგენციისათვის თითქმის ისეთი სათაყვანებელი იყვნენ, როგორც რუსებისათვის. ჩერნიშევსკი უშუალოდ ნაცნობი იყო ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა (იხ. ნიკო ნიკოლაძის „მოგონებანი სამოციან წლებზე“). დობროლიუბოვის კრიტიკული სტატიების გავლენა, როგორც ნიკო ლომოურმა აკაკი წერეთლის სამოქალაქო პანაშვიდზე 1915 წ. წაკითხულ „მოგონებაში“ განაცხადა — დიდი იყო. აქ თბილისის სასულიერო სემინარიაშიც, მოწაფეებს ჩუმად, მალვით, რადგანაც მათი კითხვა სასტიკად იყო აკრძალული, შექონდათ და ჭკუფობრავ კითხულობდნენ დიდის გატაცებით, რელიგიური სასოებათ და, ასე ხარბად დაწაფებულნი, მის იდეებზე იზრდებოდნენ. პისარევსაც ჰყავდა მიმდევარი ჩვენი მწერლობაში. ანტონ ურცელაძე თავის „ნილილიზმით“ ხშირად ბრზად გამოკლავდა პისარევის იდეებისა.

ჩვენი 60-იანი წლების (შემდეგშიც-კი) ახალი თაობა რუსეთის ინტელიგენციის მიერ ევროპიდან ნასესხებ და დამუშავებულ იდეებს სუსხულობს და ცდილობს კვალდაკვალ მისდიოს მათ. ერთი გარემოება-კი უნდა აღინიშნოს: ჩვენი თერგდალეულნი რუსეთის საზოგადო აზროვნების უფრო პრაქტიკული მხრით არიან დაინტერესებულნი. თერგდალეულნი ცდილობენ ჩვენში რუსეთიდან გადმონერგონ ის, რაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებელი და გამოსადეგი იქნებოდა, რასაც ასეთ დაეინებით თხოულობდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილე.

ჩვენი თერგდალეულნი, როგორც ცხოვრების ასპარეზზე გამოსული ახალი კლასის (ბურჟუაზიის) კულტურასთან შეზრდის, შეგუების აუცილებლობის მაღიარებელნი, ცდილობდნენ მისი მონაპოვრით ესარგებლათ, გამოეყენებინათ მისი გავება ცხოვრებისა. ცხოვრების ცვლისა და მისი განვითარების აუცილებლობა რომ დაამტკიცონ, თერგდალეულნი იშველიებენ მეცნიერებას: „ცხოვრება, — ვკითხულობთ საპროგრამო წერილში, — როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჰკნება იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიშრას, არამედ იმისათვის, რომ თავის აგან მოყვანილს ნაყოფის აგეთეს ზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება“<sup>62</sup>, რომელიც ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედა, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა“<sup>63</sup>. ამით თერგდალეულები მტკიცედ და გამარჯვების ღრმა რწმენით ეუბნებიან „მამებს“ — „ჩამოდექით, გზა მოგვეცი“ — ო.

თერგდალეულებისათვის განახლების, წინსვლის სურვილი და საჭიროება მეტად აშკარა და მწვავეა. ისინი კარგად გრძნობენ, რომ აზრისა და მისწრაფებათა უქონლობა აღუნებს და აკნინებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, გამოუტყვეველ ძილის ბურანში ახვევს მას. ამიტომ საჭიროა ცხოველი აზრისა და მისწრაფების ქონა, რათა ცხოვრება ერთ წერტილზე არ გაიყინოს და ჟამთა მსვლელობას არ ჩამორჩეს. „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — ვკითხულობთ იმავე საპროგრამო წერილში, — აზრისა-კი თავის დღეში არა. მისი აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება-კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია: ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი. ამასთანაც დაუქცეველი, მარად-ყოფი სალაროცა აქვს: მეცნიერება და ხელოვნება (Наука и искусство), სადაც ისინი ინახებიან. მაგ ცხოველს იმედს, რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა, — შედგება ის ძალა, ის იღუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ, წინ წადეგ. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუქარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაქრობია უკეთესობის ნდომა“<sup>64</sup>.

მაშასადამე, აზრის, მოქმედების აუცილებლობა და საჭიროება

62 დაყოფა ჩვენია.

63 „საქართველოს მოამბე“, 1963 წ., № 1.

64 იქვე, გვ. 113.

ჯხოვრებისათვის, მეცნიერულად მისი დასაბუთება იმ მიზნით, რომ აზრის საჭიროება გააგებინოს ჩვენს საზოგადოებას და მისი შუქი შეიტანოს წყევლიადით მოცულ სინამდვილეში — ესეც ნაცნობი შტრიხია რუსეთის 60-იანი წლებისათვის.

თერგდალეულნი ცდილობენ ცხოვრებაში თავიანთი შეხედულებების გასატანად გამონახონ, გარდა სკოლისა, ისეთი საშუალება, რომელიც შესძლებს კაცის ჰკუის ძვირფასი მარგალიტები გამოფინოს საქვეყნოდ, საყოველთაო მოსახმარებლად, რომ „მრავალთათვის მისაწვდომი გაჩადოს ის, რაც დასაქუთრებული აქვს ცოტასა“. ამ მიზნით ისინი ცდილობენ საქმე დაიჭირონ „თუ არასრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც“. შეიქმნენ შუამავლად მეცნიერებისა, ერთი მხრით, და ხალხისა და ცხოვრებისა, მეორე მხრით<sup>65</sup>. ახალი თაობა ცდილობს მისცეს ხალხს შესაძლებლობა მისაწვდენი, პოპულარული ლიტერატურის შემწეობით გაეცნოს და შეითვისოს ის ცოდნა, რომელიც მეცნიერებამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დააგროვა. ეს უაღრესად დემოკრატიული მისწრაფება და გზა ახალი ცხოვრების აშენებისა რადიკალურია და ძლიერი თერგდალეულთა და კერძოდ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში.

თერგდალეულთა სურვილი — „თუ არასრულიად ხალხთან, მის მომეტებულ ნაწილთან მაინც საქმე დაიჭირონ“ — იმდენად ახალი, მძლავრი პოზიციია, რომ შეურიგებელ უფსკრულს აჩენს მათსა და ძველ თაობას შორის.

ხალხთან, მასებთან ხიდის გადების განხორციელების საქმეში მიზანშეწონილ საშუალებად თერგდალეულებს ქურნალი მიაჩნიათ, „ნამეტნავად ის ქურნალი, რომელსაც ეძახიან „საზოგადო ქურნალს“<sup>66</sup>. აი სწორედ ასეთი სამსახურისა და დანიშნულებისათვის ისინი აარსებენ „საქართველოს მოამბეს“. „ჩვენი საქმე, — ვკითხულობთ შემოაღნიშნულ წერილში, — საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გამჭობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“<sup>67</sup>. ჩვენ ისე არ გავგებრიყვდებით, რომ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის სჯულსა და კანონსა: მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შექლებისავებრ

65 დაყოფა ჩვენია.

66 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1.

67 დაყოფა ჩვენია.

გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა შეაყენოს. ამიტომაც; ჩვენს „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრული წარმოებითა, სრულის ვითარებითა“... აქედან აშკარაა თერგდალეულთა რეალისტური მსოფლმხედველობა და მიმართულება. მთავარი და არსებითი ყურნალისათვის იყო — სინამდვილის გათვალისწინება, ყოველდღიური ცხოვრების წრეში ჩადგომა, „მისგან ყრუდ ჩაძახილის — ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა“<sup>68</sup>.

აქედან გამომდინარეობს მთელი მსოფლმხედველობა თერგდალეულთა და მათი მოღვაწეობის გეგმაც. სწორედ ყურნალი „საქართველოს მოამბის“ მიზნისა და დანიშნულების ასეთი განმარტებიდან აშკარაა, რომ თერგდალეულნიც, როგორც რუსეთის 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოება, რეალურ ცხოვრებას, სინამდვილეს აცხადებენ კულტად. თვით ხელოვნებას, როგორც ჩერნიშევსკი, პისარევი და სხვანი, თერგდალეულნიც იმდენად აფასებენ, რაპდენადაც ხელოვნება გამომხატველია სინამდვილის, ცხოვრებისა. ჩერნიშევსკისათვის ხელოვნება და ცხოვრება თითქმის სინონიმებია. Искусство это жизнь — ამბობს ჩერნიშევსკი. ასევე ფიქრობს ჩვენი ახალი თაობაც. ს ფ ი რ ი დ ო ნ ჩ ი ტ ო რ ე ლ ი ძ ე თავის ბიძა თადეოზს აი როგორ განუმარტავს პოეზიას: „პოეზია არის გამოხატვა სიცოცხლისა, ანუ, უკეთ ვსაქვეათ, პოეზია არის თვითონ სიცოცხლე... მრავალი მშვენიერებაა ცოცხალ სინამდვილეში (действительность). ანუ, უკეთ ვსაქვეათ: ყოველი მშვენიერება არის მხოლოდ მასში, რაც არის და რაცა სცხოვრობს“. ასეთი შეხედულებიდან გამომდინარეობს თერგდალეულების სურვილი თავიანთ მოღვაწეობას პრაქტიკული ხასიათი მისცენ. ეს სურვილი — ცოდნისა და სწავლის გავრცელება და გატანა ფართო მასებში — „საქართველოს მოამბეში“ წითელ ზოლსავეთ მოჩანს.

აი, ამიტომ ჩვენც ქართული „ხალხოსნობის“ სათავეს (რასაკვირველია, მხოლოდ ზოგიერთი ნიშნების სახით, ისიც მკრთალად) როგორც რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში, სწორედ აქ, 60-იან წლებში, თერგდალეულების მსოფლმხედველობასა და მოღვაწეობაში ვხედავთ.

ასეთსავე პრაქტიკულს, უტილიტარულ მიზანს თერგდალეულნი უსახვევენ მეცნიერებასა და ხელოვნებას. „მეცნიერებასა და ხელოვნებას, — ვკითხულობთ ზემოაღნიშნულ საპროგრამო წერილში, — ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღო-

<sup>68</sup> „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1.

ნისძიებათა... ჩვენ მეცნიერებასა და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარს და მშოიერთათვის მოსახმარსა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ქეშმარიტებით ცხოვრების ანსნა და გაგება. მან უნდა მოგვეცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა, რაც-კი პირდაპირ მიუდგება ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღება ცხოვრებისათვის... ის იქნება საჭირო ჩვენი ჟურნალისათვის“<sup>69</sup>. ცხოვრების მძლავრი ტალღის მიხეთქება მწერლობისა და მეცნიერებისადმი, რაშენიცი აქამდის თითქო ხალხის ცხოვრების გარეშე ტრიალებდნენ და რომელთაც ცხოვრება ახლა მეტად მძლავრად ეძახდა თავისკენ, ყველაზე მეტად ღამახასიათებელი და საგულისხმოა 60-იანი წლებისათვის როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც.

თერგდალეულნი არა მარტო მეცნიერებასა და ჟურნალს უსახავდნენ ასეთი სარგებლობის მოტანის პირობას, არამედ თვით ხელოვნების დანიშნულებაც მათ გაგებაში ასეთივეა. „ხელოვნებასაც იმას მოვთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გამოიციეს, რათა სიციუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... დროა (ხელოვნება) ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველსურათებასათვის. იქ ცხოვრების ძირში, ისიპოვის ბევრს მარგალიტს და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა. არცერთის გამოსატვა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა“<sup>70</sup>.

ეს ხომ გასაგები და დამახასიათებელი პრელუდიაა თერგდალეულთა პოეტური შემოქმედებისათვის და განსაკუთრებით „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლახის ნამზობისა“ და „კაცია ადამიანის!“ ავტორისათვის.

ასეთივე აზრი გამოთქვა არა მარტო ილია ჭავჭავაძემ, არამედ სხვებმაც, მაგალითად, გ. — თელმა (გ. წერეთელმა) თავის სტატიაში „ცისკარს“ რა აკაკნებდა? „მავნებელია ლიტერატურა და პოეზია, როდესაც ის არ მსახურობს ხალხის ცხოვრებას. ატარებს დროებას ფუჭდეკლამაციაში. როდესაც... მისი (ლიტერატურა-პოეზია) გადმომღები ხელმძღვანელობს ერთი გარეგანი ბრკიალა სახით და ვერ

<sup>69</sup> „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1. დაყოფა ჩვენია.

<sup>70</sup> იქვე.

სცნობს მის მართალს მნიშვნელობას. მის შინაგან აზრსა, ურომლი-  
სოდაც თვით ელვარე ფორმა ფუჭი და მავნებელია“<sup>71</sup>.

აქედან ცხადია უარყოფა მამართულებისა — „ხელოვნება ხე-  
ლოვნებისათვის“.

აქ ჩვენ გარკვეულად უტილიტარულ-რეალისტურ მიმართულე-  
ბას ვამჩნევთ როგორც თვითონ საზოგადოებრივ აზროვნებასა და  
ეურნალისტიკაში, ისე ხელოვნებაში. უტილიტარიზმი, წამოყენე-  
ბული რუსეთში 60-იან წლებში, დამახასიათებელია ჩვენშიაც. თერგ-  
დალეულნი თავიანთ უტილიტარულ შეხედულებას პოეზიაზე და  
პოეტის დანიშნულებაზე გამოხატავენ არა მარტო ეურნალის კრი-  
ტიკულ და პუბლიცისტურ სტატიებში, არამედ თვით პოეტურ შე-  
მოქმედებაშიც.

ასეთს აზრს გ. — თელი (გ. წერეთელი) პირდაპირ გამოთქვამს:  
„მწერალი არის ერთი თავისი საზოგადოების წევრთაგანი, ერთი  
იმ პირთაგანი, რომლებსაც კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ის არის  
საზოგადოების ტანჯვისა და შვების თანამგრძნობელი“<sup>72</sup>.

მაშასადამე, თერგდალეულები მიზნად სინამდვილის — ცხოვ-  
რების სამსახურს ისახავენ, „ჩაღრმავდნენ ცხოვრების ძორევეში“,  
ამოკრიბონ იქიდან როგორც მარგალიტი, ისე ლექი და ლაფი, მასებ-  
თან დაიპირონ საქმე და მათ ემსახურონ როგორც საქმით, ისე  
სიტყვათა და კალმით ეურნალისტიკაში, თუ მხატვრულ შემოქმე-  
დებაში.

ასეთი უტილიტარული შეხედულება დამახასიათებელია, რო-  
დესაც მწერალს, საზოგადო მოღვაწეს სწამს საზოგადოების განან-  
ლების გადახალისების შესაძლებლობა. ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლ-  
მე სოციალური ძვრების დროს, მაშინ, როდესაც კლასი ან მისი რო-  
მელიმე ნაწილი თავისი განვითარების აღმაველ ხაზს იწყებს. მწერ-  
ლის სურვილი ცხოვრების ასახვისა გამოწვეულია იმ გარემოებით,  
რომ კლასი ან კლასის შინა ნაწილი, ჯგუფი, რომელსაც მწერალი  
ეკუთვნის და რომლის იდეოლოგიის გამომხატველია, თვითონ ცდი-  
ლობს ცხოვრების მოწესრიგებას. ეს ჯგუფი ან კლასი ეპოქის მოწი-  
ნავე, სისხლსარული ნაწილია. მას იდეა ცხოვრებაში გაბატონებისა,  
ხელში ხელმძღვანელი როლის ჩაგდებასა იზიდავს. ამით აიხსნება  
ის უტილიტარიზმი, რომელიც თერგდალეულებმა ადვილად მიიღეს  
რუსეთის 60-იანი წლებიდან და ჩვენს ლიტერატურასა და პუბლი-  
ცისტიკაში დაამკვიდრეს.

71 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 5.

72 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 6.

თერგდალეულთა დამოკიდებულება ეროვნული  
საკითხისადმი

ამ საერთო სულიერ განწყობილებაზე აღმოცენებულ თერგდალეულთა პოზიტიურ-უტილიტარულ მსოფლმხედველობას, ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვას, რაც საერთო იყო რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებასთან, ემატება ეროვნული გრძნობა.

თერგდალეულთა ეროვნული გრძნობა ზევითაც აღვნიშნეთ, როდესაც მათ რუსეთში გამგზავრების მიზეზებსა და მიზნებზე ვლასპარაკობდით.

თერგდალეულისათვის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეს გრძნობა და მისწრაფება ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალად გადაიქცა. ხალხის კეთილდღეობა, წინსვლა, მომავლისათვის ბრძოლა და მოქმედება თერგდალეულთა მსოფლმხედველობაში მკიდროდა და დაკავშირებული ეროვნულ-პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებასთან. ეს თვისება ჩვენი 60-იანი წლების ახალთაობას ასხვავებს რუსი ახალთაობისაგან, რომლისთვისაც ეროვნული საკითხი, როგორც ასეთი, თითქმის არ არსებობდა. თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ ერთგვარ დაპირისპირებაში რუსეთის ისტორიული გზისა დასავლეთ ევროპის ერების განვითარების ისტორიულ გზასთან შეიძლება მოვნახოთ ეროვნული გრძნობა, მაგრამ ამ დაპირისპირებას, ჩვენი გაგებით, უფრო ღრმა საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიური პრინციპი ჰქონდა მხედველობაში, ვიდრე ვიწრო ეროვნული.

ეროვნული საკითხის წამოყენებაში წინათაობისა და ეპოქის გავლენა თერგდალეულებს უდავოდ ამჩნევიათ. მაგრამ განსხვავება მათ შორის ამ მხრივაც არსებითი და თვალსაჩინოა. თუ „მამებისათვის“ ივერიის დიდება ძველში მარხია, თუ „მამები“ ძველს დასტირიან, ძველის მოგონებაშილა პოულობენ შვებას, თერგდალეულნი, პირიქით, „მამებისაგან“ გარკვეულად ამ საკითხის გაგებაშიც იმიჯნებიან და მოღვაწეობის დასაწყისშივე ილია ჭავჭავაძის პირით ქვემომოტანილ ფორმულას წამოაყენებენ:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი.

ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს,

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,

ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს 73.

აქედან აშკარაა თერგდალეულთა მომავლისაკენ ყურება, მომავლის მოწესრიგების სურვილი, ხალხისათვის ზრუნვა. მომავალი უნდა ხალხისათვის და არა მეფეებისათვის და მაღალი წოდებისა-

თვის, როგორც ეს წინა პერიოდის გარკვეულ მწერალთა შემოქმედებაშია მოცემული.

თერგდალეულთა ხალხზე ზრუნვის სურვილები შესაძლებელია, ახსნილ იქნას, ერთი მხრით, რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების გავლენით მათზე, ხოლო მეორე მხრით, შესაძლებელია თერგდალეულთა მიმართაც გამოვიყენოთ ის ახსნა-განმარტება, რომელსაც იძლევა კარლ მარქსი დასავლეთ ევროპის (საფრანგეთის) დემოკრატიის შესახებ და რომელიც ლენინმა რუსეთის 60-70-იანი წლების საზოგადოების მოწინავე ნაწილს მიუყენა. ამ ახსნა-განმარტების გამოყენება დაგვეხმარება ჩვენ თერგდალეულების მოქმედებისა და ბუნების გარკვევაშიც.

მეტად საინტერესოა და თერგდალეულთათვის დამახასიათებელი ილია ჭავჭავაძის კერძო წერილი დავ. ერისთავისადმი: „ამ „აჩრდილმა“, — წერს ილია, — ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ... შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ვერ წავდგი. რა ვქნა. ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომების და მეფეების ისტორიაა, ერი არსად სჩანს. მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი-კი ჩვენს ისტორიაში არა სჩანს. ვწუხვარ და ვდრტივინავ და განკითხვა არსით არის“<sup>74</sup>. ეროვნული საკითხის გაგებაში თერგდალეულებს (ილიას, აკაკის) გამუდმებით რევოლუციურ-დემოკრატიული მოტივები შემოაქვთ. უნდა კი აღინიშნოს, რომ თერგდალეულთ, თუმცა ბრძოლა და უარყოფა გამოუტხადეს ძველ თაობას, ძველს პატრიარქალურ საქართველოს, მაგრამ კლასთა ბრძოლისა და მათ შორის შეუთანხმებლობის პრინციპზე ისინი ვერ დადგნენ (ამას ქვევით ცალკეული თერგდალეულის შემოქმედების განხილვის დროს დაწვრილებით დავინახავთ). ეს საკითხი თერგდალეულებს ეროვნული საკითხის პრაქტიკულად გადაჭრის მომენტში ხშირად უკიდურესობაში აგდებდა.

საქართველოსა და ქართველი ხალხის წინმსვლელობისათვის თერგდალეულნი აუცილებელ პირობად სახავდნენ საქართველოს პოლიტიკურად გაერთიანებასა და განთავისუფლებას. ეს იყო მთავარი ნიადაგი, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო ყოველი პირობა ადამიანისა და ხალხის კეთილდღეობისა.

რა დაჰხვდა მათ ამ მხრივ საქართველოში?

<sup>74</sup> ილია ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 373.



ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად შევიწროებული საქართველო ბურჟუაზიული ანგარებით შეპყრობილ მოხელეთა ხელში რაღაც დაცინვის, დამცირებას, ხელის მოსათბობ მხარედ იყო მიჩნეული. მეფის ბიუროკრატი მოხელეები, ხშირად სიძულვილით აღვსილნი ადგილობრივ მცხოვრებთან. „აპოლენდებით“ და „გაბრუნდებით“ ყვლეფდნენ მას და თანაც ცინიკურად დასცინოდნენ. ამის გამო ეროვნულმა გრძობამ თერგდალეულთა შემოქმედებაში საერთო პროტესტის, დაჩაგრულთა, შევიწროებულთა და შეურაცხყოფილთა უფლების დაცვის ხასიათი და მიმართულება მიიღო. თერგდალეულნი და განსაკუთრებით მათი ბელადი ილია ჭავჭავაძე შეიქნენ რევოლუციურ-ნაციონალური მოძრაობისა და ბრძოლის გამომხატველად.

ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებს გარდა, ჩვენი თერგდალეულების მსოფლმხედველობაში ეროვნულ საკითხს აღრმავებდა და აღვივებდა აგრეთვე მცირე ეროვნებათა მდგომარეობის საკითხი, რომელიც XIX საუკუნის მანძილზე მეტად მწვავედ იყო დასმული და ევროპის პოლიტიკურ ატმოსფეროს თავისებურ ელფერს აძლევდა. მეტად მწვავედ იდგა ეროვნული თავისუფლების საკითხი ირლანდისა (რომელიც დღესაც არ შენელებულა), პოლონეთისა, იტალიისა, ფინეთის, ბულგარეთის, სერბიის, შაბერძნეთის და სხვათა. XIX საუკუნეში ეროვნული საკითხი იმდენად რთული იყო, რომ სოციალისტური პარტიებისათვის იგი ერთ-ერთ თავსატეხ საკითხად გადაიქცა. კარლ მარქსი — ეს XIX საუკუნის აზროვნების ბუმბერაზი წარმომადგენელი და მისთვის მძლავრი გეზის მიმცემი, საჭიროდ სთვლიდა მცირე ერების განთავისუფლებასა და თვითგამორკვევის აღიარებას. ლენინი შეუთრეგებელ ბრძოლას აწარმოებდა ყველა იმათ წინააღმდეგ, რომელნიც პრუდონისტების მაგვარად უაზოფდნენ ეროვნულ საკითხს სოციალური რევოლუციის გულისათვის. ლენინი მუდამ გვასწავლიდა, რომ ეროვნული მონობის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია თვით მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისათვის: „ვერ განთავისუფლდება მუშათა კლასი ინგლისში, სანამ არ განთავისუფლდება ირლანდია ინგლისის უღლისაგან. რეაქციას ინგლისში ირლანდიის დამონება განამტკიცებს და ასაზრდოებსო (ისევე როგორც რუსეთში რეაქციას რუსეთის მიერ მთელ რიგ ერთა დამონება ასაზრდოებს!)“<sup>75</sup>.

ამით, რასაკვირველია, ჩვენ ის-კი არ გვინდა ვთქვათ, რომ თერგდალეულებს სწორედ ასე ესმოდათ ეროვნული საკით-

<sup>75</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 541.

ხის მნიშვნელობა. თერგდალეულები როგორც სხვა საკითხების გაგება-გადაქარაში, ისე ეროვნული საკითხის გაგებაში დემოკრატიულ-პროგრესულ პოზიციას ვერა და ვერ გასცილდნენ. ჩვენ ზემოთ მოტანილი ციტატით იმისათვის ვისარგებლეთ, რომ მკითხველისათვის გარკვევით მაინც მოგვეგონებინა, თუ როგორ მწვავედ იდგა მცირე ხალხთა ეროვნული საკითხი XIX საუკუნეში, რომ ეროვნული განთავისუფლება ყოველთვის-კი არ იყო რეაქციული მოვლენა, არამედ ხშირად რევოლუციური, რომელიც ამწვავებდა და აღრმავებდა ბრძოლას „ცარიზმთან“ და ამით რევოლუციურ მოძრაობას ხელს უწყობდა.

ჩვენ თერგდალეულებს თუმცა ხანდახან (უფრო პრაქტიკულ მოღვაწეობაში) ეროვნული საკითხის გარკვევა-გადაწყვეტის დროს უკიდურესობა ეტყობოდათ, მაგრამ მაინც ამ საკითხის წამოყენება-გამართვა ისინი ხალხში, მკითხველ მასებში „ცარიზმთან“ და ძველი დრომოკმული წყობილების წინააღმდეგ უკმაყოფილებასა და პროტესტს, უსათუოდ, ძალუმად აღრმავებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ თერგდალეულთ ეროვნული საკითხი ვიწრო შოვინისტური გაგებით არა აქვთ წარმოდგენილი. როდესაც თერგდალეულთა აზრს ამ საკითხის შესახებ ვეცნობით, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ისინი თანადროული მოძრაობის უცოდინარი არ არიან. პირიქით, ინტერესით თვალყურს ადევნებენ ამ მოვლენის განვითარებას, არ უნდათ ჩამორჩნენ მას.

სფირიდონ ჩიტორელიძე ასე უხსნის ეროვნულ გრძნობას თავის ბიძა თადეოზს: „სრულსა და კარგად მყოფ ბუნების კაცსა მძიმედ აწევს გულსა სვე სამშობლო მამულისა. ყოველ კეთილშობილ ადაშიანს ღრმად ესმის თავისიანობა, რომ ის არც სისხლითა და ხორციით ნათესავი მამულისა, სისხლითა და ხორციით მოკავშირე მამულთან“<sup>76</sup>.

მაგრამ სამშობლოსთან ეს მიკავშირება, მასთან „ხორციითა და სისხლით“ ნათესაობა თერგდალეულს ვიწრო შოვინისტურ, ზოოლოგიურ-ნაციონალურ ფარგლებში-კი არ ამწყვედევს, რომელიც აბრმავებს „მამულიშვილს“, არ დაანახვებს თავისი ხალხის უარყოფით მხარეებს, სიძულვილით ავსებს მის გულს სხვა ერებისადმი, არამედ ეროვნული გრძნობა თერგდალეულებს აძლევს მამულისადმი ფართო და რეალურ (იმ დროისათვის) სიყვარულს, რომელიც ცდილობს თავის სამშობლო ასწიოს, დაანათესაოს სხვა კულტურულ ერებს, დაუკავშიროს, აზიაროს ის საერთო-საქცობრივ განვითარებას. სამშობლო ქვეყნის სიყვარული (патриотизм),

<sup>76</sup> „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ა მ ბ ე“, 1863 წ., № 7. „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“.

უხსნის თადეოზს სფირიდონი, — უნდა გამოდიოდეს კაცობრიობის სიყვარულიდან ისე, როგორათაც ნაწილი მთელისაგან. სამშობლო მამულის სიყვარული არის ისა, რომ გულით გინდოდეს ნახო, რაც კაცობრიობას გონებაში გამოუჩნტავს, აღსრულებაში იყოს მოყვანილი და შენის ძალისა, შეძლებისკვალად შველოდე მის აღსრულებას“<sup>77</sup>.

ამასთან ერთად თერგდალეულნი როგორც ყველა სხვა საკითხისა და ამ საკითხებისადმი თავიანთი დამოკიდებულების გარკვევაში ცდილობენ ფხიზელი შეხედულება გაატარონ, ისე ეროვნულ საკითხებშიც სიფხიზლის, თვითკრიტიკის მომხრენი არიან. „შეიძლება, — უმარტავს კონკრეტულად სფირიდონი თადეოზს, — გძულდეს ღვიძლი ძმა, თუ ცუდი კაცია, მაგრამ არ შეიძლება არ გიყვარდეს სამშობლო ქვეყანა, როგორც უნდა იყოს: მხოლოდ სიყვარული არ უნდა იყოს მკვდარი და კმაყოფილება“<sup>78</sup>. ცოცხალი სურვილი უნდა იყოს, რომ ყოველისფერი მოვიდეს სისრულეში, უკეთესობაში: ერთი სიტყვით სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამომდინარეობდეს კაცობრიობის სიყვარულისაგან“<sup>79</sup>.

ასეთი ეროვნული გრძნობა, რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებიდან ნასესხებ რევოლუციურ, რადიკალურ-დემოკრატიულ იდეებში ჩაქსოვილი, თერგდალეულებში აღვიძებდა სურვილს ქართველი ხალხისადმი სამსახურისას, მისი ცხოვრების გაუმჯობესებისას. და ეს სამსახური ხომ, როგორც თვითონ წერდნენ, მათი „პირველი და უკანასკნელი სურვილი“ იყო. ამით აიხსნება, რომ ჩვენ ლიტერატურაში მათ მკლავრად შემოიტანეს და გააღვივეს ეროვნული გრძნობა. ეროვნული გრძნობა თერგდალეულებმა უფრო მხატვრული შემოქმედების საშუალებით გაიტანეს, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, რაფ. ერისთავმა, ქალაღიღელმა და იაკობ გოგებაშვილმა, უკანასკნელმა უფრო კი თავისი „დედა-ენითა“ და „ბუნების კართით“.

77 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 7. „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“.

78 დაყოფა ჩვენია. ამ სიტყვებს შემდეგი შენიშვნა აქვს დართული: „ესე იგი არ უნდა სთქვა. ოლონდა ქართული ეურნალი კი იბეჭდებოდეს და როგორც უნდა იყოს“-ო.

79 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 7. დაყოფა ჩვენია.

## თერგდალეულთა დამოკიდებულება ბატონუმოგისადმი

თერგდალეულთა შეხედულებამ და სიყვარულმა ხალხისა და მამულისადმი მათში აღძრა სურვილი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლთა დანახვისა და მხილებისა, რომელიც ჩვენს წყნარს, ჩუმს და ძილით მოცულს მოდუნებულ ცხოვრებაში ასე უჩვეულოდ გაისმა. თერგდალეულთა მრწამსს და პოზიციას მშვენივრად გამოხატავს ილია ჭავჭავაძე თავის ცნობილ „პასუხის პასუხში“, რომელიც თერგდალეულთა სახელით ღირსეული პასუხი იყო „მამებისადმი“, კერძოდ გრ. ორბელიანის ლექსის გამო „პასუხი შვილთა“.

აი, ამჟამად და სრული შეგნებით რას ეუბნებიან თერგდალეულები ილიას პირით „მამებს“:

ჩვენ ვლეთ რუსეთი,  
მაგრამ არც ერთი  
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;  
ჩვენი ქვეყანა,  
მკედარი თქვენგანა,  
თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლია.  
ლიბერალობა,  
პატრიოტობა  
სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია.  
თქვენგან ჩაგრული,  
დაბრმავებული  
ერი ჯვრებზე არ გაგვიყიდა.  
ქვეყნისა ბედი,  
და ხსნის იმედი  
თქვენებრ ხელში მჩვრად არ გაგვხდომია.  
კაცის მხნეობა  
კაცის ზნეობა  
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია.  
როს მოვედით ჩვენ,  
მსწრაფლ გიცანით თქვენ,  
შორს დავიჭირეთ თქვენი ანბანი.  
რად კვირობთ მასა,  
რომ თქვენ ანბანსა  
ვერ შევეჩვიეთ ვერვინ ჩვენგანი?

ამ „პასუხში“ ილია ჭავჭავაძე დაწვრილებით აღნიშნავს „მამათა“ უარყოფით და დრომოჭმულ თვისებებს, გაემიჯნება „მამათა“ ბანაკს და „შვილთა“ მრწამსს შემდეგი სიტყვებით გამოხატავს:

ღმერთი არმობის,  
 ღმერთი ყალბობის  
 არ ურწმენია ჩვენსა თაობას;  
 ღმერთი მზაკვრობის  
 და თვალთმაქცობის,  
 ღმერთი უქმობის უარუყვია.  
 ღმერთი ხარბობის  
 და მძარცველობის  
 თქვენთა მსგავსათვის მას დაუთმია.  
 ხოლო გვწამს ღმერთი  
 უქმთა წამწყმედი.  
 ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,  
 ღმერთი ტანჯულთა,  
 ღმერთი ჩაგრულთა  
 ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;  
 ყოველთა ძმობის,  
 თანასწორობის  
 მოძღვრობისათვის ქვეყნად ჭვარცმული,  
 ძლიერთ დამბმელი,  
 უძლურთ ამხსნელი,  
 თქვენგვარ კაცთაგან გმობილ-ღვენილი;  
 ორგულობისა,  
 ორპირობისა  
 ძირსა დამცემი და დამთურგენელი.  
 ფარისევლთა,  
 საღუკვეველთა  
 გამკიცხველი და გამღევენელი.

თერგდალეულთ სურთ ასეთი ღმერთი იწამონ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. ამ პასუხში თერგდალეულთა არა მარტო მრწამსია, არამედ მთელი ხასიათი „მამათა“ და „შვილთა“ და მათ შორის ატეხილი ბრძოლისა, რომელიც ძველის უარყოფით უნდა დაწყებულყო.

მართლაც, გაჩაღდა მკაცრი და პირმოუფერებელი (მხედველობაში გვაქვს თერგდალეულების, განსაკუთრებით ილია ქავჭავაძის მოქმედება 60-იანი წლების დასაწყისში) მხილება ჩვენი ცხოვრების ამბებისა, მავნე ზნე-ჩვეულებათა, რომლებიც ხალხის კეთილდღეობის წინ წაწევის საქმეს დაბრკოლებად ეღობებოდა.

ასეთ მიმართულებას თერგდალეულნი თავიანთი ორგანოს „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ა მ ბ ი ს“ საპროგრამო წერილში რედაქტორ ი. ქავჭავაძის პირით თავიდანვე გაბედულად გვაცნობენ: „როდი უნდა იწყინოს ქართველმა, — ვკითხულობთ ხსენებულ წერილში, — როცა ჩვენი „მომამბე“ სხვათაშორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობლად გამოჰფენს ჩვენი

ცხოვრების ქუჩყსა. ქართველნი უსიყვარულო-  
ბაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ეურნალი მკათი-  
ოდ. საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველ-  
ში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა  
და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს  
კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხო-  
ლოდ მისი სიკეთე, სიცრუე-კი ყველგან საზიზ-  
ღარია, ქართველი იქნება მის მქონე, თუ ინგლი-  
სელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გა-  
დასაყრელნი იქნებიან<sup>80</sup>.

და მართლაც, თერგდალეულნი მტკიცედ შედგნენ ჩვენი ცხოვ-  
რების ნაკლოვანებათა მხილების, ცუდის გამომელავნების გზაზე.  
მარტალია, მათ, — როგორც თვითონ აცხადებენ ეურნალის XI №-  
ში, როდესაც ანგარიშს უკეთებენ თავიანთი ერთი წლის მუშაობას, —  
გზა „გახიდული“ დახვდათ, მაგრამ თერგდალეულნი ღრმა რწმენით,  
რომ მომავალი მათია, რომ მათ უნდა განვლონ ეს კლდე-ღრე გზა,  
სდიონ ახლა სხვა ვარსკვლავს, შუან მყოფადი და მისცენ ხალხს მო-  
მავალი, — იმედიანად მიისწრაფვიან წინ. მათ მოქმედებაში გამოიკ-  
ვანძა და მკვიდრადაც გამოიკვანძა ახალი ცხოვრების შინაარსის ძიე-  
ბის, ახალი საზოგადოებრივი აზროვნების აუცილებლობა. სამართ-  
ლიანი არ იქნება თუ „საქართველოს მოამბის“ რედაქციის შემდეგს  
პირუთვნელ განცხადებას სრულიად დავეთანხმებით: „თუმცა გზა  
გახიდული გქონდა, — აცხადებს რედაქტორი ჯგუფის სახელით, —  
მაგრამ გულწრფელად და გაბედვით ვიტყვით, რომ სხვის მოსაწო-  
ნად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატნია,  
სხვის მოსაფერებლად არც ერთი გრძნობა ჩვენი არ გაგვიყიდნია  
რომელიმე ანგარიშისათვის ყალბი ვერცხლად არ გაგვიყვანია. რო-  
გორც გონება ჩვენი სჭრიდა, როგორც გული გვითხრობდა, — ისე  
ვლაპარაკობდით, საცა-კი შეგვეძლო და კვლავაც ასე მოვიქცევით, —  
თუნდ რომ ამით ჩვენს ეურნალს ბოლო მოეღოს“<sup>81</sup>. მართლაც, ვინც  
„საქართველოს მოამბის“ წერილებს სათანადო გულისყურით ჩაუ-  
კვირდება, უეჭველად იგრძნობს ამგვარ საერთო სულეერ განწყო-  
ბილებას და მთელი ჯგუფის ამგვარი განწყობილებით კოლექტიურ  
მიმართულებას. თერგდალეულნი „საქართველოს მოამბეში“  
მთლიან, ერთიან პოზიციას გამოხატავენ.

თერგდალეულთა ეს წრე, რომელმაც საქმარისად მძლავრად  
ამოძრავა და ააღელვა მაშინდელი დაძაბუნებული ჩვენი ცხოვრე-

80 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1, დაყოფა ჩვენია.

81 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 11, რედაქტორისაგან.

ბა, თვითონ უკმაყოფილოა თავისი მოვალეობის შესრულებით: „ყველაზე დიდი ნაკლულოვანება, — აცხადებს რედაქცია, — ჩვენი ჟურნალისა ის იყო, რომ სხვათაშორის დროების ინტერესი არ ჰქონდა, — ეგ ინტერესია ყოველი ჟურნალის სული, ეგ აცხოვრებს, ეგ აბრუნებინებს სულს. არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებს და რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამც თუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც-ქი გაბედა<sup>82</sup>, რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერ სცადა კიდევ, იმავე მიზეზით, რომ „დრონი მეფობენო“. ამის გამო ჩვენს ჟურნალს ფერი დააკლდა, „მოამბემ“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლო გასასინჯი იყო... კვლავ იქნება ჩვენს ჟურნალს, — იმედიანად ათავენს რედაქტორი ანგარიშს — დრო დაუდგეს და კარგი ნაყოფი მოიტანოს. ამის იმედი მით უფრო არის, რომ ბევრმა აღგვითქვა გულმოდგინე შემწეობა“<sup>83</sup>.

მოტანილი ნაწყვეტი მრავალმხრივია საინტერესო, მაგრამ აქ ჩვენ ორ გარემოებას გვინდა ხაზი გავუსვათ. პირველი ის, რომ რედაქციის იმედები მომავლითაა გამოწვეული. გარდა იმედიანი სულიერი განწყობილებისა, რომელიც დამახასიათებელია თერგდალეულთათვის, განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურაში (მაგ., ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი), იმ გარემოებითაც, რომ ჟურნალის თანამშრომელთა რიგები თანდათან დიდდება. „კარგ ნაყოფს“ „საქართველოს მოამბე“ არა მარტო „დარის“ დადგომით მოელის, არამედ „მით უფრო, რომ ბევრმა აღგვითქვა გულმოდგინე შემწეობა“-ო... მეორე ისაა, რომ თერგდალეულთა ასეთ თვითკრიტიკაში, ასეთ დაუკმაყოფილებლობაში ჩვენ ვგრძნობთ იმ მძლავრ, აშლილ მაჯისცემას, რომელიც 60-იან წლებს ასე ახასიათებს, რომელიც მძლავრი გაქანებით ახეთქებდა ახალთაობას ჰველი ცხოვრების დრომოქმულ, მაგრამ ჭერ კიდევ მაგარ ქვიტკირს. ასეთი შინაგანი და დინამიკური დუდილი ახალი თაობისა მასში იწვევდა სურვილს დაემსხვრია და გენადგურებინა ყველა ის დაბრკოლება, რომლებიც ასე საგრძნობლად ბორკავდა მის შემოქმედებას და წინმსვლელობასა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თერგდალეულთა თვითკრიტიკა ჟურნალის ფერმკრთალობისა და დროების ინტერესის უქონლობის შესახებ გადაჭარბებულია. ეს თვითკრიტიკა თერგდალეულებისა, ჩვენი ფიქრით, დაუმსახურებელია.

<sup>82</sup> რედაქციას აქ მხედველობაში აქვს ბატონყმობის საკითხის დასმა.

<sup>83</sup> „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 11.

მიუხედავად „უდროობისა“, ვინაიდან, როგორც თვით რედაქცია შენიშნავს, — „დრონი მეფობენ“, „საქართველოს მოამბე“ მაინც ახერხებდა დროების ინტერესის ასახვას: თავის ფურცლებზე დროის მწვავე საკითხების გამოტანას, საერთოდ ძველი წყობილების კრიტიკასა და მეტად დაურიდებელ კრიტიკასაც, ხან თუ პუბლიცისტური წერილების საშუალებით, ხანაც (უფრო მეტად) მხატვრული შემოქმედების გზით.

მხატვრული შემოქმედების შემწეობით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აზროვნებაში მეტად მკაფიოდ და საგრძნობლად მკვეთრად გამოტანილ იქნა ის უდიდესი მტკივნეული საკითხი, რომელიც ცენტრალური იყო რუსეთის სინამდვილეში და საზოგადოებრივ აზროვნებაში 40-იანი წლებიდან, განსაკუთრებით-კი 60-იან წლებში. ეს იყო ბატონყმობის საკითხი. ეს საკითხი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეშიც მწვავე იყო. აკი ეს საკითხი 1859 წლის მიწურულში დან. ჭონქაძის „სურამის ციხი“ სტიქიურად და აშკარად მძლავრად დაისვა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებასა და მხატვრულ ლიტერატურაში.

მართალია, 1863 წელს რუსეთში ბატონყმობა უკვე გადავარდნილი იყო, მაგრამ ჩვენში ეს ინსტიტუტი მთელი თავისი პიროვნების შემლახავი და განმანადგურებელი მოპყრობით გლუხკაცისადმი კვლავინდებურად ფაქტიურადაც და ფორმალურადაც მძვინვარებდა. ბატონყმობის უარყოფაზე ლაპარაკი, როგორცა ჩანს, სასტიკად იყო აკრძალული. როგორც ზევით დავინახეთ, მთავრობაზე ნაკლებ საზოგადოების გარკვეული საგრძნობი ნაწილიც არ იყო მომხრე ბატონყმობის ინსტიტუტის შენახვისა. ზევით უკვე დავინახეთ, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითა და ლაბორატორიაში უკვე პეტერბურგის პერიოდში ადამიანის პიროვნების ამ საშინელი, შემადრწუნებელი, შემლახავი მოვლენით დაგროვილი იყო ბოღმა და შხამი. მაგრამ მას საშუალებას არ აძლევდნენ ეს ბოღმა საჯაროდ გადმოენთხია. ილიასა და სხვა თერგდალეულთა ახალსა და კადნიერ სიტყვას „ციცკარი“ ადგილს არ უთმობდა. „ციცკარის“ რედაქტორს ივ. კერესელიძეს დან. ჭონქაძის „სურამის ციხის“ დაბეჭდვისათვისაც ბევრი უსიამოვნება დაატყდა თავს.

თუმცა „საქართველოს მოამბემაც“ ამ საკითხის სავესებით დაძლევა ვერ შესძლო, მაგრამ მისი ნაწილობრივი გახმაურება და გადაშლა მაინც მოახერხა, ყრუდ არ დარჩა, „ყრუდ ჩაძახილი“ — აპოძახა და, შეიძლება ითქვას, საგრძნობლადაც, განსაკუთრებით ამ დროისათვის. ბატონყმობისადმი თერგდალეულთა შიგნით სხვადასხვა დამოკიდებულება „საქართველოს მოამბეში“ არ მოჩანს. ისკი უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალიზმით შევიწროებული ძველი



ცხოვრების მოწესრიგების საკითხი თერგდალეულებში მწვავედ დგას. ბატონყმობის ინსტიტუტი, როგორც დრომოქმული, ცხოვრების წინსვლელობისათვის დამაბრკოლებელი მოვლენა, თერგდალეულებისათვის, რომელთათვისაც ბურჟუაზიაში გადაზრდა აუცილებელი გახდა, არ იქნებოდა ხელსაყრელი და ამიტომ მათ ამ ინსტიტუტს შეურიგებელი ბრძოლა დაუწყეს.

დავით ყიფიანი „საქართველოს მოამბის“ მე-4 №-ის მიმოხილვაში „სხვადასხვა ამბავის“ სათაურით წერს საერთო-საკაცობრიო პროგრესზე და ბოლოს საკმარისად მკაფიოდ ჩაურთავს შეხედულებას ბატონყმობის შესახებ: „საზოგადოებაში რომ ერთი ნაწილი სულ არ შრომობდეს და სხვისი შრომით ირჩენდეს თავს და იმ შრომასაც რომ თავისუფლება არა ჰქონდეს, ე. ი. ურთიერთ ნება-ყოფაზე დამოკიდებული რომ არ იყოს, საზოგადოებისათვის ცუდია თუ არა?.. ეს მდგომარეობა ორივე ნაწილისათვის, მეტადრე მთელი საზოგადოებისათვის სენია... ჭერისა, რომ მთელ საზოგადოებაში ყოველი კერძობით კაცი უნდა იყოს მშრომელი თავისუფლად და, მამასადამე, ნაყოფიერადაცა. და თუ საზოგადოებაში ყოველი იმისი წევრი ნაყოფიერადა შრომობს, საზოგადოებაც კეთილმდგომარეობაში შევა. საზოგადოების კეთილმდგომარეობას კერძობითი პირების კეთილმდგომარეობაც უნდა მოჰყვეს თანა, სწორედ ისე, როგორადაც ერთს სახლობაში ყოველი წევრი რომ ნაყოფიერადა შრომობდეს, მთელი სახლობა კეთილმდგომარეობაში შევა, და ამ სახლობის კეთილ-მდგომარეობასა, რასაკვირველია, იმ სახლობის კეთილ-მდგომარეობაც თან მოჰყვება... ამ თავისუფალი შრომის მოკვეთა ჩვენს საზოგადოებაში ასი ათას გლეხს მოსდიოდა და იმათ მებატონეებს, მრავალ თავადსა და აზნაურსა. ამას უთუოდ გრძნობს ქართველების კეთილშობილი ნაწილი და გლეხებს თავისუფალ შრომაზე დაყენება ეძლევათ. დროების დედაზარი, როგორც მოქმედობს ამ მაგალითში, მკითხველო, იმას შენც ადვილად მიჰხვდები“<sup>84</sup>. ასე ათავეებს თავის პროგრესულ, მაგრამ დიდი კრძალვით გამოთქმულ აზრს დავით ყიფიანი.

რასაკვირველია, ამ სტატიის კილოში ვგრძნობთ, რომ ბატონყმობაზე წერა ამ დროს ჭერ კიდევ სახიფათო, საშიში და აკრძალული საქმე იყო, მაგრამ „საქართველოს მოამბის“ გარშემო შემოკრებილ თერგდალეულთა წადილი იმდენად ძლიერი ჩანდა, რომ მაინც ვერ იჩქმალებოდა. იმ პირობებშიც-კი თერგდალეულნი ახერხებდნენ ამ საკითხის დასმას და მისი უარყოფითი მხარეების საკმარისად მუქ ფერებში ჩვენებას, უარყოფასაც-კი.

<sup>84</sup> „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 4.

მაგრამ ის, რაც თერგდალეულებმა პუბლიცისტიკის საშუალებით ვერ შესძლეს, მხატვრული შემოქმედების შემწეობით მოახერხეს. „საქართველოს მოამბეში“ პირველად დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ბატონყმობის უარყოფის გამომხატველი საუკეთესო ნაწარმოებნი: „კ ა ც ი ა ა დ ა მ ი ა ნ ი ?!“ (მთლიანად), „გ ლ ა ხ ი ს ნ ა ა მ ბ ო ბ ი“ (ხუთი თავი) და ნაწყვეტი „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდები ყაჩაღის ცხოვრებიდან“ — „ე რ თ ი მ ო თ ხ რ ო ბ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს ი“-ს სათაურით. ეს ნშენიერი მხატვრული ტრილოგია იმ დროისთვის ძლიერი პოლიტიკური და სოციალური პამფლეტი იყო (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ).

ჟურნალი „მნათობი“ (1869—1872 წწ.) აი როგორ აფასებს „საქართველოს მოამბის“ მნიშვნელობას: „დაუფიქსარია ჩვენთვის ის წელიწადი, როდესაც „საქართველოს მოამბე“ გამოვიდა... ჩვენ მაშინ პირველად ვსცაპით, რა ძალა და მნიშვნელობა აქვს ქართველებისათვის რიგიანს ჟურნალს, პირველად ვიწყეთ სჯა ჩვენს ცხოვრებაზე“.

„საქართველოს მოამბემ“ ერთ წელიწადზე მეტი ვერ გასძლო, ძალით დაიკეტა.

1864 წელს ამერეთში, ხოლო 1865 წ. იმერეთსა და 1866—1867 წელს სამეგრელოში ბატონყმობა, როგორც სახელმწიფოებრივ-იურიდიული ინსტიტუტი, მოისპო.

ბატონყმობის გადავარდნამ, მიუხედავად მისი დიდად შეზღუდულობისა, მეტად დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშა არა მარტო ჩვენი საზოგადოებრივი, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების განვითარებაში, არამედ კერძოდ თერგდალეულთა ცხოვრებაშიც.

ბატონყმობის გადავარდნით, ერთის (მცირე ნაწილის) მეორეზე (უდიდეს ნაწილზე) განუსაზღვრელი ბატონობის მოსპობით, თითქმის გადაიჭრა თერგდალეულთა მისიის ერთი უდიდესი საკითხთაგანი. გლეხში ცნობილ იქნა ადამიანი. მართალია, თერგდალეულების მიერ ბატონყმობის ნაშთების მიმართ წინააღმდეგობა, გლეხის ცხოვრების მოწესრიგებისათვის ბრძოლა გრძელდება, მაგრამ მათ ბატონყმობის გადავარდნის შექმდე მთელი თავიანთი გულსხმიერება და შემოქმედებითი ძალა ძირითადად გადააქვეთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტზე და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა შექმნა-გაძლიერებაზე.

70—80-იან წლებში თერგდალეულები: ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. თარხან-მოურავი, პ. უმიკაშვილი და სხვ. განაგრძობენ აქტიურ მოღვაწეობას ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების სარბიელზე. ისინი თავს იყრიან „დროება“ — „კრებულის“ გარშემო. მართალია, ზემოაღ-

ნიშნული საკითხების გაგება-გადაწყვეტაში მათ შორისაც არის სხვაობა — ზოგი მარჯვნივ იწევს, ზოგი მარცხნივ, მაგრამ ესენი, როგორც ნ. ნიკოლაძეც გვიმოწმებს, მაინც ერთს საერთო პოზიციასზე დგანან. აი ნ. ნიკოლაძე როგორ ახასიათებს ხსენებული თაობის მუშაობას: „განა ამ სტრიქონების დამწერი ყველაფერში ეთანხმება გ. წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს ან ს. მესხს? ან განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა. ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვადასხვა აზრისანი ვართ. მაგრამ ჩვენი საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვექონდეს. ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულად ვემსახურებით“ (ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე) — ახალი ახალგაზრდობა, „კრებული“, 1873 წ., № 1).

უდავოა. „დროება“ — „კრებულს“ თანამშრომელთ — თერგ-დალეულთ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი საკითხის გაგებაში ინდივიდუალური სხვადასხვაობა ემჩნევათ, მაინც საერთო მიზანი, მოღვაწეობის საერთო გზა ჰქონდათ. და ეს გზა და მიზანი ძირითადად იყო ეროვნული აღორძინების საკითხის მართებულად გადაწყვეტა. მისი ეკონომიურ-პოლიტიკურ-კულტურული საკითხების რადიკალური დემოკრატიული პრინციპების მიხედვით განვითარება-გადაწყვეტა.

## ილია ჭავჭავაძე (1837—1907)

### 1

ილია ჭავჭავაძე ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთი უდიდესი და უმძლავრესი ფიგურათაგანია. ის, როგორც წინათავე ვთქვამდეთ, თერგდალეულთა მოძრაობის ცენტრშია<sup>1</sup>. ის ტიპიური თერგდალეულია როგორც სოციალური მდგომარეობით, ისე მსოფლმხედველობითა და მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობით. ილია ჭავჭავაძე ტიპიური წარმომადგენელია 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის იმ წრისა, რომელიც შეიარაღდა რადიკალური-პროგრესული იდეებით და მისწრაფებებით, აღიარებდა „ახალ ქვეყანას“, იგრძნო, რომ „ქვეყანა ძველი“ დღითი დღე „იჩრდებოდა“, გაბატონებულ კლასს (თავადაზნაურობას) ნიადაგი ეცლებოდა, ის დაკნინებისა და უფსკრულისაკენ მიექანება.

დადგა 60-იანი წლები. რუსეთში ამ დროს მრეწველობა ფართოდ ვითარდებოდა და მძლავრად არღვევს ძველ წყობილებას. საქართველოშიც საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც ზევეთაც ვეჭვონდა საუბარი, მართალია, იმეტი სიძლიერით არა, როგორც რუსეთში (საქართველო ხომ კოლონია იყო, საიდანაც გაჰქონდათ ნედლეული), მაგრამ მაინც ამგვარივე გზით მიიმართება. აქაც ამოძრავდა ვაჭრობა, დატრიალდა ფული. საზოგადოებრივი ცხოვრება გარკვეულად შედგა კაპიტალიზაციის ლიანდაგზე. დაიწყო სწრაფი ჩრდობა და ნგრევა ძველი წყობილებისა. კაპიტალიზებულიმა ცხოვრებამ, ახალმა ქვეყანამ წამოაყენა ცხოვრების მამოძრავებელი პრინციპები: აქტიური მოქმედება; მოძრაობა, შრომა. ძველი ქვეყნის გაბატონებული კლასი (თავადაზნაურობა), რომელიც მიჩვეული იყო სხვისი ოფლითა და შრომით ცხოვრებას, პირიქით, თხოულობდა უმოქმედობას, უმოძრაობას, უშრომლად ცხოვრებას.

<sup>1</sup> იხ. ზევეთ, გვ. 172—227.

ძველი და ახალი ქვეყნების მსოფლმხედველობა მწვავე წინა-  
აღმდეგობით დახვდა ერთმანეთს. ყველა თვალ და გონებახილუ-  
ლისათვის ცხადი იყო, რომ ახალი ქვეყნის ცეცხლი ძველ გაყინულ  
ცხოვრებას დაადნობდა. მართლაც, ახალი ცხოვრების ბურჟუაზი-  
ული განვითარების გზის აუცილებლობა მისი მოწინავე ნაწილისა-  
თვის მალე ცხადი შეიქნა. პოემში „აჩრდილი“ აი როგორ გამო-  
ხატავს ილია ჭავჭავაძე ძველისა და ახლის ჭიდილს, რომელშიც ვხე-  
დავთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების გასაღებს:

შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პერობილი,  
მძარცველების ქვეშ ჩაგრულ-ვენებულა,  
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი  
და დასამსხვრევლად გამზადებულა.  
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი  
ძღვეამოსილის ამ საუეუენის,  
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი  
მაგ ახსნისათვის მედგარადა იბრძვის.

ცხოვრებაზე ამგვარი დაკვირვებისა და მისი გაგების შედეგად  
ილიაში მტკიცდება შემდეგი გარკვეული რწმენა:

ველარ განუძღებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრივალის ქროლას,  
ველარ განუძღებს ქვეყნის მძარცველი  
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —  
და დაიშხვრევა იგი ბორკილი  
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,  
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ აღყავედების.

ასეც მოხდა. ძველი ქვეყნის წყობა დღითი დღე დაირღვა. ამ  
დარღვევასთან ერთად ძველი კლასიც დაიშალა, დაკნინდა, დაკარ-  
გა ცხოველმყოფელი ძალა. ის შინაარსეულად დაიცალა, საზო-  
გადობრივი ცხოვრების ღელვით გაირიყა. ასეთს მდგომარეობაში  
განწირული კლასის წინაშე მკვეთრად დაისვა „ყოფნა-არყოფნის“  
საკითხი. როდესაც კლასი შინაარსეულად იცვლება, მასში სი-  
ცოცხლის შენარჩუნების იმპატიენტო პრიმიტიულდება და ამიტომ  
უფრო მახვილდება. ნდომა სიცოცხლისა მასში ხშირად პათოლო-  
გიურად იმწვავდება. დაჩივებულნი კლასის წარმომადგენელნი, შე-  
უჩვეველნი შრომას, მოქმედებას, მოძრაობას, იძულებულნი არი-  
ან წავიდნენ ნაკლები წინააღმდეგობის გზით. მაშინ ამ კლასის  
ცხოვრებაში ვითარდება უპრინციპობა, მორალური იგანურჩევლობა.  
ოღონდაც კი მათ როგორმე შეინარჩუნონ ცხოვრება, თუ სიცოცხლე

(თუ ამას ცხოვრება ან სიცოცხლე დაერქმევა) და არავითარ სა-  
შუალებას აღარ ერიდებიან.

სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყო ჩვენი პრივილეგიური  
კლასი 60-იან წლებში, როდესაც ილია ჭავჭავაძემ და საერთოდ  
თერგდალეულთ გაშალეს თავიანთი პოეტური და საზოგადოებრი-  
ვი მოღვაწეობა. ილია ჭავჭავაძემ თავისი მოღვაწეობის დასაწყის-  
შივე გარკვეულად დაინახა და განჭვრიტა, რომ საქართველოს  
ცხოვრება ახალი გზით, გაბურჯუთაზების გზით უნდა წავიდეს.

ილია ჭავჭავაძის განჭვრეტით, ახალი ცხოვრება ძლევამოსი-  
ლად თხოულობს შრომისა და პიროვნების მანთავისუფლებას; ადა-  
მიანის დაფასება უნდა ხდებოდეს მისი პირადი ღირსებით, მის  
ნიერ მატერიალური ღირებულების შექმნის უნარით.

საზოგადოებრივი დასაბამი, როგორც წინა თავშიც აშკარად  
დავინახეთ, ილია ჭავჭავაძეში თავიდანვე მისი მოღვაწეობის გზის  
მიმცემია და რეგულატორი. როდესაც ის აკვირდება საქართველოს  
დარღვეულ ცხოვრებას და აუხასებს ისტორიის ასპარეზზე მოქმედ  
სოციალურ ფენებს, პირველ რიგში მწერალი გარკვეულად რწმუნ-  
დება, რომ თავადაზნაურობა — პრივილეგიური კლასი უკვე  
გაზრწნილია, ის უკვე პარაზიტადაა გადაქცეული და ხელს  
უშლის ცხოვრების წინსვლელობას. შრომისა და მოქმედების  
უნარი შერჩენილი აქვს ისევე იმ ფენას, რომელიც აქამდე ჩაგვრა-  
სა და შეურაცხყოფაში ქედმოხრილი, უფლებააყრილი მიწას შრო-  
მის ოფსს აღვრიდა. ილია ჭავჭავაძემაც ცხოველყოფელი ძალა  
ახალი ვარსკვლავის ძიებისათვის ამ ფენაში დაინახა. ამიტომ მისი  
გულსყუერი ამ ფენისაკენაა მიმართული; მკითხველსაც ენერგიუ-  
ლად მოუწოდებს ამ „დამცირებულში“ დაინახოს მოძმე. ზაქროს  
თქმა:

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს —  
ეგ ვერაფერი სიყვარულია,  
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, —  
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია! —

თვით მწერლის ეპოქალური ძაბილია. აქამდე ბედისაგან დაჩაგ-  
რულ ხალხს ილია ჭავჭავაძე უწვდის ხელს, მის ისტორიულ ასპა-  
რეზზე ამოქმედებას უწყობს ხელს და მკითხველსაც ასეთს განცდას  
გადასცემს. ამ მიზნისათვის ილია ჭავჭავაძე ნიჭიერად და დამა-  
ჯერებლად ავითარებს პრივილეგიური კლასის ნიადაგმორღვეულო-  
ბას მთელ რიგ ნაწარმოებში („კაცია-ადამიანი?!“, „გლახის ნაამ-  
ბობი“, „სცენები მომრთველ მოსამართლესთან“ და სხვა). ილია  
ჭავჭავაძემ დაგვანახა, რომ თავადაზნაურობა, როგორც წამყვანი

კლასი, ახალ პირობებში შეუფერებელი მოვლენა; მისი ძველ ტრადიციებსა და ძალაუფლებებში დატოვება მისი ბუნებრივი და სამარცხვინო სიკვდილია. ი. ჭავჭავაძე გადაჭრით წერს: „მართალია, თავადაზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა, დიდი ზანია თავისი დრო მოჰამა, მაგრამ თავადს, აზნაურს, ვით ცალკე კაცს, ადამიანობა ხომ შერჩა“... (ი. ჭავჭავაძე, ტ. IX, გვ. 182), თუ ამ კლასს (ცალკეულ წევრებს) თავისი თავის ვადარჩენა (ფიზიკურად) უნდა, ის ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს აუცილებლად უნდა შეეგუოს. ეს შეგუება კი მათგან თხოულობდა ძველი ყოფიდან ბევრი, ძალიან ბევრი, არსებითი დაეტოვებინა და ახლიდან ბევრი, არსებითი გადაედო. ამიტომ, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ეს კლასი უნდა გარდაიქმნას ახალი ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით, იშრომოს, იმოქმედოს, თავის პირად ცოდნასა და უნარს დაეყარნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში თავადაზნაურობა პიროვნულადაც ისტორიის ასპარეზიდან მოიხსნება ისე სამარცხვინოდ, როგორც ლუარსაბ თათქარიძე („კაცია-ადამიანი?!“), დათიკო („გლახის ნაამბობი“).

ამ მიზნის განხორციელებისათვის ილიამ მიმართა როგორც პოეზიაში, ისე პუბლიცისტიკაში — სატირა. თავადაზნაურობის განქიქების მიზნით ილია მთელ რიგ მეტად ნიჭიერ ნაწარმოებში მოხდენილად აკრიტიკებს მათ უარყოფით მხარეებს. ახალი ცხოვრებით დაკნინებული, გაბიაბრუებული ჩვენი თავადაზნაურობა ილია ჭავჭავაძემ მძლავრად და მოუერიდებლად გამოაჩატა თავის სატირებში „ბედნიერი ერი“, „რავაკეთეთ, რას გშვრებოდით“ და სხვ<sup>2</sup>.

ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“, მართლაც, უძლიერესი სატირაა. ამ სატირაში გადმონთხეულია სინამდვილის გაცნობით ბოღმა, სევდა, ნაღველი, შეურიგებლობა, რომელიც ამ დროს ილიას, როგორც თერგდალეულის, გულში ბობოქრობდა.

ილია ჭავჭავაძის სატირის თავისებურება იმაშია, რომ მისი სიცილი არ არის გოგოლისებური „ცრემლიანი სიცილი“ («СМЕХ СВОЗН СЛЕЗЫ»). არა, მის სიცილში ისმის მოუერიდებელი, შეურიგებელი მხილება, „სიძულვილი“. მისი გამირები არა მარტო სასაცილონი არიან, არამედ ისინი იწვევენ აღშფოთებას, შეურიგებლობას. ილია ჭავჭავაძის სატირა თავისი სიმახვილით, ბუნებრიობით,

<sup>2</sup> გ. კიკნაძე, სატირა და იუმორი ქართულ ლიტერატურაში 1952 წ., ილია ჭავჭავაძის სატირის ბუნების შესახებ, იხილეთ მის. ზანდუკელი, ილია ჭავჭავაძე როგორც სატირიკოსი, საიუმბილეო კრებული — ილია ჭავჭავაძე, 1939 წ. აგრეთვე; მის. ზანდუკელი — ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, 1960 წ.

გაბედულობით მთლიანად იტყაყებთ მკითხველს და ბოლომდის აღშფოთებთ. მწერალს მძლავრი მხატვრული ხელით მკითხველი მიჰყავს ცოცხლად შექმნილ სანყაროში, იმ დროის ცხოვრების სინამდვილეში, სადაც ბევრი რამ სასაცილოა, დაძაბუნებულა, აზრი და გრძნობა დაკარგული. ილია ჭავჭავაძის სატირა მოცემულ ცოცხალ სურათში მკითხველს გამუდმებით მტკივნეულად განაცდევინებს ადამიანთა ქცევისა და ცხოვრების სილატაკესა, მიუღებლობასა და კომიზმს.

მართლაც, განა ამაზე მკვეთრად და დაუნდობლად შეიძლება გამათრახება ჩვენი პრივილეგიური კლასისა, რომლის დასახასიათებლადაც პოეტი არც ერთს დამამკირებელს ეპითეტს არ ივიწყებს. მოვიტანოთ ნაწყვეტი:

ჩვენისთანა ბედნიერი  
 განა არის სადმე ერი?<sup>1</sup>  
 მძიმე უაღნით,  
 ლამაზ ფაღნით  
 მორთული და მშვენიერი;  
 უწყინარი,  
 უჩინარი,  
 ქედდრეკილი, მადლიერი;  
 უშფოთელი,  
 ქვემძრომელი,  
 რივიანი, წესიერი;  
 ყოვლათ მთმენი,  
 ვით ჯორ-ცხენი,  
 ნახედნი და ღონიერი.

ყველა უნჯი,  
 ყველა მუნჯი,  
 გულჩვილი და ღმობიერი;  
 თავაქრული,  
 თვალაბმული,  
 ზირს ლაგამი ზომიერი:  
 ყველა ყრუი,  
 ყველა ცრუი,  
 ქვედამჯდარი, გულხმეირი;  
 მცირე, დიდი,  
 ყველა ფლიდი,  
 ცულლუტი და მანკიერი!  
 მტვერწყარილი,  
 თავდახრილი,  
 ყოვლად უქმი, უდიერი;  
 უზღუდონი,



გზამრუდონი,  
 არ გამტანი და ცბიერი:  
 მტრის არ მცნობი,  
 მოყვრის მგმობი,  
 გარედ მხდალი, შინ ძლიერი;  
 არ რის მქონე,  
 არ რის მყოლნე;  
 უზრუნველი და მშვიერი.

აი მკვეთრი სახე, შინაარსიერულად სრულიად დაცლილი, დაკ-  
 ნინებული ქართველი თავადაზნაურობისა, რომელიც ჯერ კიდევ  
 ქართველი ხალხის ბედ-იღბალს სწყყვეტდა, რომელიც „გამოჰხა-  
 ტავდა“ ქართველ ერს. „ბედნიერ ში“ ზოგიერთი ჩვეუ-  
 ლებრივ დადებითი თვისებების გამომხატავი ეპითეტი, შესაფერ  
 მდგომარეობაში, როცა საზოგადოებას თავისი ღირებულება შერ-  
 ჩენილი აქვს და იკავს კიდევ, როგორც „რიგიანი“, „წესიერი“,  
 „გულჩვილი“, „ლმობიერი“, „ქვედამჯდარი“, „გულხმბიერი“ და  
 სხვა უფრო მეტი დაცივნის, შხამის გამომხატავია იმ მთლიანი და-  
 ხასიათების კონტექსტში, როდესაც თავადაზნაურობას წარმოდგე-  
 ნაც კი დაკარგული აქვს თავის ღირსებაზე, და რომელსაც ასე ოს-  
 ტატურად გესლიან ნაწნავებსა და ხვეულებში იძლევა ავტორი.

ქართველი პრივილეგიური საზოგადოების ცოცხალ და უტ-  
 ყუარ სურათს ავსებს ილია ჭავჭავაძის მეორე სატირა „რა  
 ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?!“ ამ სატირის სათაურს  
 შენიშვნასავეთ მეტად მოხდენილად აქვს გაკეთებული — „ანუ  
 საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“. აქაც სწორად  
 და გამახვილებულად აქვს ილიას მოცემული ჩვენი თავადაზნაურო-  
 ბის დაკნინება, მორალურად გაწრიოკება მისი დაუდევარი, უიდეა-  
 ლო, უმიზნო, მავნე და პარაზიტული ცხოვრება. ეს პრივილეგიური  
 წოდება იქამდის მივიდა, რომ სახელმწიფოს ეხვეწებოდა «На пра-  
 чю»-ბა ესწავლებინა. აი, ფინალი „ქედმოხრილი“, „ყრუდ“, „მუნ-  
 ჯად“ და „უნჯად“ გამხდარი ქართველი თავადაზნაურობისა!

ჯერ კიდევ ამათ ხელში იყო ქართველი ხალხის ბედ-იღბალი!  
 ესენი იყვნენ ქართული ოფიციალური საზოგადოებრიობის შემქ-  
 მნელნი. ამიტომ ილ. ჭავჭავაძემ თავის „გამოცანებში“ ნიჭიერად  
 გაამათრახა ქართველი თავადაზნაურობა, როგორც გზაკვალაბნე-  
 ული და საზოგადოებრივი ცხოვრების შემფერხებელი ძალა, რო-  
 მელსაც საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა დაკარგვია  
 და რომლის მისწრაფება უხეში პირადი კეთილდღეობით შემოფარ-  
 ვლულა.

ამ „გამოცანების“ გამომწვევი მიზეზი შემდეგი იყო. 1871

წელს საქართველოში იმპერატორი ალექსანდრე II ჩამოსვლის წინ თავადაზნაურობამ საგანგებოდ მოწვეულ ყრილობაზე, თერგ-დალეულთა ჯგუფის ზეგავლენით, დაადგინა მოითხოვოს უნივერსიტეტის გახსნა თბილისში. ახალთაობას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ადგილობრივი ცხოვრების აღორძინებას, ადგილობრივი კადრების მომზადებასა და შექმნას მეტად ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მუშაობა. მაგრამ შემდეგ ეს გადაწყვეტილება თავადაზნაურთა მიერ არჩეულ კომისიას (მეფისნაცვლისა და ბარონ ნიკოლაის ზეგავლენით) შეუცვლია და უნივერსიტეტის მაგიერ უთხოვნია კადეტთა კორპუსის დაარსება თბილისში. ამგვარმა ლაქიურმა სულმა ილიას საბაბი მისცა დაუნდობლად გაემათრახებინა ადრესის შემდგენელი. „გამოცანებში“, ასიკო ერისთავისა და ნიკო ნიკოლაძის ჩვენებით, ივულისხმებიან: 1) რევან ანდრონიკაშვილი — მარშალი; 2) გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანელი ბაგრატიონი — სენატორი, სახ. საბჭოს წევრი; 3) ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანელი ბაგრატიონი — გენერალი, დიდი შეძლებისა და გავლენის მქონე; 4) პლატონ იოსელიანი — ისტორიკოსი; მას ადრესის შედგენაში არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ მათ წრეს ეკუთვნოდა; 5) დიმიტრი ჯორჯაძე — მეფისნაცვლის საბჭოს წევრი; 6) იასე ჰავჭავაძე — წევრი გუბერნიის სამმართველოსი; 7) ბესარიონ ლოღობერიძე თერგდალეულთა სტუდენტობის ამხანაგი, შემდეგ ქველი თაობის გავლენის ქვეშ მოპყვა; 8) გრ. ორბელიანი — პოეტი — გენერალი<sup>3</sup>.

აქედან დაიწყო 70-იან წლებში განახლებული ბრძოლა „მამათა“ და „შვილთა“ შორის. ამ პერიოდში დაიწერა, გარდა ილ. ჰავჭავაძის შემოხსენებული „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“, „ბედნიერი ერი“, მისივე „პასუხის პასუხი“, აგრეთვე „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“.

ეს „გამოცანები“ ხელიდან ხელში გადადიოდა; ისე ნიშანდობლივად იყვნენ სატირის ობიექტები გაკიცხულნი, რომ ყველა ადვილად ხვდებოდა. ამ „გამოცანებს“ დიდი რეზონანსიც ჰქონდა. ნიმუშისათვის:

ულვაშ-სრული, მელოტია,  
 უთაური თავიანი,  
 ხელთა მლოკი, ქონდრის კაცი,  
 დიდგულა და ბოხ-ხმინი.  
 თუმცა ტანად პატარაა,  
 სხვაფრივ კი კარგა დილია,  
 ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა

<sup>3</sup> იხ. ილ. ჰავჭავაძე, თხზ., ტ. I, 1925 წ., გვ. 384.

იმას ფეხებზე ჰკიდია.

(რევან ანდრონიკაშვილი).

კობტაა და ლობემძვარაა,  
პატარა და ჩამომხვარი,  
ცხვირ ნისკარტა, ნიკაპ-წვეტი,  
უუამური, განს გამდგარი.

ჰკვით და გულით გაცვეთილა,  
ქვეყანაზედ უქმად გლია,  
თვით მალლა ზის, — ქვეყნის საქმე  
მასაც ფეხებზე ჰკიდია.

(გიორგი კონსტანტინეს ძე  
მუხრანელი ბაგრატიონი).

ილიამ არ დაინდო არც პლატონ იოსელიანი, რომელსაც, უდავოდ, დამსახურება ჰქონდა ქართული კულტურის წინაშე. კიდევ უფრო მსოფრიდებლად გაეციხა თავისი სტრუდენტობის ამხანაგი ბესარიონ ლოლობერიძე:

ერთი ვინმე შავგვრემანი  
სუსტია და პირად ხმელი,  
დიდებში ბრძნად ქებულია,  
ჰქვა მოკლე და ენაგრძელი.  
დიდთა ქებით გაბერილა  
ვით ავის სენით ტრიკია  
ახლის აღთქმის კაცი იყო,  
ეხლა ქვემძრომი ხელიკია,  
ახლისა და ძველის შუა  
ის ჩატეხილი ხილია,  
ამ ტყუილს ბრძენსაც ქვეყანა,  
ძმანო, ფეხებზე ჰკიდია.

(ბესარიონ ლოლობერიძე)

ი. ჭავჭავაძემ არავინ არ დაზოგა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ბელადს მათთვის, ვინც მას ამ ფრონტზე ხელს უშლიდა, მომართული ჰქონდა „გესლიანი ისარი“. გაბედული მებრძოლი, თავისი მოღვაწეობის სამართლიანობაში დარწმუნებული, სიამაყით და გაბედულობით ასე ამთავრებს ილ. ჭავჭავაძე „გამოცანებს“:

მეცხრე გამოცანად ითქმის  
ეს ვის დაუწერიაო?  
ნუ გაწყრებით და ნურც იტყვით:  
— იგი ჩვენი მტერიაო.  
თუ გაწყრებით, რა მენაღვლის?!  
მე არ მაქვს თქვენი რილია:

ილია რუსეთიდან სულ სხვა მისწრაფებით, განცდებითა და შინაგანი დუღილით მოდის. ამ განწყობილებას მშვენივრად ამჟღავნებს მისი „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი“, განსაკუთრებით დაპირისპირება თერგისა და მყინვარისა, დღისა და ღამისა<sup>4</sup>.

მთელ „მგზავრის წერილებში“, კერძოდ კი ამ ნაწყვეტებში ილია ჭავჭავაძის სრული და ურყევი სახეა განსახიერებელი. აქ მკვეთრად მოჩანს ავტორის შინაგანი დუღილი, მისი ღიღი ძალა, მისი გულსყუარის ხედვა და მიმართულება.

„მგზავრის წერილები“ დასაწყისია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მეორე პერიოდისა, რომელიც იწყება რუსეთიდან საქართველოში მისი დაბრუნებიდან, ე. ი. 1861 წლიდან და გრძელდება 1877—1878 წლამდე.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პირველი პერიოდის ანალიზმა (იხ. ზევით „ილ. ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედება 1857 — 1860 წ. წ.“ — ე. წ. სტუდენტობის პერიოდი) დაგვარწმუნა, რომ ეს ღიღი მწერალი თავის ბუნებით ისეთ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც გარკვეული მსოფლმხედველობის გამომუშავებამდე საშინელ ტკივილებს, ტანჯვას, კრძალვასა და შიშს განიცდის. მაგრამ გარკვევის უმალ მისი ნებისყოფა კაჟდება, ძალა ემატება, რწმენა და იმედი უმტკიცდება. გამორკვევის შემდეგ ის მთელი მძლავრი ხასიათის სიმტკიცით განუხრგლად მიდის არჩეული გზით. ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე მთელ თავის ხანგრძლივ პოეტურ შემოქმედებაში, ასეთი იყო ის პრაქტიკულ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში: ურყევი, მტკიცე, მძლავრი, შეუღრეკელი.

1861 წლიდან ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, ცხადია, უკვე გარკვეულია. მისთვის პოეტური ნიჭი და შემოქმედება ერთგვარი იარაღია იმ იდეებისა და მისწრაფებათა გასავრცელებლად, რომლებიც მან რუსეთში ცხოვრების დროს, როგორც ეს ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, ეკვის, შიშის, კრძალვისა და ნდობის ტკივილებში გამოიღატანა. ყოველი მისი სიტყვა, იქნება ეს პოეტურ ქმედებაში მოცემული, თუ წარმოთქმული რომელიმე დაწესებულებაში, ყრი-

<sup>4</sup> იხ. თავი — თერგდაღულები 60-იან წლებში — „მამათა“ და „შვილთა“ მსოფლმხედველობა და მათი ბრძოლა.

ლობაზე ან მეგობრულ ურთიერთობაში, მტკიცე გამომხატველია პოეტის მიერ აღებული და არჩეული კურსიაა.

ილია ჭავჭავაძის სულიერი განწყობილება, როგორც ეს ასე მკვეთრად მოჩანს „მგზავრის წერილებში“, მძლავრი მოძრაობისა და დუდილის გამომხატველია, რომელსაც მხოლოდ რეალური ცხოვრების მორევში ტრიალი მისცემს შინაარსს. ამიტომაც, რომ პოეტი ლამობს ცხოვრების მორევში შეიჭრას და იქიდან მარგალიტთან ერთად უფრო ლაფი და ლექი ამოკრიფოს. თვით დანიშნულება პოეტისა ილიას ასე ესმის: ის უპირველესად მოქალაქეა, რომელიც „ღმერთთან მისთვის ლაპარაკობს, რომ წარუძღვეს წინა ერსა“. ილიას შეხედულებით, პოეტი შემდეგი დანიშნულებით და მოვალეობით არის ვალდებული:

დიდის ღმერთის საკურთხევლის  
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,  
რომ ერისა მოძმედ ვიყო  
ქმუნვასა და სიხარულში.

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტკიცე გული...

მაშინ ცილამ ნაპერწკალი,  
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,  
მაშინ ვიძღერ, მხოლოდ მაშინ  
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!

ამ ლექსიდან აშკარაა უტილიტარული შეხედულება პოეტზე და მის დანიშნულებაზე. ილია პოეზიაშიც იგივეა, რაც პუბლიცისტიკაში. პოეზიას, ხელოვნებას, მეცნიერებას ის საზოგადოებას, როგორ უნდა მოიპოვოს პური არსებობისა. ეს ის უტილიტარიზმია, რომელმაც რუსეთში სწორედ 60-იან წლებში ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის მოღვაწეობით მძლავრად გაიძვრა ფეხები და რომლის უკიდურესი სახე კრიტიკა-პუბლიცისტიკაში პისარევიჩმა მოგვცა.

ილია ჭავჭავაძეს, როგორც მოქმედების სურვილით მოწყურებულ მოქალაქეს, მაშინდელი ჩვენი ხალხის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა ბევრ საგულისხმოს ეუბნებოდა: მიდის, თუ კიდევ სავესებით გასული არ არის ცხოვრების არედან, ყოფილი გაბატონებული კლასი თუ წოდება — თავადანაპურობა; ახალი კლასი-კი, რომელსაც შეეძლო მისი შეცვლა, საზოგადოებრივი ცხოვრების

საჭის ხელში აღება — ბურჟუაზია, ჯერ მეტად სუსტია; გლახობაც ჯერ კიდევ ბატონყმობის მაგრად დაჭიმულ არტახებში შებოჭილი და გაგუდული გმინავს; ცხოვრების საბრეილს, თითქოს დაცარიელებულს, თითქოს უპატრონოს, უიალქნოდ, ინერციით მიმდინარის სახე აქვს; ცხოვრება დაკნინებულია, აღარ ისმის მაგარი მაჯისცემა.

დაბრუნებისას ილია ჭავჭავაძეს ქართველი ხალხის ცხოვრება ეხატებოდა გუბედ, საიდანაც „მეტად ცუდი ომხივარი ამოდოდა: კაცს სული შეუფუბდებოდა, გონებასა და სულს ობი მოეკიდებოდა, მუხლი წინ წასადგომად მოცემული დაეხუთებოდა“. საქართველოში დაბრუნებისას ილიას წინაშე მთელი სიცხადით და სიმწვავეით, როგორც მოქალაქის წინაშე, გადაიშალა დაძაბუნებული, ძილით მოცული ქვეყანა. ამ სინამდვილით აშლილი ტკივილები პოეტის შემოქმედებაში, მის „ელევიაში“ შემდეგს გასსახიერებს პოულობს:

მკრთალი ნათელი საესე მთვარისა  
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა,  
და თეთრი ზოლი შორის მთებისა  
ლაქვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.

არსაიღამ ხმა, არსით ძახილი...  
მშობელი შობილს არას მტყუოდა,  
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი  
ქართველის ძილშია კენესა ისმოდა.

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი  
კვლავ ჩემს ქვეყნის ძილს ვალერსება...  
ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,  
როსლა გვეღირსოს ჩვენ ვალვიძება?!

ძალას, საზოგადოებრივ შემომქმედ, დამხმარე ძალას ქვეყნის წინ წაწევის საქმეში ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდობაში, სტუდენტობაში, მოაზროვნე ინტელიგენციაში ხედავს. ის უფრო გამძლეა, როგორც საღი, ახალგაზრდა ორგანიზმი. ის ძველი მოჯადოებული, მკვდარი წერტილიდან დაძრულია, იმაშია ის ძალა, რომელიც ცხოვრებისათვის საჭიროა. სტუდენტობა, ილიას გაგებით, სინონი-მია კულტურის, წინმსვლელობის, მოძრაობის; იმ მოძრაობისა, რომელიც 60-იანი წლების ბოლღაწეთათვის და კერძოდ ილია ჭავჭავაძისათვის, „ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემია“. ამიტომ ილია ჭავჭავაძე თავის „ქართველის დედაში“ ახალი ცხოვრებისათვის შესაფერ გარკვეულ ლოზუნგს წამოაყენებს:

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,  
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;  
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ესდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...

პოეტი მიმართავს დედას ამ გზით აღზარდოს თავისი შვილიც:  
„შთააგონებდეს კაცთა სიყვარულს — ძმობას, ერთობას, თავი-  
სუფლებას“. „ქართველი სტუდენტობის სიმღერა-  
ში“ კი პოეტი ერთგვარი იმედიანობით ამბობს: „დედამ, რომ  
შვილი გაზარდოს, ემაგრე ჩვენისთანაო“. რატომ, რა ღირსებისა  
და თვისებისათვის? და პოეტი გარკვეულ პასუხს იძლევა. ამ პა-  
სუხში თავმოყრილია ის, რაც ამ დროისათვის, 60-იანი წლებისა-  
თვის, იყო სწორი, დადებითი, მისაღები, ღირებული ადამიანი-  
მოქალაქისათვის. იმიტომაა სტუდენტი სანატრელი შვილი, რომ  
ის შეგნებული მოქალაქეა. აი რას ათქმევინებს ლექსში „ქართვე-  
ლი სტუდენტების სიმღერა“ პოეტი ამ მოქალაქე სტუდენტებს:

დიდს არ გავექვლივებით  
და მხარს მივცემთ პატარასა;  
ძალას გულდაგულ დავხედებით  
და თავვანს ვცემთ სამართალსა.

წინ წასვლაში არ დავიხვეთ,  
არ გავწირავთ უკან რჩომილს,  
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა  
ულონოსა და დავრდომილს.

უანგაროდ მივალთ წინა,  
მართო ის გვაქვს გულში ფიქრად,  
რომ წინანი უკანასთვის  
უნდა იქნენ გზად და ხიდად.

მამულისა შვილნი ჩვენც ვართ  
და მიტომ ვზრდით ჰაბუკს სულსა,  
რომ ოდესმე გამოვადგეთ  
დაობლებულს ჩვენს მამულსა.

მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით,  
სხვას არც ჩვენ დაუვარდებით:  
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,  
ეხლაც-კი გამოვადგებით.

აი ამ ახალგაზრდობასთან აქვს ილიას საქმე, რადგანაც მამუ-  
ლის სიყვარულით დასერილი პოეტის გული და გაწამებული მისი

ფიქრი და გონება სხვებში ვერ პოულობს თანაზიართ. თანაზიარს ქვეყნის აღორძინების საქმეში ახალი ცხოვრების კარნახის მიხედვით ილია ჭავჭავაძე უპირველესად ეძებს სტუდენტობაში. ვინაიდან ეს სტუდენტობა 60-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სინამდვილეში იშვიათი მოვლენა იყო, განსაკუთრებით ილიას მოღვაწეობის დროს, როდესაც ძველი თაობა დაშლილია, ახალი პროგრესული დემოკრატიული ჯერ ფეხგაუმაგრებელია, გასაგებია ის მარტობა და ამ გარემოებით დაუკმაყოფილებლობა, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდა პოეტი რუსეთიდან დაბრუნებისას განიცდის. ამ გრძნობას ილია ჭავჭავაძე გამოსთქვამს ლექსში — „მას აქეთ, რაკი შენ დამი ვცან მე სიყვარული“:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო.  
რომ შენს მიწაზედ ამდენ ხალხში კაცი არ არი,  
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუუზიარო...

ამგვარ განწყობილებას ილ. ჭავჭავაძეში იწვევს შეუძლებლობა ამ წლებში განეხორციელებინა თავისი დაუძლეველი მისწრაფება — შეექმნა მოღვაწეთა წრე ქვეყნის განახლებისა და წინ წაწევის სწორი და ენერგიული მიმართვისათვის.

ილია ჭავჭავაძე, როგორც სხვა თერგდალეულები, ზედავდა ქვეყნის მძიმე და უნუგემო მდგომარეობას, ზედავდა ცხოვრების გაწროკებასა და თავადაზნაურობის გაწირულ ბედს. ილია მასთან ერთად აშკარად გრძნობს ვანსხვავებას ძველსა და ახალს შორის, და, მიუხედავად უნუგემო მდგომარეობისა, მაინც იმედიანად გაიძახის:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?!  
აწყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,  
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია!  
მათ ახალთ აღვიდგინონ შენ დიდების დღენია,  
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

და ეს ოპტიმიზმი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია 60-იანი წლების სულიერი განწყობილებისათვის.

ილია ჭავჭავაძეს საქართველოში დაბრუნების შემდეგ პირველსავე ფენის გადადგმაზე მრავალი წინააღმდეგობა შეხვდა. შეშინებულმა „მამათა“ საზოგადოებამ მას დაუნდობელი ბრძოლა დაუწყო, თუმცა ჩახლეჩილი და ხრინწიანი ხმით, მაგრამ მაინც მოინდომა ყიყინის დაკვრა. არაფერს არ დაერიდა, რომ კადნიერი ახალგაზრდა პოეტი ჩაეჩუმებინა, საზოგადოების თვალში მისი სახელი გაეტეხა. ილია კი ერთგვარი დაკმაყოფილებისა და მოქალა-



ქებობრივი მოვალეობის შეგნებით, ჩვეულებრივი დინჯი ტონით, მაგრამ გესლით სავსე ლექსით, ასე გამოხატავს ამ დამოკიდებულებას დრომოკმული და განწირული ძველი საზოგადოებისადმი:

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტამი?  
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახურთ,  
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოფინოთ ხალხში  
ბოროტთა საკლავად. — მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.  
ჩემზედ ამბობენ: „ის სიამეეს ქართველისას ამბობს,  
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია?!“  
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული-კი მაშინვე სცნობს —  
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

და ამ სიტყვებში ილიამ უსათუოდ მოგვცა გასაღები თავისი მსოფლმხედველობისა. პოეტის თქმა: „კარგი გული-კი მაშინვე სცნობს, ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულიაო“, — ზუსტად ახასიათებს ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას და მისი მოქმედების მიმართულებას. იმ შეურიგებლობაში, იმ მოუპირებელ გაკიცხვაში, რომელსაც ილია აწარმოებდა ქართველი პრივილეგიური საზოგადოების მიმართ, გამოსკვივის პოეტის ღრმა ეროვნული გრძნობა, ღრმა სიყვარული ქართველისადმი. ამის გაგება და დანახვა ძველ თაობას, რომელსაც მწარედ ხვდებოდა მისი ნაპროლი შხამიანი ისარი, არ უნდოდა. ილია-კი მთელი შეგნებით გაიძახოდა:

აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა  
და დაე გეძრახონ, ჩვენ მის ძებნით დავლით დღენი.

და აი ეს „ქართლის ბედის“ ძებნა ის ნერვია, რომელიც ილიასაც და, შეიძლება ითქვას, სხვა თერგდალეულებსაც ამოქმედებდა, შინ და გარეთ ბრძოლის ფრონტს ახსნევინებდა.

### 3

რა იყო ის, რაც ილიასა და თერგდალეულებს ასე თიშავდა ძველი თაობისაგან? ეს იყო ცხოვრების ახალი სოციალურ-ეკონომიური პირობებისა და მათი განვითარების გაგება-შეფასება. დაძაბუნებული, შინაარსეულად დაცლილი ძველი თაობა, ცხოვრების ახალი პირობებით ირიყებოდა, დეგრადაციის გზაზე სწრაფით მიექანებოდა, ძველ განწირულ ცხოვრებას ებღაუჭებოდა, ყოველივე ახალს კი, როგორც საფრახეს, ებრძოდა. ილიამ, როგორც საერთოდ ყველა თერგდალეულმა, იგრძნო ახალი ცხოვრე-

ბის ტალღის ძვრა, იგრძნო და განჰქვრიტა, რომ ძველი ცხოვრება  
ველარ გაუძლებს ახალი ცხოვრების ქცევას:

აღლო აიღო ქვეყანამ ძველმა,  
რომ ღლე და ღლე მის წყობა ირღვევა,  
და ამ ზვიადმა საუკუნემა  
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.

ილია ჭავჭავაძემაც აღლო აუღო ამ მდგომარეობას და მისი  
განჰქვრიტით საქართველოს გადარჩენა მხოლოდ ახალ ცხოვრებას-  
თან, ბურჟუაზიულ წყობილებასთან შეგუებას შეეძლო (ილია  
ჭავჭავაძეს, როგორც სხვა თერგდალეულებს, მთლიანი საქართვე-  
ლოს იღეა აქვს მთავარ საზრუნავად, რის შექმნასაც კაპიტალიზმის  
განვითარება ხელს უწყობდა). ამიტომ საჭიროა ცხოვრების სიღრ-  
მეში მეტის გულისყურით ჩახედვა და მისი ნამდვილი მიმართუ-  
ლების გაგება. ცხოვრების მსვლელობის გაგებას ილია მკაფიოდ  
იძლევა თავისი პირველი პოემის „ა ჩ რ დ ი ლ ი ს“ მოხდენილი  
ეპიგრაფით:

რა ვარდმან მისი ყვაილი გაახმოს, დაამჰქნაროსა,  
იგი წაეა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა.

აქ ილია ჭავჭავაძეს, ექვს გარეშეა, მხედველობაში აქვს ის  
სოციალური ცვლა, რომელიც ხდებოდა ახალი ცხოვრების მოწო-  
ლით, როდესაც ნიადაგგამოცლილი და დაჭიანებული თავადაზნა-  
ურობა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზიდან კატასტროფუ-  
ლი სისწრაფით იხსნებოდა. ყოველი თვალზილული ადამიანისა-  
თვის ცხადი იყო, რომ ძველი „ტურფასა საბადნაროდან“ უნდა  
წასულიყო და მის მაგიერ ს ხ ვ ა ახალი მოსულიყო.

ვინ უნდა მოვიდეს? ამის გარშემო დატრიალებული ილიას  
მსოფლმხედველობა და მისი გულისყური. ამ საკითხის გაგებაშია  
რადიკალური განსხვავება ილია ჭავჭავაძისა როგორც ვრ. ო რ ბ ე-  
ლი ა ნ ის ა გ ა ნ, ისე საერთოდ „მამებისაგან“. თუ ვრ. ორბელიანი-  
სათვის დიდება ივერჯისა მეფე ე რ ე კ ლ ე ს თ ა ნ მარხია, და  
საქართველოს ძველი „დიდება ცათ სხივმომფენი“ მთავონების  
მთავარ წყაროდ არის ქცეული და ამ წარსულის ხილვაშია შვება  
პოეტისა, ილია ჭავჭავაძე გადაჭრით ამბობს: „მოვიკლათ წარსულ  
დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი  
ხალხს“.

მოვიგონოთ ზევით მოტანილი ილიას წერილი დავ. ე რ ი ს -  
თ ა ვ თ ა ნ. მაშინ, როდესაც ვრ. ორბელიანს მხოლოდ მეფეები და

ომები იზიდავს და ხალხი სრულებით არ აგონდება, ილიას, პირიქით, ხალხისაკენა აქვს მიმართული მთელი გულისყური. „მე კი ასეთი აგებულობისა ვარ, — სწერს ილია დ. ერისთავს, — რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი-კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს, ვწუხვარ და ვდრტვინავ, და განკითხვა არსით არი“. აქ არის კვანძი ილ. ჭავჭავაძის ეროვნული გრძნობის გაგებისა. მაშინ, როდესაც გრ. ორბელიანისათვის საქართველო მეფეებისა და არისტოკრატიული, ფეოდალური კლასისაა, საქართველოში წამყვან ძალად ის მხოლოდ მათ გულისხმობს, ილიას (როგორც სხვა თერგდალეულებს) საქართველო წარმოდგენილი აქვს მთელი ქართველი ხალხის სახით, სადაც პრიორიტეტი, მამოძრავებელი ძარღვი თვით ხალხის კუთვნილებაა.

ილიას ასეთი სულიერი განწყობილების ასახსნელად მოგვეშველება რუსეთის 60—70-იანი წლების მოღვაწეთა აზროვნების ჯავლენის გათვალისწინება თერგდალეულებზე და მარქსის მიერ დემოკრატიის ბუნების დახასიათება, რომელიც ლენინმა რუსეთის 60—70-იან წლების მოღვაწეთა მიმართაც გამოიყენა. ყოველივე ეს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნაწილობრივ, ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა და კერძოდ ილიას შეხედულებათა ასახსნელად შეიძლება გამოგვადგოს: „დემოკრატს. — წერს მარქსი, — რომელიც წარმოადგენს წვრილ ბურჟუაზიას, ე. ი. გარდამავალ კლასს, სადაც ორი კლასის ინტერესები ერთმანეთს აჩლუნგებენ, — ჰგონია, იგი საზოგადოდ კლასობრივ ანტაგონიზმზე მაღლა დგას. დემოკრატების აზრით, მათ წინააღმდეგ დგას პრივილეგიური კლასი, მაგრამ ერის მთელ დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად ისინი ხალხს შეადგენენ. ისინი ხალხის უფლებას იცავენ; ისინი ხალხის ინტერესებს წარმომადგენლობენ“<sup>5</sup>. ვიმეორებთ, ამგვარია დაახლოებით, რასაკვირველია ჩვენი ცხოვრების გარკვეულ ობიექტურ პირობებში შექმნილი ილია ჭავჭავაძის სულიერი განწყობილება.

„აჩრდილში“ გამახვილებულადაა მოცემული ილიას მსოფლმხედველობის მამოძრავებელი ძირითადი პრობლემები: ეროვნული გრძნობა, დარღვეული, დაბეგრული საქართველოს მდგომარეობით აშლილი ტკივილები, ბატონყმობით გაპარტახებული გლეხობა, რომელსაც ყველა დასევია — ბატონი, ვაჟარი. მღვდელი, მოსამართლე და სხვა. აქვეა წამოყენებული პრინციპი შრომისა, როგორც არსებული ცხოვრების გამაჯანსაღებელი, სიპართლისა და თანასწორობის მომფენი. პოემა „აჩრდილის“ თემისა და მიზანდა-

<sup>5</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 1, გვ. 541.

სახელობის სირთულეა მიზეზი, რომ ილია ჭავჭავაძე მას არაერთხელ მიუბრუნდა და, ვფიქრობთ, მაინც ისე ვერ გააფორმა, როგორც მას უნდოდა.

„გავერკვეთ როგორია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ყველა ამ საკითხის გაშლის ბუნება და ხასიათი?“

თერგდალეულთათვის და კერძოდ ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, უმთავრესი იყო ეროვნული საკითხი. საქართველოსა და ქართველი ხალხის წინმსვლელობისათვის როგორც თერგდალეულნი, ისე ილია ჭავჭავაძეც აუცილებელ პირობად სთვლიდნენ საქართველოს გაერთიანებასა და განთავისუფლებას. ეს იყო მთავარი ნიჟარა, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო ადამიანისა და ხალხის კეთილდღეობის ყველა პირობა.

საქართველო მამინ ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად, ბიუროკრატიული ანგარებით შეპყრობილ მოხელეთა ხელში წაჩოადგენდა მხარეს, რომელიც დიდ შინაგან დუღილს განიცდიდა. მეფის მთავრობის მოხელეები, ხშირად გულგრილობით აღვსილნი ადგილობრივ მცხოვრებთადმი, „აბრუნდებით“ და „გაბრუნდებით“ ყველფუნენ ხალხს. ამის გამო ეროვნული გრძნობა ილიაში მწვავე ხასიათსა და გამოძახილს პოულობდა, რამაც მის შემოქმედებაში პროტესტის, დაჩაგრულთა, შევიწროებულთა და შეკურაცხყოფილთა უფლების დაცვის ხასიათი და მიმართულება მიიღო. ამით აიხსნება, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ეროვნული მოტივი არ იკეტება ვიწრო ეროვნული ფარგლებით, არამედ ხშირად საერთო თავისუფლების მოპოვების განცდილთა დაფერადებულნი. ეს აიხსნება ილიას რადიკალურ-დემოკრატიული ტენდენციითაც. ილია ჭავჭავაძე ცდილობს ხალხში აღძრას სურვილი და ნდობა განთავისუფლებისა. თავისი პოეტური ნიჭი და შემოქმედება ილიამ ამ მიზნის სამსახურში აამოქმედა. მან მთელი რიგი ნაწარმოების შემწეობით ფართოდ გაშალა ეროვნული იტრძნობის სიძლიერე და აუცილებლობა.

თავისუფლება, ილიას გაგებით, როგორც პიროვნული, ისე ეროვნული, დასაბამი და უბვი წყაროა ადამიანური ცხოვრების მოპოვების დაუმრეტელი წყურვილია. ის ყველასათვის, როგორც ახალგაზრდის, ისე მოხუცისათვის ისევე აუცილებელია, როგორც მზე საერთოდ ცხოვრებისათვის. თავისუფლების მოპოვების სურვილი მოხუცს, მომაკვდავ დედაკაცსაც-კი აი როგორ მშვენიერს საერთო ხასიათის ოდას ათქმევინებს:

თავისუფლებაც, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,  
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,  
შენ ხარ მშვიდობა და სიპართლე ამა ქვეყნისა,  
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამღე კაცთ ბუნებისა!  
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,  
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო;  
მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღსავეც, სრული,  
პირველ კაცთათვის უშენოდა არა-რა იყო!  
რა განიცადეს იმთ შენთა მადლთა უნებება,  
მსწრაფლ აღვიარეს, პოი ღმერთო, თაყვანებითა,  
მსწრაფლ მოგიპოვეს, ფასად მისცეს თვის უკვდავება  
და სამოთხეც სთმეს სრულის მისი ნეტარებითა.  
ეგრეთ ნაშოვნნი რად წაგვერთვა მესავთა შენთა?  
რალად ჰღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?  
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა  
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირისხილიანი?  
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომდენი,  
მაგრამ სისხლით-კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი.  
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,  
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?

ასეთი ღია ფერებით არის მოცემული გაგება თავისუფლების  
გაძნობისა, მისი საჭიროებისა, მისი მშვიდობიანი ბუნებისა.  
პოეტის შემეცნებაში თავისუფლება და „მშვიდობის ღვთაება“  
სინონიმებია, თუმცა სინამდვილეში მის „პირისხილიანობას“  
ვხედავთ. ამიტომაცაა, რომ ილია ჭავჭავაძე ასეთი გატაცებით  
ეძებს საქართველოს, ქართველი ხალხის არა მარტო ეკონომი-  
ურ და უფლებრივ თავისუფლებას, არამედ, ამ მიზნის მისაღწევად,  
ადამიანის ადამიანად ქცევისათვის, რათა დაჩაგრულმა თვითონ აი-  
წიოს, სხვა არ დასწიოს, — საქართველოს პოლიტიკურ თავი-  
სუფლებასაც.

პოლიტიკურად თავისუფალი მთლიანი საქართველო ილია  
ჭავჭავაძისათვის აუცილებელი პირობაა ქართველი ხალხის სპარტ-  
ლიანი მომავლის მისაღწევად. ამიტომაცაა, რომ ილია ჭავჭავაძე მთე-  
ლი თავისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის მანძილზე მტკიცედ  
ემსახურებოდა ამ იდეას. ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ცხოვრე-  
ბის მანძილზე შეიქმნა ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის  
ძლიერ წარმომადგენლად. მის გაღვივებას ჩვენს ხალხში ილია თა-  
ვის დიდ მოვალეობადა სთვლიდა. ფულწრფელია ილია, როცა  
წერს:

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,  
პოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება!

შენს ძარღვის ცემას მე უფრო ვუგადა სულგანაბული,  
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და ღლე ღამდება.  
დაუინებთა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება.  
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იბრძვის ჩემს გულში,  
და მე არ ვიცი, — მიხარია, რომ ეგრეთ შრება  
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

საქართველოს აწმყო თავისი დაკნინებული სინამდვილით ჭავ-  
ჭავაძეს, როგორც მოქალაქე-მწერალს, სანუგეშებელ და მისაბამ  
მაგალითს და მასალას არ აძლევდა. მაშინდელი ბიუროკრატიული  
ხელისუფლება ცენზურის საშუალებით თავისუფლების მთესავ  
აზრებს, იქნებოდა ეს პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიუ-  
რი ხასიათისა, შთასახვისთანავე სპობდა. საჭირო იყო მწერალს გა-  
მოენახა ე ზ ო პ ე ს კ ი ლ ო . ჩვენმა მწერლებმაც ასეთი გზა გამონა-  
ხეს, ამ ინადავზეა გავრცელებული მთელი XIX საუკუნის მან-  
ძილზე იგავ-არაკი, ალეგორია. ილია ჭავჭავაძე ერთი პირველთაგა-  
ნია ამ გზის გამონახვაში. მან ფართო მასებში ეროვნული გრძნო-  
ბის გაძლიერებისათვის ალეგორია და ალეგორიული გაგებით ჩვე-  
ნი ისტორიული წარსული გამოიყენა.

საქართველოს წარსული ჩვენი XIX საუკუნის მწერლებს და  
კერძოდ ილია ჭავჭავაძეს გამოუყენებელი აქვს, როგორც ხერხიანი  
ნიღაბი. წარსულის ანალებში ამოკითხული და შემდეგ ასახული  
ჩვენი ისტორია თანადროული ცხოვრების სინამდვილეს გვაჩვენებ-  
და, წარსულში გადატანილი უსამართლობა თანადროულისას  
უღრმავებდა და არსებულ წყობილებასთან შეურაცხებლობის  
თესლს ჩვენს მკითხველ საზოგადოებაში უხვადა თესავდა. რომ  
ილია ჭავჭავაძე საქართველოს წარსულის სურათის დახატვით მო-  
მავალს ხატავდა, ამას აუცილებლივ ამტკიცებს პოემა „ქ ა რ თ ვ-  
ლ ი ს დ ე დ ი ს“ შენიშვნა, სათაურს ფრჩხილებში რომ აქვს დარ-  
თული — „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“ და წინასიტყვაობის  
მაგიერ დართული — „ვუძღვნი პეტრე ნაკაშიძეს“. მოვიტანთ ამ  
ძღვნას სრულად:

აჰა, იმ დროთაგან ერთი სახე ამოღებული,  
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,  
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინებული,  
ღლესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ.

მყობადს ახვადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა  
და ეს ვიხილე — მომიტევე მე სითამამე...  
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა, —  
ამით მამართლე, მიილე და ნუ გამკიცხავ მე.

ამითაც არსებითად განსხვავდება ილია ჭავჭავაძე წინათაობის რომანტიკოსი მწერლებისაგან. მაშინ როდესაც გრ. ორბელიანი წარსულის, როგორც ასეთის, იდეალიზაციას იძლევა, ილია წარსულს იყენებს მომავლის სურათის გასაშლელად.

ილია ჭავჭავაძეს ეროვნული თავისუფლების საჭიროება და აუცილებლობა უკეთესი მომავლის მოპოვებისათვის მრავალწარმოებში აქვს განსახიერებული.

რეალისტი მწერალი ილია ჭავჭავაძე თავისუფალი და პოეტურად მთლიანი საქართველოს აღდგენის იდეამ, თავდადებულ მამულიშვილთა ასახვამ, — რომანტიკულ იდეალიზაციაში გადასტყორცნა, მის შემოქმედებას რომანტიკული ელფერი მისცა. ეს რომანტიკული ნაკადი ილიას შემოქმედებაში ნაწილობრივ შეიძლება ავხსნათ იმ დროისათვის ეროვნული საკითხის ხასიათით. ილია, მთელი არსებითა და შეგნებით ამ ბრძოლაში ჩაბმული, ვით რომანტიკოსი, წარსულის ლანდებს შორის გატაცებით დასცურავს. საქართველოს წარსულიც ხომ საკმარის მასალას აძლევდა მას ამ მხრივ. ქართველი ხალხის ისტორია ხომ ქართველებისათვის ამ თავისუფლების ძალით დაკარგვისა და ბრძოლით, დიდის მსხვერპლით მოპოვების ისტორიაა. და ამიტომ ილიაც სურათებს ჩვენი წარსულიდან იღებს.

ეროვნული გრძნობის სიმტკიცეს, მისთვის ბრძოლას და თავდადებას ილია ჭავჭავაძე უფრო ხალხის გულში ანთებს და ხალხის გულიდანვე ამოკრებს ხოლმე. ამაშია თავისებურება ილიას სტილისა, შედარებით „მამებთან“ (მაგალითად, გრ. ორბელიანთან).

ბოემა „ქართველის დედაში“ მოხუცებული, ლოგინში მწოლიარე მომაკვდავი დედა იგვიგება რომ ხალხი აღელდა, თავისუფლების მოპოვებისათვის იბრძვის. დაუძლურებულს, მომაკვდავს მოხუცსაცუცი ეს ხმა სიამოვნებით ააღლეკებს და, თუმცა მომაკვდავის ხმით, მაგრამ უსაზღვრო ბედნიერების განცდით ათქმევენებს:

თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი,  
მაგრამ, ჰე ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი,  
და აქამომდე არ მოკვებე ჩემი ცხოვრება:  
ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება.  
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,  
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ფიქრობს, —  
და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება!

ილიას სწამს, რომ „დიდია ხალხი, როს ეს ფიქრი წინ წაუძლევება“. იმდენად დიდია, რომ უმაღლესი დაყენებული საკითხი: სამშობლოს თუ შვილის სიყვარულს მიეცეს უპირატესობა? — მხოლოდ

ერთსა და ისიც გადაჭრილს, კატეგორიულ პასუხს იძლევა თვით მოუძღვრებელი, შვილის ომში წასვლით უბატრონოდ დარჩენილი მომაკვდავი დედა, რომელსაც მიწის მიმყრელიც-კი აღარ რჩება, — სიყვარულს მამულისადმი.

მამულისადმი სიყვარული, ილიას გაგებით, ეს ყველაფრის შემძლებელი და ყოველივე მსხვერპლის გამწირავ-შემწირავი გრძნობაა. მამულისადმი სიყვარული ყოველსავე გრძნობას, დედის შვილისადმი სიყვარულსაც-კი უკან აყენებს, ჰნთქავს, აჭრობს, ყოველ შემთხვევაში, მამულისადმი სიყვარულის გაბრწყინებული ლამპრის წინაშე აბუნდებს და მომაკვდავ დედას აი რას ათქმევინებს:

ის დღეა დღეს, რომ მამულს ვუძღვნა ძის სიყვარული...

ან ძეს შეეწირო საყვარელი დიდი მამული!

ამ ორის გრძნობის ბრძოლა გულმა ვით გადინადოს.

ძის სიყვარული, თუ მამულის, — რომელი დასთმოს?...

ეჰა, ამ დღისთვის გავიზარდე, მამულო, შვილი,

სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიყვილი...

ილია ჭავჭავაძის შეხედულებითა და განცდით, უძღვრ დედა-კაცსაც-კი ასე აფოლადებს, ალომკაცებს მამულის სიყვარული.

ეროვნული გრძნობის ასეთი გამახვილება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში გამოწვეული იყო იმდროინდელ ფართო საზოგადოებაში ეროვნული შეგნების დაკნინებით, უკეთეს შემთხვევაში, ინდიფერენტიზმით. ეს გარემოება უფრო მაღალ წოდებას დაეტყო. ჩვენი თავადაზნაურობის ნაწილი მეფის ბიუროკრატიული ზელისუფლების ხელში ქართველი ხალხის გადაგვარების ერთგვარი-იარაღადაც-კი გადააქცა. ამიტომ ილია ჭავჭავაძემ (აგრეთვე სხვა თერგდალეულმა მწერლებმა) ეს გრძნობა უკიდურესობამდე გააღრმავა და ამ გრძნობის მატარებელი გმირებიც წარმტაცი სახით დაგვიხატა, რათა მეტი შთაბეჭდილება და გავლენა მოეხდინა მკითხველზე. რამდენადაც მეტი იყო დენაციონალიზმის გატარების სურვილი ქართველ საზოგადოებაში ზევიდან, იმდენად ძლიერი და გამახვილებული იყო ეროვნული გრძნობის ასახვის სურვილი ილიასა და სხვა თერგდალეულ მწერლებში.

ამიტომ ილია ჭავჭავაძის დედა მტკიცეა შვალის ომში გაგზავნის საკითხში, თუმცა კარგად ესმის და ხედავს თავის გარემოებას, იცის, რომ „იგია მისი სიცოცხლე და სიხარული, იმითი უდგა უძღვრს ტანში უძღვრი სული“. როდესაც განკითხვის დღე დადგება, იგი დიდი ტკივილებით, მაგრამ მტკიცედ ამბობს:

ჩემის სიბერის მისაყრდომად ისლა მშთინა. —

მაგრამ, მამულო, წაიხვანე, დღეს ის შენია-ო.



დედა ცდილობს თავი შეიკავოს, თუნდაც ამას მისი სრული განადგურებაც-კი მოჰყვეს, ოღონდ-კი შევიღს ხელი არ შეუშალოს მამულისადმი ვალის მოხდაში. იკრებს ძალას, რომ შეიღოს არ შეაკრთოს თავისი უნუგეშო მდგომარეობით, ამხნევებს მას, ცდილობს უკანასკნელი ძალა დაიჭიმოს, სანამ შევიღს ბრძოლის ველზე გაისტუმრებდეს. მომაკვდავს, „სულისა და ხორცის“ გაყრის ასეთ საშინელ მომენტში, ომში შევიღის სასიკვდილოდ გაგზავნის წამში, მაინც უნდა დაინახოს „ქვეყნის მხსნელნი“, რომ დაიტკბოს მით უკანასკნელი დღენი თვისნი. დედა შევიღს სცილდება, იტანჯება, სიკვდილს ებრძვის და სიკვდილის უამს მაინც შევიღს ამხნევებს და მტკიცედ ეუბნება:

მე ვწუხვარ მარტო მასზედ, რომე ჩემს სიბერესა  
სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შევიღი,  
მე ვწუხვარ მასზედ, რომე ჩემ მამულს ამ ნეტარ დღესა  
მხოლოდ-ღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი...

თავისუფლებისადმი მისწრაფება ადამიანში იმდენად ძლიერია, თავისუფლება ყოველი ნორმალური ადამიანისათვის და ხალხისათვის იმდენად საჭიროა, იმდენად მიმზიდველი და სანატრელია, რომ ამ დედებერსაც-კი ყველაფერს და ყველას ავიწყებს, მომაკვდავი დედა შევიღს ომში იატუმბრებს და მხოლოდ ერთს სწუხს:

ვია, რომ ჩემი სიცოცხლისა მზე მაშინ ჩადის,  
როცა ამოდის ჩემის ქვეყნის მზეი დიადი!  
ვია, რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიქადის,  
როს ჩემის ხალხის დიდებისა სჩანს განთიადი!

ასეთივე მძლავრი, მამულისადმი ყველაფრის გამწირავი სიყვარული ანთია პოემა „დიმიტრი თავდადებულის“ მოქმედი პირების გულში. ილია ჭავჭავაძეს ამ პოემაში აქვს შეთანხმებული და მორიგებული მთლიანი საქართველო ყველა სოციალური ფენებით ეროვნული საკითხის გარშემო. ილიას შეხედულებით ხომ სწორედ ეს ეროვნული გრძნობა აძლევს ყოველ მოქალაქეს ძალას, უნარს, შესაძლებლობას ვაჟაკობის გამორჩენისას — ამ პოემაში ყოველი ფენა, დაწყებული დაუძღვრებულნი, მოხუცი ბრმა მეფანდურით და მეფით გათავებული, ყველა ამ გრძნობით გალომკაცებულია. განა მამულისადმი სიყვარულით გაბრწყინებულა შარავანდელით არ არის მოკლე მოხუცი, რომელიც ავადმყოფი, ცახცახით მიდის ქედმოსახრელად გამზადებულ მეფესთან, ურჩევს თავისუფლება დაიცვას ბრძოლით, წაიყვანოს მისი შვილებიც საბრძოლველად, აჩვენოს მტერს, თუ „რა ლომებს ზრდის ქართლის

ბუდე“, „უომოდ ნუ დავმარცხდებით და, თუ ვერ ვძლევთ, დავიხოცნეთ სახელითა და დიდებით?“... ასეთივეა მეფანდურე, რომელიც თავის ფანდურზე მწარედ აკენესებს სამშობლოს განსაცდელში ყოფნით გამოწვეულ ტკივილებს და შემდეგ გრძნობებს აღვივებს „შვილებში“ — ახალგაზრდობაში:

ტბილსა ძუძუს დედა შვილსა  
იშ იმედით აწოვებდა,  
რომ სიცოცხლით ან სიკვდილით  
ის მამულს ასახელებდა!

. . . . .  
მამულისთვის ვის ახსოვდა  
განსაცდელი განსაცდელში!  
ტრფობა გვქონდა გულში აბჯრად  
და სატევრად—ხმალი ხელში.

ასეთივეა, თუ გნებავთ, თვით მეფე დიმიტრიც, რომელიც ხალხთან ერთად სწყვეტს ხალხისავე ბედს და თვითონ მსხვერპლად ეწირება, ოღონდ ქვეყანა გადარჩეს დარბევას.

ილია ჭავჭავაძე რომ ამ ეროვნული გრძნობის საფუძვლებს მართლა მდაბიო ხალხის გულში ეძებს და პოულობს, ამის მჭევრმეტყველური საბუთია „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი“. უკვე ამ ნაწარმოებში მკაფიოდაა მოცემული ილიას ეროვნული გრძნობა, რომელიც მის შემოქმედებას (და საერთოდ თერგდალეულები-სას) საფუძვლად დაედო. ეს ეროვნული გრძნობა ილიამ მოხვევის პირით გაგვაგებინა. „ადრიდა, — ეუბნება მოხვევე ავტორს, — ავად თუ კარვად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“.

პოეტი, აწმყოთი უკმაყოფილო, წარსულში ეძებს ეროვნული გრძნობის საფუძველს და სახეს. და ამას მოხვევს აი როგორ გადააშლევინებს: „ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთურთს დავეყუდნით, ერთურთს ვინვეწებდნით. ადრიდა? ქვრივ-ობოლთ ვიფარევიდით... ერთურთ ლად მტერთან ჩავეფარვიდნით... დაცემულს ვიურვებდნით, ატირდომილს ვიხოიშნიდით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავე-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარობაი, ანგარი გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდნის... წარხდა ქართველთა სახელი. ქართველთა წესთ-წყობაი... რაია აწინა ჩვენი დარჩენა: ჭამად-სმად სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ. რილად დარჩების ბეჩავი მახევე“.

და სწორედ ამ მოხვევის პირით ილია ცდილობს განმარტოს,

რომ ძველად ხევში, „ერობაში“ არა მარტო სოციალური ურთიერთობა იყო უფრო საღი და სამართლიანი; არამედ პოლიტიკური მმართველობის ფორმებიც, იმ დროს, თუმცა მარტივი, მაგრამ ხალხის სურვილისა და ინტერესების შესაბამისი იყო.

თანამგზავრი მოხვევე ილიას აცნობს ხევის ძველ ცხოვრებას. მოხვევე სამების მონასტერს დაანახვებს ილიას და ეტყვის, რომ იქ ძველად იყო „განძთა საფარი, ერთა საბჭო“. ილიას კითხვაზე: „საბჭო რაღა არის?“ — მოხვევე ხევის ძველი ცხოვრების პოლიტიკურ სახეს ასე გადაუშლის: „საბჭო? აქაიდ არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭოდის. რაიც მძიმა საქმე ხევი ავარდის, მუნ იბჭობდნეს... როდეს ასტყდის ერობაჩი დიდ-დევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი ერობას იქაიდ გამართვან, აირჩივან ბჭედა ბრძენ ბერკაცნი, პეიტრობით სახელდებულნი, დასხმიან მათ იმ სენაკჩი საბჭობად, რაიც მერე სამების სახელით დვთისაგან მათხოვნილ მადლით იგნ ბჭენი სთქმიან, გადასჭრიდიან, აჩვიან შეშლიან, არვიან გადავლიან“.

ძველი წყობილების, „ერობის“ ასეთი იდეალიზაცია ილია ჭავჭავაძეში, უდავოდ, ნაწილობრივ მაინც გამოწვეულია რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების, ხალხოსნების მსოფლმხედველობისა და კერძოდ მათი „თემური წყობილების“ გატაცების გავლენით.

ეროვნული საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მეტად მწვავედაა წამოყენებული. მართალია, ამ გრძნობას ილია ჭავჭავაძე პრაქტიკული საქმიანობის დროს ეროვნულ უკიდურესობამდე მიჰყავდა ხოლმე, განსაკუთრებით, როცა ის „შელახლის დაპყველის როლში გამოდიოდა, მაგრამ შემოქმედებაში ეს გრძნობა მას ვიწრო გაგებით არ ეხატებოდა. როგორც „საქართველოს მოამბის“ ერთ-ერთი თანამშრომელი ს. ჩიტორელიც ამბობს: „სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამოძინარეობდეს კაცობრიობის სიყვარულიდან“—ო, ეს საკითხი ასევე ეხატება ილია ჭავჭავაძესაც, როგორც კრიტიკა-პუბლიცისტიკაში, მაგალითად, „საქართველოს მოამბეზედ“, ისე მხატვრულ შემოქმედებაში, მაგალითად, „აჩრდილში“, სადაც იშლება მომავალი სახე საქართველოსი. პოეტი შემდეგი სიტყვებით მიმართავს მომავლის შემქმნელ შრომის შეილს:

სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,  
არც ვის ემონვი და არც იმონებ.

ასეთივე ფართო ხასიათი აქვს ილიას მიმართვას დედისადმი ლექსში „ქართველის დედას“:

აქ არის, დედავ, შენი მაღალი  
დანიშნულება და საღმთო ვალი.  
აღზარდე შეილი, მიეც ქალა სულს,  
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,  
შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,  
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —  
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს  
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...

აი ასეთი ხასიათისა იყო ეროვნული გრძნობა, რაც საფუძვლად დაედო თერგდალეულების მიერ გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტს, რომლის მტკიცე დამცველად ილია ჭავჭავაძე თავისი ხანგრძლივი შემოქმედებისა და მოღვაწეობის მანძილზე დარჩა. ასე ზღვრეტდა ილია ჭავჭავაძე ეროვნულ საკითხს, აქეთკენ იყო მიმართული მისი ფიქრი და გონება, აქეთკენვე უძახოდა ის დიდის გატაცებით თავის მკითხველსაც.

#### 4

ზევით, როდესაც თერგდალეულებზე ვლაპარაკობდით და შემდეგ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას რომ ვარკვევდით, აღვნიშნეთ, რომ თერგდალეულები, კერძოდ ილია ჭავჭავაძე თავადაზნაურობის იმ ფენას ეკუთვნოდა, რომელმაც იგრძნო ახალი ცხოვრების მძლავრი მოწოლა, ძველი წყობილების დარღვევის აუცილებლობა და ხსნა დაინახა ახალ პროგრესულ კულტურასთან შეგუებასა და შეზრდაში. ძველი ცხოვრება უნდა გარდაიქმნას, ახალი ცხოვრების მოთხოვნილებათა თანახმად, ის უნდა წავიდეს ახალი, პროგრესული, დემოკრატიული გზით; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დაღუპვა და განადგურება აუცილებელია. ძველი თაობის, ძველი წყობის ბუნება და არსი ახალი ცხოვრებისათვის მიუღებელია.

ილია ჭავჭავაძე, გატაცებული მთლიანი საქართველოს განმტკიცების იდეით, ლურჯილით შეაერთოს დაქუცმაცებული საქართველო, შექმნას პოლიტიკურად ძლიერი ეროვნული ორგანიზმი, როგორც დასაყრდენი მისი განვითარებისა და წინმსვლელობისა, ცდილობს როგორც ტერიტორიალური კუთხეების გაერთიანებას, ისე ქართველი ხალხის სხვადასხვა ფენების გათიშვას-კი არა, არამედ შეგუებას, შეერთებას, მორიგებას. „დიდი მოვალეობა პრესისა, — წერს ილია ჭავჭავაძე, — მისი ღვაწლი, გლეხისა და თავადაზნაურობის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მი-

სევა კი არ არის, შუა კაცობაა, შუა-ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა, მოსარიგებლის მორიგებაა, შესარიგებლის შერიგებაა იმასდა მიხედვით, ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი, ან ერობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე. ამას ითხოვს ადამიანობა, კაცური კაცობა და ერთობ იგი ჭეშპარიტი სიყვარული ადამიანისა, რომელიც, როგორც მზე, ყველას ერთად ანათებს, ყველას ერთად ათბობს და ყველას გამოუკლებლივ აწვდის ძალას ცხოველმყოფლობისას, სიცოცხლის დაბადებისას, სიცოცხლის ზრდისას<sup>6</sup>. ამაშია ილია ჭავჭავაძის სოციოლოგიურა მსოფლმხედველობის თავისებურება, ამაშივეა მისი სისუსტეც.

ახალი საქართველო, ილიას ღრმა რწმენითა და შეგნებით, უნდა აშენდეს პოლიტიკურად თავისუფალი საქართველოს ფარგლებში. თავისუფალი ადამიანი და თავისუფალი შრომა აუცილებელია ხალხის თავისუფლებისათვის, მისი ცხოვრების მოწესრიგებისათვის, წინ წაწევისათვის:

შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,  
მძარცველების ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,  
ხოლო რღვეულა მისი ბოროტი  
და დასამსჯრევად გმხადებულა.  
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვიროი  
ძღვეამოსილის ამ საუკუნის,  
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი  
ნაგ ახსნისათვის მედგარა იბრძვის.

აი ეს შრომაა ის ძირითადი ძარღვი, რომელზედაც უნდა დატრიალდეს ახალი ცხოვრების მშენებლობა და წინმსვლელობა. ამისათვის-კი, ილია ჭავჭავაძის (როგორც სხვა თერგდალეულების) შეხედულებით, უპირველესად საქირო იყო ხალხი განთავისუფლებულიყო იმ საშინელი მონობის უღლისაგან, რომელსაც ბატონყმობა ერქვა. ბატონყმობა ხალხის, მთელი ერის შემოქმედების ნიქს ადუნებდა, ახრჩობდა, ანადგურებდა, ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობის მოპოვების პროცესს აბრკოლებდა, ამასთან, ხალხის, მასის — გლეხობის ეკონომიური ცხოვრება უნდა მოწესრიგდეს, „გლეხი უნდა დაბინავდეს“.

აი სწორედ ამით აიხსნება, რომ ილია ჭავჭავაძემ, თუმცა ეროვნული განთავისუფლების პრინციპი გამოაცხადა მთავარ პრინციპად, მაგრამ უპირველესად, როგორც აუცილებელი საშუალება ამ მიზნის მისაღწევად, წინააღმდეგობის გაწევა დაისახა ბატონყმობის მიმართ, როგორც ისეთი ინსტიტუტისა, რომელიც მებატონეს

აძლევდა სრულს უფლებას ყმის პიროვნებაზე, შრომაზე და დოვ-  
ლათზე. ამიტომ ილია ჭავჭავაძემ სასტიკი, მოურიდებელი ბრძოლა  
გამოაცხადა და აწარმოვა კიდევ ბატონყმობის წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძემ ბატონყმობის ასახვას მონადრომა უმეტესი  
ძალა და ნაწილი თავისი. შემოქმედებისა მეორე პერიოდის მანძილ-  
ზე. მისი საუკეთესო საზოგადოებრივი ხასიათის ნაწარმოებნი ამ  
ხანაში დაიწერა. ესენი, რამდენადაც ავტორს პირობებმა ნება  
მისცა, გამოტანილი იქნენ ფართო საზოგადოებაში სწორედ „სა-  
ქართველოს მოამბის“ საშუალებით.

თავდაპირველად, 1858—1859 წწ. შემთხვევით და უზაროდ  
კი არ იკვანძებოდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სამი ნაწარმოე-  
ბი „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“,  
„გლახის ნამბობი“ და „კაცია-ადამიანი?“ მოთხ-  
რობა „კაკო“-ში, მაგრამ ეს ცოცხალი მხატვრობა ჩვენი ცხოვრე-  
ბისა, განსაკუთრებით მრავალფეროვნება ამ მოვლენით გამოწვეუ-  
ლი ტკივილებისა, ერთმა ტილომ ვერ დაიჭია. შემდეგში სამს, თა-  
ვისთავად, დამოუკიდებელ ნაწარმოებად ჩამოყალიბდა. მათი  
თანდათანობით, ქრონოლოგიური დასრულება შესაძლებელია სწო-  
რი გასაღები იყოს ილიას მიერ ბატონყმობის საკითხის გაგებაში.  
„რამდენიმე სურათმა“ საბოლოო სახე მიიღო 1860 წლის 11 დე-  
კემბერს, „გლახის ნამბობმა“ 1862 წ. დამლევს, „კაცია-ადა-  
მიანი?“ საბოლოო რედაქცია 1863 წელს ეკუთვნის. ეს სამი  
ნაწარმოები ილიას შემოქმედებაში ერთგვარი ტრილოგიაა  
ავტორის მიერ ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობის მოწესრი-  
გების ტკივილების გარშემო გაშლილი.

ამიტომ ჩვენც ბატონყმობის წინააღმდეგ ილიას ბრძოლის  
დახასიათება „რამდენიმე სურათით“ უნდა დავიწყოთ.

პოემის გმირად ავტორს ორი გლეხკაცი — „ყაჩაღი“ ჰყავს  
გამოყვანილი. მათი ყაჩაღად გავარდნა იძულებითია. პოემაში აშ-  
კარად და მკვეთრადაა გაშლილი ის მიზეზები, რომლებიც იძულე-  
ბულს ხდიდა გლეხს, მთელი თავისი არსებით ოჯახსა და მიწას მიკ-  
რულს, დაეტოვებინა ყველაფერი და ყაჩაღად გავარდნილიყო.  
გლეხის ყაჩაღად გავარდნა გამოწვეული იყო ბატონის უსამართ-  
ლო მოპყრობით, უადამიანო ძალმომრეობით ყმაზე, გლეხის სრუ-  
ლი უუფლებო მდგომარეობით, რაც, როგორც მშვენივრად გვიხა-  
ტავს ილია „ჩრდილში“, გლეხს ბატონის მონად, ჩვეულებ-  
რივ მოსახმარ საგნად ჰხდიდა.

ბატონყმური ძალმომრეობით გამხეცებული ბატონის უდიე-  
რობამ და შეურაცხყოფამ მოთმინებიდან გამოსულ კაცოსაცა და  
ზაქროსაც გადააწყვეტინა შური ეძიათ, გაეწყვიტათ კავშირი ცხოვ-

რებასთან, ტყისათვის თავი შეეფარებინათ ერთგული მებობრე-  
ბით — მარდი ცხენით, უმტყუნო თოფითა და ზმლით.

თუმცა ასეთი ცხოვრება ძუნწია, სავსე ნაკლებულობით, ში-  
შით, მარტობით,

მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება, —  
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი-ო,

ჭრული კმაყოფილებითა და „მშვიდი“ ცხოვრების დაკარგვის დაუ-  
ჩანებლივ ეუბნება მხედარს კაკო.

გლეხისთვის, ყმისთვის თუ რამდენად წარმტაცი, მიმზიდვე-  
ლია ასეთი, თუნდაც ძუნწი თავისუფლების მოპოვება, მშვენივრად  
ჩანს პოემის შემდეგი ძლიერი ადგილიდან. მხედარი ზაქრო, ცხოვ-  
რების უკულმართობას გამოქცეული, მიეშურება კუდი ვორის  
შთისაკენ. მას იქ თავისი მოძმე „ყაჩალი კაკო“ ეგულება. ალაზნის  
კალაში ის შეჭვდება მეურმეს. მეურმე ასწავლია კუდიგორის  
გზას. თანაც გააფრთხილებს მხედარს, რომ იქ ცხოვრობს ყაჩალი  
კაკო. და აქ მეურმე უფრთხილდება არა მხედარს, არამედ შეიძლე-  
ბა უფრო კაკოს. მხედარი გლეხს უპასუხებს, რომ ის სწორედ მას-  
თან მიდის და, რა ფაიგებს კუდიგორის გზას, სიამოვნებით სწრა-  
ფად იქით გაქუსლავს. პოეტი მეურმე გლეხის გულს, ამ შეხვედ-  
რის გამო აღვსებულს ნაღველით, შურიტა და ნეტარებით, დიდი  
ოსტატის ხელოვნებით მეტად ამაღელვებლად და მგრძნობიარედ  
გადაგვიშლის:

თითქოს შეჰნატრდა იმას მეურმე,  
„ახ, ნეტავი შენ“ — წაიდუღუნა  
და გაიქნია რა თავი მერმე,  
შურით ხარს შოლტი გაუტყლამუნა  
და მერე ისევ უფრო მწუხარედ  
თვისა სიმღერა დააღუნა.

ღიახ, დიდია შეწუხებულ, შეურაცხყოფილ, გაწბილებულ გლეხ-  
კაცობაში თავისუფლების მოპოვების სურვილი! ბევრის გულს  
მწარედ აკენესებს და მწარედ ახურებს მისი მოპოვების იმედი თუ-  
ფინდ დიდი მსხვერპლის გაწირვითაც. მაგრამ ძნელია კავშირის  
დაწყება ცხოვრებასთან, შეზრდილ და შესისხლხორცებულ, თუნ-  
დაც ისეთს გაჭირვებულ, ძალღუმადურ ცხოვრებასთან, რომელ-  
შიც მას უხდება ყოფნა. არამც თუ ყველას, არამედ ცოტას, ძალიან  
ცოტას, შეიძლება ითქვას მხოლოდ რჩეულს შესწევს ძალა, ნების-  
ყოფა, გამბედაობა უსამართლობას გაექცეს და არჩიოს:

უსახლკარობა, შიში, შიმშილი,  
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,  
კურდღელსავითა ფხიზელი ძილი  
და იარაღი დღედამ ხელში.

ასეთი ძლიერი დუდილი და ნდომა ხვედრია მხოლოდ გამო-  
ნაკლისებისა, მხოლოდ რჩეულთა, რომელნიც იქმნებიან, იკირები-  
ან, გვირისტით იკერებიან ხალხის ცხოვრების დუდილში და პირ-  
ვარამში, რომელთაც დედის რძის მაგიერ, ხალხის ნაღველი ასაზრ-  
დოვებდა, დედის ნანინას მაგიერ, ხალხის კვნესა ზრდიდა. ეს  
რჩეულნი ხალხის მასების ცხოვრების მორევში, როგორც იდეალი,  
ცხოვრობდნენ. მათი სახე, შარავანდელით მოცული, გლეხკაცს  
ბავშვობიდანვე „ღვიძლ დედასავით ეთვისებოდა“. მათი წამებუ-  
ლი, მაგრამ მასთან ერთად ვაჟკაცური ცხოვრების მოგონება  
გლეხკაცობას გულს ბავშვობიდანვე „ბევრს რასმე ჩასძახოდა, ხან  
მოაღზენდა, ხან აღონებდა“. მეტად საინტერესოა პოემა „რამდენ-  
იმე სურათის“ ადგილი — „მაშინ თორმეტი წლისა ფიყავი, როცა  
ბატონმა სახლს მომამორა“... იქ, სახლს მოტაცებული სოფლის პა-  
ტარა გლეხის ბიჭების ცხოვრებასა და გართობაში, ბუნების წიაღში,  
ბატონის სახლს მოშორებით, ტყეში, ბატონის ნახირის მოვლის  
დროს, ამ ბიჭების გულში იქსოვება და ითელება სიყვარული თავი-  
სუფლებებისადმი, დახმარება დაჩაგრულთადმი. დაჩაგრულთა სიყვა-  
რულისა და დახმარების ლეგენდარულ გმირად ხალხს ყაჩაღი  
არსენა გაუხდია<sup>7</sup>. აი რას ეუბნება მხედარი კაკოს:

მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა, —  
გლეხკაცი, როგორც ძმა, ჰყვარებია,  
გლეხკაცის ბედი, პირი და ლხენა  
შვილსავით კალთით უტარებია.  
აბა კაციცა ისა ყოფილა  
და ქულიც იმას, ძმავ, ჰხურებია!

არსენას ამბავი გლეხკაცს ბავშვობიდანვე ნათელ სხივსავით  
ჩაჰმუჭებია. მისი სახე და სახელი, ზღაპრად მოსული, მის ცხოვრე-  
ბას ავსებდა:

არსენა ჩენი, ის მხნე არსენა —  
ჩვენამდე, ძმაო, ზღაპრად მოსული,  
ის იყო ჩემი ჯარი და ლხენა.  
ის იყო ჩემი გული და სული, —

<sup>7</sup> ოფიციალურ ლიტერატურაში არსენას, როგორც მისაბაძი სახალხო გმი-  
რის, მებრძოლი სახის შეტანის მხრივ პირველობა ილ. ჭავჭავაძეს ეკუთვნის.



აღტაცებით მოუთხრობს მხედარი კაკოს. ასე განიცდის იმ რჩეულთ გლეხკაცი. ამიტომ, რომ კაკოს „გაცნობა არ არის ძნელი, — ეუბნება კაკოს ზაქრო, — შორს გავარდნილა შენი სახელი, ბავ-შემაც კი იცის, ვინ არის კაკო“.

რა არის მთავარი მიზეზი, რომ ეს რჩეული „ყაჩაღები“ — კაკო, არსენა ხალხის გულში სათაყვანებელ საგნად არიან მიჩნეულნი? მართო ის, რომ თავისუფალნი არიან და გაწყვიტეს ყოველივე კავშირი ბატონყმურ ძალუმაღურ ცხოვრებასთან? თუ ამ თავისუფლებას და მის მოპოვებას გარკვეული საზოგადოებრივი ნიადაგი და მნიშვნელობა აქვს? მართო თავისუფლება თავისუფლებისათვის რომ ყოფილიყო, ილიამ კარგად იცის, გლეხკაცობა ცხოვრების დუხჭირში გამოტარებული და ამიტომ უაღრესი პრაქტიკოსი, ამ „ყაჩაღებს“ ასეთი გატაცებით და სასოებით არ ეთაყვანებოდა. მისაბაძვე იდეალად მათ არ გაიხდიდა. მართლაც, აი რას ეუბნება კაკოს მხედარი, რომლის გულმა გული იცნო და მკლავმა მკლავი:

შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,  
ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქვებს:  
შენი ამბავი, ეხლა მართალი,  
ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს.  
შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,  
გამოპქევეხარ უსამართლობას,  
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი,  
ბარაქლა მაგ გულკეთილობას!...  
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,  
ეგ ვერაფერი სიყვარულია,  
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, —  
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!

ასეთი იყო არსენა. მისმა ასეთმა მოქმედებამ ანთო კაკოს გულაც და გაიყოლია. მას მისდევს ზაქრო და ამგვარად იქმნება გლეხკაცობაში მძლავრი, მამაცი რაზმი ამბოხებულთა.

აშკარად ვხედავთ, რა განუყრელი, მჭიდრო კავშირია ამ „ყაჩაღთა“ და ხალხს შორის, ხალხს ასაზრდოებენ არსენა, კაკო, რადგანაც ისინი ხალხის ბედის გამზიარებულნი არიან; სამაგიეროდ, იმათაც ძალასა და მიმზიდველობას აძლევს ხალხი; ამ ძალასვე მათ აძლევს ზრუნვა „ბედისაგან დაჩაგრული“ ხალხისათვის, რომლის ბედსაც ისინი „შვილსავით კალთით ატარებენ“.

აქ, თვით პოემის რიტმშიაც-კი, აშკარად ვგრძნობთ დაბალ-ჟენებში ამოვარდნილი თავისუფლების მოპოვების სურვილს; ვგრძნობთ, რომ ეს სიო შეუპოვარი ქართველის წინამორბედი. თავისუფლების მოპოვების სურვილი არღვევს ყოველდღიური ცხოვრების ბორკილს, მსხვერპლად იწირავს მრავალ სიცოცხლეს. ხალხს.

წარმტაც გმირად გადაუქცევია ის, ვინც კავშირი გაწყვიტა მონობის ცხოვრებასთან, ვინც „ყაჩაღად“ გავარდა.

ცხადია, ილია ჭავჭავაძემ მხატვრული ლიტერატურა მშვენიერ საბრძოლველ იარაღად გამოიყენა. ვგონებ, იშვიათი პუბლიცისტიური სტატია შესძლებდა იმ დროს ისე მკვეთრად, გაბედულად, მქუხარედ დაეთრგუნა ბატონყმობის უმსგავსობა, როგორც კაკოს, ზაქროს მხატვრულმა სახეებმა და, თითქოს შემთხვევით შემოტანილმა, ზალხის გულისა და მხურვალე მაჯისცემის ცოცხალმა ასახვამ არსენას სახით. ავტორმა შესძლო მძლავრად გადმოესროლა ბატონყმობის სქელი კედლით შემოზღუდულ ქვეყანაში ბატონყმობის სიმახინჯის უარყოფა. მან შესძლო მკვეთრად ღია ფერებში გადმოეცა გლეხკაცის უუფლებო, მონური დამოკიდებულება ბატონისაგან. ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების ისტორიული მნიშვნელობა გამოიხატა იმაშიც, რომ მან ბატონის ცხოვრების სანამდვილის მხატვრულად ასახვით გამოამყდა მთელი ძველი სისტემის ძირეული უვარგისობა, მიუღებლობა. გულნატკენი, შეურაცხყოფილი ზაქრო ასე ათავეებს თავის მძიმე ოდისეას, რომელიც ასე მუქ ფერებში იშლება მკითხველის წინ:

მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,  
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,  
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,  
რომ შამაჩემი შებრალებოდა.

რა გ ა ვ ა გ რ ძ ე ლ ო , თ ა ვ ა დ ი შ ვ ი ლ ი  
კ ა რ გ ი რ ა ა რ ი ს , ა ვ ი რ ა ი ყ ო ს ? !

ან:

გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი  
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში.

ასეთს ეპოქალურ ლოზუნგებს იღ. ჭავჭავაძე მოხერხებულად აქსოვს თავის შემოქმედებას, რათა მათი გატანა უფრო დამაჯერებლად შესძლოს ფართო მასებში. ეს სტილური ნიშანია 60-იანი წლების ლიტერატურისათვის როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც. იგი დამახასიათებელია იღ. ჭავჭავაძისათვისაც.

მაშასადამე, ის, რაც ვერ შესძლო „საქართველოს მოამბემ“, რომ პირდაპირ ეთქვა და აღენიშნა „თანამედროვეობის მტკიცენეული საკითხი“, სწორედ შესძლო, მართალია შეკვეცილად, ამავე „საქართველოს მოამბეში“ მხატვრულმა ლიტერატურამ. მხატვრული გმირების სულისკვეთების ასახვაში ძალუმად ჩართვა თანამედროვე ლოზუნგებისა არანაკლები (ფიქტირობთ, უფრო ძლიერიც) გამომხატურება იყო იმ მტკიცენეული საკითხისა (ბატონყმობისა), რომლის

პროპაგანდა და სამსახური ერთ-ერთი მთავარი საკითხია ილია ჭავჭავაძის, როგორც რადიკალურ-დემოკრატიული ფსიქო-იდეოლოგიის გამომხატველისა.

განა ასეთივე შეურიგებელი პროტესტი არ ისმის ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამბობში“, რომელიც ავტორმა დაამთავრა 1862 წელს<sup>8</sup> და რომლის ხუთი თავის დაბეჭდვა „საქართველოს მოამბემ“ მოახერხა? ამ ნაწარმოებში ტილო სურათისა უფრო გაფართოებულია, საკითხის გაღრმავება მკვეთრია. ბატონყმობის უარყოფითი, გამათხსირებელი გავლენა აქ მარტო გლეხკაცებზე კი არ არის ნაჩვენები, არამედ ბატონებზეც. მზამზარეული ცხოვრება სხვის (ყმის) ზურგზე და სხვისი (ყმის) ხარჯით ბატონის გონებას, ზნეობას, ნებისყოფას ადუნებდა, აჩლუნგებდა ან ცალმხრივად ავითარებდა — მხოლოდ უხეში ვნებიანობის მატარებელ ჭურჭლად აქცევდა. ვინ არის დათიკო, თუ არა გულქვა და გამხეცებული, შესაძლებელია ბუნებით არა ურიგო, ბატონი? სწორედ ბატონის ფსიქოლოგია, რომ მან ყველაფერი, რასაც-კი მოინდომებს, უნდა შეისრულოს, სწორედ ის სადავემისმეებელი, არაფრის შემზღუდავი აღზრდა, რომელიც ბატონიანთსა მეფობდა და რომელმაც ოჯახის კერას მოსწყვიტა ოჯახის მარჩენალი, კეთილი ბუნების გაბრო (და ათასი მისთანა სხვა) და ბატონიშვილს ქალაქში თანმხლებლად გამოატანა, — ლუპავდა ყმასაც და ბატონსაც, არც ერთს მათგანს ზეირს არ აყრიდა. ასეთი იყო შეხედულება ილია ჭავჭავაძისა ბატონყმობის ინსტიტუტზე.

განა ბატონყმობამ არ გადააქცია დათიკო აღვირახსნილ, დაბალი ვნების დაკმაყოფილების მაძიებელ მხეცად? განა ამ ბატონყმობამ არ შეასხა ავადმყოფი ხორცი მის „ცოდვილ სულს“? განა ბატონის ფსიქოლოგიამ არ მოსწყვიტა დათიკო ყოველსავე შინაარსიან ცხოვრებას და ვნებიანობის ქაოსში, გარყვნილი ცხოვრების მორევში, ბატონყმობით განმტკიცებულში არ ჩააყურყუმალავა? განა ბატონყმობამ არ განამტკიცა დათიკოში შეხედულება, რომ ქალი ჟინის მოსაკლავი უნდა იყოს? განა ბატონყმობამ არ მიიყვანა დათიკო იმ დაცემამდის, რომ გაბროსაც-კი გადაეღობა პატარა ბედნიერების მოპოვების გზაზე, გაბროს საცოლევ-კი არ დაინდო?

განა დათიკოს მიერ გაბრიელისადმი უსირცხვილოდ ნათქვამში: „ქალი ჩემია და მზითევსაც იმიტომ გპირდები, რომ ჭერ ჩემი

<sup>8</sup> „გლახის ნამბობის“ მეორე ნაწილზე, რომელიც „საქართველოს მოამბეში“ ვერ დაიბეჭდა (უნდა ვიფიქროთ ცენზურული პირობების გამო), ილ. ჭავჭავაძე განაგრძობდა მუშაობას და საბოლოოდ დაამთავრა 1872 წელს.

იქნება“, — მაჩვენებელი არ არის, რომ დათიკოს დაჰკარგვია ყოველივე ნიშანი ადამიანობისა?

დათიკოს სახით ილია ჭავჭავაძემ მოგვცა მეტად დამახასიათებელი ტიპი ჩვენი ცხოვრებისა. დათიკოთი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში იწყება მთელი გალერეა ამგვარი ტიპებისა. დათიკოს სოციალურ ბუდეში გამოჩეკილნი და გამოშუშებულნი არიან გ. წერეთლის — იერემია წარბა („პირველი ნაბიჯი“), ეგნ. ნინოშვილის ტარიელ მკლავაძე („ჩვენი ქვეყნის რაინდი“), იასონ უქმაძე, ლევან ძველისენიძე („ქრისტიანი“) და სხვანი, რომელნიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ასე თვითნებად დაპარპაშობდნენ და ვისაც და რასაც-კი შეხვდებოდნენ ამტუტებდნენ.

დათიკო გადაქცეულია ავთვისებიან ხორცმეტად, რომლის მოშორებაც აუტკალბელია ცხოვრების გასაწმენდად, ვინაიდან ის რყვნის და მურღლავს არა ერთისა და ორის, არამედ მრავლის ცხოვრებას. და ბატონი ამ ბილწ, წუწყ საქმეს ხშირად გლეხკაცებისავე ხელით აწყობს, იმათაც რყვნის და თავისი უმსგავსი საქციელის მოზიარედ ჰხდის. რა არის, თუ არა უფრო ბილწი და გათანსირებული ხორცმეტი, ბატონყმობის გავლენით იმავე ხალხის ზურგზე ამოხული ვლუხი გიტო — უმსგავსი თინიანობის საქმეში დათიკოს ხელის შეწყობი?

თუ ბატონყმობა გლეხკაცს ანადგურებს, არანაკლებ მავნებელია ის ბატონებისთვისაც. ბატონყმობა ბატონს უფრო აკარგვინებს ადამიანის სახეს. ვის შეეძლო ისეთი გულქვაობა გამოეჩინა საერთოდ ადამიანისადმი და განსაკუთრებით იმ ადამიანისადმი, რომელმაც მთელი თავისი ენერგია, სიყვარული, ერთგულება მას შეაღწია, თუ არა ბატონყმობით გათავხედებულს და ვნებიანობით გამძვინვარებულ პირუტყვს, როგორცაა დათიკო გაბრონადმი მოქცევაში?...

გაბრო ძიხვდა, რომ დათიკოს მისი საცოლის ხელში ჩაგდება უნდა. მიხვდა, რომ თინიანობა მისი ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივ აღვირახსნილია. მოინდომა მისი დაოკება. ძალა არ უნდა იხმაროს, თუმცა მისი მოკვლის სურვილმა გაბროს ფიქრში ელვასავით გაურბინა. მაგრამ თავი დაიჭირა. მას უნდა დათიკოში ადამიანური გრძნობა გააღვიძოს, გული მოეღბოს. ის თითქოს ჭერ კიდევ არ არის დაწმენილი, რომ „ბატონსა და ყმას შორის სიყვარულის ხიდი არ გაიდება“. არ უნდა გაბროს, და შესაძლებელია, მისთვის ძნელიც იყოს, ცხოვრებასთან კავშირი გაწყვიტოს. მას დათიკოსადმი გულში კიდევ რაღაც გრძნობა უღვივოს. და მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართება:

— დათიკო სად მიგყავარ, ნუ გამწირავ, შემებრალე შენი გაბრიელ!  
— წყალსაც წაუღიხნარ.  
— გოგოს მარტო მე უნდევარ, დათიკო ღმერთთან ცოლქმრობის პირობა მიგვიცია...

— ღმერთმა შენც შეგარცხინოს და შენი პირობაც.  
— დათიკო შენ შენს ბედის წერას აუტანხნარ.  
— დამეკარგე აქედან.  
— დათიკო!... არ გეცოდება მისი ღროული მამა? იმის მეტი შეილი არა ჰყავს. ნუ დასხავ თავზე ლაუს, ნუ დაეწყველები...

— აქედან გამეცალე-მეთქი, — შემომპყვივლა.  
— დათიკო! არ გებრალება ის ღვთის სული, უცოდველი გოგო? ნუ წაართმევ ნამუსს! მე მაჩუქე იმის თავი.  
— ვერე შენ გაჩუქებ.

— ზოგ და არა ეხლა?.. ფუ, მაგ ნამუსს და მაგ კაცობასა!... შევძახე ესა იმედობობებულმა, — უამბობს გაბრო ავტორს, — გავიძერ ხანჯალი და გადაედვი ბაჯი თუ არა დათიკოსკენ. მეორე ოთახიდან გამომოცივდნენ სამი დამალული ბიჭი, მომცივდნენ უკანიდან და გაჰაკავეს... თურმე ეს წინაღვე ვანებრაბა დათიკოს, წინაღვე ყველაფერი გაემზადებანა, რომ მე — სასამართლოში მივცემოდი და მით მე თავიღამ მოვეშორებინე. მე რა ვიცილი?

განა ამაზე მეტი ზნეობრივი დაცემა და გათახსირება შეიძლებება?!.. მდაბალი გრძნობა დათიკოში ყველაფერს კლავს. ის მხოლოდ გამძვინვარებული მხეცია.

რა მდგომარეობაშია გლეხი? შეუძლია მას ბრძოლა ასეთს ძალმომრეობასთან, თავის დაცვა, სამაგიეროს გადახდა? არა. ის უ უ ფ ლ ე ბ ო ა, უ ი ლ ა ჯ ო ა, მ ა რ თ ლ ა ტ, ს ა თ ა მ ა შ ო, დ რ ო ი ს გ ა ს ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი ნ ი ვ თ ი ა. და მით უფრო მძიმეა და აუტანელი მისი მდგომარეობა, რომ მას თვალი აქვს, ხედავს და არ უნდა დაინახოს; ყური აქვს, ესმის და არ უნდა გაიგონოს; გული აქვს, გრძნობს და არ უნდა იგრძნოს. „გლახის ნაამბობში“ უხვადაა ძლიერი ადგილები, რომელნიც ცულშემზარავი სინამდვილით გვისურათებენ ამ უილაჯო, შეურაცხყოფილ და შეურაცხყოფისათვის მსხვერპლად გამზადებულ გლეხკაცებს.

როცა დათიკო ეკლესიის გალავანში წირვის გათავების შემდეგ პეპიას დაურიდებელი ცინიზმით ეტყვის — „ქ ა ი ს ა პ რ ო შ ტ ა ვ ი ყ ო ფ ი ლ ა“ შენი ქალო, პეპია გამოურკვეველი ნაღველითა და შხამით შეზავებულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდება. პეპია კარგად იცნობს, რა დაუნდობელი „ცოდვის შეილია“ დათიკო: გრძნობს მოახლოვებულა უბედურების საფრთხეს, გრძნობს თავის უილაჯობას, იტანჯება, და ამ ტანჯვისა და უილაჯობის გამონახტვა დიდი ოსტატობითაა მოცემული. გამწარებული, უძლური მოახლოვებულ უბედურება-ძალმომრეობასთან საბრძოლველად, გაშმაგებული პეპია დაუზოგველად მუშტსლა იცემს გულში და

ღრმა მწუხარებით გამოყონილი ცრემლი თვალებს უწვავს. თამაროს დახანის მიზნით პეპიასთან მისული გაბრო აი როგორი სურათის მოწმე შეიქნა: „მე, — აგვიწერს გაბრო, — პეპიას შევასწარ თვალი სახლის დერეფანში, ის საწყალი დაჩოქილიყო და ლოცულობდა. მე ფეხაჯრეფით მივეპარე და აქედან ბოძს ავეტუხე. კარგა ხანს ბუტბუტებდა და გულში ხელს იცემდა ის უბედური მამა, ბოლოს თითქო თავი დაივიწყაო, გულამომჯდარმა მალლა ხმით შეჰბღავლა უფალსა: შენთვის მომიბარებია ჩემი უცოდველი თამარი... ნუ გაუმრუდებ გზას... ღმერთო, მთარველო მართლისო, ნუ დაჰანახებ ჩემი შვილის მიწასთან გააწორებას...“

„ადგა ის საცოდავი ადამიანის შვილი, ხელი თვალებზედ მონსო, თითქო ცრემლს იწმენდაო, ერთი კიდევ ჩაიკრა გულში ხელი და გაემართა სახლში შესასვლელად“.

როდესაც პეპიას გაბრო გაუმხელს, რომ ის მასთან საშველად, უბედურების თავიდან ასაცდენად მივიდა, სასტიკი სინამდვილის კარგად მცოდნე, ვაი-ვაგლახში გამოსული პეპა გაბროს უნდობლობით შეხვდება და ვით ეშვავს, ისე გაუბრბის. ნიჭიერადაა ასახული აქ უილაჯოს სასოწარკვეთილი იანცდანი. „აი ხომ ჰხედავ, — ეუბნება პეპია გაბროს, — უილაჯო ვარ; ჩემი პირდაპირი მორევენა დიალ ადვილია, მაგრამ მოტყუება კი ძნელია. დაახებე მაგ გატკბილებული ენით ცდუნებასა, ჩემს საცოდაობაში შევე ნუ შემარევინებ ხელს. მე რალა ცდუნება მინდა? თქვენ რალა ოატატობა გინდათ? მე რა შემძლიან თქვენთან; ქვეყანა თქვენსკენ არის. პირდაპირ მოდით და მოწამლული ისარი მკარით გულში. რალა ეშვაკობა გინდათ. რაც იგინდათ, ისა ჰქენით. მე ღმერთს მივანდე ჩემი გულის წყურვილი, იმას გაეციოთ პასუხი“.

ილ. ჭავჭავაძე ნიჭიერად, დამაჯერებლად ავლენს გაჭირვებული, ყოველი მხრიდან შევიწროებული, შეგინებული გლეხის ფსიქოლოგიას, რომლისთვისაც ცხოვრებაში საიმედო დასაყრდენი არავინ და არაფერია. ის მისტიკაში, რელიგიაშიდა პოულობს ნუგეშს. ღმერთიდაა მისი ნუგეშისმცემელი.

მაგრამ გაბროს სახის გამომეტყველებამ, მისმა გულწრფელმა ლაპარაკმა ამ უნდო ადამიანის გულშიც ნდობის შუქი შეიტანა. პეპია, ეკვითა და შინაგანი ბრძოლით მოქანცული, გაბროსაკენ მობრუნდება. უილაჯო, სასოწარკვეთილი პეპია ინსტინქტურად მძლავრად მოხვევს გაბროს ხელს და მკერდზე დაკვდომით, ქვითინით ეტყვის: „შენს ღმერთს აპატავე, შენს ღმერთს... — ბლალა საცოდავად პეპია, — ღმერთი ხომ მოწამეა, შენგან ავი არა გამიგია რა, მაგრამ რა ვქნა? რა ვქნა მე უბედურის დღისამ? შვილი

მელუბება, შვილი... ჩემი სისხლი, ჩემი ზორცი... ერთადერთი შვილი ცოცხალი მემარხება... გესმის ეს, ჩემო გაბრიელ. შვილს ვკარგავ, შვილს, მოდი და უნდო ნუ ვიქნები! შემინდე! შენს ღმერთს აპატივე, თუ გაწყინა რამე ბებერმა, ჭკვა დაკარგულმა უბედურმა მამამა. რა ვქნა? ჩემი შვილია, ჩემი გულ-ღვიძლი, ჩემო გაბრიელ! ვის მივენდო, ვის, ამ ცოდვით სავსე ადამიანის შვილებში?... მაგრამ მაცდუნებ, თუ არ მაცდუნებ, შენ-კი უნდა მოგენდო, აჰა ჩემი საბელი ყელისა... შენ იცი!.. გინდა, გველივით გამსრისე, გინდა — დაიხსენ წაწყმედისაგან... შენ იცი!.. და შენმა ყმაწვილ-კაცობის მადლიანობამ. მე არა შემძლიან-რა, ხო ჰხედავ!“

აი მძლავრი სურათი, ადამიანის გონებისა და გრძნობის ამფორიაქებელი, მტკივნეული სიმკვეთრით მაჩვენებელი გლუხკაცის, ადამიანის უფლებააყრილობისა, მისი ჩვეულებრივ სახმარებელ საგნად გადაქცევისა!

პეპიაზ წინათგრძნობა და სჯა, ცხოვრების ვაი-ვაგლახში გამობრძმედილი, გამართლდა. გაბრო ვერ იხსნას პეპიაზ და მის ქალს. გაბრო დათიკოს მიერ, რა წამსაც-კი ცხოვრების გზაზე მათი ინტერესი ერთიერთმანეთს შეეჯახა, არა მარტო ვერაგულად, უანგარიშოდაც-კი იგანიწირა. მუხთლად დაიპტრენ გაბროს, მას მიაყოლებენ პეპიაზსაც. დათიკოს საზიზღარი მოქმედებისათვის გზას გასწმენდნენ. ყველა ბატონის მომხრეა, ანგარებით აღჭურვილი, ყველა ბატონის მოჩილია, ყველა მისი დამქაშია: გლუხი გიტო, დიამბუგი, მოსამართლე, მახრისა თუ უბერნიის მმართველი, ციხის ზედამხედველიც-კი. ყველა იგანურჩეულად უპატრონო, უუფლებო, უდანაშაულო გლუხს ერევა. მას სტანჯავს, სჩაგრავს.

ავტორი საკმარისად მძლავრ და ღია ფერებში გადაშლის უდანაშაულოდ დასჯილ, უფლებააყრილ გლუხკაცთა განცდას. „ხალხთა საპყრობილეში გამეფებულს“.

„პირველ ხანებში რომ მომგონებია, — მოგვითხრობს გაბრო, — ჩემი უბრალოება და ის ტანჯვა, რომელსაც მე მიმცეს, დაეცემულვარ იატაკზე და უილაჯობით მიწა მიღრღნია, კბილით ზორცი მიგლეჯნია, თითებიდან ჩემი სისხლი მიწოვნია. ასეთი დღე დამდგომია, დრო ყოფილა, რომ უხამს გამოვავთნებდი, უხამს, ჩემის დაუხამულის გულიდამ და წვეთწვეთად ჩავაწვეთებდი ჩემს დამღუპველსა, რომ იქ შემხვედროდა. „ღმერთო მალალო, ნურა ქრისტიან კაცს, ნურა ადამიანს ნუ მიაყენებ იმ დღეს, რაც მე ხანდისხან იმ სატუსალოში დამდგომია... შენი ჯოჯოხეთი იმასთან სამოთხეა“...

„გლახის ნაამბობში“ ავტორი გვაძლევს ბატონყმობის ძალმომრეობის მძლავრსა და მკაცრს შეფასებას!

იკვეთრია და ნამდვილი, მასთან მეტად შემზარავი, ამ ქვეყანაში იგამეფებული გლეხკაცთა ტანჯვის ასახვა! შიშოვანად განცდა პეპიასიც, რომელსაც ასე ვერაფერად ააგლიჯეს მამისერთა ქალი, ნუგეში, იმედი. შიშოვანად, სულის შემზარავი გმინვა ქალათებს გაქცეული, მომაკვდავი პეპიასი უღრან ტყეში. „ვინ ნეტავი ეხლა ჩემი თამრო დამანახვა, — მოჰყვა ისევ პეპია, — ნეტავი კიდევ თვალით მაჩვენა, რომ სული ტკბილად დამელია. ჩემო კარგო შვილო, ჩემო მამისერთავ, თამრო! სადა ხარ ეხლა? რატომ შენს საცოდავს მამას თვალებს არ დაუხუჭავ? რა შევცოდებ საპაგიერო ღმერთს? მაგრამ, ღმერთო, კიდევ შენ გეხვეწები, უცოდველად ამყოფე ჩემი თბოლი გოგო!“...

ასეთი თავბრუდამხსმელია მათი მდგომარეობა. სამართლიანია და ავტორისათვისაც დამანახიათბელი, შემადარწუნებელი, სინამდვილის ხილვითა და აღწერით მოწოლილი ბოლმის გამოძახილი: „ღმერთო, რამდენი ამისთანა ცრემლი იღვრება ამ შენგან გაჩენილ დედამიწის ზურგზედ, მაგრამ სიღვინე აღამიანისა აქამდე არ ჩაირეცხაო“. ავტორის გაგებით, ასეთია ბატონყმობის უმსგავსობა, მიუღებლობა.

ილიას ყურადღებას არ გამოეპარა გლეხკაცის ფსიქიკაში ერთი მეტად საინტერესო გარემოება. ეს მოვლენა იყო შედეგი ხანგრძლივი, საუკუნეების განმავლობაში გლეხის მიერ ბატონყმობის მონობის უღლის ტარებისა. აი რატომაა, რომ, მიუხედავად ასეთი წარმოუდგენელი ტანჯვისა, დამცირებისა, ამ „უბედურთა“ გულში ჭერ კიდევ არა ჩანს „ბოროტება“, რომლის ჩანერგვასაც ხალხის გულში ილია მოითხოვდა დემონისაგან. ეს „ბოროტება“, მართლაც, საჭირო იყო ბატონყმობის, ხშირად საარაკო ძალმომრეობის ამოსაფხვრელად. „ბოროტება“ იყო საჭირო, რომ ამ „უბედურთა“ გულში მას შურისძიება იგაეღვიებინა. უამისოდ ადამიანური უფლების მოპოვება უფლებააყრილათთვის შეუძლებელი იყო. ტყუილად კი არ უკეთებს „აჩრდილში“ (პირველ ვარიანტში) ილია შენიშვნას სიტყვებს „დემონს“ და „ბოროტებას“ — „ეს ყველას ესმის, ვინც საქმეშია ჩახედული“.

ავტორთან ერთად გული ფტკივით, როდესაც იგესმით პეპიას სიტყვები დაღადებისა:

„გაბრიელ, — კიდევ რაღაცა იმედით ეუბნება სულთმობრძავი პეპია, — ქვეყანაც დამილოცნია, თუ იმის ზურგზედ ჩემი თამრო უცოდველად დადის... თუ არა და წაწყმდეს ეს ადრე და მალე



წასაწყმედი, მურტალის ადამიანის მურტალი სამყოფელი. გშვი-  
დობით, გაბრიელ! შვილისაგან დაუტირებელი ვკვდები... უზი-  
არებელი და მოუნანიებელი მივიღივარ სააქაოდან... მაგრამ მაინც  
კიდევ, თუ შენს ბატონს ჩემი გოგოს ნამუსი შეუნახავს, უთხარი,  
რომ, როცა პეპია კვდებოდა-თქო, შენა გლოცავდა-თქო“.

აი ასეთი იყო ის ტანჯვის გოლგოთა, რომელიც ბატონყმობამ  
ამართა და რომელზეც უხმოდ, გულში ბოდმარაკლული ცხრა მეა-  
თედი ხალხისა მწუხნარებით იქლატებოდა.

განა ადამიანის გულის შემადრწუნებელი, ანე მძლავრად გა-  
დაშლილი სურათი, ბატონყმობის ცხოვრებიდან ამოგლეჯილი, დი-  
დი და ძლიერი პროტესტი არ იყო იმ თანადროულობისა, რომელ-  
საც ბატონყმობა თავის გამრყენელ ბეჭედს ასვამდა?

განა ასეთივე მძლავრი, მოუკრიდებელი გაკიცხვა არ არის ბა-  
ტონყმობის უარყოფითი მხარეებისა ილია ჭავჭავაძის მესამე ნა-  
წარმოები — „კ ა ც ი ა - ა დ ა მ ი ა ნ ი ?“, რომელიც გამოქვეყნებუ-  
ლი იყო იმავე „საქართველოს მოამბე“-ში? განა ლუარსაბ თათ-  
ქარაძე და მისი კნენა დარეჯანი, რომელნიც მოძრავ  
ლემად გადაქცეულან, უძლიერესი დამობა არ არის ბა-  
ტონყმობისა, არა მარტო გლეხკაცის სასარგებლოდ, არამედ თვით  
ბატონებისაც? ბატონყმობა, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით და  
რწმენით, უნდა იმოძალოს, რომ კაცმა ადამიანის სახე შეინარჩუ-  
ნოს — აი ძახილი, რომელიც აღშფოთებულად, დასაბუთებულად  
ისმის „კაცია-ადამიანში?“.

ბატონყმობა თავისი ძალმომრეობის პრინციპებით გლეხკა-  
ცებს ანადგურებს, უაზრო მანქანად, თუთიყუშად, მრავალ შემ-  
თხვევაში გაშინაურებულ, ბატონის ერთგულ პირუტყვად გადააქ-  
ცევს, როგორც, მაგალითად, ლამაზისეულს. საკმარისია ფა-  
იცნოთ ლამაზისეულის გარეგანი აღწერა, რომ დარწმუნდეთ ზე-  
მთ გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში. „სასაცილო რამ იყო  
ეს ლამაზისეული, — აგვიწერს ილია ჭავჭავაძე, — ერთი რაღაც  
უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი, ტანზედ ეცვა ხამის ჩითის  
კაბა, ჭუჭყისაგან ვერ გაირჩეოდა რა ფერისა იყო; კალთები აქა-იქ  
გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცუცხლთან ახლო ვდებისაგან, ბო-  
ლოები სულ მომპალი და შემოფხრეწილი ჰქონდა; დახეულებიდან  
გამოჩანდა ერთი რაღაც დამპალი საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარ-  
შემო ჩამოკიდებული, მითომ და იუბკა... თავზედ ეკრა შიგადა-  
შიგ ამოფლეთილი ჩით-მერდინი, ქალბატონის გამონაცვალი. იმ  
ამოფლეთილებში მუთაქის მატყლისათვის დასორსვილი, შავი, —  
უკაცრავად არ ვიყო, — წილიანი და დაუვარცხნელი თმა მუჭა-  
მუჭად ამოშვეროდა. ქუსლებს — დახეთქილი, მუგუზალსავეთ შა-

ვი ფეხები. წენგოსაგან შეღებილი ხელები; ცხვირ-პირი ქვაბებო-საგან შურით მოთხუპნული. აი ამგვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი „ლამაზისეულს“ ეძახდა და რომელიც გულზელ-დაკრეფილი დაპყურებდა ბალან-გაცვივებულ ხალიჩას“.

აი ცოცხალი, მშვენიერი ნიშუმი იმისა, თუ რა მდგომარეობამდე მიდიოდა ყმა ბატონის ხელში! ქეშმარიტად ცხოველი! მხოლოდ შესაძლებელია, ხშირად, ჩვეულებრივ შინაურ ცხოველებთან შედარებით, უფრო დაჩაგრული და დაჩლუნგებული ინსტინქტით! აღარ არის საჭირო მოვიგონოთ ლამაზისეულის მდგომარეობა სხვადასხვა მომენტში: საწერ-კალმის მოტანის დროს, მკითხვის მოყვანის უამს და სხვა. სურათი ადამიანის გაპირუტყვევისა მეტად ძლიერი და, არამც თუ ბევრის, თითქმის ყველაფრის მთქმელია! საკმარისია მკითხველი გაეცნოს ლამაზისეულის მხოლოდ გარეგნულ აღწერას, რომ მან მკვეთრად იგრძნოს ბატონყმობის გამათხსირებელი გავლენა და შეურიგებელი ზიზლით აღიჭურვოს ამ ინსტიტუტისადმი. ამაშია ობიექტური ღირებულება ამ ნაწარმოებისა.

მართალია, ზოგიერთ გლახკაცს ბატონყმობის უღელს სავსებით ვერა სკობს. ბატონყმობის ძალმომრეობა, თვითნებობა და ვაჭირვებული ცხოვრება მათში ან აღძრავს სურვილს მათთან ბრძოლისას, შეურიგებლობისას, როგორც არიან — კ ა კ ო, ზ ა ქ რ ო, გ ა ბ რ ო, ან არა და მათში ეშმაკობას ავითარებს. განსაკუთრებით, როცა გლახს გრძნობა-გონებით დაჩლუნგებულ, დაძაბუნებულ ბატონთან აქვს საქმე, მაგ., და თ ო — თ. ლუარსაბ თათქარძის „ერთგული ყმა“. მაგრამ ესეც ფრთაჩამოყრილია, არაფრის გამკეთებელი არ არის. ახერხებს მხოლოდ ცბიერებით მოიგოს გული ბატონისა. რასაკვირველია, ესეც მონაა. მას არ ძალუძს გასწყვიტოს კავშირი მონურ ცხოვრებასთან.

მაგრამ ბატონყმობა, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით ბატონებისათვისაც არ არის ხელსაყრელი, მათთვისაც გამანადგურებელია. მართლაც, განა დიდი განსხვავებაა ლამაზისეულსა და მის ქალბატონ დარეჯანს შორის? არა. ისინი ორივე ერთისა და იმავე გარემოების შვილნი არიან. არც დარეჯანს უყვარს დიდი სისუფთავე. მისი ტანსაცმელი ვნებავთ, თუ სახლი მოწყობილობით მშვენივრად მოწმობს დიასახლისის „სიფაქიზეს“. მთელი პირველი თავი ამ მხრივ მართლაც რომ chef d'oeuvre-ია.

თავად ლუარსაბ თათქარძის სახლ-კარის აღწერა მშვენივრად ახასიათებს მის მფლობელთ — „ერთსულიან და ერთხორციან“ ცოლ-ქმარს. რა გნებავთ აღინიშნოს? ძველი, გვერდზედ

წამოდებული და წამოხრილი ჩალური; ძველი, ზოგან გადაქცეული ტყრუშული ღობე; დაღრეჯილად გადმოკადებული ქიშკარი; ძველი „ჩინოვნიკის გულსავით“ უწმინდური ეზო; ბნელი, დაუგველი საცხოვრებელი ოთახი, თუ იმისი აგურებ-ამოვარდნილი ფილაქანი; ფანჯრები, გაქონილი ქაღალდით გაკრული, თუ ფანჯრის გაქონილი ქაღალდი, ნემსით დაჩხვლეტილი, ზედ გამოყვანილი ხან გულთ, ხან ჭვართ და ხან ამის მაგვარი წარწერთაც — „დათვი ხეზე როგორ გავა, იავნანინაო“? ან იქნება „ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა“, რომელიც კნენას ადგომანე, ყოველ „მის ბრწყინვალეების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმანედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძლებოდა?“ თუ „კბილებ-ჩამტვრეული ბებერი დედაკაცის დაღებულ პირსავით ერთი ამოკვარტლული, მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი?“ ან იქნება, თითქოს პატრონთ თავის მოსაწონად, ოთახში აქა-იქ გაფანტული: „ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალა, სპილენძის საჩაეში მოხარული მყრალბალახა, ზურგიელის ნაჭერი“ და სხვა ამგვარი?

ერთი სიტყვით, სახლ-კარის მდგომარეობა უკვე მქვერმეტყველურად მოწმობდა „ერთსულიანი და ერთხორციანი“ ცოლ-ქმრის გონებრივ სიზანტეს, უინტერესობას, მათს გონებრივ და ზნეობრივ დაჩლუნგებას, მათს ხრწნას როგორც ხორციელად, ისე ფსიქიურადაც.

ამას თვით თავად ლუარსაბ თათქარიძისა და კნენა დარეჯანის ფარეგნული შეხედულებაც მოწმობს. „თავადი ლუარსაბ თათქარიძე, — აგვიწერს ავტორი, — გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი, — უკაცრავად არ ვაყო ამ სიტყვებზედ, — როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაზის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალეობას. თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქოს იმის სიმძიმეს მოარგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყები; სამკეცად ჩამოსული, ტრფიალების აღმგზნები ფაჟუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლებულნი თითქოს ყელში თოკი წაუჭერიათო. გაბერილი, მეტად განიერად გადმოგდებუ-ლი, დიად პატივსაცემი და პატივცემული ღიბი, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი სხვილი ფეხები — ესე ყოველი ერთად და თვითელი ცალკე, — გესლიანად დაასკვნის ავტორი, — გახლდათ თავად ლუარსაბის „ცით მონაბერის სულის“ ღირსეული სამკაული. ის „მონაბერი სული“ არსად ჩანდა, თითქოს ჩამკვდარაო, ისე გაშლილიყო მის ბრწყინვალეობის ქონშია“.

ასეთივე გახლდათ მისი კნენა დარეჯანიც: „იგივე სიმრგვა-

ლუ, იგივე სიმსუქნე, იგივე მოციხარე პარი და იგივე სისულელე“ — აგვიწერს ავტორი.

ამ „ერთსულიანი და ერთხორციანი“ ცოლ-ქმრის ცხოვრება მიმდინარეობს ასე: დღევანდელი დღე ჰგავს გუშინდელს და ხვალინდელი-კი დღევანდელს. „ბედნიერი ცოლ-ქმარი“ სწორედ ამით არიან კმაყოფილნი. ყოველი ახალი ცხოვრებაში მათ აღელვებს, აჯავრებს, აწუხებს, შიშის ზარსა სცემს. სწორედ ასეთმა მზაზხარეულმა ცხოვრებამ ყმის ხარჯზე და ზურგზე გამოიმუშავა ლუარსაბისა და კნეინა დარეჯანის ზნე-ჩვეულებანი, მთელი მათი ვიწროდ შემოფარგლული უძარღვო ცხოვრება და მსოფლმჩედველობა.

ლუარსაბის აზრით, კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც ყოველ-დღე უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო. „მისი ბრწყინვალეობა, — ჩვეულებრივი შხამიანი დაცინვით შენიშნავს ავტორი, — თავის თავზედ ჰხედავდა თავის ბრწყინვალე გონიერებით, რომ ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ასრულებს, ნამეტნავად ჯოვისა და ყმის პატრონი, ყ მ ის ა, რ ო მ ე ლ ს ა ც ჯ ო გ შ ი დ ი დ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ე ე ბ ა ა რ ა ა ქ ე ს“.

ლუარსაბს იმდენად აქვს შესისხლხორცეული ბატონყმობით შექმნილი მუქთახორა ცხოვრება, რომ მას ბატონყმობის გადავარდნა ვერც-კი წარმოუდგენია, თუმცა ახალი ცხოვრების ქროლვა, რომელიც მის აზმორებულ, ხავსმოკიდებულ, მიყუდროებულ ცხოვრებასაც ხვდება, მასშიც რაღაც შიშის ინსტინქტს აღვიძებს.

მეტად მხატვრულია ცოლ-ქმრის და მათი რძლის ელისაბედი ის შეხვედრა და ბაასი ბატონყმობის გადავარდნის შესახებ. იმშვენივრად, ძლიერი მხატვრული ფორმითაა გადმოცემული ბრძოლა მათში რწმენისა, რომ ბატონყმობის გადავარდნა შეუძლებელია, — ასეა დაწესებული იმთავითვე მამა-პაპითა და მისი შეცვლა შეუძლებელია: „მე ვიცი, თათქარიძისას წამართმევენ! — იჯავრებით ამბობს ლუარსაბი, — შარშან კი არ იძახდნენ, რომ საიქიოს ბატონები ყმებად შეიცვლებიანო, ყმები, — ბატონებადო. ვენაცვალე ღვთის მადლსა, იქაც ისე არიანო ბატონი ბატონად, ყმა ყმადო, როგორც აქა“. კნეინა დარეჯანიც ამასვე ადასტურებს, რომ „ბატონყმობა ღმერთს დაუწესებია და თვითონვე ღმერთი რად მოშლისო“? მიუხედავად ასეთი რწმენისა, ელისაბედის ცნობა, რომ „ხმა გავარდნილა, ყმები უნდა ჩამოგვეერთვასო“, ლუარსაბში რაღაც გამოურკვეველ შიშს იწვევს — იქნებ მართლა მოხდესო. „რა არ მომხდარა, — ცოტა დანალღლიანებული და ჩაფიქრებული ეუბნება ლუარსაბი დარეჯანს, — ცოდვილ ქვეყანა-

ზედ ჩვენის ცოდვებისაგან. ეგეც შეიძლება, რომ მოხდეს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივდებაო, ნათქვამია; ხმა გავაგდოთ, რომ ტყუილია“.

შეშინებული ლუარსაბი მაშინვე დაუძახებს თავის ერთგულ შინაყმას დათოს და დარბევებს აძლევს: „ტყუილია... ხელმწიფეს მოუწერია, — მოიტყუებს კიდევ ლუარსაბი, — რომ დავარჩობ, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო“... გაიმართება მშვენიერი დიალოგი. ავტორი ნაჰიერად გადაშლის დათოს ჰკვიან და ცბიერ ბუნებას, რომელსაც ლუარსაბი და მისი კნენა დარბევანი ვერც-კი მიხვდებიან.

ილიას დიალოგის განვითარება, როგორც ერთ-ერთი ხერხი პოეტური შემოქმედებისა, მქალაქად აქვს მომარჯვებული.

ლუარსაბი ყველაფერს, რასაც-კი ცვლილება შეაქვს ცხოვრებაში, მტრულად ექცევს. ამიტომ სწავლასაც ისე უყურებს, როგორც „ახლანდელ ჭირს“. ლუარსაბი, როცა-კი სწავლაზე მოუხდება ლაპარაკი, ყოველთვის წყენითა და გულისტკენით ამბობს ხოლმე: „რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შეპოილეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენ შეილებსა და!.. ჰამათ ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ. რა კაცები არიან?! წიგნი იციან?“ და ლუარსაბმა რომ დაამტკიცოს წიგნი, მართლა, ახალი დროების ჭირია და უმიმსოდ ცხოვრება არამცთუ შესაძლებელია, უკეთესიც არის, თავმოწონებით ასე ასაბუთებს: „მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარა ვარ, ქუდი არა მხურაფს, განა? ხორცი მე არ მაკლია და ფერი! წიგნი რა ვაქვაცის ხელობაა, — ეგ ხომ ქალის საქმეა! ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე... კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი“. აი ჩვეულებრივი, საუკუნეებით გამოჩუქავებული იდეალი ბატონისა.

ლუარსაბის ცხოვრება, „ქვეყნის უგემურ ყაყანს მოშორებული“, თითქოს, თვით ცხოვრების გარეშე მიმდინარეობდა. ის არა ფიქრობდა ცხოვრებაზედ და ცხოვრებაც არ ამჩნევდა მას. ლუარსაბი განაგრძობდა ცხოვრებას ინერციით. ცხოვრობდა ისე, როგორც მისი მამა-პაპა, სხვანაირი მას არც უნდოდა. ის სრული კმაყოფილი იყო. ღვთის მადლით ყველაფერი ბევრი ჰქონდა: დომი, ბოზბაში, ჩიხირთმა, ორაგული, მოთალი, ცხვრის კანჭი, ღვინო, კაი პური და კარგი გული! ამაზე მეტიც მას არაფერი უნდოდა! მისი საუკეთესო დროის გატარება იყო ცოლთან კამათი, თუ რომელი საქმელია უკეთესი. მათი ზრუნვა და ფიქრი მხოლოდ სმა-ჰამის გარშემო ტრიალებდა: დილიდანვე, რა წამს გააღვიძებ-

დნენ ბედნიერნი ცოლ-ქმარნი, მაშინვე ქამას დაიწყებდნენ და მთელი დღე მათი საზრუნავი და სალაპარაკო -- სადილი და ვახშამი იყო. იშვიათი ოსტატობითაა ნაჩვენები მათი ცხოველური ცხოვრება.

დღე მუდამ ისედაც მზამზარეულად დამზადებულ ქამაზე ზრუნვამ ლუარსაბი იმდენად დააძაბუნა, რომ მთელ დღეს ტახტზე გორაობაში ატარებდა. არამცთუ ჩაცმას, ადგომასაც-კი ვერ ახერხებდა. ასეთმა მდგომარეობამ, უზრუნველყოფამ და უფიქრუდარდელმა ცხოვრებამ დააჩლუნგა ლუარსაბის გონება. ბედნიერი ცოლ-ქმრის დროის გატარება, გარდა სმა-ქამაზე მასლაათისა და კამათისა, ჭორების მოსმენა და ჭორაობა იყო (VI თავი), მტრობა და შთლლი ძმისადმიც-კი, ცრუმორწმუნეობა, მკითხავის რჩევით ხატში სიარული და ცრუ თავმოყვარეობით გამოწვეული ტრამახი (მეთოხე თავი). აგრეთვე საინტერესოა, დამახასიათებელი ლუარსაბის ალერსიანი ზუმრობა და გართობა ცოლთან (ჭერში ბუზების თვლა და მრავალი საალერსო ეპითეტი). ყველაფერი ეს მეტად მკვეთრად ამჟღავნებს, რა მდგომარეობაში მიიყვანა ბატონები ბატონყმობა მუქთახორობამ. უზრუნველმა, მზამზარეულმა ცხოვრებამ ისინი პირუტყვად გადააქცია. ლუარსაბისა და კნენა დარეჯანის ბუნებაში არც ერთი ძარღვი ცოცხალი ინტერესით არა ტოკავდა.

„მოკვდა ლუარსაბიცა, — ათავებს ლუარსაბის ცხოვრების აღწერას ავტორი, — ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენთაგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმჯობევენ რამეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ. ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისათვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამსამი აღლი მიწა. ან კიდევ ქვაზედ წაიწერონ, რომ „ჩყ“... წლამდის თავადი ლუარსაბ თათქარიძე და მისი კნენა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილანო. სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ისინი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ“ — შეუბრალებლად ამბობს ილია.

ასეთია ბოლო ლუარსაბ თათქარიძისა და მისი ბრწყინვალე კნენაში. ამ გმირების ცხოვრება და ხედური ერთ-ერთი ნიმუშია ჩვენი თავდაზნაურობის ხედრისა და ცხოვრებისა. ბატონყმობამ, ბატონის ძალმომრეობამ, უმის უფლების აყრამ, მართალია, ყმა შებოროკა, მის ნიჟსა და შემოქმედებას არ მისცა გასაქანი, ხშირად უხმოდ ჩაპკლა მისი კაცური „გულის დუღილი“, მაგრამ ბატონის ცხოვრებაც სრულს გახრწნილებამდე, განადგურებამდე მიიყვანა.

„კაცია-ადამიანი?!“ მშვენიერი ეპოპეაა ძველი ცხოვრებისა. აქ ნაპოვნია და მოცემული მიზეზი ჩვენი ცხოვრების იმ მოდუნე-

ბისა, დაძაბუნებისა და დაქვეითებისა, რომელიც თერგდალელთ დაჰხვდათ რუსეთიდან დაბრუნებისას. ეს იყო ბატონყმობა, რომელიც „მამაპაპურ“ ძილში და წყვილიადში ახვევდა მთელ ჩვენს ცხოვრებას. მომავლის მაჩვენებელ ვარსკვლავს გამოურყვეველ ბურუსში ჰვარავდა და ცხოვრებას წინ არ უშვებდა.

ამ ტრილოგიის დედააზრი აშკარად ასეთია, — სანამდე ბატონყმობა არ მოიხსობა, ჩვენი ცხოვრების გადახალისება, ახალი საქართველოს შინაარსის ძიება შეუძლებელია. ამ დედააზრის განვითარება ილიას შემოქმედებაში სქემატურად ასეთია: „რამდენიმე სურათ“—ში დაპირისპირებაა ბატონისა და ყმისა (უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჰავადაც პოეტურ შემოქმედებაში ძალიან ხშირად მიმართავს ხოლმე დაპირისპირებას, კონტრასტებს, მაგალითად, ყმა-ბატონი, ღარიბი-მდიდარი, თურგი-მყინვარი, დღე-ღამე, სიცოცხლე-სიკვდილი და სხვა). იქნება ორი მოწინააღმდეგე ბანაკი: ყველაფრის შემაღებლისა, ძალმომრე და თვითნება ბატონებისა და უუფლებო, ასეთს ცხოვრებას შეურიგებელი, პროტესტანტი გლეხისა. „გლახის ნაამბობში“ სწავლაც ვერ აჯანსაღებს დათიკოს. ის, როგორც კი სრულუფლებიანი მებატონე ხდება, გამძვინვარებულ მხეცად იქცევა. გლეხიც განაგრძობს პრძოლას უფლებებისაოვის. „კაცია-ადამიანი!“ ილია გვაძლევს ბატონყმობის განვითარების უკანასკნელ შედეგს — მზამზარეულმა ცხოვრებამ დააჩლუნვა ბატონის გონებაც, წებისყოფა და ზნეობაც. გახრწნა როგორც ყმა (ლამაზისეული), ისე ბატონიც (თ. ლუარსაბ თათქარიძე).

ბუნებრივია, დამაჯერებლობა, დამახასიათებლობა თათქარიძისა და მთელი მისი ოჯახისა იმდენად ძლიერია, რომ მის ტიპიურობას ყოველი მკითხველი გრძნობს. ლუარსაბ თათქარიძე ნამდვილი განსახიერებაა ბატონყმობის ნიადაგზე დასნეულებული, დაკნინებული ჩვენი თავდაზნაურობის ცხოვრებისა და ფსიქოლოგიისა.

ლუარსაბ თათქარიძე რომ აქ შემკრებიანი ცნებაა, რომ ის ტიპია და რომ მას ასე უყურებს თვით ავტორიც, ამას თვით ნაწარმოებში აქა-იქ გაუანატურელი ლირიკული ადგილებიც მოწმობს. მაგალითად: „იმდენი დღეგრძელობა ამის დამწერს ჰქონდეს, რამდენი იმის ტოლი თავადიშვილი იმას (ე. ი. ლუარსაბ თათქარიძის. — მ. ზ.) ცხოვრებას შეჰნატროდა“ და სხვა.

ლუარსაბ თათქარიძე რომ ნამდვილი მხატვრული ტიპია, ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების მორევებიდან ამოღებულო, რომ „კაცია-ადამიანიში?“ „დახატული ცხოვრების ქაობი საერთოა არა მართო თათქარიძისათვის, არამედ მრავალთათვის, ამას ყველაზე უკეთესად და აშკარად გვიმოწმებს „კაცია-ადამიანიში?“ წინასიტყვაობა, რომელიც ოთხი რედაქციით არის შენახული. ვინაიდან

ეს წინასიტყვაობა მეტად საგულისხმოა დასრული საკითხის გასა-  
შუქებლად და ილიას შემოქმედებითი მეთოდის გასაგებად, მოვი-  
ტანთ მას. ამონაწერი რომ ძალიან დიდი არ გამოგვივიდეს, მოვი-  
ტანთ მხოლოდ ნაწყვეტს.

ილია ჭავჭავაძეს ჩვენი ცხოვრება ეჩვენება „ხავსმოკიდებულ  
გუბედ“, საიდანაც მეტად ცუდი ოხშივარი ამოდის: „კაცს სუ-  
ლი შეუგუბდებოდა, გონებას და გულს ობი მოეყიდებოდა, მუხლი,  
წინ წასადგომად მოცემული, დაეხუთებოდა... შიგ მეტად მრავალი  
ცხოველი მოჩანდა, — ამბობს ილია, — მათ შორის ორფეხა ცხო-  
ველებიც იყვნენ, რომელთაც ჩვენში ადამიანებს ეძახიან. ამ ადა-  
მიანებში ნაპდვილი კაცებიც მოჩანდნენ, მაგრამ ძალიან ცოტა...  
ამ წუძპეს ქართველები სამასხაროდ ცხოვრებდა ეძახიან, როგორც  
იმ ორფეხა ცხოველებს, რომელნიც შიგა ლპებიან, ადამიანებს“.  
ავტორი მიუახლოვდა ამ გუბეს, შიგაც შეეცურდა. სუნმა შეაწუხა.  
გამოსვლა დააპირა, მაგრამ მოინდომა იქიდან რამდენიმე ცხოველის  
გამოყვანა, რომ „სიაჩულს ტყუილად არ ჩაეგლო“, წაავლო ერთს  
მათგანს ყურზე ხელი და „ვაი-ვაის“ და „მეტყინას“ ძახილით, ნა-  
პირზე გამოათრია. მათ შორის იმართება საინტერესო დიალოგი:

— ვინა ხარ? — ვკითხე მე, — რა სულიერი ხარ?

— კაცი ვარ, ადამიანი, — მომიგო მან.

— რომ არ გეტყო, ღმერთი, რჯული, ვერ მიხვდებოდი. მართლა კაცი ხარ?

— თავი არ მაშეიკვდება. კაცი ვარ ადამის ტომისა, ყმისა და მამულის პატ-  
რონი; ლუარსაბ თათქარიძეს მეძახიან.

— თუ ადამიანი ხარ, მაგ დამპალ გუბეში ბაყაყებთან და კიაყელებთან რა  
გინდა?

— ბიჭოს!.. მაშ სად უნდა ვიყო?

— კაცებთან, თუ კაცი ხარ.

— კაცები არ არიან, რომ აქ არიან? ათასია ჩემისთანა და ათა-  
სზე მეტიც, ბრმა ყოფილხარ.

— ეგ ჭერ ვინ იცის, მე ვარ ბრმა, თუ შენა? შენ ერთი ეს მითხარი, მაგ  
გუბეში არიან ისინიცა?

— გუბეში რას ჰქვიან, გიყი ხომ არა ხარ? ჩვენი ცხოვრება ა-  
ე გა.

— ზედაც გეტყობა.

— როგორც სხვას ეტყობა ზედა, ისეც მე...

— მაშ კაი ნიმუში ხარ შენ, ჩემო ლუარსაბ, თუ ევრება...

— რაღა მე წამავლე, შე უღმერთოე, ხელი, ათასია სხვა ჩემისთანა.

— აბა უფრო მაგისტვის წაგავლე, რომ შენ ათასსა ჰგევეხარ და  
ათასი შენა. რაც ბევრს ემგვანებო, უფრო კარგია. აქეთ  
მობრძანდი, აქეთ, შენ ძვირფასი მარგალიტი ხარ.

წაგავლე ყურზედ ხელი და გამოვსწიე, ლუარსაბი უგემურად დაიღმობა...

9 დაყოფა ყველგან ჩვენია.



და დამიყვია. ლუარსაბის ყვირილზედ გამომიცივივდა გუბი დამადამიანების ხროვა და ერთი ხმით დამიქყვივლეს.

— შენ ეი, რა გინდა მაგისაგან? გაუშვი ეგ ჩვენი ძმაკაცია. არავინ არ შეასწროს თვალი, თორემ არ ვიცით, რასა ვიქთ.

— თქვენ რა, რომ ეს დაინახოს ვინმემ, აბა თქვენ რა?

— როგორ თუ ჩვენ რა? ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ზნე-საო. ყველამ იცის, დაბადების დღითივე ეგ ჩვენთან იყო დაბმულა, ვინც მაგას ნახავს — ვითომც ჩვენ უნახიეართ. ყველა იტყვის, ვისთან ეს ყოფილა — ყველა ამისთანა იქნებაო. ეს ჩვენ არ გვინდა, გესმის თუ არა?

— კარგად შემატყობინეთ, არ მესმის.

— აი ღმერთმა ნუ გაგაგონოს. როგორ არ გესმის? ჩვენი ლაფი მაგას აცხია და მაგისი ჩვენა, გაიგე?.. მაგის შერცხვენა ჩვენი შერცხვენაა. ამოდენა ხანია, ვიმალებით ამ ოხერს ადგილას და ჩვენი სახელისთვის გუბიდან თავი ვერ ამოგვიყვია, უცხომ არ დაგვინახოსო. დღეს-კი შენ მოსულხარ, ქვეყანას უნდა გაჩვენოთო...

— მეც ეგ მხიარია, რომ თქვენ ესა გვათ და თქვენ ამასა. იმისათვის მეძნელება ამისი თავის დანებება, რომ კაი ნიშუშია<sup>10</sup>.

ამ წინასიტყვაობაში, რომელსაც თითქოს მაშინდელი აყაყა-ნებული საზოგადოებისადმი პასუხის ხასიათიცა აქვს, მშვენივრად არის გადმოცემული ავტორის აზრი ლუარსაბ თათქარიძის პიროვნებისა და ცხოვრების ტიპიურობის შესახებ.

და განა „კაცია-ადამიანისთანა?“! მძლავრი სატირა და აღშფოთება ბევრი დაწერილა და გამოთქმულა ბატონყმობის სიმახინჯის წინააღმდეგ? განა ასე მკვეთრად ჩვენს მწერლობაში, პუბლიცისტური იქნებოდა, თუ მხატვრული, დანიელ ჭონქაძის გარდა, ვისმე უჩვენებია, რა საშინელებამდე მიიყვანა ბატონყმობამ „კაცია — ადამის ტომისა და მამულს პატრონი?“

ილია ჭავჭავაძემ „კაცია-ადამიანით“ და სხვა ნაწარმოებებით უარყო თავადაზნაურობა, ბატონყმობის ინსტიტუტით, როგორც ბატონის ყმის პიროვნებაზე, შრომასა და დოვლათზე უფლებით შენახული და გამოკვებილი წოდება. ილ. ჭავჭავაძის მისწრაფება იყო, რომ თავადაზნაურობას (მის ცალკეულ წევრებს) მოეხსნა ბატონყმობით შეკერილი ქურჭი, განთავისუფლებულიყო ბატონყმური ზნე-ჩვეულებისაგან, ახალი ცხოვრების მოთხოვნილების თანახმად თვითონაც დაეწყო შრომა, პირადი შრომით შეექმნა თავისი დოვლათა. ამით აიხსნება ეპიგრაფი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე უკეთებს „კაცია-ადამიანს?!“ „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“.

ილია ჭავჭავაძე ამ და სხვა ნაწარმოებებით მძლავრად უჩვენებდა ქართველ მკითხველს იმ ნაკლს, იმ უარყოფით მხარეს, რომლის მოუშორებლობა, მის სიკვდილს უღრიადა. ილიას სიცილიში (რომელიც ყველაზე მძლავრად და მოხდენილად „კაცია-ადამიანშია?“ მოცემული) შეუტრიგებელი აღშფოთება ისმის არსებული მდგომარეობისადმი. ასეთი გაგების გასაღებს თვით ილია ჭავჭავაძე გვაძლევს მოთხრობის ეპილოგში: „კიდევ პირში, როგორც მოყვარე, გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდულან. გინდა მიწყინე, გინდა არა. თუ იმათ დასციინებ, მითომ შენის თავისთვის დაგიციინია. თუ დასტირებ, ეგ კაი ნიშანია: სჩანს, სწუხხარ, რომ ამისთანანი ვართ, სჩანს შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა. ღვირთმა ქნას, რომ ეგ აგრე იყოს“.

შემდეგ ილია უფრო ააშკარავებს თავის განზრახვას და პირდაპირ, დაუფარავად მამართავს: „მე თუ შენ მოყვარხარ, მკითხველო, იმისათვის მოყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა დღესა თუ ხვალე შენში გაიდვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს რამდენადაც შეძლება აქვს, შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ ვაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვიან? ეს მოთხრობა სარკე იყოს, და მე, თუ გინდა, მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რავე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზე რომ ურიგობა ჰნახოს რავე, მოყვარე-კი მაშინვე საჩქეს მოგიტანს, რომ გაისწორო. და ხალხში არ შერცხვებ. მეც მოყვარესავით გექცევი, — საჩქე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ, თუ ეს საჩქე გაბზარული გამოდგება და შივა და შივ ლაქებთანია? რაცა მქონდა, ის მოგართვი. როგორც შემეძლო ისე დავგხმარე“. აქ, უდაოდ, მოცემულია ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის სწორი და მკვეთრი ასახვა. ილია ჭავჭავაძე ცდილობს გამოასწოროს, მკითხველს უჩვენოს ბატონყმობის ინსტიტუტის მავნებლობა, უჩვენოს ბატონყმობა როგორ ანადგურებს თვით პატონსაც, და არწმუნოს, რომ საჭიროა შრომა, საჭიროა მოქმედება. შრომა და ჰუმანური შეგნება სუყველას გააერთიანებს, მოარიგებს (ამ საკითხს კიდევ დაუვბრუნდებით ქვემოთ, როდესაც „ოთარაანთ ქვრივს“ შევხვებით). ასეთია ილიას დამოკიდებულება ბატონყმობის საკითხისადმი.

ბატონყმობის გადავარდნის შედეგ, ჩვენი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიურ პირობების გართულებამ, რასაც, როგორც ს. მე ს ხ ი ამბობს, — „თვალეზი და გონება, რომ არა ჰქონოდა მაშინდელ ქართველს, მარტო ყნოსვითაც-კი შეატყობდა, რომ რაღაც სხვა დრო და სხვა მოთხოვნილება გაჩნდა“<sup>11</sup>, — წარმოშვა. რასაკვირველია, თავის შთანასახში მუშა. ახალი ეკონომიური ფაქტორის (კაპიტალის) განვითარების ნიადაგზე, როდესაც ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზა და სხვა ახალი წამოწყებები გაიშალა, როდესაც დაიწყო, თუმცა ნელის, მაგრამ მტკიცე ტემპით, სოფლის პროლეტარიზაცია, მუშის, მშრომელის, შრომის საკითხი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეშიც მწვავედ წამოიჭრა. რეალისტ მწერალს უმის, გლეხის მდგომარეობის ასახვასთან ერთად მუშაც მთელი თავისებურებით უნდა დაენახა, მასზეც უნდა ალაპარაკებულიყო. ამის შესახებ ზევითაც ვილაპარაკეთ, როდესაც თერგდალეულთა მოღვაწეობის ზოგად ხასიათს ვეხებოდით<sup>12</sup>.

მართლაც, ჩვენს ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში პირველად თერგდალეულნი შეეხნენ მშრომელისა და მუშის საკითხსაც. ჯერ კიდევ 1860 წელს ილია ჭავჭავაძეს მოესმა მუშის „ნაღვლიან ხმაში“ მისი ცხოვრება, „ღლიურ ლუქმისათვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება“. ჩვენს ლიტერატურაში პირველად ილიას შემოქმედებაში გაისმა მუხთალი ბედით გამოტყუარცნილი მუშისადმი ძმური თანაგრძნობის ხმა ლექსში „მუშა“. აი როგორ მიმართავს ილია მუშას:

ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო, სიდან მოსულხარ?  
 ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,  
 მოშორებულხარ ჯალაბობას, შენნა სახლ-კარსა,  
 მინდორს, მამულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?  
 აჲ სად მოსულხარ?...

ასეთი მიმართვის შემდეგ ილია ჭავჭავაძე მუქ რეალურ ფერებში ასწერს ლუქმაპურისათვის მუშის ყოველდღიურ საშინელ ბრძოლას, მძიმე, აუტანელ პირობებში მის ცხოვრებას. მკითხველის წინაშე ცოცხლად, დამაჯერებლად დგას ორად მოზნეწილი, ოფლის ხვითქმომდინარე მუშა-გლეხი, რომელმაც ველარ გაუძლო

<sup>11</sup> „დროება“, 1876 წ., 4 მარტი.

<sup>12</sup> უფრო დაწვრილებით იხ. მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, თერგდალეულნი და ხალხისნები ქართულ ლიტერატურაში.

„ბატონის მათრახს“, მოსწყდა ოჯახს, სახლ-კარს და ყმობაში გაცვეთალი თავისი ჯანით აქ, ქალაქში დაუწყო ბრძოლა ცხოვრებას ხმელა ლუკმა პურის მოსაპოვებლად. ამ ბრძოლაში, პოეტის თქმით, მუშის მიმართ ცხოვრების განაჩენი ასეთია:

შენს სიცოცხლესა დაღამებ ესრეთ შრომაში,  
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა...  
მერე ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში  
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოთ მოსულსა სენსა.  
მარტო ეგდები და ლიბად გექნება ნაძვა  
და სახურავად, თუ-კი მოგყვა, რუსის ფარავა.  
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოჰკედები.  
ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს მღულარე ცრემლსა  
ვერ დაგტირებენ საბრალონი შენი შვილები,  
ამაოთ მათკენ სიკვდილის ჟამს გაიწვდი ხელსა.

ექვს გარუშეა, საგრძნობ ღია ფერებშია გადმოცემული მუშის მდგომარეობა, პოეტის თანაგრძნობით მიმართვაში მუშისადმი გარკვეულ სიბოძას ვგრძნობთ. მაგრამ ეს მაინც არ არის ის მუშა, რომელიც ირაზმებოდა ქარხანა-ფაბრიკებში. ეს მუშა სოფელს მოწყვეტილი ყმაგლეხია.

დაახლოებით ამავე დროს 1865 წ. ნიკო ნიკოლაძეც გერცენის ჟურნ. „Колоконт“-ში ასევე აგვიწერს მუშის წარმოშობასა და მდგომარეობას საქართველოში: „საქართველოში, — წერს ის, — მუშას მოქალაქეობის არავითარი უფლება არა აქვს. ის „მეშინანი“ და დროებით გათარხნებულიც-კი არ არის. ის გამოქცეული კაცია და სხვა არაფერი. ესენი არიან იმერელი, გურული, მეგრელი და რაჭველი გლეხები, რომლებიც არ ემორჩილებიან ბატონის ძალას და „ბატონის მათრახისათვის ვერ გაუძლიათ“, თბილისში მორბიან. პირიქით, ქართლელი და კახელი გლეხი (თბილისის გუბერნია) თავს აფარებენ იმერეთსა, გურიასა და სხვა. პოლიციის უთავბოლოება და ლტოლვილთა მთელი ჯგუფების დაქერის შეუძლებლობა ხელს უწყობს ბატონყმობის უბედურ მსხვერპლთ. მაგრამ, რაკი ბუნებაშიც არ არსებობს უეკლო ვარდი, ამიტომ ლტოლვილ გლეხთა თავისუფლებაც ყველაფრით მიმზიდველი ვერ არის. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მთელი გლეხობა მიეტანებოდა „ნებაყოფლობით დაქირავებულ ქალაქელი მუშების თავისუფალ ცხოვრებას“. ოჯახსა და სამშობლოზე ხელის აღება გლეხს მემამულის, ბატონისაგან ათავისუფლებს, მაგრამ სამაგიეროდ იგი ბურჟუაზიის და მოხელეების ხელქვეითი, ლუკმა-პურის ძებნის მონად ხდება. დიდი უმრავლესობა ქვასა, ქვიშასა და კირს ეზიდება შენობების ასაგებად, ტომრებსა და სხვა მძიმე ტვირთს — ვაჭრ-

ბისათვის, წყალსა და შემას — მცხოვრებთათვის და ასეთი ჯათისათვის იშვიათად იღებს ორ-სამ აბაზსა... ევროპელ მუშას ოჯახი ჰყავს. ეს ოჯახი მას, მართალია, მძიმე ტვირთად აწევება, მაგრამ ხშირად ჭირ-ვარამსაც უქარვებს. ცოლშვილი ქართველ მუშებსაც ჰყავთ, მაგრამ „ცხრა მთას იქით“. ცოლშვილის რჩენის სიმძიმე მას აწევება: თუ მუშის ოჯახი არ მოიხდის ბატონის ბეგარა-ვალდებულებას, ბატონი მის შვილებს მოჯალაბეებად წააყვანს; ოჯახური ცხოვრების კარგ მზარეს-კი ის მხოლოდ მოგონებით იცნობს. ლტოლვა და თავის განოსყიდვა ბატონისაგან, მალვა და თავის გამოსყიდვა პოლიციისაგან. ჯათა და თითქმის სრული უიმედობა, რომ როდისმე თავს დააღწევს დუნჭირ ცხოვრებას, იმის შეუძლებლობაც-კი, რომ ღვინის სმით დაივიწყოს თავი, როგორც ამას სხვა ქვეყნებში სჩადიან — ასეთია ქართველი პროლეტარიატის სკვებედი“<sup>13</sup>.

ნიკო ნიკოლაძის მოტანილი აზრიც უდავოდ ადასტურებს ჩვენს აზრს, რომ ილია ჭავჭავაძის დროს კიდევ არ იყო მუშის სახე, რომელიც ქარხანა-ფაბრიკებში გამობრძმედილი, გარკვეული მუშური ფსიქოიდეოლოგიით რევოლუციურ ბრძოლაში იქნებოდა ჩაბმული.

ილია ჭავჭავაძე ლექსში — „მუშა“ გამოდის პიროვნებისა და შრომის განთავისუფლების პრინციპიდან. ილიას მსოფლმხედველობაში, როგორც საერთოდ თერგდალეულთა მსოფლმხედველობაში, სხვადასხვა ვარიაციებით გადაიხლართა რადიკალური ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეები. ილიასათვის, ცხადია, მუშის საკითხი წამოჭრილია. მუშის საკითხის გაშლასა და გადაწყვეტას მის შემოქმედებაში ხშირად რადიკალურ-დემოკრატიული და გარკვეული თანაგრძნობის ხასიათი აქვს. მაგრამ ილიას „მუშაში“ არ მოჩანს ავტორის გარკვეული პოზიცია და შეხედულება. მუშის ისტორიული როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაში ილიასათვის გაურკვეველია. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას რომ ვეცნობით, ჩვენთვის აშკარა ხდება, რომ, როგორც „დროება“ — „კრებულის“ თანამშრომელთ, მასაც ფართო ბედნიერების მიმნიჭებელი მომავალი ეხატება. მაგრამ ის, როგორც სხვა თერგდალეულნი, ამ მომავლისაკენ მიდის არა რევოლუციურისა და კლასთა შორის ბრძოლის ვალრმავება-გამწვავების გზით, არამედ შეთანხმების, შეგნებისა. ეს მომავალი მისი კეთილი სურვილებით არის გამთბარი და დაფერადებული.

13 ნ. ნიკოლაძე, იენისის დღეები თბალისში, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 197.

„აჩრდილში“ პოეტი რადიკალურ აზრს გამოთქვამს. ის ებრძვის ძველ ქვეყანას, რომლის ბორკილებში იძარცვება და ილახება ტყვედქმნილი როგორც პიროვნება, ისე შრომა. პოეტსა სწამს, რომ ცხოვრების ძველი, ადამიანის შემლახველი, პირობები უნდა დაინგრეს. სწამს, რომ ძველის ნანგრევებზე აღმოცენდება ახალი ქვეყანა. ეს ახალი ქვეყანა იქნება „შრომის სუფევა“, თანასწორად ნიჭთა მფენელი, რომელიც დაარღვევს „ძველი ქვეყნის“ მძარცველობის და მჩაგვრელობის პრინციპებს და ქემშმარიტად განამტკიცებს „ძმობა-ერთობა-თავისუფლებას“:

შრომის სუფევა მოვა მაშინა  
ქემშმარიტების მის ძლიერებით  
და განმტკიცდება სოფელსა შინა  
კაცთმოყვარების სახიერებით.  
ყველასთვის იქნეს იგი სუფევა,  
თანასწორადა ნიჭთა მფენელი;  
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა,  
და ერთგან სძოდეს ცხვარი და მგელი.  
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებოიან  
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,  
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან  
კაცთმოყვარება და სათნობა.  
მაშინ, მაშვრალო, შენც ვანკაცდები,  
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიძოვებ,  
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლები,  
არც ვის ემონვი და არც იმონებ.

აქ ჩვენ ვხედავთ იმავე უწოდებრივო საზოგადოებრივი წყობილების იდეას, რომელიც შეეთანხმებას საერთო ცხოვრებაში „ცხვარსა და მგელსა“, სრულ გამარჯვებას მოუპოვებს მშრომელსა და შრომას. ეს იდეა იტაცებს ჩვენი 60-იანი წლების ინტელიგენციას, რომელიც გატაცებულია რადიკალურ-დემოკრატიული მისწრაფებით.

საინტერესოა აგრეთვე ის არაჩვეულებრივი გამოძახილი (რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრების იმ დროისა და იმ პირობებისათვის), რომელიც ჰპოვა 1871 წელს პარიზის აჯანყებამ ჩვენს ეურნალისტთაში „დროება“ — „კრებულსა“ და ლიტერატურაშიაც. როგორცა ჩანს, თავდავიწყებულსა და სამაგალითო ბრძოლას, რომელიც ძველი ქვეყნის დასამხობად აწარმოვა პარიზის კომუნამ, ჩვენი ინტელიგენციაც გაფაცვიცებით აღევნებდა თვალყურს და მის მიმართ დიდის სიმპათიებით იყო აღვსილი<sup>14</sup>.

<sup>14</sup> იხ. ლ. ებანოიძე — „პარიზის კომუნა და ქართველი საზოგადოება“, აგრეთვე — მის. ზანდუკელი, პარიზის კომუნის გამოძახილი ქართულ მწერლობაში, ა. პუშკინის სახ. პედ. ინსტ. შრომები, 1952 წ., № IX.

ილ. ჭავჭავაძე პარიზის კომუნისადმი თავის დამოკიდებულე-  
ბას დიდი მღელვარებით აღბეჭდავს ლექსში „1871 წელი 23 მაი-  
სი“, ფრჩხილებში იძლევა გაწმარტებას — ქვესათაურის სახით —  
(„კომუნის დაცემის დღე“)<sup>15</sup>. ეს ლექსი, ისიც დიდი ბრძოლის შემ-  
დეგ, დაიბეჭდა „პარიზის“ სათაურით. თავისი ნაზღვილი სათა-  
ურით ეს ლექსი მხოლოდ 1925 წელს დაიბეჭდა.

აღნიშნულ ლექსში ილ. ჭავჭავაძე მაღალ მთქმეობას აძლევს  
პარიზის აჯანყებულთა ღვაწლს როგორც არა მარტო საფრანგეთის,  
არამედ კაცობრიობის ცხოვრების მოწესრიგების დიად ცდას დი-  
დი მსხვერპლის გმირული განწირვით. მოვეუსმინოთ:

ტვირთშიმე და მამვრალთ მხსნელი

დიდი დროშა დაიშალა...

კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ

იგი დროშა დასცა დაბლა.

კვლავ ეწამა მოყვასთათვის

საოცარი იგი ერი,

კვლავ დაიდგა დიდ წამების

მან გვირგვინი მშვენიერა.

კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა

წინდა სისხლი წამებულის,

კვლავ დამარცხდა დიდი საქმე

ყოვლად მხსნელის სიყვარულის.

ილ. ჭავჭავაძე აღშფოთებულია რევოლუციის შავი, მჩაგრავი ძა-  
ლებით, რომელთაც მოინდომეს ამ დიდი მოძრაობის განადგურება  
და კიდევ ზემოებენ გამარჯვებას. მაგრამ პოეტი ღრმა რწმენითაა  
გამსჭვალული, რომ მტარვალეები ქვეყნის მხსნელი ამ წმინდა  
მცნების აღმოფხვრას ვერ შესძლებენ, მათ ის მხოლოდ შეათერ-  
ხეს, დროებით შეაჩერეს:

კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება

ქვეყნის ხსნად მოვლინებული...

კვლავ შეფერხდა ისტორია,

განახლების შესდგენ ძალნი,

და კვლავ დღესასწაულობენ

გამარჯვებულნი მტარვალნი.

ცხადია, აქ ილია ჭავჭავაძის სიმპათიები საქმარისად რადიკა-  
ლურია, სიმპათიები იქით იხრება, რაც მომავალ ცხოვრებაში  
„შრომის სუფევას“ დაამყარებს, შრომის შვილს მიანიჭებს მოქმე-

<sup>15</sup> არსებითად პარიზის კომუნის დაცემა დაიწყო 1871 წლის 23 მაისიდან.  
ფაქტიურად კი ის დაეცა 1871 წლ. 28 მაისს.

დებისა და შემოქმედების პოზიციას, რომელზედაც მაშვრალი „წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებს, განკაცდება, სხვას ძირს არ დასწევს, თვით ამალღდება, არც ვის ემონვის და არც იმონებს“. ილია პარიზის კომუნის აჯანყებასა და დამარცხებას, რასაკვირველია, აგრეთვე ეროვნული განთავისუფლების თვალსაზრისითაც უყურებდა და აფასებდა. ილია ჭავჭავაძეს სწამს, რომ საჭიროა ქვეყნის ძირფესვიანი შერყევა ცხოვრებაში არსებული უსამართლობის მოსასპობად. და ეროვნული ჩაგვრა, მწერლის შეხედულებით, ხომ ჩაგვრის ერთ-ერთი უსაძაგლესი ფორმაა. თანაგრძნობა ილიასი აჯანყებულთა, ე. ი. დაჩაგრულთა, დამონებულთა, უფლებწართმეულთა მხარეზეა. აქ ილ. ჭავჭავაძე გარკვეულად მქლავნდება როგორც რევოლუციონერ-დემოკრატი.

პარიზის კომუნის იდეების გამოძახილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მართო ამ ლექსით არ ამოიწურება. ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში 70-იან წლებში უფრო მწვავედ დადგა შრომისა და მშრომელის განთავისუფლების საკითხი. ვფიქრობთ, ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებშიც“ (ბოლო რედაქციაში), აშკარად ჩანს პარიზის კომუნის კვალი. ვფიქრობთ, რომ ქვემოაღნიშნული ადგილი „მგზავრის წერილებში“ პარიზის კომუნის გავლენითაა შეტანილი<sup>16</sup>.

რუსეთიდან დაბრუნებისას ილიამ სტეფანწმინდაში თავისი ქვეყნის სიო რომ იგრძნო, ფიქრებმა გაიტაცა. „მრავალნაირი ფიქრები თვალწინ წარმომიდგნენ, — გადმოგვეცემს თავის განცდას ილია, — მაგრამ ელვის უმაღლეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ისე რომ ჩემი გონების თვალი ერთ და იგივე საგანზე ერთ წუთსაც ვერ გვაჩერე — ერთი სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მიგდებულნი ფიქრები მალლა მოექცნენ, მალლა დალაგებულნი დაბლა და მერე აირივნენ ერთმანეთში. სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს მკითხველო! რევოლუცია იმისათვის არის გამოჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს, ღვინო ჭერ უნდა ადულდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმდება ხოლმე, ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ“.

მოყვანილი ნაწყვეტი მრავალმხრივია საგულისხმო. უპირველესად იმითი, რომ ილ. ჭავჭავაძეს რევოლუცია მიაჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალურ, ძირიან-ფესვიან მოძრაობაში მომყვან ძალად — „ძირს მილაგებულნი ფიქრები მალლა მოექცნენ“.

<sup>16</sup> „მგზავრის წერილები“, მართალია, ილ. ჭავჭავაძის 60-იანი წლების ჩანაფიქრია, როდესაც ის სამშობლოში ბრუნდებოდა, მაგრამ მისი საბოლოო რედაქცია ეკუთვნის 1871 წელს.



ნენ, მაღლა დალაგებულნი ძირსა და მერე აირავნენ ერთმანეთში“. აქ იგრძნობა ილიას სოციალური შეხედულების პოეტური განსახიერება: რევოლუციამ უნდა მოსპოს მაღალდაბლობა არსებულ სოციალურ ცხოვრებაში. შემდეგ ილია აფრთხილებს მკითხველს, რომ რევოლუცია საშინო მოვლენა კი არ არის, არამედ საშვიდობო, სასარგებლო და აუცილებელია — „რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, — შთაგონებით წერს ილია, — რომ მშვიდობიანობა მოაქვს“. ასეთი დადებითი, მისაღები შეხედულება მკითხველსათვის რომ ცხადყოს, შემდეგი გასაგები და დამარწმუნებელი შედარების საშუალებით ათვალსაჩინოებს ილია თავისი მტკიცების არსს: „ღვინო ჯერ უნდა აღუდღეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ“. ილიას მიერ რევოლუციის ასეთი დადებითი გამოხატვა — შეფასება მკითხველისათვისაც ცხადია, დამაჯერებელი და მისაღები ხდება.

ილ. ჭავჭავაძე ჩვენს ლიტერატურაში პირველია, რომელიც რევოლუციას დადებითად აფასებს, მისაღებად თვლის და აუცილებლადაც მიაჩნია ცხოვრების დასამშვიდებლად, დასაწმენდად, მოსაწესრიგებლად.

ასეთია ის აქტუალური საკითხები, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს თავისი შემოქმედების მეორე პერიოდში აღეწევდა. ასეთია პოეტის დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი. ასეთია მისი პოეტური ქმედობის სახეები ამ პერიოდში.

## 6

ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების მესამე პერიოდი შეიძლება დავიწყოთ დაახლოებით 1877—1879 წლიდან და 1890 წლამდე მოვიტანოთ. 90-იანი წლების შემდეგ ილია ჭავჭავაძე, როგორც მწერალი მხატვარი, შეიძლება ითქვას, არაფერს არა ქმნის.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ამ პერიოდის დაფასება-გაგებაში ჩვენს მწერლობაში სხვადასხვაობას ვამჩნევთ. ერთი ნაწილი ჩვენი ლიტერატორებისა ილია ჭავჭავაძის ამ პერიოდის შემოქმედებაში არავითარ ცვლილებას არ ხედავს, მეორე — პირიქით, წინაპერიოდთან შედარებით მასში თითქმის სრულ საწინააღმდეგო ხასიათს ამჩნევს<sup>17</sup>.

<sup>17</sup> როდესაც მწერლის შემოქმედებას და კერძოდ, ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას პერიოდებად ვყოფთ, ამით ჩვენ სრულიადაც არ ვგულისხმობთ, რომ მწერალი და მისი შემოქმედება სხვადასხვა პერიოდში, ძირით.

ჩვენი გაგებით, არც ერთი აღნიშნული შეხედულებათაგანი არ არის ობიექტურად სწორი და სავსებით მისაღები.

ილიას შემოქმედების ეს პერიოდი ჩვენ სხვაწარად გვეხატება. გავერკვეთ: მაგალითად, ივანე გომართელი ასე ახასიათებს ამ პერიოდს: „ილია ვერ დაეტია პოეზიისა და საერთოდ სიტყვა-კაზმული მწერლობის საზღვრებში, მისი ბუნება უფრო პრაქტიკული მოღვაწეობის ფართო ასპარეზს ითხოვდა... ასეთი ასპარეზი მან დაინახა სათავადაზნაურო ბანკში, რომლის გამგედაც პოეტი აირჩიეს... ილია არ უყურებს ბანკს, როგორც უბრალო საკრედიტო დაწესებულებას; ის იყო იმის თვალში ქართველი ერის „ლონგ ხსენისა“... ასეთი საქმის მეთაურობა არა თუ სასახელო და საპატიო იყო, დიდ შესაძლებლობასაც იძლეოდა მომავალში... პოეტი — ილიასათვის ბანკი საბედისწერო იყო: ბანკმა ჩაჰკლა ილიაში თავისუფალი და დამოუკიდებელი მგოსანი. რატომ? რა იყო ამის მიზეზი? ბანკი იყო დაარსებული წარჩინებული წოდების ფულით, წარჩინებული წოდებისაგან და მისი ბედიც ამ წოდებას ეყრატ ხელთ. ილია წინდახედული, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ადამიანი იყო და კარგად ესმოდა, თუ წინანდელ გზას ბრძოლისას განაგრძობდა, ადრე თუ გვიან ბანკს უნდა გამოთხოვებოდა. ილია შედგა კომპრომისის გზაზე და აქედან დაიწყო მეორე ხანა მისი მხატვრული შემოქმედებისა. ეს ხანა ღარიბია გზებით, ცეცხლითა და გაქანებითა... ეს ღარიბია პოეტური ქმნილებით“<sup>18</sup>.

ჩვენი გაგებით, ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ასეთი შეფასება მართებული არ არის. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ

---

თადად სხვადასხვა იყოს, სხვადასხვა მსოფლმხედველობის გამომხატველი და მატარებელი. ჩვენი შეხედულებით, მწერალი და კერძოდ, ილია ჭავჭავაძე წარმოადგენს ერთს მთლიანს პიროვნებას, გარკვეული მსოფლმხედველობის გამომჟღავნებელს მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე. ხშირად ხდება, რომ მწერალი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ერთნაირი სიმკვეთრითა და სიცხადით ვერ ამჟღავნებს თავის მსოფლმხედველობას დამახასიათებელი სპეციფიკურობით. ამას, რასაკვირველია, ობიექტური პირობები და მიზეზები განაპირობებს. ეს გარემოება მწერლის მოღვაწეობას და შემოქმედებას თავისებურ ელფერს აძლევს. მწერლის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშნები სხვადასხვა დროს რომ უფრო აღვილად და ზედმიწევნით შევისწავლოთ, გარკვეული დროის შესაბამისად დამახასიათებელი სტილის ნიშნების მიხედვით, ვახდენთ მისი შემოქმედების პერიოდებად დაყოფას. შემდეგში, მწერლის შემოქმედების პერიოდებად ანალიზის მიხედვით, უფრო მკვეთრად გამოვარკვევთ მისი მთლიანი შემოქმედების ძირეულ ხასიათსა და ბუნებას.

18 ივ. გომართელი, ილია ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება, „ახალი კავკასიონი“, 1925 წ., № 1—2. დაყოფა ჩვენი.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ჩვენი სხვა მრავალი მწერალი, აქამდე არ იყო დაფასებული და შესწავლილი. მისი ღირსეული დაფასება მხოლოდ ახლა დაიწყო. 1937 წელს გადახდილმა იუბილემ და საიუბილეო სამზადისმა იმტიცე საძირკველი ჩაუყარა ილიას სათანადო შესწავლას. აქედან დაიწყო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის მემკვიდრეობის ღირსეული დაფასება. მკვლევარიც აქედან შეგნებულად დაიწყებს მის შესწავლას. ჯერ კიდევ, მართალია, ძალიან ბევრია გასაკეთებელი; მუშაობა მხოლოდ დასაწყისშია. სანამ ყველა მასალა დიდის ყურადღებით არ იქნება შესწავლილი, მანამდე ილიას ყოველმხრივ ობიექტური შეფასებაც ძნელია.

ჩვენც ამჟამად არა გვაქვს პრეტენზია ილია ჭავჭავაძის ყოველმხრივი შეფასების მოცემისა. წინამდებარე ნარკვევში ჩვენ გვინდა ილია ჭავჭავაძე ხსენებულ პერიოდში განვიხილოთ, როგორც მგოსანი. საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ, რამდენად მართებულია ის შეხედულება, რომ „ბანკმა ილიაში ჩაკლა თავისუფალი და დამოუკიდებელი მგოსანი... რომ მისი ეს ხანა ღარიბია პოეტური გზნებით, ცეცხლითა და გაქანებით... ღარიბია პოეტური ქმნილებით“? თუ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ამ პერიოდში მხატვრულობისა და იდეურობის თვალსაზრისით ავიღებთ, არ შეიძლება ივ. გომართელს დავეთანხმოთ, რომ მასა შემოქმედება ამ პერიოდში „ღარიბია პოეტური გზნებით, ცეცხლითა და გაქანებით, ღარიბია პოეტური ქმნილებით“. უკვე ისეთ ნაწარმოებთა დასახელებაც კი, როგორც არის: „ს ა რ ჩ ო ბ ე ლ ა ზ ე დ“, „გ ა ნ დ ე გ ი ლ ი“ და „ო თ ა რ ა ა ნ თ ქ ვ რ ი ვ ი“, ყოველ ქართველ მკითხველს მჭევრმეტყველურად ეუბნება, რომ, ამ მხრივ, ივ. გომართელის აზრი სწორი არ უნდა იყოს. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ეს პერიოდი (მესამე — დაახლოებით 1877—1879 წლიდან) ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაში ბუნებრივი გაგრძელებაა მისი პოეტური შემოქმედებისა. შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძემ სწორედ ამ პერიოდში შექმნა თავისი უდიდესი მხატვრული ნაწარმოებნი „პოეტური გზნებით, ცეცხლითა და გაქანებით“. ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი-მხატვარი ამ პერიოდში უდავოდ იზრდება. ეს პერიოდი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მაღალი მხატვრული ქმედების პერიოდია.

მაგრამ მასთან ერთად ისიც კი უდავოა, რომ ამ პერიოდში ილიას შემოქმედებაში ხდება ერთგვარი გარდატეხა. ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძის მოქმედება და შემოქმედება შედარებით ბრძოლის ძველ სიღრმეებს ან ელემენტებს, გარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა,

რომელიც ილია ჭავჭავაძემ შეუწებლად აწარმოვა სიკვდილამდე. ილია ჭავჭავაძე ამ პერიოდში როგორც პუბლიცისტი, როგორც მოაზროვნე ზომიერ, თუმცა ღრმა შორსმჭვრეტელ პოზიციაზე დგება და რჩება რადიკალ დემოკრატად. ამ პერიოდში წერს ის თავის სოციოლოგიურ ტრაქტატს „ცხოვრება და კანონს“.

ჩვენი ფიქრით, ამ გარდატეხას უფრო ღრმა საზოგადოებრივი, ისტორიული და სუბიექტური საფუძვლები ჰქონდა, ვიდრე ის ახსნა, რომელსაც ივ. ჯომართელი იძლევა.

80-იანი წლები რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აქედან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისაც (ვინაიდან ჩვენი ცხოვრება ამ დროს უკვე მკიდროდ არის ჩათრეული რუსეთის ცხოვრებაში) მაჯისცემის მოღუწების, უფერული დღეების, მძიმე რეაქციის, საერთო საზოგადოებრივი ცხოვრების შეყენების პერიოდია. წინა პერიოდის (60—70-იანი წლების) აღფრთოვანებული მოღვაწეობა, ფართო რეფორმების გატარების სურვილი მძლავრი გაქანებით დაუჯახა რუსეთის ცხოვრების ფილისტერულ სანამდვილეს. რომელიც სალ კლდესავით დახვდა და ინტელიგენციის აღფრთოვანებული მოღვაწეობა ცხოვრებაში, ფართო მასშაბში არ გადაუშვა.

80-იან წლებს ჩვეულებრივ აი როგორ ახსნიათებენ: ნარიყი დამთავრდა და გამოჩნდა ტატეელი ქეიანი ნაპირი... მაინც და მაინც დიდი ნახტომი არ იყო წინადლით გაკეთებული, მაგრამ ისიც ჩვენთვის ძალიან გაბედული აღმოჩნდა. კაპიტალიზმი ნელა ვითარდებოდა. საზოგადოების სულიერი სტრუქტურის გარდაქმნას ახდენდა, რუსეთის რეფორმის წინა ხანის იდეებს და იდეალებს თანდათან აბათილებდა და გამოუყენებლად ქმნიდა. ნელა მიმდინარეობდა ცხოვრება: დლითილდე გრძელდებოდა ის ერთფეროვანი და მკჷმუნვარე. ქმნიდა იმ საშინელ მოწყენილობას, რომელიც როგორც სინოტივე, მთელს არსებას ელინთავდა... ძველი იდეები თავის დროს იჭამდა... თეთრი, უკეთესი იქნება ვაქვათ, რუბი ტერორი ცხოვრებისა გუშინდელი გატაცების გამო, თითქოს, შურს იძიებდა და სასტიკადაც. საუკეთესო კაცი ჩაიშარხა, ჩაფიქრდა, თავისში ჩაიყვტა. ის ჩუმიად და მოთმინებით ეძებდა აზრის ახალ ვზებს და მათი წინაგრძნობით ცხოვრობდა.

რუსეთის ინტელიგენციის აღფრთოვანება 80-იან წლებში მიწელდა. რეაქცია თანდათან გაძლიერდა. რევოლუციურ მოძრაობას ფრთა შეაკვეცა. ფრთაშეკვეცილი რუსი საზოგადოების ცხოვრების ნიჭიერი ამსახველია ა. ჩეხოვის შემოქმედება. რუსეთის საზოგადოების საგრძნობ ნაწილში გაბატონდა შეხედულება და რწმენა, რომ დიდი და ფართო რეფორმების განხორციელება შე-

უძლებელია. მაგრამ მუშაობის აუცილებლობასა და საჭიროებას კი მაინც ყველა აღიარებდა. საკითხი — როგორ გაძღეს განთავისუფლებული მშვიდობის გლეხი? მაინც თხოულობდა პასუხს და 80-იანი წლების უხანაობის დროს წამოიჭრა ქადაგება მცირე საქმეებისა. 80-იანი წლები რუსეთის ინტელიგენციის უმრავლესობაში საზოგადოებრივ ცხოვრებაში მცირე საქმეების პერიოდია. რუსი ინტელიგენციის ასეთი მისწრაფების მშვენიერი გამომხატველია ი. ტურგენევის რომანი „HOBSE“-ის გმირი სალომინი, როდესაც ის მარიანას მიმართავს: „აი, თქვენ დღეს რომელიმე ლუკერიას რამე სიკეთეს ასწავლით. ამის გაკეთება თქვენთვის დიხაბც ძნელია, ვინაიდან ლუკერიას ადვილად არ ესმის ეს და გაგირბით კიდევ თქვენ. ამასთან ერთად მას ჰგონია, რომ მას სრულიად არ ესაჭიროება ის, რაც თქვენ ვინდათ მას ასწავლით. ორი-სამი კვირის შემდეგ თქვენ სხვა ლუკერიას ასწავლით — ბავშვს გაუბნათ, ან ანბანს ასწავლით, ან ავადმყოფს წამალს მისცემთ... ჩემის ფიქრით, ქუჩყიანი ბავშვის თმის დავარცხნა მსხვერპლია და დიდი მსხვერპლიც, რომელსაც ბევრი ვერ შესძლებს“.

აი ასეთი მცირე, ვიწრო ხასიათის კულტურული მოღვაწეობა ახასიათებს 80-იანი წლების მოღვაწეთა უმრავლესობას რუსეთში, რაც შედეგია რუსეთის იპდროინდელი რეალური სინამდვილის მძიმე პირობებისა.

ასეთივე, უფრო მძიმე მდგომარეობაა ჩვენშიც: ინტელიგენციის რაზმი უფრო მცირეა, რეპრესიები და ძალმომრეობა მეტია. რეაქციასთან ბრძოლის შესაძლებლობა ნაკლებია, მასების ეკონომიური მდგომარეობა მძიმეა. ნატურალური მეურნეობის ნანგრევებზე კაპიტალი ჯერ კიდევ ჩაჩი-ვაჭრის სახით ტრიალებს. ჩვენი ახალი თაობა ჯერ კიდევ არ არის გარკვეულად მატარებელი სოციალისტური მსოფლმხედველობისა, გარკვეულად არა დვას კლასთა შორის შეუთრეგებელი ბრძოლის ნიდაგზე. ის მიზნად ისახავს ქართველი ხალხის კულტურულად, პოლიტიკურად და ეკონომიურად წინ წაწევას. მომავალი საქართველო მათ უკეთეს შემთხვევაში წარმოადგენილი აქვთ, თანახმად უტოპიური სოციალისტების გავლენისა, უწოდებრივო, სადაც პიროვნება და შრომა მონობის ბორკილისაგან თავისუფალნი არიან. თერგდალეულნი ისედაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიური პირობების გართულების გამო დარღვეულნი, 80-იანი წლებისათვის ადვილად ინაცვლებენ ზომიერ კულტურულ-განმანათლებლური მოღვაწეობის პოზიციაზე და მცირე პრაქტიკული საქმეების შესრულებას უახლოეს მიზნად ისახავენ: ასეთია ილია ქავჭავაძე

ძის მოღვაწეობა ბანკში, ქარ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში დასაბამიდან; ასეთია სერგეი მესხი — სამეურნეო საზოგადოების დაარსების ინიციატორი, ასეთ ხასიათს ატარებს ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა ფოთში, კირილე ლორთქიფანიძისა — ქუთაისში და სხვების.

თუ ილია ჭავჭავაძე, როგორც პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ამ პერიოდში უფრო ზომიერი პროგრესული რეფორმების თანდათანობითი გატარების მომხრე შეიქმნება („ცხოვრება და კანონი“), სამაგიეროდ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ის, როგორც პოეტი, იზრდება, ივსება, ღრმავდება, ეროვნულ ჩარჩოებში თითქოს ვეღარ ეტევა, ის საერთო-საჯაცობრიო თემების ასახვანალიზშია. ამ დროს ილია ჰქმნის ნაწარმოებთ, რომელთაც ვიწრო ეროვნული ხასიათი კი არა აქვთ, როგორც ამას მისი შემოქმედების წინა პერიოდში ვამჩნევთ, არამედ, მათ საერთო საჯაცობრიო ბეჭედი აზიოთ. ილია ჭავჭავაძე თავის პოეტურ „მე“-ში ჩაღრმავდა. ჭავჭავაძეც ვერ დადგა ამ საზოგადოებრივი ცხოვრების ქროლვის გარეშე. ის თავისი შემოქმედების მესამე პერიოდში დაინტერესდა სწორედ ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური საკითხებით: ადამიანის განცდათა ანალიზი, ადამიანი, როგორც ცალკე ინდივიდუალა და საზოგადოებას შორის ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველი, დანაშაულის ბუნება და მისდამი სასჯელის — ოფიციალური კანონმდებლობის დამოკიდებულება („სარჩობელაზედ“)<sup>19</sup> ცხოვრების არსი, მისი მიზანი, ადამიანის დანიშნულება და როლი ცხოვრებაში („განდეგილი“). „უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელი“, წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდი“, სხვადასხვა ობიექტური პირობების ზეგავლენით სხვადასხვანაირი ფსიქოლოგია და სხვა („ოთარაანთ ქვრივი“)... აი ამ საკითხების გარშემოა უმთავრესად დატრიალებული ილიას შემოქმედება ამ პერიოდში.

ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძემ მოგვცა მაღალი მხატვრული ფორმით შესრულებული ნაწარმოებნი და მთელი ცოცხალი გალერეა ტიპებისა.

ავიღოთ 1879 წელს გამოსული მოთხრობა „სარჩობელაზედ“. მოთხრობა „სარჩობელაზედ“ საგულისხმოა წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისითაც. ის ტიპიური ნოველაა. ილ. ჭავჭავაძემ ამ ნაწარმოებით ახალ ქართულ ლიტერატურაში ააღორ-

19 ასეთივე მდგომარეობა რუსულ ლიტერატურაში: დოსტოევსკისა «Преступление и наказание», ლ. ნ. ტოლსტოის «Отец Сергий», «О жизни», «Мысли о смысле жизни», «Нет виноватых» და სხვა.

ძინა ეს ქანრი და სათავე დაუდო ნოველის ქანრის განვითარებას, რომელიც 90-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში შიო არაგვისპირელმა ნიჭიერად განავითარა და განამტკიცა. ამ ნაწარმოებში მეტად ღრმა საზოგადოებრივი ცხოვრების ხაზითის მოკლენა იშლება ინდივიდუალსა და საზოგადოებას შორის და დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ თემა ისე ცოცხლად და გამახვილებულად ვითარდება, რომ მკითხველს ხარბად იტაცებს და მოქმედ პირთა ცხოვრების ყოველი წვრილმანის მონაწილედ ხდის. მოქმედ პირთა გარეგნული სახე, გამომეტყველება, განცდა, თუ მოქმედება მიმზიდველი, ზომიერი თანდათანობით და შეხამებულად არის გაშლილი.

მთავარი გმირები ამ მოთხრობისა ორი „გაყაჩაღებული“ ძმა და მოხუცი გლეხი პეტრეა.

ლოჭინის ხევის პირს კახეთიდან მომავალ მეურმეებს მოულოდნელად ორი ყმაწვილი ბიჭი დაეწია. „ორივეს — აგვიწერს ავტორი, — ტანზე სალდათის მაუდის „კურტკები“ ეცვათ. ერთს მათგანს თავზედ ეხურა უშველებელი ჩერქეზული ქუდი. ქუდი ისე ჩამოჰფხატოდა თავზედ, რომ ცხადი იყო, ქუდის პატრონი სხვა ყოფილა და მხმარებელი სხვაა, მეორეს ეხურა სალდათური, უწინდებული უკაზიროკო ქუდი“. აღმოჩნდა, რომ ეს ყმაწვილები ძმები იყვნენ. „ჩერქეზულ ქუდიანი, — განაგრძობს ავტორი, — თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა იქნებოდა, მეორე ან თოთხმეტისა ან ხუთმეტისა. უფროსის სახე არ იყო ძალიან მარილიანი, იმის სხარტე და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი, ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გულია დამალული. მეორე, უმცროსი... უფრო მარილიანი იყო. ამისი შავი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოდნენ. წარბშეკრული იყო და გულდახურული, თითქოს რაღაცას ითმენსო და თავის თავს ძალას ატანსო, შინაგანი ამღვრეულობა არავის ამცნოსო“. უკვე ასეთი, რამდენიმე მხატვრული ხაზის საშუალებით ავტორს ბუნებრივად და უნებლიედ შევყავართ მთავარი თემისა და ყმაწვილების ხასიათის გაგებისა და განცდის სფეროში. ამ ყმაწვილების სულიერი განცდის მოძრაობაში ავტორთან ერთად მკითხველიც ძალუჰმად და უნებლიედ ცხოველი ინტერესით მიიწევს.

უფროსმა ძმამ იცრუა, რაც საშინლად სტანჯავდა და ამღვრეულად უმცროს ძმას, რომელიც, თავის გულის მოძრაობაზე მორეული, თავს იკავებდა (ეს ჩვეულებრივი თვალისათვის შეუპყნეველი ხაზები ისე ხეჩხიანადა აქვს ჩართული ავტორს, რომ ყმაწვი-

ლების ხასიათს მეტად მხატვრულად ამახვილებს. აქაც ილიას გამოყენებული აქვს კონტრასტების ხერხი). უფროსმა ძმამ უთხრა მეურმეებს, რომ ისინი ორი დღის უძკმელები და უსახსრონი იყვნენ, რადგანაც გზაში იმათ მეეტლე რუსმა დასტყუა ფული და ასე დატოვა ისინი „ამ უცხო ქვეყანაში“. ყმაწვილების ასეთ ჩივილს და მდგომარეობას ერთი მეურმეთაგანი, მოხუცი პეტრე, უმალ თანაგრძნობით გამოეხმაურა (პეტრეს ხასიათის მოცემაც გარკვეულ, ავტორის მიერ მიზანდასახულ ფერებში იშლება).

„უცხო ქვეყანაში რად იქნებით, — ალერსით და შებრალებით ეუბნება პეტრე ყმაწვილებს, — ასე გონია სათათრეთში იყვნეთ?.. პურსაც გაჭმევთ, ღვინოსაც დაგალევიანებთ და კაი ქეიფსაც გაგაწვიანებთ... ასე ჩაგიყვანთ ქალაქში, რომ ქარიც არ მოგადინოთ“. აი ჩვეულებრივი გულუბრყვილო კეთილი გული გლეხისა, რომელიც ყოველივე უსამართლობის წინააღმდეგ ასეთი თანაგრძნობით ღელდება. ასეთია შეხედულება და გაგება პოეტისა და მკითხველს ავტორი ამას დასაწყისშივე გადასდებს.

მართლაც, პეტრემ ყმაწვილებს პური და ღვინო შესთავაზა, ასეთი ძუნწი საუბრისათვის ბოდინი მოიხადა, დაპირდა, რომ საღამოს მათ იგი კარგი მწვადებითაც გაუმასპინძლებოდა. დაისვა ორივე თავის ურემზე და გზას გამოუდგნენ. საღამოს ქალაქის პირში ურემები გამოუშვეს. პეტრე დაპირებისამებრ ყმაწვილებს კარგად გაუმასპინძლდა. დაღალული მეურმეები მალე ძილს მიეცნენ. ღამის მეხრეებმა კი საქონელი მინდორში გაშალეს და თვითონაც თან გაჰყვნენ. პეტრემ ყმაწვილებს თავისი ნაბადი ქვეშ გაუშალა, რომ არ გაციებულიყვნენ. ყმაწვილები დაწვნენ. პეტრე შორი-ახლოს მიეგდო და მკვდარსავით დაიძინა. გათენდა მტრედისფრად. მეურმეები აიშალნენ. მაგრამ პეტრემ თავისი სტუმრები იქ ველარნახა. „ვაპარულან... წაიღებდნენ რასმე“... თქვა პეტრემ. იკრა ჯიბეს ხელი. ორივე მოჭრილი აღმოჩნდა. კეთილმა ბერიკაცმა გულნაკლულად ერთგვარი თავილით ჩაიცინა. ამის შემდეგ დარცხვენილმა პეტრემ, რომ ის „ძუძუმწოვარებმა გაქურდეს“, მეურმეობაზე ხელი აიღო და თავის შვილს გადასცა. აქ ინასკვება სიუჟეტი.

გავიდა ოთხი წელიწადი. ერთხელ პეტრე წისქვილის ქვების სასყიდლად შვილის ურმით ქალაქში ჩამოვიდა. აქ მოუგვიანდა, გავიდა რიყზე ქალაქის ამბის გასაგებად. იქ გაიგო, რომ მახათაზე იმ დღეს ზარბაზანი რომ გავარდება, კაცს ჩამოაწრჩობენო. პეტრე ამ ამბავმა გააკვირვა და ააღელვა. „ბევრი ვაივაგლახი მინახავს ჩემს სიცოცხლეში, მოდი ერთი ესეც ვნახო“, — თქვა პეტრემ და გასწია მახათისაკენ, თუმცა-ყი არა სჯერა, რომ კაცი ჩამოაწრჩონ. „კატა ხომ არ არის“? ბოლოს ის-ღა მოიფიქრა, რომ, ალ-



ბათ, „ქალაქის ბიჭებმა“ ჩვეულებრივი თვალთმაქცობა, ჯამბაზობა მოიგონესო. მაინც პეტრეს გულმა გასწია. „კაცის გული მალია, მალი ცოდვის საქმეზედ, — ამბობს თავის თავის სისუსტეში დამპყერი პეტრე, — კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოხვერსავით-კი გამომწვია და... ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა და მადლი ტრიალებს“-ო. ნიჭიერი გულთამხილაობით არის გადახსნილი არა მარტო გულუბრყვილო პეტრეს გული ადამიანური მოძრაობით, არამედ საერთოდ ყოველი ალალი კაცისა! ვინ არის, რომ თავის შესახებაც არ შეეძლოს ამავე თვისების მხილება.

მახათაზე ხალხი ბუხსავით ირეოდა. თავში ერთს განაპირა ადგილს სახრჩობელა აემართათ. მის გარშემო ჯარი იდგა. წინ ფართო მოედანი იყო ხალვათად, არავის არ უშვებდნენ. პეტრემ მიიხედა-მოიხედა, ნახა ამოდენა ხალხი, კაცი თუ დედაკაცი და გაუკვირდა. ბოლოს იმაზე დადგა, რომ სწორედ ტყუილი რამ თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზობისა, „თორემ დედაკაცებს აქ რა ხელი აქვთ, ან ვინ მოუშვებდა?“-ო. ამასობაში პეტრეს წინ გამოატარეს ჩამოსახრჩობად განწირული ოცისა თუ ოცდაერთის წლის ყმაწვილი ბიჭი. მას „წვერულვაში გამოშვებული ჰქონდა. სახეზე ზაფრანის ფერი ედო“. პეტრეს ეს ბიჭი თითქოს ეცნო კიდევ, თუმცა-კი ვერ მოეგონებინა. პეტრეს ესმის აქეთ-იქიდან შებრალების ძახილი, განსაკუთრებით ქალებისაგან. მაინც არა სჯერა, რომ ეს ნამდვილი ამბავია და არა თვალთმაქცობა. თუმცა ყველა ატრიბუტი ჩამოხრჩობისა გარკვეულად არის: სახრჩობელა, მეფის ჯარი, ჯალათი, მღვდელი და მოსამართლე. უდავოდ ხერხიანადაა ჩართული ყველა ის ელემენტი — ჯარი, ჯალათი, მღვდელი, მოსამართლე, რომელსაც ძველი წყობილების კანონმდებლობა ემყარებოდა. აქ უდავოდ ამ ელემენტების მთლიანად სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის კრიტიკაა მოცემული თითქოს შემთხვევით, გაკვრით, მაგრამ ძალუძალ კი.

გათავდა ჩამოხრჩობა. დაიშალა ხალხი. პეტრე სხვებთან ერთად წაშოვიდა, მაგრამ მაინც გაოგნებულია; პეტრე უყურებს რა ხალხის, თითქოს, თამაშზე მოსულის, ყრიამულს, უფრო რწმუნდება, რომ ეს თვალთმაქცობა უნდა იყოს. მაგრამ გული მას რაღაცას სთხოვს. ჩანს შეუცნობელ ფსიქოლოგიაში რაღაცაა ამოქმედებული და ლამობს ცნობიერებაში გამოაშკარავებას. გზაზე ბაკებისა-კენ პეტრე შევა დუქანში პურის საქმელად, უფრო კი ნახულის შესახებ იქნება რამე გაიგოს. მას შეჰყვება ერთი ახალგაზრდა ნაბადწამოსხმული ბიჭი, რომელიც საწერ-კალამს მოითხოვს და თავჩაღუნული წერას დაიწყებს. პეტრეს ეს ბიჭიც ეცნო, მაგრამ ვერ მოაგონდა, სად ენახა ის. პეტრემ დუქანშიც ვერაფერი გაი-

გო. დაუკმაყოფილებელი გაუსწორდა მედუქნეს და ბაკებისაკენ წავიდა. მალე მას ის ნაბადში გახვეული ბიჭი წამოეწია. მიაჩნია მას ხელში წერილი. უთხრა: დღევანდელს ამბავს ამ წიგნიდან შეიტყობ“-ო, და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა. პეტრეს კითხვაზე: „ბიჭო ვინა ხარ? სახელს მაინც მეტყუდი“-ო, მან უპასუხა: „წიგნი გეტყვის“-ო. კვანძის განვითარება აქ უმადლესად გამახვილებული და დაჭიმულია. ეს არის ფაბულის განვითარების ის ნაწილი, რომელსაც die schpanung ეწოდება. აქაც ხერხიანადაა მოზიდული მოქმედება ნაწარმოების გმირისა, თუ გმირების გარშემო და არაჩვეულებრივი გულისყურით იტაცებს მკითხველსაც.

პეტრე რაღაც გაურკვეველი გრძნობით, მაგრამ მასთან ერთად რაღაც შიშის სიამოვნებით მიდის ბაკებისაკენ. უნდა შვილს წერილი ჩქარა წააკითხოს. გაიგოს დღევანდელი ამბავი. აღელვებითა და მოუთმენლობით წერილს შვილს მიაჩეჩებს, მოთმინებადაკარგული, აღელვებული მოხუცი უწყდება შვილს, რომელიც ლამობს მამის ასეთს მდგომარეობაში გაერკვეს, — და უბრძანებს, წერილი ჩქარა წაიკითხოს. ეს წერილი, თუმცა ერთგვარ გაურკვეველ მდგომარეობაში დასტოვებს პეტრეს, მაგრამ. მართლაც, მას გააგებინებს ნახულ ამბავსაც და ოდესღაც ლოჭინის ხევში შეხვედრილი ყმაწვილი ბიჭების ვინაობასაც. ამ გამოხსნას მკითხველიც ასე დაჭიმული ყურადღებით ეძებდა და ელოდა. ამ წერილშია გამოხსნა იმ კვანძისა, რომელიც ლოჭინის ხევში იწყება. ამ წერილშივეა ჩაქაოვილი მთავარი აზრი პოეტისა და მოთხრობისა, რაც დამახასიათებელია ნოველისათვის.

წერილში იშლება ამ ორი ყმაწვილის ვინაობა, მათი ცხოვრების გზა წერილის გადაცემის მომენტამდე. „დღეს რომ ყმაწვილი ბიჭი დაარჩეს, ჩემი ძმა იყო, — თითქოს აღსარებას ეუბნებოდესო, სწერს პეტრეს ნაბღიანი ბიჭი, — მამაჩემი ერთი დარიბი აზნაურიშვილი იყო. როცა მოკვდა, ჩვენ ორნი ძმანი პატარები დავრჩით. დედა მალე გაგვითხოვდა, შეირთო ვიღაც აზნაურიშვილი. ქალაქში მსახურობდა. რაც მამისაგან დედულ-მამული გვექონდა, ცოტა, მაგრამ იმოდენა, რომ ტკბილის ლუქის ილაჯი გვექნებოდა, სულ მამინაცვალმა წაგვართვა. დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ ცარიელზე დაგვსვა. მინამ პატარები ვიყავით, ჩვენ სოფლად ვეყარებით უპატრონოდ და ისინი კი ქალაქში იყვნენ. როცა მოვიდოდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა. შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი ვეხეტებოდით სოფლის ორღობეებში უპატრონოდ. ბიჭი იყო შინა-მოსამსახურე, ჩვენა გვეცმდა, მამინაცვალი იყო, ჩვენ გვეცმდა, ყველანი შინაურები, ვისაც კი შეეძლო, გვიტყაპუნებდნენ თავში.

ბევრს უცხოს, მართალია, ვეცოდებოდით საწყალი ობლები, მაგრამ შველა კი არსად იყო. ბოლოს რომ ცოტა წამოვიზარდენით, მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდან, მიგვაბარა სალდათის სკოლაში თუქურმიშაზედ, ვაილამ ვუიში ჩავგავადო. აგვიყოლეს სული რუსულის ლანძღვითა და თრევითა. ამოგვართვეს სული ცემა-ტყეპითა. ვიპოვინეთ და ველარ ავიტანეთ. დავკართ ფეხი და გამოვიქეციეთ. შევიარეთ ჩვენს სოფელში. ჩვენის ძველის სახლიდამ ბიჭებმა გამოგვეყარეს, ერთის ღამის ბინაც არ მოგვეცეს. გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედაპიწაზე უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტივიდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის! გამოვწიეთ ქალაქისაკენ, გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი, გადავებტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავებტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა, რომ თვალნათლივ გვძარცვადნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდო ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გავგძარცვეთ ჩვენ. თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო“.

პოეტი აქ გარკვეული აზრითა და შეხედულებით გამოდის. საზოგადოებრივ ცხოვრებაში უსამართლობა დიდია. ადამიანის „გული ცოდვილ საქმისათვის მალის“ და ხარბი. იგი დაუნდობელია. საზოგადოების უსამართლო მოპყრობამ, „თვალნათლივ გაძარცვამ“, დაწყებული დედითა და მამინაცვალთ და გათავებული მოჯამაგირეებით, გაბოროტა და გადაამტერა ეს ორი ახალგაზრდა მთელს ქვეყანასა, „კარგასაცა, ავსაცა“. ამ ყმაწვილების ცხოვრების გზის გამრუდებაში, მათ ავ საქციელში, ავტორის აზრით, თვით საზოგადოებამ და მანაშავე. დანაშაული ამ ძმებისა იძულებითია. ცხოვრების ობიექტურმა პირობებმა ამ ძმების ცხოვრებასა და მოქმედებას თავისებური გეზი მისცა. საზოგადოებრივი ცხოვრების კანონმდებლობაც, რომელიც ვაბატონებული ნაწილის თვალსაზრისით უფრო საქმეს სინჯავს, ვიდრე გულს, ე. ი. ამ საქმის გამომწვევ მიზეზებს, ამ ვაბატონებული ნაწილის ინტერესებზეა დამყარებული. ამიტომ ისიც უსამართლოა.

ამ ნაწარმოებში ამკარადაა გამომჟღავნებული ილია ჭავჭავაძის დეტერმინისტული შეხედულება: ილიას გაგებით და რწმენით, ადამიანის ნებისყოფა თავისუფალი არ არის. ის განისაზღვრება ობიექტური პირობებით. ეს უკანასკნელი გარკვეულ ბეჭედს ასვამს ადამიანის პიროვნებას, მის მსოფლმხედველობას, მთელ მის მოქმედებას. ასეთივეა ილია ჭავჭავაძის შეხედულება მთელ რიგ პუბ-

ლიცისტურ წერილებში. როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე ფილოსოფიაშიც რეალისტია. ამავე წერილიდან და აგრეთვე ნაწარმოებში ავტორის მიერ აქა-იქ ჩართული შენიშვნებიდან მოჩანს, რომ, პოეტის შეხედულებით, ცხოვრებაში გამეფებული საზოგადოების გულგრილობა ინდივიდუალურ ბედნიერებასა და კეთილდღეობას სჩაგრავს. „დღეს ჩემის თვალთ ვნახე, — სწერს უმცროსი ძმა პეტრეს, — რომ ერთადერთი ძმა, ერთადერთი კეთილის მყოფელი კატის კნუტსავეთ ჩამოარჩეს. თქვენ იდექით და სიერს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი... არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს... ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი... მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი — მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით... მშვიდობით... თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემს ძმასავეთ სარჩობელაზედ მნახე, ჩემი ბოლო ეგ არის“.

ცხადია, აქ ნაბდიანი ბიჭის, „ავაზაკის“ ძმის პირით თვით ილია ლაპარაკობს. ცხადია, ეს გამოწვევა ბოღმით, შურითა და შეურაცხებლობით სავსე ფილისტერული საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი თვით ავტორის გულნადებია. ეს „ავაზაკი“ ძმები თითქოს ეხმაურებიან იძულებით არსებულ წყობილებით გავარდნილ გლეხებს — კაკოსა და ზაქროს.

ილია თავისი მოთხრობით ჩვეულებრივი სიმკვეთრით ამბობს, რომ ინდივიდუალურ და საზოგადოებას შორის გაუგებრობა და გაუტანლობაა. ამისავე დამამტკიცებელია მოთხრობის შემდეგი ადგილიც: როდესაც უცნობი კაცი ჩამოახრჩვეს, „ხალხი წუთს წინათ სულგანაბელი, ეხლა მხიარულად ჰყაყანებდა და ლანჩლანდარობდა კიდევ. დაარღვა ხალხის გროვა, დაიშალა და გაიშალა მინდორზედ. ყველამ თავის სახლისაკენ გასწია სრულიად კმაყოფილმა, რომ ეს სამარცხვინო გულის ამაზრზენი თამაში ნახა“. ავტორსა და ნაწარმოების დედააზრს, ვფიქრობთ, კომენტარები აღარ უნდა, იმდენად აშკარაა.

თუ ამ ნაწარმოებს მოქმედ პირთა ხასიათის განვითარების თვალსაზრისითაც განვიხილავთ, ამ მხრითაც ის ინტერესს არ არის მოკლებული. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა მოქმედ პირთა მკვეთრი რეალური სახის ძალდაუტანებლად გამოქანდაკება. ადვილად და მძლავრად იჭედებიან მკითხველის შეგნებაში მისი შემოქმედების გალერეიდან ვმირები: ზაქრო, კაკო, ვაბრო, დათიკო, ლუარსაბ და დარეჯან თათქარიძეები, ლამაზისეული, თავადის ქვრივი და სხვანი. ასეთივე მანერა წერისა ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს შემოქმედების მესამე პერიოდშიც. ასეთივე მანერა ძლიერია არა მარტო „გ ა ნ დ ე გ ი ლ“

სა“ და „ოთარაანთ ქვრივში“, რაც ჩვენი კრიტიკის მიერ ნაწილობრივ მაინც უკვე აღნიშნულია, არამედ მოთხრობაშიც „სარჩობელაზედ“.

გაბოროტებული ძმების სახეს მხოლოდ ავტორის სიტყვებითა და ბოლოს უმცროსი ძმის წერილით ვეცნობით. მათი მოქმედება არ იშლება მკითხველის თვალწინ. მოქმედებაში არ ვითარდება მათი სახე. ასეთ პირობებში მოქმედ პირთა პროფილი ჩვეულებრივ ბუნდოვანია, მკრთალია. ილია ჭავჭავაძეს ეს სიძნელეც დაძლეული აქვს. მოთხრობაში ძმების სახე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სულ ორჯერ გამოჩნდებიან და ისიც თითქმის წამიერად, მკითხველის შეგნებაში მაინც მძლავრად იბეჭდებიან, განსაკუთრებით უმცროსი ძმის პროფილი. მათ დახატვაში ვგრძნობთ ერთგვარ დინამიკას. უმცროსი ძმის დასურათებაში მთლიანობასა ვხედავთ, დაწყებული გარეგნული გამომეტყველების აღწერით და დამთავრებული სცენით, როდესაც ის ძმის ჩამოხრჩობის მომენტში, ნაბადწამოსხმული, ქუდჩამოფხატული როგორც კრუხს წიწილა, ისე დასტრიალებდა გარს მოხუც პეტრეს. და შემდეგ წერილის ბოლოს რამდენიმე სიტყვით გულის გადახანით: „შენმა გულკეთილობამ რომ ტბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კინაღამ არ დამიმორჩილა, აქამდის კიდევ გულში მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი... ისიც გაქრება, ვიცა“-ო. ავტორი უმცროსი ძმის დახასიათებაში რამდენიმე შტრიხით ახერხებს გამოამყლავნოს „შუეცნობელი, ჩვეულებრივი თვალისა და ყურისათვის ძნელად გასაგები, გმირის მთლიანი ფსიქოლოგია. გმირის დახატვის მანერა მკითხველს იზიდავს და ძმების ბოროტმოქმედების იქით დაანახვებს ნამდვილ სახეს ცხოვრების პირობებით დაღუპული, ცხოვრებამოწყურებული და ცხოვრებაზე, უფრო კი ადამიანზე გაბოროტებული ახალგაზრდის სახეს. „სარჩობელაზედ“ მშვენიერი ფსიქოლოგიური ეტიუდი — ნოველია. ასეთი მანერა და ფორმა შემოქმედებისა ჩვენს მწერლობაში იმ დროს ახალი იყო. ილიამ ქართულ მწერლობაში ს.-ს. ორბელიანის პროზის ჟანრი აღადგინა.

არანაკლებ საინტერესო და ძლიერი მხატვრული სახეა მოთხრობაში მოხუცი პეტრე. მისი უპრეტენზიო, მაგრამ სითბოთი, სინაზით, სიფაქიზით აღსავსე პიროვნება, ძალაუნებურად სიმპათიასა და სიყვარულს აღვივებს მკითხველში. მკითხველი ადვილად გრძნობს სინაზეს, ადამიანურ სითბოს ამ უბრალო, ცხოვრების „ვაი-ვაგლახში“ გამობრძმედილი გლეხისას. მკითხველი ძალდაუტანებლივ, ინტერესით მისდევს ავტორს პეტრეს გულის მოძრა-

ობის გადახსნაში და რაც ხასიათის სიღრმეში მიდის, იმდენად მას სიმპათია პეტრესადმი უფრო იპყრობს.

პეტრე ამ მოთხრობაში სხვადასხვა ხასიათის ობიექტურ პირობებშია ჩაყენებული, სულ სხვადასხვანაირი ფსიქოლოგიური განცდითაა მოცემული, მაგრამ მასთან ერთად ყველგან ერთი და იგივე კეთილი, სამართლიანი, გულუბრყვილო-მოსიყვარულე, გაუბზარავი მთლიანი პიროვნება პეტრესი ფოლადისამებრ ყალიბდება მკითხველის წინაშე. ხასიათის გაშლა ხომ ილია ჭავჭავაძის დამახასიათებელი პოეტური ხერხია.

შეგხვდებით პეტრე ლოჭინის ხევში, უცნობ ბავშვებს რომ დაუგურგურებს, რაღაც სიამოვნებით რომ დაისხამს ურემზე და ქალაქისაკენ წამოიყვანს; თუ ქალაქის პირად, თავის ნაბაღს რომ გაუშლის ბავშვებს, რადგანაც ისინი „ცარიელ მიწაზე წოლას ვერ აიტანენ“; თუ მეორე დღეს გამოღვიძებულს და ჯიბეებდაჭრილ პეტრეს, თაკილობითა და ღიმილით რომ იტყვის: „ღმერთმა იმათ კი შეარგოთ, და მე კი ეს სირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც“-ო; თუ ნახავთ მას ღვინის ურემზე, უშველებელ სავსე ღვინის რუმბზე გადაბოტებულს, თავმოწონებულს შვილის „გაპატიოსნებით“, შეგხვდებით ის მახათის მთაზე გამოურკვეველ მდგომარეობაში — თამაშს, თვალთმაქცობას, თუ სინამდვილეს უყურებს ის? გულუბრყვილო შინაგანი ბრძოლით, რომ შეუძლებელია აღამიანს ახრჩობდნენ, „კატა ხომ არ არის, აიღო და ჩამოკვიდო?!“ რაღაც სითბოთი და უშუალოდით გავსებთ პეტრეს თვითგამავრება არ დაიჭეროს, რომ მართლა კაცს ჩამოახრჩობენ, არ მოსტყუედეს. ხედავთ, როგორ გადაინაცვლებს პეტრე ადგილიდან ადგილზე, რადგანაც მას ჰგონია, რომ ყველას სიტყვა შეუტკრავს მის წინააღმდეგ, რომ ის „სოფლელი“, გააბრიყვოს ჯამბაზობის ასეთი ბუნებრივი მოწყობით და სხვაგან, — ყველგან ერთი და იგივე პეტრეა. მისი თუმცა პრიმიტიული, მაგრამ სალი, კეთილი, სამართლიანი, მთლიანი, სათნო ბუნება, ბავშვური, ფაქიზი გულუბრყვილობა, რაღაც სხვა სუფთა შეუბღალავი ცხოვრების მხრიდანა სცემს და გზიბლავთ. ყველგან მოხუცი პეტრე ისეთი ოსტატობით არის დახატული, რომ სიამოვნებითა და კმაყოფილებით გიზიდავთ თქვენ, გულს გიხსნით მის მისაღებად და შესაყვარებლად. ამიტომ გამოურკვეველობით თავბრუდასხმულ პეტრეს თავს აღარ ანებებთ, მისდევთ ღუქანში. თქვენც მასთან ერთად მოუთმენლად ელით სინამდვილის გაგებას. პეტრესთან ერთად ამ უცნობი ნაბღიანი ბიჭის გამოცნობის სურვილი თქვენც გიპყრობთ, პეტრეს აფორიაქებულ განცდებთან ერთად თქვენიც აიშლებათ, როცა უცნობი ბიჭი პეტრეს ხელში წერილს მიაჩეჩებს და ეტყვის: „ღღევანდელ ამბავს წიგნი გეტყვისო“. პეტრესთან ერ-

თად მოუთმენლად იგინდათ წერილის შინაარსი ჩქარა გაიგოთ. გეს-  
მით პეტრეს აჩქარებული ნაბიჯის მოძრაობა, ბუნებრივად მიგაჩ-  
ნიათ, რომ მისი გული ფეხს უსწრებს. როგორც პეტრესათვის,  
თქვენთვისაც გრძელდება ბაქების გზა, ყოველი დაბრკოლება, და-  
გვიანება, ზედმეტი სიტყვა, თქმული ვაოცებული პეტრეს შვილის  
მიერ, პეტრესთან ერთად თქვენც მოთმინებას გაკარგვინებთ. პეტ-  
რეს ცივ ოფლს, მის ცახცახს გრძნობთ, გესმით მისი გულნატკენი  
და გაკვირებული წამოძახილი: „მე რა შუაში ვარ?!“ ეს წამოძა-  
ხილი პეტრესთან ერთად თქვენც ჩაგაფიქრებთ და რაღაც ექვის  
შხამს ჩაუშვებთ თქვენს გულში, განსაკუთრებით, როცა მძლავრი  
ემოციებით აღსავსე მუსიკალური ნაწარმოების უკანასკნელ მდი-  
დარ აკორდსავით გებეჭდებთ ავტორის შეკითხვისებური ფინა-  
ლი — მართლდა, ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს?!.

და აქ პეტრეს სახის გამახვილებასთან ერთად მახვილდება  
თვით ავტორის მსოფლმხედველობის და ცხოვრებისადმი დამო-  
კიდებულების გამოქმდავენება. ილია ჭავჭავაძე ბრალს ძმების დანა-  
შაულში საზოგადოებას სდებს: „პატარები ვიყავით, ყველა ხე-  
დავდა, რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარ-  
ჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა  
ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გავგ-  
ძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო“. აქედან მკით-  
ხველს შემდეგი ესმის: თქვენ გადაგვაქციეთ უჩალებად, თქვენა  
ხართ მიზეზი ჩვენი დაღუპვისა, უსამართლო გულქვაობას იჩენს  
თქვენი სამართალი-კანონმდებლობა, ის გულში, ე. ი. ცხოვრების  
უკუღმართ სინამდვილეში არ იხედება, მიზეზს არ ეძებს, თორემ  
დამნაშავის სკამზე ჩვენ კი არა, თქვენ, მთელი საზოგადოება, მის  
მიერ შექმნილი წყობილება უნდა იყოს გასამართლებული. მწარე  
უკმაყოფილებით ეს ისმის ძმის წერილიდან.

და ეს ძახილი ხომ თვით ავტორისა! ასეთი გასამართლების,  
სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, ადამიანისადმი თანაგრძნობით,  
დახმარებით გამოდის გულუბრყვილო, ცხოვრების ჭუჭყით შეუბ-  
ღალავი, თუშცა პრიმიტიული და შეიძლება გარეგნულად უხეში  
გლუხი პეტრე, რომელიც ვერ შერაგებია კაცის ჩამოხრჩობას, ერ-  
თი მხრით, და ამდენი ხალხის მბიარულ ყრიაშულს კაცის ჩამოხრ-  
ჩობის შემდეგ, მეორე მხრით. ამ წინააღმდეგობის გახსნაში და  
ადამიანის მოქმედებისა და ნებისყოფის საზოგადოებრივი ცხოვ-  
რებისაგან დამოკიდებულების გამლამია მთავარი დედანაზრი ამ  
ნოთხრობისა. მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც ამაშია.

უნდა აღინიშნოს, რომ პეტრეს დახატვაში ილია ჭავჭავაძე  
იჩენს ჩვეულებრივ მანერას — გლუხს დადებითი თვისებით ასა-

ხავს. ეს ილიას საერთოდ ახასიათებს. გლეხის სახე ილიას შემოქმედებაში ტანჯვისა, ადამიანური გრძნობისა და მოთმინების გვირგვინითაა შემოსილი. ილია ხშირად უპირისპირებს გლეხს თავადს და თითქმის ყველგან გლეხი ადამიანური გრძნობებით შეუდარებლად მაღალი, ფაქიზი და საღია („რამდენიმე სურათი...“, „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვ.). ამას თავისი მიზეზები აქვს. გლეხის მდგომარეობა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი, როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, 60—70-იან წლებში მთელი მოწინავე საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო. ამ ნიადაგზე გაიშალა ე. წ. ხალხოსნური მოძრაობა რუსეთში სხვადასხვა მიმართულებით. ილია ჭავჭავაძე ვერ დარჩებოდა და არც დარჩა ამ მიმართულების გავლენის გარეშე. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაშიც არის ამ მიმართულების შორეული გამოძახილი. ხალხოსნური მიმართულების ერთ-ერთი შტო ამბობდა, რომ საჭიროა რუსი ინტელიგენცია დავიდეს ხალხის, მდაბიო ხალხის ცხოვრების ფსკერამდე, რადგანაც მდაბიო ხალხის ცხოვრების წიაღში საუკუნეებით შენახულია ხალხური სიმართლე. ინტელიგენციამ უნდა გაიგოს ეს სიმართლე და ამის ნიადაგზე დაიწყოს თვითგასრულდება (самоусовершенствование). ამ ნიადაგზე წარმოიშვა ერთგვარი იდეალიზაცია გლეხისა საერთოდ ხალხოსან მწერლებსა და კერძოდ ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედებაში — საღი, ფაქიზი, სამართლიანი გრძნობისა და ინსტიქტის მატარებელია გლეხი. ვფიქრობთ, პეტრეს შექმნაშიც ილიას მიერ ამგვარ გაგებასთან გვაქვს საქმე.

## 7

1883 წელს გამოდის ილია ჭავჭავაძის ახალი საგულისხმო ნაწარმოები, საესე მაღალი მხატვრულობითა და საკაცობრიო საკითხების გადამშლელი ადგილებითა და გამოქანდაკებული სახეებით. ეს გახლავთ პოემა „განდეგილი“, რომლის დიდი მხატვრული ღირსება ფართო მკითხველი საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის მალე უდავო შეიქნა. თუმცა იყო მკითხველთა მცირე ნაწილი, რომელიც ამ ნაწარმოებს უარყოფითად შეხვდა. მაგალითად, ამავე 1883 წ. ახალგაზრდა კრიტიკოსმა ესტატე ბოსლეველმა გააჩნია „განდეგილი“ და შემდეგი აზრი გამოთქვა: ილია ჭავჭავაძემ, „ჩვენმა ერთმა უკეთესმა პოეტთაგანმა, თითქოს მიანება თავი რეალური ცხოვრების კითხვების გამოხატვას პოეზიაში, თითქოს თვითონ ცხოვრებასაც შესწყრა და მის ავსა და კარგს გვერდი აუქცია“. ამიტომ ესტატე ბოსლეველი არ იწონებს „გან-



დევგის“. მაგრამ იქვე ამბობს: „მგონია არ შეჭსცდეთ ესაქვათ, რომ ჩვენს მწერლობაში ილია ჭავჭავაძე თითქმის ერთადერთი პოეტია, რომელსაც ცხოვრების განცალკევებულ მოვლენათა შეკრება, მათში შინაგანის კავშირის გამოძებნა და მათგან ერთის სასტიკად განსაზღვრულის ტიპთა გამოქანდაკება შეუძლია“-ო<sup>20</sup>.

„გავერკვეთ რამდენად სისწორითაა გაგებული ესტატე ბოზლეველის მიერ „განდეგილის“ დედააზრი.

„განდეგილში“ ილია ჭავჭავაძე იძლევა მაღალი პოეტური ნიჭით გამოქანდაკებულ ორი მოწინააღმდეგე მიმართულების ტიპიურ წარმომადგენელთა სახეს: ცხოვრებიდან განდგომის, განყენებული იდეის, ასკეტიზმის მიმდევარს — განდეგილის სახით და რეალური ცხოვრების, სინამღვილის, მისი დუდილის მოტრფიალეს — მწყემსი ქალის სახით.

ძირითადი იდეა ამ პოემისა ცხოვრებასა და ადამიანს შორის ურთიერთობის გამოკვლევის პრობლემაა. უფრო კონკრეტულად რომ შემოვფარდლოთ, პოემაში დახმულია საკითხი: როგორია ადამიანის როლი და დანიშნულება ცხოვრებაში?

„ვანდეგილში“ დაპირისპირებულია მკაცრი შებრალოების საშუალებით ორი მისწრაფება ადამიანის ბუნებისა: ცხოვრება, მის წიაღში სრული ბუნებრივი სიცოცხლე, მოქმედება, დატკობა მისი სილამაზით, მიმზიდველობით, სავსე „შავითა და თეთრითა“, როგორც ამბობს ვაჟა-ფშაველა, თუ განყენებული იდეისადმი სამსახური, განწმენდა სულისა ღვთის სამსახურისათვის და ამისათვის ცხოვრებიდან განდგომა, ცხოვრების „შავისა და თეთრის“, რომელიც ასე უხვადაა გაფანტული ცხოვრების ველზე, გვერდის ახვევა? ამრიგად „განდეგილში“ დაპირისპირებულია ორი მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობა: ასკეტიზმი, თვითგანწმენდის მიზნით ცხოვრებიდან განდგომა, და სიცოცხლე, დარჩენა ცხოვრებაში — ამოკრება მისი წიაღიდან პირადი ცხოვრების შინაარსისა და განწმენდა მისსავე დუდილში. უარყოფა ცხოვრებისა თუ კულტი ცხოვრებისა.

ეს ორი მსოფლმხედველობა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ვარიაციებით ერთერთმანეთს ებრძოდა და დღესაც კი, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ არ დამთავრებულა. ეს ბრძოლა, ვფიქრობთ, დამთავრდება მაშინ, როდესაც უკლასო საზოგადოებრივი ცხოვრება მთელ მსოფლიოში დამყარდება და განმტკიცდება.

ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მოღვაწეობის დასაწყისიდანვე

20 „შრომა“, 1883 წ., № 18.

გამოაცხადა კულტი რეალობისა, მოითხოვა, რომ მწერალი ჩასულიყო ცხოვრების მორევეში და მარგალიტთან ერთად ლაფი და ლექიც ამოეკრიბა, არ მორიდებოდა არც ერთსა და არც მეორეს, ბუნებრივია, ამ საკითხითაც უნდა დაინტერესებულყო. „განდევილი“ ბუნებრივი შედეგია ილიას პოეტური შემოქმედების განვითარებისა, ძიებისა და ამ საკითხის გადაწყვეტა მან შესძლო თავისი შემოქმედების მესამე პერიოდში, ხანგრძლივი პოეტური დუდილისა და წვის შემდეგ. „განდევილი“ უდიდეს და უმაღლეს მწვერვალად უნდა ჩაითვალოს მისი შემოქმედების გრუნძილში როგორც ფორმისა, ისე შინაარსის სიძნელეების დაძლევის თვალსაზრისით.

რომ ამ ორ მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობათა თავისებურება რაც შეიძლება მკვეთრი და თვალსაჩინო გახადოს, ილია ჭავჭავაძე იღებს მკაცრად დამახასიათებელ სახეებს. განდევილი — ღვთის სამსახურსა და მეტყველებაში გამობრძმედილი, როგორც ეს სახე განვითარებული იყო ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში (ჩანს, ილიამ ამ სახეზე მუშაობისათვის ზედმიწევნით შეისწავლა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა), და მწყემსი ქალი — პრიმიტიული, უშუალო ცხოვრების ცოცხალი ნატეხი.

განდევილი: განშორებია ცხოვრებას, ვით ცოდვის სადგურს, ვით სამეფოს ბოროტებისას, სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მას ეშმაკისასა, სად ცოდვა კაცსა სდევნის დღედამ, ვითა მშარავი და მტაცებელი, სად რყვნა, წაწყმენდა და ლალატი, სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა...

განშორებია ამ წუთისოფელს,  
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,  
სად თვით სიტურფე და სათნობა  
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.

განდევილი ცალმხრივი ადამიანია. მას არა აქვს უნარი ცხოვრების, როგორც მთლიანის, მრავალ მოვლენათა კომპლექსის, გაღება-შეგრძნებისა. ის ცხოვრების მრავალწახნაგოვან ბუნებას მხოლოდ ცალმხრივ სჭვრეტს, მხოლოდ მის უარყოფით მხარეებს ჰკრეტს. მას არა აქვს ძალა და უნარი ბრძოლისა. ამიტომაც დაუტოვებია ვნებითა და ცდუნებით სავსე ცხოვრება: „საიქიოსთვის ეს სააქაო“ დაუთმია და შეჰფარვია:

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა  
ორბნი, არწიენი ვერ შეჰხებიან,  
სად წვიმა-თოვლი, ყინულად ქმნილნი,  
მზისგან აროდეს არა დნებიან,

სად უდაბურსა მის მყუდროებას  
კაცთ ჟრიაშული ვერ შესწვდენია,  
სად მეუფება ჰეჰა-ქუხილსა,  
ყინულს და ქართა მხოლოდ შთენია.

განდგეილი შეჰფარვია აქ, სადაც უწინდელ დროში ღვთის-  
მოსავთა გამოუქცებადეთ მონასტერი. ეს მონასტერი თითქოს აქა-  
ური ცხოვრების — რეალურა ცხოვრების გარეშეა, თითქოს იქ  
მცხოვრებთ უბრალო მიწიერი კავშირისაც კი ეშინიათ. ეს ცხოვ-  
რება მათ გულიდან ამოულიათ. აქაც იგავე ამშორებულ გუბედ  
გადაქცეული ცხოვრებისა და მის მცხოვრებთა საკითხია ილიას  
მიერ აღძრული, ხოლო უფრო მაღალ და ზოგად პოეტურ ფორმებ-  
ში. აქაც ის ტკივილია გამოკვანძული (მოძრაობა და მოქმედება),  
მაელი შემოქმედების მანძილზე ასე რომ აწვალებდა პოეტს.

ქლდის ნაპრაღზე არწივის ბუდესავით გამოკვეთილ განდგეი-  
ლის მონასტერს კარი აქვს და ეს კარი მიწასთან — ცხოვრებას-  
თან — უშუალოდ კი არ არის შეერთებული, არამედ ჯაჭვით:

ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი  
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, —  
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით  
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.

აქ ცხოვრებიდან განდგომილი, განწირული სოციალური ფე-  
ნის შეშინებული, დაცარიელებული სულსკვეთებაა მოცემული.  
მწირი განდგომილა და ამ ყინულებში სულ მარტოდმარტო და-  
ყუდებულა. „გვამი მისი ცოდვილთ ფიქრთაგან იმ დღიდან აღარ  
შეძრწუნებულა, განუდევნია გულიდან ყველა მსოფლიო ზრახვა,  
ფიქრი, წადილი, რათა წარუდგეს უფალსა მსჯავრსა სულით იანწ-  
მენდილ და განბანილი“... განყენებულა წუთისოფლისაგან. აქ სუ-  
ლი იმისი აღყვავებულა, ხორციელი იფლისთქმა კი დამარხულა და  
ჩამკვდარა. უფრო მძლავრად რომ დაგვანახოს განდგეილის მიმარ-  
თულების ცთომილება, ილია იღებს უძლიერეს სახეს, როგორც  
ეს ჰაგიოგრაფიამ შემოინახა. ამ მხრივაც — განდგეილის დახატ-  
ვით ილია დიდ მხატვრულ გამარჯვებას აღწევს.

მწირი თუმცა არ იყო ხნიერი, მაგრამ „სახე გამზდარი, კუშ-  
ტი და მწყრალი სიწმინდის მაღლით დაშვენებოდა“ და მისს მა-  
ღალ შუბლს, ნაოჭად შეკრულს, შარავანდედი გადაჰფენოდა. გან-  
დგეილს აშკარა ბეჭედი აზის იმისი, რომ სული მისი სულ სხვა  
მსოფლიოს შეჰხიზნებია. აქ გამოქცეულში, ცხოვრებასთან სრუ-  
ლიად კავშირგაწყვეტილი, ის დაწყნარებულია და დამშვიდებული.  
მის თვალთა სათნოების საგსე, ღრმა მეტყველება „თითქოს ნე-

ლის სიხარულითა სამოთხის ღია კარს შეჭხარის და სულთან ერთად უფლისა მიმართ სასოებითა მიისწრაფის“:

ლოცვით და მარხვით ხორც-უძლურ-ქმნილი  
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,  
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა  
ძლევი-მოსილსა და განდიდებულს.

ღმერთსაც მიუღია მწირის წამება. ვედრება მისი შეუწყუნარე-  
ბია და ნიშნად მაღლისა სასწაული მოუხდენია. როდესაც მთის  
წვერზე მზე სხივმოფენით ამოვიდოდა, მწირი ლოცვანს ამ სხივს  
ზედ დააყრდნობდა, „ხორცუხსმელი მზის სხივი უფლის ბრძანე-  
ბით ლოცვანს ზედ შეირჩენდა“.

ასე მშვიდად და წყნარად მიდიოდა განდეგილს „განწმენდი-  
ლი“, აუღელვებელი ცხოვრება. ბერს განდეგილობის იდეალი  
უკვე მიღწეული აქვს, მისი დაკმაყოფილება სრულქმნილია.

მაგრამ ერთხელ, მზის გადახრისას, როდესაც მზე „მთის  
წვერზე, ვით ცეცხლის ბორბალი, ირგვლივ სხივგაშლით ანთებუ-  
ლიყო“, როდესაც:

ცისა ლაევარდი, ვით ნაკვერჩხალი,  
წითლად და ყვითლად მზისგან ჰლუვოდა,  
და განმსკვალული მისით ღრუბელი  
შორს ათას-ფერად სხივებში ჰთრთოდა.

და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი  
წავი ღრუბელი დაიძრა მძიმეთ.

და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,  
ჰეჰა-ქუხილით დაიგრილა.  
შეირყა მთელი ცა და ქვეყანა  
იმა ჰეჰით და იმა ქუხილით,  
ცა აირია, დაბნელდა უცებ  
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.

საშინლად აირია, აფორიაქდა ბუნება, თითქოს ღვთისრის-  
ხვა გრიგალსავით დასტეხია ცოდვილ ქვეყანას და წალეკას  
უპირებსო. განდეგილი კი ამ დროს ხელაპყრობილი ღმერთს წაწ-  
ყმედისაგან ქვეყნის ხსნას ევედრება.

მშვენიერი პოეტური კონტრასტებია! ილიას მხატვრული აზ-  
როვნება ხომ ზმირად კონტრასტების საშუალებით იშლება! მძლავ-  
რი კონტრასტია მოცემული ბუნების სტიქიაში — ცის ლაევარდ-  
ზე სხივგაშლილი, ანთებული მზის დასვლა და ვით ვეშაპის ჰეჰა-  
ქუხილი, ცისა და ქვეყნის შემრყევი გრიგალი. მძლავრი კონტრას-

ტია ბუნებასა და გამოქვაბულს შორის. აქ ბუნებაში სიცოცხლეა — მძლავრი, ატეხილი კალაპოტიდან ვადმომჩქეფი ცხოვრება, რომელიც ყველაფრის წალეკას ლამობს, იქ — გამოქვაბულში კი მოდუნებული მაჯისცემა, უსიცოცხლობა, ხორც-უძლურქმნილი განდევილის ხელაპყრობილი ვედრება. დიახაც, მძლავრი დაბირისპირებაა და მკითხველში გამოწვეული ემოციების საღი მიმართულებაც უზრუნველყოფილია. მაგრამ მძლავრი პოეტური გაქანება ავტორისა აქ არ ჩერდება.

ამ დროს განდევილს მოესმა უჩვეული ხმა. მსწრაფლ კარებს ეცა. გაიხედა. გააჩნია ვინმე ყმა, რომელიც ღალადების ხმით შესაფარებელ ბინასა სთხოვდა. შეშინებული მოულოდნელი სანახაობით, განდევილი უცნობს ჰკითხავს: ვინა ხარ? კაცი თუ მავნე, აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან? როდესაც მწირი დარწმუნდება, რომ უცნობი ადამიანია, ძე ღვთისა და შეფარებას თხოულობს, შეფიქრებულნი და გამოურკვეველი შინაგანა ბრძოლის დაწყებით ეტყვის: „ცოდვია გარეთ დაგტოვო ამ დროს... თუ მაცდური ხარ, ჩანს ღმერთს ზწადიან მწირი ცოდვილი ღღეს გამოძეადოს“... აქ პოეტი უკვე იძლევა მწირის ტრაგედიის კვანძს, რომლის კატასტროფული ვაშლა პოემაში არაჩვეულებრივი პოეტური ექსპრესიის დაცვით ვითარდება. პოემის სიუჟეტის განვითარებაში, პოეტური ექსპრესიის თანდათანობით ვაშლაში გეჰსით მალაღი ნიჭით შესრულებული მუსიკალური სიმფონიის კრეშენდო.

ბრძოლისათვის გამზადებულმა მწირმა, როდესაც მგზავრი თავის სენაკში შეიყვანა და ქალის ხმა გაიგონა: „შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან. ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა განსაცდელი რამ მოუვლინა?“. ამ აზრმა მწირს გულში ელვასავით ზარდაცემით გაურბინა. მწირმა ეს გარემოება მიიღო, როგორც ღვთისაგან მივლინებული განსაცდელი და „კისრად იღო, ვით ნება ღვთისა, სასოებით და გულდამშვიდებით“. თუმცა პოეტი ამბობს გულდამშვიდებითო, მაგრამ ამით მკითხველს უფრო მკვეთრად აგებინებს, რომ მწირი აღარ არის გულდამშვიდებული, ეს გულდამშვიდება ნაძალადევია. მწირში დაწყებულია ბრძოლა. აქაა სიუჟეტის კვანძის დინამიკური ვაშლა.

აღმოჩნდა, რომ მგზავრი მწყემსი ქალია, რომელიც ცხვრის ფარას აძოვებდა. ის მშვენიერმა ამინდმა და ბუნებამ შეიტყუა, თუმცა მამისაგან გაფრთხილებული იყო — „ნუ ენდობი მყინვარსაო“, მაგრამ „რას იზამ, — გულუბრყვილოდ უამბობს მწყემსი ქალი მწირს, — მოდი გულს უთხარ კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო

ხარბი“. მყინვარმა უცებ მრისხანედ წარბი შეიკრა. ცა მოიღრუბლა, წამს ჩამობნელდა. მთიდანა ცივი ავარდა ქარი. მაშინ მწყემსმა ქალმა გაპობრუნება მოინდომა, მაგრამ გვიანლა იყო. სეტყვამ ტყვიასავით წამოუშინა. ცხვარი გაუფროთხა, სიბნელეში წინ ფეხი ვერ წადგა... ველარ გაბედა ბნელში და ავდარში წასვლა. მოულოდნელად ჯაჭვს ზედ წააწყდა. მიხვდა, რომ აქ მყინვარის მონასტერია (გაგონილი ჰქონდა, რომ აქ მონასტერში ვლაც ბერი ცხოვრობდა) და გახარებული დიდხანს ეძახდა. „სხვა ზომ შენ იცი... ღმერთმა გარჩინოს, როგორც შენ მე დღეს გადამარჩინე“ — ათავებს თავის გულუბრყვილო, მიმზიდველობით სავსე ამბავს მწყემსი ქალი.

ქალი ცეცხლზე გათბება და დადლილს, მწირთან ბუნებრივი სიცოცხლითა და სიკეკლუცით სავსე მკირე ბაასის შემდეგ, მალე ჩაეძინება. პოეტიც სარგებლობს მომენტით ამ უშუალო ცხოვრების შვილის, მწყემსი ქალის, გარეგნობა დახატოს, რათა საშუალება ჰქონდეს სრული კონტრასტი წამოაყენოს, მკითხველს საშუალება მიეცეს როგორც მწირი, ისე მწყემსი ქალიც ყოველმხრივ დაინახოს:

საოცარ იყო მიძინებული  
იგი სიტურფე, იგი შევენება!...  
თითქოს მის შექმნას ერთად ცდილანო  
თვით სიყვარული და ნეტარება.  
თითქო თვით მადლსა შევენებისასა  
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია  
და ეშხსა, ვითა იაღონს ვარღზედ,  
სული მის ღაწვზე დაუღევია.

არაჩვეულებრივმა გარემოებამ კალაპოტიდან გამოიყვანა დამშვიდებული და დაწყნარებული განდევგილის ცხოვრება. არაჩვეულებრივმა მდგომარეობამ და სანახაობამ ააღელვა, ააფორიაქა მწირი. ის გამოუტყვეველი, თავბრუდასხმული გარშემო იყურება. განდევილი თითქოს რაღაც შემაცდუნებელს ეძებს. მაგრამ არავის ხედავს, გარდა მწყემსი ქალისა. აფორიაქებული სული მას თითქო დაუცხრება. მაგრამ ქალი მწირს მძლავრ ანდამატსავით კვლავ იზიდავს. შორიდება სურს, მაგრამ თვალი ეურჩება, არა ნებდება. იწყება ხორცუძღურქმნილ ბერში ბუნების ძახილი. აქ იწყება კულმინაცია, რაც, როგორც ჩვეულებრივია ილიასათვის. გახანგრძლივებულია.

დიდხანს დასცქერდა... ნეტა რა სხივი  
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..

პარწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის  
ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!  
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...  
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძვრა!..  
ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს  
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა.  
როგორ იწამოს და რა დაარქვას  
ამ ჭერ არ-ცნობილს სიტკბოებასა?  
თუ ცოდვა არის, ეგრე რაღა ჰგავს  
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?

მეტად მძლავრი, მაღალი მხატვრული გადახსნაა ამ „ხორცუძ-  
ლურქმნილი“ მწიარის გამშრალი გულის „ებნის სიმთა ჟღერისა“. ამ თავში და შემდეგაც (24, 25, 26 და 27) პირდაპირ შეუდარებელი ოსტატობით არის გადმოცემული ამ „ხორცუძლურქმნილი“ მწიარში სიცოცხლის გაღვიძება და ბრძოლა განყენებული იდეის უსაცოცხლო ძალასთან. მთელი ეს პოემა და განსაკუთრებით აღნიშნული თავები პირდაპირ ხელიხელსაგომანებელია ჩვენს ახალ ლიტერატურაში. აქ ილია ჭავჭავაძე, მართლაც, როგორც პოეტი, მოაზროვნე და შემოქმედი, დიდია, მაღალი, მძლავრი, მედიდური, გამარჯვებული. ის ადამიანის ცხოვრებას, მისი სულისკვეთების ნიჭიერი ფულთამხილავია. მან ზედმიწევნით იცის ყაყის ბუნების ყოველი ნერვის, კუნთის მოძრაობა და მიმართულება.

აფორიაქებული მწიარი ფეხს წინ წადგამს, არ იცის-კი რად. ქალს კვლავ ეძინა. მისი მომხიბლავი სანახაობა ჯადოსნურად „ზედ დასაკვდომად კოცნას იწვევდა და იმა წვევის მაცდურებას ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძღებდა“. ვერ გაუძლო მწირმაც. მისი მადლი ამ მწყემსი ქალის სილამაზესთან უძლური გამოდგა. რაღაც ძალამ მწირს ქალისაკენ თავი დაახრეინა. მაგრამ ის უცებ გაშეშდა. მას მოაგონდა, რომ მაცდური სურვილის გონებასა და გულში გაეღებაც კი ცოდვაა. ებრძვის მწიარი თავს. ებრძვის ღვთისაგან უკვე მიჩნეული სული, „ესოდენ ღვაწლითა და ტანჯვით ძლეული“, ხორცს არ დაუთმოს. ებრძვის მწიარი თავს... თითქოს იმარჯვებს კიდევ, მაგრამ აფორიაქებულ მწიარს ყურში რაღაც ხმა დემონური ხარხარით ჩასძახის: „დავძლიე თუ არა?“... შეძრწუნებული მწიარის სული „გულს იწვევს ღვთისა ვედრებლად, გული სხვას ამბობს. არა ჰნებდება“... მწიარი ცდილობს წყეული ხორცი ღვთისმშობლის საფარქვეშ დააწყნაროს. მავედრებელ თვალს მიმართავს ხატს, მაგრამ „წმინდა ღვთისმშობლის ნაცვლად, თვალწინ დაუდგა იგივე ქალი“. ეს გარემოება უფრო ააფორიაქებს მწიარის სულს. მთელი ცხოვრების საშინელი კრახის განცდის ბურუსში გახვეული მწიარი ჭოჯოხეთური სიძვეავით ფანიცდის ამ კატასტროფულად

განვითარებული ბრძოლის ტყველებს: კარგავს წონასწორობას, სიმშვიდეს, ველარ ერკვევა — რა ხდება მის გარშემო:

პირჯვარი უნდა — ხელი არ ერჩის,  
ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება,  
ხატის ხილვა სწყურს და იგივ... იგივ...  
ქალი წყვეული თვალთ ელანდება!  
„აბა სძლიეთ!..“ და კვლავ ვილაკამ  
გაიხარხარა იმის სენაკში...

ამ ბრძოლას ველარ უძლებს მშრალი გული, ნიადაგსა და დასაყრდენს გამოცლილი გაწამებული სული მწირისა. აუტანელია მისთვის სინდისის ქენჯნის ეს დემონური გამოძახილი, მის ყურში რომ გაისმის. ველარ უძლებს ის იმ ხარხარს, როგორც გიჟი გარეთ გამოვარდება.

მშვენიერია მყინვარის ნაპრალებში უგზო-უყვლოდ მოხეტიალე, თმაბურძგვნილი, ვით სიკვდილი, გაფითრებული სახე მწირისა. ღონემიხდილი, იმედშერყეული, აფორიაქებული ბერი ზღუდის პირს მივარდა და მოწყურებულ მზის ამოვლას უცდის. აქამდე მწირი თუ დროს არ ამჩნევდა, თუ დრო მისთვის აღარ არსებობდა, ახლა წუთის მოცდაც კი მისთვის აუტანელია, მძიმეა, საუკუნეა. მზის ამოსვლას უნდა გადაეწყვიტა მისი ბედი. აგერ დაინახა მან მზის შუქი, იმავ სარკმლიდან სვეტად გადმოშვებული. მწირს გულზე მოეშვა. კვლავ ნახა „ცხოველი ხატი“. ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა... ლოცვანს მივარდა, დააყრდნო სხივს, მაგრამ სხივმა არ დაიჭირა. მწირი რწმუნდება, რომ ის, რაც მან ასეთი ტანჯვით, ცრემლით, მსხვერპლით მიიღო, დაკარგულია. შეძრწუნდა:

დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,  
განრა, გაშეშდა ზარდაცემული,  
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა  
და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული.

აქა ნაწარმოების განხნაც.

„განდეგილი ის“ დედიაზრი მეტად აშკარაა და გარკვეული. ყველასათვის ცხადია, რომ აქ დაპირისპირებულია ორი ძალა: რეალური და ირეალური, დედამიწა და ცა; მსოფლმხედველობა: რეალური და განყენებული; ორი კულტი: კულტი ცხოვრებისა, ცხოვრების დუდილისა და კულტი ცხოვრებისაგან გაქცევისა, ასკეტიზმისა. განდევილი ცხოვრებას გაქცევისა; მას ცხოვრებაზე ხელი აუღია, ბუნებრიობა, ნამდვილი არსი თავისში ჩაუკლავს. ცხოვრების გარეშე მყოფი უცნობი იდეისათვის, საიქიოსთვის სააქაო



დაუტოვებია. სულიერი სიმშვიდე მწირს მოუპოვებია „დღედაღამ ლოცვით, გოდებით, გვემით, ხორცის სულისათვის წამებით“. მწყემსი ქალი კი ცხოვრების ჩქეუისა და დუღილის გამომხატველია. მას უყვარს ცხოვრება ემპირიული, ხილული. ის მითი სტებება. „განდეგილის“ დედააზრიც ასეთია:

ადამიანსათვის არ არსებობს სულიერი სიმშვიდე და სრული დაკმაყოფილება საზოგადოებრივი ცხოვრების გარეშე. ვინც მორიდლობებს ცხოვრების გარეშე იპოვოს დაკმაყოფილება, სიმშვიდე, ის ისე დაიღუპება უკვალოდ. როგორც დაიღუპა განდეგილი.

ამ შეხედულებას ილ. ჭავჭავაძე შემდეგითაც გვაჩვენებს.

„განდეგილი“ მკვეთრად მოჩანს დიდი მხატვრის მარჯვენით გამოქანდაკებული, ერთი მხრით, სახე გულმშრალი, ყველა ხორციელ გულსთქმა ჩაკლული და დამარხული მწირისა, მეორე მხრით, სახე წარმტაცი მწყემსი ქალისა, რომელშიც ზიოცხლის წყურვილი მძლავრად სცემს, რომელსაც ვერ გაუგია „ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა კაცისა“, რომელიც განდეგილს გულუბრყვილოდ და გაკვირვებით ჰკითხავს: განა ესე ლამაზად წუთისოფელი ღმერთმა იმისათვის მოართო, რომ „ადამიანმა შეაჩვენოს და აიღოს ხელი?!“ და გულუბრყვილობითა და გადაჭრით განაცხადებს, რომ „ღმერთო ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას... ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!..“

და აი, როდესაც ეს ორა მოწინააღმდეგე ძალა, ორი ადამიანი — გულმშრალი მწირი და ცოცხალი ცხოვრების მთრთოლავი ნაკვთი მწყემსი ქალი ერთმანეთს შეხვდებიან, დიდი დრამატიზმით იშლება გავლენა, რომელსაც მწყემსი ქალი მოახდენს ბერზე. პოემასი მხატვრული ვირტუოზობით არის ნაჩვენები როგორ იღვიძება „ლოცვით და მარხვით“ ხორცუძლურქმნილ წმინდანში სიციხლის ძალა, როგორი სიმძლავრით ატოკდება მის სხეულში ცხოვრების ნდომის ნერვი. მეტად საინტერესოა ამ მხრით თავები: 18, 19, 20.

მწყემსი ქალი გაათავებს თავის თავგადასავალს. სიკვდილისაგან დახსნისათვის მწირს მადლობას გადაუხდის. მწირი ღმერთზე მიუთითებს და ეტყვის, რომ ის არის ყველას მხსნელი, მწყემსი ქალი სისადავით, ბუნებრივი სუკეკლუტით ჰკადრებს განდეგილს: „შენ-კი ემშაკი, მგონი, გეგონე“. მწირი ველარ უძლებს განსაცდელს, ირყევა და ასე ხსნის თავის განცდას:

— „ნუ მაწყენ, შეილო, და ნურცა გიკვირს!..  
შენ სთქვი, სხვა ვინა მოხედავს ქვეყნით  
ერთს დაიწყებულს და განდეგილს მწირს!“

აქედან უკვე აშკარავდება განდევილის სულიერი სიმშვიდისა და კმაყოფილების რღვევა. აქედან უკვე აშკარაა მკითხველისათვის მწირის ბუნებაში მთვლემარე, თითქოს ჩაკლული ნახევრის, დამშეულის გაღვიძება.

„განა ქვეყნადა შენ არავინ გყავს, ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?!“ — ცნობისმოყვარეობით აღსავეს მწყემსი ქალი განაგრძობს გულუბრყვილო შეკითხვას. „მყვანდნენ და ყველას გამოვეთხოვე, აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი“, — უნაღვლოდ და უგულანაკლებოდ უპასუხებს განდევილი. მწყემსი ქალი თავის უშუალოდობით გრძნობს განდევილის დაუკმაყოფილებელ ტონს, და შესაძლებელია გაცილებით უფრო მკვეთრად, ვიდრე თვით გულმშრალი განდევილი. ამიტომ ქალი არ კმაყოფილდება, არ ცხრება მისი ცნობისმოყვარეობა და გაკვირვებული განაგრძობს დაჟინებით შეკითხვას:

— „მოშორდი და აქ სულ მარტოა ხარ?“

..ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!  
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!  
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,  
აქ ჭირია და, იქ კი ლხინია.  
ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი  
ყველა გულიდამ ამოგილია?  
ნუთუ ნაღველი, დარდი და ჭავრი  
თან არავისი წამოგილია?  
არ გაგონდება არც მამა, დედა,  
ან ძმა. ანუ და, ან სახლი, კარი?  
ნუთუ მის-ღლეში არა გყოლია  
მოკეთე, გულის შემატკივარი?!  
როგორ მოშორდი?..“

აი სალი გრძნობა ადამიანისა! აი შემეყრთებელი ძალები საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, რომელიც ასე მჭიდროდ აკავშირებს ყოველ მოქალაქეს და ურომლისოდაც ადამიანი არარაა, დაცარიელებულია. მწყემსი ქალის შეხედულებით, უამისოდ ადამიანი წარმოუდგენელია, უსიცოცხლოა, და რასაც სიცოცხლე არა აქვს, ხომ მკვდარია! ამიტომ ამბობს მწყემსი ქალიც: „ვერ ვიზამ მავას, ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს“.

მწირის სულიერი სიმშვიდეც დარღვეულია, წონასწორობა დაკარგულია. და ის, რწმენაშერყეული, დაბნეული, ასე უპასუხებს: „რა გითხრა შვილო, ყველაზე უფრო სული ტკბილია. იგი ტყვე არის წუთისოფლისა და ეგ ყოველი მის ბოჩკილია“.

მწყემს ქალს ვერ გაუგია ასეთი ცხოვრებისა და შეხედულებების *raison d'être*, ეძებს მიზეზს, გამართლებას ასეთი ცხოვრებისა და განდევნის რაღაც დაუჭერებელი გულუბრყვილო ექვით კითხავს:

— „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წაეწყდებით, ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“

მწყემსი ქალის გულუბრყვილობა, სიფაქიზე, სიმშვენიერე, ცხოველი მაჯისცემა და ბოლოს ასეთი გონებამახვილიანი, სავსე უწუალობითა და საღი ალლოთი კითხვები მწირს საბოლოოდ შეარყევს, ჩიხში მოამწყვდევს. აქ არის პოემის ფაბულის განვითარების უმაღლესი მწვერვალი, აქ იჭიმება არა მარტო მწყემსი ქალის ყურადღება, რომელიც დამაკმაყოფილებელ პასუხს მოელის მწიჩრისაგან, არამედ ისეთივე სიმძაფრით მკითხველისაც. მკითხველი გრძნობს, რომ მწირი ბეწვის ხიდზეა შემდგარი და მოუთმენლად ელის საკითხის გადაწყვეტას. ახსნა გულუბრყვილოდ, მაგრამ აზრიანად და პირდაპირ დასმული კითხვისა მწირმა ვეღარ მოახერხა, საეკლესიო მწიგნობრობაში გამობრძმედილი ბერი ჩიხში მოემწყვდა. აღარ იცის ამ კითხვის მიხედვით როგორ-ღა გაამართლოს თავისი განდგომა ცხოვრებდან და აფორიაქებული, გამშრალი გულიდან ამოსკდება: „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნი-სა ესეთი მერგო მე უბედურსა“—ო. მწირის რყევა აი აქ დამთავრდა, და დამთავრდა კატასტროფით. მწირი დამარცხდა, მისი სულიერი მყუდროება დაიწვია, მოისპო. თვით პოეტიც დაინტერესებულია ამ კატასტროფით და კომენტარებს ურთავს. პოემის განვითარებაში ეს ერთგვარი ლირიკული წიაღსვლაა, მძლავრი მხატვრული ნიჭით ჩაქსოვილი. წიაღსვლაც ილ. ჭავჭავაძის სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ილ. ჭავჭავაძეს უყვარს შეიჭრას სიუჟეტის განვითარებაში, რათა მკითხველს უფრო გარკვევით შთააგონოს, რის თქმაც მას უნდა:

„უბედურსაო“!?, და მწირსა უცებ  
გულს ელდა ესა ამ სიტყვის თქმანედ...  
ესეთი სიტყვა ხომ ჩაივლია,  
და ვით მოადგა იგი ენაზედ?  
„უბედურსაო“!?. ეგ ხომ სიტყვაა  
გულის-ტყენის და სამღურავისა!  
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკენესა  
ბედნიერების დამკარგავისა!..  
მან რა დაჰკარგა?... ნუთუ არ ჰყოფნის,  
რომ მან დასძლია საწუთროება,

ჯანდგა მისგან და აქ მოიბოვა  
 სულის მშვიდობა და მუუღროება?  
 წლთუ დაკარგვად აწ მიიჩნია  
 დამარხვა ხორცის, გულთქმის, ვნებისა,  
 და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა  
 წმინდა საყდარი უკვდავებისა?  
 რა დაემართა? რა მოუვიდა? |  
 რუთუ უჩივის აწ იგი ბედსა?  
 ნუთუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას  
 და მუნათს რასმეს სდებს შემოქმედსა?

იწყება მწიროში გაშვავებული ბრძოლა ცხოვრებასთან დაბრუნების გაღვიძებული სურვილისა, ერთი მხრით, და შემადრწუნებელი შიშისა — არ გასწიროს ღვთისაგან შევედრებული სული, მეორე მხრით. თავებში 23, 24, 25, 26, 27; როგორც ზეერთაც აღვნიშნეთ, მაღალი მხატვრული ნიჭითაა დასურათებული მწიროში ცხოვრებისადმი გაღვიძებულსა, მიზიდულსა და ცხოვრებიდან უკუქაზილ ხმებს შორის სამკედრო-სასიცოცხლო ჭიდილი, რომელიც თავდება განყენებული იდუის მატარებელი, ცხოვრებიდან გაქცეული განდევნილის დამარცხებით.

საკმარისია მწიროს სენაჲში შეიჭრას ცხოვრება, საკმარისია განდევნილს უშუალოდ შეეხოს ცხოვრება, რომ მრავალგზითი ტანჯვით მოპოვებული, „ტანჯვითა ზედა განდიდებული“ სული ყირამალა დაატრიალოს. განდევნილი ცხოვრების მცირე შებრძოლებასაც ვერ უმაგრდება, უნუგეშოდ მარცხდება. მარცხდება მიმართულება მისი, მარცხდება და გავერანდება სადგური მისი. და რომ მართლაც ასეთია თვით ავტორის ღრმა რწმენა, ჩანს იქიდან, რომ, გარდა მთელი მოქმედების განვითარებისა, რომელიც ამ შეხედულებას ასე მკვეთრად გვიჩვენებს, ავტორი პოემას დაურთავს საგულისხმო ეპილოგსაც:

და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ  
 ღმერთი მსჯავრის და ქეშარიტების,  
 იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ  
 მსხვერპლი ქებისა და დაღადების, —  
 აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა  
 მარტო ჭარილა დადის და ქშუის,  
 და გამომფრთხალი ქეჟა-ქუხილით  
 ნუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...

აი როგორ აღიგავა და უკვალოდ დაიკარგა წმინდა მამაჲა ნა-  
 მოქმედარი.

ამგვარად, „გ ა ნ დ უ გ ი ლ შ ი“ ილია ჭავჭავაძე ისევ ის რეა-

ლისტია, რომელიც კაცისაგან თხოულობს ცხოვრებას არ გაექცეს, ჩავიდეს ცხოვრების მორევში და მარგალიტთან ერთად ლექი და ლაფიც ამოკრიფოს. პოეტის აზრით, ცხოვრება მისთვის არსებობს. რომ ადამიანი დატკბეს მით. ცხოვრება ლამაზია თავისი ბუნებრივი მონაცემებით და ადამიანმაც თავისი ზნეობრივი ჰიმაღლე და სიფაქიზე სწორედ თვით ცხოვრების მორევიდან უნდა გამოიტანოს. აქ ცხოვრების მორევში, თუნდაც დუბჭირში, ადამიანი უნდა განიბანოს და ამალღდეს. ადამიანსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის უნდა ხდებოდეს ერთგვარი მუდმივი ალებმცემობა. სწორედ ამ შემთხვევაში ხდება ის, რაც აუცილებელია სოციალური ცხოვრებისათვის, რაც აუცილებელია ადამიანისათვის, რომ მან თავისი თავი იპოვოს, თავისი ღირებულება განაცადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანის ცხოვრება კარგავს თავის შინაარსს და დანიშნულებასაც.

პოემა „განდევილი“ ცხოვრების ნიჭიერი აპოთეოზია.

„განდევილში“ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა ძირითადად ისევ ისეთია, როგორიც იყო „მგზავრის წერილებში“. „განდევლის“ ლეიტმოტივი მოგვაგონებს „მგზავრის წერილების“ ლეიტმოტივს, რომელიც ამ მშვენიერი ნაწარმოების შემდეგ სიტყვებში იხატება: „არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავისი ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაივავლახითა“, — აი მთავარი მიმართულება, რომელიც წითელ ზოლსავით მოსდევს მთელ მის შემოქმედებას და რომელსაც რეალიზმი ეწოდება. ამ მიმართულების მაღალი და მძლავრი პოეტური გამომხატველია პოემა „განდევილი“.

პოემა „განდევილში“ ილია ჭავჭავაძე თავისუფალია, გაბატონებულია ლექსის ქმედებაში (პოემა დაწერილია ათმარცვლოვანი ლექსით). პოეტი დიდაა არა მარტო მძლავრი და მიმზიდველი სახეების ნიჭიერი ოსტატური გამოქანდაკებით, არამედ აგრეთვე ლექსის, რიტმის დაძლეველთაც. უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსი ხშირად მძიმეა, უხვად დატვირთული, გარეგნულ ფორმას, მის გაშალაშინებას ავტორი ხშირად თითქოს სათანადო ყურადღებას არ აქცევდა (ეს, ალბათ, აიხსნება იმ უტილიტაროზმით, რომელიც ილიამ ხარბად ისუნთქა რუსეთის 60-იანი წლებიდან და რომელმაც ღრმა ბეჭედი დააწვა მის შემოქმედებას). „განდევილში“ კი მაღალი პოეტურა ოსტატობითაა შეზავებული შინაარსისა და გარეგნული ფორმის განვითარება მაღალ მხატვრულ მთლიანობაში. ილია ჭავჭავაძე ამ ნაწარმოებით ლექსშიც პოეტური ქმედობის უმაღლეს მწვერვალებზე ავიდა. პოემა „განდევილი“,

მართლაც, უდავოა *chef d'œuvre*-ია არა მარტო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, არამედ მთელი ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

8

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ შეუძლებელია გვქონდეს გარკვეული წარმოდგენა, თუ არ განვიხილავთ კიდევ მის ერთს ნაწარმოებს, რომელიც მის პოეტურ მოღვაწეობას თითქოს ამთავრებს. ეს გახლავთ მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“, ეს ნაწარმოებაც ერთ-ერთი ძვირფასი განძია ილია ჭავჭავაძის პოეტურ სალაროში. აქ ერთხელ კიდევ გადაშლილია „ამ უთავბოლო და უსწორ-მასწორო წუთისოფლის საჭირბოროტო და წყევლა-კრულვიანი საკითხები“, ის საკითხები, რომელთა გადაჭრაც ილია ჭავჭავაძეს მთელი შემოქმედების მანძილზე ანუ აწუხებდა. ილია ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივით“ დახურა თავისი მნიშვნელოვანი, მრავალმხრივ შინაარსიანი პოეტური მოღვაწეობის კარები.

ამ უსწორმასწორო წუთისოფლის ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხის გაშლიათვის ილიას გამოყენებული აქვს თავისი ჩვეულებრივი პოეტური ხერხი — ორი წოდების — თავადაზნაურობისა და გლეხობის დაპირისპირება. თავადაზნაურობის წარმომადგენელი არიან არჩილი და მისი დაკეთსო, გლეხებისა — ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი გიორგი.

„ოთარაანთ ქვრივი“ დაწერილია 1887 წელს. ხანა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგია. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ოცს წელიწადზე მეტმა გაიარა. დრომ, კაპიტალიზმის განვითარებამ სოციალური ურთიერთობის ობიექტური პირობები საგრძნობლად შეცვალა. თავადაზნაურობაც აღარ არის ძველებური სახისა და მსოფლმხედველობისა. არჩილი და კესო საკმარისად შორს წავიდნენ და თიკოსა, ლუარსაბა და დარეჯანთან შედარებით. ისინიც, მართალია, მოღუწებულნი არიან, მათ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო ცეცხლი და უნარი მოქმედებისა აკლიათ, მაგრამ დარეჯანსა და ლუარსაბსავეთ მაინც არ არიან. მათში ილია ჭავჭავაძე იძლევა ახალი სოციალური ფორმაციის სახეს. თუმცა, როგორც ქვევით დავინახავთ, საკმარისად მკრთალ სახეს. ეს სახეა რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებაში „მონანიე აზნაურის“ სახელწოდებით ცნობილი ტიპი ინტელიგენტისა.

გლეხები ამ დროს აღარ არიან სავსებით უფლებაყრილნი. მათ ამ დროს უკვე აქვთ ზოგიერთი უფლება მოპოვებული. აქვთ

ოჯახი, რომლის ხელის შეხება, აწიოკება ისე ადვილი აღარ არის. აქვთ საკუთრება, რომლის დარბევა და ჩამორთმევა ძველებურად ბატონის თვითნებობით აღარ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, გლეხი აღარ არის მთლად კანონის იარაღზე დაყენებული. ახალმა პირობებმა გლეხობას მისცა საშუალება (თუმცა მეტად სუსტი) ნიჭისა და უფლების განვითარებისა და შემლახველისაგან პასუხისმგებლობის მოთხოვნისა. ოთარაანთ ქვრივი ახლა ტყუილბრალოდ არავის აღარ დაეჩაგრებოდა. „მე მარტო ია ვარ, — ამბობს ოთარაანთ ქვრივი, — ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილბრალოდ არავის დავეჩაგრებინები. თუ გაჰქირდა რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდე ვივლიო“. ასე განვითარდა, ასე წაიწია წინ ერთმაცა და მეორემაც — გლეხმაც და მემამულემაც. მაგრამ მათ შორის გაგება, ურთიერთდამოკიდებულება მოწესრიგებულა? ამითავარი საკითხი, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ასე სტანჯავდა. ამიტომ მივიღეთ ნაწარმოების მოქმედ პირებთან უფრო ახლო.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ არჩილი და კესო „მონანიე აზნაურების“ ტიპს მოგვაგონებენ (რასაკვირველია, მეტად მკრთალად). უფრო ზევით, როდესაც რუსეთის 60—70-იანი წლების საზოგადოებრივ აზროვნებას ვეცნობოდით, აღვნიშნეთ, რომ „მონანიე აზნაური“ 60-იან წლებში გამოდის, ხოლო მტკიცდება 70-იან წლებში.

ძველი ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევამ რუსეთში, მასზე აღმოცენებულმა ვაჭრობა-ნრეწველობის განვითარებამ, როგორც ამისი შედეგი — საზოგადოების სოციალურმა გადაჯგუფებამ, ამასთან დაკავშირებით იდეურმა მოძრაობამ, კაცისა და შრომის განთავისუფლებით გატაცებულმა, გამოიწვია ჩაგრულთა მასების დარაზმვა და მათში უკეთესი მომავლის მოპოვების სურვილი გააღვივა.

ცხოვრების ეკონომიური პირობების შეცვლამ და მასზე აღმოცენებულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გარკვეული გარდატეხა მოახდინა ჩვენი თავადაზნაურობის წრიდან გამოსული ახალგაზრდა ინტელიგენციის აზროვნებაშიც. ახალმა სოციალურმა მოვლენებმა ისინიც დააფიქრა. „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი მათ წინაშე მწვავედ დასვა და მათში მოქალაქის ერთგვარი პასუხისმგებლობა გააღვივა. გლეხკაცთა ოფლითა და შრომით მიღებული პირადი ფუფუნება და უზრუნველი ცხოვრება ლუარსაბ თათქარიძესავით დაკმაყოფილების ეშხითა და უპირატესობის სიამოვნებით ამათ აღარ ავსებს. ეჭვი ასეთი ცხოვრების სისრულისა, სიამოვნებისა და სამართლიანობისა ღრღნის მათ გაღვიძებულ სინ-

დისს. პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე და მათთვის ზრუნვა „მონანიე აზნაურის“ ცხოვრებას თავისებურ ახალს მიმართულებას აძლევს.

ჩვენი ინტელიგენციის აზროვნებაში ამ მიმართულების ნიშნები (მართალია, მეტად მკრთალი) გვაქვს თერგდალეულების მოღვაწეობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ „მონანიე აზნაურის“ მსოფლმხედველობა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ისე ვერ ჩამოყალიბდა, როგორც ამას რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვხედავთ.

თავდაზნაურობა კაპიტალიზმის განვითარების გამო ადვილად დაირღვა. თავდაზნაურობის მოწინავე ნაწილმა იგრძნო შრომის აუცილებლობა. ის იძულებული შეიქნა ცხოვრების ახალი სახსარი გამოენახა. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად შეიქნა სწავლა. სწავლის მიღების მოთხოვნილებამ ჩვენი თავდაზნაურული ახალგაზრდობა რუსეთში გაამგზავრა. აქ ისინი დაეწაფნენ ახალი ცხოვრების იდეებს, რომლებითაც რუსეთის 60-70-იანი წლების ცხოვრება მძლავრად იყო გაყენებული.

რუსეთის მოწინავე საზოგადოების აზროვნება ჩვენს თერგდალეულებს დაეხმარა თანამედროვე ცხოვრების იქით მომავალი შინაარსიანი ცხოვრება დაენახათ: აგრძნობინა და აჩვენა მათი ნაკლი, ცლუხის მდგომარეობა, მასი დადებითი მხარეები, მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების საჭიროება. ამან გამოიწვია გონებრივად გამოფხიზლებული და გლუხების ხარჯზე თავისი პრივილეგიური მდგომარეობის მტკივნეულად შემგრძნობელი ინტელიგენცია, რომელიც ცნობილია „მონანიე აზნაურის“ სახელწოდებით. ვიმეორებთ, „მონანიე აზნაურის“ ტიპი ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაში არ არის ისეთი მკაფიო და სრული, როგორც რუსეთში. ჩვენში ეს ტიპი საგრძნობლად მკრთალია, ან ისეთი უსისხლოა, როგორც არჩილი<sup>21</sup>.

---

21 მის. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, თერგდალეულნი და ხალხისნები ქართულ ლიტერატურაში, გვ. 269—288; მ ის ი ვ ე, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. III. გვ. 347—407.



გავიცნოთ არჩილი.

არჩილი განათლებული კაცია. ის ადამიანის, გლეხის პიროვნებას, მის ღირსებასა და უფლებას პატივისცემით ეპყრობა. არჩილი სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა თავის სოფელში, სადაც „გვარჩიანი სახლ-კარი და მამულები დაჩჩა მამისაგან“. დაიწყო აქ ცხოვრება თავის ნასწავლ დათან — კესოსთან ერთად: მიჰყო ხელი მეურნეობას. დაძმის გლეხობასთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება აქვთ, „სოფელი ძალიან ემადლიერება ამ დაძმას“, — ამბობს ავტორი. მაგრამ ამასთან ერთად ავტორი იმასაც გარკვეულად გვაჩვენებს, რომ ამ დაძმის ცხოვრებას წიგნის ბეჭედი აზის: ისინი წიგნებიდან იცულებიან, წიგნით გრძობენ, წიგნით მოქმედებენ. ამიტომ მათ ერთგვარი უძარღვობა, უსიხსლობა, უსიციოცხლობა ეტყობათ, ისინი ცხოვრებას, მის დუღილს ვერ იცნობენ. ამას თვით არჩილი, გიორგის მიერ უნებლიედ ცხოვრების უცოდინარობაში გამოაშკარავებული (მოიგონეთ მათი საუბარი ვენახის გაშენების შესახებ), მშვენივრად აღნიშნავს: „ქვეყანაზედ, — ეუბნება გიორგისაგან ჭკვანასწავლი არჩილი კესოს, — ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი. ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ-კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ, რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია. თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყო“. აქ შეიძლება მკრთალ (რაც ჩვენი ცხოვრების სინამდვილით უნდა აიხსნას), მაგრამ დამახასიათებელ ხაზებშია მოცემული „მონანიე აზნაურის“ სურვილი გლეხთან, ხალხთან, მის ცხოვრებასთან ახლო მივიდეს, გაიგოს და გავაცნოს მისი გარემოება, ისწავლოს კიდევ მისგან. ამას ის არანცთუ არ ერიდება, პირიქით, ამაში ხელდავს გაჯანსაღების დასაბამს. მაგრამ, სამწუხაროდ, მას (ე. ი. მონანიე აზნაურს) ამისათვის სათანადო უნარი არა აქვს. ასეთი ხაზები ხომ ნაცნობია რუსეთის ცხოვრებაში, რუსულ ლიტერატურაში და ხალხოსანთა მიმართულებაში, განსაკუთრებით 70-იან წლებში. ილია ჭავჭავაძე, როგორც რეალისტი მწერალი, სედავს ხალხოსანთა უარყოფით მხარეებსაც, მათ უნიადაგობას და თავის ასეთს შეხედულებას არჩილისა და კესოს სახეში გვაძლევს.

არჩილის მონანიე სინდისის გაღვიძება, მისი თვითუკმაყოფილება და უნიადაგობა უფრო აშკარად მოჩანს 19—20 თავებში, „ჩატეხილი ხიდი“ და „განთიადის დასაწყისი“.

„ოთარანთ ქვირვი“ გაშლილ უსწორმასწორო წუთისოფლის საჭირბოროტო საკითხთა შორის მოცემულია გლეხსა და ნაბატონარს შორის ურთიერთობა. ილია ჭავჭავაძეც, დაინტერესებული სოციალური ცხოვრების მოწესრიგების პრობლემათ, კვლავ ამ საკითხს უბრუნდება თავის, შეიძლება ითქვას, უკანასკნელ

მხატვრულ ნაწარმოებში — „ოთარაანთ ქვივი“ და ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან შემდეგს ამოიკითხავს: ეს ურთიერთობა ნაბატონარსა და ნაყმევს შორის ისევ „უსწორმასწორა“, თუნდაც ისეთს მემამულე-თავადთან, როგორც არის არჩილი, რომელსაც ცოდნა და შეგნება „გაძლიერებულა აქვს სწავლითა“.

მიუხედავად იმისა, რომ არჩილი და კესო ძალიან დამორღნენ თავის წინაპრებს — ლუარსაბს, დარეჯანს, დათიკოს და სხვათა, განიმსჭვალნენ ხალხის კეთილდღეობის სურვილით, პიროვნების პატივისცემით, მაინც მათსა და გლეხკაცთა შორის გაუგებრობაა, „ხიდია ჩატეხილი“. თვით არჩილი ამას აშკარად გრძნობს. აქ არჩილის პირით თვით ილია ლაპარაკობს: „ისინი (ე. ი. გლეხები. — მ. ზ.), — ეუბნება კესოს არჩილი, — იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწუდენია, თვალი მართალი და უტყუარი“.

ამით აიხსნება, რომ არჩილსა და ხალხს შორის ვერ დაწყარდა უშუალო ნდობით აღჭურვილი დამოკიდებულება: როდესაც გიორგი ტრაგიკულად დაიღუპა და დაძმამ ის დიდის პატივისცემით დაასაფლავა, ხალხში მაინც უნდობლობის და უკმაყოფილების ხმა გაიჟმა: „კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბძენ თვალსაო“.

ამ ხმამ დაძმადისაც ნიაღწია. მათ შორას ამან მსჯელობა გამოიწვია. კესო ხედავს, რომ ეს ხმა არჩილს არ აშუოთებს და თითქოს ბუნებრივადაც მიაჩნია. კესო გაკვირვებით კითხავს ძმას: „მაშ მადლი მადლად, კეთილი კეთილად აღარ უნდა ვადიოდეს იმათში?!“. არჩილი, როგორც თვითონ განაცხადებს, „გლეხკაცს გუშონდელ ბალსავით კი არ შეჰხარის“ და ანგელოზი კი არა ჰგონია ის, არამედ ის მას სინჯავს, სჩხრეკს და როგორც ჭკუადაძვარი მგლოვიარე დასტირის თავის დაკარგულ ნახევარს“. აი რას ეუბნება იგი თავის დას (არჩილის პირით აქაც უეჭველად თვით ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობს, არჩილის მსჯელობაში ილია ჭავჭავაძე აქაც თავის შეხედულებას ამჟღავნებს): „ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ. ერთიცა და მეორეც ჩვენგან უკვართ, ეუცხოვებათ. რადა და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. კეთილისათვის რად მიზამს კეთილსაო, ჩემო რაოვო? და აი სწორედ აქ არიან მართალნი... ჩვენ ვინ და ისინი ვინ? ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ-მეთქი... იმათ ჭირსა და ლხინს ცალკე ლობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მოგვიხვედრებია, და რად უნდა გაგვიკორდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა?!“.

საკმარისად მძაფრადაა გამიჯნული ერთი და იგივე სოციალუ-

რი ცხოვრების ეს ორი ბანაკი და მათ შორის გარდაუვალი უფს-  
კრული. „ოთარანთ ქვრივში“ მკვეთრადაა ასახული ერთმანეთი-  
საგან ამ ორი ბანაკის ის დაუძლეველი განსხვავება და დაშორება,  
რომელიც შექმნა ხანგრძლივმა სოციალურ-ეკონომიურმა განს-  
ხვავებამ, ერთის მეორეზე გაბატონებამ. და ეს განსხვავება, ავტო-  
რის ჩვენებით, იმდენად მძლავრია, ღრმაა, რომ ასეთი ცხოვრების  
უვარგისობის მტკივნეულმა შეგნებამ და მისი გააწორების სურ-  
ვილმაც-კი ვერ შესძლო მისი დაძლევა. „აბა ერთი მითხარ, —  
განაგრძობს არჩილი თვითკრიტიკას, — რა დადის ესლა ჩვენ შუა.  
მარტო ერთი პრტყელი ენა მწიგნობარისა, — მე ჩვენი-სთანა  
კაცს მწიგნობარს ვეძახი. — მარტო პრტყელი ენამეთქი მწიგნო-  
ბარისა, — და ხარბი ხელი გაუმაძღარისა. ამისთანა მოციქულები  
აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ... და ნუ გვიკვირს, რომ ერთმანეთს  
უჩირქოთ ვერ გადაფურჩებით, როცა ერთმანეთს მოვხვდებით  
ხოლმე. კარგს ვიზამთ რასმე და ერთმანეთს მკვდრის ნახევრით  
გულს ვუჩხრეკთ. ამიტომაც კარგის მქნელი, იმათია თუ ჩვენი, ან  
სულელი გვგონია, ან მატყუარა. მკვდარი ცოცხალს ვერ დაინ-  
ხავს, ვერ გაიციოთხავს ცოცხლურად“.

დიდაც, მწარე და სამართლიანი თვითმხილებაა და საგულის-  
ხმო მით უფროა, რომ ამ თვითმხილებას ავტორიც იზიარებს. ილია  
ჭავჭავაძე აქ, როგორც რუსი მწერალი იტყოდა, გვაძლევს თავის  
«Ума холодных наблюдений и сердца горестных замет». ილია  
ჭავჭავაძე, როგორც რეალისტი მწერალი, აშკარად გრძნობს, რომ  
80-იან წლებშიც-კი ამ ორი ბანაკს შორის. მიუხედავად იმისა, რომ  
პიროვნება განთავისუფლებულია, გლესს ნურიდიული უფლება  
მინიჭებული აქვს, მაინც ცხოვრების უსწორმასწორობა დიდია.  
ნაბატონარსა და ნაყმევს შორის ჭერ კიდევ არ არის აღთქმული ხი-  
დი გაღებული. მათ შორის მაინც დაუძლეველია საუკუნეების მან-  
ძილზე სოციალურ-ეკონომიური უთანასწორობით გამოძღვრებული  
წინააღმდეგობა, გაუგებრობა, მოუთავსებლობა.

ილია ჭავჭავაძე კარვად ხედავს, რომ საზოგადოებრივი ცხოვ-  
რების ასპარეზზე ეს ორი მოქმედი სოციალური ჯგუფი (თავადაზ-  
ნაურობა და გლეხოზბა) არ არის თანასწორდირებულებიანი, რის  
შეგნებაც, გაგებაც ილიას აუცილებლად მიაჩნია საზოგა-  
დოებრივი წინმსვლელობისათვის. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე  
არჩილის პირით შემდეგს ამბობს: „ჩვენ, რაცა ვართ, გაკეთებულნი  
ვართ, ისინი კი — შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი  
გვირისტიით შეკერილნი, იმ გვირისტიით, რომელიც მარტო ბუნე-  
ბამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი  
არიან, ჩვენ — დონდლონი, ღუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე:

ერთი გრძელი კენესა და მაინც სიმღერას ეძახიან, ჩვენი სიმღერა კენესა არ არის, და მაინც უხენა ვერ დაგვირქმევია“. განსაკვეთა მათ შორის, უდავოდ, არჩილის (ავტორის) შეხედულებით, დიდია, თვალსაჩინოა. ილია აქაც, როგორც წინა პერიოდში, გლუხისადმი იდეალური სიმპათიებითაა გამსჭვალული. იანა გლუხთა ტიპების (ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის, თუნდაც სოსიას) მოცემით არა მელანდებია, რომ ავტორი დადებითს გლუხობაში ექებს და ხედავს კიდევ. მკაცრი კრიტიკა არსებულისა ილია ჭავჭავაძის მიერ ამ ნაწარმოებშიც უსათუოდ გრძელდება.

მაგრამ გავაგრძელოთ არჩილისა და კესოს შორის მსჯელობის ანალიზი.

გლუხთა და თავადაზნაურთა შორის ასეთი პარალელის მოტანის შემდეგ კესოს უნდა აღნიშნოს, რომ არჩილს მიერ გლუხის შეფასებაში ერთგვარ ტენდენციას, იდეალიზაციას აქვს ადგილი.

კესო მოაგონებს ძმას, რომ გლუხებშიც მრავალი უარყოფითი მხარეა: გაუტანლობა, შეუბრალებლობა, უმადურობა-თავის მოძმე გლუხსაც-კი, თუ ვიწროში მოასწრო, „დაარჩობს, მიწათთან გაასწორებს“.

არჩილი დას აულელებელიც ეთანხმება. უპასუხებს, რომ ეს მას გაუგონია, ზოგიერთი უნახავს კიდევ. „მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქ დულს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, — ეუბნება არჩილი კესოს, — ეგ ჭუჭყია, ქათია მდულარე ცხოვრებისა თავზედ მოგდებული. ძირში კი წმინდაა. ნაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ-კაცს, როგორიც გიორგი იყო? ან იმისთანა დედაკაცს, როგორიც ოთარაანთ ქვრივია? მაგისტანა პური მარტო იმათს თონეში-ლა ცხვება, ჩვენი თონე-კი მარტო ჩვენისთანა კუტ პურს აცობს“.

ცხადია, ილია ჭავჭავაძისათვის ამკარაა, რომ ამ ორ წოდებათა შორის ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც უფსკრულია, დიამეტრალური სხვადასხვაობაა. სიმპათია ილიასი დაჟინებით გლუხებისაკენაა. მომავალიც, მისი აზრით, გლუხებშია, მათში „სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიც“. ამის დამამტკიცებელია ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის კოლორიტი, მოთხრობის მთელი შინაარსი და კომპოზიცია. ილიას მხატვრული ჩვენებით, წოდებრივ განსხვავებას აუგია მათ შორის გარდაუვალი კედელი, რომლის გადალახვა არავითარ ძალას არ შეუძლია. თვით სიყვარულის გრძნობა, სტიქიურად მძლავრი და თავისუფალი, უძლურია მანთან ბრძოლაში, ამ გრძნობასაც-კი მეორე ქვეყანაში გასასვლელი კარი მჭიდროდა აქვს დაურდოვებული. ასე რომ გიორგის, ამ „კაცური-კაცის“ მძლავრი სტიქიური სიყვარულიც-კი უძლური გამოდგა.

გიორგის ხსენებამ და-ძმა დააფიქრა. არჩილი მცირე პაუზის შემდეგ დაურიდებლივ, თავისთავისა და დის მხილებით აღნიშნავს, რომ წიგნში ამონაჯიბი კეთილშობილური, მაღალი ჰუმანური გრძნობა და ჭეშმარიტება მათ იტაცებს. მოაგონებს კესოს, რომ ისინი არაერთხელ გაუტაცია იმ აზრს, რომ თაყვანისცემის ღირსია ნიჭი, რომელიც კაცს ეძლევა, და არა გვარიშვილობა. მაგრამ, როდესაც ასეთი კაცი, გიორგის საბიჯო, მათ ცხოვრებამ წინ დაუყენა, იმათ ის ვერ იცნეს, ვერ დაინახეს. „იცი, რა იყო გიორგი! — გაღვიძებული სინდისის აღელვებით ეუბნება არჩილი კესოს. — გიორგი მთელი წიგნი იყო ხიდ-გალმა დაწერილი. გიორგი წიგნია-მეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასობით დაბეჭდილი. წინ გადავვშალა ეს წიგნი და ვერ წაფიქითხეთ. რას არა ვკითხულობთ მე და შენ და ათასი ჩვენისთანა. მწიგნობრობით ვის არ მოაქვს დღეს თავი და მაგის ანბანი-კი თურმე არა გვეცოდნია. გიორგი ცოცხალი ხატია ღირსებისა“.

მიუხედავად ასეთი ღირსებისა, ასეთი მიმზიდველობისა, გიორგის მხურვალე, ყველაფრის შემწირავმა სიყვარულის გრძნობამ ვერ შესძლო იმ ქვეყანაში ცეცხლი და შუქი გადაესროლა. კესომ გიორგის სიყვარულიც კი ვერ გაუგო. ზედმეტია, რასაკვირველია, იმის თქმა, რომ კესო გიორგის არც შეიყვარებდა და არც შეირთავდა. გიორგის მიმზიდველ ღირსეულ პიროვნებას და მის უანგარო და უანგარიშო სიყვარულის გრძნობას, როგორც გამახვილებულად ამბობს ილია, „ბრმა გული დაჰხვდა გვარიშვილობის ცხრაკლიტულით გადაარაზული“.

კესოს სიტყვაზე „სიყვარული ბრძანებით არ მოდის“-ო, არჩილი დაურიდებლივ ამხელს: „აბა შენი ტოლი კაცი ყოფილიყო და ვინ იცის, იქნება ბრძანებასაც დაეკრა. სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდრი და მაინც, სხვა არა იყოს-რა, თუნდაც ნაასლი მადლი გიორგისა არ სცხრებოდა. აქ-კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო, წმინდა შუქი მშვენიერის სულისა ანაოდ და უქმად-ლა ჯავარსავით ეფინებოდა ცივს კედელს, შენ ვერც-კი მიუხვდო. ვერც!.. იმან კი იცოდა და არა სჩიოდა. „არა ვნანობო, არაო“... მოკვდა და ეს უწყინარი სიტყვები ჩვენ დაგვიგდო ჩვენის თავის ვასაკითხავად“. და ეს მხილება ხომ ავტორისაა!..

ასეთმა მხილებამ კესოს გული აუჩუყა. მან ტირილი დაიწყო. არჩილი მხილების ასეთი შედეგით კმაყოფილია. ის გგრძნობიარედ მიჰმართავს დას: „მეც ვიტყვებდი, რომ მარტო უკან-ლა ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ. იქ უკან ბნელა.. დამეა“... — „და ხილია ჩატეხილი, ხიდი“... — ტყვილით წამოიძახებს კესო. ასეთი

შეგნების მიღებით არჩილს მიზანი მიღწეულად მიაჩნია. ის გამოსთქვამს სურვილს, რომ ასევე შეიგნოს ყველამ.

კესოს კითხვებზე: „წინ რაღაა?“ არჩილი, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი „მწიგნობარის“ ენით უპასუხებს: „ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს: ეს ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივის მოიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამთელოს და ეგრე ორსავე ნაპირას გააერთიანებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა — შუქია წინასი და შუქი ხომ...“ — „დასაწყისია განთიადის!“ ჩამოართმევს კესო და ორივე დაძმა გამარჯვებულსავით ერთმანეთს გადაეხვევიან.

მეტად საგულისხმო ფინალია. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ვავიდა თითქმის 25 წელიწადი და გლეხის აღამიანად ცნობა, მისი პიროვნებისა და პირადი ღირსების პატივისცემა მაინც ვერ იქნა განხორციელებული. „ოთარაანთ ქვრივში“ არჩილისა და კესოს სახით აღებულია საუკეთესო წარმომადგენელი ჩვენი ბრწყინვალე წოდებისა. მაგრამ მათაც-კი ვერ შესძლეს „ჩატეხილი ხიდის გამართლება“. ვერც არჩილმა და ვერც კესომ ვერ შესძლეს გიორგის გაგება, ვერ წაიკითხეს წიგნი, დაწერილი ხიდგაღმა, გიორგის სახით მოვლინებულს. თუმცა არჩილსა და კესოს შეგნება კი აქვთ, რომ პატივი უნდა სცენ აღამიანის ღირსებას, იციან, რომ „ნიქს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას“.

დილოვის ფინალში არის ნაწარმოების მთავარი მომენტისა და მისი განვითარების კვანძის გახსნა და თვით ავტორის მსოფლმხედველობის ძირითადი გამოსავალი პუნქტი. სწორედ აქ მუდღავნდება სუსტი ადგილი ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისა. გაწყდა იქ, სადაც წვრილი აღმოჩნდა.

დამის დილოვის ფინალში ილია ჭავჭავაძის გამომჟღავნებულ შეხედულებაში „ცოდნიანი ცრემლი შუქია წინასი და შუქი ხომ...“ — „დასაწყისია განთიადისა“ — ჩამარბულია არა მარტო ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის სუსტი მხარე, არამედ აგრეთვე ერთ-ერთი მიზეზი ილია ჭავჭავაძისა და შემდეგ ახალ თაობას შორის უთანხმოებისა, გაუგებრობისა და წინააღმდეგობისა. ეს განსხვავება ღრმა ფილოსოფიური და სოციალურ-ეკონომიური.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების თეორია გამომდინარეობს მისი შეხედულებიდან: კაცის შეგნება აღადგენს „ჩატეხილ ხიდს“, კაცის შეგნება გარდაქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების უსწორმასწორობას. აქ ილ. ჭავჭავაძე იმავე

შეცდომას უშვებს, რასაც რუსი 60-იანი წლების მოაზროვნეები, რომელთა შეხედულებით — «Идеи правят миром». მაგრამ რა ქმნის ამ შეგნებას? საიდან ჩნდება იგი? აი აქ არის წყვედიანი, მოლიპული გზა ილიას მსოფლმხედველობისა, ეს არის აქილევის ქუსლი მისი მოღვაწეობისა და ცხოვრების მოვლენათა შეფასებისა. აქ არის ილიას ნათელი რეალისტური გონება ბურჟუაზიის მოცულობით, რომელიც არ დაანახევებს მას, — რეალისტ მწერალს და დიდ მოაზროვნეს ძირითად ხრახნილს კლასობრივი საზოგადოებრივი ცხოვრებისას, კლასთა შორის ბრძოლას და მისი გაღრმავებული ცხოვრების განვითარებისათვის. სწორია, ძლიერია ილია ჭავჭავაძე იქამდის, სანამდის მკვეთრად შლის, ერთი მხრით, არჩილსა და კესოს, და, მეორე მხრით, თათრანთ ქვირისა და გიორგის შორის განსხვავებას, გაუგებრობას. გვარიშვილობამ, ე. ი. ეკონომიურმა და სოციალურმა სხვადასხვაობამ ასეთი გარდუვალა უფსკრული, ასეთი სხვადასხვა ფსიქოლოგია განავითარა ამ ორ წოდებას შორის. მათ შორის შექმნა თვალი და ყური მიუწვდომელი. „ჩემო რაავო?“ ერთიერთმანეთისა არაფერი სწამთ, არაფერი გაეგებათ. თვით გიორგის აიყვარული შეუმჩნეველიც კი რჩება კესოს „გვარიშვილობის ცხრაკლიტულით დაკეტილი ბრმა გულისაგან“. აქამდე ილია ჭავჭავაძე, მისი პოეტური აღლო, მართალია, სწორია, სალია. მისი აზრი აქამდე ძალდაუტანებელია.

ამ ორ წოდებას შორის ასეთი განსხვავების დაწყარების შემდეგ ილია ჭავჭავაძეს, ჩვენი შეხედულებით, თავისთავად და ბუნებრივად ასეთი ლოგიკური დასკვნა უნდა გამოეტანა: მასსადამე, არ არის საკმარისი პიროვნების განთავისუფლება. იურიდიული უფლებების ოფიციალური მიღება. საჭიროა მათი ეკონომიური და ყოველმხრივი გათანაწილება, სანამდე წოდებათა შორის, უფრო სწორი იქნება, ადამიანთა შორის ყოველმხრივი სრული გათანაწილება არ მოხდება, მანამდე ასეთ გაუგებრობას, ერთიერთმანეთისადმი უნდობლობას და მოურიგებლობას ექნება ადვილი. მანამდე ამ ორი ბანაკის ფსიქოლოგია და შეგნება უძლური და უნიადაგო აღმოჩნდება, როგორც ეს აღმოჩნდა არჩილსა და კესოში. ასეთი გათანაწილებისაკენ კი შეიძლება წავიდეთ კლასთა შორის ბრძოლის გამწვავების გზით.

ამიტომ, როდესაც ილია ჭავჭავაძე, პოლიტიკურად მთლიან საქართველოს აღდგენით გატაცებული, ამ მოპირდაპირე ფსიქოლოგიის მატარებელ ბანაკთა შორის შეთანხმების, მორიგების პრინციპს წამოაყენებს, რაც მას შესაძლებლად და ბუნებრივად მიაჩნია, და ამას წინ წაუმიძღვარებს მხოლოდ და უპირველესად

შეგნებას, „ნამუს“<sup>22</sup>. კეთილ სურვილს, აქ დინჯი და შორსმკვრე-  
ტელი მოაზროვნე ილია ჩვენ გვეჩვენება, როგორც საზოგადოებ-  
რივი ცხოვრების სათანადო სწორი განვითარების გაგებისა და და-  
ფასების არასწორ პოზიციასზე მდგომი. აქ, ჩვენი გავებით, მის  
მხატვრულ შემოქმედებაში ხელოვნურობას ვამჩნევთ, მასში სი-  
სუსტე გამოსჭვივია, და ეს ხელოვნურობა გამომდინარეობს ილია  
ჭავჭავაძის ძირითადი მსოფლმხედველობიდან, რომელიც მეცნიე-  
რული სოციალიზმის ნიადაგზე კი არ იშლებოდა (რასაც თხოუ-  
ლობდა მაშინ დრო და საზოგადოებრივი ჭკულების სოციალური  
ურთიერთობა), არამედ ვითარდებოდა ბურჟუაზიული სოციალო-  
გების, ნაწილობრივ უტოპიური სოციალისტების გავლენის ქვეშ<sup>22</sup>.

ამაზეა აღმოცენებული გაუგებრობა, უთანხმოება და შეუ-  
რიგებლობა ილია ჭავჭავაძისა და შემდეგ თაობას, ე. წ. „მესამე  
დასს“ შორის.

„მესამე დასი“, თუმცა ძირითადში ლეგალური მარქსიზმის  
გამომხატველი იყო, მაგრამ მასში თავიდანვე არსებობდა რევო-  
ლუციური მარქსიზმის ნაკადი.

ახალმა თაობამ, აღზრდილმა მეცნიერული სოციალიზმის  
(მარქსიზმის) საფუძველზე, წამოაყენა პრინციპი არა შეროგებისა,  
არა შეთანხმებისა, არამედ კლასთა შორის ინტერესთა სხვადასხვა-  
ობის გამახვილებისა და მათ შორის შეურიგებელი და გამწვავებუ-  
ლი ბრძოლისა. ილია ჩვენ წამოყენებული ამ ორ მოწინააღმდე-  
გე ბანაკს შორის მორიგების საჭიროება და შესაძლებლობა ახალი  
თაობის, მესამედასელების შეხედულებას ძირეულად ეწინააღმ-  
დეგებოდა. ამით აიხსნება ის მწვავე უთანხმოება, რომელიც XX  
საუკ. კარებში დაიბადა ილია ჭავჭავაძისა და ლეგალური მარქსიზ-  
მის წარმომადგენელთა შორის. ამ კამათს ხშირად არ ჰქონდა  
პრინციპული ხასიათი (პ. გელგიშვილი და სხვა), რაც ჰქმნიდა დიდი  
მწერლის შეუფასებლობას.

ილია ჭავჭავაძის ღირსეული დაფასება, როგორც ზევითაც  
აღვნიშნეთ, მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დროს<sup>23</sup>.

<sup>22</sup> ისიც კი უნდა აღინიშნოს, როგორც სამართლიანად წერს პროფ.  
გ. ჯიბლაძე, რომ — „მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მარქსიზმის  
გავრცელებამდე, მთელ ქართულ ლიტერატურას იდეალიზმისა და მეტაფიზი-  
კის წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი, ყველაზე დიდი მებრძოლი ილია ჭავჭავაძის  
სახით ჰყავდა. მის შემკვიდრებაში ჩაქსოვილი იყო სოციალიზმის ელემენტე-  
ბი, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოწინავე კლასების განათლებას და თვით-  
შეგნების ამაღლებას“. „კარტიკული ეტიუდები“, I, გვ. 354. 1956.

<sup>23</sup> უკანასკნელ წლებში ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შესახებ საინ-  
ტერესო (ბევრ შემთხვევაში განსხვავებულ) მოსაზრებანი წამოაყენეს პროფ.  
გ. ჯიბლაძემ და პ. რატიანამ. მაგრამ ამ შეხედულებათა მიმოხილვას, უადგილო-  
ბის გამო, აქ არ შევუძლებთ.



„ოთარანთ ქვრივი“, ექვს გარეშეა, იშვიათი მხატვრულობის მატარებელი ნაწარმოებია: ყოველი მოქმედი პირი დიდი ოსტატის ხელითაა გამოქანდაკებული; ენა მართლაც კლასიკურია — სწორი, მკაფიო, დახვეწილი, ფოლადისებრივ ჩანოყალიბებული. „მთელი ნაწარმოები, — სამართლიანად ამბობს ივ. გომართელი, — იმდენად დამუშავებულია, რომ ყოველი სიტყვა თავის ალაგას არის და მთელი მოთხრობა წარმოადგენს იშვიათ განსახიერებას სიტყვიერი ქანდაკებისა“.

მაგრამ ზევით განხილული თავები (19 და 20) მხატვრული ექსპრესიის დაცვის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს, მეტად გაჭიანურებულია. მოთხრობის ეს თავები უფრო სოციოლოგიური ტრაქტატის თავებს მოგვაგონებს, ვიდრე მხატვრულ შემოქმედებას. მართალია, მეტად რთული საკითხია აღებული და ასე იოლად მისი გათვალსაზიარება ადვილი საქმე არ იყო. როცა ამ თავების ანალიზს ვახდენთ, თითქო ზედმეტი არაფერია, მაგრამ მკითხველის მოთმინება მაინც ითენთება და ერთგვარ სიმძიმესაც გრძნობს. მხატვრული სუბათის გადაშლისათვის, ბელეტრისტულა ნაწარმოებისათვის ასეთი გაგრძელება, ყურადღების ასეთი ხანგრძლივი შეკავება არ არის ხელსაყრელი.

მიუხედავად ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ილიას ამ საკითხის დასურათების სიძნელე საქმარისად დაძლეული აქვს და ნაწარმოებისაგან დიდი მხატვრული შთოღანი შთაბეჭდილება მაინც რჩება.

ეს გარემოება აიხსნება დიდი ხელოვანის ოსტატური ხელით გამოქანდაკებული სახეებით, რომლებიც ილია ქვეყნაქემ ასე უხვად და ბარაქიანად ჩააქსოვა ნაწარმოების ქარგაზე.

„ოთარანთ ქვრივი“ დიდი მხატვრის, ოსტატის შემოქმედების ნაყოფია. აქ, მართლაც, მოქმედნი პირნი „სპეტაკი ნარმარლოს ნახ და ფაქიზ ქანდაკებაში“ დიდი ვირტუოზობითაა ჩამოქნილი, ამოჭრილი. ავტორი კალმის ერთი-ორი მოსმით ქმნის მძლავრ, მესხიერებიდან ამოუშლელ სახეებს. მაგალითისათვის ავიღოთ შეწისქვილე სოსია. სულ ორჯერ გამოჩნდება მოთხრობის განვითარების მანძილზე ეს მეწისქვილე, ორჯერ და ისიც თითქოს რაღაც მოულოდნელ ლანდსავით. რომელიც ცდილობს ყველასაგან შეუმზენველი დარჩეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სახე მძლავრად იბეჭდება მკითხველის მეხსიერებაში და ძალუჰად აღელვებს მის გულს.

როცა გიორგი საჩიკვილიოდ დაიჭრა. სოსიაც „მოვარდნილიყო, შეპარულიყო ოთახში, საცა გიორგი ესვენა და ბნელ კუთხე-

ში მობუზული ქვითქვითებდა, თითქო ეშინიან არავინ გამოგოსო“. მომაკვდავ შვილთან მარტოდ დარჩენილმა ოთარაანთ ქვრივმა, როცა თავის ქვითქვითით გოდებაზე ბნელ კუთხიდან ქურდულად მიმალული სოსიას „ვეი, ვუი, ვუი“... ბლავილსავით მოძახილი გაიგონა, წყრომით გაავლო ის: „წადი, აქ შენ აღგილი არა გაქვს. მარტო მინდა ვიყო“. სოსია ოთარაანთ ქვრივს ასეთს მოპყრობაზე მხოლოდ რაღაც დაუძლეველი უანგარო ერთგულებით, შებრალეებითა და მორჩილებით ეტყვის: „შენი ნებაა, წავალ და კარებს უკან ძაღლსავით მივეგდები. თუ რამ დაგჭირდეს დამძახე“.

ამით თქვენს წინაშე უკვე მკვეთრადაა გამოქანდაკებული სახე ცხოვრებით ნაჯენჯი სოსიასი. თქვენ მკაფიოდ ხედავთ მის დაღარულ, დაჭადარავებულ პირისახეს, ხედავთ და გრძნობთ მის დაუქმყოფილებლად, გაუღიმრად, გაუნარებლად გატარებულ ძაღლუმაღურ ცხოვრებას; მის სახეს ამჩნევთ მოკრძალების, უნდობლობის, გაუტანლობის, დაბეჩავების ხაზებს. ხედავთ მის უსიცოცხლო, ბუნდოვნად გამომყურე თვალებს, რომლის სიდრმეშიც, თუ ჩაიხედავთ, აღმოაჩენთ ერთს თითქოს დაფერფლილს, მაგრამ მძლავრ ნაპერწკალს. ეს ნაპერწკალი, მის გარეგნულად უხეშ ბუნებაში ნათელ სხივსავით ჩასვენებული, მაღლიანი გრძნობაა ოთარაანთ ქვრივისადმი, რომელზედაც სოსიას თითქმის ოცდაათი წელიწადია „გული შევარდნილი პქონდა“. ოთარაანთ ქვრივი ჯერ გასათხოვარი ყოფილა, უთხოვნია და დაუწუნიათ. ის დღეა და ეს დღე, სხვა მას არავინ უნდომია გული აღარავიზე მისვლია. როცა ოთარაანთ ქვრივს ქმარი მოუყვდა, „მაშინ ერთხელ კიდევ გაუარა თურმე გუნებაში იმისმა შერთვამ, მაგრამ ვერ შეპბედა“, მხოლოდ მოკრძალებით შორიდან უყურებდა.

როცა ოთარაანთ ქვრივი გიორგის დაკარგვით გატყდება, ველარ გაუძლებს ცხოვრების უკუღმართ ტრიალს, დასნეულდება და ავადმყოფი, რაღაც იღუმალი ძალით მიზიდული, ღამე შვილის საფლავისაკენ ჭაიპარება და ზედ დააკვდება. სოსია პირველი მივარდება მის გაცივებულ გვამთან. „ორივე მუხლი მოეყარა უსულო ოთარაანთ ქვრივის წინ, აგვიწერს ავტორი, — იმისი მკედარი ხელი ხელთ ეჭირა და ქვითქვითებდა ჩუმიად“.

ერთი მეცხვარე მოქვითქვითე სოსიას, რომელზეც მას ფეხი წაუბოროძიკდა, უხეშად ეტყვის: „ეს ვილა ოხერია, ფეხებში გვედებო... წადი იქით, გაგვეცალო“, ღონივრად წაპყრავს ფეხს დაბრიყვებულ ბერიკაცს და თოვლზე გადააქცევს. დაჩაგრული სოსია. მწარე მუხთალ ბედს დამორჩილებული, კალთების თოვლისაგან გაბერტყვით, მაგრამ მწვავე გულისტყენით ეტყვის ხელის მკვრელს: „ცოცხალზე არ გამახარა წუთისოფელმა და მკვდარზედაც აღარ

მატირებთო?! ცოდო ვარ, შვილო, ცოდო“. ცხვრის ბლავილსავით გესმით ყველასაგან გაუგებარ და დაჩაგრულ სოსიას გულიდან ამომსკდარი ეს კენესა-საყვედური. „მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში?“ წუთისოფლის მოუწყობლობით გამოწვეული მწუხარების გამქარავებელი თუ დამამძიმებელი შეკითხვით დაამთავრებს ილია ჭავჭავაძე სოსიას საუბარს.

სულ ორჯერ ვხედავთ სოსიას, მაგრამ თითქოს მის შესახებ უკვე სუყველაფერი ვიცით. უთვისტომო, ყველასაგან გაუგებარი და განუკითხავი, ამიტომ თავის თავში ჩაკეტილი, თავის გულში ადამიანურ ცეცხლჩამარხული, აუმღვრეველი, დამორჩილებული და დაბრყვებული სახე სოსიასი მკითხველში დაუჩინებთ თანაგრძნობას პოულობს.

ჩვენ არ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ისეთი მშვენიერი მხატვრული ადგილების ანალიზზე, როგორც არის, მაგალითად, გიორგის სიყვარულის გრძნობის გაღვიძება და დაყვავილების ასახვა. გიორგის სულიერი განცდა, როცა მას კესო თავისი ბაღის გეგმას აჩვენებს, ან როდესაც გიორგი კესოს ბაღში გატაცებით მუშაობს, ან გიორგი როგორ ებრძვის და მალავს დედისაგანაღკი თავის სიყვარულს. არ გვინდა აღვნიშნოთ თუნდაც უკანასკნელი დიდებული სცენა „ზარი“, „მეძახის“; თუ ვნებავთ, თვით ოთარაანთ ქვრივის ხასიათის გაშლა. მაგალითად, მისი დედური ტკივილები, როდესაც ის შეატყობს შვილს სულიერ ტანჯვას და მიზეზისათვის ვერ მიუგნია; ან ოთარაანთ ქვრივი არჩილსა და კესოსთან გიორგის მოჯამაგირედ დაყენების შუამდგომლად მისული. ყველა ეს შეუდარებელი, ვირტუოზული ოსტატობითაა მოცემული. მაგრამ ყველაზე მეტად არაჩვეულებრივი ოსტატობით ასახულია დედის (ოთარაანთ ქვრივის) გამწარება, როდესაც ის გრძნობს, რომ დედა-შვილის ცხოვრების გზები იყრება, რომ მას შვილი სწყდება; როდესაც გრძნობს, რომ შვილის გული სხვისკენ იწვევს, სხვას (სატარფოს) აძლევს უპირატესობას. ეს ერთი უმტკივნეულებსი (თუ ყველაზე მტკივნეული არა) საკითხია ცხოვრებაში და კერძოდ დედის გულის მოძრაობაში. აქ ილია ისეთს მხატვრულ მწვერვალზეა ასული, რომ დიდს გულთამხილავ, მსოფლიო გენიოს მწერლებს შეეჭისპირის, გოეთეს და სხვებს მეტოქეობას უწევს. მე-11 თავი, „ორი თვალი“ პირდაპირ *chef d'oeuvre*-ია. იგი ისეთი ვირტუოზული ოსტატობით, გატანჯული დედის გულის მოძრაობის დიდი ცოდნითა და გაგებითაა განვითარებული, რომ მკითხველს პირდაპირ ჰხიბლავს.

როდესაც ბარგწამოცილებულმა გიორგიმ არჩილის სახლისაკენ გასწია:

ოთარაანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ, დიდხანს ადევნა, დიდხანს, მანამ თვალთაგან მოფარებოდა შვილი, თათქო ხმაამოუღებლოვ იხევე-იმუდარებოდა, ერთი მინც შემომხედოსო, მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა.

დედის გულმა ტეხა დაიწყო.

— უკან აღარ მოიხედა!.. დაიკენესა დედამ, ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს, სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწვეიანო.

ფეხთმდლომელს ოთარაანთ ქვრივს თავი ძირს ჩამოუვარდა დამბლასავით, თითქოს კისრის ძარღვი გაუწყდა, ვეღარ შეიმაგრა და ნიკაპით გულზე დასაბჯენადა დაეკიდო.

— ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დაპრჩა-რა... სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს. განა ყველაფერი იქ არის, სუყველაფერი? დაიკენესა ხელახლად დედის გულმა.

ამის თქმაზედ ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაქიმულ სახელოთი მოისო თვალებზედ.

თითონაც არ იცოდა რადა ჰქნა ესა. ეს უნებურად, უცოდნელად მოუვიდა. ხელმა თავისთავად დაასწრო. მანამ გული ცრემლს წამოძღვრიდა. თითქო ხელი არ დაეკითხა გულს, არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო.

ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა... განა აქვს კი ცრემლი ცეცხლ-მოკიდებულს გულს?!.

ჩამოჯდა ოთარაანთ ქვრივი დერეფნის დირეზედ, ჩაჰკიდა კვლავაც თავი და ორისავე იდაყვით მუხლებს თავზედ დაებჯინა.

ოთარაანთ ქვრივი ფიქრმა წაიღო...

— დედა-შვილობაში შენ-ჩემობა რად არის? ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავისთავსა. დედაშვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს. ნეტა დედას სხვასავით მინც ორი თვალი არა ჰქონოდა. თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე შეილისად? გული რად იხედება გარედ ორის თვალითა, რად? რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება?... ვინ ვისთვისაო, — რა საკითხხავი დედა-შვილობაში?... ვაი რომ საკითხხავი ყოფილა. ამის ჰიდლია თურმე დედაშვილობაც!

დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევი გულმა და გონებამ ოთარაანთ ქვრივისამ, მერე თითქო რაღაც ხიდი გადოვო მორევიდან გამოსასვლელად. წამოდგა ფეხზედ და ხმამალა სთქვა:

— არა, შვილო!.. შენ გაიხარე, შენ!.. მე-კი... მე-კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებლით-ღა ვავლი და ვიცოცხლებ.

ციტატა ძალიან დიდი მოაკვივიდა, მაგრამ დედის გულის სათუთი და მწვავე ტეხა, ისეთი მაგარი, მტკიცე ხასიათის, თავის ადამიანურ „სისუსტეზე“ მუდამ გამარჯვებული დედისაც-კი, როგორიც ოთარაანთ ქვრივი იყო, ისეთი ჯადოსნური ხელოვნებითაა შესრულებული, ისეა ამ მძლავრ ხასიათში ყოველი გულის მოძრაობა, ტენისა და გულის შეჭიდება გაშლილი, ისეა ყოველი სიტყვა, ყოველი პაუზა თავის ალაგზე ჩაწნული, რომ შეუძლებელია მისი

შეწყვეტა. აქ მომხიბვლელი საიდუმლო ძალით პოეტს მკითხველი, რომელსაც ველარაფერი ძალა ველარ იჭერს, მიჰყავს თავისი პოეტური ილუზიის სამყაროში. ილია ჭავჭავაძე ხომ ერთი საუკეთესო მცოდნეა ადამიანის გულის მოძრაობისა და მისი მკვეთრი, მძლავრი და ნიჭიერი გამომჟინდაკებელი. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ეს მხარე დღემდის თითქმის ხელუხლებელია. მისი შემოქმედების ამ მხარეს სპეციალური გამოკვლევა ესაჭიროება და მკვლევარიც, აქედან, ვფიქრობთ, უხვსა და ძვირფას მასალას ამოჰკრებს.

მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“ საინტერესოა აგრეთვე როგორც ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური აზრებისა და შეხედულების გამომხატველი. ეს უდავოდ ნიჭიერი, გონიერი პედაგოგიური ტრაქტატია. ილიას თვალსაზრისით, ოთარაანთ ქვრივი დიდი ოსტატია აღზარდაშიც. მაგრამ ეს საკითხიც სპეციალურია და, ვფიქრობთ, წინამდებარე შრომაში შესაძლებელია მის განხილვას გვერდი ავუხვიოთ. უნდა-კი ითქვას, რომ ოთარაანთ ქვრივის ხასიათი და შეხედულებანი, კერძოდ აღზარდის საკითხებშიც, მათარებელია ავტორის ხასიათის თვისებებისა. ოთარაანთ ქვრივში ავტობიოგრაფიული ელემენტი უხვადაა ჩაქსოვილი.

ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახით ილია ჭავჭავაძე გვაძლევს ბატონყმობისაგან განთავისუფლებული გლეხის სახეს, — მომავლის მშრომელს, რომელსაც მომავალში ჩვენი ცხოვრება უნდა დაეყრდნოს. ეს მაგარი, მტკიცე, შრომისმოყვარე პიროვნებაა, რომელიც თავის ცხოვრებას თავისივე ხელითა და შრომითა სჭედს. ოთარაანთ ქვრივი და გიორგი კაკოს, ზაქროს, გაბროს წრიდან გამოსული და ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ სოციალურ ცხოვრებაში ფეხმოკიდებული, ენერგიული, პატიოსანი, საქმიანი მოქმედი, მტკიცე ხასიათის, სალი ფრანკობისა და ფხიზელი ფონების საქართველოს ბურჯი მოქალაქენი არიან. ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახით ილია ჭავჭავაძე გვაძლევს მომავალი გაჯანსაღებული საქართველოს მომძლავრებულ სოციალურ ძალას, სამართლიანს, მშრომელს. ამ ძალას ილია უპირისპირებს ძველი ფეოდალური წყობით დასნეულებულ საქართველოს, როგორც მას ეს ასახული აქვს ნაწარმოებებში „კაცია-ადამიანი?“, „ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“ და სხვ.

როგორც ოთარაანთ ქვრივი, ისე მისი შვილი ვიორგი, ილიას გაგებით, დაურიდებლივ მართლის პირში მთქმელნი არიან. ოთარაანთ ქვრივს „მიხვეულ-მოხვეულები“ არ უყვარს, პირდაპირ

მოსჭრის, სადაც ის გრძნობს, რომ ის მართალია ხშირად კეთილ საქმესაც, რომელსაც ოთარაანთ ქვრივი კეთილი გულით აკეთებს. პილპილს მოაყროს, ვინაიდან ის მუქთანხორა ადამიანს ვერ ურიგდება. შრომა, მოქმედება, მოძრაობა აირა ახასიათებს ოთარაანთ ქვრივსა და მის შვილს. ოთარაანთ ქვრივი „არც სხვისას შეირჩენს და არც თავისას შეარჩენს სხვას“. მას აქვს უნარი თავი დაკვისა. ის ახალგაზრდა დაქვრივდა. მარტოხელა ქალი ჩაუდგა ოჯახს. „მთელი დღე ციბრუტივით ოჯახში იმის ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებაო“, — ამბობდნენ მეზობლები. ცხოვრების სიმკაცრემ, ცხოვრებასთან გამუდმებულმა ჭიდილმა ოთარაანთ ქვრივი გააქაჟა, მისი გაუტეხელი ხასიათი გაასალკლდევია. ოთარაანთ ქვრივის ყოველი სიტყვა ცხოვრებასთან გამუდმებული ბრძოლიდან გამოტანილი პრაქტიკული სიბრძნის შემცველია. „ტკბილი სიტყვა რა არისო! იტყოდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი — ამ გამწარებულს წუთისოფელში, ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა. თვალთმაქცობაა!... სიტყვა საბერველი ხომ არ არის, მოსაკიდებელი ჩანგალა, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია. უქმის კაცის საქმეა. თვადიშვილები ფეხის გულზე ხელს აშევიწებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის, ის კი არ იციან, რომ თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადს“. ეს ნიჭიერი აფორიზმი, აფორიზმით აზროვნება კი ილიას სტილის ერთ-ერთი ნიშანია.

ან კიდევ ოთარაანთ ქვრივი კესოს საკმარისად მკვახედ რომ ეტყვის: „ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება. საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ“. კიდევ სხვა მრავალი ამგვარი აფორიზმი ასე უხვად და მოხდენილად გაფანტული „ოთარაანთ ქვრივში“. და ეს აზრები ხომ თვით ავტორისაა, რომელმაც მთელი მოღვაწეობის მანძილზე ასე უხვად გაფანტა როგორც მხატვრულ შემოქმედებაში (მაგალითად, „მგზავრის წერილები“ და სხვა), ისე პუბლიცისტურ წერილებში.

ოთარაანთ ქვრივის ცხოვრებასთან ჭიდილში ასეთი უნარისა და მოქმედების გამოჩენა მაშინდელი ჩვენი სოფლისათვის არაჩვეულდებრივი იყო. ამიტომ ოთარაანთ ქვრივმაც არაჩვეულდებრივი ადგილი დაიჭირა სოფელში — თავისი მკაცრი ხასიათით, ვაჟკაცური თაოსნობით. „პილპილ მოყრილ მადლით“, „კადნიერებით, თუ მხი-

ლებით“ და სხვა. „სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილუბრალო ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა. „იმის თქმა და ქნა ერთი იყო“, გვეუბნება ავტორი. ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი გიორგი, ილიას შეხედულებით, ის სოციალური ძალაა, რომელიც გააჯანსაღებს ცხოვრებას. იმიტომ მთელი სოფელი ოთარაანთ ქვრივს პატყვას სცემდა, როგორც „ბარაქალა დედაკაცს“ და თანაც ერიდებოდა. განსაკუთრებით სოფლის დედაკაცებს ეშინოდათ მისი. ოთარაანთ ქვრივი „ისე არავის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაეკენწლა, თუ რამ თვალში არ მოუფიქროდა“.

ოთარაანთ ქვრივს ყველაზე მეტად ეჯავრებოდა სოფლის მოხელეები და ყოველთვის მათ კრიჭაში ედგა „ნაცვალი თუ იასაული, — გვეუბნება ავტორი, — რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ, ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ, და, თუ როგორმე გაპბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტებდა, ბედსა და თავს დააწყევლინებდა“. მთელ სოფელს კარგად ახსოვდა, რომ გზიას ერთი ქათმის გამორთმევა ერთი შვიდად დაუსვა, თუმცა გუბერნატორამდე მისვლა დასჭირდა და თვითონაც ათ მანეთაძლის მიხარჯა. მაგრამ ფული ოთარაანთ ქვრივისათვის რა სათქმელია, როცა თავისი ჯავრი არ შეარჩინა. „ტყუილუბრალოდ, რომ არ დავეჩავვრინე, ცოტაა?...“ — ამბობდა დაკმაყოფილებული ოთარაანთ ქვრივი.

საინტერესოა ოთარაანთ ქვრივის მეურნეობასაც გადავხედოთ. 80-იანი წლების საქართველოში ვაჭრობა ვითარდება. მრეწველობის დასაწყისია. ჩნდება ახალი ეკონომიური წამოწყებები. ახალი სოციალური გადაჯგუფება ხდება. ქალაქისაკენ მიიწევს მოსახლეობის გულისყური, ქალაქი იზრდება, ცხოვრებას ფერი ეცვლება. ცხოვრებას უკვე დიდი ხანია ეპატრონებიან მიკირტუმები, კარაპეტები, მეჭლანთაშვილები, ფულაგები და სხვა ამგვარნი. ილია ჭავჭავაძე კი ისევ სოფელს და თავადაზნაურობისა და გლეხკაცის ურთიერთობას დასტრიალებს. მისი იდეალი ოთარაანთ ქვრივია თავისი მტკიცე ხასიათით, გამჭრიანობით, საქმიანობით, მეურნეობით.

„გლეხკაცობის კვალობაზედ ოთარაანთ ქვრივს ბევრი შეპნატროდა. ამას ქმრისაგან დარჩა ნახევარგუთნეული საქონელი, ორი ფურ-კამეჩი, სამი ძროხა, ამას გარდა ორი დღის კარგად გაკეთებული და მავსებული ვენახი და ოციოდი დღის სახნავ-სათესი მიწა.“

„ვენახს ქვრივი ძალიან კარგად უვლიდა, ძალიან აპატივებდა და ვენახიც კარგს მოსავალს იძლეოდა. ამბობდნენ, რომ ოთარაანთ ქვრივი, რაც უნდა მდარე მოსავალი ყოფილიყო, სამს • საპალნეს ღვინოს მაინც გაჰყიდდა ყოველწლივ. მისი ღვინო საპალნე შვიდ-რვა და ათ თუმანად ბევრჯერ გაყიდულა თურმე. შინაც სახარჯოდ ღვინოს სამყოფხედ მეტს ინახავდა. ათი დღის მიწას ყოველწლივ ჰხნავდა, სყიდვით იქნებოდა, ალოთი თუ თავის იგუთნით, ათის დღისას უსათუოდ მოხნავდა და მოთესავდა.

გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულ პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთ რიგად ინახავდა. ამისთვის ნაქრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა, ჩანთასავით შეკერილები. ერთ ამისთანა ქისას „საჭირნახლოს“ ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და საღეწად. მეორე ქისას „ბარაქალა ქისას“ ეძახოდა. ამაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას „საჯანაბო“ ურქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროს, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა. ამ ქისას ეძახდა: „მიეცი და მოგეცესო“. მეხუთე ქისაში ჰქონდა სამინაოდ, სახარჯად და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მეხუთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან „ფარსალას ქარვასლას“ ეძახდა, ხან „შიოს მარანს“.

„თვლა თუმცა მაგრე რიგად არ იცოდა და ხშირად კენჭებს მოიშველებდა ხოლმე, როცა უანისოდ დათვლა უჭირდებოდა, მაგრამ ანგარიში ძნელად შეეშლებოდა. პირველს ოთხს ქისაში იმდენს ჩააწყობდა, რამდენიც საჭირო იყო და ძალიან იშვიათად მოჰხდარა ანგარიში არეოდეს. რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყველას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა და მინამ გამოილეოდა, დაუთვლელად ხარჯავდა“.

უდავოდ, სწორი და მძლავრი სახეა შეძლებული, ახალი დროის მესაკუთრე გლეხკაცისა და ილია ჭავჭავაძის იდეალიც სწორედ ასეთი მშრომელია, კერამომთავრებული, მოქმედი და „მტრისა და მოყვარის დამხვედრი“ მესაკუთრე გლეხი. აჰან და სოფლის ასეთმა მეურნეობამ უნდა შესძლოს ჩვენი ცხოვრების გაჯანსაღება. ილიას შეხედულებით, სოფელია ცხოვრების ბურჯი. იქ სოფლად უნდა მოგვარდეს პირველ რიგში ურთიერთობა და არა ქალაქად. ამიტომაც, რომ ილია კვლავინდებურად მემამულესა და გლეხს შორის შეთანხმების ხიდის გადებაზე ფიქრობს. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას ილია თითქოს სათანადოდ ვერ უღებს ალღოს. და აი სწორედ აქ არის ილიას მსოფლმხედველობის, ცხოვრების მოვლენასთან გაგების სუსტი მხარე. ესეც



ერთ-ერთი გარემოება იყო მისა და შესამედსელები წარმომად-  
გენელთა შორის შეუღებელი უთანხმოებისა.

ილია ჭავჭავაძემ, დიღმა მწერალმა, ბატონყმობისა და ცარიზ-  
მის წინააღმდეგ თავდადებულმა მებრძოლმა, პატრიარქალუ-  
რი ცხოვრების უაჩყოფითი მხარეების მკაცრმა მამხილე-  
ბელმა, გამუდმებულად დაინტერესებულმა „ამ უსწორმას-  
წორო წუთისოფლის“ მოწესრიგების საკითხის გადაწყვეტით,  
თითქოს შეუფერებელი გაუგებრობა გამოიჩინა კარზე  
მომდგარი სოციალური ცხოვრების კრიზისისა და აქედან გამოსვ-  
ლის საშუალებებისა. როდესაც 80—90-იანი წლებისათვის განვითარ-  
და ვაჭრობა-მრეწველობა, ცხოვრება მთელი თავისი სიღრმითა და  
სიგანით იცვლებოდა და გარდაქმნის ტკივილებში იყო, ილია თით-  
ქოს ისევ სოფლისაკენ იხედებოდა და თავდაზნაურობასა და გლეხ-  
კაცთა შორის ურთიერთობის მოწესრიგებაზე ოცნებობდა, მაგრამ  
გულგრილად არ უყურებდა იმ მსოფლიო ხასიათის განმათავისუფ-  
ლებელ მოძრაობას, რომელსაც საერთაშორისო პროლეტარიატი  
აწარმოებდა.

ცხადია, ილია ჭავჭავაძის ქართული კულტურის განვი-  
თარებაში დიდი ღირებულება აქვს: ის 60-იანი წლების წაყვანი  
მოღვაწეა. მისი მნიშვნელობა ჩვენთვის მრავალმხრივია და დიდი.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ჩვენი XIX საუკუნის ცხოვრე-  
ბის ენციკლოპედიაა, მისი მრავალმხრივი მძლავრი რეზონანსია.  
ილია განსაკუთრებით ძვირფასია: 1) როგორც ქართული ლიტერა-  
ტურული ენისათვის მებრძოლი და მისი დამდგენი; 2) როგორც  
ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და საზოგადოებრივი აზ-  
როვნებისთვის ახალი, აზრიანი გზის მომცემი; 3) როგორც ბუშბე-  
რაზი, მდიდარი პოეტური ხერხებით აღჭურვილი მხატვარი ჩვენი  
ცხოვრებისა; 4) როგორც შეუღებელი სატირიკოსი, რომელიც  
დაუნდობლად, შეუღებლად ბასრავდა ყველას და ყველაფერს,  
რაც კი, მისი აზრით, აბრკოლებდა საზოგადოებრივ ცხოვრებას;  
5) როგორც დიდი ვირტუოზული უნარით აღჭურვილი პუბლიცის-  
ტი; 6) როგორც ნიჭიერი, დიდი ტაქტის მქონე, სანიმუშო ჟურნა-  
ლისტი; 7) როგორც გაბედული, შეუდრეკელი, ფხიზელი მოქალა-  
ქე, რომლისათვისაც თავისი ქვეყნის საქმე მისი პირადი და შეიძ-  
ლება უფრო მეტი საქმე იყო.

ჩვენს წინაშე ახლა დიდი პასუხისმგებლობით დგას საკითხი  
ილია ჭავჭავაძის კულტურული მემკვიდრეობის ათვისებისა. ილია  
ჭავჭავაძე მისი დაბადების ასი წლისთავზე საზოგადოებრიობის  
წინაშე გასხივოსნებული წარმოსდგა.

ილ. ჭავჭავაძის მდიდარმა მოღვაწეობამ, უდიდესი როლი ითამაშა ქართველი საზოგადოების გულვიწებისა და ახლის ძიების საქმეში. ყველა ამისათვის ილიას მემკვიდრეობას მძლავრად ჩასჭიდა ხელი პროლეტარიატმა, მას კრიტიკულად ითვისებს და გამოიყენებს ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად. ამიტომაც ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა დღეს სამართლიანად მთელი ქართველი მშრომელი ხალხის საამაყო კუთვნილებადაა აღიარებული.

„ოთარაანთ ქვრივში“ ილ. ჭავჭავაძემ ეს მძიმე და მართლაც მოუწესრიგებელი, „ამ უთავბოლო“ და „უსწორ-მასწორო“ წუთისოფლის პრობლემა სათანადოდ ვერ გადაწყვიტა. მაგრამ მოქალაქე-მწერლის ილ. ჭავჭავაძისა და მისი მსოფლმხედველობისათვის აღნიშნული ფორმები და საშუალებანი სოციალური ცხოვრების განვითარებაში მხოლოდ გარდამავალი ეტაპისათვის იყო შესაძლებელი და მისაღები. საბოლოო ფორმა ადამიანთა ურთიერთობისა მას გაცილებით ფართოდ ესმოდა, რომელსაც ის მოელოდა და რომლისკენ ისიც უზას შეეგნებულად კირწყლავდა.

90-იანი წლებიდან, როდესაც მშრომელი მასა ირავმება რევოლუციური მოძრაობისათვის, ილ. ჭავჭავაძის წინაშე კვლავ მწვავედ დგება საკითხი „ჩატეხილი ხიდისა“. ამ საკითხის პასუხს ილია გამოსთქვამს 1900 წლის 1 იანვრის „ივერიაში“ მოთავსებულ პუბლიცისტურ წერილში — „მეცხრამეტე საუკუნე“. ამ წერილში ილია, აჯამებს და აფასებს რა დიდად შინაარსიანს, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის აღმოჩენებითა და მონაპოვრებით გამდიდრებულ XIX საუკუნეს, ასკვნის: „ვინ მოსთვლის ყოველ იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას! ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, წოდებთა კიბის რა საფეხურზედაც გინდა იდგეს, მაინც ადამიანია და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი. თანასწორად შესაწყნარებელი და გულშემოხატვიარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდი ზნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდგა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამნეო მოძღვრებად გადააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალური წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოვლის კლასობრივის ბატონობისა და შეძლებისამებრ ყოვლის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ

და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად. ამ გზაზე წინასაუკუნეებს ერთად იმოძენა არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თავისდა პატივის მოსახსენებლად“.

მისცა რა ასეთი მაღალი და, უნდა ითქვას, სრულიად მართებული შეფასება XIX საუკუნეს, დიდი ჰუმანისტი, მოქალაქე-მწერალი ბუნებრივად სვამს მოუწყობელი ცხოვრების წყევლა-კრულვიან საკითხს: „დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა?“ და პასუხსაც უმაღ იქვე იძლევა: „არა გვგონია მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, — უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერებასთან გამოხმაურება, ქვეყნიერებასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სკვამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა. და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილებით მოიმოქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უადრესს და უდიდეს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“<sup>24</sup>.

ცხადია, აქეთკენ მიიმართებოდა თვითონაც ჩვენი დიდი მწერალი. მისი შემოქმედებაც მხატვრული თუ მეცნიერულ-პუბლიცისტური და პრაქტიკული მოღვაწეობაც მკითხველს ამისთვის ამზადებდა, აქეთკენ მიმართავდა შეგნებულად.

## აკაკი წერეთელი

(1840—1915)

1

აკაკი წერეთელი, როგორც მკითხველს ზემონათქვამიდან უკვე შეეძლო დაენახა, ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანია იმ თერგდალეულებისა, რომელნიც ილია ჭავჭავაძის შეთაურობით 50-იან წლებში ჩვენი დუხჭირი ცხოვრების გასაჯანსაღებლად მოქმედების ასპარეზზე გამოვიდნენ.

აკაკი წერეთელი, როგორც ილია ჭავჭავაძე და სხვა თერგდალეულები, იმ ახალგაზრდობას ეკუთვნის, რომელიც, ახალი, თვალსაჩინოდ ფერცვლილი ცხოვრებისათვის მომზადების მიზნით 1859 წელს რუსეთს წავიდა. მან იქ 60-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნების დიდი ვავლენა იანიცადა.

აი როგორ გამოხატავს აკ. წერეთელი რუსეთში თავისი გამგზავრების მიზეზსა და მიზანს ახალგაზრდობისდროინდელ ერთ-ერთ ლექსში.

ერთი რამ მკლავდა მხოლოდ მე  
და მისივებდა ის გულსა,  
რომ ჩემს სამშობლოს ვხედავდი  
სხვებისგან დამონებულსა.  
მეც მიცკევიჩის გმირებში  
მომწონდა ვალენროდიცა.  
ის მამხნევებდა ვაჟკაცად,  
გულს შორდებოდა ლოდიცა.  
მეც გამიტაცა ოცნებამ,  
რომ შევწეოდი მხარესა.  
და, ბოლოს ტკბილის მომლოდნე,  
უშიშრად ვსვამდი მწარესა.  
და დავაპირე მხედრობა,  
რომ ხელში მეგლო სარდლობა  
და, მოლატედ დასახულს,  
ბოლოს მიმელო მადლობა.

1

აშკარაა, აკ. წერეთელსაც, როგორც ილ. ჭავჭავაძეს, ქვეყნის წინაშე მოქალაქეობრივი ვალის მოხდა მიეზიდება რუსეთისაკენ. მაგრამ პეტერბურგში (ახლანდელ ლენინგრადში) რომ ჩავიდა, იქ შეიცვალა აზრი და, სამხედრო სასწავლებლის მაგიერ, შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე<sup>25</sup>. აკ. წერეთელმა, როგორც თვითონვე გვიმოწმებს, პეტერბურგში გაიცნო სტუდენტების წრეები (იქ ამ დროს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეც არსებობდა ილ. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით), მათი მიზნები და მისწრაფებანი; გაიცნო მან რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების მძლავრი მოძრაობა. მათი გავლენის ქვეშ ახალგაზრდა აკაკიმაც შეიცვალა მიმართულება. მაშინ ახალგაზრდა პოეტი დადგა სხვა აზრზე, „გამოეცვალა მას გული“.

მაშინ, გვეუბნება პოეტი,

...მივხვდი, რომ მხოლოდ მე მგონად  
ვიყავი დაბადებული.  
და ხელი მივყავ მწერლობას,  
ის მიჩნდა ნეტარებადა.

და მას შევწირე ყოველი,  
რაც მქონდა და რაც მებადა...

ვეწაფებოდი ლექციებს,  
ვეტრფოდი პოეზიასა,  
და ბურუსიან დღეებშიც  
წარმოვიდგენდი მზიანსა<sup>26</sup>

ეს „ბურუსიანი დღეები“ და მათში „მზიანის წარმოდგენა“ ხომ საერთო მისწრაფება იყო რუსეთის 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოებისათვის, რომლის დიდი და ამოუშლელი გავლენა ატყვიათ ჩვენს „თერგდალეულებსა“ და მათთან ერთად აკაკი წერეთელსაც. სწორედ ამ „მზიანი“ დღის მოახლოების თავისებურ გაგებასა და სამსახურს აკაკი წერეთელმა შეაღია თავი ჩანგის უღერა; მისი მოახლოების სამსახურის სამსხვერპლოზე დასწვა თვისი გული, „ვით აბედი“. ამ „მზიანი“ დღის მოსვლის სურვილმა პოეტი ხარბად დააწაფა 60-იანი წლების უტილიტარიზმს და მისი ნიჭი მიწასა და მის სამსახურს მიაჯაჭვა.

თვითონ აკაკი წერეთელი ასე აგვიწერს ამ მოვლენას: „ყირი-

<sup>25</sup> აკ. წერეთლის ბიოგრაფიული ცნობები ფართოდაა მოცემული ლ. ასათიანის შრომაში „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, 1940.

<sup>26</sup> აკ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 20.

მის ომმა თვალი გამოახელინა რუსეთს. პეტრე დიდისაგან გამოჭრილი სარკმელი მაშინ აიხადა, და, როგორც იქნა, ძალაუნებურად შემოაშუქა განათლებამ ბნელეთში. სწორედ იმ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში ურნალ „სოვრემენიკს“ და დობროლუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს ყიჟინა. ამოდრავდა რუსეთი. მისი ხელახალი დამონება შეუძლებელი იყო. დაავდო ძველი გზა, დაადგა ახალს და რასაკვირველია, როგორც ყველაფერს ახალს, იმასაც ზოგი რამ შეცდომა მოჰყვა. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „ვარდი უეკლოთ არავის მოუქრეფიაო“. რალაი-კი ზურგი უჩვენა ახლად გამოღვიძებულმა ძველს, ყველაფერს თვალი აარიდა, აღარც კარგი და სასარგებლო რამ სწამდა ძველთაგანი, ყველაფერი ბოროტად ეჩვენებოდა და წინ მიმავალი-კი ყველაფერი გაურჩევლად კარგი ეგონა. და მაშინ გაჩნდა, ტურგენევისაგან აღნიშნული ნილილისტობაც. ეს ნილილისტობა ბევრ რამეს ჰგომბდა წარსულში, გაბედვით ებრძოდა და უშიშრად სდებდა თავს, მაგრამ გადააჭარბა...<sup>27</sup> ამ ახირებულობის დროს გამოსცა ჩერნიშევსკიმ თავისი პატარა კრიტიკული წიგნაკი: „ხელოვნება მარტო ხელოვნებისათვის, თუ ცხოვრებისათვის“<sup>28</sup>. ამან დიდი გავლენა იქონია მკითხველებზე. ბევრს ააღებინა მუსიკაზე ხელი და მხატვრობა-ქანდაკებაც უარაყოფინა. მაშინ ლიტერატურაც ორად გაიყო: უმეტესობა სრულიად უარყოფდა მწერლობაში ხელოვნებას და მეორე, ბევრად ნაკლები, ისე გადაჰყვა ხელოვნებას, რომ გარდა კეთილშოვნებისა და მუსიკისა, აღარა სწამდა რა მწერლობაში... ჩვენ ყოველთვის, საუკუნის განმავლობაში, რუსეთის ნასუფთრალით ვიკვებებოდით და, რალა თქმა უნდა, რომ მაშინაც რუსეთის მიმართულება, დრო და ქამის მიუხედავად, მისი ნილილისტებით ჩვენშიაც გადმოვიდოდა... გადაჭარბება გვიყვარს და რუსობანობამაც მისი ნილილისტობით მაშინ ძალიან მოიკიდა ჩვენში ფეხი. — სტუდენტების რიცხვში მეც ვიყავი. ჩემ ხანგრძლივ ცხოვრებაში საპირადო კერძოსა და წვრილმანებში უხასიათობა გამოვიჩინე, მაგრამ დიდისა და საზოგადოებრიობისათვის კი ჩემს დღეში არ მიღალატებია. მწერლობაშიც შემეძლო, რომ, სხვების აყოლით დიდი სახელი მომეპოვებინა, მაგრამ ჩემს რწმუნებას ვერ ვულატე და შუა ადგილი დავიჭირე... სხვებსავით უმეტესობის მიმდევარი არ ვყოფილვარ. ზაიცევს არად ვაგდებდი, ნიჭიერ პისა-

27 აკ. წერეთელს აქ ალბათ მხედველობაში აქვს ტურგენევის რომანი «Отцы и дети».

28 აკ. წერეთელს აქ მხედველობაში აქვს ნ. ჩერნიშევსკის ცნობილი წიგნი «Эстетические отношения искусства к действительности».

რევს, თუმცა ვაფასებდი, მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის მეჭერა მეორე პარტიისა, რომ მწერლობაში მხოლოდ მუსიკა და კეთილზმოდგანება უნდა იყოს და კმარაო. ორთა შუა მყოფს, მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარად“<sup>29</sup>.

ეს ნაწყვეტი მეტად საგულისხმოა აკაკი წერეთლის შემოქმედების მიმართულების გაგებისათვის. აქ ჩვენ გვეძლევა გასაღები, რატომ აკაკი წერეთელი არ გაჰყვა ნილილიზმის უკიდურესობას. ეს ნაწყვეტი გვაძლევს გასაღებს: გავიგოთ აკაკი წერეთლის ცნობილი სიტყვები ლექსში „პოეტი“ — „არც მიწისა ვარ, არც ცისა“, ან „ხან მიწისა ვარ, ხან ცისა“. ამ თქმაში პოეტი, უდავოდ, გამოჰხატავს იმ ორთაშუა მყოფობას, რომელსაც თავის „თავგადასავალში“ ეხება. რომ მართლაც აკაკი წერეთელი რუსულ ნილილიზმს მთლიანად არ იზიარებდა, ეს, რასაკვირველია, ჩანს მისი პოეტური შემოქმედებიდან და აგრეთვე გულწრფელი განცხადებიდანაც „ჩემს თავგადასავალში“.

რუსეთში სტუდენტობის დროს აკაკი წერეთელს დაუწერია ლექსი „სიმღერა მკის დროს“. ამხანაგებს არ მოსწონებიათ. კიეინა დაუტყიათ: „აი აქ აზრი არ ვარგა და ობროდობის მეტი არა არის რაო“. მხოლოდ კირილე ლორთქიფანიძესა და ნიკო ნიკოლაძეს კი მოუწონებიათ როგორც ხელოვნება, და ურჩევიათ ერთი რამ იმისთანა მიემატებია, რომ ცხოვრებაში გამოსადეგი ყოფილიყო. „მეც, — მოვცილობს აკაკი, — ავიღე და ბოლოში ერთი ხანა ჩავაკვებე:

უხვად მოვიდა წელს პური,  
მაგრამ ბედს მაინც ვემღერი,  
რომ პურს ბატონი წაიღებს  
და მე-კი ოფლსა ტყუილად ვღვრი.

„ეს ნახეს მიწერილი, — განავრძობს აკაკი, — მომიწონეს და კიდევ ამ მიკერებული, ნაძალადევი ლექსით დაიბეჭდა; მე-კი უნდა გამოვტყდე. რომ არც მიწერის დროს და არც შემდეგ არ მომწონებია და პიტომაც მოვშალე შემდეგშიო“<sup>30</sup>.

ამ ორთა შუა ყოფნითვე ნაწილობრივ მაინც აიხსნება, ჩვენი ფიქრით, ის გარემოება, რომ აკაკი წერეთელი საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მოუხედავად იმისა, წმინდა წყლის თერგდალეული იყო და სიკვდილამდე ასეთად დარჩა, ახალი თაობის ძველისაგან ვამიჯვნის დროს არ გაჰყვა ახალ თაობას „საქართველოს

29 აკ. წერეთელი, ტ. I, გვ. 73—74.

30 იქვე, გვ. 71—73.

მოამბეში“, — სადაც, როგორც ზევით გარკვეულად დავინახეთ, თერგდალეულთა უტილიტარული სულიერი განწყობილება წითელ ზოლსავითაა გატარებული, რამდენადაც მაშინდელი ობიექტური პირობები ამის შესაძლებლობას იძლეოდა, და „ცისკარის“ თანამშრომლად დარჩა<sup>31</sup>.

მაგრამ, მიუხედავად ამ გარემოებისა, აკაკი წერეთელი თავისი შემოქმედებით დამახასიათებელი და ტიპური წარმომადგენელია 60-იანი წლებისა. აკ. წერეთელი ღვიძლი შვილია 60-იანი წლებისა და უპირველესად ის ხელოვნების, მწერლობისა და მწერლის დანიშნულების გაგებაშია ამ პერიოდის ტიპური წარმომადგენელი. აკ. წერეთელი, როგორც პიროვნება, პრაქტიკულ ცხოვრებაში, მთელი თავისი ბუნებითა და სტიქიით თითქოს თავისუფალი შემოქმედი, ყოველივე სამსახურისა და სარგებლიანობის გარეშე მდგომი, მწერლობაში, მხატვრულ შემოქმედებაში გარკვეულად უტილიტარულ შეხედულებას იჩენს. გ. ერისთავის ნაწარმოებთა კრებულის წინასიტყვაობაში აი რასა წერს: გ. ერისთავი, „მიხვდა, რომ ცოური ნიჭი ქვეყნის სასამსახუროდ და არა საპირადო რამედ ეძლევა კაცს და რომ მწერლობა არის უძლიერესი და უპირველესი იარაღი, რომელიც სიმართლით უნდა ილესებოდეს და უსუსტრად იზმარებოდეს სამშობლოს საკეთილდღეოდ“. აკაკი, გამოამდინარეობს რა ასეთი შეხედულებიდან, ასე განმარტავს მწერლობას: „მწერლობა ზნეობითი და გონებითი მეზარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა იხატებოდეს მწერლის თანადროება მისი სისწორ-სიმართლით... პოეტის ნაწერშიაც იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია. და მაშასადამე, მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურს საერთო მოვლინებას, რა გინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს. რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ზემომოყვანილ პირობას“<sup>32</sup>.

თვით აკაკი წერეთელიც ხელოვნებაში სარგებლიანობის ასეთი პრინციპის ერთ-ერთ ქემმარიტ ქურუმად გადაიქცა.

მისთვის პოეტის „გული სარკედ ქცეული ბუნების ნათავბედია; მხოლოდ მის სახეს იგივენებთ, რასაც შიგ ჩაუხედია“. პოეტი თავის შემოქმედებაში გვაძლევს მას, რაც „სმენას სხვისაგან გაუგონია, ან თვალს უნახავს და ჭკუას გაუზომ-აუწონია“, „რასაც

31 აკ. წერეთლის „ცისკარში“ დარჩენა, გარდა აღნიშნულისა. ალბათ, არსებითად, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, „საქართველოს მოამბის“ მესვეურთაღმი პირადი დამოკიდებულებითაც აიხსნება.

32 ხს. აკ. წერეთლის წინასიტყვაობა, დართული გ. ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემაზე.



თვალი ჰხედავდა, — გვეუბნება აკაკი, — გულიც მის თქმას ჰბე-  
დავდაო. და იმ დღიდან, — ხაზგასმით აცხადებს პოეტი, — მშვი-  
დობა მგოსნისთვის გათავდაო“.

ლექსში „ახალი გზა“ აკ. წერეთელი ასე გადმოგვცემს თავის  
დამოკიდებულებას ცხოვრებისა და პოეტური მოღვაწეობისადმი:

ჩემს სამშობლოს კარგად ვიცნობ,  
მომივლია კიდი-კიდე;  
მართლის თქმით და გულწრფელობით  
ქირი-ქირზე ვადვივდი.  
აქ მონება ჰქუა არის,  
ორპირობა სიბრძნე დიდი,  
და მას რჩება მოედანი,  
ვინც-კი არის მეტად ფლიდი.

მიუხედავად ცხოვრების ასეთი მძიმე და უსიამოვნო პირობე-  
ბისა, აკაკი მაინც არ ემდურის თავის მუზას. პირიქით, ის, რო-  
გორც მოქალაქე პოეტი; ერთგვარ კმაყოფილებასაც კი განიცდის,  
რადგანაც მუზამ მას, ბრმას აუხილა თვალი:

ნუ იფიქრებ დაგაყვედრო,  
შე მაკლურო, ჩემო მუზა,  
იმისთვის, რომ შენის რჩევით  
ეკლიანი შემხვდა მე გზა.  
გმადლობ კიდეც მისთვის, რომ შენ  
ამიხილე ბრმასა თვალი,  
თუმც-კი ჩვენში ცხოვრებისთვის  
მწარე არის ეგ წამალი.

მიუხედავად ასეთი ეკლიანი გზისა, მრავალი დაბრკოლებისა  
და უსიამოვნებისა, პოეტი არ უშინდება ცხოვრებას, მას თავისი  
ნიჭი მაინც „მისთვის უნდა, რომ სიპართლეს მსახურებდეს, განამ-  
ტვიცოს აზრი წმინდა, გულს სიწმინდით ასურებდეს“. მგოსანს უნ-  
და ისე აეღეროს თვისი ჩონგური, რომ „დაჩაგრულს იმ სიმღე-  
რით გულს იმედი ეძლეოდეს და მჩაგვრელს-კი გულში ძგერით  
ისარივით ესობოდეს“. პოეტმა იცის, რომ მისთვის ეს მოვალეობა  
დიდია, რომ მისი დანიშნულება და მისი სიცოცხლის აზრი ამ მო-  
ვალეობის აღსრულებაშია. ამიტომ ის ცდილობს ამ მოქმედებაში  
დიდი სიმტკიცე დაიკვას. „გამიქვაფედეს მე ეს ენა, — გვარწმუნებს  
პოეტი, — თუ რომ ვისმე მივეფურო და გამიხმეს ეს მარჯვენა, თუ  
სიმრუდით სიმთ ვაჟღერო“. პოეტი მზადაა ჭაერთო საქმისათვის  
და სიმართლისათვის ქვითაც კი ჩაიქოლოს, მსხვერპლად შეეწი-  
როს. მას შეუძლია სხვისი ბედნიერებით განიცადოს პირადი ბედ-

ნიერებაც. „სხვისი ბედით ხომ ვიხარებ, — ამბობს აკაკი „ჩონგურში“, — თუ რომ ჩემს თავს დავრჩი ავად და მაინც არ ვადიარებ შავს თეთრად და თეთრსა შავად“. ეს ხომ 60-იანი წლების ტიპიური გაბედული ძახილია!

აკაკი წერეთლის, როგორც ტიპიური 60-იანელის, შეხედულებით, — პოეტი ისეთი კაცია, რომელიც „უმანკოა და მეცნიერი“, ე. ი. რომელსაც საზოგადოებრივი ღირებულება ახასიათებს, რომელსაც საზოგადოებრივი საქმე ამოძრავებს, რომელიც პირადს უმორჩილებს საზოგადოებრივს. ლექსში „პასუხი ჭაღადიდელისადმი“ აკაკი ასე ახასიათებს პოეტს:

ავიც და კარგიც მას ეყურება,  
თვით არ იზამს ავს, სხვის ავს იცილებს  
მომქმეთ უმანკოდ ემსახურება  
და სიცოცხლესაც მითი იტკბილებს.

. . . . .

ხან მტრედებრ აღმა ჰტრენს მოწონებთ.  
ხან გველივითა ქვესკნელში ძვრება;  
მაგრამ ყოველთვის თვის მოქმედებით  
ის მხოლოდ მამულს ემსახურება.

თავისი მოვალეობის აღსრულებაში პოეტი მყარია, შეუღრეკელი და შეუბრალებელი. „გამბიქვავდეს მე ეს ენა, თუ რომ ვისმე მივეფერო და გამიხმეს ეს მარჯვენა თუ სიმრუდით სიმთ ვაუღერო“ — თამამად გაჰყვირს აკაკი; პოეტი „ძილის დროს ქუხილს ვერ მოშლის და სიბნელის დროს ელვასა“. ის მოუსვენრად მუშაობს, და, ვინც იმ დროს ხელს შეუშლის, ის ქვეყნის მტერია და მისთვის პოეტს აქვს „მომართული გესლიანი ისარი“.

## 2

აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედებას ვინც კი ოდნავ მაინც გადახედავს, დარწმუნდება, რომ პოეტი მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში რაღაც არაჩვეულებრივი სიყვარულით ემსახურებოდა საზოგადო საქმეს. მან ილ. ჭავჭავაძესთან ერთად მტკიცედ გაშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი. ის მთელი მოღვაწეობის მანძილზე გატაცებით შთააგონებდა მკითხველს ქვეყნის — სამშობლოს აყვავება-აღორძინებას, რომლის პოეტური განსახიერება მან სხვადასხვა ალეგორიებსა და სიმბოლოებში ჰპოვა, სხვათა შორის. სათაყვანებელ სატრაფოში. და ეს სატრაფო არაზორციელი, უსუ-

ლო, მაგრამ ხორციელზე უფრო მგრძნობიარე, უფრო ძლიერი და საყვარელი, სულიერზე უფრო მძლავრი და მაღალი — ეს „მისი სატრფო უწინ ტურფა, დღეს კი ლეჩაქ მოხდელი“... ვისაც (პოეტი) ეტრფის; ვისგანაც აწმყო გაშწარებული აქვს, რადგან მას ჰხედავს „აოხრებულსა“ — მისი სამშობლოა.

აი სწორედ ამ სამშობლოს სამსახურს შეალია აკაკი წერეთელმა თავისი ნიჭი, ძალა, სიყვარული. მისი ავზნებული ფანტაზია ტყე და ველად იგავარდნილი დაექებს „სულიკოს“, რომლის პოვნა სასოწარკვეთილებაში გადავარდნილ პოეტს „ენით გამოუთქმელი სიხარულით კვლავ ვაუხსნის სიცოცხლის“ კარს. სამშობლო მგოსანმა მიიჩნია სათაყვანებელ საგნად, თავისი გული ტახტად დაუდგა მას და ნიჭი — ჩაუქრობელ ლამპარად. აი თვითონ აკ. წერეთელი როგორ გვიხატავს ლექსში „ხატის წინ“ თავის დამოკიდებულებას, სამსახურს სამშობლოსადმი:

სანთელი ჩემი ხორცია,  
სიცოცხლე — მოკლე პატრუქი,  
ნათელი — კეუა-ვონება,  
იმთვან გამონაშუქი.

ჩემი ხატია სამშობლო,  
სახატე მთელი ქვეყანა,  
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე,  
არ შემიძლია მეც განა?

აკაკი წერეთელმა თავისი ნიჭი იმ უღრრობის ხანაში არა პირადი ცხოვრების, არამედ გარემოს საყვირად გადააქცია. პოეტი ბუკითა და ნაღარით შეხმატკბილებული გაჰკიოდა და ხარბად უძახდა თანახმაროთ შელახული, შეურაცხყოფილი, ტყვედქცეული, მოტყუებული სატრფოს დასახსნელად.

სამშობლო აკაკი წერეთელს ეხატება ხან როგორც საოცნებო, არაჩვეულებრივი. „ცხრა-კლიტულში“ მომწყვდეული წარმტაცი არსება, ხან, როგორც აოხრებული, ლეჩაქმოხდელი დამონებული სატრფო, ხან კიდევ, როგორც დასუსტებული ავადმყოფი, ხან როგორც ნესტან-დარეჯანი — ქაჯებს რომ ტყვედ ჰყავთ, ხან როგორც მიჯაჭვული ამირანი და სხვა. მაგრამ პოეტი მუდამ ეამს სამშობლოს ერთგულ რაინდად რჩება და ლექსში „ავადმყოფი“ მოძმეთ დაუღალავად მოუწოდებს:

ღეე მისთვის გავღარიბდეთ,  
ზურგს მოვიდგათ საწყლის გულა,

აკაკი წერეთელი ხედავს ჩვენი ცხოვრების დაქინებებს, ხედავს, რომ ქართული საზოგადოებრივი მაჯისცემა დუნდება, უფერული ხდება. ამის მიზეზს პოეტი საქართველოსა და ქართველი ხალხის იმდროინდელ ყოფაში ეძებს. აკაკი წერეთელი, როგორც თერგდალეული მწერალი, არ იზიარებს „მამების“ (გრ. ორბელიანის, დამ. ყიფიანის და სხვათა) შეხედულებას, რომ საქართველოს შეუძლია ფრთა გაშალოს მეფის მფარველობის ქვეშ.

აკაკი წერეთელს, პირიქით, როგორც საერთოდ თერგდალეულ მწერლებს, სწამს, რომ საქართველოს წინმსვლელობა და ბუნებრივი განვითარება დაბრკოლებულია თვითმპყრობელობის მარწუხებით. მისი რწმენით ქართველი ხალხი ცარიზმის უღელქვეშ გადაგვარების გზას დაადგა. ეროვნულ ნიადაგს მოსწყდა. ასეთმა მდგომარეობამ ის ყალბ გზაზე დააყენა<sup>33</sup>.

საზოგადოებაზე გავლენის მოხდენისა და მკაცრი ცენზურის მიერ ჩაწარმოებების აკრძალვის თავიდან აცდენის მიზნით აკაკი თავის შემოქმედებაში იყენებს ალ ე გ ო რ ი ე ბ ს — არაკებს, ზღაპრებს, ლეგენდებს, რომლებითაც პრივილეგიური, განსაკუთრებით მოხელის, თანამდებობით გატაცებული საზოგადოების ყალბი მდგომარეობის გამოაშკარავენას ისახავს მთავარ მიზნად. მაგალითად, ზღაპარში „ღ ა მ ე უ რ ა“ თავგმა თავისი ტომის უკადრისობისათვის ბევრი უბედურება გამოიარა. ბოლოს თავისი უგუნური სურვილის შედეგი მწარედ იგემა და კვნესითა და ტირილით დაიწყო წრიპინი:

კრულ იყოს მისი სახელი,  
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა,  
თვის ტომის დამწუხნებელსა,  
ჭირი მიუვა კარზედა.

გადაგვარების მოსურნე  
ბუნებისაგან კრულია.

<sup>33</sup> რა თქმა უნდა, ამ შეხედულებას ვერ სცვლის მწერლის უკანასკნელ წლებში — 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გამძვინვარებული რეაქციის ხანაში დაწერილი პოემები: „ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი“, „ო შ ი“. „წ ე რ ი ლ ი“ (ნიკოლოზ II მოწოდებით გამოწვეული), სადაც, საქართველოს უნუგეშო მდგომარეობით სასოწარკვეთილებას მიცემული პოეტი, მეფის ძალას ებლაუქება იმ იმედით, რომ მის საფარქვეშ — „ჩვენც ვიძახდეთ ჩვენის საფერათ „მრავალ-ჯამიერს!“ ეს აიხსნება, ჩვენი გაგებით. იმით, რომ მოხუცებულმა, დაძაბუნებულმა მწერალმა იმ დროს, უდავოდ, დაკარგა შესაფერი ალღო სინამდვილის გაგებისა და მისი სისწორით აღქმისა.

მისი პირადი ღირსება  
ყოველგან დაჩაგრულია.  
ქველ ტომში გამოსხლეტილსა  
არ მოუშლიან კბენასა  
და ახალ ტომშიც გაჰკიცხენ  
დაუწუნებენ ფრენასა.  
კრულია მისი ხსენება  
ვინც დაჰკმობს დედა-ენასა,  
თვის ტომს ღალატობს და მითი  
თვით ფიქრობს მალა ფრენასა...

აკაკის ამ ლექსს, როგორც საერთოდ მის მთლიან შემოქმედებას თავისი გამომწვევი ისტორიული პირობები ჰქონდა. ეს პირობები ზემოთ უკვე დასახელებული გვაქვს. აკაკის ზღაპარი პასუხიანი და მძაბრად შეხედული შემოქმედებით პოეტისა, რომელიც იმდროინდელი საზოგადოების უპრინციპო, ხშირად ვითომც ანგარიშიანი, მაგრამ სინამდვილეში-კი მეტად უანგარიშო ცხოვრებით იყო გამოწვეული. ამ შინაარსის ზღაპარი და თარგმნილი, თუ ორიგინალური იგავ-არაკი აკაკისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს.

აკაკი წერეთელს, როგორც 60-იანი წლების ტიპიურ წარმომადგენელს, თავისუფალი და შინაარსიანი ცხოვრების შესაქმნელად აუცილებელ პირობად ზალხის — ერის განთავისუფლება მიჩნია. თერგდალეულების ეროვნული გრძნობის გამოხატულება ხომ ილიას მოხვედის სიტყვებშია მოცემული: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“. აკაკის შემოქმედებაში მთლიანად ასეთივე გარკვეული ენერგიული მოწოდება ისმის: ყველა სამშობლოს განთავისუფლების გუთნის ფხიზელ და მტკიცე მეხრედ. პოეტისათვის ზედმიწევნით დამახასიათებელია „თამარ ცბიერში“ მგოსნის სიტყვები:

ქაბუკობიდან მე გულში მედვა  
ერთი ანდერძი. ერთი იმედი...  
ეს იყო ჩემი წმინდა წმინდათა  
ჩემი სულის დემა და ჩემი ბედი...  
ჩემი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეს,  
ვფიქრობდი, ვნახე შეერთებულსო...

ეს მისწრაფება არა მარტო აკაკი წერეთლის უძირითადესი იდეაა, არამედ მთლად თერგდალეულებისა — საქმით თუ სიტყვით. ამ მისწრაფებითაა გამოწვეული უმეტეს შემთხვევაში აკაკი წერეთლისა და სხვა თერგდალეული მწერლების უტილიტარიზმიც, დიდაქტიზმიც და შემოქმედების სხვადასხვა ზერხი თუ ჟანრიც, რომელთა შემწეობით ასე მოხერხებულად რომ აპარებლენ ისინი

ცენზურის კლანჭებს და ეროვნული სიტყვა მკითხველი მასებისადმი მიჰქონდათ.

საქართველოს ხან წარმტაცი სატრფოს, ხან ტყვედქცეული არსების, ხან ავადმყოფის, ამირანის, სულიკოს და სხვა მრავალი სახით ხატავს აკაკი და ცდილობს მკითხველში მისდამი დაუძლეველი სიყვარული და ენთუზიაზმი გამოიწვიოს. პოეტი აი როგორი ღრმა ინტიმური ლირიზმით აფრთხილებს სამშობლოს:

მეგულები ციხეში  
ცხრაკლიტულში მჯდომარე...  
შეთვისებას გიპირებს  
გაიძვერა მოყვარე.  
გაუფრთხილდი, ნუ გჯერა  
მაგის ტკბილი ნანინა,  
შენზე წინაც სხვა ბევრი  
მოხიბლა შეაცდინა.  
გაუმაგრდი განსაცდელს,  
აიტანე ტყვეობა<sup>34</sup>.

პოეტი გრძნობს, რომ ქართველობა, რასაკვირველია, მხედველობაში ჰქონდა თავადანხაურობა, ისტორიულმა სინამდვილემ დააძაბუნა, დაასწულა. ხოლო გლეხობა კი მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში გზაშეკრული იყო. პოეტი გრძნობს, რომ ძნელია ქართული ეროვნული საქმიანობის აღორძინება-აყვავება, მაგრამ იგი მაინც გარემოებასთან შეუურიგებლობის გრძნობით შთამაგონებლად მოუწოდებს საზოგადოებას და გარკვეულ რჩევას აძლევს:

მაგრამ იცი, მე რას გირჩევ,  
ვით სწეულსა და ავადმყოფს, —  
თუ ორს ქირში ერტს აირჩევ, —  
გარყვნას ისევ სიკვდილი სჯობს<sup>35</sup>.

ასეთმა სინამდვილემ, მასზედ აღმოცენებულმა მწვავე უკმაყოფილებამ აკაკი წერეთელში ძველის იდეალიზაცია გააღვივა. რეალისტი მწერალი აკაკი წერეთელი სამშობლოს სიყვარულმა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების დიდმა წყურვილმა მძლავრად გაიტაცა, ხარბად დაეწაფა საქართველოს ისტორიის წყაროებს, თავს ველარ იკავებს და საქართველოს წარსულს, ძველ წინაპართა

34 აკ. წერეთელი, სატრფოს, ტ. IV, გვ. 71.

35 აკ. წერეთელი, სიყვარული (პირველ ყოვლისა მოგაგონებ...).

მოქმედებას თავის პოემებში რომანტულ იდეალიზაციაში ახვევს. აკ. წერეთლის პოემებს კ. აბაშიძე ასე ახასიათებს: „ისინი (ე. ი. აკაკის პოემები. — მ. ზ.) ნამდვილი რომანტული ნაწარმოებნი არიან... ეს პოემები და დრამები გვარწმუნებს, რომ ძველ საქართველოს მზეზედ არც ერთი შავი ლაქა არ ყოფილა, ყველანი მხნენი იყვნენ, გულადნი, მამაცნი, ყოველის სიკეთითა და მშვენიერებით აღსავსენი. ბერი ბერობას არ კმარობს, პოლიტიკური მოწამეა და თავგანწირული მოწამე, მეფე ისე ადვილად სწირავს თავის გვირგვინთან ერთად თავის თავს და სკიპტრასთან ერთად სულს სამშობლოსათვის, თითქოს ფლავის ჭამა გადაეწყვიტოს... ომში ყოველთვის ერთი ქართველი ათასზე იმარჯვებს, სიბრძნეში და ომის ტაქტიკაში ქართველები სჯობიან, ეს ყველა გაზვიადებული და პოეტის ოცნებით შეფერადებული წარმოდგენაა სინამდვილისა“<sup>36</sup>.

პოეტის შეხედულებით, რასაც ყველა მისი პოემა („თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატ დიდი“, „ნათელა“ და სხვ.) გვიჩვენებს, საქართველოს კერაზე საციოცხლის ცეცხლი არ ჩაქრავს ქართველ წინაპართა სამშობლოსადმი საარაკო სიყვარულისა და აავდადების გამო. ქართველთა წინაპრების შეგნებაში მჭიდროდ იყო ჩაქედილი, რომ ქკუით სრულს და გონებით აღვისილსა კაცს:

ვერ შეაშინებს უბედურება!..  
რამდენიც უფრო ხელი ეშლება,  
ის უფრო კერპად ემსახურება!  
მისგან არჩეულ ცხოვრების საგანს  
და სიცოცხლესთან შეკავშირებულს  
მაშინ გასწყვეტს ის, როცა კუბოში  
ჩასდებს ცივსა და უგრძობელსა გულს<sup>37</sup>.

პოეტის გაგებით, საქართველოს დიდებული წარსული შექმნა იმ დიდმა თავდადებულობამ და ვალდებულებების შეგნებამ, რომელიც „სამშობლოს გამოხსნისათვის“ ყოველივე მახვერბლის გაწირვას თხოულობდა. ბაგრატ დიდი დარწმუნებულია, რომ იქ საიქიოს ტანჯვა უკუნისამდე არ მოეშლება (სარწმუნოების გამოცვლის გამო). იცის, რომ ეს უდიდესი ტანჯვაა, რომელიც-კი ადამიანს შეიძლება გადახდეს, როდესაც სულს ჯოჯობეთს უმოწონებს. მაგრამ ისიც ღრმად სწამს, რომ „ვინც მამულს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვიან მამულიშვილი“. ეს რწმენა ბაგრატ დიდისათვის (როგორც თვით მწერლისათვისაც) პირად სიცოცხლე-

36 კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. II, გვ. 33.

37 აკ. წერეთელი, ბაგრატ დიდი, ტ. III, გვ. 16.

ზეც კი უფრო მაღალი და ძლიერია. ასევე უნდა იყოს ყველასათვის, ფიქრობს და თხოულობს პოეტი და ასევე იბეჭდება ეს გრძნობა მკითხველშიც.

განა ასეთივე თავგანწირული გმირი არ არის თორნიკე ერისთავი, რომელიც მამულის დაცვისათვის, ყოველმხრიდან მოწოლილ მტერს მედგრად და დაუხოგველად ებრძვის. სიბერისას ამგვარი ბრძოლით დამძიმებული თორნიკე გადაწყვეტს ცხოვრებიდან განდგომას და სულის გაწმენდაზე ზრუნავს. ბერად აღიკვეცება. მაგრამ სამშობლოს პირველსავე ძახილზე თორნიკე პირად და სარწმუნოებრივი ცხოვრების ყოველივე პირობას უმალ გადალახავს და ყველაფერს მამულისა და ხალხის კეთილდღეობის საკურთხეველზე უანგაროდ დასწევას.

პოემაში იშვიათი მომხიბვლელობითაა მოცემული მთლიანი სახე პატრიოტი რაინდის — თორნიკე ერისთავისა: მისი გამჭრიახი ნიჭი, როგორც მთავარსარდლისა, ბატალური ბრძოლები, იშვიათი ოსტატობით წარმოებულნი თორნიკე ერისთავის მიერ; მისი დამატყვევებელი თვისებები: თავაზიანობა, მორიდება, თავმდაბლობა, უანგარობა, თავდადება და ყველაფრის გაწირვა ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

განა ასეთივე გრძნობა და სიყვარული არ ალომკაცებს „ნათელას“ გმირებს? ასეთივე გრძნობა მამულისადმი აკაჟებს და ამაყ, რაღაც შემადრწუნებელი რკინის ადამიანის მონუმენტად აქცევს ქართველ დედას („ქართველი ქალი“), რომელსაც მტერთან საომრად ბრძოლაში სამი შვილი ჰყავს გაგზავნილი. ის დაბრუნებულ შიკრიკს ამაყი გულასწყრომით აწყვეტინებს თავის შვილებზე ამბის თქმას, სთხოვს ჯერ უთხრას, ვის მხარეს არის გამარჯვება, — „მტრისა თუ ჩვენსა“. როცა მოისმენს, რომ გამარჯვება ქართველთა მხარეზეა, მხოლოდ შემდეგ დაწყნარებული თავისი შვილების აშავსაც ჰკითხავს. შიკრიკის ცნობა, რომ მისი ორი შვილი მტერს გმირულად შეაკვდა — „მოკვდნენ, მაგრამ სახელი კი ნახეს დაუვიწყარიო“, — დედის წამწამებზე უნებლიედ ცრემლს გამოაჩენს, დედას ნაცრისფერი დაედება, გული მტკივნეულად აუძგერდება და მყის თავის გრძნობაზე გაბატონებული სიამაყითა და ზნეობრივი კმაყოფილებით იტყვის:

. . . . . გამიზრდია  
ქართველ ქალსა ქართვის შვილი!  
ეს ნაღველი დედისათვის  
მწარე არის და თან ტკბილი!  
მამულისთვის მიშობია,  
ვისი ჰირის სანაცვლოდ;



ქართველ დედებს ვალად გვაძევს  
ამ ქირს უნდა გაეუძლოთო!

გმირი დედა განაგრძობს კითხვას: „საშუალომ რაღა ქნაო? ამოიღო ძმების სისხლი? თათრის მძორის დადგა ძნაო?“ და როდესაც გაიგონებს, რომ მესამე შვილმა მთლად დასტოვა ბრძოლის ველი, ლაჩრულად გამოიპარა, აღელვებული, შერცხვენილი და ვაწბილებული საშინელ ტკივილებში წამოიძახებს:

ვაი ლეჩაქს შერცხვენილსა,  
ვაპ ძუძუებს გაიციხულსო,  
ვაი დედას, თითქმის პირშავს,  
რა მახვილი მეცა გულსო!  
არა ესტირი იმ ორ შვილსა,  
ომში მოკლულს გმირულადო,  
ვიგლოე ცოცხლად დარჩენილსა  
უსახელოდ... ვირულადო!

აი სამშობლოსადმი სიყვარულმა როგორ გააქვავა, გააჩინა დედის გული, შვილის სიყვარულაც კი სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაათმობინა. დედამ არამცთუ შვილის სიყვარული დასთმო, უბედურებადაც-კი მიიღო ლაჩრული გადარჩენა შვილისა.

აკაკი წერეთლის მიერ საქართველოს წარსულის ასეთ დახატვას, რა თქმა უნდა, რომანტიკული იდეალიზაციის ელფერი აქვს. ეს გარემოება ნაწილობრივ ვამოწვეულია 60-იან წლებში ეროვნული ბრძოლის ხასიათით. 60-იან წლებში გაჩაღებულმა ეროვნულმა ბრძოლამ რეალისტი მწერალი აკაკი წერეთელი სინამდვილის გზიდან გადახარა, რომანტიზმის იდეალიზაციაში გახვია. საქართველოს წარსულიდან აკაკი მხოლოდ დადებით მხარეებს ჰკრეფს და იმასაც ხშირად მეტად გაზვიადებულ სახეებში გვაძლევს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე მედგარი მებრძოლი აკაკი წერეთელიც საქართველოს წარსულს იყენებდა თანადროულობის ტენდენციური დახატვის მიზნით — მკითხველს დაანახოს კოლონიური პოლიტიკით დამონებული თავისი სამშობლოს აწინდელი სავალალო მდგომარეობა, ამით ააღელვოს ის და ამასთანავე აჩვენოს გზა განთავისუფლებისა — ბრძოლისა, თავგანწირვისა.

აკაკი, როგორც საერთოდ სხვა თერგდალეულებიც, წარსულის დახატვით ხშირად მომავლის ყველა ფენათა სოლიდარობის ნიმუშის დამხატველია. აკაკი წერეთელი, როგორც სხვა თერგდალეულები, მტიკივნეულად განიცდიდა, რომ ქართველი ხალხი მძი-

მე პირობებში კნინდებოდა, ნიადაგი ეცლებოდა თავისი ენის საშუალებით შეეთვისებინა საერთო-საკაცობრიო კულტურა და უკანასკნელთან შეფარდებით გარდაეჭმნა თავისი ცხოვრება. ასეთს შეხედულებას თერგდალეულნი ხომ „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზეც ამჟღავნებდნენ. მაგალითად, სფ. ჩიტორელიძე წერდა: „კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხის ნათქვამი, ყოველისფერი ამორჩევით უნდა გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზედ, დავაკვირდეთ, გავსინჯოთ, შევუფარდოთ ჩვენს ამბავს და ჩვენს აზრსა და ამ შეფარდებით გავიგოთ, რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდი... სამშობლო ქვეყნის სიყვარული (патриотизм), — ფანაგრობს სფ. ჩიტორელიძე, — უნდა გამომდინარეობდეს კაცობრიობის სიყვარულიდან ისე, როგორათაც ნაწილი მთელისაგან. სამშობლო მამულის სიყვარული არის ისა, რომ გულთ გინდოდეს ნახო, რაც კაცობრიობას გონებაში გამოუხატამს. აღსრულებაში იყოს მოყვანილი და შენის ძალისა, შეძლებისა კვალად შევლოდეს მის აღსრულებას... ერთის სიტყვით, — სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამომდინარეობდეს კაცობრიობის სიყვარულიდან“<sup>38</sup>.

ასეთივე აზრისა და მიმართულების გამოხატველნი არიან სხვა თერგდალეული მწერლები და კერძოდ აკაკი წერეთელიც. აი თავის ეროვნულ გრძნობას აკაკი წერეთელი როგორ გამოხატავს ერთს სიტყვაში: „ყველაზე პირველად მე ქართველი ვარ, რადგანაც ქართველად დავბადებულვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე შოვინისტი ვიყო. სხვა ხალხის უბედურებით, რომ ჩემი ხალხი იყოს ბედნიერი, ეს არ მინდა არც ჩემს ხალხს შევსწირავ მსხვერპლად რომელიმე ერს. ჩემი სურვილია, რომ ყველა თავთავისად ბედნიერ იყოს, ერთი მეორის გადაუვიდებლად“<sup>39</sup>.

აკაკი წერეთელი 900-იან წლებში, როდესაც თაობათა შორის უთანხმოებამ კვლავ მკაცრი ხასიათი მიიღო, 60-იანი წლების პოზიციას, რომელზედაც იგი უცვლელად და ურყევად განაგრძობდა დგომას, ასე ამჟღავნებს: „ყველა (ე. ი. ყველა ეროვნება. — მ. ზ.) თავთავის გამშვენებულის ხორციით უნდა იყოს და სული-კი ყველას ერთი უნდა ედგას... სული კაცობრიული!.. აი ამას უნდა ცდილობდეს ყველა შეგნებულის, ვინც კი ქვეყნისათვის ზრუნავს, — ასე ვფიქრობდით ჩვენც და „შევების სადგურისაკენ“ ცხოვრების გზა, შეძლებისა და გვარად, გავყავდა, რომ ჩვენ მოძმეებს გავლა

38 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ. № 5, სფირიდონის და თაღოლის ბაასი.

39 აკაკი წერეთელი, სიტყვა თქმული ერთ არჩევანზე.

გაადვილებოდათ... საქმებს ვაქებდით და წუნსაღებს ვაძავებდით. აგრეთვე სხვა ერებთანაც ვიქცეოდით: ვეძებდით მათთან ძმობა-ერთობას, სიყვარულს და ვუყუფდით მხოლოდ იმათ, ვინც ჩვენ ხალხზე სამტროდ მოდიოდა. და ეს, მგონი არ უნდა იყოს შოვინისტობა?... არა, შოვინისტობა და საძაგლობა ის არის, როცა გაურჩევლად, შენი ხალხის ცუდიც-კი მოგწონს და სხვების მტრობა-უბედურებით ეძებ შენი ხალხის კეთილდღეობას, და ჩვენ კი ამგვარი რამ ფიქრდაც არ მოგვსვლია“<sup>40</sup>.

ეროვნული ბრძოლა ჩვენი 60-იანი წლების მოღვაწეებისათვის, როცა ისინი მთავრობას ებრძოდნენ, პროგრესული იდეების ნიადაგზე სწარმოებდა. ეროვნული თავისუფლება, მათის შეხედულებით, საჭიროა ხალხის კულტურული გზით სიარულისათვის, მისი ბუნებრივი ზრდისა და განვითარებისათვის. ეროვნული გრძნობის გამახვილებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ის ეროვნული ჩაგვრა, რომელსაც ცარიზმი საქართველოს მიმართ ასე უხეშად აწარმოებდა. ამით აიხსნება, რომ ამ ეროვნულ-კულტურული საქმიანობის ხელის შემშლელისათვის აკაკი წერეთელს მზად ჰქონდა „მომართული დეგლიანი ისარი“. ამით აიხსნება, რომ პოეტის „გული, სარკედ ქცეული“, ყოველდღიურ ცხოვრებას თავისი რადიკალურ-დემოკრატიული პოზიციებიდან ეხმარებოდა, მისი ჭირ-ვარამის გამომქლავნების საყვირად გადაიქცა. აკაკი წერეთელმა საზოგადოებრივი მდგომარეობით გამოწვეული ბოღმა-ტივილებით თავის სატირაში თავისებური ნიჭიერებით გადმოაწიხა..

### 3

როგორც თვით აკაკი წერეთელიც მოწმობს, მის სატირას და შემოქმედების უმეტეს ნაწილს დროული ხასიათი აქვს. „საზოგადოდ მე, — წერს აკაკი, — ხელოვნებას დიდს ყურადღებას არ ვაქცევდი და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიური აკვარჯიანობის საბრძოლველ სასამსახუროდ. თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურად შემთხვევით მომხდარა, თვარა ისე ჩემს დღეში არა მქონია ფიქრად რომ მომავლისათვის ვწერ-მეთქი, ამიტომაც უმეტეს ჩემს ნაწერს დღეს იმდენად დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც დრო და ქამი იცვალა და მხოლოდ მაშინ იგულისხმება, როცა

<sup>40</sup> აკ. წერეთელი, საუბარი მამა-შვილს შუა.

მოვისხენიებთ იმ გარემოებას, რასაც გამოუწვევია, ჩემის მხრივ, რომელიმე გვარი მწერლობის“<sup>41</sup>. მართლაც, აკაკის პოეტური ამოქმედება ხშირად მომენტიით იყო გამოწვეული. პოეტი გარემოს ეხმაურებოდა მაშინ, როდესაც აპოლონი მას „საღვთო მსხვერპლისათვის“ იწვევდა. ამ მომენტში მგოსანი თუ ქვეყნის სამსახურისათვის, ცხოვრების წყვილიადის გასანათებლად სანთელს ქმნიდა, მასთან ერთად ხელის შემშლელთათვის გამზადებულ გესლიან ისარსაც არ იშურებდა და მათ თავგამოდებით ჰკებნდა.

პოეტი, რაც უნდა დიდი ნიჭით იყოს დაჯილდოებული, მაინც შეიღია თავისი დროისა. ამიტომ ყოველი პოეტი უპირველესად თავისი ეპოქის თვალსაზრისით უნდა გაისინჯოს და შეფასდეს. თუ ასეთი მიდგომა სავალდებულოა საერთოდ, ჩვეულებრივ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შეფასებისათვის, მით უფრო ბუნებრივი და აუცილებელი უნდა იყოს ეს თვალსაზრისი ისეთი მწერლის შემოქმედების შესწავლისათვის, როგორც არის აკაკი წერეთელი, რომლის „ბუკი და ნალარა“ გარემო ცხოვრების საყვარი იყო. ამით აიხსნება, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედებას, განსაკუთრებით მის სატირას დროული ხასიათი აქვს. და მათი განხილვაც გარკვეულ ისტორიულ პერსპექტივაში უნდა იქნას გათვალისწინებული.

აკაკი წერეთლის სატირას, მართალია, ხანდახან პირადული სარჩული უდევს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის საზოგადოებრივი ტიპიულებითაა გამოწვეული. სატირა აკაკი წერეთელმა, როგორც ტიპიურმა თერგდალეულმა მწერალმა, გამოიყენა, როგორც ერთ-ერთი საშუალება ეროვნული გრძნობის გამახვილება-განმტკიცებისათვის. მათში პოეტი წყრომით და დაუნდობლად ჰკიცხავს გადაგვარების გზაზე დამდგარ საზოგადოებრივ ცხოვრებას და მის „რჩეულ“ წევრებს.

დემოკრატ-პატრიოტ პოეტს ქართველი პრივილეგიური წოდების დახავსებული, შინაარსეულად დაცლილი ცხოვრება და მოქმედება აღარ აკმაყოფილებს. პოეტი მკვეთრად ხედავს, ამ ძირმომპალი, მაგრამ ჭერ ყიდევ გაბატონებული კლასის გაწრიოკებულ მსოფლმხედველობას, მორალს; ხედავს, რომ დარღვეული, კალაპოტიდან ამოვარდნილი ძველი თაობა ფარისევლობის, ზნეობრივი განუჩეკლობის მორევშია ჩაფლული. აკაკი წერეთლის დახასიათებით, ძველი თაობა „ცხადად ბოროტის დამგმობია, ჩუმად-კი ცოდვის მღევნელი“. ნიშნად მორწმუნეობისა და სათნო ცხოვრებისა, ის მუშტს იცემს გულში, მაგრამ იმავე მუშტით „გლხეჯაცს

<sup>41</sup> აკ. წერეთელი, ტ. II, გვ. 337.

ჟურტყამს თავში მწარედ“, „ამიყურად ბევრჯერ უთამაშებს ქალებს“, იმავე ხელებით „მოჩივრებს ჯიბეს უთხელებს“ — ეს თაობა, პოეტის შეხედულებით, „ღირსია ქვით ჩაიქოლოს“.

ასეთი გაიძვერა, ფარისეველია ძველი თაობა და ახალთაობას კი ლანძღავს, ურწმუნობასა სწამებს და ეძახის „რუსეთუმეს“.

მაგრამ პოეტს არც ეს ახალი თაობა — „რუსეთუმე“ აკმაყოფილებს. ეს ახალი თაობა, აკაკის შეხედულებით, თავქარიანია, ზერელე. მას არა აქვს უნარი ცხოვრების სინამდვილეს სერიოზულად ჩახედოს. მართალია, ის ახალს მისდევს, მაგრამ ის სრულიადაც არ არის გარკვეული ამ ახალის არსებობის საჭიროება-მნიშვნელობაში. თითქოს ის ახალს თვალდახუჭული მისდევსო. მაგალითად, რუსეთუმემ ოლონდ-კი ახალ „მოღაზე“ ააშენოს ოჯახი და რა შედეგი მოჰყვება მას, ის არ ფიქრობს, ამის გათვალისწინება მას არცკი შეუძლიან. ახალთაობა გოროზიანად მალლიდან ქვევით დაჰყურებს „მამას“ და ამაყად გაიძახის: „ჩვენი ვალია, რომ დღეს გაჩვენოთ, რაც არ გინახავთ უწინდელ კაცებს: ახალმოდურად უნდა ავაშენოთ ოჯახიო“<sup>42</sup>. „რუსეთუმეს“ სურს ახალი თეორიები, რუსეთში სწავლის დროს რომ ზერელედ გაიცნო, ცხოვრებაში გაატაროს. ცხოვრებისა და ობიექტური პირობების შესწავლის გარეშე მიღებულ, წიგნიდან ამოკითხული ფორმულები უნდა გამოიყენოს. ოჯახის „ახალ მოღაზე“ მოწყობის საქმეში მას სწადია ეკონომიაც დაიცვას. აკაკი წერეთელი რუსეთუმეს გვიხატავს ამგვარი ფიქრებითა და ცოდნით.

რუსეთუმე რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ერთ დღეს ქაქანითა და რაღაც ალტაცებით შერბის მამასთან და, თითქოს ბედნიერების წყარო აღმოეჩინოსო, შესძახებს მას: „ბატონო, კარგო რამ მოვიგონე: იცი ბატონო, რა მოგახსენოთ! რადგან ის ხე დგას მხოლოდ ეზოს შინოდ, გადავქრათ ძირში, მერე დავხეზოთ და სულ ფიცრები დავათლინოთ; ფიცარი თუნხად-კი ღირს, ღმერთნანი ხეს გამოუვა ასი ფიცარი, ეს შეიქნება ასი თუმანი, ოჯახობაცა აბა ეს არის“<sup>43</sup>.

აკაკი წერეთელი „რუსეთუმესაც“, ცხადია, უარყოფითად ახასიათებს. ამ პოემის ტონი გარკვეულად ამქდავენებს „რუსეთუმეს“ ზერელობას, უნიადგობას. თითქოს ახალი ცხოვრების გზის გამოსანახავად და ოჯახის ეკონომიურად გასაძლიერებლად თავის მეურნეობაში იმის მეტი ვერაფერი გამონახა, რომ „ორასი წლის ხე, ეზოს შეენება“ მოქრას. მაშინ, როდესაც თვითონ „რუსეთუმე“

<sup>42</sup> ა. წერეთელი, პოემიდან „რუსეთუმე“.

<sup>43</sup> იქვე.

„ფულს არა ზოგავს. ბზესავითა „ყრის“, რითაც ის, რასაკვირველია, ოჯახს ანიავებს. აკაკი წერეთელი ამ სახით, აშკარაა, გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას როგორც უკიდურესი უტილიტარიზმისა და ნილილიზმისადმი, ისე ზერელე ცოდნისადმი, უკრიტიკოთ, შესწავლისა და გამოცდის გარეშე მოიღოს რომ მისდევდნენ.

აკაკი წერეთლის შეხედულებით, თუ ძველი თაობა არაფრის კარგისა და საღის მქონე არ არის, თუ ძველი თაობა ფარისეველია, მცონარე და არაფრის გამკეთებელია, არც ახალი თაობაა ძალიან სახარბიელო და სასიხარულო. ახალი თაობაც უქნარაა, ნაკლები წინააღმდეგობის გზით ამჯობინებს სიარულს. ის ანგარებიტაა უანგარიშოდ სავსე. ამ მხრით, ახალი თაობა „მამების“ ღვიძლი შვილია. ახალი თაობა, „რუსეთუმები“ (რასაკვირველია, მათი საგრძნობი ნაწილი) სწავლასა და ახალ ცხოვრებას იმდენად ეტანებიან და ითვისებენ, რამდენადაც ეს მათ პირადი ცხოვრებისათვის გამოადგებათ, პირად ბედნიერებას შეუქმნის. ეს ის ხანა იყო, როდესაც ნიადაგმორღვეული ქართველი თავადაზნაურობა ბიუროკრატიული მთავრობის მიერ დაგებულ „ჩინოვნიკების“ მახეში ადვილად გაება და ეკონომიურად გაწროიკებული ერთადერთს ხსნა ჩინი ხედავდა, როდესაც ვახტანგ თულაშვილის მოწმობით, „მამები“ იმისათვის „ანათლებდნენ შვილებს, რომ განათლებას უფრო უკეთესად გაეგეშა მათი შვილები ხერხიანი მტაცებლობისათვის“<sup>44</sup>. შვილებიც ხშირად ითვისებდნენ მამების შეხედულებას, სამსახურს, თანამდებობას აფასებდნენ პირადი კეთილდღეობის შექმნის და არა ქვეყნის. საზოგადოებრივი საქმის თვალსაზრისით.

აკაკი წერეთლის სატირა „აპელაციის მცოდნე“ მშვენიერი და ცოცხალი ფურცელია საქართველოს არაშორეული წარსულისა, როდესაც ქართველი საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა დაჰკარგა საზოგადოებრივი ცხოვრების ალლო, „გაჩინოვნიკდა“, პირადი კეთილდღეობისათვის ყველა და ყველაფერი დაივიწყა. აკაკი მწვევედ გრძნობს საზოგადოებრივი ცხოვრების სიდუხჭირეს, თავის მოქალაქეობრივ მოვალეობასაც მტიკინეულად განიცდის. პოეტური ხედავს, რომ მაცთური მუზის რჩევით ეკლიანი ახალი გზა შეხვდა მას, მაგრამ მუზას ის მაინც არ ემდურის, მადლობელიც-კია, რომ მუზამ მას „ბრმასა თვალი“ აუხილა. მან აშკარად დაინახა, რომ:

44 ვ. თ., შინაური მიმოხილვა, „საქ. მოამბე“, 1863 წ., № 1.

ცოტა მაღლა ასასველელად  
ძმა ძმას იხდის კიბე-ხიდად;  
მშობელს შვილი, შვილს მშობელი,  
ქმარს ცოლი სურს გასასყიდათ!

აქ თვით სჯული ფარისევლებს,  
ხელთ უპყრიათ ბაღე ქსელად,  
ძლიერების საპირფეროდ,  
უძლურების მოსაწველად!“<sup>45</sup>

ასეთია სწორედ „ბედნიერი“ ჩანჩურას შვილი, „აპელაციის“ წყალივით მცოდნე. ეს ახალგაზრდა „სწავლული კაცის“ ყველა ნიშნის მქონეა: „წვერ-ულვაშს აღარ კადრულობს, მოუშვია ბაე-ბი“. „მსწავლელობა“ რომ დამატკიცოს, ჩანჩურას შვილი უარყოფს ჭველაფერ ქართულს და ბრმად, ზერელედ უცხოთ ითვისებს. აა როგორ ახასიათებს აკაკი მას:

ქართულ ტანისამოსსა აბა რაღად იკადრებს:  
სწავლული კაცი არის, ტანზედ ფრაკი აცვია;  
ვინც რუსული არ იცის, მთის ნადირსა ადარებს, —  
ვინ ამტყუნებს, მართალს ბრძანებს: ის სწავლული კაცია!

ასე აქვს „სწავლელობა“ გაგებული ჩანჩურას „ნასწავლ“ შვილს. ასე ესმის მას თანამედრობის კაცის მდგომარეობა ცხოვრებაში! პოეტი ვერ იმაგრებს ბოლმას, ამ „სწავლული კაცის“ დახასიათებას უფრო აღრმავებს და მის სიცარიელეს მთელი სინამდვილით მკითხველის წინაშე ააშკარავებს:

არ მოსწონს სალამური, არც თარი, არც ჩონგური.  
ლეკური ეზიზღება, მოსწონს ტანცი-მანცია;  
ვერც დაეძრახავთ: ოპერისთვის მიუჩვევია ყური!  
ეჰ! რა შვილი დამდგარა! რა სწავლული კაცია!..

მაზრაც კი ჩააბარეს, აწ ვილა შეედრება!  
მოჩივარს რომ შეუტევს, სწორედ რომ მამაცია!  
უფულო კაცის წვევა ეამივით ეკავრება!  
სხვა რამე არ იფიქროთ?! ის სწავლული კაცია!..

ამბობენ ქრთამი სძულსო, არ იქლენის არც ქათამსა,  
მხოლოდ მაშინ არ იწყენს, თუ მსუქანი ვაცია.  
მაგრამ ეს ზვარაკია. ამას ვინ ეტყვის ქრთამსა?  
სხვამ რომ ქნას, ის სხვა არის! ეს სწავლული კაცია!

ასეთია „სწავლული“ შვილი ჩანჩურასი. მას, მწერლის თითქოს გულუბრყვილო, მაგრამ დაუნდობელი შხამით აღსაესე თქმით,

<sup>45</sup> აკაკი წერეთელი, ახალი გზა.

ყველაფერი ეპატიება, რადგანაც საზოგადოება ყოველ მის საქციელს მისი უპირატესობით ხსნის. საზოგადოება, რასაც სხვას არ აპატიებს, ჩანჩურას „აპელაციის მცოდნე“ შვილს პლუსად უსახავს. ამაშია საზოგადოების უბედურება. ამაშია ჩამარხული ამ „სწავლული კაცის“ გაუქვლმართების მიზეზიც. ეს სწავლულიც საზოგადოების ასეთი დამოკიდებულებით თავისებურად, ბოროტად სარგებლობს: „გაბუტვით დადის, სიბრძნე აღარ ეტევა ყელში“.

სატირის უდიდესი გესლიანობა იმაში გამოიხატება, რომ თვით საზოგადოებაა დამნაშავე ჩანჩურას შვილის ასეთ მოქცევაში. საზოგადოება იმდენადაა დაცემული, რომ მას აღარა აქვს სალი შეგრძნებისა და კრიტიკული გარჩევის უნარი, რა არის მისთვის კარგი და რა ცუდი: „მთელს ნაციას ის მოსწონს, მას სძულს მთელი ნაცია“... ასეთი შვილი, „ქართველობის შეხედვით, ყოვლად კარგი კაცია“...

საზოგადოების ასეთს ბეცს შეხედულებაშია მისი ტრაგიკომიკური მდგომარეობა. ამით სარგებლობს ეს „სწავლული კაციც“ და პატრიოტობს მაშინ, როცა შია, „მაგრამ მაშინ კი სხვა გახდება, როდესაც გამოძლება. მას თავი ქონით აქვს სავესე და ტვინით ფეხები“<sup>46</sup>. პოეტის განცდით, ამ გარემოებით აიხსნება, რომ ქართველი „მოწინავეს ჩაპორჩა, უკანაზედ წინ არის, უცხო კაცად არ ვარგა, აღარც არა შინ არის, ორთა შუა ავღია, სანაგველას ფინაა“<sup>46</sup>.

გაწრიოკებული, შინაარსეულად დაცლილი, გადაგვარების გზაზე დაზღვარი, თავის სახედაკარგული ქართველი ა. წერეთელს ეხატება „პატარა მურიას“ სახით, რომელიც ხან უმადურია, ხან ბრიყვი, ხან სალახანა. ის შურმორეული ყუფს (ხმას იძალღებს), წუწუქუნებს. საკმარისია ლუკმა პური გადაუფდოთ, რომ დაკმაყოფილდეს. ეს იმიტომ, პოეტის იგესლიანი განმარტებით, რომ მურია (გადაგვარებული ქართველი) „ბუნებით უძლურია“, „საცოდავია“. ის ლაქუცაა, „თუ არ ჰშია და ან არცა სწყურია“ („პატარა მურია“).

ამავე განცდით აიხსნება ის გარემოებაც, რომ პოეტი ახალგაზრდობაშიც კი შეტად გამახვილებულად ხედავს უარყოფით მხარეებს. იმათაც არ ინდობს და მწარედ შენიშნავს:

ვინც რომ გუშინ ქვეყნის მტერსა  
გაბედულად შეუძახა,  
დღეს ულოკავს ფეხთა მტვერსა  
და იცინის: ხა, ხა, ხა, ხა!

როგორც ძველი, ისე ახალი თაობის უარყოფით მხარეებს აკაკი დაურიდებლად ამხელს. გამოსავალი წერტილი აქაც იგივეა,

<sup>46</sup> ა. წერეთელი, ეპ, ქართველო, აბა მითხარ...



რაც ილია ჭავჭავაძის სატირაში: გამოაფხიზლოს გადაგვარების გზაზე დამდგარი ქართველი საზოგადოება, გააგებინოს და მიაღებინოს ახალი ცხოვრების მოთხოვნილებები, რითაც ხელი შეუწყოს ერის აღორძინებასა და იაერთიანებას.

საზოგადოების უარყოფით მხარეებზე, მის მცონარეობაზე, მის პარაზიტულ და უაზრო ცხოვრებაზე აკაკი წერეთელს ბევრი აქვს დაწერილი, განსაკუთრებით იგავ-არაკების სახით. იგავ-არაკების უმეტესი ნაწილი გადმოთარგმნილია კრილოვოდან, უფრო კი გადმოქართულებული და ჩვენი ცხოვრების სინამდვილესთან შეჯარდებული. ამ იგავ-არაკებს, სხვათა შორის, შინაარსის გარდა, დიდი მხატვრული ღირებულებაცა აქვთ. მათში ავტორი ზომიერად მსუბუქ მკვეთრ ენასთან ერთად, იცავს ეპაურ ტონს და აგრეთვე გეტლსა და შხამსაც უხვად აღევენებს. სატირა, ზშირად ზღაპრისა და იგავ-არაკის სახით მოცემული, აკაკისა და სხვა ჩვენი მწერლების შემოქმედებაში ხომ გარკვეული კონკრეტული თბიექტური პირობებით იყო გამოწვეული.

#### 4

აკაკი წერეთლის ლირიკა 60-იანი წლებს ლიტერატურის სხვა მოტივებითაც არის შეხამებული. მისი ჩანგის უღერის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ თუ მისი ხმა ერთ ნაწილს, მჩაგვრელს, გულს ისარივით ესობა, მეორე ნაწილს, დაჩაგრულს, მწუხარებას უქარვებს, „ცრემლს უშრობს“.

დაჩაგრულზე ზრუნვა, შეხედულება, რომ მომავალი დაჩაგრულთ ეკუთვნის; მათი მომავლისათვის მომზადების საჭიროება, მათი უმწეო ცხოვრების გაუმჯობესებისათვის თანამოზიარეთა რაზმის გადიდება — ეს ხომ 60-იანი წლების მოღვაწეებს ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო.

თვით აკაკი წერეთელი 60-იანი წლების ამ მიმართულებით მოღვაწეობას აი როგორ ახასიათებს: „შეების სადგურისაკენ“ ცხოვრების გზა, შეძლებისდაგვარად, მიგვყავდა, რომ ჩვენ მოძმეებს გავლა გაადვილებოდა. ვტკეპნიდით, ვჰკაფავდით ეკლიან გზას; მის კეთებაში ოფლთან ერთად სისხლის ცრემლებიც ბევრჯელ დაგვიღვრა. დიდი გზა გავიყვანეთ და ახლა სიბერემ მოგვასწრო. დღეს თქვენი ვალია, რომ გააგროთ... თქვენ გაუქირველად მისულხარტ იქამდე, სადამდისაც ჩვენ გზა მივიყვანეთ“<sup>47</sup>.

<sup>47</sup> აკ. წერეთელი, საუბარი მამა-შვილს შუა.

ასეთი შეხედულება ხომ დევიზად დაისახა 60-იანი წლების რუსმა ინტელიგენციამ და მწერლობამ! ამასვე ხომ ემსახურებოდნენ ილია ჭავჭავაძე და სხვა თერგდალეულები!

აკაკი წერეთელი ამ მხრივაც დიდი შეილია თავისი დროისა. ხალხის, გლეხების უმწეო მდგომარეობის ამსახველი სურათები მის შემოქმედებაში უხვადაა გაფანტული.

აკაკი წერეთელი ბატონყმობის გადავარდნის მომენტში ყმის შეილებს უძღვნის „იმერულ ნაწინას“, ახალ ცხოვრებას, თავისუფალს, ადამიანურს ულოცავს მათ. დამცირება-შევიწროებაში გამოვლილ დედას პოეტი შეილისადმი შემდეგს ათქმევინებს: „ნამაშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო. შენი ვარსკვლავი სხვა არის, ბედმა გიცინაო“. ბატონყმობის გადავარდნით ბედნიერი დედა მომავლის შემდეგს სურათს უშლის თავის შეილს:

გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო!  
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერც გაგტებს ვალიო;  
შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო;  
ჭირისა და თვალისაგან გიხსნის უფალიო!

დიდი კაცის შეილს სკოლაში გვერდთ მოუჯდებაო,  
აბა შენ იცი, ბიჭიკო, როგორ ეცდებაო;  
ღველ ბატონის შეილს სწავლაში ნუ ჩამორჩებაო,  
გლესხა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებაო!..  
შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო.

ასეთია თანაგრძნობა აკაკისა გლეხისადმი. ასეთია ჩვენი მწერლის სიხარული და კმაყოფილება ბატონყმობის გადავარდნით გამოწვეული.

აკაკი გლეხის დედის პირით მარტო ბატონების ჩაგვრას არ აღნიშნავს. აკაკის პოეტური ხედვა გლეხის ცხოვრების გარშემო ტრიალებს. ის კარგად ხედავს სხვა ხორცმეტებსაც. მაგალათა, „ჩინოვნეებს“ — მექათანე მოხელეებს. რომელნიც უადამიანო თვითნებობას იჩენდნენ დაჩაგრული ხალხისადმი. „ჩინოვნეიკი“ ხშირად აორ- და ასამკეცებდა გლეხის უმწეო მდგომარეობას. ამისათვის დედა ბატონყმობის გადავარდნით გამოწვეული ბედნიერებისა და კმაყოფილების ამსახველ „ნანაში“ შეილს დარიგებას აძლევს, არამტუ ჩინოვნეების უდიერ მოპყრობას არ ივიწყებს, არამედ შეილს მათადამრც უნდობლობასა და სიძულვილს უწვეთებს გულში:

ჩინოვნეიკიცი არიან ჩვენი გამწვალეო;  
ჩვენ საქმეზე როცა მივალთ, გვეტყვიან „ხვალეო“.  
და ჩვენ როცა დავსაქმებენ, მაშინ-კი „მალეო“.

ამას შენ ველარ გეტყვიან, შენ გენაცვალეო.  
შენ ველარ დაგიბრძოლებენ, თუ რომ თავი სცანო.

ამ მოვლენით გამხსნევებული და იმედმოცემული პოეტი დედას შეილისადმი სიმბოლურად ათქმევინებს: „მაშ ნუ გძინავს, გაიღვიძე, იცან ქვეყანაო!..“

აკაკი წერეთელი გლეხის გაჭირვებულ მდგომარეობას კარგად იცნობდა. ბავშვობისას, ძიძის ოჯახში, გლეხკაცური ცხოვრების სინამდვილეში, ექვსი წლის მანძილზე ფხიზელი თვალით, ყურითა და გონებით ტრიალებდა. ამ პერიოდს შთაბეჭდილებანი პოეტს შეგნება-მეხსიერებაში მკვეთრად ჩაეჭედა. ამ პერიოდის ცხოვრებამ მჭიდროდ გააბა კავშირი პოეტსა და გლეხს შორის. თვითონ აკ. წერეთელი აი როგორ აფასებს გლეხის — ძიძის ოჯახში, იმერეთის სოფ. სავანეში გატარებულ ცხოვრებას: „არ შემძლია არ გამოვტყდე, რომ, თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ვცხოვრობდი“ (აკ. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, ტ. II, გვ. 11). ეს კავშირი ხალხსა და პოეტს შორის, შეიძლება ითქვას, აკაკის ყოველთვის ახასიათებდა. ხალხის ცხოვრების მაჯისცემა პოეტისათვის არ იყო უცნობი. ხალხის გაჭირვებული ცხოვრებით გამოწვეული კვნესა პოეტის ჩანგზე ხშირად მკვეთრ გამოსახულებას პოულობდა. აკაკის ლირიკაში საკმარისადაა მიმოხილული გლეხის უმწეო მდგომარეობის ამსახველი სურათები:

აკაკი წერეთლის დაკვირვებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფებულია საშინელი ფარსევლობა, გაუტანლობა. ყველა ერთმანეთს სჩაგრავს თავისი პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის. ერთგვარი შეჭიბრებაც კია გამართული სხვის უბედურებაზე პირადი ბედნიერების აშენების მიზნით:

მხოლოდ საწყალ მიწის მუშას  
არაეინ ჰყავს გამკითხავი,  
მისი ოფლით თავს იკვებენ,  
ქურქად მიღის მისი ტყავი! 46

მოუხედავად ცხოვრების ასეთი მძიმე პირობებისა, გლეხში მორალური სიმძლავრე და გამძლეობა შენახულია. აი რას ეუბნება ლარიბი მდიდარს:

ვინდ მშიოდეს, ვინდ მწყუროდეს,  
დავდიოდე ტიტლიანა,

48 აკ. წერეთელი, ახალი გზა.

არ ვინატრებ შენს ქონებას,  
არ მსურს ვიყო შენისთანა!<sup>49</sup>

„გლები არ არის ხარბი, ის არ შენატრის ზოგიერთს, რომელიც „საწყალ კაცს ჯიბეს აჭრის, ურცხვად ივსებს ჯიბესა... მას არ უნდა სხვაჲს მოსტაცოს“. ის მუშაა, მას შრომა უყვარს. ის შეჭხარის გუთანს, სახნისს, ხერხს, ხელეჩოს, სატეხს, ნაჯახს-ცულსა. მას, რაც მისი „ურმისა არ არის, სახლში არ შეუტანია“, არ უნდა ის, „რაც მას თავისი ოფლით არ გაუბანია“<sup>50</sup>.

აჲ. წერეთელი გლებს — მიწის მუშას დაკვირვებულნი თვალით რომ ადარებებს პრივილეგიური კლასის წარმომადგენელს, აშკარად ხედავს გლების უპირატესობას, როგორც ზნე-ჩვეულება-ქცევაში, ისე მის მთლიან ბუნებაში. გლები რომ მუშაა, ამით მას თავიც მოაქვს. ის კმაყოფილებას განიცდის, რომ მამლის ყვივლზე უნდა წამოდგეს სამუშაოდ, მეტს ძილს ერიდოს, როგორც ჭირსა და სნებასა. ფზიზელ დარაჯად უნდა ედგას თავის თავს, თორემ, როგორც თვითონვე გამოუცდია და უნახავს გლების ცხოვრებაში — სიზარმაცემ „თუ თავი წაართვა, დააბეჩავენს ტიალი, დაავიწყდება გუთანი, თოხის და ნამგლის ტრიალი“. და ყველა ეს სამეურნეო იარაღი გლებისათვის სასიამოვნო, ცხოვრების შინაარსისა და კმაყოფილების განცდის მიმცემია; ეს იარაღებია, რომ მას პურს აკმევს. შრომა მას კი არ აშინებს, როგორც შეძლებული კლასების წარმომადგენელთ, ფუფუნებაში და უზრუნველობაში აღზრდილთ, არამედ აზხნეებს, ძალას მატებს. ცხადია, პოეტში გლებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება დიდია.

ზოგიერთი ლექსი აკაკი წერეთლისა გლების ცხოვრების სინამდვილის ასახვითა და ლამაზი გარეგნული ფორმით იმდენად ძლიერია, რომ ხალხმა მათი დაბეჭდვის უმალ ისინი თავის წიაღში გაიტაცა, თავის სიმღერად გადააქცია, თითქოს ეს მათი ტანჯვისა და უბედური მღვდომარეობის პიმნი იყოს. ასეთია, მაგალითად, „მუ შუ რი“. ეს გლების მიმე ეკონომიურ და უუფლებო პირობებში შექმნილი კენესის მთელი მწუხარე სიმფონიაა:

სიმინდსა თოხნა დაუწყოთ,  
ერთხმად დაეძახოთ მუშური;  
ეგებ მაშინ დაგვაიწყდეს,  
რომ გლებნი ვართ უბედური!  
მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,  
სხვისიც ვგმართებს სამსახური:

49 მ ი ს ი ე ე, მდიდარს ღარიბისაგან.

50 ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, მუშის ნატერა.

ბატონი გვეყავს, ვართ საწყალი,  
 უპატრონო, უბედური!  
 ყველა თავში გვიჩაჩქუნებს,  
 ვარეშე და შინაური;  
 ცხელსა მიწას უხვად ალბობს  
 ოფლი, ჩვენგან მონაწერი.  
 ჩვენი ჯაფით მონაყვანი,  
 სხვასთან მიდის საზრდო პური,  
 შინ ცოლ-შვილს შიმშილი გვიკლავს,  
 მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?  
 მათსა საზრდოს სხვა იტაცებს,  
 სტირის ცოლი მეძუძური,  
 შიმშილისგან რძე უშრება,  
 წივის შვილი უსუსური!  
 ღმერთს ბატონად მოუცია  
 ჩვენთვის ერთი აზნაური,  
 მისთვის სუყველა ჩვენა ვართ —  
 მებეგრეცა და მსახური!

ასეთია მძიმე უღელი გლეხისა, ყმისა. საკმარისად მუქ რეა-  
 ლურ ფერებშია მოცემული მისი გაწაყვებული ცხოვრება. ყმა იმ-  
 დენადაა ცხოვრებაში შევიწროებული, იმდენად უუფლებოა, რომ,  
 მიუხედავად ბატონის იკაცრი მოქცევისა, უბატონოდ ყოფნაც  
 თითქოს არ უნდა, რადგანაც მაშინ ყველა მისი ბატონია, გამკითხა-  
 ვი-კი არსად ჩანს. ეს ლექსი დაწერილია 1861 წ. 15 აპრილს. ამ დროს  
 რუსეთში ბატონყმობა უკვე გადავარდნილი იყო. მიუხედავად ამი-  
 სა, აკაკი წერეთელი, თუმცა თანაგრძნობით ხვდება ამ მოვლენას —  
 ყმის განთავისუფლებას, მაგრამ მაინც ყმის მომავალი მისთვის  
 რაღაც ბუნდოვანია, ფაურკვეველია. გლეხი თავის მძიმე ოდისეას  
 რომ გადაშლის, ბატონის შევიწროებაზეც რომ მოთქვამს, მაინც  
 იტყვის:

უპატრონიდც არ ვარგივართ,  
 როგორც ცხვარი უმწყემსური.  
 მაშინ ყველა ბატონია!  
 გამკითხავი სადღა არი!

ყმის მდგომარეობის ასეთივე გაურკვეველი პერსპექტივა მო-  
 ჩანს აკაკი წერეთლის მეორე ლექსში „გლეხის აღსარება“.  
 გლეხი, ახალი დროის მოლოდინით გამხნეებული, ბატონს ეუბნე-  
 ბა: „რათ არ მეტყვი ძმები ვართ, მოდი, მომხვიე ხელი“. პოეტი  
 საკმარისი სინამდვილით გამოამატლავნებს ბატონის უდიერ მოპყ-  
 რობას. გლეხი ასე მიმართავს ბატონს:

რომ იცი, რაღად მკითხავ: ასე რისთვის ელონდები?  
მისთვის, ჩემო ბატონო, რომ სულ შენ მაგონდები!  
პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები:  
მაგრამ, ჩემო წამწყემდო აქ, იქ შენ ვერ ცხონდები!

ცხადია, აკაკი წერეთელი გლეხის — ყმის განთავისუფლებასა-  
ცნაყოფილებით ხვდება, ყმის მდგომარეობა მას აღშფოთებს, მაგ-  
რამ განთავისუფლებული გლეხის — ყმის პერსპექტივა, როგორც  
ეს მეტადნდება მისი ამ წლებიან ლექსებიდან, მისთვის ამ დროს ჯერ  
კიდევ გაურკვეველი რჩება. აკაკის შეხედულებით, ბატონსა და  
ყმას შორის არსებული წინააღმდეგობა თითქოს მხოლოდ იმით  
ამოიწურება, რომ „აქ წამწყემდი“ ბატონი „იქ (საიქიოს. — მ. ზ.)  
ვერა ცხონდება“. „მ უ შ უ რ შ ი ც“ პოეტი ყმის ტანჯული ცხოვ-  
რების სურათს რომ გადაშლის, იმის მაგივრად, რომ ყმას მდგომარე-  
ობიდან გამოსავალი უჩვენოს, ლექსს ასე მისტიკურად ამთავ-  
რებს:

ნუთუ გულგრილად უყურებს  
ჩვენს ტანჯვასა მაცხოვარი!...

ასეთივე გაურკვეველი დარჩა აკაკი წერეთელი შემდეგშიც. აი  
1895 წელს რასა წერს პოეტი ყმისა და ბატონის ურთიერთობის  
შესახებ: „იმ დროს როდესაც სხვა ქვეყანაში დაბალ წოდებას არა-  
ფერი ფასი არ ედვა, ჩვენში, როგორც ეს საბუთები გვიმტკიცე-  
ბენ, ადამიანის პირადობა მაღალ წერტილზე მდგარა და ხელშეუ-  
ხლებელი ყოფილა... უძველეს დროიდან ამ მეცხრამეტე საუკუნის  
დასაწყისამდე, ჩვენი ერი უმთავრესად ორ რაზმად იყო გაყოფი-  
ლი: ერთი იყო სამხედრო და მეორე კი მეურნე: პირველი ფარ-  
ხმალით დღე და ღამ უსუსტრად ბრძოლის ველზე იდგა, იგერიებდა  
შემომსვე მტერს, სისხლს ანთხევდა, ყოველ წელს სამსხვერპ-  
ლოდ მზად იყო. მეორე შიგნით ტრიალებდა, მიწის მოქმედი იყო,  
მოჰყავდა საზრდო, თვითონაც რჩებოდა და მეომრებს საკვებს აწვ-  
დიდა. ერთი სისხლს აქცევდა, — მეორე — ოფლს. ერთი მეორეს  
ათავსებდა და ერთმანეთს ვერას დააყვედრიდნენ. ეს კია მხოლოდ,  
რომ საზოგადო ცხოვრებაში საგანი, რაც უფრო საძნელო და დი-  
დია, იმაზე მეტი ფასი აქვს და ძველათაც იმ პირველ რაზმს, ე. ი.  
თავადანაურობას მეტი ფასი ედვა და ითვლებოდა უმაღლეს  
წოდებათ“.

ცხადია, აკაკი წერეთელი ამ პერიოდში ახასიათებს ცნობილ  
თეორიას კლასთა თუ წოდებათა შეერთებისა, შერეებისა. მაგრამ  
აკაკის შემოქმედებაში ერთი რამ-კი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს.

ეს ის, რომ ასეთი უკუღმართი ცხოვრების სქელ ნისლში მყოფი გლეხი-ყმა გრძნობს, რომ შეუძლებელია ასე პირუტყვისაგან მონება. მას უკეთესი ცხოვრების იმედი ესახება, მის მოლოდინში გლეხს „შავი ბედი“ ვერ ერევა.

## 5

აკაკი წერეთლის ლექსებს ერთის მოსმენით თითქოს ჰიცინისა და ხალისის ხასიათი აქვს, მაგრამ თუ მათთან ახლო მივალთ და სარკედ ქვეული პოეტის გულში ღრმად ჩავიხედავთ, აშკარად ვიგრძნობთ მის დაწყულულებულ ტკივილებსაც.

თვით აკაკი წერეთელი მშვენიერადაა გრძნობს თავისი შემოქმედების ასეთ ხასიათს და მის გასაღებს გვაძლევს ლექსში „მუხამბაზი“, სადაც საღათას ძილით მკვდარსაგან იმძინარე, მოტყუებული, უგრძობლად გამზდარი სატრფოს უნუგეშო მდგომარეობა პოეტს მოზარედ ხდის. თავის მდგომარეობას მგოსანი შემდეგნაირად გადმოგვცემს:

თავს ვადგივარ მისი ჭირისუფალი;  
თუმცა გულს მწვავეს მწუხარების მე ალი.  
მაგრამ მაინც ვიციანი სამნაირად,  
და მკვრეტელთაც ესა აქეთ გასაკვირად:

„ჭირისუფალს მხოლოდ ცრემლი შეენისო!  
ეს იციან!.. როგორ არა რცხვენისო?!“  
რა იციან, რომ ეს გული მკვდარია!..  
რომ სიცილი ბევრჯელ ცრემლზე მწარია!..

აქ, სევდის გამოჩხატველ ლექსებში, მეღავნდება აკაკი წერეთლის დიდი ლირიკული ნიჭი, მისი განცდების დიდი სიმწვავე, თანაც მდიდარი, ორიგინალური გამოხატვის უნარი და ხერხები.

„ჩემს სიძულვერს“ აკაკი უჩივის წუთისოფელს, რომელმაც მას ნაღველი ძალუმად დააღვეინა, არც მოკლა, არც დაარჩინა, არც სული დააღვეინა; პოეტი „გაჩენის დღეს წყევლის, სიცოცხლის წამს აჩვენებს და ისიც მატყუარა სოფელს ატყუებს, რასაც გრძნობს, მას არ აჩვენებს“. პოეტი, ჯოჯობეთურ ტანჯვაში გამოვლილი, მუხთალი ცხოვრებისადმი ასეთს დამოკიდებულებას შემდეგნაირად გამოხატავს:

ცრემლი რომ მახრჩობს, ვიციან...  
ჩემი პირბაღე ის არის.

სხვას ხელს რათ მიეცე ჭირითად  
შე ჩემი გულის ისარი...

მართლაც, პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას თუ ვადავ-  
ხედავთ, თვალსაჩინოდ დაეინახავთ, რომ ის დაუღალავად იბრძვის,  
იწვის, „ვით აბედი“, სამშობლოს გადარჩენისათვის. ვით ფარვანა,  
დასტრიალებს „ფეხშიშველა“, „ლეჩაქმობდილ სატრფოს“, ხედავს,  
რომ ძნელია მისი გადარჩენა, რწმუნდება, რომ მისი გამობრუნება,  
მისი განკურნება თითქოს შეუძლებელია, ცხოვრება უკუღმართია,  
ჭრელია, მუხთალია. პოეტს თავი ველარ გაურთმევეია ამ ცხოვრები-  
სათვის და „მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ შ ი“ მწარედ მოსთქვამს:

აპრელდა ჩვენი ქვეყანა,  
ხალხი აირ-დაირია:  
მათი საქმე და ხელობა  
სულ სხვადასხვანაირია:  
პართალ-მტყუანის გარჩევა  
სწორედ რომ გასაჭირია:  
ვის თვალშიც ბეწვი არა ძვეს,  
მისაში თურმე დვირია;  
ეინც რომ სპეტაკად მიგვაჩნდა,  
ის თურმე სულ შავპირია.  
ზურგს უკან ყველა ღალადებს,  
პირში-კი მთქმელი ძვირია...

ეს ხომ სასოწარკვეთილის მოთქმაა! სევდის რკალში ჩაჭედული  
პოეტი უკიდურეს უნდობლობაში მიდის!

გართულებულმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, რომლის  
ნამდვილი გეზი ჩვენმა პოეტმა სათანადო სისწორით ვერ გაიგო,  
აურია მას გზა-ყვალი. აკაკი წერეთელი და მისი სათაყვანებელი  
ქვეყანა თითქოს ცხოვრების უკან დარჩა, ცხოვრება თითქოს დაუნ-  
დობლად არღვევდა, აქარწყლებდა პოეტის ოცნებებს; თვით პო-  
ეტს აცლიდა ნიადავს და აყენებდა გაუწელებელ მწვავე ტყვი-  
ლებს.

აი, ამით აიხსნება, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედებაში  
საგრძნობლად სჭარბობს ხან ხილული და ხანაც უხილავი „კრემლ-  
ში ნალესი ნაღველი და ნაღველიანი მწუხარება“, ბედით უმადურო-  
ბა, ოცნებითა თუ მისწრაფებითა გაქარწყლება და გაცრუება, მარ-  
ტობა. დიდი პოეტი ჩივის, რომ ცხოვრებამ მას ტყბილის მაგივ-  
რად მწარე ასვა, ჭზა ია-ვარდის ნაცვლად, ნარ-ეკლით მოუფინა.  
ამიტომეა, რომ ზოგჯერ პოეტის გული ტყბილად არა ძვერს, მისი  
ჩანგი ემხით არა ქლერს. პოეტი ჯოჯოხეთს მარად გულით ატა-



რებს. ასეთმა ცხოვრებამ პოეტი დასწვა, ვით აბედი და უდროოდ დააბერა. გაწამებული პოეტი მწარედ კვნესის:

ალარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს.  
არვინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს;  
ჩემს შარბათში ნაღველს ვკვრებ და ვარდში გველს.  
ზისთვის ვწყველი და ვემღური ამ სოფელს,  
რომლისგანაც მე გზები ამერია!<sup>51</sup>

პოეტის გული სევდით დაისერა, „ქუხთაღმა“ ცხოვრებამ იგი გატანჯა; ბედნიერებისა და ცხოვრების სიამოვნების დაუშრეტელი წყურვილით მაძიებელი პოეტი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა და შემდეგი სიტყვები ათქმევინა ცნობილ ლექსში „ჩ ე მ თ ა ვ ო“:

ჩალას ველი, დრო არს განქრეს იმედი:  
ჯინდ მეწეოს, ვერას მარგებს აწ ბედი,  
დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი.

ასეთი განცდებისაგან სასოწარკვეთილებამდე მიყვანილი პოეტი სიკვდილს ნატრობს და ღმერთს ზიმართავს: „ღმერთო მომეცი ნება, რომ მეღირსოს საფლავში დასვენება... სჯობს სულ განქრეს კაცი რადგან მტვერია“. ცხადია, მწარე სიანამდვილის განცდამ პოეტი პესიმიზმის განოუვეალ რეალში მოაწყვედია.

განა ასეთივე ნაღვლიანი, კაემნიანი ჰანგი არ ისმის აკაკის მეორე შესანიშნავ ელეგიაში „აღმართ-აღმართ მიდრიოდი მე ნელა“? ამ ელეგიაში ალეგორიულად განსახიერებულია პოეტის (იმ სოციალური წრის, ახალი თაობის ე. წ. თერგდალეულების, რომელსაც პოეტი ეკუთვნოდა) ნდომა ცხოვრების ასპარეზზე დარჩეს, ცხოვრებამ ისიც „ერთ კაცად იწამოს“. პოეტს სურს წინსვლა; ამიტომ აღმართ-აღმართ მიდრიოდა ნელა და სერზედ შედგა. იქ მას „ქჷუნვის ალი ენელა“. მზემ სხივები მოაფინა, მან სიცოცხლე იგრძნო, სიკვდილმა ის ველარ შეაშინა, რადგანაც მას აქ ხმა სიმართლისა მედგრად მოესმა, ფეხქვეშ მიწა იგრძნო. პოეტს ამ ბედნიერების განცდის მომენტშიც სატრფოზე (თავის სამშობლოზე) ფიქრი დაატყვევებს. ის გადიხედავს, დაინახავს სატრფოს — მონას, მოხიბლულს, შემცდარს, ალერსით მთვრალს, რომელიც ვერ ამჩნევს მტერს და მასზე მიმართულ მტრის ისარს.

პოეტმა აქაც ვერ შეიმავრა თავი და გაფრთხილების მიზნით სატრფოს შიდახა:

<sup>51</sup> აკ. წერეთელი, ჩემო თავო.

პინკარში ნუ ვარდები!..  
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!  
წეიბრალე თავი შენი, იცოდდე!  
ნაგ შარბათში საწამლავს ჰსევამ, იცოდდე.

მაგრამ მოხიბლულმა არ ისმინა და პოეტის გულს საუკუნოდ დანა დაასვა. გაწამებულ პოეტს ეს სიამოვნებაც სამუდამოდ მოეშხამება. გატრუებული, განუკურნებელი მწუხარებით შებოჭილი პოეტი თავის მდგომარეობას თვალღია შეხედავს და თითქოს სასოებადაცარგული ასე მიმართავს თავის თავს:

ჩემო თავო, ვეღარ გუტრვენ წამალით!  
დაღმართ-დაღმართ დაუყვეი, წა მალით!  
იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,  
ძარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!  
დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად ის,  
ხელდაკრეფით განისვენე მარადის!

ესაა პოეტის მომავალი მწუხარების უკანასკნელი ზარი.

ქართული საზოგადოებრიობის გამოფხიზლების, მისი განმტკიცების, ეროვნული მონობის ბორკილთა დამსხვრევის, ყველაფრის შემწირველი სურვილის უშედეგო ბრძოლამ დაქანცა პოეტის გული, დათენთა მისი სული, ტანჯვისა და სევდის ბურუსში გაახვია მისი გონება, მთელი მისი არსება და თავისი ეს ჯოჯოხეთური გაწამება ასეთ პოეტურ ელევგიაში აასახვინა.

აკაკი თვითონაც გულანდილად ამბობს: „სანამ ჩემი საყვარელი ქაჯებსა ჰყავს ცხრა კლიტულში, ვინ მალირსებს სასუფეველს, ჯოჯოხეთი მიძევს გულში“.

პოეტს, როცა ის ჩაუფიქრდება და ჩაუკვირდება თავის თავს, თავის „სატრაფოს“ მდგომარეობას, სევდის ნისლი სიხარულის კარებს უხშობს. მკაცრი სკეპტიციზმი შეიპყრობს მას და გაწამებული პოეტი ამ განცდას ლექსში „ახალი წელი“ ნაღვლიანად გამოსთქვამს:

მას უხაროდეს ახალი წელი,  
ვინც-კი ცხოვრებით კმაყოფილია,  
ვისიც წარსული არ იყო მწველი  
და მომავალი ვისიც ტკბილია...

მას უხაროდეს, თორემ ნაღველი,  
ვინც შესვა ჩემებრ და სცნო მწარ ძალა,  
ძას რაღად უნდა ახალი წელი?  
ნისთვის ერთია: „დღესა“, თუ „ხვალა“

სამივეც ერთად შეზავებული:  
წარსული, აწმყო და მომავალი  
ველარას არგებს! ბნელი უფსკრული  
და საფლავია მისი წამალი!

მაშ ნუ მილოცავ მე ახალსა წელს.  
ჩემთვის ერთია — „ახალი“, „ძველი“!  
თუ შარშან ვსვამდი მწარესა ნალველს,  
ამ სასმელს წელსაც ველი და ველი!

ასეთია აკაკი წერეთლის შემოქმედების სევდა-ნალველი, რომლის სათავე უნდა ვეძებოთ იმ დარღვეული ცხოვრების ფსკერზე.

## 6

აკაკი წერეთელს, მიუხედავად აღნიშნულისა, თერგდალეულების მსგავსად ახასიათებდა რწმენა და იმედი მომავლისა. მართალია, სინამდვილე, ცხოვრება პოეტს მწარეს მეტს ასმევს, საიმედოს და კეთილს თითქოს არაფერს უქადის, მაგრამ მასში სიყვარული ცხოვრებისადმი იმდენად ძალუმიცა, ცხოვრების ასპარეზიდან მისთვის მოხსნა იმდენად მტკივნეულია, რომ ის დაღუპვას ვერ ურიგდება. ცხოვრების გაუხარებელი პირობები მაინც ვერა კლავს მასში მომავლის იმედს, რომ მისი „სატრფო“ განთავისუფლდება, განიკურნება, აღსდგება.

ასეთია ა. წერეთლის შემოქმედების ხასიათი. თუმცა მან ნახევარი ცხოვრების გზა განვლო და მწარე უფრო მეტი შესვა, თუმცა აშკარად ხედავს, რომ მისი სატრფო სნეულია, უძრავია, მას მაინც იმედი არ გასტეხია, მის „გულსა და ჰკუას სჯერა, რომ ჭერ კიდევ არ გამჭარალა მომავალი ბედის წერა“. ამიტომაც, რომ ლექსში „ავად-მყოფი“ პოეტი ფანატიკური რწმენით გაიძახის:

არ მოკვდარა. მხოლოდ სძინავს  
და, როდესაც გაიღვიძებს,  
მოიგონებს იმათ სახელს,  
ვინც ღლეს იმას არ იფიწყებს!

პოეტის გაწბილებულ გულს თვალთმაქცი ცხოვრების ბუ-რუსში მაინც „იმედი მომავლისა ცისარტყელად ესახვის“. ეს იმედი ცხოვრების უაზრო ბურუსს ნათელ სხივსავით არღვევს და პოეტის დამწუხრებულ გულსა და გონებას მაგნიტსავით მიიზიდავს; გადაიტანს ბურუსს იქით მყოფს მოახლოვებულ ცხოვრებაში და მომავლის აი როგორ სურათს დაანახვებს:

აღარ არიან მათ შორის  
კიკოლი-ტეტიკელები,  
რომ მოძმედ გასაძარცვავად  
ააფოთარონ ხელები.

მათ ნაცვლად სხვები ჩაბმულან  
მეთაურ მოწინავედა,  
გზა დაბნეული ხალხისთვის  
მოსედ და ისუ ნავედა.

შრომობენ მოციქულებრივ,  
თავი არ მოაქვთ დიდადა  
და კერძოს საზოგადოსთვის  
აგებენ გზად და ხიდადა!...

ეს არის მსხვერპლი საერო!  
ეს არის აღთქმა და შეველა!..  
და ერიც „აღთქმულ ქვეყანას“  
უახლოვდება ნელ-ნელა<sup>52</sup>.

ეს გრძნობები აკაკი წერეთელში გაძლიერდა 90—900-იანი წლის მოძრაობის ზეგავლენით. 90—900-იან წლებში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად საქართველოს ისტორიის ასპარეზზე სამოქმედოდ გამოდის მუშათა კლასი. ამ კლასის ორგანიზაციას ხელს უწყობს ამავე პერიოდში (90-იან წლებში) სამოღვაწეოდ გამოსული ახალი, ე. წ. „მესამე დასი“, რომელმაც დაიწყო მარქსიზმის პროპაგანდა. მშრომელთა მასების დარაზმვა და მათი გამოსვლები განსაკუთრებით გარკვეულ მებრძოლ-რევოლუციურ ხასიათს იღებს 1898 წლიდან, როდესაც „მესამე დასი“ გაერთიანდა რუსეთის რევოლუციურ მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. მუშაობა მშრომელთა დარაზმვის საქმეში თანდათან თბილისიდან პროვინციებშიც (ბათუმში, ქუთაისში და სხვა ადგილებშიც) ვადავიდა. ეს იყო პერიოდი, როცა მუშათა რევოლუციური გამოხვედრები მთელ რუსეთს მოედო. შეიარყა ძველი წყობილების საწყისები. მეფის ტახტის რყევამ აკ. წერეთელს იმედები გაუღვიძა. სანუკველი სატრფოს განთავისუფლების იმედი მასში მტკივნეულად აღძრა და პოლიტიკური აზვირთების დასაწყისმა მის ოცნებას ცხოვრების ახალი სურათი გადაუშალა.

პოეტის გრძნობა, მომავლის ასეთი სურათით გამხნეებული, უპირველესად მისი სამშობლოს გარშემო ტრიალებს. მას უპირველესად მონობის უღლიდან განთავისუფლებული თავისი სამ-

52 აკ. წერეთელი, საქართველოს დღევანდელი სახე.

შობლო აქვს წარმოდგენილი. განთავისუფლების მოლოდინისა და მოახლოვების იმედით პოეტის აგზნებულ ფანტაზიას ასე ეხატება „ფეხშიშველა, თავზე ლეჩაქმოხდილი, ავადმყოფი, საიდუმლო, გულგამხეთქი, დაფარული“ სიყვარულის გამომწვევი სატრფოს — სამშობლოს მდგომარეობა:

კავკასიის ქედზე იყო  
ამირანი მიჩაქველი,  
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,  
დაფლეთილი ჰქონდა გული.

ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის  
გულს ცეცხლი არ ჰნელდებოდა,  
და რალაცა მანქანებით  
გული ისევ მთელდებოდა

ჰქონდა ჰირში მოთმინება.  
არც კვნესოდა, არც ოხრავდა.  
უსამართლო ძლიერებას  
მონურად თავს არ უხბრია!..

ბოლოს შაინც გამარჯვება  
დარჩა, ყველა გააოცა  
და ის ღვაწლიც მაგალითად  
შვილი-შვილთა მან გადმოსცა.

აქ, აშკარაა, ამირანის სახით პოეტი ხატავს თავის სამშობლოს ბედს, თავისი სანუკუარი მისწრაფების სინამდვილედ ქცევას. პოეტი ვერ ითმენს და თვითონვე ისწრაფვის მკითხველს ალევგორია გაუხსნას:

კავკასიის მაღალ ქედზე  
მიჩაქველი ამირანი  
არის მთელი საქართველო  
და მტრები კი ყვავ-ყორანი.

მოვა დრო და თავს აიშვებს.  
იმ ჭაპვს გასწყვეტს გმირთა გმირი...  
სიხარულად შეეცლება,  
ამღენი ხნის გასაჰირი!..

პოეტს უნდა ჩაიხედოს ამ განთავისუფლებული საქართველოს მომავლის ცხოვრებაში. მას უნდა გაარჩიოს თავისუფალ სამშობლოში ვინ არის ახალი ცხოვრების მკედელი, ვინ და როგორ ქმნის ცხოვრების ღირებულებას, მის საფუძვლებს. და აი რას გაარჩევს:

მაგრამ ვხედავ მომავალში  
გამოსულა მუშად ერი,  
ერთმანეთთან შეთანხმებით  
ძლიერი და ბედნიერი.

გზა გაჰყავს და ხიდსაც აგებს,  
სისხლითა და ოფლით რწყულსა,  
და, მომავლის მოიხედე,  
ალარ იმჩნევს წყლულად წყლულსა.

გამარჯობა ნამდვილ მუშებს!  
ვაშა, ვაშა მომავალსა!..  
ის ასწორებს დღევანდლობის  
გამრუდებულ გზას და კვალსა:

ალიარებს მხოლოდ ძმობას,  
თანწირობას, სიყვარულსა,  
და საზღვარი არ ექნება  
მის უმანკო სიხარულსაჲჲ.

„ცუდ დროში დანაბადი“ პოეტი შორით ჰკვრეტს ამ ნეტარ  
დროს. მის გულს სიხარული და ბედნიერება ეფინება.

პოეტი გრძნობს, რომ ამ ბედნიერ დროს ის თუმცა ვერ მოეს-  
წრება, მაგრამ იმედი ამ დროის მოახლოვებისა და მისი აუცილებ-  
ლობისა მასში იმდენად ძლიერია, იმდენად ტკბილი, რომ უმტკივ-  
ნეულოდ, დამშვიდებული გვეუბნება:

რა ვუყოთ, რომ ვერ მოვესწარ!  
სიკვდილის წინ ხომ მაინც ვგრძნობ  
მომავალ ბედს? და ამ გრძნობას  
სულთა მბრძოლი თან ჩავეიდნობ;

არ მომკვდარა საქართველო!  
აყვავდება ერთხელ კიდე!  
და გაისმის ძველებურად  
იმისი ხმა კილით-კიდე.

ეს იმედი აკაკი წერეთლისათვის ერთგვარი შემარავებელი შე-  
იქმნა ცხოვრებასთან. ამიტომ პოეტს ასეთი გატაცებით ჩაუჭიდა  
მისთვის ხელი, შეუთვისებია ის. ამიტომაც, რომ პოეტი, თითქოს  
უკუღმართობაზე გაბატონებულნი, ამაყად გვეუბნება:

არა! აყვავდეს იმედი!..  
გულს ვერ გამიტეხს კალარა!..

აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთელმა საოცარი წინათგრძნობით (თუმცა არა სათანადო კონკრეტულობით) გაითვალისწინა მომავლის ცხოვრება და ის როლი, რომელიც ითამაშა ეროვნული საკითხის გადაჭრაში მშრომელმა. მართლაც, აქ პოეტის ინტუიცია საღი და შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. არსებულ კლასებში მხოლოდ მუშას შეეძლო დაენგრია თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრეები და მასთან ერთად დაემსხვრია ბორკილი ეროვნული ჩაგვრისა.

ეს ასეც მოხდა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა აკაკი წერეთლისათვის მუშის რევოლუციური როლის სწორი და გარკვეული გაგება მიგვეწერა. არა, აკაკი წერეთელმა, უდავოდ, 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის გავლენა განიცადა. პოეტმა იგრძნო მუშის ძალის მოზვირთება. მართალია, მან სისწორითა და სიმკვეთრით ვერ გაითვალისწინა მისი მნიშვნელობა, გაურკვეველად ხარკი მისცა მას. როგორც მებრძოლ ძალას იმ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომელსაც თვითონვე ასე გულით ებრძოდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, როგორც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი. უმთავრესად ამან გააწოდებინა ხელი პოეტს მუშისადმი ასეთი ერთუზიანებით.

აკაკი წერეთელი, როგორც მისი შემოქმედების ანალიზი გვიმტკიცებს, სოციალური საკითხების გადაწყვეტაში გაურკვეველობას იჩენს. ეს მას, როგორც სხვა თერგდალეულებს, მთელი მოღვაწეობის მანძილზე ემჩნევა.

ამასვე ამტკიცებს აკაკის პუბლიცისტური წერილებიც. XIX საუკ. მიწურულში, 1895 წ. იგი შემდეგს წერდა: „შემცდარი არიან და დიდი დამნაშავენიც ის ყვანჩალა ვითომ მეცნიერები, ანუ ლიბერალები, რომელნიც დღეს წარმომდგარან და რალაც სხვადასხვა წოდებას ესარჩლებიან, ეკამათებიან. ეს თავადიო, ეს აზნაურიო. ეს გლეხიო და სხვ. მაშინ, როდესაც წოდებათა განსხვავება ძველად საფუძვლიანად იყო შეგნებული და დღეს კი შეუგნებელია. დღევანდელი წოდებანი ჩვენ ისტორიულ ნიადაგზე არ არიან აღმოცენებული. იმათ მხოლოდ ძალდატანებით ასკიკუყუსავით იჩინეს თავი. მაგრამ თავადობა კი ჩვენი ცხოვრების ნაყოფია, იყო და კიდევ იქნება. იმ კანონითვე მოვა და იმავე კვალს დადებს. როგორც

ძველად ყოფილა. მხოლოდ დრო და ვითარების შესაფერად ფერ-  
ხორცი კი სხვა ექნება. ძველებური წესწყობილება დაირღვა, დღეს  
ახალი საისტორიო დროება შემოდის, მისთვის ახალი გზის გაკაფ-  
ვაა საჭირო. მუშები გამოვლენ რაზმით და ვინც მათში უფრო ძლი-  
ერი იქნება, საქმეს თავში დაუდგება, სხვებს წინ წაუძღვება, მეთა-  
ურობას გაუწევს, თავადად იმას იწამებს ქვეყანა... ამ ჭეშმარიტე-  
ბისათვის არც ძველ დროს აუზხვევია გვერდი და ვერც ჩვენ ავუ-  
ხვევთ. ეს ჭეშმარიტება უძველეს დროიდანვე ჩვენს ქვეყანას  
ძვალში და რბილში აქვს გამჭდარი“<sup>55</sup>. ვფიქრობთ, ასევე ესმო-  
და აკაკი წერეთელს ეს სოციალური ურთიერთობა ბოლომდე და  
თუ ვაშათი შეხვდა მუშათა მოძრაობას, როგორც ზევითაც ვთქვივთ,  
ეს იმიტომ რომ, მისი გაგებით, ეს მოძრაობა იმასვე ეწინააღმდე-  
გებოდა, რასაც ის ებრძოდა თავისი ეროვნული პოზიციებიდან,  
ე. ი. თვითმპყრობელურ მმართველობას, რომელიც სახელმწიფოში  
შეშავალ ერთათვის ციხედ ვადაიქცა და რომლის წინააღმდეგ  
ბრძოლისათვის მთელი მოღვაწეობის მანძილზე მკითხველს აკაკი  
უძახდა და აფხიზლებდა.

განა ასეთივე მდგომარეობა არა გვაქვს აკაკი წერეთლის მიერ  
1905 წლის რევოლუციის ზეგავლენით დაწერილ ზოგიერთ მშვე-  
ნიერ ლექსში?!

აკაკის შემოქმედება, როგორც ცხოვრების მგრძნობიარე „ნა-  
თავხედი“ და საყვირი, ვერ დარჩებოდა მუშათა იმ ძლიერი მოძ-  
რაობისა და მსოფლმხედველობის გავლენის გარეშე, რომელიც  
1905 წლის რევოლუციას ახასიათებდა. პოეტი გატაცებით შეჰხვდა  
ახალგაზრდობას, მის მოქმედებას თვითმპყრობელობისა და საერ-  
თოდ ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, თუშცა კი „ს. -- დ.-ს“ გულახ-  
დილად ეუბნება:

ზოგი არ მოჰწონს რამ შენში.  
მაგრამ საერთოდ კარგი ხარ...  
ერთ დროს მეც გამოვადგები,  
თუმც ჭერ-კი სხვისი ბარგი ხარ.

შენი შეცდომა სჯობია.  
მძინარის შეუცდენასა,  
ვიწუნებ, მაგრამ შენს ძვირს-კა,  
ვერ ვათქმევინებ ენასა...

აკაკი ამ მიმართვაში თავისი მრწამსის ერთ მეტად საგუ-  
ლისხმო ხაზს ამქვადანებს, სახელდობრ იმას, რომ დრო მოვა და  
ახალგაზრდობა ცხოვრებას უკეთესად ჩაუკვირდება. მაშინ ის

<sup>55</sup> აკ. წერეთელი, მცირე რამ, „კვალი“, 1895 წ., № 22.



აკაკისთან (და საერთოდ მისი მსოფლმხედველობის მოღვაწეებთან) საერთო ენას გამონახავს. ჩვენი პოეტი ასე განაგრძობს ახალი თაობისადმი მიმართვას:

მოვა დრო, შენც გასწორდებო,  
დასდგები შენს ღონეზედა  
და ბაიათებს დასძახებ  
სხვა კილო და სხვა ხმაზედა...

აქ განა ისევ არ ისმის, რაც აკაკისავე „საუბარში მამა-შვილს შორის“: „დიდი გზა გავიყვანეთ და ახლა სიბერემ მოგვიანწრო. დღეს თქვენი ვალია, რომ გააგრძელოთ“? აშკარაა, სიკვდილამდის ყველაფერს აკაკი წერეთელი, მართალია, ერთგვარი ვარიაციებით, მაგრამ მაინც სპეკრეტს თავისი 60-იანი წლების მსოფლმხედველობის თვალსაზრისით.

რა საფუძველზე ხდებოდა აკაკი წერეთლის რადიკალურ-დემოკრატიულ მისწრაფებათა განვითარება და მისი ახალ თაობასთან დაახლოვება? იმის თქმა, რომ აკაკი წერეთელი და მისი თანამოქმედნი თაობა რაიმე სოციალისტურ გაგებას აძლევდნენ იმ მოვლენებს, რომელთაც ისინი ეხმაურებოდნენ, რასაკვირველია, როგორც ზევითაც დავინახეთ, შეუძლებელია.

აკაკისა და 60-იანი წლების მოღვაწეების მსოფლმხედველობის მთავარ დებულებას წარმოადგენდა პიროვნების, შრომისა და ეროვნული თავისუფლება. ამას ემსახურებოდა მთელი მოღვაწეობის მანძილზე ყველა თერგდალეული და კერძოდ აკაკი წერეთელიც. პიროვნების თავისუფლების იდეა თხოულობდა შრომის განთავისუფლებასაც. თუ ამას დაეუმატებთ ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლასაც და იმ გარემოებას, რომ ამ იდეების სამსახური იწვევდა არსებულ წესწყობილებასთან ბრძოლასა და ხშირად მედგარ ბრძოლასაც, გასაგები იქნება ის დამახლოვებელი პუნქტი, რომლითაც 60-იანი წლების მოღვაწენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განწყობილებით თანაუგრძნობდნენ ხოლმე რევოლუციურად მოაზროვნე ახალთაობასა და მის საქმიანობას.

1905 წლის რევოლუციამ დიდი სიძაღრათ იქვეა, არსებულთ უკმაყოფილო-შევიწროებულმა მშრომელთა მასებმა გაერთიანებული ძალით სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს დახვესებულ, ძველ წესწყობილებას. სახელმწიფოებრივი ცხოვრება კიდით კიდემდე ძალუმად შეარყია. მეფის ტახტმაც თითქოს ნგრევა დაიწყო.

აღტყინებული აკ. წერეთელი არ მალავს თავის აღფრთოვა-

ნებულ თანაგრძნობას ამ მოძრაობისადმი. ის ძალუმაღლად გაჰყვივის, რომ გაღვიძებული ხალხის ღელვამა და ბრძოლამ აღასრულა მისი დიდი ხნის ნატვრა და მას ნუგეში მოჰპოვინა:

მადლობა უფალს! მოვიდა წარღვნა,  
რომ წაილეკოს უსამართლობა.  
და დაემკვიდროს ამიერიდან  
შეება, თანხმობა, ძმობა, ერთობა!  
(„ნატვრა“)

რევოლუციური ბრძოლის მსვლელობითა და მისი გამარჯვების დაუძლეველი სურვილით აღტყინებული პოეტი თავის გულწრფელ, დიდი თანაგრძნობის ხმას უთანხმებს აჯანყებულთ, ძველი წყობილების დამხობის გადაწყვეტილი სურვილის მატარებელი ხალხის ყიჟინას და ისიც ამდგარ ხალხთან ერთად ხალხის დამჩაგვრელ, ხალხის მტერ მთავრობას გაბედულად, მტკიცედ შესძახებს ლექსში „ძირს“:

ბნელს ნათელმა მოაშუქა  
და ერთ რამედ ესეც ღირსო!...  
ძველი წესი-წყობილებაც  
ბნელს გაჰყვება და შენ „ძირსო!“

შენგან ძალაუნებურად  
არ მოველით დანაპირსო;  
ჩვენ მოუვლით ისევე ჩვენ თავს,  
არ გვინდებხარ — „ძირს და ძირსო!“

ხალხი იბრძვის!... ხალხი ჰღელავს!  
ველარ ასდებ აწ აღვირსო!...  
ყოველის მხრით შეგძახიან:  
„ძირს, მთავრობავ, ძირს და ძირსო!“

აქ. წერეთლის რევოლუციური პათოსი, მისი რევოლუციური მოძრაობით გატაცება და ამ რევოლუციის მსვლელობა-გამარჯვებაში ხალხის მასების როლის მნიშვნელობის ღირსეული შეფასება მშვენივრად მქლავნდება მის მიერ გადმოთარგმნილ-გადმოკეთებულ, რევოლუციურ სიმღერაში — „ინტერნაციონალი“, რომელიც მშრომელი ხალხის გზის მაჩვენებელი და წამყვანი ჰიმნია.

აქ. წერეთელი რევოლუციასა და მის გამარჯვებას მარტო ერთი ერის განთავისუფლების თვალსაზრისით კი არ უყურებდა და აფასებდა, არამედ საერთო, პირველ რიგში, ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა ინტერესებით. ჩვენი პოეტი სრულიად ჯან-

სადაღ ითვალისწინებდა, რომ საერთო მტრის — მეფისა და მისა უხეში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ საჭიროა საერთო ბრძოლის ფრონტის შექმნა, ძალა ხალხთა მთლიანობაშია. აკაკიც დროულად ჩააგონებდა მშრომელთ: დროა „ყოველი მხრის მუშა ხალხი“ შეერთდეს, უკუაგდოს შიში და გაბედულად „მტერზე მედგარი იერიში მიიტანოს“. აკ. წერეთლის მართებული გაგებით, ამის გარეშე ბიუროკრატიულ-პოლიციური წყობილების დამარცხება შეუძლებელია. ანიტომაც ის თავის ხმას უერთებს და მეგობრობის თანაზიარის ხელს აწვდის „ყველა ტომის მშრომელს“, პირველ რიგში კი „მშიერ მუშას“ ურყევი ტონით შთააგონებს:

აღსდგე, ყოველი მხრივ მუშაე!  
გაიღვიძე პროლეტარო!  
ჩვენვე უნდა მოვუპოვოთ  
ჩვენს თავს აწ დრო სანეტარო!

უნდა მტერი დავამარცხოთ.  
ძალმომრევი, უსამართლო!  
რა გვაქვს მასთან ჩვენ საერთო.  
საპირფერო ან სამადლო?

ეს იქნება საბოლოო  
შეტაკება, მწარე ომი!...  
და თუ ვსძლიეთ, ჩვენთან ერთად  
გაიხარებს ყველა ტომი.

ეს და მხოლოდ დაგვრჩენია,  
ამით ვფიქრობთ თავის დახსნას!  
ვაუმარჯოს მშიერ მუშას,  
მის მკლავსა და მის მარჯვენას!

(„ინტერნაციონალი“)

აკ. წერეთელი გულუბრყვილოდ არ უყურებს ხალხთა ამ კიდილს საუკუნეებში გამაგრებულ უსამართლო მტერთან — მონარქიულ წყობილებასთან. პოეტი იმასაც კარგად და ნათლად ითვალისწინებს, რომ დიდი საქმისათვის, როგორც იყო 1905 წლის რევოლუცია, — მედგარი თავგამეტებული ბრძოლა, სასტიკი იერიშებით, არ შეიძლება მომხდარიყო უმსხვერპლოდ. მაგრამ მან ისიც კარგად იცის, რომ ბრძოლაში ჩაბმული კაცი, მით უმეტეს გაერთიანებული მასები, კატდება. პოეტი გამამხნეველად ჩასძახებს მებრძოლ ხალხს — „როს საბერველს დაუბერვენ. რკინა მაშინ ფოლადდება“.

მხცოვანი მგოსანი დიდი ნიშანდობლიობით აზუსტებს წარმოებულ ბრძოლის მიზანდასახულობას. მოუსმინოთ მას.

უნდა დავსცეთ თავზე მეხი,  
გაურჯელად ვინც ნეტარებს!..  
გაუშარჯოს მხოლოდ შრომას,  
მუშებსა და პროლეტარებს!..

(„ინტერნაციონალი“)

აქ. წერეთელი, დადებითად აფასებს რა გაერთიანებულ ძალებით რევოლუციური ბრძოლის წარმოებას, ენერგიულად მოუწოდებს ყველა ერს, განსაკუთრებით დამორჩილებულთ, მტკიცედ შეკრან ნეგობრული კავშირი საერთო მტრის — მეფის პოლიციური, დამჩაგვრელი წყობილების წინააღმდეგ. ამიტომ, როდესაც, ჯერ კიდევ რევოლუციურ ცეცხლში გახვეულ ყოფაში, რეაქციამ რევოლუციის სამტროდ მოინდომა თავის წამოწევა და ამ მიზნით მცირე ერების მშრომელთა შორის ხელოვნურად შუღლის დათესვა, ერთმანეთის წაკიდება დაიწყო, აქ. წერეთელმა თავისი ავტორიტეტული ხმა და მახვილი კალამი ძალუმაღ ამოქმედა.

ამისი საბაზი შემდეგი იყო: 1905 წლის დეკემბერში სომეხ-თათართა შორის მწვავე შეტაკება დაიწყო ბაქოსა, განჯასა, თბილისსა და სხვაგან. ამ ამბით შეძრწუნებული თბილისის ქართველი მოსახლეობა უმალ დაირაზმა ამ შეტაკების სასწრაფოდ ჩასაქრობად, მოძმე ერთა მოსარიგებლად, გაუგებრობის გასაფანტავად. და უნდა ითქვას, მან ეს ამოცანა მოკლე დროში წარმატებით შეასრულა.

აქ. წერეთელიც დაუყოვნებლივ ჩაება ამ საქმეში, თავისი პოეტური კალამიც მოიშარჯვა და მეზობელ ერთა მოსახლეობას მოწოდებით მიჰმართა სხვათა შორის ლექსითაც „რ ჩ ე ვ ა“. მასში პოეტი მკაცრი სიცხადით ააშკარავებდა იმ შეტაკების პროვოკაციულ ბუნებას; სომეხთა და თათართა მოსახლეობას დიდი სიცხადით მიუთითებდა ასეთს საბედისწერო ურთიერთდამოკიდებულებაზე; მოუთითებდა, რომ ასეთი მტრული დამოკიდებულება მოძმე ერთა შორის ხელსაყრელი იყო მხოლოდ მათი საერთო მტრისათვის — მეფის ხელისუფლებისათვის.

აქაი წერეთელი ასე არიგებდა მათ:

ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის,  
ძმა ძმაზედ ლესავს ხანაღლსა?!  
იღუპებიან ორივე,  
არც ღონეს ჰზოგვენ, არც ძალსა.

ქალმაც კი იცის, პირუტყვმა:  
შინ ბრძოლა მაშინ ძნელია,  
როცა იმაზედ მიმსვლელად  
გარეშე მტერი მგელია.

(„რჩევა“)

პოეტი გადაჭრით მოუწოდებს მოჩხუბარ მოძმე ერთ ნუ ეკიდებიან ერთმანეთს მტრულად, ეს ორივესთვის დამღუპველია; დაუყოვნებლივ დაადონ „ხმალი, ხანჯალი“, ნუ გადაუხვევენ სწორ გზას, რევოლუციის მიერ აშკარად და დამაჯერებლად ნაჩვენებს:

ბედნიერება ამ ქვეყნად —  
შეერთებული შრომა.  
რა დროს მტრობაა ძმებისა,  
და რა დროს განზე გადგომა?

შერთდით ძმებო! შერიგდით!  
ხელიხელს მიეცით ძმურადა  
და მტერს დაუხვდით გარეშე  
თამამად... ვაჟაკურადა!

(იქვე)

მიუხედავად მშრომელთა მასების მწყობრი ბრძოლებისა, 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. მართალია, რევოლუციაში ბრძოლის გამჩაღებელმა მთავარმა ძალამ — მუშათა კლასმა — პროლეტარიატმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მან ბრძოლის იარაღი არ დაყარა, ბრძოლა იატაკქვეშ განაგრძო. თანდათანობით გაძლიერებულმა რეაქციამ ის ვერ შეაშინა, ვერ მოლუნა. მუშათა კლასმა მომეტებული ენერგიით განაგრძო მზადება შემდეგი გადაწყვეტი ბრძოლისათვის.

დაწყებულმა რეაქციამ ვერც აკ. წერეთელში ჩაახრჩო მონარქიულ-კოლონიური წყობილებისადმი წინააღმდეგობის მისწრაფება. გამძვინვარებული რეაქციის ხანაში (1906—1910 წწ.) აკ. წერეთელი მკითხველს კვლავ დაბეჯითებით მოუწოდებდა „ძმობა, ერთობა, თავისუფლებისავენ“. პოეტი უშიშრად გაჰკიოდა:

მსურს, რომ ქვეყანა გულში მივიკრა  
და გახსნილი მაქვს ყველასთვის გული!...  
დაბადებიდან მე ჩამესახა:  
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

(„ძმობა, ერთობა და  
სიყვარული“).

ამ ფორმულაში „ძმობა, ერთობა და სიყვარული“ აკაკი წერეთელი 60-იანი წლების თავის მისწრაფებას სდებდა. 60-იანი წლების წარმომადგენელნიც ხომ იყვნენ არა მარტო პიროვნების თავისუფლების იდეის მოტრფიალენი, არამედ აგრეთვე ეროვნული თავისუფლებისა და ერთა სოლიდარობისა. დაჩაგრულ ერთა შორის ძმობისა და ერთობის განმტკიცება 60-იანი წლების მოღვაწეებისათვის თავიდანვე ერთი დამახასიათებელი საბრძოლო მოტივთაგანი იყო. მაგრამ ეს ერთა თანასწორობისა და ძმობის იდეა 60-იანი წლების მწერლებმა და კერძოდ აკაკი წერეთელმაც გარკვეული მიმართებით შეითვისეს. 1905 წელს აიკრას წერდა აკაკი წერეთელი: „შესამოცე წლებში ჩვენი საერთაშორისო მცნება ძმობა და სიყვარული იყო და სხვა არა გვიმოდღვრია რა. განსვენებულმა გ. წერეთელმა ეს სურვილი საფლავში თან ჩაიტანა. აგრეთვე სერგეი მესხმაც. თვით ის ილია ჭავჭავაძე, რომელიც ბოლოს დროს იძულებული გახდა „ქვათა ღალადი“ დაეწერა და რისთვისაც დღეს აღარ წყალობენ „შვილები“, ამავე სურვილით იყო გამსჭვალული და დიდხანს უღალადებდა სომხის ახალგაზრდობას, რომ ეგებ როგორმე დავიყოლიო და შევაგნებინო მათ ის, რაც ჩვენ ორივესათვის სასარგებლო და საკეთილდღეო არის... თვით მე... მოსურნე ვყოფილვარ ყოველთვის „ძმობისა და ერთობისა“<sup>56</sup>.

აი ასეთი გაგების იქით არც აკაკი და არც სხვა ჩვენი თერგდალეული არ წასულა.

60-იანი წლების მოღვაწეთა და კერძოდ აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობაში, რომ ეს „ძმობა და სიყვარული“ — აღნიშნულ შეზღუდულ ფარგლებს არ გასცილებია, აშკარად ჩანს 1910 წელს დაწერილ პიესაში „რეაქცია“.

ეს პიესა აკაკი წერეთლისათვის მეტად დამახასიათებელია. აქ გამომჟღავნებულია აკაკი წერეთლის სიმპათიები ხალხის მოძრაობისადმი, ბიუროკრატიული მთაწარობის უკუღმართი სასამართლოს წინააღმდეგ. აქვეა აკაკის ზომიერება, რომელიც მას ძველთან კავშირს მაინც არ აწყვეტინებს:

იოსებნი: (რეაქციის დროს დარბეული გლეხი) წუხელის გადამწვეს და გადამხრავს.

ალექსანდრე: (თავადის შვილი, ახალთაობის მომხრე) რას გერჩოდნენ? იოსებნი: ახალთაობის დროს, პოლიცია ხომ აღარ იყო, სუდია და პოსრედნიკი გააუქმეს და ლუბერნატორიც გადადგა, ჩვენ გამოგვიცხადეს: ახალი დრო დადგა და ახლა თქვენ უპატრონეთ თქვენ თავსო. ჩვენც, თქვენი ქირიმე, რაღა გზა გვქონდა, ავდექით და, შეუდექით საქმეს. პოლიციაც

56 აკ. წერეთელი, ორი პუბლიცისტური სტატია.

ჩვენს ხელში გადმოვიდა და სამართალიც. სოფელმა თავისი სულები აირჩია—და მათ რიცხვში მეც მოვეყვები... მაინც ჩვენი სულიობით რა წავახდინეთ, რაც არა გავაკეთეთ რა? იმ ცოტა ხანში სანამღი ჩვენ ვიყავით, ჩვენს სოფელში ცუდი არა გავგონილა—რა!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე : ხალხიც გემორჩილებოდათ?

ი ო ს ე ბ ი : ერთობა იყო და მაშ რა იქნებოდა! იმ ორ-სამ თვეში ამ ჩვენს სოფელში ცუდი არა გავგონილა—რა. ყოველგვარი უკულმართობა მოისპო. იტყოდა კაცი... ჩვენ ღვთის ბრძანებაზე გავგყავდა ლარი და ხაზი!

გ ა ხ უ შ ტ ი : (ძველი თავადი) გავგყავდათ და, აი, ახლა, ხომ ხედავთ, რა გიყვეს?

ი ო ს ე ბ ი : რა გაეწომა... ეპ, ღმერთი რომ ინებებდეს, კიდევ დაგვიბრუნებდეს იმ დროს და მეც სულიათ ამირჩევდნენ... ახლა ხომ ვიცი, რომ არ შემარჩენენ, მომკითხავენ, მაინც იმ გზაზე გავივლი.

გ ა ხ უ შ ტ ი : იმე, რას ამბობ, კაცო! რა სარგებლობის გულისათვის?

ი ო ს ე ბ ი : ჰმ. აგერ ორმოცდა ათი წლის გავხდები და, მაშინდელის მეტად, ერთხელაც არ მიგვრძნია, რომ მეც კაცი ვიყავი! წამათრევდნენ იმ დასაქცევ სულში; იქ შენი არავის ეყურებოდა და შენ სხვისა... უნდა წამოუყენო შენი მაგიერი და, ის რას ამბობს, ღმერთმა იცის. კაცად-კი არა, ძალდაღაც არავინ ვაგდებს. და ამის შემდეგ ღვთის რისხვით არის, თუ ღვთის წყალობით, თითონვე შენ ხდები სულიათ. შენ ასამართლებ სხვებს. მოდი და ნუ იტყვი: ახალთაობის ჰირომეო!

გ ა ხ უ შ ტ ი : ჰირომე და... მაგრე იცის იმ „ჰირომემ“. ეს სახლი რომ დაგიწევს, მაგერ.

ი ო ს ე ბ ი : თქვენი ჰირო წაიღოს! იმას ხომ მაინც ვეღარ ვიტყვი, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე პირუტყვად გავატარე და ადამიანური არა მიგრძენია რა-თქო?

ამჟამად, აკაკი წერეთლის სიმბათიები ახალი თაობის საქმიანობა და ეს ახალი თაობის საქმიანობა პიროვნების განთავისუფლებისა და უმთავრესად კი ეროვნული შევიწროების პრიზმაშია გატარებული. სოციალისტური გაგება საკითხებისა, რასაკვირველია, არ მოჩანს, ავტორის საპიროდ მიაჩნია „უნიტროს-უფროსობა იცოდნენ“. ალექსანდრეს, რომელიც ახალი თაობის მომხრეა, აკაკი წერეთელი ვახუშტიის საქმიანობით — დარბეულ გლეხკაცს ფულადი დახმარება გაუწიოს მისგანვე ხე-ტყის შექმნისათვის და არა პირდაპირ მისცეს გლეხს ხე-ტყის გამოტანის უფლება, რომ სხვები არ გაბრიყვდნენ, — შემდეგს ათქმევინებს: „ძვირად მინახავს ქართველი, რომ კარგი გულის არ ყოფილიყოს... ჰმ... თვალი დაუდგეს დროსა და გარემოებას, თორემ რათ უნდა ილუპებოდეს ამისთანა ხალხი?!...“ (იქვე) აქაც აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობის დამახასიათებელი ნიუანსი ამჟამად მოჩანს. აკაკის აზრით, ძველი ქართული ცხოვრების სოციალურ ურთიერთობაში ზოგი რამ იყო

კარგი, სალი, როგორც გლენისა, ისე ბატონის მხრით: ეს იყო კარგი მეზობლობის ქონა, როდესაც არც მებატონეს აკლდა ადამიანური თანაგრძნობა გლენისადმი და გლენსაც „არც ჭკუა აკლდა და არც ზრდილობა“. ვისარგებლოთ ამ სალი ურთიერთობით და ვეცადოთ მათ შეთანხმებას, — აი აკაკის მოწოდება.

ამ მისწრაფებით — ქართველი ერის გაერთიანების სურვილით დაიწყეს თერგდალეულმა მწერლებმა, კერძოდ აკაკი წერეთელმა, და ამითვე დაამთავრეს. ასეთი გამთლიანება ქართველი ხალხისა და საქართველოს მთლიან პოლიტიკურ ერთეულად გადაქცევა დაუძლეველი ოცნება იყო თერგდალეულებისათვის საერთოდ, კერძოდ კი აკაკი წერეთლისათვის. ამიტომ იყო რომ პოეტი არ იშლიდა „ძილის დროს ქუხილს, სიბნელის დროს ელვასა“ და ფანტიკური სიმტიციით ამბობდა:

ჩონგურს სიმები ავუბი,  
მოემართე ნელა-ნელათ;  
შევუხმატკბილე ერთმანეთს:  
„ოდელა-დელა-დელაო!“.

ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,  
მაშინვე უნდა შეველო,  
რომ არ გაფუჭდეს ჩონგური.  
„ოდელა-დელა-დელაო!“.

ჩონგური საქართველოა,  
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,  
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები:  
„ოდელა-დელა-დელაო!“.

მწერიც-კი ცხოვრობს თანხმობით,  
ფუტკარი... ქიანკველო...  
და ჩვენ რათ ვმღერით ცალკალკე  
„ოდელა-დელა-დელაო!“.

ერთობა ჩვენთვის ტახტია,  
მტრებისთვის სახარობელია...  
მტრებს „ვაი-დედა“ ვაძახოთ  
და ჩვენ ვთქვათ „დელა-დელაო!“

პოეტი სხვებსაც ხარბად უხმობდა ამ იდეისათვის. „ძმობა, ერთობა, სიყვარულიც“ თერგდალეულთ საერთოდ და აკაკისაც კერძოდ პირველ რიგში ამ გაგებით ესმოდათ. ამ მისწრაფების რწმენა, დიდი გატაცება პოეტში მთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე არ განელებულა. და, როგორც თვითონ არაერთხელ ამბობდა, მართლაც, „თან საფლავში წაიღო“.



სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედება ხასიათდება **ქ ა ნ რ თ ა ს ი მ დ ი დ რ ი თ**. აკაკი წერაღალირიკულ სიმღერებს, ელეგიას, ოდებს; წერდა ზღაპრებს, იგავ-არაკებს, პოემებს, მოთხრობებს, დრამებს, კომედიებს და სხვ. ყველა ეს ფორმა შემოქმედებისა უმეტეს შემთხვევაში იმ მიზნით იყო გამოყენებული, რომ ეროვნული გრძნობა უფრო მოხერხებულად, მტრისათვის შეუმჩნევლად, ფართო მასებში გაეტანა. დროისა და ობიექტური პირობებით იყო გამოწვეული აკაკის შემოქმედების როგორც შინაარსი, ისე ფორმაც, სხვადასხვა ქანრში ასახული. ქანრი მწერლისათვის ხშირად ნიღაბია დროისა და გარემოების შესაფერი. ასეთი ხასიათისაა აკაკის შემოქმედებაშიც გამოყენებული ნაირ-ნაირი ქანრი.

## 7 .

აკაკი წერეთლის შემოქმედების განხილვის დროს საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მისი ლირიკის კიდევ ერთ მოტივს—**ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა ს**. აკაკი წერეთელი, როგორც თვითონაც აღნიშნავდა ხოლმე, ორი მიმართულების შუა იყო: ძველს უარყოფითად უყურებდა, ახალს ეტანებოდა, მაგრამ მას ახალიც სავსებით ვერ აკმაყოფილებდა, ახლის ძველთან „აზრიან“ შეზრდა-გადაახლისებას თხოულობდა. ასეთი განწყობილება გამოიმკვლავნდა მის ლიტერატურულ მიმართულებაშიც, რომელშიაც რეალიზმი და რომანტიზმი, აღმავალი და წარმავალი კლასის ფსიქოიდეოლოგიის ასახვა თავისებურადაა ჩაქსოვილი.

აკაკი წერეთლის შემოქმედების ასეთი ბუნება საკმარისად მკვეთრადაა გამოიმკვლავნებული სიყვარულის გრძნობის ასახვაშიც. აკაკის ლირიკაში ეს გრძნობა ორი მიმართულებით იშლება. ერთია სიყვარული რაღაც საოცნებო, არაჩვეულებრივი არსებისადმი მიმართული (მისი სატრფო, უწინ ტურფა, თავისუფალი, ლალი, დღეს კი ფეხშიშველა, ლეჩაქმოხდილი, მოხიბლული, დამთვრალი, ავადმყოფი — ეს სიმბოლური სახეა მისი სამშობლოსი). ამ სატრფოსადმი სიყვარულის გამოხატვაში აკაკი რომანტიკოსი რაინდია. პოეტს მასზე ვერავინ და ვერაფერი შეუცვლის გულს. ამ სატრფოსათვის ის ყველასა და ყველაფერს გასწირავს, გამუდმებით იწვის მასზე ფიქრით.

მაგრამ სულ სხვა ბუნებისაა, აკაკის გაგებით, სიყვარულის გრძნობა ადამიანთა შორის. აკაკის შეხედულებით, ეს გრძნობაც დიდია. „ტრფიალება“ კაცს ზრდის, „სიყვარული გულს უშლის“. შეყვარებულს შეყვარებულის „ემხი სხივად ჰხვდება, სიყვარული — გულის ნამად“. შეყვარებული მზად არის შეყვარებულს

„სული მისცეს საკურთხევლად, საყდრად-გული ანაძგერი, ფიქრად-გრძნობა. გრძნობა-ლოცვად, ორივე ერთად — საარაკოდ!.. თავი თვისი ზედ დაადვას დასაწველად, საზვარაკოდ! თვით ფერფლიც-კი ქარს მიანდოს, რომ მოჰფინოს კილით-კიდე, და ყველამ სცნოს, რომ სხვა ღმერთი არ ჰყოლია „მის გარეშე“<sup>57</sup>.

სიყვარული, მგოსნის დაკვირვებით, ისეთი უცნაურია, რომ თვით კლდე ადამიანის გულსაც-კი მოულოდნელად არბილებს, ცეცხლს გაუჩენს, უხმოდ წვავს, ნელ-ნელა ადნობს, ვით „ხატის წინ სანთელს“! მიუხედავად ასეთი წვალებისა, აკაკის შეხედულებით, ეს უცნაური გრძნობა — უფესკრულია, ნამდვილი გრძნობა — ტკბილი სიყვარული — ციური ნიჭია, შეყვარებულისათვის „ყვა-ვიც ბულბულია, მისთვის ცრუც-კი მართალად უბნობს, და რად უნდა სხივი მზისა, — მთვარის სხივიც-კი დააჰკნობს“<sup>58</sup>. ასეთი გაგება სიყვარულისა (ეშხიან-ვნებიანი) ხომ ტიპურია ჩვენი მწერლობისათვის XVIII საუკუნეში და XIX საუკ. დასაწყისში. აკ. წერეთელი მათ აძლევს ერთგვარ ხარკს.

სიყვარულის გრძნობა, აკაკის გაგებით, ტკბილია, ნაზია, მწველია, ვულკანურია. ის შეყვარებულის მთელს არსებას იმონებს, ელვის სისწრაფით გადაედება. მიუხედავად ამისა, სიყვარული გაუბედავია, შეყვარებულის არსებაში ჩამარხულია, შეყვარებულს მისი გამომჟღავნება, მხილება ეკრძაღვის. გრძნობის ბუნებრივ გადმოხეტყვას შეყვარებულის რალაც გამოუცნობი ეთიკა და ესთეტიკა ეწინააღმდეგება. ამ მალვაში, კრძალვაში ჩამარხულია სიყვარულის გრძნობის გამახვილების მიზეზი. ჩვეულებრივ, ადამიანის გული ხომ თანაზიარს თხოულობს, ეძებს. ადამიანისათვის, განსაკუთრებით სუსტი ნებისყოფის პატრონისათვის (შეყვარებულს ხომ ხშირად ნებისყოფა უსუსტდება!), ბუნებრივი და ძლიერი მოთხოვნილებაა თავისი გრძნობა სხვას, მახლობელს გაუზიაროს და მით ფსიქიურად განიტვირთოს. შეყვარებულ-კი, ძალაუუნებურად, ხშირად ამ ბუნებრივ და მძლავრ მოთხოვნილებას ებრძვის. ეს გარემოება კი მას უფრო მეტ ტანჯვას აყენებს. მოდებული გრძნობა მას ზვარჯისავით სწვავს სიყვარულის ალზე.

სიყვარულის ასეთს განცდას აკაკი წერეთელი გამოხატავს ლექსში „გ ა უ ბ ე დ ა ვ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი“:

ათი წელი,  
მწარედ მწველი  
გულს მიდაგავს ტრფიალება!  
და უბრალო,  
სავალალოდ,

57 აკ. წერეთელი, სატრფო.

58 მისივე, სიყვარული.

ჩემს გულშივე იმალება!  
 მიძგერს გული  
 აგზნებული,  
 მაგრამ გონი მიბამს ენას.  
 მისი სხივით  
 სანთელივით  
 ვსდნები და თანც ვმადლობ ზენას...  
 თუ ისიც მცნობს  
 და ისიც გრძნობს,  
 ჩემებრ იწვის უხმოდ ერთი...  
 მაშ, ოხ, ღმერთო,  
 რად წაგვერთო  
 ზვენ კავშირი შემაერთი?!

. . . . .

ორთავ ვიცით,  
 ფიცით მტკიცით  
 გრძნობა ჩვენი შეგვიტყვია!  
 თუმცა-კი ვხედავთ,  
 თქმას ვერ ვბედავთ,  
 გულზედ გვაწევს, როგორც ტყვია!..  
 ვუგდებთ რა ყურს,  
 ორივეს გვსურს  
 და ვერ გვითქვამს ახსარება!

ასეთია სიყვარულის გრძნობა თავის დასაწყისში. მაგრამ მისი ეს ტკბილი სიმწვავე, კრძალვა, მიმზიდველობა, პოეტის განცდით, მუდმივი არ არის. ამგვარი სიყვარულის ასახვაში აკაკი წერეთელი რომანტიკულ გაგებას სავსებით შორდება. ამგვარი სიყვარულის გრძნობის გაგებაში აკაკი წერეთელი რეალისტია. და, როგორც სხვა ყოველი მოვლენა რეალურ ცხოვრებაში, პოეტის გაგებით, ეს გრძნობაც — სიყვარული — წარმავალია, ცვალებადია. „ვარდს ეკალი თან ახლავს, — აცხადებს პოეტი, — იჩხვლიტება მწარედ, ხშირად, — ტრფიალების ტკბილსა ბადაგს ნაღველი აქვს თურმე ძირად“... მგოსანი სინამდვილის მეტად გაშიშვლებით ამბობს: დრო ხარბ გულს რა-კი გააძღობს, შესცვლისო. ამიტომ სამი თვის შემდეგ შეყვარებული თავის სატრფოს შემდეგს სწერს:

რაც ვიყავით, ისევ ის ვართ  
 იგივე გვაქვს ორთავ ძალა.  
 მაგრამ დრომან ხარბი გული,  
 გააძღო და მით შესცვალა!

ტყუილია! არა გემართებს  
 ერთმანეთის საყვედური  
 „ბალი წვერში გამწარდება“,  
 ბოლოშია უგემური!..

შენც სხვა ხილი! მეც სხვა ხილი!..  
გვიჯობს, მიყვებით გულის ნებას!  
ჩვენ ვერ შევშლით, რაც კანონად  
დაუღვია თვით ბუნებას! 59

ასეთსავე შეხედულებას გამოსთქვამს აკაკი წერეთელი სიყვარულის შესახებ „გოგია მეჩონგურე“-ში. პოეტის რწმუნებით, ლამაზი ცოლისათვის ქმარი ადვილად გამოსაცვალადი „ვერცხლის ქამარია“. დღეს ერთს შემოირტყამს, მეორით ხვალ დამშვენებს წელსა. თუ დაეკარგა იტირებს, მაგრამ გაუძლებს სენსა. ლამაზი ქერივი ცრემლებს დამშვენებისათვის დაჰღვრის და, ლამაზ ვაჟებს რომ შენიშნავს, კეკლუცათ თავს ძირს დაჰხრის. ამ ხერხით ის „საქმროს უცაბედ მახეში აბამს“.

ზოგჯერ არც დის სიყვარულია მუდმივი, ისიც ნელდება, „როს გული მისი სიყვარულით შეიმსჭვალის“. ასეთი ცვალებადია, ხშირად, მუხთალია სიყვარულის გრძნობა ადამიანთა შორის.

ჩვენს მგოსანს მხოლოდ დედის სიყვარული მიაჩნია უანგარო, მარადიულ და წმინდა გრძნობად. მხოლოდ დედას შვილის სიყვარული „სამარეში თან ჩაჰყვება“. დედის სიყვარულის ამგვარ სიმტკიცეს აკაკი წერეთელი, როგორც რეალისტი მწერალი, ფიზიოლოგიური კანონითაც ხსნის:

ცხრა თვეს მუცლით გატარებდი,  
„ვაით“ გშობე, „უით“ გზარდე,  
და რად გიკვირს, ყოველს ქალზე  
უფრო დედას რომ უყვარდე?

ქალი მამას ქმარში გასცვლის,  
ცოლი ქერივი სხვას წაჰყვება,  
მაგრამ დედას შვილის ტრფობა  
სამარეში თან ჩაჰყვება!

## 8

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში თავისებური ადგილი უკავია პოემას „გამზრდელი“. 80—90-იან წლებში ქართულ საზოგადოებრივ და პედაგოგიურ აზროვნებაში დიდი აქტუალობითაა დასმული აღზრდის საკითხი. ამ წლებში ფართოდაა გაშლილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მოღვაწეობა სასოფლო სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნის სახით. პედაგოგიურ საკითხებზე წერენ ჩვენი სახელოვანი მწერლები და პედაგოგები. ცნობილია იაკ. გოგებაშვილის ნიჭიერად შედგენილი სახელმძღვანელოები „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“

59 აკ. წერეთელი, სატრფოს.

აღზრდის ჰუმანიური პრინციპით; ილია ჭავჭავაძის საკმარისად გახმაურებული პოლემიკა სწავლა-აღზრდის პრინციპების შესახებ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან — იანოვსკისთან; აგრეთვე მისი პედაგოგიური ხასიათის წერილები და მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“, რომელიც არა მარტო მხატვრული შედეგია, არამედ მშვენიერი — გონიერი პედაგოგიური ტრაქტატიც. პედაგოგიურ საკითხებს არკვევს აკ. წერეთელიც გაზ. „დროებაში“ დაბეჭდილ ფელეტონებსა და აგრეთვე პოემაში „გამზრდელი“.

საფარ-ბეგი („გამზრდელის“ ერთ-ერთი გმირი) მოხიბლულია და თავმოყვარეობაშელახული განთქმულ ზია-ხანუმის მშვენიერებით. ზია-ხანუმის ეშხით „ბევრი კარგი ახალგაზრდა დაბმულია“ და განსაცდელში ჩავარდნილი. საფარის მეტოქე ზია-ხანუმის ტრფობაში მხოლოდ ინალიფაა — „ვაჟკაცი თვალტანადი, ცხენოსანი უებარი“.

ზია-ხანუმმა საფარს იგანუცხადა, თუ მას ის უყვარს, დაუმტკიცოს, „ინალიფას ლურჯა ცხენი ამ სამ დღეში მომგვარეო“.

საფარი საგონებელშია. მან იცის, რომ ინალიფას პირდაპირ ბრძოლაში ლურჯას ვერ წაართმევს, არა და ზია-ხანუმზეც ხელს ვერ აიღებს. საფარმა გადაწყვიტა ლურჯას მოპარვა. დახმარებისათვის მან მიმართა ძიძისშვილს ბათუს.

ბათუმ საფარი მიიღო როგორც ძმა და მეგობარი; მოუსმინა. ის „საქმემ უკუღმართმა შეაწუხა, დააღონა“, მაგრამ შეწყნარების კილოთი უთბრა: „რადგან სიყვარულის ტკბილი სენი შენც შეგყრია, გზა აღარ მაქვს!“. ამასთან განუცხადა, რომ მზადაა მეგობრობა დაუმტკიცოს, მისთვის თავიც გასწიროს:

შენ აქ დარჩი, დაიძინე,  
გამოშუშდი ცეცხლის პირას!..  
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს  
შევწირავ შენს მეგობრობას.

ბათუ საფარის სურვილის შესასრულებლად „მიდის, ელვა გზას უნათებს და დაჰზუის თავზე ქარი“.

საფარმა, მიუხედავად ბათუს ერთგულებისა და პატივისცემისა, არ დაინდო ბათუს ცოლი ნაზობროლა, რომლის ეშხმა ისე გაიტაცა, დაავიწყდა მეგობრობაც, სტუმარ-მასპინძლობაც, ძიძისშვილობაც და ვნების ზეგავლენით შესცოდა. ბათუს ცოლს შეურაცხყოფა მიაყენა. ბათუმ კმაყოფილებით საფარს ინალიფას ცხენი დილით მოჰგვარა. საფარს ეძინა. ბათუმ ის არ გააღვიძა. ცოლთან შევიდა. მომხდარ ამბავს ბათუ ადვილად მიჰხვდა.

მკითხველის ყურადღება არაჩვეულებრივად იძაბება, — როგორ მოიქცევა ბათუ შექმნილ მძიმე მდგომარეობაში? როგორ მოექცევა ის ცოლს — ნაზიბროლას, ან ძმობისა და მეგობრობის გამტეხს საფარს?

მკითხველის შეგნებაში საფარის უმსგავს, მხეცურ მხარეებს ძალუმად ამკვეთრებს ბათუს მაღალი, კაცური გრძნობა შეურაცხყოფილი ცოლისადმი, რომელსაც ის ალერსით აწყენარებს, აი რას ეტყვის შეურაცხყოფილ, მტირალ ცოლს ბათუ:

ჩუ, ნუ სტირი, გენაცვალე,  
რაც გინახავს — სიზმარია,  
დაივიწყე ისევ მალე!

ყოველგვარი მოსავალი  
კაცის თავზე უნებური,  
ღვთის რისხვაა და ტყვილად ბედს  
რას უჩივი, რათ ემღერი?

გადაიგდე გულიდან ეგ  
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..  
მე და შენი სიყვარული  
წმინდა არის, ვით ლამპარი.

უთხრა რა ბათუმ ცოლს ეს, ალერსით და ბევრი ხვეწნით დაამშვიდა ის. ბათუ ამ დამოკიდებულებით ავლენს მაღალ ჰუმანურ, კაცურ გრძნობას. ბათუში ნამდვილი სიყვარულია.

მკითხველში უფრო მეტად ძლიერდება ცნობისმოყვარეობა: როგორ შეხვდება ბათუ საფარს? მკითხველი ერთი შეხედვით ელის, რომ ბათუ საფარს ან მოკლავს ან შეაკვდება. მაგრამ ბათუ, პოეტის გაგებითა და ჩვენებით, გონიერი, პატიოსანი გლეხია, რომელიც შრომასა და საღ ტრადიციებზე გაიზარდა და სათანადო ნებისყოფა, თავდაჭერილობა აქვს გამომუშავებული. საფარი ბათუს დედის ძუძუთი გაზრდილი, მასთან შეზრდილი მეგობარია, მისი სტუმარია. ბათუ ყველა ამას პატივს სცემს, ამიტომ სტუმარ-მასპინძლის ჩვეულებას არ დაარღვევს. მან საფარს „არ დააკლო, რაც წესია, სამსახური“, გააცილა სტუმარი საშიშს გზას და მხოლოდ შემდეგ გამოუცხადა თავისი გულისწყრომა:

საფარ-ბეგო! პირშაობა  
შენი ვიცი, შემიტყვია!..  
და დღეიდან ჩვენ ორ შუა  
მოციქული არის ტყვია!..

საფარი მზადაა მოინანიოს ცოდვა, გრძნობს თავის დანაშაულს, ბათუს სახოვს აზღვევინოს, რაც მან შესცოდა და მით სინი-დისი გაუმთელოს. ბათუ მაინც რჩება კაცური გრძნობით და ზიზ-ლით ეტყვის საფარს: „ღღიჩემის გაზრდილი ხარ, მისი ძეძუ გი-წოვნია“.. გაუშვებს იმეამად საფარს შენდობილს, მაგრამ თანაც-კი დაუმატებს, რომ ღღიდან ისინი წმინდა გულით ერთმანეთს ვერ მიენდობიან: ურჩევს საფარს, ერიდოს, აღარ შეხვდეს მას, თორემ შეიძლება მათ შორის მოციქული გახდეს ტყვია.

აქამდის პოემა „გამზრდელს“ აკაკი თითქმის რეალისტურ ხაზებში ავითარებს (რასაცვირველია, სავსებით თავისუფალი არ არის რომანტიკული გაგებისაგან). ვფიქრობთ, პოემა აქ რომ დამ-თავრებულყო, იდეა სავსებით იქნებოდა გაშლილი და მკაფხვე-ლისათვის მკვეთრად გასაგები.

— სალი ადამიანური გრძნობა, მაღალი მორალი და შეგნება, შენახულია გლეხში, ბათუში, თავადაზნაურობა კი გადაკვარების გზაზეა. ასეთი გადაჭრა საკითხისა ეპოქალურია.

მაგრამ პოემის სათაური ხომ „გამზრდელია“. აკ. წერეთელს უნდა წინ წამოსწიოს გამზრდელის როლი, აღზრდის პირობების მნიშვნელობა ადამიანის ყოფაქცევის გამომუშავების საქმეში. ამი-ტომ აკ. წერეთელი საფარს ასეთი შერცხვენით არ კმაყოფილ-დება, უნდა უფრო მეტად გააწბილოს ის, უფრო მეტად გაუსკას ხაზი საფარის უზნეობას. საფარი სინდისის ქენჯნით მიპართავს ბა-თუს:

შენი ტყვე ვარ!... ჰა, ხომ ხედავ,  
იარალი დამიურა...  
სასიკვდილოთ ჩემი ნებით  
შენ წინ თავი დამიხრია...

ბათუ, შეწყნარების მაგიერ, პასუხად საფარს, თავისი მაღა-ლი, ღიდი მორალური ძალის გაგებით, შემდეგს ეტყვის:

არა! შენ ვერ შეგეხება  
სასიკვდილოთ ჩემი ტყვია:  
ღღიჩემის გაზრდილი ხარ,  
მისი ძეძუ გიწოვია...

რაც ქვეყანას მიაჩნია  
რკულზე უფრო უმტკიცესად,  
რომ გასტეხე. ის გეყოფა  
სიკვდილამდე შენ საყენსად.

პასუხს ბათუ საფარს არ სთხოვს, მხოლოდ ერთს. ავალებს, უეჭველად შეუსრულოს — წავიდეს, ნახოს მოძღვარი, „ვინც ის

შვილივით გამოზარდა. უამბოს მას თავის პირით, რაც სირცხვილი დაემართა“.

საფარი მართლაც ასრულებს ბათუს დავალებას. უამბობს თავის საქციელს გამზრდელს ჰაჯი-უსუბს, „ცნობილს ჭკუით და გონებით“. ჰაჯი-უსუბი, როცა შეიტყობს თავისი გაზრდილისაგან ჩადენილ საქციელს და ბათუს მოპყრობასაც, რომელმაც საფარს „აპატივა შეცოდება, როგორც ძმამ და მეგობარმა“, ველარ აიტანს გაზრდილის ასეთ უმსგავსო საქციელს და „ცბელ ტყვიას“ საფეთქელში მიიჭედავს, რომ საფარი „კაცად ვერ გაზარდა“.

პოემის ეპილოგში აკაკი წერეთელი რეალურ სინამდვილეს დალატობს. დიდაქტიზმი სჯაბნის პოეტის შემოქმედებით აღდგინდა. თითქოს აკ. წერეთელი წინააღმდეგობაშიც ვარდება, ვინაიდან პოემაში ნათქვამია: საფარ-ბეგიც მან გაზარდა, ისე როგორც სხვები ყველა, მაგრამ მართო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა. და ეს გარემოება თუ შენიშვნა, პოემის იდეასაც ასუსტებს და უკარგავს იმ დიდ მხატვრულ მნიშვნელობასაც, რომელიც პოემას, უდავოდ, ახასიათებს (მსუბუქი, გრაციით სავსე ლექსი, მდიდარი პოეტური ლექსიკა და თქმები, მოქმედი პირობის მკვეთრი სახეები, მიმზიდველი ფაბულა). მოცემული მოკლე მიმოხილვიდანაც მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ძირითადი მოტივი ჩვენი მგონის შემოქმედებაში ეროვნული მოტივია. ამ მოტივებზე გაიშალა აკაკი წერეთლის შემოქმედების დანარჩენი მოტივები. ამ მოტივზეა გაშლილი აკაკის შემოქმედების თითქმის ყველა ჟანრიც, იქნება ეს — ელეგია, პოემა, იგავ-არაკი, დრამა, მოთხრობა. უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის პოპულარობას ხელს უწყობდა აგრეთვე ის მსუბუქი, მოქნილი, მკვეთრი, სადა, აზრიანი და სხარტი ენა, რომელიც საფუძვლად დაედვა მის შემოქმედებას; ამას გარდა, მესტიერული ფორმაც ხალხური ლექსისა, რომელიც აკაკი წერეთელს ხალხური ზეპირშემოქმედებიდანა აქვს ასე ხერხიანად გამოყენებული და ახალ სიმაღლეზე ატანილი<sup>60</sup>.

## 9

რა თქმა უნდა, აკაკი წერეთელი ძირითადში ლირიკოსია, მაგრამ მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში სხვა მრავალი ჟანრის ნაწარმოებთან ერთად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მოთხრობებსა და დრამებს. მართალია, აკაკი წერეთელი, როგორც ბელეტრის-

60 აკ. წერეთლის პოეტური ხერხების შესახებ იხილეთ პროფ. გრ. კიკნაძის — ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, გვ. 349—392, 1953; აგრეთვე — მიხ. ზანდუკელის — აკაკი წერეთელი როგორც ლირიკოსი, — აკ. წერეთლის საიუბილეო კრებული, 1940 წ.



ტი და დრამატურგი ვერ ადის იმ მწვერვალზე, როგორც ეს მან შესძლო ლირიკაში, მაგრამ ამ მიმართულებითაც ნაყოფიერი და კარგად ცნობილი იყო მკითხველთა ფართო ნაწილში.

ბელეტრისტიკასა და დრამატურგიაში აკაკი წერეთელი თავისი არჩეული გზით მიდის. ეხმაურება ქართველი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურ საკითხებს. კარგადაა ცნობილი „ჩემი თავგადასავალი“, სავსე ცოცხალი დაკვირვებითა და ჩვენს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა სწორი შეფასებით (სოფლის ცხოვრება — გლეხთა, თავადთა — ფეოდალური ოჯახის ყოფა, სკოლაში სწავლებისა და აღზრდის მახინჯი სისტემა და სხვა). ეს ნაწარმოები თუმცა მემუარული ჟანრისაა, მაგრამ ფართოდ იღებს რკალს ცხოვრების დახატვისას, რაც მას ერთ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებად ხდის.

აკ. წერეთელი ამ ნაწარმოებში მკვეთრად გვიხატავს ძველი ქართული ფეოდალური ოჯახის ტიპიურ სახეს. მამის სახით მოცემული ძველი ქართველი ფეოდალი — ბატონი ნიშანდობლივი თვისებებით: მატარებელი ძველი ფეოდალური ტრადიციებისა, წონასწორობას მოკლებული, გულფიცხი, მყვირალა, თუმცა ამასთან გულკეთილი. დედა პოეტისა — ძველ ქართულ ოჯახში აღზრდილი, დარბაისელი, ოჯახის მოყვარული და ოჯახში ყველაზე და ყველაფერზე მზრუნველი. მოურავი — ფლიდი, მლიქვნელი, ანგარებიანი.

ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის აგრეთვე კარგადაა ცნობილი აკაკი წერეთლის მეორე ბელეტრისტული ნაწარმოები — „ბაში-აჩუკი“. ამ ნაწარმოებში აკაკი წერეთელი თავისი ლეიტმოტივის — ეროვნული გრძნობის გამახვილების მიზნით წარსულს მიჰმართავს. ქართველების მტერთან ბრძოლის დახატვით, როგორც პოემებში („თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატ დიდი“, „ნათელა“), ცარიზმთან წინააღმდეგობის გაღვივებას ისახავს მიზნად. ამ ნაწარმოებებით აკ. წერეთელი ნიჭიერად აძლიერებს ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე. მაგრამ, როგორც აკაკის ისტორიული პოემები, ისე მოთხრობა „ბაში-აჩუკი“, რასაკვირველია, არ არის ნამდვილი ისტორიული ჟანრის შემოქმედება. ავტორი აქ თვითნებურად ეპყრობა ისტორიულ ფაქტიურ მასალას, ზუსტად არ იცავს ისტორიულ სინამდვილეს.

„ბაში-აჩუკში“ გამოყვანილი გმირები, გარდა ბიძინა ჩოლოყაშვილისა, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა, ზაალ არაგვის ერისთავისა, ვახტანგ V შაჰნავაზისა, სპარსეთის მეფის შაჰ-აბაზისა და მის მიერ კახეთის მმართველად დაყენებულ ალი-ყული-ხანისა, ყველა აკ. წერეთლის პოეტური ფანტაზიის ნაყოფია.

„ბაში-აჩუკში“ გმირთა ურთიერთობის განლაგება-ჩვენებით, — ერთი მხრით, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ერისთავები, ბაში-აჩუკი, პირიმთვარისა, პირიშისა — დაბალი ფენების საღი ეროვნული განწყობილებით — პირადის დამორჩილებით საქვეყნო საქმისადმი, მეორე მხრით, ჯანდიერი, მაყაშვილი — ვიწრო პირადი ინტერესების კულტით, ქვეყნისა და ხალხის ინტერესების სრული იგნორაციით, მესამე მხრით, ზაალ არაგვის ერისთავი — ორქოფული, ორ სკამზე მჯდომის პოლიტიკით და სხვა, — აკ. წერეთელი დიდი სიმძაფრით, ისტორიული სინამდვილის მართებული გაგების სიმკვეთრითა და დანაჯერებლობით გვიხატავს ქარცველი ხალხის დამოკიდებულების ცოცხალ სურათს ბიუროკრატიული მმართველობისადმი XIX საუკუნეში.

აკ. წერეთელს „ბაში-აჩუკში“ ყველაფერი გამოყენებულ აქვს, რათა მკითხველს შთააგონოს (და მწერალი ამას ნიჭიერად ახერხებს), რომ ადამიანის — მოქალაქის სიცოცხლეს, შინაარსს, ძალას, სილაშჩისა და მიმზიდველობას აძლევს მაღალი პატრიოტული გრძნობა — ქვეყნის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის თავგანწირვამდე მოქმედება, ბრძოლა.

ეს ამალელებლად აქვს აკ. წერეთელს დაგვირგვინებული ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერისთავებზე სიტყვა-ქცევაში, მოქმედებაში.

გაერთიანებულმა ქართველმა აჯანყებულებმა ბიძინა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით შესძლეს სპარსთა დაბანაკებული ჯარის განადგურება. „რამდენიმე კვირის განმავლობაში, — გადმოგვცემს აკ. წერეთელი — ისე გაიწმინდა კახეთი თათრებისაგან, რომ მათი ჭაჭანებაც აღარსად იყო, ისინი, ვინც გუშინ თათრის ერთგულებასა და ქართველების მტრობას იჩენდნენ, დღეს პირველი თავდადებული ქართველები გახდნენ“.

შაჰ-აბაზმა რომ ეს ამბავი გაიგო, მოინდომა კახელების სასტიკად დასჯა, მაგრამ იმ ხანად მას არ შეეძლო ჯარის გამოგზავნა კახეთის წინააღმდეგ და სისხლისმსმელმა, ვერაგმა დიპლომატმა შურისძიების მისაღწევად შემდეგს მიჰმართა. ქართლის მეფეს ვახტანგ V შაჰნავაზს გამოუგზავნა შემდეგი მაცდური წერილი: „მართალია, ვერ უნდა გაებედნათ კახელებს მისთანა საქმე, — იწერებოდა ვერაგო, — მაგრამ, როგორც შევიტყვე, სულ მანდაური მმართველების ბრალი ყოფილა; წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა, დიდ გაჭირვებაში თურმე ჩაუტდით ქვეყანა და კახელებიც იძულებული ყოფილან, რომ მაგრე მოქცეულიყვნენ, ველი შენგან ამ საქმის გამოკვლევას და დაწვრილებით მოხსენებას; ამასთანავე გავალებ, რომ ეგ გაპოჩენილი ვაჟაკები ჩემს კარზე გამოგზავნო; მე მინდა,

რომ სამივენი ჩემი თვალით ვნახო და, როგორც წინდაწინვე ჩემგან შენდობილებს, ჩემი პირით გამოვკითხო ტკბილად და არა მრისხანებით. ვფიცავ ჩემ მზეს და თვით მაჰმადის წვერებსაც, რომ ეგენი აქ საკადრისად მივიღო და გულდაწყვეტილ-მომღურავი არც ერთი არ დავაბრუნო; წინააღმდეგ შემთხვევაში... ვფიცავ ყოვლის შემძლებელს, რომ ამ ჩემს უკადრის შეურაცხყოფას არა თუ მარტო კახეთს, მთელ საქრისტიანო საქართველოსაც ვაძლვევინებ<sup>61</sup>.

ვახტანგ V შაჰნავაზი განსაცდელშია ჩავარდნილი. მოიწვია სასახლეში დარბაზობა და აგრეთვე სამი გმირი — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავებიც. წაუკითხა შაჰ-აბაზის წერილი და რჩევა სთხოვა დიდებულებს.

უმრავლესობა უარზე იდგა. კარგად იცნობდნენ სისხლისმსმელი, შურისმაძიებელი, ვერაგი შაჰ-აბაზის ბუნებას, გრძნობდნენ, რომ მას ამ „ტკბილი“ სიტყვებით ქაბუღელების მოტყუება უნდოდა და ეს სირცხვილი იქნებოდა ქვეყნისა და ერისათვის. ზოგიც ზაალ არაგვის ერისთავსავით ფიქრობდა: შაჰ-აბაზი ამხანად ანგარიშს გაუწევს მდგომარეობას და, „თუ არა სამოყვროს, სამტროს არას ჩაიდენს, უეჭველია, რომ კახეთის გმირებს საპირფეროდ პატივით მიიღებს და დიდებით გამოისტუმრებს... თუ არა, მაშინ თავმოყვარეობა იმდენად გააბრაზებს, რომ ეცდება მუქარის გამართლებას“<sup>62</sup> ამ აზრმა უმრავლესობა გადაიბირა.

პასუხის ნაცვლად წამოდგა მოხუცი ელიზბარ ერისთავი, მიდგა სარკმელთან, გაიხედა და დაფიქრა. შემდეგ მიუბრუნდა მკაცრს და სთქვა:

— ბატონო მეფევი ამ თქვენ ჰადარს რა დამართნია ეს, რომ ფოთლები გასცივინია?

— როგორ თუ რა დამართნია?! — მიუგო გაკვირვებით მეფემ, — რაღა დროს ფოთლია? ზამთარი დგება!...

— ვაი, თუ გახმეს უფოთლოდ?

— როგორ თუ გახმეს?! გაზაფხულზე განა აღარ შეიფოთლება?

— დიახ, შეიფოთლება, ჩემო ხელმწიფევე, და ჩემი პასუხიც ეს არის დღევანდელ სადარბაზო კითხვაზე... დიდებულო ხელმწიფევი! რაც ფოთლებია ხისათვის, ჩვენც ისევე ვართ ქვეყნისათვის და, რაც წელიწადია ფოთლებისათვის, ის აუუუენა ჩვენთვის. ნახევარი საუკუნის განმავლობაში არც ერთი აღარ ვიქნებით, სხვები დაიჭერენ ჩვენს ადგილს: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. საქართველოც ჩვენი ცხოვრების ხეა, საყუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი... სანაჰის მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხვეითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს რა. ჩვენც ერთი ფოთოლთაგანი ვართ, აღრე თუ

<sup>61</sup> ა. წ. რ. თ. ე. ლ. ტ. IV, გვ. 127.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 128.

გვიან დასაცვენი, და ჩვენი მიზეზით რათ უნდა მიადგეს გაქირება სამეფოს? არა, ჩვენ უეპკველია, უნდა ვეახლოთ და, რაც მოსავალია, მოგვივიდეს!

ბატონო მეფე! — წამოიძახა ჩოლოყაშვილმა, — ჩვენი სამივეს სათქმელი ერისთავმა მოგახსენათ და მე მხოლოდ ვამატებ, რომ ხე, როგორც მცენარე, მოურწყველად ვერ იხარებს; ისე ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად ოფლთან ერთად ხანდახან წმინდა მოწამებრივი სისხლიც ექირვება სარწყავად!... ამგვარი მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა, სასობით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ... საქართველოს ჭირიც წავვილიაო!.. — მივიდა და ამოუდგა ერისთავს გვერდში. „ამინო!“ დაიძახა შალვამ და გადადგა ბიჯი მათკენ<sup>63</sup>.

„ბაში-აჩუკის“ ასეთს დაბოლოებაში, მის ძირითად მოქმედ პირთა ასეთს გმირულ თავგანწირვაშია თვით ნაწარმოების დედა-აზრიცა და ავტორის, აკ. წერეთლის მიზანდასახულობაც.

თუ აკ. წერეთლის ისტორიულ პოემებში ხალხი არა ჩანს და ქვეყნისადმი სამსახურში პრივილეგიური კლასის როლია წინ წამოწეული, გამოჩენილი, „ბაში-აჩუკში“ ეს ცალმხრივობა, უდავოდ, დაძლეულია. „ბაში-აჩუკში“ ქართველი ხალხის გმირული შემოქმედებითი ძალა, ვაჟკაცობა, ქვეყნის დაცვაში მისი გადამწყვეტი როლი ნიჭიერადაა გამოვლინებული.

„ბაში-აჩუკში“ აკ. წერეთლის მიზანია სამშობლოს წარსული მიმზიდველად დახატოს, მკითხველს შეაყვაროს, ააღელვოს, ამ მიმართულებით შეუქმნას მას განწყობილება. ამასთანავე, ანალოგიური სინამდვილე ქვეყნისა დაანახოს — განაცდევინოს და მომავლის გზა გაუთვალისწინოს. აღნიშნულ მიზანს აკაკი წერეთელი, უდავოდ, აღწევს. მისი „ბაში-აჩუკი“ დაწერილად დიდის ემოციონალობით, მდიდარი პოეტური ენით, ფაბულის ნიჭიერად განვითარებით, მოქმედ პირთა მიმზიდველი ფიზიკური და ზნეობრივი სილამაზის დახატვით, წარმტაცი პეიზაჟური სურათების ოსტატურად ჩაქსოვით. ყველა ამის გამო „ბაში-აჩუკი“ არაჩვეულებრივი ინტერესით იკითხება.

დრამა, როგორც შემოქმედების ერთ-ერთი დარგი, თეატრიც აკაკი წერეთელს ძალუმად იზიდავდა. მას აქვს მრავალი საგულისხმო დრამატული ნაწარმოები და წერილი დრამატურგისა და დრამატული ნაწარმოების შესახებ. ცნობილია, აკაკი წერეთელი, რომელიც სამსახურს, მოხელის ყოველდღიური მოვალეობის ა-

63 აკ. წერეთელი, ტ. IV, გვ. 129.

რულებას მთელი არსებით გაურბოდა, რათა ხელი არ შეეშალა თავისი მუზისათვის, თბილისში 1902—1903 წლებში დიდი გატაცებით ხელმძღვანელობდა ქართულ თეატრს, როგორც რეჟისორი. ჩანს, აქაი წერეთელი სათანადოდ აფასებდა ქართული თეატრის დიდს საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ქართული თეატრი, რა თქმა უნდა, დიდად უწყობდა ხელს ქართველი საზოგადოების გათვითცნობიერებას, აღორძინებას ქართული ენისა და ქართული საზოგადოებრიობის დევნის ეპოქაში — XIX საუკუნეში.

აქაი წერეთელს აქვს მრავალი დრამატული ნაწარმოები: „თამარ ცბიერი“, „პატარა კახი“, „რეაქცია“, „სცენა საპატიმროში“ და სხვ. აქაც ძირითადი თემა იგივე ქართული ყოველდღიური ცხოვრების მტკივნეული საკითხები, იგივე ეროვნული ტკივილია. მხატვრული ღირსებით ეს ნაწარმოებნი შედარებით მწერლის ლირიკასთან, თუ გნებავთ პროზასთან და პუბლიცისტიკასთან, მდარეა. მათ არ ახასიათებთ მოქმედების სწრაფი განვითარება; მათში მეტად გრძელი, ხშირად დიდაქტიკური ხასიათის მონოლოგები და დიალოგებია; ისტორიული ფაქტისა და მოქმედი პირების მოცემასში ისტორიული სინამდვილის დარღვევას აქვს ადგილი. აქაი წერეთელმა ამ დარგში, როგორც პოემასა და მოთხრობაში, ვერ შექმნა ისტორიული დრამა იმავე მიზეზების გამო. მიუხედავად ამისა, ზოგი მათგანი (განსაკუთრებით „პატარა კახი“) დიდი ხანი იყო ქართული სცენის რეპერტუარში და მაყურებელსაც იზიდავდა.

ამისი მიზეზი, ვფიქრობთ, შემდეგია: „პატარა კახი“-ს თემა აქტუალური იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის; მოქმედი პირები (განსაკუთრებით პატარა კახი, მისი გამზრდელი გივი, გელა) სისრულითა და სიმახვილითაა გამოკვეთილი. მოქმედება დრამაში საგრძნობი დინამიკობითაა განვითარებული.

„პატარა კახი“, როგორც „ბაში-აჩუქსა“ და საერთოდ აქაი წერეთლის შემოქმედებაში, ნიჭიერადაა ჩაქსოვილი ფოლკლორული მასალა, იქნება ეს ხალხური ბრძნული გამოთქმები, ანდაზების ხასიათი რომ აქვს, წერის ზღაპრული მანერა (მაგალითად, აბდულ-შაჰილის მარცხენა ფეხზე ექვსი თითი) თუ ხალხური ლექსი-სიმღერის ჩართვა (მაგალითად, „მუმლი და მუმლი მუხასა“) და მრავალი სხვა.

როდესაც მკითხველი გულისყურით ათვალისწინებს აქაი წერეთლის მდიდარ შემოქმედებას, ითვალისწინებს პოეტის ცხოვრების ეპოქას, გრძნობს, რომ ეს შემოქმედება მუდამ ცოცხალი გამოძახილი, ან, პოეტის ენით რომ ვთქვათ, — საყვირი იყო ყოველდღიური ცხოვრებისა. ამით აიხსნება, რომ აქაი წერეთლის ლექსე-

ბის ერთი ნაწილი გაუშალაშინებელია, დაუხვეწავია. პოეტი, ეტყობა, ხშირად კმაყოფილდებოდა მით, რომ ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს ეხმაურებოდა, მაგრამ მის ნაწერებში არის აგრეთვე თვალსაჩინო ნაწილი, რომელიც მკითხველს აგრძნობინებს დიდი ნიჭის შემოქმედებას, ეპოქის მაჯისცემას. მკითხველი აკაკი წერეთლის შემოქმედების პირველსავე გაცნობისთანავე გრძნობს, რომ პოეტი თავისი შემოქმედებისათვის ართმევს ჩვენი ქვეყნის მცხუნვარე მზეს — სიცოცხლეს, ფირუზ ცას — სინაზეს, ზურმუხტ ხმელეთს — სურნელებას, მთის ანკარა წყაროს — ძალას და ჩქეფას, თოვლითა და მწვანით შემოსილ მთებს — სიკეკლუცეს და სიამაყეს, ყველა ამას მიმზიდველი ოსტატობით აერთებს, აქსოვს ერთმანეთს და მკვეთრ გამოქანდაკებულ სახეებში გვაძლევს.

ამით აიხსნება, რომ აკაკი წერეთელმა ილია ჭავჭავაძესთან ერთად ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში მთელი ეპოქა შექმნა. შეიძლება ითქვას, 60-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე ეს ორი მწერალი აზრთა მფლობელნი იყვნენ ჩვენი ლიტერატურის სარბიელზე. მათ შეჰქმნეს თავიანთი სკოლა. ჰყავდათ მიმდევრები, რომელნიც შეიძლება ხშირად მათგან თვალსაჩინოდ განსხვავდებოდნენ როგორც პოეტური სტილით, ისე მსოფლმხედველობითაც, მაგრამ მაინც ძირითადად მათ სკოლას — 60-იანი წლების თაობას, თერგდალეულებს მიეკუთვნებიან. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო არიან: რაფ. ერისთავი, ჭალადიძე (გიორგი მაქსიმეს ძე ქოჩაქიძე), იაკობ გოგებაშვილი და გ. წერეთელი.

ამ მწერლების შემოქმედების განხილვა 60-იანი წლების მწერლობის შემოქმედების სრული სახის წარმოდგენას გაგვიადვილებს. ამიტომ შემდეგი თავიდან მათ შესწავლას შევუდგებით.

## რ ა ზ ი ე ლ  ე რ ი ს თ ა ვ ი

(1824—1901)

### 1

რაფ. ერისთავი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი საკმარისად თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მან იმღვავაწა სამწერლო ასპარეზზე თითქმის სამოცი წელი (1844—1901) და, შეიძლება ითქვას, თავის შემოქმედებაში საკმარისად მკვეთრად აღბეჭდა ქართველი საზოგადოებრიობის იდეური ცვალებადობა. ეს აიხსნება იმ სოციალური გარემოთი, რომელშიც რაფ. ერისთავი დაიბადა, აღიზარდა და მოღვაწეობდა.

რაფ. ერისთავი მამით კახეთის სოფ. ქ ი ს ტ ა უ რ ი ს თავად დავით ერისთავის შვილია, ხოლო დედით, ქართლის, სოფ. ჭ ა ლ ი ს თავადის ავთანდილ ა მ ი ლ ა ხ ვ რ ი ს ქალის ნ ი ნ ო ს ი.

რაფიელ ერისთავი ბავშვობიდანვე ცხოვრობდა სოფლად ჯერ კიდევ ტიპიური ფეოდალური ტრადიციების მატარებელ ოჯახსა და გარემოში. სოფელი, სოფლის ზნე-ჩვეულება, გლეხკაცთა ყოფის უშუალო გავლენა რაფ. ერისთავის მეხსიერება-შეგნებაში ბავშვობიდანვე მჭიდროდ ჩაიბეჭდა. ეს შთაბეჭდილებანი შემდეგ ქ. თ ბ ი ლ ი ს შ ი სწავლამ (თბილისის ვაჟთა 1-ლი გიმნაზია დაამთავრა 1844 წელს) და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახურმა (მთავარმართებლის კანცელარიაში მაგიდის უფროსი, სამეგრელოს მმართველობის საბჭოს წევრი, სამეგრელოს თავადაზნაურობის უფლებათა გამსინჯველ კომისიაში მთავრობის მოხელე, ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის საბჭოს წევრი, მომრიგებელი მოსამართლე, ქართულ ენაზე გამოსაცემა წიგნების ცენზორი) არამცთუ ვერ ამოშალა მისი მეხსიერებიდან, არამედ ვერც-კი შეასუსტა, ზოგიერთ შემთხვევაში გაამახვილა კიდევ.

რაფ. ერისთავში დღეილის პროცესმა რომ განვლო, განსაკუთ-

რებით შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში — სწორედ სოფლის მოგონებებმა და შთაბეჭდილებებმა მძლავრად დაიწყო მის პოეტურ შემოქმედებაში ამოხეთქილ ნაკადსავეთ ამოძრავება და განსახიერება, რამაც ქართველ მწერალთა გალერეაში ავტორს საპატიო ადგილი მოუპოვა.

რაფ. ერისთავმა თავისი ხანგრძლივი პოეტური მოღვაწეობის მანძილზე სხვადასხვა ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების მიმართულებათა გავლენა განიცადა. მათ შორის უმთავრესია: 30—40-იანი წლების ლიტერატურულ მოღვაწეთა — რომანტიკოსთა, 60-იანი წლებისა — თერგდალეულთა და 80-იანი წლებისა — ხალხოსნების — შეხედულებათა გავლენა. მაგრამ ამასთან ერთად გარკვეულად უნდა აღინიშნოს, რომ რაფ. ერისთავი მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე არსებითად ერთი მთლიანი მსოფლმხედველობის — კაპიტალიზმის ნიადაგზე აღმოცენებული ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგიის გამომხატველია.

ამის მიხედვით რაფ. ერისთავის ლიტერატურული შემოქმედება შეიძლება გაიყოს ორ პერიოდად: პირველი პერიოდი — 40—50-იანი წწ., როდესაც ის ძველი ქართველი (XVIII საუკ.) მწერლობისა და XIX საუკუნის რომანტიკოსების გავლენის ქვეშ წერს (განსაკუთრებით სატრფიალო ლექსებს) და მეორე — 60—90-იანი წწ., როდესაც ის თერგდალეულთა ბანაკშია, მათი მსოფლმხედველობისა და მისწრაფებათა გამომხატველი.

რაფ. ერისთავი ეკუთვნის ქართველი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ძველი ყოფის დრომოკმულობას გრძნობდა და, ამის თავიდან აცდენის მიზნით, ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებთან შეგუების გზას ეძებდა. ერთი მხრით, პოეტის იდეოლოგიური მერყეობით და, მეორე მხრით, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების აჩქარებით, აიხსნება ის სხვადასხვაობა და ცვალებადობა, რომელიც ასე მკვეთრადაა გამომჟღავნებული რაფ. ერისთავის შემოქმედებაში.

რაფ. ერისთავი თავის პოეტურ შემოქმედებას იწყებს XIX საუკუნის პირველი ნახევრის რომანტიკოსი მწერლებისა და



XVIII საუკუნის მწერლების გავლენით. ეს ის ხანაა, როდესაც იმედგაცრუებული, ნიადაგმორღვეული, კალაპოტიდან ამოვარდნილი ქართველი თავადაზნაურობა მწუხარება-სევდით გაბრუებული გამოსავალს ენებიან ეშხსა და ქეიფში-ლა პოულობდა, როდესაც ალ. ჭავჭავაძის სევდა-ენებიანი ლექსები ლხინშიც და ჭირშიც აზრთა და გრძნობათა მფლობელი იყო საზოგადოების ფართო ნაწილისა; როდესაც მისი „მუხამბაზი ლათიური“ („ლოთებო, ნეტავი ჩვენა“...), „სიყვარულო, ძალსა შენსა“, „უწყალო, სიყვარულო, რად მკოდე ესდენ ძნელად“..., „ეს სოფელი, სამყო ძნელი“..., „თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ“ და სხვები ლხინსა და ჭირში კმუნვის გამქარვებელ სიმღერა-ბაიათებად გათენებამდე გაწუწუვებულად ისმოდა ქართველი თავადაზნაურობის დაუსრულებელ ქეიფში. რაფიელ ერისთავიც 40—50-იან წწ. ეწხს, ვენეციანობას, ქეიფს, დროის გატარებას შესტრფის. შემოქმედების პირველ პერიოდში სწორედ ამასი პოულობს რაფ. ერისთავი თავის მიზანსა და დანიშნულებას.

ქალის გარეგნული სილამაზე, მისი ეშხითა და სიახლოვით გამოწვეული ტრფობა — აი ის ძალა, რაც ასეთი მიმიზიდველობით იმორჩილებს ყველასა და რაღაც თავდავიწყებით ვნებიანობის ალზე სწვავს. სიყვარულის ალში გამომწვარი პოეტი ასე აგვიწერს ლექსში „ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი“ შეყვარებულის აშლილ გრძნობას, როდესაც ის ტურფას შეეყრება და ქეშმარიტად ისწრაფვის განიცადოს სიყვარულის ნექტარი:

მაშინ ძალა სიყვარულის თქვენ აღვიგზნებთ ცეცხლსა მწველსა.  
გაგაწითლებთ, აგაქრებლებთ, აგათრთოლებთ, ვით ფურცელსა.  
გაგიძნელებსთ სუნთქვას სულის, ჭირსა მოცემებ ტბილს და ძნელსა.  
ფრიალ ვრცელსა, უძიროსა, უზომოს და დაუთვლელსა!

ამ პერიოდში რაფ. ერისთავს ლექსს ათქმევინებს: ქალის ლამაზი თვალები, მისი ბროლის თითები, ვნებიანი ლელვით მჩქეფარე მკერდი და სხვა.

ენებიანობას თავდავიწყებით ნიციემული პოეტი ასე აგვიწერს ლამაზი ქალის თვალთა სიმწვავეს ლექსში „თ ვ ა ლ ე ბ ი“:

ვნახე თვალები, როგორც ისარნი,  
ვითა მახვილი განგებისანი..  
რა მწველებია, რა მალეებია,  
რა თვალებია, რა თვალებია?!!

სიყვარულის ისრით დაკოდელი პოეტი ველარ იტევს მწველს გრძნობას, სატრფოს დანახვით მისი ნებისყოფა უფრო სუსტდება, ველარ იმაგრებს თავს. სურს გრძნობის გამოთქმით თავი განიტვირთოს და როცა სატრფოს შეხვდება, ლექსში „რისთვის მიყვარხარ“, ასე მიმართავს მას:

რისთვის მიყვარხარ? — ამის ცნობა შენ გენებება?  
საბრალო გული მე უბადრუკს ვისთვის მეგზნება?  
— მაშ, ჩემო ღმერთავ, დავიჩოქო, მომეცი ნება,  
ქეშმარიტებით ვაღიარო მე აღსარება. —

ცხოვრება ჩემი წყაროსავით მიმდინარებდა,  
ვერც სოფლის ღლევა, ვერცა უინი მას ვერ არევედა:  
რასა ვგონებდი თუ ვინმე მას ააჩქარებდა  
და ჩემი ხვედრი მე სიცოცხლეს გამიმწარებდა!..

გულისა მეფევე, გულს მომეცა მაშინ ფონება!..  
შენსკენ ფრინავდნენ მყის გრძნობანი, მათთან გონება.  
შენ იქმენ ჩემთვის ცხოვრება და კრეზის ქონება...  
— მე მაშინ გულსა განვიზრახე შენი მონება.

აქ საკმარისად მძლავრადაა გადმოცემული დეგრადაციის გზაზე დამდგარი პრივილეგიური კლასის წარმომადგენლის აშლილ-აგზნებული ვნებიანობა და ეს ხომ ტიპიური იყო ჩვენი ცხოვრებისათვის XIX საუკუნის პირველ ნახევარში და საკმარისად თვალსაჩინოდ მომდინარეობს XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზეც. რაფ. ერისთავი თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში გამგრძელებელია ბესიკისა და ალ. ჭავჭავაძის ამ ჰანგისა.

რაფ. ერისთავი ვნებიანი ეშხის აღმგზნებ სხვა დამახასიათებელ ატრიბუტებსაც უმღერს. ამგვარი ფსიქოლოგიისათვის ხომ ქალის ტრფობა შეუძლებელი იყო ღვინისა, ქეიფისა და ყანწის ტრიალის გარეშე. ეშხში მოსული პოეტი ძალუმაღ განიცდის ღვინის მნიშვნელობასა, მის ღირსებასა და ნაკლს. რაფ. ერისთავი ასე გვიხასიათებს მას ლექსში „ღვინო“:

ღვინოა სუფრის ჭილა, მასალა,  
ღვინოა ჩვენი სიცოცხლე, ძალა,  
ღვინოა მეფე და სიყვარული,  
გამბედაობა, ნუგეში, ფული!  
ღვინოა ცამდის რომ აგვამაღლებს,  
გვაბედნიერებს და გვაამაყებს!

ეს ლექსი მოგვაგონებს ალ. ჭავჭავაძის ცნობილ ლექსს „მუხამბაზი ლათაიური“, რომლის გავლენითაც რაფ. ერისთავს, ვფიქრობთ, უნდა დაეწერა თავისი „ღვინო“. რაფ. ერისთავი ღვინის

ასეთს ღირსებასა და მიმზიდველობასთან ერთად უარყოფითს მხარესაც აღნიშნავს:

ღვინო წყაროა ბოროტებისა,  
ღვინო წამალი—უძლურებისა,  
ღვინო ახარებს გულსა კაცისას,  
გულს აფუნდრუქებს ის ზარმაცისას!

ეს მოგვაგონებს ლოთის გამოფხიზლებას, როდესაც ის გრძნობს ღვინის, მართლაც, „ბოროტებას“, მაგრამ არ ძალუძს თავის განთავისუფლება, ვინაიდან ხედავს, რომ „უძლურია“ და მწარე სინამდვილით რწმუნდება:

ღვინოა, რომ ჩვენ დარდს მოგვაცილებს,  
ზოგჯერ გვატირებს, ზოგჯერ გვაცინებს.

აქ მოცემულია ტიპიური განცდა დეგრადაციის გზაზე დამდგარი კლასისა, რომელიც ღვინისა და ქეიფის ექსტაზში ჰკლავს მგესლ ჭიას, ასე დაუნდობლად რომ ღრღნის მას. ამ პერიოდში შინაარსეულად დაცლილი კლასი ქეიფისა და დროს ტარების კულტს ამახვილებს, ართულებს. ქეიფის გართულებული ტრადიციების დაცვაში ის პოულობს ესთეტიკური გრძნობის გამომქლავნებასა და დაკმაყოფილებასაც. აი ამიტომაც, რომ ყანწი—ეს ქეიფის სიმბოლო, ქეიფის მამოძრავებელი ძარღვი, პოეტს სიამოვნებას აღუძრავს და ის ექსტაზში შეჰყავს. ყანწი პოეტს ძველ „ბედნიერს“, უზრუნველს დროს აგონებს და აღტაცების ჟრჟოლივით წამოაძახებინებს:

ყანწით მიყვარს სმა ძველებურადა:  
ლხინით, ღიღინით, ტკბილად, ძმურადა!  
რად მინდა ჭიქა, რად მინდა ბროლი,  
მე ყანწი მიყვარს, ყანწი ნასროლი  
ტოლუმბაშისგან... აგერ მეც დავცლო  
და შეორესა აღარ დავაელო  
შეიქაქანოს... ქუღსა ვკრავ ჭერსა!..  
კიდენ ყანწსა ვცლო, შეგეტყორცნი მოძმეს,  
იგიც მარჯვეა, ფიცხლავ იჭერსა!

მთელი პოეზიაა ქეიფისა, ფეოდალური დროსტარებისა, მოცემული ამ ლექსში და, უნდა ითქვას, საკმარისად ნიჭიერადაც! ამასთან ერთად, როდესაც რაფ. ერისთავის შემოქმედებას ვუკვირდებით, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ პოეტისათვის (და ქართველი თავადაზნაურობის იმ წრისათვის, რომლის ფსიქოლოგიას ისიც გამოხატავს) ქალის ეშხი, ვნებიანობა, ღვინო, ქეიფი ყანწით თუ, ერ-

თი მხრით, შინაარსეულად დაცლილისათვის ხარვეზის შემავსებელია, მეორე მხრით, ერთგვარი თავდავიწყების გზით, გამოსავალია იმ სევდა-ნაღველისა, რომელიც მის გულს მგესლი გველივით შემოხვევია და შხამავს.

პოეტი ხომ ხშირად კენესის, ჩივის, რომ გულს ცრემლის ზღვა უღულს, ტირილი სწყურია, მაგრამ ცრემლიც აღარ აქვს. ამ მწველ განცდებშია პოეტი, მაგრამ ის თანამგრძნობს ველურ პოულობს. დიდი ხანია მის გულს „აღარც ნუგეში, არც ალერსი არ მიჰკარებია“. პოეტი მწარე გამოცდილებით რწმუნდება, რომ ის „აღარავის არ ჰყვარებია“. პოეტში უნდობლობას დაუსადგურებია, ის გაუტანლობით გატანჯული და გაბიაბრუებული კითხულობს ლექსში „ჩ ი ვ ი ლ ი“ — „ნუ თუ ამ ქვეყნად არ არის მეგობარი და ერთგული?“ და თვითონვე მწარე სინამდვილიდან ასეთს ამოკითხულს პასუხს იძლევა: „არა... იმაში არსებობს მხოლოდ შური, ცივი გული“-ო. და ეს ცივი გული, შური ხომ სპეციფიკურია კლასისათვის დეგრადაციის მდგომარეობაში!

ასეთია რაფ. ერისთავის შემოქმედების დამახასიათებელი მოტივები მოღვაწეობის პირველი (40—50 წწ.) პერიოდის მანძილზე. ეს მოტივები პოეტისათვის შემდეგ პერიოდშიც არ არის უცხო და სრულიად დავიწყებული.

## 2

რაფ. ერისთავმა თერგდალეულების გავლენა საკმარისად მძლავრად განიცადა და 60-იანი წლების დასაწყისიდანვე მათ ბანაკს მიეკუთვნა.

თერგდალეულთ, როგორც თავის ალაგს დავინახეთ, ახასიათებთ და ამოძრავებთ, ერთი მხრით, ადგილობრივი ცხოვრების პირობების გავების სურვილი და მათი მოთხოვნილების მიხედვით თავიანთი მოღვაწეობის წარმართვა, მეორე მხრით, რუსეთის 60-იანი წლების ლატერატურის და საზოგადოებრივი აზროვნების გავლენა. ამ დროს სინამდვილე და საზოგადოებრივი აზროვნებაც როგორც საქართველოში, ისე რუსეთისა, საკმარისად მტკივნეულად სვამს ბატონყმობის საკითხს. 30-იანი წლებიდან საქართველოშიც ცნობილია ბატონსა და ყმას შორის გამწვავებული ურთიერთობა. კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით პიროვნების ღირსებისა და ღირებულების იდეის აღიარება (ადრინდელი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა) დარღვეული,

ახალი ცხოვრებით შემქმნელობელი თავადაზნაურობის მოწინავე ნაწილშიც ფეხს იკიდებს. ბატონყმობის ინსტიტუტის მწვავე და ადამიანის პიროვნების შემლახველ პირობებს ისიც უკმაყოფილებით უყურებს.

რ ა ფ. ე რ ი ს თ ა ვ ა ლიბერულად ებრძვის ბატონყმობის ინსტიტუტის სინახინჯეს, უმსგავსობას, ბოროტებას, მაგრამ გლეხს მაინც ლიბერალური სიმაღლეებიდან დასცქერის, მისი მომავლის პერსპექტივებს სათანადოდ ვერ ვკრეტს. პოეტი გვიჩვენებს გლეხის ძალას. შრომის უნარს, პატიოსნებას, ურთიერთდახმარებას, მაგრამ მასთან ერთად ხატავს გლეხის ბუნების მორჩილებასა და სიმშვილეს როგორც მის დადებით თვისებებს. ის ცდილობს მიჩქნალოს კლასთა შორის მკვეთრი წინააღმდეგობა. ის, როგორც ლიბერალი, წოდებათა თანამშრომლობას ქადაგებს და უარყოფს გლეხთა აქტუური ბრძოლის საჭიროებას მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

გავიცნოთ მისი ნაწარმოებნი.

გლეხის მდგომარეობის ამსახველ ნაწარმოებთა სერია რაფ. ერისთავმა დაიწყო 1857 წელს დაწერილი ლექსით „მ თ ხ ვ ე ლ ი მ ს ა ჯ უ ლ ი ს ა დ მ ი“, სადაც ავტორი დედას, მსაჯულისადმი, მართალია მორჩილების დაცვით, — ხვეწნით, ცრემლითა და ვედრებით, მაგრამ მაინც სასოწარკვეთილებაში გადაწყვეტილი თხოვნით, ათქმევინებს:

გთხოვ დამიბრუნო მე ჩემი შვილი. დედა ვარ მისი განა მომკლავი?  
სხვა რად ჰპატრონობს ჩემსა ნაშობსა, რისთვისა სტანჯავს მანდ მდგომი  
სეავი?

პოეტი მკვეთრად აღწერს დედის ტკივილებს და ბოლოს, როცა სასოწარკვეთილებაში მყოფი დედა შვილს თავისკენ იწვევს ხმითაც, თვალითაც, და შვილი კი ვერ მიდის მასთან, პოეტი გლეხის, ყმის მძიმე მდგომარეობით გამოწვეულ უკმაყოფილებას ასე ათავებს:

შვილსა, შემკრთალსა ბატონისაგან, ვერა ვხედავდი დედისკენ მსვლელსა.  
რომ მისულიყო, გადაეკონა, დედა-შვილურად ჰხვეოდა მკერდსა!

ამავე წლებიდან რაფ. ერისთავის მხატვრული აპერცეპცია მიმართულია ღარიბის, ხალხისაგან და ცხოვრების პირობებისაგან შევიწროებულ-დავრდომილობისაკენ, ღარიბისა და მღვდლის ურთიერთ გაუგებრობისაკენ. 1859 წელს დაწერილი ლექსი „მ ა თ ხ ვ ა რ ა გ ლ ა ხ ა კ ი“ გარკვეულად გვეუბნება, რომ ავტორი სოციალური საკითხებითა და ღარიბის, დაბეჩავებულის მდგომარეობით დაინტერესებულია. ავტორში თანაგრძნობას იწვევს დავრ-

დომილის მდგომარეობა, კაცისა, რომელიც „სიღარიბემ წელში ხუთად გაღუნა, ჭირმა, სევდამ დასცა, დააძაბუნა“... ამ ლექსში მდიდარი, შეძლებული და ღარიბი იმ დროისათვის, რასაკვირველია, საკმარისად მკვეთრად არიან დაპირისპირებულნი. „მოკაზმული მდიდარი“ ან ვილაც „ვარსკვლავებით და ჭვრებით გავსებული“ ამაყად განიოყურებიან და გლახაკს, სამის დღის მშვიერს არამცთუ არ იკითხავენ, არ თანაუგრძნობენ, არამედ, უკაცურად ეპყრობიან. ცინიკურად დასცინიან. პოეტს ესმის გლახაკის მუდარა — „შემიბრალებთ, შიმშილმა გამაწარა“... და მწარედ ამოკვნესილი:

მე ფულსა ვთხოვ, ის ქვას მიღებს ხელშია.

ამგვარი სხვა ლექსებითაც მქლავნდება, რომ მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი ცხოვრების მძიმე სურათები პოეტის გულისყურს იპყრობს, მის თვალს სწევავს, გულს სუსხავს, ტვინს უმღვრევს. მაგრამ პოეტის პროტესტი პასიურია. მასში სრულებით არ არის მეგრძოლი მისწრაფება. რაფ. ერისთავის ღარიბი, დავრდომილი მხოლოდ გაკითხვას თხოულობს, ხშირად უფალს იშველიებს, რომ მდიდრებს თავი შეაბრალოს და ასე მიმართავს: „უფალმა სთქვა: გაიკითხე გლახაკი“. მაგრამ მდიდრის გულს ეს არ ეკარება.

სოციალური საკითხი, საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობა 60-იანი წლებიდან რაფ. ერისთავს, როგორც ჩანს, არ ასვენებს. „მ ო ხ უ ც ი მ ა ტ ა ნ ტ ა ლ ა“, ' ბ ე რ ა ნ ე ე დ ა ნ გაღმოდებული, ცხოვრების მოუწესრიგებლობას ეხმაურება. მდიდარი ძალაუფლებიანი სულ თავისაკენ ითვლის, ღარიბს ავიწროებს, სჩაგრავს. ღარიბი, შევიწროებული, სოციალურად სუსტი, ირიყება ცხოვრებიდან. ვერ პოულობს თავის ადგილს და კარგავს თავის საზოგადოებრივ ღირებულებას. ასეთი მდგომარეობის გამო ღარიბი, მატანტალად გადაქცეული, ცხოვრების დასასრულს უქმაყოფალებით მიმართავს საზოგადოებას:

ის არ სჯობდა, ჩემთვის გესწავლებინათ  
მუშაობა, სასიკეთოდ ქვეყნისა?  
ქარიშხალს თუ ავცდებოდი სფაარში  
მაშინ მლილიც ვიქცეოდი კინკველად:  
კვლები ახლა მატანტალა თქვენს მტრად!

დაჩაგრულის, ღარიბის ამ ბოლმასა და წყევლას ავტორიც იზიარებს.

რაფ. ერისთავი ღარიბის დავრდომილობის, საერთოდ ცხოვრების მოუწესრიგებლობის ერთ-ერთ მიზეზად სთვლის სიმდიდრეს, ფულს, რომელიც ადამიანისათვის ამ ცხოვრებაში მოლი-

პულ გზად შეიქნა, რომელმაც ადამიანი მთლიანად შეიპყრო, დაიმონა. ამ მოტივების არჩევითა და ასახვით პოეტი ნებისთ თუ უნებლიეთ დაკნინებული კლასის მდგომარეობასა და ფსიქოლოგიასაც ამჟღავნებს. აი რაფ. ერისთავის ღარიბი როგორ მიმართავს მდიდარს:

მილიონებსა ნატრობ, ეძებ ბედნიერებას,  
ფულებსა სცემ თაყვანსა, სდევნი მეცნიერებას...  
რასაც ეძებ, ვერ პპოვებ, გეტყვი წმინდის გულითა!  
ვერა პპოვებ, რადგანაც ღარიბი ხარ სულითა!  
შენ გლახხაკს გროშს არ მისცემ, უმატებ შენს ქისასა,  
პხარობ მაშინ, როდესაც უმზერ ოქროს ბზინვასა,  
თავს იმშვე, ტანთ არ იცვამ, როგორ უძლებ ყინვასა?  
ბედნიერებას ეძებ, შიშით-კი არა გძინავს...

ამ ლექსის დასასრული ზედმიწევნით ამჟღავნებს რაფ. ერისთავს. ავტორი კაპიტალიზმის განვითარებას არ თანაუგრძნობს. ფულისათვის ზრუნვა თუ გარჯა მასში, როგორც ეს დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც-კი ქართველი, თუნდაც ლიბერალურად განწყობილი თავადაზნაურობისათვის, აღშფოთებას იწვევს. ხსენებულ ლექსში ავტორი მდიდარს ბედნიერების ასეთ განმარტებას აძლევს:

ბედნიერება რა არის, შენ არ იცი, მგონია?  
— ეს არის კმაყოფილება მასზედ, რაც კაცს პქონია..  
შენ ამას არ ირწმუნებ, გროშისთვის იკაყვები,  
მუხლს მოიდრეკ იმისთვის, ბედნიერებას სცლები.

კაპიტალიზმის განვითარებამ, ფულის ტრიალმა თავისებური ელფერი დაადო სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის პირობებში კაპიტალიზაციის პროცესით ამოზიდულმა და განვითარებულმა ძველი რუსეთის ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურმა წყობილებამ ხალხის მასები მექრთამეთა ანგარიანობაში ჩაახრჩო. ქრთამის აღებაში დახელოვნებული მოხელეები ადვილად პოულობენ თავის „დასაძვრენ“ ხერხებს. რუსეთში მეთვრამეტე საუკუნის 80-იანი წლებიდან და მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე და 50-იანი წლებიდან ჩვენშიც მხატვრული ლიტერატურა თავგამოდებით ებრძვის საზოგადოებრივი ცხოვრების ამ უარყოფით მოვლენას... ვინაიდან მოხელეთა მექრთამეობაზე პირდაპირ წერას ხშირად ცენზურა პბოჭავდა. მწერლები ამ მახინჯი მოვლენის გამოსამჟღავნებლად იგავ-არაკს მიმართავდნენ ხოლმე (კრილოვი, კანისტი, გოგოლი და სხვა).

საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარი უარყოფითი მხარეებს ასახვის მიზნით რაფ. ერისთავიც ხშირად მიმართავდა ხოლმე სატირას და იგავ-არაკებს, რომლებიც ზოგი თუ ივ. კრილოვი და ნაათარგმნილი, ზოგიც ორიგინალურია.

მაგალითად, ლექსში „ქრთამის წინააღმდეგ“ მოცემულია უპიროვნო, უპრინციპო კაცად, ლაქიად გადაქცევა მოხელისა, რომელიც გამოსარჩენ სამსახურში წინ წაწევის გულისათვის ყველაფერს კადრულობს, რომელსაც არა აქვს არც საზოგადოებრივი შეგნება და არც პირადი თავმოყვარეობა, თუმცა, როგორც თვითონ მოხელე ამბობს, ის დიდი კაცია ხელოვნებით, ხალხის საქმე ეყურება. მიუხედავად ამისა, ცინიკურად აღიარებს:

მაგრამ, თუ ჩემზე უფროსი სწყურება,  
მაშინ გავტერიწავ თავივით სულსა,  
ჩაელუნავ თავსა, დავუგდებ ყურსა...

მან იცის, რომ უფროსი მას ცემას არა ჰკადრებს; ლანძღვით კი რამდენიც უნდა ლანძღოს, მას ეს არაფრად მიაჩნია, გამოცდილებით იცის, რომ უფროსი „მღელვარე გულს“ რომ დაიმშვიდებს, ისევ დაუწყებს პატივისცემას.

ბიუროკრატიულმა წყობილებამ ჩვენი ცხოვრების სინამდვილეშიც მრავლად შექმნა ვზიატიკინები („დავა“), რომელთა მოღვაწეობა ხალხს კეთილს არ აყრიდა. ეს ვაებატონები, როცა დროს იხელთებდნენ ხოლმე, ცდილობდნენ უფროსისათვის წაებაძათ. დაბლა მდგარი გაუუპიროვნებინათ, ეკრიჭათ უფლებააყრილი ხალხი, აეღოთ მისგან ქრთამი — იქნებოდა ეს „კარგი ბაჩა“, „ლაზარინის წყვილი დამბაჩა“, „კაკაბი, ხოხობი, დურაჯი, ჯეირანი“, თუ სხვა. ყველა ეს ამ ვაებატონს გულიდან დარდს გადააყრევიანებს. ეს, მისი ურცხვი განმარტებით — ქრთამი კი არ არის, არამედ „მოსაკითხი“, მისთვის არც ის იქნება ქრთამი, რომ მას კახური ღვინო ასვათ, რომ უკეთესი მოლხენისათვის მიიწვიოთ სტუმრად ოცის კაცითა, მისცეთ საშუალება თქვენს ოჯახში ისე იგრძნოს თავი, როგორც საკუთარში და უფრო თამამადაც მასპინძლის ცოლისა და ქალის მიმართ. ეს ვაებატონიც მასპინძელს ვალში არ დარჩება, სამაგიეროდ აი რას ჰპირდება:

ნაცვლად ამისა თქვენს სულელს შევილსა ჩემთან დავნიშნავ და წააწევი წინა.  
მისთვის ადგილი თუმცა არა მაქვს, მაგრამ მე გავხსნი იმავე წამში.

ეს ყველაფერი, მისი გაგებით, რასაკვირველია, ქრთამი არ არის. ის „ქრთამს არ იღებს“, არც ოცდაათი თუმანი, არც სამოცი,



არც ოთხმოცი, არც ორასი მას კრიტიკს არ ამოაღებინებს, მაგრამ თუ ელირება ასაღებად, შაშინ კი არ მოერიდება, აიღებს:

და თუ კი მომცემთ და მიწვალოზეთ ოცი ათასის თუმნის ოქროსა.  
რა გაეწყობა, მოვიკიდებ ხელსა, თუ გინდ სახელი გამოხროსა!  
თუ გინდ გამსვაროს თავით ფეხამდის, სულ გამიჩირქოს ორივე ხელები!..  
არას დაგიდევ, საპნით დავიბან და ფულით მაინც ვისახელები!..

აი ამგვარ პირთა ხელში იყო სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ხალხის ბედი. ამ საზოგადოებრივ სიმანხიჩვეს სხვა თერგდალეულებთან ერთად ეხმაურება რაფ. ერისთავიც იგავ-არაკებით, — იქნება ეს თარგმნილი თუ ორიგინალური, მაგალითად: „გ ლ ე ხ ი დ ა მ დ ' ი ნ ა რ ე“, „ს პ ი ლ ო ს ა ე რ ი ს თ ა ო ზ ე“, „მ გ ე ლ ი დ ა კ რ ა ვ ი“, „ლ ო მ ი დ ა კ ო ლ ო“ და სხვა.

რაფ. ერისთავის შემოქმედებისათვის ამ პერიოდში დამახასიათებელია თერგდალეულთა მოღვაწეობის სხვა მოტივებიც, მაგალითად ე რ ო ვ ნ უ ლ ი. ზევით უკვე განვმარტეთ ის პირობები, რომლებიც ხელს უწყობდა თერგდალეულებში ეროვნული გრძნობის გაღვივებას. რაფ. ერისთავმაც საკმარისად მძლავრად ისუნთქა ამ გრძნობის ძალა და მთელ რიგ ნაწარმოებში ასახა: „ა ს პ ი ნ ძ ი ს ო მ ი“, „რ ა ს ე რ ჩ ი მ ა გ ბ ი კ ს, თ ა თ ა რ ო“, „დ ე დ ა ე ნ ა“, „ნ ე ტ ა რ ა ს ს ტ ი რ ი, დ ე დ ი ლ ო“, „ს ა მ შ ო ბ ლ ო ხ ე ვ ს უ რ ი ს ა“ და სხვა.

ამ ლექსთა უმრავლესობაში რაფ. ერისთავი წარსულის იდეალიზაციას იძლევა, მაგრამ, როგორც ეს თერგდალეულთ სჩვევოდათ, წარსულის სურათი რაფ. ერისთავსაც მომავლის მაჩვენებელ საშუალებად აქვს გამოყენებული. აღა-მ ა ჰ მ ა დ-ხ ა ნ ი ს ა და თ ე მ უ რ ლ ე ნ გ ი ს დროიდან აღებულ ბრძოლებში ავტორს ეხატება ახალი ბრძოლები ბიუროკრატიული, შემავიწროებელი მეფის მთავრობის წინააღმდეგ. შემთხვევითა და შეუტნობლად არ უნდა იყოს „ასპინძის ომში“ მეფის მთავრობის წარმომადგენლის ტ ო ტ-ლ ე ბ ე ნ ი ს მუხანათობა ასე მკვეთრად გადმოცემული. ამასთან დაპირისპირებით გაიდეალიზებულია საქართველო. ავტორი გაშმაგებით ეძებს ქვეყანას მიმზიდველს, დამატკობელს, სამოთხეს რომ ეძახოდნენ. ვერსად ვერ შეხვდა. ყველგან უდაბურება და სიმწარე ნახა. ბევრი იარა, გასაჭირი არ შეიმჩნია. ბევრი გაჭირვების შემდეგ იპოვა:

აგერ მივედი და შეეხვდი სანატრელ ნეტარებასა...  
ვიპოვე იგი სამოთხე, ვინ მოსთვლის ამის ქებასა,  
გადაკიმულა წალკოტად შეხედეთ ღეთისა ნებასა,  
ეს საქართველო ყოფილა...

ძველი დროის ქართველთა გამბედაობა, თავდადებულება საა-  
რაკო ფორმითაა გადმოცემული:

იფრინდაები გაგზავნეს ქართლსა, კახეთს და მთაშია,  
ოსმალ-ლექებზედ იწვევენ არჩეულს ხალხს ლაშქარშია;  
ისინიც აგრე შემოკრბენ, თითქო მოვიდნენ მკაშია.  
მოიმღერიან ბიჭები, მხნეობა ისმის ხმაშია!..

— გაესწყდეთ — შესძახეს ჯარშია — ვეცნეთ ოსმალს დაღალულსა,  
დავერივნეთ! — იძახიან თუ გვხედავენ დაღალულსა?..

„ღედა შეერთოს ცოლადა“, ვინც უღალატოს მამულსა!..

ვინც არ იბრძოლოს ვაჟაკად — ლაჩარსა ჰგვანდეს ძალულსა!?

ასეთმა გამუდმებულმა ბრძოლებმა ძველად ქართველებში გა-  
მოიმუშავა ერთიერთმანეთის ერთგულება, დახმარება, გატანა. რაფ.  
ერისთავი, როგორც სხვა თერგდალეულნიც, მკითხველს წინაპარ-  
თა ამ თავისებურებაზე მიუთითებს, რადგანაც, როგორც წინა თა-  
ვებიდან ვიცით, ჩინოვნიკობამ გაიტაცა ეკონომიურად დაძაბუნებუ-  
ლი ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენცია. ბიუროკრატიულ-  
მა პოლიტიკამ ქართველი საზოგადოების პრივილეგიურ წრეში ფეს-  
ვი ადვილად გაიდგა. ხელისუფლებამ ეს ინტელიგენცია გამოიყენა  
თავის დასაყრდენ ძალად. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს პოლიტიკამ მეტად ად-  
ვილად და ხერხიანად შეასრულა ქართველთა მოთვინიერების მი-  
სია. თერგდალეულთ, როგორც ვიცით, წინააღმდეგობა გამოუცხა-  
დეს ამ გარემოებას. ეროვნული იდეის დასაყრდენი საფუძვლები:  
ენა, ტერიტორია, ხალხთა გაერთიანება ქვაკუთხედად გადაიქცა მა-  
თი შემოქმედებისა და მოღვაწეობისათვის.

რაფ. ე რ ი ს თ ა ვ ი ც, სხვა თერგდალეულებთან ერთად, ამ სა-  
კითხების გარშემო ამეტყველდა. ლექსში „სამშობლო ხევსურისა“  
მეტად მძლავრადაა ასახული ადამიანის ინსტინქტური, ფიზიკური  
დაახლოვებაც კი სამშობლოსთან. XIX ს. ჩინისა და ორდენის გუ-  
ლისათვის ქართველი ინტელიგენცია ადვილად სთმობდა სამშობ-  
ლოს და მიდიოდა სამოღვაწეოდ სამშობლოს გარეთ. რაფ. ერისთა-  
ვის შეხედულებით ეს ეროვნული სიმახინჯეა. ამ ინტელიგენტს ის  
უპირისპირებს პრიმიტიული ხევსურის ბუნებრივ მძლავრ-სიყვა-  
რულს თავის კუთხისადმი. ერთგვარი დაკმაყოფილებით ავტორი ასე  
ათქმევინებს ხევსურს:

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,  
სად მამა-პაპა მეგულების, იმათი კუბოს ფიცარი,  
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ — ჩემი სამშობლო ის არის.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა.

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა...

ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,  
დიდება ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავითა,  
არა ვინდომო ესენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...

თერგდალეულნი და რაფ. ერისთავიც დარწმუნებულნი არიან, რომ ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის აუცილებელია დაცული და განმტკიცებული იყოს სამშობლო ენა, როგორც მძლავრი იარაღი ახალ ცხოვრებასთან ჩქარის ტემპებით ზიარებისა და ეროვნული თვითშეგნების 'მენახვისა. ამიტომ რაფ. ერისთავიც სხვა თერგდალეულებთან ერთად დედაენის მედგარ დამცველად გამოდის. პოეტს უნდა ბუნებისმეტყველების საფუძველზე დაამტკიცოს, რომ სამყაროში ყოველ ცხოველს აქვს თავისი ენა და ასე მიმართავს გადაგვარებულ ქართველს, სამშობლოს ენა-დავიწყებულს, გაჩინოვნიკებულს:

მიყვარს მე ენა ჩემის მშობლისა,  
რომლითაც „ნანას“ მეტყოდა ისა,  
აღერსს მაგონებს დედისას ტკბილსა,  
ჩემის ტოლების მღერა-ელივისა!..  
ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა,  
მიყვარს სამშობლოს მე დედა-ენა!.

თერგდალეულთა ამგვარი შეხედულება ი. გოგებაშვილისა და სხვათა მოღვაწეობით ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაშიც განმტკიცდა.

### 3

80-იანი წლებისათვის, როცა ჩვენს ლიტერატურაში „განთავისუფლებული“ გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ საკითხი უფრო მწვავედ დაისვა და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ხალხოსანი მწერლები თავიანთი პრაქტიკული და ლიტერატურული მოღვაწეობით. რაფ. ერისთავის შემოქმედებაშიც გლეხის გაჭირვებული მდგომარეობის ასახვა მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. რაფ. ერისთავმა მხატვრული ოსტატობით გადაშალა ჩვენი გლეხკაცის ცხოვრების ასპარეზი. მისი ინტერესი, მისწრაფება, სიხარულისა და მწუხარების გამომწვევი მიზეზები და პირობები. რაფ. ერისთავის შემოქმედებაშიც გლეხის მდგომარეობის ასახვა ერთგვარ იდილიურ სახეშია მოცემული: გლეხი თავის ოჯახში, მუშაობაში, ბუნებასთან უშუალოებაში. რაფ. ერისთავის ამ მიმართულების ლექსებისათვის დამახასიათებელია შემდეგი: ჭირ-ვარამსა,

დაჩაგვრასა, მძიმე შრომაში გამოზრდილი და გამოტარებული გლეხი მეტად მცირედით კმაყოფილდება, მედგრად ებრძვის ცხოვრების მძიმე პირობებს.

ლექსი „ს უ რ ა თ ი“ — გლეხის ოჯახური იდილიაა. დილიდან სალამომდე, პაპანაქებაში გლეხი მიწას ოფლს აღვრის, რომ როგორმე ლუკმა პური მოიმარაგოს. ეს მუშაობა მას არც აშინებს, არც ეზარება. სალამოს შრომით ჰოქანტული, ოფლში დასველებული პერანგითა და ნახევრი ნარმით თავწაქრული შინისაყენ რომ მიდის, მაინც მილიდინებს: „მიდის ამაყად, მჭრელი ნამგალი გადაუგდია მაღალ მკლავზედ“... შინ მისვლისას, როცა მას ცოლი ჩვილით მიეგებება, ავიწყდება დარდიც, გასაჭირიც, დაღლილობაც:

დაჭდა მაშვრალი დერეფანშია,  
გვერდით მოიღო მჭრელი ნამგალი.  
ამაყოფს ცოლით, ამაყოფს შვილით,  
ამაყოფს, რომ აქვს ბევრი ნამკალი...

ასეთივე განცდის მატარებელია გლეხის ქალიც, რომლის თავზედაც, წისქვილის ქვის გარდა, ყველა ვაი-ვაგლახი დატრიალებულია, რომელიც ქმართან და შვილთან ერთად ერთგულად ეწევა ცხოვრების მძიმე ჰაპანს, ცდილობს, რითაც კი შეუძლია, ოჯახის საქმე წინ წასწიოს. ისიც გაუტეხელია:

ცოლმა მოართო მკადი და წყალი.  
გიგლა ჩააკრა „კაკანათშია“,  
გვერდით მოუჭდა ქმარსა და შვილსა,  
მათის ყურებით განცხრომაშია!..

ლექსში „რ ა ს შ ე მ ო მ ც ქ ე რ ი, ძ მ ო ბ ი ლ ო“ რეალურ ფერებშია მოცემული დაკორძებული ხელებით, დაწყლულებული ფეხებით, ლუკმაპურისათვის ცხოვრებასთან ჰიდილი — გუთნით თუ ნაშვლით, ქარსა თუ ყინვაში, მზესა თუ წვიმაში, შინ თუ გარეთ ყოველდღიური ბრძოლა გლეხისა, რომელიც მაინც შეუპოვრად გაიძახის:

ნუ გიკვირს, მენა ჭაფაში არ გამტეხია გულია...  
რაც ვიყავ, ისევ ისა ვარ, მიდგას მე კარგი ყანები...

რად. ერისთავი კარგად იცნობს გლეხის ცხოვრებას, მის ავლადიდებას. მან კარგად იცის, რომ გლეხის მდგომარეობის წარმატება ოჯახის წევრთა და პირუტყვთა ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული. გლეხი ბედნიერია, როცა მას მუშაობას შესაძლებლობა მაინც აქვს.

ავადმყოფობა მაინც რომ არ წააქცევს. მაგრამ რამ უნდა დაიფაროს გლეხი ავადმყოფობისაგან?

თუ „ს უ რ ა თ შ ი“ მოცემულია გლეხის „კმაყოფილი“ ცხოვრება, სამაგიეროდ „ს ნ ე უ ლ ო ჯ ა ხ შ ი“ რაფ. ერისთავი მშვენივრად აღწერს სინამდვილის მეორე მხარესაც. როდესაც ოჯახის მაცხოვრებელი გლეხი ფიზიკურად დაეცემა, ამას მოჰყვება ხოლმე ოჯახის სხვა წევრების ზედმეტი გადატვირთვა. ჯათა ამათაც სტებს და თანდათან ოჯახი ეცემა, ინგრევა.

ოხრავს გოგონა ნინუა, ქმარიც ავად ჰყავს, შვილიცა.  
რა ქნას მარტოკამ, უკენისის მოხუცი დედამთილიცა...

ტრიანებს გლეხის ოჯახში საწყალი გამოუცდელი ქალი ნინუა, აქიმობს თვითონ, როგორც ეს მას უნახავს ან მეზობლებისაგან გაუგონია. ზოგს ძმარს უსევამს, ზოგს ქარხლის ფოთოლს ადებს, ხან თავის მომზადებულ თხლის შექმანდს ჰპირდება. მაგრამ უძნელდება ერთს ამდენი საქმის გაძლოლა. ნინუა თუმცა არ უტყდება შრომასა და მწუხარებას, მაგრამ „დღისით მაშერალს, ღამე ნატებსა გამოელთა ღონეა“. არავინ ჰყავს საწყალს ქალს არც წყლის მომტანი, არც მჭადის გამომცხობელი:

კენისის ბეჩავი ნინუა, არსაით უჩანს მკურნალი,  
სიცხით ეწვება ქმარ-შვილი და ეხოცება მწყურვალი!

ესეც რეალური სურათია, ცხოვრების სინამდვილიდან ამოგლეჯილი.

რაფ. ერისთავი კარგად იცნობს გლეხის ცხოვრებას, მას კარგად ესმის მისი სიხარული და გაჭირვება, იცის მისი ტკივილები და რეალურ ფერებში მხატვრული უშუალობით ხატავს ყოველდღიურობაში ჩაბმულს.

გლეხი უყურებს ცხოვრებას, აკვირდება გარემოს, მწარე გამოცდილებით რწმუნდება, რომ ის გაშლდებით შრომობს, ძალ-ღონეს არ ზოგავს, დღესა და ღამეს ასწორებს, მაგრამ მაინც მშვიერია, წლის საემარის პურსაც-კი ვერ იღებს. უკვირდება ის ცხოვრების ტრიანს და ვერ მიხვდებოდა ქვეყნის განაჩენს. მიწა, რომელზედაც გლეხი ასეა მიწებებული, რომელიც მას აცხოვრებს და რომელსაც თავისი სისხლით და ოფლით ერთგულად აპოხიერებს, — სხვისაა, ქირაობს. გლეხი ხნავს, თესავს, ებრძვის მიწასა, მაგრამ მისი შრომა მაინც ფუჭია, რადგანაც ვერა და ვერ მოახერხა მან წლის სარჩო გადაერჩინა, კუჭი გაეძლო. სამართლიანად ამბობს ს ე ს ი ა:

მიწის პატრონიც მე მწიწკის, კინკველაც ჩემი მტერია,  
მოხელე, მღვდელი და ერი—ყველა მე შემომოქტერია...

თუ კარგი მოსავალი მოვიდა, მაშინ კიდევ არაუშავს რა, გლეხი გაუძღვება მტერსაცა და მოყვარესაც. მაგრამ თუ ბუნება უმუხთლებს და ჭირნახულს გაუფუჭებს, რაც მიწის მუშას ხშირად ემართება ხოლმე, მაშინ რალა ქნას საწყალმა, რით გაისტუმროს ღალა და სხვა ათასი გადასახადი, რომელიც მას არ ასცდება. ამ ფიქრებით გაბრუებულ ბერუას ტანჯული გულიდან ამოსკდება:

ე შავი მიწა მაინც რომ სასყიდლად არა მქონოდა,  
შავ სამარემდინ—რა ვიცი—მე რალა დამაღონებდა?!

გლეხკაცის ფიქრი და ზრახვა ხარისა, კამეჩისა და მიწის დასამუშავებელ იარაღთა გარშემო ტრიალებს. გუთნის გაკეთება, ხარისა და კამეჩის მოვლა — ეს უდიდესი სიამოვნებისა და ესთეტიკური განცდის აღმძვრელია გლეხში. ხარის ან კამეჩის სიკვდილს გლეხი ხშირად ადამიანის დაკარგვასავით განიცდის. „თანდილას დარდი“ ტიპიური მწუხარებაა გლეხისათვის. ხარის სიკვდილი თანდილას იმიტომ აწუხებს, რომ მან აღარ იცის „რიღითი მოხსნას ნაწრეტი. რით აიცილოს შიმშილი, რიღით გაუძღვეს ქვეყანას, რიღით არჩინოს ცოლშვილი“. თანდილას მოთქმაში:

შენი ჭირივე გიშერავ!.. ჭირივე შენი ქედისა...  
მომცილდი, მოშკალ, ბეჩავე,—მწყევარი ჩემი ბედისა!—

გესმით გლეხის ეკონომიურად ტრაგიკული მდგომარეობაც და მისი უშუალო დაახლოვებაც საქონელთან.

გლეხი უკვირდება თავის ცხოვრებას, გამუდმებულად ტანჯვა-მწუხარებაში, შევიწროებაში რომ მიმდინარეობს. ასეთმა გარემოებამ მასში ჩაკლა აქტიურობა, მის შეგნებაში სევდა და უიმედობა დაასადგურა. მომავლის წყვდიადშიც-კი ის ვერა ხედავს მოსვენებულ ცხოვრებას, რომელსაც ასე გამწარებით ეძებს. „ნეტავი გამაგებინა, — ამბობს ილაჯგამოლეული სესია, — როდისღა მომასვენებენ?“ და გულგატეხილი თავის თავს ასეთს პასუხს აძლევს: „ვერ შავესწრები, მგონია, მინამ არ წამასვენებენ“.

პოეტი ხშირად თავის უიმედობასა და პესიმისტურ განცდებს გლეხს თავზე ახვევს. ამით აიხსნება, რომ რაფ. ერისთავის გლეხები არ ხასიათდებიან პროტესტული განწყობილებით. ისინი დაჩაგრულნი, გამუდმებით ჯაფასა და ლუკმაპურისათვის ბრძოლაში მყოფნი იმის ცდასა და ნატვრაში-ღა არიან, რომ როგორმე შეინარჩუნონ, რაცა აქვთ, რო-

გორმე მოახერხონ, რომ მდგომარეობა მათი არ გაუარესდეს. თუ მას არავინ სტაცებს იმას, რაც წვითა და დაგვით შეიძინა, ის კმაცოფილია. ს ა ბ რ უ ა ს თ ქ მ ა :

მე მუშა კაცი გახლავარ,  
გლეხი ვარ, გლეხად შობილი,  
არა ვარ ღვთის მომღვრავი...

უეჭველად დამახასიათებელია რაფ. ერისთავის გლეხისათვის, რომელსაც, სხვათა შორის, მეტად განვითარებული აქვს კერძო საკუთრების ინსტინქტი, ქედმოხრილობა, მორჩილება. ავტორს გლეხის ეს თვისებები დადებითად მიაჩნია და „გაუტეხელ“ თე დ ო ს შესახებ სიამოვნებით აი რას ამბობს:

კერპია თედო, კერპია,  
გაუტეხელის გულისა,  
მუშა კაცია, მშრომელი,  
მეჭონი დიდის სულისა!  
სხვისი არ უნდა თედოსა,  
მოძმეს არ შეეცილება,  
ცის რისხვას, ბატონის წყრომას  
ქედ მოხრით ემორჩილება!..

ჯაფისაგან მოქანცულობა, გაჭირვება, ვაივაგლახი, ამ საფუძველზე განვითარებული უიმედობა გლეხს ხანდახან რელიგიურ გრძნობას შეახიზნებდა. რაფ. ერისთავი, ითვალისწინებს რა გლეხის ცხოვრების მძიმე პირობებს, როგორც ლიბერალური ფსიქოიდეოლოგიის მატარებელი, აქაც პირად გრძნობებს თავს ახვევს გლეხსაც. პოეტი ასეთ დარიგებას აძლევს გლეხს ლექსში „ღ მ ე რ თ ი დ ი დ ი ა , ღ ა რ ი ბ ო !“:

წუთი სოფელი ცრუ არის,  
აქ ყოფნა ერთი წამია:  
გამხნეველი ყველა საქმეში  
და გაისარჯე ძამია...  
როცა რომ იასაული  
უმართლოდ ჩაგაფრინდება,  
„ღმერთი დიდია, ღარიბო, —  
გული ნუ შეგიშინდება“.  
„შფოთს ნუ აუტებს ნურავის.  
ყველასთან იყავ ძმურადა,  
დაეას რომ ხარკი მოჰყვება,  
შენ ის გეყოფა პურადა.  
თუ მეზობელი აგიტყდა,  
ჩქარობს და აგიღრინდება, —

„ღმერთი დიდია ღარიბო. —  
 გული ნუ შეგიშინდება“.  
 „რაც დაგლო ბედმან ვალადა,  
 თავ-თავის დროზე აძლიე:  
 სათემო სამსახურები,  
 არ შაირჩინო,—დასძლიე:  
 და მაშინ მამასახლისო  
 თუ რამეს ავიხირდება. —  
 „ღმერთი დიდია, ღარიბო, —  
 გული ნუ შეგიშინდება“.

ამით აიხსნება, რომ რაფ. ერისთავის გლახს ახასიათებს რელი-  
 გიური გრძნობა — ყველა უბედურების ახსნა ღვთის განგებითა და  
 მისი მორჩილებით მიღება — „უფლის ნებაა, რა ვუყო, მე იმას  
 ვეთაყვანები“. რაფ. ერისთავი გლახს წინააღმდეგობის გაწევას კი  
 არ ურჩევს მჩაგვრელებისადმი, არამედ მორიგებას, შერიგებას,  
 მორჩილებას, რაც ხალხოსნებისათვის სრულიადაც არ იყო დამახა-  
 სიათებელი.

რაფ. ერისთავს ხიზნის საკითხიც ისევე აწუხებს, როგორც  
 გლახისა. მისი დახატვით შეიძლება ხიზნის მდგომარეობა უფრო  
 მძიმეც იყოს, რადგანაც მემამულეს უფლება ჰქონდა გარკვეული  
 დროის შემდეგ ხიზანი აეყარა. რაფ. ერისთავის თანაგრძნობა ხიზ-  
 ნისადმი მკვეთრად იგრძნობა მის შემოქმედებაში, მაგალითად, „მო-  
 ხუცი ხიზანი ყმაწვილ მემამულეს“. მაგრამ აქაც პოეტი საკითხის  
 რადიკალურად გადაჭრას კი არ იძლევა, არამედ კმაყოფილდება  
 კეთილი ურთიერთობით, მათი მორიგებით. აი როგორია თხოვნა  
 მოხუცი ხიზნისა მემამულისადმი: „შემოვხიზნივარ შენ კალთას,  
 შენგნითვე ველი რჩენასა“.

რაფ. ერისთავის შემოქმედების მოკლე ანალიზიც საკმარისია  
 იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენს ლიტერატურაში გაბატონებული  
 შეხედულება რაფ. ერისთავზე, როგორც ხალხოსან მწერალსა და  
 ხალხოსნური მიმართულების მამანთავარზე, უარყოფილ იქნას. რო-  
 გორც ამ მოკლე ანალიზიდანაც მკითხველი აშკარად დაინახავს,  
 რაფ. ერისთავი არსებითად განსხვავდება ხალხოსანი მწერლებისა-  
 გან. რაფ. ერისთავი ხალხოსან მწერლებს 80-იანი წლებიდან უახ-  
 ლოვდება თემატურად (გლახის ცხოვრების ასახვა), მაგრამ თემა  
 კი არ განსაზღვრავს მწერლის მიმართულე-  
 ბას, არამედ თემის გაგება და გაშლა. ეს უკანასკ-  
 ნელი კი დამოკიდებულია მწერლის იდეოლოგიისაგან. ამ მხრით  
 რაფ. ერისთავი, როგორც დავინახეთ, ლიბერალური იდეოლოგიის  
 პოზიციებს ვერ გაშორდა.



რაფ. ერისთავი ქართულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც ავტორი მრავალი მოთხრობისა და დრამატული ნაწარმოებისა, უმეტეს შემთხვევაში გადმოკეთებულ-გადმოთარგმნილებისა და აგრეთვე როგორც ნიჭიერი მთარგმნელი, განსაკუთრებით რუსი პოეტებისა. მას ნიჭიერად გადმოთარგმნილი აქვს ივ. კრილოვის რამდენიმე იგავი. მას აქვს აგრეთვე ეთნოგრაფიული ხასიათის საკმარისად საგულისხმო წერილები, განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთის შესახებ, რომელთაც დღესაც არ დაუქარგავთ მნიშვნელობა. მაგრამ ამ მუშაობას არაფერი ახალი არ შეაქვს რაფ. ერისთავის პოეტური მოღვაწეობის ღირსებასა და დანიშნულებაში, როგორც პოეტის საყოფაცხოვრებო ხასიათის ნიჭიერად დაწერილ ლექსებსაც — „ზამთარი“, „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“, „რთველი“ და სხვა, რომლებშიაც პოეტს ასე ზედმიწევნით აქვს მოცემული ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულება დამახასიათებელი დეტალებითა და დიალექტით.

## ჭალადიდელი (გიორგი ქოჩაქიძე)

(1847—1898)

ჭალადიდელიც თერგდალეულთა ჯგუფის წარმომადგენელია. წარმოშობით, აღზრდით, ცხოვრების პირობებით, მსოფლმხედველობით იგი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის წრესა და მიმართულებას ეკუთვნის.

ჭალადიდელის პოეტური ნიჭიც სრულიად ბუნებრივად თერგდალეულ მწერალთა ბელადების შემოქმედების კვალად განვითარდა და გაიფურჩქნა. მან სიკვდილამდე ილიასა და აკაკის პოეტური შემოქმედების სტილი შეინარჩუნა.

როგორც სხვა ჩვენი მწერლების შესახებ, ბიოგრაფიული ცნობები ჭალადიდელისაც მეტად მწირია. არსებული ბიოგრაფიული ცნობები მხოლოდ ზოგად ქრონოლოგიურ ხაზებს გვაძლევს. მაგრამ ეს მწირი ცნობებიც პოეტის შემოქმედების გარკვევაში საკმარისად დაგვეხმარება.

ჭალადიდელი (გიორგი ქოჩაქიძე) სამეგრელოს სოფ. ჭალადიდის მებატონის თავად მაქსიმ ბეროს ძე ქოჩაქიძის შვილია. მაქსიმე ქოჩაქიძე დავით დადიანის კარზე თურმე ძალიან იყო მიღებული. სანამდე სამეგრელო დამოუკიდებელი იყო, დავით დადიანმა მაქსიმე თავის წარმომადგენლად დანიშნა თბილისში. მ. ქოჩაქიძემ ამ თანამდებობაზე გარკვეული დრო დაჰყო. შემდეგ დადიანმა ის, როგორც გამოცდილი და ნიჭიერი მოხელე, მარტვილის მაზრის მდივანბეგად დანიშნა, ხოლო სამეგრელოში რუსის მთავრობა რომ დამკვიდრდა, მაქსიმე გაამწესეს სენაკის კომისრად. ამ თანამდებობაზე მაქსიმე დარჩა მხოლოდ ერთ წელიწადს, შემდეგ მიუბრუნდა სოფელს და, როგორც მისი ბიოგრაფი ი. მეუნარგია მოგვითხრობს, „დანარჩენი სიცოცხლე მაქსიმემ შვილების აღზრდას შესწირა“.

მაქსიმე ქოჩაქიძის თხოვნის თანახმად, 1859 წ. გიორგი ქოჩა-

ქიძე მიღებულ იქნა ქუთაისის გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში. ბიოგრაფიული ცნობების მიხედვით, გიორგი მოწაფეობის დროს სწავლისადმი არ იჩენდა დიდ მუყაითობას. ამ დროს გიმნაზიაში, სტეფანე ძ ი მ ი ს ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით, ლევან აბაშიძის მეტაურობით მოსწავლეთაგან შემდგარი მოქეიფეთა ჯგუფი არსებობდა. იმ ჯგუფში გიორგი ქოჩაქიძე ყოფილა თურმე გარეული. იმავე ძიმისტარაშვილის გადმოცემით, ბურთის თამაშში, ჭიდაობასა და ქეიფში ვართული გ. ქოჩაქიძე „ცუდად სწავლის“ გამო კინაღამ სასწავლებლიდან არ იქნა დათხოვნილი. მხოლოდ ივანე მოსიძის, გიორგი გვათუასა და გრიგოლ დადიანის თხოვნით ის დატოვებულ იქნა გიმნაზიაში, რომელიც მან 1869 წელს დაამთავრა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გიორგი იჩენს სურვილს სწავლისადმი. მას სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს საზღვარგარეთ, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ამ მიზანს ვერ აღწევს. მალე იგი რუსეთისაკენ გაემგზავრა. იქ გიორგი შევიდა სამხედრო სასწავლებელში. 1873 წელს სასწავლებელი დაამთავრა და დაინიშნა ოფიცრის პირველი ჩინით კავკასიის გრენადერის არტილერიის ბრიგადაში. 1877-1878 წლების რუს-ოსმალთა ომის დროს მან ბრძოლებში უშუალო მონაწილეობა მიიღო. მამაცობისათვის დაჯილდოვებულ იქნა გიორგის ჯვრით. 1879 წ. გიორგი გადაიყვანეს რუსეთს სამსახურში. ამის შემდეგ გიორგი თითქმის გამუდმებულად რუსეთში მსახურობდა.

რუსეთში გაიცნო სტეფანე ეზერსკის ქალი ანა, რომელიც ცოლად შეირთო. მალე მიეცა ვაჟიშვილი ბორისი. მიუხედავად იმისა, რომ გიორგის ოჯახისადმი დიდი მისწრაფება ჰქონდა, ძალიანაც უყვარდა ცოლ-შვილი, ოჯახური ცხოვრება, სიმამრთან უსიამოვნების გამო, სათანადოდ ვერ მოეწყო. ის იძულებული შეიქნა საყვარელ ცოლ-შვილს გაშორებოდა.

ყოველივე ამას ზედ დაერთო მძიმე ავადმყოფობა — ასთმა, რითაც ის გარდაიცვალა ქ. მინსკში 1898 წ.

თანახმად პოეტის ანდერძისა, ჭალადიდელი დაასაფლავეს თავის სოფელ ჭალადიდში. მისი ნეშტი შემდეგ ახალ-სენაკში (ცხაკაიაში) გადაასვენეს.

\* \* \*

პოეტური ნიჭი გ. ქოჩაქიძემ რუსეთში გამგზავრებამდე გამოამჟღავნა. გიორგი ჭალადიდელი, როგორც 60-იანი წლების ლიტერატურის წარმომადგენელი, პოეზიის დანიშნულებას და მნიშვნე-

ლობას ხედავს მის აღმზრდელობით, მოქალაქეობრივ ხასიათში. 1873 წელს აი რა საინტერესო შენიშვნა აქვს მას უბის წიგნაკში ჩაწერილი: „ღამის თერთმეტი საათია და კიდევ გავათავე კითხვა ნეკრასოვის თხზულებისა («Русские женщины», «Отечественные записки», 73 წ. იანვარი). რა მშვენიერება რამ არის! რა ცვლილებას ახდენს კაცის გულში ეს მშვენიერი თხზულება!.. რა ძალა გაქვს პოეზია!... შენ ხარ სარკე კაცის გულის იმ შემთხვევაში, როცა გული ამაღლებულია ცის სიწმინდეში და ის მოზორებულა კაცობრიობის უხეირო ამაობას. მაშ რა გჯობია შენ და რა გაწმენდს კაცობრიობის ზნეს, თუ არა შენ?“<sup>1</sup>.

ამავე თვალსაზრისით ზომავს და აფასებს ჭალადიდელი პოეტსა და მის ნიჭს. მისი გაგებით, პოეტს აქვს გული და „აქვს გემო ერთობის, ძმობისა და სიყვარულისა“. ამიტომ ის შეუპოვრად აღიარებს „უღვთოდ დაჩაგრულის მდგომარეობას“.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მსგავსად, ჭალადიდელიც ასე მიმართავს პოეტს ლექსში „მ წ ე რ ლ ი ს ა დ მ ი“:

გიყვარს სიმართლე, გიყვარს კეთილი,  
მტერი ხარ მარად ფარისეულობის;  
შენ ხარ მონატრე, შენ ხარ მსურველი,  
შენი სამშობლოს კეთილ-ღღეობის.

მართალია, ღარიბ პოეტს თანამგრძნობი ბევრი არა ჰყავს, ნაცვლად პატივისცემისა, მას მოელის — „შური, ლანძღვა და თრევა“, არაგინ ზოგავს მას, ვისაც კი შეუძლია მისი მორევა, დაუზოგველად დასცემს, მოჰკლავს მას. მაგრამ, მიუხედავად ასეთი ბედისა, ჭ ა ლ ა დ ე ლ ი მ ა ი ნ ც მ ი უ წ ო რ დ ე ბ ს პ ო ე ტ ს ა რ შ ე დ რ კ ე ს :

რა გაეწყობა. ისევ გამაგრდი!  
გასწი, განალე სიმართლის კარი.  
დაე, ნუ დასდევ, ნუ გენალელება,  
თუ მოგიძულებს შენ წინაპარი!

მწერლისა და მწერლობის დანიშნულების ასეთი გაგება ჭალადიდელში, როგორც სხვა თერგდალეულებშიც, გამოწვეულია იმით, რომ ის გრძნობს ძველი ცხოვრების პირობების დრომოქმულობას, მოდუნებას, უვარგისობას, ახალ ცხოვრებასთან, ახალ ეკონომიურ ფაქტორთან (კაპიტალიზმთან) შეზრდისა და შეგუების აუცილებლობას. ჭალადიდელის გაგებით, ქვეყნისათვის სხვა გზა ხსნისა და სიცოცხლისა არ არსებობდა. ამიტომ მოწინავე ადამიანებმა ადვილად შეითვისეს ის ლოზუნგები, რომლებიც მოჰქონდა ბურჟუაზი-

<sup>1</sup> ჭ ა ლ ა დ ი დ ე ლ ი, თხზულებანი, 1913 წ., გვ. 193—194.

ას და, ქვეყნის ინტერესებით აღჭურვილებმა, — პატრიარქალურობას ბრძოლა გამოუცხადეს.

ჭალადიდელიც ილია ჭავჭავაძესავით მტკიცედ გაიძახის: „სიცოცხლე არის მოძრაობა; მოძრაობა არის ბრძოლა. რაც არ მოძრაობს და არ იბრძვის, ის ან გაქვევდება და ან ტბად იქცევა და აუროლდება“.

„ახალი აზრისა და ცხოვრების დაბადებას, უეჭველია, ადრე თუ გვიან მოსდევს სიკვდილი ძველისა, მაშასადამე ბრძოლა იმიტომ, რომ თავის ნებით სიცოცხლეს არავინ შორდება“<sup>2</sup>.

ამიტომაც, რომ ყოველ მოქალაქეს და კერძოდ მწერალს, ჭალადიდელის შეხედულებით, უნდა ახასიათებდეს მოქმედება, მოძრაობა, ბრძოლა ძველთან, ახლის, სასარგებლოს დამყარება და განმტკიცება.

\* \* \*

მწერლის ასეთი დანიშნულების განსაზღვრაში ჭალადიდელს ამოძრავებს, როგორც სხვა თერგდალეულთ, ის სასოებრივი სიყვარული სამშობლოსადმი, რომელიც ასე აღაფრთოვანებდა 60-იანი წლების მოღვაწეებს.

ჭალადიდელის ლექსი „მ ო გ ო ნ ე ბ ა“ დაბეჭდვისთანავე გავრცელებულ ხალხურ სიმღერა-ლექსად გადაიქცა. დროის მოთხოვნით გამოწვეული გრძნობები და ტკივილები, ამ ლექსში გამოთქმული, ქართველმა ხალხმა თავის სიმღერად გადააქცია როგორც სოფლად, ისე ქალაქად. და ეს მით უფრო გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ შემზღუდავ პირობებს, რომელთაც საქართველოს ძველი, მეფის ბიუროკრატიული რეჟიმი უქმნიდა.

„მოგონება“-ში ჭალადიდელი, როგორც ნამდვილი თერგდალეული, აღარ იზიარებს ძველს, კარჩაკეტილი ცხოვრების ტრადიციებს, ახალ ცხოვრებასთან (ბურჟუაზიულთან) შეგუების აუცილებლობას ხედავს, მისი მომხრეა და მას ჰქადაგებს. ხედავს პოეტი, რომ ახალ დროში სწავლა და შრომა ადამიანისათვის აუცილებელია, ეს გზა და ხილია ცხოვრების ასპარეზზე ადგილის მოპოვებისათვის. ამიტომ პოეტი მკითხველს, განსაკუთრებით ახალთაობას, დედის პირით ასე მიმართავს:

გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,  
შრომა და ჭათა ნუ გეზარება.  
თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა  
სამშობლოს რადმე გამოადგება...

<sup>2</sup> ჭ ა ლ ა დ ი დ ე ლ ი, მშვიდობიანობა თუ ომი? თხზულებანი, გვ. 202—203.

ეცადე ძლიერ და გქონდეს სმენა,  
კარგია, შეილო, სწავლის შეძენა,  
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო,  
არ დაივიწყო სამშობლო ენა.  
მერწმუნე რომა გამოცდილია,  
თუ საძირკველი დანგრეულია.  
მაშინ კედლების აშენებისთვის,  
ყოველი შრომა დაკარგულია.

დეგრადაციის გზაზე დამდგარი ჩვენი თავადაზნაურობისათვის რუსეთის საქართველოში შემოსვლის დღიდან მთელი XIX საუკუნის მანძილზე დამახასიათებელია (და ეს ასეც უნდა ყოფილიყო) ნაკლები წინააღმდეგობის გზით სიარული. ის, ნიადაგმორღვეული, გაღატაკებული, როგორც წყალწაღებული ხავეს, ისე ჩაებლავება ჩინსა და ორდენს. მისმა უმეტესმა ნაწილმა საქართველოსაც და ქართველსაც ზურგი აქცია, ცხოვრების გაგრძელების სურვილმა ყველაფერი დააიწყა. „რის საქართველო, რა საქართველო“, ოღონდ ცოტა ხანს მაინც შეენახა დაჭიანებული თავი. თერგდალეულები და კერძოდ ჭალადიდელიც გულის ტკივილით სჭვრეტდნენ ასეთს მდგომარეობას. მათ ეროვნული გრძნობის განვითარებისა და გამახვილების გარეშე ვერ წარმოედგინათ საქართველოს აღორძინება. ამიტომ ისინი მაგალითების ჩვენებითა და ალეგორიებით ცდილობდნენ მკითხველში ეროვნული გრძნობა გაედვივებინათ. ასეთია ილია ჭავჭავაძე, ასეთია აკაკი წერეთელი, ასეთივე არიან მათი მიმდევარნი და კერძოდ ჭალადიდელიც.

პოეტი, შექმნილი მდგომარეობით გულგატეხილი, ჭმუნვითა და შურით, მაგრამ მასთან ერთად სიამოვნებით შეჰყურებს მერცხალს, რომელიც არ ივიწყებს „თავის მხარეს“, და ასე ამბობს ლექსში „მერცხალი“:

მაგრამ მაშინ-კი გული მიკვდება,  
როდესაც კაცი გამახსენდება,  
რომელს პირუტყვის გრძნობა ბევრით სჭობს  
მით, რომ სამშობლო არ აგონდება.

ამ გრძნობას პოეტში აღრმავებდა ის გარემოებაც, რომ სამსახურის გამო თითქმის გამუდმებით მას სამშობლოს გარეთ უხდებოდა ცხოვრება. ამიტომაც, რომ გადახვეწილი პოეტი ცხოვრობს სამშობლოს მოგონებით, მისი ნახვის სურვილით: — „ოჰ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო, მალ-მალ გავფრინდებოდე“, ნატვრითა იკლავს პოეტი სამშობლოს სიყვარულის დაუშრეტელ წყურვილსა და სასო-

უბით ოცნებობს: „ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, ძმას ძმურად არ ვრგებოდეთ“.

ამ განწყობილებით აიხსნება, რომ ჰალადიდელი უცხოეთში მოგზაურობის დროსაც კი საქართველოს სახეს ვერ იშორებს და რუსეთიდან მოწერილ წერილებს გაზეთ „დროებაში“ „ცივ-ცივ ამბების“ სათაურით ათავსებს; თავის შთაბეჭდილებას იგი უზიარებს ქართველ მკითხველს უკანასკნელის გამოფხიზლების მიზნით. „დიდი ხანია, — წერს ჰალადიდელი პეტერბურგიდან 1873 წ. 19 ივლისს, — რაც ფინლანდია შემოერთებულია რუსის სახელმწიფოსთან, მაგრამ იმისი შინაგანი წყობილება განსაკუთრებულია რუსების შინაგან წყობილებისაგან; იმათ თავიდანვე ისე წაუყვანიათ თავიანთი საქმე, რომ თავისი კარგი არ დაუქარგავსთ და სხვისი თუ რამე უნახავთ ხეირიანი, იმისი მითვისება არ უთავილებიათ. ამ პატარა ხალხის ხეირს ის ამტკიცებს კიდევ, რომ დიდი ხანია, რაც ეს ქვეყანა შვეციას და რუსეთს შორის არის ჩავარდნილი, მაგრამ ამით იმას თავისი ნაციონალური ხასიათი არ მოუსპია, ისევ ის თავის ენაზე ლაპარაკობს, სწავლობს, სასამართლოებში და ოფიციალურ საქმეებშიც იმას ხმარობს“<sup>3</sup>. ჰალადიდელის ამ წერილების მიზანდასახულება მკითხველთათვის ცხადი ხდებოდა: საქართველოშიც ასეთი მდგომარეობისათვის უნდა ვიბრძოლოთ, რომ ქვეყნისა და ხალხის აღორძინება სწორი, საღი გზით წარიმართოს.

თავის საგულისხმო ფელეტონებში „ცივ-ცივი ამბები“ ჰალადიდელი აი კიდევ რა დამაფიქრებელ ცნობებს აძლევს მკითხველს მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილების გაზიარებით: „ჰელსინგფორსი არ არის დიდი ქალაქი, მაგრამ... რაც კი საჭიროა განათლებულ ქალაქისათვის არა აკლია რა. აქ არის უნივერსიტეტი, სასამართლოები, თეატრები, გიმნაზიები, ინსტიტუტები და საუკეთესო ქუჩებზე და მოედანზე ძველებიცა დგას. ეტყობა, რომ ამ ხალხსაც თავისი წარმომადგენელი და გამოჩენილი კაცებიცა ყოლია, ქუჩაზე რაღაც სულ სხვანაირი სისუფთავეა და ხალხიც სხვა თავაზიანია. აქ თქვენ ძვირად შეხვდებით იმისთანა „держан морда“-ებს, რომელთაც უნებურად უტევთ გზას რუსეთის სხვა ქალაქებში“<sup>4</sup>.

აქაც აშკარაა, ჰალადიდელი გადმოღების, მიბაძვის, გამოყენების მიზნით იძლევა ფინელთა ქალაქის აღწერას. აშკარად იგრძნობა ჰალადიდელის თერგდალეულთა პოზიციიანე დგომა.

3 ჰ ა ლ ა დ ი დ ე ლ ი, თხზულებანი, გვ. 188—189.

4 ი ქ ე ე, გვ. 187—188.

ჭალადიდელი რომ მართლა მებრძოლი თერგდალეულია, ეს შემდეგიდანაც ჩანს. 1871 წელს დაიწყო „მამათა“ და „შვილთა“ განახლებული ბრძოლა. ამის მიზეზი იყო, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ახალი თაობის მიერ თბილისში უნივერსიტეტის დაარსების მოთხოვნა, რასაც ხელი შეუშალა ძველმა თაობამ. ამ განახლებულ ბრძოლაში ჭალადიდელიც თავის ხმას უერთებს თერგდალეულებს და ერთ-ერთ ფელეტონში მოხერხებულად ჩაურთავს უნივერსიტეტის მნიშვნელობას ერის კულტურული აღორძინების საქმეში. პოეტი წერს: „როდესაც ფინლანდურ ენის შესახებ სურს კაცს ლაპარაკი, არ შეიძლება არ მოიხსენიოს კაცმა ჰელსინგფორსის უნივერსიტეტი, რომელიც არსებობს 200 წელზე მეტს. ეს არის სული და ხორცი ფინლანდელებისა. ამ უნივერსიტეტს გამოუტანია ფინლანდური ენა დავიწყებიდან, შეუკრეფია ყოველისფერი, რაც კი ფინლანდელმა იცის თავისი ნაციონალური, იმას გაუზრდია. ფინლანდური საზოგადოება და უჩვენებია იმისათვის თავისი წილი ქვეყნიერების ისტორიაში. ეს უნივერსიტეტია, რომ აძლევს ამ ხალხს იმ ხეირიან ახალგაზრდობას, რომელსაც უჭირავს ეს ქვეყანა წარმატების გზაზე. მართლაც, უნდა თქვას კაცმა აქაურ ახალგაზრდობაზე, ესენი არიან სეიმში, სასამართლოში, ვაჭრობაში, სამღვდლოებაში და ყველგან, სადაც კი შრომა და მოძრაობაა საჭირო ხალხისათვის. ამათ მტკიცედ შეუკრავთ ურთიერთ შორის კავშირი და საფლავამდე მისდევენ თავის ქვეყნის კეთილდღეობას. იმათ შორის ძვირად ნახავთ უთავებოლოდ პატრიოტების შესახებ მყვირალ ყმაწვილ კაცსა, მაგრამ იცოდეთ, რომ საქმით ის ნამდვილი პატრიოტია მუდამ მოყვარული იმისა, რასაც ფინლანდიის სახელი ჰქვია“...<sup>5</sup>

ცხადია, ჭალადიდელი თერგდალეულთა ტკივილითაა სწეული. მთელი მისი ყურადღება აღორძინებისკენაა მიმართული: ადგილობრივი უნივერსიტეტის დაარსება, ახალგაზრდა კადრების აღზრდა, პატივისცემა და გამომშვეურება ეროვნული კულტურის მონაპოვრებისა და ა. შ.

ჭალადიდელის ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ვის მახლობლადაც უნდოდა ყოფნა, მას ძალით აცილებდნენ. ამ გარემოებამ მგრძნობიარე პოეტი მეტად გატანჯა, გააწამა. გაწამებული პოეტისათვის თითქოს თვით სიკვდილიც აღარაფერია. მას არც სურს, რომ მისი სიკვდილი ვინმეს ენაღვლებოდეს. მაგრამ დამაშვრალი გულით ლექსში „სიმღერა გადახვეწილისა“ ერთ რამეს მაინც ნატრობს:

<sup>5</sup> ჭ ა ლ ა დ ი დ ე ლ ი, გვ. 189—190.



გამაცოცხლე, მანატრე,  
თუნდ საფლავში ვდნებოდე,  
აყვავებულ საქშობლოს  
თუ კი მოვესწრებოდე!

მაშასადამე, ჭალადიდელისათვის უდიდესი ნატვრა იგივეა, რაც საერთოდ თერგდალეულებისათვის — მამულის აყვავება.

\* \* \*

მამულის სიყვარული ჭალადიდელსაც ისევე ესმის, როგორც საერთოდ თერგდალეულებს: მამულის განმტკიცება და აყვავება შედეგია ერთმანეთს შორის ძმობა-ერთობა-თავისუფლების განმტკიცებისა.

ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 60-იანი წლების ძახილი უმცროსი ძმის, დაჩაგრულის დახმარებისათვის, ჭალადიდელზედაც გავლენას ახდენს და პოეტი „მოგონებაში“ მოძმეს აი როგორ მიმართავს:

გეზარებოდეს ყველასთან შური  
და როცა შეგხედეს კაცი უძლური,  
იციოდე, რომ ის შენი ძმა არი.

ჭალადიდელი, როგორც 60-იანი წლების დიდი შვილი, ამ პერიოდის საზოგადოებრივი აზროვნების საფუძველზე აღზრდილი, პიროვნების თავისუფლებისა და პატიოსნების მლალადებელია. პოეტი, როგორც სხვა თერგდალეულნიც, ადამიანის ღირსებას ზომავს არა სიღარიბე-სიმდიდრით, არამედ „კაცური გრძნობითა და ურყევი პატიოსნებით“. ეს თვისებები კი, თერგდალეულთა გაცემით, მხოლოდ თავისუფალი ეროვნული გრძნობის საფუძველზე შეიძლება გაიშალოს. ამიტომ ჭალადიდელი მოხუცს მიმართავს ჩაუნერგოს ახალთაობას პატიოსნებისა და შრომის პატივისცემა:

მერწმუნე, ჩემო პატივცემულო,  
ის შვილი შრომელს ვერ გაახარებს,  
რომელიც მტრულობს, ძმებში ორგულობს,  
და მელასავეთ დროსა ატარებს.

ეს ჰანგი საერთოა თერგდალეულებისათვის. როგორც ცნობილია, ამ გარემოებამ აკი ასე მძლავრად აამოძრავა აკაკი წერეთლის სატირული ნიჭიცა და მთელი რიგი ძვირფასი სატირული თხზულებები დააწერინა. აკაკის სატირის უმეტესი ნაწილი ხომ ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული!

მამულისადმი სიყვარულმა და პატიოსნური მოქალაქეობრივი ცხოვრებისადმი მისწრაფებამ აამოძრავა ჭალადიდელის იუმორული ნიჭი, რომელიც მის რამდენიმე სატირაში გამოიხატა<sup>6</sup>.

ჭალადიდელის სატირა არ არის გესლიანი. ავტორის ბუნების სინაზე და სირბილე აქაც გამოსჭვივის. მაგრამ მისი უარყოფითი დამოკიდებულება ცხოვრების გარკვეული მოვლენებისადმი, მაინც ძალუმადაა გამოვლინებული.

როდესაც ზევით, თერგდალეულთა, განსაკუთრებით აკაკი წერეთლის სატირაზე ვლაპარაკობდით, ხაზგასმით არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელი, რომელთა უმრავლესობა თავადაზნაურობის წრიდან იყო გამოსული, ახალი ცხოვრების პირობებთან შეგუებას იმით ახერხებდნენ, რომ სწავლასა და მოხელის თანამდებობას პირადი ბედნიერების, ყოველ შემთხვევაში, პირადი უზრუნველყოფის მიზნით იყენებდნენ. საზოგადოებრივი საქმე მათ სრულებით დავიწყებული ჰქონდათ.

თერგდალეული მწერლები, გატაცებულნი მოქალაქეობრივი მოტივებით, საერთო საქმის გაკეთების სურვილით, მოურიდებლად ჰკიცხავდნენ იმათ, ვისაც ჩინ-მენდლებზე გაეყიდათ პატიოსნება და მამულიშვილობა<sup>7</sup>; ისინი მზად იყვნენ ყოველივე დამცირება მიეღოთ, ოღონდ კი ჯილდოდ „ყელზე ანა“ ჩამოეკიდათ. ჩინისა და ორდენის მიღებამ ისე გაიტაცა ჩვენი „განათლებული“ საზოგადოება, რომ ყველაფერი დაავიწყა. ჭალადიდელმაც თავის სატირაში „სიზმარი — ანუ სატანიდან საჩუქარი“ დავიხატა იმდროინდელი საზოგადოების ეს ავადმყოფური გატაცება ჩინ-ორდენების მიღებით.

ჩინისა და ორდენის მიღება ისე ატყვევებს ქართველს, რომ ის სიზმარშიც კი მათ ხედავს. გამოღვიძებული და იმედგაცრუებულა ქართველი, როდესაც მას ყელზე დაკიდებული „ანა“ აღარ ჰქონდა, როდესაც ის ნეტარება მისთვის მხოლოდ წამიერი იყო და ისიც სიზმრად, უსირცხვოდ გაიძახის:

---

6 ჭალადიდელის იუმორული ნიჭი გამომჟღავნებულია აგრეთვე მის პროზაულ ნაწერებში — სცენები და სხვა წერილები. თხზულება, გვ. 139—201. ჭალადიდელის სცენები თავისებური ენარია, რომელშიაც გამომჟღავნდა მწერლის დაკვირვება ქართველი ხალხის ცხოვრებაზე. ეს სცენები დაბეჭდიდან ოთქქის აღმუდმდ ხალისიანად იკითხება ქართული სცენიდან.

7 საგულისხმოა „პასუხის პასუხი“ ილია ქავკავაძისა და სხვათა.

შე მზათა ვარ, თქვენ მზეს ვფიცავ,  
თუ გინდ მკერდზედ დამცენ დანა,  
ოლონდ ჭილდოთ დამანებონ  
იმდამდელი ჩემი ანა!

ასეთივე მსუბუქი ირონიითაა დაწერილი მეორე სატირა „დახლი დარის ანგარიში“, სადაც ჭალადიდელი ღია და სწორ ფერებში ხატავს იმდროინდელი საზოგადოების უპრინციპობას, ფუქსავატობას, დაუდევრობას, ქონების გაფლანგვას. ამ სატირაში ავტორი ახალი ცხოვრების პირობებით გზააბნეული ქართველი თავადაზნაურობის ბედოვლათი ცხოვრების დამახასიათებელ ნომენტებს დაცივნით ააწერინებს დახლიდარს, რომელთანაც მიდის მათი ქონება და ასე ათავებიანებს მათ დახასიათებას:

ყურძნის კუმპალი არასდროს,  
ხელით არ გაუქყულეთია,  
პურის მარცვალი მინდორზე  
ერთხელ არ გაუფანტია.

მაგრამ პური და ღვინოცა  
თქვენზედა უფრო სწადია,  
გამოქიმული სეირნობს,  
ახალმოდური ფრანტია.

ოქროს ხმლით, ვერცხლის ხანჭალით,  
კეჟა გაუფშუტებია.  
მაგრამ ნახეთ ჩემი დახლი  
რა საგანძით გავსილია!  
დამერწმუნეთ, მართალს ვამბობ.  
ქართველების ვექსილია ....

ჭალადიდელი ზოგჯერ შხამიან სატირასაც მიმართავს, როდესაც ხედავს „მოძმეში“ ორპირობას, „პირმოთნეობას“, „ყურში ჩურჩულს“ მოძმის სამტროდ. გულშემატკივარი პატრიოტი-მოქალაქე „ეღლეგიაში“ თავის მკითხველს ასე აფრთხილებს და აფხიზლებს:

ჰხედავთ, აგერ, კაცს, ჰკენესის, გულჩვილობს  
და ამბობს: „ჩემი სამშობლო მიყვარს“;  
მაგრამ შეატყობთ, რომ ის ორპირობს  
და მოძმის სისხლით მას ხელი უყარს.

აი, ეს მდგომარეობაა ჭალადიდელის გულსა და გონებას რომ აეედის ბურუსში ახვევს.

ქალადიდელი თავის პოეტურ შემოქმედებაში თერგდალეულ მწერალთა მსოფლმხედველობის სხვა მხარეებსაც ასახავს.

აღამიანი, შრომა, შრომის შვილი — აი, ვისი და რისი კულტია წამოყენებული 60-იანი წლების მიერ რუსეთში. ამ მისწრაფებებმა ხომ ჩვენს თერგდალეულთა შორისაც კპოვა გამოძახილი! ქალადიდელის შემოქმედებასაც ასეთ მისწრაფებათა ბეჭედი აზის. მისი სიმპათია და გულისყური მშრომელისაკენაა მიმართული. ქალადიდელი ლექსში „ქ ე ბ ა შ რ ო მ ა ს“ ასეთს ჰიმნს უგალობს შრომას და იმათ —

ვინც მუდამ მიწასა სჩეჩავს,  
ან ჩაქუჩით ქვას ამტვრევს,  
ვინც კალოზე პურსა ლეწავს  
და ლუკმა პურს თავს აკმევს,

ვინც გუთანს მისდევს ოფლით  
და მუშურს აღიღინებს,  
ვინც ტვირთითა და ოხერით  
ცოლშვილს ძლივს-და აპურებს.

ქალადიდელი მშრომელებს უგალობს, ამათ შეჰხარის, ამათ აქებს და აღიდებს, რადგანაც საზოგადოებრივ ღირებულებას, დოვლათს ქმნის მშრომელი და მისი პატიოსანი შრომა.

აფერუმ მისსა შრომას,  
ქება იმის ოფლის წვეთს,  
ქება მუშის მუშურ ხმას  
და მის მარტოხელა ბედს.

ამიტომაც, რომ ქალადიდელის მუზა გლახს — მშრომელს და მის „მთაკორტოხზე წამოდგმულ უფიცრო და უყავრო, წვრილის წკნელით ჩახლართულ“ ფაცხას ასეთი მზრუნველობითა და იმედიანად დასტრიალებს. პოეტი ადარებს „არა მორთულს“ ფაცხას მოკაზმულს, გალაქული „პოლით“ სახლს. პოეტს პირველი — „ღარიბული, არ მორთული“ ფაცხა უფრო მოსწონს, ვინაიდან „მორთულ სახლში“ მცხოვრები „ჭრელია და ორგული“, ფაცხაში კი „კეთილი“.

ლექსში „ფაცხა“ ქალადიდელი ერთმანეთს უპირისპირებს ორ წრეს — შეძლებულებს და ღარიბებს. პირველთა მდიდრული, კმაყოფილი და მხიარული ცხოვრება მას არ იზიდავს; სადა ცხოვრება ღარიბთა-კი მას იტაცებს. აქ ღარიბთა ყოფაში პოეტი ხედავს ცხოვრების საღ ნაკადს. მას სწამს, რომ „მამულ-დედულის და

შრომის მოყვარული“ სწორედ ამ ფაცხაში ცხოვრობს და ის მომავალში აქედანვე გამოვა; ამიტომ თვით პოეტიც იმისი ერთგული, მორჩილი და მოყვარულია:

ვისაც უყვარს ჩვენი ფაცხა  
წვრილის წკნელით ჩაბლართული.

ეს მოტივიც ეპოქალური იყო.

ასეთია მთავარი მოტივები და ძირითადი ხასიათი ჭალადიდელის ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე არანორმალურ პირობებში წარმოებული პოეტური შემოქმედებისა. მის პოეტურ ნიქს ყველაფერი ხელს უშლიდა მძლავრად გაეშალა შემოქმედების ფრთა: სასწავლებლის პირობები ქუთაისში, თუ რუსეთში სამხედრო სასწავლებელი, შემდეგ სამხედრო სამსახური იქვე. ასევე მძიმე იყო მისთვის ოჯახური ცხოვრებაც.

ამ წინააღმდეგობათა შედეგად ჭალადიდელში ყველაზე მძლავრად გაიღვა ფესვი იმ მისწრაფებებმა, რომლებიც თერგდალეულებმა თავიანთ დროშას დააწერეს — სამშობლო, შრომა, განათლება, ადამიანის ზნეობრივი სიმაღლე, სიფაქიზე და დაცემულის დახმარება.

თერგდალეულების ეს გავლენა ჭალადიდელში ცხოვრების ქარტეხილმა ვერ აღმოფხვრა, თითქოს უფრო გაამახვილა და თერგდალეულ მწერლად დასტოვა სიკვდილამდე როგორც იდეოლოგიის, ისე პოეტური შემოქმედების ფორმის, სადა ენის ხმარებისა და ხალხური ლექსთწყობის გამოყენების მხარით.

## იაკობ გოგებაშვილი

(1840—1912)

იაკობ გოგებაშვილი განეკუთვნება ქართველ მოღვაწეთა იმ შესანიშნავ პლეადას, რომელიც 60-იან წლებში გამოვიდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყამირის გასახნავად და გასანაყოფიერებლად. ი. გოგებაშვილი თვალსაჩინო წევრია ილია ჭავჭავაძის ბუდის. იგი ჩვენი მოღუენებული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის თავდადებული მებრძოლა.

ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა მსგავსად, ი. გოგებაშვილი გაიჟღინთა გარდუვალი მისწრაფებით — ქართველი ხალხისა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმქრალი კერა აეგუზგუზებინა ახალი ცხოვრების მოთხოვნილებათა თანახმად. ამ მიზნით ამ თაობამ საბრძოლველ ამოცანად დაისახა ქართველი საზოგადოებრივი ცხოვრების „წრეში ჩადგომა“, მისი განვითარების გზის გაგება, მისი გარდაქმნა და ამასთან ერთად გარდაქმნა იმ დასაყრდენი ძალისა, რომელსაც კაცი, მოქალაქე ჰქვიან და რომელსაც შესისხლხორცებული ექნებოდა ამ თაობის რწმენა:

დიდს არ გავექელვინებით  
და მხარს მივცემთ პატარასა,  
ძალას გულდაგულ დავხვდებით  
და თაყვანს ვცემთ სამართალსა.

წინ წასვლაში არ დავიხვეთ,  
არ გავწირავთ უკან რჩომილს:  
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა  
უღონოსა და დავერდომილს.

მამულისა შვილნი ჩვენც ვართ  
და მიტომ ვზრდით ჰაბუკ სულსა,

ასეთი დიდი მიზანი დაისახა განათლებულ ახალგაზრდათა ერთმა მცირე გუნდმა, რომელშიც ი. გოგებაშვილს მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო ადგილი ეჭირა. ცნობილია, რომ 60-იანი წლების მოღვაწეებს ამ უდროობის ხანაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში უხდებოდათ მუშაობა. ისინი მწერლობდნენ, პუბლიცისტობდნენ, კრიტიკოსობდნენ, ისტორიკოსობდნენ, ბუნებისმეტყველობდნენ, პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდნენ და არაერთარ შავს მუშაობას არ ერიდებოდნენ. ასეთ მდგომარეობაში იყვნენ როგორც მეთაურნი, ისე ჯარისკაცნიც. მაგრამ ყოველ მათგანს მაინც ჰქონდა თავისი განსაკუთრებული მოწოდება — გზა, რომელსაც ის ამხვლეზდა, რომლის პასუხისმგებლად ის თავის თავს სთვლიდა საზოგადოებისა და ისტორიის წინაშე.

ასეთ მოწოდებად ი. გოგებაშვილმა აირჩია პედაგოგიური ასპარეზი, რომლიდანაც ის დამჩაგვრელ ძალას გაბედულად და ქედმოუხრელად ებრძოდა. ის არაჩვეულებრივი თავდადებით, გაუტეხელი სიჯიუტით დარაჯობდა მშობლიურ ენასა და სკოლას.

ენა და სკოლა ი. გოგებაშვილს არაუსაფუძვლოდ მიაჩნდა ქართველი ხალხის აღორძინებისა და არსებობის ერთ-ერთ მთავარ ძალად, რომელიც ქართველ ხალხს შესაძლებლობას მისცემდა ნაციონალურ ნიადაგზე თანამედროვე კულტურასა და მაღალ მისწრაფებებს ზიარებოდა და, სხვა კულტურულ ხალხებთან ერთად, პროგრესის გზით წარემართა თავისი ცხოვრებაც.

ამ მიზნით ი. გოგებაშვილი პირველ ყოვლისა შეეცადა თავისი საუცხოოდ შედგენილი სახელმძღვანელოებით მკიდრო კავშირი დაემყარებია ქართველ მასობრივ მკითხველთან და კიდევაც მაღლწია ამ წადილს; წიგნებით „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და სხვა ნაწარმოებებით იგი საყვარულითა და შთაგონებით უსაზრებოდა ყველა ასაკის ადამიანს, ასწავლიდა მათ, რაც საერთოდ კაცს, ხოლო კერძოდ ჩვენს ეროვნულ არსებობას განამტკიცებდა, იგაჯანსაღებდა, რაც ერს მის შესაფერის გამოკვეთილ სახეს შესძენდა. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს მეტად უბრალო, კანონიერი სურვილი და უფლება იმ დუხჭირი რეაქციისა და უკუღმართი ცხოვრების პირობებში, როდესაც კაცმა არ იცოდა, რას შეგვამთხვევდა შავზნელი სინამდვილე, მეტად გაბედული და მრავალთათვის უიმედო სურვილი და მოთხოვნილება იყო.

1 ილ. ქავჭავაძე, ქართველ სტუდენტების სიმღერა.

ი. გოგებაშვილის დამსახურებაც სწორედ ამაშია, რომ ის ფოლადისებური სიმტკიცით ამ საქმეში არავის უთმობდა; პირად ცხოვრებაში წყნარი, უშფოთველი, აქ ამხედრდებოდა, ამფოთღებოდა, შეუთრეგებელ და მოურიდებელ მებრძოლად იქცეოდა ხოლმე. მან იწამა უკეთესი მომავალი, თავდავიწყებითა და დაუშრეტელი ენერგიით გაეშურა ამ მომავლისაკენ და ძალუმაღლად გაიყოლია თან თავისი მრავალი მკითხველიც.

\* \* \*

შეიძლება ითქვას, რომ იაკ. გოგებაშვილის მრავალფეროვანი და შინაარსიანი მოღვაწეობის სხვადასხვა სახე უშუალოდ გამომდინარეობს მისი ძირითადი მიზნიდან და საქმიანობიდან: ხელი შეუწყოს ქართულ სკოლას ბავშვის სათანადო აღზრდის საქმეში. მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ „ისტორიას ჰქმნიან კადრები“. — ადამიანები და მათი აღზრდა ერთი ძირითადი პრობლემაა ხალხის წინმსვლელობის საქმეში.

ასეთსავე ხასიათს ატარებს ი. გოგებაშვილის საგულისხმიერო მხატვრული შემოქმედებაც.

ცნობილია, რომ ლიტერატურულ შემოქმედებას სამოციანელები აფასებდნენ, როგორც ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებას. ილია ჭავჭავაძე 60-იანი წლების დასაწყისში ასეთ მოთხოვნილებას აყენებს: „მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყუარებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა“<sup>2</sup>.

ასევე უყუარებს ი. გოგებაშვილიც. ის ლიტერატურის საშუალებით ლაშობს აღმზრდელობითი გავლენა მოახდინოს მკითხველზე — ბავშვზე, აღზარდოს ის, გარემო ცხოვრების პირობებში გარკვევით, შეაიარაღოს სათანადო ცოდნით. ი. გოგებაშვილის შემოქმედებას პუბლიცისტური ხასიათი აქვს, რომელშიც დიდაქტიზმი საგრძნობი დოზითაა ჩაქსოვილი.

ი. გოგებაშვილის შემოქმედებითი მეთოდი პუბლიცისტურ-მხატვრულია, რაც ასე დამახასიათებელი იყო 60-იანელებისათვის.

ი. გოგებაშვილმა კარგად იცის, რომ სკოლას შინაარსი ესაჭიროება, ენის დახვეწას, მის ბავშვისათვის მძლავრ საჭირო იარაღად

2 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1.



გადაქცევისა და საერთოდ, ბავშვის აღზრდის საქმეს ესაჭიროება შესაფერი ლიტერატურა. და მან გატაცებით ჩასქიდა თავისი მადლიანი ხელი ამ საპასუხისმგებლო საქმეს.

საბავშვო ლიტერატურის უქონლობა იგრძნობოდა არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთშიც. ამას არაერთხელ აღნიშნავდნენ რუსი 60-იანელებიც, რომელნიც გატაცებულნი იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ადამიანის გარდაქმნა-აღზრდით. რუსული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების საუკეთესო წარმომადგენლები: ბ. ბელინსკი, ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლუბოვი, მ. გორკი და სხვანი არაერთხელ მიუთითებდნენ ამ მოვლენის სერიოზულ მნიშვნელობაზე.

ა რას წერდა დიდი მოაზროვნე ნ. ჩერნიშევსკი საბავშვო ლიტერატურის შესახებ: «Мы вообще недовольны книгами для детского чтения: они слишком — извините за выражение — оскорбляют детей недоверчивостью к их уму, отсутствием мысли, приторными сентенциями. Детям очень многое можно объяснить очень легко, лишь бы только объясняющий сам понимал предмет, о котором взялся говорить с детьми, и умел говорить человеческим языком»<sup>3</sup>.

ასეთივე შეხედულების იყო ჩვენი დიდი პედაგოგი ი. გოგებაშვილიც, რომელიც ნ. ჩერნიშევსკისა და სხვა 60-იანელების ჰუმანურ მისწრაფებებზე აღიზარდა. ამგვარ შეხედულებებთან ერთად ი. გოგებაშვილისათვის საბავშვო ლიტერატურის შექმნაში სახელმძღვანელოდ გახდა დიდი კრიტიკოსის ბ. ბელინსკის მოსწრებული და სწორი თქმა: «Хороша та детская книга, которую с удовольствием прочтет и взрослый».

ი. გოგებაშვილისათვისაც ეს შეხედულება სახელმძღვანელოდ შეიქმნა, მით უმეტეს, რომ მას მხედველობაში ჰყავდა არა მარტო ბავშვი, არამედ მოზრდილი, ჩამორჩენილი მკითხველიც — ხალხის მასები.

ცნობილია, რომ ლიტერატურის ზოგადი ცვლილებანი თავის დიდ გავლენას ახდენენ საბავშვო ლიტერატურის მიმართულებაზე. ლიტერატურის ზოგადი ტონი ქმნის საბავშვო ლიტერატურის ტონსაც. ამიტომ ბუნებრივია, რომ ი. გოგებაშვილმა საბავშვო ლიტერატურას ჩააქსოვა ის მოტივები და მისწრაფებანი, რომელნიც ახასიათებდა ჩვენს აზროვნებასა და ლიტერატურასაც 60—80-იან წლებში.

3 Н. Чернышевский, А. С. Пушкин, его жизнь и сочинения, М., 1956.

საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობას. ი. გოგებაშვილი შემდეგნაირად აფასებს თავის საგულისხმო რეცენზიაში საბავშვო ჟურნალის „ნობათის“ შესახებ 1884 წელს: „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრდენით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრა ადგამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისაყრდენი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა“<sup>4</sup>.

აღიარებს რა საბავშვო ლიტერატურისა და საბავშვო ჟურნალის ასეთ დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ი. გოგებაშვილი იქვე განმარტავს იმ ამოცანას, რომელსაც ის მას უსახავს: „საბავშვო ჟურნალი, რომელშიაც ადგილი ეძლევა მხოლოდ ნიჭიერ ნაწარმოებთა, აზრითა და გრძნობით სავსეთა, ბევრს სიკეთეს დასთესავს მოზარდ თაობაში, ბევრს მაღალს აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და აღზრდის მის გულში, ბევრი კეთილშობილური, ჰუმანიური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუშხადებს ბევრს მხნეს და გულწრფელ მამულიშვილს“<sup>5</sup>.

ი. გოგებაშვილის ერთ-ერთი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ჩვენში ერთმა პირველთაგანმა მკაფიოდ შეიგნო და მოინდომა სხვებისთვისაც შეეგნებინებინა; რომ საბავშვო ლიტერატურა ცხოველი, ერთ-ერთი წყაროა ადამიანის მორალური ფორმირებისათვის, რომ ის მძლავრად ეხმარება მომავალი მოქალაქის, ცხოვრების შედგარი მქედელის აღზრდის საქმეს. თუ მანამდე საბავშვო ლიტერატურას მეტად ზღუდავდნენ, კეტავდნენ მეტად ვიწრო მორალის ჩარჩოებში, მოქალაქეობრივი გრძნობების გაუმოქმედებას მიზნად არ უსახავდნენ, გარემო ცხოვრებას აცილებდნენ და ზნეობრივ ცნებებს ახვევდნენ ბავშვს თავს და არ უმარტავდნენ, რომ ეს ზნეობრივი ცნებები არ არის საზოგადოებრივი ცხოვრების გარეშე. ი. გოგებაშვილმა აშკარად და მტკიცედ მოითხოვა, რომ ლიტერატურა ბავშვში უნდა ნერგავდეს საღს ზნეობრივ ცნებებს, უნდა ეხმარებოდეს მის ზნეობრივ განვითარებას, მაგრამ ეს აუცილებელი

4 ი. გოგებაშვილი, „ჩვეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“, ტ. 1, 1910 წ., გვ. 126.

5 იქვე, გვ. 127.

უნდა ხდებოდეს გარემო ცხოვრების შესწავლის თუ გაცნობის საფუძველზე და აძლევდეს ბავშვს ცხოვრების გამოცდილებას.

ი. გოგებაშვილის მსოფლმხედველობა და მიმართულება საბავშვო ლიტერატურაში გამომხატველია მხატვრული რეალიზმისა. ი. გოგებაშვილის მოთხრობებში დიდაქტიკური ელემენტი ორგანულად შერწყმულია მხატვრულ რეალიზმთან, მათში ცოცხალი სინამდვილის მაჩვენებელი სახეები გასაგებ და მისაწვდომ ფორმებშია მოცემული; ეს ბავშვში იწვევს ცოცხალ აზრს, განწყობილებას, რითაც ხელს უწყობს ბავშვის მსოფლმხედველობის გამომუშავებას. საბავშვო მოთხრობაში, ი. გოგებაშვილის შეხედულებით, „ავტორი თვალწინ უხატავს ნორჩ მკითხველს ყველაფერს, რაც პატარა ბავშვისათვის უსაყვარლეს საგნად ჰხდის მის აღზრდის ადგილს, მის ბავშვობის გარემოს“...<sup>6</sup> ი. გოგებაშვილმა კარგად იცის ბავშვის ბუნება, მისი მოთხოვნილებები და ამ თავის რეცენზიაში, იწვევს რა საბავშვო ლიტერატურის სარბიელზე მწერლებს, აფრთხილებს, რომ საბავშვო მოთხრობების წერა „მეტად ძნელია და მოითხოვს საფუძვლიან მოსაზრებას, გულისყურის დამყარებას კაიხნობით და მუყაითს შრომას“. თანაც ის შემდეგ შესაფერ დარიგებას თუ მითითებასაც აძლევს მათ: „საბავშვო მოთხრობაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მოქმედების დახატვას, დრამატიზმსა, და პლასტიკური აღწერა უნდა იყოს მოკლე და შეეხებოდეს მხოლოდ უმთავრეს საგნის ნაწილებს“.

ჩვენს პედაგოგს კარგ ალღოსთან ერთად მდიდარი დაკვირვებაც აქვს. უწევს რა ანგარიშს ბავშვის მოძრავ ბუნებას, ი. გოგებაშვილი ურჩევს საბავშვო მწერლებს ერიდონ გრძელ აღწერას. ასეთი აღწერა მას ნაკლოვანებად მიაჩნდა, რადგანაც „ბავშვის მოძრავი ბუნება სრულიად ვერ მშვენობს დიდხანს შეჩერებას გრძელის, გაქიანურებული პლასტიკური სურათების კითხვასა და გაგებაზე“.

ი. გოგებაშვილი ურჩევს მათ საერთოდ ერიდონ აღწერით ფორმას, სინთეტურ, დიდაქტიკურ მეთოდს. მისი გაგებით, „საზოგადო მიმოხილვა, საზოგადო ფრაზები ყოვლად გამოუსადეგარნი არიან საბავშვო მოთხრობებში“. მას მიზანშეწონილად მიაჩნია საბავშვო მწერალმა გამოიყენოს „ანალიტური, ინდუქტური მეთოდი, კონკრეტული, კერძო მოვლენათა დახატვა ბავშვის თვალწინა, მოთხრობითი ფორმა“.

<sup>6</sup> ი. გოგებაშვილი, „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“, ტ. 1, 1910 წ., გვ. 126.

საბავშვო მოთხრობებში მოცემული რეალური კონკრეტული სურათების გავლენით, ი. გოგებაშვილის რწმენით, მოზარდმა მკითხველმა უნდა გამოიტანოს „სიმშვენიერე ქვეყნისა“. ამგვარი შთაბეჭდილებისა თუ განწყობილების მიღებას, გარდა აღნიშნულისა, ხელს შეუწყობს საბავშვო მოთხრობების შემდეგი ღირსება: „ერთსადამიანე დროს (საბავშვო მოთხრობა) ბევრს ეუბნება წარმოდგენასაც, გონებასაც და გულსაც, რაც ზრდის იდეურ, სასარგებლო მოქალაქეს: ხასიათდება სუბუქი კილოთი, ცოცხალი მიმდინარეობით აზრებისა, ცხოვრების რეალური აღბეჭდით, მაღალი იდეურობით და დახვეწილი ქართული ენით“<sup>7</sup>.

\* \* \*

ი. გოგებაშვილს თავისი საბავშვო მოთხრობები დაწერილი აქვს აღნიშნული მოთხოვნების თანახმად. მისი მხატვრული შემოქმედება საქმიანი ბელეტრისტიკის ნაწარმოების ხასიათს ატარებს.

როგორც მწერალი-პედაგოგი, ი. გოგებაშვილი იცავს დიდაქტიკურ პრინციპს და თავის საბავშვო მოთხრობებში, რომლებითაც ის ცდილობს ბავშვი გარკვეოს გარემო ცხოვრების მოვლენებში, მოვლენას იძლევა ნაცნობიდან უცნობისაკენ, მახლობლიდან შორეულისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ. მისი შეხედულებით, საბავშვო მოთხრობები, რომელთაც მიზნად აქვს ბავშვი გარემოში გაათვითცნობიეროს, „თვით რთულს და ღრმა შინაარსის ისე ცხადად, ისე აშკარად, ისე ადვილად განახორციელებს სუბუქ სიტყვებსა და ფრაზებში, რომ პატარა ბავშვსაც კი არ გაუძნელდება მისი გაგება და შეთვისება“<sup>8</sup>.

ასეთივე თვისებებით ხასიათდება ი. გოგებაშვილის საბავშვო მწერლობა. მის პატარა მოცულობის, მშვენიერი, მსუბუქი, დახვეწილი ქართული ენით დაწერილ მოთხრობებს დიდი ხალისითა და ინტერესით შეჰყავს ბავშვი ცხოველთა ცხოვრებაში და ბუნების სხვა მოვლენათა საყაროში. მას აღებული აქვს ისეთი მოვლენები და ამ მოვლენათა ისეთი მომენტები, რომელთაც ბავშვი უშუალოდ ზღვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ი. გოგებაშვილი, როგორც ბავშვის გულის ნიჭიერი მესაიდუმლე, დიდი სისადავით, ხალისითა და უშუალობით იძლევა მათ ცხოვ-

7 ი. გოგებაშვილი, „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“, ტ. 1, 1910 წ., გვ. 134.

8 იქვე, გვ. 136—137.

რებას დამახასიათებელი თვალსაჩინო ნიშნებით, ადვილად შესაგრძნობად და დასაჯერებლად ხდის პატარა მკითხველისათვის ბუნების მოვლენათა კანონზომიერებას, ფრინველთა, მწერთა და სხვადასხვა ცხოველის მანებლობა-სარგებლიანობას. მაგალითისათვის: ი. გოგებაშვილს უნდა ბავშვს გააცნოს ბელურა-ჩიტის ბუნება, რათა მისდამი ბავშვის დამოკიდებულება გარკვეულობაში მოიყვანოს. ამ მიზნით ავტორი მის დადებითს და უარყოფითს თვისებებს და დამახასიათებელ ნიშნებს შემდეგნაირად ხატავს: „თვალი გვეუბნება: ბელურა ჩიტი თქვენი მტერია, ზარალს გაძლევთ, სდიეთ და ჟლიტეთო, ცოდნა კი გვარწმუნებს: ბელურა შეუდარებელი მეველეა ჭირნახულისა, დიდი მოკეთეა თქვენი, სარჩლი გაუწიეთ და ამრავლეთო... თვალს ბელურას წინააღმდეგ მოჰყავს შემდეგი მისი მოქმედებანი:

„კალოზე ძნა მოიტანეს, ძნას ჰყრიან ძირსა და მარცვალი სცვივა. ბელურა-ჩიტები გაჩნდნენ საილღანაც, მიაფრინდნენ კალოს პირზე და დაუწყეს ხარბად კენკა მარცვლებსა“.

„მანდილოსანი უყრის ქათმებსა და ბატებსა პურის მარცვალსა, ჩიტები გულადად, შეუპოვრად მიდიან და მარცვლებს თითქმის პირიდან აცლიან შინაურ ფრინველებსა“.

„ბაღში ბალი დამწიფდა, ჩიტები გახდნენ მისი ხშირი სტუმრები, ჰყენენ ტკბილ მარცვლებსა და პირს იტკბარუნებენ“.

„ხორბალი გაჰფინეთ ბანზე და ძირს ჩამოხვედით, ჩიტები იმავე წამს დაიბადნენ გაფენილ ხორბალთან და დაუწყეს კენკა“ („ბელურა ჩიტი“).

ყველაფერი ეს ბავშვისათვის ნაცნობია, ასეთი ქცევა ბელურასი მას უნახავს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მონაწილეობაც მიუღია მათ გარეკვაში, შეიძლება გაეღუტაშიც.

მაგრამ, ამაზე არ ჩერდება პედაგოგი-ავტორი, ბელურას ამ მოქმედების იქით მეტად დამაჯერებლად აჩვენებს მისი ბუნების მეორე მხარეს, რომელიც უცნობია ბავშვისათვისაც.

„ყველა ეს მართალია, — ალერსიანი და მოსიყვარულე კილოთი განაგრძობს მწერალი, — ყველა ამას თვალი ჰხედავს, გვატყობინებს და სწორედ ამის გამო ადამიანი ემტერებოდა ბელურა ჩიტებს წინეთ და ახლაც ემტერება. მაგრამ ნასწავლი გონება ამბობს, რომ ეს ზარალი ძლიერ მცირეა, ლაპარაკად არა ღირს, ხოლო უჩინარი სიკეთე ჩიტისა იმოდენაა, რომ ყელამდინ ვალში ვართ პატარა ჩორას წინაშე“<sup>9</sup>.

<sup>9</sup> ი. გოგებაშვილი, ტ. IV, გვ. 111.

ამის დასადასტურებლად ბელურას ცხოვრებიდან მოტანილია დამარწმუნებელი ფაქტები. ი. გოგებაშვილი გაიხსენებს ამერიკაში გადასახლებული ევროპიელის ისტორიას, როცა მას გადასახლების პირველ წლებში გაუძნელდა ამერიკის ნოყიერ მიწაზე მოსავლის მოყვანა, რადგანაც იქ ისიც მრავალიაგან მრავალია სხვადასხვა ჯურის ჭია-მატლები, პეპლები, ბუზები, მწერები, რომელნიც „მეისივ-ნენ ევროპიელისაგან დათესილ ჭირნახულს, დარგულს ხეებსა და სულ ერთიანად გაახმეს და მოაცდინეს. ამერიკაში გადასახლებული ევროპიელები იხსნა ბელურა-ჩიტმა, რომელიც ევროპიდან წაიყვანეს და დააბინავეს. „ჩიტებს მოეწონათ ეს საბუდრები, — გადმოგვცემს მწერალი, — დაბინავდნენ თავის პატრონის მამულში. უცხო ადგილი სწრაფად შეითვისეს, გამრავლდნენ და დაერივნენ იქაურს მწერებსა. და რა მოხდა მოკლე ხნის განმავლობაში? სწორედ ნამდვილი სასწაული. რაც იქაური ფერად-ფერადი, ლამაზ-ლამაზი ფრინველებისათვის შეუძლებელი იყო, ის ადვილად მოახერხა პატარა და სულ სადა ფრინველმა — ბელურა ჩიტმა. ისეთი მეველეობა გამოიჩინეს ჩვენმა ჩიორებმა, რომ ჭირნახული და ბაღები ავის თვალით აღარ ინახებოდა. რამდენადაც უფრო მრავლდებოდნენ ბელურები, იმდენად უკეთესი მოსავალი მოდიოდა. მემამულე აღტაცებაში იყო და ახლა თვითონ იგდებდა მასხარად იმათ, ვინც წინათ მას დასცი-ნოდნენ“.

ასეთივე უშუალობით, ხალისით, სიყვარულითაა გაშლილი ი. გოგებაშვილის მრავალ მოთხრობაში ბუნების სხვა ბინადართა ცხოვრება და მათი მნიშვნელობა კაცისათვის („ჩიტის ბუდის ფასი“, „მინდვრის ყარაულები“, „ბელურა ჩიტები“, „ლაშურა“, „ძაღლი“ და მრავალი სხვა).

ი. გოგებაშვილი ხშირად აადამიანებს ცხოველთა და ნადირთ, ანიჭებს მათ ადამიანის ჩვევებსა და განწყობილებებს, რათა ბავშვი უფრო დაახლოვდეს მათთან და მისთვის ბუნებასა და ადამიანთა ცხოვრებას შორის შემაერთებელი ხიდი გასდოს. ამ მოთხრობებში ი. გოგებაშვილი ზედმიწევნით სიმართლითა და სიზუსტით ჰხატავს ცხოველთა („ლომი“, „მერცხალი“, „აქლემი“, „ორაგულის ცხოვრება“, „არწივი“ და სხვ.), მცენარეთა („ქერის თავგადასავალი“, „ჰინჭარი“ და სხვ.) და ბუნების სხვა მოვლენათა („ნამი“, „ცი-სარტყელა“, „აბრეშუმის ჭია“ და სხვ.) ცხოვრებას.

მკითხველი, ამ მოთხრობებს რომ ეცნობა, ადვილად რწმუნდება, რომ ავტორს ეს მოვლენები ჯერ თვითონ კარგად შეუსწავლია და შემდეგ ამა თუ იმ მოვლენის დამახასიათებელი თვისება ბავშვ-თათვის თვალსაჩინო ფორმაში აუსახავს.

ი. გოგებაშვილის მხატვრულ გადმოცემაში მხეცები, მწერები, მცენარეები თუ ბუნების სხვა მოვლენები ცხოვრობენ, გრძნობენ, ლაპარაკობენ, მოქმედებენ. და ყველა ეს მოცემულია ცხოვლად, ბუნებრივად, მთელი თავიანთი შეუფერავი სინამდვილით: არავითარი სიყალბე, არცერთი მოუხერხებელი შტრიხი; ავტორი ხშირად უშუალოდ, მარილიანად დასცინის; მათ და მოთხრობას ყოველთვის ბავშვთათვის საინტერესო გართობის ფორმით აწარმოებს.

ბუნების მოვლენათა ასეთი ჩვენებით ი. გოგებაშვილი მეტად ნიჭიერად ახერხებს უშუალოდ აათვისებინოს პატარა მკითხველს გარემო ცხოვრების (ბუნების) კანონი — დახმარება, შებრალება, მოვალეობის შესრულება, ბრძოლა ძალმომრეობით გამოწვეული უსამართლობის წინააღმდეგ, რათა შემდეგ ასეთივე ურთიერთობანი, ბუნებრივად გადმოტანილი ადამიანზე, ბავშვმა ადვილად გაიგოს.

ამ მოთხრობებში ი. გოგებაშვილი მართლაც რომ მხატვრობის სიმადლეზე ადის სულ უბრალო ხერხებით („დევნილი მეგობარი ანუ ზღარბი“, „დიდი მოკეთე მტრის კანში ანუ ბელურა ჩიტი“, „მერცხალი“, „უდანაშაულოდ დასჯილი თხუნელა“, „მელა და მისი სახლობა“, „კრუხების ბრძოლა“ და სხვ.).

მაგალითისათვის ავიღოთ მოთხრობა „კრუხების ბრძოლა“. ორი კრუხი საქათმიდან გამოვიდა და თან ოციოდე მოჩიტული წიწილა გამოიყოლა. შეერივნენ ნაფუზარს და მხიარული კრიხინით და წივწივით ჰქექავდნენ მიწასა, პოულობდნენ მარცვლებსა და ჭიანჭველასა. მოულოდნელად მათი მყუდროება დაარღვია ქორმა. ამ ორ დედალს წინათაც არა ერთხელ დასცემია ქორი და ისინი შეშინებული გაქცეულან საქათმეში. ქათამს არც მკრელი ნისკარტი აქვს, არც ბასრი ბრჭყალები ასხია, არც ღონიერი ფრთები. მაგრამ რაკი კრუხებს თან თავისი საყვარელი წიწილები ჰყავდათ, ამიტომ ისინი არამცთუ არ გაექცნენ ქორსა, არამედ მამაცურად წინ მოექცნენ წიწილებს, გაშალეს ფრთები, დაიგრძელეს კისერ-ნისკარტები და მოემზადნენ თავგანწირული ბრძოლისათვის.

დიდი დამაჯერებლობითაა მოცემული კრუხების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ქორთან. „ქორმა დაუქროლა კრუხებსა, — გადმოგვცემს ავტორი, — გაჩნდა ბრძოლა ღონიერისა უღონოებთან, იარაღიანისა უიარაღოებთან, მარჯვესი უხერხულებთან. ქორი სცემდა კრუხებს თავის წვეტიანს და ღონიერს ნისკარტსა, აგლეჯდა ხორცს ტანზე თავისი ბასრი ბრჭყალებით, თავისი ღონიერი ფრთების ცემით არეტანებდა. არც ერთი ეს ვნება არ შეეძლოთ კრუხებს მიეყენებინათ მტრისათვის და არც ცდილობდნენ ამასა. სამაგიეროდ საოცარი შეუცდომლობით მიხვდნენ სუსტს მხარეს ქორი-

სას და სწორედ ეს მხარე ამოიღეს მიზანში; კრუხებმა იგრძნეს, რომ ერთად ერთი ასო ქორისა, რომლის ვნებაც მათ შეუძლიანთ თავისი სუსტი იარაღით, არის თვალები და თავის ნისკარტს მხოლოდ ამ თვალებში უმიზნებდნენ, უმიზნებდნენ ისეთი სიმარჯვით და დაჟინებით, რომ კაცს გააოცებდა...“ მწერალი ბრძოლის დასასრულს ასე აგვიწერს: „საზარელს სანახავს წარმოადგენდა ბრძოლის ველი. ერთი კრუხი მოკლული იყო და მეორე სისხლისაგან იცლებოდა; არანაკლებს უბედურს მდგომარეობაში იყო ორივე თვალთ დაბრმავებული ქორი, რომელიც საცოდავად ფარფატებდა და ხან აქ გადაივიდა ყირაზედა, ხან იქა“<sup>10</sup>.

ნორჩი მკითხველი ამ ნაწყვეტიტაც კი (მით უმეტეს მთლიანი მოთხრობიდან) ცოცხალ შთაბეჭდილებას იღებს ქორისა და ქათმების ბუნებაზე, ძალაზე: იღებს მაგალითს პასუხისმგებლობისა, თავდაცვისა, შეერთებული ძალით სუსტებისაგან ძლიერის დამარცხებისა, თუმცა შესაძლებელია ამას მსხვერპლადაც შეეწიროს.

ი. გოგებაშვილი მარტო ბრძოლის, დავდაცვის თუ თავდადების სურათის დახატვით არ კმაყოფილდება. მას მიზანი აქვს თავის პატარა მკითხველს აქედან თავისებური დასკვნა გამოატანინოს და ასე ათაუებს ამ მოთხრობას:

„მშვიდობით გადარჩენილი წიწილები ერთად მოგროვილიყვნენ, საცოდავი ხმით გასწიოდნენ და გლოვობდნენ თავიანთ თავდადებულს დედებსა, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს მათ და ამით დაუტოვეს ანდერძი, რომ მათაც თავისი ჩამომავლობა ჰყვარებოდათ თავდავიწყებული სიყვარულითა“<sup>11</sup>.

60-იანელებისათვის ერთ-ერთი საბრძოლო საკითხთაგანი იყო შრომის აუცილებლობა, შექმნა „შრომის სუფევისა“, რაც გაძარცულ პიროვნებასა და დაბოროტებულ შრომას გაანთავისუფლებდა და დაამყარებდა ცხოვრებისათვის სანატრელ პირობებს.

ი. გოგებაშვილს სწამს, რომ ასეთი პირობები მშრომელმა ადამიანმა უნდა შექმნას, მოიპოვოს. აქეთყენა მიმართული მისი გულისყური.

მართალია, აქ ამ მოთხრობებს დიდაქტიზმი ჟღენთავს, მაგრამ ი. გოგებაშვილი მთელ რიგ ამგვარ მოთხრობებში ართმევს თავს ამ დიდაქტიზმს და მათ დამაჯერებლობის კილოს აქსოვს, რაც ბავშვზე გავლენას ახდენს და მის შეგნებაში ღრმად იბეჭდება („სიზარ-

10 ი. გოგებაშვილი, ტ. IV, გვ. 94.

11 იქვე. გვ. 111.



მაცეს მათხოვრობა მოსდევს“, „პატიოსანი და უპატიოსნები“ და სხვ.).

ი. გოგებაშვილი კარგად ხედავდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვევებით აღჭურვილი მოქალაქე აგრეთვე აღჭურვილი უნდა იყოს ხასიათის სიმტკიცით, გაბედულებით, ინიციატივით, წინდახედულებით, მას უნდა ამოძრავებდეს დაკვირვება და საზოგადოებრივ ინტერესს პირადზე მაღლა უნდა აყენებდეს („ცოფიანი ძაღლი“, „ფრინველების გონება“, „მგელი და სოფელი“, „ლომი“, „სპილო“, „მოუთმენლობის მსხვერპლი“ და სხვ.).

ი. გოგებაშვილს თავისი მოთხოვნები სწორედ ამ მიმართულებით აქვს შეკინძული ხან ნადირ-ფრინველთა, ხანაც ადამიანთა ცხოვრების ხალისიანი და ეფექტური ეპიზოდების ჩვენებით, არაიშვიათად ერთმანეთის ცხოვრების მთლიანობაშიც, მაგალითად, მას დიდის ემოციონალობით აქვს გადმოცემული მოთხრობაში „საშინელი სასჯელი მოღალატისა“ — ისტორიული ამბავი XVI ს. დასასრულისა. მიუხედავად ქართველი ჯარის მედგარი ბრძოლისა სპარსელებთან, დამარცხდა ქართველთა მეფე სვიმონი. ქვეყანა სპარსელებმა ააოხრეს, ხალხი ააწოკეს, მიზეზი ამ საყოველთაო უბედურებისა იყო მოღალატე ყორღანაშვილი, რომელიც არხეინად დადიოდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ქართველობა მას სპარსელების შიშით ვერაფერს გაუბედავდა, თუმცა შურისძიება კი ღრმად დულდა მათ გულში. მაგრამ მალე აღმოჩნდა სანატრელი შურისმაძიებელი.

„ერთხელ მანგლისის გზაზე შეხვდნენ ერთმანეთს მოღალატე ყორღანაშვილი და საჩინო ბარათაშვილი. შეხვედრა მოხდა თვალჩაუწყდენელის ხრამის პირად. ყორღანაშვილმა არხეინად მისცა სალამი ბარათაშვილსა: საჩინოს გაუმარჯოს! საჩინომ მიაძახა: ღმერთმა ყველა ქართველს გაუმარჯოს იუდა მოღალატეზედაო, გაექანა, ჰკრა ხელი და გადაჩეხა უფსკრულის ხრამზე, ყორღანაშვილი რახარუხით წავიდა კლდიდან კლდეზე. დაიმტვრა, დაიმსხვრა და, მანამ ძირს უწევდა, საშინელი ტანჯვით დალია ცოდვილი სული“.

მთელი საქართველო ადიდებდა მოღალატის დამსჯელს — საჩინო ბარათაშვილსა, „რომელიც არ შეუშინდა სპარსელების რისხვასა და ვაეკაცურად აასრულა მამულიშვილის ვალი“, — გადმოგვცემს დაკმაყოფილებული ავტორი. მაგრამ ამით არ კმაყოფილდება აღელვებული პედაგოგი-მწერალი და განაგრძობს მოღალატის დასჯის სურათის აღწერას: „ეგდო უპატრონოდ ყორღანაშვილის მძოვრი რამდენიმე დღეს და გახრწნილებას მიეცა. მძოვრის სუნმა მოიზიდა ამ ადგილისაკენ მთელი ხროვა დამშუელის მგლებისა. მაგრამ ხალხის

თქმულებით, როცა ამ მშვიერმა ნადირებმა დასუნეს და შეიტყეს, რომ ეს იყო ლეში მოღალატე ყორღანაშვილისა, ზიზღით აივსნენ, პირი ვერ დააკარეს, უკანვე გაბრუნდნენ და ისევ შიმშილი ირჩიეს, ვიდრე პირის წაბილწვა ამ იუდას ლეშის ჭამითა“<sup>12</sup>.

ღალატის დიდ საშინელებას, მწერლის მოხდენილი დასკვნით, არა მარტო ადამიანები განიცდიან, არამედ მგლებიც კი. მოთხრობის ასეთი ფინალი ბავშვზე, რა თქმა უნდა, მეტად ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს.

ადამიანი, 60-იანელების გაგებით, ფასდებოდა მისი საზოგადოებრივი ღირებულების მიხედვით. ამიტომ, მათი რწმენითა და მოთხოვნით, ბავშვში გამომუშავებული უნდა ყოფილიყო მოძმის დახმარება, სიყვარული. თავის გაწირვა, ძმობა-ერთობა. ამას ი. გოგებაშვილი გამოავლენს არა მარტო ადამიანთა, არამედ ცხოველთა ცხოვრების მაგალითებზედაც („ჭკვიანი ძაღლი“, „ჭიანჭველები“, „თავის განწირვა“ და სხვ.).

ამგვარი გრძობებით აღჭურვილი მოქალაქის შეგნებაში თავისთავად, სრულიად ბუნებრივად უნდა გამომუშავებულყო თავისუფლების რდვის აუცილებლობა, რომ ადამიანს უნდა მიეცეს გასაქანი; შეზღუდული, დამონებული ადამიანი უბედურია, უილაჯო, არაფრის მაქნისი („ვანო და ჩიტი“).

ასეთ შეხედულებას ი. გოგებაშვილი არა ერთს საგულისხმო საბავშვო მოთხრობაში იძლევა. ამიტომ ის პატარა მკითხველს ხშირად არა მარტო ადამიანთა, არამედ მწერთა და ნადირთა ცხოვრების მაგალითებდაც თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად აჩვენებს, რომ საჭიროა ბრძოლა შრომის განმტკიცებისათვის, საჭიროა შეერთებული ძალა, ბრძოლა; ერთობაშია გამარჯვებაც და დამშვიდებული ცხოვრების მოპოვება-შენარჩუნების შესაძლებლობაც („ჭიანჭველები“, „ფრინველების გონება“ და სხვ.).

ამ მიზნისათვის, ი. გოგებაშვილის ჩვენებით, ანგარიში უნდა გავუწიოთ სუსტის ძალასაც, მასაც უნდა გავუწოდოთ ხელი, ისიც უნდა მოვიხმაროთ, მივიღოთ ჩვენს წრეში, ისიც საჭიროა, ისიც გამოსადეგია საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის („სპილო და ჭიანჭველა“). დახმარება, სიკეთის დანახვა, ძალთა გაერთიანება მხეცებმაც კი იციან („ძაღლი“, „ლომი“, „სპილო“ და სხვ.). აღნიშნული მიზნით ბუნების სამყაროდან ამოღებული მოვლენების სისადავით, კარგი ცოდნით, ემოციონალობით დახატვა დიდ დამაჯერებლო-

<sup>12</sup> ი. გოგებაშვილი, ტ. IV, გვ. 103.

ზას აძლევს ი. გოგებაშვილის მოთხრობებს, რაც ცოდნასაც უმდიდრებს და დიდს ჰუმანურ განწყობილებას უქმნის პატარა მკითხველს.

\* \* \*

მაგრამ ყველაზე საჭირო და ცხოველმყოფელი გრძნობა მოქალაქისათვის ი. გოგებაშვილის, როგორც თერგდალეულის, გაგებით, არის მამულიშვილური გრძნობის გაღვივება-გამომუშავება ბავშვის აღზრდა უნდა დაგვირგვინდეს მისი ქვეყნისადმი თავდადებული სამსახურისა, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით. ქვეყნის ინტერესი არამცთუ მის ინტერესად უნდა გადაიქცეს, არამედ უფრო მაღლა უნდა იყოს დაყენებული. ამიტომ ბავშვის აღზრდა, ი. გოგებაშვილის რწმენით, უნდა ხდებოდეს ეროვნული კეთილდღეობის საფუძველზე, ახალგაზრდობას მისაბაძავად, ნიმუშისათვის უნდა მიეცეს მკვეთრი ეპიზოდები თავდადებულთა ცხოვრებიდან.

თვითონ ი. გოგებაშვილი შემდეგნაირად გამოხატავს ამ შეხედულებას თავის რეცენზიაში საბავშვო ჟურნალის „ნობათის“ შესახებ: „ისტორიულს მოთხრობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვის აღზრდაში. საუკეთესო მამულიშვილების მხურვალე სიყვარული თავის ქვეყნისა, თავისი სარგებლობის დაიწყოება მის სიკეთისათვის და თავდადება მამულის ბედნიერებისათვის უპირველეს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდი თაობის შორის მაღალი ზნის პრინციპებისა... აქ საჭიროა და სასარგებლო არა ხელოვნური აღწერა გმირების მთელი ცხოვრებისა და მოქმედებისა, არამედ ცალ-ცალკე ეპიზოდების მოთხრობა ცოცხლად და მარტივად. რასაკვირველია, ეს ისტორიული პატარა მოთხრობები უნდა უმეტესად ამოღებული იქნან სამშობლო ისტორიიდან, თუმცა საზოგადო ისტორიიდანაც შეიძლება ზოგიერთი მეტად შესანიშნავი შემთხვევების ამორჩევა“<sup>13</sup>.

საზოგადო საქმისათვის თავდადებულობის მოთხოვნის მისაღებად ბავშვის განწყობილება და შეგნება რომ მოამზადოს, ი. გოგებაშვილი ამ განწყობილების ძალას ბავშვებს აძლევს ჭერ თავისი უშუალოდ და მამაჩერებლად დაწერილ მოთხრობებში ფრინველთა ცხოვრებიდან, ხოლო შემდეგ პატარა მკითხველის ყურადღება გადააქვს სოციალურ ცხოვრებაში ისტორიული ეპიზოდების მიცემით.

<sup>13</sup> ი. გოგებაშვილი, „რჩეული ნაწერები“, ტ. I, 1910 წ., გვ. 132.

ასეთი შეხედულებით აიხსნება ი. გოგებაშვილის შემოქმედებაში მრავალი ისტორიული მოთხრობა: „სამასი თავდადებული გლეხი“, „საშინელი სასჯელი მოღალატისა“, „გლეხი ბოსტაშვილი“, „ცხრა ძმა ხერხეულიძეები“, „თავდადებული ქართველი ეჭიბი“, „ქართველი მეფე გლეხის ქოხში“, „თავდადებული მღვდელი თევდორე“, „თავდადებული აზნაური იოთამ ზედგონიძე“, „სხივი წარსულისა“ და მრავალი სხვა.

ი. გოგებაშვილს, როგორც ტიპიურ თერგდალეულს, თავისი ნოღვაწობის ქვაკუთხედად საქართველოს გაერთიანება და მისი კულტურული აღორძინება-განვითარება მიაჩნია. ის ილია ჭავჭავაძის წეგნებული მიმდევარია და ცდილობს ქართველ მკითხველს, განუჩეკლად წოდებისა, დაანახოს, რომ მამულის სიყვარული გმირად ხდის როგორც თანამედროვეთა თვალში, ისე შთამომავლობისა პატარა კაცებსაც კი, იქნება ეს პიროვნება მაღალი წრიდან თუ გლეხობიდან. ი. გოგებაშვილი უკანასკნელთ უფრო დიდი თანაგრძნობით, აღფრთოვანებით ხატავს.

სამაგიეროდ დიდი აღშფოთებითა და დამაჯერებლობით იძლევა მწერალი თავაშვებულ ფეოდალთა შეუგნებლობას, მათ დამლუპველ როლს ქვეყნის კეთილდღეობის შეფერხებისა და განადგურების საქმეში. ფეოდალთა აწეწილობის საშინელება რომ მკითხველს გამახვილებულად აგრძნობინოს, ი. გოგებაშვილი თავის ისტორიულ მოთხრობებში ხშირად ცალკე თავებად და მახვილი სათაურით გამოჰყოფს მაგალითად, „გ ა ნ ც ა ლ კ ე ვ ე ბ ა შ ო ბ ს უ ძ ლ უ რ ე ბ ა ს“ და მახვილსავე ახსნა-განმარტებას აძლევს პატარა მკითხველს: „მტრებს ხელი შეუწყო თავმოყვარეობამ იმ დიდკაცებისამ, რომელთაც სწყუროდათ მეფობა ან მთავრობა ხელში ეგდოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აგრეთვე დაეხმარა მათ ბოროტ განზრახვას წინდაუხედველობა სხვა ქართველებისა. ჩქარა ცალცალკე გაიწიეს: კახეთმა, ქართლმა, იმერეთმა, მესხეთმა ანუ სამცხემ, გურიამ, რაჭამ, სამეგრელომ, სვანეთმა, აფხაზეთმა... ძმობა ქართველთა შორის მოისპო, ერთობა გაქრა, მაგრად შეკრული და გაუტეხელი კონა ეროვნებისა დაიშალა და ადვილად საღეწი გახდა. ამითაც არ გათავდა უბედურება... გახშირდა შინაური შფოთი, ძმებისაგან ძმების სისხლის ღვრა. კახეთის მეფე ებრძოდა ქარაღლისას, ქართლისა — იმერეთისას... და სხვანი. დაუძლურდა ჩვენი ქვეყანა, მაღალი ღობე გარდაიქცა დაბალ ღობედ. მტრებმა იბრიყვეს ჩვენი ქვეყანა. თელვა დაუწყეს. სახელი, წინად ქებული, გატყდა, გათახსირდა“<sup>14</sup>.

<sup>14</sup> ი. გოგებაშვილი, „თავდადებული აზნაური იოთამ ზედგონიძე“.

ი. გოგებაშვილი ისტორიულ მოთხრობებში ქვეყნისათვის თავდადებულის საქმეში ხშირად უპირისპირებს ფეოდალური კლასის წარმომადგენელს, „დიდ“ კაცს — გლეხს და უპირატესობას ყველგან უკანასკნელს აძლევს, ნამდვილ მამულიშვილს უფრო უკანასკნელში ხედავს („გლეხი ბოსტაშვილი“, „სამასი თავდადებული გლეხი“, „თავდადებული მღვდელი თევდორე“ და სხვ.).

როდესაც მწერალმა აღწერა თევდორე მღვდლის თავდადებულობის შედეგად ქართველობის ოთხჯერ მეტ მტერზე საარაკო გამარჯვება, იგი, აღტაცებული თევდორეს გმირული თავგანწირვით, ასე დაასკვნის: „ამ სახელოვან მამულიშვილს რომ თავი არ გამოემეტნა, მეფეც დატყვევებული შეიქნებოდა, ქვეყანაც აოხრებული. თვითონ ეს მღვდელი თავისი ცოლშვილით საუკუნოდ წყეული და შეჩვენებული შეიქნებოდა ყველასაგან და ისეთ სირცხვილში ჩავარდებოდა, რომ სიკვდილი ბევრად სჯობია იმისთანა სიცოცხლესა. ახლა? ახლა კი... მთელს საქართველოში სიხარული დატრიალდა... და ბოლოს ცოლშვილს თავდადებულისას... ქვეყანა პატრონად და მფარველად აღმოუჩნდა და თვითონ თევდორემ მოიპოვა იმისთანა სახელი, რომელიც ქებით, დიდებით და კურთხევით იხსენება ყველა ქართველისაგან, ვიდრე დედამიწის ზურგზედ ჩვენი ერი იცხოვრებს“.

და სწორედ ასეთი რწმენა, რომ ქვეყნისათვის თავდადებულის სახელი დიდებითა და სიყვარულით შეიმოსება თანამედროვეთა და შთამომავლობის ხსოვნაში, ხოლო მხდალის, მოღალატის სახელი და ცხოვრება სიკვდილზე უარესია და წყევლა-კრულვით მოიხსენიება— უნდა ი. გოგებაშვილს შთაიერგოს და განამტკიცოს ნორჩ მკითხველში.

\* \* \*

ი. გოგებაშვილის ამ ჟანრის ნაწარმოებებში ყველაზე მეტად გახმაურდა მოთხრობა „ი ა ვ ნ ა ნ ა მ რ ა ჰ ქ მ ნ ა ?!“ . ამ ნაწარმოების სიუჟეტი მეტად საგულისხმოდ იშლება, მკითხველის ყურადღება ხალისიანად მახვილდება მოულოდნელი სიტუაციებით და ღრმად იღებურობით. მშვენიერი, დახვეწილი, მსუბუქი ქართული ენა იტაცებს მას.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს პატარა ქეთოს ბედნიერი ბავშვობა მშობლების ოჯახში, მისი მოულოდნელი გატაცება და მისი შეთვისება ახალ გარემოსთან, ახალ „მშობლებთან“. მკითხველი მოუთმენლად მოელის, თუ როგორ დამთავრდება მეტად დაჭიმულად დაწყებული ინტრიგა. მკითხველს ცხოვლად აინტერესებს,

როგორ მოიქცევა ქეთოს მამა, შესძლებს თუ ვერა ქეთოს დაბრუნებას. თვით ქეთოს მოტაცება მამის მიერ გადმოცემულია დიდის ინტენსიურობით. საკვირველად იკვანძება მოქმედება ქეთოს მშობლებისადმი დამოკიდებულებით მისი დაბრუნების შემდეგ. მშვენივრადაა გადმოცემული, მშობლები ყველა ზომას როგორ ხმარობენ, რათა ქეთოს გული დაიბრუნონ, აგრძნობინონ მას მშობლიური სიყვარული, როგორმე გააღვიძონ მასში დაფერფლილი გრძნობა. ქეთოს გული მონადირებულა ნაიბისა და მისი ცოლის კეთილი, ჰუმანური მოპყრობით, როდესაც მშობლებმა ყველა ზომა ამოსწურეს და ქეთოს გული მაინც ვერ გამოაბრუნეს, გადაწყვიტეს შვილის სიამოვნებას და ბედნიერებას შესწირონ თავიანთი ერთადერთი ნუგეში, ესოდენ ტანჯვით გამოტარებული, და ნაიბს დაუბრუნონ ქეთო.

აქა მოხდენილად განვითარებული კულმინაცია სიუჟეტის განვითარებისა. მკითხველი მეტად მძაფრად ამახვილებს ყურადღებას, მოუთმენლად მოელის, რით დამთავრდება ეს მდგომარეობა.

ერთ დღეს ქეთოს დედამ მაგდანამ სრულიად უნებლიედ დაიწყო ღიღინი იავნანისა (ეს პირველი შემთხვევა იყო ქეთოს დაკარგვის შემდეგ). მაგდანი ჯერ დაბალი ხმით, ღიღინით ამბობდა, მერე კი თავისი ხმის სიმშვენიერემ გაიტაცა და თავისებურად დაამღერა, მალლა აუწია. „პატარა ხანს უკან, — მოგვითხრობს მწერალი — ისე, უნებლიედ გაიხედა ქეთოსაკენ და გაოცდა. ქეთოს აშკარად ეტყობოდა სახეზე აღელვება. ცხადი იყო, რომ რაღასაც იგონებდა და ვერც კი მოეგონებინა გარკვევით. მის ბუნების სიღრმეში დიდი ხნის დამარხული ხსოვნა იღვიძებდა, მაგრამ ვერც კი გამოეღვიძა. გონების ძირიღვან რაღაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოხეთქას, მაგრამ ზევიდან კეცკეცად აწვინენ სხვა წარმოდგენანი და უშლიდნენ მალლა ამოსვლასა. მაგდანმა ეს კარგად შეამჩნია და თავის ხმას მისცა საოცარი მეტყველება და მიმზიდველობა. უწინ ამგვარი სიმღერით და ამავე ხმით ყოველდღე უტკბობდა მაგდანი თავის ქეთოს სიპატარავის დღეებსა. მაგდანის ხმამ უწია ქეთოს ბუნების სიღრმემდის, შესძრა ის ძირიანად და გააცოცხლა იქ დამარხული ბავშვობის სანატრელი ნაშთნი, საგონებელნი... ქეთო თითქმის სჭამდა თვალთ დედის პირისახესა და მღელვარებით ცდილობდა ამ სახეზედ ამოეკითხა რაღაც დიდი საიდუმლოება. და კიდევ ამოიკითხა. ქეთოს.... განსაზღვრული სხივის ნათელი მოეფინა სახეზედ და სიხარულის სხივმა დაუწყო მასზედ ელვარება. უცებ წამოვარდა ქეთო ტახტიდან, დაიძახა სანატრელის ხმით: „დედა!“ მსწრაფლ მივიდა მაგდანთან, მოეხვია ორივე ხელით და მხურვალედ

დაუწყო კონცა“<sup>15</sup>. ასევე მოიქცა იგი ამ მომენტში ოთახში შემოსული მამისადმი.

ქეთომ დაიწყო თვითგამორკვევა გარემოში. „ერთმა მოგონებამ მეორე გამოიწვია, მეორემ მესამე, მესამემ მეოთხე და ქეთოს სარკესავით გადაეშალა თვალწინ თავისი სიპატარავის დრო... აღმოჩნდა, რომ პირველის წლების შთაბეჭდილებანი კი არ გამქრალიყვნენ ქეთოს გონებაში, თურმე ღრმად ეძინათ, დამარხულნი იყვნენ მისი სახსოვრის სიღრმეში... და ზევიდან მათ ეფარათ მთელის ათის წლის ნანახი და ნაცადი დალესტანში ყოფნის დროისა. ამ ჩასახულებათა დაძვრა და გამოღვიძება შეეძლო მხოლოდ რომელსამე ძლიერსა და ღრმა შთაბეჭდილებას“. ასეთი შთაბეჭდილების მოხდენა „ქეთოს გონებაში შესძლო მხოლოდ სამშობლოს ხმამ, საბავშვო სიმღერა „იანანამ“, რომელიც ქეთოს ყველაზე უფრო ღრმად აჰქონდა ძვალსა და რბილში გამჯდარი“<sup>16</sup>.

ი. გოგებაშვილი ამ მეტად რთული და ღრმა ფსიქოლოგიური განცდის ასეთი გამახვილებულად ჩვენებით გარკვეულად ეუბნებოდა თავის ნორჩ მკითხველებს და მათ მშობლებსაც, რომ ეროვნული კულტურა უნდა შეიქმნას იმ ნიადაგად, რომელზედაც უნდა გამოიშვადეს და განმტკიცდეს ბავშვის სალი ბუნება; სალი ეროვნული კულტურის საფუძველზე ბავშვის აღზრდა უტყუარი საწინდარია ბავშვში გონებისა და ზნეობის სრული ბუნების განმტკიცებისა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინებას.

ი ა ვ ნ ა ნ ა მ (ე. ი. ეროვნულ კულტურაზე აღზრდამ) აპოვინა ქეთოს ნამდვილი კერა, სრული ბედნიერება; მის მშობლებს სალი გრძნობით აღჭურვილი შვილი არ დაუქარგა.

მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო და დამახასიათებელია ი. გოგებაშვილისათვის ის, რომ ეროვნულ კულტურაზე აღზრდა ბავშვს კი არ ჩაკეტავს ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში, კი არ დაუხშობს გზას სიყვარულისა, გავებისა და პატივისცემისას სხვა ერებისადმი, არამედ უფრო შეგნებულს და ღრმას გახდის.

სალი ბუნება ქეთოსი აფასებს როგორც თავისი ღვიძლი მშობლების სიყვარულსა და მზრუნველობას, ისე ნაიბისა და მისი ცოლისას, როგორც მოამაგეთ და აღმზრდელთ, რომელთაც დიდი მზრუნველობა და სიყვარული გამოიჩინეს მისდამი. „სიყვარული ღვიძლი დედ-მამისა და დედობილ-მამობილისა, — მოგვიტხრობს.

<sup>15</sup> ი. გოგებაშვილი, „იანანამ რა ჰქმნა?“

<sup>16</sup> იქვე.

ავტორი, — ერთად შეერთდა ქეთოს გულში. ბოლოს ამას დაემატა ღირსეული ქმრისა და შვილის სიყვარული და ამ სახით ქეთოს გული გახდა დაუშრობელი წყარო კაც-მოყვარეობისა, გაუქრობელი ლამპარი სიყვარულისა ზოყვასისადმი“. „ქეთოს, — განაგრძობს მწერალი — თავისიანად მიაჩნდა ქართველებიც და ლეკებიც, საქართველოც და დაღესტანიც, — და რადგან სიყვარული შობს სიყვარულსა, ამიტომ ქართველები და ლეკები თითქო ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ უფრო მეტ პატივისცემას, მეტს ხატოსა და მეტს სიყვარულს უჩვენებდა ქეთოს“<sup>17</sup>.

ი. გოგებაშვილის „ივენანამ რა ჰქმნა?!“ განსაკუთრებით საგულისხმოა სწორედ ასეთი მიზანდასახულობით — ბავშვს (მოქალაქეს) მოყვასი დანახვოს არა მარტო თავისი ეროვნების ადამიანში, არამედ ფართოდ გასწიოს ეს ზღვარი. ავტორი ხაზგასმით გადმოგვცემს, რომ ქეთოს სიყვარულმა დაახლოვა ქართველები და ლეკები.

ი. გოგებაშვილს, როგორც ერთ-ერთს მეტად თვალსაჩინო მებრძოლს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტზე, ხაზი უნდა გაუსვას, რომ ქართველებსა და მეზობელ ერთა შორის უნდა იყოს ქეთილმეზობლური განწყობილება. ამას იგი ხსენებულ მოთხრობაშიც გარკვეულად მიუთითებს: „ძველის დროიდან დაღესტანსა და საქართველოს შორის ტკიბილი განწყობილება არსებობდა, დიდი მეგობრობა სუფევდა. ყოველს საქართველოს მტერს დაღესტანი მტრობას უწევდა, ყოველს საქართველოს მეგობარს მოყვრულად ეპყრობოდა. არავის არ ახსოვდა, რომ ლეკები როდესმე საქართველოს დასცემოდნენ და ჩხუბი აეტეხნათ ქართველებისათვის“. ქარაგმით თუ გადაკვრით რომ მაინც აჩვენოს მკითხველს საერთო მტერი, ავტორი ასეთს დამატებას ჩაუერთავს: „ლეკები მტრად გაუხდნენ ქართველებს შემდეგში, როდესაც მაჰმადიანობა მიიღეს და საქართველომ მართბადიდებელი რუსეთისაკენ გაიწია. ძველ დროში კი დიდის პატივისცემისა და გულითადის მეგობრობის მეტი ქართველებს ლეკებისაგან არა მოაგონდებათ რა“.

აი ამ გამთიშავ და დამპყრობელ ძალასთან საბრძოლველად და ჰუმანური საზოგადოებრივი მისწრაფებების გამტარებლად ამზადებდა ასეთი დაუღალავი ენერგიით, გატაცებითა და დიადი რწმენით ი. გოგებაშვილი თავის მრავალ მკითხველს, რომელსაც თავისი წრფელი, უშუალო მეტყველებითა და გრძნობებით ატყვევებდა და მიიყოლიებდა.

17 ი. გოგებაშვილი, „ივენანამ რა ჰქმნა?!“. გვ. 6.



ი. გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები ახლაც, საბჭოთა ქვეყნის სინამდვილეში, გამოსადეგი და სასურველია ჩვენი ბავშვებისათვის. ამ მოთხრობებში ბევრია სალი, ღრმა აღმზრდელობითი ელემენტი, როგორც ბუნების მოვლენების შესწავლის, სოციალური ურთიერთობის გამომუშავების თვალსაზრისით, ისე ბევრ შემთხვევაში მათი მხატვრულად გაფორმების მხრითაც.

დაუღალავი გატაცებით იღეურმა მუშაობამ ი. გოგებაშვილის სახელი ქართველი ხალხის ისტორიაში შეიტანა, დიდებისა და გულწრფელი პატივისცემის შარავანდელით შემოსა და მისი სახე ქართველი ხალხის კულტურული განვითარების გრეხილს მჭიდროდ ჩააქსოვა.

ამით აიხსნება, რომ ი. გოგებაშვილს განთავისუფლებული, ახალი ცხოვრების მშენებლობაში ჩაბნული მშრომელი მასები დიდის პატივისცემითა და სიამაყით იგონებენ. როგორც თავის დიდ მოამბესა და ნათლად მოაზროვნე აღმზრდელს.

დღესაც ისეთივე სიძლიერით გაისმის ი. გოგებაშვილზე მისი თანამოკალმის შ ი ო მ ღ ვ ი მ ე ლ ი ს მიერ ლექსად თქმული:

ცამ დაჰკრა, მეხმა დასქეჟა,  
შეირყა მთა და ბარია...  
რა ამბავია, რა მოხდა,  
განა ვინა გვეყავს მკვდარია?  
იაკობ გოგებაშვილი?!  
ვ ი ნ ც ა მ ა ს ფ ი ქ რ ო ბ ს, მ კ დ ა რ ი ა...

## გიორგი წერეთელი

(1842—1900)

გიორგი წერეთელი თავისი მსოფლმხედველობის, პოეტური შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულების მიხედვით 60-იანი წლების, ე. ი. თერგდალეულების გუნდს მიეკუთვნება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მას, შედარებით თერგდალეულთა დამახასიათებელ წარმომადგენლებთან, რომელთა შესახებ ჩვენ ზევით გვქონდა საუბარი, ბევრი თავისებურება ახასიათებს.

გ. წერეთლის მამა, ექვთიმე წერეთელი შეძლებულ აზნაურად ითვლებოდა. ახალი ცხოვრებით, კაპიტალიზმის განვითარებით შევიწროებული თავადაზნაურობა გრძნობდა ნიადაგმორღვეულობას, შეშინებული და შერყეული ეძებდა ცხოვრების შენარჩუნების საშუალებას. სწავლა-განათლება, როგორც ერთ-ერთი იარაღი ახალ ცხოვრებაში გზის გაკაფვისა, თავადაზნაურობასაც ძალაუვნებურად იზიდავს.

ექვთიმე წერეთელიც სხვებსავეთ შვილს ჯერ ქუთაისში წაიყვანს სასწავლებლად. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გ. წერეთელი სხვა ამხანაგებთან ერთად (ნ. ნიკოლაძე, დ. აბდუშელიშვილი და სხვ.) 1861 წლის გაზაფხულზე სწავლის გასაგრძელებლად რუსეთს, ქ. პეტერბურგს (ახლანდელ ლენინგრადს) გაემგზავრება. იქ იმავე წლის შემოდგომაზე შედის უნივერსიტეტში.

თერგდალეულების მოგონებიდან, განსაკუთრებით ნ. ნიკოლაძის მოგონებიდან 60-იანი წლების შესახებ, აგრეთვე, თვით გ. წერეთლის შემოქმედებიდანაც ჩანს („მოგზაურის წერილები“), რომ გ. წერეთელი პეტერბურგში ჩასვლისთანავე მაშინდელი მოწინავე სტუდენტების საქმიანობითა და მოწინავე საზოგადოების აზროვნე-

ბით დაინტერესებულა, რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობის საქმიანობაში უშუალოდ ჩაბმულა. ცნობილია, მასაც სხვა ახალგაზრდებთან ერთად ჭერ კიდევ 1861 წლის სტუდენტობის მოძრაობაში მონაწილეობა მიუღია, რისთვისაც სხვებთან ერთად დატუსაღებულაც ყოფილა<sup>1</sup>.

სწავლის 'შევსების მიზნით გ. წერეთელი გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში და იქ ბუნებისმეტყველებისა და სოციოლოგიის დარგებში ისმენდა ლექციებს.

სამწერლო ასპარეზზე გ. წერეთელი გამოვიდა სტუდენტობის დროიდანვე. 1862 წელს თერგდალეულის ფსევდონიმით იგი პეტერბურგიდან უგზავნის ჟურნალ „ცისკარს“ წერილს, რომელშიაც ენერგიულად ასაბუთებს ახალი დასის — თერგდალეულების პოზიციის სიმართლესა და აუცილებლობას. ამ წლიდან გ. წერეთლის პუბლიცისტური და სამწერლო ნიჭი თანდათან იშლება და ჩვენი დუხჭირი ცხოვრების მტკივნეული საკითხების გადაჭრავანწმენდას დაუღალავად ემსახურება.

გ. წერეთელი თანამშრომლობდა 1862 წლის ჟურნალ „ცისკარში“, შემდეგ მოღვაწეობს ახალთაობასთან — თერგდალეულებთან ერთად ჟურნ. „საქართველოს მოამბეში“. 1866 წ. რედაქტორობს გაზეთ „დროებას“, რომელიც 1869 წლიდან ს. მესხს გადასცა, ხოლო თვითონ ნიკო ნიკოლაძესთან ერთად 1871 წლიდან ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „კრებულს“ და „სასოფლო გაზეთს“. გ. წერეთელი თანამშრომლობდა აგრეთვე რუსულ გაზეთებში: „Свѣтъ“-სა და „Нѣвое обозрѣние“-ში. 1890 წლიდან თავის მეუღლესთან, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან ერთად ბელმძღვანელობდა საბავშვო ჟურნალ „ჭეჭილს“, ხოლო 1893 წლიდან დაიწყო კვირეული ჟურნალის „კვალის“ გამოცემა-რედაქტორობა.

ჩამოთვლილ ჟურნალ-გაზეთებში გ. წერეთლის მოღვაწეობა საკმარისად მრავალფეროვანი იყო. გ. წერეთელი თვალსაჩინო მოღვაწე იყო არა მარტო მხატვრული შემოქმედებით, არამედ აგრეთვე პუბლიცისტური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული ღასიათის წერილებით. ყველა ამ წერილს და მხატვრულ შემოქმედებას რეალისტური მიმართულების ბეჭედი აზის, ან, როგორც თვითონ გ. წერეთელი ამბობს, მის შემოქმედებაში განმტკიცებულია

---

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, მოგონებანი 60-იან წლებზე. არსებობს აგრეთვე 1861 წ. დემონსტრაციაში მონაწილე სტუდენტთა სატუსალოში გადაღებული ფოტოგრაფიული სურათი.

„ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რელიზი“. აი როგორ ამოცანას უსაბავს გ. წერეთელი მწერალს და მის შემოქმედებას: „მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლების კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ის არის საზოგადოების ტანჯვისა და შვების თანამგრძნობელი. რაში მდგომარეობს მისი ღვაწლი საზოგადოების წინაშე? — აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულევიანების შესახებ, უჩვენოს იმგვარი საშუალებები, რომლებიც მისი ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკლულევიანების მოსასპობად“. ცხადია, გ. წერეთელი როგორც 60-იანი წლების წარმომადგენელი, მწერალში უმთავრესად ხედავს მოქალაქეს, პოეტურ შემოქმედებაში — მოქალაქეობრივი მოტივების გაშლას. „მწერალი, — როგორც გ. წერეთელი ამბობს, — უფრო უნდა იყოს საზოგადოების შვილი“. ეს სიტყვები იმასვე ამბობს, რასაც 60-იან წლებში ამბობდა ილია ჭავჭავაძე:

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტკიცე გული.

ან აკაკი წერეთელი, რომელსაც ჩონგური (პოეტური ნიჟი) ისეთი სიმღერის გამოსახატავად უნდა:

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით  
თვალს ცრემლები ეშრობოდეს,  
და მჩაგვრელს—კი გულში ძგერით  
ისარივით ესობოდეს.

გ. წერეთელი ზემოთ დასახელებულ წერილში გარკვეულად ამჟღავნებს თავის შეხედულებას ხელოვნებაზე და მხატვრულ შემოქმედებაზე. ის ამბობს: „მავნებელია ლიტერატურა და პოეზია, როდესაც ის არა მსახურებს ხალხის ცხოვრებას, ატარებს დროებას ფუჭ დეკლამაციაში; როდესაც გადაღებაში, ნამეტურ ამგვარ განათლების მხარეების, როგორც არის პოეზია და ლიტერატურა, მისი გადმომღები ხელმძღვანელობს ერთ გარეგან ბრკიალა სახით და ვერ სცნობს მის მართალს მნიშვნელობას, მის შინაგანს აზრს, ურომლისოდაც ავიტ ელვარე ფორმა ფუჭია და მავნებელი“.

ხსენებული სტატიიდან მოტანილი ადგილები აშკარად გვეუბნება, რომ გ. წერეთელი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას საკმარისად მძლავრადაა გაუღენთილი იმ მისწრაფებებით, რომლებიც რუსეთის 60-იანი წლების საზოგადოებრივ აზროვნებას ავსებდა.

გ. წერეთელი პირველი წერილებიდანვე ამჟღავნებს უტილიტარულ შეხედულებას პოეზიისა და საერთოდ ხელოვნების მიმართ. 1863 წლიდან „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელია მიერ რეალისტური მიმართულების განმტკიცების საქმეში გ. წერეთელი ერთი უკიდურესთაგანი იყო. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გ. წერეთელმა მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, როგორც პუბლიცისტური წერილებით, ისე პოეტური შემოქმედებით არ უღალატა თავისი მოღვაწეობის დასაწყისში წამოყენებულ დებულებას: მწერალი „არის საზოგადოების ტანჯვისა და შვების თანამგრძობელი“, მან უნდა „აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ნაკლულევალების შესახებ“. მთელი 40 წლის მანძილზე გ. წერეთელი, როგორც საზოგადოებრივი ვალდებულებით გამსჭვალული გუშაგი, ფხიზლად დასტრიალებდა ქართველი ხალხის ცხოვრებას, აკვირდებოდა მას, ცდილობდა მისი მიმართულების ნამდვილი გეზი გამოეცნო და საზოგადოებისათვის დროზე შეუპოვრად მიეთითებინა.

\* \* \*

60-იანი წლები, გ. წერეთლის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდი, როგორც ზევით თავის ადგილზე დავინახეთ, საქართველოს ცხოვრების სინამდვილეში მეტად საგულისხმო ხანაა.

60-იან წლებში, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას უღინთავს, ერთი მხრით, კაპიტალიზმის განვითარების გზებისა და საშუალებათა, მეორე მხრით, ბატონისა და ყმის ურთიერთობის მოწესრიგებისა და გლეხის საკითხების გარკვევის სურვილი; ერთი მხრით, ამოქმედებული კაპიტალი, რომელიც ეძებს განვითარების საშუალებებს, მეორე მხრით, ბატონყმობის გადავარდნა, გლეხკაცის განთავისუფლება. მაგრამ ეს განთავისუფლება მოჩვენებითია. 1861 წელს 19 თებერვლის აქტის შედეგად განთავისუფლებული გლეხი ისევ შვეიწროვებული, გაძვალტყავებული, მოტყუებული და ამ ნიადაგზე ბოლმიანი დარჩა. ეს ბოლმა გამოფხიზლებულ გლეხკაცში ვეღარ რჩება შეუმჩნეველი, გამოუმჟღავნებელი. გლეხკაცობაში უკმაყოფილება არსებულით და სურვილი უკეთესი ცხოვრებისა თანდათან ძლიერდება. ბატონყმობის „გადავარდნის“ შემდეგ პრივილეგიური კლასი უფრო მძიმე პირობებში

ჩავარდა. ნიადაგამოცლილი თავდაზნაურობა ამ ისტორიული აქტის გამოცხადებით თავზარდაცემული და შეშინებული სრულიად იბნევა. ყმების ჩამორთმევის შემდეგ ის ჰგავდა კაცს, რომელიც ატეხილ ზღვაში დანჯღრეული ნავით ლამობს ნაპირზე გამოცურდეს, მაგრამ არც ცურვისა და არც ნავის მოხმარებისა არაფერია გაეგება.

თავდაზნაურობის ამ თავზარდაცემულმა არმიამ ხსენებული ისტორიული აქტის შემდეგ მტკივნეულად განიცადა სიცარიელე. შიშმა, რომ ის მონავალში სრულიად ცარიელზე დარჩება, მას მძიმე ტკივლები განაცდევინა; იგი დაბნეული მომაკვდავის ინსტინქტით ებლაუჭება თავის ძველს პრივილეგიებს, განსაკუთრებით მამულს. მწვავედა გრძნობს თავის უილაჯობას, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში წამყვანის როლს კარგავს.

აი თვით გ. წერეთელი როგორ აფასებს თანადროულ მოქმედს: „გაფუჭებული და ღონეგამოლეული ჩვენი თავდაზნაურობა დარჩა ყოველად უნუგეშო მდგომარეობაში: შრომა იმას არ შეუძლია, სწავლა და მოხერხება არა აქვს. ამის გამო ის თანდათან ღარიბდება, საშუალება ხელიდან ეცლება და თანდათან ჰქრება იმისი სახელწოდებაც. ამ გარემოებაში მოგებული დარჩა ის უმთავრესი ნაწილი ხალხისა, რომელიც ძველთაგანვე გაჭირვებაში და შრომაში იყო გაწაფული, ძველთაგანვე დაბალ წრეში ჩავარდნილი, გონიერი, სამართლიანი, მაგრამ უსამართლოებით დაჩაგრული. ჩვენი მუშა ხალხი, როგორც-კი შეიქნა თავისუფალი, სულიც მალე მოიდგა. ამჟამად მხოლოდ ის შრომობს, ის ივებს, მას გაუღის თავისი ღონისა და გონების ძალა: მომავალიც ამ ჯანით ღონიერს ხალხზე ტრიალებს და იმდენი ბუნებითი კარგი თვისებაცა აქვს, რომ მიუცილებლად ბურთი და მოედანი იმათ დარჩება... ჩვენი თავდაზნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, მისი წინ წამოწევა, — აი ერთი დიდად სანუგეშო ნიშანთაგანი ამ დროებისა“<sup>4</sup>. და სწორედ ეს „სანუგეშო ნიშანია“, რომლის გარშემოც გ. წერეთლის ყურადღება და ინტერესი ტრიალებდა როგორც მის პუბლიცისტურ წერილებში, ისე მხატვრულ შემოქმედებაშიც.

გ. წერეთლის შემოქმედება მთლად საქართველოს ცხოვრების სინამდვილის გარშემოა ამოძრავებული. მისი მხატვრული შემოქმედება ქართულს ლიტერატურაში ამტკიცებს რეალისტურ მიმართულებას. მართებულად არ მიგვაჩნია კიტა აბაშიძის აზრი, როდესაც ის გ. წერეთლის ლიტერატურულ მიმართულებას

4 გ. წერეთელი, ამ დროების მოძრაობა, „კრებული“, 1873 წ., № 3.

აფასებს როგორც რეალიზმის გადაგვარების გამომხატველს და ნატურალიზმის წარმომადგენელს. „გ. წერეთელს, — წერს კიტა აბაშიძე, — წილად ხვდა ჩვენში რეალიზმის გადაგვარების, უფერული ნატურალიზმის წარმომადგენლობა და, უნდა მართალი ვთქვათ, ეს როლი ჩინებულად შეასრულა სწორედ იმიტომ, რომ იგი, როგორც ბელეტრისტი, სუსტი გახლდათ. გ. წერეთელი, თუ გნებავთ, იდეალური ნიმუშია ნატურალიზმის თეორიის საუკეთესო განხორციელებისა და სწორედ იმიტომ, რომ გ. წერეთელს, როგორც მწერალს, ხელოვანს ერთობ მდარე ინდივიდუალობა აქვს“<sup>5</sup>. ცოტა ქვევით კიტა აბაშიძე გ. წერეთლის შემოქმედების დახასიათებას განაგრძობს და დაბეჭდვით აღნიშნავს შემდეგს: გ. წერეთელს „თავის დღეში ვერ შესძლებია უბრალო მოვლენათა შორის დამარბული სიმშვენიერის ობოლი მარგალიტი გამოეჩინა; ვერ შესძლებია ვერც ის, რომ ბუნების მოვლენის სიღრმეში ჩაეხედა, კაცის გულისა და სულის ძირამდის ჩასწდომოდა, და იქ იმ სიღრმეში გადაედუღებია თავისი „მე“! ასეთი ვაგება გ. წერეთლის ლიტერატურული შემოქმედებისა და მიმართულებისა არ არის მართებული.

უდავო არ უნდა იყოს ის, რომ ყოველ ლიტერატურულ მიმართულებას, გეზს და ხასიათს საბოლოო ანგარიშით აძლევს ის ისტორიული ცხოვრება, რომლიდანაც მწერლის ფსიქოლოგია საბოლოო ანგარიშით გამომდინარეობს.

ნატურალიზმი ლიტერატურის განვითარებაში, დიდაც, ერთგვარი გადაგვარების გამომხატველი იყო რეალიზმისა. ბურჟუაზიამ, რომელმაც თავისი თანდათანობითი განვითარება-გაძლიერების პროცესში მთელი XIX საუკუნის მანძილზე შექქმნა და გააბატონა რეალიზმი როგორც ხელოვნებაში, ისე მეცნიერებაში, XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის თავისი ზრდა დაასრულა. ხელთ იგდო ის იარაღი, საშუალება (ფული და ამით მოპოვებული საწარმოო იარაღები), რომლითაც შეეძლო ცხოვრებაში ბატონობა. ამ საშუალების ხელში ჩაგდებათ ბურჟუაზიამ იგრძნო, რომ ის ცხოვრების მმართველია, ბატონია. რომ ის ყველაფრის შემძლებელია, რაც გ. ერისთავის კარაპეტამაც-კი აშკარად იგრძნო ფულის დაგროვების შემდეგ. მოვიგონოთ კარაპეტას სიტყვები: „ახლა თქვენა თქვით, თუ ცალი ვინმე მყავს! რა გინდათ რომ ვქნა? როგორ გინდათ ვქნა? თუ თეატრისთვის... რკინის ქანაპირთე, ტო იესტ ელეზნუ დოროგუ, დენლი ვსე მოჟნა. გინდა მე ხვალვე გავხდე პუჩოტნი ღრაედანინი, ბლულოროდნიც გავხდები, დვა რახა ბლულოროდნი-

ცა... ბაზარში თავი არ მიკვრენ, ასე მიყურებენ, ამბობენ, თუ საწყალი კარაპეტ, ის-კი არა თუ კარაპეტა მეფეა. მეფე არა ვარ?.. აბა ვის უდგას ამისთანა ოქროს ტახტი? მეფე ვარ რაღა! გაგიგონიათ ოპყალი ჯადო რომ იყო, ისე ვიქ: სოფელი თავდაყირა უზამ<sup>6</sup>.

სანამდე ევროპაში ბურჟუაზია ამ ფულის ტრიალში, მასზე დაუფლების პროცესში იყო, ის ვითარდებოდა, იზრდებოდა; ახალ-ახალ ჰორიზონტებსა შლიდა ახალი ცხოვრების შექმნისა და გაბატონებისათვის. მაგრამ, როდესაც მან ყოველი შესაძლებლობა ფულის — კაპიტალის დაგროვებისა ამოწურა (და ეს დაახლოებით XIX საუკუნის 80-იან წლებისათვის შედარდებოდა), ბურჟუაზიამ იგრძნო დადლილობა, მის მოღვაწეობას უპერსპექტივობა დაეტყო. იგრძნო ერთგვარი ჩიხი, გარკვეულად შეამჩნია, რომ ის თავის მოღვაწეობაში მეორდება. იგრძნო ნიადაგის დასუსტება, უძლურება წინმსვლელობაში და შეშინებულის ფსიქიკით დაებლაუქა ამდენი მსხვერპლით შექმნილ თავის ცხოვრებას. წინ რაკი ვეღარ მიდის, ცდილობს სინამდვილეს, როგორც სტატიკურობას, დაებლაუქოს, ქმნის მის ვარაიციებს, რომლებშიც ამჟღავნებს თავის სამყაროს უარყოფით მხარეებს, რათა გამოასწოროს და არსებობის დღე გაიგრძელოს.

მაშასადამე, ნატურალიზმი ლიტერატურაში გამოხატავს კლასის შემოქმედებითი ძალების ამოწურვას, მის უპერსპექტივობას. იძლევა ცხოვრების სინამდვილის დეტალურ სურათს სტატიკურობაში.

ასეთია განა ხასიათი და მიმართულება გ. წერეთლის შემოქმედებისა? ვფიქრობთ, რომ არა. ნატურალიზმის სოციალური სათავე ბურჟუაზიის გადაგვარების დასაწყისშია. გ. წერეთლის შემოქმედება-კი იშლება საქართველოში ბურჟუაზიის მოქმედების დასაწყისში. მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში ნატურალიზმი უპერსპექტივობით ხასიათდება, ცხოვრებას ბურჟუაზიული ვითარების სტატიკურობაში გვაძლევს, გ. წერეთლის შემოქმედება ბურჟუაზიის, ახალი კლასის ცხოვრების სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლისა და სწრაფადვე მასზე გაბატონების სათავეს გვიხატავს. ამას გარდა, გ. წერეთლის შემოქმედებაში ცხოვრება იშლება დინამიკურობაში: ირღვევა, ნადგურდება ძველი ფეოდალური მეურნეობა, ძველი ყოფა, ისპობიან ბაკურიძეები, თავფქვილაძეები და სხვანი. მათ სცვლის ახალფეხადგმული ბურჟუაზია — ვაჭარი; ცხოვრებას ხელთ იგდებენ ფულავები, კვესაძეები და სხვანი. გ. წერეთლის შემოქმედება ამ უკანასკნელთა ცხოვრების პერსპექტი-

6 გ. ერისთავი, ძუნწი, გვ. 255.



ვების გაშლას ცდილობს. მოწოლილ ახალ ცხოვრებას ჩაჰკირკიტებს და მისი გზის გამოცნობას ლამობს. ამიტომ, ჩვენი შეხედულებით, გ. წერეთელი რეალისტი და არა ნატურალისტი. შესაძლებელია გ. წერეთლის შემოქმედებითი უნარი და პოტენცია, შედარებით ზოგიერთ მის თანამედროვე მწერალთან, ნაკლებია (თუმცა არც ისე, როგორც ეს კიტა აბაშიძეს ჰგონია), მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც ვერ გადაიყვანს მწერალს სხვა ფსიქოლოგიურ სფეროში. ის გარემოება, რომ გ. წერეთელს არ ახასიათებს სათანადო უნარი მხატვრულ მხარეს გამუდმებულად მიაქციოს ყურადღება, დახვეწოს ყოველი სახე, ყოველი სურათი, ყოველი თქმა, ყოველი სიტყვა და პუბლიცისტიკაში გადასვლისაგან დაიხსნას თავი, არ არის საბუთი გ. წერეთელი ნატურალიზმის წარმომადგენლად გამოვაცხადოთ.

გ. წერეთელი საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივი ურთიერთობის ცვლილებას მართლაც რომ „შეუფერავი“ გამომხატველია. ის გარემო სოციალურ ცხოვრებას სინამდვილით ხატავს. მართალია, ხშირად ცდილობს ეს გარემო ფოტოგრაფიული სისწორით ასახოს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამასთან ერთად გ. წერეთელი თავის შემოქმედებაში ამ სინამდვილეს მხოლოდ სტატიკაში კი არ გვაძლევს, არამედ დინამიკაში, განვითარებაში. ავტორი ლამობს გაიგოს მისი მოძრაობის გეზი და უტყუარად ასახოს ის თავის შემოქმედებაში.

გ. წერეთლის შემოქმედება „შეუფერავი“ სურათია ძველი საზოგადოებრივი ყოფის რღვევისა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოშობის პროცესისა. გიორგი წერეთლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია შემდეგი მანერა წერისა: ის ისტორიულ-სოციალურ მოვლენას იღებს ისე, როგორც ეს უკანასკნელი სინამდვილეში იშლება, როგორც კონკრეტულ ფაქტს, და ცდილობს ის დაინახოს და ასახოს საერთო ეპოქის ვითარების გაგების ასპექტში.

\* \* \*

ძირითადი ფონი გ. წერეთლის შემოქმედებისა ძველი ფეოდალური საქართველოს რღვევა და მის ნანგრევებზე ფეხმოკიდებული კაპიტალიზმის საფუძველზე გაშლილი ახალი სოციალური დაჯგუფებანი და მათი ურთიერთობაა. ამის მიხედვით გ. წერეთლის შემოქმედების მხატვრული ტილო მის თანამედროვე მწერლებთან შედარებით სხვაა, უდავოდ, ფართოა, მრავალფეროვანი ცხოველი ინტერესის აღმძვრელი. გ. წერეთლის მხატვრული აპერცუპცია არ შემდგარა ერთს რომელიმე კუთხეზე, ან ერთს რომელიმე სოცია-

ლურ ჯგუფზე. ის გამახვილებულად ხედავს როგორც პროვინციაში, ისე ცენტრში, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, დარღვეულ დიდ ფეოდალთა ყოფას, თავადაზნაურთა შორის შინაგან დაჯგუფებას (მსხვილი, შეძლებული და წვრილი), კუდაბზიკა-აზნაურობას, დაჩაგრულ-დაწიოკებულ გლეხკაცობას, ახლადფეხადგმულ ვაჭარს, ახალ თაობას, მის დიფერენციაციას და სხვა. თემატურად გ. წერეთლის შემოქმედება მეტად მდიდარია, გმირთა გალერეის მხრით მრავალფეროვანია. გ. წერეთლის შემოქმედება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების „შეუფერავი“ ფართო სურათია.

ფეოდალური ყოფა და მისი განწირული რღვევა ზედმიწევნით ნაცნობია გ. წერეთლისათვის. და ამიტომ ის ამ თემას მრავალმხრივ შლის თითქმის ყოველ თავის ნაწარმოებში, დაწყებული „ჩვენი ცხოვრების ყვავილით“, გათავებული „გულქანით“.

ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში თითქმის მიღებულია აზრი, რომ „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“ ავტობიოგრაფიულია. ძირითადი ფონი ნაწარმოებისა, — სოფლად მცხოვრები მებატონისა, დიტოს დედ-მამის სახით მოცემული, მართლაც, ადვილი შესაძლებელია ავტობიოგრაფიული იყოს (უფრო-კი გვგონია საერთოდ ტიპიურია ნაშინდელი ქართველი თავადაზნაურობის ცხოვრებისათვის). მაგრამ დიტოში გ. წერეთლის ავტობიოგრაფიული დანახვა როგორღაც გვეძინება. დიტოს სახე ისე მკრთალად და ეპიზოდურად, ისეთი გაურკვეველი, ფსიქოლოგიურად გაუმართლებელი ნახტომებითაა მოცემული, რომ ავტორის „მე“-ს გამომჟღავნებას არ უნდა მოასწავებდეს. ავტობიოგრაფიული დალაგება მეტს სიღრმესა და სისწორეს მოითხოვს.

„ჩვენი ცხოვრების ყვავილში“ მთავარი და საინტერესოა ის ფეოდალური ცხოვრება, რომელიც საჯალაბოთი, სახაბაზოთი და აურაცხავი შინაყმების შტატით ბატონისა და მისი ოჯახის სარჩენად გამუდმებულ ფუსფუსსა და საქმიანობაშია, სადაც ბატონისა და მისი ოჯახის წევრების, განსაკუთრებით ვაჟიშვილის, ყოველი მოთხოვნილება-სურვილი უმალ სრულდება; სადაც ბატონს ყველაფერი მზაა მზარეულად, უშრომლად ეძლევა. აი ეს გარემოებაა, რომ ბატონისა და მის შვილში უნიანობასა და ავზნიანობას ავითარებს. ასეთი ცხოვრების შედეგია დიტო. მაგ., მისი მოპყრობა დედისადმი. დიტომ დაუდგრომლობის გამო ხელი გაიჭრა. დედამ შენიშვნა მისცა მას. ამით განრისხებულმა დიტომ დაუნდობლად ისე მოუქნია დედას დანა, რომ მას „ტანსაცემელი სულ ჩააფლითა; დანის წვერი, ბარძაყში რომ მოხვედროდა მეორე მხრივ თავს ამოყოფდა“. დამახასიათებელია აგრეთვე მისი დამოკიდებულება თონიკესადმი

(მამის მოურავია). თონიკე სისტემატურად ართობს დიტოს, ყოველ თხოვნას უსრულებს. დიტოც თითქოს აფასებს ამას. მეგობრულადაა მასთან განწყობილი. მაგრამ დიტო მასაც არ ინდობს და თავისა უბრალო სიამოვნებისათვის აროზგვინებს.

რა არის მიზეზი ბატონიშვილის ასეთი ავზნიანობისა? — ფეოდალური ყოფა, ბატონყმობის ინსტიტუტის მავნებელი და უადამიანო ტრადიცია და ამაზე შექმნილი აღზრდის სისტემა ბატონიანთ კარზე.

ავტორი თვითონ გვაძლევს ამის პასუხს: „დიტო თუმცა წლოვანებით ჯერ კიდევ პატარა იყო, მაგრამ მამის მერე მაინც პირველი კაცი იყო ოჯახში. ყველაზე უმცროსი დიტო, თავგასულობით ყველაზე უფროსი ბრძანდებოდა. ოჯახში, იმისი უმცირესი სურვილიც არ დარჩებოდა აუსრულებელი. ყველანი იმის ბრძანების მორჩილნი იყვნენ, რადგან ამ ყმაწვილს მამამისით ჰქონდა ძალიან ზურგი გამაგრებული. თუ ვინმე აწყენინებდა რასმე, ან უარს ეტყოდა, დიტო მაშინვე თავის საცრემლე სტვირსა და ქამანჩას მოამზადებდა, ერთს ასეთს შემოსძახებდა: „ვაიმე დედა, მოკვდიო“, რომ ვინც გაიგონებდა, მართლაც, იფიქრებდა, ყმაწვილს სწორედ თავი გადაახეთქესო. ბატონი თუ შინ იქნებოდა, ვაი იმ კაცის ბრალი, ვისაც დიტო გადააბრალებდა თავის შეწუხებას. ბატონი მაშინვე მალალი ხმით გამოიძევდა, ვინ ამიტორა ჩემი დიტოვო, და, თუ დამნაშავე რომელიმე მოსამსახურეთავანი აღმოჩნდებოდა, სულ ქოჩრისაგან გაცლიდა; და თუ თავის სახლობის წევრი ვინმე იქნებოდა, მაშინ ყვირილით და მუქარით იქაურობას აიკლებდა. ამნაირად დიტოს ყველა დამორჩილებული ჰყავდა ოჯახში და, მართლაც, იმისთანა თავგასული ყმაწვილი იმის ხნისა ძნელად თუ სადმე მოიძებნებოდა“<sup>7</sup>.

აი ტიპური აღზრდის სისტემა და ატმოსფერო ბატონიანთ ოჯახისა. აი ის ფეოდალური ბუდე, რომელშიაც იზრდებოდა ბატონი „ყმისა და ჯოგის პატრონი, ყმისა. რომელსაც ჯოგისაგან არ ასხვავებდა“. აი ამ შეხედულებამ გადააქცია ბატონი აღუვსებელ საწყაულად ყოველივე ბილწისა. როგორც დათიკო (ილია ჭავჭავაძისა), იერემია წარბა თავისი ამფსონებით (გ. წერეთლისა). ტარეელ მკლავაძე თავისი ძმაბიძებით (ეგნ. ნინოშვილისა) და სხვებო: ან კიდევ გადააქცია მოძრავ ლეშად, როგორც თ. ლუარსაბ თათქარიძე (ილია ჭავჭავაძისა), ან დაზგა (გ. წერეთლისა) და სხვანი.

კაპიტალიზმის განვითარებით ირღვევა ეკონომიური კეთილდღეობა ამ ბულისა. შემდეგ ბატონყმობის გადავარდნით გამოეცა-

7 გ. წერეთელი, ჩვენი ცხოვრების ყვაილი, გვ. 16—17.

ლა მას ცხოვრების ბურჯი! შერყეული ნიადაგი იგრძნო მომაკვდავმა კლასმა. დაიწყო სიცოცხლის შემნახველი წყაროს ძიება. ეს იყო ფული. ფულის შექმნა-კი იმ პირობებში თავადაზნაურობისათვის შეიძლებოდა მხოლოდ ჩინოვნიკის კარიერის შექმნით. ჩინოვნიკის კარიერა-კი თხოულობდა სწავლას და ამ დარღვეული ფეოდალური კლასის ერთი ნაწილი, რომელსაც კიდევ შერჩენოდა სურვილი სიცოცხლისა და მისი გაგრძელებისა, მიეტანა სწავლას. არც სწავლა შეიძლებოდა უბრძოლველად, ისიც თხოულობდა პირობის შექმნას. მაგრამ პირობის შექმნა ხომ შრომას, მეცადინეობას თხოულობდა, ეს-კი ფეოდალური ბუდის ფუფუნებაში აღზრდილთათვის გაუგებარი, უცხო და დაუძლეველი იყო. მათ ეგონათ საკმარისი იყო შვილი სასწავლებლად გაემეტათ და რომელიმე ქალაქში გაეგზავნათ, რომ მათი მოვალეობა სრულიად მოხდილი ყოფილიყო.

გ. წერეთელი „ჩვენი ცხოვრების ყვავილში“ მეტად საგულისხმო ფურცლებს შლის მაშინდელ ქართველ თავადაზნაურთა შვილების აღზრდისას როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ. გ. წერეთელი, მართლაც, შეუფერავ, ფოტოგრაფიულ სურათს გვაძლევს ამ აღზრდის სისტემის სიმახინჯისას. ცოცხლადაა დახატული დიტოს ბიძის ევერიას პანსიონი ქ-ში, სადაც ევერია მსახურობდა. კლასს დარღვეულობაში ხომ ერთგვარი ზნეობრივი განურჩევლობა ემჩნევა. არა აქვს მტკიცე შემკავებელი და წამყვანი პრინციპები. მიდის ნაკლები წინააღმდეგობის გზით. ვალდებულება, პასუხისმგებლობა სხვის წინაშე რალაც ბუნდოვან კატეგორიადაა მასში. ასეთია დამოკიდებულება ამ ახალგაზრდების მშობლებისა შვილებისადმი და განსაკუთრებით იმათდამი, ვისაც თავიანთ შვილებს მიაბარებდნენ ხოლმე სასწავლებლად და საცხოვრებლად.

ასეთ მდგომარეობაშია დიტოს ბიძა ევერია, ქ-სის პატარა მოხელე. ევერიას მახლობელი და შორეული ნათესავი, როცა-კი შვილის მიცემას სასწავლებელში დააპირებდა, მიუყვანდა შვილს და „შეიმუდარებოდა“: „ჩვენო ხელმწიფევე, ნათესავებისა და მეზობლების გამომაჩინებლო, ეს ერთი შვილი გამომიზარდო“. შემდეგ ყოველი მათგანი, რაკი „დააბინავებდა“ თავის შვილს, თავის გულში ეტყოდა თავის ნათესავ ევერიას, თუნდაც თავი ქვაზედაც გიხლიაო. „მაშ ტყუილად გეძლევა ეგ ჯამაგირი, რომ შვილიც არ გამიზარდო. მაშ რისი ნათესავი ხარ, რომ ეგეც ვერ ამისრულო“<sup>8</sup> — და ეგ იყო აღარც კითხულობდა თავის შვილს. ევერიას უნდა ეზრუნა არა მარტო საკმეღლ-სასემღზე, არამედ ხშირად ტანსაცმელზედაც.

<sup>8</sup> გ. წერეთელი, ჩვენი ცხოვრების ყვავილი, გვ. 23.

ყვერიაც იძულებული იყო თავისებურად ეპატრონა ამ ნათესავისათვის. დამახასიათებელია ის პირობები, რომლებშიც ყვერიასთან ცხოვრობდა ეს ახალგაზრდობა ათი წლიდან 22—25 წლის ასაკამდის. „სამოწაფო სახლს, — აგვიწერს წერეთელი: — ჰქონდა სივრცით ორსაქენ ნახევარი და სივრცით ორი საქენა. ეს სახლი იყო ერთს არშინზე მიწაში ჩადგმული, წნელით შედობილი, კედლები მიწით ჰქონდა გალესილი და მერე კირით იყო გათეთრებული. შიგნით კედლებს ჩამოუყვებოდა ტახტი და ორი საქენის სივრცეზე ათს ყმაწვილს ჰქონდა საწოლი. იმათ ეგოთ საერთო ხალიჩა და ზედ ერთი მეორეზე მიეყრებოდნენ ხოლმე გოჭებივით. ამნაირი წოლა ზამთარში გამოსადეგიც იყო, რადგან ფაცხის კედლები ზამთრის ყინვებს ვერ იმაგრებდნენ. რაც უნდა მშრალი ამინდი ყოფილიყო, ფაცხის იატაკი მაინც არ გაშრებოდა, თუ წვიმა მოვიდოდა, მაშინ იატაკზე წყაროები დაიწყებდნენ დენას... ეს მოწაფეების ოთახი ყვერიას სასტუმროდაც ჰქონდა გაკეთებული. თუ ვინმე სოფლიდან ჩამოვიდოდა, მაშინვე მოწაფეებთან აღუჩენდა ბინას. გაზაფხულზე ყმაწვილების ფაცხაში ძნელი გასაპირი იყო. ორჯელ რომ ვინმე დაწოლილიყო იქ, უეჭველად ცხელებით ავად გახდებოდა... შესანიშნავი ეს იყო, რომ უფრო სტუმარს ეცემოდა ხოლმე ეს ავადმყოფობა: ან იქვე სტუმრობაშივე ეწვეოდა და ან შინ რომ წავიდოდა, იქ დაემართებოდა. თვით მოწაფეები-კი ძლიერ იშვიათად ჰხდებოდნენ ავად, თუმცა პირველს მისვლაზე ყველას დასცილდა“<sup>9</sup>, ჩანს მოწაფეები შეეჩვეოდნენ ხოლმე ასეთ პირობებში ცხოვრებას.

არც ჭამა-სმა იყო დიდი და გრძელი. ყმაწვილების ჩვეულებრივი საზრდო იყო ცივი მჭადი, ერთი მათლაფა წაქა, ან ნაღული, ან რძე, ან ყველის ნაჭერი. ხსნილში იშვიათად ჰქონდათ ხორცი და მარხვაში ლობიო. ამ მცირე საკვებზე ყმაწვილები ძალიან გაწვრილებულნი და თვალეზრაცვივნი იყვნენ. ასეთი გარემოება ხშირად, მართლაც, ამ ყმაწვილებს ერთიერთმანეთთან საჩხუბარ საბაბს აძლევდა, მაგრამ ისინი მაინც „ძალიან მეგობრულად“ ცხოვრობდნენ: „ამ პატარა ფაცხის მცხოვრებლები თითქოს ერთ პატარა თემს შეადგენდნენ, რომელთაც ყოველისფერი საერთო ჰქონდათ. ათს ყმაწვილს ჰქონდა ერთი სავარცხელი, ერთი პირსახოცი და თითქმის ტანსაცმელიც საერთო. იმათში იქნება ორს თუ სამს ებადა ორი ხელი ტანსაცმელი, თორემ დანარჩენებს ერთი ხელი რივიანიც არ ეცვათ“<sup>10</sup>.

თუ ამ გარემოებას დავუმატებთ ყვერიას სასტიკ მოპყრობას

<sup>9</sup> გ. წერეთელი, ჩვენი ცხოვრების ყვაილი, გვ. 20, 21, 24.

<sup>10</sup> იქვე.

თავისი პანსიონერებისადმი. გასაგებია, გახდება ის დამალული აღვირაწყვეტილი ქცევა, რომელიც ქვერიას „პანსიონში“ იყო გამეფებული.

გასაკვირველი არ არის, რომ ასეთს შევიწროებულ პირობებში სახლში ფუფუნებით გაავზნებული ბავშვები ვერ იტანდნენ გაჭირვებულ ცხოვრებასა და შრომას, ვერ ეგუებოდნენ წესიერებას და, მორალურად განუმტკიცებლნი, გაჭირვების დროს ადვილად მიდიოდნენ ნაკლები წინააღმდეგობის მიმართულებით. ამიტომ ქვერიას „პანსიონი“ ქურდბატაკების ბუდედ გადაიქცა. „მგლური ხელობა“, „ნადირობა“, „ღარბევა“ — აი ტერმინები, რომლებიც წამდაუქუშ მსიმბოლოურად ისმოდა ამ ახალგაზრდობის პირიდან მათი მოქმედების აღსანიშნავად. ამ ახალგაზრდობის გამრუდებულ გზას ველარ ასწორებდა ვერც ქვერიას დატუქსვა და ველარც მისი „როზგები“. მათი თავაშვებული ყოფაქცევა სასწავლებელსა და ქალაქის ცხოვრებაშიც გადადიოდა.

ამ ახალგაზრდობას, შესაძლებელია ბუნებით ნიჭიერს (ყოველ შემთხვევაში ასე ამბობს გ. წერეთელი), არაფერი არ უწყობდა ხელს, რომ მათი გონება და ზნეობა განმტკიცებულიყო კეთილის გზით.

საშინელ სიმახინჯეს წარმოადგენდა სკოლაც, რომლის მთელი სისტემა ბავშვის აღზრდა-განვითარებას კი არ ემსახურებოდა, არამედ რაც შეიძლება მის ჩქარა გადაგვარებასა და დამახინჯებას. ძველი სკოლის მთელი სისტემა, თავის უზამსი მუნჯური მეთოდებით, ქართული ენის სასტიკი განდევნით, თუ დატუქსვის საშუალებით — „როზგით“ და „კარცერითა“) — ხელს უწყობდა ამ ახალგაზრდობის აჩქარებულ მორალურ რღვევას.

სკოლის ცხოვრების მძიმე პირობები გ. წერეთელს აკაკი წერეთელსაც ერთ („ჩემი თავგადასავალი“) მტკივნეულად განუცდიდა და ამ ცხოვრების სურათსაც ის „შეუფერავ“ ფერებში გვაძლევს: „რამდენჯერ უტირნია საწყალ დიტოს, რომ საქმე გასჭირვებია და მოცემული უცნობი სიტყვები და გაუგებარი აზრები ვერ დაუზეპირებია: „ნეტავი ქვე მაინც მესმოდეს ეს ოხერი. რა ვქნა უაზრო სიტყვების სწავლამ ტვინი წამართო“ — იტყოდა ხოლმე დიტო და მაინც ბრალს თავის უნიჭობას ადებდა... მაშინ, როდესაც დიტო დავითნისა და ქართული ლოცვების სწავლაში მეტად მარჯვე გამოდგა. „სანამდის, — გვეუბნება ავტორი, — (დიტო) „ოტჩენაშს“ თავიდან ბოლომდე რუსულად გაიზეპირებდა, დაისწავლა დავითნის ხუთი კანონი და ლოცვები: „მრწამსი“, „მამაო ჩვენო“, და „ღირს არს“.

ცხადია ავტორის შეხედულება: ამ ახალგაზრდობის გზაზე დაყენება, სწავლება შესაძლებელი იქნებოდა, რომ სკოლა მაინც საღი ბიმართულებისა ყოფილიყო, მაგრამ სკოლა საბოლოოდ ამთავრებდა იმათი ცხოვრების გზის გამრუდებას. ჩვეულებრივ ისინი ყოველად უცოდინარნი და მოუშზადებელნი ისევ სოფელს და თავის უფრო მეტად დარღვეულ კერას უბრუნდებოდნენ, როგორც მოთხრობაში გამოყვანილი ლეეა, რომელმაც ჩინოვნიკობაც ვერ აიტანა და ისევ თავის სახლს მიაშურა.

თავადაზნაურთა შვილები, ბატონყმურ ურთიერთობაზე აღზრდილნი და გაავზნებულნი, სკოლის ასეთი მახინჯი სისტემით მალე ცხოვრების კალაპოტიდან სრულიად ამოვარდებოდნენ ხოლმე და ხშირად ხორცმეტად იქცეოდნენ. გ. წერეთლის მხატვრული აპერეცეცია აქედან გამომდინარეობს. გამახვილებულად ყურადღებას ამ სოციალურ რღვევას აქცევს.

\* \* \*

რას წარმოადგენს გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“ (ანუ „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“)? ეს არის მგზავრის შთაბეჭდილებანი, მიღებული ბატონყმობის გადავარდნის ხანაში მყოფი საქართველოსაგან. ამ ნაწარმოებში ავტორი მოხერხებულად შლის სურათს ქუთაისიდან სვანეთისაკენ და შემდეგ ახალი ცხოვრების პირობებში თბილისის ყოფას. აქ მკითხველის წინაშე გადაშლილია საქართველოს ცხოვრების ყველა სოციალური ფენის „შეუფერავი“ დახასიათება. გზადაგზა გ. წერეთელი ეპიური სიმშვიდით გვაძლევს გაძვალტყავებულ, ფულის მოგებით დაინტერესებულ და მადაგახსნილ გლეხობასაც, რომელიც გაბოროტებულია თავისი უმწეო მდგომარეობით. ვლუხის ასეთს მდგომარეობას ამწვავებს ნატურალური მეურნეობის სწრაფი რღვევა. ბატონსა და ყმას შორის გამწვავებული ურთიერთობა, ჩინოვნიკურ-ბურჟუაზიული მმართველობა. ამიტომ გლეხი სიკეთეს არავისაგან არ მოელის. „სადაც მივედით, — აგვიწერს ავტორი, — იმათ (ე. ი. გლეხობამ. — მ. ზ.) არსად მიგვიკარეს: ჩვენი დანახვა ისე ეზარებოდათ, რომ ღმერთმა ჭირიც ნუ შეაძლოს აპგვარად“<sup>11</sup>.

გლეხების ასეთი შეხედულების მთავარ მიზეზს გ. წერეთელი იქვე გვაძლევს. მგზავრები გადავიდნენ სადადიანოში. დადიანის სახლში, თუ ნასახლარში ვერაფერი ვერ იშოვეს. შეწუხებულებმა, შორს, კორღზე დაინახეს ორი „თავ-გადახდილი ქოხი“ და, როცა

<sup>11</sup> გ. წერეთელი, მგზავრის წიგნები, გვ. 75.

გაიგეს, რომ იქ სოფელია, მგზავრებმა იქითკენ მიაშურეს. „ახლოს რომ მივედით, — ვკითხულობთ წერილებში, — იმისმა სისაწყლემ გული ამიტირა. აი, რა დამიხვდა: უფრო ხშირად თავ-გადახდილი წნელის ქოხები, წაქცეული ღობე, ფერდმომხმარი ძაღლები, რომელთაც ჩემს მისვლაზე ყმული შექნეს და ზეზე კი არ წამოდგნენ, ალბათ სიმშლისაგან წელი ვერ აეთრიათ, ორი-სამი კისერმოხეხილი ღორი ქეციანი გოჭებით, — სულ ესეები ნაღვლიანად გამეხირენ თვალწინ. რომ ვიკითხე, მთელ სოფელში ისეთი კაცია არ მოიძებნებოდა, რომ ცხენი ჰყოლოდა. ბოლოს ერთ დაბღუნძულ და კარგალებულ ქოხს მივაღდექი, შინ ახალგაზრდა ქალი პერანგის ამარა იჯდა და განის ჩაქები იღლიებამდის შეხეული ჰქონდა, ასე რომ გულმკერდი სულ ერთიანად მოტიტვლებული უჩანდა, აკვანში სრულებით ტიტველა ბავშვი ეგდო და არტაშენების მაგიერად ბადლის ჩითის ნაფლეთებით იყო ჩაქრული...

— „კაცი არავინ არის შინ? — ვკითხე ახალგაზრდა ქალს.

„იმან პასუხის მაგივრად თავი ჩაღუნა და მხოლოდ ტიტველა მკერდის დაფარვას აპირებდა პერანგის ნაფლეთებით, მაგრამ ერთ ძუძუს რომ დაიფარებდა, მეორე მაშინვე თავს გამოყოფდა. გამოვტრიალდი და სხვა ქოხს მივაშურე. ეზოში სამი რვა-რვა წლის ქალვაჟი თამაშობდნენ და თავიდან ფეხამდის რაც დედის მუცლიდან არ დაჰყოლოდათ, იმის მეტი არა ებადათ რა ტანზე. სიღარიბე მინახავს, მაგრამ ამისთანა ამბათაც არ გამიგონია“, — სინამდვილის განცდით შეშფოთებული ავტორი მწარედ ამოიძახებს.

აი ცოცხალი, მართლაც. „შეუფერავი“ სურათი გაწრიოკებული და საქონლის მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისა! ავტორმა მკითხველის შთაბეჭდილება უფრო რომ გააძლიეროს, გლეხკაცის ამ მდგომარეობაში ჩამგდები მიზეზები რომ მკითხველს არ გამოჩნეს, იქვე გვიჩვენა სოფლისა და იმ არემარის ამ მდგომარეობამდე მიმყვანი მიზეზები: „ამ დროს უცებ მოვტრიალდი და ქალის ყელში, ცალი მხრით, დადიანის სასახლე და მეორე მხრით, მონასტერი, მდინარის იქით-აქეთ კუთხეში, მთების ძირს, ორ, კუპრივით შავ დევებად მომეჩვენენ, უეცრად თვალწინ წამომიდგა ორი ზღაპრული ვეშაპი, რომელნიც თითქმის ქალის ყელში იმ განზრახვით დაბინავებულაყვნენ, რომ მთელი ეს მიდამო კლანჭებში ჰყოლოდათ გაძაგრული და გაუკითხავად ეღოთ ხარჯი თავის სარჩენად“. ეს ორი ვეშაპი — ბ ა ტ ო ნ ი და ე კ ლ ე ს ი ა, რომელიც ხალხს კისერზე მაჯლაჯუნასავით დასჯდომოდა და მისი ოფლით იკვებებოდა. აქ ავტორი, ცხადია, ამქდავენებს თავის დამოკიდებულებას ბატონყმობისა და საერთოდ ძველი ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ.



გ. წერეთელი ბატონყმობასთან ბრძოლის საკითხში თერგდალეულთა შორის უკიდურეს რადიკალურ მოაზროვნედ მოჩანს.

გლეხკაცებისა და სოფლის მძიმე პირობების დასურათებას ავტორი აძლიერებს გლეხი და თუნაც ნაამბობითაც: „ახლა, ბატონო, — მოუყვება დათუნა კიკოლიკს თავის ბატონის უსამართლობას, — ერთხელ რომ იმან ნაჩანკის იასაული ჩამომიყენა შინ და ცოლშვილი დამიწიოკა; ერთად-ერთი ფერდელა ღორი მყვანდა, ის იყო ჩემი შობის სიმდიდრე. ვასუქებდი, თავს ვეველებოდი და ის დამიკლა... ის დაკლა ჭირმა... შობის ხსნილში მე და ჩემს ცოლშვილს ხორცი თვალთ არ გვინახავს... დეიქვეს, დეიწვეს, დეიღუპოს ის ღრო, ბატონყმობა რომ გაჩნდა ჩვენში მეტი“<sup>12</sup>.

გლეხკაცი დამონებულთა, რადგანაც მას ყველა უჩაჩქუნებს თავში! გლეხკაცის ასეთ მდგომარეობას ავტორი მშვენივრად გვიხატავს დათუნას პირით. დათუნას ნალაპარაკევის შემდეგ კიკოლიკი, თუმცა ბატონყმობას ძალიან კიცხავს, მაგრამ გლეხებს მაინც ურჩევს „ჩუმი იყვენ, და ბატონს თავი შეაწყალონ“. მწარე სინამდვილის მნახველი დათუნაც კიკოლიკს თითქოს ეთანხმება, რომ ეს ასე სჯობია, თუმცა იქვე უმატებს: „მართალი მოგახსენოთ, ჩვენ, გლეხებს, ამისთანაში დარჩებაც არ გვინდა, ბატონების მძლავრობით კურდღელივით ვართ დაშინებული... მარა გლეხკაცს მაინც ბედი არა ჰქონია და არც ექნება. მგონი სულ ტყუილია, ამ თავისუფლებას რომ იძახიან, ჩვენ მიდღემჩი არა გვეშველება-რა. თვალს და ყურს ატყუებენ, სულ ოინობაა, ბატონო“<sup>13</sup>. ეს უნდობლობა, ამჟამად, გამოწვეულია გლეხის ცხოვრების მძიმე პირობებით. და ავტორიც უდავოდ გლეხის მდგომარეობის ჭირისუფალია. ბატონყმობისა და მისი ძალაუფლების სასტიკი წინააღმდეგია.

საინტერესოა გლახათუბნელის ურწმუნო განწყობილება:

„ჯერ ქვეყანა ისთე არ მონათლულა, რომ ბატონყმობა მასთე ადვილად გადავარდეს. თუ კაი თავისუფლება იყოს, მაგისთანა კაცებიც არ დაიწყებენ იმაზე ლაპარაკს, ჩიკოლიკი არა ბრძანდებოდა მაგი, რომ ამისთანა წუმში ძალათეი წამოგვათრია?“

არა, ის თავისუფლება ისევე მაგენის სასარგებლო იქნება“<sup>14</sup>.

ეს ნართლაც ასე მოხდა. გადავარდა ბატონყმობა, მაგრამ რეფორმა მეტად კუდმოკვეცილი აღმოჩნდა. რეფორმამ გლეხკაცობა მაინც ვერ გამოიყვანა აუტანელი შევიწროებული მდგომარეობიდან. გაძვალტყავებული გლეხკაცობა მაინც დარჩა ექსპლოატაციის

<sup>12</sup> გ. წერეთელი, მგზავრის წიგნები, გვ. 81.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 44.

საგნად მებატონის, ვაჰრის, სახელმწიფოს ხელში, ხშირად-კი სამი-ვესი ერთად.

გ. წერეთლის მხატვრული აპერცეპცია აქეთკენ იხედება, ამას გამახვილებულად ამჩნევს და ასახავს სინამდვილის ფერადების დაცვით, თანაგრძნობისა და სიყვარულის ჩაქსოვით.

გლუხკაცთა შევიწროებულ მდგომარეობას, განსაკუთრებით კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე სოფლისა და თავადაზნაურობის დარღვევის პროცესში, გ. წერეთელი გვაძლევს თავის სხვა ნაწარმოებებშიც: „რუხი მგელი“, „ამამიდა ასმათი“, „გულქან“, „პირველი ნაბიჯი“.

მძლავრადაა მოცემული მებატონე რევაზ ბაკურიძის თვითნებობა თავის ყმებზე. საგრძნობლად შემადრწუნებელ ფორმეზშია გადაშლილი ის ძალმომრეობა, რომელსაც თავადი ბაკურიძე იჩენს შინაყმებზე — დათიასა და შემდეგ იმის შვილ პეტრიელაზე. და ეს ძალმომრეობა ხომ ტიპიურია ბაკურიძეებისათვის.

რევაზ ბაკურიძეს არ შეუძლია შეურიგდეს, რომ გლუხკაცმა არ შეასრულოს ის, რასაც მას ბატონი უბრძანებს. მასში რისხვას იწვევს ის გარემოება, რომ პეტრიელა არ ასრულებს მის ბრძანებას — ხაბაზობა გასწიოს. პეტრიელას პასუხი: „რაც არ მმართებს, იმის გაკეთება არ შემიძლია“-ო, რევაზს გაუგონარ უმადურებად და უტიფრობად მიაჩნია. ოცი წლის ვაჟკაცს პეტრიელას დაუნდობლად გაამათრახებს და უბრძანებს მოუტრავს შიუკელას პეტრიელა ხულაში ჩაამწყვდიოს, „ნურც აჰმევს, ნურც ასმევს, სანამდის არ გააკეთოს, რასაც დასაქმებს“.

ბაკურიძის მოუტრავმა შიუკელამ ხელი შეუწყო პეტრიელას ხულადან გაქცევას. თ. რევაზი ვერ შერიგებია პეტრიელას ასეთ ურჩობას. ცდილობს მის განადგურებას. როცა დიამბევს თბილისიდან მოწერილობა მოუვა პეტრიელა გაჩხრიკოს და თბილისიელ სოვდა-გარ-ბატონის სახლიდან წაღებული ვერცხლის ნივთები ჩამოართკას, რევაზ ბაკურიძე ცდილობს, რაც შეიძლება სასტიკად დაასჯევინოს პეტრიელა. კვესაურის ოჯახზე მალულად აპირებს თავდასხმას, მაგრამ შიუკელა ბატონს გასცემს, პეტრიელას შეატყობინებს. აი როგორ აგვიწერს ავტორი კვესაურიანთ ოჯახის განცდას: „პეტრიელა დაღვრემილი სახით სახლში ალაგებდა თავის ტანისაჟიოსს, ეტყობოდა, რომ იმას საამსოფლოდ აღარ ჰქონდა პირი, სადღაც შორს წასვლას ეშაღებოდა...“

— „ვაი, ჩემი უბედური თავი. ამას რას შოველოდი, რომ სიბერის დროს ასე გამიძალღებოდა სიცოცხლე. დედავ, დედავ, ეს რა მოგვივიდა. ღმერთო, შენ მოკითხე ჩვენს ასე ამწიოკებელს. ის დღე

დაიქცა, როცა ბატონყმობა გაჩნდა ქვეყანაზე! უიმე, უიმე, აჰას რას მოვესწარი!

„გოგუცას (პეტრიელას უმცროს დას) თუმცა ბევრი არა ესმოდა რა, რაც ხდებოდა ოჯახში, მაგრამ ეს-კი იცოდა, რომ რაღაც უბედურება ელოდათ და ისიც დედის მწუხარებას აყვა და დაიწყო საცოდავით ტირილი... პეტრიელამ ვერ გაუძლო დედის და დის საცოდაობას, თანაც გრძნობდა, რაც უნდა დამართნოდა ონერტივლად დაგდებულ დედას. საწყალი დედა და და უნდა დაეგდო უმწეოთ შეუბრალებელის, ვეშაპის კლანჭებში. ამიერიდან მათი პატრონი ღვთის მეტი კაცი არ იქნებოდა. მაგრამ ღმერთი შორს იყო, ან განა ცოტა იყო ასეთი უსამართლობა, რომ ღმერთი ითმენდა და თავის მოწყალე თვალს არიდებდა. იმან ველარ მოითმინა, გული აუჩუყდა და თვალცრემლიანი მივარდა გოგუცას. ჩაიკრა გულში და მხურვალე ცრემლი დაადინა შუბლზე. დედამ წუწუნნი ღრიალით შექნა, ამოიყარა მათი გამზრდელი ძუძუები, გაეშურა, ორთავეს გადაეხვია და მათ ცრემლებს თავის ცრემლები შეუერთა. ამით ასეთი ყოფნა მტერსაც დააღონებდა. ერთხანს ასე ჟივილ-ტირილში იყვნენ, ბოლოს მაინც პეტრიელამ დაუწყო დედას და დას ნუგეშის ცემა“<sup>15</sup>. აი, მართლაც, ცხოვრებიდან აღებული სინამდვილე და „შეუფერავად“ მოცემული ნაწარმოებში! ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება ბატონყმობისადმი და ფეოდალური უფლებებისადმი მკითხველში შეურიგებლობისა და სიძულვილის ცხოველ გამოძახილს იწვევს.

„გ უ ლ ქ ა ნ შ ი“ გ. წერეთელი გვაძლევს ფეოდალური ურთიერთობის რღვევის სურათს ბატონყმობის გადავარდნის უშუალოდ წინა და შემდეგ პერიოდში. ცოცხალი სურათია მოცემული ბატონყმობის მონური უღლის დანგრევის მოლოდინში თუ როგორი სიძულვილი, უნდობლობა, მოტყუება, ფლიდობა, საერთო უმოქმედობა ისადაგურებს. თვით „ერთგული“ მოურავი შ ი უ კ ა ც-კი აღარ რჩება ბატონის ერთგულად. თვით ბატონიც უკვე სავესებით დაცლილია შინაარსეულად.

\* \* \*

კაპიტალიზმის მძლავრმა განვითარებამ დაანგრია ფეოდალური ყოფის ციხე-სიმაგრე — ბატონყმობა. განთავისუფლდა აუარებელი მუშახელი. ამან უფრო ააჩქარა ტემპი ქვეყნის კაპიტალიზაციისა. 70-80-იან წლებში ცნობილია ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების

<sup>15</sup> გ. წერეთელი, გულქან, გვ. 148—150.

შედარებით აჩქარებული გზა. ამასთან დაკავშირებით უფრო სწრაფი ტემპით ირღვევა სოფლის მემამულის მეურნეობა. ისედაც დაშლილი თავადაზნაურთა კლასი კატასტროფული სისწრაფით კნინდება. ეკონომიური ნიადაგის მძლავრმა შერყევამ თავადაზნაურობა რაღაც შეზინებულ, ხვალინდელი დღის საშიშროების პანიკურად განმცდელ და გამომხატველ ცხოველად გადააქცია. იწყება სოფლის პროლეტარიზაცია. იქმნება წვრილფეხა დამშეული აზნაურობა; მცირეოდენი მამულის შენარჩუნების ან ხელში ჩაგდების სურვილი, თუნდაც სრულიად უკანონოდ, მათ შორის ჰქმნის დაუძინებელ მტრობას, შეურიგებლობას, ხარჯს, დავიდარებას, და როცა ეს გზაც მათთვის მიუწვდომელი ხდება, ცდილობენ ნაკლები წინააღმდეგობის გზით წავიდნენ. ისინი არ ერიდებიან არც მლიქვნელობას. მოტყუებას და არც ენატანიობას, რომ თავიანთი უფერული ყოველდღიური ცხოვრება როგორმე შეინარჩუნონ.

გ. წერეთლის „მ ა მ ი და ა ს მ ა თ ი“ მშვენიერ სურათს იძლევა თავადაზნაურობის ამგვარი რღვევისას. მამის დამარხვის შემდეგ ა ს მ ა თ ს ა და მის ძმა—რ ო ს ა ფ ს შორის დიდი ალიაქოთი ატყდა. ყოველი მათგანი ცდილობს არა მარტო ხელით, კბილითაც კი დაეჭაჭგუროს მატერიალურ ძალას, თუკი როგორმე მოახერხა. „მე შენ არ შეგარჩენ, — ეკაპასებოდა ასმათი თავის ძმას, — დედიჩემის დანატოვარს გულისქინძისთავს და ბეჭედს. ჭერ მამა არ მანებებდა თავის სიცოცხლეში და ახლა შენ გადაამიმალე. მომეცი ჩემი, რას შექიდეები“<sup>16</sup>. „კვირა ერთი იყო, — განაგრძობს ავტორი, — და ასმათის ანჩხლობა დღენიადაგი. მისმა გესლიანმა ენამ რამდენი ცუდი არ აკადრა როსაფის ოჯახს. მის ცოლს, თავის საკუთარ რძალს, როსკიპობას სწამებდა, თვითონ მას — ათასნაირ ქურდობას, ცრუმორწმუნობას, ქრთამს, ხაზინის გატეხას და, ვინ მოსთვლის, რამდენს სხვა სიცუღდაცეს. როსაფიც, მოთმინებიდან რომ გამოვიდა ერთი ასეთი ჩხუბის დროს, ასმათი რომ ველარ დათოკა, მათრახი აიღო და ერთი-ორიოდე უჭირა თავის დას. მაშინ კი მოკურცხლა ასმათმა თავის სახლისაკენ და დაემუჭრა-კი ძმას: „თუ ქალი ვყოფილვარ, ძვირად დაგიჯენ ჩემს გალახვასო“.

ამის შემდეგ იწყება ასმათის გეგმიანი მოქმედება, რომ როსაფის როგორმე დაათმობინოს მამის დანატოვარი მამული და გულისქინძისთავი. ამასთან თავისი ჭავრიც არ შეარჩინოს. რას არ ჩაადენინებს ასმათი თავზე ხელაღებულ ოთარს, რას არ გააკეთებს თვითონაც, რომ თავის მიზანს მიაღწიოს! ყველაფერი მისი საქმეა:

16 გ. წერეთელი, მამილა ასმათი.

როსაფის სახლის დაწვა, მის გლეხელებთან მივარდნა, მათი დაპყრადახოცვა. ბოლოს ასმათი როსაფის ცრუდაბეზღებანაც-კი არ ერიდება.

ასეთია ამ დაკნინებული თავადაზნაურობის ასევე დაკნინებული ფსიქიკა. მათში იქმნება ერთგვარი დამშეული და შეშინებული მგლის ნდობა. და ამ ფსიქოლოგიას გ. წერეთელი, უდავოდ, ნიჭიერად გვაძლევს.

ამგვარივე სურათს გ. წერეთელი გვიხატავს თავის მოთხრობაში „რ უ ხ ი მ გ ე ლ ი“. აქ მთელი ბუდეა ამ დამშეული „მგლებისა“, რომელნიც დაუნდობლივ ესმინან თავს არა მარტო გლეხობას, არამედ ერთიერთმანეთსაც. დამშეულნი კარგავენ ადამიანის სახეს. კბენენ ერთმანეთს. მათზე ანდაზა homo homini lupus est ამ დარღვეულობაში მეტად თვალსაჩინოდ მქლავნდება.

„საწიოკე მთის მონაწილეთ ერთი ახირებული საქმე სჭირდათ. დილიდან საღამომდის ერთმანეთს გზირად უდგენ, შეიტყობდენ, ვინ რას აკეთებდა. ვთქვით, ერთი ვინმე მეპატრონე მთაში წაივდა სათევზაოდ. მეორე და მესამე უეჭველად მას აედევნებოდა — დასაზურავად. ამავე გვარად მოიქცეოდენ სხვებიც, თუ რომელმე მათგანი წაივდოდა მთაში ან ნაცნობ ოსთან, ან ვინმე გლეხთან საქმისათვის. ხშირად მოხდებოდა, რომ ერთი მეორეს გადაუდარაჯდებოდა გზაზედ, დაესხმოდა თავზე ნაშოვარის წასართმევად: მოხდებოდა ჩხუბი, ხანჯლები ტრიალი და ზოგჯერ კაცის კვლაც. მაგრამ ყველაზე უფრო მძიმე შეტაკება შეემთხვეოდათ ხოლმე საწიოკელებს „ნაკოდობაზე“, რადგან ვისაც მეტი ნაკოდობა ჰქონდა, ის მეტ მონაწილეობას და სარგებლობას ჩემობდა, თუნდ რომ მემკვიდრეობით, უფლებით და კანონის ძალით ნაკლები მონაწილეობაც ჰქონოდა“<sup>17</sup>.

მეტად დამახასიათებელ ფერებში იძლევა გ. წერეთელი ავთანდილ კვიციანი მდგომარეობის აღწერას. ეს მართლაც ტიპური სახე იყო გაწრიოკების გზაზე დამდგარი ფეოდალური კლასისა. სიზარმაცე, სიზანტე, დაუდევრობა, გაღარიბება, მაგრამ ფეოდალური ქედმაღლობა, კომიკურ მდგომარეობაში რომ აგდებდა მათ, — აი რა ახასიათებდა ამ კლასს. „ავთანდილ კვიციანე, — აგვიწერს ავტორი, — საწიოკე მთის ერთი მეპატრონეთაგანი იყო. ცხონებულ მამამისს მეთხუთასედი მონაწილეობა ერგებოდა საწიოკე მთაში, მაგრამ რადგან მას სიკვდილს შემდეგ ოთხი ვაჟიშვილი დარჩა, ამისთვის ავთანდილ კვიციანე გაუყოფელ მთაში მეოთხედით-და თუ ექნებოდა. ძმები რომ გაიყარნენ. მას აქეთ ათი წელი იყო, მაგრამ ავთანდილ კვიციანე მინც ჯერ კიდევ ვერ დასახლებულიყო, როგორც შეეფერებოდა ჩაქვირითებულ აზნაურის ოჯახს. მისი გამოწყობილი

იმერული ოდა, თუქცა წაბლის გულისაგან იყო აშენებული, მაგრამ სახლის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა. ეს სამთვალისანი სახლი ცხრა მუხის ბოძზე იყო შესკუპებული; მხოლოდ ერთს თვალს ჰქონდა იატაკი და ჰერი; მაგრამ იატაკის ფიცრებს ისე დაედო პირი, რომ თუ კაცი გაფრთხილებული არ იყო ზედ სიარულის დროს, შეიძლებოდა ფეხის ცერი ჩავარდნოდა ფარალაში... სხვა ოთახებს და აივნებს ჯერ არც ჰქერი და არც იატაკი აღარ ღირსებოდა... აივანზე ორი-სამი ფიცარი იყო გადებული იატაკ-დაგებულ ოთახამდის, რომ აქ შესვლა შეძლებულიყო. კიბის მაგიერად ორი ხე იყო აივნის ღირეზე აყუდებული და ზედ საფეხურების მაგიერად მსხვილი ჯოხები იყო ირდი-გარდმო დაკრული. სტუმარი თუ მოსურვებდა ამისთანა კიბით ოდაში შესვლას, ცოტა ჯამბაზობაშიაც გაეარჯიშებული უნდა ყოფილიყო. თვით ოდის იმ ერთს თვალს, საცა ჰერ-იატაკი დაგებული იყო, არც შუშები ჰქონდა ჩასმული, არც ბუხარი ამოშენებული. მხოლოდ გრძელი ფიცრები იყო გაჭიმული ერთი კედლიდან მეორე კედლამდის და ერთ კუთხეში ზეწარ გადაფარებული ქვეშაგები ელაგა. ავთანდილს ჰქონდა კარგი ძელური საჯალაბო სახლი შუაგულ კერაგაჩაღებული, საცა სახლობა ჰყავდა დაბინავებული. სტუმარი, რომ მოვიდოდა, იატაკიან ოთახში შეიყვანდა და როცა სტუმარი თიკანსავეთ კვინტრიშით შეირბენდა ციცაბო კიბესა, ავთანდილი ბოდის მოჰყვებოდა: „უეცრავად, ჩემო ბატონო, რომ ჯერ ოდა რიგიანად არ მაქვს მოწყობილი; მაგრამ ახალი მოსახლე გახლავარ, სულ ათიოდე წელიწადია, რაც დავესახლე, თუ ღმერთმა მომასწრო ამ სახლის მოთავება, ვგონებ, კარგი შენობა უნდა დადგეს“<sup>18</sup>.

უდავოდ, ესეც ცოცხალი „შეუფერავი“ სურათია ჩვენი დარღვეული პრივილეგიური კლასის ყოფისა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული. დღეს ეს, მოხდენილი იუმორით აღწერილი ავთანდილ კვიციანიძის მდგომარეობა, ჩვენში თუ ერთგვარ დაუჯერებლობის ღიმილს იწვევს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში სინამდვილე იყო, რაც დარღვეულს პრივილეგიურ კლასს ხშირად ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში აყენებდა.

გ. წერეთელმა ზედმიწევნით იცის დარღვეული ფეოდალური კლასის ყოფა. ამიტომაც, რომ ასე ადვილად და სისწორით გვაჩვენებს ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. მის შემოქმედებაში დარღვეული მებატონის სახის მრავალი ვარიაციაა მოცემული. ბატონყმურმა ურთიერთობამ, ყმების შრომით მზამზარეულმა, უზრუნველმა

<sup>18</sup> გ. წერეთელი, რუხი მგელი, გვ. 9—11.

ცხოვრებამ შექმნა მოღუნებული, სიცოცხლის ნიშან-წყალ-დაკარგული ტიპი, როგორც იყო ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თ ა თ ქ ა რ ი ძ ე. ამ უკანასკნელის სახე ტიპიური ყოფილა არა მარტო ამერეთში, არამედ იმერეთშიაც. ამ ბუდიდანაა ავთანდილ კვიციანი თავისი მოძმეებით, აქედანვეა დაზგა („მგზავრის წიგნები“).

გ. წერეთელი დაზგას სახით გვაძლევს მებატონის ტიპს, „ნამეტნავად ჯოგისა და ყმის პატრონს, ყმისა, რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა ჰქონდა“. სწორედ ასეთმა ცხოვრების პირობებმა და მასზე შეხედულებამ გადააქცია ეს ხალხი მოძრავ ლეშად.

აი როგორ აგვიწერს გ. წერეთელი დაზგას: „ამ დროს გავიხედეთ და მთიდან გზაწვრილზე ჩამოთხარაკდა ერთი თავისოდენა შავი ჯორი, რაზედაც დიდის ძარის სისხო კაცი შედებულყო: საწყალს ჯორს გრძელი ყურებისა და თავის მეტი არა მოუჩანდა-რა. ეს მსხვილი არსება, თუმცა ჯორზე იჯდა, მაგრამ ფეხებს თითქმის მიწაზედ მოათრევდა. ამ საკვირველს ცხენოსანს უკან ორი ფეხშიშველა და დაკონილი მსახური მოსდევდა. ეს მსხვილი ცხენოსანი, ჩიგონიას ღუქანს როგორც გაუსწორდა, ის ორი მსახური ჯორს მივარდა, ერთმა სადავე დაუჭირა და მეორემ უზანგი, რომ ძირს უვნებლად ჩამოესვათ მსხვილი არსება, რომელიც დიდი ხენეშით შემოსვენდა ჩიგონიას ღუქანში... მათი ბრწყინვალეობა დაზგა (ასე ეწოდებოდა იმ მსხვილ არსებას) დაბრძანდა ღუქნის წინ და კინაღამ ცხვირი არ დაჰკრა წინ გამოგდებულ ღიპზე... ის იჯდა გამოშტერებული ღუქნის წინ. იმის სველი თვალები და ახირებული ღიმილი თითქოს მუდამ თევზსა და ღომს შეტრფოდენ... ბრწყინვალე დაზგას თავზედ ორიღა ბუსუსი თმა შერჩენოდა, მეტი არა; ამასთან წვერ-ულვაშიც გათეთრებოდა და სისუქნის გამო წამოზრდილი დაბაბი გულზედ ეკიდა. ჩიკოლიკმა და კიკოლიკმა ბევრჯერ სცადეს გამოლაპარაკება, მაგრამ ის ხან „კის“ იძახდა და ხან „არას“; უფრო ხშირად ქშინავდა. ამ დროს იმის მეძალეც მოვიდა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ბრწყინვალე დაზგა საკურდლოთ ყოფილა. მეძალეს ზურგზედ ეკიდა გიდელი (გრძელი კალათი) და ორმოცამდე მწევარ მეძებრებს, ერთი-ერთმანეთზედ გადაბმულს, წინ მიუძღოდა. როგორც-კი მეძალე მოუვიდა, ბრწყინვალე დაზგამ მოითხოვა თავისი ჯორი და ისევ ზედ შეედო... წავიდა თუ არა, ჩიგონიამ ისევ ენა ამოიდგა, მოჰყვა იმის ქებას: „ბატონი, მაგი ოდიშში პირველი თავადის შვილი არის, ძალიან ბრეველი ყმა და მამული ჰყავსო“<sup>19</sup>.

დაზგას დახატვაშიც გ. წერეთელი უთუოდ განიცდის ილია ჭავჭავაძის დიდ გავლენას. დაზგა გვაგონებს ცნობილ ლუარ-

<sup>19</sup> გ. წერეთელი, მგზავრის წიგნები, გვ. 19—21.

საბ თათქარიძეს. დაზგაც თავადაზნაურობის იმ ფენას ეკუთვნის, რომელსაც თ. ლუარსაბ თათქარიძე. დაზგაც ლუარსაბსავით ცხოვრობს ისე, როგორც მისი წინაპრები. კმაყოფილია თავის მამულ-დედულით, ყმებით, მისი ცხოვრება დღევანდელი ჰგავს გუშინდელს და ხვალინდელი ემგვანება დღევანდელს. მას არც უნდა მისი შეცვლა. დაზგა, როგორც ლუარსაბი, ჩამორჩენილია ცხოვრებას, თითქოს ის ცხოვრების მიმდინარეობის იქით — კუნჭულში მიმალულა, შეუფარებია თავი თავისი მამულისათვის. იქ ის შეუძმჩნევლად იხრწნება, მოძრავ ლეშად გადაიქცევა, როგორც ლუარსაბი გადაიქცა. გ. წერეთელი დაზგას დახატვაში, დახასიათებაში მოურიდებლად ხმარობს იმავე ხერხებს, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს აქვს გამოყენებული ლუარსაბ თათქარიძის დახატვაში, თუმცა, რასაკვირველია, გ. წერეთლის დაზგა მეტად მკრთალია, დაუმუშავებელი.

\* \* \*

გ. წერეთელი რევაზ ბაკურიძის სახით-კი გვაძლევს ძველი ფეოდალური ყოფის წარმომადგენელს, რომელიც ცდილობს შეეგუოს ბიუროკრატიული რეჟიმის წყობას თავისი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით.

თ. რევაზ ბაკურიძე ეკუთვნის ქართველი თავადაზნაურობის იმ ფენას, რომელმაც იგრძნო ნიადაგმორღვეულობა და თავის გადარჩენის მიზნით წავიდა ნაკლები წინააღმდეგობის გზით. შევიდა სამსახურში, რათა ხელი მოეთბო, პირადი კეთილდღეობა შეექმნა. დანარჩენზე სრულებით არ ფიქრობდა. თ. რევაზ ბაკურიძე, — მოგვითხრობს ავტორი, — დიდი სახელგანთქმული კაცი იყო ბაკურიანის მთების კუთხეში. ყირიმის ომის დროს ის ორმოცდაათი წლუს კაცი იქნებოდა, კარგი დასქელებული, თმა-ხუჭუჭა. ჭალარანარევი. სქელი, განიერ ბეჭებზე პაწია მუჭის ოდენა თავი ესკუპა, მაგრამ ამ პაწია თავიდან, ვინ იცის, რამდენი ეშმაკური მოსაზრება იბადებოდა სულ იმ ანგარიშით, რომ მეზობელი დაეჩაგრა და თვითონ ამადლებულიყო, ყველაზე დიდი გამხდარიყო, ყველაზე მეტი სარჩო-საბადებელი მოეხვეჭა. ამის გულისათვის მისი პოლიტიკა ძალიან მდაბიო შოსაზრებას მისდევდა: „მთას ზურგი მიაყრდნე, თუ გინდა მუდამ სარგებელში იყო და მზემ არ შეგაწუხოსო. ამ სოფლის ძლიერთა მორჩილი და მოსამსახურე იყავი. მიჰყევი-მოჰყევი სოფელსა იმ უსამართლოდ მოქმედსაო, თუ გინდა რომ ქართველი თავიდან აიცილო და ამა სოფლის სიამით დასტკბეო. — ამ სიტყ-



ბოებისათვის ის სამშობლოსაც გაჰყიდდა, ოღონდ ცოცხალი ოქროები ხელში მოეხვეჭა“<sup>20</sup>.

ამგვარი შეხედულება დამახასიათებელი იყო ჩვენი მორღვეული ფეოდალური კლასისათვის. „სახლი რომ გეწოდეს ხელი მოითბეო“, — ასე იქცეოდა ჩვენი თავადაზნაურობაც. ასევე იქცეოდა მისი გამომხატველი თ. რევაზ ბაკურიძე, რომელიც „ყირიმის ომში მილიციის უფროსად დანიშნეს და მხრებზე ჭინჭილებიც დაუკერეს. როცა ომი გათავდა, ყველა შენატროდა მის სიმდიდრეს. ასე ამბობდნენ — ბაჭაღლოები ბაკურიძემ სულ ფოხლობით მოიტანა“-ო. აი ამ ბაჭაღლო ოქროებით გაიმაგრა ბაკურიძემ თავისი პირადი მდგომარეობა. ჭერ-ჭერობით შეინარჩუნა მამული და ძველი უფლებები.

აი როგორ აგვიწერს გ. წერეთელი ბაკურიძის ცხოვრებას სოფლად მამულში. „წამის-წამ შემოდდიოდნენ მებატონის ეზოში საუდიერო დაკლული ღორები. თითო ღორი მსხვილ ჯოხზე იყო ჩამოკიდებული. ჯოხი ორ კაცს მოედვა მხარზე და შუაში უკანა ფეხებით ჩამოკიდებული ღორი დინგს თოვლიან მიწაზე მოათრევდა და ახალ თოვლზე კვალს აჩენდა. უკან მოყვებოდა მებეგრე გლეხი. ბაკურიძე ნაბაღში გამოხვეული იდგა აივანზე და უღვაშებში ილიმებოდა. გლეხი მიესალმებოდა ბატონს, რომელიც გულმხიარულად უყურებდა მებეგრე გლეხს და ხანდახან ხუმრობით ეტყოდა: „ღორი, იცოდე, ცხრა მტკაველზე ნაკლები არ უნდა იყოს, თვარა, ხომ რცი, ღორზე ღორი დაიდება და შენც შობის დღეს ჩემსა ვერ გაიქაჭანებ“... გლეხიც სხარტად ეტყოდა: „ბატონო, დებულებას რავა გადუვალ“... საღამოს ბაკურიძე წაბრძანდა მარანში ღორების დასათვლიერებლად. იქ სამოცი ღორი ეკიდა. მებატონე განკარგულებას ახდენდა მეორე დღისათვის, რადგან შობა თენდებოდა. ლხინი უნდა გაემართა სასტუმრო სახლში... შინაყამები შობის წინა დღეს ეზოში ხის გრძელ სუფრებს რეცხდნენ, დარყულ ფეხებს უმაგრებდნენ. ზოგი საჯალაბო სახლში მუშაობდა, ღორებს ჰქნიდა და დიდ საარაყე ქვაბში ჰყრიდა... შობის დღესასწაული, განსაკუთრებით გლეხკაცობის სტუმრობით იყო ნაქები. ყველა გლეხკაცები იმ დღეს ბატონს უნდა სტუმრებოდნენ, ვინც-კი ბაკურიძისაგან მეტად შერისხული არ იყო. ბაკურიძის სასტუმროში იმ დღეს ას ორმოცდაათი გლეხი მაინც დასხდებოდა ჰამად... ამ დღეს თამადად თვითონ მებატონე გახდებოდა. მისი მოვალეობა იყო ყველა გლეხები დაეთრო. იმ დღეს ბატონსა და ყმას ერთმანეთში ვერ გაარჩევდი. ბატონი ყმას გაელექსებოდა და ყმა ბატონს გაუჭიბრდებოდა ოხუნჯობაში;

<sup>20</sup> გ. წერეთელი, გულქან, გვ. 11.

მათი სიმღერა, გალობა და თამაში სწორედ სასიამოვნო საყურებელი იყო“.

ესეც ტიპიური სახეა ქართველი მებატონისა. ამ მზამზარეულმა, სხვისი ოფლითა და შრომით ცხოვრებამ, უნგარიშობამ და უყურადღებობამ, ის იქამდე გაამაყა, დააცილა სინამდვილეს, რომ სასამართლოში, როცა მას პეტრ ივანიჩ გაწერელია — სოვდაგარი იწვევს და თამასუქების განაღდებას თხოულობს, არ მიდის. მას ვერ წარმოუდგენია, რომ სასამართლოს აქვს ძალა მის მამულ-დედულს შეეხოს. „მე რომ დამიბარებენ, განა სასამართლოში უნდა წავიდე? მაგას მაინც არ ვიკადრებ, ხელმწიფემაც რომ მიბრძანოს“, — რიხიანად ეუბნება თ. რევაზ ბაკურიძე სოვდაგარ გაწერელის. აი ამ ფეოდალურ ურთიერთობაზე განვითარებულმა მედიდურობამ და უნგარიშობამ ასე კატასტროფულად დაარღვია ეს კლასი და მალე ჩააყენა ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში.

რომანი „გულქან“ გვაძლევს ბატონისა და გლეხის ურთიერთობას ბატონყმობისა და მისი გადავარდნის შემდეგ ხანაში. ეს ის ხანაა, როდესაც დღე-დღეზე მოელიან როგორც გლეხები, ისე ბატონები ბატონყმობის გადავარდნას. უნდა ითქვას, რომ „გულქანში“ ცოცხლად და შეუფერავადაა მოცემული ეს ბეწვზე დაკიდებული ბატონყმური ურთიერთობა, თავისუფლების სუნაღებული გლეხობაც და შეცნობილი თუ შეუცნობელი შიშით შეპყრობილი თავად-აზნაურობა.

მომავლის შიში უფრო აბოროტებს ჯერ კიდევ ძირმაგარ რევაზ ბაკურიძეს. თუ გლეხთაგანმა მას ურჩობა გაუწია, თუნდაც სრულიად კანონიერი, ტვინს ამოსწოვს, გამოიყენებს თავის ძალას, თავის გავლენას, ხელისუფლებას, ყველაფერს იკადრებს, ოღონდ-კი გული მოიფხანოს, ძალაუფლება გამოიჩინოს. ტიპიურია ის მოპყრობა, რომელიც მან გამოიჩინა შინაყმა პეტრიელასა და მისი ოჯახისადმი. ბაკურიძის უსამართლო მოქცევამ ამოწყვიტა უფლებააყრილი ყმის კვესაძის ოჯახი, პეტრიელა კი ცხრა მთას იქით გადააგდო.

ცხადია, ბაკურიძე მწუხარებით ხვდება ბატონყმობის გადავარდნას, „ყმების ჩამორთმევას“. ეს, როგორც მეხი, ისე დაატყდა თავადაზნაურობასა და კერძოდ თ. რევაზ ბაკურიძეს. მაგრამ რა გაეწყობა! „ხელმწიფემ მოისურვა“ და ის, ხომ ისეთივე ყმა ხელმწიფისა, როგორც შიუკელა ან პეტრიელა მისი! ამიტომ ისიც უნდა დაემორჩილოს ხელმწიფის სურვილს და ემორჩილებოდა კიდევ, განსაკუთრებით, როცა გაიგეს, რომ ყმებში მებატონეებს ფულები მიეცემათ. ბაკურიძემ იგრძნო, რომ ფული ახალ დროში საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის უმძლავრესი ძალაა. „მადლობა

დმერთს, — ამიოხს თ. ბაკურიძე, — თუმცა პირადი უფლება და ბრძანება მომესპო ჩემს გლეხებზე, მაგიერად ფული ვიგდე ხელში და ესეც ხომ ერთი იმგვარივე ბრძანების იარაღია. მართალია მებატონის უფლება ამხადეს, მაგრამ რა მიჭირს, ფულით ისევე ბატონი გავხდებით. ვისაც ფულს მივსცემ, ყველა ჩემი ყმა არ იქნება?“<sup>21</sup>.

რევან ბაკურიძემ იგრძნო, რომ სოფელში მან დაკარგა ნიადაგი და, ყმებში ფულის მიღების შემდეგ, გადასახლდა ქ. ქუთაისში. კარგადაა ნაჩვენები ბაკურიძე და მისი ოჯახი გაევროპიელებულ ცხოვრებას როგორ დაეწაფა. დამახასიათებლადაა მოცემული ბაკურიძის ოჯახი წარმავალი კლასის ვნებიანობით როგორ გაჰყვება ახალ ცხოვრებას. მომჭირნობასა და ყაირათს შეუჩვეველი თ. რევან ბაკურიძე გაღვიძებულ მადას გარკვეულ ჩარჩოებში ვეღარ ათავსებს და მალე მიჰხარჯავს აღებულ ფულს. მალე ბაკურიძის მამულ-დედული სახლკართ სოვდაგარ პეტრ ივანიჩ გაწერელის (პეტრიელა კვესაძეს) რჩება.

ამგვარად, ფეოდალური კლასის ცხოვრება საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე უფრო და უფრო ირღვეოდა. დაკნინებული პრივილეგიური კლასის წარმომადგენელი სხვადასხვა სახეს იღებდნენ. დაკნინებულის ვარიაციას: თ. დაზგა, რომელიც მოძრავ ლეშადაა გადაქცეული; თ. რევან ბაკურიძე, რომელსაც უნდა შეინარჩუნოს ძველი პრივილეგიები, ახალს შეეგუოს იმდენად, რამდენადაც ახალი მას მისცემს საშუალებას ახალ საფეხურზე აიყვანოს თავისი ფუფუნება; საშუალო შეძლების აზნაური როსაფი, რომელიც კბილებით ებლაუჭება ცხოვრებას, რომ ხელიდან არ გამოეცალოს; დაკნინებული, მგლურ ხელობაზე გადასული საწიოკე მთისმებატონენი („რუხი მგელი“) და ოთარი თავის ძმაბიჭებით („მამიდა ასმათი“).

ამათ გარდა, თავადაზნაურთა წოდების წიაღში გ. წერეთელი ზედავს სხვა ვარიაციებსაც. თავადაზნაურობის ერთმა ნაწილმა იგრძნო ახალი ცხოვრების მოწოლა. იგრძნო ნიადაგის შერყევა, რის შემდეგაც ის დარწმუნდა მასთან შეგუების აუცილებლობაში. შეგუებამ მოსთხოვა მას კომპრომისი და ისიც, შრომას. გაჭირვებას, ყაირათს შეუჩვეველი. ნაკლები წინააღმდეგობის გზას ირჩევს, — მისთვის ყველაზე იოლი იყო მოხელეობა — „ჩინოვნიკობა“. და ისიც, როგორც ზევეითაც არაერთხელ აღვნიშნეთ, ადვილად წავიდა ამ გზით. ჩინოვნიკის კარიერა თხოულობდა სწავლას, თავადაზნაურობაც იძულებული იყო სწავლისათვის ხელი მოეკიდა, მაგრამ თუ ერთი ნაწილი ამ სწავლას იძენდა (კიკოლიკი, ჩიკოლიკი და სხვანი), ჩინოვნიკის დიდ თანამდებობას იღებდა, თავის თავს გაწიროვებას

გადაარჩენდა, სამაგიეროდ იყო მეორე ნაწილი, რომელიც მამაპაპური, უზრუნველი, სხვის ხარჯზე შეჩვეული ცხოვრების ტრადიციებში აღზრდილი სწავლის შექმნის სიმძიმეს ვერ ერეოდა, კალაპოტიდან ადვილად გამოდიოდა და, ბუნებრივია, ადვილად მიდიოდა ნაკლები წინააღმდეგობის გზით. ამ ნაწილს იპყრობდა მორალური განურჩევლობა და მძლავრად იტაცებდა ვნებიანობის ქაოსში. ესენი არაფერს არ ერიდებოდნენ, არც მოტყუებას, ქურდობას, ყაჩაღობას, არც კაცის მოკვლას და სხვა ამგვარს. ეს ვაჟბატონები ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს მჭამელსავით ასხდნენ და ისედაც სუსტს, დაბრიყვებულს ანადგურებდნენ.

ეს ფენაც მძლავრად იზიდავს გ. წერეთლის მხატვრულ ყურადღებას. ავტორი დაჟინებით აქითაც იყურება და მრავალი ტიპიური სახე გადმოაქვს მხატვრულ ტილოზე. სარდიონ ენუქიძე („გულქან“), იერემია წარბა თავისი ამფსონებით გივითა და ერეკლეთი („პირველი ნაბიჯი“) გ. წერეთლის მხატვრული გალერეიდან, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯი მხარეები, გამახვილებულად გამოიყურებიან. ესაა დანგრეული ფეოდალური ბუდე, სადაც მორალურ განურჩევლობას, პათოლოგიურ ვნებიანობას და ჟინიანობას დაუსადგურებია. ეს ვაჟბატონები აშლილი ვნებიანობის, აღვირახსნილი თვათნებობისა და საშუალებათა განურჩევლობის წუმპეში არიან ჩავარდნილნი და, თავზეხელაღებულინი, ანგარიშმიუცემლად იწევენ ახალ-ახალი ავანტიურისავენ. საკმარისია ავიღოთ რომელიმე მათგანის ცხოვრების ქარგა, რომ ამ დანგრეული ბუდის სახე მკითხველის წინ მთელი სინამდვილით გადაიშალოს. ავიღოთ იერემია წარბა. „იერემია იყო ერთი ხელმოკლე თავადის შვილთაგანი. მისი დედამა ყოველ ღონისძიებასა ხმარობდა შვილი გიმნაზიაში გაეზარდა. მამამ ჩამოიყვანა ცხრა წლის ყმაწვილი ქუთაისს და დააყენა ერთ ნაცნობ ღარიბ სახლობასთან, რომელიც მოწაფეთა მოვლით რჩებოდა“. რასაკვირველია, ცხოვრების პირობები იერემიას წარმატებითი სწავლისათვის ხელსაყრელი არ იყო. ამას ემატებოდა ის მახინჯი სისტემა, რომელიც გიმნაზიაში იყო გამეფებული. ამას ვერ იტანდნენ, ჩვეულებრივ, თავადაზნაურთა შვილები. ვერ აიტანა იერემია წარბამაც. მალე შედგა თანამგრძობთა წრე და ამ წრეში მოთავედ შეიქმნა თვით იერემია. თუ ვინმე მათგანი თითო-ოროლა კაპეიკს იკვებდა ხელში, მაშინვე გამართავდნენ საერთო ლხინს და სხვადასხვა დუქნებში დახეტილობდნენ. ამისთანა „დღესხვალებით“ ყმაწვილებმა სრულებით აუგდეს გული სწავლას“. ქეიფის მადით გატაცებულნი, მიჰყვნენ „მგლურ ხელობას“ და დებოშების გამართვას.

ამ ახალგაზრდობის საქციელი ჩქარა ცნობილი შეიქნა ქუთაისში. სასწავლებელმა ისინი დაითხოვა. „ახალი გამორიცხული ყმაწვილები მოირთვნენ ჩერქეზულად და ჩასხდნენ იარაღში. იმათ შეხედვას, — ამბობს ავტორი, — არა სჯობდა რა“. ისედაც ეკონომიურად დარღვეულ მათ მშობლებს გული გაუტყდათ, როცა შეიტყეს, რომ შვილებმა მათი იმედი ვერ გაამართლეს. შვილების ყოფაქცევაც უიმედობას და უარყოფითი გრძნობის მეტს არაფერს არ ეუბნებოდა მათ გულს. ამიტომ ჩვეულებრივ ასეთი სიტყვებით მიმართავდნენ ხოლმე შვილებს: „თქვენ ახლა გაქაცეები ხართ. სანამდის იმედი გვქონდა, რომ ისწავლიდით და ბოლოს მოხუცებულობაში, როგორც ჩვენ, ისე თქვენს უმცროსებს უპატრონებდით, მანამდის არც ჩვენ ვზოგავდით თქვენის გულისათვის არაფერს. ასე გასინჯეთ ადგილმამულს ვყიდით და ისე გარჩენდითო. დღეს ეგ იმედი აღარა გვაქვს თქვენი და ჩვენ უთქვენოდაც წვრილშეილი გვყავს საპატრონებელი: გაიჭირვებთ საქმე, შედით მწერლებათ, დადექით ადვოკატებთან, ნოტარიუსებთან, სამწერლო კანტორები გააღეთ და რამენაირად იკვებებთ თავი, თორემ ჩვენ ვეღარას მოგაწვდნით, — არც თქვენი ჭმევა, არც თქვენი ჩაცმა-დახურვა ჩვენ აღარ შეგვიძლიანო<sup>22</sup>. ყმაწვილკაცებს არაფრად იამათ იმათი მშობლების ასეთი განცხადება. იერემიამ გაჯავრებულმა გადაუბრიალა თვალები მამას, ჩაიკრა მუშტი გულში და წამოიძახა: „შენ მამა-კი არა, მამალი ჩველი ყოფილხარ, რომელიც ლეკვებს სჯამს და არა ზრდისო“, და გადავარდა სახლიდან.

აქედან იწყება იერემია წარბასა და მისი ამხანაგების „საქმენი საგმირონი“: ქუთაისში, ფოთში, იმ არემარეში და შემდეგ თბილისში. მოტყუება, ქურდობა, გატაცება, გადამაღვა მათ ხელობად გაიხადეს, ისინი გადაიქცნენ ნამდვილ მავნე ხორცმეტებად.

\* \* \*

გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედებითი აპერცეპცია ფეოდალური ურთიერთობის კატასტროფული რღვევის პროცესში გამაწვილებულად ამჩნევს ახალ ფენას, ვაკუარს, რომელიც მოღას და მძლავრად იკათავს გზას სამოქმედო ასპარეზზე. ეს ფენა ფულის ტრიალმა ამოატივტივა და ცხოვრების წამყვანის გზა გაუმზადა.

ფულის ძალა და მისი შემწეობით მოპოვებული ახალი ცხოვრების სიტკბოებანი მძლავრად გაუჭდა დარღვეულ თავადაზნაურობასაც. მათ იგრძნეს, რომ ფული ახალ დროში მამულისა და ძალა-

<sup>22</sup> გ. წერეთელი, პირველი ნაბიჯი, გვ. 132—133.

უფლების სრულ ეკვივალენტად შეიქნა. ამიტომ ისინი ხარბად და-  
ებლაუქნენ ფულს. მაგრამ ისინი ხომ ძალაგამოლეულნი არიან. მათ  
შეუძლიათ მხოლოდ ფულით შექმნილი ცხოვრების სიტკბოება  
იგრძნონ; შინაარსეულად დაცლილთ, ფულის ტრიალი უფრო აღა-  
ტაკებს.

სულ სხვაა ახალი სოციალური ძალა, ფენა, ფულს რომ ი გ ე ბ ს.  
ეს ახალი კლასია, წინათ უფლებააყრილი. იგი თავისი პირადი გამჭ-  
რიახობით მოდის და ცხოვრების სარბიელზე იკაფავს გზას. ამ  
კლასს გამოუვლია ცხოვრების უკუღმართობა, ძალმომრეობა, უუფ-  
ლებო მდგომარეობა, მწარედ განუცდია თავისი სოციალური მდგო-  
მარეობის უმწეობა. მას ხშირად უწყევლია დაბადების დღე.

სამაგიეროდ, ეს გაჭირვებული მდგომარეობა ამახვილებდა ამ  
ხალხის ნებისყოფას, ცხოვრებასთან ბრძოლის უნარს. აქაც გ. წე-  
რეთლის მხატვრული აპერცეპცია ფეოდალური ურთიერთობის  
დარღვეულობაში ახალი კლასის — ბურჟუაზიის წამოზრდას ხარ-  
ბად უყურებს. ცხოვრების ასპარეზზე გამოდის მოქმედი ძალა —  
გლეხი, შიშველ-ტიტველი, უარარაო, უთვისტომო. თავისი ნიჭითა  
და უნარით საკმარისად მალე ახერხებს დამოუკიდებელი მდგომა-  
რეობის შექმნას. ავტორის სიმპათიებიც, უდავოდ, მათკენაა. მოვი-  
გონოთ, როგორ აფასებდა გ. წერეთელი თანადროულ მომენტს,  
რომელიც ზევით მოვიტანეთ. ავტორი გარკვეულად დაასკვნის:  
„ჩვენი თავად-აზნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მუშა-ხალ-  
ხის სულის ჩადგმა, იმის წინწაწევა, — აი ერთი დიდი სანუგეშო  
ნიშანი ამ დროებისაო“.

ვინ არის პეტრ ივანიჩ გაწერელი ა? სოვდაგარი, რომელმაც  
მდიდარი სავაჭრო გახსნა ქალაქ ქუთაისში და ასე ადვილად ჩაიგ-  
დო ხელში რევაზ ბაკურიძის მთელი ქონება, მისი ოდესღაც მძლავ-  
რი ფეოდალური ბუდე! ეს ის პეტრიელია, რომელიც რევაზ  
ბაკურიძემ თავისი თვითნება მოქცევით, რომლის უფლებასაც ბა-  
ტონყმობის ინსტიტუტი აძლევდა მას, აიძულა გაქცეოდა უსამართ-  
ლობას, ძალმომრეობას, ბოროტებას და გადავარდნილიყო უცხო  
ადგილში, რომ თავისუფლად ამოესუნთქა, ფულისთვის ხელი მოე-  
კრა. და ეს ხომ იმ დროს იშვიათი მოვლენა აღარ იყო! აი რას ეუბ-  
ნება პეტრიელა აწიოკებულს და ატირებულს დედას ბატონის იძუ-  
ლებით სახლიდან „გადავარდნის“ წინ: „რა ვუყოთ, დედა, არაფე-  
რია. მე ერთი ცოტა ხნით გადავვარდები, ადლერისკენ წავალ  
ზღვისპირას, იქ კარგი მოსაგები ადგილებია, ფულს ვიშოვნო და  
ცოტცოტას მოგაწვდენტ. ჩემი ამბავი ყოველთვის გეცოდინებათ,  
ჩვენებური ბევრია იქითკენ წასული. ვინც იქით წასულა, ყველა

გამდიდრებულა. მე რა მიჭირს, ერთი ჩემხელა კაცი. თუ რასმე იშოვნის, არც მე ჩამოუდგები უკან“<sup>23</sup>.

გაბოროტებული პეტრიელა გადაეშვა აზვირთებული ცხოვრების მორევში — ერთი სურვილით გატაცებული — მოიგოს ფული და ცხოვრების სარბიელზე იგარძნოს თავი კაცად. ბევრი გაჭირვების შემდეგ, მართლაც, ის შეიძენს ფულს. აღლერში გაალებს დუქანს და ჩაეწერება ამ ქალაქის ვაჭრად. დაირქვა სახელად პეტრ ივანიჩ გაწერელია. დაიწყო ვაჭრობა „ფარგით, ტარანით და მარილით“. მალე მან გაიგო, რომ ქუთაისში კარგი ვაჭრობა გაიმართაო. ქალაქმა დღითი დღე იწყო ზრდა. განვითარდა ქვეყნის კაპიტალიზაცია. სოფლებიდან ყმებჩამორთმეული მებატონენი დაიძრნენ ქალაქისაკენ. ყმებში მიღებული ფული ქალაქისაკენ მიერეკებოდა მათ. ქალაქში საცხოვრებლად ვროვდებოდნენ და თავიანთი დაუდევრობით ვაჭრებს „ხეირს“ აძლევდნენ.

პეტრ ივანიჩიც გამოეშურა ქუთაისისაკენ. გაიგო, რომ ქუთაისში გადმოსახლებულიყო მისი შეუბრალებელი ბატონი რევაზ ბაკურიძეც. პეტრიელამაც სწორედ მის გვერდით გაალო „წმინდა საქონლისა და უცხო ქვეყნების სასმელების მაღაზია“.

პეტრიელაში მძლავრად იყო ჩადედებული მწარე მოგონებანი მებატონის მხრივ მიყენებული არაადამიანური ტანჯვისა და დამცირებისა, მთელი ოჯახის აწიოკებისა. მაგრამ რამდენადაც ეს მწარე მოგონებანი მას გულს უსერავდნენ და გაუნელებელ ცეცხლს უნთებდნენ, იმდენად მან „უფრო დიდი მეცადინეობა გამოიჩინა ახლა, რომ თავის ოჯახის დამღუპველ ძველ მებატონეს შელექვებოდა და შეთვისებოდა“. პეტრ ივანიჩ გაწერელია შეიქნა ქუთაისში მეორე გილდის ვაჭრად. მან კარგად იცის თავადაზნაურთა სუსტი მხარეები. ადვილადაც დაუგო ანკესი. დაუწყო თავაზიანი და გაუთავებელი ნისიაობა რევაზ ბაკურიძეს.

პეტრიელას ასეთი მოქმედება გარკვეულ მიზანს ისახავდა: მას გადაწყვეტილი ჰქონდა ბოლო მოეღო რევაზ ბაკურიძისათვის და ამით შური ეძია. მასში არაერთხელ აშლილა შემდეგნაირ აფორიაქებულ აზრთა გრეხილი: „მოკალი, ნაკუწ-ნაკუწად ააგე, მისი ერთად-ერთი ახალგაზრდა ქალი გააუპატიურე და ეს ამბავი, ხეზე მიკრულ მის დედმამას აყურებინე, მერე დედაც და მამაც ურა ცხენის კუდზე გამოაბი და დააგლეჯინე, მერე თვით მათი ქალიშვილი

<sup>23</sup>ა. გ. წერეთელი, გულქან, ვვ. 150.

ცხვარსავით ზედ დააკალი... აი მადლი, აი, ბალდამ-გესლით ავსებუ-  
ლი ჩემი გულის წამალი. მხოლოდ მაშინ შემიმსუბუქდება ჩემი ში-  
ნაგანი ტანჯვები, მაშინ გამინთავისუფლებოდა ტანი ათას აუტა-  
ნელ ტკივილებისაგან, როცა რევასა და მის ცოლშვილს ვნახავდი  
საწყალი დედიჩემის საფლავზე საკურთხად დაკლულს და შეწი-  
რულს... ახლა რა? მართალია, მე გავმდიდრდი, პატივისცემაც მოვი-  
პოვე. ჩემი უწინდელი მებატონე დღეს გვერდით მიჭენს, ალერ-  
სით მეპყრობა, თითქმის მითანასწორდება, მაგრამ განა ეს დააკმა-  
ყოფილებს ჩემს გათახსირებულს სულს?! არა, ეს კიდევ უფრო  
წამლავს ჩემ სიცოცხლეს. რადგან ვხედავ, რომ ჩემი დედ-მამისა და  
დის მკვლელები გვერდით მისხედან და მე იმათვე უნდა ვეპირფე-  
რებოდე. სიტყვით ფიანდაზს ვუშლიდე!.. განა ეს აუტანელი ტანჯვა-  
და ცეცხლმოდებული სულის ქენჯნა არ უნდა იყოს ჩემთვის?  
განა არ შემიძლია, ერთი ხუთიოდე მოქეიფე ხანჯალ-ლეკურიანი  
ახლგაზრდა თავადიშვილი მოვიყიდო, ერთი სამასი თუმანი გადა-  
ვუგდო იმათ. გუფთასავით ავაკეპინო ჩემი ოჯახის დამლუბველნი,  
ჩემი დედ-მამის მკვლელნი? მერე.. .მერე რა გამოვიდა... შეიძლება  
ამით მეც თავი წავაგო. არა, ეს ასე არ ვარგა. სჯობია, სხვა უკეთეს  
საშუალებას მივმართო. მე იმათ აღსრულებითი ფურცლებით ავიკ-  
ლებ. ნადირი და მხეცი ხომ არა ვარ, რომ მათი დაღვრილი სისხ-  
ლით დავტყბე! არა. მე მინდა მხოლოდ მათი ტანჯვით ვისიამოვნო;  
მე მინდა, რომ ისინი ცოცხლობდნენ და მათი აუტანელი წვალება  
ჩემი თვალით ვნახო; მე მინდა, რომ მათი კვნესა-გოდება ჩემი ყუ-  
რით მოვისმინო; მე მინდა მათი მიწა-წყალი, მათი ადგილ-მამული,  
მათი სახლ-კარი ხელში ჩავიკრიბო, ისინი ცარიელზე დავსვა; მე რე-  
ვავ ბაკურიძის ადგილზე მოვიკალათო და ის კი თავის ცოლშვილი-  
ანად ჩემ ეზოში მოჯალაბესავით უადგილ-მამულათ მესახლოს; მინ-  
და ვნახო, რომ ისინი ჩემ სახაბაზოს წინ ცივ მჭადის ნატეხს ჰამ-  
დენ და ვერ ძლებოდენ... აი, როცა ამას ვნახავ, მაშინ, მხოლოდ მა-  
შინ დავემშვიდდები სულიერათ; მხოლოდ მაშინ განისვენებენ ჩემი  
ტანჯული დედ-მამის ძვლები საფლავში. აი, ეს უნდა მოვახდინო  
მე და შემიძლიან კიდევ... ასეთს ფიქრებში გადიოდა პეტრ ივანი-  
ჩის დღეები. ვაჭრობის წარმატება თანდათან ახალისებდა, ფრთებს  
ასხამდა მის მომავალ იმედებს<sup>24</sup>.

ციტატი გაგვიგრძელდა, მაგრამ ის მაქსიმალური სიზუსტით  
გვიხატავს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მაძიებელ, ახ-

24 გ. წერეთელი, ვულქან, გვ. 199—202.



ლად განთავისუფლებულ გლეხის სულისკვეთებას, რომელიც თავის-  
ში უკვე კარგადა გრძნობს გაღვიძებულ ძალას.

ცხადია, პეტრიელას სულიერი განწყობილება ერთგვარად შეუ-  
რიგებელია. მკითხველი გრძნობს, რომ სამკედრო-სასიცოცხლო  
ბრძოლა გამართულია ნაბატონარსა და ნაყმევს შორის. უკანასკ-  
ნელში გაღვიძებული შურისძიება ჩქეფს. მაგრამ გ. წერეთელი ნაყ-  
მევში ამ შურისძიებას არ აძლევს რევოლუციურ გაქა-  
ნებას. ის ხომ 60-იანი წლების წარმომადგენელია და, როგორც  
ასეთისათვის, თანდათანობის გზას არჩევს. რასაკვირველია, ის მთე-  
ლი სიმპათიებით პეტრიელასკენაა გადახრილი. პეტრიელამ შურის-  
ძიებისათვის უფრო წყნარი, მშვიდი გზა აირჩია... მისი ანგარიშები  
ადვილად გამართლდა. რევოზ ბაკურიძის მიერ ნისიად წაღებულში  
მიღებული თამასუქების მიხედვით პეტრიელამ აიღო აღმასრულებე-  
ლი ფურცელი და მისი ფეოდალური სახლ-კარი მამულ-დედულით,  
ეს ყოფილი მისთვის ტანჯვის ბუდე, ხელთ იგდო და აპირებს იქ  
ახალი ცხოვრების გაშლას.

ამგვარივეა დაახლოებით სახე ბახვა ფულავასი. ბახვა ფულავაც  
ღარიბი გლეხის ხახულიას შვილია. ეს ის დრო იყო, როცა ქ.  
ფოთის ნავსადგურში პირველად იწივლა ცეცხლის გემმა. ფოთში ამ  
დროს უცხო ტომის კაცებიც ჭინჭველასავით ირეოდნენ. გაიბა სა-  
ფაქრო კავშირი ამიერკავკასიასა და უცხო ქვეყნებს შორის. იმ  
დროს, როგორც ავტორი გვიმოწმებს, ერთადერთი ფულის მო-  
საგები კუთხე ფოთი შეიქნა. დიდი და პატარა ყველა ფოთისაკენ  
გარბოდა. ფოთში ფულის მოსაგებად ბახვას ბიძაშვილებიც იყვნენ  
წასულნი. „ის ყოველთვის, — გადმოგვცემს გ. წერეთელი, — სით-  
ვალხარბით იგონებდა თავის ბიძაშვილის მშვენიერ ტანსაცმელს  
და ვერცხლით გაწყობილ ქამარ-ხანჯალს... მისი ბიძაშვილი, მართ-  
ლაც, ორ-სამ წელიწადს სახლს მოშორებოდა და ფოთში ემუშავნა.  
შინ რომ დაბრუნდა ბახვამ ვერც-კი იცნო პირველ შეხედვაზე, ასე  
ეგონა თითქო ვიღაც ბატონიშვილი მოსულიყოს იმის ოჯახში“. ამით  
ახსენება, რომ ბახვაზე მუშების რჩევამ: „თუ წახვალ და დადგები  
მასთან, კარგად ჩაგაცმევს და დაგხურავს, კარგად გასმევს და გაჭ-  
მევს. შვილსავით მოგივლის და ბერს ფულსაც მოგცემსო“ — ად-  
ვილად იმოქმედა. მართალია, ბახვას ეძნელებოდა დედისა და შეჩ-  
ვეული კარმიდამოს ჩამოშორება, მაგრამ მგზავრობამ, ახალმა გემ-  
რიელმა საჭმელებმა, ინჟინრის მიერ ნაჩუქარმა კანფეტებმა ისეთი  
გემო აგრძნობინეს, რომ ახალმა ცხოვრებამ ანდამატსავით მიიზიდა  
და ბახვამაც გამოუქნელი მოზერის დაუდგრომლობით გასწია იქით-  
კენ.

ბახვამ მალე გამოიჩინა ალლო და უნარი ახალ ცხოვრებაში გარკვევისა, ადვილად შეიძინა ახალი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა — ფ უ ლ ი, ჯერ პორტში მუშაობით და შემდეგ სიმინდისა და ნიგვზის კუნძების ყიდვა-გაყიდვით.

აი როგორ აგვიწერს გ. წ ე რ ე თ ე ლ ი ამ ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის ცხოვრების დასაწყისს: „ბახვა ფულავას მრავალი კუთხის კაცები ჰყავდა გაცნობილი პორტში მუშაობის წყალობით. გინდ სიმინდის ვაჭრობა დაეწყო, გინდ კუნძებისა, სულ ერთი იყო, ყველა ხელს შეუწყობდა: ვისაც-კი მიანდობდა საქმეს, ყველა დიდი სიამოვნებით იკისრებდა მასთან საქმის დაჭერას, რადგან ბახვა ნაღდი კაცი იყო. ბახვამ პირველ ხანებში გამართა ფოთში რკინეულობის მაღაზია. დუქანში დააყენა თავისი ბიძაშვილი ნესტორა სავაჭროთ, თვითონ-კი ხან სამეგრელოს წავიდოდა, ხან გურიას, ხან ქვემო იმერეთს თავის გაგზავნილ კაცების ყურის საგდებლად. ეშინოდა, ფული არავის გამოეტყუებინა და მოუსაქმებლად ჯიბეში არ ჩაეღო“<sup>25</sup>.

საქმიანობა, მოძრაობა, ანგარიშიანობა, სიტხიზლე ტიპიურია ახლადფეხადგმული ბურჟუაზიისათვის. ბახვა ფულავა მოქმედია, შორსმჭვრეტელია, მტკიცედ და სწორად მიჰყავს თავისი საქმე, თანდათან საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ფეხს მძლავრად იკიდებს, ყველა მას ანგარიშს უწევს, პატივსა სცემს, იმიტომ რომ ის ფულიანია, ის „ნაღდი კაცია“. ყველა ამით მას ძალაუფლება მოუპოვებია. ის წინ იყურება, სრული იმედითა და რწმენით ემზადება უკეთესი მომავლისათვის — შეიძინოს მეტი დოვლათი, რათა დასტკებს ცხოვრების კმაყოფილებით. ამ დროს ფეოდალური კლასის წარმომადგენელია, ახალი ცხოვრებით შემჭიდროვებულნი და დაძაბუნებულნი, ველარ უძლებენ ახალი ცხოვრების მოწოლას, ნიადაგს ჰკარგავენ. შრომასა და მოქმედებას უჩვეულნი, წარმავალი კლასის პათოლოგიური ვნებიანობით ეძლევიან „ცხოვრების სიტკბოებას“, ფულით რომ შეიძლება ყიდვა. ამ ფულის მოპოვებაში ადვილად და დაუფიქრებლად აძლევენ ისინი თავიანთ დარჩენილ ავლადიდებას. „რაკი მუქთი გლეხები და ყმები დიდებულ მებატონეს ხელიდან გამოეცალნენ, იმან სოფელში ველარ გასძლო ცხოვრება. მას გამოეზარდენ ქალვაენი, რომელნიც დიდკაცობას არ იშლიდნენ, სასწავლებელში გამოზრდილი მისი ქალები ახალ მოდებს აყოლოდნენ. აბა, ბალებს, პიკნიკებს, მასკარადებს როგორ დააკლდებოდნენ... მარტო იმათს „ბათინეებისა“ და „პერჩატკების“

25 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, პირველი ნაბიჯი, გვ. 36.

ყიდვით სული ჰქონდა მამას ამორთმეული. ეს კიდევ რა... ქალებს წამოეწივნენ ვაჟები. იმათ სწავლას გული აუცრუეს და გამოხტენ მეოთხე, მეხუთე კლასებიდან. შესახედავად და ჩაცმა-დახურვით მათ ახალგაზრდა არ სჯობდათ. მაგრამ, საუბედუროთ, მიეჩვიენ სასტუმროებში თრევასა და ბანქოს თამაშს<sup>26</sup>. ესეც ხომ ტიპიური სურათია დარღვეული ფეოდალური კლასის აგონიისა!

ამ გარემოებამ გამოიწვია ფეოდალთა ბუდეების კატასტროფული ნგრევა. მათი ავლადიდება გადადის გუშინდელი ყმის, „უჯიშოს“ ხელში. იმ დროს გაზეთებში ხშირად იყო თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების განცხადებანი ამ დარღვეულ ბუდეების საჯარო გაყიდვის შესახებ. ბახვა ფულავამაც ამ განცხადებების თვალყურის დევნებას მოუმარჯვა. „მისი სანატრელი საკითხავი, — ამბობს ავტორი, — ბანკის განცხადებები შეიქნა“. ბახვას სამეგრელო არ იზიდავდა. მას უნდოდა იმერეთში ქუთაისის მახლობლად მდებარე მებატონის მამული შეეძინა.

ბახვა ფულავას სურვილი მალე აუცხადდა. ერთს საღამოს მან გაზეთში ამოიკითხა შემდეგი განცხადება: „იყიდება საყოველთაო ვაჭრობით თავადის თავფქვილაძის მამული, მდებარე ვაკე იმერეთში: სამოცდა ათი ქცევა ეზო, სამასი ქცევა სახნავი, ორმოცი ქცევა სასიმიინდე, ქვიტკირის სახლი, ახლად დამწვარი, თავის საოჯახო შენობიანად და წისქვილიანად... მთელი მამული არის დაგირავებული ოცდა ხუთი ათას მანეთში. მყიდველს შეუძლია ბანკის ვალი გადაიტანოს, თუ ნელაიმკას სამას ორმოცდა ათ თუმანს შეიტანს ბანკში“.

ბახვა ფულავას ამ მამულის ყიდვა ძალიან გაიტაცებს. მას სურვილი აქვს ეს დანგრეული კერა თავისებურად ააყვავოს და თავის ესმას — „ქალთა მზეს დაამშვენებინოს“... ამ გადაწყვეტილებას ბახვა ფულავა მისთვის ჩვეულებრივი სისწრაფით სისრულეში მოიყვანს.

გ. წერეთელი გრძნობს, ხედავს კაპიტალიზმის განვითარებით ატალღებული ცხოვრების მდინარებას; გრძნობს, რომ ძველი კალაპოტით სიარული აღარ შეიძლება, საჭიროა ახალი კალაპოტის გამოხახვა. მოწოლილია ახალი კლასი, რომელიც ამ ფეოდალური კლასის გამოდევნა-შეცვლას ლამობს და ეძებს ახალ გზას ცხოვრებისას. გ. წერეთელიც მათთან არის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი ახირებულობა იპყრობს მკითხველის ყურადღებას. ამ ახალი ცხოვრების გმირებს (პეტრიელას, ბახვა ფულავას და სხვ.) გ. წერეთელი

არა თუ გასაქანს არ აძლევს, არამედ მათ, რა წამსაც-კი ძალაუფლება მოხვეჭილთ უნდათ დაიწყონ თავისებური ახალი ყოფა, ცხოვრების ასპარეზიდან სპობს. ავტორი საკმარისად ადვილად შეაძლებინებს გამდიდრებას — ფულის ხელთ მოგდებას პეტრიელასაც და ბახვა ფულავასაც (ისინი მდიდრდებიან იმიტომ, რომ ახასიათებთ წრომის უნარი, მიხედვით, ორიენტაცია, ამტანი ბუნება, მოხერხება-მოთმინება, წინდახედულება, ალღო, რაც ტიპიური ნიშანი იყო ბურჯუაზიისათვის მის აღმავლობაში). ავტორი „შეუფერავი“ რეალური ფერებით შლის იმ პირობებს, რომელთა მიხედვით თავფქვილაძეებისა და ბაკურიძეების მამულ-დედული ერთგვარი აუცილებლობით გადადის „უჯიშოთა“ ხელში.

მაგრამ შემდეგ? შემდეგ-კი ახალი ცხოვრების გმირებს არავითარ გასაქანს არ აძლევს. გ. წერეთელი თავის გმირებს (პეტრიელასაც და ბახვა ფულავასაც) შეაძენინებს ქონებას, გამოუმუშავებს მათ შეგნებას, რომ რაკი მათ ფული აქვთ, ამიტომ ძალაცა აქვთ და ცხოვრებაზე სრული უფლებაც. მაგრამ ამას იქით მწერალი მათ აღარ თუ ვეღარ ავითარებს.

აქ სწორედ, საიდანაც უნდა გაიშალოს ამ გმირების ბურჯუაზიული ბუნება, ავტორი ფარდას უშვებს. პეტრიელამ დაინარჩუნა თ. რევაზ ბაკურიძის სახლ-კარი ადგილმამულით, უფლებაში შესვლის მეორე თუ მესამე დღეს მას მოკლავს თ. რევაზ ბაკურიძის მოურავი შიუკა. ასეთივეა თითქმის ზედი ბახვა ფულავასიც. შეიძენს ბახვა სათავადიშვილო მამულს, დაიწყებს მამულის მოწესრიგებას, გადაიყვანს თავის ესმას, და რამდენიმე თვის შემდეგ იერემია წარბა ესმას რომ მოკლავს, ბახვა ფულავაც კარგავს ცხოვრების მიზანს, გზას. პირადი შურისძიება-ლა შეიპყრობს მას და შურისძიების გზას ანდომებს, რაც აქამდე ჰქონდა შეძენილი. ცხადია, ავტორი თავისი გმირების ბუნებრივ განვითარებას, მათი ასპარეზისა და მოქმედების გაშლას ვეღარ იძლევა.

რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ამ საკითხის გარკვევაში, ჩვენის აზრით, აღსანიშნავია ორი მომენტი: 1) საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების პირობები 70—80-იან წლებში (როდესაც იწერებოდა რომანები: „გულქან“ და „პირველი ნაბიჯი“) ბურჯუაზიის მოქმედებისათვის უფრო ფართოდ გაშლის შესაძლებლობას არ იძლეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საქართველოში სამრეწველო კაპიტალი უკვე ვითარდებოდა და რუსეთის ამოქმედებული ვაჭრობა-მრეწველობა მას ძალუმად ითრევდა თავის წიაღში. კაპიტალიზაცია ჯერ კიდევ ვითარდება „ფოდრათებისა“ და სა-

ვაჭრო კაპიტალის მოქმედების ნიადაგზე. განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს არა ცენტრები — ქალაქები, არამედ პროვინციები — სოფლები, საითყენაცაა მიპყრობილი გ. წერეთლის მხატვრული ხედვა. ამიტომ შესაძლებელია ავტორმა ვერ შეძლო ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიის პერსპექტივების სრული განჭვრეტა და ამიტომ ვერც მოგვცა. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს არ უნდა იყოს მთავარი მიზეზი. 2) მთავარ მიზეზს ჩვენ ავტორის ფსიქოლოგიაში ვხედავთ. გ. წერეთელი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიმპათიებით გლახობისაკენ, ბურჟუაზიისაკენ იხრება, მომავალში მოქმედად ხედავს ვაჭარს, კაპიტალის განვითარების ნიადაგზე შექმნილ სოციალურ ურთიერთობას (რომლის უკიდურესი გამომქლავებებია მისი ფაურკვეველი თანაგრძნობა მესამე დასახლადმი), მაინც გ. წერეთელი ვერ აძლევს პერსპექტივას პეტრიელასა და ბახვა ფულავას. იგი ფარდის უშვებს სწორედ იმ მომენტში, როდესაც აი ეს-ეს არის ფეხმომავრებულმა ფელიანმა ბურჟუამ (ბახვა ფულავა იქნება თუ პეტრიელა კვესადე) უნდა მოქმედების ფრთა გაშალოს — მარტივის სახის ვაჭრობიდან გადავიდეს ფართო ხასიათის ოპერაციებზე ვაჭრობა-მრეწველობის შედეგად. ამის მაგიერ, გ. წერეთლის წარმოდგენით, ეს ახლად ფეხადგმული ბურჟუაზია ცდილობს ძველ დარღვეულ ფეოდალთა ცხოვრებას მიჰბადოს, იმათ დანგრეულ კერაზე იმათმაგვარი კმაყოფილი ცხოვრება გააჩალოს. ასეთი ტენდენციებითაა მოცემული პეტრიელა, როცა ის თ. რევაზ ბაკურიძის სახლკარს და ავგილ-მამულს ჩაიგდებს ხელში. ასეთი ბახვა ფულავაც, როცა ესმას ეშხით გატაცებული, დიდის ტემპერამენტით დაეწაფება პირადი ბედნიერებით დატკობბას და ამისათვის ცდილობს შეიძინოს რომელიმე დარღვეული თავადის სახლი ადგილ-მამულით. ავტორი არ მალავს ბახვას განწყობილებას. მისი შეხედულებით, ესმა „უნდა იჯდეს დიდებულის თავადიშვილის სასახლეში, მდიდრულად მორთულ ტახტზე“. მაშინ შეიძლება, რომ ესმა ბედნიერი იყოს და მასაც მოუტანოს ბედნიერება. ბახვა ფულავა ასეთი გატაცებით იძენს თავფქვილადის სახლ-კარს და აწყობს მას. აი როგორ გადაშლის ავტორი ბახვას განცდებს: „ახალმა ოჯახმა გული გაუნათლა. გზაზე მას იგონებდა და მხიარულობდა. თავის ყმაწვილობაში ბევრგან ყოფილა, დადიანების, მხეიძეების, წულუკიძეების ოჯახებში, მაგრამ არცერთს იმათგანს არ ჩამოუვარდებოდა მოწყობილობით მისი ახლად შექმნილი სახლკარი და მიწა-წყალი“<sup>27</sup>.

27 გ. წერეთელი, პირველი ნაბიჯი, გვ. 74.

ბახვასა და ესმას ცხოვრება ბოლოს, მართლაც, ფეოდალური, ან, უკეთეს შემთხვევაში, ფეოდალურ-ბურჟუაზიული იდილიის ხასიათს იღებს. ამით აიხსნება, რომ მოკვდება თუ არა ესმა გაუშლელად, ბახვას ცხოვრებასაც გამოეცლება სიცოცხლის საფუძველი, მისი ცხოვრების ღერძი უკუღმა დატრიალდება, შურისძიების ვნება გაიტაცებს და შთანთქავს. წუნკალას, სავანშო კაპიტალის დაგროვების პროცესის ამ მახინჯი მოვლენის, ხელში ჩავარდება, მაშინ, როდესაც ბახვას ფულის ძალა, მისი არა მარტო დაგროვება, არამედ ამოქმედებაც ყველასა და ყველაფერზე მალლა უნდა დაეყენებინა.

ყველა ეს, ვფიქრობთ, შედეგია გ. წერეთლის ფსიქოიდეოლოგიის თავისებურებისა, რომლის ძირი მაინც კიდევ ხვდება მაშინდელი ცხოვრების საფუძველს. გ. წერეთლის შეხედულება, რა თქმა უნდა, შედარებით სხვა თერგდალეულებთან, რადიკალურია, მაგრამ ის მაინც ტიპიური თერგდალეულია. ეს ის თავისებურებაა, რომელმაც გ. წერეთელს თერგდალეულებში თავისებური ადგილი მისცა და „შესამე დასელებთან“ მჭიდროდ ვერ მიიყვანა.

\* \* \*

გ. წერეთლის რომანები „გულქან“ და „პირველი ნაბიჯი“ ჩვენი ცხოვრების წილში წამოჭრილ მარტო ზემოაღნიშნულ საკითხებს კი არ გვიშლის, არამედ, 70—80-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სურათსაც იძლევა. გ. წერეთლის მხატვრული თვალი ხედავს არა მარტო ფეოდალური ბუდეების კატასტროფულ ნგრევას, ან ახალი ცხოვრების პირობებში ამ ბუდეების ტრადიციებით დამახინჯებულ იერემიებს თავის ძმაბიჭვებით, ან თუნდაც ამავე პირობებში განვითარებულ ახალ ფენას — ბურჟუაზიას ბახვასა და სხვათა სახით, ან თუ გნებავთ, სოფლის ყოფის რღვევას. ახლის დასაწყისს, არამედ, აქ აგრეთვე გაშლილია კაპიტალიზაციის ზეგავლენით შექმნილი პროვინციის ქალაქების (ფოთის) და ცენტრისაც (თბილისის) საზოგადოებრივი და სოციალური ურთიერთობა.

რომან „პირველი ნაბიჯში“ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სურათია მოცემული, დაწყებული სამეგრელოს ღარიბი გლეხის მდგომარეობიდან და გათავებული მეფის შოადგილის სასახლით. ამ რომანში, შეიძლება ითქვას, კაპიტალიზაციის ნიადაგზე მთელი ჩვენი ფერცვლილი ცხოვრება და შექმნილი სოციალური ურთიერთობაა წარმოდგენილი. ავტორი დაკვირვებულ მკითხველს აგრძნობინებს, რომ საქართველოს საზოგადოებ-

რევ ცხოვრებაში შემოჭრილია ახალი, რომელიც დაუნდობლად ცდილობს ძველის გარდაქმნას.

გ. წერეთლის შემოქმედებაში (სხვათა შორის თემატურად მეტად მდიდარში) სამი ძირითადი საკითხია დიდი გულისყურით გაშლილი: 1) ძველი ფეოდალური ყოფის აუცილებელი და კატასტროფული რღვევა; 2) ახალი კლასის, ბურჟუაზიის ფეხის ადგმა და გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე და 3) ახალი ცხოვრების პირობებში მოწინავე ახალგაზრდობის დიფერენციაცია. ეს სამი თემა გ. წერეთლის შემოქმედებას, შესაძლებელია ითქვას, წითელ ზოლსავეთ გასდევს.

ბურჟუაზიის სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლის საკითხთან ერთად გ. წერეთელი დიდის ინტერესით ავითარებს აგრეთვე როლს ახალი თაობისას ანუ ინტელიგენციისას, რომელიც ბურჟუაზიასთან ერთად ამ ახალი ცხოვრების წრეში ჩადგომას ლამობს. ახალი ცხოვრების ტენდენციების გატანას აპირებს ფართო მასებში. ეს არის ახალი თაობა, მაგრამ გ. წერეთელი თვით ამ ახალ თაობაში ხედავს დიფერენციაციას, თითქმის მის დასაწყისში ახალი თაობის ახალ თაობასაც ხედავს.

ახალ თაობაში სხვაობის ასახვა გ. წერეთლის შემოქმედებაში აღრიდანვე მქაღვნდება. ამ სხვაობას გ. წერეთელი ხედავს ჯერ კიდევ პეტერბურგის (ახლანდელი ლენინგრადის) უნივერსიტეტში შესვლისთანავე. ეს გამომქაღვნებულია მის „მგზავრის წიგნებში“. გ. წერეთელი უნივერსიტეტში შესვლისთანავე ახალთაობაში ამჩნევს შემდეგს ორ ჯგუფს: ერთი ჯგუფია, რომელიც კულტურას, განათლებას, მეცნიერებას იღებს იმდენად, რამდენადაც მას ყველა ეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეუქმნის გარკვეულ სასარგებლო მდგომარეობას. მათთვის იღეა ახალ ცხოვრებაში გზის გაკაფვისათვის ერთგვარი საშუალებაა, რომ, თუ შესაძლებლობა ხელს მისცემს, ადვილად იგდონ ხელთ ჩინოვნიკის დიდი თანამდებობა.

ავტორი ასე გადმოგვეცემს თავის შთაბეჭდილებას: როდესაც ის საქართველოდან, მაღალი მისწრაფებებით გატაცებული, ჩავიდა რუსეთს და სტუდენტთა წრეში შევიდა, მან პირველსავე შეხვედრაზე სტუდენტთა შორის ძირითადი იდეური სხვაობა ძალუმად განიცადა.

ეს იყო 60-იანი წლები. 60-იანი წლები-კი, როგორც ცნობილია, ის ხანაა, როდესაც სიცოცხლის მაჯა სტუდენტობაში მძლავრად ცემდა. უსაფუძვლოდ არ იყო ცნობილი თქმა: „რუსეთში მხოლოდ უნივერსიტეტია ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მოსამზადებელი“. თვით გ. წერეთელიც იზიარებს ამ აზრს. ამიტომ, რომ ის

ასე მიეშურება უნივერსიტეტში შესასვლელად. ავტორი ჩადის პეტერბურგში, სადაც მას ყველაფერი იზიდავს და იტაცებს. მას და მის ამხანაგებს დიდი სურვილი აქვთ სრული თავისუფლებით, დაუკითხავად ჩალრმავებულებიყვნენ ამ მრავალფეროვან, ახალ, უცნობსა, უნახავსა და მათთვის საკვირველ ცხოვრებაში. მას სურდა ამ ახალი ცხოვრების სარბიელზე თავისი თავიც ეცადნა. დამახასიათებელი განცდაა ნიჭიერი ახალგაზრდის განწყობილებისა.

პეტერბურგში ჩასვლისთანავე ამ ახალგაზრდებმა გაიცნეს კავკასიელების წრე და მისი ერთი „საქები“ წარმომადგენელი კიკოლიკი. „პირველად, — მოგვითხრობს ავტორი, — კიკოლიკს შევხვდი 186.. წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში. ის მაშინ კურსს ათავებდა. მე და ჩემი ამხანაგები გუშინდელი მოსულები ვიყავით. სწორედ ხარის ტკიპებსა ვგვანდით... ჩვენ ჩავედით იმ დროს, როცა ყველა კიკოლიკის ამხანაგობა, იმის ტოლები პეტერბურგიდან წამოსულიყვნენ თავის ქვეყანაში; დარჩენილიყო მარტოდ მარტო კიკოლიკი, თითქოს მართლა და ახალი ბლარტების ძეკლად და კრუხად გამხდარიყო“<sup>28</sup>.

ახლად ჩასულნი მივიდნენ კავკასიელთა წრეში. გაიცნეს კიკოლიკი. უკანასკნელმა ახლად ჩამოსულნი დიდი ყურადღებით მიიღო, ალერსიანად მოექცა, მათდამი მზრუნველობა გამოიჩინა და „შესაფერისი“ დარიგებაც მისცა. აი თავის შეხვედრას კიკოლიკთან ავტორი როგორ გადმოგვცემს: „შენ, ახლა, ყმაწვილო, ახალმოსული ხარო, ნევსკის პროსპექტზე ნუ დაიწყებ სიარულს. ბევრი არის აქ ისეთი ყმაწვილები, რომელთაც მხოლოდ ქეიფი, სიმღერა და ღამით დროს გატარება უყვართ, ნურც იმისთანა კაცებს გაიცნობ. ამ ცოტა ხანში უნივერსიტეტი გაიხსნება, სწავლა დაიწყება, იქნება რამე უკმაყოფილება მოხდეს, შენ მონაწილეობას ნუ მიიღებ, თუ რამე შეკრებილება მოხდეს უნივერსიტეტის ზალაში, შენ აიღე ქუდი და შინ გასწიე, გამოიქეცი, რომ იქ უნივერსიტეტის მთავრობამ არა შეგნიშნოს“<sup>29</sup>.

აქედანვე ცხადია, კიკოლიკში ავტორი დაინახავს მეტად ფრთაშეკვეცილს, პრაქტიკოსს, თავისი პირადი კეთილდღეობისათვის რომ ზრუნავს. თუ კიკოლიკს დაუტოვებია თავისი მამაპაპეული სახლი, სწორედ იმისათვის, რომ სწავლით მოახერხოს მეტი უზრუნველი ცხოვრების შექმნა და ამ დარღვეულობაში თავი გადაიჩინოს, ასეთი შეხედულება ცხოვრებაზე ვერ აკმაყოფილებს ცხოველი მის-

28 გ. წ ე რ თ ე ლ ი, მგზავრის წიგნები, გვ. 107.

29 ი ქ ვ ე.



წრფეებით გატაცებულ ახალმოსულთ. თავისი უკმაყოფილება კი-კოლიკისადმი რომ უფრო გაამახვილოს, ავტორს გამოჰყავს მისი საწინააღმდეგო ხასიათი პოლონელი სტუდენტის ხ...სკის სახით. მათი მსოფლმხედველობის სხვაობას ავტორი ამჟღავნებს გაკამათების საშუალებით. ამ გაკამათებაში გ. წერეთელი, როგორც მას ხშირად სჩვევია, პუბლიცისტიკაში ვარდება<sup>30</sup>. ავტორი ამჟღავნებს ხ...სკის ზისწრაფებათა სიმადლეს, მიშზიდველობასა. ამარცხებს კიკოლიკს და თვითონაც ხ...სკის მხარეზეა მთელი თავისი ახალგაზრდული გატაცებით.

აი როგორ გვიხასიათებს ამ პიროვნებას ავტორი: „ეს იყო პოლონელი სტუდენტი, რომელიც იმ დროს ემზადებოდა კურსის შესრულებას და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გარეშე ტომის ახალგაზრდობას, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში შემოდოდა კურსის დასასრულებლად. ის იყო თავის თანამემამულეების შოთავე ქაცი, თავის მოქმედებაში ჰქონდა დიდი რწმუნება და ჭირში და ლხინში ისინიც იმასთან იყვნენ. ეს ყმაწვილი ისტორიულ და საპოლიტიკო საგნებზე ათავებდა კურსს. და, როგორც მაშინ მითხრეს, მამულის მსხვერპლად ემზადებოდა. თავის ამხანაგობაში ძალიან კარგი განწყობილება ჰქონდა და ყოველის შესანიშნავი შემთხვევისათვის წინაღვე ჰკრებდა თავის მემამულეებს და იმათთან ერთად იწყებდა რიგსა და წესსა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მომავალ შემთხვევაში. ამ ყმაწვილს სურდა ქართველ სტუდენტობას დაახლოვებოდა... და თავის მემამულეებთან დაეახლოვებინა... მოვა დრო, როცა ჩვენ ერთმანეთის საჭირონი გავხდებით, და თუ ახლავე ძმებივით არ შევეზარდეთ, თუ აქვე ამ უნივერსიტეტის საქმეებში ერთმანეთის დახმარება არ ვისწავლეთ, მერე უფრო ვრცელს ასპარეზზე სადღა მოვნახავთ ერთმანეთსო; გარემოებით დაშორებულნი, აზრითა და გულით მაინც ვიყოთ ერთმანეთთან ძაფგატარებული და თუ ხელს არა, ხმას მაინც უნდა ვაძლევდეთ ერთმანეთს, რომ საერთო ჭირი გავინაწილოთ“<sup>31</sup>.

გ. წერეთელი დიდის ინტერესით (თუმცა მხატვრულობის თვალსაზრისით მეტად გაჭიანურებულია) ავითარებს ხ...სკის შეხე-

<sup>30</sup> და ეს ხშირად გ. წერეთელს მარტო იმისათვის კი არ ემართება. რაჰმრავალ სხვადასხვა თემაზე წერს და საერთოდ ბევრს (ეფიქრობთ, ეს მეორეხარისხოვანი მიზეზია), არამედ იმისათვის, რომ უდავოდ, გ. წერეთელში პუბლიცისტი უფრო მძლავრია, ვიდრე მხატვარი. მაგრამ არ იქნება მართებული, რომ გ. წერეთლის შემოქმედებაში მხატვრული ნიჭი სრულიად არ დავინახოთ, ან ისე დავაკნინოთ, როგორც ამას კიტა აბაშიძე ფიქრობდა.

<sup>31</sup> გ. წერეთელი, მგზავრის წიგნები, გვ. 110—111.

დულებებს, გზადაგზა უპირისპირებს (ხან კამათის, ხან დართული დახასიათების გზით) ხ...სკის კიკოლიკს და მის წრეს, ყველგან სახე პოლონელი სტუდენტისა განსხივებულია. ყოველი მისი მოქმედება და სიტყვა ავტორისაგან უდავო ჭეშმარიტებადაა მიღებული. „როგორც ციმციმა ვარსკვლავი, ისე ჩაუვარდებოდა თავში იმის გამგონსო“, — ამბობს ავტორი, — ხ...სკის ფხიზელი შეხედულება ეროვნულ საკითხებზე, მის მზადებაზე, მისი დამოკიდებულება შინაგანი პოლიტიკისა და მართვა-გამგეობისადმი, შეფასება შინაგან ძალთა განწყობილებისა, თუ გარეშე პოლიტიკისა (გარიბალდის შეხედულება სამღვდლოებზე, რომელიც გულით ხალხს რყენის და აყროლებს ხალხის არემარეს..). ოდნავი სიოც საქმაოა, რომ მოსთხაროს ეს ურყევი ფესვები ფხვიერი ნიდაგიდან და შორს გადააგდოს: ადამიანისა და ისტორიული მომენტების ვაგება, მეცნიერებით სარგებლობა და სხვა, რაშიც ხ...სკი განსხვავდება კიკოლიკისა და მისი წრისაგან (შემდეგში ესენი გ. წერეთელს ცნობილი ჰყავს „რუსეთუმეს“ სახელწოდებით). ყველა ამაში გ. წერეთელი და მასთან ახლადმოსული ქართველი ახალგაზრდები ხ...სკის ემხრობიან.

პოლონელი სტუდენტის დახასიათებაში გ. წერეთელი მკაფიოდ იძლევა თავის მისწრაფებას და ეს მისწრაფებანი მას ახასიათებს, როგორც ტიპიურ თერგდალეულს. განსაკუთრებით დამახასიათებელია ხ...სკის ეროვნული ტიპილი, ეროვნული განათვისუფლების იდეა. თვალყურის დევნება, რა კეთდება სხვაგან, სხვათა გამოცდილების გამოყენება, სერიოზული დამოკიდებულება მეცნიერებისადმი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და მსხვერპლის გაწირვა. სწორედ 60-იან წლებში თერგდალეულთათვის ეს მისწრაფებანი დამახასიათებელი იყო.

უნივერსიტეტის ქართველ ახალგაზრდობაში არსებული სხვაობა, გ. წერეთლის დახატვით, შემდეგ პრაქტიკული მოღვაწეობის ასპარეზზეც მკლავნდება. ერთია ბანაკი კიკოლიკისა, ჩიკოლიკისა („მგზავრის წიგნები“) და რუსეთუმეებისა („გულქან“), მეორეა — სალათასი („მგზავრის წიგნება“) და პაწია წრე ახალგაზრდობისა („გულქან“).

პირველი ბანაკი ახალგაზრდობისა უმყარნიდაგოა, მაღალი მისწრაფებანი მას იქამდე ახასიათებს, სანამდე კარგს ადგილს იშოვნის, როცა-კი თბილ ადგილს მიიღებენ (როგორც მაგალითად, კიკოლიკი, ჩიკოლიკი ან რუსეთუმე), უმალ ცხრებიან, კანონიერებისა და მითინების ქადაგებას იწყებენ, როგორც, მაგალითად, კიკოლიკი. შესაფერ მომენტში ამ ბანაკმა მიანება თავი საზოგადო საქმიანობა-

საც და ლიტერატურულ მოღვაწეობასაც. „დროა თეორეტიკული ცხოვრების აღნაქვისი, — ამბობდნენ ისინი, — პრაქტიკული მოქმედებით გავამრავლოთ და შევუდგეთ კარგი ჯამაგირიანი ადგილებით კეთილ ცხოვრებას“. მართლაც, „კარგად შეეჩვიენ თავის ჯამაგირიანი ადგილებს, შრომას აკლეს, განცხრომას უმატეს, თუმცა იმავე დროს თვითეული მათგანი მოღვაწეობის დაფნის გვირგვინს უარს არა ჰყოფდა“<sup>32</sup>.

ასეთია ახალთაობის პირველი ბანაკი ანუ, როგორც თვითონ გ. წერეთელი ეძახის, — „პირველი დასი“. აშკარაა, ავტორს ამ ჯგუფის დახატვაში ერთგვარი პირადი ხასიათის ნიუანსები შეაქვს. აშკარა მიკერძოებასაც იჩენს, ტენდენციურად ხატავს თერგდალეულთა ამ ჯგუფის სუსტ და მერყევე მხარეს.

ფაქტია ისიც, რომ თერგდალეულთა შორის შინაგანი დიფერენციაცია თითქმის თავიდანვე მოჩანდა, მაგრამ ეს სხვაობა არ უშლიდა მათ მთლიან ფრონტს და ერთი ძირითადი გეზი ჰქონდათ.

გ. წერეთელი 60-იანი წლების მოღვაწეთა შორის ამ სხვაობას ასე ახასიათებს უფრონალ „კვალის“ ერთ-ერთ თავის პუბლიცისტურ წერილში: „1866 წლიდან, — წერს ის, — გამოჩნდა ახალი უფრო პროგრესული მოძრაობა ქართულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სფეროში. ამ დროს გამოჩნდა მეორე დასი. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა 1869 წ-დან. 1877 წ-მდე ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა „დროება“-„კრებულის“ რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი. ამათვე შემოუერთდა განკერძოებულად მოღვაწე პოეტი აკაკი წერეთელი. ეს მეორე დასი იყო პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი“. ამ დასს, გ. წერეთლის მოწმობით, განუწვევებელი უმუშავნია მთელი ათი წელიწადი 1877 წლამდე. შემდეგ მათ შორისაც მომხდარა ახალი დიფერენციაცია. ამ ახალი დასის მსოფლმხედველობას გ. წერეთელი აღარებს 60-იანი წლების პირველი დასის მოღვაწეთა მსოფლმხედველობას და შემდეგ თეზისებში გამოხატავს ახალი ჯგუფის მრწამსს:

1. „ხელოვნურ ან სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში მან დააარსა ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი.

2. პოლიტიკურ-ეკონომიურ შეხედულებაში ის ემხრობოდა უფრო პოლიტიკურ-ეკონომისტის მილის თეორიას, მაგრამ ცხოვ-

32 გ. წერეთელი, გულქან, გვ. 364.

რებაში ეს პროგრესულ-დემოკრატიული დასი ბურჟუაზიასა და მუშა ხალხს შორის გამწვავებული ბრძოლის დროს უფრო იმ თეორიას აღგა, რომ სახელმწიფო კანონმდებლობით ძალა უნდა შეერიოს ამ ბრძოლაში მუშათა კლასის სასარგებლოდ, რომ მან ალაგმოს ძალ-მომრეობა ბურჟუაზიისათ.

3. საზოგადოებრივი წყობილების განვითარებაში ეს დასი უარყოფდა როგორც თავადაზნაურობას, ისე დაბალი ხალხის განეკრძობებით ყოფნას. მან წამოაყენა ნამდვილი ერი, რომელშიაც თანასწორი უფლებით შედიოდნენ ყველა წოდებები, რაც ერთისკენ სასწორს არ ხრიდა, ხოლო დემოკრატიული, წოდებათა განურჩევლად საზოგადო წესწყობილება მიაჩნდა ასეთი ერის შესაფერად.

4. საკრედიტო დაწესებულებათა შორის ის ეწინააღმდეგებოდა თავადაზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის დაარსებას, ამის მაგიერად ის ურჩევდა მოკლევადიან სამრეწველო ბანკების წესწყობილებას. ამასთან ამ დასმა წამოაყენა წინ სასოფლო და სამრეწველო კრედიტი და ერთი ამგვარი წვრილმანი ბანკი კიდევ დააარსა იმ დროს ტფილისში წვრილმან ვაჭრებისათვის<sup>33</sup>.

გ. წერეთლის მიერ აღნიშნული განსხვავებანი ამ ორ ჯგუფს შორის არ არის მთლიანად სწორი. თუ ჩაუყვირდებით მათ მოღვაწეობას და ობიექტურად შევაფასებთ, დავრწმუნდებით, რომ ძირითადში ეს ორი ჯგუფი ერთია, განსხვავება მხოლოდ მერყეობაშია (в колебании).

ამიტომ არ არის დამარწმუნებელი გ. წერეთლის შემდეგი მტკიცება: „თუმცა ეს ორივე მესამოცე წლებში გამოვიდნენ ლიტერატურის და ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ ისინი ერთმანეთში ისე განირჩევიდნენ, როგორც ცეცხლი და წყალი და ლიტერატურაში მუდამ პრინციპიალურად იბრძოდნენ“. განმასხვავებელი მხარეები წათ მსოფლმხედველობაში, უდავოდ, არის, მაგრამ ესენი არ არიან არსებითად სხვანი. ამ ჯგუფებს შორის წინააღმდეგობა ხშირად პიროვნულ ნიადაგზე იყო ხოლმე გაშლილი. გ. წერეთელი ამ ჯგუფში შეიძლება უფრო მემარცხენეა თავისი მსოფლმხედველობით. ძირითადში კი ერთიანი მესამოციანელების ჯგუფია.

დაახლოებით ამგვარ დახასიათებას ახალი ახალგაზრდობისას გ. წერეთელი იძლევა თავის მხატვრულ შემოქმედებაშიც — „გულქანსა“ და „მგზავრის წიგნებში“ პუბლიცისტური ელემენტების გადაჭარბებული ჩართვით. „გულქანის“ მთელი მესამე ნაწილი

<sup>33</sup> გ. წერეთელი, კიტა აბაშიძე და „ჩენი ახალგაზრდობა“, „კვალი“, 1897 წ., № 46.

თითქმის ამ ახალთაობათა საქმიანობის გაშლასა აქვს დათმობილი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს „ახალი ახალგაზრდობა“ არ არის გარკვეული პოზიციით ასახული. ძირითადი და არსებითი განსხვავებული თვისებები „ახალი ახალგაზრდობისა“ ავტორს არა აქვს მოცემული. ვფიქრობთ, გაურკვეველადაა რომანში მოცემული ამ ახალი ახალგაზრდობის შემდეგი დახასიათება: „ისინი არც ღიღობენ, არც სოფლისათა ერიდებოდნენ, არც წვრილთა, მაგრამ უზნეოთა შებრალება იცოდნენ. ყველას ამხილებდნენ და ყოველწინაირ საკითხს პასუხს აძლევდნენ. ყოველ ცხოვრების ახალ მოვლენას შეძლებისადა გვარად იკვლევდნენ. ბევრი მტერი, ბევრი მაგინებელი და მკიცხავი შეიძინა ამ პაწია წერემ ახალგაზრდობისამ. მაგრამ გასაჭირს არ ერიდებოდა. ან კიდევ: „მეტად ახირებული შეხედულებისა იყვნენ ამ ახალგაზრდობის წევრნი, რომელთაც იმ დროს ჩაიბუდეს განსაკუთრებით ჟურნალ-გაზეთებში... თვითონ თავისთავად ესენი არ დაეძებდნენ არც კაი ჯამაგირიან ადგილებს, არც კეთილ ცხოვრებას. იმათ არ უყვარდათ არც კარგი ჩაცმა-დახურვა, არც ფრაკი და კოთხო, არც თეთრი ლაიკის ხელთათმანები, არც ვიზიტებზე ეტლით ჩინდრიკი. ერთი სიტყვით, ისინი ყოველისფრით განირჩეოდნენ რუსეთუმესებური დარბაისელი თაობიდან. ისინი ქადაგებდნენ: „დროა საზოგადოებამ ძილს თავი დაანებოს და გამოფხიზლდესო, თერგდალეულებს ნუ აყოლია, რადგან ამათ საკუთარი ინტერესების მეტი არა ეპრიანებათ რაო“.

ეს უკანასკნელი დახასიათება რუსეთუმეების — თერგდალეულების მიმართ, რა თქმა უნდა, უმართებულოა და აშკარად მაჩვენებელია გ. წერეთლის პირადი არამართებული, გაღიზიანებული დამოკიდებულებისა მათდამი.

ვფიქრობთ, ასეთი თქმები არაფერს გარკვეულს მკითხველს არ აძლევს. ასეთივე დებულებები თავის შესახებ შეეძლო წამოეყენებინა ახალთაობის იმ ჯგუფსაც, რომელსაც გ. წერეთელი აქ ერთგვარად კიცხავს.

ამ ახალი ახალგაზრდობის განსხვავებული დახასიათება გ. წერეთელს უფრო გარკვეულად აქვს მოცემული „მგზავრის წიგნებში“ კიკოლიკისა და სადათას დაპირისპირებით.

კიკოლიკი ისეთი ქართველი განათლებული პირია, რომელიც ლიბერალობდა (გლახთა საკითხში), მაღალ მისწრაფებებზე ლაპარაკობდა (საზოგადოებაში) მანამდე, სანამ კარგ ჯამაგირიან ადგილს იშოვიდა, თავის პირად ოჯახურ ცხოვრებას მოაწყობდა. კიკოლიკს ყური მოუკრავს. რომ გაზეთის გამოცემა მეტად ხელსაყრელი საქმეა. გამომცემელს კარგ შემოსავალსაც მისცემს და საზოგადოებაში

პატივისცემასაც მოუპოვებს. კიკოლიკს სურს ისარგებლოს ამ გარემოებით, სახელი მოიხვეჭოს, არაფერი გასწიროს. კიკოლიკი საზოგადოებას ისე აჩვენებს თავს, ვითომც მას გაზეთის გამოცემა მხოლოდ საზოგადოების წინააწევისა, გამოფხიზლებისა და ამოქმედებისათვის უნდა. ვითომც ის, როგორც საზოგადოებისათვის გულშემატივარი, ვალდებულებას გრძნობს და მზადაა მსხვერპლი გასწიროს, სინამდვილეში-კი თვითონ არაფერს არ აკეთებს, მხოლოდ სარგებლობს. გაზეთის ხელმძღვანელობის სიმძიმე-კი მთლად კისერზე აწვება ს ა ლ ა თ ა ს.

სალათას სახით ავტორს განზრახვა აქვს ახალთაობის სახე მოგვცეს. რას წარმოადგენს სალათა? სალათა ხელმოკლეობის გამო უნივერსიტეტიდან დაბრუნებულიყო. სამსახურის სურვილი არ ჰქონდა, და არც შინ მუქთა პურის ჭამა უნდოდა. ამიტომ მან იწყო სიარული სოფლად და ქუთაისის მახლობლად გახსნა გლეხებისათვის სკოლა. სკოლის საქმე კარგად წავიდა. გლეხკაცები კმაყოფილნი იყვნენ. მაგრამ ამ გარემოებამ ადელევა ადგილობრივი წვრილფეხა აზნაურები. ხმა გავრცელდა, რომ რუსეთუმე მასწავლებელი გლეხებს აგონებს: „თქვენ ბატონებს ნუ ემსახურებით, თქვენ და თქვენი ბატონები სულ ერთი ხართ“. შეგროვდნენ ისინი და გადაწყვიტეს მიუგზავნონ რუსეთუმე მასწავლებელს თავიანთი წარმომადგენლები, რომ გლეხის შვილების სწავლებას თავი დაანებოს, წავიდეს თავისთვის, თორემ თავსა და პირს დაამტკრევენ. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ სალათასთან სასწავლებელში მოდის ერთი „ქალამნიანი და ჩოხა შემოტრეტილი აზნაური“ და სალათას ასე მიმართავს: „ჩვენმა გვარის აზნაურიშვილებმა შემოგიტვალეს, გლეხების შვილების სწავლებას თავი დაანებო და შენთვის წადი, თვარამ ცუდათ მოგივაო“<sup>35</sup>.

გაოცებული სალათა აზნაურთა წარმომადგენელს ეუბნება, რომ აზნაურებმაც გამოგზავნონ თავიანთი შვილები და ის იმათაც სიამოვნებით ასწავლის. ქალამნიანი აზნაური გაკვირვებული უპასუხებს: „ეგ როგორ იქნება, ღმერთი გადღეგრძელებს, ჩვენს შვილს გლეხის შვილთან ერთად როგორ დავსვამთ... გლეხი სხვაა და აზნაური სხვაო“. ასეთი შეხედულებით გამოწვეულს გაწყრომაზე სალათას ქალამნიანი აზნაური დაემუქრება. მართლაც, ეს წვრილფეხა აზნაურები სალათას აღარ აბოგინებენ. უკანასკნელი იძულებულია დატოვოს თავისი საყვარელი საქმე.

ორმაგი ინტერესი აქვს ამ გარემოებას, ერთი მხრით, წვრილ-

35 გ. წ ე რ ე ლ ი, მგზავრის წიგნები, გვ. 147—148.

ფეხა აზნაურობის შერჩენილი ქედმადლობა, როცა არავითარი ეკონომიური ბაზა ამისათვის მას აღარ გააჩნია. გ. წერეთელს საერთოდ უყვარს და ეხერხება კიდევ ასეთ წინააღმდეგობაში დახატოს თავაზნაურობა (კულაბზიკა, ჩიგონია, საწიოკეს მებატონენი და სხვ.).

იუმორული ნიჭი გ. წერეთლისა მხატვრულ შთაბეჭდილებას მკითხველში უქვევლად აძლიერებს. მისი სიცილი არ არის ილიას მწარე სარკაზმი („კაცია-ადამიანში?!“, „ბედნიერ ერში“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „გამოცანებში“ თუ „სცენებში მოპრიგებელ მოსამართლესთან“ რომაა მოცემული), არც აკაკის გესლიანი ისრის კვრავა; თუ გნებავთ არც გ. ერისთავის დაცინვა. გ. წერეთლის იუმორი რბილია, მომღიმარია. ავტორი დამშვიდებულია და მკითხველს აცინებს, არავითარ ტყვიულს გაკიცხულისადმი არც თვითონ გრძნობს და არც მკითხველში აღძრავს. გ. წერეთლის იუმორი მკითხველში ქმნის სურათს ისეთი ადამიანისას, რომელიც ნამდვილი და დრომოკმული ცხოვრების საზღვარზე დგას, შემთხვევით გადმოსულა ახალში, ახალს ვერ გრძნობს, ებლაუტება დრომოკმული ცხოვრების ტრადიციებს, რომელთაც ის ვეღარ იმაგრებს, რადგან სინამდვილეში უძალოა; ის-კი ამას ვერ გრძნობს. ეს გარემოება მას კომიკურ მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ, რომ მკითხველი თავისუფლად იცინის. ასეთსავე სიცილს გვრის სწორედ წვრილფეხა აზნაურების ქალამნიანი წარმომადგენელი, რომელსაც მიუღებლად მიაჩნია გლეხის შვილებთან დასვას სასწავლებლად თავისი შვილიც.

მეორე გახლავთ ის გარემოება, რომ 60-იან წლებში ჩნდება ახალგაზრდობა, გატაცებული იდეებით, გამზადებული ხალხში სასიარულოდ და ერთგვარი მსხვერპლის გაწირვისათვის. მათი წარმომადგენელია საღათა.

ახალი ძალა დაპირისპირებულია დახვესებულ პრივილეგიურ კლასთან და ზერელე მოაზროვნე „გაჩინოვნიკებულ“ ახალთაობასთან, რომელთანაც თერგდალეულებს არავითარი საერთო არა ჰქონდათ, რომლებსაც ისინიც დაუნდობლად ამათრახებდნენ.

საღათა, როცა აზნაურებმა სოფლიდან გამოაძევეს, ქუთაისში ცხოვრობდა. ის მოქმედების ასპარეზს ეძებდა და ვერ პოულობდა. ამ დროს მას მოუვიდა კიკოლიკის წერილი. მას იწვევდნენ თბილისში საზოგადოებრივი საქმის (გაზეთის) ხელმძღვანელობისათვის, თანამშრომლობისათვის.

საღათაც სიამოვნებით თანხმდება და გატაცებით შეუდგება გაზეთის ფაქტიურ სრულ ხელმძღვანელობას. საღათა არც ცოდნას,

არც ენერჯიას არა ზოგადად იმ იმედით, რომ ისიც სასარგებლო თესლს დასთესდა თავის ხალხში.

სალათას ცოდნით, ნიჭით, გამჭირიანობით, თავდაუზოგველობით ხერხიანად ისარგებლა კიკოლიკმა. მან საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა ადვილად მოიხვეჭა. კიკოლიკი ყველას ისე არწმუნებდა (თითქოს ერთგვარი თავდაპირილობითაც-კი), რომ მხოლოდ ის არის ბურჯი გაზეთისა და რედაქტორი, ნიჭიერ თანამშრომელს სალათასაც ის ხელმძღვანელობს. ამგვარი ლაპარაკითა და მოქცევით კიკოლიკმა სახელთან ერთად, საზოგადოებაშიც მდგომარეობა განიმტკიცა და კარგა წარჩინებული და დიდჯამაგირიანი ადგილიც იშოვა.

სალათა-კი, პირიქით, საზოგადოებრივ საქმეს ეტანება. მისთვის ყველაფერს სწირავს, მაგრამ ამაზე ის არამცთუ არა ყვირის, არავისაც კი არ ეუბნება. ყვირილი, თავის ქება, თავის მუშაობის გახმაურება სალათას ბუნებას არ ეგუება.

აი ასეთია, გ. წერეთლის შეხედულებით, სხვაობა, რომელიც ქართველ ახალთაობაში 60-იან წლებშივე ჩნდება. გ. წერეთლის მიერ დახატული სხვაობა, რა თქმა უნდა, არაა სამართლიანი, სუბიექტური კარნახის ძალით, ის აქეთ ან იქით სწევს სასწორის ყურს და ღალატობს „შეუფერავი“ თუ „შეუკეთებელი“ რეალიზმის პრინციპებს, რომელიც თვითონვე წამოაყენა, მაგრამ, ცხადია, 60-იანი წლების თაობაში არის სხვაობა. ამას გ. წერეთლის გარდა, სხვანიც აღნიშნავდნენ თავის დროზე (მაგალითად, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი). ეს სხვაობა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, არ იყო არსებითი და მათი მოღვაწეობის ერთიან ფრონტს არ არღვევდა. გ. წერეთლის სიმპათიები შედარებით უფრო რადიკალური იყო.

თუ ამას დაუვმატებთ გ. წერეთლის მიერ ახალი ცხოვრების ალღოს აღებას, ეკონომიური საკითხების უფრო სწორ და ახლო გაგებას, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების აუცილებლობას, მის პროგრესულ მნიშვნელობას და ახალი კლასისათვის — ბურჟუაზიისათვის ადგილის დათმობას, ვიდრე, ამას სხვა თერგდალეულებში ვხედავთ, აშკარა გახდება, რომ გ. წერეთლის პოზიცია უფრო რადიკალურია, ვიდრე ზოგიერთ თერგდალეულთა.

გ. წერეთელი ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიის გაძლიერების, ჩვენი ცხოვრების გაევრობელების აუცილებლობას აშკარად გრძნობს და ქადაგებს, როგორც პუბლიცისტურ წერილებში, ისე თავის მხატვრულ შემოქმედებაში. ბურჟუაზიასთან შეზრდის აუცილებლო-



ბა თერგდალეულებმა რომ იგრძნეს, გ. წერეთელმა უფრო გამახვილებულად განიცადა და უფრო რადიკალური გზის აუცილებლობაც დაგვანახვა.

აი ეს მცირედი, შეიძლება არაარსებოთი განსხვავებაა. გიორგი წერეთელს რომ თავისებურ ადგილს ანიჭებს 60-იანი წლებისა და 90-იან წლების მოღვაწეთა შორის.

ცნობილია, რომ გ. წერეთელმა უფრო „ქვალი“ კარები ფართოდ გაუღო, როგორც თვითონ ამბობს, „არაჩვეულებრივი მიმართულების თითო-ოროლა ახალგაზრდას... თავისებური პროგრამით“. ესენი იყვნენ ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი „მესამე დასელები“. გ. წერეთელი თავის წერილში გულახდილად აცხადებს, რომ მას „წილად ხვდა ყველაზე ადრე შეენიშნა ეს ახალი პროგრესული მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში... ის „დიდი ხანია მოელოდა მესამე დასს და კიდევ მოვიდა“<sup>36</sup>. მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, გ. წერეთელმა „მესამე დასელებთან“ მაინც სავსებით მისვლა ვერ მოახერხა. „მესამე დასელებში“ გ. წერეთელმა დაინახა განსაკუთრებით ისეთი ძალა, რომელიც ქვეყნის კაპიტალიზირებას უყურებდა, როგორც დადებით მოვლენას და ხელსაც უწყობდა. „მესამე დასის“ ნამდვილი ბუნება გ. წერეთლისათვის, რასაკვირველია, უცხო იყო და ასეთად დარჩა კიდევ.

გ. წერეთელი რომ გავათავისუფლოთ სხვადასხვა გავლენისაგან, დარჩება თერგდალეულთა მძლავრი წარმომადგენელი, რასაკვირველია, მოღვაწეობისა და საკითხთა გაგების თავისებურებით. ამით აიხსნება, რომ გიორგი წერეთელი ლიტერატურული შემოქმედების მიმართულებით, თემატიკით, გმირთა სახეების შექმნის ხერხებით, პეიზაჟის, კომპოზიციის თუ ლექსიკის მხრით თერგდალეულთა ლიტერატურული სტილის მიმდევარია.

ამრიგად. გ. წერეთლის შემოქმედების შესახებ შემდეგი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ:

1. გ. წერეთელი რეალისტი და არა ნატურალისტი;
2. მოქმედ პირთა გაშლის მხრით, ილიას შემოქმედების გავლენას განიცდის (დაზგა — ლ. თათქარიძე, იერემია წარბა — დათიკო, როდამი — ოთარაანთ ქვრივი და სხვა.). ქანრის მხრითაც აერთარებს სოციალურ რომანს, მოთხრობას;
3. პირველ პერიოდში გ. წერეთლის შემოქმედებას არ ახასიათებს არაკის განვითარება, მთლიანობა; დახვეწილობა აკლია

<sup>36</sup> გ. წერეთელი, კ. აბაშიძე და „ჩვენი ახალგაზრდობა“, „კვალი“, 1897 წ., № 46.

(„მგზავრის წიგნები“, „ჩვენი ცხოვრების ყვაილი“), საპაგი-  
როდ მეორე პერიოდში დაწერილი თხზულებანი, უდავოდ, მწერ-  
ლის ნიჭის განვითარების საბუთს იძლევა — „მამიდა ასმათი“, „რუ-  
ხი მგელი“, „გულქან“, „პირველი ნაბიჯი“;

4. გ. წერეთელი პოეტურ შემოქმედებაში არ მოჩანს დიდი  
ოსტატი, განვითარება ხშირად ზედმეტი დეტალებითაა დატვირთუ-  
ლი, ხშირად სჭარბობს პუბლიცისტიკა, რაც მხატვრულ შთაბეჭდი-  
ლებას ანელებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გ. წერეთელს ახა-  
სიათებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო და ღრმა ცოდ-  
ნა, დიდი დაკვირვების, მტკივნეული მოვლენების დანახვის, წამო-  
წვევის, თემის გამახვილებისა და ცოცხალ გმირთა გალერეის შექმნის  
უნარი, თუმცა ბევრს მათგანს (გმირის ხასიათს) ავტორი ვერ ამთავ-  
რებს. საპაგიროდ მთელი რიგი ხასიათისა ნიჭიერად აქვს დამთავ-  
რებული (მაგალითად, ვალიდა, იერემია წარბა, ლებოვი, სალომე,  
ესმა („პირველი ნაბიჯი“), რევაზ ბაკურიძე („გულქან“), მამიდა ას-  
მათი, ოთარი, როსაფი („მამიდა ასმათი“) და სხვანი);

5. გ. წერეთელი უდავოდ თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენ ლიტე-  
რატურაში როგორც მხატვრული შემოქმედებით („შეუფერავი“ რე-  
ალიზმი, მდიდარი თემატიკა), ისე პუბლიცისტური მოღვაწეობით  
(ახალი ცხოვრების აღლოს აღება და მისი განმტკიცებისათვის ხე-  
ლის შეწყობა). გ. წერეთელი პუბლიცისტიკაში უფრო რადიკალურ  
მოაზროვნედ მოჩანს, ვიდრე მხატვრულ შემოქმედებაში;

6. გ. წერეთლის ენა არაა დახვეწილი სალიტერატურო ენის  
თვალსაზრისით. მასში ხშირად გვხვდება პროვინციალიზმები.

## თერგდალეულთა ადგილი ქართულ მწერლობაში

თერგდალეულთა ჯგუფის (ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის, გ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის და სხვათა) ქართული მწერლობის სარბიელზე გამოსვლა, უდავოდ, დიდი მოვლენაა არა მარტო ქართული ლიტერატურისა, არამედ ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აზროვნებისა და მისი მთლიანი კულტურული ცხოვრების ისტორიაში.

შემონათქვამიდანაც მკითხველისათვის, ვფიქრობთ, ცხადი იქნება, რომ თერგდალეულთა მოღვაწეობა მრავალმხრივი და ამასთან ერთად დროული, ნაყოფიერი და დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ხსენებული ჯგუფი, გამოვიდა რა სამოქმედო ასპარეზზე დიდი სოციალური ძვრების პერიოდში, 60-იან წლებში რომ ჰქონდა ადგილი, გატაცებითა და ენერგიულად ჩაუდგა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს სათავეში. ის ფხიზელი თვალთ, მახვილი ყურით, დიდი სიყვარულითა და გონიერებით შეეცადა ჩვენი ხალხისა და ქვეყნის სინამდვილე, მისი ღზინი და ვარამი კარგად გაეგო. შეეაწავლა და თავდაუზოგველად ეწყო მისი გამოხმაურება-გამომწვევება; ცხოვრების „ყრუდ ჩაძახილის“ ხმამაღლა ამოძახება.

თერგდალეულები, ქართველი ხალხის ისტორიის ახალი გზის ენთუზიასტური ძიებით აღჭურვილნი, ხარბად დაეწაფნენ რუსეთის მოწინავე საზოგადოების რადიკალურ-რევოლუციური იდეებით სპლავრად ამოქმედებულ ცხოვრებას, მასში გამოახვედრეს თავისი მიზნებისათვის, თავისი ქვეყნის მოთხოვნილებებისათვის სათანადო აზრები, საკითხები და მისწრაფებანი. ისინი ურყევად დარწმუნდნენ, რომ „ველარ გაუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლვას“, რომ ძველი ყოფა დაინგრევა. მათ გამოიხატეს ახალი ცხოვრების ვარსკვლავი იმ ღრმა დემოკრატიული რწმენით, რომ „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

თერგდალეულებმა გატაცებითა და ღრმა შეგნებით იწყეს უკე-

თესი მომავლისაკენ „გზის გაყვანა“ — მიღებული იდეების თანახმად, ხალხის, ქვეყნის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, პირადის საზოგადოებისადმი დამორჩილებით. ამ მისწრაფებას ილ. ჭავჭავაძე — ეს თერგდალეულთა ბელადი, ასე აყალიბებს ერთ-ერთ თავის ლექსში „პოეტი“.

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტკიცე გული.

ამგვარსავე აზრს შთაგონებით ავითარებდა აკ. წერეთელიც:

სხვისი ლხენით ხომ ვიხარებ,  
თუ რომ ჩემ თავს დაერჩი ავად,  
და მაინც არ ვალიარებ  
შავს თეთრად და თეთრსა შავად.  
(„ჩონგური“)

თერგდალეულნი ახალი მოდგმის მოწინავე ქართველი ინტელიგენცია იყო, რომელმაც აშკარად გაითვალისწინა ახალი საერთო-საკაცობრიო კულტურის ზიარებისა და მასში მონაწილეობის გზის აღების გარდუვალობა, ხოლო ამ გზაზე ნაყოფიერი, შეგნებული სიარულისათვის სათანადო პასუხისმგებლობით მომზადების აუცილებლობა.

და უნდა ითქვას, თერგდალეულმა მწერლებმა შესძლეს ჩვენი მიძინებული, მოღუნებული, ფერმკრთალი ცხოვრების გამოფხიზლება, მისი ახალი გზით ამოძრავება; იწყეს საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლთა მოურიდებელი განქიქება, დრომოკმულ ზნეჩვეულებათა მავნე მნიშვნელობის დაუნდობელი გამომეკლავნება; მოწინავე კაცობრიობის იდეების, ხალხისათვის სასარგებლო აზრების ენერგიული დანერგვა. ამ მიზნისათვის მათ დაიწყეს წერა ახალი სალიტერატურო ქართული ენით, რომელსაც საფუძვლად დაუდეს და ნიჭიერადაც განამტკიცეს ხალხის, მასების ენა. ამ მიზნით შექმნეს და დიდი წარმატებითა და ნაყოფიერებითაც გამოიყენეს პერიოდული გამოცემანი — „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „კრებული“, „სასოფლო გაზეთი“, „ივერია“ და სხვა. თერგდალეული მწერლები ფხიზელ გუშავად ჩაუდგნენ აღნიშნულ პერიოდულ გამოცემებს, რომლებშიც მოწინავე კაცობრიობის იდეების პოზიციებიდან, ხალხის საკეთილდღეოდ მტკიცედ, გაბედულად ეხმარებოდნენ და გულდასმით არკვევდნენ, აშუქებდნენ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეულ, საჭირბოროტო საკითხებს. თერგდა-

ლუღლებმა მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს და საგრძნობლად გაამდიდრეს როგორც ქართული პუბლიცისტიკის, ისე ქართული კრიტიკის და მხატვრული ლიტერატურის სალი-საზოგადოებრივი განვითარების ისტორია.

თერგდალეულთ როგორც კალამი, ისე პრაქტიკული მოღვაწეობა იმდენად სჭირდებოდათ, რამდენადაც ისინი შუამავლად შეიქმნებოდნენ ხალხსა და კაცობრიობის კულტურულ მონაპოვართა შორის, რამდენადაც მათი საშუალებით ფართო მასებში გაიტანდნენ კაცობრიობის მონაპოვრებს. მხატვრულ ლიტერატურაში როგორც შინაარსისა, ისე ფორმის მხრით, მათ დახვეწეს და განამტკიცეს კრიტიკული რეალიზმი, რომელიც ფართოდ, მოურიდებლად და გაბედულად ხატავდა ჩვენი ცხოვრების მტკივნეულ მოვლენებს და მით მკითხველს ახალი უკეთესი მომავლის ფართო გზებს უჩვენებდა.

თერგდალეულების შემოქმედებაში ქართული ლიტერატურა არა მარტო მტკიცედ შედგა კრიტიკული მხატვრული რეალიზმის საფუძველზე, არა მარტო ჩვენი ეროვნული ცხოვრების მოვლენებსა და მოტივებს ანსახიერებდა, არამედ აგრეთვე საერთო-საკაცობრიო პოლიტიკურ-სოციალურ და ეკონომიურ-ფილოსოფიურ საკითხებსაც ძალუძად ეხმაურებოდა. თერგდალეულთა შემოქმედებაში ქართული ლიტერატურა საკაცობრიო შარავზაზე გამოდის. ის ცდილობს შედგეს რუსეთისა და კულტურული მსოფლიოს ცხოვრებისა და ლიტერატურის დონის სიმადლეზე.

თერგდალეულთა მოღვაწეობამ მძლავრად შეუწყო ხელი ხალხის მასების გათვითცნობიერების საქმეს. მათ ფართოდ, გაბედულად და თავდაუზოგველად გაშალეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი, რაც ფართო მკითხველთა მასებს რაზმავდა ძველი, დახავსებული ცხოვრების პირობების, ჩვეულებების. კოლონიური პოლიტიკისა და მონარქიული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამავე მიზნით მათ გაშალეს პრაქტიკული საქმიანობაც — იქნებოდა ეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თავისი ფართო მოივანეობის გეგმით (სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსებით სოფლად და საქართველოს პერიფერიებში, პოპულარული ლიტერატურის და სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემით და სხვა), იქნებოდა ეს ქართული თეატრის სალი მიმართულების მიცემა და მასზე ზრუნვა თუ ქვეყნის შინაგანი თუ გარეშე მტრების მდაბალი ზრახვების მხილება და სხვ.

თერგდალეულთა მიერ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში

განმტკიცებულმა კრიტიკულმა რეალიზმმა ქართულ სამწერლო ას-  
პარეზზე გამოიწვია მრავალრიცხოვანი ნიქიერი პლეადა მწერლე-  
ბისა. ეს მიმართულება XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაბატონე-  
ბულ მიმართულებად დარჩა. შეიძლება ითქვას, იშვიათია (ეფიქ-  
რობთ, არც არის) XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი  
მწერალი, რომელიც სრულიად თავისუფალი იყოს თერგდალეულთა  
მხატვრული სტილის გავლენისაგან. თერგდალეულ მწერალთა ლი-  
ტერატურული გავლენა XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაშიც  
საგრძობლად შეიმჩნევა.

# ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა

## ი. ჭავჭავაძე — მწერალი მოქალაქე\*

ილია ჭავჭავაძის ღირსეულად შეფასება ჯერ კიდევ ძნელი და რთული საქმეა. ამოუწურავია მის შთამაგონებელ აზრთა, მისწრაფებათა და საქმეთა სიუხვე, სიღრმე და სიფართოვე. იგი ქართული მიწიდან ამოზიდული საოცარი ზოდია — უხვი, როგორც საქართველოს ბარი, მრისხანე, შეუპოვარი და ბუმბერაზი — როგორც საქართველოს კლდოვანი მთა.

თუ გულისყურით ჩავიხედავთ ქართველი ხალხის XIX საუკუნის, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრის, ცხოვრებაში, გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მის ყოველ კუთხეში აღიმართება ილ. ჭავჭავაძის გიგანტური, მიმზიდველი, გასხივოსნებული სახე, სახე მწერალი-მოქალაქისა, ამ ცნების ფართო გაგებით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენში არ ყოფილა არც ერთი საზოგადოებრივ-კულტურული საქმე წამოწყებული. რომელიც ილ. ჭავჭავაძის შორსმჭვრეტელი გონებთ, დიდი მოსიყვარულე გულითა და მადლიანი ხელით არ ყოფილიყოს კვალდაჩნეული. ილია უბადლო მწერალია, გაბედული მებრძოლი პუბლიცისტი-პოლემისტი, ლიტერატურის თეორეტიკოსი, კრიტიკოსი, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, პედაგოგი და ჟურნალისტი-რედაქტორი; ის ფხიზელი, პრინციპული, თავდაუზოგავი საზოგადო მოღვაწეა. მთელი მისი საქმიანობა, მოღვაწეობა ნაკარნახევია დიდი ჰუმანური და თავისი ქვეყნის აყვავება-წინსვლის გაუზარავე, პატრიოტული გრძნობით. რომელიც ჩვენს მწერალ-მოქალაქეს სიყრმიდანვე ამოქმედებდა, აღაფრთოვანებდა. ილია ჭავჭავაძე იშვიათი მონოლითური პიროვნებაა; იგი ახალგაზრდობიდანვე შეგნებულად დგება უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის გარკვეულ გზაზე და განუხრელი, შეუპოვარი პირდაპირობით მიდის ამ გზით.

ჯერ კიდევ ჭაბუკს, ახლადფეხადგმულ პოეტს კარგად აქვს შეგ-

\* წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: მიხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, 1963, თბილისი.

ნებული თავისი მოვალეობა და ამ მოვალეობით გამოწვეულ განცდებს ასეთი პოეტური აღმაფრენით გამოხატავს:

„დაე, თუნდ მოკვდე, არ მეშინიან,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,  
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი“.

ეს განწყობილება და საზოგადოებრივი მოვალეობა ილია ჭავჭავაძის სიყრმიდანვე გამოუმუშავდა: მშობლები მას ბავშვობიდანვე წთაგონებდნენ ქვეყნის სიყვარულსა და ერთგულებას. ბავშვობიდანვე ღრმად შთაებეჭდა პატარა ილიას მამისაგან არაერთგზის ნათქვამი: „ჩვენს ქვეყანას ძალიან ემტერებოდნენ... მოსვენებას არ გვაძლევდნენ... ჩვენც, რაც შეგვეძლო, რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვებრძოდით. ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს. ბევრიც იმეტებდა თავს და ბევრმაც სახელი დაიგდო, სახელი გაითქვა თავისის ვაჟკაცობითო“<sup>1</sup>.

აგრეთვე ილიას პირველი მასწავლებლის — სოფლის მთავრის მიერ ნაამბობი ქართველი ერის წარსულიდან — ქვეყნისათვის თავდადებულთა საქმენი-საგმირონი გულისხმიერ მოწაფეში აღვიძებდა და ავითარებდა ღრმა ინტერესს საქართველოს წარსულისადმი.

ნიჭიერი და ცნობისმოყვარე ილია სიყრმიდანვე დაეწაფა ქართველი კლასიკოსების — შ. რუსთაველის, თეიმურაზ I-ის, არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, დ. გურამიშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილისა და სხვათა შემოქმედებას.

\* \* \*

ილიას ახალგაზრდობაშივე, გიმნაზიაში სწავლის დროსვე კარგად ესმოდა თავისი ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა. იგი უკვე მაშინვე ანალიზს უკეთებდა მეფის ხელისუფლების უხეშ კოლონიურ პოლიტიკას, რომელსაც ქვეყანა დაკნინებამდე და განადგურებამდე მიჰყავდა. მასში იმთავითვე შემუშავდა რწმენა, რომ ქვეყნის გადარჩენა-გაჯანსაღებისათვის საჭირო იყო განვითარების ახალი ისტორიული გზა. ამ გზას, ილიას გაგებით, ერთი რომელიმე კლასისა თუ წოდებისათვის კი არ უნდა მიენიჭებინა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესაძლებლობა, არამედ მთელი ხალხისათვის. ყველაფერი ეს მან საკმარისი სიცხადით გამო-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 30, 1926 წ. (აქაც და შემდეგაც ესარგებლობთ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემით, 1925—1929 წწ.—მ. ზ.).



ხატა თავის ახალგაზრდობისდროინდელ ლექსში — „ქართველის დედას“.

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა.  
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;  
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ესდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს.  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“...

მომავლის გზა, ილიას გაგებით, ხალხის ცხოვრებაში რადიკალურ გარდატეხას ითხოვდა. მაგრამ როგორ? რა საშუალებით? ეს საკითხი ქაბუკი პოეტისათვის ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული: იმდროინდელი ჩვენი ცხოვრების სინამდვილე ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ილია ქავჭავაძემ კარგად გაიაზრა, რომ არსებულ პირობებში ქვეყნის განვითარების ახალი ისტორიული გზის გამონახვა და მისი გაკაფვა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილთან ერთად საერთო მტრის — მონარქიულ-პოლიციური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებით. ამიტომ მან ქართველი ახალგაზრდობის ვიწრო წრესთან ერთად მიანუშრა რუსეთს პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად. სწავლის გასაგრძელებლად და ცოდნის შესაძენად.

სწორედ რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა წინაშე 60-იან წლებში მწვავედ დადგა ხალხისა და, საერთოდ, რუსეთის განვითარების ახალი ისტორიული გზის გამონახვის საკითხი და მისი მართებულად გადაწყვეტის ძლევამოსილმა მოთხოვნილებამ ამოდრავა რუსი მოწინავე საზოგადოება. მონარქიულ-პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ რუსეთის მოწინავე ადამიანები, ჩაება რუსეთის ახალგაზრდობა, განსაკუთრებით პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტების სტუდენტობა. სწორედ ამ მოწინავე ახალგაზრდობისავე მიეშურებოდა 1857 წლის გაზაფხულზე ჩვენი 60-იანი წლების ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენელი, მისი აზრებისა და იდეების გამომხატველი ქაბუკი ილია.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს ილია ქავჭავაძე ენერგიულად, ხარბად, გაფაციცებით აკვირდება და სწავლობს განახლების გზაზე დამდგარი რუსეთის ცხოვრებას, ისმენს უნივერსიტეტის მოწინავე პროფესორების: კ. კაველინის, ნ. კოსტომაროვის, ვ. სპასოვიჩის, მ. სტასულევიჩის, ა. პიპინის თავისუფალ, გაბედულ, პროგრესული იდეებით გაქლენილ ლექციებს, თვალს ადევნებს უნივერსიტეტსა და რუსულ მოწინავე საზოგადოებაში გამოთქმულ აზრებს.

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ჟურნალი „Современник“-ი ჩვენი პეტერბურგელი ახალგაზრდობისათვის და, კერძოდ, ილ. ჭავჭავაძისათვის აზრთამფლობელია. ამ ჟურნალის მესვეურნი: ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლუბოვი, ნ. ნეკრასოვი გადამწყვეტ როლს ასრულებენ ილ. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

ილ. ჭავჭავაძე სტუდენტობის პერიოდში აარსებს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს, რომელსაც საქართველოში დაბრუნებამდე თვითონ ხელმძღვანელობს. ეს წრე მიზნად ისახავს ქართველი ახალგაზრდობის ძალთა მობილიზაციას და მის გამოყენებას საშობლოს სამსახურისათვის.

ილ. ჭავჭავაძე დიდად აფასებდა რუსეთის მეცნიერებისა და ლიტერატურის როლს ქართველი ინტელიგენციის განვითარების საქმეში. ეს მშვენიერად ჩანს მისი „მგზავრის წერილებიდან“. ამ ნაწარმოებში იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთში გატარებულ ოთხ წელს. მისი სამართლიანი შეფასებით, ახალგაზრდის ცხოვრებაში „ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა. მარტო იმისათვის. ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა... ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო...“<sup>2</sup>.

ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევს ილ. ჭავჭავაძე რუსული მეცნიერებისა და ლიტერატურის როლს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში. თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის დიდი პერიოდის განვლის შემდეგ, 1889 წელს, ილია წერს: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გავვაწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში. თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედა, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან... ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითელი ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითელს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 7, 1926 წ.

მოდღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“<sup>3</sup>.

სტუდენტობის პერიოდში ილ. ჭავჭავაძე აგრეთვე დიდი გულმოდგინებით სწავლობდა ევროპის ქვეყნების ცხოვრებასა და მეცნიერება-ხელოვნებას. ის გატაცებით ეწაფებოდა ევროპის მეცნიერებს, მწერლებს. ამის უტყუარი საბუთია მისი სტუდენტობისდროინდელი თარგმანები — ბაირონის, გოეთეს, ჰაინეს, შილერისა და სხვათა თხზულებებიდან.

ილია ჭავჭავაძე ამავე დროს დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ევროპის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ცნობილია, თუ როგორი აღფრთოვანებული იყო ილია იტალიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის გარიბალდის მოქმედებით. ეს აღფრთოვანებაა გამოხატული მის ცნობილ ლექსში: „მესმის, მესმის ანატრელა, ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა...“

ილ. ჭავჭავაძე შემდეგშიც შეუწულებელი ყურადღებით განაგრძობდა ევროპის ხალხთა ცხოვრებისა და მეცნიერების შესწავლა-გამოყენებას. ერთ-ერთ თავის „შინაურ მიმოხილვაში“ იგი ახალგაზრდობის შესახებ წერდა: „ყმაწვილკაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნით ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს... ჩვენის მხრით. ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას“<sup>4</sup>.



რუსეთისა და ევროპის საზოგადოებრივი აზროვნებიდან და მეცნიერება-ხელოვნებიდან, ილ. ჭავჭავაძის შეხედულებით, საჭიროა, გადმოტანილ და გამოყენებულ იქნას ის, რაც შესაფერი და სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნისათვის, რაც მალამოსავით დაედება ჩვენი ქვეყნის ტკივილს, რაც ხელს შეუწყობს, როგორც ილია ამბობს, „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენას, ფეხზედ დაყენებას და დაცვას ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვეცდენია,— ყველასათვის ცხადზედ ცხადია“<sup>5</sup>.

3 ი. ჭავჭავაძე, ტ. VIII, გვ. 285, 1928 წ.

4 ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 130, 1927 წ.

5 იქვე, გვ. 127.

უცხო ქვეყნების გავლენისა და მათი გამოცდილების გამოყენების შესახებ მეტად ბრძნულ, სახელმძღვანელო აზრს აწვდიდა ილია თავის მკითხველთ: „რასაკვირველია, ამ ზემოქმედებამ რუსულის (უნდა ვიფიქროთ, ასევე ევროპულის — მ. ზ.) ლიტერატურისამ მართო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩიემა და ამ-რიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის... უამისოდ ზემოქმედება უძლიერესისა უღონოზედ, უკეთესისა უარესზედ მართო ცარიელი მაიმუნობაა, სხვის ფეხის ხმაზედ ბრმად აყოლაა, ტყვეობაა და არა თავისუფლება და თვითმოქმედება გონებისა, რომელიც ერთადერთი ნიშანია ჭეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა. ამ სახით ყოველივე ზემოქმედება — ავია თუ კარგი — არაფრის კეთილის მომასწავებელი არ არის... პირიქით, იგი აძინებს, ჰკლავს მსჯელობის უნარსა, ყოველს მჭრელობასა და გამჭრიახობას გონებისას სჩაგრავს და აბათილებს“<sup>6</sup>.

მართლაც, ილ. ჭავჭავაძემ, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროგრესისტი პროფესორების ლექციების, პეტერბურგის უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტების, რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებისა და, აგრეთვე, დასავლეთ ევროპის მოწინავე იდეების უდავო ზეგავლენით, მაგრამ „საკუთარი კრიტიკის ქარ-ცეცხლში“ გატარებით, გააფართოვა და დახვეწა თავისი ჰუმანური მსოფლმხედველობა. მან მტკიცედ აღიარა, რომ კაცი ქვეყნის, სამშობლოს ბედზე პირობებთან ბრძოლაში, მისთვის თავდადებაში პოულობს თავის დანიშნულებას. — დედის ნანასთანავე ბავშვს უნდა შთაენერგოს ღრმა რწმენა, რომ „უკვდავი არის შვილი მამულისთვის მომკვდარი!“ („ნანა“).

ილია ჭავჭავაძემ იქვე, რუსეთში, მტკიცედ აითვისა პოეტი-მოქალაქის ბრძოლის დემოკრატიული მიზნები. ლექსში — „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ იგი ამბობს:

„დიდს არ გავეჩვენებით  
და მხარს მივსცემთ პატარას;  
ძალას გულდაგულ დახვდებით  
და თაყვანს ვსცემთ სამართალსა.

წინ წასვლაში არ დავიხვეთ,  
არ გაუწირავთ უკან რჩომილს:  
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა  
უღონოსა და დავრდომილს.

უანგაროდ მივალთ წინა,  
მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად,  
რომ წინანი უკანასთვის  
უნდა იქმნენ გზად და ხილად.

მამულისა შეილნი ჩვენც ვართ  
და მიტომ ეზრდით ქაბუქს სულსა,  
რომ ოდესმე გამოვადგეთ  
დაობლებულს ჩვენს მამულსა“.

მწერლის დანიშნულებასაც ილ. ჭავჭავაძე, ამგვარსავე, მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხედავს. უკუთავადებს რა თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ის დგება რეალისტური მსოფლმხედველობის პოზიციაზე. მწერლის დანიშნულებას იგი ასე გამოხატავს ლექსში — „პოეტი“:

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტკიცე გული...“

სტუდენტობის დროს ილია, საბოლოოდ აყალიბებს რა თავის საზოგადოებრივსა და პოეტურ დანიშნულებას, თავს ლაღად, ძლიერად გრძნობს და, ბრძოლისათვის გააკაეებული, მხნედ და გამომწვევი გაბედულებით ასე შესძახებს ბედს:

„შენს ღუდუკზედა აქამდის ვხტოდი,  
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაწრუწუნე,  
ეხლა ღუდუკი შე მაქვს, აქ მოდი,  
მე დაეუკრავ და — შენ კი იხტუნე“.  
(„გავსწორდეთ, ბედო!“)

ამ თქმაში ზედმიწევნით, ნიშანდობლივად მოჩანს ილია ჭავჭავაძის შეუპოვარი, უდრეკი, ოპტიმისტური, მებრძოლი ბუნება.

ამგვარად, სტუდენტობის პერიოდშივე ილ. ჭავჭავაძემ საფუძვლიანად გაარკვია, რომ ძველსა და ახალ იდეებს შორის გაჩაღებულ კიდილში ახალს უნდა გაემარჯვნა.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძე სამშობლოში ბრუნდება ამ განწყობილებით გულანთებული, რაც ასე ცხოვლად, ასე ნიჭიერადაა გადმოცემული მის „მგზავრის წერილებში“.

„მგზავრის წერილები“ ილ. ჭავჭავაძის გულწრფელი აღსარე-

ბაა, ეს მისი მოღვაწეობის ძირითადი გეგმაა, პოეტურ სახეებში მოცემული.

ილია ჭავჭავაძე თავის სამოღვაწეო გეგმაში ითვალისწინებს: 1) ბრძოლას ქვეყნის ჩამორჩენილობასთან, მის დრომოკმულ ზნეჩვეულებებთან, 2) ჩვენს ცხოვრებაში ახალი, მოწინავე იდეების გადმონერგვას და მათი განმტკიცებისათვის ხელის შეწყობას, 3) ბატონყმობის ინსტიტუტის გაუქმებისათვის ბრძოლას და 4) ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლას.

ილ. ჭავჭავაძემ, როგორც პოეტმა და მოქალაქემ, რუსეთიდან დაბრუნებისთანავე იშვიათად შეხამებულ მთლიანობაში გაშალა თავისი მოღვაწეობა. მისი სიტყვა ყოველთვის ნაყოფიერი საქმე იყო. არავითარი წინააღმდეგობა, არავითარი განსხვავება მის სიტყვასა და საქმეს შორის არ არსებობდა. ყველგან და ყოველთვის ის „იგივე იყო მარად და მარად“. ამასვე დაბეჭითებით შთააგონებდა იგი ყველას და ამასვე მოითხოვდა თვითეულისაგან.

სამშობლოში დაბრუნების დღიდანვე ილია ჭავჭავაძემ პირველ რიგში კალამი ამოქმედდა. ახალ დროებას მან კარგად აუღო ალლო, კარგად გაითვალისწინა, რომ ახალი ცხოვრების პირობებში:

„ხმალი იმოდენს ვერას იქმს  
მრისხანე და ძლიერიო,  
რასაც იქმს მშვიდობიანი  
კალმის პატარა წვერიო“.  
(„დამაკვირდი“).

ილია ჭავჭავაძის კალამი ყოველთვის არ იყო მშვიდი, ის უფრო მღელვარე, აღშფოთებული და გესლიანი იყო შინაური თუ გარეშე მტრის წინააღმდეგ. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ილია დაუყოვნებლივ შეუდგა მოღვაწეობას გარკვეული მიმართულებით. მან ჟურნალ „ცისკარს“ პეტერბურგიდან წინასწარ გამოუგზავნა წერილი — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან «შეშლილის» თარგმნაზედა“.

ილია ჭავჭავაძის ამ წერილმა ქართველი საზოგადოების წყვედიადით მოცულ მთვლემარე ცხოვრებაში გასროლილი ყუმბარის როლი შეასრულა. ეს წერილი ახალი ცხოვრების დაწყების მძლავრი მანიფესტი იყო, მას მარტო ლიტერატურული და ენობრივი მნიშვნელობა როდი ჰქონდა, იგი, ამასთან, მკითხველის წინაშე ფართო საზოგადოებრივ მტკივნეულ საკითხებსაც აყენებდა.

თვით ენისა და ლიტერატურის საკითხი დაყენებული იყო ხალხის გამოფხიზლების, საერთო აზრის, გაერთიანების პრობლემის

წინ წამოწევის თვალსაზრისით. იდეა ხალხის როლისა ცხოვრების ახალი ისტორიული გზის გაჭრის საქმეში ილიასათვის მთავარი პრობლემა იყო. მეტად საგულისხმოა მისი წერილი დავ. ერისთავთან: „...მე არაფერს არა ვწერ. ამ «აჩრდილმა» ტყავი გამაძრო. ისტორიის ნაწილზე გაქირი ვირივით შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი, რა ექნა? ვამბობ ამ «აჩრდილს» თავი დავანებო-მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს. მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსაით არის“<sup>7</sup>. ილიას გაგებით ხომ ხალხი ბურჯი იყო ერისა, სახელმწიფოსი. ამიტომაც, საჭირო იყო ხალხის გამოფხიზლება, გათვითცნობიერება, დარაზმვა.

ამ მიზნის განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ენას. ენა, ილიას რწმენით, შუამავალია მეცნიერებისა, ე. ი. კაცობრიობის ტვინის მიერ შექმნილ მონაპოვართა მარაგსა, და ხალხს შორის. ამიტომ, ხალხის რაციონალური და სწრაფი გამოფხიზლების მიზნით აუცილებელი იყო ისეთი სალიტერატურო ენის შექმნა, რომელიც ადვილი გასაგები იქნებოდა ხალხისათვის. ეს კი იყო თვით ხალხის ენა. ამ მხრივ ილიას მიერ გატარებული სალიტერატურო ენის რეფორმა უდავოდ მართებული, დროული და უკელაზე უსაჭიროესი მოთხოვნილება იყო და ილია ჭავჭავაძემ აკაკი წერეთელთან ერთად, როგორც მოქალაქე-მწერალმა, თავგამოდებით, შეუპოვრად და საქმის დიდი ცოდნით დაიწყო მისი გატარება და სწრაფადაც გაიმარჯვა.

ამასთან ერთად, თვით მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც ილ. ჭავჭავაძე მკითხველის გათვითცნობიერებისა და აღზრდის ამოცანას უსახავდა, უნდა ყოფილიყო გარემო სინამდვილის ამსახველი. „ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, — წერდა ილია, — რომ სარკესავით ცხოვრება გადმოიცეს... რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ“<sup>8</sup>. ამიტომ მან სასტიკად გაილაშქრა დრომოკმული სენტიმენტალურ-რომანტიული მიმართულების წინააღმდეგ: „დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეკასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მომივიდესო: დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის“<sup>9</sup>. საზოგადოებას თავი უნდა დაედწია ძველი, ხავსმოკიდებუ-

7 ი. ჭავჭავაძე, 1872 წლის წერილი დავით ერისთავთან.

8 ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 80, 1927 წ.

9 იქვე.

ლი, უმოქმედო ცხოვრებისათვის, უნდა გამოფხიზლებულიყო, ხელი შეეწყო ქვეყნის განახლება-აღორძინებისათვის.

ილიას ამ წერილმა მიზანს მიაღწია: აამღვრია ცხოვრების ჭაობი. ძველმა თაობამ იგრძნო კარს მომდგარი ბედისწერა. ამოძრავდა, დაირაზმა და თავს დაესხა ახალგაზრდა კადნიერ პოეტს. ილიაც არ დარჩა ვალში, გაბედულად შეუტია. თუ „მამათა“ ბანაკიდან მოკამათეთა რიცხვი მრავლდებოდა, პეტერბურგიდან ილიასაც მალე გამოუჩნდნენ თანამგრძობნი, თერგდალეულთა ფსევდონიმიც. ჟურნალ „ცისკარში“ გაჩაღდა ბრძოლა „მამათა“ და „შვილთა“ შორის, მაგრამ ამ ჟურნალის კარები ახალი თაობისათვის მალე დაიხურა.

ილია მაინც არ შედრკა; მოინდომა თანამოაზრეთა საზოგადოების დაარსება. ამ მიზნით მან განაგრძო ის მუშაობა, რომელსაც იგი აწარმოებდა პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს დაარსებულ ქართველ სტუდენტთა წრეში. მაგრამ ამის განხორციელება მან ვერ შეძლო; მაშინ ილიამ გადაწყვიტა, გამოეცა ჟურნალი, რომლის საშუალებითაც იგი ფართო მკითხველთა შორის გაიტანდა ქვეყნისათვის ახალ, სასარგებლო იდეებს.

ილია ჟურნალს და, საერთოდ, პერიოდულ გამოცემას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი განმარტებით, „ჟურნალ-გაზეთობაა ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთი მხრივ, იგი არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა, მეორე მხრივ, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში ჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა“<sup>10</sup>.

გამომდინარეობს რა ასეთი შეხედულებებიდან, ილია ჭავჭავაძე 1863 წელს ახერხებს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემას. ამ ჟურნალში ილია ჭავჭავაძე თავს უყრის თავის თანამოაზრეთ. „საქართველოს მოამბეში“ თერგდალეულნი მასიურად გამოდიან როგორც გარკვეული მიმართულებისათვის მებრძოლნი. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ქართველი საზოგადოებრივი აზროვნების დახვეწასა და ამოქმედებას ახალი, ჯანსაღი მიმართულებით.

ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში მოთავსებულია ჟურნალის, ე. ი. თერგდალეულთა მიმართულების, არსი, რომელიც გადმოცემულია ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილ საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზედ“. ეს წერილი თერგდა-

<sup>10</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. IX, გვ. 16—17, 1928 წ.



ლელთა ლიტერატურული მანიფესტია. აქ ზუსტადაა გამოვლინებული ახალი თაობის — თერგდალეულების ლიტერატურული და საზოგადოებრივი კრედო, რის მკითხველებში გამოტანასაც ისახავდა მიზნად ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ და კერძოდ მისი რედაქტორი-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

ამ საპროგრამო წერილის ძირითადი დებულებებია:

1. ახსნილ იქნას მეცნიერული საბუთიანობით, რომ ცხოვრება გამუდმებით მოძრაობაშია, იცვლება, ახლდება, ჯანმრთელდება „ცოდნისა და მეცნიერების შემწეობით, რომელნიც თვითონვე ცხოვრების ნაყოფნი არიან“. აქედან გამომდინარე, განახლების, წინსვლის სურვილი და საჭიროება საზოგადოებაში მეტად ბუნებრივია, აშკარაა და მწვავე.

2. საჭიროა კაცის ჰკუის გამოცდილების მონაპოვარი ძვირფასი მარგალიტები გამომზეურდეს საქვეყნოდ, საყოველთაო მოსახმარად, რათა „მრავალთათვის მისაწვდომი გახდეს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტას“.

3. ყველაფერი უნდა გამოყენებულ იქნას აღნიშნული მიზნის თვალსაზრისით: „მეცნიერებასა და ხელოვნებას, — წერს ილია, — ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჭობინებელ ღონისძიებათა: ჩვენ მეცნიერებასა და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა — პურსა ცხოვრებაში გამომცხვარს და მშვიერთათვის მოსახმარსა და გამოსადეგს. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჰუმმარიტებით ცხოვრების ახსნა და გაგება“.

4. თვით ხელოვნების დანიშნულებაც სარგებლიანობის თვალსაზრისით უნდა ფასდებოდეს; ილია წერს: „ხელოვნებასაც იმას ჰოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გადმოიცეს, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. დროა (ხელოვნება) ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრს მარგალიტს და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა. არც ერთის გამოხატვა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებას“.

5. საჭიროა ჟურნალმა საქმე დაიჭიროს „თუ არა სრულიად ხალხთან, მის მომეტებულ ნაწილთან მაინც“. ჟურნალი უნდა შეიქმნეს შუამავლად მეცნიერებისა — ერთი მხრივ, და ხალხისა და ცხოვრებისა — მეორე მხრივ. ასეთია საზოგადოებრივი ჟურნალის დანიშნულება. ამ ამოცანას ემსახურება ჟურნალი „საქართველოს მოამბეც“.

6. ჟურნ. „საქართველოს მოამბის“ გარშემო შემოკრებილ თა-

ნამშრომელთათვის „საქართველოს ხალხის ცხოვრება, — მისი გამჭობინება პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

ცხადია, ილია ჭავჭავაძის მიმართულება და მისი ყურნალი იმ დროის მოწინავე მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნის სიმაღლეზე იდგა.

ილია ჭავჭავაძემ ყურნალ „საქართველოს მოამბეში“ აღნიშნული დებულების საფუძველზე მთელი თავისი დაუშრეტელი ენერჯით გაშალა მუშაობა. მან ჩვენს ლიტერატურაში საბოლოოდ განამტკიცა კრიტიკული რეალიზმი, ნიჭიერად გამოიყენა შემოქმედების მხატვრულ-პუბლიცისტური მეთოდი, შექმნა მთელი სკოლა მწერალთა და პუბლიცისტთა. „საქართველოს მოამბეში“ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით შემოკრებილი ახალი თაობა, როგორც ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის ახალი, მძლავრი, წამყვანი მიმართულების მიმცემი, გამარჯვებულაა.

თვით ილ. ჭავჭავაძემ, „საქართველოს მოამბეში“, თავისი ბასრი კალამი იმ დროის ქართველი საზოგადოებისათვის უნახავი სიძლიერითა და სიმკვეთრით აამოქმედა; კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და დაუნდობლად ამხილა დრომოკმული ტრადიციები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას მძიმე ჭუჭყად მოჰკიდებოდა.

ის ბარაქიანად თესავდა ახალ, ცხოვრების გამაჯანსაღებელ, პროგრესულ იდეებს, მკითხველს არწმუნებდა მათ სარგებლიანობაში, მათი მიღების აუცილებლობაში.

„საქართველოს მოამბის“ მეშვეობით ილიამ ერის თავდაცვისა და ვინაობის აღდგენის მიზნით, გაშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი. მოურიდებლად, გაბედულად გააშიშვლა ბატონყმობის ინსტიტუტის — კაცისაგან კაცის დამონების, დაბრეყების — მავნებლობა, გამანადგურებელი, შემადფერხებელი ძალა, როგორც პიროვნებისა და ერის, ისე ქვეყნის წინმსვლელობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მეფის პოლიციურ-კოლონიალური წყობილების უხეში, მკაცრი ცენზურული პირობების გამო ილია ჭავჭავაძის ნაწერები ხანგრძლივი პერიოდის (შეიძლება ითქვას, მთელი მისი სიცოცხლის) განმავლობაში არასრულად, დიდი დამახინჯებით იბეჭდებოდა. და რაც იბეჭდებოდა, ისიც მხოლოდ ილიასათვის დამახასიათებელი შეუპოვარი ბრძოლის შედეგად. „საქართველოს მოამბეში“ ილიამ მაინც მოახერხა, გარდა პუბლიცისტური წერილებისა, მოეთავსებინა ნაწყვეტები „აჩრდილიდან“ და „კაკო ყაჩაღიდან“, ზუთი თავი „გლახის ნაამბობიდან“ და „კაცია-ადამიანი?!“ მთლიანად.

აღნიშნულ ნაწარმილებში მწერალმა, ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს, გაბედულად გააწმენდა ბატონყმობის მიუღებლობა, მისი დამაყენებელი, ადამიანის ღირსების შემლახველი ბუნება. ილია ჭავჭავაძემ მათში გაბედულად და მოხდენილად ჩააქსოვა 60-იანი წლების ეპოქისათვის დამახასიათებელი ლოზუნგები, როგორცაა:

„გლეხაკის და ყმის ლიტონი ბელი  
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში“...  
„რა გავაგრძელო, თავადისშვილი  
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!“  
„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,  
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვეხი.  
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,  
რომ მამაჩემი შეჰბრალებოდა.“  
„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მივაჩნდეს—  
ეგ ვერაფერი სიყვარულია,  
სოტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, —  
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“

ან კიდევ: გაწვალებული, დაჩაგრული ყმის, გაბროს, მწარე ამონაყენის: „რა ვიცოდი მაშინ, რომ ბატონაა და ყმას შორის სიყვარულის ხიდი არ გაიღებოდა“...

და მრავალი სხვა ამგვარი, რაც ჰკიცხავდა ბატონყმობას, რაც ყმის ადამიანური უფლების აღდგენას ღაღადებდა, რაც, როგორც ოპოზიციონური ბრძოლა გამაღვიძებელი ხმა, ძალუმად გაისმოდა.

განა ილია ჭავჭავაძემ რვავე ნაწარმოებებით დამაჭერებლად არ დაანახვა მკითხველს, თუ როგორ აქცევდა ბატონს თავისივე უფლებები აღვირახსნილი ძალმომრეობისა და არაადამიანობის აღუვსებელ საწყაოდ?! განა ამ უფლებების მსხვერპლნი არ შეიქნენ როგორც გაბროს ბატონი, დათიკო, ისე სხვები?

ან „კაცია ადამიანში?!“ განა მორალურ განადგურებამდე არ მიიყვანა როგორც ბატონი (ლუარსაბი) — მუამზარულმა, სხვისი შრომით ცხოვრებამ, ისე ყმა (ლამაზისეული) — უნაგარიშოდ სხვისთვის შრომამ? ორივემ — ბატონმაც და ყმამაც დაკარგეს ადამიანის სახე. ისინი ცოცხალ ლეშად გადაიქცნენ. ამაზე მკაცრად, გაბედულად იშვიათად თუ ვისმე გაულაშქრებია ბატონყმობის წინააღმდეგ. ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ რაღაც მწარე, შეურიგებელი, აღმაშფოთებელი სატირა იყო სახელმწიფო კანონით გაბატონებული მებატონის ძალაუფლებათა წინააღმდეგ მიმართული.

\* \* \*

მაგრამ ილია ჭავჭავაძე არა მარტო გაბედული, მძლავრი მხატვრული შემოქმედების მეშვეობით ილაშქრებდა უსამართლობის

წინააღმდეგ, ყმის დასაცავად, ყმა ადამიანის უფლების აღსადგენად, არამედ საქმითაც.

ქართველ თავადაზნაურთა მარშალს დიმიტრი ყიფიანს მთავრობის მიერ დაევალა, შეესწავლა, რა პირობებში უნდა განთავისუფლებულიყო ყმა საქართველოში. როცა ეს საკითხი თავადაზნაურთა საერთო კრებაზე ირჩეოდა, ი. ჭავჭავაძემ, წინააღმდეგ დამსწრეთა დიდი უმრავლესობის შეხედულებისა, მოითხოვა ყმის მიწით განთავისუფლება, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია ილიას მიმართ. აი, რა საგულისხმო ცნობას გადმოგვცემს ამ ამბის მოწმე ქრ. მამაცაშვილი: „დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლა განაცხადა, რომ გლეხებს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა ააშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა-გინებით ილიასაკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, — გამიშვით! ეხლავე მინდა მოვკლაო“. გაგჟებული თავადი შეაკავეს და ძლივს-ძლიობით გაიყვანეს კრებულან. მე გომბორში ვმსახურობდი. ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა: ჩქარა თბილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდა ილიას გარშემოვერტყათ და ბატონყმობის მოსპობის საქმეში დაეიცვათო. მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ანტონ ფურცელაძე და წერილის ავტორიც მუდმივ შორი-ახლოს მივსდევდით ილიას და მზად ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი. მეორე კრებაზე გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენ. ლეიტ. ივ. მუხრანსკიმ. მან განაცხადა, რომ უმიწოდ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავადაზნაურობა მიემხრობაო, მიწიანად-კი — მხოლოდ ორიოდ კაცუნაო. ილია ჭავჭავაძემ ორატორს ხელი სტაცა, მოაბრუნა თავისაკენ და ჰკითხა: „ვინ არიან ეგ კაცუნები?“ მუხრანსკიმ მიუგო, რომ შესცლა და „რამდენიმე კაცუნას“ მაგივრად უნდა ეთქვა „რამდენიმე კაცი“... ილია გრიგოლის-ძე თავის მოღვაწეობის დასაწყისშივე ძლივს გადარჩა სიკვდილს გლეხთა ინტერესების დაცვის გამო და შემდეგშიაც არასდროს არ უღალატნია თავისი რწმენისათვის. განსვენებული მგოსანი მუდმივი მომხრე იყო წოდებრივი გათანასწოებისა“<sup>11</sup>.

ქრ. მამაცაშვილის ეს მოგონება და ის ფაქტი, რომ ი. ჭავჭავაძემ თავისი კუთვნილი ყმები გაათავისუფლა მიწით, როგორც თვი-

---

<sup>11</sup> ქრ. მამაცაშვილი, „ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან“, „ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გვ. 67—68.

თონ ილია წერს: „მათ მიერ (ყმათა — მ. ზ.) ხმაყებული საკომლო, სახლ-კარის მიდამო, მათი ზვედრი ვენახები უსასყიდლოდ დავუთ-  
მე და ხელშეუხებელ საკუთრებად დაუუმტკიცე და ამით მოვსპე  
ყოველივე ბატონ-ყმური ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმევთა შორი-  
სო“<sup>12</sup>, იმას გვაფიქრებინებს, როგორც ამას ა. იოვიძეც აღნიშნავს,  
რომ ნ. ჭავჭავაძის სახელით მთავრობის კომიტეტში საგლეხო რე-  
ფორმის პროექტზე წარდგენილი „შენიშვნები“, რომლებშიც ყმების  
აუცილებლად მიწით განთავისუფლებაა აღიარებული, ი. ჭავჭავაძეს  
უნდა ეკუთვნოდეს, ან მისი უშუალო და აქტიური მონაწილეობითა  
და შთაგონებით უნდა იყოს შედგენილი. ნ. ჭავჭავაძე იმ დროს  
მთავრობისა და თავადაზნაურთა წრეებში მეტი ნდობით სარგებ-  
ლობდა და ილიამაც, ალბათ, ეს გარემოება გამოიყენა.

ილია ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლას, ყმის მიწით განთა-  
ვისუფლებისათვის ბრძოლას, რათა „ორ წოდებას შორის არ ყო-  
ფილიყო არც პირადი და არც ქონებრივი მიზეზი უკმაყოფილები-  
სა“, გლეხის დაბინავებაზე ზრუნვას მთელი ენერჯიითა და გამჭრი-  
ახობით აწარმოებდა, რადგანაც ყმის განთავისუფლება, ილიას ჭეშ-  
მარიტი გაგებითა და მტკიცებით, აუცილებელი იყო ხალხის —  
ერის აღორძინების, გაჯანსაღების, ახალი ისტორიული განვითარების  
გზის გამონახვა-გაჭრის, უკეთესი, სამართლიანი მომავლის განმტკი-  
ცებისათვის. გლეხის დაბინავების, მისი თანასწორი უფლებების  
მოპოვების საკითხს ილია სისტემატურად უბრუნდებოდა. ამ თვალ-  
საზრისით საყურადღებოა თუნდაც მისი მოთხრობა „ოთარაანთ  
ქვრივი“, ეკონომიურ-პოლიტიკური წერილები — „ცხოვრება და  
კანონი“ და სხვ.

ეს საკითხი ი. ჭავჭავაძისათვის ძირითადი, საპროგრამო საკითხი  
იყო. ახალი ისტორიული გზის ძიება-გარკვევასთან ერთად აუცილე-  
ბლივ უნდა გარკვეულყო, თუ ვინ წარუძღვებოდა დაბეჩავებულ  
ერს წინ ახლად გასაკაფ გზაზე.

ილია ჭავჭავაძისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავ-  
ლის დროსვე გაირკვა, რომ ძველი წყობილება, თაყისი გაბატონებუ-  
ლი დრომოკმული პრივილეჯებით უნდა „აღგვილიყო პირიანავან  
მიწისა“, მისი ადგილი ახალ, საღ წყობილებას უნდა დაეჭრა. ეს  
რწმენა მან მშვენივრად გამოხატა 1859 წელს დაწერილ პოემა „აჩ-  
რდილის“ მოხდენილ ეპიგრაფში:

„რა ვარდმან მისი ყვაილი გაახმოს, დამკენაროსა,  
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.“

<sup>12</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IX, გვ. 189.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე მოქალაქე-მწერალი უკვირდება საქართველოს დარღვეულ ცხოვრებას, აფასებს რა ისტორიის ასპარეზზე მოქმედ მის სოციალურ ფენებს, გარკვეულად რწმუნდება, რომ პრივილეგიურმა კლასმა — თავადაზნაურობამ უკვე მოკპა თავისი დრო. „მართალია, — წერს ილია, — თავადაზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა, დიდი ხანია თავის დრო მოკპა“<sup>13</sup>. ის ხელს უშლის ცხოვრების წინსვლას. ი. ჭავჭავაძემ მთელ რიგ ნაწარმოებებში („კაცია-ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“, „სცენები მომრიგებელ-მოსამართლესთან“ და სხვ.) იშვ-ათი დამაჯერებლობით დაგვანახა, რომ ახალ პირობებში თავადაზნაურობა, როგორც წამყვანი კლასი, ცხოვრებისათვის შეუფერებელი — შემფერხებელია. ბატონყმობის ძველ ტრადიციებსა და ძალაუფლებაში დატოვება მისი ბუნებრივი და სამარცხვინო სიკვდილია. ახალი დროება საზოგადოებისაგან მოითხოვდა შრომას, მოქმედებას, ცოდნას, უნარს და მაღალ მორალს, რაც, ილიას შეხედულებით, თავადაზნაურობას, როგორც კლასს, აღარ გააჩნდა.

ახალი ცხოვრების პირობებში დაკნინებული, გაბიაბრუებული ჩვენი თავადაზნაურობა ილია ჭავჭავაძემ, გარდა ზემოაღნიშნული ნაწარმოებებისა, მოურიდებლად გააკრიტიკა სატირებში: „ბედნიერი ერი“ და „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“.

ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ უძლიერესი სატირაა, რომლის მსგავსი არ დაწერილა ჩვენს ლიტერატურაში. ამ სატირაში დაუნდობლადაა გადმონთხეული საქართველოს სინამდვილის გაცნობით დაგროვილი ბოღმა, სევდა, ნაღველი, შეურიგებლობა, რაც იმ დროს ილიას გულში ბოხოქრობდა.

ილია ჭავჭავაძის სატირის თავისებურება იმაშია, რომ მისი სიცილი არ არის გოგოლისებური „ცრემლნარევი სიცილი“ («СМЕХ СЛЕЗЫН СЛЕЗЫ»). არა, მის სიცილში ისმის მოურიდებელი, დაუზოგავი მხილება, „სიძულვილი“. მისი გმირები არა მარტო სასაცილონი არიან, არამედ აღშფოთებას, შეურიგებლობასაც იწვევენ. ილია ჭავჭავაძის სატირა თავისი სიმახვილით, გაბედულებით, ობიექტის ნიშანდობლივი გამოხატვით მკითხველს მთლიანად იზიდავს. მკითხველიც ემხრობა მწერალს და მასთან ერთად ხდება არსებული წყობილების მტერი.

მართლაც, განა ამაზე მკვეთრად და დაუნდობლად შეიძლება და გამათრახება ქართველი პრივილეგიური კლასისა, რომლის და-

<sup>13</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. IX, გვ. 182.

სახასიათებლადაც პოეტი არ ერიდება არავითარი დამამცირებელი ეპითეტის გამოყენებას?! ნიმუშისათვის მოვიტანთ ნაწყვეტს:

„ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?!  
ყველა უნჯი,  
ყველა მუნჯი,  
გულჩილი და ლმობიერი;  
თვალბმული,  
თავაკრული,  
პირს ლაგამი ზომიერი;  
ყველა ყრუი.  
ყველა ცრუი,  
ქკვადამჯდარი, გულხმიერი;  
მცირე, დიდი,  
ყველა ფლიდი  
ცულღუტი და მანკიერი“.

აი, მკვეთრი სახე შინაარსეულად დაცლილი, დაკინებული ქართველი თავადაზნაურობისა, რომელიც ქართველი ხალხის ბედ-იღბალს წყვეტდა და რომელიც ქართველ ერს „გამოხატავდა“. „ბედნიერ ერში“ ზოგიერთი ჩვეულებრივი დადებითი თვისებების გამომხატველი ეპითეტი, როგორცაა: „რიგიანი“, „წესიერი“, „გულჩილი“, „ლმობიერი“, „ქკვადამჯდარი“, „გულხმიერი“ და სხვ., — გადაკვრითაა გამოყენებული, რაც მეტი დაცინვისა და გესლის გამომხატველია.

ქართველი პრივილეგიური კლასის სურათს ავსებს ილიას მეორე სატირა — „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით. ანუ საქართველოს ისტორია XIX საუკუნისა“, რომელშიც ზედმიწევნით ზუსტადაა განსახიერებული ქართველი პრივილეგიური კლასის დაუდევარი, უიდეო, უმიზნო, მავნე-პარაზიტული ცხოვრება, რამაც ის ბუნებრივად გადააქცია თავისივე ქვეყნის დამპყრობელი. გამანადგურებელი კოლონიალური პოლიტიკის გამტარებელ ძალად. მაქსიმალური გესლიანობით ისმის პაპის აღიარება: „«наплечо»-ბა გვასწავლეო, მთავრობას ვეხვეწებოდით“. დიახაც, ეს იყო ლოგიკური ფინალი „ქედმოხრილი, ყრუდ, მუნჯად და უნჯად“ ქცეული ქართველი „ბრწყინვალე“ წოდებისა.

ილია ქვეჰავადის ორივე ეს სატირა გამოწვეული იყო ჩვენი თავადაზნაურობის მიერ ხალხის, ქვეყნის საერთო-სასარგებლო წამოწყების წინააღმდეგ გალაშქრებით თუ მხარის არდაჭერით, რაც მდგომარეობდა შემდეგში: ახალ თაობას კარგად ჰქონდა გათვალის-

წინებული, რომ ცხოვრების აღორძინებისათვის საჭირო იყო ადგილობრივი კადრების სათანადო მეცნიერული მომზადება. ამ გარემოებას კი მეტად შეუწყობდა ხელს უნივერსიტეტის არსებობა თბილისში. ამიტომ 1871 წელს, იმპერატორ ალექსანდრე II-ის საქაროველოში ჩამოსვლის წინ, თავადაზნაურობის მიერ საგანგებოდ მოწვეულ ყრილობაზე თერგდალეულთა ჯგუფის ზეგავლენით (რა თქმა უნდა, ი. ჭავჭავაძის თაოსნობით) გადაწყდა, რომ მოეთხოვათ თბილისში უნივერსიტეტის გახსნა. მაგრამ შემდეგ ეს გადაწყვეტილება თავადაზნაურთა მიერ არჩეულ კომისიას (მეფისნაცვლისა და ბარონ ნიკოლაის შთაგონებით) შეუტყვლია და უნივერსიტეტის მაგიერ მოუთხოვია კადეტთა კორპუსის დაარსება თბილისში.

კომისიის წევრთა ამგვარმა ლაქიობამ ილიას საბაბი მისცა და უნდობლად გაემართა ხებინა ადრესის შემცვლელნი: მარშალი — რევაზ ანდრონიკაშვილი, სენატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი — გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანელი ბაგრატიონი, გენერალი, დიდი შეძლებისა და გავლენის მქონე — ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანელი ბაგრატიონი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი — დიმიტრი ჯორჯაძე, გენერალი — პოეტი გრ. ორბელიანი და სხვანი. აქედან დაიწყო, 70-იან წლებში, განახლებული ბრძოლა „მამათა“ და „შვილთა“, ანუ ახალსა და ძველ თაობას შორის. ამ წლებში დაიწერა ი. ჭავჭავაძის „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „ბედნიერი ერი“. „პასუხის პასუხი“, ცნობილი „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“.

ი. ჭავჭავაძის „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“, როგორც არალეგალური პოლიტიკური პამფლეტები, წლების განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა. ისე მახვილად და, მასთან, ისე ნიშანდობლივი თვისებებით იყვნენ გამოცანა-სატირის ობიექტები დახასიათებულნი, რომ მათ ვინაობას მკითხველი ადვილად ხვდებოდა.

მაგალითები ნიმუშისათვის:

1. რევაზ ანდრონიკაშვილზე:

„ულვაშ-სრული, მელოტია,  
უთაური თავიანი,  
ხელთა მლოკი, ქონდრის კაცი,  
დიდგულა და ბოხ ხშიანი.  
თუმცა ტანად პატარაა,  
სხვაფრივ კი კარგა დიდია,  
ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა  
იმას ფეხებზედ ჰკიდია“<sup>14</sup>.

<sup>14</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 325, 1925 წ.



## 2. სენატორ გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონზე:

„ოხტა და ლობემქარა,  
პატარა და ჩამომხმარი,  
ცხვირ-ნისკარტა, ნიკაპ წვეტი.  
უეამური, განს გამდგარი.  
ქვეთ და გულით მოცვეთილა,  
ქვეყანაზედ უქმად გლია,  
თვით მალლა ზის, — ქვეყნის საქმე  
მასაც ფეხებზედ ჰკილია“<sup>15</sup>.

ი. ჭავჭავაძემ არავინ დაზოგა, არც ძველი და არც ახალი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშეს იმათთვის, ვინც მას ამ ასპარეზზე ხელს უშლიდა, მომართული ჰქონდა „გესლიანი ისარი“. გაბედული მებრძოლი, მოქალაქე-მწერალი — ილია, თავისი მოღვაწეობის სამართლიანობაში დარწმუნებული, ამაყად და გამომწვევად ასე ამთავრებს თავის „გამოცანებს“:

„მეცხრე გამოცანად ითქმის:  
— ეს ვის დაუწერიაო?  
ნუ გაწყრებით და ნურც იტყვიო:  
-- იგი ჩვენი მტერიაო.  
თუ გაწყრებით, რა მენალღის?!  
მე არ მაქვს თქვენი რილია,  
ვით თქვენ ქვეყანა, მეც წყრომა  
თქვენი ფეხებზედ მკილია“<sup>16</sup>.

თუ რამდენად არალეგალური, კონსპირატიული იყო ეს „გამოცანები“, ამას მშვენივრად მოწმობს ილიას წერილი დავით ერისთავისადმი, 1871 წლის 11 დეკემბერს გაგზავნილი: „დათიყო! გიგზავნი გამოცანებს, რომ წაიკითხავ და დააკვირდები, მგონია მიხვდები, ვინც არიან აწერილნი. საქმე იმაშია, რომ არავინ, არც შენმა მახლობელმა და არც ჩემმა არ უნდა იცოდეს, ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენ იცი, როგორ შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოთ. დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება, ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ ჩვენდა სამტროდ «ისინა» ყველაფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყენად აღარ ეღირება. გამომიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არავის ვანდე ეგ ჩემი ლექსი. შენც იცი, როგორ უპატრონებ“<sup>17</sup>.

<sup>15</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 324.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 327.

<sup>17</sup> „საისტორიო მოამბე“, ტ. III, გვ. 189.

ამ „გამოცანებმა“ კვლავ ააღელვა, აამოძრავა ქართველი საზოგადოება, ხელი შეუწყო თაობათა ძალების შემოწმება-დარაზმვას.

ილია ჭავჭავაძემ ძველი თაობის ასეთი თამამი და მოურიდე-ბელი მხილებით მისი დიდი წყრომა დაიმსახურა. მას სიკვდილითაც კი ემუქრებოდნენ. „მამათა“ ბანაეც ცდილობდა ბრძოლითვე ეპასუხნა; თუმცა ჩახლენილი, ხრინწიანი ხმით, მაგრამ მაინც მოინდო-მა ყიჟინის დაცემა: არაფერს არ მოერიდა, რომ კადნიერი ახალ-გაზრდა პოეტი ჩაეჩუმებინა, საზოგადოების თვალში მისი სახელი გაეტეხა. ილია კი ერთგვარი კმაყოფილებისა და მოქალაქეობრივი შოვალეობის ღრმა შეგნებით, დინჯი, მისთვის დამახასიათებელი დამშვიდებული კილოთი, მაგრამ გესლით საესე ლექსით ასე გამო-ჩატავდა თავის დამოკიდებულებას დრომოკმული და განწირული ძველი საზოგადოებისადმი:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართლისას ამბობს,  
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულეა!“  
ბრიყვი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —  
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“<sup>18</sup>.

ამ სიტყვებით ი. ჭავჭავაძემ ნათლად მოგვცა გასაღები თავისი მსოფლმხედველობისა, თავისი მიმართულებისა. პოეტის სიტყვები: „კარგი გული კი მაშინვე სცნობს — ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“ — ზუსტად ახასიათებს მისი მოღვაწეობის ძირითად ხაზს. შეურიგებლობა, გაკიცხვა, რომელსაც ილია აწარმოებდა ქარ-თველი პრივილეგიური კლასის მიმართ, გამოწვეული იყო მოქალა-ქე-მწერლის ღრმა ეროვნული გრძნობით, ღრმა სიყვარულით ქართ-ველისადმი. ამას მშვენივრად ჰფენს ნათელს ამ ლექსის B ავტოგ-რაფში ილიას ხელით მიწერილი სიტყვები: „მიყვარს საქართველო და მძულს ეხლანდელი ქართველი. სიტყვები ერთი ჰკვიანი ქართ-ველისა“. შემდეგ ეს სიტყვები წაშლილია და იქვე მიწერილია „ეხლანდელი ქართველი რომ ძალიან მძულს, ამით ვამტკიცებ, რომ საქართველო ძალიან მიყვარს“<sup>19</sup>. ამის გაგება და დანახვა ძველ, კონსერვატორულ თაობას, რომელსაც მწარედ ხვდებოდა ილიას ნასროლი შხამიანი ჩსარი, არ უნდოდა; ილია კი შეგნებითა და კმა-ყოფილებით გაიძახოდა:

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა  
და დაე გვძრახონ, ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“.

<sup>18</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 46, 1925 წ.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 432.

აი, ეს „ქართვის ბედის“ ძებნა იყო ის ძალა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს დაუშრეტელ ენერგიას აძლევდა, შინ და გარეთ ბრძოლის ფრონტს ახსნევიანებდა და, მიუხედავად გარემო ცხოვრების მძიმე, სავალალო მდგომარეობისა, მომავალ ცხოვრებაში იმედია-ნად ახედებდა:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..  
აწმყო თუ არა გეწყალობს, მომავალი ჩვენია,  
თუმცა ქველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...  
მათ ახალთ აღგადგინონ შენ დიდების დღენია,  
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია!“<sup>20</sup>...

ეს დიდი, ყველაფრის შემწირავი პატრიოტული გრძნობაა, ილიას რომ ფაფარაყრილ ლომსავით გამოიყვანს და აბრძოლებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე. ის თავდაუზოგავად ებრძვის როგორც შინაურ მტერს, ისე გარეშეს, ყველაფერს და ყველას, რაც ხელს უშლის ხალხის აღორძინებას. წინსვლას; ასევე გაბედულად უტევს ის უხეშ, მცირე ერთა გამათახსირებელი კოლონიალური პოლიტიკის ბარბაროს მოხელეებს, რომელნიც ცდილობენ ხალხის შევიწროებას, დაცემას; ცდილობენ ქვეყნის — ერის დანაწილებას, ენის წართმევას. ქართული ენა იღვევებოდა სკოლებიდან, სასამართლოდან, დაწესებულებებიდან. დაბრკოლებები ელობებოდა ყოველგვარ ქართულ კულტურულ საქმეს. ხალხი მძიმე რეჟიმის ქვეშ იჭექებოდა, კარგავდა თავის ეროვნულ სახეს, გადაგვარების გზაზე ღვებოდა, მართალი სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა.

გაუტეხელი ილია ასეთ პირობებში მაინც დინჯად, გაბედულად, შთამაგონებლად გაიძახოდა და წერდა: ეროვნული მიმართულება ..იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი... ჩვენი ვინაობის საქმეს უნდა შევეუბრჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ“<sup>21</sup>.

20 ი. ჭავჭავაძე. ტ. I, გვ. 22.

21 ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, ტ. VI, გვ. 128, „ივერია“, 1881 წ., № 5.

შავბნელი რეაქციის პირობებს, რომელთა ეკლიან ბარდებში უხდებოდა მწერალს თავისი შეხედულებების მიტანა მკითხველამდე, იგი იგავურად ასე ახასიათებს: „იქნება არ დაიჯეროთ და ერთი საოცარი, უცნაური სენი დამჩემდა. ამბობენ, ეს სენი მართო მე არა მჭირს. თურმე ნუ იტყვი, ყველას, ვისაც ჰკუთხათან რაიმე საქმე აქვს, იმათაც ის ემართებათ, რაც მე. დავფიქრდები რა-ზედმე თუ არა, ან ჩავუყვირდები რასმე და ტვინის ძაფები მოძრაობაში შევლენ, ერთი რაღაც სულთამხუთავსავით ანეტუზება თვალწინ და არა მშორდება... ეხლაც თვალ-წინ მიდგა და საშინელს ჯადოს მიკეთებს. მე ერთის თქმა მინდა — ის სულ სხვას მალაპარაკებს, ენა ჩემი იძვრის — სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწერს — აზრი იმისი გამოდის, რა მემართება, არც მე ვიცი“<sup>22</sup>.

ასეთ მძიმე პირობებში უხდებოდა ი. ჭავჭავაძეს მედგარი ბრძოლა, ერთი მხრივ, ქვეყნის გადარჩენის, წინ წაწევის, ქვეყნის უფლებების აღდგენა-დაცვისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ სურვილის გაღვიძება-გაღვივებისათვის თანამემამულეებში, მათი შეერთებისათვის საერთო, საქვეყნო საქმის გარშემო.

ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგება. ამ საკითხს ის არასოდეს არ სვამდა კარჩაკეტილად, სახელმწიფოსა და მასში შემავალ მცირე ერთა საერთო და პირადი ინტერესების გაუთვალისწინებლად, დამოუკიდებლად. აი, რას მოითხოვდა ი. ჭავჭავაძე სახელმწიფოსა და მასში შემავალ მცირე ერთა სამართლიანობისა და სარგებლიანობის საფუძველზე მოწყობისათვის: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგადა-შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უღიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს, ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდეს სახელმწიფოსთან. დიდი ხანია მოსალოდნელი იყო ყველა თვალწილული კაცისათვის, რომ დღესა თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგრიძით და სიგანით წინ აყუდებოდა რუსეთს და მის გადაუწყვეტლად მისი წინსვლა შეფერხდებოდა. ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალე ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ დღესა თუ ხვალე რუსეთი იძულებული შეიქმნებოდა დაენიშნა სამზ-

<sup>22</sup> ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, ტ. VII, გვ. 80—81.

ღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნობისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა. ამას მოითხოვდა არამც თუ მარტო ისტორიული მდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ მარტო შორსმხედველობა დამჯდარის ჭკუისა, არამედ თითონ სახელმწიფოს პიზრდაპირი ინტერესიცა. თუ რამ სამდურავი, გულის ტყენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ვრცელის იპერების სხვადასხვა ადგილებში, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა, მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნობა, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულ-ხელ-დაკრეფილი იყო და ხმაამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეისაქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, — თუ სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყება სახელმწიფოსი“<sup>23</sup>.

აი, სწორედ ერის ამ უფლების გარკვევას თავგამოდებით მოითხოვდა ი. ჭავჭავაძე მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე თავის მრავალმხრივ შინაარსიან „შინაურ მიმოხილვებში“. მთავარმართებელ დონდუკოვ-კორაპკოვის მოსვლისთანავე ხმა დაირხა, რომ კავკასიას სამმართველო ცვლილებები მოელის და ამ მიზნით კომისიაც არის დანიშნულიო. ილია სარგებლობს ამ ხმებით და ერთ-ერთი „შინაური მიმოხილვის“ საშუალებით გამოთქვამს თავის სამართლიან აზრს, რომ კომისიის მუშაობა უშედევო იქნება, თუ მას ვალად არ დაადეს „იმ დედააზრის აღმოჩენა და დადგენა, რომლის ძალითაც ეროვნობის და სახელმწიფოს არსებითნი მოთხოვნილებანი უნდა ერთმანეთს შეეფარდოს და თვითოეულს მათგანს მისი საკუთარი სარგებელი შემოეხაზოს“<sup>24</sup>.

ამასთან, დაიწყო მუშაობა ერობის შემოღების შესახებ. ი. ჭავჭავაძე დიდი თანაგრძნობით შეხვდა ამ წამოწყებას. ერობის შემოღება, ილიას გაგებით, საშუალებას იძლეოდა ადგილობრივი საჭირბოროტო საკითხები გადაეჭრათ ამორჩეულ პართ, რომელსაც ზედმიწევნით იციან, „რა სტკივა ერსა და რა წამალი დაედება. თუ ერობის საქმე ისეა მოწყობილი, რომ იგი მართლა ერობდეს, უკეთესის ნატვრა, ჭერ ამ ხანად მაინც მეტის-მეტის წადილი იქნება“<sup>25</sup>, — წერს ი. ჭავჭავაძე.

<sup>23</sup> ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1881 წ., მარტი, ტ. VI, გვ. 105—106.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 192.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 182.

ი. ჭავჭავაძეს კარგად აქვს გათვალისწინებული, რომ კანონზე ბევრი რამაა დამოკიდებული; ამიტომ მის შემოღებას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეყიდოთ. მაგალითისათვის, არსებული თუ საუქრებელი მოსალოდნელი კანონის განქიქების მიზნით ის იქვე წერს: „ვთქვათ, კანონად დაიდოს, რომ თუ არ ჩინოვანი, ამორჩეულ არ უნდა იქმნას, ანუ თუ არ ჩინოვანს, ანუ მდიდარს, არჩევანის ხმა არ უნდა ჰქონდესო, — მაშინ ერობა ცარიელი ფუცი და ფუქი სახელი იქნება. ჩინოვანი და მდიდარი — ერი არ არის. ერი წრის იგარეთ დარჩება, თუ, მაგალითებრ, კანონად დაიდვა, რაც მიაჩება, მარტო ისა სთქვიო, და რა წამალიც მე ვინდომო — ის წამალი იხმარეო, — მაშინ ერობა ტვირთია და არა შვება და შეღავათი... ერობა ორკეცი რამ არის: ერთით მოვალეობაა და მეორით უფლება, ერთით — ტვირთია, რადგანაც ხარჯი, გადასახადი მოსდევს, მეორით — ღონეა სიკეთისა, რადგანაც ერი თითონ ჰპატრონებს თავისთავს და ხარჯსაც და გადასახადსაც თავის თავს ახმარებს“<sup>26</sup>.

\* \* \*

ქვეყანას წინ წაწევისათვის სჭირდებოდა იდეურად მოქმედი კადრები, სჭირდებოდა ეკონომიური ძალა. ილიას მეთაურობით 60-იანი წლების დასაწყისიდანვე შეიქმნა ახალი თაობა, იდეურად შეთანხმებული და ენერგიულად მებრძოლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე. 1863 წლის დასასრულს ჟურნ. „საქართველოს მოამბის“ არსებობა შეწყდა. ამ ჟურნალის ძირითადი წამყვანი ძალა, ი. ჭავჭავაძე, გლეხთა მდგომარეობის შესწავლის მიზნით გააგზავნეს ჯერ ქუთაისში, შემდეგ 1865 წლიდან — დუშეთში, სადაც 1868 წლიდან დაინიშნა მომრიგებელ-მოსამართლედ.

ილია ფრთებშეკვეცილია: მეტად დატვირთულია სამსახურებრივი მოვალეობით, რაც საშინლად უშლის ხელს მის სამწერლო მოღვაწეობას. ის სასტიკად უჩივის თავის მდგომარეობას. მისი დაუღალავი, მოძრავი ბუნება ფართო ასპარეზს ითხოვს, თბილისისაკენ მოილტვის. უნდა სამსახურს თავი დაანებოს, კვლავ ოცნებობს ჟურნალის დაარსებაზე. „სამსახურის დანებება, — სწერს იგი პ. უმიკაშვილს, — ამჟამად დიდი არაფერია. და თუ სამსახურიდამ გამოვალ, მარტო იმისთვის, რომ ჟურნალი გამოვსცე. ვფიქრობ, ვფიქრობ და ეგ გამოცემა ვერ მომიხერხებია. აი სრულიადი დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს. თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად არიან?) მწერალზე იმედი შექნება.

<sup>26</sup> ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1881 წ., დეკემბერი, ტ. VI, გვ. 182.

ანუ უკეთ — მომეცმა, მაშინვე დაგკრავ ფეხს, გადავვარდები ბახტრიონ-გალავანზედა“<sup>27</sup>.

მას კარგად ესმის, რომ საქირო ბრძოლის ნაყოფიერი წარმოების შესაძლებლობა თბილისში უნდა შეიქმნას. ამიტომ ცდილობდააარსოს ქართველ მწერალთა სახლი. მისი თანამოკალმენიც კარგად ითვისებდა, რომ ილიას გადმოსვლა თბილისში აუცილებელია. ამ მხრივ მეტად საგულანხმოა ნ. ნიკოლაძის შემდეგი ცნობა: „საზღვარგარეთიდან რომ დავბრუნდი და ქართული ქუჩასაღმრთაისტიკის გაცხოველება განვიზრახე (70-იანი წ.), ილია ჭავჭავაძე... დუშეთს ცხოვრობდა, საცა მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა. ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევავროვე და დავაჯერე, დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევე ქართულ მწერლობას დაეუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთმეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს «გროვით» ქართული მწერლობის აღორძინების მოტრფიალენი (ლუარსაბ ანუ შაქრო მადალაშვილი, სანდრო ერისთავი «ამერიკელი», გიორგი ყაზბეგი, ნიკო მესხიშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი, ნიკო ლოლობერიძე და თქვენი უმდაბლესი მოსამსახურე). ბევრჯერ დაგვიპატიყენია: შოდით, მეთაურად გავვიხდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ-მეთქი.

განახლებული, გაღვიძებული «დროება» და სხივმოხილი «კრებული» ...საქართველოს საქმეს ვუძღვენი და ილიას ხელში ჩავაბარე...“<sup>28</sup>.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრე-მოკალმენიც, რომელთა რიცხვი, სამწუხაროდ, არცთუ ისე საგრძნობი იყო, კარგად ითვისებდნენ, რომ მუშაობის წარმატებით გაშლისათვის აუცილებელი იყო აგრეთვე მატერიალური ბაზა, რაც ქართველ მოწინავე ახალგაზრდობას არ გააჩნდა. თავადაზნაურობის მეურნეობა იმ წლებისათვის უკვე საკმაოდ დარღვეული იყო; თუ რაიმე ჰქონდათ შერჩენილი, ისიც მათი უანგარიშო ბედოვლათობით იფლანგებოდა. გლახობა ისევე უმეწაწყლო, თითქმის არაფრის მქონე იყო. აუცილებელი შეიქნა რაიმე სახსრის გამოჩახვა.

ილია ჭავჭავაძის ინიციატივითა და დიმიტრი ყიფიანის ავტო-

27 ი. ჭავჭავაძის 1872 წლის წერილი პ. უმიკაშვილისადმი.

28 ნ. ნიკოლაძის წერილი რ. ხომლევისადმი, ჟურნ. „განთიადი“, 1915 წ., (№ 8, გვ. 21—23), პ. ინგოროყვა — „ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევა)“ — ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. XCVII, 1951 წ.

რიტეტის ზეგავლენით თავადაზნაურობამ ყმების განთავისუფლებას მიღებული თანხიდან გაიღო 48 000 მან., რის საფუძველზეც გადაწყდა ბანკის დაარსება. ბანკის წესდების დასამტკიცებლად და მისი საქმის შესასწავლად მოსკოვ-პეტერბურგში გაიგზავნა ილია ჭავჭავაძე, რომელიც ბანკის დაარსებოდან (1875 წ.) მის ხელმძღვანელად იქნა არჩეული და ამ თანამდებობაზე უცვლელად დარჩა 1905 წლამდე.

ბანკის არსებობას ჩვენი ცხოვრების იმდროინდელ პირობებში ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მას ბანკი მიაჩნდა ჩვენი კულტურული ცხოვრების აღორძინების დიდად ხელშეწყობ პირობად. ერთ-ერთ თავის ცნობილ „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე ბანკის მნიშვნელობას ასე განმარტავდა: „დღეს «შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა» ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლოდობითი მოედანი, რომელზედაც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას. გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობითმა ძალ-ღონემ. ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა შუაჲს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ“<sup>29</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრეებს იმედი გაუმართლდათ. ბანკის შემოსავალმა — მოგებამ ქართველ მოწინავე საზოგადოებას საშუალება მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტზე, რომელიც კულტურული აღორძინების სახით ფეხს იდგამდა, მუშაობა გაეშალა. ბანკის დაარსებამ განახორციელა ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა სურვილი — ილია თბილისში გადმოსულიყო.

საჭირო შეიქნა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ფართოდ გაშლა, ხალხში ფართოდ გატანა მოწინავე იდეებისა. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის ყველაზე ხელსაყრელი იყო გაზ. „დროების“ პარალელურად, მისი პოზიციის გასამაგრებლად, მეორე პერიოდული გამოცემის არსებობა.

ილია ჭავჭავაძე 1877 წლიდან ახერხებს გაზ. „ივერიის“ გამოცემას. „ივერიის“ ფურცლებიდან ილია ჭავჭავაძე გაბედულად, განუხრელად უწყებს ბრძოლას როგორც შინაურ, ისე გარეშე მტერს, ქვეყნის „ვიწიანობის“ დაცვისა და აღდგენის მიზნით.

„ივერიაში“ იწყება გამოქვეყნება ი. ჭავჭავაძის წერილების

<sup>29</sup> ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1879 წ., აპრილი, ტ. VI, გვ. 60.



სერიისა „შინაური მიმოხილვის“ სათაურით. ამ წერილებში რა-  
ღაც დაუჯერებელი, განმაცვიფრებელი ფხიზელი გულისყურითა  
და პასუხისმგებლობითაა ამოკრებილი ჩვენი საზოგადოებრივი  
ცხოვრებიდან არამცთუ დიდი, არამედ წვრილმანიც, საჭირობო-  
რო თუ სასიამოვნო-სასარგებლო მოვლენა, აწონილ-დაწონილი  
ქვეყნის „ვინაობის“ აღდგენისა და განმტკიცების თვალსაზრისით  
და შთამავონებლად მიწოდებული მკითხველისადმი. ილია ჭავჭავა-  
ძეს ამ „შინაური მიმოხილვების“ მეტი რომ არაფერი დაეტოვები-  
ნა, ის ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში მაინც დარ-  
ჩებოდა როგორც დიდი პატრიოტი-მოქალაქე, დიდი განმანათლე-  
ბელი, მაგრამ ვინ მოთვლის, ვინ აღნუსხავს მის ღვაწლს. ჩვენ ამ  
ნაშრომში, განსახილველი თემის თვალსაზრისით, მწერლის შე-  
მოქმედების მხოლოდ ზოგიერთ მხარეს შევხებით.

„ივერიაში“ გამოთქმულ მახვილ, გაბედულ სიტყვას ცხოვე-  
ლი საქმე უნდა მოჰყოლოდა. ი. ჭავჭავაძე ხომ ისეთი კატეგორიის  
მოღვაწეა, რომელიც თუ ერთი ხელით ანგრევდა იმას, რაც ქვეყ-  
ნის წინმსვლელობას აფერხებდა, მეორე ხელით აშენებდა; დრო-  
მოჰმულს ახლით, რაციონალურით ცვლიდა, მავნებელს — სასარ-  
გებლოთი.

\* \* \*

ბანკის შემოსავლიანი ოპერაციების ზურგმომადგრებით, გაზეთ-  
ში თანამშრომელთა შემოკრებით, გაზეთის წარმატებით მუშაობი-  
თა და ილია ჭავჭავაძის ინიციატივით ქართული საზოგადოებრივი  
საქმიანობა თანდათან ფართოვდება. პირველ რიგში ხორციელდებ-  
ა ახალი თაობის სანუკვარი ოცნება — ფართო გეგმით შექმნას  
სამეცნიერო-კულტურული საზოგადოება — ქართველთა შორის  
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თუმცა ამ საზოგა-  
დოების წესდების გაფორმებაში ი. ჭავჭავაძეს უშუალო მონაწილე-  
ობა არ მიუღია, მაგრამ ცნობილია, რომ ამ წესდების შედგენის  
ინიციატივა და მისი დამტკიცება, თავისი ქვისლის — სტაროსელს-  
კის დახმარებით, ილიას ეკუთვნის. წერა-კითხვის გამავრცელებე-  
ლი საზოგადოება ფაქტიურად 1879 წელს დაარსდა.

1879 წლიდან 1885 წლამდე საზოგადოების პირველი თავმ-  
ჯდომარე იყო დიმიტრი ყიფიანი, მისი მოადგილე — ი. ჭავჭავაძე,  
ხოლო 1885 წლიდან სიკვდილამდე ამ საზოგადოების უცვლელი  
თავმჯდომარე იყო ი. ჭავჭავაძე. ამ შემთხვევაშიაც ილია შეუდარე-  
ბელია, არაჩვეულებრივია; იგი არა მარტო ოფიციალური თავმ-  
ჯდომარეა, არამედ მას რომ სჩვეოდა, ისეთი დაუღალავი შეუწე-  
ლებლად ინტერესიანი, საჭიროებისამებრ ყველაფრის სანიმუშოდ  
გამკეთებელი, როგორც გამოსაჩენის, ისე უჩინარი, შავი, წვრილ-  
35. მხ. ზანდუკლი

მანი საქმისა, მიწერ-მოწერა და განკარგულებანი წლების მანძილზე დაწერილია ილიას ხელით (მაგალითად, საზოგადოების ქუთაისის განყოფილებასთან).

ილიას ასეთი ენთუზიზმი გამოწვეული იყო არა მარტო ახალი საზოგადოების დაარსებით, არამედ აგრეთვე ილიას ღრმა შეგნებით, რომ მას თავისი მუშაობით მაგალითი უნდა მიეცა თანამშრომელთათვის, აღეზარდა ისინი, განევითარებია მათში პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი საქმისადმი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ი. ჭავჭავაძე უფრო საგანმანათლებლო ამოცანას უსახავდა. პირველ რიგში, ილია საჭიროდ თვლიდა სახალხო სკოლების გახსნას: „ვიმეორებთ: — წერდა ის, — ჩვენ სწავლა გვექირვება და რადგან სახალხო სკოლები სწავლის პირველ საფეხურს შეადგენენ, მხიარულებით უნდა მივეგებოთ ყოველს საზოგადოებას, რომელსაც კი სახალხო სკოლების გამრავლება განუზრახავს“<sup>30</sup>.

ი. ჭავჭავაძე, გაბედულად აკრიტიკებდა რა განათლების დარგში მთავრობის პოლიტიკას, მთავრობისა, რომელიც ზრუნავდა მხოლოდ პრივილეგიურ კლასებზე — თავადაზნაურობასა და ვაჭრებზე, წერდა: „მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღეს-აქამოდე მარტო წოდებათა (СОСЛОВНЫЙ) განათლების მზრუნველობას მოასწავებდა და სხვას არაფერს. სხვა დანარჩენი, ფრიად დიდძალი ხალხი კი, რომელიც ქვეყნის ჭეშმარიტს ღონეს შეადგენს, ამ მზრუნველობიდან გამოკლებული იყო... სწავლა და განათლება უფევსოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა“<sup>31</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ახლადდაარსებული საზოგადოების წევრთა რიცხვი მეტად მცირე იყო, სულ 126 წევრი (თითოს უნდა შეეტანა 20 მანეთი მხოლოდ), ყოველი სასიკეთო წამოწყების ენთუზიასტი ილია ამ შემთხვევაშიც იმედინად, ოპტიმისტურად იყურებოდა მომავლისაკენ: — „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენიო“, — გაიძახოდა, ჭაპანს ცხოვრებისას ერთგულად ჭიმავდა და ახლადდაარსებულ საზოგადოებასაც მოქმედების ფართო ამოცანას უსახავდა.

1879 წლის დასაწყისში ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ თავის „შინაურ მიმოხილვაში“ წერდა: „ეს საზოგადოება თავის დანიშნულების აღსასრულებლად მოჰკიდებს ხელს არა მარტო სასოფ-

30 ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1879 წ., აპრილი, ტ. VI, გვ. 55.

31 იქვე, გვ. 21.

ლო შკოლების გამართვას, არამედ დააარსებს აგრეთვე სახალხო სამწიგნობროებს, მასწავლებლებს გამოზრდის ან თავისგანვე დაფუძნებულს სასწავლებლებში, ან სხვაგან თავისის ხარჯით; გამართავს ლექციებს ხალხისათვის სხვადასხვა ადგილს და სხვ.“<sup>32</sup>

ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ბანკმა პირველ წელსვე მოგებიდან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადასდო თერთმეტი ათასი მანეთი.

მართლაც, ამ საზოგადოებამ თანდათან ფართოდ გაშალა თავისი მოქმედება არა მარტო სკოლებისა და სამწიგნობროების გახსნით საქართველოს სხვადასხვა მივარდნილ კუთხეებში (მაგალითად, აჭარაში, მთაში) ან საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებთათვის (მაგალითად, კავკასიში, ბაქოში), არამედ ეს საზოგადოება გადაიქცა ფართო მეცნიერულ-კულტურულ დაწესებულებად. მან დაიწყო შეკრება-აღწერა ძველი ქართული ხელნაწერებისა, წიგნებისა, მათი კატალოგის შედგენა-დაბეჭდვა, შესწავლა-შეკრება ჩვენი კულტურის ძეგლებისა, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებისა, ხალხური ზეპირშემოქმედებისა, ბეჭდვა მწერალთა თხზულებებისა, გამოკვლევა-ნარკვევების გამოცემა და სხვ. ამ საზოგადოებამ შექმნა ძვირფასი ფონდები, რითაც დიდად შეუწყო ხელი ქართული აზროვნების, მეცნიერების, ლიტერატურის აღორძინება-განვითარებას. ამ საზოგადოებამ აგრეთვე საძირკველი ჩაუყარა საქართველოს მუზეუმს. და ყველაფერი ეს შეიქმნა ილია ჭავჭავაძის უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით.

ნიმუშისათვის: 1885 წელს ნიკოლოზ დადიანმა თავისი ხელნაწერების მდიდარი ბიბლიოთეკა შესწირა აღნიშნულ საზოგადოებას. „ილია, — წერს ი. ყიფშიძე, — მეტად ვახარებული იყო და თვითონ იკისრა წასვლა სამეგრელოში. სოფ. გორდას, საცა სამეგრელოს მთავართა საზაფხულო-სასახლეა და საცა იყო დაცული ის ბიბლიოთეკა. მასთან ერთად წავიდნენ: ვას. მაჩაბელი, ამ საქმის მოთავე და მომხერხებელი ი. მეუნარგია, იქაური მკვიდრი, დავ. ერისთავი და სხვ. წიგნები, ხელნაწერები აღნუსხეს, ჩაალაგეს ყუთებში, აპკიდეს ჯორებსა და ქუთაისამდე ისე ჩამოიტანეს რკინის გზით თბილისში გასაგზავნათ“<sup>33</sup>.

ამ საზოგადოების მოღვაწეობის გზა, რა თქმა უნდა, არ იყო იითა და ვარდით მოფენილი. ნარ-ეკლის გლეჯა მრავლად უხდებოდათ მის მესვეურთ და პირველ რიგში მის თავმჯდომარეს —

32 ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1879 წ., პარილი, ტ. VI, გვ. 52.

33 ი. ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფია), 1914 წ.

ილია ჭავჭავაძეს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ღირსეულად სწევდნენ საზოგადოების მძიმე ტვირთს, გრძნობდნენ, რომ ემსახურებოდნენ დიად საქმეს, სახალხო საქმეს, საქმეს, რომელმაც დატოვა კიდევ ნათელი კვალი.



ილიას ნიჭი და უნარი, მისი საზოგადოებრივი შეგნება ამით არ კმაყოფილდება. ის კარგად ხედავდა, რომ ჩვენ წაქცეულ ცხოვრებას ერთდროულად სჭირდებოდა მრავალმხრივი დახმარება, დასწრებულ ორგანიზმს — მრავალმხრივი მკურნალობა. ილიამ კარგად გაითვალისწინა, რომ დასახული მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო საღად მოაზროვნე და მკოდნე ადამიანთა კადრის გადიდება. მისმა შორსმჭვრეტელურმა ბუნებამ კარგად გაიაზრა, რომ საქირო იყო განათლებულ კაცთა გამოზრდას მიქცეოდა განსაკუთრებული ყურადღება.

„ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებას“ არა ჰქონდა საშუალო სკოლის დაარსების უფლება. ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, 1879 წელს შედგა „ღარიბ მოსწავლეთა დახმარე საზოგადოება“, რომელმაც გამოითხოვა უფლება სათავადაზნაურო სკოლის დაარსებისა, რომელიც თანდათანობით საშუალო სასწავლებლად უნდა გადაქცეულიყო. ეს სასწავლებელი სახელწოდებით იყო სათავადაზნაურო, სინამდვილეში კი იქ ყველა წოდების შეილები სწავლობდნენ. ამ სასწავლებლის მნიშვნელობას ილია ჭავჭავაძე თავის 1879 წლის აპრილის „შინაურ მიმოხილვაში“ შემდეგნაირად უხსნიდა მკითხველთ: „არსებობს ჩვენში შკოლა, ჯერ-ჯერობით მოსამზადებელი, რომელიც უნდა ფახდეს საშუალო სასწავლებლად და მით შეაფასოს საქმე, რომლისათვის ხელის მოკიდებას აპირობს ახლად დაარსებული საზოგადოება. ეს საშუალო სასწავლებელი, — ჩვენი საკუთარი, ქართული სასწავლებელი შეიქმნება ჩვენი ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლების შესაძენად; ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ ჩვენს საკუთარს, ქართველს ინტელიგენციას, ე. ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა“<sup>34</sup>.

ი. ჭავჭავაძე შთამაგონებლად მოუწოდებს მკითხველთ აღმოუჩინონ მას მეტი დახმარება და საშუალება ფულითა თუ სხვა რითიმე: „ნურას დავზოგავთ ამ საქმისათვის! ვინ იცის, ჩვენი ბედი რარიგად დატრიალდება, თუ ეს საქმე ხეირიანად წავიყვანეთ!... საქმე დამოკიდებულია აგრეთვე ჩვენ ცოტად თუ ბევრად ნასწავლ

<sup>34</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 57, 1927 წ.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 58.

ყველა ამ-გვარ საქმეთა არის ჯერჯერობით საადგილ-მამულო ბანკიო“. მართლაც, ეს სასწავლებელი, რომელიც თანდათანობით გადაიზარდა ორკომპლექტიან გიმნაზიად, ინახებოდა ბანკის ხარჯზე.

\* \* \*

ჩვენს აღორძინებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას კიდევ სხვა მრავალი მიმართულებით ესაჭიროებოდა ამოქმედება. ხალხში უკეთესი ცხოვრების სურვილის გაღვიძება-განმტკიცებას, ახალი იდეების გაცნობას, მათი განხორციელების ჩვენებასა და გათვითცნობიერებას, ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვას, ილიას შეხედულებით, ხელს შეუწყობდა მუდმივი ქართული თეატრი. თეატრის უქონლობის ნაკლს მწვავედ განიცდიდა ქართული მოწინავე საზოგადოება.

1879 წლის თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე ასე ასაბუთებდა ქართული თეატრის არსებობის საჭიროებას: „ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ. ჩვენი ეგრეთ-წოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თავილობს თავის დედაენით ლაპარაკსა. ნათქვამია, თევზი თავიდან აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთ-წოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით. ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვაიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თვება. ამისთანა სავალალო და საპარცხვინო მდგომარეობაში ქართული სამუდამო სცენა სწორედ ცის ნამია დამქნარის ყვავილისათვის“<sup>36</sup>.

ილია ჭავჭავაძის დახასიათებით, „სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჰკუსა, იგი ამ თვისებით კაცის გონებაზედ უფრო მედგრად მოქმედობს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძნობისა და ჰკუის გამათაჟიზებელი, გამწმენდელი. სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს“<sup>37</sup>.

ილიასა და ვიწრო წრის ინიციატივით 1879 წელს გადაწყდა ქართული მუდმივი თეატრის დაარსება, რომელსაც ეკონომიურად ფეხი აადგმევინა ბანკმა. 1879 წელს ბანკის შემო-

<sup>36</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 45—46, 1927 წ.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 47.

სავლიდან თეატრის აღსადგენად გადაიდო სამასი თუმანი; შედგა გამგეობა, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ილია ჭავჭავაძე. მალე გამოჩნდნენ ილიას მოწოდებით აღფრთოვანებული კერძო პირები, რომელთაც ფულადი დახმარება გაუწიეს ქართულ თეატრს, მაგალითად, ი. ოქრომჭედლიშვილი და სხვ.

თეატრის გამგეობის თავმჯდომარეობაშიც ილიამ, ჩვეულებრივ, დაუშრეტელი ენერჯია, ენთუზიაზმი, გასაოცარი გულისხმიერება და ზრუნვა გამოიჩინა. ის ზრუნავდა არტისტების მიზიდვაზეც, დასის შედგენაზეც, რეპერტუარის შერჩევაზეც, ბუტაფორაზეც, პიესების გაფორმებაზეც და სხვ. როცა ეცნობით ილიას მიწერ-მოწერას ქართული თეატრის მოწესრიგების საკითხების შესახებ, განცვიფრებაში მოდიხართ; სად ჰქონდა ამ კაცს ან ამდენი დრო, ან ამდენი ენერჯია, ან ამდენი სიყვარული! როგორ სწვდებოდა ის ზრუნვას თეატრის უბრალო წვრილმანებზეც კი!

80-იანი წლები ქართული თეატრის ისტორიაში ერთი, მართლაც რომ, საუკეთესო პერიოდი. გაჩნდა მთელი პლეადა ბრწყინვალე ნიჭის არტისტებისა, როგორც იყვნენ: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ბ. ავალიშვილი, ვ. აბაშიძე, ვლ. მესხიშვილი, კ. ყიფიანი, კ. მესხი და სხვანი; შემოქმედებით არენაზე გამოჩნდნენ დრამატურგები: აკქ. ცაგარელი, დავ. ერისთავი, ვალ. გუნია და სხვანი. ილია ჭავჭავაძეც, აკაკი წერეთელთან ერთად, გამუდმებით მათი იმპულსის მიმცემი და წამახალისებელი იყო.

\* \* \*

ილიას მოღვაწეობის წამყვანი საზრუნავი ხომ მთელი ჩვენი ქვეყნის ჭირი თუ ლხინი, მწუხარება თუ სიხარული, ბედი თუ უბედობა იყო. ის, შეიძლება ითქვას, მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე გამუდმებით ხმალამოდებული იბრძოდა. მას ქართველი საზოგადოება თავის მფარველად თვლიდა და იყენებდა თავის გაჭირვების ტალკვესად. ქვეყანას მრავალი მტერი ჰყავდა, მასთან გამუდმებით ბრძოლა სჭირდებოდა; ილიაც ამ ბრძოლაში თავდაუზოგავად იყო ჩაბმული. ამ ბრძოლაში გამოიწრთო იგი და იშვიათი პოლემისტი-პუბლიცისტი შეიქნა.

ა. ახნაზაროვი, ილიას თანამშრომელი, ვაზ. „ივერიაში“ აღნიშნავს ილიას, როგორც პუბლიცისტის, მეტად დამახასიათებელ თვისებას: „ილია, — წერს ის, — თითონ მეტის მეტი ფრთხილი იყო და ჩვენც გვეტყოდა ხოლმე: «ყმაწვილებო, გაზეთის ფურცლებზედ საპოლემიკო წერილით გამოსვლა იგივე ბრძოლა არის, ომია და, ვიდრე ასეთს ომს დაიწყებდეთ, საკამათო საგანი უნდა შეის-

წავლათ, გაითვალისწინოთ, თქვენ მოწინააღმდეგეს და მოკამათეს რა პასუხის მოცემა შეუძლიან და ამ იმის პასუხსაც ამთავითვე პასუხი მოუმზადოთ. ერთი სიტყვით, გარშემო უნდა ზარბაზნები შემოიწყოთ და ბრძოლის ველზედ ისე გახვიდეთ»<sup>38</sup>. ილიას ხშირად უხდებოდა ასეთი წერილებით გამოხატვა.

ამგვარ პოლემიკურ-პუბლიცისტურ წერილებშიც ი. ჭავჭავაძე ვლინდებოდა როგორც მტკიცე, მედგარი მებრძოლი მწერალი-მოქალაქე.

80-იან წლებში აღორძინდა ქართული თეატრი. მსახიობთა ნიჭიერმა კოლექტივმა გაშალა შემოქმედებითი ფრთა. ამ გარემოებაში, ბუნებრივია, ხელი შეუწყო დრამატურგთა ამოქმედებას. დავ. ერისთავმა შესანიშნავად გადმოაკეთა ფრანგი დრამატურგის სარდუს „La patrie“ („სამშობლო“). ქართულ სცენაზე ამ პიესის კარგმა გაფორმებამ მაყურებელთა შორის მხურვალე ოვაცია გამოიწვია. ეს, რა თქმა უნდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტის დემონსტრაცია იყო. ამ გარემოებით უკმაყოფილო დარჩნენ კოლონიალური პოლიტიკის უხეში გამტარებელი — მეფის მოხელენი. მათ სათანადო ინფორმაცია მიაწოდეს გაზ. „მოსკოვსკი ვედომოსტი“-ს რედაქტორ კატკოვს, რომელმაც თავის გაზეთში ტიპიური რეაქციონურ-„ველიკოდერჟავნიკული“ სულით გაქედნითილი კორესპონდენცია დაბეჭდა, რომელშიც ასე მიმართავდა ქართველებს: თავი დაანებეთ ქართველებმა ბოდვას რაღაც წარსულზე, ზოლო თქვენი დროშა გირჩევთ ცირკს მიჰყიდოთ, იქ ტაკიმასხარები უკეთ გამოიყენებენ თქვენ დროშას, ვიდრე თეატრიო. ამ წერილმა ქართველ საზოგადოებაში უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ილია ჭავჭავაძემ ამ შემთხვევაშიც დაიცვა ქართველ ხალხის ღირსება. მან იშვიათი გამანადგურებელი საბუთიანობით გააშიშვლა შავრაზმული, მავნე პოლიტიკა როგორც ქართველი ხალხის, ისე, საერთოდ, მცირე ერთა მიმართ, არა მარტო „მოსკოვსკი ვედომოსტი“-ს „კუჭდაწმეული“, „მალა აცოცვის“ საღერღელაშლილი კორესპონდენტისა და მისი რედაქტორის — კატკოვისა, არამედ რუსეთის იმ წეს-წყობილებისაც, რომელიც „ან ვვარებში ყოვლად შემწყნარებელი“ და დიდად ხელისშემწყობი იყო.

ილია მთელი ქართველი ერის აღშფოთებას დაუფარავად და შეუპოვრად ასე გამოთქვამდა: „უბედურობა რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის — ისიც არის, როცა ერთ-გვარს ბეზლობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზლობას ეძახიან, დიდი ავალა

<sup>38</sup> ა. ახანაზაროვი, ილია ჭავჭავაძე და მისი დრო, ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1939 წ., გვ. 298.

მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება და აღებ-მიცემობის საგნად გახდება. როცა ბეზლობა, — ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, პირახდილი დაიარება, არამც-თუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს და ლუქმა პურს აწვდის მამბეზლარს, — მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძარკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოებიაო“<sup>39</sup>.

ილია ჭავჭავაძე, ფაბედულად უმიზნებს რა ბოროტების ძირშივე აღმოფხვრას, გაბედული მოქალაქის პასუხისმგებლობით აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში დაბეზლების ასეთი პატივით ყოფნა უტყუარი ნიშანია თვით „საზოგადოების სისუსტისა, უძღურებისა და დარღვევისა“.

ილიას მტკიცებით, მამბეზლარას გამკლავება და ალაგმვაც შეიძლებოდა, რომ მას „გამგონი და დამჯერი“ არ ჰყავდეს, რომ მას „შაბაშის“ და „ბარაქალას“ ძახილით არ აქეზებდნენ. განსაკუთრებით კი მძიმეა და აღმამფოთებელი, „როცა ლიტერატურა, — ეგ ადაშიანის ჭკუისა და გონების საგანძე, — შეიკედლებს მაგ საძაგლობას, როცა მამბეზლარს თავის კარს გაუღებს ზოლმე, მაშინ თვით საზოგადოების გახრწნილება ცხადია და სულთ-მობრძაობა მისის წყობისა უქვევლია“<sup>40</sup>.

ილია თანდათან აძლიერებს რედაქტორ კატკოვისა და მისი დამქაში კორესპონდენტის საზოგადოებრივი დანაშაულების არსს, ამორალობას და შეუპოვრად განაგრძობს მათდამი ნიჭიერ საბრალდებულო ომს.

„ყველაზე საშიშარი და საზიზღარი ბეზლობა ის ბეზლობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერა, რომელიც „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულის ნადები, სულისწყურვილი საქვეყნოდ გამოჰფინოს. ამისთანა ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მამბეზლარი უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიდრე მთელი ერი, იმიტომ, რომ მამბეზლარას ყოველივე იარაღი ზელში აქვს და დაბეზლებული კი იარაღ-აყრილია“<sup>41</sup>.

ხალხის ღირსების მდგარი დამცველი ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ბეზლობამ რუსეთში ამ ოციოდ წელიწადში აშკარად ამოიღდა ენა კატკოვისა და მის მიერ შეწყნარებულ თანამშრომელთა ანგარიანი ზრახვის გამო და ბეზლობა, განსაკუთრებით, განაპირა ქვეყნების მიმართ წარიმართა. კატკოვმა დიდი ქსელი იგაბა განაპირ-

39 ი. ჭავჭავაძე, ტ. IX, გვ. 3, 1928 წ.

40 იქვე, გვ. 41.

41 იქვე.



რა ქვეყნებში, როგორც უფრო ადვილი გზა პირადი მიზნის მისაღწევად, „არ დარჩენილა, — წერს ილია, — არც ერთი რუსეთის ქვეშევრდომი ერი, რომ ორგულობა და გადადგომა არ შეეწამებინა... ამით თითონაც იკვებება და თავის დამქაშებსაც, ცოტად თუ ბევრად, გზას უხსნის“.

აღნიშნავს რა კორესპონდენტის უტიფარი კილოთი რჩევას ქართველთაღმძი, რომ „ეინაიდან „სამშობლოს“ წარმოდგენაზე დიდი ხარჯები მოუვიდათ, ქართული დროშები გოთფრუას ცირკს მიჰყიდონ“, ი. ჭავჭავაძე, დიდი აღშფოთებით და სათანადო გესლიანობით ასე დაასკვნის: „გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერას პატიოსნებისას, ერის ღირსებისას,... — იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიცი, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებაში შევირცხთ.“

ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გარდაუცია. გაჭირების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვარობით და სახელით ქართველობას არა-ერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად.

ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს... ძღვევამოსილობით ომიდაჰგამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში, ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟაკობით და თავგამომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უთხევია მამულისათვის, — დღეს ეგ დროშა საციკოდ გაგვიხადა ერთმა ვილაცა კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა“<sup>42</sup>.

რომ საბოლოოდ გაანადგუროს კატკოვიც, მისი კორესპონდენტიც, მთელი მისი მიმართულება და ის წეს-წყობილებაც, რომელიც არამცთუ ითმენს ყველა ამ სიბინძურეს, არამედ თავზედაც კი ხელს უსვამს, ილია ჭავჭავაძე ასე ამთავრებს თავის, ქართველი ერის ღირსების დამცველ, პასუხს: „თვით ბარბაროსიც არ იკადრებდა ეგეთ გაუპატიოსნებას მთელი ერისას! მაშ, ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებს, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც კი ითაკილებდა“<sup>43</sup>.

42 ი. ჭავჭავაძე, ტ. IX, გვ. 9—10, 1928 წ.

43 იქვე.

ილია ჭავჭავაძის ეს წერილი ვაბედულნი თავდასხმა იყო რეაქციული წყობილებისა და მის დამცველთა წინააღმდეგ: ის იყო ეპოქალური ხასიათის პოლიტიკური პამფლეტი, რომელმაც დიდი რეზონანსი ჰპოვა არა მარტო ქართველ მოწინავე საზოგადოებაში, არამედ რუსეთშიც.

ამგვარი გამოხვედრებით, რაც ხშირი მოვლენა იყო, ი. ჭავჭავაძე ნედგრად, ვაბედულად და შეუპოვრად იცავდა ქართველი ხალხის სახელს, ღირსებას, რაც მკითხველს კმაყოფილებით აღელვებდა, ათვითცნობიერებდა და არსებული წყობილების წინააღმდეგ სათანადოდ რაზმავდა.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძის ასეთი მოღვაწეობით აიხსნება, რომ მთავრობა მას უყურებდა როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებას, ხოლო 1884 წლიდან თბილისის საგუბერნიო უანდარმა განყოფილება მასზე მკაცრ, ფარულ მეთვალყურეობას („строгий негласный надзор“) აწარმოებდა.

ამ ხნიდან პოლიცია გაუაციცეებით აღევნებს თვალყურს ილია ჭავჭავაძის ყოველ ნაბიჯს — სად და როდის მიდის, რამდენი ხნია, ვისთან. ნიჟურისათვის აღვნიშნავთ რამდენიმე დოკუმენტს.

1884 წ. ივლისის 661 №-ით თბილისის პოლიცემისტერი თბილისის გუბერნატორს სწერდა: «Совершенно секретно. На предписание от 21-го сего июля за № 146 имею честь донести вашему превосходительству, что Илья Чавчавадзе в настоящее время проживает с семейством в имении своем — сел. Сагурамо, Душетского уезда, почему мною вместе с ним за № 160 сообщено душевному уездному начальнику об учреждении над ним негласного полицейского надзора»<sup>44</sup>.

აი, კიდევ ილია ჭავჭავაძის ქუთაისში გამგზავრების შესახებ თბილისის პოლიცემისტერის 1885 წლის 3 აპრილის პატაკი 306 №-ით თბილისის გუბერნატორს: «Состоящий под строгим негласным надзором полиции кн. Илья Григорьевич Чавчавадзе выехал 27 прошлого марта в г. Кутаис. Донося об этом вашему превосходительству, имею честь доложить, что о выезде из Тифлиса кн. Чавчавадзе мною вместе с ним послано уведомление начальнику Тифлисского губернского Жандармского управления и Кутаисскому полицмейстеру»<sup>45</sup>.

<sup>44</sup> პ. ი. ივანიძე, ი. ჭავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები, საისტორიო მოამბე, ტ. III, გვ. 213, 1947 წ.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 214.

თბილისის ენდარმთა სამმართველო თავის საიდუმლო მოხსენებაში 1894 წლის 1 მაისის 565 №-ით ატყობინებს პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტს: «Уверенно можно утверждать, что главным руководителем направления, ставящего своей целью углубление национального движения, является князь Илья Чавчавадзе.. Князь Илья Чавчавадзе обладает замечательным умом и положением, пользуется большим авторитетом среди грузин вообще и среди свободномыслящих в особенности. Ходят слухи, что у него время от времени устраиваются тайные собрания, на которых обсуждаются различные общественные и социальные вопросы»<sup>46</sup>.

ამგვარი ხასიათის პატაკებით ი. ჭავჭავაძის შესახებ სავსეა თბილისის საგუბერნიო ენდარმთა სამმართველოს არქივი. მაგრამ მასზე მარტო ამ მიმართულებით როდია წარმოებულნი მეთვალყურეობა. ოლქის მზრუნველს იანოვსკის თავისი აგენტი თადა აშორტია მოახსენებს, რომ „სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში თითქმის ყოველთვიურად იკრიბებიან დიმიტრი ყიფიანი, ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და სხვ. და არჩევენ საკითხს, როგორ ააღელვონ ხალხი 1884 წლის 11 იანვრის ცირკულარის (საგანგებო დადგენილება სამეგრელოს სკოლებში ქართული ენას აკრძალვის შესახებ — მ. ზ.) წინააღმდეგ სამეგრელოს სახალხო სკოლის შესახებ“.

ასეთ პირობებში ილია ჭავჭავაძე არამცთუ ფარხმალს არ ყრის. არამედ უფრო მზნედ განაგრძობს ბრძოლას; მეტიც, მუშაობის არეს უფრო აფართოებს, თავის გაზ. „ივერიის“ საშუალებით ფართოდ აწარმოებს ხალხის ინტერესების დაცვას, გაბედულად და შეუპოვრად ეხმაურება ყოველდღიური ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებს. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა საცენზურო კომიტეტის მიერ გაზ. „ივერიაში“ დასაბეჭდად აკრძალული წერილები<sup>47</sup>. საგულისხმოა აგრეთვე საცენზურო კომიტეტის 1896 წლის 10 მაისის სხდომის რეზოლუცია გაზ. „ივერიისა“ და მისი რედაქტორის — ილია ჭავჭავაძის შესახებ: «При обсуждении настоящего дела Совет нашел, что в газете «Иверия» систематически в течение нескольких лет ведется вредная пропаганда, обращенная, главным образом, к учащейся молодежи... в этой газете настойчиво проводится мысль об угнетении грузинского народа, выражающемся, будто бы, в преследовании грузинского языка в школе и даже в церкви... Настойчивость, с какой ведется эта недостойная пропаганда, характерно выража-

<sup>46</sup> გაზ. „ტიფლისკი რაბოჩი“, 1937 წ., № 110, პ. ინგოროყვა, ი. ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი) — ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. XXXVII.

<sup>47</sup> იხ. პ. გუგუშვილი — „ივერია“ ცენზურის რკალში — ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულო, 1939 წ., გვ. 201—228.

ეტყობა, რომ ეს არის პირდაპირი შედეგი იმისა, რაც მოხდა საქართველოში, როდესაც სახელმწიფო აპარატმა დაიწყო მკაცრი კონტროლი მედიის მიმართ. ეს არის პირდაპირი შედეგი იმისა, რაც მოხდა საქართველოში, როდესაც სახელმწიფო აპარატმა დაიწყო მკაცრი კონტროლი მედიის მიმართ.

ეტყობა, რომ ეს არის პირდაპირი შედეგი იმისა, რაც მოხდა საქართველოში, როდესაც სახელმწიფო აპარატმა დაიწყო მკაცრი კონტროლი მედიის მიმართ.

საქართველოს კომიტეტის ეს შეამდგომლობა მთავარმართებელ-  
მა, რა თქმა უნდა, დაამტკიცა. რამდენი ენერგია, როგორი ტაქტი და  
ბრძოლა უხდებოდა ილიას, რომ კომიტეტის მიერ ასეთი „შეღვა-  
თიანი“, „ლმობიერი“ დადგენილება ყოფილიყო მიღებული და შე-  
დეგ რაოდენი ენერგია და ბრძოლა — გაზეთის კვლავ განახლებისა-  
თვის.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძე თავის მუშაობას განაგრძობდა განუხრებლად,  
თითქოს მის გარშემო არაჩვეულებრივი არაფერი ხდებოდა. მას  
კარგად ესმოდა, რომ „ერის ვინაობის“ აღდგენას, მის მიერ სათანა-  
დო მდგომარეობის მოპოვებას კიდევ ბევრი და, სხვათა შორის, სათანა-  
დო საზოგადოებრივი რეზონანსიც სჭირდებოდა. ამისათვის აუცი-  
ლებელი იყო ქართველი ხალხის ნიჭის, უნარის მონაგარი ფართო  
საერთაშორისო ასპარეზზე ყოფილიყო გატანილი.

ამ მიზნით ილია ჭავჭავაძე დიდი ყურადღებით ექცეოდა იმ  
ევროპელთ, რომელნიც ცხოველ ინტერესს იჩენდნენ საქართველო-  
სა და ქართველი ხალხის კულტურისადმი, განსაკუთრებით კი,  
ყოველმხრივ ზელს უწყობდა მათ, ვინც ქართველი ხალხის კულ-  
ტურული მონაპოვრების, ლიტერატურული ძეგლების უცხო  
ენებზე თარგმნას ან მის შესწავლას მოიწადინებდა.

ასეთმა გარემოებამ დაახლოვა და დაამეგობრა ილია ჭავჭავა-  
ძე გერმანელ არტურ ლაისტს და ინგლისელ უორდროპთა ოჯახს  
(განსაკუთრებით მარკორი უორდროპს), რომელნიც ქართველი  
ხალხის მეგობრები გახდნენ. მათ დიდი სიყვარულით თარგმნეს  
გერმანულ და ინგლისურ ენებზე ქართული ლიტერატურის საუნ-  
ჯის მარგალიტები. თუ დღეს ქართული ლიტერატურიდან უცხო  
ენებზე თარგმნა გარკვეული გარემოების გამო ფართო მასშტაბით  
ხდება, ილიას დროს ეს საქმე მეტად ძნელი, რთული და იშვიათი

48 „საისტორიო მოამბე“, ტ. III, გვ. 245.

იყო. ამ საქმის ხელისშეწყობას სჭირდებოდა დიდი დრო და ყურადღებაც. ამას კი ისედაც მრავალი საქმით მეტად დატვირთული ილია არ იშუტრებდა, რადგანაც ამას მოითხოვდა მისი სამშობლოსათვის შესაფერი ადგილის მოპოვება კულტურულ ხალხთა შორის, რაც მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი წამყვანი მიზანი იყო.

ამ მიმართულებით ცნობილია ილიას ურთიერთობა გამოჩენილ ორიენტალისტთან — ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორ კარლ ლემაან-ჰაუპტთან, აგრეთვე ქართული ენის ცნობილ მკვლევართან — გრაცის უნივერსიტეტის პროფესორ ჰუგო შუხარდტთან, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ მირფილთან.

ილიას მრავალ სასარგებლო საქვეყნო საქმეთა შორის უნდა აღვნიშნოთ კიდევ ორი რამ: ნიკ. ბარათაშვილის ნეშტის ვანჯიდან თბილისში გადამოსვენება 1893 წ. და პოეტ რაფ. ერისთავის 50 წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანაშნავი იუბილე, რაც მოწყობილ იქნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ინიციატივით, რომლის თავმჯდომარე და წამმართველი იყო თვითონ ილია. ორივე ეს მოვლენა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა იყო. მოხდა ერთგვარი დემონსტრაცია-შემოწმება ქართველი ხალხის გაღვიძების, გათვითცნობიერებისა და გაერთიანების საქმეში, რაც ძირითადი მისწრაფება იყო ქართველი მოწინავე საზოგადოებისა და მისი ბელადის ილია ჭავჭავაძისა.

\* \* \*

მიუხედავად ასეთი დატვირთულობისა, როგორც პირადი პასუხსაგები სამსახურით ბანკში, ისე ფართო მასშტაბის საზოგადოებრივ-პუბლიცისტური მოღვაწეობით, ილია ჭავჭავაძემ არამცაუ არ შეანელა პოეტური შემოქმედება, არამედ სწორედ ამ პერიოდში, 80-იან წლებში, მან შექმნა ქართული მწერლობის მარგალიტები. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, სამართლიანად არ შეგვეძლოა მივიჩნიოთ ივანე გომართლისა და სხვათა შეხედულება, თათქოს „ბანკმა ჩაჰკლა ილიაში თავისუფალი და დამოუკიდებელი მგოსანი... აქედან დაიწყო ნეორე ხანა მისი მხატვრული შემოქმედებისა. ეს ხანა ღარიბია გზებით, ცეცხლითა და გაქანებით... ღარიბია პოეტური ქმნილებით“<sup>49</sup>.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ამ პერიოდს მხატვრულობისა და იდეურობის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, უკვე ისეთი ნაწარ-

<sup>49</sup> ივ. გომართელი, ი. ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება, „ახალი კავკასიონი“, 1925 წ., № 1—2 (დაყოფა ჩვენია — მ. ზ.).

მოებების დასახელებაც კი, როგორცაა „სარჩობელაზედ“, „განდგეილი“ და „ოთარაანთ ქვრივი“ (სწორედ ამ პერიოდშია დაწერილი), ყოველ დაკვირვებულ მკითხველს ჭეშმარიტად აჯერებს, რომ ამ მხრივ ზემოაღნიშნული აზრი სიმართლეს მოკლებულია. პირიქით, ი. ჭავჭავაძის ეს პერიოდი (1877 წლიდან მოყოლებულად) ბუნებრივი გაგრძელებაა მისი პოეტური მოღვაწეობისა. შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძემ სწორედ ამ ხანებში შექმნა თავისი უძლიერესი მხატვრული ნაწარმოებნი, საფსენი „პოეტური გზნებით, ცეცხლითა და გაქანებით“. ეს პერიოდი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მაღალი მხატვრული ქმედების პერიოდია. იზრდება ილია როგორც პოეტი, ივსება, ღრმავდება, იხვეწება მისი შემოქმედებითი გენია, თითქოს ეროვნულ ჩარჩოებში აღარ ეტევა, საერთო საკაცობრიო თემების ასახვაში გადადის. ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძე ცხოველ ინტერესს იჩენს ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური აქტუალური საკითხებისადმი. ადამიანის სულიერი სამყარო, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა, დანაშაულის ბუნება და მისდამი სასჯელის — ოფიციალური კანონმდებლობის დამოკიდებულება („სარჩობელაზედ“), ცხოვრების არსი და ადამიანის დანიშნულება („განდგეილი“), უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელი, წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდი“, ობიექტური პირობების ზეგავლენა ადამიანზე, „სინდისის ქუდი“ („ოთარაანთ ქვრივი“) — აი, საკითხები, რომელთა გარშემოც არის ძირითადად ამოქმედებული ამ პერიოდში ილიას პოეტური ნიჭი.

\* \* \*

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ილია ჭავჭავაძემ დიდი მხატვრული ოსტატობით გამოქანდაკებულ სახეებში დაგვიანსვა. რომ არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უსამართლობა დიდია, ადამიანის „გული ცოდვილ საქმისათვის მაღია“ და ხარბი, იგი დაუნდობელია. საზოგადოების უსამართლო მოპყრობამ — „ოვალხათლივ ფაძარცვამ“ — გააბოროტა და გადაამტერა ორი ახალგაზრდა ძმა მთელს ქვეყანას, „კარგსაც და ავსაც“. ამ ყმაწვილების ცხოვრების გზის გამრუდებაში, მათ ავ საქციელში, ავტორის აზრით, თვით საზოგადოებამ დამნაშავე: დანაშაული ამ ძმებისა იძულებითია. უმცროსს, ძმის წერილში მშვენივრადაა მოცემული, თუ ცხოვრებას ობიექტურმა პირობებმა როგორ მისცა ძმების ცხოვრებასა და მოქმედებას თავისებური გეზი. კარგადაა ნაჩვენები საზოგადოებრივი ცხოვრების კანონმდებლობაც, რომელიც, ხელმძღვანელობს რა ვაბატონებულნი კლასის ინტერესებთან და თვალსაზრის-

სით, უფრო საქმეს სინჯავს, ვიდრე ვჯულს, ე. ი. საქმის გამომწვევებში მიზნებს. ამიტომ, ისიც უსამართლოა მთელი თავისი საშუალებებით: საბრძოლველად, ჯალათით, ეკლესიით თუ სასამართლოთი.

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ნათლადაა გამომკვლავებული ილია ჭავჭავაძის რეალისტური, პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანიც. ილიას ჩვენებით, არსებული წყობილება უსამართლოა, ადამიანის ნებისყოფა ცხოვრებაში თავისუფალი არ არის, ის განსაზღვრულია ობიექტური პირობებით. გარემო თავისებურ დასავსად ადამიანის პიროვნებას, მის მსოფლმხედველობას, მთელს მის ქცევას.



ცხოვრებაში გაბატონებული უსამართლობის მიუხედავად, ადამიანი მაინც არ უნდა გაექცეს მას, ეს საჭირობოროტო საკითხი ილიამ იშვიათი ოსტატობით გააშუქა თავის პოემა „განდეგილში“. „განდეგილში“ მკითხველისათვის ნათლადაა დაპირისპირებული ორი მსოფლმხედველობა, ორი ძალა: რეალური და ირეალური, მიწა და ცა; ორი კულტი — კულტი ცხოვრებისა, მასში დუდილისა და ტრიალისა და კულტი ცხოვრებისაგან გაქცევისა, ასკეტიზმისა. განდეგილი ცხოვრებას გაქცევია: ცხოვრების გარეშე მყოფს, განყენებული იდეისათვის „სააქაო საიქიოსათვის დაუთმია“, „ხორცი სულისთვის უწამებია“. სულიერი სიმშვიდე „დღე-ღამე ლოცვით, გოდებით, გვემით“ მოუპოვებია, განდეგილს დაპირისპირებია მწყემსი ქალი, რომელიც განსახიერებაა ცხოვრების ჩქეფისა და დუდილისა. მას უყვარს ცხოვრება ემპირიული, ხილული. ის მასში ხედავს სიამოვნების, სილამაზის, კმაყოფილების წყაროს, მწყემსი ქალი გარემო ბუნებით ხარობს, ტკბება, ბუნების გარეშე მისთვის სიცოცხლეს ძალა დაჰკარგვია.

„განდეგილის“ დედააზრი მკითხველთათვის აშკარაა: კაცის სიცოცხლე ცხოვრების გარეშე აშაოა, კაცი ცხოვრების გარეშე ვერ მოიპოვებს ვერც სიმშვიდეს, ვერც კმაყოფილებას. ის ისევე განადგურდება უკვალოდ. როგორც განადგურდა თვით განდეგილი.

პოემა „განდეგილი“ არა მარტო თემატურად დასმული პრობლემის მართებული და ნიჭიერი გადაჭრით არაა მიმზიდველი, არამედ სხვა მხრივაც. ილია ჭავჭავაძე „განდეგილში“ დიდია არა მარტო მძლავრი და მიმზიდველი თემითა და სახეების ნიჭიერი. ოსტატური გამოქანდაკებით, არამედ, აგრეთვე, ძარღვიანი ლექსითაც. „განდეგილში“ მაღალი პოეტური ოსტატობითაა შეზავებული შინაარსისა და ფორმის განვითარება დახვეწილ მხატვრულ მთლიან-

ნობაში. აქ, ლექსშიც, ილია ჭავჭავაძე პოეტური ხელოვნების ახელსაწილს მწვერვალზე ავიდა, როგორც „ოთარაანთ ქვრივში“.

„განდეგილის“ ლეიტმოტივი იგივეა, რაც „მგზავრის წერილებისა“, რომელიც მყინვარისა და თერგის, ღამისა და დღის მომხიბვლელ დაპირისპირებაში იხატება. ესაა მთავარი მიმართულება, რომელიც წითელ ზოლივით გასდევს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასაც და მის პრაქტიკულ მოღვაწეობასაც, რომელმაც მაღალი პოეტური განსახიერება პოვა აგრეთვე პოემა „განდეგილში“.

პოემა „განდეგილი“ რეალური ცხოვრების ნიჭიერი აპოთეოზია.



ამიტომ, რომ ილია ჭავჭავაძე „ოთარაანთ ქვრივში“ დიდი გულმოდგინებით ჩაჰკირკიტებს „უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფლის საჭირბოროტო და წყევლა-კრულვიანი საკითხების“ გარკვევა-გადაჭრას, რაც მას მთელი მოღვაწეობის მანძილზე აწვალედა. ყველაზე მტკივნეულ საკითხად ილიას მიაჩნია კლასთა თუ წოდებათა შორის ურთიერთობა. ამ გარემოების ჩვენების მიზნით, ილია ჭავჭავაძეს გამოყენებული აქვს მისთვის დამახასიათებელი პოეტური ხერხი — თავადაზნაურობისა და გლეხების ურთიერთობის დაპირისპირება.

„ოთარაანთ ქვრივში“ ილია ჭავჭავაძე მკვეთრად გვიჩვენებს, რომ ბატონყმობის გადავარდნიდან კარგა ხნის გასვლის შემდეგაც ნაბატონარსა და ნაყმევს შორის ურთიერთობა კვლავ უსწორმასწოროა, თუნდაც ისეთ თავადებთან, როგორიც არიან არჩილი და კესო, რომელთაც ცოდნა და შეგნება განმტკიცებული აქვთ სწავლით.

ილია ჭავჭავაძე, როგორც რეალისტი მწერალი, აშკარად ხედავს, რომ 80-იანი წლების დასასრულსაც, მიუხედავად იმისა, რომ გლეხი განთავისუფლებულია, მას იურიდიული უფლება მინიჭებული აქვს, მაინც ნაბატონარსა და ნაყმევს შორის ჯერ კიდევ არ არის გადებული ხიდი თანასწორობისა, მათ შორის მაინც არაა დაძლეული საუკუნეების მანძილზე სოციალურ-ეკონომიური უთანასწორობით გამოწვეული წინააღმდეგობა, ურთიერთგაუგებრობა, მათ შორის „ხიდია ჩატეხილი“, — „ისინი (ე. ი. გლეხები — მ. ზ.), — ეუბნება არჩილი კესოს, — იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი“.

ამასთან არჩილი (რომლის პირითაც ილია ჭავჭავაძე თავის შეხედულებებს გამოხატავს) კარგად ხედავს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე ეს ორი მოქმედი სოციალური ფენა



(თავადაზნაურობა და გლეხობა) არ არის თანასწორი ღირებულებებისა: „ჩვენ, რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, — ალაპარაკებს ილია არჩილს, — ისინი კი — შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტიტ შეკერილნი; იმ გვირისტიტ, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაიკრულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, დუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან, ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია“<sup>50</sup>. განსხვავება და ღირებულება მათ შორის, ილიას ჩვენებით, დიდია და თვალსაჩინო. არჩილის სიმპათია გლეხებისადმი აშკარაა. ეს გარემოება იწვევს კესოს რეპლიკას, რომ „გლეხსაც ახასიათებს უარყოფითი თვისებები: გაუტანლობა, უმადურობა, შეუბრალებლობა, თავის მოძმე გლეხსაც კი, თუ ვიწროში მოასწრო, „დაახრჩობს, მიწასთან გაასწორებს“.

არჩილი დას ეთანხმება, აუღელვებლად პასუხობს, რომ ეს მასაც გაუგონია, ზოგი რამ უნახავს კიდევ, „მაგრამ ცხოვრება მაინც მათშია: იქ დულს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა... რაც სუქვი, — განაგრძობს არჩილი, — ეგ ჭუჭყია, ქაფია, მღუღარე ცხოვრებისა თავზედ მოგდებულნი. ძირში კი წმინდაა... მამ რა სწნავს იმისთანა კაცურ-კაცს, როგორიც გიორგი იყო? ან ამისთანა დედაკაცს, როგორიც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო მათს თონეში ცხვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენითანა კუტ პურს აცხობს“.

არჩილი მოაგონებს კესოს, თუ რამდენჯერ გაუტაცნია ისინი აზრს, რომ „ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობა“, მაგრამ აი, ცხოვრებამ მათ წინ დაუყენა ასეთი კაცი გიორგის სახით, მათ კი ვერ იცნეს იგი, ვერ დააფასეს. უფრო მეტიც, სიყვარულსაც კი ვერ მიუხვდა კესო. „იცი რა იყო გიორგი, — გაღვიძებული სინდისის ქეჩნით ეუბნება არჩილი კესოს, — გიორგი მთელი წიგნი იყო ხიდგაღმა დაწერილი. გიორგი წიგნია მეთქი; მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ“. გიორგის მიმზიდველ, ღირსეულ პიროვნებას და მის უანგარო სიყვარულს „ბრმა გული დაჰხვდა გვარიშვილობის ცხრაკლიტურით გადაარაზული“.

ასეთმა მხილებამ კესოს გული აუჩუყა. მან ტირილი დაიწყო. არჩილი (ილია) მხილების ასეთი შედეგით კმაყოფილია. ის მგრძობიარედ მიმართავს დას: „მეც ვიტყვი, რომ მარტო უკანლა ვი-

<sup>50</sup> ი. ჯ ა ვ ჯ ა ვ ა ძ ე, ტ. III, გვ. 110. 1926 წ.

ხედებოდე, როგორც ეხლა შენ. იქ, უკან, ბნელა... ღამეა“... „—და ხილია ჩატეხილი, ხილი“, — ტკივილით წამოიძახებს კესო.

ღის ასეთი შეგნებით არჩილს მიზანი მიღწეულად მიაჩნია — „დასაწყისია განთიადისა“. ასეთი შეგნება ადამიანთა შორის უნდა განმტკიცდეს, მაშინ „ჩატეხილი ხილიც“ გამოთელდება, ადამიანთა შორის ურთიერთგაგება დამყარდება, წინააღმდეგობა, კაცის არღუსება მოისპობა. ასეთია აზრი არჩილისა (ილიასი).

ილია ჭავჭავაძის „უსწორ-მასწორო“ საზოგადოებრივი ცხოვრების „წყევლა-კრულვიანი საკითხის“ მოწესრიგების თეორია გამომდინარეობს შეგნებიდან. ადამიანის შეგნება აღადგენს „ჩატეხილ ხიდს“, კაცის შეგნება გარდაქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების „უსწორ-მასწორობას“.

მაგრამ რა ქნის ამ შეგნებას? საიდან ჩნდება იგი? აქ ილია ჭავჭავაძე უშვებს იმავე შეცდომას, რასაც 60-იანი წლების რუსი მოაზროვნეები: „идеи правят миром“. სწორედ ამაშია სუსტი მხარე ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისა.

მართალია, ილია ძლიერია იქ, სადაც ის მკვეთრად შლის, ერთი მხრივ, არჩილისა და კესოს, მეორე მხრივ, ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის შორის განსხვავებას, გაუგებრობას. „გვარიშვილობამ“, ე. ი. ეკონომიურმა და უფლებრივმა სხვადასხვაობამ ასეთი გარდაუვალი უფსკრული, ასეთი სხვადასხვა ფსიქოლოგია განავითარა ამ ორ წოდებას შორის. მათ შორის შექმნა თვალი და ყური მიუწვდომელი — „ჩემო რაოვო?“ — თვით გიორგის სიყვარულიც კი შეუმჩნეველი რჩება კესოს „გვარიშვილობის ცხაკლიტულით დაკეტილი ბრმა გულისაგან“.

აქამდე ი. ჭავჭავაძე მართალია, მისი პოეტური აღლო ჯანსაღია, ღიღია. მისი აზრი აქამდე ძალდაუტანებელია. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს: ასეთი შეგნება შეიძლება შეიქმნას მაშინ, როდესაც ადამიანთა შორის ეკონომიურად და უფლებრივად ყოველმხრივი თანასწორობა დამყარდება. ეს კი უნდა დამყარდეს კლასთა შორის ბრძოლის გამწვავებით და საბოლოოდ ძველი წყობილების საფუძვლიანად დანგრევით, ადამიანთა ეკონომიური და უფლებრივი გათანასწორებით, ხოლო ილიას „ჩატეხილი ხიდის“ გამოთელების თეორიას ასეთი ახსნა აკლია.

\* \* \*

„ოთარაანთ ქვრივიში“ ილია ჭავჭავაძემ ეს მძიმე და მართლაც მოუწესრიგებელი „უთავბოლო“ და „უსწორ-მასწორო“ წუთისოფლის პრობლემა სათანადოდ ვერ გადაწყვიტა. ეს ტკივილი ჩვენს მოქალაქე-მწერალს შემდეგშიაც ტკივილად რჩება და როდე-

საც 90-იანი წლებიდან მოყოლებული საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობა ძლიერდება, მშრომელი მასა ირაზმება რევოლუციური ბრძოლისათვის, ილიას წინაშე როგორც ადრეც აღვნიშნეთ, კვლავ მწვავედ დგება საკითხი „ჩატეხილი ხიდის“ გამთელებისა, რომელსაც იგი გამოთქვამს 1900 წლის 1 იანვრის „ივერიაში“ მოთავსებულ წერილში — „მეცხრამეტე საუკუნე“. ამ წერილში ილია ჭავჭავაძე, აჯამებს და აფასებს რა დიდად შინაარსიანს, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის აღმოჩენებთან და მონაპოვრებით გამდიდრებულ XIX საუკუნეს, ასკვნის: „ვინ მოსთვლის ყოველ იმ აიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულ მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკევაარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და შეძლებისამებრ ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჩელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად“. „ამ გზაზე, — განაგრძობს ილია, — წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თავისდა პატივის მოსახსენებლად“<sup>51</sup>.

მისცა რა ასეთი მაღალი და, უნდა ითქვას, სრულიად მართებული შეფასება XIX საუკუნეს, დიდი ჰუმანისტი, მოქალაქე-მწერალი ბუნებრივად სვამს საკითხს: „დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა?“ და პასუხსაც უმაღლ იქვე იძლევა: „არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, — უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამოხმავრება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი

<sup>51</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 6—7, 1927 წ.

შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა. და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის ფონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოაქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“<sup>52</sup>.

\* \* \*

ეს „წყევლა-კრულვიანი საკითხი“ ცხოვრების მოუწყობლობისა, ილია ჭავჭავაძეს სტანჯავდა არა მარტო XX საუკუნის კარიბჭეში, არამედ ადრიდანვე.

რეალისტი მწერალი ილია ჭავჭავაძე ყმის, გლეხის მდგომარეობასთან ერთად, ბუნებრივია, დაინტერესდა მუშის საკითხითაც. ჯერ კიდევ 1860 წელს ილიამ მუშის „ნაღვლიან ხმაში“ დაიწახა მისი „ღლითური ლუკმისათვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება“. ჩვენს ლიტერატურაში პირველად ილიას შემოქმედებაში გაისმა მუხთალი ბედით გაწვალებული მუშისადმი ძმური თანაგრძნობის ხმა:

„ვინა ხარ შენა, ჩემო ძმო, სიღამ მოსულხარ?  
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ?...“  
(„მუშა“)

ასეთი მიმართვის შემდეგ ილია ჭავჭავაძე მუქ-რეალურ ფერებში აღწერს ლუკმა-პურისათვის მუშის ყოველდღიურ მძიმე ბრძოლას, მის ცხოვრებას აუტანელ პირობებში. მკითხველის წინაშე ცოცხლად, დამაჯერებლად დგას წელში მოხრილი, ოფლის ხვითქმდინარე მუშა-გლეხი, რომელმაც ვეღარ გაუძლო „ბატონის მათრახს“, მოსწყდა ოჯახს, სახლ-კარს და ყმობაში გაცვეთილი თავისი ჯანით აქ, ქალაქში, დაუწყო ბრძოლა ცხოვრებას ხმელა პურის მოსაპოვებლად.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას როცა ვეცნობით, ჩვენთვის აშკარა ხდება, რომ თუმცა მუშის ისტორიული როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაში მისთვის გაურკვეველია, მაგრამ მასაც, როგორც სხვა თერგდალეულებს, ბედნიერების ფართო მომავალი ეხატება, რომლისკენაც ის არა კლასთა შორის ბრძოლის გაღრმავება-გამწვავეების, არამედ მშვიდი შეგუების გზით მიდის.

52 ი. ჭავჭავაძე, „მეცხრამეტე საუკუნე“, ტ. VI, გვ. 6—7, 192: 7.

პოემა „აჩრდილში“, როგორც ვთქვით, ილია ჭავჭავაძე უარყოფს ძველ ქვეყანას, რომლის ბორკილებში ილახება და იძარცვება ტყვედქმნილი პიროვნებაც და მისი შრომაც. პოეტს სწამს, რომ ცხოვრების ძველი, ადამიანის შემლახველი პირობები უნდა დაინგრეს.

პოეტს სწამს, რომ ძველის ნანგრევებზე აღმოცენდება ახალი ქვეყანა, რომელიც ჭეშმარიტად განამტკიცებს „ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“:

„შრომის სუფევა მოვა მაშინა  
ჭეშმარიტების მის ძლიერებით  
და განმტკიცდება სოფელსა შინა  
კაცმოყვარების სახიერებით“ და სხვ.

აქ, უდავოდ, ჩანს ი. ჭავჭავაძეზე რუსი და ევროპელი უტოპისტი მეცნიერების იავლენა.

მეტად საგულისხმოა ის მძლავრი და მკვეთრი გამოძახილი, რომელიც ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ჰპოვა 1871 წლის „პარიზის აჯანყებამ“. როგორც ვრწმუნდებით, თავდავიწყებულსა და სამაგალითო ბრძოლას, რომელსაც ძველი წყობის დასამხობად აწარმოებდა პარიზის კომუნა, ილია ჭავჭავაძეც დიდი ვულისხმიერებით ადევნებდა თვალყურს და მის მიმართ დიდი სიმპათიებით იყო აღვსილი. თავის დამოკიდებულებას პარიზის კომუნისადმი ილია ჭავჭავაძე დიდი მღელვარებით აღბეჭდავს ლექსში „1871 წელი 23 მაისი“. ფრჩხილებში იძლევა განმარტებას — ქვესათაურის სახით („კომუნის დაცემის დღე“). ეს ლექსიც (ისიც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ) დაიბეჭდა „პარიზის“ სახელწოდებით. ნამდვილი სათაურით კი იგი მხოლოდ 1925 წელს გამოქვეყნდა.

აღნიშნულ ლექსში ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევს პარიზის აჯანყებულთა ღვაწლს, როგორც არა მარტო საფრანგეთის, არამედ კაცობრიობის ცხოვრების მოწესრიგების დიად ცდას დიდი მსხვერპლის გმირული განწირვით.

ი. ჭავჭავაძე აღშფოთებულია შავი რეაქციის მჩაგვრელი ძალების მოქმედებით. მოქალაქე პოეტი ღრმა არწმენითაა გამსჭვალული, რომ მტარვალები ამ წმინდა „ქვეყნის მხსნელი მცნების“ აღმოფხვრას ვერ შეძლებენ, მათ ის მხოლოდ შეაფერხეს, დროებით შეაჩერეს:

„კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება,  
ქვეყნის ხსნად მოვლინებული...  
კვლავ შეფერხდა ისტორია,

განახლების შესდგენენ ძალნი  
და კვლავ დღესასწაულობენ  
გამარჯვებულნი მტარვალნი“.

ცხადია, აქ ილია ჭავჭავაძის რევოლუციურ-დემოკრატიული მისწრაფებები აშკარადაა გამოვლინებული. მისი სიმპათიები იმისკენ იხრება, რაც მომავალ ცხოვრებაში „შრომის სუფევას“ დაამყარებს, რაც მამულს „წართმეულ ნიჭთა კვლავ მოუპოვებს“, განაკაცებს, როდესაც მშრომელი „სხვას ძირს არ დასწევს, თვით ამაღლდება, არც ვის ემონვის და არც იმონებს“.

ექვევარეშეა, ილია პარიზის კომუნის აჯანყებასა და დამარცხებას ეროვნული განთავისუფლების თვალსაზრისითაც აფასებდა. ილია ჭავჭავაძეს სწამს, რომ ცხოვრებაში არსებული უსამართლობის მოსასპობად საჭიროა ქვეყნის ძირფესვიანი შერყევა და, მისი შეხედულებით, ეროვნული ჩაგვრაც ხომ ჩაგვრის უსაძაგლესი ფორმაა. ილიას თანაგრძნობა აჯანყებულთა, ე. ი. დაჩაგრულთა, დამონებულთა, უფლებაწართმეულთა მხარეზეა.

პარიზის კომუნის იდეების გამოძახილი მარტო ამ ლექსითა და პოემა „აჩრდილით“ არ ამოიწურება. ვფიქრობთ, ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებშიც“ აშკარად შეიმჩნევა პარიზის კომუნის კვალი. ქვემოთმოტანილი ადგილი „მგზავრის წერილებიდან“ პარიზის კომუნის გავლენით უნდა იყოს დაწერილი.

რუსეთიდან დაბრუნებისას ილიამ სტუფანწმინდაში თავისი ქვეყნის სიო იგრძნო. ფიქრებმა გაიტაცეს: „მრავალნაირი ფიქრები, — გადმოგვცემს ილია, — თვალწინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმაღლეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთ-და-იგივე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე. — ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მალლა მოექცნენ, მალლა დალაგებულნი ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში. სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგამინოს, მკიახველო! რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს, ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ“<sup>53</sup>.

მოყვანილი ნაწყვეტი მრავალმხრივია საჯულისხმო. უპირველესად იმით, რომ ი. ჭავჭავაძეს რევოლუცია მიაჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალურ, ძირფესვიანად მოძრაობაში მოწყვან ძალად. „ძირს მილაგებულნი ფიქრები მალლა მოექცნენ,

53 ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 7—8.

მალა დალაგებულნი — ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში“. აქ იგრძნობა ილიას სოციალური შეხედულების პოეტური განსახიერება: რევოლუციამ არსებულ სოციალურ ცხოვრებაში უნდა მოსპოს მალა-დაბლობა. შემდეგ ილია აფრთხილებს მკითხველს, რომ რევოლუცია საშიში მოვლენა კი არ არის, არამედ სამშვიდობო, სასარგებლო და აუცილებელი. „რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, — შთამაგონებლად წერს იგი, — რომ მშვიდობიანობა მოაქვს“. ამ შეხედულების სისწორე რომ მკითხველისათვის ცხადყოს, ილია გასაგებსა და დამარწმუნებელ შედარებას მიმართავს: „ღვინო ჯერ უნდა აღუდღეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმდება ხოლმე“ — „ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ“. ილიას მიერ რევოლუციის ასეთი დადებითი გამოხატვა შეფასება მკითხველისთვისაც, ცხადია, დამაჯერებელი და მისაღებია.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძის ასეთი რადიკალურ-დემოკრატიული განწყობილებით აიხსნება მისი დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციასთან. მას ეს რევოლუციაც ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდა. ცნობილია მისი წერილები მოურავ მოსესთან. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მთავრობა სხვადასხვა რევოლუციურ კუთხეებში გზავნიდა ეგზეკუციებს გლეხთა მოძრაობის ჩასაქრობად, რევოლუციურად განწყობილი გლეხობის ასალაგმავად. ასეთი ეგზეკუცია 1905 წელს გაიგზავნა დუშეთის მაზრაშიც. ილია ამ ამბის გაგებისთანავე წერილს უგზავნის მოურავს: „მოსე... თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია, ჩემ მაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ... თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომოგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონა ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ“<sup>54</sup>.

ცნობილია, აგრეთვე, რომ 1905—1906 წლებში რევოლუციონერთა „წითელი რაზმის“ წინააღმდეგ დგებოდა რეაქციონერთა ორგანიზაციები, ე. წ. „შავი რაზმის“ სახელწოდებით. მათ იარაღით ამარაგებდა მთავრობა. ასეთი „შავი რაზმის“ შედგენის ცდა იყო ჩვენშიც: ვითომც თავადაზნაურობა თავს იცავდა აჯანყებული გლეხობისაგან. ილია ჭავჭავაძემ თავადაზნაურობის კრებაზე ასეთი „რაზმის“ შედგენის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა. მომხსენ-

<sup>54</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. IX, 1928 წ., გვ. 403.

ნებლის დაბეჯითებით მოთხოვნას, დაუყოვნებლივ შემდგარიყო „შავი რაზმი“, რათა თავადაზნაურობას თავი დაეცვა გლეხობისაგან, ი. ჭავჭავაძემ საწინააღმდეგო წინადადება დაუპირისპირა: „არ არის მსოფლიოში არც ერთი ერი, არც ერთი სახელმწიფო ასეთი რევოლუციები რომ არ მომხდარიყოს. ქართველი გვიღის და ცხოვრება ისევ კალაპოტში ჩადგება... მე ვხედავ თქვენ გაჭირვებას, მაგრამ რას იზამთ, უნდა მოითმინოთ, ისეთს ნურაფერს ჩაიდენთ, რომ, როდესაც ეს ამბები გადაივლის, და თქვენ სახლში დაბრუნდებით, მეზობელთან პირი გქონდეთ შერცხვენილი და თვალეში შეხედვას ველარ უბედავდეთ. უნდა მოითმინოთ, მეტი გზა არა გაქვთ... რად გინდათ ეგ იარაღი რომ აგისხამთ! ვისთვის ამზადებთ თოფებს? გლეხებისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დაგირიგათო!“<sup>55</sup>.

განაჩენი უკვე გამოტანილი იყო. ილია ჭავჭავაძის სიტყვის შემდეგ „შავი რაზმის“ შედგენის ცდა ჩაქვდა.

მთავრობის მიერ დასავლეთ საქართველოში დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის გამოსვლის შესახებ მეტად საგულისხმო ცნობას გვაძლევს იმწერალი ილია ზურაბიშვილი: „ეს იყო, — გადმოგვცემს ის, — 1905 წლის დამლევს ნასაკირალის ამბების გამო დასავლეთ საქართველოში დამსჯელი რაზმი იგზავნებოდა აღიხანოვ-ავარსკის უფროსობით. უეჭველი იყო ხალხის რბევა და ქლეთა-ხოცვა, რაც მოხდა კიდევ. ქართველი საზოგადოების წარმომადგენელი შეიკრიბნენ სათათბიროდ, რომ საქმისათვის ეშველნათ როგორმე. ამ სათათბირს ილიაც დაესწრო და შესანიშნავი ენერგიული სიტყვა წარმოსთქვა. ამ გრძნობითა და აზრით სავსე სიტყვის აღდგენას ვერ ვახერხებ, მეხსიერება მღალატობს. მაგრამ მახსენდება სიტყვის დასასრული. ილია წინადადებას იძლეოდა მეფის ნაცვალს დელეგაცია მიეუზღავნოთ და მოვითხოვოთ, დამსჯელი ექსპედიცია გადათქვასო. თანაც უნდა განუცხადოთ, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ყველანი იქ წავალთო და ჩვენ ძმებთან ერთად «КОСТЬМИ ЛЯЖЕМ!» (სიტყვა ილიამ რუსულად წარმოთქვა). როდესაც ვილაყამ შენიშნა, რომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არავინ ჩვენთაგანი არ წავა და «КОСТЬМИ НЕ ЛЯЖЕМ-О», ილიამ უბასუხა — „მაშინ სირცხვილი ჩვენ“ და, რამდენადაც მაგონდება, დაუმატა შემდეგი ფრა-

55 ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936 წ., № 7.



ზა: „ამ სირცხვილს ხალხი არ გვაპატიებს“, ან „თორემ ხალხი თვითონ წავა“<sup>56</sup>.

ასე გაბედულად, ფხიზლად და განუხრელად იღვწოდა და იბრძოდა ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხის ინტერესების დაცვის საღარაჯოზე და თავისი სამაგალითო მოქმედებით აღაფრთოვანებდა, ზრდიდა თაობებს ხალხის სამსახურისათვის.

\* \* \*

ი. ჭავჭავაძე ხალხის ინტერესების თავამოდებულ დამცველად დარჩა სიკვდილის უკანასკნელ დღემდე.

ცნობილია, რომ 1906 წელს 70 წელს მიღწეული ი. ჭავჭავაძე, როგორც ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენელი, არჩეულ იქნა სახელმწიფოს საბჭოს წევრად. მიუხედავად საბჭოს თითქმის მთლიანი შემადგენლობის რეაქციული მიმართულებისა, ილიამ განიზრახა აქაც განეგრძო თავისი რადიკალურ-დემოკრატიული იდეების დაცვა.

სატახტო ქალაქის კორესპონდენტებს თავის ინტერვიუში მან დაუფარავად განუცხადა თვითმპყრობელობის მიერ საქართველოში მოქმედი დამსჯელი ექსპედიციების შესახებ: „საქართველოს აწიოკების შესახებ, რაც რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა, ის სინამდვილის მესადია. ჩვენი ხალხის ცხოვრება ჯოჯოხეთად გარდაქმნეს. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი დეპუტატები სათათბიროში ამ საგანზე აღძრავენ შეკითხვას, თუ სახელმწიფო საბჭოში მოხერხდა, იქ შევეცდები დაუფარავად დავხატო სრული და უტყუარი სურათი ჩვენი ქვეყნის ვაებისა“.

ილიამ სახელმწიფო საბჭოში თავისი მომავალი მუშაობის შესახებ კორესპონდენტებს შემდეგი განუცხადა: „სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემ ღონეს“<sup>57</sup>.

ილიამ თავისი შეხედულება საქართველოს პოლიტიკური თვითმმართველობის შესახებაც დაუფარავად გამოთქვა თავის პირველსავე ინტერვიუში. მან განაცხადა: „მე დავიკავებ ადგილობრივ ინტერესებს. ადგილობრივ საჭიროებათა და ინტერესების სფეროში მე

<sup>56</sup> ილ. ზურაბიშვილი, „წარსულის ანარეკლი“ — ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, გვ. 323—324, 1939 წ.

<sup>57</sup> მ. ბოლქვაძე, „ახლო წარსულიდან“, ილია ჭავჭავაძე რუსეთში (1906—1907 წწ.), შურნ. „განათლება“, 1908 წ., № 3—4, გვ. 108.

მომიხდება დავიცვა ფართო თვითმართველობა კანონმდებლობითი უფლებებით<sup>58</sup>.

ასევე დახასიათებულ ილია ჭავჭავაძე ოფიციალურ კრებულში «Государственный Совет 1906 — 1907 гг.», რომელშიც მოცემულია ცნობები სახელმწიფო საბჭოს წევრების შესახებ. «По аграрному вопросу готов на отчуждение, если таковое будет признано вопросом государственной необходимости. Князь (ი. ჭავჭავაძე — მ. ზ.) является сторонником широкого местного самоуправления с широкой законодательной местной властью»<sup>59</sup>.

სახელმწიფო საბჭოში ილიამ დაიკავა ადგილი მცირერიცხოვან მემარცხენე ჯგუფში. მიუხედავად იმისა, რომ მეტად მცირე ზანს მოუხდა მას საბჭოში მუშაობა, მან აქაც თავისი სახე მკვეთრად გამოაჩინა. ყველა მისი გამოსვლა ხალხის ინტერესით იყო ნაკარნახევი.

პირველ სესიაზე ილია ჭავჭავაძე წინააღმდეგი წავიდა კომისიის წინადადებისა, სახელმწიფოს საბჭოს „ნაკაზი“ შეეცვლილიყო იმ მიმართულებით, რომ საბჭოს თავმჯდომარესა და მის წევრებს არ ჰქონოდათ უფლება საბჭოში წარედგინათ კერძო შუამდგომლობანი ან განცხადებანი. ილიას შეხედულებით, ასეთი დამატება მიუღებელი იყო, რადგანაც ის სახელმწიფო საბჭოსა და ხალხს შორის ყოველგვარ ურთიერთობას კრძალავდა.

ილიას განცხადებით, თვით კომისიისაც არავითარი საბუთი არა ჰქონდა მოტანილი მის სასარგებლოდ, გარდა იმისა, რომ დავიცვა საბჭოს თავმჯდომარე და წევრები აღნიშნული მოთხოვნებისაგან. იგი ასე ასაბუთებს თავის აზრს: «Это немного напоминает ненавистное начало узкобюрократического режима, который полагает, что не правительственные лица и учреждения существуют для народа, а народ — для этих учреждений. Заботиться о том, чтобы не дать беспокойства председательствующим и членам Совета и ради этого вводить правило и Наказ с организацией прав граждан обращаться в

---

58 მ. ბ. ო. ჭ. ვ. ა. ძ. ე, „ახლო წარსულიდან“, ილია ჭავჭავაძე რუსეთში (1906—1907 წწ.), უტრნ. „განათლება“, 1908 წ., № 3—4, გვ. 108, აგრეთვე „ტიფლისკი ლისტოკი“, 1906 წ., 20 აპრილი.

59 Государственный Совет 1906—1907, СПб., 1907, გვ. 199; მ. ბ. ო. ჭ. ვ. ა. ძ. ე, „ახლო წარსულიდან“, ილია ჭავჭავაძე რუსეთში (1906—1907 წწ.), უტრნ. „განათლება“, 1908 წ., № 3—4, გვ. 109.

высшее учреждение для защиты своих прав и для представления своих интересов — едва ли правильно»<sup>60</sup>.

კომისიის ამ მოსაზრებას ილია უპირისპირებს თავის საბუთიანობას: «...Статья 4, закрывая доступ народу через посредство председателя и членов Совета, закрывает также и путь к первоисточнику сведения, которые могут даваться Совету из первых рук, а не стороной. Эти сведения только и могут дать Государственному Совету действительно повод и необходимое основание к предъявлению... запроса министрам и главноуправляющим отдельными частями в случае нарушения чьих-либо прав незаконными действиями как их самих, так и подведомственных им лиц и учреждений»<sup>61</sup>.

სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე 1907 წელს (20 თებერვლიდან 5 ივნისამდე) ილიას მოუხდა გამოსვლა მეტად მტკივნეული საკითხის — სიკვდილით დასჯის შესახებ. ეს ის ხანაა, როდესაც 1905 წლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო სამინილო რეაქცია, შურისძიება რევოლუციონერებისადმი. ყურანლისტ მ. ბოლქვაძის მოწმობით, სიკვდილით დასჯის მოსაზრების შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა<sup>62</sup>.

ამასვე ადასტურებს სახელმწიფო საბჭოს წევრი — ცნობილი რუსი მეცნიერი მ. მ. კოვალევსკი: «Заодно с проф. Таганцевым... князь Чавчавадзе высказался за отмену смертной казни... Он был в числе немногих сторонников широкой аграрной реформы, имевшей своей задачей расширение крестьянского землевладения»<sup>63</sup>.

ილიას გამოსვლები სახელმწიფო საბჭოს 1907 წლის სესიაზე არა ჩანს (თუმცა ცნობილია, მან იკისრა სიკვდილით დასჯის შესახებ მოხსენების გაკეთება), მაგრამ არსებული ცნობები და ის გარემოება, რომ 1907 წლის 19 აპრილსა და 2 მაისს საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები გამოქვეყნებულია ხარვეზებით, რადგანაც ზოგიერთი მათგანის გამოქვეყნება არ მიუჩნევიათ მიზანშეწონილად, საფუძველს ვეძებდეს მართებულად ჩავთვალოთ ა. იოვანის მოსაზრება, რომ „არ არის გამორიცხული ილია ჭავჭავაძე“

60 ა. იოვანის, „ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები“, საისტორიო მოამბე, ტ. III, გვ. 271.

61 იქვე.

62 მ. ბოლქვაძე, ყურ. „განათლება“, № 3—4, 1908 წ., გვ. 111.

63 მ. კოვალევსკის სიტყვის დედანი დაკულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივში (ფონდი 103, აღწ. I, № 561): პირი სიტყვისა, ყვარლის მუზეუმში: პ. ინგოროყვა, ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. XIII.

ძის სიტყვაც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ იმავე მიზნით უნდა იყოს განოტოვებული საბჭოს სტენოგრაფიულ ანგარიშებში<sup>64</sup>.

ეს იყო ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი, მისთვის დამახასიათებელი დიდი საზოგადოებრივი რეზონანსის გამომწვევი გამოსვლა, რომელიც კვლავინდებურად გაბედულად, მტკიცედ მოითხოვდა მომავალი ბედნიერი ცხოვრების მოწესრიგებას ხალხის ინტერესების საფუძველზე.

\* \* \*

შეუწებელი, მძიმე შრომით დაღლილი, ვალმოხდილი მწერალი ილია ჭავჭავაძე საბჭოს სესიის დამთავრების შემდეგ გამოეშურა სამშობლოში დასასვენებლად. „ამდენი ხანი არ ვყოფილვარ საქართველოში!... ზაფხული თუ იქ არ გავატარე, ჩვენ ქვეყანას არ გადავხედე, ზამთარში აქ რა გამაძლებინებს? განა დიდი ხანი დამჩენია? უთუოდ წავალ“<sup>65</sup> — ეუბნებოდა თურმე ის მახლობლად.

1907 წლის ივლისში ილია მეუღლით დაბრუნდა სამშობლოში. ზაფხულის თვეები მან გაატარა საქართველოში — თბილისსა და საგურამოში.

სამწუხაროდ, აღსრულდა მწარე წინათგრძნობა, როცა ღვაწლმოსილი პოეტი 1907 წლის 30 აგვისტოს მეუღლით თბილისიდან საგურამოში ბრუნდებოდა, რეაქციონერმა მთავრობამ შავბნელი ძალების მოსყიდვა-გაბრიყვებით წიწამურში მოაწყო მისი ვერაგული მკვლელობა.

წიწამურის ტრაგედიის თავზარდამცემი ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქართველ ხალხს. განუზომელმა მწუხარებამ მოიცვა ქართველი ერი.

ილია მოკლეს!.. მგერამ, არა! შავბნელმა ძალებმა ვერ შეძლეს ილიას მოკვლა, რადგანაც მას ხალხის გულში დიდების, მაღლიერებისა და სიყვარულის უკვდავი ფესვები მაგრად ჰქონდა გაღმული.

ილია ჭავჭავაძე თავისი სიკვდილითაც კი ქართველი ხალხის ფაღვიძების, გათვითცნობიერებისა და მჭიდროდ გაერთიანების შთამაგონებელ ძალად გადაიქცა. მისმა სიკვდილმა ქართველ ხალხს დაანახვა, რომ მტერს არ ეძინა, ქვეყანა საფრთხეში იყო და ამიტომ საჭირო იყო ძალთა მჭიდროდ შეკვრა, დარაზნვა, ფხიზლად

<sup>64</sup> ა. ი. თ. ი. ძე, „ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები“, საისტორიო მოამბე, ტ. III, გვ. 272.

<sup>65</sup> მ. ბ. ო. ჭ. ვ. ა. ძე — „ახლო წარსულიდან“, ილია ჭავჭავაძე რუსეთში (1906—1907 წწ.), თურნ. „განათლება“, 1908 წ., გვ. 135.

ყოფნა, დაუნდობელი ბრძოლა შავბნელ ძალებთან და ქვეყნის აღორძინება-წინწაწევისათვის — პირადის საზოგადოებისადმი დამორჩილება, რასაც ილია ასე დაულალავად შთაგვაგონებდა და თავისი მოქმედებით დამაჯერებლად გვიჩვენებდა.

თუ ძველი წყობილების შავბნელი ძალები ილიას სდევნიდნენ და ფიზიკურადაც კი გაუსწორდნენ, სამაგიეროდ, ჩვენი თანადროულობა მას ღირსეულად აფასებს, მის სახელს შარავანდედით მოსავეს. ჩვენი თანადროულობა ილიას მღაღარ მემკვიდრეობას დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იღებს, ჯულისხმიერებით სწავლობს და სათანადოდ იყენებს თავისი ქვეყნის დიადი გარდაქმნის საქმეში.

ილიას მემკვიდრეობის სისრულით შესწავლა-დაუფლება უფრო მკვეთრად გამოაჩენს მის ფასდაუღებელ ღვაწლს. მაშინ მისი სიდიადე უფრო გასაგები, უფრო შთამაგონებელი, ჭკუის სასწავლებელი და უფრო მახლობელი შეიქმნება<sup>66</sup>.

---

<sup>66</sup> ეს წერილი მოხსენების სახით წაკითხული იყო ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 წლისა და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ეს წერილი, რომელშიც მკაფიოდაა გამოვლინებული ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, მისი მოღვაწეობის ინტერესი და მისწრაფებანი, წამძღვარებული გვაქვს როგორც გამაპირობებელი და მასთან გამოსავალი საფუძველი მწერლის მხატვრული ოსტატობის გაგება-გამოკვლევისათვის.

## 0. ჰავჭავაძის შემოქმედების იგავური ენა

ილია ჰავჭავაძის პოეტური ენა და სტილი, როგორც ყველა მწერლისა, ჩვეულებრივ, შეპირობებულია მისი ეპოქის გარემოთი. ილია ჰავჭავაძე 60-იანი წლების პოეტია. 60-იანი წლები კი ერთი უშესანიშნავესი მობრუნების მწვერვალთაგანია რუსეთისა და იმ დროს მასთან დაკავშირებული ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ესაა პერიოდი ახალგაზრდა რუსეთის მძლავრი გამოღვიძებისა და ქვეყნის, ხალხის განახლებული, სამართლიანი ცხოვრების დამყარების დიდი ნდომით აღჭურვისა. ესაა ხანა, როდესაც რუსი ხალხი ისტორიული განვითარების ახალი ფართო გზის გაჭრას შეუდგა.

ესაა ხანა, როდესაც რუსი ინტელიგენციის რიგებში მძლავრ გამაცხოველებელ ტალღასავით შეიჭრა რუსი ინტელიგენციის ახალი ძალა „რაზნოჩინეცის“ სახით და რუსული საზოგადოებრივი აზროვნება რადიკალიზმისაკენ საგრძნობლად გადახარა. ესაა ხანა, როდესაც ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლუბოვი ჟურნალ «Современник»-ით შეიქმნენ რუსული საზოგადოების აზრთამფლობელნი. ესაა ხანა, როდესაც რუსეთის ამ ანაკადებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იწრთობა ქართველი ახალგაზრდობაც. ე. წ. თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ ე ბ ი, აღჭურვილნი თავიანთი ქვეყნის ახალი გზის ძიებით. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს ახალი თაობა, თავისი ბელადით, ი. ჰავჭავაძით, 60-იანი წლების დასაწყისიდან სათავეში უდგება ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას და, რუს მოწინავე ინტელიგენციასთან მჭიდრო კონტაქტში მყოფი, ლამობს საქართველოს ბედნიერი მომავლის გზის გაბედულად გააფხვას.

მაგრამ მომავალი ბედნიერი ცხოვრების გზის გაჭრა ძველი, მეფის რუსეთის მონარქიულ-პოლიციური წყობილების პირობებში ადვილი არ იყო. ახალგაზრდა რუსეთის პროგრესული მოძრაო-

ბის წინააღმდეგ რეაქციული ძალები ჯერ კიდევ საკმაოდ მძლავრი, გამძაფრებული ენერგიით სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბორბალს რეგრესისა და კონსერვატივიზმისაკენ მიმართავდნენ.

ასეთ მიმე პირობებში ძნელი იყო ხალხთა მასების სათანადო გამოფხიზლება, გათვითცნობიერება. რუს მოწინავე (და მასთან დაკავშირებით ქართველ) საზოგადოებას მიზნის მისაღწევად ხანგრძლივი თავგანწირული მუშაობა სჭირდებოდა, რასაც ბრწყინვალედ ადასტურებს რევოლუციური მოძრაობის ისტორია რუსეთში და, კერძოდ, საქართველოში.

ასეთ მდგომარეობაში ხალხის გამოფხიზლებისა და დარაზმვის საქმეში რეაქციულ ხელისუფლებასთან პირისპირ ბრძოლა აშკარად ძნელი იყო. აუცილებელი შეიქნა მუშაობა დაეწყოთ კონსპირატიულად, არალეგალურად, რასაც დიდი მსხვერპლის გაწირვით შეუპოვრად ეწეოდნენ რუსი და არარუსი ხალხები, და მათ შორის ქართველი მოწინავე საზოგადოება.

საჭირო იყო მასებში მოწინავე იდეების ფართოდ გატანა, არსებული რეჟიმისადმი უკმაყოფილების გრძნობის გაღვივება. ეს კი ყველაზე მოსახერხებელი შეიქნა ნახევრადლეგალური ლიტერატურის საშუალებით: წერა არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ გადაკვრით, ნართულად, ორაზროვნად, ქარავმულად, იგავურად, საქვეცნებურად, ე. წ. ეზოპეს ენით თუ სტილით.

ცნობილია, რომ ეზოპეს იგავური ენის საჭიროება თავს იჩენს მონარქიული, ტირანული ერთმმართველობის მკაცრი რეჟიმის პირობებში, როდესაც თავისუფლება სიტყვისა, შეკრებისა, ბეჭდვისა აკრძალულია; როდესაც არსებობს მკაცრი ცენზურული კანონები და ცენზორიკ სინამდვილეში მათ დაუნდობელი სიმკაცრითა და „სიფხიზლით“ ატარებს; ამ შემთხვევაში სწორედ იგავური სტილი საუკეთესო საშუალებაა არსებულ რეჟიმთან ბრძოლისა და ხალხში ახალი, საღი, ჰუმანური იდეების გატანისათვის, სამართლიანი ცხოვრების დასამყარებლად, ხალხის დასარაზმავად.

ბრძოლის ეს მეთოდი, განსაკუთრებით, მძაფრ საშუალებად გადაიქცა სწორედ 60-იანი წლებიდან, როდესაც სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზა თითქოს გაერთიანდა, როდესაც მწერლის დანიშნულებას მოქალაქეობრივი მოთხოვნილება განაპირობებდა, როდესაც ბრძოლა რეაქციასთან — ძველ წყობილებასთან ფართო ხალხურ, ორგანიზებულ ხასიათს იღებდა. 60-იანელები პოეტი ნ. ნეკრასოვის, ამ ერთ-ერთი თავისი დროის ბრწყინვალე წარმომადგენლის, პირით ასე მიმართავენ პოეტს — მწერალს:

«Поэтом можешь ты не быть,  
Но гражданином быть обязан».

საყოველთაოდ აღიარებულია გაზეთის როლის ლენინური განსაზღვრა, რომ გაზეთი არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც. სწორედ ასეთი როლის შესრულება დაისახა მიზნად ნ. ნეკრასოვის «Современник»-მა ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლუბოვისა და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატთა თანამშრომლობის პერიოდში (1857—1863 წლებში) და მან ეს ამოცანა ღირსეულად შეასრულა ო რ ა ზ რ ო ვ ა ნ ი, ი გ ა ვ უ რ ი, ე ზ ო პ ე ს ე ნ ის ა თუ სტილის ნიჭიერად და მოხდენილად გამოყენებით. კორნეი ჩუკოვსკის სამართლიანი დახასიათებით: «Некрасовскому «Современнику», в условиях царской цензуры, удалось на целое десятилетие сделаться революционной трибуной; это было возможно, главным образом, благодаря той двуплановой, индифферентной, забронированной от цензурного вмешательства речи, которую руководители «Современника» сделали таким острым оружием в борьбе с полицейским строем.

Конечно, эзоповская речь культивировалась не в одном «Современнике», но только там она приобрела тот особый характер, который и придал ей силу, не превзойденную в истории мировой журналистики»<sup>1</sup>.

მკითხველი რომ შესჩვეოდა ჟურნ. «Современник»-ის თანამშრომლებისა და აგრეთვე სხვა დემოკრატიული მწერლების მიერ გამოყენებულ იგავურ ენას, შესჩვეოდა ეზოპეს სტილს და არა მარტო ცალკეული სიტყვების, ქარაგმების, არამედ მთლიანი სტილის, ცენზურისაგან დაფარული სტილის გაგებას, საჭირო იყო საკმაოდ ხანგრძლივი, სისტემატური მუშაობა ჟურნალისა და მწერლების მხრივ და, ამასთან, ყოველივე ამის მოხდენილად გაფორმება, რათა სათანადო იდეა, განწყობილება მკითხველამდე შესაფერი სიმკვეთრით, დახვეწილად ყოფილიყო მიტანილი.

იგავური, ეზოპეს ენისა თუ სტილის არსებითი ნიშანია ერთი და იმავე იდეის ორპლანიანი გაგება: ერთი, რომელიც სრულიად ლეგალურია, ცენზურულ წესდებს რომ არ ეწინააღმდეგება, ხოლო მეორე — საიდუმლო, ნართაული, გადაკრული, რომელიც გასაგებია მკითხველთა გარკვეული მასისათვის, მაგრამ ცენზურული წესდების მიხედვით მიუღებელია; სწორედ იგავური ენის ამ დაფა-

<sup>1</sup> К. Чуковский, «Мастерство Некрасова», стр. 554—555, 1955 г.



რული მხარის გაგება იყო არსებითი მკითხველისათვის, სწორედ ეს მხარე იზიდავდა მას: „ცენზურულ“ სიტყვაში დაჯარულ საიდუმლო რევოლუციურ აზრსა და მიზანდასახულობას მკითხველი ადვილად და გარკვევით ხვდებოდა. მაგალითისათვის ილია ჭავჭავაძის ლექსიდან „გუთნის დედა“ მოვიტანთ შემდეგ ადგილს:

„აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,  
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი,  
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,  
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?–“

თათქოს სრულიად ცენზურულია „და არ მოსთხრიდეს ძირში იმ ბალახს, რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას“, მაგრამ აქ მკითხველი ადვილად და კარგად ხვდებოდა, რომ ილია ამ სიტყვებით მოითხოვდა არსებული პოლიტიკურ-მონარქიული წყობილების ძირფესვიანად მოთხრას, რადგან იგი ხელს უშლიდა ხალხის ცხოვრების წინ სვლას.

ამ მეთოდმა ნ. ჩერნიშევსკის შესაძლებლობა მისცა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ყოფილიყო რევოლუციონერი-ტრიბუნი. სწორედ წერის ასეთი მანერის შემწეობით მოახერხა საშიშმა პატიმარმა ჩერნიშევსკიმ ციხეში ყოფნის დროს შექმნა თავისი ეპოქალური რომანი «Что делать» და დაბეჭდვის მიზნით ის ორ მკაცრ საცენზურო კომისიაში გაეტარებინა, გადაერჩინა „ავი თვალისაგან“, რის შემდეგაც «Современник»-ის რედაქტორმა ნ. ნეკრასოვმა მიღებისთანავე, ე. ი. 1863 წელს, იგი თავის ეურნალში სახარულით დაბეჭდა. ბრძოლის ასეთ მძლავრ იარაღად იგავური სტილი გამოყენებულ იქნა ბატონყმურ-მონარქიული წყობილების მძლავრი დაწოლის პერიოდში. ამ მეთოდს ნწერლობაში აქლიერებდნენ აგრეთვე ნ. სალტიკოვ-შჩედრინი, ეურნ. „ისკრა“ თავისი თანამშრომლებით (ე. და ნ. კუროჩკინები, დ. მინაევი, მ. სტოპანოვსკი, ი. დიმიტრევი) და სხვები.

ჩვენი თერგდალეული ნწერლებიც, კერძოდ, ი. ჭავჭავაძე, ამ წლებში ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში. ისინი უშუალოდ იცნობდნენ ნ. ჩერნიშევსკის, ხარბად ეწაფებოდნენ რუსი განმანათლებლების შემოქმედებას. ეურნ. «Современник»-ი მათთვისაც ძირითადი წყარო შეიქნა, რომელზეც იზრდებოდა და ვაჟყაცდებოდა მათი ნიჭი, უნარი და იხვეწებოდა მათი მსოფლმხედველობა.

ცხადია, ეურნ. «Современник»-ი, «Искра» და ამ ეურნა-

ლებს თანამშრომელთა საქმიანობა გარკვეულ სკოლად და მისაბამ მაგალითად შეიქმნა ჩვენი თერგდალეულებისათვის და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძისათვის.

სამშობლოში დაბრუნებისას თერგდალეულებმა მტკიცედ გააჩაღეს ბრძოლა ახალი პროგრესულ-დემოკრატიული იდეების გავრცელებისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის. მონარქიულ-ტირანული რეჟიმის პირობებს, ცენტრში გაბატონებულს, განაპირა ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში, უხეში კოლონიალური პოლიტიკაც ემატებოდა. ამიტომ თერგდალეულებმა თავიანთ შემოქმედებაში, როგორც პოეტურში, ისე პუბლიცისტურში, ფართოდ გამოიყენეს ეზოპეს ენა, იგავური სტილი, როგორც ერთ-ერთი მძლავრი, ხელსაყრელი იარაღი მონარქიულ-პოლიციური რეჟიმისა და კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისა, როგორც ქართველი ხალხის ამოქმედებისა მისი ეროვნული და კულტურული უფლებების დასაცავად.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრე-მოკალმეებს მძიმე დაბრკოლებები ან, როგორც თვითონ ილია იტყვოდა, „გზა გახიდილი“ დახვდათ. ერთ-ერთი ამ დაბრკოლებათაგანი იყო ცენზურა, რომელიც სადარაჯოზე ედგა ძველ, დრომოკმულ წყობილებას, კოლონიალური პოლიტიკის მჩაგვრელ სისტემას და გასაქანს არ იძლეოდა, რომ შექმნილიყო ხელსაყრელი სარბივლი ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ილია ჭავჭავაძეც იძულებული გახდა გამუდმებით მიემართა ეზოპეს იგავური ენისათვის. მას ამ მიმართულებით თუ, ერთი მხრივ, რუსი დემოკრატი მწერლები აძლევდნენ ნიმუშს, მეორე მხრივ, ამ სტილს ქართულ ორიგინალურ მწერლობაშიც საკმაოდ მძლავრი ტრადიცია ჰქონდა ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვათა შემოქმედების სახით.

ილია ჭავჭავაძე რუსეთიდან დაბრუნებისთანავე იწყებს კავშირის დამყარებას მკითხველებთან, მათ გათვითცნობიერებას ახალ, დემოკრატიულ იდეებში. ისეთი ფარდამავალი, მძლავრი გარდატეხის ეპოქაში, როგორც იყო 60-იანი წლები, ბუნებრივად დაისვა საკითხი ქვეყნის ახალი ისტორიული განვითარების გზის, მოქალაქის მოვალეობისა და ცხოვრებაში პიროვნების დანიშნულების შესახებ. ამ საკითხების დემოკრატიულ იდეებზე გაშლის უფლებას და შესაძლებლობას, რა თქმა უნდა, ცენზურა არ იძლე-

ოდა; ამიტომ ილია ჭავჭავაძე, იძულებული გახდა ეზოპეს ენისათვის მიემართა.

ილიას სურდა ქართველი საზოგადოებისათვის შთაეგონებინა, რომ ცხოვრების საღი პირობების შექმნა მზავარი საფუძველია ადამიანის სასურველი, ბედნიერი ცხოვრებისა, რომ მისკენ უნდა ისწრაფოდეს ყოველი მოქალაქე, მთელი ერი, ხალხი. ერის ცხოვრების დემოკრატიულ პრინციპებზე მოწყობის იდეა, მისთვის ბრძოლა უნდა ამოქმედებდეს ყოველ შეგნებულ მოქალაქეს. ამიტომაც ილია ჭავჭავაძე ქართველ სტუდენტს, განათლებულ, შეგნებულ ქართველს, ლექსში — „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ — ასე ალაპარაკებს:

„დიდს არ გავეჩეღვინებით  
და მხარს მივსცემთ პატარასა;  
ძალას გულდაგულ დაგვხედვით  
და თაყვანს ვსცემთ სამართალსა.  
წინ წასვლაში არ დავიხვეთ,  
არ გავწირავთ უკან რჩომილს;  
ჩვენც ვიციით: რომ შევლა უნდა  
უღონოსა და დავრდომილს“<sup>2</sup>.

აქ 60-იანი წლების მთელი მსოფლმხედველობა ქარაგმულადაა ჩაქსოვილი: „დიდს არ გავეჩეღვინებთ“. — ამბობს ილია, — ე. ი. აღარ დავემორჩილებითო პრივილეგიურ კლასს, რომელსაც ძალაუფლება ხელში აქვს და რომელიც ბოროტად, უსამართლოდ იყენებს მას „პატარას“, ე. ი. დაბეჩავებულის, დაჩაგრულის წინააღმდეგ. ილიას აზრით, ძალა უნდა დავუპირისპიროთ ძალა, უნდა ვიბრძოლოთ სიმართლის დამყარებისათვის; ამ ბრძოლაში უკან არ უნდა დავიხიოთ, რადგანაც „უღონოსა და დავრდომილს“, ე. ი. დაბეჩავებულს, დაჩაგრულს შევლა უნდა. ამას გულსხმობდა მწერალი და მკითხველსაც კარგად ესმოდა პოეტას ეს იგაფური ენა.

ილია ჭავჭავაძე არაერთგზის ცდილობს მკითხველს შთააგონოს, რომ არსებულ პირობებში კაცის მდგომარეობა არ განსხვავდება პირუტყვის მდგომარეობისაგან. აი, როგორ მიმართავს გუთნის დედა ლაბას:

„შენ პირუტყვი ხარ და მე მებუველი?!  
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...  
რად ჰინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,  
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?“

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, ოჩხ., ტ. I, გვ. 16, 1925 წ.

„რად მინდა ხმალი“, ე. ი. ენა, ნიჭი, თუნდაც დიდი, თუ სი-  
მართლის, მოძმეთა სასარგებლოდ მისი გამოყენების უფლება-შე-  
საძლებლობა არ მექნება. — ასე დადიოდა ეს სიტყვები მკითხვე-  
ლამდე.

ილიას რწმენით, ღირსეული მოქალაქე ისაა, ვინც უშუალოდ  
ცხოვრებაში ტრიალებს, იცის მისი ავი და კარგი და თავისი მოქ-  
მედებით მის გაუმჯობესებაში ხედავს თავის დანიშნულებასაც და  
კმაყოფილებასაც. ცხოვრების გარეშე მღვთოში, რაც უნდა ღი-  
დი და მიმზიდველი იყოს, ვერც თვითონ მიიღებს კმაყოფილებას  
და არც სხვა დაფასებს მას. ცხოვრების გარეშე მყოფი კაცი კარგავს  
თავის ფასს. ყოველი კაცი თვით ცხოვრებაში უნდა იწრთობოდეს,  
ცხოვრებაში უნდა პოულობდეს თავის შინაარსსაც და საზოგადო-  
ებრივ ღირებულებასაც.

ამ აზრს ილია ჭავჭავაძე ეზოპეს იგავური ენის საშუალებით  
დიდებულად გამოხატავს „მგზავრის წერილებში“ მყინვარისა და  
თერგის დაპირისპირებით.

„მყინვარი!.. დიდებულია, — წერს იგი, — მყუდრო და მშვი-  
დობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი! დანახვა მისი მაკვირვებს და არ  
მალელებს, მაციებს და არ მათბობს, — ერთის სიტყვით, მყინვა-  
რია. მყინვარი მთელის თავის დიდებულობით საკვირველია და არა  
შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი,  
ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლ-  
ზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუშცა დედამიწაზე უდგა,  
თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მი-  
ყვარს არც მაგისტანა სიმადლე, არც მაგისტანა განზედ გადგომა,  
არც მაგისტანა მიუკარებლობა... მყინვარი... უკვდავებისა და გან-  
ცხრომის დიდებული სახეა: ცივია, — როგორც უკვდავება და ჩუ-  
მია — როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფ-  
რო, რომ მიუკარებლად მაღალია“<sup>3</sup>.

აქ მეტად მკვეთრ სახეებშია იგავურად მოცემული ილია ჭავ-  
ჭავაძის რადიკალური შეხედულება ადამიანის დანიშნულებაზე:  
არავითარი ღირსება არ გააჩნია არამცთუ კაცის დიდგვაროვნებას,  
დიდ თანამდებობას, სიმდიდრეს, რაც იმ დროს პრივილეგიურ  
წრეებში დიდად იყო დაფასებული, არამედ კაცის არც დიდ ნიჭსა  
და ცოდნას, არც დიდ უნარს, თუ ყველა ეს უშუალოდ ცხოვრე-  
ბისათვის არაა გამოყენებულ, თუ ის ცხოვრების ბუნებრივ გან-  
ვითარებას, მის წინ წაწევას არ ემსახურება. „აბა რად მინდა მისი

<sup>3</sup> ი. ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“, ტ. II, გვ. 18-19, 1926 წ.

დიდება! ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლზე ერთ ძარღვსაც არ აატოკებს!.. არ მიყვარს არც მაგისტანა სიმაღლე, არც მაგისტანა განზედ გადგომა, არც მაგისტანა მიუკარებლობა“<sup>4</sup>...

ამ ქარაგმით ილია ჭავჭავაძემ არაჩვეულებრივი ფერებითა და დიდი ოსტატობით გამოხატა მთელი პათოსი 60-იან წლებში გაჩაღებული ბრძოლისა ორ მიმართულებასა თუ შეხედულებას შორის: ხელოვნება და, კერძოდ, ლიტერატურა ხელოვნებისა თუ ცხოვრებისათვის?... ილია ჭავჭავაძე ამ საკითხს ისე წყვეტს, როგორც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები, ე. ი. ხელოვნება ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს, ლიტერატურა ამსახველია გარემო ცხოვრებისა. ამასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილია საკითხი კაცის — პიროვნების ღირსების შესახებაც. კაცი იმდენად ფასობს, რამდენადაც იგი, ცხოვრებაში ჩაბმული, ეწევა მის მძიმე ჭაპანს, რათა წინ წაწიოს, გააუქმობეს თვითონ ცხოვრება. კაცი იმდენად ფასობს, რამდენადაც დიდია საზოგადოებაში მისი ხვედრითი წონა.

მიუხედავად იმისა, რომ აქ გამოთქმული აზრი ნეტად ცხადია, ილია ჭავჭავაძემ, იმ მიზნით, რომ მთავლემარე, დამონებული ქართველი საზოგადოებისათვის უფრო მძლავრად, თვალსაჩინოდ ჩაეგონებინა გაღვიძების, ამოძრავების, ამოქმედების, წინააღმდეგობის გაწევის საჭიროება — დიდებულ მყინვარს თერგი დაუპირისპირა: „დალოკა ღმერთმა ისევ თავზედ ზელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმოსკდარი მოდის და მობლავის და აბლავლებს თავის გარემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამაღებელი ბრძოლა, დრტვინვა და ვაივაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა. ამაღელვებელი და ღირსსააცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში ჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა“<sup>5</sup>. ამით მწერალი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დრტვინვისა და გამაღებელი ბრძოლის გარეშე აზრა არც სიცოცხლე და არც ცხოვრება. საჭიროა ბრძოლა — მოქმედება.

ამასთან, ილია ჭავჭავაძეს სურს დაარწმუნოს ფართო მკითხველი, რომ ცხოვრებისათვის ბრძოლა უნდა წარიმართოს ახალი გზით, ახალ საფუძველზე: თვით ხალხი უნდა ჩაებას ახალ ცხოვრების მშენებლობაში, ვინაიდან არსებული ზედა ფენები ამ მიზნისათვის უვარგისნი არიან.

<sup>4</sup> ი. ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“, ტ. II, გვ. 18—19, 1926 წ.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 18.

ილია ჭავჭავაძეს ეს აზრი იგავური სტილის საშუალებით შემდეგნაირად მიაქვს მკითხველთან: „ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედო კი ყოველთვის ძირიღამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიღამ ამაღლებულა, მაღლიღამ კი შენობა არსად არ დაწყებულა“. და რომ გაამაგროს წამოწეული საწყისის ძალა, იგი ასე ამთავრებს თავის დებულებას: „ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს“<sup>6</sup>.

მოქმედების, ბრძოლისა და დრტვიანვის უპირატესობა და აუცილებლობა რომ განუმარტოს მკითხველს, ილია ჭავჭავაძე განაგრძობს თერგისადმი თავისი დამოკიდებულების გახსნას: „ნეტავი შენ. თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ! აბა პატარა ხანს დადგე, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ევ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს“, — და ბოლოს, როგორც მოცემული მსჯელობის ურყევ დასკვნას, ილია ჭავჭავაძე აყენებს სიცოცხლისათვის აუცილებელი საშუალების — მოქმედების პრინციპს: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“<sup>7</sup>...

ამ ნაწყვეტში ილიას ნიჭიერად აქვს მოცემული ძირითადი ხაზი, ძირითადი საბრძოლო ლოზუნგი 60-იანი წლებისა, რომელსაც ის მთელი თავისი არსებით იზიარებდა და ქადაგებდა.

ილიას სურს ქარაგმებით დაარწმუნოს მკითხველი, რომ ის საქმეს, ცოცხალ საქმეს უნდა ჩაუდგეს, ცხოვრების მოთხოვნილებას გეზი — მიმართულება გაუგოს და მის შესაფერისად იმოქმედოს, დროს არ ჩამორჩეს, მის მოთხოვნილებას თვალი არ მოუხუჭოს (ესეც ქარაგმად), თორემ, როგორც ილია ამბობს ოთარაანთ ქვრივის პირით (ქარაგმითვე), დრო ისე გასთელავს კაცს თვალმოხუჭულს, მოღუნებულს, „როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“. ყველა ამ ქარაგმას მკითხველიც ადვილად და მკვეთრად იგებდა, იღებდა და ითვისებდა.

ასეთსავე მიზანს ისახავს „მგზავრის წერილებში“ შემდეგი ნართაულ-გადაკრულის ჩართვა: ილია, განიცდის რა ღამის წყვილადის შემზარავ იღუმალებას, გადაძვები შეძრწუნებით წაპოიძახებს: „არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი ღღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევე, მეჭავრები შენ მე!.. შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობასა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადა-

6 ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 19, 1926 წ.

7 იქვე.

შიანის დამფრთხალს გონებასა უბედურებას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენ ხარ უამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!“<sup>6</sup>.

აქ ილია ჭავჭავაძე დღის კულტის აღიარებით „თავის ტანჯვითა, ვაებითა და ვაი-ვაგლახით“ მოითხოვს არა მარტო ხელოვნებაში რეალიზმის გაბატონების აუცილებლობას — წინააღმდეგ რომანტიზმისა და შეხედულებისა — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. რომელთა ზომიდეგარნი სინამდვილეს გაუბრუნდნენ და ხშირად უმოქმედებას, ცხოვრებისაგან გაქცევას ქადაგებდნენ, არამედ აქ იგი აგრეთვე ამათრახებს (და საკმარისად მძლავრადაც) ხალხის, მასების სიბნელეში ყოფნას, ჩამორჩენილობას.

ამიტომაც, რომ ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ოპოზიციაში ედგა ხელისუფლებას, რომლის მიუღებელ, ბეცსა და მავნებლურ პოლიტიკას გაბედულად ააშკარავებდა. ამავე მიმართულებით ის ფარულად, შეგნებულად რაზმავდა მკითხველთა მასებსაც.

მეფის რუსეთის ჩამორჩენილობა უფრო მკაფიოდ რომ დაანახოს მკითხველს, ილია ჭავჭავაძე უხვად მიმართავს ქარაგმულ თქმებს. პეტერბურგში ოთხი წლის მუყაითი სწავლის შემდეგ ილია ბრუნდება სამშობლოში. გზაში მას ხვდება ფრანგი მგზავრი. კავკაზში ახლად გაცნობილნი ერთმანეთს შორდებიან. ძველ რუსეთში მიღებული „პოვოსკა“, თავისი მძლოლი რუსი „იამშჩიკით“, მზადაა ილიასათვის.

მკითხველის ყურადღებას იქცევს ორი გადაკრული თქმა: ჯერ თვითონ „პოვოსკის“ მძლოლის შემდეგნაირი აღწერა: „დილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სასტუმროს წინ. რომელშიაც მე წინა-ღამეს ჩამოვხტი, რუსის პირდაუბანელმა და თავდაუვარცხნელმა «იამშჩიკმა» ფოშტის პოვოსკა მოაყენა. ეს იყო ვლადიკავკასში. საკვირველია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელ-ქისერა «იამშჩიკის» ბრიყვი სახე... იმისი მიღუნ-მოღუნებული ზღაზვნა, უდაბნიანო და პირუტყვეული მიხვრა-მოხვრა, უგებურად თვლემს. რამდენადაც სურათია კარგი, ორი იმდენად ნამდვილი საძაგელია“<sup>7</sup>.

„იამშჩიკის“ ამ თვისებების აღნიშვნით ილია ჭავჭავაძე მძლავრად ამათრახებდა რუსეთში გაბატონებულ ბიუროკრატიულ, მონარქიულ-პოლიციურ რეჟიმს, რომელმაც ისე დააბეჩავა სიბნე-

<sup>6</sup> ი. ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“, ტ. II, გვ. 20—21, 1926 წ.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 3.

ლესა და ჩამორჩენილობაში მყოფი მშრომელი, ქვეყნის ბურჟი რუსი გლეხი, რომ მას პირის დაბანსა და თავის დავარცხნის აღარც ღრო და აღარც მოთხოვნილება შეუენარჩუნა. ამასთან, აქ ქარაგმით ილია უარყოფს იმ ღროს არსებულ შეხედულებას მხატვრობაში — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომელიც სენამდვილეს თვალს არიდებდა, გაუბრბოდა.

ამას გარდა, ი. ჭავჭავაძის ახალგაგონილი ფრანგი, დაინახავს რა ფოსტის „პოვოსკას“, ირონიულად კითხულობს: „ეგ ეტლი ვისი მოგონილია?“ ილიას პასუხზე — „რუსისა“, ფრანგი კვლავ განაგრძობს მიღებული კილოთი: — „მგონი არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალეებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღეებინოთ გულ-მუცელი“. ილიას შეპასუხებაზე, რომ მთელი რუსეთი მაგით დადის და მას რა ღმერთი გაუწყრება, ისეთი რა დაუშავდება, ფრანგი კვლავ შეუწელებელი ირონიული ხიბხითთ განაგრძობს: „მთელი რუსეთი მაგით დადის განა?, ხა, ხა, ხა!.. მაგითი დადის? ვილა დაეწევა!“<sup>10</sup>.

აქ ყოველი სიტყვა, ყოველი ინტონაცია, მწარედ გამკილავია ძველი, დრომოკმული რუსეთის წყობილებისა, რომელიც მშრომელ ხალხს მძიმე ტვირთად აწვა კისერზე. „პოვოსკა“ და მისი „ძუნძულით“ მოძრაობა, ილიას მიერ აღწერილი, ცოცხალი განსახიერება მეფას რუსეთის ჩამორჩენილობისა, ხოლო ფრანგის ხიბხითი — განათლებული ქვეყნების დამოკიდებულებისა ძველი რუსეთისადმი, რასაც თვით ილიაც მთლიანად იზიარებდა, რის დაყვანაც მას მკითხველამდე უნდოდა და რასაც, უდავოდ, ადვილად და მოხერხებულად აღწევდა.

\* \* \*

ილია მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგებოდა მონარქიული რუსეთის ბიუროკრატიულ-პოლიტიკურ რეჟიმს, მის მკაცრ კოლონიალურ პოლიტიკას, ასე უხეშად წარმოებულს დამორჩილებული ერების, კერძოდ, ქართველი ხალხის მიმართ. ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ წერა მაშინდელი მკაცრი ცენზურული პირობების გამო შეუძლებელი იყო, მხილება კი — აუცილებელი.

საჭირო იყო მკითხველთა გამოფხიზლება, გათვითცნობიერება, დარაზმვა. ასეთი გაჭირვების ტალკვესი ისევ ეზოპეს სტილი გამოდგა და ილიაც ენერგულად იყენებს მას.

ცნობილია, რომ მონარქიულ-პოლიციური ხელისუფლება დამორჩილებულ ერებს უყურებდა მხოლოდ მათი ექსპლოატაციის

<sup>10</sup> ი. ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“, ტ. II, გვ. 4, 1926 წ.



თვალსაზრისით, მათ სასტიკად ჩაგრავედა, ზღუდავდა, წინ წაწევის, განვითარების საშუალებას არ აძლევდა. მეფის ხელისუფლების პოლიტიკას მაქსიმალური სიზუსტითა და სიპართლით ახასიათებს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“: „მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები სრულიად უუფლებონი აყვნენ, განუწყვეტილად განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას. მეფის მთავრობა აჩვენებდა რუს მოსახლეობას ისე ექცირა ნაციონალური ოლქების მკვიდრი ხალხებისათვის, როგორც დაბალი რასისათვის, ოფიციალურად უწოდებდა მათ „ინოროდცებს“, ნერგავდა ზიზღსა და სიძულვილს მათდამი. მეფის მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ამხედრებდა ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ, აწყობდა ებრაელთა დარბევებს, თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტას ამიერ-კავკასიაში.

ნაციონალურ ოლქებში ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფო თანამდებობიანი რუს ჩინოვნიკებს ეჭირათ. მთელი საქმეები დაწესებულებებში, სასამართლოებში რუსულ ენაზე წარმოებდა, აკრძალული იყო ნაციონალურ ენებზე გაზეთებისა და წიგნების გამოცემა. სკოლებში აკრძალული იყო დედაენაზე სწავლა. მეფის მთავრობა მისწრაფოდა ჩაეხრჩო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ეროვნებათა ძალდატანებითი „გარუსების“ პოლიტიკას. ცარიზმი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა“<sup>11</sup>.

მეფის რუსეთის ასეთმა კოლონიალურმა პოლიტიკამ განაპირობა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ძირითადი ხაზი. მან, სხვა თერგდალეულებთან ერთად, მძლავრად გაშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი და ენერგიულად დაიწყო იერიშების მიტანა მჩავერელი სისტემის მხილებისა და მის წინააღმდეგ ქართველი ხალხის დარაზმების მიზნით.

ცნობილია, რომ მეფის რუსეთი განაპირობებდა ქვეყნებში ნიშნავდა როგორც გონებრივი, ისე ზნეობრივი თვალსაზრისით შეუფერებელ რუს მოხელეებს, რომელნიც ანგარიშს არ უწყევდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მათ ინტერესებს. ეს მოხელეები ქვეყანას, ხალხს არა მარტო იძიმე ტვირთად, არამედ მტკივნეულ მწვავე მუწუხად ეკლინებოდნენ.

ილია ჭავჭავაძე ამ გარემოების მხილებას შესანაშნავად ახერხებს თავის „მზავრის წერილებში“ ოფიცირის სახის, ვითომც კერძო მოვლენის, ჩვენებით. სინამდვილეში კი, მისი გაგებით (და

<sup>11</sup> „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 7, 1948 წ.

მკითხველიც ასე იგებდა), ილიას ოფიცერი ტიპური სახეა მეფის რუსეთის მოხელისა.

„ვგზავრის წერილებში“ დახატულ ოფიცერს არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმ მხარეზე და იმ მხარის მოსახლეობაზე. რომელთა ცხოვრებისა და ინტერესების დამკველად და მომწესრიგებლადაც ის დაუნიშნავთ. მას სამი წელიწადი არაფრად მიაჩნდა, რომ გაცნობოდა მხარეს, სადაც ის წესრიგის განმტკიცებისათვისაა მოწოდებული; სამაკიეროდ, დაინტერესებულია ცხოველური ინსტინქტების დაკმაყოფილებით: „იმისი სახის მეტყველება. — წერს ილია, — ამელაგნებდა, რომ ღვინოსა და არაყს ძალიან დაახლოვებით იცნობდა“<sup>12</sup>.

ეს არა კმარა; ამასთან, ის ცრუქედმაღალია, განათლებულ და მეცნიერ კაცადაც მოაქვს თავი. სინამდვილეში კი მეტად გაუნათლებელი, განუვითარებელია.

პეტერბურგის დიდ ცივილიზაციას ოფიცერი იმით ამტკიცებს, რომ იქ იზღერის ბალი, რაც, მისი გაგებით, „განათლების გვირგვინია“, რადგანაც ის „სავსეა ჟუჟუნა თვალებიანი ქალებითა. გინდ ერთს ჩაავლე ხელი, გინდა მეორეს. აი, განათლებას რა შეუძლიან“, — კმაყოფილებით განმარტავს მედიდური ოფიცერი.

აშკარაა, ოფიცერი ამორალური ვნებიანობის წუმბეში მყოფი პიროვნებაა. ცხადია, ასეთი მმართველი კეთილს არ დააყრის ქვეყანას — ამბობს ამით ილია ჭავჭავაძე და ასევე ესმის მკითხველსაც.

მაგრამ ეს ოფიცრის მხოლოდ ერთი თვისებაა, თუმცა მომაკვლინებელი.

გარდა იზღერის ბალისა, ამ ოფიცრისათვის ქვეყნის ცივილიზაცია სამხედრო გენერლების რიცხვის მიხედვითაც იზომება. ამიტომ, როცა ის გაიგებს, რომ საქართველოში ოცამდე სამხედრო გენერალია, გაოცებითა და კმაყოფილებით წარმოთქვამს; „ოციოდ მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას... თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოც-და-ათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი შეიქმნება. დიდი საქმეა“<sup>13</sup>.

ამით მწერალი მშვენივრად აშიშვლებს ცარაზმის მხედრების სრულ სიცარიელეს, უბადრუკობას, რომლისთვისაც სამხედრო, კაზარმული რეჟიმის გარეშე ცხოვრება არ არსებობდა და არც შე-

<sup>12</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 9.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 14—15.

ეძლო ეარსებნა. სწორედ ამგვარ ძალას ეყრდნობოდა მეფის რუსეთი დამორჩილებულ ქვეყნებში წესრიგის დამყარების, სამართლიანობის, ცივილიზაციის შეტანის საქმეში.

ოფიცრის ასეთი გამოკრეტილებული სახის მოცემით ილია, რატომ უნდა, დაუნდობლად ამათრახებდა ხელისუფლების კოლონიალურ სისტემას, რომელიც დამორჩილებული ერების ცხოვრების ბუნებრივ განვითარებას, ხალხში განათლების, ცივილიზაციის შეტანას არამეტო ხელს არ უწყობდა, არამედ აფერხებდა, უკან სწევდა. რა სიკეთე შეიძლებოდა მოეტანათ ისეთ მმართველებს, როგორც ეს ოფიცერია! ასეთები კი, ჩვეულებრივ, ტიპიურები იყვნენ. მკითხველიც აქედან ადვილად და მკვეთრად იღებდა შთაბეჭდილებას, რომ ეს ოფიცერი ხორცია ხორცითა და სისხლი სისხლითა ბიუროკრატიულ-მონარქიული მმართველობისა. როგორც ეს ოფიცერია ჩამორჩენილი, ხორცმეტი, მავნე, ისეთივეა მასზე დამყარებული ხელისუფლება და მთლიანი — სახელმწიფოებრივი სისტემა.

\* \* \*

მკაცრი ცენზურული პირობებით შებორკილი ილია ჭავჭავაძე იძულებული იყო სისტემატურად მომარჯვებული ჰქონოდა დაფარული, ქარაგმული წერის სტალი, ამის შედეგად ოგი დიდი გაბედულებითა და ოსტატობით აშიშვლებდა არსებულ პოლიციურ, მცდარ, მავნე, ხშირად აბსურდამდე დასულ, სისტემას.

ცნობილია, რომ მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა მკირე ერების გარუსება.

აღნიშნული მიზნის განხორციელებასათვის ჩვენში სკოლებიდან სხვადასხვა არასაკადრისი „დასაბუთებით“ იღვენებოდა ქართული ენა და შემოჰქონდათ სწავლებას მახინჯი, ანტიპედაგოგიური მეთოდები. ხშირად ამ მეთოდების გატარებაში ქართველ მასწავლებლებსაც იყენებდნენ.

როგორც აღვნიშნეთ. ილია ჭავჭავაძემ, მთელი თავისი არსებით, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ხელისუფლების რუსიფიკატორულ პოლიტიკასაც. ერის კულტურული აღორძინებისა და წინმსვლელობისათვის მას მიზანშეწონილად და აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა, რომ ხალხს განათლება მიეღო თავის მშობლიურ ენაზე. მისი ღრმა რწმენით და საფუძვლიანი მტკიცებითაც, ამას ითხოვდა ერის ინტერესებიცა და სალი პედაგოგიური მეცნიერებაც.

მრავალი ცალკეული მოვლენიდან ილია ხელს სჭიდებდა ისეთს, რომელიც უფრო ტიპიური იყო და რომელიც მას მეტ საშუალებას მისცემდა, რათა მაქსიმალური სიცხადითა და სიმ-

კვეთით გამოეამქარავებინა აბსურდამდე დასული რუსიფიკატორული პოლიტიკა.

1877 წ. ქ. გორში გაიხსნა საოსტატო სემინარია, რომელსაც სახალხო სკოლების მასწავლებლები უნდა მოემზადებინა. ცხადია, საქართველოს შუაგულში მოქმედ საოსტატო სემინარიაში, სადაც ქართული სკოლების სახალხო მასწავლებლებს ამზადებდნენ, ძირითადად, საჭირო იყო ქართული ენის სავალდებულოდ გამოცხადება, მაგრამ თავის წერილში ილია აღნიშნავს, დირექტორმა სხვადასხვა უმსგავსი საშუალებით მოახერხა, რომ ქართული ენა სწავლება სავალდებულოდ არ ყოფილიყო გამოცხადებული. ქართული ენა მაინც შეიტანეს, მაგრამ ასწავლიდნენ ისე, რომ სრულებითაც რომ არ ესწავლებინათ, უკეთესი იქნებოდა.

აი, როგორ აგვიწერს სწავლების ამ მეთოდს ილია:

„იმავე პროსემინარიის პირველ განყოფილებაში თუმცა ქართულს ასწავლიან თურმე, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ბევრმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოებისა ჯღაბნის მეტი არა ისწავლოს რა... ამ მეთოდის მომგონებელი გახლავთ ქართულის პროსემინარიის მასწავლებელი უფ. ნათიევი<sup>14</sup>. ეს მეთოდი აი რაში მდგომარეობს: ერთსა და იმავე დროს ბევრვმა უნდა გაიკვეთოს ქართული ასოები, რუსული ასოები, ისწავლოს მათი გამოხატვა, მათგან მარცვლების, სიტყვების და ფრაზების შედგენა. ამასთან, მათ უნდა დაიხსომონ რუსული სიტყვები და ახსნან რუსული ფრაზები“<sup>15</sup>.

ილია ჭავჭავაძე სწავლების მეთოდის ამ სიმახინჯის ჩვენებით არ კმაყოფილდება და, სურს რა მკითხველს დაანახვოს, თუ როგორაა ქართული ენის სწავლება პედაგოგიურ აბსურდამდე დაყვანილი, განაგრძობს მისი გატარების სრული სახით გაცნობას: „ქართულს და რუსულს ანბანთან იგი (მასწ. ნათიევი — მ. ზ.) ასწავლის თურმე მოწაფეებს მესამე ანბანსაცა... იგი არ უნახავს წარსულსა, არ არსებობს აწმყოში და ყოველად შეუძლებელია მომავალში. იგი მოზმანებია უფ. ნათიევს მისთა მოწაფეთა უბედურებისათვის... ნათიევს სიზმარი უნახავს, რომ ქართული სიტყვები რუსული ასოებით უნდა დაიწეროს. აუღია და თავის ანბანში შიგა და შიგ ქართული სიტყვები ჩაურთავს რუსული ასოებით. რადგანაც რუსულ ანბანს აკლია ხუმეტამდე ნიშნები, ჩვენის ხმების გამოსახატავად, ამიტომაც უფ. ნათიევს თავისით მოუგონია ახალი ასო-

<sup>14</sup> ილია ჭავჭავაძე ნათიშვილის მაგივრად განზრახ, დაცივის, გაწბილების მიზნით, ნათიევს წერს, ვინაიდან გვარის ასეთი რუსული დაბოლოება გადაგვარების მაჩვენებელი იყო, და ამას ხელისუფლება თხოულობდა.

<sup>15</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 317, 1955 წ.

ები, არც რუსული, არც ქართული... და ამ ახალის ასოებით შეუფ-  
სია რუსულის ანბანის ნაკლი და ჩვენი ანბანიც გაუმდიდრებია...  
ვია, თქვენი ბრალი, საწყალო ბავშვებო, არ გეყოფათ განა ამდენი  
ანბანები, რომ „ნათიასური“ ანბანიც თქვენდა საუბედუროდ არ გა-  
მოჩენილიყო?!“<sup>16</sup>.

ილია ჭავჭავაძემ, აჩვენა რა სკოლებში გაბატონებული მიუღე-  
ბელი სიმახინჯე ქართული ენის სწავლებაში, რაც, რა თქმა უნდა,  
შეხამებული იყო ხელისუფლების საერთო პოლიტიკასთან, დაანა-  
ზვა რა მკითხველს გამეფებული ჩაგვრის, ერის გადაგვარების,  
გამხრწნელი საშუალებანი, ცენზურის კლანჭებს რომ ააციდინოს  
თავისი მართალი სიტყვა (ხალხის გამოსაფხიზლებლად, თვალის  
ასახელად, ხელისუფლების წინააღმდეგ რომ სკედავს, მაგრამ ისე,  
თითქოს ყველა ამაში ხელისუფლება არაფერ შუაშია და ამას ცალ-  
კეული მოხელეები აკეთებენ). ყველა ამ ფაქტის ჩვენების შემ-  
დეგ იგი ასეთს დასკვნას დაურთავს: „ეგეთი სასაცილოდ აგდება  
მთავრობის კეთილ განკარგულებისა, მთავრობის დაწყობილებისა,  
სადმე გაგონილა? რომ ესეთი წვრილფეხა, ესე ფუჭად ხდიდეს  
მთავრობის ჩვენდამი მზრუნველობას და გულმტკიცუნეულობას?“<sup>17</sup>.

თითქოს ილია ჭავჭავაძე ხელისუფლებას — მთავრობას იცაე-  
და, სინამდვილეში კი სწორედ მას ამათრახებდა და მკითხველიც  
ასევე იგებდა.

ასევე ეზოპესებური სტილის ნიჟიერად გამოყენების ნიმუშებს  
წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის მრავალი პუბლიცისტური, თუ პო-  
ლემიკური წერილი. მათგან ამ მიმართულებით შევჩერდებით ერთ  
მეტად ეპოქალურ წერილზე — „ბ-ნ ი ა ნ ო ვ ს კ ი ს წ ე რ ი ლ ი ს  
გ ა მ ო“.

ი ა ნ ო ვ ს კ ი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იყო, რა  
თქმა უნდა, ხელისუფლების კოლონიალური ზრახვების გამტარებე-  
ლი სწავლა-აღზრდის რუსიფიკაციის საქმეში.

აღნიშნულ საპოლემიკო წერილში ილია ჭავჭავაძე ხაზს უსვამს  
რუსიფიკატორული მიმართულების მიუღებლობას, მის შეუფერებ-  
ლობას საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწეობისათვის, მით უმე-  
ტეს, სწავლა-აღზრდის დარგის ისეთი ხელმძღვანელებისათვის.  
როგორც იყო იანოვსკი თავისი თანამდებობის მიხედვით, მაგრამ  
მიუხედავად ამისა, იანოვსკი განუხრელად ენერგიული გამტარებე-  
ლი იყო რუსიფიკაციისა კავკასიის ოლქში, რისთვისაც ის სათანა-  
დო ნაბიჯებს დგამდა (ხშირად ფარულად). ცნობილია, თუ როგორ  
ამხილა ქართულმა გაზეთმა „დროებამ“ იანოვსკის ეს შეუფერე-

16 ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 318, 1955 წ.

17 იქვე, გვ. 319.

ბელი ნაბიჯი, რასაც მოჰყვა იანოვსკის წერილი გაზ. „კავკაზში“. ამ წერილში იანოვსკი თავს იმართლებდა: ყოველივე ის, რასაც „დროება“ მებრალეებს, აზალსენაის სკოლაში არ მითქვამსო, არც ბ-ნ. მარკოვისათვის მიმიწერია ოფიციალური ქალაქი და არც ბ-ნ. სემიონოვსკისათვის არავითარი დარიგება და რჩევა არ მიმიციაო. რა თქმა უნდა, იანოვსკის ეს უარყოფა დიპლომატიური ხერხი იყო.

ილია ჭავჭავაძე ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ცდილობს იანოვსკის წერილიცა და ფაქტიც მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი აზრისა და მიზნის დასამტკიცებლად. ამას ის ახერხებს დაფარული, ქარაგმული წერის მანერით.

პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძე სარგებლობს იანოვსკის ასეთი უკანდახევით და ხაზს უსვამს, რომ მოხარულია იანოვსკის მიერ ყოველივე იმის ასე ბეჭითი უარყოფით, რაც მართლაც საკადრისი არ არის განათლებული კაცისათვის. „მას შემდეგ, — წერდა ილია, — რაკი ეგრე საჯაროდ გამოაცხადა ეგ უარყოფა იმისთანა პატივცემულმა გვაჰმა, როგორც ბ-ნი იანოვსკია, ჩვენ აღარა გვეტყინის რა. ჩვენთვის ისიც საკმაოა, რომ თითონ ბ-ნი იანოვსკი არა ჰკისრულობს არც ერთს ბრალსა, „დროებაში“ გამოცხადებულს, ჩვენ დიდის სიამოვნებით ვერწუნებით ბ-ნს იანოვსკის და ამასთანაც გვიხარინ, რომ იგი თავილობს იმისთანა მოქმედებას და სიტყვას, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, აქამომდე საკვებურადაჰქონდათ ზოგიერთს აქაურს პედაგოგებს და პედაგოგის გარეთ მდგომ მოხელეებსაცა. ესეც ერთი წარმატებაა, ერთი სიკეთეა“<sup>16</sup>.

ილია ჭავჭავაძეს, რა თქმა უნდა, არა სჯერა იანოვსკის არც უკანდახევისა და არც მისი პატიოსნებისა, მაგრამ ვითომ იჭერებს, რათა ისარგებლოს შემთხვევით და ხაზი გაუსვას იმას, რომ ეს გზა უკადრისი, სამარცხვინო უნდა იყოს ყველასათვის, განსაკუთრებით, განათლებული კაცისათვის, მით უმეტეს იანოვსკისათვის, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენში ეს გზა მეტად მიღებულია მრავალ პედაგოგსა და მოხელეს შორის. ილიას ეს აზრი ნათლად და პირდაპირ დადიოდა მკითხველამდე.

ილია ჭავჭავაძე, თითქოს სხვათა შორის გამოთქვამს ამ აზრს, სამაგიეროდ გულდადებით ჩერდება იანოვსკის მიერ იმავე წერილში გამოთქმული მისი სამოღვაწეო დედაზრის შესახებ, რაც უადრესად მძიმე საგანია. ეს ის, რომ იანოვსკი მოითხოვდა ქართულ სამწლიან სახალხო სკოლაში პირველი წლის მეორე ნახევრიდან იწყებოდეს რუსულის სწავლება ისე, რომ სწავლების მესამე წელს მოსწავლეებმა იცოდნენ არამცთუ მარტო წერა და კითხვა, არამედ სხვა სასწავლო დისციპლინებსაც რუსულად უნდა სწავლობდნენ.

<sup>16</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. VII, გვ. 213.

ილია ჭავჭავაძე სწორედ იანოვსკის ამ ძირითად დებულებაში ხედავს ხალხისა და ქვეყნის განათლების მანკიერ გზას და ლიტონი სიტყვით კი არა, გამოჩენილი რუსი და უცხო პედაგოგების მიერ გამოთქმული აზრების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე იძლევა იანოვსკის დებულების გამანადგურებელ კრიტიკას. ეს კრიტიკა განადგურება იყო თვით იანოვსკისა, რომელსაც ილიას წერილში მოტანილი ხალი პედაგოგიური აზრები მტკიცედ უნდა მიეღო და სახელმძღვანელოდაც გაეხადა. ილია ამ წერილით ანადგურებს, აბიაბრუებს იანოვსკის, როგორც სწავლა-აღზრდის საქმის შეუფერებელ ხელმძღვანელს, მაგრამ ძირითადად, რა თქმა უნდა, ის ამათრახებს მთლიანად კოლონიალურ სისტემას, რომლის ერთგული გამტარებელი იყო იანოვსკი. ცენზურის რისხვა რომ თავიდან აიცილინოს, ხოლო წერილის შინაარსი უფრო ახლოს მიიტანოს მკითხველთან, ილია მიმართავს ხერხს, თითქოს ის იანოვსკის დიდად აფასებს, არ სურს მისი ავტორიტეტის შელახვა, არც მის მიერ შექმნილ სახალხო სკოლებზე ხალხისათვის გულის აყრა. ცენზურის თვალის ასახვევად ილია ასე წერს: „ჩვენ ვეცდებით, გულახდილად და თამამად წარმოვსთქვათ ამ საგანზედ ჩვენი აზრი. იმედი გვაქვს, რომ არავინ დაგვწამებს — ხალხს გული უნდა ააყრევინონ ჩვენს მოქმედებაზედაო. იმედი გვაქვს, რომ ამ უმართებულო და უკადრის ფარ-ხმალს არ მოჰკიდებს ხელს იმისთანა კაცი, როგორც ბ-ნი იანოვსკია“<sup>19</sup>.

ილია ჭავჭავაძე სარგებლობს შემთხვევით და სურს თქვას, რომ არიან და, სამწუხაროდ არა იშვიათადაც, ისეთი მოხელეები, შეიძლება განათლებულებიც, რომლებიც ქვეყნის კეთილდღეობით (რაც მათთვის მთავარი უნდა იყოს) არ არიან დაინტერესებულნი. ასეთია იანოვსკიც. ამას ილია შემდეგი ნართაულით ახერხებს: „თუმცა ბ-ნი იანოვსკი, როგორც მრავალმხრივ განვითარებული კაცი, უეჭველად კეთილის განზრახვით არის აღძრული და სურს იმ ადგილს და საზოგადოებას, საცა მოწვეულია სამსახურისათვის, სიკეთე მიანიჭოს, მაგრამ მისგან ამორჩეული გზა ჩვენის ფიქრით სრულებით არ შეეფერება არც მის განზრახვასა და არც მის სიკეთის სურვილსა“<sup>20</sup>. ილია ჭავჭავაძის ნამდვილი აზრი მკითხველისათვის ნათელი იყო, მკითხველს აფხიზლებდა, ზრდიდა და სათანადოდ ამოქმედებდა კიდევ.

19 ი. ჭავჭავაძე, ტ. VII, გვ. 214.

20 იქვე.

ილიამ კარგად იცოდა, რომ ხშირად ციხე შიგნიდან ტყდება, ამიტომ პირველ რიგში ერის ცხოვრება უნდა გაწმენდილიყო შინაგანი ნაკლისაგან, რომელიც აღორძინებას, მის განმტკიცებას, მის წინმსვლელობას უშლიდა ხელს, ამის გამო ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ერთდროულად აწარმოებდა ორი — შინაური და გარეშე — ფრონტი.

ილია კარგად ხედავდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ჭერ კიდევ გაბატონებულ კლასად რჩებოდა საკმარისად დარღვეული, დაჩივებული თავადაზნაურობა, რაც ერის ცხოვრების წინმსვლელობას აბრკოლებდა. ეს მან ნიკიერად და გაბედულად გამოხატა სატირულ ლექსებში — „ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“, „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“ და სხვა.

ილია ჭავჭავაძე ვერ ურიგდებოდა, რომ ქართველი თავადაზნაურობა მრავლად შედიოდა მეფის რუსეთის სამხედრო სამსახურში, რომელშიც ის ხშირად იჩენდა სამხედრო ნიჭს და ამით ამტკიცებდა მონარქიულ-პოლიციურ რეჟიმს, ამტკიცებდა საქართველოს უფლებების დამთრგუნავ ხელისუფლებას. თავისი ასეთი გულისწყრომა პოეტმა ბრწყინვალედ გამოხატა ლექსში „იანიჩარი“. სადაც გაბედულ, მოხდენილ გმირს ვაჟკაცს იანიჩარს, წარმოშობით ქართველს, პოეტი შესძახებს:

„შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსძალეთსა“.

არის ცნობა, რომ სტუდენტ ილიას პეტერბურგში ყოფნის დროს უნახავს ქართველი კანკოლების ვარჯიშობა, რასაც შთაუგონებია მისთვის დაეწერა ეს ლექსი, რომელიც თავდაპირველად ატარებდა სახელწოდებას „კანკოლი“. ლექსის მე-12 სტრიქონიც ასე იკითხებოდა: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ჩრდილოეთსა“. მაგრამ ცენზურული პირობების გამო შეუცვლია სათაური და დაურქმევია „იანიჩარი“. ამასთან, მე-12 სტრიქონიც ასე გაუჩაღხავს: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსძალეთსა“<sup>21</sup>, და ეს გადაკრული ნათქვამი მკითხველამდე ჩაწვდომით დადიოდა: ოსძალეთის ქვეშ რა თქმა უნდა, იგი ცარიზმს გულისხმობდა.

ასევეა მოცემული ქარაგმა ლექსში — „ბაზალეთის ტბა“. „ოქროს აკენის“ სახით, რომლისთვისაც „ერს თავისი ცრემლები ტბად

21 ი. ჭავჭავაძე, ტ. I, რედაქტორის კომენტარი, გვ. 386—387, 1951 წ.



ზედ კარვად ვადუხურავს“, პოეტი მკითხველის მისახვედრად, თუ ვინ წევს აკვანში, ასეთ ქარაგმას მიმართავს:

„იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,  
ვისიც არ ითქმის სახელი,  
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს  
ჩუმის ნატვრითა ქართველი?“<sup>22</sup>.

პოეტმა იცის, რას „ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“ და ქართველი მკითხველიც კარგად ხვდებოდა ამ „ნატვრას“, რაც პოეტის ნატვრაც იყო. ეს ნატვრა ერის განთავისუფლებათა მიძიმე კოლონიალური პოლიტიკის ჩაგვრისაგან. ეს იყო ლტოლვა თავისუფლებისაკენ. რომ ეს ნატვრა საჭიროა განხორციელდეს, პოეტი თავის დამოკიდებულებას ასე ამჟღავნებს:

„თუ ესე არის, ნეტა მას  
ვაეკაცსა სახელოვანსა,  
ვისიცა ხელი პირველად  
დასწვდება იმა აკვანსა!“<sup>23</sup>.

ამიტომ იყო, რომ ქართველი ხალხის კულტურული წინსვლის ხელისშემშლელთ ილია ჭავჭავაძე დაუნდობლად, გაბედულად ებრძოდა შინ თუ გარეთ. ამის მშვენიერი ნიჰიზმა მისი „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“.

\* \* \*

არც შინაურ და არც გარეშე მტრებთან ბრძოლა არ იყო დაუბრკოლებელი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე. მაშინდელი ბიუროკრატიული ხელისუფლება ცენზურას საშუალებით ხომ თავისუფალ მთესავ აზრებს, იქნებოდა ეს პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიური ხასიათისა, ჩასახვისთანავე სპობდა. საჭირო იყო მწერალს გამოეყენებინა იგავური სტილი.

ილია ჭავჭავაძე, როგორც სხვა თერგდალეულებიც, ქართველი ხალხის კეთილდღეობის საფუძვლად თვლიდა ქართველი ხალხის გაერთიანებას და გაერთიანებული ძალებით თავისუფლებისათვის, ბიუროკრატიულ-პოლიციური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას.

საჭირო იყო ამ მიმართულებით მკითხველში ეროვნული გრძნობის გაღვივება. ილია ჭავჭავაძემ ეროვნული გრძნობის გა-

<sup>22</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. I, რედაქტორის კომენტარი, გვ. 24.

<sup>23</sup> იქვე.

ღვივების, არსებული წყობილების მიუღებლობისა და აქედან გამოსავალი გზის ჩვენების მიზნით შესანიშნავად გამოიყენა ჩვენი ისტორიული წარსული.

საქართველოს წარსული, რომელიც განუწყვეტელი ბრძოლა იყო თავისუფლებისათვის, XIX საუკუნის ქართველ მწერლებს, კერძოდ ი. ჭავჭავაძეს, გამოყენებული აქვს როგორც ხერხიანი ნიღაბი, მათ მიერ წარსულის ანალებში ამოკითხული და ასახული ჩვენი ისტორია: წარსულში ქართველი ხალხის მიერ გადატანილი შევიწროების, უსამართლობის, ძალმომრეობის ჩვენება მკითხველთ თანადროულობისადმი უარყოფით დამოკიდებულებას უღრმავებდა და არსებულ წყობილებასთან შეუირიგებლობის თესლს მათში უხვად თესდა. ამასთან, აჩვენებდა გაერთიანებული, შეთანხმებული ძალების შემწეობით განთავისუფლების გზას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ხოლმე წარსულში. ამ მიზანდასახულებისაა ილიას დრამატული პოემები: „ქართველის დედა“ და „მეფე დიმიტრი თავდადებულნი“.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს წარსულის სურათის ჩვენებით იგავურად, გადატანით საქართველოს აწმყოსა და მომავლის სურათს ხატავდა. ამას დამაჯერებლად ადასტურებს „ქართველის დედას“ შთამაგონებელი შენიშვნა, სათაურს ფრჩხილებში რომ აქვს დართული, — „სცენა მომავალ ცხოვრებაში“ და აგრეთვე წინასიტყვაობის მაგიერ დართული ორი სტროფი, პეტრე ნაკაშიძისადმი მიძღვნილი. მოვიტანთ ამ მიძღვნიდან ერთ სტროფს:

„მყობადს ავხალე ერთი კუთხე დიდის ფარდისა  
და ეს ვიხილე, — მომიტევე მე სითამამე...  
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა, —  
ამით მამართლე, მიილე და ნუ გამკიცხავ მე“<sup>24</sup>.

„ქართველის დედაში“ მოცემული წარსულის სურათით ილია ნიჭიერად სარგებლობს, რათა მკითხველს მკვეთრად აგრძნობინოს მთელი გამა სათანადო განწყობილებისა, გაღვიძებული და ამოქმედებული, პატრიოტული გრძნობის საფუძველზე გაშლილი, გამა სინარულისა, აღფრთოვანებისა, სიყვარულისა, კმაყოფილებისა, წუხილისა და განცვიფრებისა. მკითხველში ამ გრძნობის გაღრმავების მიზნით ნაწარმოებში ჩაქსოვილია სათანადო იდეების გრეხილი, შესაფერისი აფორიზმებით აკინძული, რაც მკითხველს მაქსიმალური სიმკვეთრით შთააგონებდა, რომ ეროვნული თავისუფ-

24 ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 136, 1925 წ.

ლების გრძნობა უდიდესი, ყველაფრის შემწირველი და ყველაფრის გამწირველი გრძნობაა.

მომავლად მოხუც დედას, ერთადერთი შვილის პატრონს, მულისაღმი სიყვარული შვილისაღმი სიყვარულსაც კი უკან დაყენებინებს, როცა ჭაიგებს, რომ ხალხი აღსდგა ქვეყნის გასათავისუფლებლად.

მოხუცი დედა კვდება, მაგრამ სიკვდილის უამს ომში მიმავალ შვილს მაინც ამხნევეს და მტკიცედ ეუბნება:

„მე ვწუხარ მარტო მასზედ, რომე ჩემს სიბერესა სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შვილი, მე ვწუხარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარს დღესა მხოლოდღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი“<sup>25</sup>.

ილია ჭავჭავაძე მკითხველს შთააგონებს, რომ თავისუფლება „კაცთა ნავსაყუდარია“, „ჩაგრულის, წვალეზულის, წმინდა საფარია“, რომ თავისუფლება „მშვიდობა და სიმართლეა ამა ქვეყნისა“ და „აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“; რომ თავისუფლებისადმი მისწრაფება კაცისათვის იმდენად საჭიროა, მიმზიდველია, ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რომ მოხუც დედასაც კი ყველასა და ყველაფერს გააწირვინებს: ის ერთადერთ შვილსაც კი ომში კმყოფილებით ისტუმრებს; მომავლადვი დედა წუხს:

„ვთი, რომ ჩემი სიცოცხლისა მზე მაშინ ჩადის, როცა ამოდის ჩემის ქვეყნის მზეი დიადი..  
ვაი, რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიქადის, როს ჩემის ხალხის დიდებისა სჩანს განთიადი!“<sup>26</sup>.

ამ სიბრძნეს, მაღალ პატრიოტულ იდეებს და ცხოველ სახეებს, ცენზურისათვის მიუღებელს, ი. ჭავჭავაძე ასე მოხდენილად და მიმზიდველად აქსოვს მოგონილ „ისტორიულ“ ამბავში. ასე ნიჭიერად იყო გამოყენებული «სიბრძნე სცირუცისა» ი. ჭავჭავაძის მიერ, რათა ეს იდეები მკითხველთა მასებამდე მიეტანა, ეროვნული თავისუფლების იდეები მკითხველთა შორის დაენერგა.

სამშობლოსადმი ასეთივე მძლავრი, ყველაფრის გამწირავი სიყვარული ანთია „მე ფე დ ი მ ი ტ რ ი თ ა ვ და დ ე ბ უ ლ ი ს“ მოქმედი პირების გულში. ილია ჭავჭავაძის გაგებით, სწორედ პატრიოტული გრძნობა აძლევს ყოველ მოქალაქეს ძალას, შესაძლებლობას ვაჟკაცობის გამოჩენისას.

25 ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 139, 1925 წ.

26 იქვე.

„მეფე დიმიტრი თავდადებულში“ ყოველი სოციალური ფენა ერისა, დაწყებული დაუძღვრებელი მოხუცი გლეხით და გათავებული მეფით, პატრიოტული გრძნობით არიან გალომკაცებულნი და მამულისადმი საარაკო თავდადებასაც იჩენენ.

განა ქვეყნისადმი სიყვარულით გაბრწყინებული შარავანდელით არ არის მოცული დაუძღვრებელი მოხუცი, რომელმაც თავისი სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაასავეთ დასწვა?! ახლა, ამ საბედისწერო მომენტში, მოხუცი, დაუძღვრებელი, შვილებზე დაყრდნობით მიდის ქედმოსახრელად გამზადებულ მეფესთან, მოითხოვს, თავისუფლება დაიცვას ბრძოლით, წაიყვანოს მისი შვილებიც, აჩვენოს მტერს, თუ „რა ლომებს ზრდის ქართლის ბუდე“. „უომრად ნუ დავმარცხდებით და, თუ ვერ ვძლიეთ, დავიხრატეთ სახელითა და დიდებით“ — ასე მიმართავს იგი მეფეს. ასეთივეა ბრმა მეფანდურეც, რომელსაც სურს დაეხმაროს სამშობლოს ასეთ განსაცდელში; იგი მწარედ გამოთქვამს სამშობლოს განსაცდელში ყოფნით გამოწვეულ ტკივილებს და „შვილებს“, ახალგაზრდებს, მოაგონებს:

„ტკბილსა ძუძუს დედა შვილსა  
იმ იმედით აწოვებდა,  
რომ სიცოცხლით ან სიკვდილით  
ის მამულს ასახლებდა...

„მამულისთვის ვის ახსოვდა  
განსაცდელი განსაცდელში!  
ტრფობა გექონდა გულში აბჯრად  
და სატევრად — ხმალი ხელში“<sup>27</sup>.

ამ გზით, თითქოს წარსულის სურათს აღადგენდა, სინამდვილეში კი, ეზოპეს ენით, ილია ჭავჭავაძე მაქსიმალურად ახერხებდა მკითხველში წმინდა პატრიოტული გრძნობის გაღვივება-გაღრმავებას, რითაც იგი მკითხველსაც რაზმავდა და გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტსაც აფართოვებდა და აძლიერებდა.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი შეგნებით აყენებს პრობლემას, თუ რა გზით უნდა წავიდეს ხალხის განახლებული საზოგადოებრივი ცხოვრება. და, ბუნებრივია, ქართული ცხოვრების სინამდვილით ძალუმად ნასუნთქი და წასაზრდოვები, ნი-იანი წლების რუსი განმანათლებლების რადიკალურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრ-

27 ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 167.

დილი, იგი თხოულობს ხალხთა თვითგამორკვევის, თანასწორუფლებიანობის აღიარებას და ქვეყნის მმართველობაში ხალხის უშუალო აქტიური მონაწილეობის იდეას უქერს მხარს.

ამ საკითხებზე აშკარად წერა მონარქიულ-პოლიციური რეჟიმის პირობებში, ისიც საქართველოში, სადაც დამორჩილების, დამონების პოლიტიკა საშინლად მძვინვარებდა, შეუძლებელი იყო. ილია ამ შემთხვევაშიც ქარავმას, გადაკრულად თქმას მიმართავდა. „მგზავრის წერილებში“ მოხვევსთან ილიას საუბარში ეს მეტად მკაფიოდ იგრძნობა. აქაც ილიას ვითომ წარსულზე აქვს გულუბრყვილო საუბარი, სინამდვილეში კი განუზრახავს ქვეყნის მმართველობაში ხალხის აქტიური მონაწილეობის იდეის პროპაგანდა და აი, როგორ აღწევს ამას: ილიას შეკითხვაზე, თუ რა მონასტერია სტეფანწმინდის პირდაპირ, მოხვევე უპასუხებს, რომ ის სამების საყდარია, რომელიც უწინდელ დროში „განძთა საფარი, ერთა საბჭო იყო“. ილიას ახალ შეკითხვაზე: „საბჭო რაღა არის?“ — მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართება: — საბჭო? იქაიდ არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭრდის. რაიც მძძმა სპქმე ხტვჩი ავარდის, მუნ იბჭობრდნეს.

— ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?

— რაიდ ვერ გტყვი? რაიც ვტყვი შეგანსმენ. როდეს ასტყდის ერობანი დიდ-დტვა, დიდ-სპქმე, დიდ-არჩევანი, ჯრბძს იქაიდ გამართვინ, აიორჩინ ბტტდა ბრძენ-ბერ-კაცნი, პეიღრობით სახლდებულნი, დასხმინ მათ იმ სენაკი საბჭობად, რაიც მტრედ სამების სახტლით, ხთისგან მათხანცელ მანლით იგნ ბტტნი სტქმინ, გადასტორდინ, არვინ შეშლიან, არვინ ჯადავლიან.

— შენ მოსწრებიხარ მაგისთანა ბჭობას?

რაიდ შევესწრდი? აღრინდალ თქმულობას გიზრახვან.

— ეხლა რატომ აღარ არის ეგა?

— აწინა?

ჩაფიქრდა ჩემი მოხვევე და პასუხი კი არ მომცაო, — ვვეუბნება ილია. მოხვევე გააჩუმა ეტვმა. ის ილიას ქართველობაში დაეკვდა, რადგანაც ქართული ტანისამოსი არ ეცვა. მაგრამ საუბრას შემდეგ ილიას შეკითხვაზე — „ეხლაც რატომ აღარ ბჭობენ სამების სენაკში?“ მოხვევე ასე უპასუხებს: „აწინა ყველანი გაცუდდის, ყველანი გაუქმდის. სამების ძირი სრფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობანი... გერგეთონ აწინაც სანტრის დარაჯობას თავ-დებულბტენ, მაგრამად რუსობანი თარხნობა გაცუდდის, მტფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათტრვის... გაუქმდის აღრინდალ დაწყობანი, ლთის მათხანცელ მანლით ბჭობანიც სამებანი გადავარდის“.

ილია განაგრძობს: „მაშ უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?“.

მოხევე გარკვეულად და ურყევად უპასუხებს:

„რბილ არა!“

და კვლავ ილიას დაეინებით კითხვაზე — „რით იყო უკეთესი?“ მოხევე უფრო აშიშვლებს თავის ზრახვას (რაც, რა თქმა უნდა, თვით ილიას ზრახვაა):

„ადრბდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენნი თავი ჩვენადვე გვეყუნეს, მით იყვის უკედ“<sup>28</sup>.

აჰ, ამის თქმა უნდოდა თვითონ ილია ჭავჭავაძეს: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნეს“. გრძნობდა რა მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის უხეშ დაწოლას, გრძნობდა რა, რომ მეუღის რუსეთი საპყრობილე იყო მასში შემავალი ერებისათვის, ილია, როგორც ერთ-ერთი წარმომადგენელი ასეთი დაჩაგრული ერისა, აუცილებელ საჭიროებად თვლიდა მცირე ერის უფლებათა პატივისცემის, კანონიერების, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის გატარებას ცხოვრებაში. ამის თქმა სასტიკად იყო აკრძალული. ილიამაც ეს, ვითომც შემთხვევით, ფარულად მიაწერა მოხევეს, როგორც პრიმიტიულ მთიელს, ძველს მოტრფიალეს, ფაქტიურად კი გადმოგვცა თავისი და სხვა მოწინავე მოაზროვნეთა შეხედულება, რომელიც შთამაგონებლად მიიტანა მკითხველამდე.



ილია ჭავჭავაძის რადიკალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ძირითადი მამოძრავებელი პრინციპები საკმარისი სიმკვეთრითაა გამომყვანებული ასეთი ქარაგმებით, ნართაულებით, ორაზროვანი, დაფარული ენით, რაც მას საშუალებას აძლევდა ეპოქისათვის მოწინავე იდეები და, ამასთან, არსებული ცხოვრების კრიტიკა ცენზურის კლანჭებისათვის აეცდინა და მკითხველისათვის ადვილად მისაწვდომი გაეხადა.

ამ მიზნით ილია ასევე ნიჭიერად იყენებდა უცხოეთის ცხოვრებას თავის ცნობილ „მ ი მ ო ხ ი ლ ვ ე ბ შ ი“. მისი ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია მცირე, დაჩაგრული, შევიწროებული ერების მდგომარეობის მიმოხილვაზე.

მრავალერიანი ავსტრო-უნგრეთა და მისი შინაგანი წყობილე-

---

28 ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 25—27.

ბა ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც რუსი დემოკრატი მწერლები-სთვისაც, სინონიმი იყო მონარქიულ-პოლიციური მეფის რუსეთისა. ამიტომ, როცა ის ლაპარაკობს ავსტრო-უნგრეთში შემავალი ერების, დამოუკიდებლობისათვის მათს ბრძოლაზე და მთავრობის თანდათანობით დათმობაზე წასვლის შესახებ, გამუდმებით მხედველობაში აქვს მეფის რუსეთი და მასში შემავალი მცირე ერების მდგომარეობა და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ქართველი ხალხის მდგომარეობა, მათთვის ბრძოლისაკენ მოწოდება.

ილია თავის მეტად საგულისხმო „მიმოხილვებში“ ხაზს უსვამს, რომ მცირე ერების გამოღვიძება, ეროვნული თვითგამორკვევისათვის ბრძოლა XIX საუკუნეში გასაქანს ეძებს და პოულობს კიდევ: 1852 წლის შემდეგ, — წერს ილია, — პოლიტიკაში წამოიწია ეგრეთწოდებულმა ეროვნობამ, «ნაციონალიზმამ», გვარტომობამ ერისამ. იტალიაში — იტალია გააერთა, გერმანიაში გერმანია და ამ სახით დაქსაქსულ ერს ერთის გვარტომისას ერთად მოუყარა თავი თავ-თავის ადვილს»<sup>29</sup>.

აღნიშნავს რა ამ მოვლენის დადებით ხასიათს იტალიელთა და გერმანელთათვის, ილია თავის მკითხველს, განსაკუთრებით ქართველ მკითხველს, ანგვარი ბრძოლისათვის გამხნეებისა და ფაშოფხიზლების მიზნით წინასწარ აფრთხილებს, რომ ასეთ გაერთიანებას ახლავს სიძნელები და ამიტომაც საჭიროა ბრძოლაში ხასიათის სიმტკიცის გამოჩენა, წინდახედულება. ამიტომ ამ მოვლენის გაშუქებისას ილია დასძენს: „ეს იტალიასა და გერმანიისათვის უფრო ადვილი იყო, რადგანაც ამათში ან სულ არ ურევიათ სხვა ტომის ხალხნი, ან თუ ურევიათ — იმოდენად ცოტანი არიან, რომ გაერთების საქმეს წინ ვერ გადაეღობებოდნენ. სულ სხვა ამბავი დამართა ავსტრიას, საცა ნემენცებიც არიან, ვენგრებიც და სლავიანებიც, რომელნიც ცალ-ცალკე იმოდენად ღონიერი არიან, რომ ერთი მეორეს ადვილად წინ ვერ წაუვა, ადვილად არ უთმობს უპირატესობას ეროვნებისას»<sup>30</sup>.

ილია ჭავჭავაძის დაფარული მიზანია მკითხველს სანიმუშოდ და სამოდგოროდ მისცეს ავსტრო-უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იგზა. ილია აღნიშნავს, რომ, სანამ ბისმარკი ავსტრიას გერმანიიდან გამოაძევებდა, უნგრელები გერმანელების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ თავიანთი ეროვნების დასაცავად, ცდილობდნენ არ დაჩაგრულყენენ გერმანელთა ბატონობისაგან. ხოლო, როცა ავსტრია ბისმარკმა გერმანი-

<sup>29</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 3, 1929 წ.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 3-4.

იდან გამოაძევა, მაშინ გარემოება შეიცვალა. „ავსტრიის სვე-ბედის ჭკვიანათ გამგეთ, — ამბობს ილია, — მაშინვე იგრძნეს, რომ ლონის სასწორის უღელი ვენგრებისაკენ გადაიხარა და ვენგრებს მიანიჭეს სახელმწიფოში ყოველივე ის უფლება, რომელზედაც ვულუშიშრად შესაძლოა დაენდოს ვენგრია.“

მინამ ეს ასე მოხდებოდა, ავსტრიის სლავიანებმაც გაადვილეს თავისი ისტორია, მოიგონეს დიდებულნი დრონი წარსულისა. ამ ნიადაგზედ ამოაყვავეს თავისი სლავიანობა... და აი დღეს ჩეხების წინამძღვრობით ავსტრიის სლავიანები ეპირისპირებიან ნემენცებს და ვენგერებს და ავსტრო-ვენგარიის სახელმწიფოში თვისის ეროვნობისათვის თანასწორ ადგილს მთავრობისაგან თხოულობენ... ავსტრიის საპოლიტიკო კაცნი... თითქო თანაუგრძნობენ კიდევ, რადგანაც თვალწინ ცხადი მაგალითი აქვთ — ვენგრია, რომელსაც თუმცა სრული უფლება ეროვნებისა და თვითმართველობისა მიანიჭეს, ამით სახელმწიფოს ერთობას და ძლიერებას არამცთუ დააკლდა რამე, უფრო მოემატა... იქნება შორს არ არის ის დრო, როცა ავსტრო-ვენგრია, ეხლა ორ-გვამოვანი, სამ-გვამოვანად გადაიქცეს და ავსტრო-ვენგრეთ-სლავიანთა სახელმწიფოდ შეიქნას“<sup>31</sup>.

ექვგარეშეა, აქ ილია ჭავჭავაძე მიზნად ისახავს ფარულად, დამაჯერებლად დაიყვანოს მკითხველამდე აზრი, რომ საჭიროა ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლა, რომ მრავალეროვან სახელმწიფოში, როგორც იყო ძველი რუსეთი, შესაძლებელია მოეწყონ შემავალი ერები ურთიერთ უფლების პატივისცემის აღიარებით. ეს გარემოება ყოველ მათგანს დააკმაყოფილებს, შესაძლებლობას მისცემს ყოველი მათგანის განვითარებას, აყვავებას. ამასთან, ყველას ერთად მთლიანად გააძლიერებს. ამ აზრით წერდა ილია თავის „მიმოხილვას“ და, უდავოდ, მკითხველიც ასე იგებდა მას.

ილია ჭავჭავაძე, გამჩაღებელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტისა თავის სამშობლოში, ცდილობს მკითხველში განამტკიცოს იდეა, რომ ერთ სახელმწიფოში შესაძლოა ერთმანეთის ხელშეუშლელად წარმატებით იცხოვროს რამდენიმე ერმა, თუ გაბატონებული ერის მმართველნი პატივისცემით მოეპყრობიან მცირე ერების ინტერესებს.

აღნიშნული მიზნით, ილიას თავის „მიმოხილვებში“ თითქოს მხოლოდ უცხოეთის ამბები აინტერესებს. ამიტომ ის ენერგიულად იმოწმებს გლადსტონის პროექტს ირლანდიის შესახებ. ნამ-

31 ი. ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 4—5, 1929 წ.



დვილად კი ძველი რუსეთის სინამდვილე, მასში შემავალი მცირე ერების მდგომარეობა და, განსაკუთრებით კი, საქართველოს ბედი აღელვებს.

„იმავე მოძღვრებას მისდევს დიდი გლადსტონიცა, — წერს ილია, — ...რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში შესაძლოა სხვადასხვა გვარტომობა მოთავსდეს ასე, რომ არც გვარტომობამ შეჭხუთოს სახელმწიფო ინტერესები და არც სახელმწიფომ — ინტერესები გვარტომობისა. თუ გლადსტონმა, — განაგრძობს იგი, — თვისი პროექტი გაიყვანა პარლამენტში და ინგლისი დაიყოლია, ეგ მეორე მაგალითი იქნება მისი, რაც ავსტრო-ვენგრიამ უკვე დაანახვა ქვეყანას... ამბობენ, გლადსტონი შოტლანდიის შესახებაც ამასვე ფიქრობს. თუ ამ ხნით ძლიერ დაბერებულმა, გულთ და მხნეობით-კი ჭაბუჯედ უფრო ჭაბუკმა მოხუცმა თავისი გაიყვანა, განცვიფრებულს ევროპას და ისტორიას ძველის მოყვარე ინგლისი წარმოუდგენს ერთს იმისთანა დიდ საქმეოვანს, რომელიც კაცობრიობას თავის-დღეში მუქთად არა ჰრგებია“<sup>32</sup>.

დამონებულ ერებს, განსაკუთრებით ქართველ ხალხს, რომ აჩვენოს, მწვავედ აგრძნობინოს მცირე ერთა დაჩაგრული მდგომარეობა და, ამასთან, განუმტკიცოს ბრძოლის სურვილი და გამარჯვების რწმენა, ამ მიზნით ილიას მრავალგზის აქვს გამოყენებული ინგლისის მიერ ირლანდიის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური შევიწროების ფაქტები.

ამ მიზნითვე ილია ჭავჭავაძე არაერთგზის ჩერდება ევროპის პატარა ერების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, პატარა ერებისა, როგორც არიან შვედები, ნორვეგიელები და სხვა, და რომლებიც, გონივრულად ითვალისწინებენ რა თავიანთ მდგომარეობას, მთელ თავის შემოქმედებით ძალებს ანდომებენ „შინაურს საქმეებს, შინაურობის წარმატებასა და კეთილდღეობის გაძლიერებას“. ამიტომ, წერს ილია: „სანატრელია იმათი მყუდრო, გულდინჯი, აუძღვრველ დღეთა მდინარება. ერი მადლობელია თვისი მთავრობისა, მთავრობა მადლიერია თვისის ერისა: ამბობი, შუღლი, არეულობა უცნობია ამ ბედნიერთა სახელმწიფოთათვის. თუ რამ აუტყდებათ შინ თვითოეულ მათგანს, მაშინვე მშვიდობიანად, ერთმანეთში მორიგებით, სამართლიანად ათავსებენ საქმეს“<sup>33</sup>.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე მცირე ერთა ბრძოლის, ისტორიული ცხოვრების გზის შენახვა-გაყვალვის ცოცხალი მაგალითების

<sup>32</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 5—6.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 136.

ჩვენებით, მისი დადებითად შეფასებით მკითხველს ამხნევებდა, განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზას უსახავდა და მისი განხორციელების შესაძლებლობაში არწმუნებდა. ასეთი ფარული, საქვეცენზურო სტილის მეშვეობით ილია ახერხებდა მკითხველთან მჭიდრო კავშირის გაბმას, მის გათვითცნობიერებას, აღზრდას, დარაზმვას.

ამითვე აიხსნება, რომ ილია ენერგიულად ეხმაურებოდა და ექომაგებოდა კ რ ე ტ ი ს კ უ ნ ძ უ ლ ზ ე ბ ე რ ძ ე ნ თ ა მ ო ს ა ხ-  
ლ ე ო ბ ი ს ა შ ლ ი ლ ო ბ ა ს ო ს მ ა ლ ე თ ი ს წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ.  
კრეტელების მდგომარეობით ი. ჭავჭავაძე ცდილობდა მკითხველი-სათვის ფარულად, მაგრამ შთამაგონებლად ეჩვენებინა და მოეგონებინა, თუ რა მძიმე იყო ქართველი ხალხის მდგომარეობა თურქეთის საზღვრებში.

ილია ჭავჭავაძეს სამართლიანად მიაჩნდა კრეტელების მისწრაფება შეერთებოდნენ საბერძნეთს, რადგანაც ისინი „სულითა და ხორციითაც, — ამბობს ილია, — ეკუთვნიან საბერძნეთს და სრულიად უცხონი არიან ოსმალეთისათვის“.

ილია, როდესაც იგი ითვალისწინებს კრეტელების კანონიერ მოთხოვნილებებს, სურვილს საბერძნეთთან შეერთებისა და ამისათვის მათ მიერ წარმოებულ უშედეგო ბრძოლას, მკითხველთა გასამხნეველად, ხოლო ძლიერი სახელმწიფოების გასაკიცხად, ასკვნის: „გრძნობა სამართლიანობისა, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში კრეტელთა მხარეზედ არის და ამ მომხრეობას თხოულობს თვით ჭეშმარიტი და განწმენდილი ზნეობაც, მაგრამ რას იზამთ, როცა ევროპის პოლიტიკაში არც სამართლიანობას, არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება. მტრობა, ჯიბრი, ცილობა, ხარბობა, რომელიც დღეს ამოქმედებს პოლიტიკას სხვადასხვა სახელმწიფოსას, სვე-ბედს დაჩაგრულის კრიტიკასა მსუთავს, აბორკილებს და ხელიდამ არ აცლის ოსმალეთს, რომელიც — რაკი ესეა — ყურსაც არ იბერტყავს, რომ კარგის გამგეობით და პატრონობით კრიტელებსაც შეღავათი მიეცეს ადამიანურად სულის ბრუნებისა, ადამიანურად ცხოვრებისა, მათის ეროვნული ღირსების დაუჩაგვრელად და შეუხუთველად“<sup>34</sup>.

ილია ჭავჭავაძე საარგებლობს შემთხვევით და კრეტელთა ტრაგედიას, რომელიც მას ქართველი ხალხის ტრაგედიას აგონებს, კიდევ მეტად აშიშვლებს და ამით მკითხველი უფრო ახლოს მიჰყავს თავის დაფარულ ზრახვასთან: „მართლა და, რა იმისთანა დანაშაულობაა, რომ კაცმა თავისი ძმა, ტყვედ-ქმნილი, ძალით წარ-

34 ი. ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 162—163, 1929 წ.

თმეული, მოტაცებული, სულის ამოხდომამდე მიღწეული, — იძი-  
ოს, რომ ისევ თავისთან იყოლიოს, შეივრდომოს, შეიერთოს, ძმას  
ძმურად მიეშველოს, შეეწიოს. გრძნობა ადამიანობისა, ქრისტიან-  
ობისა, მაღალზნეობისა — სხვა რა არის, თუ არ გულისტკივილი  
ყველასათვის საერთოდ და ძმათათვის განსაკუთრებით. აი ეს, სწო-  
რედ ეს გრძნობაა ის ღონე უღონოსი, ის შემძლებლობა შეუძლე-  
ბელისა, რომელიც სასწაულს აქნევინებს ხოლმე ადამიანს და რომ-  
ლის საოცარი მაგალითები ძლევაშისილობისა არა ერთი და ორი  
ისტორიაში“<sup>35</sup>.

ყოველგვარ ექვევარეშეა, რომ ილია ჭავჭავაძე დაჩაგრული  
კრეტელებისადმი ასეთი მრავალგზისი გამოსარჩლებით თუმცა ფა-  
რულად, მაგრამ ენერგიულად, ესარჩლებოდა დანაწილებულ ქარ-  
თველ ხალხს, ქართველებისაგან თურქთა მიერ მოტაცებულ ცოც-  
ხალ ნაწილებს: ლაზებს, აჭარლებს და სხვათა, რომლებიც ოსმალე-  
თის ხელში ასევე იჩაგრებოდნენ. ილიას სურდა მკითხველი გამო-  
ეფხიზლებინა და მასში გაეღვიძებინა ამ მოტაცებული ნაწილების  
დედასაქართველოსთან დაბრუნების საჭიროების შეგნება და ამით  
მისთვის საბრძოლო ამოცანა დაესახა. ილიას ფარული აზრი მკით-  
ხველის გონებასა და გულში მძლავრად იჭედებოდა, რაც ეროვ-  
ნულ-განმათავისუფლებელ ფრონტს საგრძნობლად აძლიერებდა.

ილია ჭავჭავაძე, როგორც მცირე ერის წარმომადგენელი და  
შისი ინტერესების დამცველი, კარგად აფასებდა დიდი სახელმწი-  
ფობის მჩაგვრელ იმპერიალისტურ პოლიტიკას, სარგებლობდა  
შემთხვევით, რომ მათთვის ნიღაბი აეხადა. ის, როგორც ჭუმანის-  
ტი სამოციანელი, მკითხველს უნერგავდა დემოკრატიულ დევიზს.  
„დიდს არ გავექვლივინებით და მხარს მივცემთ პატარას“<sup>36</sup>. ამიტომ  
ის პატარის, დაჩაგრულის დახმარებას ყოველმხრივ და გაბედუ-  
ლად უჭერდა მხარს.

ი. ჭავჭავაძის ამ მიზანდასახულობით აიხსნება, რომ მან მაგ-  
რად ჩასჭიდა ხელი გლადსტონის მოღვაწეობას, მის პროექტს, რო-  
მელსაც თავისი მოღვაწეობის მანძილზე ხშირად უბრუნდება.  
ილიას მტკიცებით, გ ლ ა დ ს ტ ო ნ ი ს პროექტის გამარჯვებას ყო-  
ველი გონიერი კაცი „სულით და გულით ნატრობს“, რადგან  
„გლადსტონი იძახის, რომ სამართალმა და კაცთმოყვარეობამ უნდა  
განაგოს ქვეყნიერობაო და მისნი წინააღმდეგნი კი ჰყვირიან: მუშ-  
ტი უნდა იყოს ქვეყნის გამგებელიო. ერთი ნუგეშის მცემელია და  
მეორე კეტისა“<sup>37</sup>.

35 ი. ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 179, 1929 წ.

36 იქვე, ტ. I, გვ. 16.

37 იქვე, ტ. X, გვ. 240.

დაჩაგრული, სუსტი ერების უფლებების გაბედულად მლაღადებელი ი. ჭავჭავაძე გლადსტონის პროექტს იმიტომ უჭერდა მხარს, რომ ამ პროექტის მიხედვით სამართალმა და კაცთმოყვარობამ უნდა მართოს ქვეყანა და, ილიას გაგებითაც, მხოლოდ ასეთ პირობებში კაცი და კაცთა შეკრება — ერი, ერის ცხოვრება და მოქმედება — შეიძლებოდა ყოფილაყო სალი, სამართლიანი, სასარგებლო როგორც თავისთვის, ისე სხვისათვის.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ნიჭიერი პროპაგანდისტი ჰუმანიზმისა, ასე განმარტავდა გლადსტონის პროექტის ღირებულებას: „გლადსტონის პროექტი წარმომდინარეობს იმ დედააზრიდამ, რომ სამართალია ძალა, რომ ყველაფერში, ყველგან კაცმა წინ სამართალი უნდა გაიმძღვაროს... ღობე, მარტო იმ მიზეზით, რომ დაბალა, არასდროს არ უნდა გადალახულ იქმნასო, ყველასა აქვს ღვთის ნიჭი არსებობისა და ამ ნიჭისაგან არავინ არ უნდა იყოსო გამოკლებული მარტო იმ მიზეზით, რომ მე ღონიერი ვარ და ის კი უძლურიო. აქ შეუამავალი მოციქული მარტო. სიმართლე და სამართალი უნდა იყოსო და არა რა სხვა რამე“<sup>38</sup>.

რა თქმა უნდა, გლადსტონის ჰუმანური პროექტის მოწონებით, წინ წამოწევით, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მუშტის ლოგიკის უარყოფით, ილია ფარულად ამთრახებდა ძველი რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს, მის კოლონიურ პოლიტიკას, რომელიც ასე მძიმედ აწვა ქართველ ხალხს. მკითხველსაც მაქსიმალური სიზუსტით ესმოდა მწერლის ასეთი ზრახვა.

ილია ჭავჭავაძე სარგებლობდა ყველა შემთხვევით, რათა ძლიერ, კოლონიალურ სახელმწიფოთა მცირე ერებისადმი გულგრილი, ანგარებიანი, უსამართლო დამოკიდებულება მკითხველისათვის შთამაგონებლად გაეშუქებინა.

ცნობილი იყო, რომ ოსმალეთში ადგილი ჰქონდა სომეხთა შევიწროებასა და უღეტას. ცნობილი იყო აგრეთვე ევროპის დიდ სახელმწიფოთა დიპლომატიის პირმოთნე განცხადება: „ურთიერთის დახმარებით ყველამ იმოქმედოს ოსმალეთზე ამ აღმაშფოთებელი საკითხის გამო“.

ილია, აღშფოთებული ამ ცარიელა განცხადებით, მაშინ, როდესაც, მისი თქმით „საქმე დღე და ღამე მწვავედება, სისხლის ღვრა ძლიერდება, არეულობა მატულობს“, აღელვებული, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოთა თანხმობა ამ საკითხში არა ჩანს, წერდა: „ერთი რიხიანი სიტყვა ევროპისა და მაშინვე ენა მუცელში ჩაუვარდება ოსმალეთს შიშითა“. მაგრამ ყოველი მათგანი, — განაგრძობს

38 ი. ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 238—239.

ის, — „უეჭველია გარეთ ერთს ჰლაპარაკობს და შინ-კი, ფარდებს უკან, სულ სხვას ჰფიქრობს და სხვა-რიგად არის საქმე“<sup>39</sup>.

ილია ჭავჭავაძე ანალოგიურ მოვლენებს შინაც, მეფის რუსეთშიც, ზედავდა. მასზე წერა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, ცენზურა ამის საშუალებას არ იძლეოდა, ხოლო უცხო სახელმწიფოში მომხდარი მოვლენის აღნიშვნასა და უცხო სახელმწიფოს გაკიცხვას ცენზურა არ კრძალავდა. ილია აქულებული იყო ფარული, ქარაგმული საშუალება ეხმარა. ამიტომაც ილიას ამგვარი გამოსარჩლება თურქეთის სომხებისადმი თავისებური გამოქომაგება იყო იმ სომეხთა მიმართაც, რომლებიც ცარიზმის პირობებში იჩაგრებოდნენ.

ილიას შიერ სომხებისადმი ოსმალეთის ბარბაროსული მოპყრობის გამოაშკარავება, სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებით, მაშინდელი მეფის რუსეთისთვისაც მისაღები იყო. ამიტომ ცენზურამ ადვილად დართო ნება ილიას სომხებისადმი გამოქომაგებისა, მაგრამ ამ აზრთან ერთად მწერლის დაფარული აზრიც, რომ მკითხველმა გაამახვილოს ყურადღება ანალოგიურ მოვლენებზე შიგნით, ჩვენშიც, და სათანადოდ შეაფასოს იგი, ასევე აქტიურად და ადვილად დადიოდა ფართო მკითხველამდე.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძე ივავური სტილის სხვა ხერხებსაც იყენებს. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის გაბედულმა მოქმედებამ, პუბლიცისტური ხასიათის წერილებმა და პრაქტიკულმა საქმიანობამაც, რაც გამოწვეული იყო სამშობლოს აღორძინებისა და ხალხის კეთილდღეობის დაუძლეველი მისწრაფებით, ძველი თაობის მხრივ, რომელიც წარსულს განწირულის სულსკვეთებით ეჯაჯგურებოდა, საშინელი წინააღმდეგობა, თავშეუთავებელი ლანძღვა-გინება, ცილისწამება გამოიწვია მწერლის მიმართ. ილია კი, გატაცებული თავისი მიზანდასახულობით, ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდა. ის გარკვეული, მტკიცე, ურყევი განწყობილებით თამამად განაგრძობდა თავის გზას — ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობას. თავის ასეთ ღრმადიდურ განწყობილებას პოეტი ახორციელებდა მძლავრ ლირიკულ ლექსებში. ნიმუშისათვის ავიღოთ:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?

რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,

<sup>39</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 172.

ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში  
ბოროტთა საკლავად — მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,  
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:  
ავიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა,  
და დაე, გვირახონ, — ჩვენ მის ძეგნით დავლიოთ დღენი:

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,  
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“  
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —  
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“<sup>40</sup>

ეს იყო დევიზი ილია ჭავჭავაძისა. „ქართველის ბედის“ სიყვა-  
რულით გაელენთილი პოეტი მახვილი თვალით აფასებდა ავსაც და  
ქარგსაც. იგი დაბრკოლებას, ბრიყვთაგან ლანძღვას და ცილისწამე-  
ბასაც კი არაფრად აგდებდა, ყველაფერს იტანდა სამშობლოს კე-  
თილდღეობისათვის, რადგანაც მის მოღვაწეობაში „ქარგი გული“  
მაშინვე სცნობდა, თუ „ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“.

ეს ლექსი თითქოს მხოლოდ პირადი განწყობილების გამომ-  
ხატველია, არსებითად კი პოეტის განზრახვა ასეთია: მას სურს და-  
უმტკიცოს მკითხველს, მტკიცედ შთააგონოს მას, რომ სინამდვი-  
ლეში ყველა შეგნებული, ღირსეული მოქალაქე სამშობლოსადმი  
ასეთ ურყევ სიყვარულს უნდა ატარებდეს და არავითარ ყურად-  
ღებას არ აქცევდეს საზოგადოების შეუგნებელი ნაწილის მისდამი  
უარყოფით, მტრულ დამოკიდებულებას. პოეტის ეს განცდა მარ-  
ტო პირადი კი არ არის, არამედ საყოველთაო სახელმძღვანელოა.

ი. ჭავჭავაძე, როგორც დიდი ბუნების, დიდი გაქანების, ფარ-  
თო საზოგადოებრივი პროგრამის მქონე პოეტი-პუბლიცისტი, მო-  
ნარჩიულ-პოლიტიური წყობილების პირობებში ცენზორის მხრივ  
გამუდმებულ მძიმე შეზღუდვას განიცდიდა. მისი ნაწერები წლო-  
ბით იყო აკრძალული; რაც იბეჭდებოდა, ისიც დაუნდობლად და-  
ფლეთილი, დამახინჯებული სახით ნიდიოდა მკითხველამდე. მის  
ნაწერებში ყოველთვის იგრძნობოდა რაღაც დაუმთავრებელი, და-  
სახინჩრებული, გონჯი, ართქმული, რაც მწერალს ფრიალ აწვალე-  
ბდა, რაც მას უქმნიდა გამუდმებულ მძიმე ტრაგედიას.

ი. ჭავჭავაძეს ბუნებრივად ებადებოდა მოთხოვნილება მკით-  
ხველისათვის ემცნო, რა ჯოჯოხეთია მოაზროვნე-მოქალაქის, გან-  
საკუთრებით მწერლის გულში. ეს მიზანი მკითხველამდე ილია ჭავ-  
ჭავაძეს დაჰყავდა ირიბი გზით, ქარაგმით, გადაკრულით. ამ გზით

40 ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 46, 1925 წ.

იგი არა მარტო მწერლის ტრაგედიას აგებინებდა მკითხველს, არამედ აგრეთვე იმ დუხჭირ საზოგადოებრივ პირობებსაც, მწერალს და ყოველ შეგნებულ მოწინავე მოქალაქეს რომ ბორკავდა, გასაქანს არ აძლევდა, რაც მკითხველს ბუნებრივად აღუძრავდა ბრძოლის სურვილს შემხუთავი პირობების დასამხობად და უკეთესი პირობების დასამყარებლად.

აი ერთი ნიმუში: „ქვეყანა ჩემ თვალწინ როგორღაც უხეიროდ, წაღმა-უკულმა ტრიალებს, თითქო ღერძი გაუტყდა და საცა არის ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევაო. მე ვშიშობ და ვკანკალებ, მართლა ესე არ მოხდეს-მეთქი. ის ჩემი სულთამხუთავი კი თავს მადგია და იღრიჯება, იცინის... ფუ, ეშმაკო-მეთქი, დავიყვირე, მაგრამ ვერც ამან გასჭრა, პირჯვარი დავიწერე, შენც არ მომიკვდე, არც ამან მოაცვლევიანა ფეხი. რა ყოფილა, თქვენი ჭირიმეთ! ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მანამ მამალი იყივლებს. რაკი ის დალოცვილი წამოიყივლებს ხოლმე, სულთამხუთავიც უცხად თვალწინ გამიფრთხება, გაქრება, როგორც ქარისაგან ბოლი.

ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვზივარ და შევყურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დაღლილი და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!“<sup>41</sup>.

მკითხველსაც მკვეთრად ესმოდა, რომ ეს სულთამხუთავი იყო ის ძალა (ბიუროკრატიულ-პოლიციური რეჟიმი და მისი დამცველი ცენზორი), რომელიც მაჯლაჯუნასავით დასწოლოდა საერთოდ მოქალაქის, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის გრძნობასა და გონებას, გასაქანს არ აძლევდა, აზრს ურყევდა, გრძნობას უწამლავდა; ამიტომაც ილიას აზრები შებოროტილი იყო და დალაგებულად, სრულქმნილად ვერ აღწევდა მკითხველამდე.

ილიას თქმა, რომ ამ სულთამხუთავს აფრთხობს, აქრობს მხოლოდ მამლის ყივილი (ქვეყნის ცხოვრების განახლების დასაწყისი — რევოლუციური მოძრაობა) და, ამასთან, მისი მიმართვა მამლისადმი: — „რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!“ — ეს ნატვრათა ცხოვრების განახლებისა — რევოლუციისა, რაზედაც უნდა ზრუნავდეს ყოველი ღირსეული მოქალაქე და რისი შთაგონება და შთანერგვაც სურს ილიას მკითხველის გულში.

ილია ჭავჭავაძე ქარაგმების, გადაკრულებისა და ნართაულების საშუალებით, უხსნიდა რა მკითხველს თავის მოჯადოებულ

41 ი. ჭავჭავაძე, ტ. VII, გვ. 81, 1928 წ.

მდგომარეობას, სურდა მკითხველისათვის ეჩვენებინა არსი ცხოვრებისა, ძირითადი აზრი და საგანი მისი, მაგრამ, ვინაიდან მის სურვილს სულთამხუთავი ეურჩებოდა, ის შემდეგს ამცნობდა მკითხველს: „ჩემგან ნაჩვენებს ბარდებში ბილიკი თქვენ თვითონ გაიგნეთ. მე კი ვლუმდები და ვიდრე მამალი დაიყვილებდეს და ეს სულთამხუთავი გაშიფრთხებოდეს, მე ჩემსას არას ვიტყვი და ისევ სოლომონ ბრძენს ვალაპარაკებ. არც საშიშია, არც საკრძაღველი“<sup>42</sup>. არაკი (ამ შემთხვევაში სოლომონ ბრძენისა), იგავი სწორედ ის იარაღია, რომელსაც ილია იმარჯვებს.

ილიას მოჰყავს სოლომონ ბრძენის აზრი (იგავის ფორმაში განსახიერებული), რომ ცათა ქვეშე ყველაფერს თავისი დრო და ჟამი აქვს. ილიას უნდა მკითხველს გაავებინოს, რომ ამ აზრის გახსნა არსებულ პირობებში (სულთამხუთავის გამო) სახიფათოა — „თავი ხომ არ მომძულდება, რომ დასახრჩობად გამოვიმეტო“ და მოკლედ ასე ასკვნის: „ჰაზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო, ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილს, გაყრასა თუ შეკრებას, ღუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლასა თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა, რაც ჩამოთვლილია სოლომონ ბრძენისაგან.

„დროს ჰსკვირიტე, ჟამთა რა მოაქვს?  
რას ისხამს, რა მოისთვლების..“

...ამიტომაც იმ ამოცანას ამისთანა პასუხს ვაძლევ და ზედ დავართავ:

თუ ჟამს ხელთ აქვს ისარიო,  
შენცა ხელთ გქონდეს ფარიო“<sup>43</sup>.

ამით ილია ჭავჭავაძე მკითხველს მტკიცედ ეუბნებოდა: ფხიზლად იყავ, ფხიზლად დააკვირდი ცხოვრებას და რასაც დრო და გარემოება მოითხოვს, შენც მომზადებულად შეხვდი და ისე მოიქეციო.

იგავური სტილი ილია ჭავჭავაძისათვის იყო ერთ-ერთი მძლავრი საშუალება, რომლითაც პოეტი-მოქალაქე აფხიზლებდა, ათვითცნობიერებდა, რაზმავდა ფართო მკითხველს, ზრდიდა მას ჰუმანურ-დემოკრატიულ საფუძველზე. ეს სტილი ილიასათვის იყო

42 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. VII, გვ. 81—82, 1928 წ.

43 ი ქ ვ ე, გვ. 82.



ბიუროკრატიული მმართველობის „ისრების“ წინააღმდეგ მიმართული ფარი.

ილიას ურყევად სწამდა ხალხის ძალა, სწამდა მისი ნიჭი და უნარი, მისი ბრწყინვალე მომავალი: მისთვის უცხო იყო იმედის დაკარგვა, ფარ-ხმალის დაყრა. ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა, თვით იგავური სტილი მისი შემოქმედებისა, ნათელი დამადასტურებელია იმ გზისა, რომელსაც მომავლისათვის ბრძოლა ითხოვდა. ამიტომაც, რომ დღესაც ასე ცხოვლად ჟღერს მისი შემოქმედება, მის მიერ შექმნილი სახეები, მისი ძარღვიანი სიტყვა; ამიტომაც, რომ მისი მემკვიდრეობა წარსულს არ გადასცემია, ის მჭიდროდ ექსოვება ჩვენს თანადროულობას, მისი შემოქმედება თავისი მრავალფეროვანი სტილით, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით ჩვენს დროშიც შთაგონების ძალასა და მიმზიდველობას ძალუმად ინარჩუნებს.

## ი. ჭავჭავაძის მხატვრული კომპოზიცია

ილია ჭავჭავაძე ღირსეულად ითვლება სიტყვის დიდოსტატად. მისი აზრი, ყოველთვის მაღალიდებული, მწვავე, დინჯი და მასთან დალუმად მჩქეფარე, მაქსიმალურად მკაფიო, ზუსტ, ნათელ და ძარღვიან სიტყვებში აღბეჭდილი, მოცემულია შესატყვისად დახვეწილ ფორმაში. ცნობილია, რომ პოეტური ნაწარმოების ფორმა მთლიანად გაქვინთილია ავტორის მხატვრული იდეით, მისი შემოქმედებითი აზრით. ილია ჭავჭავაძის აზროვნების ღრმა შინაარსიც იარგანულადაა ჩაქსოვილი მისი შემოქმედების შესაფერ ფორმაში.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას რომ ეცნობით, გრძნობთ არა მარტო ღრმა, მრავალმხრივ ბრძნულ აზრს, არამედ აგრეთვე მისი პოეტური ოსტატობის მდიდარ, მომხიბლავ და თავისებურ შემოქმედებით გზასა და საშუალებებს, რომელთა გულმოდგინე შესწავლას მკითხველი მიმზიდველად შეჰყავს მწერლის საიდუმლო სამყაროში, მისი ქმედების პროცესისა და ხერხების გაგებაში.

ცნობილია, რომ პოეტური აზროვნება თავისი ბუნებით კონკრეტულია. მწერლის აზრმა უთუოდ უნდა მიიღოს ხატოვანი გასხეულება, ხორცი უნდა შეისხას, რათა ის პოეტურ აზროვნებად გადაიქცეს. ამასთან, ცნობილია, რომ მაღალი მხატვრული შემოქმედება ხასიათდება ზღვრული უშუალობით, ბუნებრიობით და უბრალოებით, რასაც არავითარი დამაბულობა, ძალდატანება არ უნდა ემჩნეოდეს. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ყოველი პოეტური სახე ავტორის ხანგრძლივი ფიქრის, ძიებისა და შრომის შედეგია. თვით დიდი გენიოსი მწერლების შემოქმედებითი ჩანაწერები და ვარიანტები დამაჯერებლად გვიდასტურებენ წერის, როგორც შემოქმედებითი აზრის გამოხატვის, რთულ პროცესს, და მასზე მწერლის მიერ გაწეულ დიდ, ჯიუტსა და ხანგრძლივ მუშაობას.

ასევე მიმდინარეობდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი აზროვნების განსახიერების პროცესი.

ილია თავის შემოქმედებითს ლაბორატორიაში ხანგრძლივად მუშაობდა ამა თუ იმ სახეზე, ამა თუ იმ პოეტურ საშუალებაზე, რომლებშიც ის ფიქრობდა ნაწარმოების იდეის განხორციელებას.

გახსებულებას, ხოლო გამონახავდა რა მათ, ჩაუჯდებოდა და მაშინ მისმა შემოქმედებითმა ძალამ დაღლა არ იცოდა, მისი შემოქმედებითი ტკივილები არ ჩერდებოდა, სანამ თავის იდეას საბოლოო, სათანადო შესატყვის ფორმას არ მოუძებნიდა. მოვიგონოთ მისი მუშაობა პოემა „ა ჩ რ დ ი ლ ზ ე“ და მისი წერის დროს განცდილი შემოქმედებითი მწვავე ტკივილი, და ვ ი თ ე რ ი ს თ ა ვ ს რომ ამცნობს: „ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ... შევდეგ და ერთი ბიჭი წინ ვერ წავდგი. რა ვქნა, ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა. ერი არსადა ჩანს. მე კი ასე-ლი აგებულებისა ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს, ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსაით არი“<sup>1</sup>.

ასევე ხანგრძლივად ამუშავებდა ილია ჭავჭავაძე ბატონისა და ყმის ურთიერთობის საკითხს (იხ. მისი დაუმთავრებელი მოთხრობები: „კოლა“, „კაკო“), ვიდრე მას საბოლოოდ ჩამოაყალიბებდა თავის ტრილოგიაში: „რამ დენი მე სურათი ანუ ეპიზოდის ყაჩაღის ცხოვრებელამ“, „გლახის ნაამბობი“ და „კაცია ადამიანი“!

ყოველი დიდი მწერალი პირველ რიგში სიტყვის დიდი ოსტატია. ის კარგად გრძნობს, რომ მისი შემოქმედება ადვილად, დაუბრკოლებლად, საინტერესოდ მაშინ იშლება, როდესაც მისი აზრი მაქსიმალურად ზუსტ, სადა, ნათელ და შეკუმშულ ფორმებში გამოითქმება.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების გაცნობა მკითხველს ადვილად განაცდევინებს მწერლის მეტყველების მომხიბვლელ ძალას, ვინაიდან იგი სხარტ, ლაკონიურად შეკუმშულ თქმაში, ხან ერთ კენტს სიტყვაშიც კი, ბევრსა და ღრმა აზრს ათავსებს. ჩვენი დიდი მწერლის მოხდენილ თქმაში უხვადაა ჩაქსოვილი ბრწყინვალე გონების მიერ ხანგრძლივი, ბეჯითი, მრავალმხრივი დაკვირვების შედეგად გაკეთებული სწორი დასკვნები. ილიას მეტყველებაში ზედმიწევნითაა დაკმაყოფილებული ის მოთხოვნილება, რომელსაც ცნობილი რუსი პოეტი ნ. ნეკრასოვი აყენებდა: «**ЧТОБ СЛОВАМ БЫЛО ТЕСНО, МЫСЛЯМ — ПРОСТОРНО**».

ი. ჭავჭავაძემ, როგორც მოქალაქე-პოეტმა, კარგად იცის, რომ აზრის სიცხადე და ინტერესის აღძვრა მთავარი პირობაა მკითხველ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, წერილები, გვ. 34—35, 1949 წ., ი. ბოცვაძის რედაქციით.

ზე მხატვრული ნაწარმოების ზემოქმედებისა. ყოველივე ამას კი მწერალი შეიძლება აღწევდეს გარემო ცხოვრების, სინამდვილის ზედმიწევნითი ცოდნით. მასში ადამიანთა და მოვლენათა ურთიერთობის. მათი მისწრაფებების, ბრძოლის სწორი გაგებით.

ილია ჭავჭავაძე გაუნელებელი გულისყურით აკვირდებოდა ცხოვრებას, ამა თუ იმ იდეის განხორციელების მიზნით გულმოდგინედ სწავლობდა მის მოვლენებს, დიდი მონდომებით კრეფდა მრავალ მასალას და იქიდან არჩევდა, ტოვებდა მხოლოდ იმას, რაც აუცილებელი იყო, რათა თავისი აზრები გარკვეული მიმართულებით, ცხოველი ზემოქმედი სახეების საშუალებით გაეფორმებინა. აი, რა საგულისხმო ცნობას გვაძლევს რუსი გენიალური მწერალი ლევ ტოლსტოი ამ საკითხის შესახებ თავისი ხანგრძლივი, მდიდარი და ნაყოფიერი შემოქმედებითი გამოცდილების შედეგად. ის გულახდილად წერდა და დაინტერესებულ პირთ აფრთხილებდა, რომ მწერალს უხდება «обдумывать и передумывать всё, что может случиться со всеми будущими людьми предстоящего сочинения, и обдумывать миллионы всевозможных сочетаний для того, чтобы выбрать из них 1/1 000 000».

ი. ჭავჭავაძისათვისაც შემოქმედებითი მუშაობის დასაწყისშივე ნაწარმოების ამა თუ იმ სახის ზოგადი მოხაზულობა მკლავდებოდა, მაგრამ მისი დახვეწა, მისი საბოლოო განსახიერება გულმოდგინე, დაძაბული მუშაობის პროცესში ირკვეოდა და აშკარადებოდა მხოლოდ მკაცრი და ხანგრძლივი შერჩევის შედეგად. ილია ცდილობდა თავის ყოველ ნაწარმოებში, იქნებოდა ის მხატვრული თუ კრიტიკულ-პუბლიცისტური, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ფორმაში ჩაექსოვა ღრმა იდეური შინაარსი, გაყენთილი მაღალი ემოციურობითა და მოქალაქეობრივი აზრებით. ამას ის ახერხებდა ნაწარმოების ჩამოყალიბების დროს ყოველივე იმის განდევნით, რაც ნაწარმოების განვითარებას ან მის ამა თუ იმ სახეს ოდნავადაც კი გააბუნდოვნებდა, მოადუნებდა, მის სიმკვეთრეს შეასუსტებდა, რაც მას ზედმეტად დატვირთავდა, ბუნებრიობას შეულახავდა. მართებულად სჯის პროფ. დ. ბ ლ ა გ ი «Художественное произведение должно представлять некий целостный, замкнутый в себе самой, себе давящий мир своего рода художественный организм, в котором все части связаны между собой не механической, а внутренне необходимой, органической связью, к которому ничего не нужно добавлять и от которого ничего нельзя отнять»<sup>2</sup>.

<sup>2</sup> Д. Б л а г о й, «Мастерство Пушкина», гл. 103, 1955 წ.

ი. ჭავჭავაძე, როგორც რეალისტი მწერალი, თავის შემოქმედებაში გვიხატავს სინამდვილეს — მის მოვლენათა მოძრაობაში მიზეზობრივად დაკავშირებას, პერსონაჟთა თანდათანობით ზრდასა და ჩამოყალიბებას, მათ მოქმედებასა და ურთიერთობას, მათ შორის წინააღმდეგობათა გამოწვევებსა და გადაწყვეტას, სხვადასხვა დროს. სხვადასხვა ადგილზე და სხვადასხვა გარემოში, მაგრამ ყველა ამას არა იმდენად, რაც, ან როგორც იყო. არამედ უფრო იმას, რაც და როგორც შეიძლება ყოფილიყო, ან რაც შეიძლება იყოს, რაც დამახასიათებელია, ტიპიურია იმ სინამდვილისათვის, რომელსაც ის განასახიერებდა.

ამგვარ შემთხვევაში ილია ამოქმედებდა თავის წარმოსახვის უნარს, ალღოს; ნაწარმოების მოქმედ პირთ ხშირად აყენებდა მის მიერ გამოგონილ პირობებში, გარემოებაში. ეს საშუალება ჩვეულებრივია მწერალთა შემოქმედებით პრაქტიკაში. ამ საშუალებას მწერალი მიმართავს ხოლმე იმ შემთხვევებში, როდესაც გამოგონილი მდგომარეობა შეესაბამება სინამდვილეს და მწერალსაც ეხმარება მკაფიოდ, დამაჯერებლად, თვალსაჩინოდ გამოყოს ცხოვრებაში მოქმედი არსებითი მოვლენები. ასეთი მუშაობა ილია ჭავჭავაძისაგან მოითხოვდა დიდ შემოქმედებით ოსტატობას.

ი. ჭავჭავაძე მტკიცედ და განუხრელად ხელმძღვანელობდა იმ შეხედულებით. რომ მხატვრული ნაწარმოების იდეაც, თემაც და მოქმედი პირობებიც მაშინ იქნებიან მნიშვნელოვანი, მაშინ დატოვებენ ცხოველ კვალს მკითხველის შეგნებაში და ხალხის ცხოვრებაშიც, როცა ისინი მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებული იმ ისტორიულ ეპოქასთან, რომელსაც მწერლის შემოქმედება უკავშირდება და ასახავს.

მხატვრულ ნაწარმოებში განსახიერებულ ცხოვრებას, ადამიანთა ურთიერთობას. ბრძოლას, რაც, ჩვეულებრივ, წინააღმდეგობისა და კონფლიქტის გზით იშლება, რის განვითარება და დამთავრება აუცილებელია მთლიანი შთაბეჭდილების მისაღებად და ძირითადი იდეის სწორი გაგებისათვის, მწერალი ამ თლიანებს, აფართოებს ნაწარმოების კომპოზიციის საშუალებით.

კომპოზიცია მწერალს შესაძლებლობას აძლევს, ის მდიდარი მასალა, რომლის საფუძველზედაც ნაწარმოები იქმნება, თავისებურ წესრიგში მოიყვანოს, დაადგინოს გარკვეული თანამიმდევრობით, ნაწილების თანაზომიერებით, მოქმედების ერთიანობით, რაც არსებითი პირობაა ყოველი მხატვრული ნაწარმოებისა, და მთლიანობაში მიაწოდოს მკითხველს. ამრიგად, კომპოზიცია აერთი-

ანებს ნაწარმოებში დასმული ცხოვრების ძირითადი პრობლემის ახსნისა და განსახიერების ყველა ელემენტს, ყველა საშუალებას.

ძირითადი ფორმა იყო ხერხი მხატვრული ნაწარმოების შინაარსის გახსნისა არის სიუჟეტი. ს ი უ ჟ ე ტ ი მხატვრული ნაწარმოების კო მ პ ზ ი ც ი ი ს ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია, მაგრამ, ამასთან, ის მისი წამყვანი ელემენტიცაა. სიუჟეტი ადამიანთა შორის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებათა წარქოსახვა თუ განახლებაა:

«Сюжет, — წერს ლ. ვ. შჩეპილოვა, — совокупность всего развития отношений между персонажами, каждый из которых живет своей собственной жизнью, своими интересами и стремлениями. Сюжет воспроизводит развитие определенной жизненной ситуации, которая вытекает из особенностей жизненных условий»<sup>3</sup>.

სიუჟეტის გაშლას ი. ჭავჭავაძე დიდი ოსტატობით ფლობს. ნაწარმოებში განსახიერებელი ცხოვრების პროცესი დამთავრებულია. მას ახასიათებს მკაფიოდ ჩვენება და ღრმად დამახასიათებელი ნიშნებით გაშლა პერსონაჟთა ქცევა-მოქმედებისა, მათი განცდებისა. პერსონაჟთა ღრმად დამაჩერებელი ფსიქოლოგიური განცდების ჩვენებით მწერალი აჩერებს მკითხველს, რომ ქცევათა სხვანაირი ასახვა მოცემულ გარემოში შეუძლებელია.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა სიუჟეტის მხატვრულობა ცხოვრების, ხასიათების, სახეების ურთიერთობის მართებულად ჩვენებით მკითხველს იტაცებს, ხიბლავს.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტში მოცემულია კონფლიქტის მთლიანი და დამთავრებული განვითარების ხაზი, რომელსაც ახასიათებს გარკვეული შინაგანი საფეხურები: ექსპოზიცია, კვანძი, მოქმედების განვითარების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა, დამთავრება, ბევრ შემთხვევაში აგრეთვე წინასიტყვა (პროლოგი) და ბოლოსიტყვა (ეპილოგი).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ნიჟიერადაა გამოვლინებული პოეტური შემოქმედების შემდეგი მთავარი მოთხოვნილება: მხატვრული ნაწარმოების შინაარსი და მისი ფორმა გაპირობებულია ნაწარმოების იდეით. ძირითადი იდეის გაშლა-გამოვლინებას ემსახურება ნაწარმოების ყველა საშუალება, მისი ყოველი დეტალი. ამიტომ შეუძლებელია ნაწარმოების გაანალიზება მისი მთავარი იდეის სწორი გაგების გარეშე.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების კომპოზიციასა და იდეის თანაზომიერად გაშლას, გარდა სიუჟეტისა, უსათუოდ ემსახურება კომ-

3 Л. В. Щепилова, «Введение в литературоведение», гл. 83, 1956 г.

პოზიციის სხვა შემადგენელი კომპონენტებიც. მაგალითად, სათაურ-რი, ეპიგრაფი, ლირიკული გადახვევა, ჩართული ეპიზოდი, პერსონაჟის თვითდახასიათება, პერსონაჟის პორტრეტი, ავტორისეული დახასიათება, პეიზაჟი და სხვა. ეს კომპონენტები მიმზიდველად აზღიდირებს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა კომპოზიციას. მათი შემწეობით ილია ბუნებრივად, თითქოს სრულიად ძალდაუტანებლად, აქსოვს თავის შეხედულებას და დამოკიდებულებას ნაწარმოებს ძირითად ამბავში, პერსონაჟების დახასიათებაში, მათ ურთიერთობაში და ამით საგრძნობლად უწყობს ხელს, ერთი მხრივ, ნაწარმოების სიუჟეტის სისრულით გაშლას, ხოლო, მეორე მხრივ, ნაწარმოების იდეის სრულყოფილად და დამაჯერებლად გადმოცემას. ამასთან, ეს კომპონენტები ამდიდრებენ მკითხველის წარმოდგენას და აღრმავებენ მის ცოდნას ნაწარმოებში ასახული მოვლენების შესახებ.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედების კომპოზიცია მეტად ნიჭიერად გამოხატავს ავტორის დამახასიათებელ წამყვან თვისებას, როგორც პრაქტიკულ ცხოვრებაში, ისე მწერლობაში: მის დიდ გრძნობას. დიდ ნებისყოფას აწესრიგებს მისი შორსმჭვრეტელი, ჩამწვდომი გონების ლოგიკა. ილია ჭავჭავაძისათვის შემოქმედებაში (იქნება ეს მხატვრული თუ პუბლიცისტურ-პრაქტიკული) რ ე გ უ ლ ა ტ ო რ ი ა გ ო ნ ე ბ ა.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედების კომპოზიცია მეტად თავისებურად ისისხლნორცებს არა მარტო პოეტის გრძნობებსა და აზრებს, არამედ მთელ მის არსებას, მაგრამ ეს მკითხველისათვის შეუქმნეველი, დაფარული რჩება. მისი გამოაშკარავება შესაძლებელია მხოლოდ ნაწარმოებთა სპეციალური ანალიზის შედეგად.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში არაფერია ზედმეტი, მას არაფერი აკლია, ის ნათელია, სრულია, ზომიერია, მასში ყველაფერი თავის ადგილზეა. დასასრული თითქმის ყოველთვის შეესატყვისება დასაწყისს: ისეთივე ან მსგავსი მდგომარეობა ამთავრებს კომპოზიციის განვითარების იმ პრუდს, რომლითაც იგი იწყება. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოები მჭიდროდ შეკრული ორგანიზმია. ესაა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას მთლიან, მწყობრ, დამთავრებულ, სრულ, ჰარმონიულ სახეს რომ აძლევს, ესაა რომ ასე იმორჩილებს, აჯერებს. არწმუნებს მკითხველსაც.

გავარჩიოთ ილიას ეპიურ ნაწარმოებთა კომპოზიცია.

### 1. „ა ჩ რ ღ ი ლ ი“

პოემა „აჩრდილის“ იდეა საქართველოს აღორძინებისა და განახლების გზაზე დადგომის აუცილებლობაა, რაც საკმაოდ ნათლადაა გამოხატული პოემის XXVI თავში:

..დედა ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...  
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;  
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,  
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!  
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,  
მოეცი ძალი დაერდომილსა კვლავ აღდგომისა,  
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,  
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შეილსა.

.....  
მოჰმადლე ქართველს ქართულის ნდობა და სიყვარული  
და ალუღგინე მშვენიერა ესე მამული!...“4.

პოემის ამ იდეასთან დაკავშირებით პოეტი მიზნად ისახავს გა-  
მოაფხიზლოს ქართველი ხალხი, დაანახვოს მას ქვეყნის არახელ-  
საყრელი მდგომარეობა, გააღვივოს მასში პატრიოტული გრძნობა.  
ამას ითხოვდა თერგდალეულთა მიერ გაშლილი ეროვნულ-განმა-  
თავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი და ამასვე ითხოვდა ქართველი  
ხალხის მიერ ისტორიული განვითარების ახალი გზის ძიებაც.

პოემა „ა ჩ რ დ ი ლ ი ს“ კ ო მ პ ო ზ ი ც ი ი ს ყ ო ვ ე ლ ი  
კ ო მ პ ო ნ ე ნ ტ ი ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ა პ ო ე მ ი ს ა მ ი დ ე ი-  
ს ა და მ ი ზ ა ნ და ს ა ხ უ ლ ო ბ ი ს მ ა რ თ ე ბ უ ლ ა დ გა-  
ა ზ რ ე ბ ა ს.

მიყვეთ პოემის კომპოზიციის გაშლას პოეტის მიერ მონაცე-  
მი კომპონენტების თანმიმდევრობით.

უპირველესად ყურადღებას იქცევს პოემის თვით სათაური —  
„აჩრდილი“, რომელიც მკითხველს თუ გარკვევით არ აგრძნობი-  
ნებს, ყოველ შემთხვევაში, ექვს მაინც აღუძრავს, რომ აჩრდილი,  
მთავარი გმირი პოემისა, თვით პოეტის აჩრდილი, პოეტის ორეული  
ხომ არაა? აჩრდილის პირით თვითონ პოეტი ხომ არ გამოთქვამს  
თავის აზრებს? ასეთი დაეჭვებაც უკვე საგრძნობლად ძაბავს მკი-  
ოხველის ყურადღებას და ხელს უწყობს პოემის სწორად გაგებას.

პოემას წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი უკვდავი პოეტის შო-  
თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს „ვეფხისტყაოსნიდან“:

„რა ვარდმან მისი ყვაილი გაახმოს, დაამჟვნაროსა,  
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

ეს ეპიგრაფი მშვენიერად გამოხატავს, თუმცა ფარულად, ზო-

4 ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 134—135 (თავი XXVI), 1925 წ.



გადი ხასიათის სენტენციით, როგორც პოემის დედააზრს, იდეას, ისე ილია ჭავჭავაძის, როგორც პოემის ავტორის, მიზანდასახულობას და მკითხველსაც სათანადო განწყობილებას უქმნის პოემის შეგნებულად ათვისებისათვის: დრომოქმული, „გამხმარი“, „დამქცნარი“ ძველი დროება ქრება, როგორც ამას მოითხოვს ურყევი კანონი ცხოვრებისა, და მის ადგილს იჭერს ახალი, საღი.

რა თქმა უნდა, ეს ეპიგრაფიც თანდათანობით, მეტი ინტენსივობით, გარკვეული მიმართულებით დაბავს მკითხველის ყურადღებას და ინტერესს.

პოემის I—VI თავები ექსპოზიციას წარმოადგენს. იგი საქართველოს საერთო გეოგრაფიული კონტურების ასახვაა, სადაც წარსულში „ქართლის სიცოცხლე ჰდუღდა“, და „მამულისთვის ქართლის ხმა ჰქუხდა“, მაგრამ მწერალს სტანჯავს, რომ ეს მხოლოდ წარსულში იყო, რომ ცხოვრების „ზვირთებს“ გაჰყენენ საუკუნენი და საუკუნეთ წარიღეს ძველ ქარაველთა ცხოვრება. საქართველოს აწინდელი მდგომარეობით დასვედიანებულ, დაექვიანებულ პოეტს იმ „მშვიდსა“ და „ნარნარ“ დილას, რომელმაც თითქოს მას რწმენა გაუღვიძა, მოევიწინება მყინვარზე მდგომი „დაფიქრებული“, „საკვირველი კაცი, დიდი მოხუცებული“ და მისი თვალი „სიყვარულით“ მიიზიდა საქართველომ, რომელიც შორით მოჩანდა. ხილულით განცვიფრებული პოეტი შესძახებს:

„ჰოი, საკვირველო კაცო, მოხხარი?  
რად დაგიგდია შენ შენი ბინა  
და ამა მთაზედ რისთვის ხარ მდგარი?“

პოემის VI თავის ბოლოში მოცემულია კვანძი.

პოემის VII თავიდან იწყება საქართველოს აწინდელ მდგომარეობასა და აჩრდილის — „საკვირველი კაცის“ (თვით პოეტის — ი. ჭავჭავაძის), საქართველოს ბედითა და უბედობით რომ ცოცხლობს, — შე ხ ე დ უ ლ ე ბ ა თ ა შ ო რ ი ს კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა : 1) მოხუცი ამქლავნებს თავის ვინაობას, რომ ის არის საქართველოს „თანამდევნი, უკვდავი სული“, რომ ისიც ტანჯულია საქართველოს ტანჯვით, მასაც მისი „აწმყოთი სული და გული დასწყლულებია“, მან იცის დიდებული წარსული, „მორკმულ-ძლიერი“ საქართველოსი და ისიც, რომ „ეხლა აღგვილა ყველა ესე ვითარცა მტვერი“, ხოლო „ძესა მისსა არც კი სწამს მისი აღდგენა... და დაუგდია ის, ვით ტაძარი გაუქმებული“...

საქართველოს აღორძინება — აღდგენა, აჩრდილის (თვით პოეტის) გაგებით, არ შეიძლება მანამ, სანამ თვით ქართველი ხალხი

არ აღიჭურვება ახალი ისტორიული გზის გამონახვისა და გაგების სურვილითა და ქვეყნის აზრიან, დროისა და მდგომარეობის შესაფერისი მართვის საშუალებებს არ დაეუფლება:

„ვიღრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული ქვეით არ გასქვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას, იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული, უქმისა დრტინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის, მაგრამ არ ირწმენს, წამებული, შენს აღდგენასა, და იგი ცრემლი ურწმუნობის, ექვის და ტანჯვის, ჰოლადებს მხოლოდ ძისა შენის უძღურებასა“<sup>5</sup>.

აჩრდილი იწყებს თავისი ამ შეხედულების მოტივიზაციას. ის სევდიანად აღნიშნავს, რომ ქართველობაში (მას მხედველობაში ჰყავს ქართველი პრივილეგიური კლასი) არავის „ქვეყნის ტვივით არ სტკივა გული“, მას დაუფიწყნია, რომ „ქვეყნად ცასა ღეთად მოუცია მარტო მამული“, რომ „წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება“, რომ გმირი თუ მამულს შესწირავს თავის სიცოცხლეს, ის „თავის ხალხში აღარ მოკვდება, მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა“. ამ განწყობილების შედეგია, — საყვედურით მიმართავს აწმყოს მდგომარეობით დასევდიანებული აჩრდილი ქართველობას, — რომ

„გმირის დამბადი დიდი საგანი  
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.  
დადასდგომიხართ თქვენ ქართველობას  
რალა დაპადავს თქვენში დიდს გრძნობას!“<sup>6</sup>

აჩრდილი თანდათანობით იძლევა ამ სავალალო მდგომარეობის ახსნას ისტორიის სხვადასხვა მოვლენის — პერიპეტეიების მკვეთრი აღნიშვნებით.

მართალია, აჩრდილის მართებული აზრით, ზოგჯერ ზოგიერთ ქართველში ღვივის, კრთის მამულიშვილური ნაპერწკალი, მაგრამ „შური და მტრობა იმ ზოგთა შორისაც ღრმად ჩანერგვილა“.

„ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,  
თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან:  
თვით ამხოვენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,  
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან“<sup>7</sup>.

ამის შედეგად „მათი მხნეობა აღძვრისა უმაღლ გაცუდებულა“.

5 ი. ქ ა ე კ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 120 (თავი VII), 1925 წ.

6 ი ქ ვ ე, გვ. 121 (თავი IX).

7 ი ქ ვ ე, გვ. 122 (თავი X).

ილია ჭავჭავაძის გაგებით, ეს არის თვისებები ქართველი პრი-  
ვილეგიური კლასისა — თავადაზნაურობისა, რომელსაც ქვეყანა  
დაცემისა და განადგურებისაგან მიჰყავს და რომელსაც ილიამ, რო-  
გორც თერგდალეულთა ბელადმა, გამოუცხადა მკაცრი ბრძოლა,  
ბრძოლა, რომელიც მან მოურიდებლად აღბეჭდა როგორც „აჩრ-  
დილში“, ისე მთელ რიგ სხვა ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა  
„ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“ და სხვ.

ამავე პრივილეგიური კლასის უაზრო, უანგარიშო მოქმედების  
შედეგია ხალხის — გლეხობის, ქვეყნის ამ ბურჯის, მძიმე, არაადა-  
მიანური, უფლებააყრილი მდგომარეობა ბატონყმობის უღელქვეშ,  
რომლის განუწყვეტელი ვია-ვაგლახით შრომა მხოლოდ ბატონს  
ახარებს, ხოლო მას, „ბედკრულს“, არაფერს არგებს. ყმა უბრა-  
ლო ნივთია, რომელსაც ბატონი თვითნებურად, როგორც მას მო-  
ესურვება, ისე გათელავს (XI—XII თავები).

აღელვებული აჩრდილი (თვით პოეტი), აჩვენებს რა მკი-  
თხველს ყმის (ერის, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის)  
მძიმე, არაადამიანურ პირობებს, თავს ველარ იკავებს და ლირიკუ-  
ლი გადახვევის საშუალებით ცხოვრების აუცილებელი გან-  
ვითარების გეზის თავისებურ გაგებას ჩაუერთავს.

მძიმე უღელი ქვეყნის მოუწესრიგებლობისა, აუტანელ ტვირ-  
თად აწევს ყმას — მშრომელს, რომელსაც აწ კაცადაც არ ცნო-  
ბენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პოეტის რწმენით, მომავალი მშრო-  
მელისაა. შრომა და მშრომელი არსებულ პირობებში „ტყვედაა  
პყრობილი და მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა“, მაგრამ  
აჩრდილი (პოეტი) აშკარად გრძნობს და ხედავს, რომ ბორკილი,  
შრომისა და მშრომელს რომ აძევს, „რღვეულა და დასამსხვრევად  
გამზადებულა“.

აი, როგორ გვიხატავს პოეტი ამას:

„შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი  
ძღვეამოსილის ამ საუყუნის,  
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი  
მაგ ახსნისათვის მედგარადა იბრძვის.  
ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრიგალის ქროლვას,  
ველარ განუძღვებს ქვეყნის მძარცველი  
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —  
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი  
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,  
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების“<sup>8</sup>

ბედნიერი მომავლით აღფრთოვანებული მგოსანი „აყვავებულ ქვეყნის“ მამოძრავებელ ძალასა თუ საფუძველს ასე წარმოგვიდღენს:

„შრომის სუფევა მოვა მაშინა  
ქვემარტების მის ძლიერებით  
და განმტკიცდება სოფელსა შინა  
კაცთმოყვარების სახიერებით.  
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა  
თანასწორადა ნიჭთა მფენელი...“

მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,  
წარმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,  
სხეას ძირს არ დასწევ, თვით

აღმაღლდები,

არც ვის ემონვი და არც იმონებ“<sup>9</sup>.

აქ თითქოს შემთხვევამ, ნანახით მოწოლილმა ბოღმამ გადაახვევინა აჩრდილს (პოეტს) აღებული თემიდან — საქართველოს მდგომარეობის სურათის მოცემის სურვილიდან — და მოგვცა ახალი საწყისი, რომლის საფუძველზეც უნდა მოწესრიგდეს ახალი სახის ცხოვრება, გვიჩვენა ღერძი, რომელზეც უნდა ამოძრავდეს ცხოვრების ჩარხი — „თანასწორადა ნიჭთა მფენელი“. სწორედ ესაა მწვერვალი აჩრდილის (პოეტის) მიზანდასახულობისა.

ეს მწვერვალი პოემაში დროზეა მოცემული, რადგან აჩრდილის (პოეტის) შემდგომი გადმოცემით მოუწესრიგებელი ცხოვრებისა ან, როგორც იტყოდა თვითონ ი. ჭავჭავაძე, „უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფლის საჭირბოროტო წყევა-კრულვიანი საკითხის“ დასაბამი არის ადამიანთა უთანასწორობა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, რაც, აუცილებლად, ძირში უნდა მოისპოს. ამიტომაც, რომ აჩრდილი (პოეტი) ასე აგრძელებს საქართველოს აწინდელი ცხოვრების მძიმე სურათის გაშლას:

„აგერ დიდკაცი დარბაისელი  
კმაყოფილების განცხრომაშია  
მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი  
სასოწარკვეთილ მონებაშია.  
მოძმეთა ხსნისთვის თავისდადება  
წმინდა ხვედრია მხოლოდა გმირთა,  
და მას ვით შესძლებს თავმოყვარება,  
რომელიც იმა დიდკაცთა სკირთა?  
ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,

<sup>9</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 125—126 (თავი XIV).

როს მასა შევლის მის ბედკრულება?  
აჲ შეებრძვის ის სიბოროტესა,  
როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?“<sup>10</sup>

ასეთივეა დამოკიდებულება ვაჭარისა ღარიბისადმი. ვაჭარი ცხვირად ატყუებს მოძმეთ-ღარიბთ, „რა ჰყიდის ნივთსა“ და არად აგდებს, თუნდაც, მისი მოძმე შიმშილით კვდებოდეს. ასეთ უპასუხისმგებლო, მიუღებელ პოზიციას იჭერს მოძმე ღარიბთადმი. სამღვდლოებასაც — შხამიანი ირონიით შენიშნავს აჩრდილი (პოეტის), — „ერთა სულის მამებს“, რომელნიც სრულიად არ ფიქრობენ ხალხზე, დავიწყებით თავისი სამსახურებრივი მოვალეობა. აღშფოთებული, განრისხებული აჩრდილი, საყვედურით, კვლავ ლირიკული გადახვევის ჩართვით, მიმართავს მათ:

„სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,  
სიყვარულის და სამართლისა,  
რომ მათ ზაგეთგან არ მომდინარებს  
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?“<sup>11</sup>

აჩრდილის (პოეტის) მართებული გაგებით, სწორედ ასეთი საზოგადოებრივი ურთიერთობით აიხსნება, რომ თბილისის (როგორც საქართველოს გულისა და ტვინის) ცხოვრება უფერულია, უშინაარსო, უაზრო, გაყალბებული:

„გრძნობას — ოქროსა ფასად ჰყიდიან,  
ძთავრის ღიმილზე — პატიოსნებას,  
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან  
თავის მამულის თავისუფლებას“<sup>12</sup>.

საქართველოს თანადროულობის დაცემა, სავალალო მდგომარეობა რომ უფრო გამახვილებულად და მკითხველისათვის თვალსაჩინოდ, გასაგებად და გულშემოზარავად წარმოადგინოს, აჩრდილი მიუთითებს მცხეთაზე, საქართველოს ძველ დედაქალაქზე, სადაც ძველად სიცოცხლე მძლავრ წყაროსავით ჩქეფდა, სადაც „ჰყვიაოდა ხე ცხოვრებისა ქართველის გულიდამ აღმოცენილი“, მცხეთაზე, რომელიც სავანეა ქართველ გმირთა, იმ გმირთა, რომელთაც საქართველოს ბრწყინვალე წარსულის შექმნას ხელი შეუწუყეს, მისთვის დასწვეს თავიანთი სიცოცხლე „ვით ჩალა“, მაგრამ აქ —

„აჲ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი,  
ხე ცხოვრებისაც იგი დამჰქნარა  
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი

<sup>10</sup> ი. ჰ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 126—127 (თავი XV).

<sup>11</sup> ი ქ ვ ე, გვ. 127.

<sup>12</sup> ი ქ ვ ე, გვ. 128 (თავი XVI).

აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.  
ხვრეულან მისნი დიდნი ჰალატნი,  
დიდი ცხოვრება ჰის დაცემულა,  
დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი  
პირეტყეთა ქელვით შეგანებულა“<sup>13</sup>.

მიკითხველისათვის საქართველოს წარსულის სიდიადე რომ უფრო მეკეთრი, მიმზიდველი გახდეს, აჩრდილი (პოეტი) კვლავ დიდი გრძნობით იძლევა ძველი საქართველოს სურათს, რომელშიც ის ემოციურად, დამაჯერებლად ახასიათებს ქართველი ხალხის მიერ გამუდმებით გმირულ ბრძოლებში განვლილ ისტორიულ გზას:

„ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,  
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა  
არავის წინა სამუდამოდ არ მოიხარეს.

მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,  
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა“<sup>14</sup>.

საქართველოს თანადროულობის სავალალო მდგომარეობა მკითხველს მწვავედ რომ განაცდევინოს, მას გარდუვალი სურვილი რომ აღუძრას ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალი გზის გამოხატვისა და რომ ასეთი გამოსავალი გზის გამოძებნა შესაძლებელია, ამის სათქმელად აჩრდილი (პოეტი) იყენებს ქ ა რ ა გ მ უ ლ ი დ ა - პ ა რ ი ს პ ი რ ე ბ ა - შ ე დ ა რ ე ბ ი ს ხ ე რ ხ ს, ვინაიდან ამ მიმართულებით თანადროულობაზე პირდაპირი ლაპარაკი შეუძლებელი იყო, საქართველოს თანადროულ მდგომარეობას მწერალი უძებნის პარალელურად, ანალოგიურად, მსგავსი მდგომარეობისას საქართველოს წარსული ისტორიის სინამდვილეში, აღწერს თუ როგორ ახერხებდა ქართველი ხალხი ასეთი მდგომარეობიდან თავის დაღწევას, არჩევს ისეთ ისტორიულ მომენტს, რომელიც მსგავსი მდგომარეობით ძალუმად, დამაჯერებლად ეხმაურება თანადროულ მძიმე ყოფას, მაგრამ ისეთს, როცა ქართველი ხალხი პოულობდა საშუალებასაც და შესაძლებლობასაც თავი დაედწია ასეთი მდგომარეობიდან.

აჩრდილი (პოეტი) აღწერს, თუ როგორ შეარყია საქართველოს „დიდი ცხოვრების საძვედრო-ბჭენი“ ძლევადასილმა „მაკედონის გმირმა ლაშქარმა“<sup>15</sup>, ვისაც სძულდა „ქვეყანა (საქართველო), რომელიც მას ეპყრა ხელთა“.

13 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 129 (თავი XVII).

14 ი. ჭ ა ვ ე, გვ. 129—130 (თავი XVII).

15 შესაძლებელია ავტორს არც კი სწამდა ალექსანდრე მაკედონელის ლაშ-

„ერის მჩაგვრელი, ქვეყნის მთხრელი იგი მმართველი  
მთელს საგართველოს თვის ფერხთა ქვეშ მჩვარებ  
ჰქეღვიდა.

ერის იმედის, სასოების, ნიჭის მმუსვრელი  
თვით ერის ენას — მაგ ერის განძს — იგი სდევნიდა.  
სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება,  
რაშიაც ვრი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი,  
რაშიაც იყო მის დღეება, პატიონება,  
რისთვისაც დაშვრა მამა-პაპის გული და ხელი“<sup>16</sup>.

აჩრდილი (პოეტი) წარსულის ამ სურათის მოცემასში არ იგი-  
წყებს ქართველთა ძველი ცხოვრების არსებით თვისებას, რომ მა-  
შინ ქართველი ხალხი ქედს იხრიდა უხეში ძალის წინაშე, მაგრამ  
წინააღმდეგობის გაწევი<sup>1)</sup>, განთავისუფლების სურვილს არასოდეს არ  
ივიწყებდა, რითაც თავის გამირულ სახეს ინარჩუნებდა.

„მას პმორჩილებდა ვრი შენი მძულვარებითა,  
ღევნულების და კირთების ქვეშ ქედსა იხრიდა,  
და მონებრივის თვალთმომქცევის კრძალულებითა  
ზღვისა წადილსა გულდაკებით დღე-და-ღამ  
ჰზრდიდა“<sup>17</sup>.

ქართველმა ერმა „ვედარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას“,  
„მოვიდა ის დღეც შუტრისგებისა“. გამირმა ფარნაოზმა თავს იდგა  
ერის განთავისუფლება:

„გადგა და დასჯა თავზარი მტერსა,  
დაამხო პირქვე ყმობა, მონება  
და უცხოთ ხელთქვეშ დაჩაგრულს ერსა,  
ვით მზე, მოჰფინა თავისუფლება“<sup>18</sup>.

აჩრდილი (პოეტი) ერთგვარი სიამაყის გრძნობით აღმაფრთოვა-  
ნებელ დახასიათებას იძლევა ქართველი ხალხისას, რომელსაც მი-  
სი ისტორიული, სახელმწიფოებრივი ცხოვრების დასაბამიდან „არ  
ჩაუგია ქარქაშში ხმალი“. აჩრდილი ასე მიმართავს წარსულ დღეთ:

„მას აქეთია ოთხ-კუთხივ მტერნი  
შენს თავსა შენვე გეცილებოდნენ,

ქრობა საქართველოში, მაგრამ მისი მიზნისათვის ეს ხელსაყრელი იყო და ამი-  
ტომ გადაუხვია ისტორიულ სიმატლეს.

<sup>16</sup> ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 130 (თავი XIX).

<sup>17</sup> ი ქ ვ ე.

<sup>18</sup> ი ქ ვ ე, გვ. 131 (თავი XX).

მაკრამ ელქაყანი შვილები შეინი  
გულდაგულ პტერსა წინ უდგებოდნენ.

იყო ღრო, როცა წენის: გულისთვის  
ოთთან სიკვდილსაც ლხინად ჰხადოდნენ  
და თავდადებას მამულისათვის  
ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ“<sup>19</sup>.

და აქ ხატავს რა საქართველოს გაერთიანებულს, შეთანხმებულს, მამულის სიყვარულით ანთებულსა და ამოქმედებულს — წარსულ-ში, მას უდარებს, უპირისპირებს თანადროულ საქართველოს, რომელშიც, პოეტის თქმით, „წამხდარა ყველა ის ღონე და ის ძლიერება, მტვრად გარდაქმნილა ახოვანი იგო ცხოვრება“: ერის ცხოვრების მთლიანი დინების კიდენი გაუთხრია მტრობას, შურს; ძლიერნი ზვირთნი იმ დინებისა „სხვადასხვა ტოტად გადაგდებულან“, ასე დანთქმულა წინაპართა შრომა „სისხლითა რწყული“, ხალხის ცხოვრება თავის დინებაში თიოქოს შეჩერებულა.

აჩრდილი (პოეტი) ქვეყნის, ერის განახლების გარდუვალი სურვილით ამოძრავებული, ხოლო თანადროულობის სინამდვილის ხილვით შეძრწუნებული, დიდი ექსპრესიით გამოხატავს თავის გულისნადებს, ასე ძალუმად რომ ამოძრავა და აალაპარაკა ის. ამ გულისნადებშია აშკარად გამოქვეყნებული პოემის მიზანდასახულობა:

„როდისღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა,  
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმუგარსა,  
დროსთან დანთქმულსა სხვა-და-სხვათა კავშირთა ბრძოლას  
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?  
როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ არსებისა,  
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?  
როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მქლავრ კავკასისა  
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?  
ო-ვისუფლების მშვენიერის სხივთ მჭურვალეზა  
როდის დადნობს დეანგებულს დიდ ხნის ბოკაულსა  
და ქართველობა სიქადულად როდის ექნება  
ქვეყნის წინაჴე ყოველ ქართველის ერთგულსა  
შვილსა?“<sup>20</sup>

აქაა აჩრდილის (პოეტის) ძირითადი მისწრაფების მწვერვალი. ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, მას იმისათვის სჭირდებოდა, რომ ეს ეთქვა, შთაეგონებინა მკითხველისათვის, როგორც

19 ი. ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 132 (თავი XXI).

20 ი ქ ვ ე, გვ. 133 (თავი XXIV).



ყველაფრის შემცველი მიზანდასახულობა, როგორც მისი წმიდათა წმიდა აზრი, რაც ყოველ ქართველისათვის აგრეთვე წმიდათა წმიდად უნდა გადააქციოს.

აქვეა პოემის განვითარების კულმინაცია და სიუჟეტის კვანძის გახსნაც, რადგანაც ნათლად გამოიკვეთა აჩრდილის (პოეტის) როგორც წუხილის, ჭმუნვის, ისე მისი სანუქვარი სურვილის არსიც.

მაგრამ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სტილისათვის დამახასიათებელია, რომ მან, — მწერალმა, — თავისი აზრი თუ მიზანდასახულობა სრულყოფილად დაიყვანოს მკითხველამდე. მას თითქოს ყოველთვის ექვი სდევს: ვაითუ მკითხველმა მისი აზრი ისე ვერ გაიგოს, როგორც ეს მას სურს. ამიტომ მას ფრჩხილის გახსნა უყვარს. განსაკუთრებით, როდესაც ამას მოითხოვს ნაწარმოების კომპოზიციური განვითარება, ნაწარმოებში მოცემულ კომპონენტთა გაერთიანება, გამთლიანება, მრუდის დასრულებული შეკვრა.

ილია ჭავჭავაძე, ამთავრებს რა სიუჟეტის გაშლას, კვლავ უბრუნდება პოემის დასაწყის მდგომარეობას, რომელიც ექსპოზიციაში მოგვცა, და ამით ცდილობს გაამთლიანოს აზრი, სისრულით შეკრას მისი განვითარების მრუდი. პოემის XXV თავში პოეტი გვისურათებს ბუნების ატეხილ სტიქიას ანალოგიურ მდგომარეობაში, რომელშიც მან იხილა „დიდი მოხუცი“ აჩრდილი. ბუნების ამგვარი მოვლენა პოეტს გამოყენებული აქვს როგორც ცხოვრებაში მოსალოდნელი არეულობა, რომელმაც გაჯანსაღების გზაზე უნდა გამოიყვანოს ქართველი ხალხი.

„ამ დროს ქუხილმა დაიგრილა,  
გრგვინვა დაიწყო მისმა ხმამ მთებში,  
ცაზედ ელვამა გაიპკრიალა  
და გაანათა მდინარე ხევში.  
ცას გადაედენენ შავნი ღრუბელნი,  
ნისლში შთაცვიდნენ მთანი და ველნი;  
ქარმა დაჰლმუვა ხევ-ხუვსა, მთებსა,  
ბუქი სვეტსავით აატრიალა,  
რისხეთა ჰგლეჯდა კლდესა და ღრესა,  
ზვავმაც მალლიდამ დაიგრილა, —  
და მყის ბუნების მშვიდი ღუმელი  
ბნულ ჭოჭოხეთად გადიქცოდა,  
წყალი და ცეცხლი, მეხი, ქუხილი  
ერთმანეთშია აირეოდა“<sup>21</sup>.

21 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 133 (თავი XXV).

სქელ შავ ღრუბლებს ვეღარ გაატანა პოეტის თვალმა. შეჭირ-  
ვებულმა მგოსანმა ვეღარ დაინახა „კაცი დიდი, მყინვარზე მდგომი  
მოხუცებული“. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ცა გადიწმინდა. მთა-  
მაც იწყო ღიმილი: პოეტმაც კვლავ იხილა მზის სხივით გაბრწყინე-  
ბული მლოცველი მოხუცი. მოხუცის (აჩრდილის) ვედრება — „დე-  
დავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია“.. და სხვა — თვით პოე-  
ტის, ილია ჭავჭავაძის ვედრებაა (ესეც თავისებური ლირიკული გა-  
დახვევაა), რომელიც პოემის ძირითადი იდეის უფრო  
ნათელ გახსნასა და მისი მიზანდასახულობის გა-  
გებას ემსახურება.

მოხუცის (აჩრდილის) ვედრებით მთავრდება პოემა. ის ბუნე-  
ბრივად და შთამაგონებლად ავსებს პოემის კომპოზიციის რკალს.  
ესაა პოემის დასასრული.

თავისი მიზანდასახულობის უფრო მკვეთრი გამოვლინების მი-  
ზნით ილია ჭავჭავაძე პოემას ურთავს XVII თავს, რომელიც პო-  
ემის კომპოზიციაში თითქმის ეპილოგის როლს ასრულებს. მას-  
ში მწერალი გამოხატავს თავისი შემოქმედებისა და მოღვაწო-  
ბისათვის დამახასიათებელ თვისებას — რწმენას უკეთესი  
მომავლისა; სწორედ ეს ნაწილი ემსახურება პოემის მიზან-  
დასახულობის სრულყოფილად გახსნას. სწორედ ეს მოტივია იმე-  
დი, რომელიც ამოქმედებდა მწერალს და ენთუზიასტ მებრძოლად  
ხდიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტზე. ეს  
რწმენა საზრდოს აწვდიდა მის შემოქმედებას მთლიანად და კერ-  
ძოდ, პოემა „აჩრდილსაც“. ეს იმედი, რომლის პოეტური სიმ-  
ბოლო „შვიდფეროვანი ცისარტყელაა — მახარობელი ტბილ იმ-  
ედისა“, პოეტს უნდოდა შთაენერგა მკითხველისთვისაც.

„მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაქვარდსა  
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა  
და გადევინა ჩემს ქვეყანასა  
მახარობელად ტბილ იმედისა.  
ამენაო გრძნობა მაღლითა ცეცხლებრ,  
ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა,  
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ  
ჯერ არ მენახა შე ცისარტყელა“<sup>22</sup>.

იმედის ეს მოტივი მოხდენილად გაეხმაურა პოემის დასაწყის-  
ში გამოთქმულ პოეტის ეჭვს და მის შენელებას. „ლამაზი დილის“

22 ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 135 (თავი XXVII).

ხილვამ საბოლოოდ გაფანტა პოეტის ეჭვი და იმედით ააძგერა როგორც პოეტი, ისე მკითხველიც. აზით პოემის კომპოზიციაც მტკიცედ შეიკრა და ნაწარმოებიც, როგორც მთლიანი მხატვრული ორგანიზმი დასრულდა. პოემის თემა, იდეა და პოეტის მიზანდასახულობა მკითხველმა მთლიანობაში შთამაგონებლად აითვისა.

## 2. „ქართვლის დედა“

(ს ც ე ნ ა მ ო მ ა ე ა ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა მ)

„ქართვლის დედა“ დრამატული ესკიზია, რომლის იდეა პატრიოტული გრძნობა, როგორც უდიდესი მამოძრავებელი, წამყვანი ძალა ქვეშეპარტიონოქალაქისათვის. სამშობლოს სიყვარული უფრო ძლიერია, ვიდრე, მაგალითად, დედაშვილური სიყვარული.

ილია ჭავჭავაძის მიზანდასახულობა ამ დრამატული ესკიზით მკითხველში გააღვივოს მაღალი, ყველაფრის გამწირავი პატრიოტული გრძნობა, გამსჭვალოს იგი სამშობლოსადმი ღრმა საყვარულის სულისკვეთებით.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ პოემის სათაური „ქართვლის დედა“ იგავური ხასიათისაა, რადგანაც ეროვნულ თავისუფლებაზე აშკარად წერას ცენზურული პირობები გამუდმებით მძიმედ ბორკავდა.

„ქართვლის დედის“ აღნიშნული იდეისა და მიზანდასახულობის განუღვენებას და მკითხველამდე მათ დაყვანას ემსახურება ნაწარმოების კომპოზიციის ყველა კომპონენტი. იგავური სტილის დახმარებით მწერალი ამ ნაწარმოებში მკითხველს თითქოს წარსული ღროის სურათს უჩვენებს, სინამდვილეში კი თანაჰედროვე საქართველოს მდგომარეობას უშლის თვალწინ. ამ სურათის დახატვით ავტორი პირველ რიგში მკითხველსაც თანადროულობის მდგომარეობას უთვალისწინებს.

მწერალი შიშობს, ვაითუ მკითხველი სათანადოდ ვერ ჩასწვდეს მისი ნაწარმოების იდეასა და მიზანდასახულობას, ამიტომ მისთვის დამახასიათებელ სტილურ ნიშანს — ორაზროვან თქმას — მიმართავს.

„ქართვლის დედის“ ქვესათაურია „სცენა მომავალი ცხოვრებიდამ“, რასაც აძლიერებს პოემაზე დართული მიძღვნა პეტრე ნაკაშიძისადმი:

„მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა  
და ეს ვიხილე, — მომიტევე მე სითამამე...“ და სხვ.

ეს ქვესათაური და მიძღვნა უკვე საკმარისად მეტყველებს მწერლის ჩანაფიქრზე, რომ ნაწარმოებში მკითხველმა მხოლოდ წარსული კი არ უნდა იგულისხმოს, არამედ მასში უფრო აწმყო და მომავალი უნდა დაინახოს, გაიგოს, გაიაზროს.

მკითხველის ეს განწყობილება ნაწარმოების კომპოზიციის სხვა კომპონენტების დახმარებით ბუნებრივი თანდათანობით ღრმავდება და კიდევ უფრო აშქარავდება.

„ქართვის დედას“ წამძღვარებული ეპიგრაფიც —

„გაგვიძელ, ბერო მინდიაე,  
მუხლი მაიბი მგლისაო,  
გაიყოლიე უმცროსნი,  
ვისაც თავი აქვს ცლისაო“ —

უდავოდ აძლიერებს მკითხველში აღძრულ განწყობილებას, რადგანაც აღნიშნული ეპიგრაფი მოხდენილად და ნიშანდობლივად გამოხატავს საუკუნეთა განმავლობაში სამშობლოსადმი ქართველი ხალხის დამოუკიდებლობას, თავისუფლებისათვის მათ მიერ წარმოებულ გმირული ბრძოლების არსს, რომ ქართველნი „თავდადებას მამულისათვის ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ“. ცხადია, ეს ეპიგრაფი მკითხველს ხელს უწყობს შექმნილი განწყობილების გაძლიერებაში, ნაწარმოების იდეისა და მწერლის მიზანდასახულობის ადვილად ათვისებაში.

ნაწარმოები იწყება მცირე ექსპოზიციით: ოთახი (იგულისხმება საშუალო, სადად მოწყობილი). ტახტზე წევს სნეული, ძალიან მისუსტებული და მოხუცებული დედა. მასაც გაუგია სასიხარულო ამბავი: დამორჩილებული ხალხი აღმდგარა დამპყრობთა წინააღმდეგ, შეკავშირებულა ერთის ფიქრით — „ქასპის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ფიქრობს და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება“.

აქვე ხდება მოქმედების განვითარების გაკვანძვა. ინასკვება წინააღმდეგობა, კონფლიქტი სნეული დედის ორგანობას შორის: შვილი თუ სამშობლოს თავისუფლება.

„ის დღეა დღეს, რომ მამულს ვუძღვნა ძის სიყვარული,  
ან ძეს შევწირო საყვარელი დიდი მამული...  
ამ ორის გრძნობის ბრძოლა გულმა ვით გადიხადოს?  
ძის სიყვარული, თუ მამულის, — რომელი დასთმოს?...“<sup>23</sup>

<sup>23</sup> ი. ჯ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 137, 1925 წ.

დედის გულსა და გონებას შორის გამართულ ამ ბრძოლას, თუ რომელს მიეცეს უპირატესობა — შვილის სიყვარულსა თუ სამშობლოსადმი — ი. ჭავჭავაძე იშვიათი გულთამხილაობით ავითარებს. გრადაციად დედის შინაგანი ბრძოლისა, ნაწარმოებში დაძაბული დინამიკური თა და იშვიათი ოსტატობით იშლება. პოეტმა კარგად იცის, რაოდენ დიდია გაუბზარავი დედური სიყვარული — ეს ყველაფრის შემწირავი თუ გამწირავი გრძნობა. ამიტომაც, უფრო ძლიერად რომ წარმოადგინოს, თუ რაოდენ ძვირფასია მამულის ტრფობა, პოეტი მას სწორედ ამ ყველაფრის გამწირავ მშობლიურ გრძნობას უპირისპირებს. დიდია დედური გრძნობა, მაგრამ უფრო დიდია დასნეულებული დედის სიყვარული თავისი ხალხისადმი, განუზომელია მისი ლტოლვა თავისუფლებებისადმი.

კიდევ უფრო დამაჯერებელი სახე რომ შექმნას მოხუცი პატრიოტი დედისა, პოეტი შემდეგ სიტყვებს წარმოათქმევინებს თავის საყვარელ გმირს:

„შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც,  
მისთვის, რომ მე ვარ დედა შენიც და ქართვის დედაც:  
ვით დედა შენი, იმ სიკვდილით შენით ვივებ,  
ვით ქართვის დედა ვინეტარებ და ვისახელებ“<sup>24</sup>

ი. ჭავჭავაძეს სწამს, რომ ერის, საზოგადოების წინმსვლელობა, მისი საღ საფუძვლებზე დამყარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ პირადი დაუმორჩილებლობა საზოგადოებრივს. ამიტომ ილია ჭავჭავაძემ, იცის რა დედის გულის საიდუმლოება, შვილისადმი დედის გულის უნაპირო დელვა-ტკივილი, დედაში ამ ორ გრძნობას შორის ატეხილი ჭიდილის სასწორის ყური რომ გაათანასწოროს და შემდეგ ბუნებრივად გადახაროს სამშობლოსადმი ვალდებულების უპირატესობის აღიარებისაკენ, ჩვეულებისამებრ, მოქმედების განვითარებაში იგი ურთავს ლირიკულ გადახვევას, თავისუფლების არსის, ბუნების გახსნისა და ადამიანთათვის მისი დიდი მნიშვნელობის შესახებ. ეს ლირიკული გადახვევა, უდავოდ, ნაწარმოების სიუჟეტის სისრულესაც და მის დამაჯერებლად განვითარებასაც დიდად ეხმარება. ამ ლირიკულ გადახვევას სიძლიერეს მატებს ის გარემოებაც, რომ ესაა განცდა და გაუბზარავი რწმენა მომაკვდავი, დაუძლურებული მოხუცისაც კი. მოვუსმინოთ მას:

24 ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 138, 1925 წ.

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,  
შენ ხარ ჩაგრულის, წვალეხულის წმინდა საფარი,  
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,  
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.  
ნეტარვალთა თქმითა, ოღითვე ხარ შენ აკრძალული,  
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო;  
მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღსავსე, სრული,  
პირველ კაცთათვის უშენოდა არაა იყო;  
რა განიცადეს იმათ შენდა მადლთა უხვება,  
მსწრაფლ აღგიარეს, ჰოი, ღმერთავ, თაყვანებითა,  
მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასად მისცეს თვის უკვდავება  
და სამოთხეც სთმეს სრულის მისის ნეტარებითა.  
ეგრეთ ნაშოვნნი რად წაგვერთვი მესაეთა შენთა?

.....  
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,  
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!  
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,  
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?“..25

იძლევა რა ადამიანისათვის თავისუფლების ასეთი დიადი მნიშვნელობის განსაზღვრას და მიზნად უსახავს რა მკითხველს მისი მოპოვების აუცილებლობას, ი. ჭავჭავაძე დედაში ამ ორ გრძნობას შორის კონფლიქტს მომხიბვლელად ავითარებს და ბრძოლის ველზე წასასვლელად გამზადებულ შვილთან მომაკვდავი დედის დიალოგში მას კიდევ უფრო აძლიერებს.

აქვე დროზე და ადგილზეა მოცემული აგრეთვე შემდეგი ჩათვლი ეპიზოდი თუ ამბავი: ისმის ომში წასასვლელად გამზადებული ჯარის ორპირი ხალხური სიმღერა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ...“ ისმის სოფლის დედაკაცებისა და ბავშვების შეძახილი — „ჯარს გაუმარჯოს, ჯარს გაუმარჯოს!“, ისმის გამამხნევებელი ყრბინი. ეს ჩართული ეპიზოდი, უდავოდ, აძლიერებს ემოციას, სისრულეს ჰმატებს სიუჟეტის გაშლის დინამიკას. ეს სურათი და შემდეგ ცხენოსნის შემოძახილი —

„კიაზო, წამო!... რაღას იცდი, გვიგვიანდება,  
დრო საშურია... ჩვენ ძმებს ჩვენით მშველი აკლდება“ —

შობუცი ქალის შვილისადმი დედის შინაგან ბრძოლას უმაღლეს ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე აიყვანს. აქაა სიუჟეტის კულმინაცია — მოქმედების დინამიკურ-ექსპრესიული განვითარება: შვილი ემშვიდობება დედას, შობუცი — სნეული დედა, თითქოს ვეღარ უძლებს სულიერ ტკივილებს, ის თითქოს გონების დაუკითხავად, ზარდაცემულივით „თვალში თვალს გაუყრის შვილს“ და მცირე ხნით ამ ყოფის შემდეგ, რაღაც სასოწარკვეთილის მუდარით, შესძახებს:

დედა: დედა არ გიყვარს, დედა შენი მოხუცებულ?

შვილი: (გაოცებით) მერე რო მიყვარს?

დედა: (ძლივს ბედავს თქმასა) მასთან დარჩი!

შვილი: მერე მამული?

დედა: (თითქო ეხლა გაახსენდაო)

„მართლა, მამული.. იგი უფრო საყვარელია, მაშ წადი, შვილო!.. ღმერთი იყოს შენი მსხნელია. მაგრამ, ვიში მე რომ უშენოდა მართო მოვკვდები. ვილა დამმარხავს?.. წადი... წადი... ნუ გვიანდები“...26

აქ მოქმედების განვითარების გახანგრძლივებული კულმინაციაა და აქვეა კვანძის გახსნაც. კულმინაციის თუ კვანძის გახსნის ხელოვნური გახანგრძლივება, რეტარდაცია დამახასიათებელია ილია ჭავჭავაძისათვის. ის მას მიმართავს მაშინ, როდესაც სიუჟეტის განვითარება მოქმედების დაძაბულ მწვერვალს აღწევს. რეტარდაცია მკითხველში იწვევს ცნობისმოყვარეობის, ინტერესის გაცხოველებასა და გაღრმავებას.

„ქართველის დედაშიც“ კულმინაცია და კვანძის გახსნა ერთმანეთს დაემთხვა.

დამთავრდა ნაწარმოების იდეის სრული გახსნაც — დედაში გაიმარჯვა სამშობლოსადმი სიყვარულმა.

აქვე გარკვეულად გასაგები ხდება პოეტის მიზანდასახულობაც, რომ ყველასათვის სავალდებულოა გაიმსჭვალოს მაღალი პატრიოტული შეგნებით, რომ ყველამ პირადი უნდა დაუმორჩილოს საქვეყნოს.

ამ გზით ნაწარმოების იდეაც და მიზანდასახულობაც მკითხველისათვის აშკარად, შთამაგონებლადაა მოცემული.

მიუხედავად ამისა, მკითხველი გრძნობს, რომ მოქმედება თითქოს არ დასრულებულა, ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს კ ო მ პ ო ზ ი ც ი უ რ ი მ რ უ დ ი ც ღ ი ა ა, თითქოს რაღაც აკლია, რომ მკითხველმა სისრულით განიცადოს ნაწარმოების იდეისა და მიზანდასახულობის გამარჯვება. ამიტომ ილია ჭავჭავაძე „ქართვის დედის“ კომპოზიციას ავსებს დასასრულით, რომელიც აჩვენებს, რომ მოცემული იდეის აუცილებლობაში და მის შესრულება-გამარჯვებაში უძალდეს კმაყოფილებას პოულობენ ისინიც კი, ვინც ამ იდეას ყველაფერს, უძვირფასესსაც კი, სწირავენ. ყოველივე ამას მწერალი მომაკვდავი დედისა და ომში წასასვლელად გამზადებული შვილის პირით ასე გამოხატავს:

შ ვ ი ლ ი: ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა..

ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში, დედაც კი შეილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში;

მშვიდობით, დედი! მეძნელება შენი დათმობა, მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა“.

(შვილი გადის)

დ ე დ ა: დიდ ხანს ებრძოდა შეილის ტრფობას მამულის ვალი,

ვალმა აჯობა, მაგრამ ძვირად დამიჯდა ჯობნა.

სულიც ამომდის... არ ყოფილა ძნელი სიკვდილი,

როცა შენ შენი აღასრულე... მამულო... შვილი!

(კვდება)<sup>27</sup>

ბრწყინვალე დასასრულია. დასასრულმა გახსნა, გადაწყვიტა დასაწყისში ასე მშვენივრად შეკრული კ ვ ა ნ ძ ი. შვილი შეგნებულად მიდის ბრძოლის ველზე ქვეყნის დასახსნელად, რადგანაც „დედის დათმობაზე“ უფრო ძნელი არის მამულის დაღატი. დედაც თითქოს დამშვიდებით კვდება, რადგანაც ის ვ ა ლ მ ო ხ დ ი ლ ი ა — მამულს მისცა მისი ტრფობით გულანთებული და დიდად შეგნე-

27 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 143—144.



ბული მოქალაქე. გაერთიანდა, ლამაზად დაიხურა მოქმედების გან-  
ვითარების მრუდიც. ნაწარმოების დასასრული ბუნებრივად შეესა-  
ტყვისა მის დასაწყისს.

### 3. „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“

ილია ჭავჭავაძის, როგორც მოქალაქე-პოეტისა და ფართო მას-  
შტაბის საზოგადო მოღვაწის, ძირითადი მისწრაფება იყო თავისი  
ქვეყნის ცხოვრების ახალი ისტორიული გზის ძიება; ის მთელი ენ-  
ერგიის დაძაბვით ხელს უწყობდა ქვეყნის გარდაქმნას.

ამიტომ ბატონყმობის საკითხი ილია ჭავჭავაძისათვის, ისევე  
როგორც საერთოდ ნო-იანელებისათვის რუსეთშიც და ჩვენშიც,  
ბრძოლის ყველაზე აქტუალურ საკითხად გადაიქცა. მან კარგად გა-  
ითვალისწინა, რომ შეუძლებელია ქვეყნის წინმსვლელობა, თუ ხალ-  
ხის დიდი უმრავლესობა, მისი ჯანსაღი ნაწილი — ქვეყნის ბურჟი,  
როგორც იტყოდა ი. ჭავჭავაძე, ბატონყმობის უღელქვეშ უფლება-  
აყრილი, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ საფუძველზე გარდაქ-  
მნის პროცესიდან განდევნილი იქნება. ამით აიხსნება, რომ ილია  
ჭავჭავაძემ გლეხის, ყმის საკითხს თავიდანვე მაგრად ჩასჭიდა ხე-  
ლი.

იდეა პოემისა — „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის  
ცხოვრებიდან“ — არის: ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ა მ ი უ ლ ე ბ ე ლ ი ა,  
მ ა ნ კ ი ე რ ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი მ ო ვ ლ ე ნ ა ა. მიზანდასახუ-  
ლობაც შესაფერისია: საჭიროა ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღ-  
მდეგ შეუზღუდელი ბრძოლა, მისი უარყოფა.

ამ პოემის კომპოზიციაც თავისი ყველა კომპონენტით ემსახუ-  
რება აღნიშნული იდეის გაშლასა და მისი მიზანდასახულობის მკი-  
თხველისათვის შთაგონებას.

ამ შემთხვევაშიც ილია ჭავჭავაძე არ დალატობს მის მიერ გა-  
მომუშავებული კომპოზიციის სახეს: თვით პოემის სათაური —  
„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ მკი-  
თხველის ყურადღებას იმთავითვე იქცევს: მწერალი რატომ იღებს  
პოემის თემად ყაჩაღის ცხოვრებას? ხომ არ უნდა ახსნას ამ უკუ-  
ღმარათი მოვლენის წარმომშობი პირობები? მკითხველის ასეთ გან-  
წყობას ამახვილებს პოემის ე პ ი ზ ო დ ი:

ილია ჭავჭავაძე ამ ეპიგრაფით მიზნად ისახავს (რასაც ის აღწევს კიდევ), აგრძობინოს მკითხველს, რომ მონების — ყმების განთავისუფლების იდეა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში და ქართულ მწერლობაშიც არაა ახალი, მას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში მონათა — ყმათა განთავისუფლება დიდი შთამაგონებლობით მოითხოვა ქართველი ხალხის საამაყო შვილმა, დიდმა შოთამ, რომლის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ქართველმა ხალხმა ცხოვრების სახელმძღვანელო წიგნად აქცია და რომლის იდეებზე საუკუნეთა განმავლობაში იზრდებოდა ქართველი ხალხი. აქედან, მით უმეტეს ახალ ეპოქაში, XIX საუკუნეში, უნდა გადაიჭრას ეს საკითხი. დასაწყისშივე, აი, ასეთ განწყობილებას უქმნის მკითხველს ეს ეპიგრაფი.

ეპიგრაფს, რაც ჩვეულებრივ ახასიათებს ილია ჭავჭავაძის ეპიკურ ნაწარმოებთა კომპოზიციას, მოსდევს პროლოგის მსგავსი ნაწილი: ალაზნის ჭალა ბინდისას, მძიმე ურემი ჭრიალითა და მეხრის მწუხარე ღიღინით. ეს სურათი ალეგორიულად ხატავს იმდროინდელ ჩამორჩენილ, წყვედიდით მოცულ ცხოვრებას, რომელშიც ისმის მხოლოდ გმინვა გლეხისა „ვით გლოვის ზარი“.

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი  
მწუხრის ზეწარი გადაეფარა, —

და ალაზანი შეუპოვარი

ჩიოდა, თითქო, კაცს ემღუროდა,

ყველას ეძინა, დლით ჰფეთქავს რაცა,

თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა..

მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე

მიქრიალებდა, გზას აღვიძებდა,

და ნაღვლიანად მასზედ მეურმე

მწუხარს სიმღერას დაპლულუნებდა.

ღუღუნნი იგი ჩამორჩენია გულს,

მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი...“

ამ დადუმებულ გარემოში უცნობმა, „მკმუნეარე სახის ამაყად მჩენმა“, უცებ „ტყიდამ ასკუბა ცხენი“. მხედარი მეურმეს სთხოვს მიასწავლოს კუდიგორის გზა. მეურმე მხედრის თხოვნას დააკმაყოფილებს, თან კი გადაკვრით ამცნობს, რომ იქ ცხოვრობს ბლაჰია-შვილი, რომელთანაც სამტროდ მისვლა ადვილი არ არის. გლეხის

ტქმით, ბლაჭიაშვილი —

„მალია როგორც ხირიმის ტყვია  
და ტყვიასავით დაუნდობელი“...

და ამიტომ ურჩევს იგი ზაქროს, რომ „თუ სისხლი ჰმართებს, ისა სჯობია, შეარჩინოს და აილოს ხელი“. ამით მკითხველი ბუნდოვნად მაინც გრძნობს, რომ მეურმის გაფრთხილება გამოწვეულია სურვილით — დაიფაროს უფრო ბლაჭიაშვილი, ვიდრე ეს უცნობი მოძმე. ამ სიტყვებში იგრძნობა მეურმის სიმპათია ბლაჭიაშვილისადმი, რომლის სახეშიც მქლავნდება გაბოროტებულ ყმათა ამოძრავებელი მღელვარება. მეურმის დახასიათებაში მკითხველი გრძნობს აგრეთვე ავტორის დამოკიდებულებასაც ბლაჭიაშვილისადმი: ვინც შეებრძოლება ყმათა (ბლაჭიაშვილების) ამოვარდნილ მღელვარებას, წააგებს, რადგანაც ისინი საშიშნი არიან „როგორც ხირიმის ტყვია“.

აქვე აგრეთვე აღსანიშნავია მხედრის პასუხი მეურმისადმი:

„—შენ ფიქრი ნუ გაქვს!.. მეც იმას ვეძებ,  
მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული;  
როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ,  
ამ დღიდგან თავზედ ხელაღებულო!“

მხედარმა ეს რომ ტქვა, უცებ მოსხლიტა ცხენი კუდიგორისკენ „და მის ფეხის ხმას, ხმა მისცა მთამა“. აქ ძლიერდება მხედრისადმი — ამხედრებული გლეხისადმი — თანაგრძნობა. ილია ჭავჭავაძე შესანიშნავად აღრმავებს ამბოხებული გლეხისადმი სიმპათიას მეურმის გულის სიღრმიდან მხედრის მისამართით თითქოს უნებლიეთ ამოხეთქილი შურით აღსავსე სიტყვებით — „ახ ნეტავი შენ!“ და მერმე „უფრო მწარედ თავისი სიმღერის“ დალულუნებით.

აქ ილია მოხდენილად იძლევა პოემის სიუჟეტის კვანძს: ქვეყანაში ბობოქრობს სწრაფვა ყმათა განთავისუფლებისა, მაგრამ ამ გარდაუვალ მიზანს წინ ელობება მძიმე დაბრკოლებები, ბატონის უფლება, ბატონყმობა.

ასეთი შესავლით — პროლოგით — ი. ჭავჭავაძე ნაწარმოებების იდეის სწორი ათვისებისათვის ძალდაუტანებლად ახერხებს მკითხველში აღძრას სათანადო განწყობილება.

შემდეგ იწყება პოემის სიუჟეტის გაშლა. ექსპოზიციის ნაწილს განეკუთვნება დახასიათება კუდიგორასთან არსებული ტყისა, რომელიც „უწინ ყაჩაღის იყო საფარი, საშიში, ბნელი, გულდახურული, შეუვალი და წარმობურული“, სადაც ცხოვრობდა ყაჩაღად გავარდნილი ბლაჭიაშვილი კაკო და ვისკენაც ასე-

თი ხალისით მიისწრაფის ზაქრო. კაკოსთან ზაქროს მისვლა, მათი შეხვედრა, ურთიერთნდობა, ბლაჰიაშვილის მდგომარეობის აღწერა — ყველაფერი ეს თანამიმდევარი სიტუაციებია. ილია ჭავჭავაძე ნაწარმოების შინაარსის სისრულითა და სიმკვეთრით გაშლის მიზნით გზადგზა, როგორც კომპოზიციის ერთ-ერთ კომპონენტს, მარჯვედ ურთავს მოქმედ პირთა დახასიათებას როგორც ავტორისეულს, მოქმედ პირთა მიერ მოცემულს (ზაქროს, კაკოს და არსენას დახასიათებას). ეს ხერხი სიუჟეტსაც ამდიდრებს, პოემის თემასაც ამტკიცებს და მისი იდეისა და მიზანდასახულობის გახსნასაც ძალუმად ეხმარება.

ბევრის მოქმელია ზაქროს პასუხი, სადაც ხაზგასმულია, თუ რატომ გადაქცეულა კაკო ხალხის საყვარელ, ლეგენდარულ გმირად:

„—შენი გაცნობა არ არის ძნელი,  
ამაზედ რაღა ვილაპარაკო,  
შორს გავარდნილა შენი სახელი,  
ბავშვმაც კი იცის, ვინ არის „კაკო“!  
შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,  
ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქვებს;  
შენი ამბავი, ეხლა მართალი,  
ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს.  
შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,  
გამოჰქცევიხარ უსამართლობას,  
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი,  
ბარაქალა მაგ გულკეთილობას...“<sup>29</sup>

ზაქროს მიერ კაკოს ამ დახასიათებაში მოცემულია ამოძრავებულის, ბატონყმობით გაბოროტებული გლეხობის სიცოცხლის წყურვილიცა და რწმენაც, რომ სიცოცხლის ამ წყურვილს დააკმაყოფილებს გმირი, რომელიც დაჯილდოებული იქნება იმგვარი თვისებებით, რაც კაკოსთვისაა დამახასიათებელი.

აქაა მოცემული იდეალი გმირისა, საჭირო აღამიანისა, რომელიც გლენთა მოძრაობაში ცხოველ, ჩაუქრობელ ცეცხლს დაანათებს, მათ გაიყოლეებს, უხელმძღვანელებს და გაიმარჯვებს.

ასეთი გმირები რომ ხალხის ცხოვრების წიაღში წარმოიშობიან, ეს კარგად იცის ილია ჭავჭავაძემ. ამიტომ მას, პირველს ჩვენს ოფიციალურ ლიტერატურაში, შემოაქვს სახალხო გმირის არსენას სახე, როგორც ასეთი გმირისა.

„მართო არსენას, თუ გახსოვს შენა,  
გლეხკაცი როგორც ძმა ჰყვარებია,  
გლეხკაცის ბედი, პირი და ლხენა,

<sup>29</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 151.

შვილსავით კალთით უტარებია.  
აზა კაციცა ისა ყოფილა  
და ქულიც იმას, ძმავ, ჰხურებია! 30

ექსპოზიციასვე განეუთვნება ჩ ა რ თ უ ლ ი ა მ ბ ა ვ ი — ზაქროს თავგადასავლიდან — თორმეტი წლიდან ბატონის სახლში ყოფნა. აქედან მისთვის მოსაგონია მხოლოდ მისთანა მწყემსები, ტყეში რომ გარეკავდნენ ნახირს, დაანთებდნენ ცეცხლს, მოუსხდებოდნენ გარშემო და ამბობდნენ ზღაპრებს, რაც მათ ასაზრდოვებდა, ზრდიდა. მათგან ყველაზე მეტად და მომხიბვლელად მათ იზიდავდა თქმულება არსენას შესახებ:

„ეგრეთ გონება ხალისიანი  
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;  
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი  
და არსენობა მენატრებოდა“ 31

ეუბნება ზაქრო კაკოს. ეს იყო ერთადერთი ტკბილი მოგონება გახვლილი ცხოვრებიდან, რომელიც ახალისებდა ზაქროს და ბედნიერად წარმოუდგენდა თავს.

ამას მოსდევს მეორე ამბავი, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ზაქროს ცხოვრებაში: ასე მიმდინარეობდა ბატონის სახლში ზაქროს ცხოვრება ოც წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მამამისი მხნე, მარჯვე, დაულაღვი, ბეჯითი, გამრჯე კაცი დასნეულდა, ოჯახს ვეღარ უვლიდა. სნეულებით ილაჭგაწყვეტილი იგი ეახლა ბატონს თხოვნით:

„—შენი ჭირი, — უთხრა, — ბატონო,  
საზღს ვერ გავუველ მე მარტოხელი...  
დამითმე შვილი.. არ დამაღონო,  
არ დამიღუპო ოჯახი ძველი“.

ასე იხსნება კვანძი, მოქმედების განვითარება. ბატონი ზაქროს მამას უხეშად ხედება: „რაო, რას ბოდავ!“ — აქედან დიდი დინამიურობით ვითარდება კონფლიქტი ბატონსა და ყმას შორის.

კონფლიქტის მკვეთრ გამოვლინებას, ბატონსა და ყმას შორის მწვავე, მიუღებელი ურთიერთობის გაძლიერებას, რასაც სიუჟეტის მიმზიდველი გაშლა მოითხოვს, ხელს უწყობს ილია ჭავჭავაძის მიერ მოხერხებულად, უშუალოდ ეპოქალური

30 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 152.

31 ი ჭ ვ ე, გვ. 155.

ზუნგების ჩართვა, რაც დამახასიათებელია მისი შემოქმედების სტილისათვის. მაგალითად:

„შენც, ძამო, ვიცი, გაგიგონია,  
ყმის ბედი რა-რიგ სწრაფად იცვლება  
თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია,  
არ იჭერებს, რომ დღესაც ექნება.  
ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი  
ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში,  
გლენჯაკის და ყმის ლიტონი ბედი  
ვერა, ვერ გაძლებს ბატონის ხელში“...<sup>32</sup>

ან კიდევ:

„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,  
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,  
იმას კაცებრი გული არ ქონდა,  
რომ მამაჩემი შეჰბრალებოდა,  
— რა გავაგრძელო თავადიშვილი  
კარგი რა არის, ავირა იყოს?“<sup>33</sup> და სხვა.

ეს ლოზუნგები თავის დროისათვის მეტად გაბედულად და მკვეთრად ახასიათებდა, ააშკარავებდა გლენჯაკის უფლებაყრილ მღვდმარეობას, ბატონის უსაზღვრო, აუწერელ თვითნებობას, გლენჯაკის არაადამიანურ ჩაგვრას.

ბატონყმობის ურთიერთობის ასეთი დახასიათების ფონზე მეტად დიდი რეზონანსით გაისმის ამ პოემაში ჩართული სამოციანელთა ლოზუნგი — მოწოდება:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს —  
ეგ ვერაფერი სიყვარულია,  
სიტყვა ის არის, კაცის უყვარდეს, —  
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“<sup>34</sup>

რა თქმა უნდა, ეს ჩართული ლოზუნგები დიდად ეხმარება სიუჟეტის სრულად გაშლას, ეხმარებ. მკითხველში ბატონყმობის მიუღებლობის შეგნების ადვილად განმტკიცებას, მისი უარყოფისათვის ბრძოლის სურვილის გაღრმავებას, რაც პოემის ძირითადი მიზანდასახულობაა. ეს ჩართული ლოზუნგები ხელს უწყობს აგრეთ-

<sup>32</sup> ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I (დაყოფა ყველგან ჩვენია — მ. ზ.).

<sup>33</sup> ი ქ ვ ე, გვ. 157.

<sup>34</sup> ი ქ ვ ე, გვ. 151.

ვე სიუჟეტის გრადაციის გზით განვითარებასაც, დამაჭერებლობას აძლიერებს.

ბატონსა და ზაქროს მამას შორის მოცემულ დიალოგში უილა-ჯო ყმა ბატონთან მორიდებითა და სამსახურის გაგრძელების სურვილით განაგრძობს კანონიერ მოთხოვნას, მაგრამ, შეუწყნარებელი ყმა თანდათან ჰკარგავს მორჩილებას, წონასწორობას, მოქმედება სწრაფად ვითარდება. ზაქროს მამის თხოვნას, რომ ბატონმა დაუბრუნოს მას შვილი, რადგანაც მასაც უნდა ცხოვრება, მაგრამ საამისოდ ძალა არ შესწევს, ბატონი უდიერად აწყვეტინებს:

„—სუ!.. შე ქოფაკო!.. გაიკმიდე ხმა!..  
ხმა... კრინტი მეთქი!.. ძაღლო, თორემა  
მე არ მივხედავ მაგ შენს სიბერეს  
და უკან ჩაგჩრი ჯოხით მაგ სიტყვებს...“<sup>35</sup>

ზაქროს მამა, თავისი ადამიანური შეგნებისა და პატივისცემის გრძნობაში, შეურაცხყოფილი, იმედგადაწყვეტილი, ბატონს მოუ-რიდებლად მიმართავს პროტესტით, რასაც იგი დიდი ხანია გულში ფარული ბოლმით ატარებდა:

„—როგორ თუ ჩამჩრი!.. კაცს შიმშილით მკლავ,  
ცოცხალსა მმარხავ, ოჯახს მიღუბავ,  
ბებერ-კაცს ლუკმა-პური უწყდება,  
შვილსა შიმშილით მამა უკვდება,  
შვილს შეუძლიან მამის დარჩენა, —  
და ამის ნებას არ აძლევ შენა!..  
მე ჩემს ღვიძლ შვილსა აღარ მანებებ,  
რომ შემინახოს სიბერის დროსა,  
მართალს სიტყვასაც არ მათქმევინებ,  
ფუ, შენს სამართალს, შენს სამსჯავროსა!...“<sup>36</sup>

გამწვაებულნი წინა აღმდეგობანი ბატონსა და ყმას შორის აქ უკვე უმაღლეს მწვერვალზე აღის, ურთიერთობა ძლიერ დაძაბულია, იწყება კულმინაცია.

ბატონი იყენებს თავის შეუზღუდავ უფლებას, ჩიბუხის ტარით თვითონ უწყებს ცემას სწეულ მოხუც ყმას, თანაც შესძახებს — „ბიჭო, როზგები! ბიჭო, როზგები!“

„და მამა-ჩემსა მოხუცსა, ძმაო,  
წამოეტიდნენ მისივ მოძმენი...“

35 ი. ჰავკიავაძე, ტ. I, გვ. 161.

36 იქვე, გვ. 161.

დაუწყეს ცემა, „მეც იქ ვიდექი“, — გულის მძიმე და განუკურნებელი ტკივილით წარმოთქვამს ზაქრო.

აქ უკიდურესობამდე იჭიმება ამოქმედების განვითარებაც; იწყება ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი გახანგრძლივებულო კულმინაცია. ისევე არაჩვეულებრივად იჭიმება მკითხველის ყურადღებაც, როგორც კაკო ყაჩაღისა, რომელიც ვეღარ ითმენს და ზაქროს თხრობას აწყვეტინებს:

„— შენ იქ იდექი, ამბობ, იმ დროსა  
და იქამდინა მიუშვი მტერი,  
რომ აცემინე მამა ბებერი?!

მითხარ, დედალო, რას აკეთებდი,  
რას გეუბნოდა გული იმ დროსა?  
იქ რომ მდგარვიყავ, ჩაგაძალეზდი  
ჯერ შენ და მერე იმ შენს ბატონსა...

მამას გიკლავდნენ, არ იღებდი ხმას...  
შენ იქ იდექი, გულით იძუნწე!  
რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს,  
რომ ნაჯერ-ნაჯერ ხმლით არ აკუწე  
სულწაწყმედილი შენი ბატონი!  
ემაგ შერცხვენილ ხმლისა პატრონი  
ჩემთან მოსვლასა როგორ ჰხედავდი?“37.

ზაქროსადმი კაკოს ამ წყრომაში ისმის გაბოროტებული, მოთმინებადაკარგული ლელვა, დრტივინვა ყმათა, რომლებიც მკაცრ საშუალებებს ეძებენ. აქ სიუჟეტის გაშლა კულმინაციის უკანასკნელ ზღვრამდე აღის. მკითხველიც ყურადღების მთელი დაძაბვით ელის, თუ რას იტყვის ზაქრო, როგორ გადაწყდება ამ ძალმომრეობის ნიადაგზე ყმასა და ბატონს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი. ზაქროც არ აყოვნებს:

„— კაკო, ნუ სწყრები!  
ეგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემს ხმალს  
და იმის პატრონს ნუ მეძახი მხალს.

მამინ იქ ვიდექი მე უბედური...  
მინამ ბატონი ხელითა სცემდა —  
როგორცა ძალი ზორცსა ვიგლეჯდი...  
„მოჰკალ“ რაღაცა ხმა მაძალეზდა,  
მაგრამ როგორღაც თავს ვიმაგრებდი.  
მომეკლა, ვიცი მამას მოჰკლავდნენ.  
მკვდარსა თუ ცოცხალს კბლით შესჭამდნენ,



ამის მიზეზი მე ვიჭნებოდი, —  
 და არ მომეკლა, უღპრთოდ სტანჯავდნენ,  
 ვგრე ორ ცეცხლში ვიმყოფებოდი.  
 მაშინ კი, როცა წამომიქციეს  
 და მოხუცებულს როზგი დამიკრეს, —  
 თვალთ დამიბნელდა, ამენთო გული,  
 მივეარდი თოფსა გამწარებული,  
 მხრიდამ გაღვიგდე მაშინვე თეჯა,  
 და, რომ ყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარი!“  
 მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭეჯა  
 და შეუნგრია გულის-ფიცარი —  
 იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამლუპველსა,  
 თავის-თავის და სხვის წამწყმედელსა“<sup>38</sup>.

აქაც კულმინაცია და კვანძის გახსნა და-  
 ემთხვა ერთმანეთს; მაქსიმალური სიზუსტით გამოვლინდა არა  
 მარტო სიუჟეტის კვანძის გახსნა, არამედ აგრეთვე პოემის იდე-  
 ის სრული და აშკარა გამოხატვა: ბატონყმობის ინსტი-  
 ტუტი მიუღებელია, ბოროტებაა. ეს უნდა შეიგნოს ყველამ და შე-  
 ებრძოლოს მას. აქ დამთავრდა ამბავი. იდეაც და მიზან-  
 დასახულობაც გაირკვა, იგი ნათელი გახდა მკითხველი-  
 სათვის.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე ამით როდი კმაყოფილდება, აქ წერ-  
 ტარს როდი სვამს. ნაწარმოების სრული კომპოზიციური შეკერი-  
 სათვის ის საჭიროდ თვლის გვაჩვენოს, თუ რა შთაბეჭდილება უნდა  
 მოახდინოს პოემამ მკითხველზე, რა განწყობილება უნდა აღუძრას  
 მას. ამიტომ ზაქროს მიერ მონაყოლ მძიმე ამბავს, ზაქროს კაკოს-  
 თან მისვლისა და ბატონის მოკვლის მიზეზს მწერალი ურთავს კა-  
 კოს მიერ ზაქროს გადადგმული ნაბიჯის მოწონებას.

„—შენი გამჩენის ჰირიმე, შენი  
 ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშენი...  
 . . . . .  
 ძამო, გამჩენის შენის ჰირიმე,  
 რაც წელან გითხარ, ყველა დამითმე,  
 ლამის დამადნოს ჩემმა სირცხვილმა  
 და კაკომ შენ-წინ თავი დაიღოს“<sup>39</sup>

მოკლა ზაქრომ თავისი „გულქვა“ ბატონი, მაგრამ ყმას „გუ-  
 ლის ჭრილობა არ გაუმთელდა“, ყმის ცხოვრება კი, რომელიც

38 ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 163—164.

39 იქვე, გვ. 164.

„ყოჯოხეთია მოსაგონებლადაც“, კვლავ გადაუწყვეტელია. ამიტომ ილია ჭავჭავაძემ პოემას ასეთ დასასრულს აძლევს:

„ღა. რა სთქვა ესა, ზაქრო მწუხარედ  
პირქვე დაეცა დადუმებული;

ამ საწყალს შეილზედ კაკოც შეწუნდა,  
ორივ წაილო ერთმა ნაღველმა...

ამ ორს გულში რა ბალღამიც ღულდა,  
წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“<sup>40</sup>.

პოემა თუ ამბავი კომპოზიციურად მთლიანია. დასასრული პოემისა ეხმიანება დასაწყისს: მწუხრის ზეწარი ალაზანს (ქვეყანას) გადაფარებული და მწუხრის ღიღინი მეურმისა (შინაგანი ღულილი შეურაცხყოფილი ყმისა) კვლავ გრძელდება: ხალხის მასა — გლეხკაცობა კვლავ გმინავს ბატონყმობის მძიმე უღელქვეშ. მას შველა უნდა. ეს საკითხი გადაუდებელი ბრძოლის საკითხია და მას მტკიცედ უნდა ჩაეკიდოთ ხელი, — აი, რა ისმის პოემიდან. ამას გრძნობდა მწერალი და ამასვე დამაჯერებლად ჩააგონებდა იგი მკითხველსაც.

#### 4. „გლახის ნაამბობი“

მძიმე სოციალური ცხოვრების მოსაწესრიგებელი აქტუალური პრობლემა — ბატონყმობის საკითხი — ილია ჭავჭავაძემ პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ არსებითად ვერ გადაწყვიტა. ეს თითონაც კარგად იგრძნო. ბატონყმობის ბაენე, როგორც ქვეყნის ცხოვრების შემფერხებელი ბუნებისა და მნიშვნელობის ყოველმხრივი ჩვენება ერთმა ტილომ ვერ დაიტიო. ამიტომაც ილია ჭავჭავაძემ ამ მოვლენის სრულ დახატვას პოემაში თავისი ცნობილი ტრილოგია სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ერთ თემაზე დაწერილი მხატვრული ნაწარმოები: „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლახის ნაამბობი“ და „კაცია-ადამიანი?!“ ვინაიდან ამ სამი ნაწარმოების დამთავრება ერთმანეთს მოსდევს, ამიტომ მათი კომპოზიციონის პრობლემაც თანამიმდევრულად განვიხილოთ.

„გლახის ნაამბობის“ იდეა: ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს გ ზ ა ს ა მ რ უ ღ ე ბ ს, ანაღვურებს რო-

40 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 165.

გორც ბატონისას, ისე ყმისას. ბატონყმობა საზოგადოებრივ ცხოვრებას დაენიებინ გზით წარმართავს. „ბატონსა და ყმას შორის სიყვარულის ხიდი არ გაიდება“.

აქედან გამომდინარე, „გლახის ნაამბობის“ მიზანდასახულობა: გადაუღებელია ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ, ბრძოლა მისი მოსპობისათვის.

„გლახის ნაამბობის“ კომპოზიცია აგებულია ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელ სისტემაზე.

თვით მოთხრობის სათაური — „გლახის ნაამბობი“ მკითხველის ყურადღებას დასაწყისშივე უდავოდ ძაბავს. მკითხველის შეგნებაში უნებლიეთ წამოიჭრება კითხვები: რა უნდა იყოს მწერლისათვის განსაკუთრებით ყურადსაღები გლახის ნაამბობში? რამ გამოიწვია მოთხრობის მთავარი გმირის გლახად გარდაქმნა? ეს კითხვები ჯერ გაურკვეველ, მაგრამ მაინც საგრძნობ ინტერესს აღძრავს მკითხველში.

მკითხველის ამ მკმუნვარე განწყობილებას აღრმავებს მოთხრობის წინ წამძღვარებული ეპიგრაფი:

„რა ქნას კარგმა მონარდმა,  
დროზედ შაში თუ არ მოვა“.

ეს ეპიგრაფი მკითხველს გარკვეულად შემდეგს აფიქრებინებს და არწმუნებს, რომ რა ქნას კაცის ნიჭმა, უნარმა, კეთილმა სურვილია, თუ ცხოვრების პირობები მას ხელს არ მისცემს, თუ კაცო გარემოებით შებოჭილია (რასაც შემდეგ ამბავში დავინახავთ).

ეპიგრაფის მეოხებით მწერალი მკითხველის განწყობილებას აძლევს რა ბიძგს ერთგვარი მიგნებისათვის, როგორც ეს მისი კომპოზიციისათვის არის საერთოდ დამახასიათებელი, ნაწარმოებში აქსოვს შესავალს — პროლოგს.

„გლახის ნაამბობის“ პირველი თავი წარმოადგენს პროლოგს, რომელშიც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს ცხოვრების, როგორც თვითონ იტყოდა, „უთავბოლობას და უსწორმასწორობას“, და მასთან ხაზს უსვამს, რომ ამ „უთავბოლობასა და უსწორმასწორობაში“ ადამიანს მიუძღვის ყველაზე დიდი დანაშაული, რადგან იგი (ადამიანი) ყველაზე ბოროტია.

ნაწარმოების გაგებისათვის ამ პროლოგს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ზედმეტი არ იქნება მისი თუნდაც შემოკლებით გახსენება: „მე, სწორედ ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ. საკვირველად მიყვარს დაბურულს, ხმაგაკმენდილ ტყეში ხის ძირას ჯდომა და მილეულის გულის-ცემით ლოდინი ნათვალევის ნადირობის“.

სა. არის რაღაცა მოუწყინარი სიამოვნება ამ ხალისიან გართვაშია. თუ ვნებავთ, ამასაც კი ვიტყვი, რომ ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველას აქვს თანასწორი ნება ამ თვალ-მიუწვდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა გაეწყობა?.. ტყუილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიაო. კაცი მოსისხლეა, მეც კაცთაგანი ვარ<sup>41</sup>.

იძლევა რა კაცის დაუნდობელი ბუნების ასეთ წინამძღვრებს, ილია ჭავჭავაძე მეტად დამაფიქრებელ სურათს შლის. თავისუფალი, მწვიდობიანი ცხოველი, ირემი, გაურბის დაგეშობილ ძალს, მაგრამ მოულოდნელად შეეფეთება ძალზე შეუბრალებელ, ვერაგ კაცს, რომელიც დაუნდობლად კლავს მას. „უნდა ჰნახოთ, — აგვიწერს მწერალი, — ის ამაყი, თავისუფალი ნადირი, რა-რიგად უდრტვინველად და მშვიდადა კედება, მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლმორეულ თვალებში ეს აღმომიკითხავს: ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოს და მშვიდსა, ამ ღვთის მიუწვდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მექირა?.. ეს სიტყვები აღონებდნენ გულს, მინამდინ დედამიწა შეიშრობდა სისხლსა დაღვრილსა, და როცა შეიშრობდა, მეც კი მომაგონდებოდა, რომ ჩვენ თითონ ქმნილებათა გვირგვინნი, ჩვენ თითონ.. ღვთის სახიანი ერთი-ერთმანეთს არ ვუთმობთ იმ ადგილსა.. ნაშინვე დამიღინჯდებოდა გული და გამართლებული ვიტყოდი: „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“<sup>42</sup>.

„გლახის ნაამბობის“ ეს პროლოგი აზრის, იდეის იშვიათი სიღრმითა და ხელოვნებითაა გაკეთებული: „ცხოვრება თუ „უთავბოლოოდ“, „უსწორმასწოროდა“ მოწყობილი, ამაში თვითონ კაცია დამნაშავე. კაცს არათუ ვერ შეუგნია, რომ ყოველ ადამიანს „აქვს თანასწორი ნება ამ თვალმიუწვდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა“, რომ ქვეყანა, ბუნება უბოროტოა, არამედ ვერ შეუგნია ისიც, რომ ამ უბოროტო ქვეყანას თითონ კაცი აბოროტებს, ამახინჯებს. კაცია რომ კაცსვე ჩაგრავს, ანთხევს სისხლს კაცისას. ასევე დიდმნიშვნელოვანი და დამაფიქრებელია ამ პროლოგში თქმული სიტყვები: „კაცი მოსისხლეა, მეც კაცთაგანი ვარ“. ამით ილია ჭავჭავაძე გამოთქვამს მისთვის დამახასიათებელ შეხედულებას: ყველა ჩვენგანი (კაცთაგანი) დამნაშავეა ცხოვრე-

41 ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 33, 1926 წ.

42 იქვე, გვ. 34—35.

ბის მოუწესრიგებლობაში და ეს უნდა შეიგნოს ყოველმა ჩვენგანმა, რაც აუცილებელია ცხოვრების მოწესრიგებისათვის, წინ წაწევისათვის.

ასეთივე ოსტატობითაა მოფიქრებული ავტორის სიტყვები: „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა კვლები, სადაც ლაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“. ავტორის ეს ტკივილი ფართო საზოგადოებრივი ხასიათის უკმაყოფილებას შემცველია. ამ სიტყვებით ილია ჭავჭავაძე მკითხველს გარკვეულად აგებინებს, რომ მოუწესრიგებელ, შეუფერებელი ძალმომრეობის კანონებით შებორკილ ცხოვრებაში კაცი, როგორც უბრალო ჩალა, ისე მიაქვს უსამართლო მქროლავი ცხოვრების ქარტახილს, მასში კაცს ფასი დაკარგული აქვს.

პროლოგში გამოთქმული ამ შეხედულების, თუ ყველა ამ სიტყვის მკვერმეტყველი დადასტურებაა „გლახის ნაამბობში“ მოთხრობილი ამბავი, რაც ცხოვრების სინამდვილეს ნათლად ასახავს.

ამ სიტყვებით თუ შეხედულებების გამონახტვით ილია ჭავჭავაძე გაბედულად, არაორაზროვნად, მკაცრად აკრიტიკებდა იმდროინდელი უსამართლო ცხოვრების სინამდვილეს. ამ სიტყვებს დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „გლახის ნაამბობის“ მთლიან კომპოზიციაში. იმდროინდელმა ცხოვრების პირობებმა, ბატონყმურმა წყობილებამ გზა აუბნია, აუწეწა გაბროს, არავითარი გასაქანი არ მისცა ყმა-გლეხს. უფრო მეტიც: უფლებაც კი წაართვა, რომ მშობლიურ მიწაში დამარხულიყო. განა გაბროს სიცოცხლის უკანასკნელი წუთები მწერალს გარკვეულად არ ამცნობს მისი გულის სიღრმეში აუტანელი შევიწროება-შეურაცხყოფით ჩაღებულ ბოლმას: „ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოს და მშვიდს, ამ ღვთის მიუწვდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მეჭირა?“

„გლახის ნაამბობი“ მთავრდება სამშობლო მხარეში ცხოვრებას უფლებამოკლებული, საშინელ უაღამიანო პირობებში მყოფი დასწულელებული გაბროს სიკვდილით. გაბრო გაცილებით ძიმე პირობებში იღუპება, ვიდრე ირემი, და თითქოს პროლოგში პოეტის ძალაუნებური შერიგება: „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა კვლები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“ — გამართლდა, როგორც მწარე დაცინვა ქვეყნის — ადამიანთა ცხოვრების მიუღებელ ვითარებაზე.

მოთხრობის ასეთი დასაწყისი და დაბოლოება მშვენიერად კრავს ნაწარმოების კომპოზიციურ რკალს.

მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ მთავარია სიუჟეტის გაშლა გაბროსა (ყმასა) და დათიკოს (ბატონს) შორის არსებული წინააღმდეგობის ფონზე.

მოთხრობის II და III თავები წარმოადგენს ექსპოზიციას: ა) ავტორის შეხვედრა გლახასთან — სოფლისა და მიდამოების აღწერა (II თავი); ბ) გაბრო დიდი ბატონის ოჯახში, გ) გაბრო დათიკოსთან ერთად ქალაქში (III თავი).

გაბროს გლახუკასთან შეხვედრა (III თავი), შემდეგ IV—VII თავები: გაბროს მღვდელთან შეხვედრა, კეთილი მასწავლებლისა (მღვდლისა) და ნიკიერი მოსწავლის (გაბროს) მეგობრული ურთიერთობა. ესაა მოთხრობის კომპოზიციაში ჩართული ეპიზოდი, რომელსაც თავის მხრივ ოთხი შინაგანი ეპიზოდი აქვს: ა) მღვდლის გლეხებთან საუბარი სწავლის მნიშვნელობის შესახებ; ბ) მღვდლის შეცადინეობა გაბროსთან სწავლა-აღზრდის მიმართულებით, გ) მღვდლის დახმარება გაკირვებულისადმი და დ) მღვდლის მიერ წყალწალღებული კაცის დაღუპვისაგან გადარჩენა. აქვე ჩართულია მღვდლის, როგორც „ხალხის მოკეთის“, და ხ ა ს ი ა თ ე ბ ა ც, გლახუკასა და გაბროს მიერ ეპიზოდურად გადმოცემული.

ცნობილია, რომ მხატვრული ნაწარმოების თემისა და იდეის სწორი გააზრებისათვის სავალდებულოა იმ ეპოქის (ამ შემთხვევაში 60—70-იანი წლების) ისტორიული განვითარებისა და მდგომარეობის გათვალისწინება, რომელსაც მწერლის შემოქმედება უკავშირდება, ასახავს. 60—70-იანი წლების ეპოქის მოწინავე საზოგადოებისათვის — თერგდალეულებისა და ხალხოსნებისათვის — დამახასიათებელი იყო: „უმცროს ძმაზე“ — გლეხობაზე ზრუნვა, გლეხთა შორის სწავლა-განათლების შეტანა, „დაბეჩავებულის, წაქცეულის წამოყენება“, „უწუგეშოსათვის ნუგეშის ცემა“, მუშაკისათვის შრომის გაადვილება, დახმარების გაწევა, მისი გზაზე დაყენება. ამიტომ ეს ჩართული ეპიზოდი — მღვდლისა და გაბროს ურთიერთობა — უშუალოდ „გლახის ნაამბობის“ სიუჟეტის გაშლისათვის აუცილებელი არ არის, მაგრამ ნაწარმოებში გადმოცემული ეპოქის მდგომარეობის სიმართლითა და სისრულით დახატვასა და სვით ნაწარმოების სიუჟეტურ გაშლას იგი დიდად ეხმარება.

მღვდელმა თავისი ჰუმანური საუბრებით, ქცევითა და საკითხაკი წიგნებით გაბროში გაამახვილა ადამიანური გრძნობები. გაბროს ბუნებაც ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა მღვდლის საუბრების მისაღებად. თუ გაბრო — ყმა მორალურად და გონებრივად იზრდება, თუ მას კეთილშობილება ემატება, სამაგიეროდ, დათიკო — ბატონი თანდათან ვნებიანობის წუმბეში ეშვება. ამ ნიადაგზე იწ-

ყება „გლახის ნაამბობის“ ამ ორი ძირითადი მოქმედი პირის საქმიანობა-კონფლიქტი სოფელში დაბრუნების შემდეგ.

სიუჟეტის კვანძი ჩნდება მოთხრობის VIII თავში: თამრო დაღონებულნი ხვდება გაბროს. გაბრო გაიგებს, რომ დათიკოს თვალი შეუვლია თანროსათვის, ეკლესიაში უნახავს და პეპიასათვის უთქვამს: „კაი საპროშტავი ყოფილაო“. მან კარგად იცის, რას ნიშნავს დათიკოს მოწონება და რასაც მოასწავებს იგი. ცეცხლმოდებული გაბრო ასე გამოხატავს თავის ტკივილს: „მე რომ ეს შევიტყუე, შევფიცე ღმერთს, რომ მე მოვკვდები და იმას კი არავის წაეაქვლვინებ-მეთქი“<sup>43</sup>.

აქედან იწყება გაბროსა (ყმისა) და დათიკოს (ბატონის) შორის კონფლიქტის თანდათანობითი, გამწვავებული განვითარება.

თავისი მიზნის განსახორციელებლად დათიკო მალე იღებს გადაწყვეტ ზომებს. ის გიტოს (შინაყმას, ბატონის უნამუსობის ავანჩავანს) ავალებს „თუ კაი ჩოხა უნდა“ თამრო ხელთ იგდოს, თუ არადა, ემუქრება, რომ კატასავით სარზედ „ჩამოახრჩობს“. იწყება დათიკოს და გაბროს შორის ბრძოლა: დათიკოს მხრივ დაუნდობელი, გაბროს მხრივ — თავდაცვითი, თავგანწირული.

სიუჟეტისა და მოთხრობის იდეის სისრულით გახსნისათვის ილია ჭავჭავაძე კვლავ იყენებს ახალ, ჩართულ ეპიზოდს: გაბრო თამროს გადარჩენის მიზნით კავშირს ამყარებს პეპიასთან. ამ ჩართული ეპიზოდის საშუალებით ილია ჭავჭავაძე ყმის მდგომარეობის ზედმიწევნით კარგი ცოდნითა და პეპიას სახის დახატვით მკითხველს დიდი დამაჯერებლობით უჩვენებს, საერთოდ, ყმის უმწეოზას, მის უილაჯობას ბატონთან ბრძოლაში.

ყმის აუტანელი, დამცირებული, შეგინებული მდგომარეობა რომ უფრო მწვავედ შეაგნებინოს მკითხველს, ილია ჭავჭავაძე, აღწერს რა პეპიას უფლებააყრილ, სასოწარკვეთილებამდე მისულ მდგომარეობას, ამით ცდილობს გააგებინოს მკითხველს, რომ პეპიას მდგომარეობა ტიპიურია. ამიტომ ბოლმამორეულ, ადამიანურ გრძნობაშეგინებულ გაბროს მწერალი ასე წარმოათქმევინებს: „ღმერთო! რაჰდენი ამისთანა ცრემლი იღვრება ამ შენგან გაჩენილ დედამიწის ზურგზედ, მაგრამ სიავე ადამიანისა აქამდის არ ჩაირეცხა. დიდება შენს მოთმინებას!“ და ეს აღშფოთება, რა თქმა უნდა, თვით ავტორისაა, რომელიც მოხდენილად, დროზე იჭრება სიუჟეტის განვითარებაში, მიმზიდველად ავსებს მას ისე, რომ არამცთუ ტ ვ ი რ თ ა ვ ს მ ა ს , ა რ ა მ ე დ მ ე ტ ე ქ ს პ რ ე ს ი ა ს ა ც

43 ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 98, 1926 წ.

ანიკებს. ესეც დამახასიათებელი სტილური ნიშანია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა, მის ნაწარმოებთა კომპოზიციისა.

გაბროსა და დათიკოს შორის ფარული, გამძაფრებული წინააღმდეგობის კონფლიქტის გამოაშკარავება და მძლავრი გამწვავება-კულმინაცია მოცემულია მათ გადამწყვეტ საუბარში.

გაბროს კიდევ რაღაც იმედი აქვს, რომ დათიკოზე გავლენა მოახდინოს. მას კიდევ რაღაც ნდობა აქვს შერჩენილი, რომ როცა დათიკო გაიგებს, თამრო გაბროს საცოლეაო, ხელს აიღებს თავის განზრახვაზე — თამროს გაუბედურებაზე. ასეთი მომენტიც დადგა: დათიკომ ერთ დღეს მოიხმო გაბრო და ჰკითხა: „შენ რაღაც ნაღველი ვაქვს და მიმალავო“. გაბრომაც გადაწყვიტა პირდაპირ ეთქვა. მათ შორის გაიმართა გადამწყვეტი საუბარი:

„—მე პეპიას გოგო მიყვარს და ჭვარი უნდა დავიწერო...

—სულელი ჰყოფილხარ... რომ ჭვარს იწერ... ქალი უინის საკლავად არის კარგი და არა ზურგზედ ასაკიდად. მაგრამ მე არ გიშლი, დაიწერე ჭვარი. მზითევი და შენი დაბინავება ჩემი კისერი იყოს.

—შენ რა შუაში ხარ, რომ მზითევს მპირდები? — ვკითხე თამამად.

შევატყვე, რომ ჩვენი საქმის კვანძი აქ იხსნებოდა.

— ქალი ჩემია, — მითხრა იმან უსირცხვილოდ — და მზითევსაც იმიტომ გპირდები, რომ ჯერ ჩემი იქნება.

— ეგ რა სტქეი? — წავძახე მე კანკალოთ.

— ისა ვთქვი, რაც შენ გაიგონე, — მითხრა იმან ღინჯად...

— დათიკო! შენი ჭირიმე, ხიფათს ნუ შეშამთხვევ, ცოდვაში ნუ გამხვევ! დამითმე ის გოგო და შენს ღმერთს დაამადლე.

— როცა მე ჩემსას ავასრულებ, მერე შენთვის დამილოცნია.

— მართალს ამბობ და აღარ ჰხუმრობ? — ვკითხე და გული ყელში მამებჯინა.

— შენი ცალი ვიქნები, რომ შენ გეხუმრო.

— მაშ გაბრიელს თავზედ ქუდი არ ეხუროს, თუ შენ შენი წადილი შეისრულო...

— შენი შერცხვენილი იყოს, ვინც შენისთანას შეუშინდეს.

გულმა, — განაგრძობს გაბრო, — ბაგა-ბუგით ცემა დამიწყო. მკერდში გული აღარ მეტევიოდა. დათიკოს მოკვლის სურვილმა ელვასავით გამირბინა ფიქრში, მაგრამ თავი დავიჭირე, დავძლიე ეშმაკის ცდუნება.



— დათიკო! არ გებრალემა ის ღვთის სული, უცოდველი გოგო? ნუ წაართმევ ნამუსს! მე მაჩუქე იმისი თავი.

— მერე შენ გაჩუქებ.

— მერე და არა ეხლა?.. ფუ, მაგ ნამუსს და მაგ კაცობასა!...—

შეეძახე ესა იმედ-მოშორებულმა და გაბრაზებულმა, გავიძრე ხანჯალი, და გადავდგი ბიჯი თუ არა დათიკოსაკენ, მეორე თთახიდამ გამოცვივდნენ სამი დამალული ბიჭი, მომცვივდნენ უკანიდამ და გამაქავეს<sup>44</sup>.

წინააღმდეგობამ ბატონსა და ყმას შორის უმაღლეს წერტილს მიაღწია. აქ აა კ უ ლ მ ი ნ ა ც ი ა. შინაყმა მოსაკლავად გაიწევს ბატონზე. აქ გაბედულება ყმისა, ბატონის ძალმომრეობით გამოწვეული, უჩვეულო სიმაღლეზე ადის, მაშინ როდესაც ბატონის უფლებამოსილება სიბინძურის ფსკერზე ეშვება.

აქედან იწყება კონფლიქტის თანდათანობითი შესუსტება. მწერალს სურს. მკითხველს აჩვენოს, რომ ბატონის ასეთ საზიზღარ თვითნებობას, აღვირახსნილ ქცევას მხარს უჭერს პრივილეგიური კლასობრივ-სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც ასევე თვითნებური და უსამართლოა ან, როგორც თვითონვე პოეტი იტყვოდა, რომელსაც გრძელი ხელი აქვს მშრომელი ხალხის მიმართ, ხოლო პრივილეგიური კლასის მიმართ, რომლის ერთ-ერთი დასაყრდენი არის ბატონყმობა — მოკლე. აქ ბატონი ძლევამოსილია, ყველა და ყველაფერი მას ემხრობა, მას შეეღის: ადმინისტრაცია, სამართალი, კანონი. ამითაა დათიკო გათავხედებული და გამარჯვებული.

ამიტომ, რომ დათიკო ადვილად დააჭერინებს გაბროს, რომელსაც შემდეგ ციხის ბნელ საკანში ავადებენ.

გაბრო ასე გადმოგვცემს თავის მდგომარეობას: „პირველ ხანებში რომ მამგონებია ჩემი უბრალობა და ის ტანჯვა, რომელსაც მე მიმცეს, დავცემულვარ იატაკზედ და უილაჯობით მიწა მიღრღნია, კბილით ხორცი მიგლეჯია, თითებიდამ ჩემი სისხლი მიწოვნია. ასეთი ღლე დამდგომია, დრო ყოფილა, რომ შხამს გამოვაყოლებდი, შხამს ჩემი დაშხამულის გულიდამ და წვეთ-წვეთად ჩაეაწურებდი ჩემს დამღუპველსა, რომ იქ შემხვედროდა. მაგრამ ის სად იყო? ღმერთო მაღალო, ნურა ქრისტიანს კაცს, ნურა ადამიანს ნუ მიაყენებ იმ ღლეს, რაც მე ხანდისხან იმ სატუხსალოში დამდგომია!.. შენი ჯოჯოხეთი იმასთან სამოთხეა“<sup>45</sup>.

44 ი. ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე, ტ. II, გვ. 114—117, 1926 წ.

45 იქვე, გვ. 119.

ბატონყმური ქვეყნის რა მახვილ, გამანადგურებელ დახასია-  
თებას იძლევა პოეტი მთელი ამ ლირიკული გადახვევით, განსაკუთ-  
რებით კი, ამ მაღალი პოეტური შედარებით: „შენი ჯოჯოხეთი იმას-  
თან სამოთხეა!“

გაბროსა და პეპიას ვააციმბირებენ. აქ უკვე მოცემულია კვან-  
ძის გახსნა. კ უ ლ მ ი ნ ა ც ი ა ამ შემთხვევაშიც დაემოხვა კვანძის  
გახსნას. თითქოს კონფლიქტიც ბატონსა და ყძას შორის დამთავრ-  
და დათიკოს გამარჯვებით (თუკი ამას გამარჯვება ეთქმის). მაგრამ  
ასე არაა. სანამ მოწინააღმდეგენი ცოცხალნი არიან, ამგვარად  
კონფლიქტის დასრულება ძნელია, განსაკუთრებით, როცა ყმა-გლე-  
ხი გამოღვიძებულია, გლეხი, რომელიც უდრეკია, რომლის მოდრე-  
კა შეუძლებელია, რომელიც შესაძლოა მხოლოდ დაიმსხვრეს. ასე-  
თად გვიხატავს ილია ჭავჭავაძე გაბროს. ამიტომ ნაწარმოების კვან-  
ძის გახსნის განვითარება გრძელდება.

პატიმართა ეტაპს გზაში თავს დაესხმიან. პატიმრებს გაანთავი-  
სუფლებენ: ერთი თავდამსხმელთაგანი გაბროს ქლიბს გადაუგდებს  
და, გაბროს შეკითხვაზე — უთხრას მაინც, ვინ არის, ის მხოლოდ  
სიტყვას ესვრის: „სანთელ-საკმეველი გზას არ დაჰკარგავსო“ და გა-  
უჩინარდება.

კვლავ ჩართული ეპიზოდი: გაბროსთან ერთად პეპიას გაქცევა,  
მისი დაუძღურება გზაში და საშინელ ტანჯვაში სიკვდილი. შევიწ-  
როება-დამცირებაში გამოვლილი, გაბოროტებული პეპია სიკვდი-  
ლის წინ ანდერძად უტოვებს გაბროს თავის ბოლმას — შურის-  
ძიებას: „შვილო,... თუ თამრო ნამუსწართმეული ჰნახო, შემომფა-  
ცე, რომ იმის დამლუპველს მზეს დაუბნელებ! შემომფიცე, რომ ისე  
უზიარებლად და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე კვკვდები!  
შემომფიცე! თუ ეგ ცოდვა იყოს, მე ამიღია კისრად... ფიცი მტკი-  
ცე უნდა იყოს!.. პირისპირ იქ საიქიოს შევხვდებით.. გაბრიელ! თუ  
თამროსათვის ნამუსი შეუტრჩენიათ, ჩენი ამ ღლეში ჩაგდება შენს  
გამჩენს აპატივე. მეც მიპატივეზია. ფიცი მომე!.. მაგის ფიციც მა-  
ვე“<sup>46</sup> — გადმოგვცემს გაბრო.

ამ ჩართული ეპიზოდის მიზანია მკითხველს აჩვენოს, თუ ალ-  
ალმართალი მშრომელი გლეხი ბატონყმობას ტანჯვის რა გოლ-  
ვოთაზე აჰყავდა. ამ ეპიზოდის დახმარებით მოთხრობის  
იდეას მკითხველი უფრო მკვეთრად ითვისებს; და, ცხადია, ბატონ-

46 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. II, 1926 წ., გვ. 127.

ყმობის წინააღმდეგ მეტად იმსჯელებდა. ავტორის მიზანდასახულობაც ხომ ესაა!

განთავისუფლებული გაბრო ბოლმითა და შურისძიებითა აღსავსე. ეს გრძნობა საბოლოოდ იპყრობს მას თამროსთან შეხვედრის შემდეგ, როცა დარწმუნდება, რომ დათიკომ თამროს გაუმრუდაცხოვრების გზა, გააწილა და შემდეგ გადაისროლა, როგორც გამოუსადეგარი ნივთი, გაბრო ეძებს შემთხვევას პირისპირ შეხვედრის დათიკოს, რომ სისრულეში მოიყვანოს თავისი ფიცი. მალევე არ უნდა მისი მოკვლა. მალე პირისპირ შეხვედება, კიდევ კლავს მას და, ამასთან, გაიგებს, რომ მისი ეტაპიდან გამთავისუფლებელი დათიკო ყოფილა.

აქაა მოთხრობის დასასრული. აქვეა გახსნა გაბროს საიდუმლო განთავისუფლებისა და სიტყვებისა: „სანთელ-საკმეველი გზას არ დაჰკარგავსო“; აქედანვეა გამოაშკარავებული გაბრიელისადმი მწერლის დამოკიდებულებაც: შურისძიება გაბრიელისა გამართლებულია, სანთელ-საკმეველმა, მწერლის განსჯით, თავისი გზა არ დაჰკარგა — გაბრო გაათავისუფლა, რომ შეურაცხმყოფელი ბატონი მოესპო, შური ეძია.

მკითხველი მაინც არაა დაკმაყოფილებული. გაბროს შემდგომი ბედისადმი ის ისევე დაძაბული ინტერესითაა გაჰსკვალული. მწერალიც ამას კარგად გრძნობს და ნაწარმოების დასასრულში მკითხველის ამ ინტერესსაც აკმაყოფილებს. დაამთავრა გაბრომ თავისი თავგადასავლის განდობა ავტორისადმი, თავდება მისი სიცოცხლეც და განადგურებული გაბრო სიცოცხლის ამ უკანასკნელ წუთებში, სრულიად შემთხვევით, კვლავ ხდება თავის კეთილ მასწავლებელს, თვალისა და გონების ამხელ მღვდელს და მისგან იღებს შენდობას.

ამით მეტად მოხერხებულად, მომხიბვლელად იკვრება მოთხრობის რკალი. ეპილოგში მოცემული ასეთი დაბოლოება ერთგვარი დადასტურებაა პროლოგში მოკლული ირმისადმი ავტორის მიერ გულისტკივილით წარმოთქმული სიტყვებისა: „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა კვდები, სადაც დაიბადე: ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“...

გაბრიელი — გონიერი, ნიჭიერი, მშრომელი, მართალი კაცი, სადღაც შორს, უცხო მხარეში კვდება დევნილი, მშვიერ-მწყურვალი. მოთხრობის ამგვარი დასასრული მაქსიმალური დამაჯერებლობით ხსნის, პასუხობს თვით ნაწარმოების ეპიგრაფსაც: „რა ქნას კარგმა მონარდმა, დროზე შაში თუ არ მოვა“.

ილია ჭავჭავაძე თავისი ნაწარმოების შინაარსის ყოველ ხაზს

ასე მკიდროდ, ასე აზრიანად და ასეთი მხატვრული ზომიერებით ამთლიანებს კომპოზიციის რკალში.

## 5. „კაცია-ადამიანი?!“

„კაცია-ადამიანი?!“ ილია ჭავჭავაძის ტრილოგიის მესამე ფინალური ნაწილია. მისი იდეა ასეთია: — ბატონყმობამ, სხვისი (ყმის) შრომით ცხოვრებამ ბატონი დააკნინა, ფიზიკურად, გონებრივად და მორალურად გადააგვარა, პარაზიტად აქცია, ხოლო ყმა გლეხი — მუშა საქონლად, რომელიც, მწერლის ჩვენებით, ძალის მდგომარეობასაც კი შენატროდა — „ნეტავი შენ, რომ ძალლი ხარ. ნეტავი მეც ძალლი ვყოფილიყავ!“ ამ გარემოებამ, მწერლის დაკვირვებითა და გაგებით, ერის ცხოვრება დააგუბა და საშინლად ააშშორა.

მწერლის მიზანდასახულობაც ნათელია: საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ; საჭიროა ბრძოლა, რათა შრომა საყოველთაო ვალდებულებად გადაიქცეს, რათა ყველა ნაყოფიერად მოქმედებდეს.

აღნიშნული იდეა და მიზანდასახულობა მთელი სიცხადით და დამაჯერებლობით ელენთავს მოთხრობის ყოველ კომპონენტს, რომლებიც ასე მომხიბვლელად შექსოვილა მის კომპოზიციასში.

ეს ნაწარმოებიც აგებულია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი კომპოზიციისათვის დამახასიათებელი მიმართულებითა და ნიშნებით.

უპირველეს ყოვლისა, მკითხველის ყურადღებას იქცევს მოთხრობის სათაური — „კაცია-ადამიანი?!“. მკითხველს ასეთი სათაური უსათუოდ გააოცებს და თავის თავს შეაკითხვს: მაშ, რაა ადამიანი, თუ არა კაცი?! დაფიქრდება და მწერლის აზრს, ვფიქრობთ, დაახლოებით მიხვდება: ყველა ადამიანს არა აქვს უფლება თქვას, რომ ის კაცია. ცნება კაცი უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე ადამიანს ენება. რატომ ყოველი ადამიანი არ უნდა იყოს კაცი? მოთხრობის პირველი წაკითხვისთანავე ასეთი დამაფიქრებელი კითხვები მკითხველის ყურადღებასა და ინტერესს სათანადო მიმართულებას აძლევს, რათა მოთხრობის შინაარსის, იდეისა და ავტორის მიზანდასახულობის გაგებისათვის სწორი ხაზი აიღოს.

ამას გარდა, მოთხრობას წამძღვარებული აქვს დამაფიქრებელი ეპიგრაფი:

„ზოყვარეს პირში უძრახე,  
მტერს პირს უკანაო“.

„გონიერი ანდაზა“

ეს ეპიგრაფი მკითხველს აფროთხილებს, რომ იგი დააკვირდეს,

ჩასწვდეს მის დედაზრს, რადგან იგი, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — როგორც სხვა მრავალი ანდაზა, ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების, დაკვირვებისა და მის მიერ ყოველდღიურად შემოწმების შედეგია — პრაქტიკული ცხოვრების სიბრძნეა.

ამასთან, ეს ეპიგრაფი ზედმიწევნითი სიზუსტით ამჟღავნებს ილია ჭავჭავაძის არა მარტო „კაცია-ადამიანის?!“ იდეასა და მიზანდასახულობას, არამედ მთელი მისი შემოქმედებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ძირითად არსს.

ი. ჭავჭავაძეს, როგორც თავგამოდებულ მოქალაქეს, ამ ნაწარმოებში პირუთენელად, დიდი გაბედულებით სააშკარაოზე გამოაქვს საზოგადოებრივი ცხოვრების წინმსვლელობის შემფერხებელი უარყოფითი მოვლენები და შეურიგებელი მოურიდებლობით ებრძვის მათ.

„კაცია-ადამიანის?!“ აღნიშნული ეპიგრაფი მკითხველის გულისყურს კითხვის დასაწყისიდანვე გარკვეულ მიმართულებასა და განწყობას უქმნის.

ილია ჭავჭავაძე მოთხრობას იწყებს მისთვის დამახასიათებელი ხერხით, ესაა შესავალი — პროლოგი, წინასიტყვაობა, რომ მას „პირთან საქმე არა აქვს“, „საზოგადო კირზედა წერს“. მწერალი ხაზგასმით აცხადებს, რომ ამ ანდაზის გონიერი სიტყვების მთქმელია „ხალხის გენია“, რომელიც „შეუცთომელია და ყოველთვის მართალი“, რომელიც „გულს უკეთებს იმას, ვისაც „სხვისთვის“ გული სტიკია, მაშინაც კი უკეთებს, როცა თვით ის „სხვანივე“ თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულის-ტკივილსა“. „რა ვუყოთ?, — აღრმავებს ი. ჭავჭავაძე ეპიგრაფის შინაარსის გაგებას, — ზოგი გულის-ტკივილს იმით იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმით, რომ ცუდს უწუნებს“<sup>47</sup>.

ასეთი შესავლით ი. ჭავჭავაძემ მკითხველი დაარწმუნა, რომ საზოგადოებრივი სარგებლიანობის თვალსაზრისით პირში თქმა მეტი ღირებულების მქონეა, მაგრამ მან ეს პირდაპირ კი არა თქვა, არამედ საკითხის გადაწყვეტა საბოლოოდ მაინც მკითხველს მიანდო: „ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულის-ტკივილი და სიყვარული აქვს — ეს თითონ მკითხველმა გამოიცნოს“<sup>48</sup>.

ასეთი გზით, ავრეთვე მისთვის დამახასიათებელი ი გ ა ვ უ რ ი კლოთი, მწერალი მკითხველს თავისი შემოქმედებითი მეთოდის ხა-

47 ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 145—146.

48 იქვე.

სიათზედაც მიუთითებს და, ამასთან, თითქოს აფრთხილებს კიდევ, ფხიზლად იყოს წინამდებარე ნაწარმოების გაგება-შეფასებაში.

სიუჟეტის გაშლა მოთხრობაში მოდუნებულად მიმდინარეობს; ეს უდავოდ, ბუნებრივად შეესატყვისება მოთხრობის თვით ცენტრალური გმირების ცხოვრების მდგომარეობასა და მთლიანად მათი არსებობის მაჯისცემის რიტმს.

ნაწარმოების კომპოზიცია და, კერძოდ, მისი სიუჟეტის გაშლა, მართალია, აკინძულია ძირითადი მოქმედი პირების ერთ გარკვეულ, მათთვის დამახასიათებელ თვისებაზე — უძრაობამდე დასულ უმოქმედობა-უზრუნველობაზე, რაც წარმოადგენს. ამ ძირითადი მოქმედი პირების ცხოვრების თითქოს ცალკეული შემთხვევითი ეპიზოდების განსახიერებას, მაგრამ მკითხველი, როდესაც ჩაუკვირდება მათ, ნათლად და ადვილად გაიაზრებს, რომ ეს ეპიზოდები მჭიდროდაა შეკრული ერთ მთლიან სურათში, რომ ეს შემთხვევითი ეპიზოდები მათთვის ზედმიწევნით ტიპიურია და ისინი შინაგანი მთლიანობით ხასიათდებიან.

ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელია მკითხველის ერთბაშად შეყვანა თვით მოქმედების ინტერესში. ასეა ამ შემთხვევაშიც.

ამ მოთხრობაში ექსპოზიცია მეტად თავისებურადაა ჩაქსოვილი; ექსპოზიციას განეკუთვნება მოთხრობის VI—VII თავები — სუტკენინას შუაქაცობითა და მწვავე წინააღმდეგობით ლუარსაბის მიერ დარეჯანის შერთვა, და მოთხრობის I—II თავები — ლუარსაბის კარმიდამოს, სახლის, მისი დარეჯანთან „მყუდრო ცხოვრების“ აღწერა: ლუარსაბის, დარეჯანისა და ლამაზისეულის პორტრეტები.

სიუჟეტის ძირითადი ხაზი იშლება ორი მოწინააღმდეგე კლასის — ყმასა და ბატონს შორის ურთიერთობის საფუძველზე: ყმა შრომობს, ქმნის დოვლათს, რომლითაც მთლიანად, უპასუხისმგებლოდ სარგებლობს ბატონი, რადგანაც ის (ბატონი) უფლებამოსილია, ხოლო ყმა — უფლებააყრილი.

სიუჟეტის კვანძი მოცემულია მოთხრობის III თავში. ლუარსაბი მოინდომებს გამოიჩინოს ბატონის უფლება. დაარღვევს ჩვეულებრივ უმოძრაოდ ყოფნის მდგომარეობას, გამოვა აივანზე, დაუძახებს ყმა-მოურავ დათოს: ჯერ გამოჰკითხავს სადილ-ვახშმისათვის საჭმელ-სასმელი დაამზადა თუ არა და როდესაც მიიღებს დადებით პასუხს, შემდეგ შეეკითხება, თუ სამუშაოზე რამდენი ურემი გაისტუმრა. დათოს პასუხზე: „ოთხი საბატონო და ათი ბეგრი-საო“, ლუარსაბი შეჰყვირებს: „—რატომ ბეგრისა ხუთმეტი არ არის?“. თუმცა დათოს სამართლიანი რწმუნებით, თხუთმეტი საბეგ-

რო ურემი არასოდეს არ შებმულა, ლუარსაბი მაინც ჭიუტად გაიძახის: „...ჩუთმეტი უნდა ყოფილიყო. მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან“<sup>49</sup>. აი, აქაა სიუჟეტის კვანძი, აქედან იწყება ჩვენება, თუ როგორ ღრმადაა ფესვგადგმული ეს წინააღმდეგობა ბატონსა და ყმას შორის და რა მდგომარეობაშია მდგომარეობა მას როგორც ერთი (ბატონი), ისე მეორე (ყმა).

ამ ნიადაგზე ბატონებს (თათქარიძეებს) მტკიცედ უმუშავდებოდათ რწმენა, რომ რაც ცხოვრებისათვის საჭიროა, მზამზარეულად, უშრომლად უნდა მოსდიოდეთ მათ, ხოლო ყმები უნდა ცხოვრობდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ბატონები აცხოვრონ, უზრუნველყონ. ბატონებს (თათქარიძეებს) გამოუშუშავდათ ღრმა რწმენა, რომ ეს მდგომარეობა ურყევია არამტუთ სააქაოს, არამედ საიქიოსაც.

ბატონის ამ რწმენას მშვენიერად გვიჩვენებს ილია ჭავჭავაძე მთელი მოთხრობის მანძილზე, სხვადასხვა ჩართული ამბებითა და ლირიკული გადახვევებით. ნიმუშისათვის ავიღოთ ელისაბედი; ლუარსაბის ძმის, დავითის ცოლი, მოიტანს ამბავს: ხმა გავარდნილა, ვითომც კარაბადინში ამოუკითხავთ, რომ თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათო. ასეთი ხმებით აღშფოთებული ლუარსაბი წამოიძახებს: „ხმა გავარდნილა, მე ვიცი, თათქარიძობას წამართმევენ! შარშან კი არ იძახდნენ, რომ საიქიოს ბატონები ყმებად შეიცვლებიანო, ყმები ბატონებადაო, — ვენაცვალე ღვთის მადლს, იქაც ისე არიანო ბატონი ბატონადა, ყმა ყმადაო, როგორც აქა. ინგლისის ხელმწიფეს. ბარათი ჩამოუგდიაო ფრანგის ხელმწიფისათვის, რომ „ნუ გეშინიანო, მეცა და ჩემს დიდკაცობასაცაო აქ უფრო დიდი პატივი გვაქვსო, მინამ მანდაო. ნუ დაიჯერებო, რასაც მანდ ყბედობენო“<sup>50</sup>. ასეთივე აზრისაა კნენა დარეჯანიც, რომლის მტკიცებითაც — „რასაკვირველია, ეგ აგრე იქნება: ბატონობა ღმერთს დაუწესება და თვითონვე ღმერთი რად მოშლის?“.

ასეთ შეგნებასთან ერთად ბატონებში ბუნებრივად გამომუშავებულია მტკიცე რწმენა, რომ ბატონმა არ უნდა იმუშაოს, თავისი შრომით არ უნდა იცხოვროს, სწორედ ამით განსხვავდებიან ბატონები ყმებისაგან, რომელთა დანიშნულებაც იმაშია, რომ იმუშაონ და თავიანთი შრომით ბატონები აცხოვრონ.

დათო მოურავის დატუქსვის შემდეგ, გადმოგვცემს ავტორი, თავისი ამგვარი საქციელით კმაყოფილი ლუარსაბი სახლში შევიდა. კნენა დარეჯანსაც მოეწონა ქმრის ასეთი ქცევა, თანაც ბიბლია დაეძოწა და ასეთი სიტყვებით მიმართა ქმარს: „ეგრე შენი ჭირიმე...

<sup>49</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 162, 1926 წ.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 183.

ეგრე უნდა. მას აქეთ, რაკი ევამ ადამი შეაცდინა, მას აქეთ ნაბძანე-  
ზია ღეთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ეჭამოთ“. შემფო-  
თებული ლუარსაბი უქმაცოფილოდ შეაწყვეტინებს დარეჯანს: „—ეგ  
თავადებზედ ხომ არ არის ნათქვამი, გლეხებზედ არის ნათქვამი,  
გლეხებზედ“<sup>51</sup>.

მოქმედების განვითარებაში ნიჰიერადაა ჩაქსოვილი ჩა რ-  
თ უ ლ ი ა მ ბ ე ბ ი, პ ო რ ტ რ ე ტ ე ბ ი, ავტორისეული დახასი-  
ათებები, ლირიკული გადახვევები, რაც ლუარსაბისა და დარეჯანის  
ყოველდღიურ ცხოვრებას თვალსაჩინოდ გვიხატავს — მოქმედ  
პირთა ნამდვილი ზოლოგოიური ცხოვრების გაშიშვლების ფონზე,  
ეჩენება ეს საუბარი სმა-ჭამაზე, ცრუმორწმუნეობის ნიადაგზე შექმ-  
ნილ ლეგენდებზე, ქალაქის შესახებ ელისაბედის მიერ მოტანილ  
სხვადასხვა ჭორებზე, ყმების ჩამორთმევის ხმებზე, თუ უშვილობას  
დარდი, ზრუნვა შვილის ყოლაზე; მკითხავის რჩევით თელეთში  
ლოცვა, ლუარსაბისა და დარეჯანის მტრობა და შური ძმის — დავა-  
თისა და რძლის — ელისაბედისადმი; ამ ნიადაგზე გამძაფრებული  
ტკივილი (რაც ერთ-ერთი მთავარი მოტივია „კაცია-ადამიანის?!“ სი-  
უუეტისა); ხვეწნა ლუარსაბისა და დარეჯანისადმი — „შობოს შვილი“,  
რომ დავითმა და ელისაბედმა არ გაიხარონ, რომ მათ არ დარჩეთ მათი  
ქონება; თუ ლუარსაბის სიზმარი, რომელშიც როგორც ფოკუს-  
ში, მძაფრადაა შეკრული დამახასიათებელი ნიშნები ლუარსაბ-და-  
რეჯანის ცხოვრებისა, მსოფლმხედველობისა, ბატონყმობის საფუძ-  
ველზე შექმნილისა და განვითარებულისა.

სიუჟეტის განვითარება თავის უმაღლეს დამახულობას აღწევს,  
როდესაც დარეჯანი ლუარსაბს გაანდობს, რომ მას მ უ ც ე ლ შ ი  
ბ ა ვ შ ე მ ა გ ა უ ჩ უ ჩ უ ნ ა. აქაა სიუჟეტის კულმინაცია. ეს იშ-  
ვიათი ოსტატობით აქვს მოცემული ავტორის ცოლ-ქმრის დიალოგ-  
ში და ლუარსაბის სიზმარში. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს ილია  
ჭავჭავაძის შემოქმედების დამახასიათებელ თვისებას — კ უ ლ მ ი-  
ნ ა ც ი ი ს გ ა ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ე ე ბ ა ს.

„—მართლა ვაგიჩუჩუნდა?“ — წამოიძახა სიხარულისაგან გო-  
ნებამიხდილმა ლუარსაბმა.

— რას ამბობ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!.. დარბაისელი დე-  
დაკაცი სიხარულისაგან კინაღამ არ შევხტი, მაგრამ მომაგონდა, რომ  
მუცელი წამიხდება-მეთქი, — და შენ მაინც კიდევ არ გჯერა.

— უი, შენ კი ჩაგეკონე მაგ გემრიელ სულში! ბარაქალა, რომ  
არ შეხტი. თორემ მუცელი წაგიხდებოდა. იმ სიხარულში ეგ რო-  
გორდა, მოგაგონდა! შე კი — შე და ჩემმა ღმერთმა — შევბტებოდი,

<sup>51</sup> ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, ტ. II, გვ. 163, 1926 წ.



შერე ისე შევხებოდით, რომ დავცემულიყავი — კიტრივით გავსკდებოდი. დაუდგეს თვალი დავითსა! ფერხული აბა ეხლა დაუაროს, აი! მაშ, დღეს მე და შენ ერთი კაი წითელი ღვინო ავახდევინოთ, რომ შვილის სადღეგრძელო დავლიოთ!“<sup>52</sup>

ლუარსაბი და დარეჯანი, შვილის მოლოდინით გაბედნიერებულნი, მართლაც, კარგად გამოთვრებიან და ლუარსაბის წინადადებით ცეკვასაც გამართავენ, ვითომც შვილის ქორწილში არიან.

„— ეხლა, დარეჯან, შვილის ქორწილში ლეკურს არ ითამაშებ?“  
— რატომ.

— ჰო, გეთაყვანე! მოდი, იცი, რა ვქნათ? მითამ ეხლა ქორწილია: აბა ერთი... ერთი შენებური დიდოური... მე „განდიდურს“ დაგძახებ. თუ გიყვარდე, აი! მითამ ქორწილია. თუნდა ლეკური იყოს, ჰა! მე „პაწაწინა ნიგვზის ტოტს“ დაგძახებ. ჰა და პაწაწინა ნიგვზის ტოტი! პაწაწინა ნიგვზის ტოტი! ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი დარეჯანსა!... ურაა!... აი, გიდი!... ქუდი ჭერში!... კახური კა... ცის... ჭი... რი... იი... მეე... დავითსაც... თვალმც... გამოს... ძრო... მია... ურაა! ყოყინებდა სიპლერის ხმაზედ გაბრუებული ლუარსაბი, ჰბოდავდა რალაცეებსა და ამ ბოღვაში ჩაეძინა კიდეც“<sup>53</sup>.

ამ ცრუ ილუზიით მთავრდება ლუარსაბისა და დარეჯანის დაუძღვეელი სურვილიც, მიზანიც და მასთან ერთად, მათი ცარიელი, უშინაარსო და მუქთი ცხოვრებაც.

მწერალი დიდი ოსტატობით აქვე იძლევა კვანძის გახსნასაც. აქაც კულმინაციას ემთხვევა კვანძის გახსნაც, რაც ასე დამახასიათებელია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კომპოზიციისათვის.

აქ სვამს რა წერტილს, მწერალი გადადის მოთხრობის დასასრულზე: „გაიარა რაოდენმამე ჟამმა და წუთისოფლის დაუდგრომელმა ბრუნვამ ბევრი რამ გამოსცვალა დედამიწის ზურგზედ. ამათ შვილი არ მიეცა. დარეჯანმა ერთი აქიმი დედაკაცი იშოვა და წამლობა დაიწყო. აქიმმა დედაკაცმა ერთი რალაც წამალი მისცა. მთელი ორი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა.

დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი. წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა. თავისი ბედნიერება სულ დარეჯანთან დამარხა... ერთი სიტყვით, წახდა საწყალი კაცი... ბოლოს ფერისცვალობის დღეს, რა-

52 ი. ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, ტ. II, გვ. 225—256, 1926 წ.

53 ი ქ ვ ე, გვ. 256.

ლაც ეშმაკად, ნათლი-მამამ ნახევარი ლიტრა კალმახი მოართვა. ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიიძღა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონსა“<sup>54</sup>.

ასე დამთავრდა ამბავი ლუარსაბისა და დარეჯანისა. მაგრამ ავტორი გრძნობს, რომ მოთხრობის კომპოზიციური რკალი არ შეკრულა. ამიტომ ის მოთხრობას ურთავს ბოლოსიტყვაობას, ეპილოგს. —ავტორის განმარტებას თუ, უფრო სწორად, დამატებას და, უდავოდ, საჭირო დამატებასაც, რაც მოხდენილად ამთლიანებს მოთხრობის კომპოზიციის ერთიან რკალს.

აქაც მკაფიოდ იჩენს თავს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სტილური ნიშანი: ავტორის ჩვეულება ნაწარმოების იდეა და მიზანდასახულობა მკითხველამდე ამომწურავი სისრულით დაიყვანოს, კომპოზიციის მრუდი მტკიცედ შეკრას, დასასრული ბუნებრივად შეუსატყვისოს დასაწყისს, — დასასრულში დაუბრუნდეს იმავე დებულებას, იმავე ან მსგავს მდგომარეობას, რომლითაც ნაწარმოები დაიწყო („გლახის ნაამბობი“, „განდგეილი“, „აჩრდილი“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „ქართვლის დედა“, „სარჩობელაზედ“, „ოთარაანთ ქვრივი“). ასევეა მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“: „მოკვდა ლუარსაბიცა ისე, — ათავენს მწერალი, — როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენთაგანი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმე ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ.

წაიშალა ამ ორ გვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა... ნუ თუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფაქვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა?.. სხვა ხომ არაფერი ჯვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ“<sup>55</sup>.

რა არის ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრების ასე სამარცხვინოდ დასრულების მიზეზი? — ეს კითხვა თავისთავად ისმის მკითხველის წინაშე და პასუხიც, წინა, დაუფარავი ჩვენების მიხედვით, აშკარადაა მოცემული: — ლუარსაბისა და დარეჯანის მზამზარეული, სხვისი — ყმის შრომით მიღებული ცხოვრება, რაც იწვევდა უმოქმედობას, უზრუნველობას, რაც ჰკლავდა ადამიანში უნარს შრომისას, ზრუნვისას, სიფხიზლისას, იწვევდა გარემო ცხოვრების პირობებში გაურკვეველობას, სპობდა ადამიანში ყოველგვარ ინტერესს. — ამისი მიზეზი ბატონყმობის ინსტიტუტი იყო. მკითხველსაც აქედან გარკვეული განწყობილება და დასკვნა გამოჰქონდა. ბატონყმობა

54 ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 257, 1926 წ.

55 იქვე, გვ. 257—258;

უნდა მოისპოს, რომ ცხოვრება გაჯანსაღდეს, ადამიანი, მართლაც, კაცად იქცეს. მკითხველისათვის მოთხრობის ეს იდეაც და ავტორის მიზანდასახულობაც აშკარადაა შთამაგონებელი.

მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ი. ჭავჭავაძეს სურს თავისი მიზანდასახულობა ამომწურავად, გაშიშვლებულად დაიყვანოს მკითხველამდე და მოთხრობის ყველა კომპონენტი მტკიცედ შეეკრას. ამ მიზნით ის აგრძელებს ბოლოსიტყვას: „მე გავათავე და შენ, რაც გინდა ჰქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ...“

ამისთანა სასაცილო ამბავი უფრო ხშირად უნდა გატირებდეს შენა, თუ არა და იცინე, რამდენიც გენებოს. იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ...“<sup>56</sup>.

ამასთან, ი. ჭავჭავაძეს სურს მკითხველს მისცეს მოთხრობის დასაწყისში მოცემული ეპიგრაფის — „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“ — თავისებური გახსნა, რასაც მოთხრობა თავისი შინაარსით ადასტურებს, და ამიტომ კვლავ ასე აგრძელებს ბოლოსიტყვას:

„ზოგი გულისტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც კო უქებს, ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში, რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულისტკივილი და სიყვარული აქვს — ეს თითონ მკითხველმა გამოიცნოს... ესეც იცოდე: მართო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რაცა მქონდა, ის მოგართვი, როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე. თუ მაინც-და-მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა“<sup>57</sup>.

ასეთი ბოლოსიტყვით ილია ჭავჭავაძე მკითხველს უადვილებს, რომ სათანადო პასუხი გასცეს დასმულ კითხვას, შეგნებულად ჩაწვდეს „კაცია ადამიანისი!“ იდეასა და მიზანდასახულობას.

## 6. „სარჩობელაზედ“

„სარჩობელაზედ“ ილია ჭავჭავაძემ დაწერა 1878—79 წლებში. ხოლო დაბეჭდა ჟურნ. „ივერიის“ 1879 წ. № 2-ში. როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც ესაა ხანა საზოგადოებრივი აღმაშენების დიდი დაჭიმვისა, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების

<sup>56</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 258—259, 1926 წ.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 259—260.

საგრძნობლად ფეხმოკიდებისა, გლენთა გაღვიძება-დარაზმვისა, ფართო აჯანყებათა, არსებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ძირმომპალობის მწვავე შეგრძნებისა და მის ახალ, სამართლიან საფუძვლებზე გარდაქმნის მძლავრი სურვილისა.

ილია ჭავჭავაძემაც ხომ თავისი მოღვაწეობის დასაბამიდანვე ძალუმად განიცადა ქვეყნის ახალი გზის ძიების ტკივილები. ამიტომ, ბუნებრივია, ის თავისი მხატვრული შემოქმედებითაც ეხმაურებოდა თანადროულობის ამ მწვავე საკითხს. ეს გამოსხაურება ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელი სიღრმითაა მოცემული მოთხრობაში „სარჩობელაზედ“.

მოთხრობის იდეაა ის, რომ არსებული კანონმდებლობა არ შეესატყვისება დანაშაულს. დანაშაულის მიზეზი „დამნაშავე“ კი არ არის, არამედ „დამნაშავის“ გარშემო არსებული პირობები, საზოგადოებრივი წყობილება თუ საზოგადოებრივი ურთიერთობა.

მწერლის მიზანდასახულობაა, რომ არსებული საზოგადოებრივი წყობილებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი მკითხველში გამოიწვიოს უარყოფითი დამოკიდებულება და მისი ახალი, სამართლიანი ცხოვრების საფუძველზე გარდაქმნის სურვილი.

მოთხრობა „სარჩობელაზედ“ ტიპიური ნოველაა თავისი კომპოზიციით. ილია ჭავჭავაძემ ამ ნაწარმოებით ნოველის ჟანრი, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ჯერ კიდევ ძველ ქართულ ლიტერატურაში („სიბრძნე სიცრუისა“, „რუსუდანია“ და სხვა), XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულში აღადგინა და სათავე მისცა მის მძლავრ განვითარება-აღორძინებას 80—90-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში.

ნოველის ჟანრი ჩვენს ლიტერატურაში 90-იანი წლების დასაწყისიდანვე შიო არაგვისპირელის შემოქმედების სახით მკვიდრდება როგორც ერთ-ერთი გაბატონებული ჟანრი. იქმნება მთელი პლყადა ნოველისტებისა: ა. დეკანოზიშვილი, თ. ზუსკივაძე, ივ. ზურაბიშვილი, ილ. ზურაბიშვილი (ელეფთერიძე), ნატო და სხვანი, 90—900-იან წლებში ნოველის ჟანრი გამოყენებული აქვთ სოფრ. მგალობლიშვილს, ეკ. გაბაშვილს, ია ეკალაძეს და სხვებს.

ნოველა „სარჩობელაზედ“ ი. ჭავჭავაძის სტილისათვის დამახასიათებელი შეკუმშულობითა და სიტუაციათა მოულოდნელობით ხასიათდება. მასში მოცემული სიუჟეტის ექსპოზიციას წარმოადგენს: ლოჭინის ხევი, მეურმეები თბილისისაკენ მომავალნი, ბავშვების—ძმების გამოჩენა, პეტრეს მიერ მათი გულთბილი მიღება-გამასპინძლება, ზრუნვა მათზე.

სიუჟეტის კვანძი უშუალოდ მოსდევს ექსპოზიციას, როდესაც განთიადისას მეურმეები აიშლებიან, პეტრეც გაიღვიძებს და დაინახავს, რომ ბავშვები — ძმები აღარსად ჩანან: „ვאי შენ, ჩემო თავო! — დაიძახა ბებერმა პეტრემ, რაკი გული დააჯერა, რომ ყმავწილები გაპარულან, — აკი არ მომატყუეს ეს ღროული კაცი! გაპარულან!.. წაილებდნენ რასმე!

იკრა პეტრემ ჯიბეს ხელი და ორივე მოჭრილი ჰქონდა, კეთილმა ბერიკაცმა გულნაკლულად ჩაიცინა.

„აკი იმ ძუძუმწოვრებმა არ გამქურდეს ეს ღროული კაცი! — სთქვა ღიმილით და თავილითაც პეტრემ“<sup>58</sup>.

აქაა მოცემული მოთხრობის სიუჟეტის კვანძი — კონფლიქტი მოხუც პეტრესა და ბავშვების მოქმედებას შორის.

ბავშვებმა რატომ გაქურდეს პეტრე, რომელმაც მათ ასეთი ნზრუნველობა გაუწია? — კითხულობს გაუჩინარებული ბავშვების ვინაობითაც და ამ ბავშვების საქციელისადმი პეტრეს დამოკიდებულებითაც გაოცებული, დაინტერესებული მკითხველი.

აქ ფარდა ეშვება.

გადის ოთხი წელიწადი და კიდევ გამოჩნდება კეთილი პეტრე, თბილისისაკენ მიმავალი შვილის ურემზე მჯდომი (ცნობილი შემთხვევის გამო მან მეურმეობაზე ხელი აიღო).

ქალაქში პეტრეს ერთი დღის ცხოვრებაში ერთი მოვლენა, ერთი სიტუაცია არაჩვეულებრივი სისწრაფით იცვლება მეორეთი. პეტრე ავლაბრის მოედანზე გაიგებს, როდესაც ზარბაზანი გავარდება, მახათას მთაზე კაცს ჩამოახრჩობენო. პეტრეს თუმცა არ სჯერა, რომ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს, ალბათ, ქალაქელი ბიჭების ჯამბაზობა იქნებო, ფიქრობს, მაგრამ მაინც მიეშურება დანიშნული ადგილისაკენ.

პეტრეს გაკვირვება მახათას მთაზე ნახულით და მისი ეჭვები, ჩამოსახრჩობი ბიჭის სახე, პეტრეს თითქოს რომ ეცნო, ჩამოხრჩობის პროცესი: ფარაჯაში გახვეული ბიჭის სახრჩობელასთან მიყვანა, მოხელე-მოსამართლის მიერ ქალაქის წაკითხვა და მღვდლის ჩალაპარაკება ბიჭისადმი, წითელპერანგა ჯალათი, სარჩობელას ყულფის გასწორება, სარჩობელასთან კიბის მიდგმა, ბიჭის თავის გაყოფინება ყულფში, კიბის გამოცლა და ხელისკვრა — ყველა ეს პერიპეტია დინამიკურად იშლება.

პეტრეს მაინც არა სჯერა, განსაკუთრებით, როცა დაინახა, რომ

58 ი. ჰავჭავაძე, ტ. III, გვ. 7—8, 1926 წ.

დამსწრე ხალხი ჩამოხრჩობის პროცესის დამთავრების შემდეგ ყრ-  
ამულით დაიშალა, თითქოსდა არაფერი მომხდარაო.

გაურკვეველი პეტრე ღუქანშია; ნაბღიანი ბიჭი, მახათას მთა-  
ზე პეტრეს ახლო რომ ტრიალებდა, ღუქანში შედის და თავჩალუ-  
ნული რალაცას წერს (პეტრეს თითქოს ესეც ეცნო).

დაუკმაყოფილებელი პეტრე ღუქნიდან გამოდის. ნაბღიანი ბი-  
ჭი მას გზაში დაეწევა, წერილს ხელში ჩაუდებს შემდეგი სიტყვე-  
ბით: „დღევანდელ ამბავს ამ წიგნიდან შეიტყობო“. პეტრე ტანჯუ-  
ლის ხმით შესძახებს: „ბიჭო, ვინა ხარ? სახელს მაინც მეტყობო“,  
რასაც მოსდევს უცნობი ბიჭის პასუხი: „წიგნი გეტყვის, წიგნი“.

უცნობი ბიჭის წერილი ავლენს ამ ნოველის სიუჟეტის განვი-  
თარების კულმინაციასაც, და, ამასთან, კვანძის გახსნასაც. კულ-  
მინაცია და კვანძის გახსნა აქაც ერთმან-  
ეთს ემთხვევა.

აღვნიშნოთ მეტად ორიგინალურად შექმნილი ამ სიუჟეტის  
განვითარების ხერხი:

„დღეს რომ ყმაწვილი ბიჭი დაარჩეს, ჩემი ძმა იყო... — ვკით-  
ხულობთ წერალში, — მამა-ჩვენი ერთი ღარიბი აზნაურიშვილი  
იყო. როცა მოკვდა, ჩვენ ორნი ძმანი პატარები დავრჩით. დედა მა-  
ლე გაგვიტხოვდა, შეირთო ერთი ვიღაც აზნაურიშვილი, ქალაქში  
ღსახურობდა, რაც მამისაგან დედულ-მამული გვექონდა, — ცოტა,  
მაგრამ იმოდენა, რომ ტკბილის ლუკმის ილაჯი გვექნებოდა — სულ  
მამინაცვალმა წაგვართვა, დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ  
ცარიელზედ დაგვსვა. მინამ პატარები ვიყავით, ჩვენ სოფლად ვე-  
ყარენით უპატრონოდ და ისინი კი ქალაქში იყვნენ. როცა მოვიდ-  
ოდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა. შიშველ-  
ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი ვეხეტებოდით სოფლის ორღობე-  
ებში უპატრონოდ, ბიჭი იყო შინა-მოსამსახურე, ჩვენა გვეცემდა,  
მამინაცვალი იყო, ჩვენა გვეცემდა, ყველანი შინაურები, ვისაც კი შე-  
ეძლო, გვიტყაპუნებდნენ თავში. ბევრს უცხოს, მართალია, ვეცოდე-  
ბოდით საწყალი ობლები, მაგრამ შეველა კი არსად იყო. ბოლოს, რომ  
ცოტა წამოვიზარდენით, მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდან, მიგვა-  
ბარა სალდათის შკოლაში თუქურმიშაზედ. ვაიდან ვუთში ჩაგვაგ-  
დო. აგვიყროლეს სული რუსულის ლანძღვითა და თრევითა, ამო-  
გვართვეს სული ცემა-ტყეებითა, ვითმინეთ და ვედარ ავიტანეთ.  
დავკარით ფეხი და გამოვიქეციით, შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვე-  
ნის ძველის სახლიდან ბიჭებმა გამოგვყარეს, ერთის ღამის ბინაც  
არ მოგვცეს. გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ  
უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთჯისტომოდ. ვის

შესტივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ. გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზე გულამღვრეულნი გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა, რომ თვალნათლივ გვძარცვდნენ. არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო... დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთად-ერთი ძმა, ერთად-ერთი კეთილისმყოფელი კატის კნუტსავით ჩამომირჩხეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით მე კი ვუყურებდი და ვიწოდო... არ შეგარჩინო, არა, ამ ამბავს, ყველამ უნდა მიზღვას ჩემი დანაკარგი... მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით... შენმა გულკეთილობამ რომ ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კინალამ არ დამიმორჩილა, აქამდის კიდევ გულში მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი, ისიც გაქრება, ვიცი. განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“<sup>59</sup>.

მეტად მძიმე, დაძაბულ ხაზებსა და პირობებში გაიხსნა ლოქინის ხევში ასე მახვილად გაკვანძული ამბავი. სიუჟეტის განვითარებაც დამთავრდა.

მოთხრობის კომპოზიციის განვითარების მრუდი რომ შეკრას, ილია ჭავჭავაძე მოხდენილ დასასრულს აძლევს ნოველას, თავბრუდასხმული პეტრეს ამონაკვენესით „მე რა შუაში ვარ!“ უფრო შთამაგონებლად რომ გახაზოს ნაწარმოების იდეა და მიზანდასახულობა და მათზე მკითხველიც რომ უფრო ძლიერად ჩააფიქროს, მწერალი გამაფხიზლებელ აკორდსავით, თითქოს მკითხველისადმი შეკითხვის სახით, დასძენს: „მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს!..“<sup>60</sup>.

თავბრუდახვეული მკითხველიც, ამ ობოლი ბიჭების ცხოვრების მძიმე სინამდვილის გაგებით სევდიანად ჩაფიქრებული, შეეცდება გაერკვეს, რა შუაშია პეტრე ან სხვა ყველა, რომელთაც ჩამოხრჩობილის უმცროსი ძმა ასე გულამღვრევითა და გულახდილად ადანაშაულებს. ის დაჭიმული გულისყურით გადაიკითხავს წერილსა

<sup>59</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 19—23, 1926 წ.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 23.

და, როგორც დამსახურებულ საყვედურს, წერილიდან ამოიკითხავს შემდეგ სიტყვებს: „განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიყვანე ის სარჩობელამდე!“ და თუ ის თავის თავს თვლის საზოგადოების ერთ-ერთ წევრად (ხოლო სხვანაირად არც შეიძლება), მაშინ ის მთელი სიღრმითა და სიგანით იგრძნობს ნამდვილი მოქალაქის პასუხისმგებლობას და ძალუძად აღიჭურვება სურვილით ხელი შეუწყოს, იბრძოლოს ცხოვრებისა და საზოგადოების გარდაქმნისათვის სამართლიან, ჰუმანურ საფუძველზე. მაშინ სახრჩობელაც, სიკვდილით დასჯაც აღარ იქნება პრაქტიკაში. ამაშია ამ ნაწარმოების იდეაც, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც და მწერლის მიზანდასახულობაც.

## 7. „განდეგილი“

პოემა „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძის მდიდარ შემოქმედებაში ერთი საუკეთესო ნაწარმოებია როგორც ღრმა ფილოსოფიური შინაარსით, ზოგადკაცობრიული აქტუალური საკითხების მოხდენილი გადაჭრით, ისე მათი მაღალმხატვრული განსახიერებით. პოემა „განდეგილის“ მიმართ თამამად ითქმის ის, რასაც ილია ჭავჭავაძე წერს აკაკი წერეთლის მიერ ქ. თბილისში 1882 წელს წარმოთქმული სიტყვის შესახებ: „კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, —ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტუარფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან“<sup>61</sup>.

პოემა „განდეგილის“ იდეაა ცხოვრების არსისა და ადამიანის დანიშნულების ჩვენება, ცხოვრებასთან უშუალო მჭიდრო ურთიერთობაში კაცი პოულობს სიცოცხლის აზრსაც, თავის დანიშნულებასაც და სიცოცხლის სიტკობებსაც. ამიტომ კაცი ცხოვრებას ვერ გაეჭყევა და არც უნდა გაეჭყეს. ცხოვრების გარეშე კაცი ვერ განიცდის ვერც კმაყოფილებას, ვერც სიხარულს, „ცხოვრების გარეშე კაცის სიცოცხლე უაზროა, ფუჭია, უნიადაგოა“.

მიზანდასახულობა: მხოლოდ ცხოვრების არსის სწორ გაგებაში და მისდამი აქტიური მოქმედებით დამოკიდებულებაში უნდა ეძებდეს პიროვნება თავისი დანიშნულების გაგებასაც და სულიერ დაკმაყოფილებასაც.

პოემა „განდეგილი“ მთლიანად აგებულია ორი მოწინააღმდეგე,

61 ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 253; 1927 წ.



შეურიგებელი მსოფლმხედველობის — ცხოვრების კულტისა და ცხოვრების უარყოფის — დაპირისპირების საფუძველზე. განდგეილი კმაყოფილებას, სიბარულის განცდას ეძებს ცხოვრებიდან გაქცევაში, მწყემსი ქალი კი, პირიქით, — მხოლოდ უშუალოდ ცხოვრებაში მოქმედებით, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში.

პოემის დასაწყისშივე გაშლილია ექსპოზიცია, რომელშიც მოცემულია თითქოსდა ცხოვრების განაპირა ზღვარზე მდგომი მიუდგომელი „დიდებული მთის — მყინვარისა“ და მასში არსებული გამოქვაბულის — მთიელთა შორის განთქმული წმინდა მონასტრის — ბეთლემის აღწერა (თავები I—II); განდგეილის განდგომა ცხოვრებისაგან, სადაც, განდგეილის ცალმხრივი გაგებით, „მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მის ეშმაკისასა; სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-და-ღამ, ვითა მპარავი და მტაცებელი... სად რყენა, წაწყმედა და ღალატია, სადაც ძმა ხარობს სისხლსა ძმისასა, სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის წმინდა სიყვარულს მოყვასისასა... სად თვით სიტურფე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა“<sup>62</sup> (თავი III); განდგეილის ცხოვრება ბეთლემის მონასტერში, მისი ლოცვა, მარხვა, გვემა და ცრემლი (თავი IV).

აქვე, ექსპოზიციაში, მოხდენილადაა ჩაქსოვილი განდგეილის სიცოცხლის ნიშანწყალდაკარგული (როგორც სულიერად, ისე ხორციელად) მკვეთრი პორტრეტი:

„არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს  
სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა,  
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი  
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.  
სახე გამხდარი, კუშტი და მწყარალი  
სიწმინდის მაღლით დაჰმშვენებოდა,  
და მაღალს შუბლსა, ნაოქად შეკრულს,  
შარაკანდელი გადაჰფენოდა.  
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება.  
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,  
თითქო მათშიგან ჩასახებულა  
თვით სათნოება, კდემით მოსილი;  
თითქო ნელისა სიხარულითა  
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან  
და სულთან ერთად უფლისა მიმართ.  
სასოებითა მიისწრაფიან.  
ლოცვით და მარხვით ხორც-უძღურ-ქმნილი  
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,

62 ი. პ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 197, 1925 წ.

მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვით ზედა  
ძლევით მოსილსა და განდიდებულს“<sup>63</sup>.

განდეგილის გარეგნობის აღწერა ილია ჭავჭავაძეს მოცემული აქვს მეტად ტიპიურ ხაზებში, ისეთ სახეებში, როგორც ეს შემონახულია ქართულ მდიდარ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში.

ღმერთსაც შეუწყნარებია მისი ვედრება, ლოცვა, ცრემლი და, ნიშნად შეწირვისა, „მლაღადებელზედ მოუვლენია“ სასწაული.

„ოდეს უღაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ  
მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,  
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში  
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.  
როს პლოცულობდა, იმ სხივსა თურმე  
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,  
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი  
უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა“.  
(თავი VI).

განდეგილი თავის სიწმინდეს ყოველდღე ამ სასწაულით ამოწმებდა და ბედნიერი, კმაყოფილი თავისი ხვედრით, ყურადღებას არ აქცევდა „ჟამთა ცვლას“: ასეთ მშვიდ, უმოქმედო მდგომარეობაში მიჰქროდნენ „დღენი და წელნი“. განდეგილი თავისი სენაკიდან გულგრილად გადასცქეროდა კავკასიონის დიდებული ბუნების სურათს (თავი VII).

უცებ ატყდება ჭექა-ქუხილი, „ელვა და სეტყვა“. ცა დაბნელდება, ქარი „ზარით და ზათქით კლდეებში“ დაქრის —

„თითქოს ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვისს  
დღეს მას საშინელს განკითხვისასა“  
(თავი VI i).

ბუნების ეს მოულოდნელი გარდატეხა, ბუნებაში მომხდარი სტიქიური წინააღმდეგობა მშვენიერი კო მ პ ო ზ ი ც ი უ რ ი გა და ს ვ-  
ლ ა ა ე ქ ს პ ო ზ ი ც ი ი დ ა ნ ს ი უ ე ე ტ ი ს გა კ ვ ა ნ ძ ვ ა ზ ე. იგი თითქოს მკითხველს ამზადებს, აგრძნობინებს მას რაღაცა უჩვეულო ამბის, რაღაც კატასტროფული მდგომარეობის შექმნას. ბუნების ატეხილი სტიქიით შეძრწუნებული განდეგილი, ხელაპყრობილი იდგა ხატის წინ და, შეშინებული, უილაჯო, ღმერთს „წაწყმედისაგან ქვეყნის ხსნას“ ევედრებოდა, ამ დროს

63 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 198—199 (თავი V).

„უცებ მოესმა რაღაც კაცის ხმა...  
ეოცა ეს ხმა უჩვევი მწირსა“.

შეშფოთებული განდგეილი კარგად არჩევს, რომ ეს ხმა არის ვიღაც სულიერისა, რომელიც შესაფარებელ ბინას თხოვს. თავზარდაცემული, აღელვებული, იგი მთხოვნელს ეკითხება:

„—ვინა ხარ? კაცი, თუ მავნე,  
აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“

და გარკვევით გაიგონა რა კაცის ხმა, რომელიც, თითქოს ქალის ხმას ჰგავდა, განდგეილი „შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან“ და შავმა ეჭვმა შეიპყრო იგი:

„ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა  
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?  
და ვითა ელვამ, ამისმა ფიქრმა  
გულში ზარცემით მწირს გაურბინა“

(თავი XI).

აქ მტკივნეულად იკვანძება კონფლიქტი სააქაოსა და საიქიოს, რეალურსა და ირეალურს, სინამდვილესა და მისტიკას შორის, რომელიც გადადის მწვავე ბრძოლაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეულაბნოე იხილავს „ნაზად, ამაყად, ვით შინდგრის შველის ყელმოდერებით მჭდომ ყმაწვილ ქალსა, სავსეს შვენების ჯადოთი, გრძნობით“.

აქედან მოქმედების განვითარება იწყება არაჩვეულებრივი დინამიურობით, სიმწვავეით.

ბრძოლა რეალურ და ირეალურ ცხოვრებას შორის რომ უფრო გააღრმავოს, რეალურმა, დასაბამმა რომ დაძლიოს ირეალური, ილია ჭავჭავაძე მოხდენილად ჩაუთავს მწყემსი ქალის მიმზიდველ დანასიათებას, მის პორტრეტს:

„თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს  
ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,  
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა  
თავის სიცხოვლის გამომსახველად.  
მაშინაც ვინ სთქვას, — ვინ ვის აშვენებს,  
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა...  
თვით შური, მტრობა ვერ უბოვიდა  
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.  
ვის თვალთა ელვით, დაწვთა შუქვით,  
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..  
დახე მის ტუჩთა!... თითქო თვით ტრფობას

თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს,  
ვის არ მოიხზობს, მოინადირებს  
ყოვლად ძლიერი მშვენიერება..“

(თავი XIII).

კომპოზიციის მთლიანობისათვის, მასში სათანადო შინაგანი სიმეტრიის შექმნისა და დაცვისათვის, დაპირისპირების იმ ხერხისათვის, რომლის საფუძველზეც შლის მწერალი პოემის სიუჟეტსა და იდეას, მწყემსი ქალის ამ დახასიათებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მკითხველისათვის მეტად თვალსაჩინოდაა დაპირისპირებული ურთიერთთან — განდევლის სიცოცხლეს დაშორებული, სიცოცხლის ნიშანწყალდაკარგული სახე და მწყემსი ქალის სიცოცხლით აღსავსე ბუნება.

ამ დაპირისპირებას მოსდევს ფილოსოფიური ხასიათის დიალოგი განდევლისა და მწყემს ქალს შორის. ცხოვრებიდან გაქცევა, ზრუნვა სულზე, განშორება ყოველივე მიწიერისაგან, რათა საიქიოს, იმ სოფელს მოიპოვოს მან მარადიული ბედნიერება, თუ პირიქით, ცხოვრებაში დარჩენა, მის ორომტრიალში ყოფნა, მასში გამონახვა თავისი დანიშნულებისა და სულიერი დაკმაყოფილების მიღება — ასეთია ამ დიალოგის შინაარსი.

განდევლის პასუხის აზრი, რომ მას ქვეყნად ჰყავდნენ მახლობლები, მაგრამ გამოეთხოვა მათ და აქ მოვიდა, გამოქცევაში და „ღმერთს შესწირა თავი“, გაოცებულ მწყემსს ქალს არ ესმის, ვერ გაუგია; ის გულუბრყვილოდ ეკითხება განდევლის: „ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“ და თავისებური უშუალო, საღი გრძნობითა და გაგებით ასე ასაბუთებს განდევილობის, ცხოვრებიდან განდგომის, უწუთისოფლოდ, მარტო ცხოვრების უსაფუძვლობას:

„განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის  
ჰვეყანას, ღვთივთვე დაბადებულსა?  
ფეიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო  
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?  
განა მისთვის, რომ აღამიანმა  
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?  
ჰველაფერს უნდა გამოვეთხოვო,  
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სიხარულს?!  
ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!  
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულსი..  
ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!  
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია  
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,  
აქ ჰირია და იქ კი ლხინია“

(თავი XIX—XX).

აქ ძალუმად სჩქევს მწყემსი ქალის გრძნობა რეალური ცხოვრებისადმი, სურვილი სინამდვილის მორევში ჩასვლისა, სიცოცხლის მაჯისცემა მულმივი განცდისა; კვლავ მკაფიოდ ისმის ილია ჭავჭავაძის ტკივილი, გამოთქმული მის „მგზავრის წერილებში“:

„ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიდეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახით“<sup>64</sup>.

ილია ჭავჭავაძე მწყემსი ქალის ამ უშუალო, გულუბრყვილო საუბარში კვლავ დამაჯერებლად გამოთქვამს თავის ფართო საზოგადოებრივ შეხედულებას, „გლახის ნაამბობში“ მღვდლის პირით რომ შთააგონებს მკითხველს: „ღმერთს რა პასუხს მისცემთ... არ გეტყვით: რად მოიკალით გული, რომელიც თქვენის მოძმის სიყვარულისათვის მომიცია თქვენთვის? რად დამალეთ და დაიშურეთ ღონე და შეძლება, რომელიც გაჭირებულის მოძმის საშველად მომიმადლებია? როცა, ჩემო ძმაო, ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე ღმერთისათვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო: მწყურვალ ვიყავ, არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო: უფალო, სად გნახეთ, რომ არ გიშველეთო? მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირებული კაცი, თქვენგან არ-გაკითხული, — მე ვიყავიო. ესეა ძმაო!.. სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი, გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხოვნებისა, აი, გასაღები სამოთხისა“<sup>65</sup>.

მწყემსი ქალი მკვეთრი გამომხატველი და მაძიებელია ამ მალალი საზოგადოებრივი, ჰუმანური გრძნობისა და გაგებისა, რაც ყოველად მიუღებლად თვლის ასკეტიზმს, კაცის ცხოვრებიდან განდგომას, გაქცევას. განდევილის პოზიცია მწყემს ქალთან დიალოგში სწრაფად სუსტდება, ირღვევა. პოზიცია შერყეულია. განდევილი, მწყემსი ქალის მიერ ცხოვრების მიმზიდველად დახატვის პასუხად ამბობს:

„... — რა გითხრა, შვილო?  
ყველაზე უფრო სული ტკბილია,  
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა  
და ეგ ყოველი მის ბორკილია“

(თავი XX).

64 ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 20, 1926 წ.

65 იქვე, გვ. 84.

გულუბრყვილო მწყემსი ქალი, განდგომის სიტყვებში დაეჭვებული, კვლავ შეეკითხება მწირს:

„—მაშ, ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წაეწყდებით, ველარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“

აი, აქ განდგომილი უკვე ჩიხშია მომწყვდეული. მან კარგად იცის საღმრთო წიგნებიდან, რომ ხსენისათვის სხვა გზაც არის, მას, უკვე დაეჭვებულს თავისი გზის ურყევე ჭეშმარიტებაში, ერთგვარი გულისტიკვილით, თითქოს ინსტინქტურად, აღმოხდება:

„—ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსენისა ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

აქაა სიუჟეტის განვითარების კულმინაცია. განდგომილი შეირყა თავის მრწამსში, მის მიერ არჩეული გზის ჭეშმარიტებაში, გზისა, რომელიც მას მიაჩნდა სულის სიმშვიდისა და ბედნიერების მიმცემად. ის თითქოს დარწმუნდა კიდევ, რომ ცდებოდა, რომ მის მიერ არჩეული ცხოვრების გზა მცდარი და უშინაარსოა, რომ ამ გზაზე ის გაუბედურებულია. თითქოს აქვეა სიუჟეტური კვანძის გახსნა. ჩვეულებისამებრ, კულმინაცია და კვანძის გახსნა აქაც დაემთხვა ერთმანეთს.

მაგრამ მკითხველის ყურადღება რომ გაამახვილოს განდგომლის მარცხზე, მკითხველს უფრო ღრმად რომ შთააგონოს ასკეტიზმის მიუღებლობა, რომ ასკეტიზმი არც ცხოვრებას მოძმეთ არგებს და არც თვითონ ამ გზაზე მდგარ განდგომლს, პოეტი სარგებლობს მისთვის დამახასიათებელი ლირიკული გადახვევით, იჭრება მოქმედების განვითარებაში და უფრო ააშკარავებს განდგომლის გულის სიღრმიდან ამოხეთქილ სიტყვებს, რომელსაც მწერალი შემდეგანაირად ხსენის:

«უბედურსაოა?! და მწირსა უცებ  
გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...  
ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია,  
და ვით მოადგა იგი ენაზედ?  
«უბედურსაოა?!. ეგ ხომ სიტყვაა  
გულის-ტყენის და სამღურავისა!  
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნისა  
ბედნიერების დამკარგავისა!..  
მან რა დაჰკარგა?... ნუთუ არ ჰყოფნის,  
რომ მან დასძლია საწუთროება.  
განდგა მისგან და აქ მოაბოვა  
სულის მშვიდობა და მყუდროება?»

ნუ თუ დაკარგვად აწ მიიჩნია  
 დამარხვა ხორცის, გულთქმის, ვნებისა,  
 და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა  
 წინდა საყდარი უკვდავებისა?  
 რა დაემართა? რა მოუვიდა?  
 ნუთუ უჩივის აწ იგი ზელსა?  
 ნუთუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას  
 და მუნათს რასმეს სდებს შემოქმედსა? \*66.  
 (თავი XXI).

ილია ჭავჭავაძე, ჩვეულებისამებრ, არ კმაყოფილდება განდგე-  
 გილის მრწამსის დარღვევით. მას უნდა მთლიანად გააშიშვლოს და-  
 მარცხებულის დაცლილი ბუნება. მწირმა გაიგო, რომ ილუპება ასე  
 ტანჯვითა და ვაებით მოპოვებული ბედნიერება. ბუნებრივია, მას  
 უჭირს შეურიგდეს ამ მდგომარეობას. ამიტომაც მწერალი შეეუ-  
 ნელებელი დასაბუთებით დაბავს, ახანგრძლი-  
 ვებს მწირის უაღრესად მძაფრ განწყობილ-  
 ბას — პოემის სიუჟეტის განვითარების კულმინაციას, კვანძის გახ-  
 სნასთან დამთხვეულს.

მწირში იწყება გაშმაგებული ბრძოლა, ერთი მხრივ, ცხოვრე-  
 ბასთან დაბრუნების გაღვიძებული სურვილისა, ხოლო, მეორე მხრივ,  
 შემაძრწუნებელი შიშისა — არ გაწიროს ღვთისაგან შევედრებული  
 სული. ეს კულმინაცია, მოცემული არაჩვეულებრივი დინამიურო-  
 ბით, დიდი ექსპრესიითაა გაშლილი პოემის 23-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე,  
 27-ე თავებში. მაღალი მხატვრული ოსტატობით მძლავრად, მტან-  
 ჯველადაა განვითარებული ცხოვრებისადმი გაღვიძებულ, მიზი-  
 დულსა და ცხოვრებიდან უკუძახილ ხმათა შორის სამკედრო-სასი-  
 ცოცხლო ჭიდილი მწირისა, იშვიათი ექსპრესიული გრადაციითაა  
 მოცემული განდგეგის ნიადაგამოცლილი, აფორიაქებული განწყ-  
 ობილება:

„პირველი უნდა — ხელი არ ერჩის,  
 ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება,  
 ხატის ხილვა სწყურს და იგივე... იგივე...  
 ქალი წყველი თვალთ ელანდება!  
 «აბა სძლიეო!» და კვლავ ვილაცამ  
 გაიხარხარა იმის სენაკში...  
 აწ იმა ხარხარს ველარ გაუძლო  
 და როგორც გიჟი გავარდა კარში“  
 (თავი XXVI).

ცხოვრებიდან გაქცეული, განყენებული მისწრაფების მატარებელი განდევილის ეს მძაფრი ბრძოლა თავდება მისი სრული დამარცხებით. მრავალგზის ტანჯვით მოპოვებული, „ტანჯვათა ზედაგანდილებული“ სული განდევილისა ყირამალა ატრიალდა.

კულმინაციასთან ერთად მოცემულია სიუჟეტის კვანძის გახსნაც. აქაც კულმინაციას გარკვეულად ხვდება კვანძის გახსნა. ამჟამაა მწირის მიმართულების — ასკეტიზმის სრული დამარცხება.

მაგრამ მწერალი ჩვეულებრივი სათანადო სისრულისათვის პოემას ურთავს დასასრულსაც.

თმააბურძენული, გაფითრებული განდევილი განთიადიდანვე ყინულებში „რბის და ძრწის... ჰტანტალებს“, მოუთმენლად ელის მზის ამოსვლას, რათა შეამოწმოს, შერისხულია თუ არა ის ღვთისაგან. მზის ამოსვლისას, როცა სხივმა შეანათა მის სენაკში, წამიერად გახარებული განდევილი —

„მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ

და, ეპა, სხივმა არ დაიჭირა..

დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა

გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,

ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა

და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული“

(თავი XXVIII).

პოემაში დამაჯერებლადაა მოცემული, თუ როგორ მარცხდება განდევილი და მისი არჩეული გზა, როგორ ძლევამოსილად იმარჯვებს მწყემსი ქალის ბუნებრივი მისწრაფება ცხოვრებისადმი. ცხოვრება ლამაზია თავისი ბუნებრივი მონაცემებით და ადამიანიც უნდა დატყბეს მით. მწყემსი ქალის (თვით ავტორის — ილია ჭავჭავაძის) მიერ ცხოვრების გაგება ასეთია: ადამიანმა თავისი ზნეობრივი სიმაღლე და სიფაქიზე სწორედ თვით ცხოვრების ორომტრიალიდან უნდა გამოიტანოს. აქ, ცხოვრების მორევში, თუნდაც მისი სიღუხჭირეში, ადამიანი უნდა დაიხვეწოს, შეივსოს, ამალღდეს. ადამიანსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის უნდა ხდებოდეს ერთგვარი მუდმივი აღებმცემობა. მხოლოდ ასეთი გზით შეუძლია მას თავისი თავი იპოვოს, თავისი საზოგადოებრივი ღირსება განიცადოს მთელი სისწორით, რაც ასე აუცილებელია სოციალური ცხოვრებისათვის და რაც ასევე აუცილებელია ადამიანისათვისაც; წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის ცხოვრება კარგავს შინაარსსაც, ფასსაც, დანიშნულებასაც.



განდევლის გზა ილია ჭავჭავაძის მიერ ურყევად და დაუნდობლად რომაა უარყოფილი, ამას შთამაგონებლად გვიჩვენებს პოემის ეპილოგიც:

„და იქ, სად წმინდანთ უდიდებით  
ღმერთი მსჯავრის და ქეშმარიტების,  
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ  
მსხვერპლი ქებისა და ლაღადების!  
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა  
მარტო ქარიღა დაღის და ქშუის,  
და გამომფრთხალი ქექა-ქუხილით  
მუნ შეხვეწილი ნაღირი ღმუის“.

ამ ეპილოგით ილია ჭავჭავაძე მკითხველს გარკვეულად ეუბნება: ასე უკვალოდ გაქრება, დაიღუპება ყველას მოღვაწეობა, თუნდაც ნიჭიერი, მცოდნე კაცისა, თუ ის უშუალოდ ცხოვრებასთან არაა დაკავშირებული, თუ მის წინმსვლელობას არ ემსახურება. სწორედ ამ ეპილოგით ილია ჭავჭავაძე მოხდენილად ხურავს პოემის კომპოზიციის რკალს.

## 8. „ოთარაანთ ქვრივი“

მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“ დაწერილია 1887 წელს. ეს ხანა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგდროისდელია: ბატონყმობის გადავარდნიდან თითქმის 25 წელმა განვლო. მიუხედავად ამისა, კვლავ საკმაოდ მძაფრადაა გამიჩნული ერთი და იგივე სოციალური ცხოვრების ეს ორი ბანაკი — ყოფილი ბატონი და ყოფილი ყმა; მათ შორის ჯერ კიდევ გარდაუვალი უფსკრულია. „ოთარაანთ ქვრივი“ მკვეთრადაა ასახული ამ ორ ბანაკს შორის ჯერ კიდევ არსებული ის დაუძლეველი წინააღმდეგობა, გაუგებრობა, შეუთავსებლობა, რომელიც შექმნა ხანგრძლივმა სოციალურ-ეკონომიურმა უკუღმართობამ, ერთის მეორეზე გაბატონებამ.

მწერლის ჩვენებით ეს წინააღმდეგობა იმდენად მძლავრი, ღრუა და დაუძლეველია, რომ ასეთი ცხოვრების უვარგისობის მტკივნეულმა შეგნებამ და მისი გამოსწორების სურვილმაც კი ვერ შექლო მისი დაძლევა. „ჩვენ-შუა ხიღია ჩატეხილი: — ეუბნება კესოს არჩილი (თვით მწერალი), — ისინი იქით ნაპირას დაპრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი... ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ, ერთიც და მეორეც ჩვენგან უკ-

ვირთ, ეუცხოებათ. რადა და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. კეთილსათვის? რად მიზამს კეთილსაო, ჩემო რაოვო?“<sup>67</sup>.

ილია ჭავჭავაძე, როგორც რეალისტი მწერალი, აშკარად გრძნობს, რომ 80-იან წლებშიც კი ამ ორ ბანაკს შორის, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნება განთავისუფლებულია, გლახს მაინც არა აქვს საჭირო უფლებები მინიჭებული, ცხოვრება მაინც მოუწესრიგებელია, „უსწორმასწოროა“.

ილიას კარგად ესმის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ეს ორი მოქმედი სოციალური ჯგუფი არ არის თანასწორღირებულებიანი. ამისი შეგნება, გაგება მწერალს აუცილებლად მიაჩნია ქვეყნის წინმსვლელობისათვის. ამ აზრს ილია ჭავჭავაძე არჩილის (თავადის) პირით ასე გადმოგვცემს: „ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი — შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, ღუნენი. აბა იმათ სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კენესაა და მაინც სიმღერას ეძახიან, ჩვენი სიმღერა კენესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია“<sup>68</sup>. განსხვავება მათ შორის, არჩილის (თვით მწერლის) შეხედულებით, დიდია, თვალსაჩინო და დამაფიქრებელი.

აქედან გამომდინარე, „ოთარაანთ ქვრივის“ ძირითადი თემაა უთანასწორობის „წყევლა-კრულვია“ საკითხი „ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“: იდეა — წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამთელება, რათა ცხოვრება მოწესრიგდეს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე; ხოლო მიზანდასახულობა — კაცი უნდა ფასობდეს მხოლოდ მისი პირადი ღირსების, მისი საზოგადოებრივი ღირებულების მიხედვით. ასეთი ღირსებით არიან აღჭურვილი ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი გიორგი, რომლებიც ქართველი გლახის ცხოვრების ღვრიტაზე არიან განმტკიცებულნი. ავტორის ასეთ მიზანდასახულობას მკაფიოდ აგრძნობინებს მკითხველს მოთხრობის სათაურიც — „ოთარაანთ ქვრივი“. ასეთი სახელწოდება, რომელიც ხშირად ეძლევა დედაკაცს, მამაკაცს თუ ჭაბუკს, რაღაც გამორჩეული თვისების (უფრო დადებითის) მიხედვით, დამახასიათებელია ქართველი გლახის ცხოვრებაში.

67 ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 107—108, 1926 წ.

68 იქვე, გვ. 110.

„მთელი ნაწარმოები („ოთარაანთ ქვრივი“ — მ. ზ.) — აღნიშნავდა ივ. გომართელი, — იმდენად დამუშავებულია, რომ ყოველი სიტყვა თავის ალაგას არის და მთელი მოთხრობა წარმოადგენს იშვიათ განსახიერებას სიტყვიერი ქანდაკებისა“<sup>69</sup>.

მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი კომპოზიციისათვის, მკითხველის ყურადღებას იქცევს თავისი მკაცრი გეგმიანობით. მოთხრობის იდეისა და მიზანდასახულობის შინაგანი ლოგიკის მკაცრი თანმიმდევრული განვითარებით სრულიად ბუნებრივად, თითქოს წინასწარ მოფიქრების გარეშე, არსებითად კი დაუინებოთი დამაჯერებლობით, გეგმიანად იზრდება ნაწარმოების იდეითა და მიზანდასახულობით ხორცშესხმული ძირითადი სახეები, რომლებიც მკითხველის შეგნებაში ძლიერად იჭრებიან.

„ოთარაანთ ქვრივის“ ყოველი თავი დასათაურებულია. ყოველი თავის დასათაურება ეპიგრაფის თავისებურ ფუნქციას ასრულებს. ყოველი თავის სათაური და შესაბამისი შინაარსი მოხდენილად, მაქსიმალური სიმკვეთრით ხატავს მოთხრობის მოქმედ პირთა ამა თუ იმ ძირითად თვისებას.

თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ამ გეგმა-დასათაურებას:

- I — რას მიქვიან ტკბილი სიტყვა?
- II — პილპილ-მოყრილი მადლი.
- III — ხუთი ქისა.
- IV — განძი და ანდერძი.
- V — დედა-შვილობა.
- VI — გიჟია თუ რა?
- VII — ჯავრი დედისა.
- VIII — „გასტეხს ქვასაცა მაგარსა“...
- IX — უცნაური ნასკვი.
- X — მხილებაა თუ კადნიერება?
- XI — ორი თვალი.
- XII — უეცარი წკიპურტი.
- XIII — „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის!...“
- XIV — განა თითონ კი იცოდა?
- XV — კაცია თუ გუნებაო.
- XVI — ალბად!..

<sup>69</sup> ივ. გომართელი — ილია ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება, „ახალი კავკასიონი“, 1925, № 2.

- XVII — ზარი.  
 XVIII — უკანასკნელი ვანდობა.  
 XIX — ჩატეხილი ხიდი.  
 XX — დასაწყისი განთიადისა.  
 XXI — ეძახის.  
 XXII — „წყევლა-კრულვიანი საკითხავი“.

„ოთარაანთ ქვრივის“ კომპოზიციის მოხდენილ გაშლას, გარდა აღნიშნული გეგმიანობისა, ხელს უწყობს აგრეთვე ილია ჭავჭავაძის სტილისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები: სიტუაციათა მოულოდნელობა, აფორიზმებისა და ლირიკული გადახვევების უხვად და მოხდენილად ჩაქსოვა, ჩართული ეპიზოდების შეტანა, რაც ამდიდრებს მოთხრობის შინაარსს და მკითხველის ყურადღებასაც დაბავს.

მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ სიუჟეტი ორი მხრივ ვითარდება: 1) გიორგისა და ოთარაანთ ქვრივის, 2) გიორგისა და კესოს ურთიერთობის მიმართულებით.

„ოთარაანთ ქვრივის“ სიუჟეტის გაშლა იწყება ex abiuto. იწერალებს ერთბაშად შევეყვართ მოქმედების განვითარებაში. მოთხრობის I—VII თავები წარმოადგენს ექსპოზიციას. I—V თავებში მოცემულია ცხოვრების დუდილში გამობრძმედილი ოთარაანთ ქვრივი, ოჯახს დედაბოძივით რომ შესდგომია. ამ თავებში მოცემულია ოთარაანთ ქვრივის დამახასიათებელი თვისებები — გონიერება, შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა, სიმკაცრე, მაგრამ, ამასთან, მოსიყვარულე გული და სამართლიანობა, რაც იშვიათი სიმკვეთრითაა გამოვლინებული მის კარმიდამოსა და სახლის მოვლა-მოწესრავებაში, გლეხის კვალობაზე გეგმიან, გონივრულ მეურნეობა-შრომაში, გლეხებთან და სოფლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში, ქმრისა და შვილისადმი დამოკიდებულებაში, რაც განმტკიცებულია ავტორის დახასიათებითა და ჩართული ეპიზოდებით (ოთარაანთ ქვრივის დამოკიდებულება მეზობელი წვრილშვილიანი ღარიბი ოჯახისადმი, მასთან მისული გლახისა და ქმრის ქამარ-ხანჯლისადმი). მოთხრობის V—VII თავებში ასევეა მოცემული გიორგის დამახასიათებელი თვისებები: მისი დიდი შრომისუნარიანობა, დამოკიდებულება დედასა და მეზობლებისადმი, პატიოსნება (მას „სინდისის ქუდი ჰხურავს“), ჩართული ეპიზოდები (ომარაშვილის მოჯამაგირის ცემა, სოფლის სასამართლოს დამოკიდებულება გიორგისადმი).

სიუჟეტის განვითარებაში კვანძი მოცემულია VIII თავში — „გასტეხს ქვასაცა მაგარსა“: ბოლო ხანებში ოთარაანთ ქვრივმა გი-

ორგის ქცევაში რაღაც ცვლილება, ნაღველი: შენიშნა. კარგად შეამჩნია, რომ თავის ნაღველს გიორგი დედას უძალავდა.

ოთარაანთ ქვრივი გიორგის ამ ცვლილებას დედური კრძნობის თუ სიყვარულის დიდი ტკივილით განიცდის, მაგრამ აცლის შვილს, რომ მან თითონ გაუშხილოს დარდი. გიორგიც დედასავით მტკიცე ხასიათისაა. ამასთან, მორიდებული (განსაკუთრებით დედის წინაშე).

ოთარაანთ ქვრივი შეჰყურებს შეცვლილ გიორგის, დაფიქრებულს, შინაგანი ბრძოლით გაწამებულს. დედის გული ვეღარ უძლებს შვილის კაეშნით გულსმოდებულ ტკივილს და ასეთ საუბარს უწყებს მას:

— „გიორგი, შენ შენსას მაინც არ იშლი... რაღაც ნაღველი გაქვს, შვილო, რაღაც ნაღველი... რას ჩაკეტლხარ და დაბურულხარ შენს გულში? შვილო, დედა ვარ და არა უცხო. შენი ჯავრი გულში ჩამიჭდა ჭიასავეთ და ჭიასავეთ მხრავს და მკამს“.

დედა-შვილს შორის გაშლილ დიალოგს რომ შესაფერისი ძალა და სიღრმე მიეცეს, გზადაგზა მასში ჩართულია ავტორის ნიშანდობლივი აფორისტული აზრები — განმარტებანი, რაც ნაწარმოებს ამდიდრებს და მკითხველშიც დიდ ემოციას იწვევს.

„გიორგი მაშინვე წამოჯდა, თითქო ცეცხლი შეუკეთესო. პირველი მაგალითი იყო, რომ მისმა გულგაუტეხელმა დედამ თავი შეაბრალა. ამას ოთარაანთ ქვრივი ყოველთვის ჰთაკილობდა. ეხლა კი გულმა სძლია ხასიათის გაუტეხლობას. დედა-შვილური სიყვარული მძლეთა მძლეთა...“

შეწუხდა გიორგი, ჩაუფიქრდა თავის თავს — დროა თქმისა, თუ არაო.

— დედი, — წამოიძახა ბოლოს შვილმა, — გეტყვი და ნუ შემრისხავ: შენი უნებური საქმე მწადიან. რიდი მქონდა შენი და ვერ გეუბნებოდი, წადილი კი ვერ მოვიკალ, აი, რამდენი ხანია ვეჭიდები...“

— რა არის, შვილო, მაგისთანა?..

— მოჯამაგირედ მინდა დავდგე. გული შინ აღარ მიდგება.

— ეგ რა სთქვი, შვილო? მამის შენის შვილი და ბოგანა-მოჯამაგირობა?! საიღამ სადაო? ხომ საფლავში გადატრიალდა მამა-შენი სირცხვილისაგან...“

— ამას ვშიშობდი, დედიჯან, რომ გაწყენდი... მეც შემიბრალე, ადამიანი ვარ.

— მერე, რა წაგეკიდა სამაგისო?

შვილმა თავი ჩალუნა და პასუხი არ გასცა. დედას ელვასავით გაურბინა რაღაცა ფიქრმა.

- მერე ვისთან აპირებ დგომას? — ჰკითხა ხელახლად დედამ.
- ერთად-ერთი სახლია, ან იქ, ან არსად არ.
- ვისი სახლია ისეთი? გლეხისა თუ თავადისა?
- თავადისა.
- აქ, ჩვენში?
- ჩვენში, არჩილს უნდა დაუდგე.

ოთარაანთ ქვრივმა ეხლა კი თითზედ იკბინა. თითქო რაღაც ენიშნაო, რაღასაც მიაგნოვო. შვილს გადაწყვეტილი არა უთხრა-რა. აღარც შვილი გამოეკიდა, თითქო დიდმა საგონებელმა ამისათვის აღარ მოაცალაო<sup>79</sup>.

აქ დიდი სიცხადითაა მოცემული დედა-შვილის ურთიერთობა — დედის დიდი, ყველაფრის გამწირავი სიყვარული შვილისადმი და შვილის მორიდება და პატივისცემა დედისადმი; აქვეა მოცემული გიორგის დიდი გრძნობაც, რომელიც ხანგრძლივ ჭიდილში მას ვეღარ დაუძლევია; ს ი უ ე ე ტ ი ს კ ვ ა ნ ძ ი, რომელიც შეიცავს კონფლიქტს — წინააღმდეგობას, ერთი მხრივ, გ ი ო რ გ ი ს ა და დ ე დ ი ს ს უ რ ვ ი ლ ს შ ო რ ი ს, მეორე მხრივ — თ ა ვ ა დ ს ა (კესოსა) და გ ლ ე ხ ს (გიორგის) შ ო რ ი ს უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა შ ი, და რომელიც თითქოს რაღაც საიდუმლოებითაა მოცული.

აქედან იწყება მოქმედების განვითარების, კომპოზიციური რკალის შესანიშნავი ზრდა, გაძლიერებული, მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ი, კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ი ს ი ტ უ ა ც ი ე ბ ი ს საშუალებით.

მოთხრობის მოქმედ პირთა, განსაკუთრებით ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის, ბუნება-ხასიათი გადმოცემულია სხვადასხვა მეტად რთულსა და მკვეთრად დამახასიათებელ სიტუაციებში.

გიორგი მიდის არჩილთან მოჯამაგირედ მიღების თხოვნით. დამახასიათებელია მათ შორის განვითარებული დიალოგი:

„—ნუ მიოცებთ კი და თქვენთან ყოფნა მწადიან.

— მოდი-და ნუ იოცებ. რისთვის? როგორ?

— როგორც გნებავდეთ: გინდათ მოჯამაგირედ ვიახლებით, გნებავთ მუქთად გემსახურებით. ჩემთვის არაფერი ბედენაა...

— მერე დედა-შენი? — იკითხა არჩილის დამა...

— დედა-ჩემი... დედა-ჩემსა სწყინს, ქალბატონო, მაგრამ ვეღარ გაუტეხივარ“.

კითხვა-პასუხის შემდეგ არჩილი, დარწმუნდება რა, რომ გიორგის მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მასთან მოჯამაგირედ დადგომა, ჰკითხავს:

„—ჯამაგირი?

— გინდა იყოს, გინდა არა, მოგახსენეთ, დიდი ბედენა არ არის.

— ეგ არ იქნება. მაგისი ყაბული არა ვარ. სთქვი, რა მოგცე?

— რაც შენი ნებაა.

— ეგ არ იქნება-მეთქი, სთქვი.

— რაცა ვღირდე ის მომეცი.

— ჩემს ნამუსზე აგდებ, რაღა?

— რა ცუდი თამასუქი ეგ არის!

— ჩემი ნამუსი რომ შენს კაი-კაცობას არ გასწვდეს?!

— არა უშავს-რა!.. რაც დამაკლოთ, ალალი იყოს თქვენზედ, გულს არ დამაკლდება. მშვიდობით ბრძანდებოდეთ“<sup>71</sup>.

არჩილი გიორგის წინადადებას სიამოვნებით იღებს, რადგანაც მას იცნობს, როგორც პატიოსანსა და კარგ მუშა კაცს, მაგრამ ოთარაანთ ქვრივის ერიდება.

მალე არჩილთან თვითონ ოთარაანთ ქვრივი მივა იგივე თხოვნით (თუ კი და-ძმასთან ოთარაანთ ქვრივის მკვახე საუბარს თხოვნა ეთქმის). ოთარაანთ ქვრივის შათთან საუბარი მომხიბვლელად შლის ოთარაანთ ქვრივის ხასიათის სიმტკიცეს, მის გონიერებას, წინდახედულობასა და ფრიად მოსიყვარულე დედის გულს.

„—ჩემს გიორგის თქვენთან დგომა უნდა.

— ვიცით და შენ მოგერიდენით, — ეუბნება არჩილი, — შენ-ღი დიდი ხათრი გვაქვს და ხათრს ვერ გავტეხთ. შენს უნებურად ეგ საქმე არ მოხდება.

— ჩემი ნებაც არის. ჩემი შვილი ჯერ მე დამეკითხა. მეწყინა, მაგრამ დაშლა აღარ ეგებოდა. მცხვენთან, კაი ოჯახის შვილია, კაი მამის ჩამონავალია, ვთაკილობ და გვიანლაა წუწუნნი! ვერ გავტეხე, ვერ ავუხირდი. დეე, რაც საქნელია, იქმნას.

— თუ ეგრეა, უარს მე ვეტყვი, — უთხრა არჩილმა, — შვილი შენისთანა დედას როგორ არ უნდა ჰნებდებოდეს!..

— ნუ, ნუ!.. ნუ ეტყვი უარს. მე დედა ვარ და წამავალი, ის შვილია და მომავალი: მე მივდივარ, ის მოდის. იმისი დღენი გასავლელი მინდორია. მე კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის თავში, წინ ვერ ავეფარები.

— მითომ რა გაჭირვებაა, თუ შენი საამური არ არის? — იკითხა კესომ.

— გაჭირვება რას მიქვიან? სურვილია, იღბალია... ჯერ დაუდუ-

<sup>71</sup> ი. კ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, ტ. III, გვ. 70—71, 1926 წ.

ღარი მაჰარია და პუეპუეებს. დაუდულარს მაჰარს სარქველი არ დაეჭურება, ჭურქელს გახეთქს. დეე; თავის ნებაზედ იყოს. მე არ ვუშლი, რაკ თითონ არ იშლის“<sup>72</sup>.

ოთარაანთ ქვრივის სახით იშვიათი გულთამხილაობითა და ოსტატობითა განსახიერებული როგორც მაღალი გონიერება, წინდახედულება. დიდი ტაქტი, ისე სალი, გაუბზარავი, ნაზი დედური გრძნობა ქართველი გლეხი ქალისა, ხალხის ცხოვრების საღ ზნე-ჩვეულებებზე რომაა აღზრდილი და გაკაყებული.

ოთარაანთ ქვრივს ზედიზედ, ერთი მეორეზე მძიმე და მწვავე განსაცდელი ატყდება თავს. იყოფა გზები დედა-შვილისა, რაც მეტად მძიმე და ძნელი გადასატანია მშობლის ცხოვრებაში. ოთარაანთ ქვრივი ბედის ყოველგვარ უკუღმართობას დიდი სიმტკიცით უმაგრდება.

ილია ჭავჭავაძეს დიდი ჩაწედომით და ცოდნით აქვს გაგებულისა და განსახიერებული დედა-შვილის გაყრის მძიმე მომენტი. ეს ბეჭად მტკივნეული მწვერვალი დედა-შვილის გაყრისა, მოცემულია მოთხრობის თავში — „ორი თვალი“.

აქაა დედა-შვილს შორის წინააღმდეგობა — ურთიერთობის გამწვავების მწვერვალი — კ უ ლ მ ი ნ ა ც ი ა, ამასთან, საგრძნობლად გახანგრძლივებული.

დედისაგან მომზადებული ბარგწამოკიდებული გიორგი მიდის არჩილთან. თითქოს წინასწარ გრძნობდა გიორგის საბედისწერო ბოლოს. „ოთარაანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ... დიდხანს, ზინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქო ხმამოუღებლად იხვეწ-იმუდარებოდა, — ერთი მაინც შემომხედოსო, მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა...“

დედას გულმა ტეხა დაუწყო.

— უკან აღარ მოიხედა!.. — დაიკვნესა დედამ, — ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქოს თოკით ეწვევანო... ჩემგან მიდის და პატარა ნალველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დაპრჩა-რა!.. სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს... განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი!.. დაიკვნესა სელახლად დედის გულმა... დედა-შვილობაში შენ-ჩემობა რად არის? — ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავის თავს. — დედა-შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს?... რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება?... ვინ ვისთვისაო, — რა საკითხავია დედა-შვილობაში?... ვაი რომ საკითხავი ყოფილა! ამისი კილი-



ღია თურმე დედა-შვილობაცა!.. --- არა, შვილო!... შენ გაიხარე, შენ!... მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებლით-ლა ვივლი და ვიცოცხლებ...<sup>73</sup>

მართლაც, თავბრუდამხვევი გულთამხილაობითაა ვახსნილი და გაგებული მოქმედ პირთა ხასიათები. მეტად უშუალოდ, ძალდაუტანებლად, ბუნებრივი ფერებით არის გადმოცემული, თუ დედურ გრძნობას რა ძნელად გამოსატყმელი ტანჯვის გოლგოთაზე შეუძლია აიყვანოს მშობლის გული, რა წამების, მაგრამ აგრეთვე როგორი გასხვივოსნებული გვირგვინით შეუძლია შემოსოს დედა ასეთმა დიდმა გრძნობამ!

„ორი თვალა“ სიუჟეტის განვითარებასაც, გიორგის წინააღმდეგობის გზით წასვლასაც, უდავოდ, მეტად ამძაფრებს.

მკითხველი ძალზედ განიცდის და უფრო დაძაბული ყურადღებით ხედავს გიორგის ფაქიზ, უდიდეს გრძნობას კესოსადმი; ხედავს მას კესოსთან ერთად მომავალი ბალის გეგმის გასაცნობად: ესმის სიყვარულმოწყურებული გიორგის ლილინი — „ეს სოფელი მიტომ მინდა, შენ გიყურო ჩემო მზეო“... და მისი უმწიკვლო ახალგაზრდული რომანტიკული თქმა თუ განცდა: „გადამკიდებიან, ჯამაგირისა სთქვი რამეო. რა ჯამაგირი მინდა... მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცის-ამარა დღეს მზეს ვუყურებო“<sup>74</sup>. მკითხველი ხედავს გიორგის გატაცებით მუშაობას კესოს ბალში.

სწორედ აქაა გიორგისა და კესოს ურთიერთობის, თუ გნებავთ, წინააღმდეგობის გამძაფრებელი მდგომარეობა. კულმინაცია.

დაჭიმული ყურადღება მკითხველისა მოუთმენლად ელის, სად მივა და რით დამთავრდება, ერთი მხრივ, გიორგის წვა-სიყვარული უანგარო გატაცებით, მეორე მხრივ, კესოს გულგრილობა და მიუხევედრელობა.

და აი, გიორგი თივის ზვინზეა ასული პეტრეს დასაჩმარებლად. იქიდან ვარდება და სასიკვდილოდ შავდება.

ესაა მოთხრობის მთლიანი სიუჟეტის განვითარების უმწვერვალესი, დაძაბული მომენტით — რით დამთავრდება კატასტროფა.

ი. ჰავჭავაძის კომპოზიციისათვის ხომ დამახასიათებელია კულმინაციის განანგრძლივება, რათა მკითხველი უაღრესად დაჭიმულ მდგომარეობაში ხანგრძლივად გააჩეროს; „ოთარაანთ ქვრივი“ ამის მშვენიერი ნიმუშია.

73 ი. ჰავჭავაძე, ტ. III, გვ 77—79, 1926 წ.

74 იქვე, გვ. 92.

არჩილმა გიორგი თავის ოთახში დააწვინა. მიიღო ყველა ზო-  
მა გიორგის გადარჩენის მიზნით. ხალხმა თავი მოიყარა. გაგზავნეს  
ზიჭი ოთარაანთ ქვრივთან. ის მალე მოვიდა. მწერალი გვიჩვენებს,  
რომ ოთარაანთ ქვრივი პონოლითური სახეა, ის უბედურებაშიც  
ისევ ის ოთარაანთ ქვრივია, გაუტეხელი და შეუპოვარი. მწერალი  
ამას ასე გადმოგვცემს: „თუმცა ფეხაჩქარებით, მაგრამ ისე გულ-  
დინჯად შევიდა გიორგის ოთახში, თითქო შენათვალის არაფრად  
შეუმჩნევია და აინუნშიაც არა მოსდის-რაო. მარტო სახე თითქო  
უფრო ჩამოსქნოდა, წარბებ-შუა შუბლი ორ-სამ კეცად ჩაჰნაოქე-  
ზოდა და ზაფრანის ფერი ეღო.

იმასთან გაგზავნილი ბიჭი კი გოგო-ბიჭებში ლაპარაკობდა, რომ  
შენათვალის ვუთხარი თუ არა, ის ვეება დედაკაცი კინალამ თავზე არ  
წამომექცაო.

— რა გატირებს, ჩემო კარგო!.. — უთხრა გზა-და-გზა გიორგი-  
საკენ მიმავალმა დედამ მტირალს კესოს. -- განა სატირლადაც გაჰ-  
ზდა საქმე!..

ხმა არავინ გასცა რიღისა და კრძალვისაგან. ზარი დიდი იყო!..  
ოთარაანთ ქვრივი მივიდა შვილის ლოგინთან და რა დაჰხედა  
ლოცხალ-მკვდარს შვილს, ერთი საშინელი შემოიკრა თავში ხელი  
და იქავ მუხლი მოეჭრა და ჩაიჩოქა.

ოთახში ენა ველარავინ დასძრა...

დადუმდა, შეჰდგა ყველა და მარტო დედა-შვილობის საცოდა-  
ვობა-და თავის დიდებულის ზარით ჰღალღებდა უთქმელად, უტყ-  
ვად, ხმა-ამოუღებლად.

ამას მარტო თვალს გულისა-და თუ ჰხედავდა და ყური გუ-  
ლისა-და თუ ისმენდა! ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისათ-  
ვის უღონოა“<sup>75</sup>.

კვლავ მოქმედების არეში გამოჩნდა ოთარაანთ ქვრივი. ამ სა-  
ტუაციის მოცემით ავტორი თითქოს ამთავრებს ოთარაანთ ქვრივის  
მომხიბვლელი პორტრეტის მოცემასაც.

თითქოს ყველა და ყველაფერი შეჩერდა, გაიყინა ამ დიდე-  
ბული ტანჯვის მწვერვალზე. მკითხველიც ასეთსავე მდგომარეობა-  
ში ვარდება — განდგურებულ, გაქვავებულ დედასთან ერთად იტ-  
ანჯება და სულგანაბული ელის, გაიგონოს მომაკვდავი გიორგის ერ-  
თი სიტყვა მაინც.

75 ი. ჯ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, ტ. III, გვ. 99—100, 1926 წ.

დედის ხმაზე თუ შეხებაზე გიორგი მოსულიერდა. ღვინო მის-  
ცეს გასამაგრებლად.

„—დედი! ჰხედავ... ამ.. ანგელოზს!... — ძლივ-ძლივობით გა-  
მოსთქვა გიორგიმ, ისევე კესოზედ თვალგაჩერებულმა.

— ვხედავ, შვილო!..

— დედი!... ღვინო!.. — დედამ კიდევ დააღვეინა ღვინო.

— ეგ იყო ჩემი ბედისწერა... არა ვნანობ, არა!... აი, ნეტავი  
ურთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!

...კესო ტირილით მივარდა და თვალ-ცრემლიანმა შუბლზედ  
აკოცა გიორგის... თავი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს  
გულზედ დაეცა. ამ პატარა უეცარმა ცრემლმა ერთხანად შესძრა  
გიორგი და შეაქრჷოლა. ეს ცრემლი თითქო უკვდავების წყაროდ  
უქჷურა, იამა, გაუხარდა, მოსულიერდა, თითქო მიმავალი სიცოცხ-  
ლე უკანვე დაუბრუნდაო...

— ჰხედავ, დედი!.. ცოცხალი მაგის ღმს ვერ ველირსე. ვკვდე-  
ბი და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან წასატან  
ლხენად... არა ვნანობ, არა!... მივიღვარ და თან მიმაქვს ამის ცრემ-  
ლით განედლებული სიხარული... ნუ იწუხებ, დედი!... შენგან გა-  
მიიგონია, რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევიოსო!..

...განა არ ვიცოდი, — მე ვინ და შენ ვინ!... საღ მოგწვდებოდი  
ცაში ვარსკვლავს... გული გწვდებოდა, გული, ხელი კი ვეღარ!..  
ხატსავით გლოცულობდი, მზესავით დამნათოდი... არც კი იცოდი,  
— ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ,  
ვერ გაგიტყდი, მცხვენოდა... მერიდებოდა... მეშინოდა... ვკვდები  
და გეუბნები... მკვდარს რაღა მომეკითხება? მკვდარი ყველა თანა-  
ბარია!...“<sup>76</sup>

პატარა ხანი კიდევ და გიორგი აღარ იყო. ამბავი დასრულდა.  
აქაა მოქმედების განვითარების მაქსიმალური გამძაფ-  
რების ფაზის, კულმინაციის დასასრული, აქ-  
ვეა კვანძის გახსნაც. ამ მოთხრობაშიც, როგორც ეს და-  
შახასიათებელია ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის, კულმინაცია და  
კვანძის გახსნა ერთმანეთს ემთხვევა.

მკითხველისათვის ნათლადაა გარკვეული როგორც მოქმედ  
პირთა ერთი მხარე — გლეხთა სახეები — ოთარაანთ ქვრივი და  
მისი შვილი გიორგი, მათ შორის ურთიერთობა, ისე მეორე მხა-

რეც — თავადები — არჩილი და მისი და კესო, გიორგისა და კესოს შორის ურთიერთობა. მკითხველი აშკარად რწმუნდება, რომ მათ შორის წოდებრივი ზღუდე კვლავ ძლიერია, მათ შორის გარდაუვალი უფსკრულია. ამიტომ ცხოვრება უსწორმასწოროა, მოუწყობელია, რაც ცხოვრების წინმსვლელობას აფერხებს.

მაგრამ ილია ჭავჭავაძეს, ჩვეულებისამებრ, სისრულით სურს გაშალოს ნაწარმოებში შექმნილი სამყარო. მან კარგად იცის, რომ მკითხველი დაინტერესებულია როგორ იმოქმედა გიორგის სიკვდილმა მოთხრობის წამყვან მოქმედ პირებზე — არჩილსა, კესოსა და ოთარაანთ ქვრივზე. ამ მიზნითაა მოცემული მასში XIX — XXII თავები, რომლებიც ე პ ი ლ ო გ ი ს ფუნქციას ასრულებენ.

XIX და XX თავები — „ჩ ა ტ ე ხ ი ლ ი ხ ი დ ი“ და „დ ა ს ა წ ყ ი ს ი გ ა ნ თ ი ა დ ი ს ა“, — ჩართული ამ ბ ე ბ ი — ავლენს არჩილისა და კესოს შეხედულებებს წოდებათა შორის ურთიერთობის, „ჩატეხილი ხიდის“ შესახებ, რაშიაც ისინი ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის ახლო გაცნობამ დაარწმუნა.

არჩილის პირით მწერალი ადასტურებს, რომ წოდებათა შორის გაუგებრობა და წინააღმდეგობა სამწუხარო ფაქტია, რომ გლეხობა მიინც დაუფასებელია, მაშინ როდესაც, არჩილის (თვით მწერლის) გაგებით, ქვეყნის აღორძინების, წინ წაწევის ჯანსაღი დასაბამი სწორედ ამ გლეხობაშია: „ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი შექმნილნი, ჩვენ დაბლანდულები ვართ, ისინი კი გვირისტით შეეკრილნი... ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი“, — ამბობს იგი.

წოდებათა შორის განსხვავება შემფერხებელი მოვლენაა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, იგი უნდა აღმოიფხვრას. კაცი უნდა ფასდებოდეს თავისი პირადი ღირსებით, ყოველივე შემზღუდავი პირობების გარეშე. ასეთი შეგნება „ჩატეხილ ხიდს“ გაანთელებს და საზოგადოებრივი ცხოვრებაც გაჯანსაღების გზით წავა წინ. ასეთია აზრი არჩილისა (რა თქმა უნდა, თვით ილიასი).

XXI თავში — „ე ძ ა ხ ი ს“ — მწერალს მოქმედების არეში კვლავ შემოყავს ოთარაანთ ქვრივი. მკითხველი დაინტერესებულია, რა მოუვიდა გიორგის სიკვდილის შემდეგ ოთარაანთ ქვრივს. და უნდა ითქვას, რომ მწერლის მიერ იშვიათი ოსტატობით არის გადმოცემული ის ღრმა და უდიდესი ფსიქოლოგიური განცდები, ტრაგედია სულისა, რომელიც დედის გულში შვილის დაკარგვამ გამოიწვია. შესანიშნავადაა გახსნილი ოთარაანთ ქვრივის მონოლითური ბუნება, რომელიც მხოლოდ შვილის სიკვდილმა გატეხა, მაგრამ მაინც ვერ მოლუნა და ვერ დაავლახა. მისი ფიქრები კვლავ შვილას

გარშემო — ესა დარჩა მას ცხოვრებაში, მაგრამ არ ამყდვენებს, თავისში იკლავს ამ დიდ მტანჯველ გრძნობას. თვით მოჩვენება, რომ გიორგი მას ეძახის, გადაწყვეტილების მიღებაც, რომ გიორგის საფლავზე წავიდეს, სწორედ გიორგის დაბადების დღეს ემთხვევა. და ყველაფერი ეს მეტად ბუნებრივი ხაზებია ოთარაანთ ქვრივის ხასიათის სრულყოფილად გახსნისათვის.

ოთარაანთ ქვრივი გრძნობს თავის დაძაბულობას, ცდილობს არავინ გაუგოს მას გადაწყვეტილება და არ დაუშალონ მისი სისრულეში მოყვანა. ჩუმად, ფრთხილად დგება, აიღებს ჯოხს, უკანასკნელი ძალის მოკრეფით მიაღწევს შვილის საფლავს და ზედ დააკვდება: „საფლავზე გარდი-გარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა, თითქო სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთი ხვევნით გულში ჩაეკრაო“<sup>77</sup>.

ამთავრებს ილია ჭავჭავაძე ოთარაანთ ქვრივის სიცოცხლეს, და რამდენი უშუალობა, რამდენი ძალდაუტანებლობა იგრძნობა ამგვარ დასასრულში.

ოთარაანთ ქვრივი სიკვდილამდე უცვლელა რჩება თავისი მტკიცე, მოსიყვარულე ხასიათით.

მწერალმა გვიჩვენა რა მოუწესრიგებელი, „უთავბოლო და უსწორ-მასწორო“ ცხოვრება, დაგვანახვა რა ადამიანთა შორის გაუგებრობა, ადამიანის ღირსების დაუფასებლობა, XXII თავში ის განსაკუთრებული ხელოვნებით ახერხებს, რომ მოთხრობაში აღძრული არც ერთი მოტივი არ დარჩეს კომპოზიციის მთლიანი განვითარების რკალის გარეშე, ამიტომ მოთხრობაში კვლავ გამოაჩენს ეპიზოდურ სახეს — სოსია მეწიის ქვილისას, რომელსაც ოთარაანთ ქვრივზე ოცდაათი წელიწადია გული შევარდნილი ჰქონდა. ოთარაანთ ქვრივი ჯერ გასათხოვარი ყოფილა, უთხოვნია, დაუწუნიათ. „ის დღეა და ეს დღე, — ამბობს მწერალი, — სხვა აღარავინ უნდომია, გული აღარავიზე მისვლია“. შემდეგ სოსიამ რიღისა და კრძალვისაგან თურმე ახლოც აღარ გაუარა ოთარაანთ ქვრივს.

ეს ის სოსიაა, ასე მწარედ რომ ქვითინებდა გიორგის დაღუპვის გამო.

ეს ის სოსიაა, რომელსაც მიცვალეზულ შვილთან მარტოდ დარჩენილი ოთარაანთ ქვრივი შეეცოდა და ოთახის კუთხეში მიიმალა, მაგრამ ოთარაანთ ქვრივმა უცხო კაცი რომ ნახა, დაითხოვა — „მარ-

77 ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 121, 1926 წ.

ტო უნდა ვიყო“, სოსიაც უხმოდ დაემორჩილა, მხოლოდ მორიდებით უთხრა: „შენი ნებაა, წავალ და კარებს უკან ძალსავით მივეგდები, თუ რამ დაგჭირდეს, დამიძახე“<sup>78</sup>.

აი, ამ ცხოვრებისაგან დაბრეცვებულმა სოსიამ პირველმა გაიგო ოთარაანთ ქვრივის სიკვდილი, მუხლმოყოლილი დაემხო მიწა. წინ, „იმისი მკვდარი ხელი ხელთ ეჭირა და ქვითქვითებდა ჩუმიად“.

მაგრამ ცხოვრებისაგან ნაჯენჯ სოსიას მიცვალებულ ოთარაანთ ქვრივზეც არ ატირებენ, წაბორძიკებული მეცხვარე სოსიას ღონივრად ფეხს ჰკრავს შეტევით: „ეს ვილა ოხერია... წადი, იქით გაეთრიეო“. დაბრეცვებული სოსია წამოდგება და სევდიანი ხმით მხოლოდ დაიჩვილებს: „ცოცხალზე არ გამახარა წუთისოფელმა და მკვდარზეც აღარ მატირებთო!.. ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!“

მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ დედააზრი და მიზანდასახულობა რომ გაამახვილოს, მკითხველი რომ მასზე შეუწინებლად დააფიქროს, ილია ჭავჭავაძე შემდეგი საყურადღებო დასკვნა-შეკითხვით ჰკრავს მოთხრობის კომპოზიციის მრუდს: „მართლა, რომ ცოდოა!.. მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო? ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევაკრულიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში!“<sup>79</sup>.

მკითხველიც მთელი თავისი ემოციით, გაგების უნარით, უფრო ღრმად იხედება წამოყენებულ საკითხში, აქტიურად უერთდება მწერლის ასეთ უკმაყოფილო დასკვნა-შეკითხვას, კიდევ უფრო მეტად იმსკვალება რწმენით, რომ ცხოვრება, გაბატონებული წესწყობილება დიდი უმრავლესობისათვის მიუღებელია, ის უსამართლო, მავნე საფუძველზეა აგებული, რომ საჭიროა გადაუდებელი ბრძოლა სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ცხოვრების მოწესრიგებისათვის.

---

78 ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 105—106, 1926 წ.

79 იქვე, გვ. 128.

## პერსონაჟთა ხასიათის გახსნის საშუალებანი ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ნაწარმოების პერსონაჟის ხასიათის გაშლა სიუჟეტის გახსნისა და მისი მართებულად გააზრება-ათვისებისათვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ნაწარმოების სიუჟეტის გაშლას მწერალი, ცნობილია, ძირითადად სახეების (ბუნების, სხვადასხვა მოვლენების), ხშირად კი გაფართოებული სისრულით ადამიანთა — პერსონაჟთა სახეების საშუალებით ქმნის.

ცნობილია, რომ მხატვარი მიისწრაფის თავისი იდეა გარემოცხოვრების რომელიმე მოვლენის შიგნით (რომლის ასახვასაც ის იძლევა) გამოხატოს იმდენად ცოცხლად, რომ მკითხველს თუ მაყურებელს ადვილად შეეძლოს მისი კონკრეტული წარმოდგენა მთელი თავისი ინდივიდუალური თავისებურებებით. მწერალიც, ბუნებრივია, მიისწრაფის თავისი წარმოდგენა თუ დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი მკითხველს მეტწილად მისცეს ადამიანთა — პერსონაჟთა იმ თვისებების, თავისებურებების ჩვენებით, რაც ახასიათებს სწორედ იმ სოციალური ფენის ადამიანებს, რომლის განსახიერებასაც ისახავს მიზნად.

მხატვრული სახე, განსაკუთრებით პერსონაჟის სახე, მისი ხასიათი საკმარისი რთული განზოგადების გზით იქმნება. როგორც ლენინი გვასწავლის, მხატვრული სახე ყალიბდება «от живого созерцания к абстрактному мышлению и от него к практике — таков диалектический путь познания истины, познания объективной реальности»<sup>1</sup>. მწერალი, როგორც ყოველი იდეოლოგა, მხატვრული ნაწარმოების სახეთა მოცემით ისე გვაძლევს გარემო სოციალურ ცხოვრებაში არსებულ წინააღმდეგობებს, როგორც ეს სინამდვილეში ვლინდება. ამასთან, უდავოა, რომ მწერალი თავისი

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, ОГИЗ, Государственное издательство политической литературы, 1947 г., стр. 146.

შემოქმედების სახეების განსახიერებაში მათი ცოცხალი, კონკრეტული ჩვენებით ბუნებრივად აქსოვს თავის დამოკიდებულებას ცხოვრების იმ მოვლენებისადმი, რომლებსაც ის თავის ნაწარმოებში აწვდის მკითხველს.

ამა თუ იმ მხატვრული სახის შექმნისას მწერალი, რა თქმა უნდა, დიდი შემოქმედებითი მუშაობის პროცესს განიცდის. ცხადია, ესა თუ ის ობიექტი თავისი ინდივიდუალური თვისებებით არ შეიძლება სავსებით შეესატყვისებოდეს მწერლის იდეის სრულყოფილ განსახიერებას: მისი ესა თუ ის თვისება შეიძლება იყოს შეუთხვევითი, არაარსებითი, შესაძლებელია ზოგიერთი არსებითი თვისება მასში არ აღმოჩნდეს, ამიტომ მწერალს, ცხოვრების მოვლენებში კარგად ჩახედულს და გარკვეულს, მოუხდება თვითონ შეავსოს იგი, ან როგორც მოხდენილად გვეუბნება მაქსიმ გორკი, მწერალი «должен домысливать человека, должен выучиться прививать, приписывать единице наиболее характерные черты ее класса».

მწერლის შემოქმედებითი მუშაობის პროცესი, კერძოდ, ნაწარმოების პერსონაჟის შექმნის შესწავლა გვიდასტურებს, რომ აბსტრაქციის უნარის შემწეობით მას (მწერალს), ჩვეულებრივ, უხდება დაკვირვების შედეგად მიღებული მასალის გადამუშავება; უხდება მძაფრი შემოქმედებითი მუშაობის წარმოება, ზოგ თვისებას გააძლიერებს, ზოგსაც შეასუსტებს, ზოგს ახალს ჩააქსოვს, ზოგს მოაშორებს, რათა რეალური დეტალების გამოყენებით დაიცვას სინამდვილე, სისწორე ტიპიური ხასიათისა ტიპიურ გარემოში.

ასეთი მუშაობის შედეგად განსაკუთრებული ობიექტი იღებს განზოგადებულ სახეს. საბოლოოდ გაფორმებული სახე, პერსონაჟი უფრო ფართოა, ვიდრე მწერლის მიერ მხატვრულად გააზრებული მოვლენა, ადამიანი. მხატვრულ სახეს იმდენად ეძლევა ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რამდენადაც ის ფართოდ გამოხატავს რეალური ცხოვრების მოვლენას, პერსონაჟის ხასიათს.

მხატვრულ სახეში, იქნება ეს რომელიმე მოვლენა, საგანი თუ პერსონაჟი. მწერალი ხორცს ასხამს თავის იდეას მისი ინდივიდუალური ფორმით, სახეში პოეტური ფერებით გამოყოფილია ყველაზე მეტად დამახასიათებელი ტიპიური თვისებები. მაგ., ილია ჭავჭავაძის — კაკო ბლაჭიაშვილი („რამდენიმე სურათი...“), ლუარსაბ თათქარიძე („კაცია-ადამიანი?!“), დედა („დედა და შვილი“), აჩრდილი („აჩრდილი“), მეფანდურე („მეფე დიმიტრი თავდადებული“), ოთარაანთ ქვრივი („ოთარაანთ ქვრივი“) და სხვა.

ცნობილია, რომ არც ერთი მოვლენა ცხოვრებაში არ არის



განყენებულად მოცემული. ყოველი მოვლენა რეალური ცხოვრების რთულ კომპლექსშია ჩაქსოვილი სხვა მოვლენებთან ერთად. თუ გნებავთ რომელიმე მოვლენის გაანალიზება, შესწავლა, ის ხელოვნურად უნდა გამოყოთ ცხოვრების კონკრეტული სინამდვილისაგან, განყენებულად წარმოიდგინოთ. ასევეა ნაწარმოების მნატვრული სახეც. ნაწარმოების ყოველი მხატვრული სახე სისრულით შეიძლება გავიანჯროთ, ავითვისოთ მხოლოდ ნაწარმოების სახეთა მთლიან კომპლექსში, იმ იდეის საფუძველზე, რომელზეც თვით ეს ნაწარმოებია აკნძული თავისი კანონზომიერებით. ნაწარმოების ყოველი სახე, იქნება ეს ცხოვრების რომელიმე მოვლენა, საგანი თუ ადამიანი, წარმოდგენილია სახეთა სისტემაში. ნაწარმოებში ერთი სახე კანონზომიერად ავსებს მეორეს და ამით ხელს უწყობს ცხოვრების გარკვეული მხარის ინდივიდუალიზებულ ჩვენებას. მწერლის მიერ ნაწარმოებში სახეთა შინაგანი კანონზომიერი განლაგება ქმნის სახეთა სისტემის ერთ ჩაკეტილ (замкнутый) მთლიანობას.

ამჯერად ჩვენ გვინტერესებს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მოცემული პერსონაჟის სახე და მისი ასახვის საშუალებანი. ყურადღებას შევამჩნევთ პერსონაჟის სახის შექმნის იმ ძირითად საშუალებებზე, რომელთაც ილია იყენებდა. ძირითადად ავიღებთ ორ ნაწარმოებს — „ოთარაანთ ქვრივსა“ და „კაცია-ადამიანს?!“

„ოთარაანთ ქვრივშიც“ და „კაცია-ადამიანშიც?!“ ბევრი მოქმედი პირია, რომელთა სახის სრული და სწორი გააზრება შეუძლებელია მათი ურთიერთმოქმედების გათვალისწინების გარეშე.

მაგალითად, ოთარაანთ ქვრივის ხასიათის გახსნა შეუძლებელია ექნებოდა მისი შვილის გიორგის, არჩილის, კესოსა და სოსია მეწისქვილის გარეშე და, თუ გნებავთ, ნაწარმოებში, თითქოს, შემთხვევით შემოყვანილი მათხოვრისა და მასთან ოთარაანთ ქვრივის საუბრის გათვალისწინების გარეშე. ყველა ეს პერსონაჟი აუცილებელია, რათა მწერალმა შექმნას სრული სახე ოთარაანთ ქვრივისა, როგორც მოსიყვარულე დედისა, ყველა მისი დამახასიათებელი თვისებებით: შორსმჭვრეტელობით, მიხვედრილობით, გონიერებით, რკინისებური ნებისყოფით, ადამიანთადმი ჰუმანური დამოკიდებულებით.

მაგალითად, ოთარაანთ ქვრივს მზე და მთვარე შვილზე ამოსდის, მისით ცოცხლობს, მის ბედნიერებას შესწირა თავი; მაგრამ როცა გიორგი გამოუტყდება მოჯამაგირედ უნდა დავდგე არჩილთანო, მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადება ოთარაანთ ქვრივი-

სათვის თავზარდამცემია, შეურაცხმყოფელია, რადგანაც გიორგის მოჯამაგირედ დადგომა მისთვის სამარცხვინოა, იგი მაინც იძულებულია დათანხმდეს. გიორგის მოჯამაგირედ დადგომა თითქოს აბათილებს მის ამდენი ხნის დაუზოგველ ამაგს იმაზე, რომ ოჯახი არ დაენგრია, გიორგის არაფერი გასჭირებოდა, იგი არავისთვის დაეჩაგვრინებინა. ამასთან, ოთარაანთ ქვრივი ნათლად ითვალისწინებს, რომ გიორგის სახითათო გზა აურჩევია.

ის კარგად გრძნობს, რომ ამ შემთხვევაში შვილთან ბრძოლა არ გამოდგება. ის იცნობს გიორგის: იცის, რომ ის ძნელად გადაწყვეტს, მაგრამ ძნელადვე გადათქვამს, ითვალისწინებს შვილის ახალგაზრდულ, თავისებურ ბუნებას და შიშობს, ვაითუ ვერ გადაათქმევინოს, არ უნდა აუხირდეს: დაე, რაც მოსასვლელია, მოვიდეს, თვითონ შეიგნოს თავისი მცდარი ნაბიჯი, — ღრმა გულისტკივილით გადაწყვეტს ოთარაანთ ქვრივი.

კესოს შეკითხვაზე: „მითომ რა გაჭირვებაა, თუ შენი საამური არ არისო?“ — ოთარაანთ ქვრივი ბრძნულად უპასუხებს: „გაჭირვება რას მიქვიან? სურვილია, იღბალი... ჯერ დაუდულარი მაჭარია და ბუყბუყებს, დაუდულარს მაჭარს სარკველი არ დაეხურება, ჭურჭელს გაჰხეთქს. დეე, თავის ნებაზედ იყოს. მე არ ვუშლი, რაკ თითონ არ იშლის“<sup>2</sup>.

ოთარაანთ ქვრივს კარგად ესმის, რომ, რასაც არ მოეცლება, მასზე წუწუნი არ ღირს, არ გამოდგება. ამიტომ, გაიგებს რა, რომ არჩილი გიორგის მისი ნებართვის გარეშე არ იღებს. ოთარაანთ ქვრივი თვითონ მიდის არჩილთან და ეუბნება: „ჩემი ნებაც არის. ჩემი შვილი ჯერ მე დამეკითხა. მეწყინა, მაგრამ დაშლა აღარ ეგებოდა. მცხვენიან, კაი ოჯახის შვილია, კაი მამის ჩამონაჟალია. ვთაკილობ და გვიანდაა წუწუნი: ვერ გავტეხე, ვერ აეუხირდი, დეე, რაც საქნელია, იქმნას“<sup>3</sup>.

ოთარაანთ ქვრივის გონიერებას და მოსიყვარულე ბუნებას ი. ჰავჭავაძე ასახიერებს შვილისადმი მის დამოკიდებულებაში: იქნება ეს შვილის აღზრდის სისტემა, თუ დაჯავჯავებული შვილისადმი დამოკიდებულება. ოთარაანთ ქვრივმა შენიშნა შვილში ცვლილება, რომლის მიზეზსაც გიორგი დედას კრძალვითი გულმოდგინებით უმაღვდა. დედის თვალმა და გულმა ყველაფერი ეს მტკივნეულად აღიბეჭდა. ვეღარ გაუძლო მოსიყვარულე დედის გულმა, დაძლია შვილისადმისიყვარულმა, გატეხა დედის გაუტეხელი ნებისყოფა და შვილს უჩვეულო კილოთი შეაკითხა:

<sup>2</sup> ი. ჰ ა ვ ძ ა ვ ა ძ ე, ტ. III, გვ. 74, 1926 წ.

<sup>3</sup> ი. ჰ ა ვ ძ ე, გვ. 73—74.

„—რაღაც ნაღველი გაქვს, შვილო, რაღაც ნაღველი... წუხელის შენმა ჯავრმა არ დამაძინა.

—მართლა-და, ძილში ლაპარაკობდი, — შორს გადუჯდო სიტყვა გიორგიმ. — სულ ამას იძახოდი: ღმერთო, მიხსენ, ღმერთო, მიხსენო!..

— მე ცხადლივაც მეჯავრება ტყუილ-უბრალო ღიჟინი.

— ღვთის ხვეწნა ტყუილ-უბრალოა?

— მა რა არის, როცა უდრო-უდროა. განა ჩემს მეტი დარდი არა აქვს ღმერთსა?! ვენაცვალე იმის მაღლს..

— დედი, რას ამბობ?

— იმას, ჩემო კარგო, რომ ღმერთმა ადამიანი გააჩინა, უბძანა: წადი შენ თავს შენვე მოუარეო; შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო; რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალეზო; მე ხელი დამიბანიაო, აქ ჩემთან რომ ამოსვალ, მაშინ სხვა არისო. აღუღებულ კუბრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, — გაივლიო, მაღლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო, კაი კაცს არ ჩაუწყდებაო“<sup>4</sup>.

მთელი ეს დიალოგი (მოთხრობის სხვა ადგილებიც) მკვეთრად გვიჩვენებს ოთარაანთ ქვრივის სახეს, მისი ხასიათის ნიშანდობლივ თვისებას; ამასთან, რა თქმა უნდა, ამკვეთრებს გიორგის სახესაც.

ოთარაანთ ქვრივის გონიერებასთან ერთად მისი გაუტეხელი ბუნება, რკინისებური ნებისყოფა ნაჩვენებია მოთხრობის მოქმედ პირებთან ურთიერთ რთულ მიმართებაში.

გზირმა ოთარაანთ ქვრივს უკანონოდ ერთი ქათამი შეაწერა: დიამბეგი მობრძანდა. სოფლად ქათმებს ვაგროვებთო. ოთარაანთ ქვრივმა ალიაქოთი ატეხა, გუბერნატორამდე იარა, ერთი ქათამი შეიღდეულად დაუსვა მოურიდებელ გზირს. მართალია, თითონაც ათიოდე მანეთი შემოეხარჯა, მაგრამ ამას ოთარაანთ ქვრივი არაფრად ნაღვლობდა: „ფული რა არის?!. ხელის ჭუჭყია... ერთი თუმანი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე, ეს რადა ჰღირს! ტყუილ-უბრალოდ რომ არ დავეჩავგვრინე, ცოტაა?! დეე, ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო“<sup>5</sup>.

ხასიათის ასეთი სიმტკიცე, გაუტეხელი ნებისყოფა ოთარაანთ ქვრივმა, რა თქმა უნდა, გამოიმუშავა გონიერებით, ცხოვრების პირობებთან ბრძოლაში.

მან კარგად გაიაზრა, რომ ცხოვრებაში აუცილებელია კაცმა

4 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. III, გვ. 65—66, 1926 წ.

5 იქვე, გვ. 35—36.

იცივდეს როგორც თავისი მოვალეობა, ისე თავისი უფლებები და იცავდეს მათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ცხოვრება ისე გათელავს, როგორც „დიდოელი ლეკი ნაბადსა“. ამიტომ ოთარაანთ ქვრივი ერთგვარი კმაყოფილებით და მეზობელთა სამოძღვროდ ამბობს: „მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილუბრალოდ არავის დავეჩავკრინები. თუ გაჰირდა რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდი ვივლიო“<sup>6</sup>.

ოთარაანთ ქვრივი, ჩვეულებრივი ენით რომ ვთქვათ, რკინის დედაკაცია, მაგრამ ის აბსტრაქცია ან მშრალი სქემა კი არ არის, არამედ ცოცხალი, კონკრეტული, რეალური ადამიანია, თავისი შინაგანი ადამიანური გრძნობებით, რყევით, ტკივილებით, ის ჩვენი ხალხის ცხოვრების წიაღში შობილი და გამობრძმედილია, „ბარაქალა დედაკაცია“; ყველაფრის, ჰირისა თუ ლხინის, გონიერი გადამტანია. იგი იშვიათი სიმტკიცით ხვდება თავისი შვილის — გიორგის დაღუპვას. ასეთ მძიმე მომენტშიც კი ის არ კარგავს გონიერებას, ზომიერების გრძნობას, აქაც ინარჩუნებს თავის უტეხ სახეს. ჩვეულებრივ ადამიანს ტანში ჟრუანტელი დაუვლის, როდესაც გარდაცვლილი შვილის ცხედართან მარტოდ დარჩენილი მომტირალი ოთარაანთ ქვრივი, რა გაიგონებს სოსია მეწისქვილის ქვითინს, მაშინვე ისევ კლდე-რკინა ოთარაანთ ქვრივად გადაიქცევა და მისთვის დამახასიათებელი მკვახე შეძახილით მიმართავს: „შენ ვიღას მეტიჩარა ხარ?... წადი, აქ შენ ადგილი არა გაქვს... მარტო მინდა ვიყო...“<sup>7</sup>.

ასეთ უბედურებაშიც კი ოთარაანთ ქვრივი გაურბის თანაგრძნობას, „ტკბილ სიტყვას“. ოთარაანთ ქვრივისთანა ადამიანი შეიძლება მოტყდეს, მაგრამ ქედი არ მოიხაროს.

ამ ტრაგიკულ მომენტში ოთარაანთ ქვრივის ურთიერთობა შვილთან, კესოსთან, სოსიასთან ამკვეთრებს მის მხატვრულ სახეს და ხსნის იმ იდეას, რომელიც ამ ხასიათის შექმნას უძევს საფუძვლად — მშრომელი ხალხის (ამ შემთხვევაში ქართველი გლეხის) ცხოვრების წიაღში იქედებიან ასეთი მტკიცე ხასიათის ადამიანები.

ასეთივეა ოთარაანთ ქვრივის დიდად მოსიყვარულე გულის ჩვენება გარკვეულ ტიპიურ გარემოში. ის თავის ქმარში ხედავს ოჯახის, ცხოვრების წინამძღვარს; მასში აფასებს გონიერებას, გარჯასა და მამაცობას. ოთარაანთ ქვრივს უყვარს თავისი ქმარი, პატივს

6 ი. ქ ა ე კ ა ე ა ძ ე, ტ. III, გვ. 36, 1926 წ.

7 ი ქ ვ ე, გვ. 105.

სცემს მას არამცთუ სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც. ის სახელმძღვანელოდ იხდის ქმრისაგან სიკვდილის წინ მიღებულ დარიგებას. აი, როგორ ახასიათებს თავის ქმარს — თვედღორეს ოთარაანთ ქვრივი: „ვენაცვალე იმის ჩრდილს!.. იმისი მუშაობა რომ ენახა კაცს, — თუნდა მარტოც ყოფილიყო — ქორწილი ეგონებოდა. ქვასაც კი გააღვიძებდა და ხელს გაანძრევინებდა. ვენაცვალე იმის სახელს!... რო კვდებოდა მაშინაც კი არ შეუქრავს წარბი, დამიძახა და მითხრა:

— რა გატირებს, ადამიანო! განა შენ კი შერჩები ამ წუთისოფელსაო. ყველას ბოლო ეს არის, ტირილით ნაშობი სიცილით უნდა კვდებოდესო.

— რა ვქნა მე უშენომა? — შევჩივლე მე.

— როგორ თუ რა ვქნა!.. გაისარჯე და ირჩინე თავიო. მე კი თითებიდამ ზეთი და ერბო მწვეთდა თუ! ვირჯებოდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდიო. ქვეყანა ღონიერია, ნუ გეშისო. ოღონდ ჭირს ნუ გაუტყდები, ნუ გაელახვინებო... ე ჩემ პატარა გიორგის უპატრონეო, არ გამიღარიბო, არავის დამიჩაგვრინო, არავის არ შემინატვრინო! გაიზარდოს და მერე თვითონ იცის. თუ იქნება თავისით იყოს, თავის მარჯვენით კაცობდესო. მამისეული თოფ-იარაღი შეუნახე, გამოადგება... თოფი ხაზინიანია, გაუფრთხილდეს, მხარში ცემა იცის. შორს მანძილზედ კარგად მიდის, ნიშანი კი ცოტა მაღლა დაუჭიროს...“<sup>8</sup>.

აი, მთელი ფილოსოფია პრაქტიკული ცხოვრებისა, ხალხის შრომითი ცხოვრების პროცესში გამომუშავებული. ასეთი ადამიანები ქმნიან ცხოვრების დოვლათსაც და საზოგადოებრივ სიმტკიცესაც. ოთარაანთ ქვრივის ხასიათს მისი ქმრის ეს დარიგება ბუნებრივად და მოხერხებულად ავსებს. ეს დარიგება ქართველი გლეხობის სახელმძღვანელო ბრძნული შეხედულება თუ თეორიაა, ცხოვრებაში ამოკითხული და განმტკიცებული.

ოთარაანთ ქვრივმა ქმრის დარიგება-ანდერძს არ უღალატა: ოჯახიც შეინახა, სარჩო-საბადებელსაც თუ არა მიუმატა, არა დააკლო რა, იარაღსაც კარგად უვლიდა, ქმრის ხსოვნასაც წმინდად ინახავდა და შვილსაც უნარჩუნებდა კარგი. მისაბაძი მამის იარაღს, როგორც რელიქვიას — წმინდა ნაშოს.

შვილისადმი სიყვარულმა და პასუხისმგებლობამ ხომ ხელი ააღებინა პირად ბედნიერებაზე: ბევრი მთხოვნელი ჰყავდა მას, მაგრამ არავის გაჰყვა — „ჩემს გიორგის არავის დავაჩაგვრინებო“.

<sup>8</sup> ი. ქ ა ე ქ ა ვ ა ძ ე, ტ. III, გვ. 45—46, 1926 წ.

ცხოვრების მძიმე პირობებმა ოთარაანთ ქვრივი გააქაჟა, გა-  
ამეხა. მას მკაცრი ადამიანის ბუნება და სახე მისცა. სოფელში ამ-  
ბობდნენ ოთარაანთ ქვრივს ქვა უდევს გულის მაგივრადო. ისე არა-  
ვის გაუვლიდა, რომ არ გაეკენწლა, თუ რამ თვალში არ მოუვიდო-  
და, განსაკუთრებით ზარმაცებსა და მუქთამჭამლებს არ ინდობ-  
და. სოფლის გონიერი გლეხები ოთარაანთ ქვრივს დიდად  
აფასებდნენ. დათია ბადიაშვილი, იმ სოფლის გლეხი, ოთარაანთ  
ქვრივს ასე ახასიათებს: „მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკა-  
ცია... არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა“<sup>9</sup>. ამ  
დახასიათებით ოთარაანთ ქვრივის კიდევ ერთ დადებით თვისებას  
ესმება ხაზი. დათიას პირით ოთარაანთ ქვრივს ამგვარ დახასიათე-  
ზას აძლევს სოფელი, მეზობლობა, ხალხი და თვით მწერალიც.

ოთარაანთ ქვრივის ხასიათის სრულყოფილად გამოვლინების  
მიზნით ილია ჭავჭავაძე ტ ი პ ი უ რ ე პ ი ზ ო დ ე ბ ს იძლევა მისი  
ცხოვრებიდან.

მიუხედავად დათიას დახასიათებისა — „არც სხვისას შეირჩენს,  
არც თავისას შეარჩენს სხვასაო“, ოთარაანთ ქვრივი გაჭირვებულს,  
დავრდომილს ყოველთვის შველოდა. მაგალითად, წვრილ-შვილიან  
ზარმაც დედაკაცს, რომელიც მის მეზობლად ცხოვრობდა და შვი-  
ლები ნახევარჯერ მშვიერ-მწყურვალი ჰყავდა, ყოველ კვირა დღეს  
ოთარაანთ ქვრივი „ერთს ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს  
თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე“ და თანაც თავისებურად „მო-  
ნათლავდა“, „პილბილს მოაყრიდა“: „აჰა, ხეთქეო... დაგილია ეგ შა-  
ვის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძალ-  
ლსავით სხვას შეჰყურებ, ავერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდე-  
ბენო“<sup>10</sup>.

ასევე ექცეოდა ოთარაანთ ქვრივი მათხოვარს, გაუკითხვად  
არ დატოვებდა, მაგრამ, მადლს თავისებურ პილბილს მოაყრიდა  
ხოლმე.

ყველა აღნიშნული პერსონაჟის არსებობა მხატვრული ნაწარ-  
მოების სამყაროსა და მისი იდეის სრულყოფილად განსახიერები-  
სათვის აუცილებელია. ამ პ ე რ ს ო ნ ა ჟ თ ა უ რ თ ი ე რ თ ქ მ ე -  
დ ე ბ ა, უდავოდ, ერთმანეთს, განსაკუთრებით კი ნაწარმოების ძი-  
რითადი პერსონაჟის ხასიათს ავსებს, უფრო მკვეთრი კონკრეტულ-  
რწივიდუალური თვისებებით აჩვენებს მკითხველს.

პერსონაჟის გახსნის ეს ხერხი ასევეა ილია ჭავჭავაძის მიერ გა-

<sup>9</sup> ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. III, გვ. 36, 1926 წ.

<sup>10</sup> ი ქ ე ე, გვ. 38.

მოყენებული მოთხრობაში „კაცია-აღამიანი?!“. ამ ნაწარმოების ძირითადი გმირის ლუარსაბ თათქარიძის დამახასიათებელი თვისებები: სიზარმაცე, სიზანტე (გონებრივი და ფიზიკური), გონების გაუხსნელობა, ჩამორჩენილობა, უუნარობა, ცრუ პატივმოყვარეობა, გარემოში გაუთვითნობიერებლობა, ორძილობა (растительная жизнь) ნიჭიერადაა გამოვლინებული ნაწარმოების სხვა პერსონაჟებთან (დარეჯანის, ელისაბედის, დავითის, მოურავი დათოს, გლეხის ქალის ბაბალეს, სუტ-კენინას და ლუარსაბის) ურთიერთობაში.



მაგრამ ილია ჭავჭავაძე პერსონაჟთა ხასიათის გახსნაში მარტო ამ ხერხით არ კმაყოფილდება.

იმავე ოთარაანთ ქვრივის ხასიათის მოცემაში ის მრავალ სხვა ხერხსაც მიმართავს. ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ილია ჭავჭავაძის მიერ ამ მიმართულებით გამოყენებულ ძირითად ხერხებზე, რაც ჩვენი დიდი მხატვრისათვის თითქმის ყოველ ეპიკურ ნაწარმოებშია დამახასიათებელი.

ილია ჭავჭავაძე ნაწარმოებთა, ძირითადად კი გმირთა ხასიათის გახსნისას ხშირად იშველიებს პერსონაჟის თვითგახსნისა (самораскрытие) და ავტორისეული დახასიათების ხერხს. პერსონაჟი შესაფერ სიტუაციაში თითქოს თავისთავს ელაპარაკება, ხსნის თავის მდგომარეობას, ქცევას, გარემოებისადმი დამოკიდებულებას, გამოთქვამს თავის მამოძრავებელ აზრს, შეხედულებას, რწმენას.

ოთარაანთ ქვრივის ვაჟკაცური საქმიანობა, ვაჟკაცური თავდაცვა, განსაკუთრებული ფხიზელი მოქმედება და მისი „პილპილმოყრილი მადლი“ სოფლის მრავალ მცხოვრებს, მომეტებულად დედაკაცებს ეუცხოვებოდათ. გლეხკაცები, ჯგუფად რომ სადმე მდგარიყვნენ და ოთარაანთ ქვრივი „მიმავალი დაენახათ, ისე გაიფანტებოდნენ აქეთ-იქით, თითქო ალაღმა დაჰქროლა წიწილებსო!“ ოთარაანთ ქვრივმა ეს ყველაფერი იცოდა და არა ნაღვლობდა, რომ მას ასე ეკრძალებოდნენ. ერიდებოდნენ და უფრთხოვდნენ ყველანი. ის თავისთავად იტყოდა ხოლმე: „ჩემი რად უნდა ეშინოდეთ? რა ბაყ-ბაყ დევი მე მნახესო! მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩავგრინები. თუ გაჭირდა რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდი ვივლიო“<sup>11</sup>.

ოთარაანთ ქვრივის ეს თვითდახასიათება მშვენივრად ხსნის მის

<sup>11</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 36, 1926 წ.

ხასიათს; უფრო ნათლად წარმოგვიდგენს ოთარაანთ ქვრივს თავისი მტკიცე, ძლიერი ნებისყოფით, უფრო მოხდენილად ავსებს მისი ღასიათის დამაჯერებლად ჩვენებას.

ასეთივეა ოთარაანთ ქვრივის შემდეგი თ ვ ი თ გ ა ხ ს ნ ა, თუ თვითგამართლება, თუ ა ე ტ ო რ ი ს ე უ ლ ი და ხ ა ს ი ა თ ე ბ ა: ოთარაანთ ქვრივს თუ რამ თვალში არ მოუფიქროდა, არავის გაუფიქრებია, რომ არ გაეკენწლა. მას არ უყვარდა ტკბილი სიტყვა: „ტკბილი სიტყვა რა არისო! — იტყოდა ხოლმე — ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს.. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევიანებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იცინა, რომ თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“<sup>12</sup>.

მოთხრობის ეს ადგილიც მშვენივრად გვიდასტურებს, რომ ოთარაანთ ქვრივი კარგად იცნობს მოუწესრიგებელ ცხოვრებას და კარგად გრძნობს, რომ კაცისათვის აუცილებელია მუდამ მზადყოფნა და ფიზიკურად შეფასება გარემო ცხოვრების მოვლენებისა.

ასევეა ოთარაანთ ქვრივის ფაქიზი, მაღალი საზოგადოებრივ-მორალური და მოსიყვარულე დედის ბუნების გახსნა მის ფიქრებსა და ტკაივლებში. რაც შვილის ცვლილებით არის გამოწვეული. გიორგიზე ფიქრში წასული ოთარაანთ ქვრივის გული ვერ ისვენებს. კვანძი დარდისა მკიდროდ გაინასკვა. შეშფოთებული დედა კვანძის გასაღებს ეძებს. გადახედავს შვილის მოქმედებას შეურვებული თვალთ. — „ამ ორის წლის წინად, — ჩაეკითხება თავის თავს ოთარაანთ ქვრივი, — თოფ-იარაღი აისხა ზედ, — ვენაცვალე იმის სიყმეს! უხდებოდა მამისეული,—წავიდა და სამი დღე შინ აღარ დაბრუნებულა. მე, სულელს, მაშინ ეს გუნებაშიც არ გამიტარებია. ეხლა კი მალონებს და გულთა. მკბენს... სანადიროდ ვიყავიო, მითხრა. თუ სანადიროდ იყო, ხელცარიელი რად მოვიდა?.. თავის დღეში ხელცარიელი არ მინახავს ნადირობიდან დაბრუნებული... მას აქეთ დაიგდო ნაღველმა. მე კი ესე დამახსოვდა-და!.. მას აქეთ დაწვა რაღაც ლოდი გულზედ და ვედარ აუხსნია... ღმერთო, ნუ მაფიქრებინებ, ღმერთო, ცა-მრგვლის გამჩენო! რა ვიცი?.. ამ ტიალ წუთის-სოფელში ფათერაკი ბეგრია... ღმერთო, მაშორე“<sup>13</sup>... ან „თუ

12 ი. კ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, ტ. III, გვ. 37, 1926 წ.

13 ი ქ ვ ე, გვ. 62.



გული შევარდნია ვისზედმე, რად უნდა მიმალავდეს! რა დასამალავია ჩემთან!.. და თუ სხვა რამ ასტეხია.. ღმერთო ნუ მაფიქრებინებ“<sup>14</sup>.

განა ასევე მკვეთრად არ ააშკარაებებს გიორგის ხასიათს მისი თვითგახსნა, სიკვდილის წინ დედას რომ გამოუტყდება თავის დალუპვის მიზეზში.

მომაკვდავი გიორგი ორიოდ წვეთმა ღვინომ მოასულიერა. მან თვალი გაახილა, წყნარად მიატარ-მოატარა და უეცრად გაუშტერა მტირალ კესოს. ოთაოაანთ ქვრივმაც შენიშნა. გიორგი ძლიერძლივობით წარმოთქვა: „დედი! ჰხედავ... ეგ იყო ჩემი ბედის წერა... არა ვნანობ, არა... აი, ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა“, — ინატრა გიორგიმ და მისმა თვალმა უფრო მეტი თქვა, ვიდრე სიტყვამ. კესო ტირილით მივიდა გიორგისთან და შუბლზე აკოცა. თავი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს გულზედ დაეცა. ამ ცრემლმა გიორგი თითქოს სიცოცხლეს დაუბრუნა, იამა, მოსულიერდა და განაგრძო თვითმხილება:

„ხედავ, დედი!.. ცოცხალი მაგის ღიბს ვერ ველირსე, ვკვდები და მაგის ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან წასატან ლხენად... არა ვნანობ, არა!.. მივდივარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განედლებული სიხარული... ნუ იწუხებ, დედი!.. შენგან გამიგონია რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევინოსო!.. არჩილ, ნუ მიწყენ, ნუ!.. ნურც შენ, ნურც შენი!.. განა არ ვიცოდი. — მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავსა... გული გწვდებოდა, გული, ხელი კი ველარ... ხატსავით გლოცულობდი, მზესავით დამნათოდი... არც კი იცოდი, — ვის აბობობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, მცხვენოდა... მერიდებოდა... შეშინოდა... ვკვდები და გეუბნები... მკვდარს რაღა მომეკითხება? მკვდარი ყველა თანაბარია!..“<sup>15</sup>.

გიორგის ეს თვითმხილება, ავტორის მცირე, მაგრამ მოხდენილი დახასიათების ჩართვით, იშვიათი სიმკვეთრით ხსნის როგორც გიორგის ხასიათს, ისე მისი მდგომარეობის არსს. გიორგის უკანასკნელ განდობაში — „მე ვინ და შენ ვინ!“ — შთამავგონებლად ისმის მძიმე, სინდისის მქეჩნავი საყვედური და მხილება „მოუწესრიგებელი — უთავბოლო“ ცხოვრების მიმართ, დაჩაგრული, უფლებააყრილი „უნცროსი ძმისა“ გაბატონებული კლასების წინააღმდეგ.

14 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. III, გვ. 62, 1926 წ.

15 იქვე, გვ. 102—103.

ასეთივე ხასიათისაა პრივილეგიური კლასის წარმომადგენლის — არჩილის ვალეიძეებელი სინდისის ქენჯნა, თვითკრიტიკა: „ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ, ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოებათ... ორი სხვადასხვა ქვეყანაა... იმათ ჭირსა და ლხინს ცალკე ლობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მოგვიხვედრებია, და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა“<sup>16</sup>... და სხვა.

ამ შემოქმედებით ხერხს იღია ჭავჭავაძე ხშირად მიმართავს თავის სხვა ნაწარმოებებშიც. მაგალითად, მოთხრობებში — „კაცია-ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“ და სხვა.

ლუარსაბ თათქარიძეს ახალი დროება არ მოსწონს; ცხოვრების ახალ მოვლენებში ვერ ერკვევა, მას ვერც ეგუება. შეუცნობლად გრძნობს მის შემოტევას, გრძნობს, რომ მისი ძალა-უფლებაც თითქოს ირყევა, სუსტდება. თითქოს ინსტინქტურად ებრძვის ის ახალი დროის ყველაზე არსებითს და გადაუდებელ მოთხოვნილებას — სწავლას, რომელსაც ის „ეხლანდელ ჭირად“ თვლის. „დრო გამოიცვალა, — იტყოდა ხოლმე აღმოჩენებით ლუარსაბი, — დრო გამოიცვალა, რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველ კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შეილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაქყაცის ხელობაა, — ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს. ყველაფერი მაშინ თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე!... კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატოსანი“<sup>17</sup>.

აქ სრული თ ვ ი თ გ ა შ ი შ ე ლ ე ბ ა ა ლუარსაბის მიერ თავის ჩამორჩენილობისაც, გონების სიზნანტისაც, ახალი დროის მოვლენებში გაურკვეველობისა და მათთან შეგუების უნარმოკლებულობისაც.

უმწეო ლუარსაბი. უსაზღვროდ გულნატკენი და შეწუხებულთა, შვილი რომ არ ჰყავს. ის, შურით აღვსილი ძმისა და რძლისადმი, რომ მისი ქონება შეიძლება მათ დარჩეს, იქამდის მიდის, რომ ღმერთსაც კი საყვედურობს და ძმას მასთან ასმენს: „ღმერთო!.. რა დაგიშავე, შე დალოცვილო, რომ შეიღს არ მაძლევ? მიბძანე და აკი გაიხელ თელეთს სალოცავადა, თორმეტაბაზიანი ცხვარი დაგი-

16 ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 107—108, 1926 წ.

17 ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 151, 1926 წ.

კალ, ორი აბაზის წმინდა სანთელი ავინთე, სხვა რა ვქნა? წირვა-ლოცვას უამისოდაც არ ვაკლდებოდი, მარხვა მე არ გამიტეხია, ყოველ წელიწადს წმინდა ზიარება მიმიღია და აღსარება მითქვამს. აბა ჩვენ მღვდელსა ჰკითხე, თუ მე ცოდვა მიქნია რამე. დავითის ლუკმად უნდა გამხადო?!"<sup>18</sup> და სხვა. ლუარსაბის ხასიათის ასეთი თვითგახსნა და ამგვარი მრავალი სხვა ნიჭიერად ასახიერებს დაჩიავებულ, დრომოკმულ ჩვეულებებს, რომელთაც ებღაუჭება გონებაგაწრიოკებული და ცხოველმყოფელობის ძალაგამოცლილი ლუარსაბი და მისთანები.

\* \* \*

პერსონაჟის ხასიათის გახსნას ილია ჭავჭავაძე წარმატებით ახერხებს სხვა საშუალებებითაც, რომელთაგან აღვნიშნავთ ზოგიერთს, როგორც აგრეთვე ძირითადას და დამახასიათებელს ილია ჭავჭავაძის პოეტური ხელოვნებისათვის.

პერსონაჟის ხასიათის გახსნისათვის დიდი და არსებითი მნიშვნელობა აქვს ავტორისეულ პირდაპირ დახასიათებას. ამ დახასიათებაში მწერალი ავლენს თავის გაგებას, პერსონაჟის ხასიათის ამა თუ იმ თავისებურების შეფასებას. ეს კი უფრო თვალსაჩინოდ გამოკვეთავს გმირის სახეს, უფრო დამაჯერებლად გვიჩვენებს მის ბუნებას.

ოთარაანთ ქვრივი რთული, მრავალწახნაგოვანი ბუნების ადამიანია. ილია ჭავჭავაძე საჭიროდ თვლის ამ რთული ბუნების გზადგზა გამოვლინებაში თვითონაც შეუმჩნეველად შეიჭრას და თავისი პირდაპირი დახასიათებით ხელი შეუწყოს მკითხველს მის სწორათვისებაში.

ოთარაანთ ქვრივის წინდახედულების, გონიერულ-ანგარიშიანი საქმიანობის ჩვენებას ილია აძლიერებს პირადი დახასიათებითაც: „გაპყიდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთ რიგად ინახავდა. ამისათვის ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა, ჩანთასავით შეკერილები. ერთს ამისთანა ქისას „საჭირნახულოს“ ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და სალენწად. მეორე ქისას „ბარაქალა ქისას“ ეძახდა. ამაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას „საჯანაბო“ ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერ-

და. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის ფულსა. ამ ქისას ეძახდა: „შიეცი და მოგეცესო“. მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაქიბი ფული. ამ მეხუთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან „ფარსილას ქარვასლას“ ეძახდა, ხან „შიოს მარანს“.

„თვლა, — განაგრძობს მწერალი ოთარაანთ ქვრივის დახასიათებას, — თუმცა მაგრე-რიგად არ იცოდა და ხშირად კენჭებს მოიშველებდა ხოლმე, როცა უამისოდ დათვლა უჭირდებოდა, მაგრამ ანგარიში ძნელად შეეშლებოდა. პირველს ოთხს ქისაში იმდენს ჩააწყობდა, რამდენიც საჭირო იყო და ძალიან იშვიათად მომხდარა ანგარიში არევოდეს. რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყველას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა და, მინამ გამოილეოდა, დაუთვლელად ჰხარჯავდა“<sup>19</sup>.

ასეთივე ხერხია გამოყენებული მოთხრობაში — „კაცია-ადამიანი?!“ ლუარსაბის, დარეჯანის, ლამაზისეულის, ელისაბედის ხასიათების გახსნისას.

ილია ჭავჭავაძეს უნდა მკითხველს დაანახვოს ლუარსაბის გონებრივი გაწრიოკება, აგრეთვე აჩვენოს, თუ რამ მიიყვანა იგი ასეთ მდგომარეობამდე. ამისათვის მწერალი ლუარსაბის ხასიათის განსახიერებისას ასეთ დახასიათებას ურთავს: ლუარსაბს „სწავლაღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა. რომ ჰქონოდა, ეგრე სუქანიც აღარ იქნებოდა... ჩვენი ლუარსაბი, მგონი, თითონაც ბევრს არ იცემდა თავში, რატომ სწავლა არა მაქვსო... ეგ ეხლანდელი ჭირიო, — იტყოდა ხოლმე გულმტკივნეულად, თითქო, ქვეყანა ამ ჭირისაგან ებრალეზო... მისის აზრით, კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც დღეყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხასსმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო. მისი ბრწყინვალეობა თავის თავზედ ჰხედავდა თავის ბრწყინვალე გონიერებით, რომ ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ასრულებს. ნამეტნავად ჯოგის და ყმის პატრონი, ყმისა — რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს“<sup>20</sup>.

ასევე ავტორის პირითაა გადმოცემული ლუარსაბის ფიზიკური სიზნანტის, ორძილობის დახასიათება: ლუარსაბს „სტუმარი ეჯავრებო... ამბობდა უგუზური ხალხი, მაგრამ განა სიძუნწით მოსდიოდა ეს ამბავი?... თუ ეჯავრებოდა სტუმარი, იმიტომ ეჯავრებოდა, რომ უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაცევა... ადგომა კიდევ არაფერი. ეს ესე: არ ეხარებოდა ლუარსაბსა: ტანთ ჩაცემა იყო ამის სიკვდილი..

19 ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 43—44, 1926 წ.

20 ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 150—151, 1926 წ.

შთელს ზაფხულს ისე გაატარებდა, რომ პერანგის და მის ამხანაგას მეტს არას მიიკარებდა ტანზედ, თუ თავის ნებაზედ მიაგდებდით, თუ არა, მეტი რა ჩარა იყო. ზამთარში კიდეც პერანგზედ ქურქს წამო-ისხამდა, თუ ვინმე დიდი კაცი არ ეწვევოდა<sup>21</sup>.

აი, ასეთ მოძრავ ლეშად გადააქცია მზამზარეულმა, ბატონ-ჟმურმა ცხოვრებამ ლუარსაბ თათქარიძე, — ამბობს ილია ჭავჭავაძე.

\* \* \*

პერსონაჟის ხასიათის გაშლას ილია ჭავჭავაძე ავსებს და ამკვეთრებს აგრეთვე მათი პორტრეტების მოცემით. პორტრეტული დეტალები, რომლებიც ეხმარება პერსონაჟის სახის გაღრმავება-გაფართოებას, მრავალგვარია: პერსონაჟის გარეგნული სახისა და სხეულის ნაკვთები, ფორმა — მისი ჩაცმულობა თუ სხეულის მოძრაობა, მისი ხმა და ა. შ.

ჩამწვდომი ოსტატობითაა მოცემული ოთარაანთ ქვრივის დედობრივი ტკივილები გიორგის ოჯახიდან წასვლისას. ცნობილია, თუ რა მძიმე ტრაგედიაა მშობლისათვის (განსაკუთრებით ისეთი თავდავიწყებით მოსიყვარულე დედისათვის, როგორც ოთარაანთ ქვრივი), როცა დედა-შვილის ცხოვრების გზების დაცილება, გაყრა ხდება, როცა შვილს თავისი პირადი გზა გაუჩნდება. სწორედ, ამ მომენტმა გატეხა ოთარაანთ ქვრივი, მაგრამ სახე მაინც ვერ შეააცვლევინა: ოთარაანთ ქვრივი ისევ ის მებრძოლია, სამართლიანი, დარდასა და მწუხარებას რომ არ ჰყვება; ისეთივე მტკიცე ხასიათის პიროვნებად რჩება ბოლომდე. მაგრამ ეს მას ძვირად, ძალიან ძვირად უღირს — ამას ახერხებს ჯოჯოხეთური ტკივილების დაძლევის გზით. მოვეუსმინოთ ილიას:

„ოთარაანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ.. დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქო ხმაამოუღებლად იხვეწ-იმუდარებოდა, — ერთი მაინც შემომხედოსო, მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა..

დედას გულმა ტეხა დაუწყო.

— უკან აღარ მოიხედა!.. — დაიკვნესა დედამ. — ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწვეიანო.

ფეხთმდგომელას ოთარაანთ ქვრივს თავი ძირს ჩამოუვარდა დამბლასავით, თითქო კისრის ძარღვი გაუწყდა, ველარ შეიმაგრა და ნიკაპით გულზედ დასაბჭენად-ლა დაეკიდაო.

<sup>21</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 154.

— ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დაპრჩა-რა!.. სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს... განა ყველაფერი იქ არის, სუყველაფერი!.. დაიკვნესა ხელახლად დედის გულმა.

ამის თქმაზედ ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმულ სახელოთი მოისო თვალებზედ.

თითონაც არ იცოდა, რადა ჰქნა ესა. ეს უნებურად, უცოდნელად მოუვიდა. ხელმა თავისთავად დაასწრო, მინამ გული ცრემლს წამოჰღვრიდა. თითქო ხელი არ დაეკითხა გულს, — არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო. ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა!.. განა აქვს კი ცრემლი ცეცხლმოკიდებულ გულსა?!.

ჩამოჯდა ოთარაანთ ქვრივი ღერეფნის ღირეზე, ჩაჰკიდა კვლავაც თავი და ორისავე იდაყვით მუხლების თავზედ დაებჯინა.

ოთარაანთ ქვრივი ფიქრმა წაიღო..

დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევში გულმა და გონებამ ოთარაანთ ქვრივისამ. მერე თითქო რაღაც ხიდი გაიდოვო მორევი-დამ გამოსასვლელად, წამოდგა ფეხზედ და ხმამალა სთქვა:

— არა შეილო!... შენ გაიხარე, შენ!.. მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებლით-ღაც ვივლი და ვიცოცხლებ“<sup>22</sup>.

აქ მთელი სიგრძე-სიგანითაა მოცემული ოთარაანთ ქვრივისათვის დამახასიათებელი შინაგანი თუ გარეგანი თვისებები.

ასეთივე გულში ჩამწვდომი და ღრმად შთამბეჭდავია ოთარაანთ ქვრივის სახე მომაკვდავ შეილთან. ოთარაანთ ქვრივის გაუტეხელი, ამტანი, რკინისებური ხასიათი ამ მძიმე მომენტშიც არ კარგავს თავის ბუნებას. მის გამოუთქმელ მტანჯველ განცდებს მწერალი ასე გადმოგვცემს:

„—თქმა უნდა და ილაჯი აღარა აქვს... — დაიკვნესა დედამ.

ამის თქმაზედ ორი სხვილი ცრემლი ჩამოუგორდა თვალთაგან და გაფითრებულ ლოყებზედ ნავალი დააჩნია, თითქო მდულარე ტყვია იყო და საცა გაიარა, ამოსწვაო.

სახე კი... არ უტიროდა, არა!..

გაკერებულმა დედამ სახეს არ ამოაბეჭდვინა მწვავი ტკივილი გულისა. ძალის-ძალად გაყინული ცრემლი კი დაადნო ცეცხლმოკიდებულმა გულმა და ძალის-ძალადვე შეუპოვრად შეკრულ სახეს ერთი ძარღვიც ვერ შეუშალა. იმედ-გადაწყვეტილობის სუსხმა ისეგაჰპყინა ეს დამდნარი დედაკაცი...“<sup>23</sup>.

<sup>22</sup> ი. ჭ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, „ოთარაანთ ქვრივი“, თხზ., ტ. III, გვ. 77—79, 1926 წ.

<sup>23</sup> ი ჭ ვ ე, გვ. 101.

აქ ოთარაანთ ქვრივის თვალის, სახის, ხელის, სხეულის ყოველი კუნთისა და ძარღვის მოძრაობა მაქსიმალური სიზუსტით შეესატყვისება მის მთლიან ხასიათს და მკითხველისთვისაც უფრო მეტად ხელშესახები და დამაჯერებელი ხდება.

მოთხრობის სიუჟეტის გაშლაში ასეთივე მაღალი ოსტატობითა და შთამბეჭდავი ძალითაა ჩაქსოვილი გიორგის პორტრეტი: „იმ დროს, როცა ჩვენს მოთხრობას ვიწყებთ, ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოც-და-ერთის წლის ბიჭი იყო. ერთი ჯმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დადგა. კუპრსავით შავი და კარგად დაკოკრებული წვერულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანს და მოხდენილად მოყვანილს სახესა. თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო, და უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ მისი დიდრონი ქორული თვალები ცოტა მრისხანედ არ გამომეტყველებდნენ. თვალთა მეტყველების ჭექას აძლიერებდა გადაბმული წარბები. ეს მარილიანობას სახისას ბევრს უშლიდა. ამის გამო კაცი უნებურად თვალს მოარიდებდა პირველ თვალის მოსწრებაზედ. ხოლო რამდენსაც უფრო დააკვირდებოდით მის პირისახეს და თვალებსა, უფრო და უფრო მოგეწონებოდათ გიორგი. იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი. ტანადაც ერთი ბრგე კაცი იყო, მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩასხმული.

კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა, იმისი ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზედ ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს“<sup>24</sup>.

მწერლის მიერ გიორგის ასეთი პორტრეტის ჩვენებით მკითხველი ხედავს, განიცდის არა მარტო გიორგის მიმზიდველი სახის გამომეტყველებას, მისი ჩაცმულობის მოხდენილობას, რაც ასე ეხმარება და ესატყვისება გიორგის საერთო სახეს, არამედ აგრეთვე ქართველი გლეხის გამომეტყველებას და ჩაცმულობის შნოს, ლაზათს, მომხიბვლელობას.

ასეთივე ოსტატობით აქანდაკებს ილია ჭავჭავაძე ბატონყმობის ინსტიტუტის საფუძველზე განმტკიცებული ზნე-ჩვეულებების, სხვისი — (ყმის) შრომით უზრუნველი ცხოვრების შედეგად როგორც გონებრივად და ზნეობრივად, ისე ფიზიკურადაც დამახინჯებული ლუარსაბის, მისი კნენინა დარეჯანისა და სხვა პერსონაჟთა პორტრე-

<sup>24</sup> ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, „ოთარაანთ ქვრივი“, თბზ., ტ. III, გვ. 47—48, 1926 წ.

ტებს. ნიმუშისათვის მშვენიერია წინა თავში მოცემული ლუარსაბის პორტრეტი. აქ, დამატებით, საილუსტრაციოდ მოვიტანთ ლამაზისკულის პორტრეტს:

„სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისკული: ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ქუჭყიანი, ტანზედ ეცვა ხამის ჩითის კაბა, ქუჭყისაგან ვერ გაირჩეოდა — რა ფერისა იყო; კალთები აქა-იქ გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან ახლო გდებისაგან. ბოლოები სულ მომპალი და შემოფხრეწილი ჰქონდა, დახეულებიდან გამოჩანდა ერთი რაღაც დამპალის საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშემო ჩამოკიდებული, მითომ და იუბკაა.. თავზედ ეკრა შიგა-და-შიგ ჩამოფლეთილი ჩით-მერდინი, ქალბატონის გამონაცვალი, იმ ანოფლეთილებში მუთაქის მატყლსავით დასორსვლილი შავი—უკაცრავად არ ვიყო — წილიანი და დაუვარცხნელი თმა მუჭა-მუჭად ამოშვეროდა, ქუსლებ-დახეთქილი, მუგუზალსავით შავი ფეხები, წენგოსაგან შეღებილი ხელები, ცხვირ-პირი ქვაბების მურით მოთხუპნული — აი, ამ-გვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი „ლამაზისკულს“ ეძახდა და რომელიც გულ-ხელ-დაკრებილი დაჰყურებდა ბალან-გაცვივულ ხალიჩას“<sup>25</sup>.

აი, ბატონ-ყმობის მძიმე უღელქვეშ ყმის გაპირუტყვების ცოცხალი მაგალითი.

აღნიშნულ მოთხრობაში ასევე მკვეთრადაა ჩაქსოვილი პერსონაჟის საერთო ხასიათთან შეხამებული დარეჯანის, ელისაბედისა და სხვათა პორტრეტები, რაც აგრეთვე ნაწარმოების პერსონაჟის სახის სრულ გახსნას ემსახურება.

ილია ჭავჭავაძე პერსონაჟის დახასიათებაში დიდი ოსტატობით აქსოვს აგრეთვე თვით ნაწარმოების იდეას, ან მის ნაწილს.

„ოთარაანთ ქვრივში“ ილია ჭავჭავაძის მიზანდასახულობაა, მკითხველს შთააგონოს, წინააღმდეგ „ბრწყინვალე“ წრეში გავრცელებული შეხედულებისა, რომ შრომა სამარცხვინო კი არ არის, არამედ სასიქადულოა, რომ შრომა ამახვილებს კაცის ნიჭს, უნარს, საპატიო სიმადლეზე აჰყავს იგი, როგორც თავის საკუთარ თვალში, ისე მთელი საზოგადოების წინაშე.

ილია ჭავჭავაძე აგვიწერს რა ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამოს, თითქოს საგანგებოდ წესრიგში მოყვანილს, — ყველაფერი რომ თავის ადგილზეა, გასუფთავებული, მოვლილი, განაგრძობს: „სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოღობილი და შიგ ბოსტანია.

25 ი. ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?“, თხზ., ტ. II, გვ. 174—175, 1926 წ.



აქ მოჰყავს ხოლმე ოთარაანთ ქვრივს ყოველივე ბოსტნეულო-  
ბა, რაც კი დასჭირდება საზაფხულოდ, თუ საზამთროდ, თავისას  
ხელით ჰბარავს, სთოხნის, ჰმარგლის, სთესს და ჰკრეფს ხოლმე.  
თუმცა სოფელელი ბევრს იძახდნენ: ვის გაუგონია დედაკაცის ბა-  
რი და თოხიო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი არას დაგიდევდათ.

— თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო, — ამბობდა ხოლმე.  
— მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზედ! თუ იმასა  
ჰშვენის ბარი და თოხი, მე რაღა ღეთისაგან შერისხული ვარ. რა  
ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზედ წინ რით  
არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და მეცაო. თუ ის ხელ-  
ფეხს ასაქმებს, მე რაღა დარღუბალა გადამქიდები!... რა საპყარი  
და დავარდნილი მე მნახესო!..“<sup>26</sup>

ილია ჭავჭავაძეს შრომის მოთხოვნა და აუცილებლობა, ფიზი-  
კური შრომისაც კი, შესაძლებლად და მოსაწონდაც მიაჩნია არა  
მარტო მამაკაცისათვის, არამედ დედაკაცისათვისაც. შრომა აფხიზ-  
ლებს, აჯანსაღებს კაცს და ეს კი სჭირდება როგორც მამაკაცს, ისე  
დედაკაცსაც. ეს იღეა, უდავოდ, იმ დროს ახალი და პროგრესული  
იყო. ამიტომ მისი მოთხოვნის აუცილებლობას ილია შთააგონებდა  
ქართველ მკითხველს, რადგან ქართველი საზოგადოება (რა თქმა  
უნდა, განსაკუთრებით, მისი პრივილეგიური ნაწილი) შრომას გა-  
ურბოდა, არ კადრულობდა, დამამცილებლადაც მიაჩნდა და რაღაც  
გამოუარკვეველ უმოქმედობას, ბურანს იყო მიცემული. ი. ჭავჭავა-  
ძის თქმით, ეს ის დრო იყო, როცა:

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი..  
მშობელი შობილს არას მეტყოდა,  
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი  
ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა“<sup>27</sup>

(„ელეგია“)

აი, ასეთ მდგომარეობაში ილიამ ქვეყნის გამოფხიზლებისა და  
აყვავების წამალი საზოგადოებრივ ფხიზელ, აზრიან შრომაში, მოქ-  
მედება-მოძრაობაში დაინახა, ხოლო მისი განსახიერება ოთარაანთ  
ქვრივის ცხოველ სახეში სცადა.

ამიტომაც მწერალი „ოთარაანთ ქვრივი“ პერსონაჟთა ამ თვი-  
სებას არა ერთგზის გვიჩვენებს.

პატიოსანი შრომა, რომელიც კაცს „სინდისის ქუდს“ ჰხურავს,  
გოროგისათვის ურყევ ჩვეულებად, მისი ბუნების მკაცრ მოთხოვ-

<sup>26</sup> ი. ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“, თხზ., ტ. III, გვ. 41, 1926 წ.

<sup>27</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. I, გვ. 13, 1925 წ.

ნილებადაა გადაქცეულა. აი, რას გვეუბნება ამის შესახებ ავტორი: „ეს ხასიათი დასჩემდა გიორგისა. დედისავეთ, — თავისი იყო, თუ სხვისა, — თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა. ბევრს ამისათვის არ მოსწონდა გიორგი. კაცო, რა უნდა, სხვის საქმეში რად ერევაო? არა ერთი და ორი იძახოდა ამას სოფელში. ამ ხასიათმა ბევრი ხიფათი შეამთხვია, მაგრამ არც თითონ იშლიდა, არც დედა უშლიდა“<sup>28</sup>. ამგვარი დახასიათებით მწერალი, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ხასიათის და მასთან, ნაწარმოების ი დ ე ი ს გაღრმავებას. ერის, საზოგადოების ცხოვრება მაშინ აღორძინდება, მაშინ წავა წინ, შთააგონებს ილია მკითხველს, — როდესაც ყოველი ჩვენგანი, საზოგადოების ყოველი წევრი, ისე გაუფრთხილდება ადამიანს, როგორც საკუთარ თავს.

ილია ჭავჭავაძემ კარგად გაითვალისწინა, რომ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება შეფერხებულია კაცის გონებისა და სხეულის დამასნეულებელი, გამაზარმაკებელი, განადგურებამდე მიყვანი მუქთახორობით, სხვისი შრომის შედეგად მზამზარეული, უანგარიშო ცხოვრებით, რასაც ასეთი ფართო ხასიათი ჰქონდა მიღებული ბატონყმობის ხანაში და რაც, როგორც ნაშთი ამგვარი ცხოვრებისა, შემდეგშიც გადმოდიოდა. სწორედ ამ გარემოებამ გადაავგვარა ლუარსაბ თათქარიძე და მისთანანი.

ილია ჭავჭავაძე მისთვის დამახასიათებელი სატირით ასე გვილსურათებს ლუარსაბის ხასიათის ამ მხარეს: „სადილის შემდეგ ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი და ბოლოს ისევ სატრფიალო ძილი — და ესრეთ ტკბილად და აუმღვრევლად მიდიოდა ამ ორთა უმანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთის-სოფელში, რომელმაც ისე არაფერი არ იცოდა ამათის ვინაობისა, როგორც ამათ არა იცოდნენ-რა, ჭამა-სმის გარდა, ღვთისაგან განაჩენი ამ მუხანათის წუთის-სოფლისა“<sup>29</sup>.

ი. ჭავჭავაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე შეუწინაღობელი მონდომებით ცდილობდა შთაეგონებინა მკითხველისათვის, რომ კაცი თავის თავს, თავის დანიშნულებას პოულობს შეგნებულ, საზოგადოებრივ შრომაში, მოქმედებაში, რომ საკმარისი არ არის დავკმაყოფილდეთ მით, რომ „რაც არ უნდა გვექნა, არ გვექნია“<sup>30</sup>, ცუდი საქმე არ გავგიკეთებია (ეს, რა თქმა უნდა, არ არის ურიცხო: უარარაობას ესა სჯობია, მაგრამ არ არის დამაკმაყოფილებელი).

28 ი. ჭავჭავაძე, „ოთარანთ ქვრივი“, თხზ., ტ. III, გვ. 52, 1926 წ.

29 ი. ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?“, თხზ., ტ. II, გვ. 166, 1926 წ.

30 იქვე, გვ. 194.

ილიას ღრმა რწმენით, საჭიროა ყოველმა ჩვენგანმა ეს საკითხი შებრუნებულადაც დასვას: „რაც უნდა გვექნა, ის კი გვიქნია?“ და აი, ეს შებრუნებული საკითხია, ილიას გაგებით, უფრო არსებითი, კაცისა და საზოგადოებრივი ცხოვრების წინ წამწევი, რასაც ასე დაუინებოთ მოითხოვს ერის ცხოვრება; ხოლო პასუხი, რომელიც შეუძლია ლუარსაბმა და მისთანებმა მისცენ, — „მისვამს და მიჭამია, არც ერთი დღე მშიერი არა ვყოფილვარ“ — არამცთუ დამაკმაყოფილებელი არ არის, არამედ სამარცხვინოცაა, ვინაიდან ასეთი ადამიანი ცხოვრობს მხოლოდ მისთვის, რომ სვას და ჭამოს, და არა იმისათვის ჭამს და სვამს, რომ იცხოვროს. ამიტომ, ილია ჭავჭავაძის გაგებით, ასეთი კაცის ცხოვრება უაზროცაა და უმნიშვნელოც. ილია, გამომდინარე ასეთი შეხედულებიდან, მწარედ, დაუნდობლად, მაგრამ სამართლიანად შენიშნავს: „მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ“<sup>31</sup>.

განაჩენი თუმცა მკაცრია, მაგრამ სამართლიანი და დამაფიქრებელი.

• • •

მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის ხასიათის სისრულით გაშლისათვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ხშირადაა გამოყენებული პერსონაჟის გარემოს (სახლ-კარის, ბინის, ნივთებისა და სხვა) აღწერაც. ასეთი აღწერით ილია ჭავჭავაძე მკითხველს თვალსაჩინო წარმოდგენას აძლევს, თუ რამდენადაა პერსონაჟის ხასიათის თავისებურება აღბეჭდილი ან გამოვლინებული მის ასეთ გარემოში.

ილია ჭავჭავაძის მიზანდასახულობაა ოთარაანთ ქვრივში დაგვანახოს მშრომელი, წესიერი, თავისი მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი ქალი, ქართველი გლეხის ცხოვრებაში გამობრძმედილი, რომელშიც შრომითმა ცხოვრებამ გამოიმუშავა შრომისა და გამუდმებით წესრიგში ყოფნის აუცილებლობისა და მოთხოვნის შეგნებული ჩვევა.

„ოთარაანთ ქვრივს, — გადმოგვცემს ილია ჭავჭავაძე, — სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა. მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხკაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშულის ღობითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და ღერეფნილამ მოყო-

<sup>31</sup> ი. ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი!“, თბ., ტ. II, გვ. 257, 1926 წ.

ლებული ჭიის კარამდე სიგრძე-სიგანეზედ მწვანით აბიბინებული. დერეფნის წინ, ერთ ოციოდ ნაბიჯზედ, უშველებელი კაკალი სდგას, შტოებ-ძირდაშვებული, შემორგვალელებული, თითქო განგებ შემოკვეცილიაო.

კაცის თვალს ეამებოდა, რომ ეს ეზო ენახა<sup>32</sup>.

მაგრამ ოთარაანთ ქვრივის სახლ-კარისა და მეურნეობის მართო გარეგანი მხარე კი არ იყო ასეთი, ფაქიზად და გამრჯელი ხელით ნაკეთი, რათა იგი ვისმეს ენახა. არა, ასეთი სიფაქიზე და წესიერება ხომ ოთარაანთ ქვრივისათვის ჩვეულებრივი იყო, როგორც მისი შინაგანი მოთხოვნილება. ილია ჭავჭავაძე მისი ბინის შინამოწყობილობას დამახასიათებელი დეტალებით აჩვენებს მკითხველს: „სახლში რომ შესულიყავით, ყველაზედ უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე და დაგვილ-დაწმენდილობა იქაურობისა. თარო ჩრდილოს მთლიან კედელზედ თავიდან ბოლომდე გახიდულია და ზედ ჩამწყრივებულია სუფთა ჭურჭელი ქაშანურისა, ორიოდე ქვაბი, ტაფა, ჩამჩა, ქაფქირი, ძალზედ დაწმენდილ-დარეცხილი, მხიარულად გადმოიციქირებიან მალლიდამ, თითქო თავს იწონებენ, რომ კარგი მომვლელი და პატრონი ასჩენიათ.

კერას აქეთ-იქით თითო ტახტია, დაფენილი ჭრელის ფარდაგებითა, კარგა ხნის ფარდაგებია, მაგრამ კარგად შენახული და ნაპატრონები. ტახტების თავზედ თითო ბაცანკალი, ანუ, როგორც ზოგან ეძახიან, სართუმალი დგას ხარატით ნაკეთები. კუთხეში ერთი დიდი კიდობანია. ეტყობა ძველი ნაკეთობაა, იმიტომ, რომ წინაპირზედ გამოხარატებულია სხვადასხვა სახე და ძველებური გრეხილ-ხვეულები სილამაზისათვის. ერთი დიდი სკივრიცა სდგას მეორე კუთხეში, ეტყობა ერთს დროს ლურჯად ყოფილა შედებილი და ეხლა კი საღებავი გადასვლია. ამ სკივრზე აკოკრებულია ქვეშაგები, ლურჯის სუზანით თავიდან ბოლომდე ჩამოფარებული<sup>33</sup>.

აი, ასეთი ფაქიზი, მიმზიდველია გლენკაცის შრომის ქურაში გამობრძმედილი ოთარაანთ ქვრივის გონივრული, ოჯახური მეურნეობა.

სულ სხვაგვარად გამოიყურება ლუარსაბ თათქარიძის კარ-მიდამო და მისი ბინის მოწყობილობა, რაც მეტად ტიპიური და დამახასიათებელია იმ საზოგადოებისათვის, რომლის წარმომადგენელიცაა თვით ლუარსაბი: „კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი, — აგვიწერს ილია ჭავჭავაძე, — ...ორსართულიანი სახლი ქვითკირისა. აი, ის სართულები რა ფერისა იყო: ქვეშ იყო მარანი, წალ-

32 ი. ჭ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, „ოთარაანთ ქვრივი“, თხზ., ტ. III, გვ. 40—41, 1926 წ.

33 ი ქ ე ე, გვ. 42.

მით დახურული, და იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ. მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა პთამაშობდა. კარგა მანძილზედ კიდევ ფიცრულის სათორნეც იდგა, იმას აქედამ ხულა, რომელსაც ზედ ჰქონდა მოდგმული ცალთვალა სასიმიინდე, ერთი უბადრუკი რამ და მგლოვიარე. ბაღჩაც იყო, ღობით გავლილი, ღობესთან... მოჩანდა ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი, თითქო გრილოში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერსავით ნეკრესის ქარის ტკივილებს უეცრად ისე წამოხრილი და დაღრეჯილი შეუკავებიათო. ეზო ამ ციხე-დარბაზისა, სივრძეზედ თუ სიგანეზედ, კარგა ფართოდ იყო გაზიდული. იმას ერთყა გარშემო ძველი ტყრუშული ღობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა...

ღობე ერთგან თავდებოდა უშველებელის ჭიის-კარებითა, რომლის ერთი ნახევარი, — თუნდ ორი წელიწადია, — ისე საცოდავად დაღრეჯით გადმოჰკიდებოდა ერთს ყუნწსა, ასე გგონია — ბოძს დაუჭერია საცემლადაო და ის კი იწვევსო, რომ როგორმე ხელიდამ დაუსხლტესო...

შიგ თითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული. დიდი საქმე იყო, პატრონამდის ისე მიგელწიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბრის სურნელება თან არ აგეყოლიათ“<sup>34</sup>.

ეს გარეგანი შეხედულებაა ლუარსაბის კარ-მიდამოსი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ პატრონმა თუმცა გარეგნობას არ მიაქცია სათანადო ყურადღება, სამაგიეროდ, შიგნით სახლი დიდი სიფაქიზითა და გემოვნებით მოაწყო, მაგრამ ფრიად მოგტყუვდებით:

„იატაკი აგურისა არის, ეგ არაფერი. ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგა-და-შიგ ამოცვივნულან; იმათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა. თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩავარდა, ვაი შენ მტერს! ან კისერი მოსტყდება კაცსა, ან თითონვე ფეხი... ამ ხიფათს შეიძლება კაცი გადურჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყოს. ვაი, რომ არც ეს არის, თუმცა ორი, სათოფეზედ კარგა მოდიდო ფანჯარა აქვს, მაგრამ ოთახი მაინც ბნელია, იმიტომ რომ ფიჭვის ჩარჩოებზედ მინის მაგიერად მეტად გამ-

34 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „კაცია-ადამიანი?“, თბზ., ტ. II, გვ. 146—147, 1926 წ.

ჭრიას გონებას გაქონილი ქაღალდი გაუკრავს... თათქარიძის ოთახში იდგა გრძელი ტახტი ერთმანეთის პირდაპირ. ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ, როცა კნეინა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალეების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძლებოდა. ამ ორ ტახტ-შუა... მოჩანდა... ერთი ამოჭვარტლული გარედამ და შიგნიდამ ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი. აქაიქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითები: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყარალა-ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი“<sup>35</sup>.

ილია ჭავჭავაძე ნიჭიერად აჩვენებს მკითხველს, რომ მებატონის უფლებით მოსილი ლუარსაბის შეგნება და მოთხოვნილება სრულიად დაცემულია და საწინააღმდეგო, ვიდრე მშრომელი გლეხის — ოთარაანთ ქვრივისა. ბატონი, სხვისი შრომით უზრუნველყოფილად მცხოვრები, უპასუხისმგებლოა, დაუდევარია: მისი მოთხოვნილება და გემოვნებაც დაჩლუნგებულია. მისი ცხოვრება თვითდინებაზეა მიშვებული, ამიტომ დარღვეულია, ულაზათო, უშნო, მიუღებელი და დამღუპველი.

\* \* \*

მრავალ საშუალებათა შორის, რომელთაც ილია ჭავჭავაძე იყენებს ნაწარმოების პერსონაჟის ხასიათის გაშლისას, გვინდა კიდევ შევჩერდეთ ერთ მეტად არსებით საშუალებაზე — პერსონაჟის მეტყველებაზე, მის ენაზე. ილია იშვიათი ალღოთი და უნარიანობით ახერხებს შეარჩიოს ისეთი სიტყვები, სინტაქსური კომპლექსები და თვით თხრობის ინტონაცია, რომელიც მაქსიმალური სიზუსტით გამოხატავს პერსონაჟის ხასიათის ნიშანდობლივ თვისებას.

ოთარაანთ ქვრივს არ უყვარს „ტკბილი სიტყვა“, „გამწარებულ ცხოვრებასთან“ გამუდმებულმა ჭიდილმა მასში სენტიმენტალური გულჩვილობა თითქოს ჩაახშო. „ამ გამწარებულ წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. ტკბილი სიტყვა თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი“, — ამბობდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი. ასეთ ხასიათთან დაკავშირებით ოთარაანთ ქვრივს მეტყველებაც შესაფერი და შესატყვისი გამოუძეუდა.

---

35 ი. ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?“, გვ. 148—149.

ოთარაანთ ქვრივს სასტიკად ეჯავრებოდა მუქთახორა, ზარმაცი ადამიანი. მათხოვარს ყოველთვის გაიკითხავდა ხოლმე, მაგრამ თავისებურად კი შეამკობდა: „ი.. ი... ი... — შენ კი მოგიკვდა ეგ უხვირო თავი, — მიაყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვდიდა, — დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმა-პურს პირილამ აცლი. აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგილია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს? ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს, ვერა ჰხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელეზედ ფეხს იღვამს და ღლის სარჩოს ძლივსა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს! ქვეყნისა არა გრცხვენინან! არა, შე ოყრაცო, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამაა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი, გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკ ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი თავი კი შეუწინაბავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? ფუ, შენს ნამუსსა!“<sup>36</sup>.

ასევე „ამკობს“ ოთარაანთ ქვრივი წვრილშვილიან უნდილ, ზარმაც მეზობელ ქალს და თან კი ყოველთვის ეხმარება! მისთვის უცხთა მიხვეულ-მოხვეული ლაპარაკი.

მეტად დამახასიათებელია ოთარაანთ ქვრივის საუბარი არჩილსა და კესოსთან. ოთარაანთ ქვრივმა ჩვეულებისამებრ მოიკითხა კესო. კესოს პასუხზე „—ვართ შენი ლოცვითა და კურთხევით“, ოთარაანთ ქვრივი მკვახედ მოუჭრის სიტყვას: „—მე ჩემთვისაც არა ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხხო-მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი“<sup>37</sup>.

მათ შორის იშლება დამახასიათებელი დიალოგი:

კესო: „მკვახედ იცი ლაპარაკი და კაი დედაკაცი კი ხარ“.

ოთარაანთ ქვრივი: „შენ რომ ჩემი ღღენი გამოგეელო, ჩემს ტაფაში დამწვარიყავ, შენც ეგრე ილაპარაკებდი. ან სხვაფრივ ლაპარაკი რა საჭიროა? ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა: მეტი ბარგია. ლხინს რა ლაპარაკი უნდა? ძაღლს რომ უხაროან, კუდის ქნევიტაც იტყვის ხოლმე“<sup>38</sup>.

არჩილი მიხვდა, რომ გიორგი მოჯამაგირედ უღგება დედის სურვილის გარეშე და ამიტომ ოთარაანთ ქვრივს ასე ეუბნება:

„—თუ ეგრეა, უარს მე ვეტყვი... შვილი შენისთანა დედას, როგორ არ უნდა ჰნებდებოდეს!...“

<sup>36</sup> ი. ქ ა ე ქ ა ვ ა ძ ე, „ოთარაანთ ქვრივი“, თხზ., ტ. III, გვ. 39.

<sup>37</sup> ი ქ ვ ე, გვ. 72.

<sup>38</sup> ი ქ ვ ე, გვ. 73.

— ნუ, ნუ!.. ნუ ეტყვი უარს, მე დედა ვარ და წამავალი, ის შვილია და მომავალი: მე მივდივარ, ის მოდის. იმისი დღენი გასავლელი მინდორია, მე კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის თავში. წინ ვერ ავეფარები...

— რაკი ასეა ისე შეგინახავ შვილს, მტერიც კი შენატროდეს,— უთხრა არჩილმა.

— მაგას არ წავეხარბინები, ის თითონაც კარგად შეინახავს თავის თავს, ისეთის მამის შვილია, — უპასუხა ოთარაანთ ქვრივმა, — ეჰ, კარგი იქნებოდა სასხვისოდ არ გაეხადნა თავი, მაგრამ რაც არის, არის!...

— ახლა შენ, რომ მარტო დარჩები? — იკითხა კესომ.

— მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბლარტები მიზის. ჰირადაც მეყოფიან და ლხინადაც.

— აკი ნათლიდედამ მიხვევ-მოხვევა არ იცისო? — სთქვა არჩილმა...

— მიხვეულ-მოხვეული რა ვთქვი? ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება. საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ.

— მართალი გინდოდა და ეგეც მართალი, — უთხრა კესომ ძმას უწყინარობის დიმილითა<sup>39</sup>.

ოთარაანთ ქვრივის მეტყველება მრავალფეროვანია. ილია ჭავჭავაძის ჩვენებით, ოთარაანთ ქვრივი მძიმე ცხოვრების სინამდვილით გაკაყებული ხასიათის მქონე, ბრძენი დედაკაცია, რომელიც იქსოვებოდა ჩვენი გლახაკის ცხოვრების დუღილში. ოთარაანთ ქვრივის თავისებური მეტყველება მკაცრი, ეკლიანი, ხშირად უხეში, მოურიდებელი, ხალხური, მაგრამ დიდი შინაგანი მწუხარების, ტანჯვის, სიყვარულისა და გონიერების გამომხატველია; იგი შეესატყვისება ოთარაანთ ქვრივის ხასიათსა და მიზიდველად ამკვეთრებს მას. ასეთივე შესაფერი და შესატყვისია მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ სხვა პერსონაჟების მეტყველება (გიორგის, არჩილის, კესოსი და სხვების).

ახლა განვიხილოთ „კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟთა ენა. უსაქმობამ, მზამზარეული, სხვისი შრომით ცხოვრებამ გაკრეტინებამდე მიიყვანა ცოლ-ქმარი — ლუარსაბი და დარეჯანი. ისინი თავიანთი ცხოვრების სიცარიელეს ავსებენ უშინაარსო და, მასთან, ბლაგვი საუბრებითა და ალერსით. აი, დარეჯანმა დაიჭირა ლუარსაბი სიც-

39 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ოთარაანთ ქვრივი“, თხზ., ტ. III, გვ. 74—75.



რუეში: ლუარსაბმა მოატყუა დარეჯანი, თითქოს მას ბუზები არ დაუთვლია, მაგრამ სიცრუის დაფარვა ბოლომდე ვერ შეძლო. დარეჯანმა მახეში გააბა, გამოტეხა კიდეც. ამის შემდეგ იწყება მათი შერიგება ასეთი ალერსიანი საუბრით:

„—ხომ გაგიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა გინდა?

— შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! რა უნდა მინდოდეს სხვა.

—დარეჯანი!.. — უთხრა გულნატკენად და მორცხვობით ლუარსაბმა, — დარეჯანი!... თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი.

— რატომ, შენი ჭირიმე? რატომ?

— ჩემოდენა კაცს არ უხდება, შენ გეთაყვანე: ტურფას პატარა გოშის ეძახიან, ეგ ძალღის სახელია, აბა რა კაცის საკადრისია ეგ სახელი?

— მაშ, შენ ჩემი გოშია არა ხარ? არა ხარ, განა? მე შენგან ეგ პირველად მესმის, — მიუგო გულამომჯდარად დარეჯანმა, რადგანაც ეგონა, გოშიობაზედ რომ ხელი აიღოვო, სჩანს გულიც აუყრია ჩემზედაო.

ლუარსაბი მიხვდა, რომ გული ატკინა და ტყუილუბრალოდაც ატკინა, და რომ ის გულაყრილობის ფიქრი გაუფანტოს, უთხრა კბილების კრაჭუნით:

— ჰო, გეთაყვა, ჰო! შენი გოშია ვარ, მაშ რა ვარ?“<sup>40</sup>.

დარეჯანის გული საბოლოოდ რომ დაემშვიდებინა და მოეგო, ლუარსაბმა მოინდომა თვითონაც ერთი ამისთანა ალერსი მოეწყო და დიდი ძებნისა და გაჭირვების შემდეგ ძლივს მოახერხა თავისი მოწოლილი სასიყვარულო გრძნობა შემდეგი ფიგურალური ალერსით გამოეხატა:

„—შენ იცი, ჩემი რა ხარ? სულის წიწმატი, გულის ტარხუნა, გონების, აბა რა ვთქვა? — თუნდა მარილი იყოს“ — და კმაყოფილი ცოლის ასეთი შემკობით, ლუარსაბი თავმომწონედ, დარეჯანისაგან შესაფერი დასტურის მიღების მიზნით, შეეკითხება მას: „კარგად არა ვთქვი, ის კარგი და სახელოვანი მამა ნუ წაგიწყდება? კარგი მოწყობა არ იყო?“<sup>41</sup>.

ცოლ-ქმრის ეს ყოველგვარ სიფაქიზეს მოკლებული ტლანქი ალერსი ერთი საუკეთესო საღებავია როგორც ლუარსაბისა, ისე

<sup>40</sup> ი. ჰ ა ე ჰ ა ე ა ძ ე, „კაცია-ადამიანი?“, თხზ., ტ. II, გვ. 159, 1926 წ.

<sup>41</sup> ი ქ ვ ე, გვ. 160.

დარეჯანის გამოფიტული ხასიათის ჩინებულად გამოკვეთისათვის. ასეთივე, ნიჭიერად გამაშიშვლებელი, ცბიერი, მლიქვნელი, მოხერხებულია სუტ-კნენინას შინაგანი ბუნების გამომხატველი ენა, მისი სინტაქსური წყობა, მეტყველების ტონი. ასეთივეა მეტყველება ეკონომაურად დარღვეული თავადი მოსე გქელაძისა, იმ პიროვნებისა, რომელიც ცხოვრებას ეჯაჯგურება და თავისი მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ ერიდება.

მოსე გქელაძემ — დარეჯანის მამამ, სუტ-კნენინას გაიძვერობით საქმე-საქმეზედ მოიყვანა. ახლა მოინდომა პირადი ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორება, დაპირებული გასამრჯელოს არგადახდა, სუტ-კნენინასადმი მიცემული თამასუქის უკან დაბრუნება. როცა მართო დარჩნენ, მოსემ სუტ-კნენინას გამოსტაცა მიცემული ათი თუმანი, მასვე მიაყოლა სუტ-კნენინასადმი ლუარსაბის მიერ მიცემული თამასუქიც.

„—ეს ვინ მოგცა შენ? — ჰკითხა მოსემ და აჩვენა თამასუქი. სუტ-კნენინას მზად ჰქონდა პასუხი.

— ეხლა შენ არ დაიჭერებ, რასაკვირველია, რომ ეგ თამასუქი თუ ჩამოვართვი, ისევ შენი საქმისათვის ჩამოვართვი. თუ ვინიცობაა, რომ მოვატყუეთ, ქალი ის არ ვაჩვენეთ, — ეს შეეტყო და უარზედ დამდგარიყო, ამ თამასუქს ვაჩვენებდით და ვეტყოდით: დაიწერე, თორემ დიამბეგს წარვეუდგენთ და სულ ნაღდს გადაგახდეინებთ. აი, რისთვის გამოვართვი, შენ ხომ არ დაიჭერებ, გაჯავრებული ხარ, მაგრამ მე კი გული ძალიან შემტკივა შენთვისა.

— თუ ეგრეა, რატომ აქამდინ არ მაჩვენე?

— რომ ვაჩვენო-მეთქი, ვიფიქრე, ვაი თუ ამის იმედით საქმეზედ მუყაითობა იმისთანა აღარ გასწიოს-მეთქი. რა ვიცი? ხორციელები ვართ.

— ეხლა მაგითი უნდა მამატყუო განა?

— აკი გითხარი: არ დაიჭერებ-მეთქი... შენა გგონია, გატყუებ? თუნდ ეგ ბარათი შენ მიირთვი, ორას თუმანში გაუბარე და მე ეგ ათი თუმანიც მეყოფა, ჩემო კარგო!

— შენ მაგითი მე ვერ მომატყუებ. ეს ბარათიც მე დამრჩება, ეს ათი თუმანიცა და შენ კი, გომურის მაგიერ ხულაში დაგამწყვდევე, რომ ჯვარისწერამდინ არ გამცე. მერე, რაც გინდა, ჰქენი.

— ბიჭო! — დაიყვირა მოსემ.

ბიჭი მოვიდა.

— ეს ტყუილი კნენინა წააბძანე ხულაში, ხალიჩაც მიართვი, მუთათაც, ქვეშაგებიც. პური და ღვინო არ მოაკლოთ. ეს კი უნდა

ჰქნა, რომ გარედამ კლიტით უნდა გადაკეტო და გასაღები აქ მომარ-  
თო. თუ ეს ამბავი შეუტყვია ვისმე, ვაი თქვენი ბრალი!

ბიჭი არ გაინძრა, ჯერ ტყუილი ეგონა.

— არ გეყურება შე... შვილო! — დაუტყვივლა მოსემა.

ეხლა კი იკადრა ბრძანების დაჯერება, მივიდა, წაავლო ხელი  
და გამოსწია. საწყალ სუტ-კნენინას, რომელიც ეხლა კი ისე მაიკუნ-  
ტა, ...რომ მუშტის ოდენა გახდა, მაგრამ მაინც კი იმედი არ დაჰ-  
კარგა, რომ გააქარწყლებს ამ ამბავსა და მშვიდობით გადარჩება. კი-  
დევ სიტყვა მოახერხა ეშმაკურად და უთხრა მოსესა ისე, ვითამ  
აქ არაფერი ამბავია:

— უი, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი! ტყუილი გაჯავრება რა  
არივად გიხდება! ამ სულელ ბიჭმაც დაიჯერა, ასე ჰგონია, —მართ-  
ლა უბრძანე. გლახკაცია, ვერ მიხვდა, ნუ გაუწყრები, შენ გენაცვა-  
ლოს ჩემი თავი!

ამისთანა ოსტატობამ კინაღამ მოსე არ გააცინა. ბიჭიც გაშტე-  
რებული შედგა. ბევრი კიდევ სხვა იოსტატა სუტ-კნენინამ, მაგრამ ვე-  
რაფერმა ველარ უშველა: ხულაში დაამწყვდიეს, შინ კი წიგნი მის-  
წერა. — ჯერ კი მოსემ გადიკითხა — რომ აქ მზითევს და საკერა-  
ვებს ვუმზადებო და ოთხშაბათამდინ ნუ მომელოდებითო<sup>42</sup>.

თავად მოსე გძელაძესა და სუტ-კნენინას შორის გამართული ეს  
ღიალოგი სიტყვების მარაგით, სინტაქსური კომპლექსითა და მეტ-  
ყველების ტონით მჭერმეტყველურად ააშკარავეს არა მარტო დარ-  
ღვეული კლასის წარმომადგენლების — როგორც მოსეს, ისე სუტ-  
კნენინას ხასიათს, არამედ, ამასთან ნათლად წარმოგვიდგენს იმ ტი-  
პიურ გარემოსაც, რომელშიაც მათ მოღვაწეობა უხდებათ.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე ნაწარმოების პერსონაჟთა ხასიათის  
სრულყოფილად გაშლისათვის დიდი ოსტატობით იშველიებს მრავალ  
სხვადასხვა ხერხს, რომელთაგანაც ძირითადი აღნიშნულია წი-  
ნამდებარე ნარკვევში. მათი საშუალებით ილია ჭავჭავაძე აღწევს  
პერსონაჟთა ხასიათის მხატვრულ სიმკვეთრეს, მათ მაქსიმალურ ინ-  
დივიდუალიზებას და მხატვრულ სახეთა შექმნის პროცესში განზო-  
გადების მაღალ პოეტურ მწვერვალებზე აღის. პერსონაჟთა ხასია-  
თის გაშლაში ილია ჭავჭავაძე უდიდესი ვირტუოზია.

42 ი. ჭ ა ვ ჳ ა ვ ა ძ ე, „კაცია-აღამიანი?“, თხზ., ტ. II, გვ. 218—219, 1926 წ.

## II. ჰავჰავაჰის პოეტური ლექსიკონისათვის

(პოემა „განდეგლის“ მიხედვით)

ხელოვნების ყოველ დარგს აქვს თავისი ძირითადი იარაღი, მასალა, რომლის შემწეობითაც ის გამოხატავს შემოქმედის აზრს, დამოკიდებულებას განსახიერებელი ობიექტისადმი. მხატვრული ლიტერატურისათვის ცხოვრების ასახვის ასეთი ძირითადი საშუალებაა ენა. ენა და ცხოვრების მოვლენები, გარკვეული მიზანდასახულების მიხედვით ამოკრეფილი, არის ძირითადი იარაღი ცდამასალაც პოეტური შემოქმედებისა. ხატოვანი წარმოსახვის სხვა ლიტერატურული საშუალებანი, როგორცაა: ქანრი, კომპოზიცია, სიუჟეტი, გმირი და სხვა, წარმოადგენენ პოეტის სახვითი შესაძლებლობის უნარის რეალიზაციას, რაშიც, სხვათა შორის, მეღვანდება პოეტის მიერ ენის სახვითი ძალის მაქსიმალური გამოყენება. აი, რას გვასწავლის სიტყვის დიდი ოსტატი მაქსიმ გორკი: «Основным материалом литературы является слово, оформляющее все наши впечатления, чувства, мысли. Литература — это искусство пластического изображения посредством слова»<sup>1</sup>.

ენის სახვითი შესაძლებლობანი მწერალს ეხმარებიან სრულად ჩასწვდეს ცხოვრებას მის მრავალფეროვნებაში.

დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი დიდი განჭვრეტით წერდა: «Поэзия есть высший род искусства. Всякое другое искусство более или менее стеснено и ограничено в своей творческой деятельности тем материалом, посредством которого оно проявляется... Поэзия выражается в свободном человеческом слове, которое есть и звук, и картина, и определенное, ясно выговоренное представление. Посему поэзия заключает в себе все элементы других искусств, как бы

<sup>1</sup> М. Горький, «О литературе», «О прозе», 1934, зз. 112.

пользуется вдруг и нераздельно всеми средствами, которые даны порознь каждому из прочих искусств»<sup>2</sup>.

მართლაც, მწერალი გადმოცემაში თვალსაჩინოებას აღწევს, ყოველი გამოყენებული სიტყვის არა მარტო შინაარსობრივი, არამედ სახვითი სიზუსტიანაც. ენის საერთო სალაროდან მწერალი არჩევს ისეთ სიტყვებს, რომლებიც მკითხველს შესაძლებლობას მისცემს საგნობრივი შეგრძნებით ნათლად წარმოიდგინოს განსაზღვრული მოვლენა სინამდვილეში. მწერლის ყოველი სიტყვა, კონტექსტში მოცემული, მკითხველს აძლევს დაუვიწყარ სახეს, ქანდაკებას, რომელიც მის შეგნებაში ცოცხლად და მკვეთრად აღიბეჭდება.

მაგალითად, ავიღოთ ილია ჭავჭავაძის მიერ განდგეილის სახის მოცემა: „ლოცვით და მარხვით ხორც-უძღურ-ქმნილი ჰკვანდა წმინდანსა იგი წამებულს“. ან კიდევ ლუარსაბ თათქარიძის ეზოს აღწერა: „შიგ თითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნის გული“. აქ, მიუხედავად სიტყვათა სიმცირისა და სისადავისა, ყოველი სიტყვა იშვიათი სიმკვეთრითა და მთელი თავისი ინდივიდუალობით ჟღერს და მკაფიოდ გამოხატავს საგანს.

ცნობილია, სიტყვა გარკვეულ სრულ მნიშვნელობას, აზრს იღებს წინადადებაში, გარკვეულად გამიზნულ სიტყვათა კომპლექსში. ყოველდღიურ ცხოვრებაში სიტყვათა გაერთიანება, გამოწვეული ჩვენი საყოფაცხოვრებო პირობებით, სიტყვათა შაბლონურ გაერთიანებას გვაძლევს. სიტყვათა ასეთი გაერთიანება იხმარება სალაპარაკო ენაში. მხატვრული მეტყველება კი მოითხოვს სიტყვათა არაჩვეულებრივ გაერთიანებას. იგი აუცილებლივ სიახლით უნდა ხასიათდებოდეს. სიტყვა მხატვრულ მეტყველებაში იღებს ახალ მნიშვნელობას. ამიტომ პოეტურ მეტყველებას უნდა ახასიათებდეს სიახლე, რასაც ის სხვადასხვა საშუალებით აღწევს.

მხატვრულ მეტყველებაში სიტყვათა შერჩევის საკითხს სწავლობს, არკვევს პოეტური ლექსიკა. ბ. ტომაშევიჩის მართებული განმარტებით, პოეტური ლექსიკა «Изучает словарь произведений и пользование этим словарем — оттенки значений, влагаемых автором в употребляемые им слова, и комбинирование этих значений»<sup>3</sup>.

პოეტური ლექსიკა მოითხოვს და ამჟღავნებს კიდევ მწერლის უნარის, გემოვნებისა და ოსტატობის მაღალ ძალასა და დონეს. მეტყველებაში რაც მეტი სიახლეა და, მასთან, საგნის თუ მოვლენის მეტი სიმკვეთრე, თვალსაჩინოება, სიზუსტე და ინდივიდუალობა, იმ-

2 В. Белинский, т. V, изд. АН СССР, М., 1954, стр. 7—9.

3 Б. Томашевский, «Теория литературы», 1928, стр. 11.

დენად მძლავრი, შთამბეჭდავი და შთამაგონებელია ის. ამიტომ მწერლის ნიჭი, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება მის ოსტატობასა და უნარში — მოვლენის სრული განსახიერებისათვის ენის სალაროდან ამოარჩიოს ყველაზე ძვირფასი და შესაფერისი სიტყვები თუ თქმები, რაც განსახიერებულ საგანს თუ მოვლენას მისცემს მაქსიმალურ სიზუსტეს და ინდივიდუალობას. «Образность языка, — წერს ლ. შჩეპილოვა, — и является результатом тесного взаимодействия средств языка и всех других средств образного раскрытия содержания в литературном произведении. Только в системе этого взаимодействия все определительно характеристические и эмоционально-выразительные средства языка становятся образно-выразительными»<sup>4</sup>.

ენის, შემოქმედების სტილის ნამდვილ სილამაზეს, მკითხველში მაღალი ესთეტიკური განცდის გამოწვევას, მწერალი აღწევს, როდესაც ის სარგებლობს ენისათვის ჩვეულებრივი სიტყვებითა და გამოთქმებით, ახალი, გაუცვეთელი, ხატოვანი კომპლექსებით, რომელთა შემოქმედება იღებს ესთეტიკურ მიმართულებას, როდესაც მწერლის ენას, სტილს გაუზზარავი სისადავე ახასიათებს. აი, რას წერს ენის დიდი ხელოვანი მაქსიმ გორკი:

«Классики учат нас, что чем более просто, ясно, четко смысловое и образное наполнение слова, — тем более, крепко, правдиво и устойчиво изображение пейзажа и его влияние на человека, изображение характера человека и его отношения к людям»<sup>5</sup>.

ნიმუშისათვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია ქართველი ხალხის, მასების ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაზე, მოვიტანთ ორ ნაწყვეტს: ერთს — პროზიდან, ხოლო მეორეს — პოეზიიდან:

I. „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი დ ა ნ“: „მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალეებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაივაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გალვიძებული ცხოვრებისა, ამაღლევებელი და საცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა“<sup>6</sup>.

II. პოემა „გ ა ნ დ ე გ ი ლ ი დ ა ნ“:

„დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,  
ცაზედ განერთხო და გაიშალა,  
და იქ, თითქო მტერს შეეჭახაო,  
ქეჟა-ქუხილით დაიგრიალა.“

4 Л. В. Щепилова — «Введение в литературоведение», 1956, 83. 160.

5 М. Горький — «О литературе», «О прозе», 1934, гв. 112.

6 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „მგზავრის წერილები“, თბ., ტ. II, გვ. 18, 1926 წ.

შეირყა მთელი ცა და ქვეყანა  
 იმა ქვეით და იმა ქუხილით,  
 ცა აირია, დაბნელდა უცებ  
 და წამოვიდა სეტყვა შხუილით.  
 ქუხვა და ქექა, ელვა და სეტყვა,  
 არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,  
 ქართა, აწ გრივლად რადმე ქცეულთა  
 ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა, —  
 ესე ყოველნი, ერთად რეულნი,  
 ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა“7.

მოტანილ ნაწყვეტებში ყოველი სიტყვა თუ გამოთქმა ჩვეუ-  
 ლებრივია, ყოველდღიურ ცხოვრებაში რომ ხმარობს კაცი, მაგრამ  
 ამ კონტექსტში ისინი ახლად უღერენ, რის გამოც, უდავოდ,  
 მაღალ აზრთა და ემოციათა გამომწვევია; მათში ვირტუოზულადაა  
 გამოვლინებული ამოუწურავი სიმდიდრე ქართული ენის ტემბრი-  
 სა, ფრაზეოლოგიისა: მკაფიოდ უღერს ფერების, ხმების,  
 განწყობილების მომხიბვლელი მდიდრული გამა-  
 ილია ჭავჭავაძე ამ ნაწყვეტებში კრეფს თუ კინძავს ჩვეულებრივ სა-  
 ლაპარაკო სიტყვებს და გამოთქმებს, რომლებიც მისი შეხედულე-  
 ბისა თუ განწყობილების გადმოცემას მკვეთრ ხატოვან-ემო-  
 ციურ ელფერს აძლევს. სიტყვები ისეა აკინძული, რომ  
 ყოველი მათგანი კომპლექსში მთელი ძალით ხმიანობს და გამოთქ-  
 მულ განცდას მთელი შესაძლებლობით გამოხატავს. აქ მარტო  
 ცხოვრების მოვლენა კი არაა, ან მარტო ილია ჭავჭავაძე — მთელი  
 თავისი დიადი საზოგადოებრივ-ფილოსოფიური განწყობილებით ნი-  
 ჭიერად განსახიერებული, არამედ მთელი ახალი თაობა, რომელიც  
 60-იან წლებში სამოღვაწეოდ გამოვიდა.

ნაწარმოების შინაარსის, იდეის, მიზანდასახულობის, პოეტუ-  
 რი ლექსიკის მართებულ გაგება-გახსნაში მკითხველს განსაკუთ-  
 რებულ დახმარებას უწევს თვით მწერლის, ავტორის ინტონა-  
 ცია. ავტორის ინტონაცია ბუნებრივად ექსოვება როგორც თხრო-  
 ბას, ისე პოეტური ლექსიკის ყოველ შინაარსობრივ და ემოციურ  
 ნიუანსს.

ავტორის ინტონაცია, თითქოს შეუმჩნევლად, ზემოქმედებას  
 ახდენს მკითხველზე, რათა მან აითვისოს ნაწარმოები მწერლის  
 თვალთახედვის მიხედვით. ავტორის ინტონაცია ნაწარმოების ერთ-  
 გვარი ფონია, რომელზეც ნაწარმოების სხვადასხვა ელემენტებთან  
 ერთად შეხამებულად იკინძება პოეტური ლექსიკის საშუალებე-

7 ი. ჭავჭავაძე, „განდეგლი“, თავი VIII, თხზ., I, გვ. 200—201, 126 წ.

ბიცი. მაგალითისათვის მოვიტანოთ ნაწყვეტი „მგზავრის წერილებიდან“. „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტართათაა ხარ ნაჩხვლექტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინი-დამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი!“<sup>8</sup>.

აქ ავტორის ინტონაცია იშვიათი სიმკვეთრით შთააგონებს მკითხველს როგორც ნაწარმოების დედააზრს, ისე მწერლის მისდამი დამოკიდებულებას და განწყობილებას. ეს ინტონაცია მთელ ნაწარმოებს დიდი ემოციურობით ავსებს. მკითხველიც ადვილად განიცდის, რომ ნაწარმოებში განსახიერებელი მოვლენა თუ საკითხი — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — მწერლისათვის მეტად მღელვარე, მეტად მტკივნეულია და ასეთივე დამოკიდებულება და განწყობილება ბუნებრივად მყარდება მასშიც.

ასევე მძლავრად და შთამაგონებლად უღერს ავტორის ინტონაცია პოემა „განდგეილში“.

ავიღოთ მწყემსი ქალის დახასიათება:

„თვით მადლს ტრფობისას, რომ მოესურვოს  
ხორცსხმულად ელენა ოდესმე ქვეყნად,  
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა  
თავის სიციხოვლის გამომსახველად.  
ღაშინაც ვინ სთქვას, — ვინ ვის აშვენებს,  
ნადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!..  
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა  
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.  
მის თვალთა ელვით, დაწვთა შუქფენით,  
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!  
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას  
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.  
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს  
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!..  
თქმულა—მხეციც კი გააფთრებული  
მის წინ დატკბება და დაწყნარდება“<sup>9</sup>.

ეს ადგილი მარტო თავისი მდიდარი პოეტური ლექსიკითა და პოეტური ხერხებით კი არ იზიდავს და ხიბლავს მკითხველს და, პოეტის ღრმა გულისთქმას აგებინებს მას, არამედ მას იზიდავს

<sup>8</sup> ი. ბ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, „მგზავრის წერილები“, ტ. II, გვ. 30, 1926 წ.

<sup>9</sup> ი. ბ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, „განდგეილი“, ტ. I, გვ. 204, 1925 წ.



აგრეთვე ავტორის მდიდარი ინტონაციითაც, რომელიც თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ დაუბრკოლებლად იჭრება მკითხველის შეგნებაში და ძალუმად შთააგონებს მას, — რომ მომხიბვლელი მიმზიდველობა მწყემსი ქალისა მის ბუნებრიობაშია, რომ ის ცოცხალი ბუნების, ცხოვრების ცოცხალი ნაწილია. მკითხველი შესახებად განიცდის, რომ მწყემსი ქალის ყოველ სუნთქვაშიც კი სიცოცხლის სილამაზე და მიმზიდველობა გამოკრთის. ესაა პოემა „განდევლის“ დედააზრი და მწერლის მიზანდასახულობაც სწორედ იმაშია, რომ იგივე აგრძნობინოს, შთააგონოს მკითხველს.

საგნისა თუ მოვლენის გარკვეული დამახასიათებელი თვისებების გამოყოფის, გაშუქების ან მათი კონკრეტიზაციის მიზნით, შთაბეჭდილების გაძლიერებისათვის, ილია ჭავჭავაძე უხვად და მოხდენილად იყენებს პოეტური ლექსიკის სხვა საშუალებებს, სხვადასხვაგვარი ნიუანსით.

\* \* \*

ლიტერატურული შემოქმედების ენა, მისი სიზუსტე და ემოციური სიმკვეთრე მთლიანად შეპირობებულია სახის შექმნის მოთხოვნილებით.

ლიტერატურული ენა, შექმნილი და დახვეწილი ხალხური ენის მარაგის საფუძველზე, ხშირად არ ჰყოფნის მწერალს — მაქსიმალური სიზუსტით, სიმკვეთრით და, ამასთან, შთამაგონებელი ემოციურობით ისე განასახიეროს მოვლენა თუ საგანი, როგორც მას პირადად წარმოუდგება. ამიტომ მწერალი ამგვარ შემთხვევაში მიმართავს პოეტური ენის სხვადასხვა საშუალებებს, რითაც ამდიდრებს თავის პოეტურ ენას, პოეტურ სტილს, პოეტურ სახეს.

ასეთი სტილური საშუალება მრავალია და, ამასთან, ინდივიდუალური. ერთი მწერალი ერთი წყების საშუალებას უფრო ეტანება, მეორე — მეორეს და ა. შ.

ილია ჭავჭავაძის პოეტური ლექსიკა მეტად მდიდარია, თავისებური, მძლავრი აღმბეჭდავი ეპოქისა და ავტორის ინდივიდუალობისა. წინამდებარე შრომაში ყურადღებას შევაჩერებთ ზოგიერთ ნათვანზე და ისიც მწერლისათვის უფრო დამახასიათებელზე.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მკითხველზე დიდი ზემოქმედების მიზეზი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, თემატიკის აქტუალური და მღელვარე ხასიათში უნდა ვეძიოთ. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მკითხველი დიდი სიღრმითა და სიმკვეთრით განიცდის პოეტის თანადროულობის მაგისტრების ძლიერ რეზონანსს. მაგრამ მართა აპირთ არ შეიძლება აიხსნას პოპულარობა დიდი პოეტისა.

ილია ჭავჭავაძეს აქტუალურ, მღელვარე თემატიკასა და იდეუ-  
რობასთან ერთად ახასიათებს მდიდარი პოეტური ლექსიკის შესა-  
ნიშნავი გამოყენება, რაც ნაწარმოებში აძლიერებს სურათოვნებასა  
და ემოციურობას. პოეტური ტექნიკა მწერალს შესაძლებლობას აქ-  
ლევს განსახიერებულ საგანს თუ მოვლენას მისცეს არა მარტო  
მაქსიმალური მკაფიობა და მცხუნვარება, არამედ — ზედმიწევნითი  
გამოხატულებაც.

პოეტური ლექსიკის სახვითი საშუალებანი მკითხველს მოვ-  
ლენისა თუ საგნის თვისების შესახებ უფრო მკვეთრსა და ცხოველ  
წარმოდგენას აძლევს, ვიდრე მათი დაწვრილებითი ახსნა-აღწერა.  
პოეტური ლექსიკის საშუალებებს მწერალი იყენებს არა იმიტომ,  
რომ ენაში ამა თუ იმ საგანს ან მოვლენას, ან მათნიუანსს არ მოე-  
პოვება თავისი ზუსტი გამომხატველი სახელი, არამედ იმიტომ, რომ  
მათი სიტყვიერი განმარტება ს ა ხ ო ვ ა ნ ი შ ე ი ქ მ ნ ა ს, რაც მკით-  
ხველის როგორც აზრს, ისე წარმოსახვას ფ ი ც ხ ლ ა დ ამოქმე-  
დებს.

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილი ჭეშმარი-  
ტი ხელოვანი ყოველთვის მიისწრაფის საგანი თუ მოვლენა მაქსი-  
მალური ს ი ს ა დ ა ვ ი თ, ს ი ზ უ ს ტ ი თ ა და ს ი მ ა რ თ ლ ი თ  
გამოხატოს.

\* \* \*

ცნობილია, რომ მხატვრული ნაწარმოების ენა მთლიანად და-  
ქვემდებარებულია ძირითად სახეთა შექმნას-  
თან. ამის ნათელი დადასტურებაა ჭავჭავაძის მთლიანი შემოქმე-  
დება. მაგალითისათვის ავიღოთ პოემა „განდეგილი“, რომლის პო-  
ეტური ლექსიკა (დამახასიათებელი ილიას შემოქმედებისათვის)  
მტკიცედ ემსახურება როგორც პოემის ძირითადი სახეების — გან-  
დეგილისა (ცხოვრების უარყოფისა) და მწყემსი ქალის (ცხოვრების  
კულტის) გამოხატვას, ისე პოემის იდეას — რომ მიუღებელია ცხოვ-  
რებიდან გაქცევა, რომ მ ხ ო ლ ო დ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ა ძ ლ ე ვ ს  
კ ა ც ს ძ ა ლ ა ს, შ ი ნ ა ა რ ს ს ა და ს ი ლ ა მ ა ზ ე ს; ვინც  
ცხოვრებას განუდგება, დაიღუპება.

შევჩერდებით ილია ჭავჭავაძის პოეტური ლექსიკის ძირითად  
დამახასიათებელ საშუალებებზე, რაც გამოყენებულია პოემა „გან-  
დეგილში“.

ამ პოემაში ილია ჭავჭავაძე იყენებს შედარების ხერხს.  
შედარებაში, ჩვეულებრივ, ორი ნაწილია, ორივე სათანადოდ გამო-  
კვეთილი: რ ა ა რ ი ს შედარებული და რ ა ს ვ უ დ ა რ ე ბ თ მ ა ს. შედა-

რება გულისხმობს უცნობი, ახალი, ძნელად გასაგები განცდა თუ წარმოდგენა საგნისა თუ მოვლენისა დააძლევინოს მკითხველს ნაცნობ მოვლენასთან, საგანთან მისი. შედარების გზით. შედარების ზემოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ მყარდება თანაფარდობა ორ მოვლენას შორის, რომელშიც ერთი მათგანი (ხშირად სრულიად უცნობი) დახასიათებულია მეორის (ხშირად კარგად ცნობილის) დახასიათებით; თითქოს ერთი საგნის (ნაცნობის) თვისებები გადადის მეორეზე (უცნობზე). შედარება სურათოვან მეტყველებასაც ამდიდრებს, ამით მკითხველის შთაბეჭდილებასაც ამძაფრებს და ნაწარმოების ცხოველ ათვისებასაც ხელს უწყობს. მაგალითად:

„და ზედ კარია გამოკვეთილი —  
ვით კლდის ნაპრაღზედ არწივის ბუდე“  
(გვ. 195)

არწივის ბუდე, და ისიც კლდის ნაპრაღზე, მშვენივრად წარმოუდგენს მკითხველს განდევილის მიუვალ სამყოფს, ამასთან, ძალზედ განაცდევინებს მას განდევილის სურვილს: განდგეს რაც შეიძლება შორს ცხოვრებისაგან, რომ ეს უკანა, ცნევი სრულიად არ მოქმედებდეს მასზე.

მწერალი ასე ახასიათებს განდევილს:

„განშორებია, ვით ცოდვის საღერს,  
ვით სამეუფოს ბორტისასა,  
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს  
განსაცდელსა მას ეშმაკისასა“...

(გვ. 197)

ამ შედარებით ილია ჭავჭავაძე მკითხველს აგებინებს განდევილის მსოფლმხედველობას, ხსნის ცხოვრებიდან მისი გაქცევის მიზეზს; განდევილის შეზღუდულობას, მის ცალმხრივ დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი. ამ შედარებით ავტორი მკითხველს აჩვენებს, რომ განდევილი ცხოვრებას ხედავს და აფასებს მხოლოდ მისი უარყოფითი მხარეებით, რომ ცხოვრების ძირითად არსს, მის მიმზიდველობას ის ვერ ამჩნევს, ან არ ამჩნევს.

მკითხველის ამავე შთაბეჭდილებას აძლიერებს და აღრმავებს შემდეგი შედარებები: „სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-და-ღამ, ვითა მპარავი და მტაცებელი“, „სად თვით სიტურფე და სათნობა ეშმაკის სახე და ცდუნებაა“.

„და მყინვარიდამ, ვითა ვეშაპი, შავი ღრუბელი დაიძრა მძიმედ“ და სხვა.

ამ შედარებებით მწერალი თანდათან ავითარებს პოემის სიუჟეტს, ხორცს ასხამს დასახულ მიზანს — განყენებული მონასტრის არსებობა დაუპირისპიროს ნამდვილ ცხოვრებას — ამოძრავებულ, ატეხილ სტიქიას; აჩვენოს მკითხველს ატეხილი სტიქიის ძალა, საშინელება, რომ მან, შესაძლოა, ბევრი რამ გაანადგუროს, დააზარალოს; კაცს მასთან უხდება შეხლა-შემოხლა, ბრძოლით თავის დაღწევა, მაგრამ ის მაინც მიმზიდველია.

შედარებასთან — „ცისა ლაქვარდი, ვით ნაკვერჩხალი, წითლად და ყვითლად მზისგან ჰლუოდა“ — მოცემა-შედარებისა — „ვითა ვეშაპი, შავი ღრუბელი დაიძრა ძძიმედ“ — შთამაგონებლად ამზადებს მკითხველს განდევილის (სიკვდილის) მწყემს ქალთან (სიცოცხლესთან) მოულოდნელად შეხვედრის თუ შეჯახებისათვის, რაც ხელს უწყობს განდევილის სახის სრულ გაგებასა და მკითხველის მხედველობის არეში მწყემსი ქალის გამოყვანას.

შემდეგი შედარება:

„ღა ვით ყრმა ვინმე ღალადების ხმით  
შესაფარებელ ბინას ითხოვდა“ —

სიტყვებით: „ვით ყრმა“, „ღალადების ხმით“, „შესაფარებელ ბინას ითხოვდა“, — მკითხველს აგებინებს მწყემსი ქალის, გამოუცდელი, გულუბრყვილო ბავშვის უმწეო მდგომარეობას.

მიუხედავად სიკვდილისაგან შემთხვევით გადარჩენით გადატანილი ძძიმე განცდებისა, მწყემს ქალს უშუალოდ ბუნებაში ცხოვრება, ყოფნა მაინც ამოუწურავი სილამაზისა და კმაყოფილების წყაროდ მიაჩნია, რომლისკენაც ის დაუძლეველი მიმზიდველობით ისწრაფის.

მწყემსი ქალის სახის ამ მხრივ გამოკვეთისათვის ილია ჭავჭავაძე შემდეგი შედარებით სარგებლობს:

„ღეთის სახესავით გარს შუქმოსხმული  
მთის წვერზე დიდი მზე ბრწყინვალედა  
და საკვირველი ის სანახავი  
ივალთანა ერთად გულსა მტაცებდა“.

ამ შედარებით პოეტი მკითხველს შთააგონებს, რომ მწყემსი ქალის შეგნებაში მზე, ე. ი. რეალური სინამდვილე, გარემო ცხოვრების ძალა და სილამაზე უმაღლესი შინაარსისა და მიმზიდველობის სიმბოლოა, რომ ის ისეთივე დიდი შინაარსის, გონიერების, შემოქმედებისა და ესთეტიკური განცდა-დატკბობის მიმცემი ძალაა, როგორც თვით ღმერთი.

აქ შედარება გაერთიანებულია სხვა საშუალებებთანაც: ეპიტეტთან, მეტაფორასთან, რაც ხელს უწყობს შედარების გამკვეთრებას, გაძლიერებასა და, ამავე დროს, მთელ კომპლექსურ პოეტურ თქმას მატებს ემოციურობას.

ილია ჭავჭავაძის მიერ გამოყენებულ შედარებებში მკითხველის ყურადღებას იქცევს აგრეთვე მათი გაბედული ხასიათი. პოეტს ეხერხება ხშირად დაუკავშიროს ერთმანეთს საგნები, რომელთა შორის განსხვავება მეტია, ვიდრე მსგავსება. მაგალითად:

„სხვა ხომ შენც იცი... ღმერთმა გარჩინოს,  
როგორც შენ მე ღღეს გადამარჩინე“.

ან კიდევ:

„და ეშხა, ვითა იადონს ვარღზედ,  
სული მის ლაწვზედ დაულევია“.

შედარებულ საგანთა შორის: ღმერთი — შენ, ეშხი — იადონი, რა თქმა უნდა, განსხვავება მეტია, ვიდრე მსგავსება, მიუხედავად ამისა, მოცემული შედარებები მკითხველში, უდავოდ, მძაფრ შთაბეჭდილებას იწვევს.

მწყემსი ქალის მადლიერების გრძნობა გადარჩინისათვის ისეთი უზომოა, რომ, მისი აზრით, სამაგიეროს მიზლვა თითქოს ჩვეულებრივი ადამიანის ქალასა და უნარს აღემატება, ამიტომაც განდეგილისადმი სამაგიეროს გადახდა, მისი გაგებით, მხოლოდ ღმერთს შეუძლია.

ასეთ შედარებებში ილია ჭავჭავაძე მრავალფეროვნებას იჩენს: ადარებს მატერიალურს მატერიალურთან:

„და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,  
ვით საყვარელსა ზედ დაჟენოდა“.

სულიერსა—მატერიალურთან:

„და ვითა ელვამ ამისმა ფიქრმა  
გულში ზარცემით მწირს გაურბინა“.

სულიერსა—სულიერთან:

„სად თვით სიტურფე და სათნოება  
ეშმაკის მახე და ცდუნება“.

ასეთი დაშორებული საგნებისა თუ მოვლენების ერთმანეთთან

შედარება-დაპირისპირება თავისი მოულოდნელობით, უდავოდ, ღილ ემოციას იწვევს.

\* \* \*

ზევითაც აღვნიშნეთ და გვინდა ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვათ, რომ ილია ჭავჭავაძე პოეტური ლექსიკის საშუალებებს ყველა თავის ნაწარმოებში მეტად წინდახედულად და რაციონალურად იყენებს, იმდენად, რამდენადაც ყველა საშუალება მას ეხმარება, რათა მთელი სიღრმითა და სიგანით გახსნას ნაწარმოების მთავარ მოქმედ პირთა ხასიათები, ნაწარმოების იდეა.

ასევე იქცევა მწერალი პოეზა „განდეგილში“, სადაც საგნის ან მოვლენის დამახასიათებელ თვისებაზე მკითხველის ყურადღების გამახვილების მიზნით იგი ხშირად მიმართავს პ ე რ ი ფ რ ა ზ ს, როდესაც საგნის თუ მოვლენის სახელის მაგივრად ჩაურთავს მის აღწერილობით საქცევს (ინიორ), დახასიათებას.

პერიფრაზი მწერალს საშუალებას აძლევს საგანი თუ მოვლენა მკითხველს დაანახოს, ან მის იმ მხარესა თუ თვისებაზე მიუთითოს, რომელიც მოცემულ მომენტში უფრო საკირო, უფრო მნიშვნელოვანია მისი გათვალისწინებისათვის და, ამასთან, გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას საგნისა თუ მოვლენებისადმი. მაგალითად:

„ლოცვით და მარხვით ხორცუძლურ ქმნილი  
ჭვანდა წმინდანსა იგი წამებულს...“

აქ განდეგილის მაგიერ ილია ჭავჭავაძე ხმარობს განდეგილის გარკვეული თვისებების გამომსახველ სიტყვებს („ხორცუძლურ ქმნილი“), რაც საგრძნობლად ამძაფრებს განდეგილის სახესაც და ნათელს ხდის მკითხველისადმი თითქოს შეუმჩნევლად ჩაწოდებულ თავის უარყოფით დამოკიდებულებასაც განდეგილისადმი.

ასევეა შემდეგ პერიფრაზაშიც:

„მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვით ზედა  
ძღვევით მოსილსა და განდიდებულს“.

აქაც განდეგილის მაგიერ ილია ჭავჭავაძე მიმართავს პერიფრაზის რთულ კომპლექსს — „მრავალგზით ტანჯულს“, „ძღვევით მოსილსა და განდიდებულს“. ამ პერიფრაზს ჩაქსოვილი აქვს ეპითეტის ნიუანსიც, რაც აძლიერებს ავტორის ინტონაციას და მეტ გამომეტყველებასაც ანიჭებს თქმას.

ამ საშუალებით ილია ჭავჭავაძე შეუმჩნევლად აწვევებს მკითხველს, რომ ასეთი მძიმე გზით მიღებული „ძღვეით-მოსილობა და განდიდება“ უაზრო გზითაა მოპოვებული და არც შეიძლება. რომ ძეგარი იყოს.

კიდევ:

„ერთხელ, საღამოს, ლოცვით დაღლილი,  
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა“...

ამ შემთხვევაში ავტორი განდევლის მაგიერ სარგებლობს გამოთქმით — „ლოცვით დაღლილი“. ეს თქმაც სავსებით შეეხამება ილიას მიერ განდევლის მოქმედების უაზროვან შეფასებას. ამით ავტორი ასე აღრმავებს თავის შეხედულებას: განდევილი დაღლილი არა ცხოველი საქმით, პირადი, ხალხისა თუ ქვეყნის სასარგებლო საქმით, არამედ განყენებული, უსარგებლო ლოცვით. მკითხველშიც შეუმჩნევლად, მაგრამ მტკიცედ იჭრება შეხედულება, რომ განდევილობა მეტად უნაყოფო, უაზრო რამ არის. განდევლის ამგვარ თვისებას მკითხველში აგრეთვე აძლიერებს შემდეგი პერიფრაზიც:

„ამა უბიწო დიადის ხილვით  
წარტყვევნილ იქნა განყენებული  
და, ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას,  
შესცქერდა მზესა განცვიფრებულს“.

პერიფრაზი „განყენებული“ ექვივალენტია განდევლისა და საკმარისი სიზუსტითაც ხატავს და აძლიერებს ავტორის დამოკიდებულებას განდევლობისადმი, მისი ცალმხრივი თვალთახედვისადმი, რომელიც ბუნების სიდიადეს გაბრწყინებულ მზეს „განცვიფრებული“, გაურკვეველი შეჭყურებს, არ ესმის მისი მნიშვნელობა, მას ის ხედავს როგორც განყენებულ არსს — ღვთის უსიცოცხლო ხატს და არა რეალური სიცოცხლის წყაროს. მის დაუშრეტელ ცხოველმყოფელ ძალას. ასე აფასებს განდევილს ავტორი, ამასვე შთააგონებს ის მკითხველსაც, პერიფრაზების ნიჭიერად გამოყენებით.

\* \* \*

პოემა „განდევლში“ ილია ჭავჭავაძე აგრეთვე მოხდენილად სარგებლობს არქაიზმებით. არქაული სიტყვები და გამოთქმები გამოხატავენ საგნებს ან მოვლენებს, რომელნიც თანამედროვე ცხოვრებაში თუ სულ არ მოქმედდნენ და არ გაქრნენ, ყოველ შემთხვევაში, კარგავენ ძალასა და ხშირად მნიშვნელობასაც. ამიტომ ასე-

თი საგნებისა და მოვლენების გამომხატველი სიტყვები და გამოთქმები ენაშიც ძველდება, ქრება.

არქაიზმებს მწერალი, ჩვეულებრივ, წარსული დროის აღდგენის, კოლორიტის მიზნით მიმართავს. არქაიზმები მწერალს იმაში ეხმარება, რომ დაკარგული თუ მოძველებული საგნებისა და მოვლენების სპეციფიკა და მათი დრო უფრო მკვეთრ ფერებში ასახოს. სიმკვეთრე, რომლითაც არქაიზმები გამოიყოფა თანამედროვე ლიტერატურული ენის ფონზე, საკმაოდ აძლიერებს პოეტური მეტყველების ემოციურ გამოხატულებას. ყოველივე ეს მწერალს ეხმარება, რომ მკითხველს გაუადვილოს ასახული ეპოქისა და მოვლენათა ცხოველი აღქმა.

ილია ჭავჭავაძეს ამ პოემაში არქაიზმები იმისათვის სჭირდება, რომ მკითხველს რეალურ ფერებში აჩვენოს დრომოჭმული მოვლენა და, უნდა ითქვას, ის ამას შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით წარმატებით აღწევს, რის შედეგადაც მკითხველის მეხსიერებაში ვანდეგილის წარუშლელ პორტრეტს (თავი V) და სამონასტრო ცხოვრების რეალურ სურათს ქმნის.

ნიმუშისათვის ავიღოთ: „ს ა დ უ დ ა ბ უ რ ს ა მ ა ს მ ყ უ დ რ ო ე ბ ა ს“... „უწინდელს დროში ღვთისა მოსავეთა გამოუქვ ა ბ ა ვ თ მ უ ნ მ ო ნ ა ს ტ ე რ ი“... „ბ ე თ ლ ე მ ს უ წ ო დ ე ბ ს ღ დ ე ს ა ც ა ე რ ი“, „ი მ წ მ ი ნ დ ა თ ს ა დ გ უ რ ს“, „ი ქ ჰ ლ ი რ ს ე ბ ი ა ნ მ ა რ თ ა ლ თ ა თ ა ნ ა ს ა ვ ა ნ ე ს ა მ ა ს ს ა უ კ უ ნ ო ს ა“... „გ ა ს უ ლ ა ნ ა მ ა ქ ე ვ ე ყ ნ ი თ მ ა მ ა ნ ი“, „გ ა ნ დ გ ო მ ი ლ ა და ა მ ყ ი ნ უ ლ ე ბ შ ი ს უ ლ მ ა რ ტ ო დ - მ ა რ ტ ო და ყ უ დ ე ბ უ ლ ა“, „მ ე უ დ ა ბ ნ ო ე შ ე ჰ კ ე დ ლ ე ბ ი ა“, „თ ვ ის ლ ო ც ვ ა ნ ს მ წ ი რ ი ზ ე დ და ყ რ დ ნ ო ბ ო დ ა“, „მ ზ ის ს ხ ი ვ ი ი გ ი“, „და ტ ა ძ ა რ ი ღ ვ თ ის გა უ ქ მ ე ბ უ ლ ა“, „ს ა დ მ ე უ ფ ე ბ ა ჰ ე ჰ ა - ქ უ ხ ი ლ ს ა, ყ ი ნ უ ლ ს და ქ ა რ თ ა მ ხ ო ლ ო დ ჰ შ თ ე ნ ი ა“ და სხვ.

აქ მოტანილი არქაული თქმები: „უდაბურსა მას მყუდროებას“, „ხორცუსხმელი სხივი“, „ღვთისა მოსავეთა“, „მეუღაბნოე შეჰკედლებია“, „სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა“ და სხვა, მძლავრ რეალურ ფერებში იძლევა დრომოჭმული, წარმავალი. სამონასტრო ცხოვრების სურათებს.

წარმოდგენილ არქაულ მაგალითებში ასევე გვაქვს ნიჭიერად გამოყენება სინონიმებისა: გ ა ნ დ ე გ ი ლ ი, მ ე უ დ ა ბ ნ ო ე, დ ა ყ უ დ ე ბ უ ლ ი, მ წ ი რ ი, ბ ე რ ი, წ მ ი დ ა მ ა მ ა და სხვ. ილია ჭავჭავაძე სინონიმებს მიმართავს არა მარტო იმიტომ, რომ თავიდან აიცილნოს ერთი და იგივე სიტყვის გამეორება, არამედ ამ ერთი ცნების გამომხატველ სხვადასხვა სიტყვას შეხამებუ-



ლად ხმარობს პოემის განვითარების სხვადასხვა მომენტში, განდევნილის თუ განდევნილობის სხვადასხვა ნიუანსის ზუსტი გამოხატვის მიზნით.

\* \* \*

პოემა „განდევნილი“ მდიდარია მეტაფორებით. მეტაფორაც ხომ ერთ-ერთი საშუალებაა როგორც პოეტური ენის გამდიდრებისა, ისე, და განსაკუთრებით, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პოეტური ხერხი მეტყველებისა და ემოციურობის გამახვილებისა.

მეტაფორა გულისხმობს სიტყვის გამოყენებას არა მისი პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ გადატანით, მსგავსების საფუძველზე. ასეთი შენაცვლება საგანს თუ მოვლენას აძლევს არამართო სიზუსტესა და სიეოცხლეს, არამედ აგრეთვე არაჩვეულებრივ გამოსახულებასაც. «В метафоре, — წერს ა. შალიგინი, — больше пылкости воображения, в сравнении больше вдумчивости, отчетливости, обдуманности, созерцательности».<sup>10</sup> მეტაფორა მკვეთრ და ცხოველ წარმოდგენას აძლევს მკითხველს საგნის თუ მოვლენის გარკვეულ, გამიზნულ თვისებაზე, ვიდრე მათი დაწვრილებითი აღწერა. «Метафора, — წერს ლ. შჩეპილოვა, — выступает отчетливее всего в тех случаях, когда она характеризует те особенности, определению которых писатель стремится придать наибольшую выпуклость, образную завершенность»<sup>11</sup>.

მეტაფორას, როგორც პოეტური ლექსიკის ბევრ სხვა საშუალებას, ხანგრძლივი ისტორია აქვს. მეტაფორა ძველთაგანვე გამოყენებული იყო როგორც ხალხურ შემოქმედებაში, ისე ლიტერატურაშიც. უამთა ვითარებაში ბევრმა მეტაფორამ დაკარგა სიახლე, ემოციურ-გამომსახველობითი ძალა (მაგალითად, ქვა გული, მწარე ენა, მრუდე ხიდი და სხვ.).

მწერლის სტილის ღირსებას წარმოადგენს არა გაცვეთილი, მობეზრებული მეტაფორის გამეორება, ან თუნდაც გაცვეთილი მეტაფორის გადახალისება ახალი სიტყვების მიმატება-გადასმით, ან მისი გრამატიკული ფორმის შეცვლით, რათა ის დაუახლოვდეს თა-

<sup>10</sup> А. Шалигин, Теория словесности, гл. 71, 1914.

<sup>11</sup> Л. В. Щепилова, Введение в литературоведение, гл. 128, 1956.

ვის დაკარგულ მნიშვნელობას, არამედ მოვლენათა შორის მსგავსების საფუძველზე ახალი შესატყვისი მეტაფორის შექმნა, რომელიც მანამდე პოეტურ მეტყველებაში არ იყო გამოყენებული. სწორედ ასეთი მეტაფორა აცხოველებს მკითხველის ემოციას, საგანს თუ მოვლენას აძლევს სახეობას, სურათოვნებას, სიასლესა და მიმზიდველობას. ამიტომაც მეტაფორის განახლება, განსაკუთრებით კი ახალი მეტაფორის შექმნა, უდავოდ, პოეტური ენისა და თვით პოეტის შემოქმედებითი ძალისა და სიმდიდრის მაჩვენებელია.

მეტაფორის საშუალებით განდევნილი რწმენის, მისი მარტივი ფილოსოფიის დამახასიათებელი თვისებები ზედმიწევნითი სიზუსტით, ტევადობითა და ღრმა განცდითაა მოცემული მწყემსი ქალისადმი მის შემდეგ თქმა-პასუხში:

„...რა გითხრა შვილო?  
ყველაზე უფრო სული ტკბილია.  
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა  
და ეგ ყოველი მის ბორკილია“.

მეტაფორები — „სული ტკბილია“, ის „წუთისოფლის ტყვეა“, წუთისოფელი, ე. ი. რეალური ცხოვრება, მისი „ბორკილია“ — მაქსიმალური სიზუსტით გვიხატავს განდევნილი მარტივი მსოფლმხედველობას, პირადი კმაყოფილების განცდაში ჩაკეტილს და შეზღუდულს, მის არასწორ შეხედულებას წუთისოფელზე, რეალურ გარემო ცხოვრებაზე.

ან კიდევ:

ა) „და გვაში მისი (განდევნილისა,—მ. ზ.) ცოდვილ ფიქრობა განიმდღიდან აღარ შეძრწუნებულა“.

ბ) „განყენებულა წუთისოფლისგან  
აქ სული მისი აღყვავებულა  
და ხორციელი გულისთქმა ყველა  
დამარხულა და განსვენებულა“.

ილია ჭავჭავაძე მეტაფორას ხშირად ხმარობს პოეტური ლექსიკის სხვა საშუალებებთან, უფრო კი განპიროვნებასთან ერთობლიობაში, რაც მკითხველს საგანს თუ მოვლენას ერთდროულად, სტვადასხვა ნიუანსით, უფრო მკვეთრად აჩვენებს და უფრო ღრმად განაცდევინებს.

მოტანილ ნიმუშებში მეტაფორები მკითხველს უხსნის განდევნილის სულიერ სამყაროს: განდევნილმა, „ხორციელი გულისთქმის

დამარხვით და განსვენებით“ (ე. ი. უმოქმედობით), განთავისუფლ-  
და რა „ცოდვილთ ფიქრთაგან“, ჰპოვა სულიერი ბედნიერება —  
კმაყოფილება, სულიერი „აღყვავება“, რასაც ის ასეთი ტანჯვით ეძ-  
ებდა.

აქ თუ, ერთი მხრივ, განდევილის კმაყოფილი განწყობილება  
გაძლიერებულადაა დახატული, მეორე მხრივ, მკითხველში შეუშ-  
ინებლად იბადება აზრი, რომ განდევილის სიხარული და კმაყოფი-  
ლება არაა შტიციე, ის სუსტია, ყალბია. რომ ეს მართლაც ასეა,  
რომ მკითხველის ეჭვი სამართლიანია, ილია ჭავჭავაძე იქვე, პოემის  
სიუჟეტის გაშლაში, ამ ეჭვის საფუძვლიანობას თვითონვე იძლევა  
ბერის სულიერი შერყევის გადმოცემისთვის გამოყენებული საშუა-  
ლებით:

- ა) „და არა ჰკმარის, რომ სულს და უღდა  
წინდა საყდარი უკვდავებისა?“
- ბ) „ეხლა მის გულში თითქოს ებანს სცემს  
და ისმის ჩუმი ებნის სიმთქუნრა“.
- გ) „კვლავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი  
მადლით; ნუგეშით გადმო მზირალი“.

აქ გამოყენებული მეტაფორები ზედმიწევნით შლის განდევ-  
ილის მდგომარეობას, რწმენას, განწყობილებას, რაც მძლავრ ქანდა-  
კებასავით აყენებს მას მკითხველის წინაშე და ზემოთ აღძრულ ეჭვს  
მასში ამტკიცებს.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძეს პოემის სიუჟეტისა და გმირთა ხასიათის გაშლა-  
ში ოსტატურად აქვს გამოყენებული აგრეთვე განპიროვნების  
ხე რ ხ ი, ესეც ხშირად პოეტური ლექსიკის სხვა საშუალებებთანაა  
გაერთიანებული.

განპიროვნება ანუ პერსონიფიკაცია თავისებური სახეობაა მე-  
ტაფორისა, ვინაიდან განპიროვნებაც იქმნება მოვლენათა თუ სა-  
განთა მსგავსების საფუძველზე, ხოლო ერთი არსებითი შეზღუდვით  
ცოცხალი არსების (ადამიანის) თვისებები მიეწერება ბუნების მოვ-  
ლენებს.

პოეტური განპიროვნება იქმნება ბუნების მოვლენათა მოძრა-  
ობის, ფორმის, ხმის, ფერებისა და სხვათა თვისების მკვეთრი  
მსგავსების გამოვლინების საფუძველზე, რაც იწვევს სიცოცხ-  
ლის ილუზიას; ბუნების მოვლენები გვევლინება, როგორც თვით-  
ნებური, შეგნებული მოქმედება, რომელშიც მონაწილეობას იღებს  
მოვლენისა თუ საგნის ნებისყოფა, სურვილი, მიზანდასახულობა.

არაორგანული და ორგანული ბუნების უსულო და განყენებულ-  
ლი საგნების თუ მოვლენების განპიროვნება ილია ჭავჭავაძის შე-  
მოქმედებაში, კერძოდ მის პოემა „განდევილში“, მრავალფეროვნა-  
დაა განსახიერებელი (საგნის სხვადასხვა ნიუანსის გამახვილებუ-  
ლად ჩვენების მიზნით).

1. განპიროვნება, რომელშიც ბუნების მოვლენებზე გადატანი-  
ლია ცოცხალი არსების (ადამიანის) თვისებები და მდგომარეობა,  
როგორც თვითნებური მოძრაობის, მოქმედების ურთიერთობის პრო-  
ცესი.

ნიმუშისათვის ავიღოთ:

ა) შავი ღრუბელი —

„დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,  
ცაზედ განერთხო და გაიშალა,  
და იქ თითქოს მტერს შეეჯახა,  
წეკა-ქუხილით დაიგრილა“.  
„და გამსჭვალული მისით ღრუბელი  
შორს ათასფერად სხივებში ჰტრთოდა“.  
„ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერზედ...  
ცა ქვეყნის დანთქმას თითქო ჰლამობდა,  
ჰქექდა და ჰქუხდა... და ჩემთა ფეხ-ქვეშ  
თითონ მთის ძირიც იძროდა, ძრწოდა“.

მოტანილი განპიროვნებები, უდავოა, ცხოვლად გამოხატავენ  
ბუნების არაჩვეულებრივ მოვლენებს და მკითხველიც დიდი ემო-  
ციურობით, თითქოს თვალსაჩინოდ, აღიქვამს მოცემულ სურათს.

2. განპიროვნების საშუალებით ილია ჭავჭავაძე უსულო საგ-  
ნებს მიაწერს სულიერი საგნის (ადამიანის) სხვადასხვა გრძნობას—  
სიყვარულს, აზრს, მისწრაფებას, მორალს და სხვ. ნიმუშისათვის  
ავიღოთ:

- ა) „ღლე-და-ღამ სულთქმა და დაღადება  
მოჰფენია კლდეს ყინულისასა,  
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,  
ვითა ლელესა მის გლოვისასა“.  
ბ) „რად შეემსქვალა თვალი იმსახეს?  
ის სახე ატკობს თუ ეოცება?  
მორიდება ჰსურს და ნეტა თვალი  
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!“

მოტანილი მაგალითები საკმარისია, რომ მკითხველმა აშკარად  
და ძალუმაღ განიცადოს განდევილის შინაგანი, დროებით დაწყნა-  
რებული და მოულოდნელად აფორიაქებული განწყობილება, რომ

შეიგრძნოს ილია ჭავჭავაძის მიერ განპიროვნების ხერხის გამოყენების დიდი ოსტატობა.

\* \* \*

ილ. ჭავჭავაძის პოეტურ ლექსიკას ახასიათებს **ჰიპერბოლის** გამოყენებაც.

ჰიპერბოლით მწერალი დროსა და სივრცეში საგანსა თუ მოვლენას ხატავს არაჩვეულებრივად გაზვიადებული (გადიდებული თუ შემცირებული) თვისებებით, როგორც განსაკუთრებული ძალისა და ზომის შემცველს.

ჰიპერბოლა მაშინაა გამართლებული, როცა ის მკითხველს კი არ აშორებს სინამდვილეს, არამედ პირიქით, ხელს უწყობს, რომ მევეთრად, ზუსტად განიცადოს და გაიგოს იგი. როცა მწერალი საგნის ან მოვლენის ხილვითა თუ განცდით ზომაზე მეტად აღტაცებული, განცვაფრებული თუ აღშფოთებულია, ის ჰიპერბოლის საშუალებით ახერხებს მკითხველშიც გადაიტანოს თავისი განწყობილება და მასშიაც იგივე განცდა და გაგება გამოიწვიოს.

ჰიპერბოლა მწერალს ხელს უწყობს, რომ მკითხველის ყურადღება მაქსიმალურად გაამახვილოს საგნის ან მოვლენის იმ მხარესა თუ თვისებაზე, რომლის უფრო ნათლად გამოკვეთას თვით მწერალი ცდილობს. ჰიპერბოლა აძლიერებს მკითხველის მიერ განსახიერებულ საგნისაგან შექმნილ შთაბეჭდილებას, მიღებულ ემოციას ინტენსიურად აცხოველებს, ამძაფრებს. მკითხველს უჭირს ჰიპერბოლის საშუალებით განსახიერებული საგანი თუ მოვლენა ნათლად წარმოიდგინოს, მაგრამ მასში ჩაქსოვილი პოეტის ემოცია-აღფრთოვანება იმდენად ძლიერია, რომ იგი აშკარად განიცდის ყოველივეს. მართალია განსახიერებული საგანი თუ მოვლენა არ შეესატყვისება სინამდვილეს, მაგრამ მისი ტოლძალოვანი მაინც არის.

ნიმუშისათვის ავიღოთ:

ა) „ცა ქვეყნის დანთქმას თითქო ჰლამობდა“...

ბ) „თითონ მთის ძირიც იძროდა, ძრწოდა“.

გ) „შეირყა მთელი ცა და ქვეყანა“.

იმა ქვეით და იმა ქუხილით,

ცა აირია, დაბნელდა უცებ

და წამოვიდა სეტყვა შხუილით.

ქუხვა და ქეჟა, ელვა და სეტყვა,

არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,

ქართა, აწ გრიგლად რადმე ქცეულთა,

ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა, —

ესე ყოველი, ერთად რეულნი,  
პ გ ვ ა ნ დ ნ ე ნ ც ი თ ვ ლ ე ნ ი ლ ს რ ი ს ხ ვ ა ს ღ ვ თ ი ს ა ს ა . . . .

აქ ჰიპერბოლაში ჩაქსოვილია განპიროვნების, ეპითეტისა და გრადაციის ნიუანსები, რაც რთულ წარმოსახვით კომპლექსურ სურათს ქმნის და მკითხველშიც მძაფრ წარმოდგენას იწვევს. ამგვარი რთული სახის გამოქანდაკება პოეტური ლექსიკის სხვადასხვა საშუალებათა გაერთიანების გზით, ჰიპერბოლის საფუძველზე, ილ. ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელია.

გარდა აღნიშნულისა, „განდგეილიდან“ მოვიტანთ ერთ ნიმუშს:

„სადაც ღიღებულს მთასა მყინვარსა  
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,  
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,  
მზისგან აროდეს არა დნებიან,  
სად უღაბურსა მის მყუდროებას  
კაცთ ყრიაშული ვერ შესწვდენია,  
სად მეუფება ჰქეპა-ჰუხილსა,  
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰპოენია, —  
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა  
გამოუქებავთ მუნ მონასტერი  
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს  
ბეთლემს უწოდებს ღღესაცა ერი.  
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს  
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე,  
და ზედ კარია გამოკვეთილი —  
ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე“.

ამ ერთ მთლიან პერიოდში, გარდა ჰიპერბოლისა, დიდი ოსტატობითაა ჩაქსოვილი პოეტური ლექსიკის სხვა საშუალებებიც: შედარება, მეტაფორა, არქაიზმი, ეპითეტი, ინვერსია, გამეორება, გრადაცია, რაც ქმნის ცოცხალ, მომხიბვლელ მონუმენტს როგორც მყინვარისას, ისე ცხოვრების გარეშე განდგომილი, განყენებული მონასტრისა და მეუღაბნოისას.

ემოციური და სურათოვანი მეტყველების გაძლიერებისათვის ილია ჭავჭავაძე ზშირად მიმართავს ხოლმე ეპითეტსაც. სინამდვილეში საგანი თუ მოვლენა მრავალმხრივია. მას ჩვენ ვხედავთ და ვითვისებთ გარკვეულ კონკრეტულ გარემოცვაში, სხვა საგნებთან ან მოვლენებთან ურთიერთობაში. საგნისა თუ მოვლენის სწორი, მკვეთრი დანახვის ან გაგებისათვის მწერალი ზშირად მიმართავს ეპითეტს, ე. ი. ისეთი სიტყვისა თუ თქმის გამოყენებას, რომლის საშუალებითაც მკითხველის ყურადღებას ამახვილებს საგნის თუ მოვ-

ლენის სწორედ იმ მხარეზე, რომლის წინ წამოწევას (როგორც არსებითისას) ალებულ მდგომარეობაში თვითონ ცდილობს, რომ ალებული მოვლენა თუ საგანი მკითხველსაც სწორედ იმ თვისებით დაანახვოს და აათვისებინოს, როგორითაც თვითონ განიცდის. ეპითეტი მკვეთრად იძლევა განსახიერებელი საგნის არსს და მწერლის მისადმი დამოკიდებულებასაც. «Автор, — წერს ა. შალიგინი, — может вложить в него (в эпитет, — г. №.) много ума, наблюдательности, остроумия и чувства»<sup>12</sup>.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ეპითეტი ხშირად უერთდება მეტაფორას, ჰიპერბოლას, შედარებას და სხვა საშუალებებს, რაც მას მეტ ელასტიურობას, გამომეტყველების მეტ ძალას აძლევს. ნიმუშისათვის:

- ა) „იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში  
ს ე ე ტ ა დ ბ რ წ ყ ი ნ ე ა ლ ე ჩ ა ე შ ე ბ ო დ ა“.
- ბ) „ამა უ ბ ი წ ო დ ი ა დ ი ს ხ ი ლ ე ი თ...  
წ ა რ ყ ვ ე ე ნ ი ლ ი ქ ნ ა გ ა ნ ყ ე ნ ე ბ უ ლ ი“.
- გ) „იგი მწირიცა მ წ ყ რ ა ლ ი, გ უ ლ მ შ რ ა ლ ი“...  
„და უ ც ო დ ვ ე ლ ი გ უ ლ ი ს-ტ კ ი ვ ი ლ ი თ  
ქ ა ლ ს შ ე ა ჩ ე რ ა ტ ყ ვ ე ქ მ ნ ი ლ ი თ ვ ა ლ ი“.
- დ) „ღმერთია ყველას მ შ ვ ე ლ ე ლ ი, მ ხ ს ნ ე ლ ი...  
ღვთით არგანწირულს ყველგან წინ უძღვის  
მისი მარჯვენა შ ე მ წ ყ ნ ა რ ე ბ ე ლ ი“.
- ე) „სტუმარს, იქ მჭდომელს ზედ მოეფინა  
გ ა ს ა ო ც ა რ ი რ ა ლ ა ც შ ე ე ნ ე ბ ა...“
- ვ) „...ვინ მოჰხედავს ქვეყნით  
ეროს და ვ ი წ ყ ე ბ უ ლ ს და გ ა ნ დ ე გ ი ლ ს მ წ ი რ ს“
- ზ) „და რაღაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა  
თვალი ტ ყ ვ ე ქ მ ნ ი ლ ი, გ ა შ ტ ე რ ე ბ უ ლ ი“.
- თ) „ძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის  
ესოდენ ა მ ო, ესოდენ ტ კ ბ ი ლ ი...“
- ი) „ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით...  
ბაგე გაეპო ლ ა ლ ი ს ღ ი მ ი ლ ი თ.  
იმა ღ ი მ ი ლ ის გ რ ძ ნ ე უ ლ ი ჟ ა დ ო“...

ილია ჭავჭავაძე ხშირად იყენებს ამგვარ ემოციურ, სურათოვან, ღრმა ლირიზმის გამომხატველ ეპითეტებს, რომლებიც მოხდენილად ემსახურებიან ავტორის ნაწარმოების სიუჟეტისა და გმირთა სახეების გაშლა-გახსნაში. ეს ეპითეტები თავისი სიახლით, სიღრ-

<sup>12</sup> А. Ш а л ы г и н, Теория литературы, гл. 38, 1914.

მით, სიმკვეთრითა და მიმზიდველობით მკითხველს ანიჭებს მაღალ-სა და სრულ ესთეტიკურ განცდას.

\* \* \*

მხატვრული ნაწარმოების გმირები განსახიერებული არიან მოძრაობაში, მოქმედებაში, გარემოსთან ბრძოლაში — ამ ნიადაგზე შექმნილი შინაგანი განწყობილების ცვალებადობის პროცესში. გმირთა ხასიათების ცვალებადობა თავისებურ შესატყვის განსახიერებას პოულობს მწერლის პოეტური მეტყველების წყობაში, რაც ხელს უწყობს მათი სახის ზუსტად გამოძიერწვას.

ცხადია, გმირის განცდის, განწყობილების მუდმივ მოძრაობა-მოქმედებაში აზრობრივი და ემოციური ცვალებადობის მრავალფეროვანი ნიუანსების ზუსტად გამოხატვას ვერ დააკმაყოფილებს მეტყველების ჩვეულებრივი სინტაქსური საშუალებანი. ჩვეულებრივი გრამატიკული წესით აგებული წინადადებები და მათი გაერთიანება მეტყველებაში ქმნის ერთფეროვნებას, რაც მხატვრული ნაწარმოების სტილს უკარგავს მოქნილობას, გამომეტყველებას და მოსაწყენს ხდის მას. ამიტომ საჭიროა პოეტურ საშუალებათა სხვადასხვა კომპლექსების ზომიერი გამოყენება ურთიერთქმედებაში. «Применение, — წერს ლ. შჩეპილოვა, — в поэтической речи фигур в различном взаимодействии с обычными средствами синтаксиса делает возможности выразительного, разнообразия построения фраз и их сочетаний неисчерпаемыми»<sup>13</sup>.

ილია ჭავჭავაძეც ხშირად მიმართავს პოეტურ საშუალებათა ამგვარი ურთიერთქმედების კომპლექსებს. ნიმუშისათვის ყურადღებას შევაჩერებთ ზოგიერთ მათგანზე.

მწერალი იყენებს ინვერსიას, ე. ი. საგნის თუ მოვლენის ამა თუ იმ თვისებაზე მკითხველის ყურადღების გამახვილების მიზნით წინადადებაში სიტყვების განლაგების ბუნებრივ წყობას ცვლის; ეს კი გადაადგილებულ სიტყვაზე იწვევს განსაკუთრებულსა და ემოციურ მახვილს.

მაგალითები პოემა „გ ა ნ დ ე გ ი ლ ი დ ა ნ“:

- ა) არ შეჰკადრებს ღმერთს ი გ ი ს ა მ დ უ რ ა ე ს ი  
არ გასწირავს ს უ ლ ს შ ე ე ე რ ე ბ უ ლ ს ა  
ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას  
მასზედ გულუხვად მომადლებულსა.

13 ლ. ვ. შჩეპილოვა, «Введение в литературоведение», გვ. 141, 1956.



- ბ) „ქალს დაღალულსა მისძინებოდა“...
- გ) „სული მის ღაწვზედ დაუღევია“...
- დ) „მავედრებელი შეჰმართა თვალთ“...
- ე) „დილის ნიავე დაჰქროდა ნელი“...
- ვ) „თქმულა — მხეციც კი გააფთრებული“...
- ზ) „დავით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას  
შესცქერდა მზესა განცვიფრებულთ“.

ჩვეულებრივ უნდა იყოს:

- ა) იგი ღმერთს სამღურავს არ შეჰკადრებს.  
შევედრებულ სულს არ გასწირავს.  
ვით არ იქმარებს მანვედ გულუხვად  
მომადღებულსა ღვთისა კურთხევას.
- ბ) დაღალულ ქალსა მისძინებოდა.
- გ) მის ღაწვზედ სული დაუღევია.
- დ) მავედრებელი თვალი შეჰმართა.
- ე) დილის ნელი ნიავე დაჰქროდა...
- ვ) თქმულა — გააფთრებული მხეციც კი.
- ზ) დავით ღვთის დიდების ცხოველ ხატს,  
განცვიფრებული შესცქეროდა მზეს.

წინადადებაში სიტყვათა ბუნებრივი ადგილის ამგვარი შეცვლა, ცხადია, არღვევს მეტყველების ჩვეულებრივ რიტმს, იწვევს სი-  
ახლეს და მკითხველის თუ მსმენელის ყურსაც ეს სიახლე უჩვე-  
ულოდ ხვდება, ყურადღებას საჭიროებისამებრ ამახვილებს, რაც  
მეტყველებას ემოციას ჰმატებს.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძის პოეტური ლექსიკის ერთ-ერთი მძლავრი სა-  
შუალება, მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით გამოყენებული,  
არის კონტრასტი ანუ დაპირისპირება. კონტრას-  
ტი უკიდურესი საწინააღმდეგო თვისების მატარებელი საგნების  
თუ მოვლენების შეპირისპირებაა. ის მიზნად ისახავს ამგვარ  
საგანთა თუ მოვლენათა დაპირისპირებით მკითხველში გამოიწვიოს  
უფრო მძლავრი, გამახვილებული შთაბეჭდილება, ამით მწერლის  
აზრი უფრო გამოკვეთოს და მკითხველამდე ადვილად დაიყვანოს.  
მკითხველში. საგნის წარმოსახვა და, ამასთან დაკავშირებით, ემო-  
ცია მაშინ ცხოველდება, როდესაც კონტრასტის ორივე საწინააღმ-  
დეგო ნაწილი ნაწარმოებში მკვეთრადაა მოცემული. კონ-  
ტრასტი მწერალს ხელს უწყობს მოვლენის შინაგანი წინა-  
აღმდეგობანი განსაკუთრებულ სიზუსტით  
გახსნას.

კონტრასტი მარჯვე პოეტური საშუალებაა მრავალწახნაგოვანი საგნის თუ მოვლენისადმი დამოკიდებულების გამოსახატავად. კონტრასტი მრავალფეროვანია: კონტრასტი, მოცემული სივრცეში, დროში; კონტრასტი ფორმის, სმენის, ემოციისა და სხვათა მიხედვით.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში კონტრასტი გამოყენებულია მრავალმხრივ. მაგალითად, გავიხსენოთ „მგზავრის წერილებში“ — მყინვარისა და თერგის დაპირისპირება. პოემა „განდეგილში“ გვხვდება უფრო ემოციის გამომხატველი კონტრასტი, რომელშიაც ჩაქსოვილია სივრცის, მოძრაობის, სმენის, ხედვის ნიუანსიც:

- ა) „აქ სიკვდილია — იქ კი სიცოცხლე,  
აქ ჭირია და იქ კი ლხინია“.
- ბ) „მაშინ ვინა სთქვას — ვინ ვის ამშვენებს,  
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა“.
- გ) „სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,  
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება“...
- დ) „პირჯვარი უნდა — ხელი არ ერჩის,  
ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება“.
- ე) „და იქ, სად წმინდანთ უღიდებათ  
ღმერთი მსჯავრის და ქეშმარიტების,  
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ  
მსხვერპლი ქებისა და ღალადების, —  
აწ შორის ნანგრევთ და ნატაპალთა  
მარტო ჭარილა დადის და ჰქუჟის,  
და გამომფრთხალი ქეჟა-ქუხილით  
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუხის...“

თვით პოემის კომპოზიცია აგებულია კონტრასტის ხერხის საფუძველზე: ერთი მხრივ, მოცემულია განდეგილი, ხოლო მეორე მხრივ, მწყემსი ქალი. პოემის შინაგანი კონტრასტებიც მიზანშეწონილად ეხმარება ამ უკიდურეს სახეთა შორის არსებული მკვეთრი განსხვავების გაღრმავებას, გაძლიერებას.

ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელია ნაწარმოების სიუჟეტის განვითარება კომპოზიციური კონტრასტის საშუალებით. მაგალითად: „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „პასუხის პასუხი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ და სხვა.

\* \* \*

კონტრასტის ხერხს უახლოვდება პარალელიზმი, ე. ი. ორ ან რამდენიმე განსხვავებულ მოვლენათა აღწერის ერთდროული და-

კავშირება. თუ კონტრასტში დაპირისპირებულია ორი საგანი ან მოვლენა, როგორც უკიდურესობანი (მაგ., სიკვდილი-სიცოცხლე, ჭირი-ლხინი), პარალელიზმში ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს მათი მსგავსი ან განსხვავებული თვისებების მიხედვით. პარალელიზმი ხშირად რელიეფურად აჩვენებს მკითხველს მოვლენათა ერთიანობასაც და უშუალო ურთიერთშეპირისპირებასაც. ასეთი სახის პარალელიზმები დამახასიათებლად აფერადებს ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებას, საერთოდ, და მის პოემა „განდევილს“, კერძოდ. ნიმუშისათვის ამ პოემიდან მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

- ა) „და რა იხილა კვლავ იგი მწირმა,  
დაუცხრა სული აქოთებულ  
და რაღაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა  
თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული“.
- ბ) „მოვინდომე ცხვრის გამობრუნება,  
გვიანდა იყო, ვერ მოვასწარი;  
უცებ შემემთხვა იქავ ავღარი,  
სეტყვა ტყვიასებრ წამოუშინა!“
- გ) „სულ დამავიწყდა მამის ნათქვამი: —  
ნუ ენდობიო, შვილო, ამ მყინვარს,  
ნახავ, მზე ადგას, უცებ გაწყრება  
და წამოხეთქავს ცილამ ნიაღვარს“.
- დ) „ლამაზი იყო ამ დღის საღამო,  
რა-რიგ კშვენოდა მზე დამავალი  
შეეხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,  
გაეშტერდი, ველარ მოვსხლიტე თვალი.  
ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული  
მთის წვერზე დიდი მზე ბრწყინვალეზდა  
და საკვირველი ის სანახავი  
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა“.

პარალელიზმი აძლიერებს და ამდიდრებს მეტყველების სურათოვნებასაც და, ამასთან, მძლავრად მოქმედებს მკითხველის გრძობაზე და ზრდის მის ცნობისმოყვარეობას. მკითხველის შთაბეჭდილება მით უფრო ძლიერდება, რომ პარალელიზმს ხშირად ერთვის პოეტური ლექსიკის სხვა სახეებიც (ეპითეტი, მეტაფორა, ჰიპერბოლა, კონტრასტი). აშკარაა, რომ ყველაფერი ეს პოეტს ეხმარება როგორც პოემის სიუჟეტის მომხიბვლელად გაშლაში, ისე პოემის მოქმედ პირთა ხასიათისა და ცხოვრების მიმზიდველი ძალის სრულად მოცემაში.



ილია ჭავჭავაძეს დიდი ოსტატობით აქვს მომარაგებული გრადაცია, ე. ი. შთაბეჭდილებათა თანდათანობითი გაძლიერების ან შესუსტების ხერხი, სიტყვებისა თუ წინადადების გაერთიანების გზით. გრადაცია იქმნება როგორც სინონიმურ სიტყვათა თანდათანობით გამაძლიერებელი ან შემასუსტებელი შეერთების საშუალებით, ისე მოვლენის გარკვეული თვისების აღწერით, გაძმოცემით.

ილ. ჭავჭავაძე გრადაციის ხერხს ჩვეულებრივ ურთავს გამეორებასაც, ე. ი. ერთი და იმავე სიტყვის თუ ფრაზის ყოველი შემდეგი წინადადების, სტრიქონის ან სტროფის დასაწყისში გამეორებას.

გამეორებას პოეტი მიმართავს ხოლმე იმ მიზნით, რომ წინა წამოსწიოს რომელიმე ცნება, საგანი, მოვლენა, შეხედულება. როგორც მთავარი, მამოძრავებელი; ამ ცნების მიმართ გაამახვილოს ყურადღება. ნიმუშისათვის ავიღოთ:

1. გრადაცია, რომელიც შექმნილია სინონიმურ სიტყვათა შეერთების საშუალებით:

- ა) „ღღე-ღა-ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით ხორცი სულისთვის უწაშებია“.
- ბ) „სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი“....
- გ) „გაუდევნა გულიდამ ყველა მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი“...
- დ) „შეერთა, შეშინდა ამა ხმისაგან“...

2. გრადაცია, რომელიც იქმნება გარკვეული თვისებების აღწერითა და გაძმოცემით:

- ა) „განდევგის თვალწინ წარმოედგინა: ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით, სავსე შევენების ჯადოთი, გრძნობით“.
- ბ) „ოდესღაც ტაძარს, იმ გაუქმებულს, შეუღაბნოე შეჰკედლებია: საიქიოსთვის ეს სააქო დაუთმია და განშორებია“.
- გ) „დაესხარეტი, თვალთ დაუბნელდა, გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული, ერთი საშინლად შეჰბლავლა ღმერთსა და იქვე სხივ ქვეშ უტევა სული“.

3. გრადაცია გამეორებასთან ერთობლიობაში:

„განშორებია ვით ცოდვის სადგურს,  
 ვით სამეფუფოს ბოროტისასა,  
 სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს  
 განსადელსა მას ეშმაკისასა;  
 სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-ღა-ღამ  
 ვითა მპარავი და მტაცებელი;  
 სად რასაჲ კხადის მართალი მართლად  
 მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;  
 სად რყვნა, წაწყმედა და ლალატია,  
 სადაც ძმა კხარობს სისხლსა  
 ძმისასა;  
 სად ცილი, ზაკვა ძულებადა  
 ჰხდის  
 წმინდა სიყვარულს მოყვასისასა“.

გამეორებასთან და შეკითხვასთან ერთობლიობაში გრადაციის ასეთივე (თუ უფრო მძლავრი არა) დიდი პოეტური ზემოქმედების შედეგია „განდგეილის“ XXI თავი:

„უბედურსაო“!.. და მწირსა უცებ  
 გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...  
 ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია,  
 და ვით მოადგა იგი ენაზედ?  
 „უბედურსაო“?!.. ეგ ხომ სიტყვაა,  
 გულის-ტყენის და სამღურავისა!  
 ეგ ხომ სულთქმაჲ, აღმოკვნე!..აა  
 ბედნიერების დამკარგავისა!..

წარმოდგენილი გრადაცია, გამეორებასთან გაერთიანებული და აგრეთვე გამდიდრებული პოეტური ლექსიკის სხვა საშუალებებით, პოეტურ მეტყველებას მძლავრ ხასიათს აძლევს, რაც პოემის იდენის გახსნასაც ნიჭიერად ეხმარება და მკითხველშიც მაღალ ემოციურ განცდას იწვევს.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მოწო-ლილ გრძნობათა ოთული შთაბეჭდილების შექმნა. ამგვარ შემთხვევებში ამა თუ იმ მოვლენის თუ საგნის მნიშვნელობა რომ უფრო მკვეთრად გახსნას და თავისი დამოკიდებულება მოვლენისადმი უფრო მეტი სისრულითა და უშუალობით გამოხატოს, მწერალი იყენებს მიმართვის, შეკითხვის, უარყოფის ან

მტკიცებებს ხერხს. შეკითხვას, მიმართვას, რა თქმა უნდა, სულაც არა აქვს ის მიზანი, რომ პასუხი მისცეს მკითხველს, არა-  
ძედ მისი დანიშნულებაა მკითხველში უფრო გააძლიეროს და გა-  
ახანგრძლივოს განცდის განვითარება, ძალა.

ამ ხერხთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე მძლავრი გადასვლე-  
ბითა და შეწყვეტით ხშირად მიმართავს გაკვირვებას. პოეტი  
ოითქოს მღელვარების კამო ვერ ახერხებს აზრის დამთავრებას,  
ფაქტიურად კი ის ძაბავს მკითხველის ყურადღებას, თითქოს მოი-  
თხოვს, რომ მკითხველმა შეავსოს შექმნილი ხარვეზი.

1. შეკითხვა, რომელიც პასუხს არ ელის და მით უფრო  
აღრმავებს და აძლიერებს გმირის განცდას:

- ა) „თუ ბუა კაცის, რამ მოიყვანა  
ამ დროს, ამ ღამეს ქვეყნისა რღვნისას?“
- ბ) „ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა  
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?“
- გ) „ვერ ჰხედავ, ლამის ცა ჩამოიქცეს.  
და ზედ დაეცეს დედამიწასა?  
რა დროს კითხვან?...“
- დ) „მაგრამ შენვე სთქვი: განა წაუხვალ,  
რაც ფათერაკად მოსაეილია?“
- ე) „როგორ იწამოს და რა დააჩქვას  
ამ ჯერ არ ცნობილ სიტკბოებასა?  
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს  
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?“

2. მიმართვა, შეკითხვა, რომელიც დაყინებით თხოუ-  
ლობს დაუყოვნებლივ ამა თუ იმ მოვლენის თუ საგნის ახსნის საჭი-  
როებას:

- ა) „ჰკითხა, — „ვინა ხარ? კაცი თუ მავნე  
აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“
- ბ) — „ვინა ხარ შეილო?  
ამ უღაბნოში რამ მოგიყვანა?  
მერე ამ დროსა, როს ავღრისაგან  
ლამის წაირღვნას მთელი ქვეყანა?“
- გ) „განა ქვეყანადა შენ არავინ გყავს  
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?“
- დ) „მაშ, ვინც ქვეყნად ვართ ყველა წავწყდებით;  
ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“

3. რიტორიკული გაკვირვება, მტკიცება, რომ ესა  
ოუ ის მოვლენა სწორედ ისე უნდა იყოს, როგორც ამას თვითონ  
მწერალი ფიქრობს. ამასთან, მოწოლილ გრძნობებს ის ვერ ერევა,

წინადადებას ვერ ამთავრებს, წყვეტს, ერთი აზრიდან მეორეზე გადადის.

- ა) „რა მექნა ბეჩავს!.. საბრალო თავი  
სად შემეფარა, გადამერჩინა?“
- ბ) „ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,  
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სინარულს?  
ღმერთო ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!..  
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!“..
- ვ) „მაგრამ რას იზამ?.. მოდი გულს უთხარ, —  
კარგ სანახავეზე ნუ ხარ-თქო ხარბი!“..
- დ) „როვორ თუ ლეთისა? ღმერთს რაში უნდა  
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“
- ე) „არ შექადრებს ღმერთს იგი სამღურავს!..  
არ გასწირავს სულს შევედრებულსა!  
ვით არ იკმარებს ლეთისა კურთხევას,  
მასზედ გულუხვად მომადლებულსა!..  
არა და არა!... მამ რამან სძლია  
და ეა სიტყვა რამ ამოაკენესა?1..“

ამგვარად, მიმართვის, შეკითხვის, გაკვირვების, მტკიცებისა თუ უარყოფის ხერხის გამოყენებით ილ. ჭავჭავაძე აწერხებს მოწო-  
ლილი გრძნობა, აზრი, რთული და მძიმე მოვლენების გაგების აუ-  
ცილებლობით გამოწვეული, შეუბღალავად დახატოს და ეს მდგო-  
მარეობა მკითხველსაც სათანადო სიძლიერით გადასცეს.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძის ეპიკური შემოქმედება, კერძოდ, პოემა „გან-  
დევილი“ ხასიათდება დ ი ა ლ ო გ ი ს მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ი დ ა უ-  
ფ ლ ე ბ ი თ. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში ჩაქსოვილ დიალო-  
გებს ახასიათებს დიდი დინამიურობა, ექსპრესია. მკვეთრი ლაკო-  
ნური ფრაზეოლოგია და პოეტური ლექსიკის მრავალი საშუა-  
ლების ნიშანდობლივი ზუსტი ჩაქსოვა („კაცია-ადამიანი?!“, „გლა-  
ხის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „რა ვაკეთეთ. რას ვშვრებო-  
დით?“ და სხვ.).

ნიჟუშისათვის მოვიტანთ პოემა „განდევილიდან“ XVIII თავს:

„—მე ნუ მიმადლი, შვილო, შენს დახსნას,  
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...  
ლეთით არ-განწირულს ყველგან წინ უძღვის  
მისი მარჯვენა შემწყნარებელი.  
— შენ კი ეშმაკი, მგონი, გეგონე.  
— ნუ მიწყენ, შვილო, და ნურცა გიკვირს!...  
შენვე სთქვი, სხვა ვინ მოხედავს ქვეყნით

ერთს დავიწყებულს და განდევილს მწირს  
 — განა ქვეყნადა შენ არაინ გყავს,  
 ან ძმა, ანუ და, ან ნათე'აივი?  
 — მყვანდნენ... და ყველას—გამოვეთხოვე,  
 აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი.  
 —მას აქეთ ბევრი წელიწადია?  
 —არ ვიცი — როგორ? -- არ ვთვლი წელთა სვლას,  
 მოვშორდი, შეილო, წუთის-სოფელსა  
 და რალს ვაქნევ იმის ჟამთა-ცვლას!  
 — მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?  
 — ევეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა...  
 — როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა  
 ამ ყინულეებში ყოფნა კაცისა?..

მოტანილ დიალოგში მშვენივრადაა ჩაქსოვილი პოეტური ლექ-  
 სიკის მრავალი ელემენტი: შეკითხვა, მიმართვა, გაკვირვება, მტკი-  
 ცება, უარყოფა, მეტაფორა, ეპითეტი და სხვა. მეტყველების ასე  
 მკვიდროდ, დიდი უშუალობით შეკრული კომპლექსი, უდავოდ, მძლავ-  
 ვრიცაა და ემოციურიც, რაც მკითხველშიც სათანადო მაღალესთე-  
 ტიკურ შთაბეჭდილებასა და განცდას იწვევს.

\* \* \*

„განდევლის“ პოეტური ლექსიკის საშუალებათა შესახებ წა-  
 ნამდებარე მოკლე, არასრული გამოკვლევაც, ჩვენი აზრით, მკი-  
 თხველს არწმუნებს, თუ რამდენად ძლიერია ილია, როგორც მხატვ-  
 რული სიტყვის დიდოსტატი, თუ რამდენად მიზანშეწონილადაა შერ-  
 ჩეული პოეტური ლექსიკის ყველა საშუალება მოქმედ პირთა და ნა-  
 წარმოების იდეის უშუალო, ბუნებრივი გახსნისათვის — ერთი  
 მხრივ, — განდევლობის უარსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, რე-  
 ალური სინამდვილისადმი (მწყემსი ქალისადმი) — მისი შინაარსის,  
 სილამაზისა და ძალისადმი აუცილებელი ლტოლვის განსამტკიცებ-  
 ლად.

ილ. ჭავჭავაძის პოეტური ლექსიკის მიმზიდველობა და მომ-  
 ხიბვლელობა იმაშია, რომ მისი პოეტური საშუალებები ყოველ-  
 თვის მკვეთრია, შთაბეჭდავი, დიდი ემოციური ძალის შემცველი;  
 ანასთან, მისი ყოველი საშუალება იშვიათადაა მოცემული დამოუ-  
 კიდებლად; იგი მოხდენილადაა შექსოვარი პოეტური მეტყველების  
 რთულ კომპლექსში, ხოლო შესაფერ შემთხვევაში მახვილი, წამყვან-  
 ნი ძალა, ხან ერთ პოეტურ ხერხს ენიჭება, ხან — მეორეს.



## ი. ჭავჭავაძე როგორც სატირიკოსი

როგორც წინა თავებშიც გვქონდა აღნიშნული, ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზროვნების მატიანის უბრწყინვალესი ფურცელია. ილია ჭავჭავაძე ქართულ კრიტიკაში 60-იანი წლების ლიტერატურული აზროვნების ტიპიურ გამომხატველად ითვლება. ეს პერიოდი კი ერთგვარი უღელტეხილია ძველსა და ახალ საქართველოს შორის. ეს ის ხანაა, როდესაც რუსეთის სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოშიც მძლავრად იწყო თავისი გზების გაკვალვა და, ნებით თუ უნებლიეთ, ახალი ცხოვრებისაკენ თან გაიყოლია ქართველი ხალხი ახალი, უჩვეულო გზით.

ილია ჭავჭავაძე, როგორც იმ დროს ქართველი საზოგადოების ხალი ნაწილის განწყობილების გამომხატველი, რუსეთის 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოების აზროვნებით ამოძრავებულ, საქართველოში დაბრუნებისას, უმოძრაო ჭაობად ქცეულ ცხოვრებას რომ ნახავს, მტკივნეულად განიცდის ძველი, ფეოდალური ყოფის ჩამორჩენილობას. მას კარგად ესმის, რომ არსებული ცხოვრება ან უნდა გარდაიქმნას, გაჯანსაღდეს, ახალ, კარზე მომდგარ ცხოვრებას შეეგუოს, ცხოვრების ახალი გზა გამოიხატოს, ანდა უნდა მოისპოს, ჩაბარდეს ისტორიას, როგორც ლუარსაბ თათქარიძე და სხვები.

ილია ჭავჭავაძეს ასეთი განწყობილებით მოუხდა მოღვაწეობის დაწყება ქართველი ხალხისათვის მეტად მძიმე სოციალურ-ეკონომიურსა და რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობის უხეში კოლონიალური პოლიტიკის დაწოლის ხანაში.

ცნობილია, რომ სოციალურა ძვრების ხანაში, სოციალურ-ეკონომიური კრიზისების ეპოქაში, როცა ამ კრიზისთან ერთად მკვლავდება კლასობრივი იდეოლოგიის რყევა და მსხვრევა, ეკონომიური საფუძვლების ცვლის ნიადაგზე იცვლება ზედნაშენიც.

მწერლობაც როგორც ერთ-ერთი სახე ზედნაშენისა, ამ პერიოდში იცვლის თავის სახეს, მოტივებს, ჟანრებს, ლექსიკას, რიტმს და ა. შ. ასეთი კრიზისების ეპოქაში ჩვეულებრივ, საფუძველი და გასაქანები ძველი სატირული ჟანრის განვითარებას.

სატირა ირონიისა და იუმორის სახით შეიძლება გაჩნდეს როგორც შიგნიდან, თვით დეგრადაციის გზაზე დამდგარი კლასის წიაღში, აგრეთვე მოსალოდნელია მან თავი იჩინოს მოწინააღმდეგე კლასშიც. პირველ ყოვლისა, სატირა (იუმორი, ირონია) მიზნად ისახავს ამა თუ იმ კლასის გაჯანსაღებას, გამოსწორებას, გამოფხიზლებას, რომ მან სინამდვილის მოვლენები უფრო ნათლად დაინახოს, უფრო ფხიზელი გონებით განჭვრიტოს და სათანადოდ შეაფასოს ისინი. ამ შემთხვევაში სატირას იწვევს ძველთან, უვარგისთან შეუგუებლობის აუცილებლობა და მის გაკილვას თვითკრიტიკის მიზანი აქვს.

მეორე შემთხვევაში სატირა ირონიითა და იუმორით ლამობს მოწინააღმდეგე კლასის დისკრედიტაცია მოახდინოს, გამოამყვანოს მისი უნიადაგობა, გამოუსადეგრობა და შეუფერებლობა ახალ პირობებთან.

ამგვარი მიზნებისათვის სიცილი (დაცინვა) საზოგადოების (ადამიანის, მოვლენის) ნაკლთა მხილებისა და გაწმენდისათვის უეზარი საშუალებათაგანია.

რუსეთის დიდი მწერალი ნ. ვ. გოგოლი, რომლის შემოქმედებისათვის იუმორი ძირითადი დამახასიათებელი სტილური ნიშანი იყო, დიდ მნიშვნელობას აძლევდა სიცილს (დაცინვას).

გოგოლი თავის «Театральный разъезд после представления новой комедии» ავტორის პირით ასე ახასიათებს სიცილის (დაცინვის) სოციალურ მნიშვნელობას: «Смех значительнее и глубже, чем думают, — не тот смех, который продолжается временной раздражительностью, желчным болезненным расположением характера; не тот также легкий смех, служащий для праздного развлечения и забавы людей; — но тот смех, который весь излетает из светлой природы человека, — излетает из нее потому, что на дне ее заключается вечнобьющий родник его, который углубляет предмет, заставляет выступить ярко то, что проскользнуло бы... что не возросло бы перед ним (читателем, — მ. ზ.) в такой странной, почти карикатурной силе, и он не вскрикнул бы содрогаясь: «неужели есть такие люди?» тогда как, по собственному сознанию его, бывают хуже люди... Несправедливы те, которые говорят, что смех не действует на тех, против

которых устремлен, и что плут первый посмеется над плутом, выведенным на сцену; плут потомок посмеется, но плут современник не в силах посмеяться. Он слышит, что у всех остался неотразимый образ, что одного низкого движения с его стороны достаточно, чтобы этот образ пошел ему в вечное прозвище; а насмешек боится даже тот, который уже ничего не боится на свете. Нет, засмеяться добрым светлым смехом может только одна глубокодобрая душа... В глубине холодного смеха могут отыскаться горячие искры вечной могучей любви»... (Гоголь, т. IV, стр. 226—228).

მართლაც, გოგოლის ამ დახასიათებაში იგრძნობა გენიალური გაგება და შეფასება სიცილის (სატირის) დიდი სოციალური მნიშვნელობისა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი სტილური ნიშანი, რომელიც მის მოღვაწეობას თავიდან ბოლომდე მკაფიოდ გასდევს, არის სატირა, რომელშიც წმინდა სატირულ ელემენტთა, მოურიდებელ აღმაშფოთებელ დაცინვასთან ერთად ნიჭიერადაა ჩაქსოვილი იუმორი და ირონია. ილია ჭავჭავაძეც დაცინვას, გაკილვას (სატირას) უყურებს, როგორც საზოგადოების მორალურად და გონებრივად განწმენდისა და ამაღლების საშუალებას.

ილია ჭავჭავაძე თავისი დაცინვის თვისებათა დახასიათებას იძლევა ლექსში „ჩემო კალამო“: სადაც პოეტი, მოქალაქეობრივი შეგნებით უპასუხებს რა მისი მართალი სიტყვით აყაყანებულ ქართველ საზოგადოებას, მიმართავს თავის კალამს:

ჩვენ წმინდა სიტყვა უშეშრად მოვფინოთ ხალხში  
ბოროტთ საკლავად. — მათ სულთხდომის სეირს ვუყუროთ.

აქ მოკლედ, მაგრამ სხარტად და დამაჯერებლადაა მოცემული ილია ჭავჭავაძის შეხედულება საზოგადოების ნაკლთა უშიშრად მხილების შესახებ, რასაც მწერალი მტკიცედ ახორციელებდა როგორც პუბლიცისტური მოღვაწეობით (განსაკუთრებით პოლემიკაში), ისე მხატვრული შემოქმედებით — სატირით<sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას დასაწყისშივე ახასიათებს სიცილი, გამოწვეული ძველი შეხედულებებისა და გემოვნების ახალთან შეუფერებლობით („ორიოდე სიტყვა თ. რევავ ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმნაზედ“, „პასუხი“ და სხვა). მწერალი თავის საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზედ“

<sup>1</sup> წინამდებარე შრომაში ჩვენ ვიხილავთ ილია ჭავჭავაძეს, როგორც სატირიკოსს მხოლოდ მხატვრული შემოქმედების მიხედვით.

ასე გამოხატავს ხელოვნების დანიშნულებას: „ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავს კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიციუდევ და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვას“, ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემ საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენ გამო „ოხვრის კვამლი“ თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენსო. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის“<sup>2</sup>.

ილია ჭავჭავაძის ეს იუმორული სიცილი სინამდვილის სატირულ აღბეჭდვაში გადადის. მწერალი თანდათან უფრო მეტი ძალითა და სიმახვილით ხატავს ადამიანისა და ცხოვრების შეუფერებლობას, სადაც რელიეფურად გამოქანდაკებულია ადამიანის სიმახინჯე, რომელიც შეუტავებელ სიცილს იწვევს მკითხველში („კაცია-ადამიანი?“, „სცენები“ და სხვ.).

ილია ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილში გაბედულად მიმართავს მისი კრიტიკით უკმაყოფილო საზოგადოებას: „როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობლად გამოჰფენს ჩვენი ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ, საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ საღმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე“<sup>3</sup>.

ცხადია, ილია ჭავჭავაძისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ჭუჭყის სააშკარაოზე გამოტანას უდიდესი იდეური მნიშვნელობა ჰქონდა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის სატირა ორგანული თავისებურებაა, რომელიც არც მწერლის შემოქმედებასა და არც თვით ავტორს არც და ვერც გამოეყოფა. ილია ჭავჭავაძის სატირა მძლავრია, გადამდები. ის მკითხველს არასოდეს არ ტოვებს განურჩეველ მდგომარეობაში. მკითხველი მოცემულ აღწერას თუ გადმოცემას

2 ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 80, 1927.

3 იქვე, 81, 1927.

არასოდეს არ მისდევს შეწყნარებულ ღიმილით. ილია ჭავჭავაძის სატირის თავისებურება იმაშია. რომ მისი სიცილი არ არის გოგო-ლისებური „ცრემლიანი სიცილი“ («смех сквозь слезы»); მისი სიცილში ისმის შეუჩინებელი მხილება, „სიძულვილი“. მისი გმირები არა მარტო სასაცილონი არიან და სიცილს ჰგვრიან მკითხველს, არამედ, ამასთან ერთად, ისინი მკითხველში აღშფოთებას იწვევენ და გაკიცხვას იმსახურებენ.

ილია ჭავჭავაძის სატირა თავისი სიმახვილით, გაბედულებით მთლიანად იტაცებს მკითხველის ყურადღებას და ბოლომდე ძაბავს მას. მწერალს მკითხველი შეჰყავს ცოცხალ სამყაროში, სადაც ყველაფერი მოღუნებულია, დაძაბუნებულია, სადაც ყველას აზრი და გრძნობა დაჩლუნგებულია („კაცია-ადამიანი?!“, „სცენები“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“, „ბედნიერი ერი“). ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მოცემული სამყარო მკითხველს მტკივნეულად განაცდევინებს ადამიანთა ქცევას, მათი ცხოვრების სიღატაკესა და კომიკურ მდგომარეობას.

ილია ჭავჭავაძის სატირა ნიჭიერად ითავსებს მოვლენის (საგნის, პიროვნების) კომიკური მდგომარეობის დახატვის დამახასიათებელ საშუალებებს — ირონიას, იუმორს, სარკაზმს, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ნიუანსით უნდა გამოხატოს მწერალმა მოვლენისადმი თავისი დამოკიდებულება. ილია ჭავჭავაძე უფრო ხშირად სარკაზმს მიმართავს. სარკაზმი იგივე ირონიაა, მხოლოდ გამძაფრებული; აღელვებული. რომელიც მწერლის სასტიკი, უარყოფითი. შეუფრთხებელ, აღშფოთებულ დამოკიდებულებას გამოხატავს ამა თუ იმ მოვლენისადმი.

ცნობილია, რომ როგორც ირონია, ისე იუმორი და სატირა აშკარა მომჩვენებლურად ხატავს უარყოფით მოვლენას დადებით სახეშიც, რითაც აბსურდამდე დაჰყავს მისი დადებითად შეფასების შესაძლებლობა. ამ საშუალებით ავტორს სურს სასაცილო გახადოს და სრული დისკრედიტაცია მოახდინოს მოვლენისა, მკითხველის ყურადღება უფრო იმ ნაკლზე გაამახვილოს, რომელიც ირონიულად, სატირულად, იუმორულად ისეა განსახიერებული, თითქოს დადებითი იყოს. როგორც ირონიაში, ისე იუმორსა და სატირაში ძირითადია ავტორის აშკარად მოჩვენებითი (притворные) დამცინავი ტონი, რომელიც მკითხველს, თითქოს აგრძნობინებს, რომ ავტორის მონაცემების სერიოზულად მიღება არ შეიძლება. ამის მშვენიერი ნიმუშია ილია ჭავჭავაძის სატირა „ბედნიერი ერი“:

„ჩვენისთანა ბედნიერი  
 განა არის საღზე ერი?!”  
 მძიმე კალნით,  
 ლამაზ ფალნით  
 მორთული და მშვენიერი:  
 უწყინარი,  
 უჩინარი,  
 ქედრეკილი, მადლიერი;  
 უშფოთველი,  
 ქვემძრომელი,  
 რიგიანი, წესიერი;  
 ყოვლად მთმენი,  
 ვით ჯორ-ცხენი,  
 ნახედნი და ღონიერი“.

ილიას სიცილში ყოველთვის სერიოზულობის დასაბამია. მასში გარკვეულად მოჩანს კრიტიკული შეფასებებს სურვილი იმის მიმართ, რაზეც ჩვენ ვიცინით. სიცილში ყოველთვის ვამყარებთ კრიტიკულ დამოკიდებულებას იმისადმი, რაზეც ვიცინით, ვინაიდან ვგრძნობთ მოვლენის ნაკლს, შეუსაბამობას, თუნდაც მცირედს (ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იცინის, როგორ და აგრეთვე იმაზე, თუ როგორია მკითხველი).

სიცილის საფუძველია კომიკური მდგომარეობა. კომიზმი გულისხმობს საგნის (მოვლენის, პიროვნების, მოქმედების) შეუფერებლობას იმ დანიშნულებისადმი, რომელსაც თვით საგანი ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში სიცილი ააშკარავებს საგნის (პიროვნების) მიერ ასეთი როლის მითვისების უსაფუძვლობას. ამას, რა თქმა უნდა, მწერალი დისკრედიტაციის მიზნით აკეთებს.

ამგვარ საფუძველზე იშლება ილია ჭავჭავაძის სატირული ნიჭი. მაგალითისათვის ავიღოთ „მგზავრის წერილებიდან“ რუსი ოფიცრის ხასიათის გახსნა. ოფიცრის სახე მთლიანად განვითარებულია მოხდენილ კომიკურ საფუძველზე, რითაც ავტორი მშვენიერად გვაჩვენებს ოფიცრის, როგორც თანამდებობის პირის („კულტურტრეგერის“), ისე თავის თავზე მისი წარმოდგენის სინამდვილესთან შეუფერებლობას.

რუსეთიდან დაბრუნებისას, როცა ავტორი სტეფანწმინდის საღურში ისვენებდა, მასთან მოულოდნელად შევიდა რუსი ოფიცერი, რომლის „სახის მეტყველება, — მწერლის თქმით, — ამჟღავნებდა, რომ ღვინოს და არაყს ძალიან დაახლოებით იცნობდა. თვალად ერთი ოცდაათის წლისას ჰგვანდა. ზედ ეტყობოდა, რომ მგზავრი არ

იყო“. გაეცნო ის ავტორს. უცნობი კაცი ოფიცერი N აღმოჩნდა, რომელსაც ლარსში როტა ებარა. როდესაც ოფიცერი გაიგებს, რომ მგზავრი (ავტორი) პეტერბურგიდან მოდის, ასეთ საუბარს გაუბამს:

„— ფრიად სასიამოვნოა. ამ უდაბურსა და ვერანა ადგილას ერთი ეგ სიამოვნება-ლა მაქვს, რომ შევხვდები ხოლმე მგზავრს განათლებულის ქვეყნიდამ. კაცი, რომელიც გონებითა სცხოვრობს, მოვალეა ღვთისა და ქვეყნის წინაშე შეხვდეს განათლებულს კაცს საბაასოდ, გონების გასაფხიზლებლად. დიდად მოხარული ვარ, ბასი ჭკვის საზრდოა.

მითხრა ესა და კიდევ გამომიწოდა ხელი, მეც ხელმეორედ ხელი ჩამოვართვი.

— თქვენ ვინა ბრძანდებით? — მკითხა მან.

— მე გახლავართ ერთი სომხის სოვედაგრის დახლიდარი.

— დახლიდარიო!... — თქვა და ტუჩები აიპრუწა..

ჩემმა ახალმა ნაცნობმა რომ ეს გაიგონა, მყისვე დიდკაცური სანახაობა მიიღო: მხრები მოიმარჯვა, ის პირველად მორიდებული ლაპარაკი სხვა ჰანგზედ შეცვალა.

— საიდამ მოდინ-ა-ართ?! — მკითხა გაკვირვებით და დაცი-ნებითაცა.

— პეტერბურგიდამ.

— ჰმ, — ჩაიცინა აფიცერმა, — პეტერბურგიდამ, კარგია გღირსეზიათ პეტერბურგის ნახვა. პეტერბურგი!.. ო, ო, დიდი ქალაქია. პეტერბურგი!.. ვრცელი ქალაქია, არა ჰგავს თქვენ წითიან ქალაქსა. აბა რა ქალაქია თქვენი ქალაქი? ერთი თავიდაც რომ გადააფურთხო, ფურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა. პეტერბურგი კი... ხომ გინახავთ პეტერბურგი? რუსეთის გულია. მართალია, აქამდისინ მთელი რუსეთი. ჰფიქრობდა, რომ მისი გული მოსკოვია, მაგრამ მთელს რუსეთს მე განვუფანტე ეგ ცრუ და უგუნური აზრი: მე მწერალი გახლავართ. გთხოვთ, რომ მიცნობდეთ. ეგრე კი ნუ მიყურებთ. მე დავამტკიცე, რომ პეტერბურგია მთელის რუსეთის გული. იზღერის ბალი ხომ გინახავთ?... არა, იზღერის ბალი გინახავთ, თუ არა?

— პეტერბურგის გულობა რით დაამტკიცეთ? — ვკითხე მე და არ მივეცი პასუხი მის უკანასკნელს კითხვაზედ.

— არა, ჯერ მე მითხარით: იზღერის ბალი გინახავთ. თუ არა? თქვენ, აქაურები, სამეცნიერო ლაპარაკს ჩვეულნი არა ხართ, ამიტომაც ერთის საგნიდამ მეორეზედ გადახტებით ხოლმე. თქვენ ზედ-მოყოლებითი, რიგიანი სჯა არ იცით. ეგ, რასაკვირველია, გაუნათ-

ლებლობისაგან მოგდით. მგონი, თქვენ არც კი იცით. — რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია, არლუმენტაცია, ინტელიგენცია, კასაცია და ფილოლოღია. მაგრამ ეგ არაფერი, წარმავალია, თქვენც გაიწუ-რთნებით. მაღლობა ღპერთს, აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი როდის რუსეთიდან თქვენს გასანათლებლად. არა, ჯერ მითხარით, იზღერის ბალი გინახავთ თუ არა? თუ ეგ არ გინახავთ, პეტერბურ-გიც არ გინახავთ“<sup>4</sup>.

ოფიცრის კომიკური მდგომარეობა მრავალმხრივ ნიჭიერადაა ნაჩვენები. ერთია ოფიცრის სურვილი — როგორ ეჩვენოს მგზავრს, მეორეა სინამდვილე — მისი ქცევა და მსჯელობა, სრულიად საწი-ნააღმდეგო. ოფიცერი, რომელიც იგზავნებოდა ქვეყნის გასანათ-ლებლად, მისი კულტურის ასამაღლებლად, რომელსაც როტას აბა-რებდნენ — დიდი კაცი უნდა ყოფილიყო, უპირველეს ყოვლისა, თვითონ უნდა ყოფილიყო ნასწავლი და განათლებული, რომ სხვის-თვის ესწავლებინა რამე, მაგრამ სინამდვილეში ის გონებრივადაც და ზნეობრივადაც უბადრუკია და, რამდენადაც თვითონ ვერა გრძნობს თავის ამ უბადრუკობას, იმდენად მისი მდგომარეობა უფ-რო სასაცილოა, კომიკური.

ილია ჭავჭავაძე ოფიცრის სახის მოცემით გვაგებინებს თავის საერთო შეხედულებას იმდროინდელი ბიუროკრატიული რუსეთის მოხელეებზე, რომელთაც ევალებოდათ „ველურ ოკრაინაში“ კულ-ტურის შეტანა და სინამდვილეში კი უვიცობის, უგნურობის, ზნე-ობრივად გაწრიოკების უდავო მატარებელნი იყვნენ და ვნების მო-ტანა უფრო შეეძლოთ, ვიდრე სარგებლობისა.

ილია ჭავჭავაძის სატირული გაქანება ფართოა, შესრულებითაც მძლავრი, ღრმა მხატვრული შთაბეჭდილების მომხ-დენია.

ამიტომაც, რომ ილიას „მგზავრის წერილებიდან“ ლოთი, გამო-ჩერჩეტებული ოფიცრის გარყვნილი, დაძაბუნებული სახე ასე მკვეთრად გამოიყურება და მკითხველის მეხსიერებაშიაც მძლავრად იბეჭდება, როგორც უარყოფითი, სამარცხვინო მოვლენა.

კომიკური შთაბეჭდილება არ არის მარტივი სულიერი განწყო-ბილება. ის საკმარისად რთული ფსიქიკური პროცესია, რომელიც ორი, მჭიდროდ დაკავშირებული, ერთი მეორიდან გამომ-დინარე მომენტისაგან შედგება. სახელდობრ: ა) მოლოდინი საგნის (მოვლენის, პიროვნების, მოქმედების) დადებითი თუ უარყოფითი თვისებისა და ბ) შეგნება იმისა, რომ ეს მოლოდინი გაცრუ-

<sup>4</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 10—11, 1926 წ.



ე ბ უ ლ ი ა. ორივე ეს მომენტი საკმაოდ გამახვილებულად უნდა იქნას აღბეჭდილი. ამ მოლოდინი პროცესის პირველი მომენტი — მოლოდინი მკითხველში ბუნებრივად უნდა მზადდებოდეს, რომ გაცრუებამ მძლავრი შთაბეჭდილება გამოიწვიოს. მაგალითად, ამა თუ იმ პიროვნებას სურს გამოაჩინოს თავისი წარჩინება, მაგრამ სინამდვილეში თავის გონებრივ სიჩლუნგეს ამჟღავნებს. ეს შეუსაბამობა იწვევს სიცილს.

კომიზმის განვითარების ამ ხერხს ილია ჭავჭავაძე საესეებით დაუფლებულია. ნიძუშისათვის ავიდოთ „მგზავრის წერილებიდან“ ოფიცრის სახე და მისი კონკრეტული მსჯელობა განათლება-ცივილიზაციის შესახებ, ან მისი მეცნიერული მუშაობისა და აღმოჩენის შესახებ: „შვიდ წელიწადში ორი გენერალი? — გაკვირვებით წამოიძახებს ოფიცერი, — დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის!.. თუ ღვთის წყალობით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოცდაათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ დასულ ორმოცი შეიქმნება. დიდი საქმეა, მე ეგ არ ვიცოდი. ან საილამ უნდა შემეტყუო? სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ ქვეყანაში ვარ. სწორედ მოგახსენოთ არც მოცლა შქონდა, რომ თქვენის ქვეყნისათვის მეცნიერი თვალი დამეკვირვებინა. მე ერთს დიდ საოსტატო საგანს გამოვეკიდე, მრავალი ვიძიე, ისტორიები წავიკითხე და ჩემი დრო სულ ამ სამეცნიერო საქმეზედ გადავაგე. მაგრამ ცუდად არ წახდა ჩემი ღვაწლი, შთამომავლობა მოიგონებს ჩემს სახელსაცა“.

ასეთი განცხადების შემდეგ, რასაც ავტორი იუმორისტული ტონით ავითარებს, მკითხველის ყურადღება უსათუოდ იძაბება, ის მოელის რაღაც სენსაციურს და მგზავრის ცნობისმოყვარეობით აღსავსე კითხვებზე, თუ რა გამოიკვლია მან, მკითხველი აი რა პასუხს იღებს:

„აი, ბატონო, — განაგრძობს თავმოწონებით ოფიცერი, — რუსეთში მებატონეებს ყმები ჩამოართვეს. მებატონეს ბიჭი აღარ შერჩა, მოჯამაგირის ანაბარას დარჩა. შეწუხდა ქვეყანა, მოჯამაგირეებმა დაუწყეს ყველაფერს სახლში პარვა. მე, როგორც გულმტკივნეული შვილი, ჩავუფიქრდი ამ ჩემის ქვეყნის მწუხარებას, ვთქვი: ქვეყანას შევლა უნდა-მეთქი. მადლობა ღმერთს, ვუშველე კიდევ. ასეთი რამ მოვიგონე, რომ მოჯამაგირეს სახლში პარვა აღარ შეუძლიან“<sup>5</sup>.

მკითხველის მოლოდინი უფრო და უფრო იძაბება. ავტორი იუმორიდან შეუშინებლად ირონიანზე გადადის. ასე-

<sup>5</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 15, 1926.

თი შემზადების შემდეგ მწკრალი ეხება თავისი მიზანდასახულობის მეორე მომენტს, რომ ამით მოლოდინი თანდათან გააცრუოს და ოფიცერი საბოლოოდ გაამასხაროს. იგი განაგრძობს:

„ერთმა უბრალო შემთხვევამ კი მაპოვნინა წამალი. ჩემი დენშჩიკი ფრიად დიდი ქურდი იყო, საშაქრეში შაქარს აღარ უშვებდა, ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ვუშველო ამ საქმეს-მეთქი. დავიწყე ყუთის დაკეტა, მაგრამ ხან დაკეტა დამავიწყდებოდა ხოლმე, ხან გასაღები სტოლზედ დამრჩებოდა ხოლმე, და როცა სახლიდამ გავიდოდი, დენშჩიკი შაქარს მპარავდა. ბოლოს ავიღე, ორი ბუზი დავიჭირე და ჩავსვი საშაქრეში. თავი დავხურე და არ დავკეტე კი. ახლა მკითხავ — რისთვისაო? იმისთვისა, რომ თუ დენშჩიკი კიდევ შაქრის მოპარვას დააპირებდა, ხომ ყუთი უნდა გაეღო. რაკი ყუთს თავს ახდიდა, ბუზები მაშინვე ამოფრინდებოდნენ... აშკარა იქნებოდა, რომ ყუთის თავი აუხდია ვისმე. ვინ ახდიდა, თუ არა ჩემი დენშჩიკი. რაკი ეს გამოვიგონე, მე დენშჩიკი შაქარს ველარ მპარავს... იაფი და ქურდობის უებარი წამალია... ეს ჩემი ოსტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება, რომ ბუზების სყიდვა დაიწყონ... ეხლა კი ბუზები... რის გამოსაღვენი არიან? არაფრისა. აი მეცნიერის და ჰკვიანი კაცის ნამოქმედებსა და ნაღვაწლს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის“<sup>6</sup>.

კომიზმის ამ მოთხოვნილებაზეა აგებული ილია ჭავჭავაძის ცნობილი სატირა „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდიო?“, სადაც პაპისა და შვილიშვილის კითხვა-პასუხი სწორედ მოლოდინსა და გაცრუებაზეა აგებული.

კომიკური შთაბეჭდილების ძალა დამოკიდებულია კომიკური მომზადებისაგან, ე. ი. იმისაგან, თუ რამდენად ველით იმის საწინააღმდეგოს, რასაც შემდეგში ვიღებთ.

კომიზმის ეს მოთხოვნილება რომ დაცული იქნეს, ავტორი (სატირიკოსი) ხშირად მომჩვენებლურად იცავს იმას, რაც შემდეგში უნდა გაამასხარაოს, რასაც საბოლოოდ უნდა გამოაცალოს საფუძველი. ნიმუშისათვის შეიძლება ავიღოთ „კაცია აღამიანიდან?!“ ცნობა ლუარსაბის შესახებ: „ქართველები იტყვიან: ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებულო, ის ბედნიერიაო... ლუარსაბის ტანისა კი რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ, ღორის ჭაგარსავით მოდებულო ჰქონდა, ასე რომ მრავალ საექვო სულიერებს შეეძლოთ შიშინანობის დროს აქ თავი შეეფარათ, მაგრამ... მაგრამ რა? განა ლუარსაბი ბედნიერი

6 ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 16—17, 1926.

არ იყო? იმდენი დღეგრძელობა ამის დამწერს ჰქონდეს, რამდენი იმის ტოლი თავადიშვილი იმის ყოფა-ცხოვრებას შეჰნატროდა. მართო იმის ტანის ბალანი სამყოფი იყო, რომ უბედურ კაცში შური აენტო, რომ სხვა არა იყოს-რა. თორემ რა უჭირდა ლუარსაბსა? ფერი აკლდა, თუ ხორცი? რა, სხვა უხეირო კაცსავით ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფრთხობდა, მადას წაართმევდა? ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სწა-ჭამა და ძილი ხომ რაღა. მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედს და უბედობას ბალნით არჩევს, და რომლისთვისაც ბედს თუ ხვედრს დაუნიშნავს, რომ თავისი დღენი ქუდიით უნდა ბუზს ერეკებოდეს“<sup>7</sup>.

ცხადია, ასეთი გამასხარავებული ტონით ბავშვებისთვისაც აშკარა ხდება ამგვარი შეხედულების თუ რწმენის არამართო უსაფუძვლობა, არამედ უგუნურება, უაზრობა.

სატირიკოსი მწერლები, კერძოდ, ილია ჭავჭავაძე, მოლოდინის საწინააღმდეგო შთაბეჭდილების მიღების მიზნით, ხშირად მიმართავენ ხოლმე კომიკურ შეწყვეტას, — როდესაც უცბად, მოულოდნელად თავს იჩენს საწინააღმდეგო მოვლენა. რატომ უნდა, ეს მოვლენა არ არის სრულიად მოულოდნელი, მასაც აქვს თავისი მოსამზადებელი ხაზები. მაგრამ აქ ხდება ერთგვარი ნახტომი, რაც მკითხველზე უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

ამ ხერხის გამოყენება ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელია. მაგალითად, გავიხსენოთ „კაცია-ადამიანიდან“ სუტ-ქენინა, მოსკე გძელაძესთან დარეჯანის საქმის მოგვარების მომენტში, ლუარსაბი და დარეჯანი მკითხავთან, ლუარსაბი, დარეჯანი და ელისაბედი ბაღში საუბრის დროს. ამ ხერხს მიმართავს მწერალი აგრეთვე „ს ც ე ნ ე ბ შ ი ც“.

გლეხი ქვრივის მაზლს „პოსრედნიკთან“ უჩივის, რომ სანადელო მამულს მას აღარ ანებებს. მეტად დამახასიათებელი კომიკური სტილის ნიშნებში იმართება საუბარი პოსრედნიკსა, ქვრივის მაზლსა და ქვრივს შორის.

პოსრედნიკი: მცირე მამულიანი მეზობლანე ხომ არა ბრძანდებით? — სულ რამდენი დღის მიწა გექნებათ?

ქვრივის მაზლი: (ასე გგონია, ეწყინაო). მცირე მამულიანი რად ვიქნები? (ტრაბახობით) მე, სულ ცოტა რომ ვსთქვა, ერთი ოთხას-ხუთასიოდ დღისა მეტი მაინც მექნება.

ქვრივი: (პოსრედნიკს) წიგნში ჩაწერეთ, შენი ჭირიმე. ჩემის ობლების ნუგეშო, რომ ნახევარი ჩემი ობლებისა არის.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი: ეხლა ჩემო რძალო, რა არი, მაშინვე პირში მივარდები ხოლმე კაცსა, (ჩუმად) — ვატყუებ.

ქ ვ რ ი ვ ი: (ჩუმად) მეტყოდი, შე დალოცვილო, ხმას ამოვიღებდი? (ხმა-მაღლა) დიახ, მარტო მაგის წილად ხუთასისა რომ არ იყოს არც კი ბევრით ნაკლები იქნება, მაგრამ მაინც-და-მაინც კი ერთი მაგოდენა ჩემს ობლებს უნდა ერგოს. წიგნში ჩაწერე შენი ჭირიმე, რომ მთავრობამ იცოდეს.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი: მე იმისთვისა გკითხეთ, რომ, თუ ვინიცობაა სამოცს დღეზე მეტი არ გექნებოდათ, მაშინ ნება გქონდათ ამ ორის წლის შემდეგ თქვენის ნაყმევებისათვის ჩამოგერთოთ მიწები სრულიად და ეხლა კი ჩამორთმევა მაინც-და-მაინც არ შეიძლება.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი: (წყრომით) რა არის ჩემო რძალო, პირში მომვარდები ხოლმე და ადამიანს სიტყვას არ მოაფიქრებინებ. აბა, სადა გვაქვს ოთხას-ხუთასი დღისა, რომ მოჰყვები ხოლმე.

ქ ვ რ ი ვ ი: მერე ვინ ამბობს, რომ გვაქვსო? არც ხუთასისა იქნება და არც ოც-და-ათისა, ორივეს წილს მოგახსენებო. ხუ... თა... სე... კი არა! ნეტავი იყოს, და დაე ამ დასამიწებასაც ჰრგებოდათ<sup>8</sup>.

ამ სცენაში არა მარტო მთლიანად გაშლილია კომიკური შეწყვეტის საფუძველი, არამედ შეგნითაც თითქოს კომიკური შეწყვეტის ელემენტებითაა შევსებული. ამ ნაწყვეტში ი რ ო ნ ი ა, ი უ მ ო რ ი ე რ თ მ ა ნ ე თ ს შ ე უ მ ჩ ნ ე ვ ლ ა დ და ნ ი ჭ ი ე რ ა დ ც ვ ლ ი ს, რაც ასე აძლიერებს კომიკურ შთაბეჭდილებას.

რამდენადაც მწერლის შემოქმედებითი დიაბაზონი ღრმა და ფართოა, იმდენად ერთ კომიკურ მდგომარეობაში (როგორც ამ შემთხვევაში) შეერთებულია რამდენიმე კომიკური მოტივი. სწორედ ასეთი ხასიათისა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში კომიკური სიტუაციის გაშლა („მგზავრის წერილებიდან“ — ოფიცრის ხასიათის ჩვენება, „კაცია ადამიანიდან“ — ლუარსაბის საყვედური, რომ მას შვილი არა ჰყავს, მისი საუბარი დარეჯანსა და ელისაბედთან, შემდეგ მოურავთან და სხვ.).

სიცილი თავისი ბუნებით თითქოს განწმენდის საშუალებაა, რომელიც არ ეგუება სიმრუდეს, სიცრუეს, არაბუნებრიობას, ყველა იმას, რამაც გარეგნობით უნდა დაფაროს შინაგანი უსუსურობა, უსაფუძვლობა. სიცილი, მართლაც, „სინდისიერი მოუსყიდველი მაყურებელი და მოსამართლეა“ ადამიანის საქციელისა. სიცილი აკეთილშობილებს ადამიანის შეგნებას. ის ფხიზლად დგას ადამიან-

<sup>8</sup> ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. II, გვ. 280—281, 1926.

ნის ღირსებისა და თავისუფლების საფუძვალზე და, როგორც მგრძნობიარე აპარატი, უმაღლეს აცნობებს ადამიანს, როდისაა საშიში, რომ არ შეიბღალოს მისი ღირსება და თავისუფლება. ამაშია სიცილის დიდი სოციალური დანიშნულება და ღირსება.

ასეთი ხასიათისაა ილია ჭავჭავაძის სიცილიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ხანდახან, როცა სრული საფუძველია სიცილისათვის, მკითხველში მაინც არ იცინის. ეს ხდება მაშინ, როდესაც მკითხველში სიცილის განწყობილებასთან ერთად ჩნდება ახალი განცდა, რომელიც თავისი ძალით ჩრდილავს სიცილს, მეტ გავლენასა და უფლებას ღებულობს მკითხველზე, ვიდრე სიცილი. ამიტომ მკითხველის ეს გრძნობა თუ თანაგრძნობა ასუსტებს კომიზმს, ასუსტებს კომიკურ განწყობილებას.

ილია ჭავჭავაძის სიცილსაც, უდავოდ, ახასიათებს ასეთი ნიშანი. მაგალითისათვის ავიღოთ ლამაზისეულის აღწერა, ან კიდეც სურათი „ოთარაანთ ქვრივიდან“; მკვდარ შვილთან დატოვებულ ოთარაანთ ქვრივი რომ გაიგონებს სოსია მეწისქვილის ქვითინს, გააგდებს მას ოთახიდან — „წადი, შენ აქ აღგილი არა გაქვსო“... რის პასუხადაც თანაგრძნობით დაძლეული სოსია, მას ეტყვის: „შენი ნებაა, წავალ და კარებს უკან ძალსავით მივეგდები, თუ რამ დაგჭირდეს, დამიძახეო“.

ამგვარ შემთხვევაში მკითხველში ჩნდება თანაგრძნობა, რომელიც სასაცილოში პოულობს უდიდეს პატივისცემას. ამიტომაც მკითხველი თავის თავს სიცილს ნებას არ აძლევს. შესაძლებელია, ამგვარ შემთხვევაში აღიძრას სიცილი, მაგრამ ის ბაგეზე მომდგარი შეჩერდება. ეს ხდება მაშინ, როცა სასაცილო, კომიკური მეტად მძიმე საზოგადოებრივი ხასიათის მატარებელია, როცა მწერლის მიერ გაკილული, თუ გაკიცხული მოვლენა, თავისი უარყოფითი შედეგებით, მეტად სავალალოა. ამის ნიშნად მოცემული გვაქვს ილია ჭავჭავაძის „ბედნიერ ერში“.

ამგვარი თანაგრძნობისა თუ აღშფოთების მომენტს მწერალმა, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაუწიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სიცილი დაჰკარგავს ზნეობრივ ტაქტს და გამოაჩენს კომიზმის უხეში გამოყენების უნარს. ეს კი მკითხველს დაუკარგავს მთლიან მხატვრულ შთაბეჭდილებას, აგრძნობინებს თემის განვითარების სიყალბეს.

ამრიგად, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სიცილში — კომიზმში გარკვეულად შეღავნდება როგორც სერიოზული დამოკიდებულება მოვლენისადმი, ისე კრიტი-

კული ძალა, რაც მკითხველზე კარგ გავლენას ახდენს, იწვევს მასში ცხოველ საზოგადოებრივ აზრსა და მისწრაფებას. ამიტომაც, რომ სიცილს ძველთაგანვე მისდევდნენ და იყენებდნენ როგორც ჯამწმენდ, გამაჯანსაღებელ, გამოსასწორებელ საშუალებას.

ასე უყურებდა სიცილს (სატირას) ილია ჭავჭავაძეც. ამავე მიზანდასახულებითაა გაქვნილი მისი სატირები, კომედია, პამფლეტები — „გამოცანები“, „ორხმიანი საახალწლო ოპერეტა“.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძის სატირული სტილი რთულია როგორც მიზანდასახულების, ისე პოეტური შემოქმედების მხრივ. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში სარკაზმი, იუმორი, ირონია ხშირად ერთი-მეორეში ადვილად და შეუქმნევლად გადადის და ისე ექსოვება ერთმანეთს, რომ მათი გამორჩევა შეუძლებელი ხდება. ეს, რასაკვირველია, გამოწვეულია სიცილის აღნიშნულ საშუალებათა შორის მსგავსი თვისებებით, საერთო ფუნქციით.

სატირა, ირონია, იუმორი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იქმნება, კომიკური შთაბეჭდილების საფუძველზე. კომიკური მდგომარეობა კი ჩნდება, როგორც მოვლენის შეუსაბამობის შედეგი. სწორედ შეუსაბამობის შეგნება იწვევს სიცილს.

სიცილის ფუნქციაა ორპლანიანია: არსებული (существующее) და სათანადო (должное). სიცილი გულისხმობს არსებულის შეუსაბამობას და აგრეთვე მასთან იმის დაპირისპირებას, რაც მის მაგივრად უნდა იყოს.

სიცილის ყველა სახისათვის, განსაკუთრებით კი იუმორისა და ირონიისათვის, როგორც ზევეთაც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია აშკარა მომჩვენებლური ტონი, რომელიც მკითხველს თითქოს აფრთხილებს, ავტორის ნალაპარაკევი (სიტყვა) სერიოზულად არ მიიჩნეოს.

ამას გარდა, კომიკური ჟანრის ავტორი დაჯილდოებული უნდა იყოს შემდეგი თვისებებით: 1) კომიკური ნიჭითა და 2) რეალისტი მწატკრის ალლოთი. ამასთან, მასში შეერთებული უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების მაღალი ინტერესების გაგება. ავტორს უნდა ახასიათებდეს იდეურობა და ადამიანისადმი ცხოველი (თბილი) დამოკიდებულება, ამის გარეშე სატირაც, იუმორიც და ირონიაც დაკარგავს თავის სოციალურ დანიშნულებას და ღირებულებას.

მიუხედავად ამ საერთო თვისებებისა, სიცილის გამოხატვის საშუალებათა შორის მაინც არის განმასხვავებელი ნიუანსები.

სატირაში ავტორი ადამიანთა ცხოვრებას მაღალი მომთხოვნელობის თვალსაზრისით უღებდა. სატირიკოსი აკვირდება ცხოვრებას,

ხედავს ცხოვრების მოვლენათა შეუსაბამობას თავის მისწრაფებებთან: რწმუნდება, რომ ამ შეუსაბამობაში ადამიანს ედება ბრალი. ი. ალექსეებულის ადამიანის (საზოგადოების) ქცევით. ამიტომ სურს გამოამზეუროს, გამოამქლავნოს მისი ნაკლი, რათა უარყოფითი მოვლენა ყველასათვის თვალსაჩინო გახდეს. ამის გამო სატირაში განსახიერებულ სახეებს იქით მკითხველი გარკვეულად, გასხივოსნებულად ხედავს ავტორს, მაღალი საზოგადოებრივი იდეებითა და პრინციპებით. ასეთია ილია ჭავჭავაძის სატირები: „კაცია ადამიანი?!“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“, „სცენები“, „ბედნიერი ერი“ და სხვა. ამ სატირებში დაუნდობლადაა გაკილული დარღვეული ფეოდალური კლასის ზნეობრივი და გონებრივი დაცემულობა, რამაც ეს კლასი მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ მას თავისი ინტერესების გაგების უნარიც კი აღარ შერჩა.

ილია ჭავჭავაძე, თუ პირველი არა, ერთი პირველთაგანი მაინც იყო, რომელმაც საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული დარღვევა, ჩამორჩენილობა ახსნა ფეოდალური კლასის მსოფლმხედველობისა და ცხოვრების ყოფის ახალ დროსთან შეუსაბამობით. ილია ჭავჭავაძის ჩვენებით (განსაკუთრებით სატირებში), ძველი ფეოდალური კლასი გარკვეული სოციალური პირობების გამო (განსაკუთრებით ბატონყმობისა) პარაზიტად გადაიქცა, დაცარიელდა, ცხოვრების გზის გაგების უნარი დაკარგა და ახლად დამკვიდრებული პოლიტიკური ძალის ხელში სრულიად გამოიფიტა, დაჭიანდა. ამ ძალით განადგურებული, იგი იქამდე მივიდა, რომ მასვე ეხვეწებოდა „наполеон-ბა“ გვასწავლეთო („რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“). აქ დიდი გესლია გამოხატული ილიას მიერ და ეს გესლი გამოყოფილია ადამიანისადმი, ამ როგორც თვითონ მწერალი იტყოდა, ქართველებისადმი სიყვარულით ანოქმედებული მწერლის გულიდან.

მაღალი საზოგადოებრივი ხასიათი თუ არ ექნა სატირას, მკითხველს შეექმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მწერალი პირადადაა გაჯავრებული ამა თუ იმ პიროვნებისადმი (ან მოვლენისადმი) და ამიტომ იჩენს ასეთი დაუნდობელი გაკილვის სურვილს, ამიტომაა რომ ასე გაბოროტებით, ასე მწარედ იკბინება.

სატირიკოსი საკმაოდ განსხვავდება იუმორისტისაგან. თუ იუმორისტი ცდილობს მოვლენა (თუ პიროვნება) მრავალმხრივ დაგვიხატოს, მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები გვიჩვენოს და წინააღმდეგობა არსებულსა და აუცილებელს შორის შეანელოს (მაგალითად დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“), სატირიკოსი, პირიქით, მკითხველის ყურადღებას აქცევს იმ მხარეს,

რომელსაც ის ჰკილავს. სატირიკოსი ხშირად კმაყოფილდება მით, რომ მოვლენის დახატვაში ახერხებს ფერების გამუქებას და ამით გადაჭარბებით გვიჩვენებს გასაკილი ობიექტის (მოვლენის, თუ პიროვნების) უარყოფით მხარეებს. ასეთია ხშირად ილიას სატირები (მაგალითისათვის მოვიგონოთ „ბედნიერი ერი“, ან თუ გნებავთ, „კაცია-ადამიანი?!“, კერძოდ, თავად ლუარსაბ თათქარიძის სახლკარის აღწერა, ცოლ-ქმრის ბაასი საქმელების ან ბუზების შესახებ).

სატირულ გაკილვაში მეტია სულიერი ცეცხლი, ენერჯია და მთლიანობა. სატირიკოსმა არ იცის სულიერი გაორება, მაგრამ სამაგიეროდ, მას ხანდახან აკლია უნარი მოვლენა ყოველმხრივ მშვიდად დაინახოს და სათანადოდ შეაფასოს. ამიტომ შესაძლებელია ის ჩავარდეს ცალმხრივობაში: სატირიკოსის სერიოზული დამოკიდებულება და სიმკაცრე შეიძლება სისასტიკეში გადავიდეს. იუმორისტს მოვლენის უფრო ფართო და მრავალმხრივი გაგება ახასიათებს. ამასთან დაკავშირებით, ის მეტ ჰუმანურობასა და მოთმინებას იჩენს ადამიანისა და მოვლენისადმი. თავის მხრივ, იუმორისტში კოისაა საშიში, რომ მასში ხშირად იჩენს თავს შეწყენარებისა (СННХ-ХОДИТЕЛЬНЫЙ) და შერიგების მომენტი, რაც მიუღებელია. სატირიკოსისათვის დამახასიათებელია, მკითხველ ფართო მასას აგრძნობინოს თავისი განწყობილება, აგრძნობინოს სატირის სუსხი, იგი მიზნად ისახავს მკითხველს თავისი თავი დაანახვოს და აღუძრას სურვილი გამოსწორებისა.

ილია ჭავჭავაძესაც ამგვარად ესმის სატირის დანიშნულება. ამიტომ „კაცია-ადამიანი?“ დასასრულში ავტორი ასე მიმართავს მკითხველს: „ვიცი რომ, ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუხსწოროს, ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში — როგორც მოყვარე — გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი ვაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა. თუ იმათ დასცინებ, მითამ შენის თავისთვის დაგიცინია, თუ დასტირებ — ეგ კაი ნიშანია; სჩანს, სწუხარ, რომ ამისთანანი ვართ, სჩანს შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა... ამ იმედს ნუ წაგვართმევ, ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა, ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამოდენადაც შეძლება აქვს — შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო“<sup>9</sup>.

ამავე მიზნით, ილია ჭავჭავაძე, როგორც რეალისტი მხატვარ-

<sup>9</sup> ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. 11, გვ. 259—260, 1925.



სატირიკოსი, ცდილობს გვიჩვენოს ტიპური მოვლენა. ამ მოვლენის დახატვისას მისთვის უმოთხრესად დამახასიათებელია მოვლენის უარყოფითი მხარეების გამოაშკარავება და მასთან, ამ მხარეების გადაჭარბებულად, მუქ ფერებში წარმოდგენა. ამ მიმართულებითაა გაშლილი „კაცია-ადამიანის?!“ მოქმედ პირთა გალერეა და აგრეთვე უმრავლესი პერსონაჟები „სცენებიდან“ (ბატონობის უღლით ქედმოტეხილი, გამოფიტული გლახა ჭრიაშვილი, ეკონომიურად და უფლებრივად ნიადაგშერყეული, მგლური თვისებებით აფორიაქებული აზნაურის ქვრივი).

ლუარსაბ თათქარიძე რომ მართლა სატირული ტიპია, ამას მშვენივრად და დამაჯერებლად ამჟღავნებს მოთხრობა „კაცია-ადამიანის?!“ გამოუქვეყნებელი წინასიტყვაობაც. ეს წინასიტყვაობა ავტორმა დაგვიტოვა ოთხ ვარიანტად. მისი გამოუქვეყნებლობის გამო ილია ჭავჭავაძე კირილე ლორთქიფანიძეს შემდეგს სწერს: „წინასიტყვაობისა უნდა მოგახსენო, რომ... როცა ეგ მოთხრობა („კაცია-ადამიანი?!“ — მ. ზ.) გავათავე... გამოჩნდა, რომ რაც წინასიტყვაობაში მინდოდა მეთქვა, სუყოველისფერი შიგ მოთხრობას ჩაერთო ჩემდა უნებლიედ. მგონი ყურადღებით წაკითხვა ამას შენც დაგარწმუნებს“ (კ. ლორთქიფანიძის არქივი).

მართალია, ამ გამოუქვეყნებელი წინასიტყვაობის ვარიანტის მოტივები მოხდენილადაა ჩაქსოვილი მოთხრობაში, მაგრამ ავტორის შემოქმედებითი მეთოდის გავებისათვის და იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ წარმოედგინა მწერალს ლუარსაბ თათქარიძის პიროვნება, ეს წინასიტყვაობა საგულისხმო მასალაა. მოვიტანთ ნაწყვეტს, რომელიც აშკარად დაგვანახვებს, რომ ილია ჭავჭავაძე ლუარსაბ თათქარიძეს უყურებს, როგორც სატირულ ტიპს. ლუარსაბ თათქარიძის სახეს ავტორი ქმნის დარღვეული ფეოდალური კლასისათვის დამახასიათებელი უარყოფითი თვისებებით, რომელშიაც მაშინდელ მკითხველს, რა თქმა უნდა, პრივილეგიური კლასის წარმომადგენელს, საკუთარი თავი უნდა დაენახა.

ილია ჭავჭავაძეს რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი ცხოვრება ეჩვენება „ხავსმოკიდებულ გუბედ“, საიდანაც მეტად „ცუდი ობშივარი ამოდიოდა: კაცს სული შეუგუბდებოდა, გონებას და გულს ობი მოეკიდებოდა, მუხლი წინ წასადგომად მოცემული, დაეხუთებოდა... შიგ მეტად მრავალი ცხოველი მოჩანდა, — ამბობს ილია ჭავჭავაძე, — მათ შორის ორფეხა ცხოველებიც იყვნენ, რომელთაც ჩვენში ადამიანებს ეძახიან. ამ ადამიანებში ნამდვილი კაცებიც მოჩანდნენ, მაგრამ ძალიან ცოტა... ამ წუმპეს ქართველები

სამასხაროდ ცხოვრებას ეძახიან, როგორც იმ ორფეხა ცხოველებს, რომელნიც შიგა ლეებიან, ადამიანებსა“.

ავტორი მიუახლოვდა ამ გუბეს, შიგაც შეცურდა, სუნმა შეაწუხა. გამოსვლა დააპირა, მაგრამ მოინდომა იქიდან რამდენიმე ცხოველის გამოყვანა, რომ „სიარულს ტყუილად არ ჩაეველო“. წაავლო ერთ მათგანს ყურზე ხელი და დიდის ვაი-ვაგლახით ნაპირზე გამოათრია.

მათ შორის იმართება მეტად საგულისხმო დიალოგი:

„—რაღა მე წამავლე, შე უღმერთოვ, ხელი. ააასია ს ხ ვ ა ჩ ე-  
მ ი ს თ ა ნ ა.

—აბა უფრო ჭაგისთვის წაგავლე, რომ შენ ათასსა ჰ გ ე ვ-  
ხ ა რ და ათასი შენა. რ ა ც ბ ე ვ რ ს ე გ ვ ა ნ ე ბ ი,  
უ ფ რ ო კ ა რ გ ი ა.

წაავლე ყურზედ ხელი და გამოვსწიე. ლუარსაბი უგემურად დაიღმიჭა... და დამიყვირა... ლუარსაბის ღრიალზედ გამოცვივდა გუბილამ ადამიანების ხროვა და ერთის ხმით დამიჭყვივლეს.

—შენ, ეი, რა გინდა მაგისაგან? გაუშვი, ეგ ჩვენი ძმა-კაცია. არავინ არ შეასწროს თვალი, თორემ არ ვიცი, რასა ვიქო... ვინც მაგასა ნახავს — მითამ ჩვენც უნახვიართ... ეს ჩვენ არ გვინდა, გესმით თუ არა?

მეც ეგ მიხარიან, რომ თქვენ ესა გგავთ და თქვენ მასა. იმისთვის მეძნელება ამის თავის დანებება, რომ კაი ნიმუშია<sup>10</sup>.

ამ წინასიტყვაობაში, რომელსაც თითქოს, ილიას წინააღმდეგ აყაყანებული საზოგადოებისადმი ერთგვარი პასუხის ხასიათიც აქვს, მკაფიოდაა მოცემული ავტორის აზრი ლუარსაბ თათქარძის პიროვნებისა და ცხოვრების ტიპიურობის შესახებ და, ამასთან, მწერლის დაყინებული სურვილი — სხვადაც (მკითხველმა) სწორედ ასე დაინახოს და გაიგოს ლუარსაბის სახე.

ამგვარი სტილური ნიშნის გამომჟღავნებაში მძლავრად მოჩანს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სატირული ტონი, რომელიც მის სიცილში სჭარბობს იუმორსა და ირონიას. თუმცა ეს ორივე ხერხი მწერლის შემოქმედებაში საგრძნობლად და ნიჭიერადაა სატირას შექსოვილი.

ირონია, როგორც სატირა, მიზნად ისახავს გაკილვას. მაგრამ ირონიაში არ არის სატირული აღშფოთება. ირონიული განწყობილება, ჩვეულებრივ იქმნება მაშინ, როდესაც შემჩნეული შეუსაბამობა, უსაფუძვლობა როგორც ადამიანში, ისე მოვლენაში ჩვენს

10 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. II, გვ. 302—303, 1926.

გონებაა განაცვიფრებს, როგორც უაზრო, საღი მსჯელობის საწინააღმდეგო რამე. ირონიას მამოძრავებლად გონება აქვს, ამიტომ მას თითქოს აკლია ემოციურობა. ის თითქოს მშრალია, ცივია. მაგრამ ეს სიმშრალე გარეგნულია, ნიდაბია, რომლის იქით მკითხველი ხედავს ავტორს თავისი თბილი გრძნობით და განსახიერებულა ზოვლენისადმი ცხოველი, არაგანურჩეველი დამოკიდებულებით; მწერალი გვიხატავს, როგორც რუსი მწერალი ა. ს. პუშკინი იტყოდა, «*ума холодных наблюдений и сердца горестных замет*».

ირონიას თუ სიტბო აკლია, სამაგიეროდ, ის ხასიათდება გონება-მახვილობით, ელვარებითა და ხანდახან უხამითაც, რომელიც განსაკუთრებით მოქმედებს ადამიანის თავმოყვარეობაზე. გაკილვის მიზნით, ირონიაში მწერალი ადამიანს თუ მოვლენას უპირისპირებს ისეთ თვისებას ან ღირსებას, რომელიც მას აკლია, მაგრამ რომელიც უნდა ჰქონდეს: „ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა. რომ, როცა კნენა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალეობის ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა“<sup>11</sup>.

ირონიის გონებრივი ხასიათი მწერალს აიძულებს მიმართოს ლოგიკურ კონტრასტს. ილია ჭავჭავაძესაც ახასიათებს ამგვარი კონტრასტები. მისი სატირა „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“ მთლიანად ამგვარ კონტრასტებზეა დამყარებული.

„მერე, როცა მოკვდა მეფე,  
აიშალნენ მეფეთ ძენი  
და ერთმანეთის შურითა  
სულ ძირს დასცეს ქართლის ბჳენი, —  
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?  
— ჩვენც ლამაზად სულ ყველასა  
თვითო-თვითოდ ვლაღატობდით.  
მერე, როცა დაქსაქსულნი  
უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო,  
ქართველის ბედი ბურთსავითა  
სათამაშოდ წინ გაიგდო, —  
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?  
— ჩვენც ყაბახზედ ვაჟაკურად  
ვიკირითობდით, ვბურთაობდით!“<sup>12</sup>

ირონია, როგორც სატირა, ამახვილებს საზოგადოებრივი ცხოვრების წაკლს და ახდენს მის დისკრედიტაციას (რასაკვირველია, უფრო დამამშვიდებელ ტონში, ვიდრე სატირა). ირონია მოხდენილად

11 ი. ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი!“, თბზ., II, გვ. 149, 1926.

12 ი. ჭავჭავაძე, თბზ., I, გვ. 101, 1925.

აქერხებს სასაცილო გახადოს, გამოააშკარაოს საგნის, პიროვნებისა თუ მოვლენის პრეტენზიების უსაფუძვლობა და, ამასთან, ისეთი ელფერი მისცეს აღწერას თუ გადმოცემას, თითქოს, სასაცილო მოვლენა თავის თავს დასცინის.

ამგვარი მომენტები თუ ელემენტები ილია ჭავჭავაძის სატირულ ნიჟსაც უხვად ახასიათებს. მაგალითისათვის ავიღოთ ლუარსაბ თათქარიძის მსჯელობა სწავლისა და თავის ღირსების შესახებ: „დრო გამოიცვალა — იტყოდა ხოლმე ამოხეხრით ლუარსაბი, — დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ველარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაქყაცის ხელობაა, — ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს!.. ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე!.. კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პათოსანი“<sup>13</sup>.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, აქ და სხვა მრავალ ამგვარ ადგილებში ირონია უდავოდ ახლოს ემიჯნება იუმორს. ირონიაშიც და იუმორშიც მოცემულია ავტორის ორი დამოკიდებულება იმ მოვლენისადმი, რომელსაც ის გვიხატავს: ერთი — მოჩვენებითი, მეორე — ნამდვილი, ირონიის ინტონაცია გამოხატავს ნამდვილ, უარყოფით დამოკიდებულებას, იუმორისა კი — მოჩვენებითს. ორივე შემთხვევაში წდება მოვლენის დისკრედიტაცია, ე. ი. მოვლენის უარყოფითი შეფასება; მაგრამ იუმორი ამ შეფასებას ახდენს ფაქტების დალაგების საშუალებით, ფაქტები თვითონ ამხელენ მოვლენის მიუღებლობას, მის უარყოფით ხასიათს (ქართულ ლიტერატურაში ტიპიური იუმორი ახასიათებს დავით კლდიაშვილს), ხოლო ირონია პირდაპირ გამოხატავს შეფასებას, თვითონ მოლაპარაკის (ავტორის) ინტონაცია გამოხატავს მოვლენისადმი, საგნისადმი დამოკიდებულებას. ილია ჭავჭავაძის სატირაში იუმორი და ირონია, რომლებიც ძალიან ხშირად ერთმანეთს მჭიდროდ ექსოვებიან, უფრო აღრმავებს და ამდიდრებს მკითხველის შთაბეჭდილებას. მაგალითისათვის: ლუარსაბის „ძვირფასი მეუღლე კნეინა დარეჯანი, — აგვიწერს ავტორი — სწორედ თავის ქმრის მეორე გვერდი გახლდათ და იყვნენ „ერთ სულ და ერთ ხორც“, როგორც ბრძანებს საღმრთო წერილი. მერე რა-რიგად: იგივე სიმრგვლე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცინარე პირი და თითქმის იგივე სისულელე. ეს ორი ტურფა

13 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., II, გვ. 151, 1925.

გვრიტი, ერთსულიანი და ერთხორციანი, საკვირველად ტკბილად სცხოვრობდნენ, ქვეყნის უგემურ ყაყანს მოშორებულნი“<sup>14</sup>.

ნათქვამიდან აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძე, ძირითადად სატირიკოსია. მას ნიჭიერად აქვს მომპარჯებელი კომიკური სიტუაციის შექმნის უნარი. მისი სატირა საგულისხმოა არა მარტო თავისი სოციალური დაკვეთის მნიშვნელობით, ეპოქის უმწვავესი ტკივილების მკვეთრი, გაბედული გამოხატვით, არამედ აგრეთვე დიდი ოსტატობით, მდიდარი შემოქმედებით, ხშირად მეტად თავისებური ხერხებით.

ილია ჭავჭავაძე თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი სატირის განვითარებაში, გარდა შემოქმედების ზემოაღნიშნული ხერხებისა, კიდევ მრავალ სხვადასხვა საშუალებას მიმართავს (რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძის სატირაში გამოყენებული ყველა ხერხის აღნიშვნა არაა სავალდებულო. საკმარისი იქნება აღინიშნოს რამდენიმე დამახასიათებელი სახე).

ილია ჭავჭავაძის სატირა მხატვრულ ნაწარმოებში სხვადასხვაგვარად სახიერდება. მისთვის დამახასიათებელია შემდეგი: 1) თ ხ რ ო ბ ა და ა ღ წ ე რ ა (ლუარსაბის კარ-მიდამო, ლუარსაბისა და დარეჯანის დაქორწინება, დარეჯანის „ფუსფუსი“ ოჯახში, ლუარსაბისა და დარეჯანის თელეთში გამგზავრება და სხვა); 2) ხ ა ს ი ა თ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ ი გ ა ხ ს ნ ა — (ოფიცრისა — „მგზავრის წერილებიდან“, ლუარსაბისა, დარეჯანისა, სუტ-კენინასი, მოსე გქელაძისა — „კაცია-ადამიანიდან?“, ქვრივისა, „სცენებიდან“); 3) დ ი ა ლ ო გ ი (ლუარსაბსა და დარეჯანს შორის; ლუარსაბს, დარეჯანსა და ელისაბედს შორის; ლუარსაბსა და დათოს შორის; სუტ-კენინასა და მოსე გქელაძეს შორის); 4) პ ო რ ტ რ ე ტ ი (ლუარსაბის, დარეჯანის, ლამაზისეულის, ოფიცრისა და სხვათა), 5) ლ ი რ ი კ უ ლ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი .

აღნიშნულ შემთხვევებში ილია ჭავჭავაძე მკითხველს აძლევს კომიკური შთაბეჭდილების უდიდეს ეფექტს.

ყველაზე მძლავრად ილია ჭავჭავაძის სატირული ნიჭი ხ ა ს ი ა თ ი ს გ ა ხ ს ნ ა ს ა და დ ი ა ლ ო გ შ ი ა შ კ ა რ ა ვ დ ე ბ ა. მისი შემოქმედების დამახასიათებელი სტილური ნიშანი — იუმორის გადაზარდა სინამდვილის სატირულ ჩვენებაში — სწორედ ამგვარ დახატვაშია მოცემული.

ილია ჭავჭავაძე ადრევებულია საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობით, სიმახინჯით, რომლის მიზეზად ის პიროვნებას

<sup>14</sup> ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, თხზ., I, გვ. 152, 1926.

მიიჩნევს, ამიტომ დაუნდობლად აშიშვლებს ადამიანს თავისი განწყობილებებით. მისწრაფებებითა და ქცევით. მწერალი ხშირად აღრმავებს დანახულ წინააღმდეგობას. აძლიერებს უარყოფითი მოვლენის განმასახიერებელ ტონს. შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის პოეტური აპერცეპცია უმთავრესად ცხოვრების უარყოფით მოვლენებს ჰკრეფს და ეძებს მათ გამაჯანსაღებელ საშუალებებს. სატირასაც მწერალი იმავე მიზნით იყენებს.

ცხოვრების მოვლენათა სატირული დახატვა, სატირული ტიპების შექმნა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში შეერთებულია მამხილებელ პათოსთან, რომელშიც მამოძრავებელია ავტორის დიდი სურვილი და მოწოდება საზოგადოების მორალური განახლებისა და სიმანინჯისაგან განწმენდისა. ამგვარი განწყობილების გამომხატველია ილია ჭავჭავაძის ყველა სატირა. ამასვე ამჟღავნებს „კაცია-ადამიანის?!“ წინა და ბოლოსიტყვაობა.

ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც მხატვარ-სატირიკოსისათვის, დამახასიათებელია ადამიანის სულიერი სიღატაკის ჩვენება. ამ დროს ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების ხერხები მრავალნაირია.

ბატონყმობის მიუღებლობა რომ დაამტკიცოს, ილია ჭავჭავაძე თავის შემოქმედებაში იძლევა მებატონეთა და ყმათა მთელ ცოცხალ გალერეას თავისი დამახასიათებელი უმსგავსოებით. ამ მიმართულებით სატირული ნიჭი ილია ჭავჭავაძემ ბრწყინვალედ გამოიყენა.

მაგალითისათვის ავიღოთ „სცენებიდან“ გლახა ჭრიაშვილი. ამ სახის ჩვენებით ილია ჭავჭავაძემ დამაჯერებლად დაგვანახა და გვაგრძნობინა, რომ შეიძლება ეს გლეხკაცი უნიჭო არ იყო, უკეთეს პირობებში ის საზოგადოების სასარგებლო წევრიც იქნებოდა, მაგრამ ბატონყმურმა ურთიერთობამ სრულიად გამოფიტა, მასში საღი აზროვნების უნარი ჩაკლა და უაზრო მანქანად გადააქცია. ბატონყმობის მძიმე ტვირთის ზიდვამ მას აზრის გამოთქმის უნარი აღარ შეუნარჩუნა. ერთსა და იმავეს გლახა ჭრიაშვილი მოსაბეზრებლად, განუწყვეტლივ იმეორებს, მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს ერთმანეთისაგან ვერ არჩევს, შემთხვევითს, არამნიშვნელოვანს არაჩვეულებრივად აზვიადებს. საკმარისია რაიმე მცირედი კითხვა მისცენ, ან შეაწყვეტიონ საუბარი, რომ მან ისევ დაუზარებლად, იმავე ხალისით თავიდან დაიწყოს. ის თავის ასეთ უნუგეშო მდგომარეობას ვერც კი გრძნობს, პირიქით, ტრაბახითაც კი განაცხადებს, რომ მას სოფელში ენაწყლიან კაცად თვლიან (ეს განცხადება ჭრიაშვილისა,

მწერლისათვის შემთხვევითი არ არის. ამით ავტორს უნდა თქვას, რომ ჭრიაშვილი ტიპიური მოვლენაა ბატონყმობის ქვეყანაში).

პოსრედნიკის მიმართვაზე „ამას გთხოვ: ძალიან ნუ გააგრძელებ, მოკლედ მითხარი, რა გინდა“ — ჭრიაშვილი რამდენჯერმე ნათქვამს ისევ თავიდან იწყებს, ზედმეტ, უადგილოდ ნახმარ სიტყვებს და გამეორებებს ურთავს, ისეთ შემთხვევითს და უმნიშვნელოს გამოეკიდება, რომ პოსრედნიკიც კი კარგავს მოთმინებას. გლახა ჭრიაშვილი კი ვერ გრძნობს პოსრედნიკისა და სხვა მომჩივანთა მდგომარეობას და კვლავ შეუწინაღებელი ხალისით თავიდან იწყებს „ისე დალაგებით მოგახსენებ, შენი ჭირიმე. სიჩქარით, შენი ჭირიმე, თქვენც კარგად მოგეხსენება, სოფელი არავის მოუტამია. მოსამართლე ხელმწიფის ყურია, უნდა ყველაფერი თავიდან ბოლომდინ გადაგებინო. თუ წყალი სათავეში აიმღვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის, ამიტომაც მინდა ისევ თავიდან დალაგებით მოგახსენო, იმიტომ რომ კარგად დალაგებით დაწყობილი თავიდანვე საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსავით გავა. ეს თქვენ უფრო კარვა მოგეხსენებათ, თორემ მენა ამებვისა რა მეცოდინება? ერთი რეგვენი გლეხაკი ვარ, ჩემს დღეში სამართლის კარი არც-კი დამინახავს, რაფერია: წითელია, თუ შავი? იქნება თეთრიც იყოს, ვინ იცის? მენა ის თვალთაც არ მინახავს. მაღალი ღმერთის ღმთის-რისხვა და თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, მართალს მოგახსენებ. აი ამიტომაც მინდა თავიდან დავიწყო.. პაპაჩემი აზნაური გხლებიათ — ეს დიდი ხნის ამბავი გახლავს — ნუგზარ ერისთვის დროსაო... თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, თორემ მენა იმ დროებისა რა მეცოდინება დიდი ხნის კაცი როდი ვარ. მართალია, წვერ-ულვაშში ჭალარა გამომრეგია, მაგრამ მაგარი ესაა, რომ დიდი ხნისა არა ვარ. ასე კი ნუ მხედამთ, რომ გაეთეთრებულვარ... მენა ბევრი ვიყო, სულ ბევრი ვიყო (ჩაფიქრდება) რაღა სიტყვა გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლე, იმ დღეს ჩვენ სოფელში რომ ბძანდებოდი, აი, პატარა საყდარი არ გახლავთ, აი, ხალხი რომ მოაგროვე და ხელმწიფის სიტყვა რომ გამოგვიცხადე, აი, იქავ, ჩვენებიანთ წინა — ის საყდარი სულ არ იქნება ხუთი წლით ჩემზედ წინ აშენებული. აბა, მას აქეთ რა ხანი უნდა იყოს გასული. ჩოტკის კაცი, მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მაგას გამოიცინობდა და იტყოდა: მაგდონი არაფერი ხანიაო გასული, მაგრამ, მაგარი ესაა, რომ კაცმა შემომხედოს ასის წლისა ვეგონები. ჭაფამ და ბატონის სამსახურმა აგრე იცის, თორემ არც ისე ხნიერი ვარ. სულ, აკი მოგახსენე...“<sup>15</sup>

<sup>15</sup> ი. ჯ ა ვ ჯ ა ვ ა ძ ე, „სცენები“, თბზ., ტ. II, გვ. 265—266, 1926.

გლახა ჭრიაშვილის ეს სასაცილო მდგომარეობა ისეთი სიძლიერითაა განსახიერებული, მასში ისეთი სიმკაცრითა და ნიჭითაა მოცემული ბატონყმობის უღელქვეშ აუტანელი ექსპლოატაციით შევიწროებული, გამოფიტული გლეხის სახე, რომ იგი მკითხველში ახლაც კი იწვევს ბატონყმობის ინსტიტუტისადმი აღშფოთებას. სახე ჭრიაშვილისა, როგორც აზრდაფანტული კაცისა, ისეთი დამაჯერებლობითაა მოცემული, რომ ჩვენი მკითხველი საზოგადოების შეგნებაში ზოგად სახედ გადაიქცა. უთაებოლო, გაჭიანურებული უაზრო ლაპარაკის კვალიფიკაცია თუ გინდათ რომ მოახდინოთ, საკმარისია თქვათ — „რა ჭრიაშვილსავით გააბაო“ და მეტი დახასიათებაც აღარ დაგჭირდებათ. მსმენელი სავსებით მიხვდება თქვენს სურვილსა და მოვლენის შეფასებას.

ილია ჭავჭავაძე ადამიანის სიცარიელესა და სიმახინჯეს ჩვეულებრივ პრივილეგიური კლასის („რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“, „სცენები“) სახით გვაძლევს. მისი სატირული ნიჭი განსაკუთრებით სატირული ტიპის შექმნაში გამოჩნდა.

ოფიცრის („მგზავრის წერილებიდან“) დახასიათებისას ილია ჭავჭავაძე იყენებს პათეტიკურ-ირონიულ მანერას. მწერალი ნიჭიერად იძლევა კონტრასტს ოფიცრის აღფრთოვანებულ, მედიდურ განწყობილებასა და მისი ინტერესების პრიმიტულ-უშინაარსო ხასიათს შორის (მოვიგონოთ ოფიცრის მსჯელობა განათლება-მეცნიერებაზე).

ასეთსავე საშუალებას იყენებს ილია ჭავჭავაძე „კაცია-ადამიანი?“ ლუარსაბ თათქარიძის ხასიათის გახსნისას. ავტორს უნდა დაგვანახოს, რომ ბატონყმური მეურნეობა პრიმიტიულია, იმ დროისათვის უკვე შეუფერებელია; თვით ბატონიც, მიჩვეული სხვისი შრომით ცხოვრებას, ჩლუნგდება, ჰკარგავს გამგებლობის უნარს. ამის მჭერმეტყველური მაჩვენებელია ლუარსაბ თათქარიძე. ლუარსაბი ცდილობს უჩვენოს ყმებსა და მეზობლებს, რომ ისიც მზრუნველობას იჩენს მეურნეობაზე და სარისტიანი მეურნეცაა; ხელში უჭირავს მმართველობის ლაგამი, სინამდვილეში კი მეტად უსარისტო, უილაჯო, უაზროა. ამის მაჩვენებელია მთლიანად მოთხრობა „კაცია-ადამიანი?“, კერძოდ, ამ მოთხრობაში მოცემული დიალოგი ლუარსაბსა და მის მოურავ დათოს შორის.

ლუარსაბი, --- აგვიწერს ავტორი, — „მართალია, ცოტა ზანტი იყო, მაგრამ იმოდენა მამულ-დედულს მოვლა არ უნდოდა? ეს მამულის მზრუნველობა ძალას დაატანდა ხოლმე და წამოახტუნებდა ტახტიდამა. მაშინ უნდა გენახათ, რა ლამაზი იყო ჩვენი ლუარსაბი: ფეხშიშველა, ლურჯი კალმუხის ქუდით თავზედ, წითელ პე-



რანგის და მის განუშორებელ ამხანაგის ანაბარა, გულგაღებულად, ფაშვიანი, ჩიბუხით ხელში მიგორდებოდა მოაჯირის ვადასაყუდებელთან და გადასძახებდა ძილისაგან გაბოხებულ ხმითა თავის მოურავს დათოსა:

— დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ?...

— დიად, შენი ჭირიმე.

— რა ნაჭერია?

— ჩალადაჯი.

— სამწვადედ?

— სუკი ვიშოვნე, შენი ჭირიმე.

— ძვირფასი კაცია, — გაიფიქრებდა ხოლმე მაღლიერი მებატონე. მერე დათოს ეტყოდა: — ბარაქალა, ჩემო დათო! თუ კაცმა დაივიწყა, ღმერთი არ დაივიწყებს ბატონის ერთგულებასა, ბარაქალა! შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ, მარჯვნივ მკლავი... მეზვრემ მწვანელი მოიტანა?

— მოიტანა.

— ტარხუნა ხომ არის?

— გახლავს.

— კიტრი?

— კიტრიც გახლავს.

ლუარსაბს ეამა. ტახტი რომ ყოფილიყო, ერთი ორჯერ მაინც გადატრიალ-გადმოტრიალდებოდა.

— მაშ სახლი სავსე ყოფილა, — სთქვა ბატონმა სიამოვნებით<sup>16</sup>.

ილია ჭავჭავაძეს მეტად მარჯვედ დაჰყავს აბსურდამდე ლუარსაბ თათქარიძის გონებრივი გაწრიოების, მისი უქნარა. მხოლოდ კუჭის გამო ამოძრავებული ბუნების ჩვენება.

პათეტიკურ ხერხთან ერთად ილია ჭავჭავაძეს ხშირად აქვს გამოყენებული ყალბი პათოსი. ყალბ პათოსზეა მთლიანად გაშლილი სუტ-კნენინას ხასიათი. იგი, ახალი ცხოვრებით შევიწროებული, იძულებულია არჩინოს თავისი თავი და ოჯახი. შრომა მას არ შეუძლავა (როგორც პრივილეგიური კლასის წარმომადგენელს, რცხვენია კიდევ). ის ამჯობინებს მაქანკლობა დაიწყოს — ხშირად თავი დაიმციროს, იცრუოს, თავი გააღანძღვინოს, შეურაცხყოფაც მიიღოს, — ოღონდ კი ნუ იმუშავებს. მოტყუებაში, ცბიერებაში სუტ-კნენინა არაჩვეულებრივად დახელოვნებულია. ამგვარ საქმეებში ის დიდ ნიჭს. უნარსა და ენერჯიას იჩენს (სუტ-კნენინას საუბარი მოსე გძელაძესთან ღარეჯანის ნიშნობის წინ და შემდეგ. აგ-

<sup>16</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 160—161, 1926.

რეთვე სუტ-კნენინას ლუარსაბთან საუბარი). ნაწარმოებში მოცემულია კომიკური სახე სუტ-კნენინასი. ერთია მისი ნამდვილი ზრახვა და განწყობილება, მეორეა სრულიად საწინააღმდეგო — მისი საუბარი და სურვილი — ხალხს კეთილისმსურველად და უანგარო დამხმარედ ეჩვენოს, და ამით თავისი საქმე გააკეთოს. მაგრამ მიუხედავად თავისი დამამცირებელი ცდისა და მოქნილი ენა-გონებისა, სუტ-კნენინა მაინც მიზანს ვერ აღწევს. კომიკურის გაშლის ეს ხერხი ნიჭიერად აქვს გამოყენებული დავ. კლდიაშვილს („სოლომან მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“).

ი. ჭავჭავაძის სატირული ნიჭისათვის დამახასიათებელია პათოსი, კაცთმოყვარეობა და მაღალი, აწეული „შტილი“, როცა ის გამოწვეულია ადამიანის მდაბალი მისწრაფებით და ამყლავენებს, აშიშვლებს მათ შინაგან კომიკურ კონტრასტს. მოქმედი პირის თვალთმაქცობა თავისი ანგარიანობის დამალვისა და განადგურების მიზნით, როცა მისი ეს სურვილი მეტად გაშვვირვალეა, ადვილი მისახვედრი და დასანახია, ხოლო მოქმედ პირს ჰგონია, რომ სხვას თვალს უბამს. ილია ჭავჭავაძეს ხშირად აქვს გამოყენებული ეს ხერხი, მაგალითად, ქვრივის დახატვაში („სცენები“).

ქვრივის ნაყმევი პოსრედნიკთან ეძებს კანონიერ გასამართლებას, რაც ქვრივის მიუღებლად მიაჩნია. ქვრივი ცდილობს გლეხის ჯავრი ამოიყაროს. ამიტომ შემდეგნაირად აუწერს ის პოსრედნიკს თავის დამოკიდებულებას გლეხისადმი და ამ უკანასკნელის მოქცევას მისადმი: „იმ დღეს, აი დიდი წვიმები რომ გახლდა, მიწურვა ბანმა ვედარ დაიჭირა. გამოვედი გარეთ. — ეს ძალღ... კინაღამ არ წამცდა (ამგვარი სიტყვების ხმარების გამო ქვრივი პოსრედნიკის მიერ გაფრთხილებული იყო, — მ. ზ.), ეს გველხოკყრა იქაც ჩემთან ახლოს დგას, დაუძახე და ისე ტკბილად, დედა-შვილურად ვუთხარი: შვილო გიორგი-მეთქი, (გლეხს) გაგიწყურეს წმინდა გიორგი, (პოსრედნიკს) შვილო გიორგი-მეთქი, თქვენზე მიწა არ მენახოს, სწორედ ამ სიტყვით: შვილო გიორგი-მეთქი, ჩემო კარგო და პატიოსანო-მეთქი.. ბევრი რამ ისე ლამაზი მარგალიტივით სიტყვები ვუთხარი, ისე დედა-შვილურადა, როგორც მოგესხენებათ ჩემი ამბავი, დაყვავებით და ლოლიობითა. მაგრამ რა? მეგლს სახარება თუნდა წაუკითხე, თუნდა არა. მომყო, ბატონო პირი — აი, ამოვესოს მაგას შავი მიწით პირი. მომყო, ბატონო, პირი, ასე გამხადა, რომ რალა მოგახსენოთ... აბა, ეს მოსათმენია... მაგრამ რაკი სახარებაში სწერია მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენით, მეც მოვითმინე, ავიკარ პირი. აბა, ხომ მოგესხენებათ დარბაი-

სელი, კეთილშობილის დედაკაცის ამბავი, ჩემს თავს რად ვაკადრებდი, რომ მაგ ძაღლ... კიდევ კინალამ არ წამომცლა მაგ ორფეხა მუტრუქს სიტყვით შეებმოდო. ავიკარ პირი, ეს კი ვუთხარი: კარგი, შეილო-მეთქი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს-მეთქი, გაუწყრე მაგას ღმერთი, როგორც მოგეხსენებათ ჩემი ამბავი, ისე დედაშვილურად ვუთხარი, მშვიდობიანად, მაგრამ რა? განა მაგათზე ტკბილი და გულმტკივნეული სიტყვა გასჭრის?!“<sup>17</sup>.

ქვრივის ამ სიტყვაში მუდმივი კონტრასტია, დაშორება ქვრივის სურვილსა და შედეგს შორის, არსებულსა და მას შორის, რაც უნდა იყოს. ყოველი შემდეგი სიტყვა, ფრაზა ქვრივის ბუნებასა და მის მოქმედებას შორის ამ წინააღმდეგობას ხატავს. ეს ნაწყვეტიც საკმარისი სიძლიერით გვიჩვენებს ქვრივის უარყოფით სახეს, რელიეფურად გვიხატავს ძველი ფეოდალური ცხოვრების უარყოფით არსს ქვრივის სახით. ქვრივის მთლიანი სახე ხომ სრული, ბუნებრივი, ლოგიკური დაჯამება იყო ძველი ბატონყმური ყოფისა, რომლის გამათრახება, გამასხარავება სურდა ილია ჭავჭავაძეს.

ილია ჭავჭავაძის სატირის თავისებურ ხაზს წარმოადგენს კომიკური, რომელიც განვითარებულია გარეგნულად კეთილშობილური, ცრუთავმოყვარეობის შეხვედრაზე ფიზიოლოგიურ, ანგარებიან მისწრაფებებთან, რომელნიც განსაზღვრავენ მოქმედი პირის ბუნებასა და ქცევას. ვ უ ლ ი რ ე ბ ა მ დ ა ბ ა ლ ი გ რ ძ ნ ო ბ ი ს ა ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი მ ა ღ ა ლ ი გ რ ძ ნ ო ბ ი თ ილია ჭავჭავაძეს დიდი ოსტატობით აქვს განსახიერებული თავის შემოქმედებაში.

ელისაბედს უნდა გაიგოს, რას აკეთებენ დარეჯანი და ლუარსაბი არაჩვეულებრივ მდგომარეობაში — ზაფხულის საღამოს რომ გამოსულან ბაღში და მისცემიან განცხრომას. უნდა გაიგოს რაიმე ახალი ჭორი და გადაწყვიტა ესტუმროს მათ.

დარეჯანს თუმცა ეჯავრება რძალიცა და მახლიც, მაგრამ ელისაბედს ფორმალურად მაინც დიდი პატივისცემით მიიღებს და მოიკითხავს. ორივე რძალი, როგორც ელისაბედი, ისე დარეჯანი, ერთს ფიქრობენ — განიცდიან, ხოლო საწინააღმდეგოს გამოხატავენ. თავიანთი „ზრდილობიანი“, „დარბაისლური“ კილოთი და ქცევით უნდათ დაჰფარონ თავიანთი ნამდვილი (მოძულე, მოქიშპე) განწყობილება, მაგრამ ვერ ფარავენ, უნებლიედ ამჟღავნებენ, ხოლო თვითონ კი ვერ ამჩნევენ ამას.

„დარეჯანი ფეხზე წამოდგა.

— მობძანდით, ჩემო რძალო!... ძლივს არ მოგვიგონეთ!

— შენმა სიტყვებმა, მოცლა არა მაქვს: ეს ისაო, ეს ესაო, სახლია, კარია, ხომ მოგეხსენებათ.

— აქეთ მოხდნდით, აქეთ უფრო ნიავია... სხვა როგორა ბძანდებით, ჩემო რძალო? ჩემი მაზლი დავითი ხომ კარგად სუფევს...

— კარგად გახლავთ, — მიუგო ელისაბედმა.

— შინა ბძანდება?

— აბა, ამისთანა დროს კაცი შინ დადგება, მამულის და მოსავლის პატრონი? — ყანაშია ეს ორი დღეც იქნება, — სთქვა რალაც ნიშნის მოგებით ელისაბედმა და უნებლიეთ შეჰხედა ლუარსაბსა, რუმელიც ბოლთასა სცემდა და რომელსაც ფეხებზედ ეკიდა მოსავალიცა და მამულიცა.

დარეჯანს ეწყინა, ამას ეგონა, რომ ელისაბედმა სახრე ლუარსაბისაკენ გადმოიქნია.

— რასაკვირველია, ვისაც კაცი არ ჰყავს და არ აბადია, — რომ ჩააბაროს სახლის პატრონობა და ვინც ასე გაზრდილა პატარაობითვე, რომ არც მზე დასიცხავს და არც ავენებს, ის შინ არ დადგება, ჩემი ლუარსაბი მაგას ვერ იქს.

— განა მაგაზედ მოგახსენე! — დაასწრო ელისაბედმა.

— მეც განა მაგაზედ მოგახსენე! — დაატანა დარეჯანმა, — მე მარტო ეს უნდა შეთქვა, რომ ჩემს ლუარსაბს ვერ ისე არ გასჭირებია-რა, რომ გლეხობა ჩაიდინოს.

— გლეხობა ჩაიდინოსო!.. რას ბრძანებთ, ჩემო რძალო... თქვენც არ მომიკვდეთ. აი, თუნდ თქვენი მაზლი, — განა გლეხია, ან გლეხობას იდენს, რომ ყანაშია? სულაც არა, თქვენმა მზემ! მუშები იქა მკიან და იმას კი, როგორც შეჰფერის თავადიშვილის პატიოსნებასა, ხელზედ ლამაზი ნაგეში მიმინო უზის და ნადირობს... რა სათაკილოა!... თქვენი ჭირიმე! მეფეები ნადირობენ და იმისთვის რა სათაკილოა!...

— არა თქვენმა მზემ, ჩემო რძალო, წე ჩემს მაზლზე არ მომიხსენებია. ისიც ლუარსაბის ძმა არ არის, ერთის სისხლისა და ხორცისა? განა არ ვიცი. რომ სხვებსავით ხელებს არ დაიბებრებს ნამგლის ჭერითა და არც პაპანაქებაში დაისიცხება? განა არ ვიცი ნამდვილის სისხლის თავადიშვილი ამას ვერ აიტანს და, სწორედაც მოგახსენოთ. არც საკადრისია; თავადს — თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლეხს — გლეხობა<sup>18</sup>.

მთელი ეს თავი — ელისაბედის, დარეჯანისა და ლუარსაბის საუბარი ამ სახითაა გაშლილი: საუბარი ნახნავების შესახებ (ვის უფრო მეტი ნახნავი აქვს — ლუარსაბს თუ დავითს), ჭირაზე ურმების

18 ი. ჭ ა ე ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., II, გვ. 172—174.

გაგზავნა თავადების მიერ და ამით აღშფოთება, დათოსთან საუბარი ყმების განთავისუფლების შესახებ. ყველგან ნიჭიერადაა გაშიშვლებული უხეში, პრიმიტიულობამდე დასული თავად თათქარიძეების ბუნება, გონება და გრძნობა.

ილია ჭავჭავაძე დაუნდობელია საზოგადოებრივი ცხოვრების გაკილვაში. განსაკუთრებით არ ინდობს ადამიანს, რომელიც, მისი შეხედულებით, მიზეზია ცხოვრების დაქინებისა. ამ მხრივ სანიშნუშოა „კაცია-ადამიანისა?“. მთავარი მოქმედი პირების — თავად ლუარსაბ თათქარიძისა და მისი კნენა დარეჯანის საუბარი ს მ ა-ჭ ა მ ა-ზ ე, ზ უ ზ ე ბ ი ს თ ვ ლ ა, ლ უ ა რ ს ა ბ ი ს თ ხ ო ვ ნ ა, რომ დარეჯანმა მას ტურფა და გოშია აღარ დაუძახოს და სხვა.

ეს და ზემოაღნიშნული სხვა დიალოგები ცოლ-ქმარს შორის უდავოდ მკაფიოდ აქანდაკებს ზოოლოგიურ გრძნობებში ტყვედ მყოფ ცოლ-ქმარს, რომლებშიც უზრუნველობამ, უსაქმურობამ ჩაკლა ყოველი საღი და ნამდვილი ადამიანური გრძნობა და აზრი.

ილია ჭავჭავაძეს ახასიათებს აგრეთვე დახატვა ადამიანის წვრილმანი-ეგოისტური გრძნობებისა, რომლებიც დაკავშირებულია მოქმედი პირის უილაჯობასთან. შიშთან — მას არაფერი ევენოს, არაფერი დაკარგოს, თავისი წინდაუხედაობით „მტერი არ გაახაროს“. მტრად, ჩვეულებრივ, ის თავის მახლობელს სახავეს. ასეთი საშუალებითაა გაშლილი ქვრივისა და მისი მაზლის საუბარი პოსრედნიკთან („სცენები“). ამავე კომიკურის საფუძველზეა გაშლილი ლუარსაბსა და დავითს შორის კინკლაობა, რომლის საუკეთესო გამომხატველია ლუარსაბის კომმარული სიზმარი. აქ ლუარსაბის დაქიანებული, დაწვრილმანებული, უშინაარსო, გაპირუტყვებული კაცის ბოლმა, შურისძიება, უკმაყოფილება, რომელთაც არათუ ცხადლივ, სიზმრადაც კი შეუპყრიათ, დაუტყვევებიათ იგი, ზედმიწევნით ნიჭიერადაა განსახიერებული (ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ამ ხერხმაც პპოვა ჩვენს ლიტერატურაში მკვეთრი მიბაძვა — დავ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალში“).

ავტორი არ ეშვება ლუარსაბს; მას უნდა გვაჩვენოს სრული გაწერიოკება ლუარსაბისა, რომელშიც მხოლოდ ზოოლოგიურიღა მოძრაობს. მწერალს უნდა მკითხველს დაანახოს, რომ ლუარსაბი წყალწალბებულია და როგორც წყალწალბებული ხავსს, ისიც ისე ებლაუქება ძველს, დაუნდობლად მიმავალ ზნეჩვეულებასა და ცრუმორწმუნეობას (მკითხავი, ხატი). მას შვილი ენატრება მხოლოდ ძმის გულის მოსაკლავად, რომ მისი ქონება დავითს არ დარჩეს. ყველგან იმედგაცრუებული ლუარსაბი უილაჯობის გამომხატველი სასოებით მიმართავს დარეჯანს: „დარეჯან შენი ჭირიმე, თუ გიყვარდე, თუ

გიყვარდე აი, ერთი ვაჟი-შვილი ჰქონდა, დავითის გამოჯავრებით მაინცა ჰქონდა, რომ სხვა არა იყოს-რა. ოლონდ იმის ჯავრი კი ამომაყრევიანე, და მერმე თუნდა მომკალი, შენი ჰქირიმე, შენი დედაკაცობის ჰქირიმე, თუ გიყვარდე, აი!

— ვშობამ, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს. ვშობამ, თუ აგრაე! — უბასუხა კნენამ ისე, ასე გგონია მართლა ამის ხელში იყოს შეილის შობა. წუხელის სიზმარში ერთმა მოხუცებულმა კაცმა, ფეხებამდინ უმტვირო ქაღალდით წვერი ჰქონდა — ერთი წამალი დამალევიანა და მითხრა: გამრავლდი, ვითარცა იაკობიო. მე მაშინვე მუხლზედ ვემთხვიე, შენ მაგიერადაც ვემთხვიე.

— მართლა? — წამოიძახა იმედმოცემულმა ლუარსაბმა. — ისე, თვალთა ნახე?

— აი, როგორც შენა გხედავ.

— შენი ჰქირიმე!.. მაშ იმედია, დარეჯან-ჯან!

— მაშ, ქა!

— ჰო, შენ გეთაყვანე, შენა! — დაიჯერა და გაიღიმა ლუარსაბმა<sup>19</sup>.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში კომიზში ხშირად მახვილდება იმ გარემოებით, რომ საშუალებებს, რომელთაც მიმართავს მოქმედი პირი, ხშირად თვითვე უარყოფს, ანადგურებს, საწინააღმდეგო ეფექტს აძლევს.

მაგალითად, ეგოისტური, გაშიშვლებული ინსტინქტი — თავის გადარჩენის სურვილი ანადგურებს ქართველ პრივილეგიურ კლასს მთლიანად და ცალ-ცალკე („რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“). ქართველი თავადაზნაურობა, მწერლის გაგებით, იქამდე მიდის, რომ მათი ცხოვრების მომსპობ მეფის რუსეთის ბიუროკრატის, რამაჲ იგი ასე გაანადგურა, მონურად, თავმოყვარეობის სრულ დაკარგვამდე ემსახურება.

ლუარსაბ თათქარიძეს სურს გამოაჩინოს თავისი გონიერება, რომ ის, როგორც მამაკაცი, უფრო ჰქვიანია, ვიდრე დარეჯანი. ამ მიზნით ლუარსაბი წინასწარ დათვლის ბუხებს ჰერზე და შემდეგ ეჯობება ცოლს. ამ ნიადაგზე მეტად ნიჭიერი კომიკური დიალოგი იმართება მათ შორის:

„—დარეჯან, აბა, თუ ჰქვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან, ა იმ ფიცარზე რამდენი ბუზი ზის?

— რამდენია?... მაიცა, ჯერ დავთვალო...

<sup>19</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 231—232.

— ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ, აბა ისე გამოიცან, კაცობა ის იქნება.

— ისე გამოვიცნო? მაშ კარგი, ოც-და-ათი იქნება.

— ოლოლო შენ, ვერ გამოიცან.

— მაშ რამდენია?

— რამდენია? გითხრა? არ გეტყვი.

— სთქვი, თუ იცი, რალა.

— თუ კაცი ვარ, ორმოცი უნდა იყოს. ოლოლო შენ, მე გამოვიცან.

— დიალ, გამოიცან... დაგითვლია, როგორც იმ დღესა ჰქენი, ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ.

— შენც არ მომიკვდე, ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ დამითვლია.

— მაშ საიღამ იცი, რომ ორმოცია.

— საიღამ? იქიღამ, რომ გონება მაქვს.

— განა მე კი არა მაქვს გონება?

— შენც გაქვს, მაგრამ კაცის გონებასთან დედაკაცის გონება როგორ მოვა? მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია...

დაიწყეს ცოლმა და ქმარმა ბუზების თვლა. გამოვიდა რომ ორმოცდაათზე მეტი იყო.

— გამოიცნო? — სთქვა ნიშნის მოგებით დარეჯანმა, — დიალ, გამოიცნო, გონება აქვს ამ ჩემს ბატონს და იმიტომ გამოიცნო. — ლუარსაბს შერცხვა, ცოტა აირია.

— გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო, სწორედ გაფრენილან.

— უფრო კარგი, თუ გაფრენილან, უფრო ცოტა არ უნდა დარჩენილიყო, მანდ ორმოც-და-ათზე მეტი არის ეხლა.

ლუარსაბი აიწურა. ეს რა წამოვარახუნეო, სთქვა გულშია, რომ მიაფუჩეჩოს თავის მახეში გაბმა, კბილების კრაპუნით. რომელსაც კნეინა ღიმილს ეძახდა, სთქვა:

— დალახვრა ღმერთმა, — ეგ ვეღარ მოვიფიქრე, ბიჭოს!.. იითქოს ოთხჯერ დავთვალე<sup>20</sup>.

იღია ჭავჭავაძე აღამიანის ცხოვრებისა და ბუნების ჩვენების მიზნით, არაიშვიათად მიმართავს ხოლმე სხვადასხვაგვარ კონტრასტს. მოქმედი პირი ცდილობს თავისი ცბიერი და მდაბალი ბუნება დაფაროს. ამ მიზნით სხვა საშუალებათა შორის გამოყენებულია აწეული, მაღალი „შტილი“, რაც იწვევს კომიკურ შთაბეჭდილებას. მაგალითად, მოსე გძელაძეს სურს დაფაროს თავისი არაკეთილშობი-

20 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. II, გვ. 158—159.

ლური, ანგარებიანი ზრახვები. მოსეს უნდა ჯვრისწერამდე არ გა-  
ახმაუროს დარეჯანის ლუარსაბზე დანიშვნა, რათა არ გაუგონ ხრი-  
კები (დარეჯანის მაგიერ მან მნახველს უნდა აჩვენოს სხვა, ლამაზი  
ქალი). შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით იგი შემდეგი აწეული,  
ცრუ დარბაისლური, დროგადასული ენით წერს სასიძოს წერილს:

„ჩემო აღმატებულ ბედნიერო გვაროვანო სიძეო!

თუმცა დიდად ბედნიერი ვარ, რომელიცა რომა შენგანა ვარ  
დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით აღსავსე  
ნეტარითა სიძობითა თქვენითა და თვალი ჩემი აახილე რომელი-  
ცა რომა დაინახა ისევე გაზაფხული მუხთალისა სოფლისა ამისა ფრი-  
ად სიხარულში ვარ რომელიცა ეხლა ვარ ჩემო აღმატებულ გვა-  
როვანო სიძეო. რომელიცა გთხოვთ გამოგზავნო ნიშანი რომა სა-  
ქმემ არ დაიგვიანოს დიდი ხალხი არ გამოგზავნო რომელიცა რომა  
მე მოხუცებული კაცი ავად ვარ სნეული და პატივი და მასლაათი  
და ქეიფი, რომელიცა მე აწ აღარ ძალმიძს რომელიცა ფრიად შე-  
აწუხებენ ქორწილში რომელიც თქვენ იქნებით ჩემს სახლში მასპინ-  
ძელი დიად დიდი ხალხი მოვიწვიოთ თქვენცა დიდი და პატიოსანი  
ნათესაობა გყავს რომელიცა არც მე ვარ უნათესავო და ბლომად  
შევყაროთ ისე როგორათაც შეჭფერის დიდებულს გვაროვნებასა  
თქვენსა და ჩემსა ოჯახს სახლკარიანობასა ჩემსა“<sup>21</sup>.

ეს წერილი საკმაოდ ბუნდოვანია, გადატვირთულია ზედმეტ  
და არასწორი სიტყვებით, რომლითაც მოსე გძელაძეს უნდა თავი-  
სი ნამდვილი განზრახვა დაფაროს, ლუარსაბზე სათანადო შთაბეჭ-  
დილებას ახდენს.

მოსე გძელაძემ მიზანს მიაღწია. ლუარსაბმა, ძველი ტრადიცი-  
ის მიხედვით, ქალი თვითონ არ ნახა, ხოლო, როცა ეკლესიაში და-  
რეჯანს გადახედა, ელდანაკრავივით წამოიძახა: „დავით, აკი მზეთ-  
უნახავიაო?“ აქ უკვე ფარდა აეხადა მოსე გძელაძის წერილის კომი-  
კურ მნიშვნელობას. მთლიანად ლუარსაბის ჯვრისწერის პროცესი  
მშვენიერი კომიკური სცენაა, როგორც უარყოფა ძველი, დრომოჭ-  
მული, ახალ ცხოვრებასთან შეუფერებელი ჩვევისა. მზეთუნახავს  
ელოდა სულელობამდე გულუბრყვილო ლუარსაბი, სინამდვილეში  
კი მას მახინჯი დარეჯანი ზედა წილად.

ადამიანის გონებრივი სილატაკის ჩვენების მიზნით, ილია ჭავჭა-  
ვაძე ხშირად მიმართავს ხოლმე მოქმედი პირის ჩიხში  
მომწყვდევას, მის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებას,  
სრულიად უმნიშვნელო, მარტივი გარემოებითაც კი. ასეთ მდგომა-

21 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 212—213.



რეობაში ჩავარდნილ მოქმედ პირს ვერ მოუხსაზრებია, როგორ და-  
აღწიოს თავი შექმნილ უხერხულობას. ასეთ მდგომარეობაში მყოფი,  
ის ადვილად მიდის ნაკლები წინააღმდეგობის გზით, არავითარ  
საშუალებას არ ერიდება, რომ თავი დაიძვრიოს (ქვრივი — „სცე-  
ნებიდან“), მაგრამ უძღუროს და მიმართავს  
ცბიერებას (ქვრავი). ან სრულიად უსაფუძვლო,  
სრულიად არაფრის მთქმელ საშუალებას (ლუ-  
არსაბ თათქარიძე), მაგალითად, „თავი არ მომიკვდება“, „შენმა  
მზემ“ და ა. შ., რაც უფრო სასაცილოს ხდის მოქმედ პირს. ნიმუ-  
შისათვის ავიღოთ:

„—აბა, შენ კაცმა როგორ უნდა დაგიჯეროს, რომ ეგეც არ იცი:  
ორაგული თქმულა თვეზების მეფედ და არა თართი... აბა, სულ  
ეგრე სტყუი ხოლმე, უკეთინა ნიშნის მოგებით გახარებულმა კნე-  
ინამ, რომ ტყუილში დაიჭირა.

შერცხვა ცოტა ლუარსაბსა, მაგრამ არ შეიმცნივა და გაიზრა-  
ხა, რომ პატივისათვის — რაც უნდა დაემართოს, უნდა დაამტკი-  
ვოს, რომ თართი არის მეფე.

— ეხლა მაგას დიხინებ. თართია-მეთქი.

— ორაგულია.

— ეპ, თართია, თავი არ მომიკვდება, არც ეხლა დაიჯერებ.

— ორაგულია, ორაგული! — დასძახა კნეინამ.

— აბა საიღამ იცი, რომ ორაგულია?

— შენ საიღამღა იცი, რომ თართია?!

ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი მახეში. მერე რა-რიგად! ხსნა არ  
იყო! ძალიან კი უნდოდა მოეგონა რამ, უნდოდა ეთქვა კიდევ, რომ  
„კარაბადინში“ სწერიან, მაგრამ მოაგონდა, რომ დარეჯანი უფრო  
ნაკითხია, და ვერ გაბედა“<sup>22</sup>.

მართლაც, უილაჯობის, უსუსურობის, გონებრივი სილატაკის  
დიდებული განსახიერებაა!

ილია ჭავჭავაძის სატირაში ადამიანის კომიკურ მდგომარეობას  
ხშირად აძლიერებს ისეთი საბუთიანობა, რომელიც სა-  
წინააღმდეგო შედეგს უფრო აღწევს. მოქმედი  
პირი ამას ვერა გრძნობს, პირიქით, როგორც დიდ ღირსებას, ისე  
მიიჩნევს. მაგალითად, ავტორს უნდა გვაჩვენოს, რომ დარეჯანი, რო-  
გორც დიასახლისი, არარაა, უსარისტოა, მისი ოჯახი სრულიად მო-  
უვლელია. ამას მთელი მოთხრობის მანძილზე ავტორი მახვილად  
იძლევა. დარეჯანის საქმიანობა და დიასახლისის უნარი რომ უფრო

<sup>22</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 191—192.

სასაცალო გახადოს, ილია ჭავჭავაძე საკმარისად აწეული ტონით ასე აგვიწერს მის ოჯახში ტრიალს: „რაკი, ბატონო, კნენა თვალს გააჰყეტდა, შავარდენივით გადმოფრინდებოდა. ტახტიდამ, გადაიკრავდა შუბლსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა, გადიცვამდა ჩითის კაბასა — ხანდისხან სიჩქარისაგან უკულმაცა — შიშველა ფეხს შეიმოსავდა ჩუსტითა და ჰერი ბიჭო — დაეშვებოდა ჩალურისაჲენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ... ეს ამოდენა დედაკაცი, ჩავოდრებული, ჩასორსლებული, ხშირად დილიდამ შუადღემდინ ფეხზე იდგა და გორგალსავით დაგორავდა. უსაქმო არ იყო, როგორც სჩანს: იქ მუჯღუგუნს წაჰკრავდა საკერავზე მთვლემარე წირპლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა... აქ იმას გაუწყებოდა — რაზედ? თითონ კნენამაც არ იცოდა — რაზედ; აქ ამას გამოგილანძღავდა — რისთვის? — არც ეს იცოდა კნენამა, დასწყევლიდა, დაჰქროლავდა, დასტუქსავდა, ერთი სიტყვით, მთელის ღამის ნაგუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზედ, — და მერმე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდებოდა“<sup>23</sup>. დარეჯანი ამას ეძახდა ოჯახის მოვლას, პატრონობას. თავიც მოჰქონდა, რომ ის ასეთი აზრიანი დიასახლისია, ტრახახობდა კიდეც, რომ ბევრმა არ იცის, როგორ მოეპყრას მოსამსახურეს. დარეჯანი თავისი დიასახლისური ნიჭისა და უნარის უპირატესობის შეგნებით თავმომწონედ ამბობდა ხოლმე: „ხანდისხან ტყუილებრალოდაც უნდა დატუქსო (მოსამსახურეები, — მ. ზ.), რომ გამოლანძლო კიდეც, ცული არ იქნება... იმისათვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს, თორემ შენი მტერი“. აჩვენებს რა დარეჯანის უზადრუჯ დიასახლისობას, რომ უფრო გაამახვილოს დარეჯანის უაზრო მოქმედება, ილ. ჭავჭავაძე ლუარსაბს სიამოვნებით და კმაყოფილებით ათქმევინებს: „ბარაქალა დედაკაციაო“...

ილია ჭავჭავაძის დამახასიათებელი სტილური ნიშნის — კონტრასტის თავისებურებას შეადგენს კომიზმის შემდეგი სახე: ავტორს კომიკური სახის შექმნის მიზნით ემარჯვება მოქმედი პირი დააყენოს საწინააღმდეგო განწყობილებაში. მოქმედი პირის ხასიათის გაშლის პროცესში ერთი განწყობილება მოულოდნელად, უცბად სრულიად საწინააღმდეგო განწყობილებით იცვლება, ნახტომი მეტად მოულოდნელია. თუმცა შედეგი, ძირითადად, ხასიათის საწინააღმდეგო არ არის. ასეთი ნახტომი აადვილებს ადამიანის ბუნების სილატაკე გამოაშკარავოს და მკითხველსაც იგი ძალუმად

23 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 155.

აგრძნობინოს. მაგალითისათვის: დარეჯანი ბაღშია. მასთან მოდის გლეხის ქალი ბაბაღე და მოკრძალებით თხოვს მას, კამეჩი, მეველებმა რომ დაუმწყვდიეს. გამოაშვებინოს. დარეჯანი ბაბაღეს მეტად თავდაპყრილად სვდება:

„როგორ იქნება ჩემო ბაბაღე? ეხლა მართალია, შენ ჩემი ნათელ-მირონი ხარ, მაგრამ სოფელი აყაყანდება. ყველა მაგას მიჰყვება“. მაგრამ საკმარისია ბაბაღემ ჯიბიდან ერთი გაბმა აბრეშუმი ამოიღოს და კნეინას მიართვას, რომ უკანასკნელმა უმალ იცვალოს კილო: „ეგ რომ არ ყოფილიყო, განა ისე კი, რაც შემძლიან, არ გაგირიგებდი!“ და უმალ გადასძახებს კნეინა იქვე მოსიარულე ლუარსაბს: „ქა, ბაბაღეს კამეჩი მეველებს დაუმწყვდევიათ და გემუდარება გამოაშვებინო“.

ასეთივეა ქვრივის („სცენებიდან“) ქცევა პოსრედნიკთან. ქვრივმა ბევრი სითამამე გამოიჩინა და ბევრი დაუშვებელი სიტყვა იხმარა. მაგრამ როცა შეატყობს, რომ შეიძლება საქმე ცუდად წავიდეს, მაშინ უცბად შეიცვლის კილოს, თავს ადვილად მოიმდაბლებს, ტკბილად დაიწყებს ლაპარაკს.

ილია ჭავჭავაძეს აგრეთვე ახასიათებს მოქმედი პირის გარეგნობის სატირული დახატვა. ამგვარი დახატვის დროს მწერალი ხშირად მიმართავს ფიზიკურ შედარებებს გარემო უსულო საგნებთან. დახატვის ხაზები სრულიად შეეფერება მოქმედი პირის ფსიქიკურ თვისებებს. დახასიათება საკმარისად ასიმეტრიულია, რაც კომიკურ შთაბეჭდილებას აძლიერებს (თავადი ლუარსაბის, კნეინა დარეჯანისა და ლამაზისეულის გარეგნული დახასიათება).

ავიღოთ მაგალითისათვის:

„თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებულნი ძველი ქართველი, მრგვალი — უკაცრავოდ არ ვიყო ამ სიტყვაზედ — როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელას კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალეებასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაშა ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალეზი, ყოველთვის დასისხლიანებულნი, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო! გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებულნი, დიად პატივსაცემი და პატივცემული ღიპი, კოტიტა და ქონით გატენილი პალნაიანი ხელები, დამორილი მსხვილი ფეხები — ესე ყოველი ერთად და თვითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ციო მონაბერი სულის“ ღირსეული სამკაული“<sup>24</sup>.

<sup>24</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 150.

მწერალი ვერ კმაყოფილდება მხოლოდ იუმორული ტონით და, ჩვეულებისამებრ, სატირაში გადადის, შხამს უმატებს, რომ მკითხველის დამოკიდებულება ლუარსაბისადმი განუჩრჩვეელი არ დარჩეს და ასე ამთავრებს ლუარსაბის გარეგნობის სატირულ აღწერას: „ის „მონაბერი სული“ არსად არა სჩანდა, თითქო ჩამკვდარაო, ისე გაშლილიყო მის ბრწყინვალეების ქონშია“.

კომიკური შთაბეჭდილების გაძლიერებისა და ადამიანის ბუნების სიცარიელის ჩვენების მიზნით ილია ჭავჭავაძე ხატავს მოქმედ პირს, რომელსაც სურვილი აქვს თავისი ნამდვილად ეგოისტური, უხეში ზრახვა დამალოს სხვაზე მზრუნველობის ნიღბით. თითქოსდა მას სხვის მიმართ პირადი ინტერესები კი არ ამოძრავებს, არამედ სხვაზე ზრუნვა. ამ გზით გამოწვეული კომიკური მდგომარეობა რომ უფრო გააძლიეროს, მწერალი შემოქმედების ამ ხერხს ართულებს მით, რომ მოსაუბრე — მოპირდაპირეც ნიღაბს იფარებს, ვითომც არ ესმის ნამდვილი განზრახვა მოსაუბრისა, ისიც ცბიერობს, თვალთმაქცობს, გადაკვრით — ორზროვნად ეპასუხება.

მაგალითისათვის: ლუარსაბი და დარეჯანი ელისაბედმა ახალი ამბის მოტანით (ყმების განთავისუფლების შესახებ) ააღელვა. ლუარსაბს რძლის რჩევა, — ხალხში ხმა გაავრცელოს, რომ ეს ტყუილია — ჭკუაში დაუჯდება. ამ მიზნით, ლუარსაბი მოიხმობს თავის მოუთრავ დათოს და მათ შორის იმართება მეტად ნიჭიერად გაშლილი დიალოგი:

„—რას გვიბძანებთ?

— იმას, რომა, ყმები ჩამოგერთმევათო, რომ ამბობენ, ტყუილია, გესმის თუ არა? ყველას უთხარი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია, რომ დავარჩობ, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც ჯუნებაში მაგას გაიტარებსო, გაიგე?

— გავიგე, შენი ჭირიმე! — უპასუხა დათომა, — განა მაგას ვინა ჰფიქრობს? აი, რაღაც გოგო-ბიჭები მიჰქარავენ, შენი ჭირიმე. იმათ ვინ დაუჯერებს. წვრილფეხობის სიტყვა რა დასაჯერია? იყბედებენ და დაჩუმდებიან.

— ეგრე სთქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო! ან რა კარგი იქნება თქვენთვის, რომ ჩვენ არ გყვანდეთ.

— შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებით, შენი ჭირიმე!

— რაც უნდა იყოს, მამასავით გპატრონობთ.

— დიად, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბძანდებით და ჩვენ შვი-

ლები ვართ. თუ ხანდისხან გაგვიწყრებით, აგვიკლებთ, წაგვართმევთ, გე რა? სულ ჩვენი სიკეთისათვის არის ხოლმე. განა მამა შვილს არ გაუწყრება?

— ოღონდაც რომ გაუწყრება, მაგრამ შვილი ისევ შვილია, მამა ისევ მამაა ხოლმე.

— მართალი ბრძანებაა, სხვას არა აქვს მაგის გაგება, ამბობს, რომ, რაც ჩემია, — ჩემი უნდა იყოს, ბატონი რად უნდა გვართმევდესო. ის კი არ იციან, რომ თუ ბატონი ართმევს რასმეს, სულ იმათ ისევე სიკეთისათვის ართმევს. ხომ მოგეხსენებათ, გლეხკაცი რეგენია....

— დიდი და პატარაობა სად არ არის? — სთქვა ლუარსაბმა. — აი, თუნდ თითებზე დაიხედე: ერთი — დიდი, მეორე — პატარა. რისთვის? ამისთვის, რომ ღმერთს აგრე გაუჩენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს. აბა, დაიხედე!

— განა არ დამიხედნია, შენი ჭირიმე? დიდიც არის, პატარაც, მაგრამ დაილოცა ღვთის სამართალი. ისე გაუჩენია, ერთმანეთს არ უწლიან, — სთქვა ცბიერმა დათომ.

— მაშ! ყველგან არის დიდი და პატარაცა, ეხლა როგორ იქნება რომ ჩვენში არ იყოს. ან რა დასაჯერია? გააგრძელა ლუარსაბმა და ვერ გაიგო კი დათოს აზრი...

— მითამ მოგახსენებენ, შენი ჭირიმე, ჭკვიან კაცებს დაუწყე-რიათო, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო. ტყუილი უნდა იყოს<sup>25</sup>.

ამ კომიკურ დიალოგში ნიჭიერადაა ნაჩვენები გონებრივად და ზნეობრივად განადგურებული თავადაზნაურობა ლუარსაბის სახით, სამაგიეროდ, დათოს სახით შესანიშნავადაა გადმოცემული ბატონყმობის მძიმე უღელქვეშ შენარჩუნებული გონებამახვილობა გლეხისა, რომელიც იძულებულია ცბიერებას მიმართოს, ორაზროვნად ილაპარაკოს, რომ რისხვა თავიდან აიცილოს. ამასთან, ამ დიალოგში მოხდენილადაა ჩაქსოვილი თვით მწერლის უარყოფითი დამოკიდებულება ბატონყმური უფლებებისადმი, რაც ნაწარმოების მიზანდასახულების გაგებასაც, რა თქმა უნდა, აადვილებს, თვალსაჩინოს ხდის.

ილია ჭავჭავაძის სატირაში კომიკური მდგომარეობის გამახვილებისა და შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით ხშირად გამოყენებულია ლ ი რ ი კ უ ლ ი გ ა ნ დ გ ო მ ე ბ ი, რომელსაც, ერთი მხრივ, მიზნად აქვს განაზოგადოს სატირული პორტრეტი („კაცია-ადამიანი?!“), ხოლო, მეორე მხრივ (უფრო

25 ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. II. გვ. 185—186.

ხშირად), ავტორს საშუალება მისცეს გამოხატოს პირადი განწყობილება, მოვლენის შეფასება, რათა უფრო სასაცილო გახადოს საგანი, მოვლენა თუ მოქმედი პირი. მეორე თვისების გამომხატველია, განსაკუთრებით, აღწერა, ყველაზე მეტად კი — დიალოგი, ჩართული შენიშვნები ავტორისა. ამისი მაგალითები უხვადაა ჩართული ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი დიალოგების ნიმუშებში.

ნიმუშისათვის მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი:

ლუარსაბი ძალიან გაუწყრა დათოს, რომ ბეგრის ურემი რატომ თხუთმეტი არ გაგზავნა. ავტორს უნდა დაგვანახოს, რომ ლუარსაბის პრეტენზიები, როგორც მკაცრი — მოქმედი მეურნისა, სრულიად ყალბი და ფუჟეა. მწერალი ცხობილ დიალოგს ლუარსაბსა და დათოს შორის ასეთ შენიშვნას ურთავს: „მართლა და ლუარსაბსა თავის დღეში ათი ურმის მეტი არ შეჰბმია და რაზედ გაწყრა ეგრე უწყალოდ? დათოსაც არ ესმოდა — ეს წყრომა რის ნიშანი იყო. გაუკვირდა და ბატონს ყურება დაუწყო, ხომ არ გაგიჟდაო. დიად, ლუარსაბი კი იქნება, რომ გაგიჟდეს!... და თუ ტყუილუბრალოდ გაწყრა, მაგისი საბუთები სულ გოგრაში ჰქონდა. როგორც ამისი ძვირფასი კენინა, ისე თითონაც ძალიანა ჰქემობდა მოსამსახურეების და ყმის მოხმარებასა“<sup>26</sup>.

ილია ჭავჭავაძის ეს ხერხი, რა თქმა უნდა, მკითხველის ყურადღებას ამახვილებს კომიკურ ადგილებზე. ავტორს ამ ლირიკული ადგილებით მიზნად აქვს მოვლენის, საგნის თუ პიროვნების სწორი გაგება-შეფასება ყოველი მკითხველის შეგნებამდე მკაფიოდ დაიყვანოს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ეს ხერხი, რაც მწერლისათვის დამახასიათებელია არა მარტო სატირებში, არამედ, საერთოდ, მთლიანად შემოქმედებაში, კი არ ამძიმებს ნაწარმოების სიუჟეტურ განვითარებას (რაც ხშირად ემართებათ ხოლმე პატარა ნიჭის მწერლებს), არამედ სიახლე შეაქვს მასში და აღრმავებს, ასრულებს მკითხველის მხატვრულ განცდას.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის სატირა, ერთი მხრივ, თავისი მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობით (საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინების, გადახალისება-გარდაქმნისა და ადამიანის გამოსწორების მიზნით დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში გატარება ყველასი და ყველაფრის), ხოლო, მეორე მხრივ, პოეტური თვალსაზრისით (მრავალფეროვანი, დიდი ოსტატობით აკინძულ),

26 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 162.

უდავოდ დიდ განძს წარმოადგენს ჩვენს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

ილია ჭავჭავაძე სატირული სტილის მიმართულებითაც მეცხრამეტე საუკუნის მწერლებზე დიდ გავლენას ახდენდა; მისი გავლენა ამ მიმართულებით სავრძნობლად გამოვლინდა გ. წერეთლისა და განსაკუთრებით კი დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში.

ილია ჭავჭავაძის სატირა არც დღეს კარგავს თავის მნიშვნელობას, მისი სატირის ხერხები დღესაც დაუშრეტელი წყაროა მძლავრი კომიკური სიტუაციების, კომიკური სახეების შექმნისა და გამოვლინებისათვის. მისი სატირის დიდი საზოგადოებრივი ღირებულება დღესაც ნაყოფიერად შეიძლება იქნეს გამოყენებული, რასაკვირველია, დღევანდელი თვალთახედვის პოზიციებიდან<sup>27</sup>.

---

<sup>27</sup> ეს წერილი დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო „კრებულში“, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა 1939 წელს.

## ლირიკული გადახვევა ილ. ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში

ლირიკული გადახვევა ილ. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა კომპოზიციის ერთ-ერთი დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი კომპონენტია. ლირიკულ გადახვევას ილ. ჭავჭავაძე, როგორც ეს ჩვეულებრივ მწერლობაშია მიღებული, იმ შემთხვევაში მიმართავს, როდესაც ნაწარმოების სათანადო სისრულის, სიზუსტისა და შესატყვისი სიმკვეთრით გაფორმებისათვის აუცილებელი ხდება მწერლის — ავტორის წამიერი ჩარევა, რაღაც შესაფერი მნიშვნელოვანი გარემოების თითქოს შეუმჩნეველად, ბუნებრივად ახსნის ჩაქსოვა.

ავტორის — მწერლის ნაწარმოებში ჩარევა ისე უნდა მოხდეს, რომ არც ნაწარმოებთან სიუჟეტის ბუნებრივი გაშლა დაირღვეს და არც მისი ფაბულა ოდნევადაც არ უნდა დაიტვირთოს, მისი ბუნებრივი ცხოველყოფელი სახე არამც თუ ოდნევადაც კი არ უნდა შეილახოს, ან გაფერმკრთალდეს, არამედ ამით უფრო უნდა გამკვეთრდეს, მიიღოს ნათელი, ზუსტი, ბუნებრივი სახე, როგორც შინაარსობრივად, ისე გარეგანი ფორმის მხრივ. ეს, რა თქმა უნდა, მწერლისგან მოითხოვს დიდ ოსტატობას, დიდ შემოქმედებით ალღოს, ზომიერებას, ნაწარმოების ყველა ელემენტის ურთიერთ სიმეტრიულ-პარამონიულ შერწყმას, მის ბუნებრივ მთლიანობაში მოყვანას, რაც მკითხველის მიერ ესთეტიკური შთაბეჭდილების მიღებისათვის აუცილებელია. საკმარისია ზომიერების ოდნავ დარღვევა: წამატება თუ დაკლება, ან არაზუსტი, არანათელი სახე, თუ თქმა, რომ ნაწარმოებმა დაკარგოს მხატვრული მთლიანობა, მკითხველის ესთეტიკური შთაბეჭდილება შეიარყეს, შეილახოს და ნაწარმოებსაც თავისი დიდი საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ძალა და ეფექტი საგრძნობლად შეუმცირდეს, შეიძლება დაკარგოს კიდევ. ამიტომაც ლირიკული გადახვევა ავტორისაგან დიდ ცოდნასა და განსწავლულობასთან ერთად, აგრეთვე შემოქმედების დახვეწის დიდ უნარსა და დიდ ოსტატობასაც მოითხოვს.



ლირიკული გადახვევა სხვადასხვა თუ ერთსა და იმავე მხატვრულ ნაწარმოებში, მოთხროვნილებისამებრ სხვადასხვა დანიშნულებას ასრულებს.

ის ხან ნაწარმოების სიუჟეტის განვითარება-შეცვლას ემსახურება, ხან ამა თუ იმ მოქმედი პირის ან მოვლენის საჭირო დამახასიათებელ დეტალს ადგილზე ჩაურთავს, ხან ნაწარმოების იდეაზე, მის რომელიმე მხარეზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას, ხან ნაწარმოებში ასახული მოვლენის საყოველთაო ხასიათს ამჟღავნებს, ხანაც ნაწარმოების მიზანდასახულებას თუ მნიშვნელობას ამკვეთრებს და სხვ. ამასთან კატეგორიულად უნდა აღინიშნოს, რომ ლირიკული გადახვევა თავისუფალი უნდა იყოს ავტორის ძალდატანებისაგან, ხელოვნურობისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაწარმოები მხატვრულობის თვალსაზრისით კნინდება და თავის ზეგავლენის ძალას მკითხველზე ანელებს, ზოგჯერ შეიძლება კარგავს კიდეც.

მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში ლირიკული გადახვევა ყველა გამოყენებული ნიუანსით მიზანშეწონილად მიგვაჩნია აიხსნას, გაირჩეს თანმიმდევრულად კონკრეტული ნაწარმოების ანალიზის პროცესში. ლირიკული გადახვევის სხვადასხვა ნიუანსის ცალკეულ ნაწარმოებში ახსნა-ჩვენება უფრო ნათლად დაგვანახებს ლირიკული გადახვევის საერთო როლს თუ მნიშვნელობას ნაწარმოების მთლიან მხატვრულ გაფორმებაში.

\* \* \*

ლირიკული გადახვევის გამოყენების თვალსაზრისით საგულისხმოა ილ. ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება. ამიტომ ამ მიმართულებით განვიხილავთ მის რამდენიმე ცნობილ მხატვრულ ნაწარმოებს.

ავიღოთ ილ. ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარაანთქვივი“. უნდა გვახსოვდეს, რომ ლირიკული გადახვევა ბუნებრივად უნდა ავსებდეს ნაწარმოების მთლიან კომპოზიციას. მწერალი-ავტორი დიდი სიფრთხილით მაშინ და იქ იჭრება ნაწარმოების აკინძვის, განვითარების პროცესში, როდესაც ის განიცდის თუ ფიქრობს, რომ დაკვირვებულმა მკითხველმა მის ნათქვამში, ან მოცემულ სახეში შესაძლებელია იგრძნოს ერთგვარი ხარვეზი, გაურკვეველობა ან უკმარობა. მხატვრული ნაწარმოების აზრი თუ სახე, ნათელი, ზუსტი, სწორი და სრულყოფილი უნდა იყოს. ავტორის — მწერლის მიერ მხატვრული ნაწარმოების განვითარებაში ყველა შენიშნული უკმარობისა თუ ხარვეზის მაქსიმალურად მხატვრულ შევსება-დახვეწას ლირიკული გადახვევა დიდი ეკონომიურობითა და სიმკვეთრე-სიზუსტით ემსახურება.

„ოთარაანთ ქვრივში“ ილ. ჭავჭავაძე ოთარაანთ ქვრივისა და მისი შვილის გიორგის სახით ხატავს ქართველი გლეხის ცხოვრების დუღილში გამოძერწილ მშრომელ ადამიანებს. მოთხრობის ცენტრალური ფიგურა ოთარაანთ ქვრივია. სხვადასხვა გარემოში, მეზობლობაში, წარჩინებულ პირებთან თუ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, მწერლის მიერ დიდი ზომიერებითაა ნაჩვენები ოთარაანთ ქვრივი, როგორც გონიერი, მტკიცე ხასიათის, წინდახედული, მშრომელი, გამოცდილი, დაკვირვებული, მოსიყვარულე, შინაგანი დიდი ბუნებისმქონე გლეხის დედაკაცა, რომელსაც არ უყვარს (ერიდება კიდევ) თავისი დადებითი თვისებების სხვის დასანახავად გამოვლინება, სხვისთვის ჩვენება. ასეთივე ზომიერებით და დამაფიქრებლადაა დახასიათებული ოთარაანთ ქვრივი, როგორც ცოლი და განსაკუთრებით როგორც დედა. ეს მოთხრობა ხომ აღზრდის ძვირფასი ტრაქტატიცაა!..

ოთარაანთ ქვრივი ოცდაოთხი წლის იყო, რომ დაქვრივდა. მას ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა, მაგრამ გადაწყვიტა — „შვილი არავის დააჩავკრინოს“, ამისათვის ყველა უარით გაისტუმრა. ოჯახს დედაბოძივით შეუდგა, ყველა საქმეს თვითონ აკეთებდა, ბარავდა, თოხნიდა, ბალ-ბოსტანს თავისი ხელით ამუშავებდა. ოთარაანთ ქვრივმა ოჯახი არამც თუ არ დასცა, არ დააქვეითა, არამედ უფრო გააძლიერა. შვილსაც გონივრულად ზრდიდა.

ორივე დედა-შვილი მთელი სოფლისათვის შრომისა და პატიოსნების მაგალითი შეიქნა. დედა-შვილი დიდი თანხმობით ცხოვრობდა. ოცი წლის გიორგი დედის სურვილების წინააღმდეგ არასოდეს არ წასულა.

მაგრამ აი გიორგიმ მოულოდნელად დედის უსიამოვნო საქმე მოინდომა — გადაწყვიტა მოჯამაგირედ დადგომა თავად არჩილთან, რომლის ახალგაზრდა განათლებულ დაზე — კესოზე გიორგის თვალი შესვლოდა. გიორგი შინაგან მტანჯველ ბრძოლას არ ამჟღავნებს, დედას მიზეზს უმაღავს. მაგრამ გონიერი დედა ყველაფერს ადვილად უხვდება.

ოთარაანთ ქვრივისათვის შვილის სურვილის შესრულება დიდი უბედურება იყო. გლეხისათვის და ისიც ისეთი შეძლებული გლეხისათვის, როგორც ოთარაანთ ქვრივის ოჯახია, მოჯამაგირედ დადგომა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. მოჯამაგირე გლეხობის თვალში დეკვალიფიცირებულ მუშად, ე. ი. არაკეთილსინდისიერ მუშად ითვლებოდა. მას ხეირიანი ოჯახი ქალს არ მიათხოვებდა, ზესიძედაც არ შეუშვებდა. ოჯახიდან მშრომელის გასვლა, ოჯახის დაცარვის, ოჯახის უილაჯობის მაჩვენებელი იყო. ოთარაანთ ქვრივმა

თავისი ჯანი, უნარი, სიცოცხლე ხომ იმას შეაღია, რომ კარგი, შეძლებული ოჯახი ქმრის სიკვდილის შემდეგ კი არ დაეწია, არამედ შეენახა. ასეც მოხდა. შვილი კი, გონიერი, სამაგალითო მშრომელი, ამ დროს ოჯახის თავის მინებებას აპირებს, გარეთ მიიწევს. ოთარაანთ ქვრივმა იცის შვილის მტკიცე ხასიათი, იცის, რომ გიორგის ახალგაზრდა ბუნება დუდილშია, დუდილის დროს კი როგორც ღვინის ქვევრს სარქველი არ დაეხურება, ისე ახალგაზრდის მმართაც მკაცრი მუხრუჭი არ გამოდგება. ამიტომ ის შვილს წინაღმდეგობას არ უწევს, ძალაუნებურად თანხმდება, ეხმარება კიდევ, რადგანაც დედის თანხმობის გარეშე არჩილი გიორგის მოჯამაგირედ არ იღებდა.

ოთარაანთ ქვრივი ამ მდგომარეობით დიდ სულიერ ტკივილს განიცდის; დადგა მისთვის უმძაფრესი მომენტი — საყვარელი შვილი ოჯახიდან მიდის. მის გულს თითქოს სწყდება, სცილდება მისი საყვარელი შვილი, თითქოს იყრება აქამდე მათი ასეთი შეთანხმებული ცხოვრების გზები.

ოთარაანთ ქვრივი მაინც საქმიან, წინდახედულ ადამიანად რჩება. ამზადებს შვილს მოჯამაგირედ, ამზადებს როგორც მის ოჯახს, მის მდგომარეობას შეეფერება. გიორგიმ იუცხოვა დედის მიერ მისთვის გამზადებულ ფარდაგში შეკრული ლოგინი და ტანისამოსი, დედა-შვილს შორის იმართება მოკლე, მკვეთრი, ორივე ხასიათის გამომხატველი დიალოგი. გიორგიც არ უხირდება დედას, მანაც კარგად იცის დედის მტკიცე ხასიათი, წამოიკიდებს შეკრულ ბარგს და თითქოს ხალისითაც კი გაუდგება არჩილისაკენ გზას.

აქ მწერალი — ავტორი გრძნობს (ჩვეულებრივ მწერალი ხომ უფრო მკვეთრად განიცდის თავისი შემოქმედების ძლიერსა თუ სუსტ მხარეს), რომ ასეთი დიადი, რთული განცდის მომენტი სათანადო მთლიანობით არაა ასახული, დედაშვილური ურთიერთობა და თვით ოთარაანთ ქვრივის ბუნება არაა აქ სათანადო სიმკვეთრით, სიმწვავითა და სისრულით ნაჩვენები. ოთარაანთ ქვრივის შინაგან ტკივილებზე გამარჯვება ხომ მხოლოდ მოჩვენებითია, დიდი ნებისყოფის ზემოქმედების შედეგია! ოთარაანთ ქვრივს ხომ ეს გამარჯვება ძვირად უჯდება, ის ხომ დედაა და როგორი დედა!... მისთვის შვილთან გაყრა შეიძლება სათქმელად ადვილი იყოს, საქნელად კი ძნელია. საჭიროა ამის ჩვენებაც. ილ. ჭავჭავაძე აქ ლირიკული გადახვევის აუცილებლობას გრძნობს. ის იჭრება სიუჟეტის განვითარებაში და ოთარაანთ ქვრივის შინაგანი გულისშემხუთავ კიდილს შემდეგი იშვიათი გულთამხილავი ლირიკული გადახვევით გვიჩვენებს: „დედას გულმა ტეხა დაუწყო.“

— უკან აღარ მოიხედა!.. — დაიკვნესა დედამ, — ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწევიანო.

...ოთარაანთ ქვრივის თავი ძირს ჩამოუვარდა დამბლასავით, თითქო კისრის ძარღვი გაუწყდა, ველარ შეიმაგრა და ნიკაპით გულზე დასაბჯენად-ლა დაეკიდლაო.

— ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც უკან არ ახედებს... განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი!... — დაიკვნესა ხელახლად დედის გულმა<sup>28</sup>.

ოთარაანთ ქვრივის ღრმა გულისტკივილის ამგვარმა აღწერამ მკითხველს, რა თქმა უნდა, უფრო ნათლად და შთამბეჭდავად დაანახა, განაცდევინა მისი სულიერი სამყარო. მაგრამ მწერალი, როგორც ჩანს, ნაინც უკმაყოფილოა. ის გრძნობს, რომ ოთარაანთ ქვრივის ამ ტკივილის სიმწარე სათანადო სიღრმითა და სიგანით არაა ნაჩვენები; ოთარაანთ ქვრივის სახე სრულად არაა გამოვლენილი; ამიტომ იგი კვლავ საჭიროდ თვლის თვითონ ჩაერიოს მოთხრობის განვითარებაში და ლირიკული გადახვევით, ოთარაანთ ქვრივის ქცევაში შეუტყნობლად გამოვლენილი სხვა ნიშანდობლივი დეტალების ჩვენებითაც ოთარაანთ ქვრივის სახე მკითხველისათვის უფრო სრულყოფილი გახადოს, ლირიკული გადახვევის გაგრძელებით ოთარაანთ ქვრივის გულისტკივილის ასახვას მწერალი დიდი ოსტატობით ასე ავსებს: „ამის თქმაზედ ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმულ სახელოთი მოისვა თვალებზედ.

თითონაც არ იცოდა, — რადა ჰქმნა ესა. ეს უნებურად, უცოდნელად მოუვიდა. ხელმა თავისთავად დაასწრო, მინამ გული ცრემლს წამოჰღვრიდა. თითქო ხელი არ დაეკითხა გულს, — არ დამაგვიანოს, არ დაგიშალოსო.“<sup>29</sup>. ლირიკული გადახვევის ამ დეტალმა უფრო გაამძაფრა ოთარაანთ ქვრივის რკინისებური ბუნება, მისი დიდი ნებისყოფა, თავდატეხილ დიდ უბედურებაში თავის შეკავების, წონასწორობის შენარჩუნების უნარი, რაც ოთარაანთ ქვრივს ასე აღიადებს, ალამაზებს, აძლიერებს და მკითხველზეც ზეგავლენის დიდ ძალას ანიჭებს.

ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების სტილისათვის ხომ დამახასიათებელია მოქმედი პირის ან ამა თუ იმ მოვლენის გახსნისას აღძრული საკითხის ბოლომდე მიტანა, მკითხველი გაურკვეველობაში რომ არ დატოვოს. ამ შემთხვევაშიც ოთარაანთ ქვრივის მიმართ ამ ჩვევას

<sup>28</sup> ი. ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“, ტ. II, გვ. 288, 1950 წ.

<sup>29</sup> იქვე.

არ დალატობს და კვლავ ლირიკული გადახვევით ახალ დეტალს ჩაურთავს: „ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა!..“ ეს დეტალიც თვალსაჩინოდ არწმუნებს მკითხველს ოთარაანთ ქვრივის ხასიათის სიმტკიცეში, მის შეუპოვრობა-ამტანობაში. მაგრამ ილია გრძნობს, რომ კვლავ რაღაც აკლია ოთარაანთ ქვრივის ხასიათის სრულ გაგებას, რომ ის მთელი სიდიადით იყოს ათვისებული. ამიტომ ლირიკული გადახვევის სახით პოეტი კვლავ იჭრება განზოგადოებული შეკითხვის ჩართვით: „გ ა ნ ა ა ქ ვ ს კ ი ც რ ე მ ლ ი ც ე ე ხ მ ო კ ი დ ე ბ უ ლ გ უ ლ ს ?!“.

უდავოა, ამ ლირიკული გადახვევის მიმართებით — ამ შეკითხვის ჩართვით მწერალი უფრო ამძაფრებს ოთარაანთ ქვრივის მწუხარებას, მის რეაგირებას, გამოვლინებასაც სრულ ამომწურავ სახესა და, ამასთან, მას საერთაშორისო მნიშვნელობის ხასიათსაც ანიჭებს. ამ ლირიკული შეკითხვით მწერალი თავისი ავტორიტეტული სიტყვით შთამაგონებლად ამბობს: ნამდვილი ღრმა — წრფელი, ყველაფრის გამწირველ გულისტკივილს, რომელიც განმცდელის ბუნების ნამდვილი ბუნებრივი გამოჩაყონია, ცრემლი არა აქვს. ცრემლი ხომ მწუხარების ხელოვნური შემსუბუქებაა! ოთარაანთ ქვრივის მწუხარება ხომ დიდია, არაჩვეულებრივია, ღრმაა — ამიტომაც მას ცრემლი არა აქვს.

\* \* \*

ძნელია ადამიანის გულის სიღრმეში ჩაწვდომა, გულის ფარული მოძრაობის დაჭერა, განსაკუთრებით ისეთი გაკერპებული ადამიანისა, როგორიც ოთარაანთ ქვრივია, რომელიც გულის უმწვავეს ტკივილსაც კი სახეს არ ამოაბეჭდინებს. ილიას კი დაუძლეველ მოთხოვნილებად ჰქონდა პერსონაჟის სწორედ ასეთი ურთულესი შინაგანი მოძრაობა, რაც დასანახავადაც და მით უფრო გამოსახატავად მეტად ძნელია. მკითხველსაც ისე დაანახოს და განაცდევინოს მოქმედი პირი, როგორც მას თვითონ ხედავს და განიცდის. ასეო შემთხვევებში ის სწყვეტს სიუჟეტის გაშლას, რომლის ბუნებრივი განვითარება ვერ ახერხებს მწერლის მიზანდასახულობის განხორციელებას, ლირიკული გადახვევით იჭრება თხრობაში და ლირიკულად ავსებს სიუჟეტის ხარვეზს და სახეს -- პერსონაჟს მომხიბველს ხდის.

ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი, დედისერთა, მისი ერთადერთი ნუგეში, თავდავიწყებამდე საყვარელი შვილი, მოულოდნელად იღუპება — თივის ძირის დაღმისას დასხლტება, ურმის ქალებზე დაეცემა, მძიმედ დაშავდება. ამ საზარელ ამწავს შეატყობინებენ ოთარაანთ ქვრივს, რომელსაც ბიჭმა „შენათვალი უთხრა თუ არა,

ის ვეება დედაკაცი კინალამ თავზე წამოეჭვა“. მიუხედავად ამისა, ოთარაანთ ქვრივმა მალე დასძლია თავზე დატეხილი უბედურება და გაეშურა შვილისაკენ. მწერალი აქ საჭიროდ თვლის მოიშველიოს ლირიკული გადახვევა — ამ მომენტში ოთარაანთ ქვრივისაგან და დამსწრეთაგან მიღებული შთაბეჭდილება, მრავალი წვრილმანი, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალების შექსოვით მისი სახე სრულად ჩამოაყალიბოს. „მალე მოვიდა ოთარაანთ ქვრივი. თუ მ ც ა ფ ე ხ ა ჩ ქ ა რ ე ბ ი თ, მაგრამ ისე გ უ ლ დ ი ნ ჯ ა დ შევიდა გიორგის ოთახში, თითქო შენათვალა არა ფ რ ა დ მი უ ჩ ნ ე ვ ი ა და ა ი ნ უ ნ შ ი ა ც არა მოსდის-რაო. მ ა რ ტ ო ს ა ხ ე თ ი თ ქ ო უ ფ რ ო ჩ ა მ ო ს კ ე ნ ო და, წარბებ-შუა შუბლი ო რ -ს ა მ კ ე -ც ა დ ჩ ა პ ნ ა ო ჭ ე ბ ო და და ზ ა ფ რ ა ნ ი ს ფ ე რ ი ე დ ო...“

— რა გატირებს, ჩემო კარგო!... — უთხრა გზა-და-გზა გიორგისაკენ მიმავალმა დედამ მტირალს კესოს. — განა სატირლადაც გაჰხდა საქმე...

ხმა არავინ გასცა რიდისა და კრძალვისაგან. ზ ა რ ი დ ი დ ი ი ყ ო !...“

ოთარაანთ ქვრივი მივიდა შვილის ლოგინთან და რა დაჰხედა ცოცხალ-მკვდარს შვილს, ერთი საშინელი შემოიკრა თავში ხელი და იქვე მ უ ხ ლ ი მ ო ე ჭ რ ა და ჩ ა ი ჩ ო ჭ ა.

ხმაგაქმედილს ოთახში ე ნ ა ვ ე ლ ა რ და ს ძ რ ა, ა ს ო ც ვ ე ლ ა რ ა ვ ი ნ შ ე ა ტ ო კ ა.

მარტო ერთად-ერთის სანთლის ალი ჰბრთოდა ლოგინის თავში, სხვა ყველა ს უ ლ ი ე რ ი თ ი თ ქ ო გა ქ ვ ა ვ დ ნ ე ნ, თითქო მ ა რ ი ლ ი ს ს ვ ე ტ ე ბ ა დ გადაიქცნენო.

დადუმდა, შეჰდგა ყველა და მარტო დედა-შვილო ბ ი ს ს ა ც ო და ვ ო ბ ა-და თავის დიდებულის ზ ა რ ი თ ჰ და და დ ე ბ -და უ თ ქ მ ე ლ ა დ, უ ტ ყ ვ ა დ, ხ მ ა-ა მ ო უ დ ე ბ ლ ა დ“<sup>30</sup>.

იშვიათი, თავბრულდამსხმელი შთაბეჭდილებით აისახა გიორგის სიკვდილით გამოწვეული დედისა და ყველა დამსწრის ღრმა მწუხარება, იღუმალი გოდება. მაგრამ ჩანს, მწერალი გრძნობს ნანახი და განცდილი მაინც სისრულით ვერ გადმოსცა, მწვავედ განიცდის უკმარობას, „სიტყვის ტკივილს“ და კვლავ მოხდენილად მოიშველიებს ლირიკულ გადახვევას: „მას მარტო თვალი გულისა-და თუ ჰხატავდა და ყური გულისა-და თუ ისმენდა!... ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისთვის უღონოა!“

<sup>30</sup> ი. ჯ ა ვ ჯ ა ვ ა ძ ე, „ოთარაანთ ქვრივი“, ტ. II, გვ. 306, 1950 წ.

ამგვარი ლირიკული გადახვევით ილ. ჭავჭავაძე მკითხველს აგრძნობინებს, რომ ეს შემთხვევა ისეთია, რომლის სისრულით გამოხატვა ენას არ ძალუძს, ეს იმ შემთხვევათა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელზეც მხოლოდ უნდა მიუთითო, სიტყვა ამისთვის უძლურია. კაცი თვითონ უნდა მიხვდეს, შეიგრძნოს. ილ. ჭავჭავაძის ლირიკული გადახვევები ზშირად ამგვარი შემთხვევების გახსნას, ათვისებას ნიჭიერად ეხმარება.

\* \* \*

ილ. ჭავჭავაძე ლირიკულ გადახვევას ოთარაანთ ქვრივის შვილის გიორგის ხასიათის გაშლაშიც მიმართავს.

კესომ მოინდომა სახლის წინ ბალის — ყვავილნარის გაკეთება. გეგმა მოხაზა. და-ძმამ გადაწყვიტა გეგმის განხორციელება გიორგის მიანდონ. არჩილმა გიორგი კესოსთან დაიბარა. კესომ გიორგის გაუშალა გეგმა და უნდა აუხსნას, სად რა და როგორ გააკეთოს. კესოსთან მოულოდნელი ყოფნა გიორგის აადლეგებს, ის შორიახლო დგება, თავს რეტი ესხმება, თვალთ უბნელდება, არ ესმის, თუ რას ეუბნება კესო და იგი ვედრების კილოთი მიმართავს კესოს — „სხვა დროს უბრძანოს“.

კესომ, მართლაც, შეატყვო, რომ გიორგი „არც თავას ფერზედაა და არც თავის გუნებაზედ“, დაითხოვა და თავისთვის თქვა: „გულის ჭიდილი მოუვიდა, თუ რა ამბავია!“ და გიორგის ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა რომ გაამახვილოს, მწერალი ასეთ ლირიკულ გადახვევას ჩაურთავს: „განა თითონ გიორგიმ კი იცოდა, რა ამბავია!“ დიალაც, გიორგიმ, მართლაც, არ იცოდა, რა ამბავი იყო მის თავს, ის გრძნობამორეული ბურანშია, გაურკვეველ მდგომარეობაშია — არ იცის რას აკეთებს და როგორ უნდა დამთავრდეს მისი გულისჭიდილი. ეს ლირიკული გადახვევა, უდავოდ, გიორგის უცნაურ ქცევა-მდგომარეობას ამჟღავნებს და თითქოს ტრაგიკული დასასრულისათვის ამზადებს როგორც გიორგის, ისე მკითხველსაც. რის გახსნასაც მწერალი იძლევა გიორგის ცხოვრების ტრაგიკულად დამთავრებისას.

თივიდან ჩამოვარდნილი, ცოცხალმკვდარი გიორგი დედას გაანდობს თავის გრძნობას კესოსადმი. მომაკვდავი გიორგი კესოს მიაპყრობს თვალს: „დედი! — მიმართავს დედას მწუხარებით, მაგრამ არა სინანულით, — ხედავ... ამ... ანგელოზს!.. ეგ იყო ჩემი ბედისწერა... არა ვნანობ, არა!... აი, ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!...“ და ისედაც დიადი გრძნობა უფრო რომ გაადიადოს, გაამძაფროს, ილ. ჭავჭავაძე ასეთ ლირიკულ გადახვევას ჩააქსოვს: „გიორგიმ და იმისმა თვალმა, კესოზე

მიქცეულმა, უფრო სთქვა ხვეწნა და ვედრება, ვიდრე. ენამ და ხმამ<sup>31</sup>. და უნდა ითქვას, ლირიკული გადახვევა მიზანს ბრწყინვალედ აღწევს. კესოც ტირილით მივარდა და თვალცრემლიანმა გიორგის შუბლზე აკოცა. „ცრემლმა ერთხანად შესძრა გიორგი და შეაქრყო-ლა“. თითქოს აქ ყველაფერი სრულად გამოიხატა. გიორგის დიდი, ნატიფი, უანგარო გრძნობა მაქსიმალური სიმახვილით გამოჩნდა. მაგრამ ჩანს, ავტორის გაგებით, გიორგის ეს დიდი გრძნობა მანც სრულად ვერ ამოიწურა, ვერ გამოჩნდა. მწერალი საჭიროდ თვლის ჩაერიოს სიუჟეტის განვითარებაში და ასეთ ლირიკულ გადახვევას იყენებს: „ეს ცრემლი (კესოსი — მ. ზ.) თითქო (გიორგის) უკვდავების წყაროდ ეპკურა, იამა, გაუხარდა, მოსულიერდა, თითქო მიმავალი სიცოცხლე უკანვე დაუბრუნდა“.

ამ სიამოვნების ძალის მნიშვნელობა და გიორგის კესოსადმი გრძნობა მთელი თავისი სიდიადით, მთელი ძალით მკითხველსაც რომ განაცდევინოს, მწერალი კვლავ ლირიკულ გადახვევას ურთავს: „ამისთანა დროს სიხარული, ბედნიერება იგივე სიცოცხლეა, მხოლოდ ხანმოკლე და შეუმჩნეველი“.

ამრიგად, აშკარაა „ოთარაანთ ქვრივიში“ ჩაქსოვილი ლირიკული გადახვევები იშვიათი ოსტატობით ეხმარებიან ნაწარმოების მოქმედ პირთა ხასიათების მაქსიმალური სისრულით გამოძეგნვას, სიუჟეტის ღრმად გაშლას და ნაწარმოების მხატვრულობის სრულყოფას.

### „კაცია-ადამიანი?!“

„კაცია-ადამიანი?!“ იღეაა — კაცი დროის მოთხოვნილებას უნდა მისდევდეს, ვინც დროს ჩამორჩება, ის ცხოვრებიდან გაირიყება, უსარგებლო, ზედმეტ ადამიანად იქცევა, უკვალოდ წავა ამ ქვეყნიდან. მისი მიზანდასახულობაა — მკითხველს აჩვენოს და შთაუწერგოს, რომ მხოლოდ თავისუფალი, გონიერი, აზრიანი, ცხოვრების შესაფერი შრომა აძლევს სიცოცხლეს შინაარსს, ხალისს, ნაყოფიერებას, გამართლებას. თქმა არ უნდა, ეს საკითხი ქართველი საზოგადოებისათვის მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ძირითადი, გადაუდებელი და საგანგაშო იყო.

„კაცია-ადამიანიში?!“ ეს მოვლენები ნაჩვენებია და ნათელყოფილი მოთხოვნილების მთავარი გმირების, ერთი მხრივ, ლუარსაბისა და დარეჯანისა და, მეორე მხრივ, ლამაზისეულის ხასიათების გაშლით.

31 ი. ჯ ა ვ კ ა ვ ა მ ე, „ოთარაანთ ქვრივი“, ტ. II, გვ. 308, 1950 წ.



ლუარსაბი შეძლებული თავადია. მას ყმებით დასახლებული ტყე და მამული მემკვიდრეობით მამა-პაპისაგან აქვს მიღებული. ყმები შრომობენ, ლუარსაბს აცხოვრებენ; ლუარსაბი არაფერზე ზრუნავს, ყველაფერი უზრუნველად, უხვად მოსდის; ის არც კითხულობს საიდან, რატომ, რამდენი შემოსავალი აქვს? მან იცის, რომ პისი შინაყმა დათო მოურავი ვალდებულია ის მოამარაგოს; იცის, რომ ის ბატონია, მბრძანებელია, სხვანი — მოურავი, ყმები — მისი ბრძანებისა და ნება-სურვილის შემსრულებლები არიან. უზრუნველმა ცხოვრებამ, სხვისი შრომით სარგებლობამ ლუარსაბი სრულიად მოადუნა, ცოცხალ ლეშად აქცია, საზოგადოებისაგან გარიყა. ის ვერ ამჩნევს ახალი ცხოვრების ცვლას, ვერ გრძნობს ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა ძლევამოსილებას, მაგალითად, როგორცაა სწავლის, ცოდნის მიღება, შრომის აუცილებლობა. ლუარსაბი კმაყოფილია, რომ, ღვთის მადლით, სწავლა არაფრისა აქვს. „მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს განა!.. ეგ ეხლანდელი ჭირიაო“, იტყოდა ხოლმე გულმტკიცენეულად, — გვიხასიათებს ლუარსაბს მწერალი — „თითქო ქვეყანა ამ ჭირისაგან ებრალებო“. პერსონაჟის დახასიათებაში ამგვარი შეჭრით მწერალი ნიშანდობლივად გვიჩვენებს ლუარსაბის ხასიათის ძირითად თვისებას — სიზარმაცეს, ცხოვრების ალღოს აღების უქონლობას, მის გარეშე ყოფნას.

მწერალი ამით არა კმაყოფილდება, მას უნდა ლუარსაბის სრული სიცარიელე, მისი კრეტინობამდე დასული სახე და ამის გამომწვევი მიზეზიც მთელი სისრულით გამოაჩინოს. ის წყვეტს სიუჟეტის განვითარებას და ქარაგმული დარბაისლური კილოთი ასეთ ლირიკულ გადახვევას აქსოვს: „მართალიც ბრძანდებოდა მისი ბრწყინვალეობა: მისი აზრით, კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც დღე-ყოველ უნდა ჩააყარო ხორავი და ჩაასხა სასმელი, მავრამ კიდევ მაინც ვერ აავსო. მისი ბრწყინვალეობა თავის თავზედ ჰხვდავდა თავის ბრწყინვალე გონიერებით, რომ ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ისრულებს, ნამეტნავად ჯოგის და ყმის პატრონი, ყმისა, რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს“<sup>32</sup>.

ილიასოვის დამახასიათებელი სარკაზმით გაჟღენთილმა ამ ლირიკულმა გადახვევამ უდავოდ მეტად დამაჭერებლად გაამძაფრა ლუარსაბის ჩამორჩენილობაც, მისი ორძილობის ცხოვრებას პრიმიტიული და მასთან გაზვიადებული ნოოლოგიური არსებობის საფუძ-

32 ი. ქავჭავაძე „კაცია-ადამიანი?“, ტ. II, გვ. 129, 1950 წ.

ველიც — „ჯოგისა და ყმის, ყმისა, რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს“ — პატრონობა თუ ბატონობა.

ლუარსაბი შეუცნობლად გრძნობს ახალი ცხოვრების ქროლვას, ის, ბუნებრივია, ყველს ებლაუტება, მისტირის წარსულს: „ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზე იყო, ვენაცვალე!... კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყო პატიოსანი“.

ლუარსაბის ამ თქმაში აშკარად მოჩანს არა მარტო მისი ჩამორჩენილობა, არამედ მისი გონებრივი და ზნეობრივი დაჩიკვაბა, სიჩლუნგე. ილიას უნდა ლუარსაბის ამ თვისების უარყოფითობა უფრო გაამახვილოს, მკითხველს შთააგონოს მისი მავნებლობა, ამიტომ ის იკრება სიუჟეტის განვითარებაში და ასეთ ლირიკულ გადახვევას აშველიებს: „ჰე, ჩემო ლუარსაბ! ვიცი, გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველ დროს ტყუილად შეჰხარი, რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველ-დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის, თოფი განა ეხლა კი ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ეხლაც არის ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის ვულის სიმბურვალე, ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა. უწინ კაცი ამშვენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს ამშვენებს“<sup>33</sup>.

ამ ლირიკულმა გადახვევამ ნათელყო, რომ ლუარსაბი არა თუ ვერ აფასებს თანადროულობას, არამედ აგრეთვე ისიც, რომ იგი (და მრავალი მისთანა) წარსულის მართებული დანახვისა და მისი შეფასების უნარსაც მოკლებულია.

მოთხრობის მთავარი მოქმედი პირია ლუარსაბი. ამიტომ ლუარსაბის ცხოვრებასა და სახეს მოთხრობის დასაწყისიდანვე მწერალი განსაკუთრებული მონდომებით ძერწავს; მკითხველმა მოთხრობისადმი ინტერესი რომ არ დაკარგოს, მწერალი საჭიროდ თვლის ჩაერიოს ასეთი ლირიკული გადახვევით: „მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? რასაკვირველია, მოგეწყინა: აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცის-კვლა, არც უიმედო ქალის ოხვრა, არც წყალში გადავარდნა, ერთის სიტყვით — რაც ამშვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა — ის აქ არაფერი არ არის. მაშ, მოგეწყინება, ამას რაღა თქმა უნდა. მაგრამ ეს უნდა იცოდე შენ, მკითხველო, რომ მე ამისა ქვემოთ ხელის მომწერელი მკითხველის გასართველად არ ვწერ ამ უხეირო მოთხრობასა. მე მინდა ამ მოთ-

33 ი. ჰ ა ვ კ ა ე ა ძ ე, „კაცია-ადამიანი?“, ტ. II, გვ. 129, 1950 წ.

ხრობამ ჩააფიქროს მკითხველი და, თუ მოიწყენს, ამის გამო მოიწყინოს; იმიტომ რომ ფიქრი და მოწყენა გაუყრელნი და-ძმანი არიან. მე მინდა, რომ მკითხველმა იმიტომ კი არ მოიწყინოს, რომ გასართველი არ არი, არამედ იმიტომ, რომ ჩამაფიქრებელია. თუ ამოდენა იხერხა და შესძლო ამ უხეირო წერილმა, მე ამის მეტი არა მინდა-რა და არც მდომებია, ჩემო მოწყენილო მკითხველო! თუ ვერ იხერხა, რა ვუყო? ამით ვინუგეშებ, რომ „ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა სჯობია“<sup>35</sup>.

ამ ლირიკული გადახვევით ილ. ჭავჭავაძემ მკაფიოდ გამოხატა როგორც მოთხრობის მიზანდასახულობა, ისე გაამძაფრა მკითხველის მისადმი დამოკიდებულება; მკითხველს მოთხრობის გაგება-შეფასებისათვის გარკვეული გეზი მისცა — ღრმად ჩაუკვირდეს მასში გადმოცემულ ამბავს და შესაფერი დასკვნები გამოიტანოს.

\* \* \*

ილიას მიზანია ლუარსაბის გაკრეტილება მკითხველს სრულად აჩვენოს. ამიტომ მას ცხოვრების სხვადასხვა გარემოებაში ქხატავს. ნაჩვენებით ხშირად არ კმაყოფილდება და სისრულისათვის ლირიკულ გადახვევას იშველიებს. აღვნიშნავთ ამ მიმართულეობით ზოგიერთს:

აი გამაძლარი, გაჩუმებული ლუარსაბი და მისი კნენა დარეჯანი ტახტზე ნებივრობენ: ლუარსაბი წამოწოლილია, დარეჯანი კი შატყლის წინდას ქსოვს. ლუარსაბმა ჭერს თვალები მიაპყრო და პატარა ხანს უკან დარეჯანს დარბაისლური ტონით შესძახა: „დარეჯან, აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიციან, ა იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?

— აბა, სადა?

— აი, ჭერის ფიცარზედ“<sup>36</sup>.

ილ. ჭავჭავაძემ ლუარსაბის გონებრივი გაწრიოკება მკითხველს უფრო რელიეფურად რომ დაანახოს. მის მიერ გამოყენებული სარკაზმი უფრო მკვეთრად რომ განაცდევინოს და ცოლ-ქმარი, განსაკუთრებით ლუარსაბი, არარად აქციოს, ასეთ ლირიკულ გადახვევას იყენებს: „თურმე ნუ იტყვით. ამ სასაცილო ლუარსაბსა, დაჩუნებულნი რომ იყვნენ. იმ დროს ის ბუზები უთვლია. დარეჯანმა რა იცოდა“.

ეს ლირიკული გადახვევა ხელს უწყობს ცოლ-ქმარს შორის კომიზმით სავსე დიალოგის ოსტატურ გაშლას, რაც გასწავლურ-

35 ი. ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?“, ტ. II, გვ. 131, 1950 წ.

36 იქვე, გვ. 134.

ბით ააშკარავებს ლუარსაბის დაჩივებულ, დაცარიელებულ ბუნე-  
ზას და წინასწარ გაფრთხილებულ მკითხველსაც აგრძნობინებს ამ-  
ას.

ლუარსაბის შეკითხვაზე — დარეჯანი თუ გამოიცნობდა ჰერზე  
მსხდომი ბუზების რაოდენობას, დარეჯანმა უპასუხა: „მაიცა, ჯერ  
დავთვალო“, რაზედაც ლუარსაბმა სიცილი დააყარა: „ეგრე ხომ  
მეც გამოვიცნობ. აბა ისე გამოიცან, კაცობა ის იქნებაო“. დარე-  
ჯანი დათანხმდა და თქვა: „ოცდაათი იქნებაო“. ლუარსაბმა კვლავ  
სიცილი დააყარა, რომ დარეჯანმა ვერ გამოიცნო. გულმოსულმა  
დარეჯანმაც გამოჯავრებით მიმართა ქმარს: „სთქვი თუ იცი რაღა“.  
ლუარსაბიც, ვითომც დიდი დაფიქრების შემდეგ იტყვის: „თუ კა-  
ცი ვარ, ორმოცი უნდა იყოს“. დარეჯანს ეჭვი შეეპარა: „დაგით-  
ვლია, როგორც იმ დღეს ქენიო“. ლუარსაბმა დინჯად უპასუხა:  
„შენც არ მომიკვდე, ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ დამით-  
ვლიაო“. დარეჯანი არ უჯერებს, დაჟინებით ეკითხება ქმარს: „საი-  
დან იცი, რომ ორმოციაო“. ლუარსაბის პასუხზე — „იქიდან, რომ  
გონება მაქვსო“, — დარეჯანი გაკვირვებით შეეკითხება: „განა მე  
კი არა მაქვს გონება?“ ლუარსაბი კვლავ გამარჯვებულის მედიდუ-  
რობით ეტყვის: „შენც გაქვს, მაგრამ კაცის გონებასთან დედაკაცის  
გონება როგორ მოვა! მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია“. და-  
რეჯანის შეკითხვაზე — „რომ არ იყოს ორმოცი?“ — ლუარსაბი  
დამშვიდებით პასუხობს: „ჯარიმა გადამახდევინეო“. მწერლისაგან  
ლირიკული გადახვევით შემზადებული მკითხველი ყურადღების დი-  
დი დაჭიმვით მოუთმენლად ელის, როგორ დამთავრდება ლუარსა-  
ბის მიერ დარეჯანისადმი მიცემული გამოცანის გახსნა.

დათვალეს ბუზები, ორმოცდაათზე მეტი აღმოჩნდა. ლუარ-  
საბი დაიბნა, აირია, შერცხვა და წამოაყრანტალა: „გაფრენილან,  
თორე ორმოცი იყო... სწორედ გაფრენილან“. მაგრამ გამარჯვებუ-  
ლი დარეჯანი ნიშნისმოკებით ეუბნება: „უფრო კარგი, თუ გაფ-  
რენილან, უფრო ცოტა არ უნდა დარჩენილიყო. მანდ ორმოცდაათ-  
ზე მეტია ახლა“. ლუარსაბი ახლა კი მთლად გაიწურა, დაიბნა და  
უცბად წამოაყრანტალა: „დალახვრა ღმერთმა, ეგ ვეღარ მოვიფიქ-  
რე, ბიჭოს! თითქო ოთხჯერ დავთვალე“<sup>37</sup>.

ზემოთ აღნიშნულმა ლირიკულმა გადახვევამ, უთუოდ, დიდად  
შეუწყო ხელი კომიზმის საფუძველზე დიალოგის ბრწყინვალე გაშ-  
ლასაც, ამბის შეკვრასაც და ლუარსაბის ხასიათის ნიშანდობლივ  
დახვეწასაც.

37 ი. ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?“, ტ. II, გვ. 135, 1950 წ.

ცნობილია, კაცი კულტურისა თუ ასაკის რა საფეხურზედაც არ უნდა იყოს, ალერსის მოთხოვნილება დიდი აქვს. ეს თვისება მისთვის თითქოს თანდაყოლილია. ეს მოთხოვნილება ლუარსაბსა და დარეჯანსაც ახასიათებთ, შესაძლებელია გადაჭარბებითაც. ეს მშვენივრად ვლინდება დარეჯანის მიერ ლუარსაბისადმი საალერსო სიტყვებისა და საალერსო სახელწოდების გამონახვაშიც.

გაჯავრებული დარეჯანი რომ დაემშვიდებინა და შეერიგებინა, ლუარსაბი ასეთ ხერხს მიმართავს: „ზომ გაგიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა გინდა?“ — რაზედაც დარეჯანი კმაყოფილებით მიეალერსება: „შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! რა უნდა მინდოდეს სხვა“<sup>38</sup>.

დარეჯანის ამგვარმა ალერსმა ლუარსაბს, მოულოდნელად განწყობილება შეუცვალა და ერთგვარი გულისტკენითა და მორცხვობით დარეჯანს მიმართავს: „დარეჯან!.. თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი... ჩემოდენა კაცს არ უხდება, შენ გეთაყვანე: ტურფას პატარა გოშისა ეძახიან, ეგ ძაღლის სახელია, აბა, რა კაცის საკადრისია ეგ სახელი?“ ამის გამგონე დარეჯანმაც ტონი იცვალა და წყენით შესძახა: „მაშ შენ ჩემი გოშია არა ხარ? არა ხარ განა?“ დარეჯანმა თავის „ენაწყლიანობით“ ლუარსაბი დაამარცხა და გრძნობამორეული ლუარსაბი წამოიძახებს: „ჰო, გეთაყვა, ჰო, შენი გოშია ვარ, მაშ რა ვარ?“.

მაგრამ ილ. ჭავჭავაძე არც ამით კმაყოფილდება, უნდა უფრო ხატოვნად გვიჩვენოს ლუარსაბის ზოოლოგიური ბუნება, შეგრძნების მეტად პრიმიტიული უნარი და კვლავ ლირიკულ გადახვევას მიმართავს: ლუარსაბს „თითონაც უნდოდა ერთი ამისთანა ალერსი მოეწყო რამ, მაგრამ, როცა ეს გაჭირება დაადგებოდა, თვალებში სულ ზურგიელი, თართის დოში, არტალა ნივრით და სხვა ამისთანა გაეჩხირებოდა ხოლმე. აბა, ამ საგნებით რა ალერსს გამოჰხატავს კაცი? მაგრამ ლუარსაბმა მაინც კიდევ მოახერხა წყლიანი სიტყვა: „შენ იცი ჩემი რა ხარ? სულის წიწმავატი, გულის ტარხუნა გონების აბა რა ვთქვა? — თუნდ მარილი იყოს“<sup>39</sup> და ლუარსაბი, აღტაცებული თავის „ენაწყლიანობით“, რომ მანაც სათანადო ალერსით შეამკო დარეჯანი, წამოიძახებს: „კარგად არა ვთქვი, ის კარგი და სახელოვანი მამა ნუ წამიწყდება? კარგი მოწყობა არ იყო?“ და თ ვ ი თ კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს ნ ი შ ნ ა დ ჩ ვ ე უ-

<sup>38</sup> ი. ჭავჭავაძე, „კაცია-ადაშიანი?“, ტ. II, გვ. 136, 1950 წ.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 137.

ლებისამებრ „დააკრავუნა კბილები“. ამ ლირიკულმა გადახვევამაც თუ დეტალმა — „დააკრავუნა კბილები“ მშვენივრად გაამძაფრა ლუარსაბის გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური დაკნინების, გაწრიოების დონემდე დასული ყოფა.

\* \* \*

მწერალს ჯიუტად ჩაუჭიდა ხელი თავისი გმირისათვის. ყოველმხრივ უნდა მისი პრიმიტიული ბუნებისა და „ნიქის“ გამოვლინება თვალსაჩინოდ, დამაჩერებლად დაგვიხატოს — გვაჩვენოს ის, როგორც მემამულე — ბატონი, მზრუნველი მეოჯახე-მეურნე, რაც მეტად იშვიათად ხდებოდა, და, მისი გაგებით, ბიჭების „დაწიოება-წი“ გამოვლინდებოდა ხოლმე.

აი ასეთი სურვილი დაებადა ლუარსაბს. ის აივნიდან გადასძახებს თავის მოურავ დათოს. პირველ რიგში აინტერესებს იმ დღისათვის როგორ მოამარაგა ბატონის ოჯახი საკმელ-სასწელით. მიიღებდა რა ცბიერი დათოსგან დადებით პასუხს, რომ ბატონი საყვარელი — სასიამოვნო სასმელ-საკმელით მომარაგებულა და მისი ოჯახიც ყოველთვის ყველაფრით სავსეა, კმაყოფილი ლუარსაბი დათოზე გულში გაიფიქრებდა: „ძვირფასი კაცია“ და დათოს გასამხნეველად ეტყოდა: „ეგრე, ჩემო დათო! ბატონის ოჯახის პატივი და სახელი ერთგულმა ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს... თუნდა ნაკლები იყოს, უნდა სთქვას, რომ სავსეა“<sup>40</sup>.

ადვილად დაკმაყოფილებული და ნასიამოვნები ლუარსაბი დათოს ახლა ოჯახის საერთო მეურნეობის შესახებ შეეკითხება — განსტუმრა თუ არა საიუშოაზე ურემები და რამდენი. დათოს პასუხი, რომ გასტუმრებულა ოთხი საბატონო და ათი ბეგრის ურემი, ლუარსაბს არ აკმაყოფილებს, ბეგრის ურემი რატომ თხუთმეტი არ არისო. დათოს შეპასუხებაზე: „თხუთმეტი ჩვენ კაცებში თავის გაჩენაში არ შეგბმულა, შენი ჭირიმე, და დღეს საიდან იქნებოდაო?!“ — ლუარსაბი წყრომით, დაჟინებით გაიძახოდა: „მე არ ვიცი, ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება? ბატონს სამსახური უნდა. მაშ, მე ბატონი არა ვყოფილვარ!.. ფიე! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. მე ვუჩვენებ მათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები“<sup>41</sup>.

მწერალი აქაც საჭიროდ თვლის ჩაერიოს და ასეთ ლირიკულ გადახვევას იძლევა: „მართლა-და ლუარსაბს თავის დღეში ათის ურემის მეტი არ შეჰბმია და რაზედ გაწყრა ეგრე უწყალოდ?!“ მწერალი თვითონვე იქვე იძლევა ახსნას: „ლუარსაბი კი იტყოდა ხოლმე: „გლეხკაცს ეგრე უნდაო, რომ ყოველ ცისმარე დღეს ეშინოდეს,

40 ი. ჰავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?“, ტ. II, გვ. 138, 1950 წ.

41 იქვე.

თორემ ღორის მკბენარსავით, რომ გლეხკაცი ფეხზედ დაისო, თავზე აგაცოცდებო. მაშ! შიში შეიქმს სიყვარულსაო“.

აქ ილ. ჭავჭავაძე ამ ამბის უფრო ნათლად გარკვევისათვის კვლავ ლირიკულ გადახვევას ურთავს: „ის კი არ იცოდა ამ ბედნიერმა ადამიანმა, რომ უმიზეზო და ამგვარ ტყუილუბრალო აპილპილებზედ გლეხებს სულ სხვა მსჯელობა და დასკვნა აქვთ ხოლმე. ეჭ, შენ რაც უნდა სთქვა, მკითხველო, და ამ ცოლ-ქმარს კი ეგონა, რომ თუ მუცელი მძღარი აქვთ, ამგვარ ყმების მოხმარების ცოდნისაგან აქვთ. ამისთანა სულელობას ჩვენი გულწრფელი თავადი ეძახდა ბიჭების „დაწიოკებას“. დარწმუნებული იყო, რომ ეს დაწიოკება ისე აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც სმაჰამა კაცისათვის“<sup>42</sup>.

ამ ლირიკული გადახვევით მწერალი უფრო ნათლად ააშკარავებდა ბატონყმობის მიუღებლობას, უსამართლობას, ბატონების სიბეცეს, რომლებიც ვერ ხედავდნენ, რომ ბატონების მიერ ასეთი „დაწიოკება“ უმართებულო, უგუნური მოპყრობა, გლეხში აღვივებდა უკმაყოფილებას, ბოლმას ბატონებისადმი, რომ ასეთი უსამართლობა გლეხს გამოაფხიზლებდა და მისი უკმაყოფილება თვით მებატონეთათვის საბედისწერო შეიქმნებოდა.

\* \* \*

ცნობილია, ილ. ჭავჭავაძეს საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქვეყნის წინ წაწევის, პიროვნების ღირსების გადიდებისა და მოქალაქის მაღალი მორალური დაკმაყოფილების ქვაკუთხედად მიაჩნდა. ამისი უტყუარი ნიმუშია მისი მრავალფეროვანი ცხოვრება-მოღვაწეობა. საზოგადოებრივი ცხოვრების ვალდებულებას ის არასოდეს არ ღალატობდა, ყოველთვის ეხმაურებოდა. მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ მწერლისათვის ეს დამახასიათებელი ნიშანიც უხვადაა ჩაქსოვილი. მწერალს არაერთი ნიჭიერი ლირიკული გადახვევა აქვს გამოყენებული ამ ნიშნის, როგორც აუცილებელი მოთხოვნის, წინ წამოწევის მიზნით.

ცნობილია, ყველაფერს დასაწყისი და დასასრული აქვს. ასევეა თათქარიძეების ოჯახიც. სამწუხაროდ დამთავრდა ცოლ-ქმრის შეხმატკბილებული ცხოვრება. დაირღვა ლუარსაბის ბედნიერებაც. მწერალს უნდა მკითხველს მკვეთრად აჩვენოს, რომ ცხოვრებაში ყველაფერი წარმავალია, გარდა სასარგებლო საზოგადოებრივი საქმისა, რომელიც კვალს ტოვებს. მწერალმა ორივე ცოლ-ქმარს მა-

42 ი. ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?!“, ტ. II, გვ. 139, 1950 წ.

თი ნახევარი საუკუნის ცხოვრების შესაფერი შემდეგი მსჯავრი გამოუტანა: „მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ... რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზედ წაიწეონ, რომ „ჩუ... წლამდინ თავადი ლუარსაბი თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილან?“ სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო, შენდობა გვიბრძანეთო“, ამბობს იმათი ქვის ზედ წარწერილი, ნახევარი საუკუნე ამისათვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზე, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოთ გაიბადონ საქმე?!“<sup>43</sup>.

ამ განაჩენს ილ. ჭავჭავაძე ასეთ ლირიკულ გადახვევას ურთავს: „მარტო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი და ერთი ლამაზი, გონიერი ქართველის ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

ეს ლირიკული გადახვევა მკითხველს ეხმარება უფრო ძკაფიოდ, კონკრეტულად გაიაზროს მოთხრობის დედააზრი — ყოველი პიროვნება, პირველ რიგში, უნდა გარკვევით და მძლავრად გრძნობდეს თავის მოქალაქეობრივ ვალდებულებას ქვეყნის წინაშე, რომლის მონაპოვრითაც ის სარგებლობს, რომ ქვეყნის ეს მონაპოვარი — ცხოვრების სალარო საყოველთაო, საზოგადოა. ამიტომ ყოველი მოქალაქე უნდა ცდილობდეს ეს საქვეყნო სალარო თანდათან, ცხოვრების მოთხოვნილებების თანახმად, პირადი შეძლებისდა მიხედვით გაამდიდროს, გააძლიეროს; ყოველ შეგნებულ მოქალაქეს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი შემდგომი თაობა უნდა ცდილობდეს ამ მიმართულებით წინამორბედის უმჯობესი შეიქნას, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებრივი ცხოვრება წინ ვერ წავა, ცხოვრება შედგება, დროს ჩამორჩება, ამოიწურება, უშინაარსო, გამოუსადეგარი გახდება.

მოთხრობის დასასრულს მწერალი, თავისი მიზანდასახულობის მკითხველში განმტკიცების მიზნით, კიდევ მიმართავს ლირიკულ გადახვევას: „მე გავათავე და შენ, რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ორივეს საბუთი ისევ ამავე მოთხრობაში გაქვს... ვიცი, რომ, ჩვენდა საუბე-

43 ი. ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?“, ტ. II, გვ. 221, 1950 წ.



დუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში — როგორც მოყვარე — გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გამოზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა. თუ იმათ დასცინებ, მითამ შენი თავისთვის დაგიცინია, თუ დასტირებ — ეგ კაი ნიშანია: ს ჩ ა ნ ს, ს წ უ ზ ხ ა რ, რომ ამის თანაანი ვართ, ს ჩ ა ნ ს, შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა. ღმერთმა ქნას, რომ ეგ აგრე იყოს.

მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისათვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს, ეგ გასწორების განზრახვა, დღესათუ ხვალე, შენში გაიღვიძებს<sup>44</sup>.

ამ ლირიკულმა გადახვევამ საბოლოოდ მშვენივრად გამოააშკარავა „კაცია-ადამიანი?!“ დედიაზრიც, მიზანდასახულობაც და წამდღვარებული ეპიგრაფის აზრიც — ხალხური ანდაზა — „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანა“. ამ ლირიკული გადახვევის მიზანი ასეთია: მკითხველმა მოთხრობილი ამბავი მართო თვალთ კი არ უნდა დაინახოს, არამედ „თვალთაც და გულითაც“, აღიჭურვოს „გონების ძალით“ და რაც უნდა მწუხარე ჭეშმარიტება გაიგოს, გულდაგულ შეხედეს და შეეცადოს მის სასარგებლო გზაზე დაყენებას.

ასე თანამიმდევრულად, უხვად და აზრიანადაა გამოყენებულ ლირიკული გადახვევა მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“, რაც ნაწარმოებს ხვეწავს და მისი განვითარების რკალსაც შთამბეჭდავად ჰკრავს.

### „გლახის ნაამბობი“

„გლახის ნაამბობის“ დედიაზრია, როგორც ვიცით, — არსებულ ცხოვრებაში ადამიანთა შორის არათანასწორობა ვანურჩველად წოდებისა, ქონებისა; კონკრეტულად — ბატონსა და ყმას შორის თავისუფლებასა და ურთიერთგაგების, დაფასების, „სიყვარულის ხიდი“ არ გაიდება. ამ მოთხრობის მიზანდასახულობაც ასეთია: მკითხველში გააღვიძოს სიყვარული, თანაგრძნობა და პატივისცემა ყმისადმი და მასში გააღვივოს ბრძოლას სურველი ბატონყმობის ინსტიტუტის მოსასპობად, ყმის გასანთავისუფლებლად. მოთხრობის შინაარსი, როგორც აღვნიშნეთ, გაშლილია ბატონსა და ყმას შორის

<sup>44</sup> ი კ ვ ე კ ა ვ ა ძ ე, „კაცია-ადამიანი?!“, ტ. II, გვ: 221—222, 1950 წ.

ურთიერთობის სინამდვილიდან ამოკრეფილი ცოცხალი სურათები.

ილ. ჭავჭავაძე კახეთში ნადირობის დროს ძველ, მიტოვებულ საბძელში ძონძებში გახვეულ გლახას ხვდება. დაინტერესდება მისი ვინაობით, მაგრამ იმ სოფელში მცხოვრებ ნათლიმამისგანაც კი ვერაფერს გაიგებს. ნათლიმამის თქმით, გლახა ერთი უთვისტომო კაცია და თავის ვინაობას არავის უმხელს. ილ. ჭავჭავაძე მოინდომებს გლახის ვინაობა თვითონ შეიტყოს. ერთ დღეს ნადირობიდან დაბრუნებისას მასთან მივა, გამოელაპარაკება და გლახა უამბობს მას თავის თავგადასავალს.

გლახა — გაბრო მწერალს გულწრფელად უამბობს თავისა და მის სასიამორო ყმა პეპიას ჯოჯოხეთურ შევიწროება-წამებაზე ბატონისაგან და აგრეთვე ბატონის დამხმარე სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებისაგან; მწერალი ეღვარ უძლებს საშინელ ამბავს და შეწუხებული წამოიძახებს: „ღმერთო! რამდენი ამისთანა ცრემლი იღვრება ამ შენგან გაჩენილ დედამიწის ზურგზედ. მაგრამ სიამავე აღამიანისა აქამდე არ ჩაირეცხა. ღიღება შენს მოთმინებას“<sup>45</sup>. მწერლის ეს ლირიკული გადახვევა მოთხრობის სიუჟეტის გაშლაში დროულად ჩაქსოვილი, რა თქმა უნდა, საგრძნობლად ამძაფრებს ნაწარმოების იდეასაც და მკითხველსაც დაბეჯითებით შთააგონებს. მის მიზანდასახულობას — შეიქმნას აქტიური მებრძოლი ბატონყმობის ინსტიტუტის მოსასპობად. ჩაგრულთა მოთმინება საზღვარს გადავიდა, ბატონყმობა მიუღებელია, აუტანელია. ამასთან ლირიკული გადახვევა დამაჯერებლად არწმუნებს მკითხველს, რომ ამგვარი მიუღებელი ურთიერთობა ყმასა და ბატონს შორის ტიპიურია. თვით მოთხრობის გმირები გლახა და პეპია ტიპიურები არიან. ეს ლირიკული გადახვევა მოთხრობის სიუჟეტის გაშლასაც და მკითხველის ინტერესის გაცხოველებასაც უწყობს ხელს.

ილ. ჭავჭავაძე ამითაც არ კმაყოფილდება. ბატონყმობის ინსტიტუტის მიუღებლობასთან ერთად მას აგრეთვე უნდა გააშიშვლოს თვით ძირი, საფუძველი აღამიანთა ჩაგვრისა, უსამართლობისა — სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა, რომელიც ამაგრებდა და ყველა შესაძლებლობით იცავდა ამ ძალმომრეობის ინსტიტუტს, რომელიც მხოლოდ ძალის მქონე აღამიანთა მცირე რიცხვის ინტერესებს ემსახურებოდა.

ამ გარემოების მკვეთრი ჩვენებისათვის ილ. ჭავჭავაძე ლირიკულ გადახვევას მოთხრობის მთავარი გმირის პირით შემდეგნაირ-

45 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „გლახის ნაამბობი“, ტ. II, გვ. 92, 1950 წ.

რად შლის: გაბროს უყვარს პეპიას ქალი თამრო. ისიც თანაუგრძნობს მას. მათ გადაწყვეტილი აქვთ შეუღლება. მაგრამ თამროს თურმე ბატონმა დაადგა თვალი. გაბრომ იცის დათიკოს დაუოკებელი, დაუნდობელი ბუნების ამბავი, უნდა ისარგებლოს თავისი დაპოკიდებულებით დათიკოსადმი, სთხოვოს თამროზე ხელი აიღოს, მაგრამ დათიკო შეუბრალებელი, შეუვალია.

დათიკოსთან საუბრის დროს გაბროს შინაყმების დახმარებით გაბაწრავენ და დიამბეგს მიუყვანენ. დიამბეგი გაბროს შემდეგ ბრალდებას წარუდგენს: გაბროს და პეპიას პირობა შეუკრავთ ბატონი დათიკო მოკლანო. გაბრომ გულწრფელად უამბო დიამბეგს თავისი საუბარი როგორც დათიკოსთან, ისე პეპიასთან. დიამბეგმა არც აცია, არც აცხელა, გაბროს ოქმზე ხელი მოაწერინა, შემდეგ უბრძანა გაბროსათვის ბორკილები გაეყარათ და სატუსალოში შეეგდოთ. შეგინებული, შევიწროებული და შეუარაცხოფილი ყმის მდგომარეობის მოსმენითა და ნახვით პოეტი მოწოლილ ბოდმას ვეღარ იტევს. ეს და ამგვარი გარემოება მთელი სიმწვავეით მკითხველს რომ სრულად აგრძნობინოს, ასეთ ლირიკულ გადახვევას მიმართავს, რომელსაც მეტი ძალისა და სიცხადისათვის თვით გაბროს წარმოათქმევინებს: „ვეგდე მარტოდ მარტო იმ საძაგელ სამყოფელოში. რა გითხრათ, რა ჭირი გამოვიარე იმ ერთ დღეს და იმ ერთ ღამეში!... გულმა ღრღნა დამიწყო, სისხლი ძარღვებში გამიყინდა, ტვინი კი მეწოდა. ძნელია, შენი ჭირიმე! ბრალიანი კაცი ყველაფერს აიტანს, რაც უნდა სატანჯველი იყოს, ვაი იმას, ვინც უბრალოა!.. მაშინ... უჰ, მაშინ... ღმერთმა დაიფაროს ყოველი ქრისტიანი და ყველა ადამიანის შვილი... როგორც ცოფიანი ძაღლი, თავს შეიჭამს უბრალოდ სატანჯველს მიცემული კაცი, ვისაც არ გამოუცდია ეს დღე, იმან არ იცის, რა მწვავეა. ღმერთმა ნურავის გამოაცდევინოს“<sup>46</sup>.

ეს ლირიკული გადახვევა მკითხველს ეხმარება უფრო მკვეთრად გაიგოს და განიცადოს არა მარტო გლეხის შეგინებული, უფლებააყრილი, უზომოდ შევიწროებული მდგომარეობა, არამედ, აგრეთვე, როგორც ბატონის ძალმომრეობა, უაღამიანობა, ისე სახელმწიფოებრივი წყობილების, მისი კანონმდებლობის უსამართლობა, უკანონობა, მიუღებლობა, ბოროტება.

მწერალი, უდავოდ, ნათლად და მწვავედ აგრძნობინებს მკითხველს, რომ უთანასწორობის ბოროტი ძალა ჩამარხულია თვით სახელმწიფოებრივ წყობილებაში, რომელიც მხოლოდ გაბატონებული კლასების პრივილეგიებს ემსახურება. ამიტომ მწერალს უნდა

46 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „გლახის ნაამბობი“, ტ. II, გვ. 104, 1950 წ.

სახელმწიფოებრივ წყობილებას ფარდა ახადოს, სააშკარაოზე გამო-  
იტანოს, რისთვისაც მან შემდეგი ლირიკული გადახვევა გამოიყენა:  
„პირველ ხანებში რომ მამგონებია ჩემი უბრალოება და ის ტანჯვა,  
რომელსაც მე მიმიცეს, დავცემულვარ იატაკზედ და უილაჯობით მი-  
წა მიღრღნია. ასეთი დღე დამდგომია. დრო ყოფილა, რომ შხამს გა-  
მოვაყენებდნი, შხამს, ჩემის დაშხამულის გულიდამ და წვეთ-წვე-  
თად ჩავაწურებდი ჩემს დამღუპველსა, რომ იქ შემხვედროდა. მაგ-  
რამ ის სად იყო? ღმერთო მაღალო, ნურა ქრისტიანს კაცს, ნურა  
ადამიანს ნუ მიაყენებ იმ დღეს, რაც მე ხანდისხან იმ სატუსალოში  
დამდგომია!... შენი ჯოჯოხეთი იმასთან სამოთხეა“<sup>47</sup>.

მართლაც, ლირიკული გადახვევები მწერალს ძალზედ ეხმარება,  
იშვიათი სიძლიერითა და სიმკვეთრით გამოთქვას თუ გამოხატოს იმ  
შავბნელი ბატონყმობის დროს შექმნილი ტანჯვის გოლგოთაზე აყ-  
ვანილი ყმის გოდება, ბოღმა, სურვილი ადამიანური ყოფისა; იშვი-  
ათ შედარებაშია განსახიერებელი იმ დროის გლეხის ცხოვრების სა-  
ხე თუ არსი — „შენი ჯოჯოხეთი იმასთან სამოთხეაო“.

ამრიგად, აღნიშნულმა ლირიკულმა გადახვევებმა მაქსიმალუ-  
რად შეუწყო ხელი „გლახის ნაამბობის“ იდეის და მიზანდასახუ-  
ლობის ჩვენება-გაგებას, ამ უთავბოლო და მოუწყობელი სახელმწი-  
ფო წყობილების წინააღმდეგ მკითხველში ბრძოლის გაღვივებას.  
ლირიკულმა გადახვევებმა მოთხრობის სიუჟეტის გაშლასაც თით-  
ქოს მეტი ძალა, დინამიურობა და აქტიურობა მისცა. ყოველივე ამ-  
ან „გლახის ნაამბობის“ დახვეწას, მის მაღალ მხატვრულ დონეზე  
სრულქმნას ხელი შეუწყო და მოთხრობის იდეა მკითხველამდე და-  
მაჯერებლად მიიტანა.

### „მგზავრის წერტილები“

(ვლადიკავკასიად ტფილისამდე)

ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერტილები“ (ვლადიკავკასიად ტფი-  
ლისამდე) მარტო მწერლის უშუალო შთაბეჭდილებების, მისი სხვა-  
დასხვა პირებთან შეხვედრა-საუბრების აღწერა-გადმოცემა კი არ  
არის, რაც მკითხველისათვის, უდავოდ, დიდად მნიშვნელოვანი და  
საინტერესოა, არამედ მასში, აგრეთვე, მაქსიმალური სიცხადითა და  
ტიზუსტიითაა გამოვლინებული ავტორის — ილ. ჭავჭავაძის — უმ-

47 ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა მ ე, „გლახის ნაამბობი“, ტ. II, გვ. 105, 1950.

აღლეს სწავლამიღებული და საზოგადო სამოღვაწეოდ გამზადებული პოეტის — ნამდვილი ბუნება და განწყობილება. თუ გარემოდან მიღებულ შთაბეჭდილებებს მწერალი აღწერა-გადმოცემის საშუალებებით იძლევა, რაშიც, როგორც ჩვეულებრივ ყოველ შემოქმედებაში, ავტორი, რა თქმა უნდა, თავის შესაძლებლობის ფარგლებში, კოლორიტულადაა გამოიმყვანებული, „მგზავრის წერილებში“ მწერლის ბუნების, განწყობილებისა და მიმართულების სრულად გამოვლინებას დიდად უწყობს ხელს ლირიკული გადახვევების გამოყენებაც.

ჭაბუკი პოეტი ილ. ჭავჭავაძე თავისი ქვეყნის — მისი გაჯანსაღების, უკეთესი ცხოვრებისაკენ წინ წაწევის ღრმა სურვილით და მისდამი ვალდებულებით შებოჭილი მიემგზავრება რუსეთში, რათა იქ, რუსეთის ატეხილ მძლავრ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოინახოს საჭირო გზა და საშუალებანი თავისი მისწრაფებების განხორციელებისათვის. იქ ის მთელი თავისი ღრმა შეგნებით აკვირდება რუსეთის ახალ ცხოვრებას, გაფაციცებით ეძებს და ეუფლება ახალი ცხოვრების მოსაპოვებელ და გამამტკიცებელ, ქვეყნის წინ წაწევის ძირითად საშუალებებს — საკმარისად შეიარაღებას, როგორც სასარგებლო საჭირო ცოდნით, ისე მისი ცხოვრებაში გატარების, გამოყენების ჩვევა-უნარით. მწერლის სტუდენტობის პერიოდის შემოქმედებაში ილ. ჭავჭავაძის ძიება, ზოგჯერ მერყეობაც, საერთოდ პოეტის ნიჭის, უნარის, მსოფლმხედველობის, თავისებური ევოლუცია, ზრდა მკვეთრადაა ასახული, მაგრამ „მგზავრის წერილებში“ ჩაქსოვილი შემდეგი ლირიკული გადახვევა განზოგადოებულად და იშვიათი სიძლიერით აშუქებს ილიას საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მზადების სპეციფიკურ ხასიათს.

ოთხი წლის განმავლობაში ქვეყნის კეთილდღეობისათვის საჭირო ცოდნისა და ჩვევების შეძენისათვის დაუცხრომელი ბრძოლის შემდეგ სამშობლოში მომავალი პოეტი თავის თავს თვითანგარიშს აღლევს და „მგზავრის წერილებში“ ასეთ ლირიკულ გადახვევას იშველიებს: „ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა, ოთხი წელიწადი!.. იცი მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავე, ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გაღებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მცხცეს, — ფეხი აადგმევინოს, ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის

ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცსოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალღუერძენაც. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასწყლომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგხმარა“<sup>48</sup>.

მაღალი, სწორი, ბევრის მთქმელი შეფასება მისცა ამ ლირიკული გადახვევით ილ. ჭავჭავაძემ პეტერბურგში გატარებულ ოახ წელს, ჭკუის სავარჯიშოდ, ტვინისა და გულის „ფეხის ასადგმელად“, სამოქმედოდ გაწევისათვის. აქვე მშვენივრადაა მოცემული პასუხისმგებლობის შეგნებული დამოკიდებულება ამგვარი სავალდებულო მოვალეობის შესრულებისათვის, რაც, ძვირფასი მოძღვრება იყო თავის დროისათვის და ასეთად რჩება შთამომავლობებისათვის, რომელნიც მამულის წინსვლას თავისი ცხოვრების ძირითად მოვალეობად მიიჩნევენ. ამ ლირიკულ გადახვევაში ზედმიწევნით მოჩანს მაღალი პატრიოტული გრძნობით ანთებული ჭაბუკი პოეტი ილ. ჭავჭავაძე და მთელი მისი თაობა.

ილ. ჭავჭავაძე აგზნებული უახლოვდება სამშობლოს. მას აღელვებს მგზავრობაში მიღებული შთაბეჭდილებანი, ფიქრები თავის სამშობლოზე, ნანახსა და განცდილზე, „ელვის უმაღეს ერთი ფიქრი მეორეზედ ეცვლებოდა“, — როგორც თვით მწერალი გვარწმუნებს, — მის „ტვინში რევოლუცია მოხდა“. და რომ გადავიხსნას თავისი შინაგანი სამყარო, მკითხველს ყველა ამ ზრახვათა გამომწვევი ფიქრი ზუსტად რომ აჩვენოს, პოეტი ასეთ ლირიკულ გადახვევას მიმართავს: „ამ ყოფაში ვიყავ. ბოლოს ჩემთა ფიქრთა, ყოველმა თვითოეულად, თავისი შესაფერი ადგილი დაიჭირა ჩემს გონებაში. მათ შორის ერთი უფრო ბრწყინვალედ გამომეხატა. იმ ერთს მოჰყვა მეორე, მეორეს, — მესამე, ასე რომ ბოლოს ერთ განუწყვეტელ გრეხილად შემექმნენ. როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე! ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომმაქციოს, როგორც უცხო ნიადავზე გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომმაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდევცა, რადგანაც ჩემში მაინც-და-მაინც ჩემი ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მაიყოლოს და მიაშბოს თავის გულის-ტყვილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედო-

48 ი. ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“, ტ. II, გვ. 10—11, 1950 წ.

ბა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდევ და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვუტრიალო, დაკრძოპილი აღვადგინო, უხუცეუმი ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თვითელი ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არა ყონავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდევ. იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულიშვილი ყურს უგდებს განა მარტო ყური-თა, გულითაც, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია: ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? — ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდევ. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი. — მართლა და რა უნდა ვქნა? — ვკითხე ჩემს თავს ხმა-მალა“<sup>49</sup>.

აი აქაა ილ. ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის თუ დანიშნულების მთავარი კვანძი, საფუძველი, ასე ნიჭიერად გამოხატული, ლირიკული გადახვევით მოცემული, რასაც ჩვენს მაშინდელ მდგომარეობაში (60—70-იან წლებში) მკითხველისათვის დიდი რეზონანსი უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდევ.

ამ ლირიკულ გადახვევაში მარტო ილ. ჭავჭავაძის, როგორც მოქალაქის, თავის ქვეყნისადმი დამოკიდებულება კი არ არის გამოხატული, არამედ მას ზოგადი ხასიათით ჰქონდა, მასში ჭეშმარიტად ნათლად იხატებოდა ეგრეთწოდებული თერგდალეულთა ჭგუფის საერთო განწყობილება და ქვეყნის წინ წაწევის, გაჯანსაღებისათვის გატაცებული მოღვაწეობის სურვილი. ასეც იღებდა ამას ქართველი მკითხველი.

ილ. ჭავჭავაძე სამშობლოს მიახლოებასთან დაკავშირებით გზადაგზა მიღებულ შთაბეჭდილებებში ლირიკულ გადახვევათა სახით

<sup>49</sup> ი. ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“, ტ. II, გვ. 11—12, 1950 წ.

დიდი ოსტატობით აქსოვს ქვეყნის სასიკეთოდ ამოძრავებულ საკუთარი ბუნების დუღილს. მგზავრმა-პოეტმა სტეფანწმინდას მოაღწია. მშვენიერი საღამო იყო. გადაწყვიტა ღამე იქ გაეთენებინა — ძალუბად განეცადა მშობლიური სანახაობის მშვენიერება და ერთგვარი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით წამოიძახებს:

„სხვა საქართველო სად არის.  
რომელი კუთხე ქვეყნისა?“

ეს, თითქოს, უნებლიე ყვილია სამშობლოს — საქართველოს სიმშვენიერით მოხიბლული მოქალაქე — შვილისა, რომელიც მტკივნეულად განიცდის მასზე ზრუნვის აუცილებლობას.

პოეტი ოთახიდან გამოდის, შეხედავს სტეფანწმინდის პირდაპირ აზიდულ მყინვარს, თეთრად და გარკვევით რომ მოჩანდა ცის ლაქვარზე. დიდებული სანახაობით მოხიბლული პოეტი მყინვარისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას, ბუნებასა და მსოფლმხედველობასთან შეხამებულ თავის განწყობილებას (შესაძლებელია თერგდალეულთა თაობის), ასეთ მძლავრ ლირიკულ გადახვევაში გამოაქანდაკებს: „მყინვარი!... დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მალეღვებს, მაცივებს და არ მათბობს, — ერთი სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედა-მიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჭენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავე მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობღავის და აბღავლებს თვის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამაღებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლელებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: ამის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია — როგორც უკვდავება და ჩუმი — როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია, ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიღამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიღამ ამაღლებულა, მაღლიღამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, რო-



გორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი... ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადევ, თუ მყარალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“...<sup>50</sup>.

ამ ლირიკულ გადახვევაში იშვიათი ოსტატობითაა აღბეჭდილი ილ. ჭავჭავაძის მუდამ აქტიური, მოძრავი, მებრძოლი, ხალხისათვის უკეთესი ცხოვრების მოპოებისაკენ მიზანდასახული, მრავალფეროვანი, ღრმა ბუნება და მოღვაწეობა, შემდეგში ასე კოლორიტულად და კვალდაჩნეულად გაშლილი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში. ცოცხლად და მიმზიდველადაა წარმოდგენილი ჭაბუკი პოეტის სახე, რომელსაც საზოგადოებრივი მოღვაწეობის კარიბჭეში შესასვლელად გამზადებულს, წინასწარ ნათლად აქვს გათვალისწინებული თავისი და ყველა შეგნებული ქართველი მოქალაქის (პირველ რიგში, რა თქმა უნდა, თერგდალეულთა თაობის) მსოფლმხედველობისა და მოღვაწეობის ძირითადი საფუძვლები: გამუდმებული მოძრაობა — ე. ი. აქტიური, შეგნებული სასარგებლო საზოგადოებრივი საქმიანობა, როგორც აუცილებელი საფუძველი ცხოვრების განვითარებისა, წინ წაწევისა, რომლის ხანმოკლედ შეჩერებაც კი, თუნდაც შესუსტება, მიუღებელია, მავნებელია; წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ცალკე პიროვნებას, ისე მთლიანად ერს — ხალხს მოელის გახრწნა, განადგურება. აქვე მშვენიერად იგრძნობა ილ. ჭავჭავაძის ოთარაანთ ქერივის პირით აღაღადებული, მუდამ დასამახსოვრებელი ბრძნული თქმა: „თუ წუთისოფელს ერთ ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსაო“.

ამიტომ, რომ ილ. ჭავჭავაძეს არ უყვარს, არ იზიდავს დიდებული, მყუდრო და მშვენიერი მყინვარი. ჭაბუკი პოეტის თვალში მყინვარის დიდებას ფასი არა აქვს, რადგანაც „ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლზე ერთ ძარღვსაც არ აატოკებს“, ის მიუკარებელია, განზე დგას. ჭაბუკ პოეტს არ იზიდავს არც მისი სიმაღლე, არც მისი განზე დგომა, არც მისი მიუკარებლობა. იგი დაუფარავად აცხადებს: „რად მინდა მა-

<sup>50</sup> ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „მგზავრის წერილები“, ტ. II, გვ. 20—21, 1950 წ.

გისთანა სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება“. ჭაბუკი პოეტის გაგებით, რაც ქვეყნისთვის, ხალხისთვის ურგებია, მას ფასი, ღირებულება დაკარგული აქვს. ამით აიხსნება, რომ მას, როგორც მამულიშვილს, გიყი, შეუპოვარი და დაუმონავი, შავი კლდიდან გადმომდინარე მღვრიე თერგი, რომლის გამაღებულ ხუილში იხატება „გაღვიძებული ადამიანის“ ბრძოლა, დრტვინვა, ვაივაგლახისაგან განთავისუფლების დაუძლეველი სწრაფვა, მოსწონს, იზიდავს და „ღირსსაცნობ სახედაც“ მიაჩნია. ჭაბუკ პოეტს კარგად აქვს გაგებული და გააზრებული, რომ ქვეყნის „ბედნიერების ქვაკუთხედი ყოველთვის ძირიდან დადებულა. ყოველი შენობა ძირიდან ამალღებულა, მაღლიდან კი შენობა არსად არ დაწყებულა“. თერგი პოეტს მოსწონს და იზიდავს, რადგანაც ის ცოცხალი სახეა მოუსვენარი, მრისხანე, შეუპოვარი და დაუმონავი ადამიანისა. სამოღვაწეოდ გამზადებულმა პოეტმა კარგად იცის, რომ „მოძრაობა და მართო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“.

ამ ლირიკულმა გადახვევამ აშკარად და მიმზიდველად გამოაქანდაკა როგორც ჭაბუკი ილ. ჭავჭავაძის (ვფიქრობთ, სავროთოდ ახალი თაობის — თერგდალეულების) რადიკალურ-დემოკრატიული მოწინავე იდეები, მიმართულება, ისე მათი სასარგებლო, საჭირო საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი აღფრთოვანებული განწყობილება — სწრაფვა. ამ ლირიკული გადახვევის ძალისა და მნიშვნელობის სწორი გაგება და დაფასება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სათანადოდ გავითვალისწინებთ ჩვენი XIX საუკ. 60-იანი წლების საზოგადოებრივ ცხოვრებას — ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების საწყისების რღვევას, საზოგადოების მოღუენებული, შეიძლება ითქვას, შინაარსეულად საგრძნობლად დაცლილი, უიალქნო, ნიადაგშერყეული, ქედმოხრილი ყოფა ახალი ცხოვრების გზისა და საწყისების ჯერ არცოდნა, მეტად დამაჯერებელს ხდის ჭაბუკი პოეტის სიმპათიას და მისწრაფებას ამგვარი მდგომარეობის დასათრგუნავად, ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების დიამეტრულად საწინააღმდეგო გზით წარმართვის დიდ, დაუოკებელ სურვილს. ამასთან აგრეთვე მყინვარისა და თერგის თვისებათა განსხვავებული დახასიათებით ილ. ჭავჭავაძემ უფრო გაამკვეთრა თავისი, როგორც მოქალაქის და პიროვნების, ქვეყნისადმი ვალდებულება — დამოკიდებულება.

მშობელი ქვეყნის ჭიშკარში მდგომ პოეტს, მისი ქვეყნისათვის ანატირ გულსა და გონებას ყოველი გარემო მოვლენა თუ სურათი შესატყვისად აღელვებს და ამეტყველებს. თავის ამ განცდებს პოე-

ტი თანდათანობით დიდი მონდომებითა და ლირიკული გადახრებით მშვენივრად და შთამაგონებლად ათვალსაჩინოებს. მაგალითად:

„დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედ-ღა ეღირებოდა?... მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილება, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე“<sup>51</sup>. აქაც ძალუმაღ იგრძნობა პოეტის მთრთოლავი გულის კვნესა. ღამე — მაშინდელი ჩვენი მიძინებულის, ხმაგაკმედილი საზოგადოებრივი ცხოვრების გამოხატულებაა — სიმბოლოა; გათენების რწმენა — ეს მისი (ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების) გამოფხიზლება-გამოღვიძებისა და აღორძინების იმედია.

ვინაიდან საზოგადოების — ხალხის გავლიძება, ამოქმედება ძირითადი მტკივნეული პრობლემა იყო ილ. ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა მთელი თაობისათვის, ამ გარემოებას ჩვენი მწერალი გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებს: მწერალი თითქოს ზემოთ მოყვანილ ლირიკულ გადახვევას კვლავ უბრუნდება და უფრო აღრმავებს: „დაღამდა. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა... მორკმული ხმაურობა; აღარ ისმის მისი დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნო... ადამიანი აღარ სჩანს ჩემს გარშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავესე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახით! ჰოი, ბნელო ღამევ, მეჭავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულყავ ქვეყნისათვის, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურებაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა... შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალ გონებას უბედურებას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანობის სერობისა, საცა ისმის საღღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!“<sup>52</sup>

ამ ლირიკულ გადახვევაშიც სიმბოლოები და ქარაგმები უხვადაა გამოყენებული: ღამეში (ე. ი. ხალხთა უფლებრივად, ეკონომიურად, კულტურულად ჩამორჩენილ ცხოვრებაში) ადამიანი (ე. ი. აქტიურად მოაზროვნე, სახალხო ცხოვრების უკეთესობისათვის მებრძოლი) არა ჩანს. ამიტომ მაღალი იდეებისათვის მებრძოლ პოეტს არსებული დაჩივებულის, უიდეო, უმოქმედო ადამიანებით

<sup>51</sup> ი. ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“, ტ. II, გვ. 22, 1950 წ.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 22—23.

სავსე ქვეყანა ცარიელად, უადამიანოდ მიაჩნია. ყოველი ბოროტება, ძალმომრეობა, უსამართლობა იმარჯვებს სიბნელეში, ამიტომ დაუნდობელი, მედგარი ბრძოლა სიბნელესთან, ე. ი. ხალხის ცხოვრების ჩამორჩენილობასთან, მის უცოდინარობასთან (ერის კულტურის ამაღლებისათვის) — ასეთია მისი მიზანი. ამ ლირიკულ გადახვევას უფრო აძლიერებს და ამკვეთრებს აქვე ჩართული ახალი ლირიკული გადახვევა, ასევე სავსე სიმბოლოებითა და ქარაგმებით: „გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ დაიწყო თავისი დაუდგარი ფაცა-ფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ კიდევ უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულალტკინებულსა, ჩემო ლამაზო ქვეყნავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები“<sup>53</sup>.

სიტყვებით — „გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმით“ ილ. ჭავჭავაძე გამოხატავს ახალი ეპოქის დასაწყისს — 60-იან წლებს. მწერალს მხედველობაში ჰყავს მთელი პლეადა აქტიურად მოაზროვნე და მოქმედი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა, როგორც იყვნენ: ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლუბოვი, ნ. ნეკრასოვი და სხვანი, რომელთაც მედგრად იწყეს ხალხისათვის ბედნიერი ცხოვრების გზის გაკაფვა. რუსეთის ჩამორჩენილ ცხოვრებას გაღვიძებისა და ბრძოლის მაგარი ბიძგი მისცეს. მათ ბუდეში ილ. ჭავჭავაძემ და თერგდალეულებმაც მიიღეს საბრძოლო ნათლობა და აღიჭურვენ კეთილშობილური სურვილებით — იბრძოლონ ხალხის ბედნიერებისათვის. მათ ის ადამიანი მიაჩნიათ ღირსეულად, რომელსაც „ძილშიაც არა სძინავს“ — აქტიურად იღწვის დაჩაგრულის, დაცემულის აღსადგენად, დასახმარებლად. ილია თავის და თერგდალეულთა თაობის სურვილს გამოხატავს სწორედ ასეთ ადამიანებთან დაიჭიროს მჭიდრო კავშირი ხალხის საკეთილდღეოდ შეთანხმებული შრომისა და განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტის შესაქმნელად. მწერალი — აეტორი თავის სახის ასეთ სრულ გამოკვეთებას ლირიკული გადახვევების საშუალებით ზედმიწევნით აღწევს.

ილიას სტილისათვის დამახასიათებელია, საკითხი მთელი სისრულით გაშალოს. ამ შემთხვევაშიც ის კარგად გრძნობს, რომ ლირიკული გადახვევების მეოხებით მან თავისი ბუნებისა და მისწრაფებების მრავალი არსებითი თვისება თვალსაჩინოდ გამოხატა, მაგრამ

---

53 ი. ჭავჭავაძე, „ზგზავრის წერილები“, ტ. II, გვ. 23, 1950 წ.

ძირითადი, რაც მისი მისწრაფებებისა და მოღვაწეობისათვის ყველაზე არსებითია, თითქოს, ბუნდოვნად რჩება.

სამშობლოში გამომგზავრებული ილ. ჭავჭავაძე, თავის მეგზურ-მოხვევსთან, რომელიც ძველი დროის უპირატესობის მადიარებელია: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“ — საგულისხმო საუბარს აბამს.

მოხვევის სიტყვების აზრსა და კილოსაც, მაქსიმალურად დახვეწილი, მისახვედრი ინტონაციითა და ქარაგმებით შეკრულს, რა თქმა უნდა, მკითხველი ადვილად ხვდება, მაგრამ ილ. ჭავჭავაძეს უყვარს საგულისხმო ამბავი, მოვლენა თუ პერსონაჟი მთელი სისრულით გამოხატოს, რათა თავისი მათდამი დამოკიდებულებაც აშკარად ჩააქსოვოს და საკითხს თუ მოვლენას უფრო მეტი ძალა, სინათლე მიაცეს. ამ მიზნის მიღწევასაც ის არაიშვიათად ლირიკული გადახვევის გამოყენებით ახერხებს ხოლმე.

მოხვევსთან საგულისხმო შეხვედრასა და აგრეთვე მთლიანად „მგზავრის წერილების“ რკალის დახურვა-შეკვრას ასეთი ლირიკული გადახვევით ამთავრებს: „მიგიხვდი, ჩემო მოხვევე, რა ნესტაჩრითა ხარ ნაჩხვლეტი“. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე; მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეცი ამის პასუხი!“<sup>54</sup>.

რა თქმა უნდა, ამ ლირიკული გადახვევით ილ. ჭავჭავაძემ უფრო გამკვეთრა მოხვევის ნათქვამის — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო“ — აზრი და მნიშვნელობა მკითხველისათვის. მოხვევის ნათქვამის საერთო ხასიათი და დიდი მნიშვნელობა, შთამაგონებლადაა ხაზგასმული ამ გადახვევაში, მწერლის დამოკიდებულების ჩვენებით. „მიგიხვდი, ჩემო მოხვევე“... „სთქვი შენ და მე გავიგონე: მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეს ტკივილი გულში ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეცი ამის პასუხი“ — მკითხველი აშკარად იგებს, რომ არა მარტო „მგზავრის წერილების“ დედააზრია ჩვენი ქვეყნის ახალი ცხოვრების მოთხოვნილებათა თანახმად აღორძინების, ქვეყნის — ხალხის ინტერესების საჭუქველზე გაშლა და განვითარება, არამედ მთლიანად ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა, რის ასახვასაც ხელი შეუწყო ლირიკულ-

<sup>54</sup> ი. ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“, ტ. II, გვ. 36, 1950 წ.

მა გადახვევებში. „მგზავრის წერილები“ ერთგვარი ვასალებია ილიას პიროვნებისა და მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის სწორი და ღირსეული გაგებისა და დაფასებისათვის.

### „განდემილი“

როგორც აღნიშნეთ, პოემა „განდეგალის“ იდეაა — ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობის გარეშე. კაცი ვერ განიცდის სულიერ სიმშვიდეს, სრულ კმაყოფილებას; ვინც ცხოვრებას გაქცევა, განუღგება, უქმარობის ჭმუნვისა-ფან ვერ განთავისუფლდება, მისი ცხოვრება უკვალოდ, უშედეგოდ გაივლას. ამ პოემის მიზანდასახულობაა — გააშიშვლოს ცხოვრებიდან განდგომის, განდგეილობის უაზრობა, როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი დანიშნულების თვალსაზრისით. ამ მიზნით პოემაში დაპირისპირებულია ადამიანის ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ორი საწინააღმდეგო მსოფლმხედველობა: ცხოვრებიდან გაქცევა — განდგეილის — მწირობის სახით — ცხოვრებიდან განდგომილის განყენებული საგნისადმი, აქ კონკრეტულად ღვთაებისადმი, თავდავიწყებითი სამსახურით სრული სიმშვიდის, კმაყოფილების, ბედნიერების მოპოვება, და ცხოვრებასთან უშუალო მჭიდრო კავშირი, მისი ორომტრიალში აქტიური ყოფა — გარემო ცხოვრების მოტრფიალე, ახალგაზრდა მწყემსი მთიელი ქალის სახით.

ეს დიდი და რთული პრობლემა პოემაში განვითარებულია განდგეილისა და მწყემს ქალს შორის ნიჭიერად გაშლილი დიალოგის საშუალებით. გაკვირვებული მწყემსი ქალის შეკითხვით განდგეილი-სადმი — „მოშორდი (იგულისხმება — ქვეყანას, ყველა შენიანს, მ. ზ.) და აქ მარტოკა ხარ?“ იწყება მათ შორის თითქოს აკადემიური, დარბაისლური პაექრობა. პაექრობის ბუნებრივი ლოგიკური თანმიმდევრობის გაშლამ განდგეილი მიიყვანა იმ დებულების აღიარებამდე, რომ ცხოვრებაში „ყველაზე უფრო სული ტკბილია“ და ცხოვრებისადმი ყოველივე მიზიდულობა სულისათვის ბორკილია, მავნებელია. მაშინ მწყემსი ქალი მთელი თავისი კდემამოსილებით გულუბრყვილოდ კვლავ განდგეილს ეკითხება:

„მაშ, ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით,  
ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“

აქ განდგეილიც აშკარად ხვდება, რომ ის არამც თუ ცხოვრე-

ბის ბუნებრივ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით არაა სწორი, არამედ აკრეთვე არც საეკლესიო მსოფლმხედველობითაც. ნიადაგშერყეული განდგეილი მისთვის შეუფერებელ პასუხს იძლევა:

„ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა  
ესეთი შერგო მე... უბედურსა...“

მკითხველი, უდავოდ, ადვილად ხვდება განდგეილის სევდიან განწყობილებას, ძალად, ხელოვნურად მასში ჩამარხული სიცოცხლის გაღვიძების, დასაწყისის, რაც თვალსაჩინოდ ააშკარავებს განდგეილის რწმენის შერყევას, დამარცხებას, უსაფუძვლობას.

მაგრამ ილ. ჭავჭავაძე ამით არ კმაყოფილდება, აქ არ სვამს საკითხის დამთავრების ნიშანს. მას უნდა საკითხი, უფრო სწორად, განდგეილის ქცევა და მისი რწმენის დამარცხება, უსაფუძვლობა მაქსიმალურად გააშიშვლოს, ამოსწუროს, ყველასათვის აშკარა გახადოს, რისთვისაც ის ლირიკულ გადახვევას იშველიებს. ილ. ჭავჭავაძე მარჯვედ იყენებს განდგეილის მიერ უნებლიედ, გონების დაუკითხავად გამოთქმულს: „მე... უბედურსა“ ... და ამ გამოთქმის ნამდვილი მნიშვნელობის შესანიშნავ გაშიფვრას პოეტი შემდეგი ლირიკული გადახვევით გვაძლევს:

„უბედურსაო?!“... და მწირსა უცებ  
გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...  
ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია  
და ვით მოადგა იგი ენაზედ?  
„უბედურსაო?!..“ ეგ ხომ სიტყვაა  
ჯულისტკენის და სამღურავისა  
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკენესა  
ბედნიერების დამკარგავისა...  
მან რა დაჰკარგა?... ნუთუ არ ჰყოფნის,  
რომ მან დასძლია საწუთროება,  
განდგა მისგან და აქ მოიპოვა  
სულის მშვიდობა და მყუდროება?  
ნუთუ დაკარგვად არ მიაჩნია  
დამარხვა ხორცის, გულთქმის, ვნებისა,  
და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა  
წმინდა საყდარი უკვდავებისა?  
რა დაემართა? რა მოუვიდა?  
ნუთუ უჩივის აწ იგი ბედსა?  
ნუთუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას  
და მუნათს რასმეს სდებს შემოქმედსა?“

მწერალმა რომ უფრო გაამძაფროს განდგეილის რწმენის სი-

სუსტე, მისი მცდარი გზის უნიადაგობა, რაც თითქოს თვით პოეტსაც კი არ სჯერა, პოემის XXII თავის დასაწყისში ასეთ ლირიკულ გადახვევას აქსოვს:

„არ შეჰადრებნ ღმერთს იგი სამღურავს  
არ გასწირავს სულს შევედრებულსა!  
ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას,  
მასზედ გულუხვად მომადლებულსა...  
არა და არა!..“<sup>55</sup>

პოეტმა უფრო რომ გაამკვეთროს მწირის მდგომარეობა და აჩვენოს, რომ მისი განმარტებაც უსაფუძვლო არაა, თვითონვე კითხულობს: თუ ეს არაა — „მაშ რამ სძლია და ეს სიტყვა რამ ამოაკვნესა?“ (იგულისხმება მწირი).

პოეტი ამის ასსნასაც იძლევა: აღელვებულ-ფორიაქებული მწირი თვალს მოავლებს თავის დაცარიელებულ სენაკს; იქ არავინ არის, გარდა ცეცხლის პირას ჩაძინებული მწყემსი ქალისა, რომელიც ცეცხლის შუქზე საოცრად მშვენიერი იყო. მწირმა რა ქალი იხილა, „დაუცხრა სული და რაღაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული“. ქალის სახე მწირს ატკობდა, აოცებდა. დიდხანს დასცქეროდა მას და მიხვდა, რომ მწირს ცხოვრება ეძახდა, იზიდავდა. პოეტმა მწირში ძალად ჩაკლული სიცოცხლის ნდომა, დაკარგულის დაბრუნებისათვის გამალებული, თავბრუდამსხმელი ბრძოლა მკითხველს რომ მთელი სისრულით დაანახოს, განაცდევინოს, ასეთ ლირიკულ გადახვევას მიმართავს:

„...ნეტა რა სხივი  
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი..  
ჰძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის  
ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!  
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...  
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძგერა!..  
ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს  
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა.  
როგორ იწამოს და რა დაარქვას  
ამ ჯერ არ—ცნობილს სიტკბობასა?  
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს  
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?“<sup>56</sup>

გაოგნებული მწირი შეუცნობლად ფეხს წინ წადგამს. მწყემს

55 ი. ჯ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, „განდუგილი“, ტ. I, გვ. 218—219, 1951 წ.

56 ი. ჯ ა ვ ე, გვ. 220.



ქალს კვლავ ძინავს. გრძნეულ ჯადოსავით მისი ბაგე ლალის ღიმი-  
ლით კრთოდა, „ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა“. ამ მაცდურო-  
ბას ასე ადასტურებს პოეტი — „ზე—არსთა ძალიც ვერ გაუძლებ-  
დაო“ ...მწირმაც ვერ გაუძლო. მან თავი დახარა საკოცნელად, მაგ-  
რამ უცებ გაშეშლა.

აქ უმაღლეს მწვერვალს აღწევს მწირის შინაგანი ჰიდილი. ის  
განდევლია, მისთვის ყოველივე ცხოვრებისეული სასტიკად აკრძა-  
ლულია. მართალია, მწირს თავისი ბუნების დაუძლეველი სურვილი  
არ შეუსრულებია, მაგრამ საეკლესიო რწმენის მიხედვით დაუშვებე-  
ლი საქციელის გულში გატარება ხომ ისეთივე ცოდვაა, როგორც მი-  
სი სისრულეში მოყვანა. მწირი თითქოს ფხიზლდება, მასში იწყება  
შინაგანი ბრძოლა. მას მაინც არ უნდა დასცილდეს იმ გზას, რო-  
მელზედაც ის აქამდე იდგა. არ უნდა აიყაროს ღვთისაგან მიღებუ-  
ლი მადლი; არ უნდა ეშმაკს (ხორცს) დაუთმოს სული (მადლი) ასე  
ტანჯვით, ცრემლით, გვემით მოპოვებული.

თითქოს გამძაფრებული ბრძოლა მწირის სულსა და ხორცს,  
გონებასა და ვნებას შორის ასე გადაწყდა. მაგრამ მწირის შინაგანი  
სამყარო არ მიყუჩებულა. ბრძოლა მწირში მაინც უჩინრად გრძელ-  
დება და პოეტიც მას დიდი ოსტატობით შემდეგი ლირიკული გადა-  
წყვეით ასე ამხელს:

„მაგრამ ეს რაა?... „წაწყმდი თუ არა!“...  
ეს ვინ ჩასძახის ნიშნ-გებით ყურში!  
„დავძლიე თუ არ!“... ეს ვინ გაჰკვივის,  
გახარებული იმის მკვდარ გულში  
ეს რა ჰხარხარებს! ეს რა დასცინის!  
ეს რა ხმა ისმის მის გარს ლხენისა!“<sup>57</sup>

იგი სიმშვიდეს კვლავ ღვთისმშობლის ხატის წინაშე ეძებს,  
რათა ვედრებით „ხორცზე კვლავ ძლიევა იდღესასწაულოს“. მაგრამ  
მეტი სიმკვეთრისათვის სიუჟეტის განვითარებაში პოეტი კვლავ იჭ-  
რება:

„პირვეარი უნდა — ხელი არ ერჩის,  
ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება.  
ხატის ხილევა სწყურს და იგივ.. იგივ...  
ქალი წყეული თვალთ ელანდება!“<sup>58</sup>.

შინაგანი დაუძლეველი ბრძოლით დაღლილ, გაოგნებულ მწირს  
უცნაურად ახმაურებული ხმები რალაც ძალუმი ხარხარით ჩასძახიან:

<sup>57</sup> ი. ჭ ა ვ ე ა დ ე, „ვანდელი“, ტ. I, გვ. 221, 1951 წ.

<sup>58</sup> ი ქ ე ე, გვ. 222.

„წაწყმდი თუ არა?“, „დაგძლიე თუ არა!..“, „აბა სძლიეო!...“ ეს ხმე-  
ბი მას გარკვევით ესმის, როგორც მძღავრი და მწირის გასანადგურ-  
რებლად აუღერებული სიმფონიური ტრიო. მწირი ვეღარ უძლებს  
ამგვარ ტანჯვას, სენაკიდან, როგორც გიჟი, გამორბის და იმ ყინულ-  
კლდეებში „თმააბურძგნული დარბის, დაძრწის, ჰტანტალეებს“. მო-  
უთმენლად ელის მზის ამოსვლას, რომ შეამოწმოს ღმერთმა შეცოდე-  
ბის გამო აიღო თუ არა მასზე ხელი. და რა მზის სხივმა მისი ლოც-  
ვანი აღარ მიიღო, ზარდაცემული მწირი გაშრა, გაშეშდა „ერთი სა-  
შინლად შეკბლავლა ღმერთსა და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული“.

ამრიგად, აღნიშნული ლირიკული გადახვევანი არა მარტო პო-  
ემა „განდევლის“ სიუჟეტის ურთულესი ადგილების დინამიკურ  
განვითარება-გაღრმავებას უწყობს ხელს, არამედ მწირის სხვადასხვა  
რთულ მდგომარეობას უფრო თვალსაჩინოს ხდის და შთამბეჭდაო-  
ბას მატებს. ამასთან მკითხველს მტკიცედ არწმუნებს პოემის დედა-  
აზრის, იდეის უცილობელ ჭეშმარიტებაში — ვინც ცხოვრებას გა-  
ექცევა, განუდგება, ისე უკვალოდ და უაზროდ განადგურდება, რო-  
გორც პოემის გმირი — განდევილი. ამრიგად, ლირიკულმა გადა-  
ხვევებმა ხელი შეუწყო პოემა „განდევლის“ მხატვრულად დახვე-  
წას, მის სრულყოფას.

### „აჩრდილი“

როგორც ითქვა, პოემა „აჩრდილი“ ილ. ჭავჭავაძის სტუდენ-  
ტობის პერიოდს მიეკუთვნება. ის ძირითადად დაწერილია 1859 წლია  
დასასრულისათვის. თუმცა ამ პოემამ შემდეგში განიცადა მცირე თუ  
არსებითი რედაქციული ცვლილებანი. პოემის დედააზრია საქართვე-  
ლოს მდგომარეობის ასახვა აწმყოსა და წარსულში, მისი დიდება  
წარსულში და დაცემა აწმყოში. პოემა მთლიანად გაყენებულია სა-  
მშობლოსადმი უანგარო, დაუძლეველი სიყვარულით, მისი აღდგე-  
ნის, კვლავ აყვავების სურვილით. ნაჩვენებია ამის საფუძვლებიც:  
თავისუფალი შრომის საფუძველზე შეიქმნას „შრომის სუფევა“ —  
ძმობა-ერთობა და სიყვარულით საყოველთაო ყოფა.

პოემაში მიმზიდველადაა გაშლილი საქართველოს ლამაზი, მრავალფეროვანი, უხვი ბუნება: მთანი მაღალნი, მინდორ-ველ-ტყენი,  
შმაგი თერგი და „ქართლის ცხოვრების მოწმე ჩვენი არაგვი“, რო-  
მლის კიდებებზე დაღვრილია ქართველთა „წმინდა სისხლი“ და და-  
მარხულია ჩვენი ქვეყნის „გრძელი მოთხრობა“.

მთის მწვერვალზე მოჩანს ჭმუნვითა და სევდით შეპყრობილი  
„საკვირველი უცხო დიდი კაცი“, რომლის „მთილამ ამაყად მომზი-

რალი თვალი არ მიიზიდა“ „არცა არაგვმა, არც თერგმა, არც ტყემ  
და არცა მთამა“.

მწერალი აამეტყველებს ამ „საკვირველ კაცს“ — რად დაუგ-  
დია მას თავისი ბინა და ამ მთაზე რისთვის მოსულა.

მწერლისთვის ეს „საკვირველი კაცი“, ეჭვგარეშეა, მისი ქვეყ-  
ნის — საქართველოს ორეულია — alter ego. ამას თვით პოემის  
სათაურიც „აჩრდილიც“ ადასტურებს. ამასთან ამ „საკვირველი კა-  
ცის“ პირით თვით პოეტი საქართველოს დაცემით გამოწვეულ თა-  
ვის ჰუმუნვას, წუხილს, თავის გულნადებს დაუფარავად გამოხატავს:

„ნარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთან!...

მე ვარო შენი თანამდევო, უკვდავო სული.

შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,

ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული“<sup>59</sup>.

„საკვირველი კაცის“ ეს სიტყვები პოემას დასაბამიდანვე თა-  
ვისებურ მიმართულებას აძლევს — მკითხველის შეგნებაში დამა-  
ჯერებლად ერთიანდებიან, შეირწყმებიან თვით პოეტი ილ. ჭავჭავა-  
ძე და „საკვირველი კაცი“ — ჩვენება თუ აჩრდილი.

აჩრდილი მწვავე ტკივილით გადმოგვცემს, რომ არავის ქვეყნა-  
სათვის გული არ შესტივია, სამშობლოს სიყვარული ყველას დავიწ-  
ყნია, რომ მამულისათვის თავდადება საღმთო ვალია, სანატრელია  
იყო „გმირი ქვეყნისათვის მკვდარი“. აღარ არიან ამგვარი გმირები  
და საქართველოც გავერანებულია. მართალია, ამ დავრდომილთა შო-  
რის ზოგჯერ „გამოკრთის ღვთის ნაპერწკალი“, რომლებიც ვერ ური-  
გდებიან ქვეყნის წახლომას, მაგრამ შური და მტრობა „იმ ზოგთა.  
შორისაც ღრმად ჩანერგილა“ და აღძრული მათი მზნეობა „აღძვრი-  
სა უმალ გაციებულა“, „თვით ჰგმობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,  
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან“<sup>60</sup>.

აჩრდილი მწვავედ აღნიშნავს ქვეყნის მოსახლეობაში ამ ჯანსა-  
ლი გრძნობის შერყევას, დაკარგვას; განსაკუთრებით მახვილად ხე-  
დავს ყმის, ქვეყნის ამ ბურჯის, უფლების აყრას, მის ეკონომიურად  
და მორალურად შეგინებულ მდგომარეობას, მასში ადამიანური თვი-  
სებების არ ცნობას.

ნანახით აღშფოთებული აჩრდილი (თვით პოეტი), ყმის (მშრო-  
მელი ხალხის) გასამზნეველად, ხოლო სხვათა დასაფიქრებლად,  
მდგომარეობის გონივრულად შესაფასებლად მოუწოდებს, თვალი  
და გონება გამოაფხიზლონ, ვინაიდან არსებული ყოფა არ შეიძლება  
ძალაში დარჩეს, „შრომის შვილმა“ უნდა მოიპოვოს სათანადო უფ-

<sup>59</sup> ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „აჩრდილი“, ტ. I, გვ. 135, 1951 წ.

<sup>60</sup> ი ქ ვ ე, გვ. 138.

ლებები — მომავალი მისია. ამ მიზნით ლირიკული გადახვევის სა-  
შუალებით პოეტი მკითხველს მომავალი ცხოვრების ასეთ სურათს  
უშლის:

„შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პერობილი,  
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,  
ზოლო რღვეულა მისი ბორკილი,  
და დასამსხვრევლად გამზადებულა.  
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი  
ძღვევამოსილის ამ საუკუნის,  
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი  
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.  
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრიგალის ქროლვას,  
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი  
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —  
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი  
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,  
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების“<sup>61</sup>

პოეტის ფანტაზია აქ არ ჩერდება. ის ცდილობს მომავალ ბედ-  
ნიერ, თავისუფალ ცხოვრებას უფრო კონკრეტული სახე მისცეს და  
ასეთ ლირიკულ გადახვევას ურთავს:

„შრომის სუფევა მოვა მაშინა  
ქეშმარიტების მის ძლიერებით  
და განმტკიცდება სოფელსა შინა  
კაცთმოყვარების სახიერებით.  
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა  
თანასწორადა ნიჭთა მფენელი.

მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან  
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,  
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან  
კაცთმოყვარება და სათნოება.

მაშინ, მაშერალო, შენც განკაცდები,  
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,  
სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლდები,  
არც ვის ემონვი და არც იმონებ.

მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის,  
დაბლად ღულუნი დაღონებული,

მხიარულ ხმებად გარდაგეცვლებს.

ეგ სიმღერაა ვით ლოცვა ტკბილისი.

<sup>61</sup> ი. კ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, „აჩრდილი“, ტ. I, თავი XIII, გვ. 140, 1951 წ.

მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი  
შენის ლხენითა განიხარებენ,  
შენგან შემკულნი იგი ყოველნი  
შენს ტბილს სიმღერას ბანს გამოსცემენ<sup>62</sup>

პოემის XIII და XIV თავებში ჩაქსოვილი ლირიკული გადახვევა მშვენიერი, სწორი, მართლაც, მიმზიდველი ჰიმნია შრომის შვალის განთავისუფლების, განკაცებისა და უფლებრივი მდგომარეობის მოპოვებისა. ეს ლირიკული გადახვევა გარკვეულ მტკიცე გეზს აძლევს მკითხველს პოემაში გაშლილი მასალა და მოცემული შეხედულებანი შემდეგი მიმართულებით გაიგოს და აითვისოს — შეუძლებელია არსებული უსამართლო ცხოვრება გაგრძელდეს, ის უნდა გარდაიქმნას ცხოვრების ახალ სამართლიან პრინციპებზე — შრომისა და პიროვნების სრული განთავისუფლების საფუძვლებზე: დაცემული აღსდგეს, ამალდეს, სხვა ძირს არ დასწიოს, „არც ვის ემონოს და არც იმონოს“.

შრომის აუცილებლობა რომ უფრო თვალსაჩინო და დამაჯერებელი გახადოს, „საკვირველი კაცი“ მახვილი თვალით მკითხველს კონკრეტულად დაანახევებს თანადროულობის უარყოფით მხარეებს, სახეს. „საკვირველი კაცი“ მკითხველს მწუხარებით მიუთითებს დარბაისელ დიდკაცზე, რომელიც განცხრომით, სრული კმაყოფილებით ცხოვრობს და სრულიად არ ზრუნავს და არცა სწუხს, რომ მისი მოძმე წაქეუელია, შევიწროებულია და სასოწარკვეთილებაში ლევს თავის სიცოცხლეს. პირიქით, დიდკაცი უფრო ამძიმებს შრომის მდგომარეობას, ვინაიდან ეს მისთვის უფრო სასარგებლოა.

განა ასევე არ იქცევა ვაჭარი? ისიც ცბიერად ატყუებს სხვას, ოღონდ თვითონ კმაყოფილი დარჩეს. თვით სამღვდელოებაც კი, რომელთა მოწოდებაა ერი ურთიერთსიყვარულისა და სამართლიანობის მიმართულებით აღზარდოს, მასზე იზრუნოს, მას, პირიქით, დაუვიწყანია თავისი პირდაპირი მოვალეობა, ანგარებით აღვსილა. ასევეა საქართველოს დედაქალაქების — მცხეთისა და თბილისის ცხოვრება, სადაც სჩქედდა წყარო შინაარსიანი ცხოვრებისა, ახლა კი, სამწუხაროდ, „მათ ცრემლს, ღიმილს, თუ გრძნობას, ჭმუნვას, სიხარულს თუ მოქმედებას ფრჩხილის ოდენაც არა აქვს აზრი“. ცხოვრება ერთფეროვანია, უსამართლოა. ყველა მათ დავიწყებით ის სიკეთე, რისთვისაც იბრძოდნენ მათი მამანი და ასეთ განზოგადებულ დახასიათებას იძლევა:

„გრძნობას — ოქროსა ფასად ჰყიდიან,  
მთავრის ღიმილზე — პატიოსნებას

62 ი. ჭ ა ვ ე ა ვ ა ძ ე, „აჩრდილი“, ტ. I, თავი XIV, გვ. 141, 1951 წ.

და დაქანებულ ბორკილზე სცვლიან  
თავის მამულის თავისუფლებას“<sup>63</sup>.

დახატა რა ასეთი სავალალო თანადროულობა, მოწოლილი „შავბედითი ფიქრები“ და შთაბეჭდილებები რომ უფრო გაამძაფროს, მკითხველიც რომ უფრო დააფიქროს, თავის თანამოაზრედ გახადოს და თავისი მიმართულებით გაიყოლიოს, პოემის მიზანდასახულებაც უფრო თვალსაჩინო გახადოს, პოეტი ასეთ ლირიკულ გადახვევას მიმართავს:

„ქართლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,  
რამდენს ვეებას შენსა თავზედ გარდაუვლია!..

ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?  
სხვა რომელია, რომ ათასთწელთ ბრძოლა მედგარი  
გამოევლოს და სრულიად მტერად აღგვიყოს?  
შენ ხარ, მართო შენი.. მაგალითი სხვა არსად არი,  
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს.  
შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა,  
ორი ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,  
მაგრამ ამჟამი თვისი თავი ქვეყანაზედა  
არავის წინა სამუდამოდ არ მოიხარეს.  
ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღწვოდა, —  
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა, —  
მამულისა და რაჭულისათვის იგი იბრძოდა,  
ორივე დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა“<sup>64</sup>.

„საკვირველმა კაცმა“ (პოეტმა) გააკეთა რა ასეთი ლირიკული გადახვევა, დაუპირისპირა ქვეყნის სავალალო მდგომარეობა მის გმირ წინაპართა სახელოვან მოქმედებას, მეტი სიმკვეთრისათვის ის ძირითად ხაზებში აღადგენს ქართველი ხალხის „ჯვარცმულ და წამებულ“, მაგრამ გმირულ, მიმზიდველ ისტორიას: ცხოვლად წარმოადგენს საქართველოს ყოველი კუთხიდან შემოსეულ ვერაგ მტერს, რომელიც დაუნდობლად სძიძგნიდა, ანადგურებდა საქართველოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდი მწუხარებითა და ამასთან ერთგვარად მოკრძალებული სიამაყის გრძნობით „საკვირველი კაცი“ (თვით პოეტი) განაგრძობს ლირიკულ გადახვევას და დაასკვნის:

„მაგრამ ვაჟკაცი შეილები შენნი  
გულდაგულ მტერსა წინ უღგებოდნენ.  
იყო დრო როს შენს ძახილზედ, ხმაზედ  
მამულის დროშა გაიშლებოდა

63 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „აჩრდილი“, ტ. I, გვ. 143.

64 ი ჭ ე ე, გვ. 144—145.

და ქაბუთ რაზმი შენს მოწვევაზედ  
 მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა.  
 იყო დრო, როცა შენის გულისთვის  
 თითონ სიკვდილსაც ლხინად ჰხედავდნენ  
 და თავდადებას მამულისათვის  
 ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ.  
 ეხლა რაღაა.. გაჰქრნენ ის ღლენი,  
 გაჰქრა იგიცა ძალგულოვნობა,  
 და საკვირველი მამათ საქმენი  
 ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება“<sup>65</sup>.

„საკვირველი კაცი“ ღრმა გულისტიკვილით აღნიშნავს, ერთი მხრივ, ახლა როგორ „წამხდარა ყველა ეს ღონე და ეს ძლიერება, მტერად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება“, დარღვეულა, შეჩერებულა, დაუქარგავს თავისი ფართო გზა, ხოლო, მეორე მხრივ, თავის წამების ისტორიის გზაზე, როგორ „ხან დაცემულა, მიმქრალა, ხან აღდგომილა“, ხანაც „ურთიერთშური, მტრობა ძირს უთხრიდა“, მაგრამ ამგვარ მდგომარეობაში ცხოვრება მაინც მძლავრად იგრძნობოდა, მიედინებოდა. ახლა კი ყველაფერი გაქრა, დაეცა წინაპართა სისხლით „რწყული შრომა“.

აქ კვლავ მწვავე გრძნობები მოაწვება „საკვირველ კაცს“ (პოეტს) და მათგან განსატვირთველად კვლავ მკითხველის სამოდღვროდ, შთასაგონებლად ასეთ ლირიკულ გადახვევას იშველიებს:

„როდის ღა ვნახე მშვენიერსა ამ ქვეყანასა  
 თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა,  
 დროსთან დანთქმულსა სხვადასხვათა კავშირთა ბრძოლას,  
 ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლვას?  
 . . . . .  
 თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალემა  
 როდის დადნობს დაეანგებულს დიდიხნის ბორკილსა,  
 და ქართველობა საქადელად როდის იქნება  
 ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა შვილსა?“<sup>66</sup>

პოემა „აჩრდილის“ ავტორმა „საკვირველი კაცის“ პირით გადმოგვცა საკუთარი შთაბეჭდილებით მიღებული უტყუარი სურათი როგორც მოდუნებული, დარღვეული, განადგურებამდე მისული მისი დროის ქართველი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ისე ჩვენ წინაპართა მტკიცე, ამტანი ბუნებისა, უმძიმეს ყოფაშიც რომ მტკიცედ ინარჩუნებდა ჩვენი ხალხის კვლავ აღდგენის, განთავისუფლების, აღ-

<sup>65</sup> ი. ჯ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, „აჩრდილი“, ტ. I, გვ. 146—147.

<sup>66</sup> ი ქ ვ ე, გვ. 147—148.

ორძინების, გაერთიანების და საერო ცხოვრების აყვავების გზით წარმართვის იმედს. ეს ცხოველი იმედი — ქართველი ერი კვლავ ნახოს გაღვიძებული, გაერთიანებული, აღდგენილი — ძალუმაღლევის „საკვირველ კაცში“ (თვით პოეტში) და თავის ამ განწყობილებას ნახულით, განცდილითა და იმედით, დაუძლეველი სურვილით გაღვივებულს, განზოგადებული სახით ლირიკული გადახვევის საშუალებით ასე გამოხატავს:

„ღეღავ ღვთისაო ეს ქვეყანა შენი ხვედრია...  
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;  
საღმართოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,  
ჩაგრულთ სასოთ, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!  
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,  
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,  
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,  
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შეილსა.  
ძლიერო ღმერთო! შენთვის ბრძოდნენ ქართველისა ძენი,  
დასაბამითვე არ იციან — რა არს მშვიდობა,  
იკმარე საღმართოდ მათ პატიენი და სისხლის ძღვენი,  
თუ რამ შეგეცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.  
მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული  
და აღუდგინე მშვენნიერი ესე მამული...  
.ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,  
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!“67.

ამ ლირიკულმა გადახვევამ შესანიშნავად გააშუქა პოემა „აჩრდილის“ როგორც იდეა, ისე მისი საზოგადოებრივი მიზანდასახულებაც; ამასთანავე დიდი სიცხადით, შთამბეჭდავად გააშიშვლა სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისშივე ჭაბუკი პოეტის, ილ. ჭავჭავაძის, მსოფლმხედველობის, სულისკვეთებისა და პოეტური შემოქმედების ძირითადი წამყვანი მიმართულებაც.

ამრიგად, წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვაც, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ნათელს გახდის, ლირიკული გადახვევა ილ. ჭავჭავაძის მხატვრული სტილისათვის თუ რამდენად დამახასიათებელია, რამდენად მრავალი მიმართულებით, ნიჰიერად და მოხდენილადაა ეს ხერხი დიდი მწერლის მიერ გამოყენებული; ლირიკული გადახვევა როგორ ეხმარება მას მოვლენის, ამბის, მოქმედი პირის, სიუჟეტის გახსნა-გამკვეთრება-გამდიდრებაში. ნაწარმოების მხატვრულად დახვეწასა და მკითხველამდის სრულყოფილად მიტანაში.



პირთა საძიებელი

- აბაშიძე ვასო 98, 551  
 აბაშიძე ივანე 125  
 აბაშიძე კ. 367, 471, 472, 474, 506, 509, 514  
 აბაშიძე ლევან 436  
 აბაშიძე სამსონ 224  
 აბაშიძის ქალი 125  
 აბღუშელიშვილი დ. 467  
 აბრამიძე (მსახიობი კაცი) 38  
 აბრამიძე (მსახიობი ქალი) 38  
 ავალიშვილი ბ. 551  
 აზიანი ნ. 98  
 ალექსანდრე მაკედონელი 624  
 ალექსანდრე I (იმპ.) 43  
 ალექსანდრე II (იმპ.) 31, 165, 186, 237, 537  
 ალექსანდრე III (იმპ.) 186  
 ალექსი-მესხიშვილი სარდიონი 215, 217, 220  
 ალიხანოვ-ავარსკი 570  
 ამილახვარი ავთანდილ (რაფ. ერისთავის პაპა) 415  
 ამირეჯიბი სიმონ 18  
 ანა (სტეფანე ეზერსკის ქალი, გ. ქალადიდელის მეუღლე) 436  
 ანანოვა 32  
 ანდრეევსკისა პ. გ. 31  
 ანდრონიკაშვილი რევაზ 258, 259, 537  
 ანტონ კათალიკოზი 22, 211, 215, 217  
 ანტონოვი გრ. 105—108  
 ანტონოვი ზ. 34, 37, 105—114  
 ანტონოვი ნაზარ 105  
 ანტონოვიჩი 358  
 არაგვისპირელი შიო 311, 662  
 არღაზიანი ლავ. 23, 48, 115, 116, 130—132, 139, 140, 142—146, 157, 162  
 არღაზიანი პეტრე (ანჩისხატის ეკლესიის მღვდელი, ლავ. არღაზიანის შამა). 130  
 არისტოფანე 97, 98  
 არსენა (სახალხო გმირი) 638, 639  
 არჩილი 521  
 ასათიანი ლ. 357  
 აფხაზი ივანე 26  
 აღ-მაჰმად-ხანი 426  
 აღმაშენებელი დავით 122  
 ამორტია თადა 556  
 ახნაზაროვი ა. 551, 552  
 ბაგრატიონი (მუხრანელი) ვიორჯი კონსტანტინეს ძე 258, 259, 537, 538  
 ბაგრატიონი (მუხრანელი) ივანე კონსტანტინეს ძე 258, 537  
 ბაგრატიონი ნ. 28  
 ბაირონი 207, 219, 524  
 ბაკუნინი მ. 176, 181, 183  
 ბალუჯაი 54, 55, 56, 93  
 ბაპეროვა იხ. ლაფეროვა  
 ბარათაშვილი გ. 213, 216—218  
 ბარათაშვილი ნიკ. 4, 5, 27, 46, 55, 127, 128, 192, 210, 521, 558  
 ბარონ ნიკოლაი 258, 537  
 ბაქრაძე დ. 48  
 ბაშმაკოვი 31  
 ბეზუთოვი თ. 38, 39  
 ბელისკი ბ. 169, 450, 719  
 ბერაქე 423  
 ბერიევი დიძ. 46, 48, 210  
 ბერიშვილი დ. 48

ბერძნიშვილი ნ. 130  
ბესიკი 418  
ბირთველი (მეფე გიორგის მღვიანის) 127  
ბისმარკი 601  
ბლაგოი დ. 614  
ბლუდოვი 12  
ბოლქვაძე მ. 572—574  
ბორისი (გ. ქალადიდელის ვაჟი) 436  
ბოსლეველი ესტატე 320, 321  
ბოცვაძე ა. 613

გაბაშვილი ეკ. 662  
გაბუნია-ცაგარლისა ნ. 551  
გაგარინი 30  
გამეზარდაშვილი დ. 95  
გარიბალდი 507, 524  
გაჩეჩილაძე ა. 130  
გეთე, გოეთე 207, 347, 524  
გელეიშვილი პ. 344  
გერტენი ა. 59, 165, 169, 172, 173, 176, 177, 300

გვათუა გიორგი 436  
გიორგი მეფე 127  
გლადსტონი 602, 603, 605, 606  
გოგებაშვილი იაკობ 23, 243, 404, 414, 428, 447—449, 451—462, 464—466, 516

გოგოლი ნ. ვ. 59, 69, 91, 98, 255, 424, 748, 749, 751  
გოეთე იხ. გეთე  
გოთფრუა 554  
გოლოვინი 7  
გომართელი ივანე 306, 308, 345, 558, 677

გონჩაროვი 57  
გორისელი 224, 225  
გორკი მ. 250, 690, 718, 720  
გოცაძე მ. 44, 47  
გრიბოედოვი ა. ს. 34, 69, 98  
გრიგოროვიჩი დ. 59  
გრიშაშვილი 125  
გუგუშვილი პ. 47, 556  
გუგუშვილი სე. 125  
გუნია ვლ. 551  
გურამიშვილი დ. 521

დადიანი გრიგოლ 436  
დადიანი დავით 435

დადიანი ნიკოლოზ 548  
დებაგორი-მოკრიევიჩი 185  
დეკანოზიშვილი ა. 662  
დვანაძე 33, 34, 105  
დიმიტრევი ი. 579  
დიუმა (შვილი) 118  
დობროლიუბოვი ნ. 172, 233, 261, 358, 450, 523, 578, 814  
დოდაშვილი სოლომონ 44, 61, 62  
დონდუკოვ-კორსაკოვი 31, 542  
დოსტოევსკი 310  
დუდუჩავა მამია 224

ებანოიძე ლ. 302  
ეზერსკი სტეფანე 436  
ეზოპე 270, 577, 578, 580—582, 586, 591, 598

ეკალაძე ია 662  
ეკატერინე II (იმპ.) 41  
ელეფთერიძე იხ. ზურაბიშვილი ივ.  
ელიოზიშვილი 33, 38  
ერეკლე II 5, 120, 121, 266  
ერისთავი ასიკო 31, 258  
ერისთავი გიორგი 23, 27—29, 31, 32, 34, 38, 40, 46—48, 57, 59—71, 73, 75, 76, 78—83, 87, 91—109, 113, 115, 131, 135, 136, 145, 146, 157, 161, 162, 212, 360, 472, 473, 512

ერისთავი დავ. 240, 266, 267, 538, 551, 552, 613

ერისთავი დავით 548  
ერისთავი დავით (რაფ. ერისთავის მამა) 415

ერისთავი დავით (გ. ერისთავის მამა) 60  
ერისთავი ელიზბარ 62  
ერისთავი ესტატე 18, 60, 61  
ერისთავი კნ. მ. 31  
ერისთავი მირმანოზ 60  
ერისთავი ნ. 31, 48  
ერისთავი რაფ. 23, 125, 243, 414—433, 558

ერისთავი რევაზ შალვას ძე 22, 115, 209—212, 216—218, 220, 223, 527, 749

ერისთავი სანდრო 544  
ერისთავი შალვა 31, 62

ენმოლოგი 7  
ენგელსი ფ. 54—56, 93, 102, 209  
ვაჟა-ფშაველა 24, 321  
ვართანოვი 39  
ვარლამი (მიტროპოლიტი) 60, 61  
ვანნაძე 18  
Ветринский 166  
ვორონცოვი მ. (საქართველოს მთავარ-მართებელი) 6—17, 19, 25—33, 37, 38, 44, 45, 47, 98, 427  
ზალოვი ზ. 18  
ზვილესკი 16  
ზაიცევი 358  
ზასულიძე 186  
ზენკლოვიჩი 38  
ზოლა 54, 55  
ზურაბიშვილი ილია 570, 571  
ზურაბიშვილი ივ. (ელეფთერიძე) 662  
თარხან-მოურავი გ. 250  
თევდორე მღვდელი 462  
თეიმურაზ I 521  
თეკლე (ერეკლე II-ის შვილი) 120  
თემურლენგი 426  
თერგდალეული (პირველი) 224  
თერგდალეული (მეორე) 224  
თულაშვილი ვახტანგ 15, 23, 374  
თუმანიშვილ-წერეთელი ანასტასია 468  
თუმანიშვილი მის. 23, 35, 36, 48, 115, 127—129  
იანოვსკი (კეკელიძის სასწავლო ოლქის მზრუნველი) 405, 556, 591—593  
ივანეწკო 7, 8, 10, 12  
ივანძე (მსახიობი ქალი) 38  
Иванов-Разумник 178  
ინაშვილი ნ. 24  
ინგოროყვა პ. 205, 544, 556, 574  
იოვიძე ა. 534, 573, 574  
იოსელიანი პლატონ 32, 44, 46, 97, 258, 259  
იპოლიტი ი. 42  
კაველინი კ. 522  
კალანდაძე ა. 48, 129

კანისტი 69, 424  
კარაკოზოვი 165  
კარამზინი 217  
კატკოვი 552—554  
კაუცკი მინა 102  
კერესელიძე ივანე ივანეს ძე 34, 38, 39, 47—51, 105, 108, 115—120, 128, 129, 156, 157, 232, 248  
კიკნაძე გრ. 255, 408  
კიკნაძე ფილადელფოს 61  
კისელიძე 12  
კლიაშვილი დ. 161, 766, 772, 775, 785  
კოვალევსკი მ. მ. 573, 574  
კოზიცი გ. 41  
კოზლოვი 209, 217, 527, 749  
კორძაია 33  
კოსტომაროვი ნ. 522  
კრატონი 97  
კრილოვი ი. ა. 41, 220, 377, 424, 433  
კუროჩკინი ვ. 579  
კუროჩკინი ნ. 579

Лавров И. 179, 180, 183, 184, 187  
ლავროვი ნ. 173  
ლავროვი პ. 177—179  
ლაისტი არტურ 557  
ლაფერაშვილი (მსახიობი ქალი) 33, 38  
ლაფეროვა (იგივე ზაპეროვა) 33  
ლაფჩინსკი კაზიმირ 64, 65  
ლენინი ე. ი. 21, 22, 56, 166—169, 175, 182, 183, 185, 186, 188, 189, 240, 241, 267, 689  
ლერმონტოვი მ. 59  
ლემან-ჰუპტი კარლ 558  
ლომონოსოვი მ. 215  
ლომოური ნ. 23  
ლორთქიფანიძე კ. 48, 194, 200, 223, 224, 228, 232, 310, 359, 508, 763  
ლუარსაბი (ქართლის მეფე) 62

შამაცაშვილი კონსტ. 26, 27  
შამაცაშვილი ქრ. 533  
Маркс К. 55, 56, 169, 209, 241, 267  
შალაშვილი ლუარსაბ 544  
შალაშვილი შაქრო 544  
შაყაშვილი სიმონ 18

მაჩაბელი ვას. 548  
 მაჩაბელი სეიმონ 64  
 მახარაძე ფ. 20, 21, 94, 146  
 მგალობლიშვილი სოფრ. 23, 662  
 მეინდორფი 31  
 მეიფარიანი 34, 105  
 მელიქიშვილი 28  
 მენანდრი 97  
 მესხი დავ. 125  
 მესხი კ. 125, 551  
 მესხი ს. 23, 250, 251, 299, 310, 398,  
 468, 508, 513, 516, 544  
 მესხიშვილი ვლ. 551  
 მესხიშვილი ნიკო 544  
 მესხიშვილი სარდიონ 23, 216, 224,  
 227  
 მეუნარგია ი. 33, 61, 435, 548  
 მილი 508  
 მინაევი დ. 579  
 მიონჩაი 31  
 მირფილი 558  
 მიცქევიჩი 64, 67, 356  
 მიხაილოვი მ. 173  
 მიხაილოვსკი ნ. 170, 173, 176—180,  
 185, 187  
 მოლაყებ (მ. თუმანიშვილის, ივ. კერე-  
 სელიძის, ლავ. არდაზიანის ფსევდო-  
 ნიმი) 48, 50—52, 147  
 მოლიერი 32, 69, 98, 99  
 მოსე (ი. ჭაუჭავაძის მოურავი) 569  
 მოსიძე ივანე 436  
 მურავიოვი (გენერალი) 40  
 მუხრანსკი ივ. 533  
  
 ნაკაშიძე პეტრე 270, 596, 629  
 ნაპოლეონ ბონაპარტე 42  
 ნაუმოვი 187  
 ნეიდპარტი 7  
 ნეკრასოვი ნ. 59, 358, 437, 523, 577,  
 578, 613, 814  
 ნიკოლაძე ნიკო 23, 193—195, 200, 223,  
 224, 233, 250, 251, 258, 300, 301,  
 310, 359, 467, 468, 508, 513, 516,  
 544  
 ნიკოლოზ I (იმპ.) 10, 13, 43, 44,  
 59, 64

ნიკოლოზ II (იმპ.) 364  
 ნინო (ავთანდილ ამილახვარის ქალი,  
 რაფიელ ერისთავის დედა) 415  
 ნინოშვილი ეგნ. 284, 476  
 ნოვიკოვი 41

ორბელიანი ალექსანდრე 22, 47—52,  
 115, 120, 121, 123, 125, 147—149,  
 152, 154—156, 160, 161, 215, 230  
 ორბელიანი გრ. 26, 27, 46, 48, 65, 115,  
 210, 212, 244, 258, 266, 267, 271,  
 364, 521, 537  
 ორბელიანი ვახტანგ 120  
 ორბელიანი ილია 31  
 ორბელიანისა კნ. ან. 31  
 ორბელიანისა კნ. ქ. 31  
 ორბელიანი მანანა 28  
 ორბელიანი სულხან-საბა 521, 580  
 ოქრომჭედლიშვილი ი. 551

პანინი 12  
 პეტრაშეველები 60  
 პეტრე დიდი (იმპ.) 41, 358  
 პიპინი ა. 522  
 პისარევი 171, 172, 218, 233, 236, 261,  
 358, 359  
 პლავეტი 97  
 Плеханов Г. В. 187, 188  
 პუშკინი ალ. 59, 69, 99, 127, 171, 218,  
 224, 450, 765

უელიაბოვი 185

რამიშვილი ტრ. 98  
 რეადი (გენერალი) 37, 38, 108  
 როზანაშვილი პ. 18  
 როზენი (კავკასიის მთავარმართებელი)  
 7, 61, 64  
 რუბანოვი 41  
 რუსთაველი შ. 64, 212, 521, 618, 636  
 რჩეულიშვილი გრ. (მწერლობაში ცნო-  
 ბლია, როგორც გრ. რჩეულოვი) 23,  
 33, 48, 115, 123—126, 145  
 რჩეულიშვილი (მწერალ გრ. რჩეული-  
 შვილის ძმა) 33  
 რჩეულოვი გრ. იხ. რჩეულიშვილი გრ.

ზაკაძე 32

საენელი ალ. 48, 115

სალტიკოვ-შიფერინი ნ. 57, 579

სარაჯიშვილი 106

სარდუ (ფრანგი დრამატურგი) 552

საფაროვა-აბაშიძისა მ. 551

სემიონოვი მ. ი. 194

სპასოვიჩი ვ. 552

სულხანოვი ალ. 224

სტაროსელსკი 546

სტასულევიჩი მ. 522

სტენდალი 54

სტოპანოვსკი მ. 579

სტრეკალოვი 17, 61

Таганцев 573

ტერენციოსი 97

ტოლსტოი ლევ 184, 310

ტომაშევსკი ბ. 719

ტოტლენბენი 426

ტრეპოვი 186

ტურგენევი 57, 59, 309, 358

უზნაძე (მსახიობი ქალი) 38

უმიაშვილი პ. 250, 508, 543

უორდროპები 557

უორდროპი მარჯორი 557

უსპენსკი გლ. 187

ფალავანდიშვილი 44

ფლობერი 54, 57

ფონვიზინი 69

ფურიე 173, 182

ფურცელაძე ანტ. 24, 48, 231, 233, 533

ჭობულაშვილი მარიამ (გ. ერისთავის დედა) 60

ჭოჩაქიძე გიორგი მაქსიმეს ძე იხ. ჭალადიდელი

ჭოჩაქიძე მაქსიმე ბეროს ძე (გიორგი ჭალადიდელის მამა) 435

ლოლობერიძე ბესარიონ 194, 258, 259

ლოლობერიძე ნ. ბ. 194, 195, 544

ყაზბეგი გიორგი 24, 544

ყანჩელი ნ. 39

ყარაშვილი გაბრიელ 18

ყიფიანი დ. 31, 47, 48, 115

ყიფიანი დავით 23, 27, 48, 249

ყიფიანი დიმიტრი 364, 533, 544, 546, 556

ყიფიანი კ. 551

ყიფიანი მ. (ფსევდონიმი ს. ჩიტორელიძე) 205, 236, 242, 243, 275, 370

ყიფშიძე გრ. 44, 548

შადინოვი ივ. 40

შალიგინი ა. 731, 737

შანშიევი გ. ო. 31

შაჰ-აბასი 62, 63

შექსპირი 80, 347

შილერი ფ. 55, 524

შიო მღვიმელი 466

შუხარდტი ჰუგო 558

შჩედრინი ნ. 177

შჩეპილოვა ლ. ვ. Щепилова Л. В. 720, 731, 733

ჩახრუხაძე 211, 212, 217

ჩერნიშევსკი ნ. 169, 171—173, 187, 233, 236, 241, 358, 450, 523, 578, 579, 814

ჩეხოვი ა. პ. 308

ჩიტორელიძე ს. იხ. ყიფიანი მ.

ჩოლოყაშვილი ბიძინა 62

ჩუკოვსკი კორნეი 578

ჩულკოვი 41

ცაგარელი აექს. 98, 551

ძიმიტარაშვილი სტეფანე 436

წერეთელი აკაკი 23, 48, 122—124, 200, 212, 223, 227, 231—233, 243, 246, 250, 251, 356—367, 369—388, 390—404, 407—414, 435, 437, 439, 442, 443, 469, 479, 508, 512, 544, 551, 556, 566, 616, 617

წერეთელი გ. 23, 193, 194, 200, 224, 232, 237, 238, 247, 251, 284, 398, 411, 467—480, 482—490, 492—516, 544, 785

წერეთელი ექვთიმე, 23, 221—225, 467  
წინამძღვრისშვილი გრიგოლ 34

წინამძღვრიშვილი ილია 533

წულუკიძე 18

ჭავჭავაძე ალ. 28, 46, 65, 210, 417, 418, 521

ჭავჭავაძე იასე 258

ჭავჭავაძე ილია 17, 23, 48, 51, 52, 103, 109, 113, 114, 122, 192, 193, 195—220, 222—225, 227, 229—234, 237, 239—241, 243—245, 247, 248, 250—278, 280, 282—284, 286, 288—290, 293—299, 301—310, 315—317, 319—324, 326, 327, 329, 331—335, 337—345, 347, 349—357, 362, 365, 377, 378, 398, 414, 421, 435, 437—439, 443, 447—449, 461, 469, 476, 488, 489, 512, 514, 516, 517, 520—576, 579—647, 649—663, 665—669, 671, 673—678, 680—730, 732—752, 754—790, 792—809, 811—826

ჭავჭავაძე ნ. 534

ჭალადიდელი (გიორგი მაქსიმეს ძე ქოჩიაძე) 23, 243, 414, 435, 436

ჭილაევი მ. გ. 31

ჭიჭინაძე ზ. 18, 47, 49, 117, 118, 122

ჭონქაძე დანიელ 23, 48, 94, 115, 116, 131, 146, 149, 150, 152—162, 205, 248, 297

ჭრელაშვილი სტ. 24, 138, 139, 145  
ჭუმბურიძე ჯუმბერ 124

ხახანაშვილი ალ. 123, 124

ხიზანიშვილი ნ. 24

ხლატოვრატსკი 187

ხომლედი რ. 544

ხუნდაძე ს. 223, 224, 228, 232

ხუსკივაძე თ. 662

ხუციშვილი ს. 224

ჯავახიშვილი ი. 16, 17

ჯაფარიძე 34, 105

ჯიბლაძე გ. 344

ჯორჯაძე არჩილ 6, 191

ჯორჯაძისა ბარბარე 23, 115, 214, 216—222

ჯორჯაძე დიმიტრი 258, 537

ბაინე 524

ბალმი 95

ბანი 7

ბარკენის მარგარიტ 93

ბუგო ვ. 67

## შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა 1845—1890-იან წლებში	3
ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურული პირობები 40—50-იან წლებში	25
1. თეატრი	25
2. პერიოდიკა	40
3. ლიტერატურული მიმართულებანი	53
გიორგი ერისთავი	58
ზურაბ ანტონოვი	105
ეურნალ „ცისკრის“ თანამშრომელნი (1857—1860)	115
ლავრენტი არდაზიანი	130
დანიელ ჭონჭაძე	146
რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ძირითადი მი- მართულებანი 60—70-იან წლებში	164
თერგდალეულები 60-იან წლებში	191
ილია ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედება 1857—1860-იან წლებში	196
„მამათა“ და „შვილთა“ მსოფლმხედველობა და მათი ბრძოლის ხა- სიათი	205
თერგდალეულების პოზიტიური შეხედულებანი	231
თერგდალეულთა დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი	239
თერგდალეულთა დამოკიდებულება ბატონყმობისადმი	244
ილია ჭავჭავაძე	252
აკაკი წერეთელი	356
რაფიელ ერისთავი	415
ქალაქიდელი (გიორგი ქოჩაქიძე)	435
იაკობ გოგებაშვილი	447
გიორგი წერეთელი	467
თერგდალეულთა ადგილი ქართულ მწერლობაში	516
ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა	
ი. ჭავჭავაძე — მწერალი მოქალაქე	520
ი. ჭავჭავაძის შემოქმედების იგავური ენა	561
ი. ჭავჭავაძის მხატვრული კომპოზიცია	612
1. „აჩრდილი“	617
2. „ქართლის დედა“ (სცენა მომავალი ცხოვრებიდამ)	629
3. „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“	635
4. „გლახის ნამბობი“	644
5. „კაცია-ადამიანიჟი“	654
6. „სარჩობელაზედ“	661
7. „განდეგილი“	666
8. „ოთარაანთ ქვრივი“	675
პერსონაჟთა ხასიათის გახსნის საშუალებანი ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში	689
ი. ჭავჭავაძის პოეტური ლექსიკისათვის (პოემა „განდეგილის“ მიხედ- ვით)	718
ი. ჭავჭავაძე როგორც სატირიკოსი	747
ლირიკული გადახვევანი ილ. ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში	786
პირთა საძიებელი	825

Михаил Зурабович Зандукели

СОЧИНЕНИЯ

т. I. (Новая грузинская литература)

(На грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси, 1976

გამომცემლობის რედაქტორები: მ. ინასარიძე, რ. ჩირგაძე  
ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი  
კორექტორები: ც. კვანტალიანი, ც. მოლოდინი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/VII-76

ქაღალდის ფორმატი 60×90<sup>1/16</sup>

ნაბეჭდი თაბახი 52.0

საარტიხვო-საგამომცემლო თაბახი 47,66

შეკვეთა 4331 ტირაჟი 3000

ფასი 3 მან. 59 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პრ., 14  
Издательство Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14